# ვასტანგ კოტიძე

## ავირჩევი სიცუვეებს



თბილისი
„მწერალი“
1989

83. 3Гр
Ə 345


წიგნში წარმოდგენილია გამოჩენილი ქართველი მწერლების და საზოგადო მოღვაწეების ლიტერატურული პორტრეტები, წერილები თარგმნის პრობლემებზე, პუბლიცისტური სტატიები ქართული კულტურის პრობლემურ საკითხებზე.

რედაქტორი: ლამარა თურმანიძე

470201200—53
Ə 604(08)—89 9—89

© გამომცემლობა „მერანი"

# ძველი ქართული სიტყვები



## წინაპართა აჩრდილები

მთელს დიდსა და ძნელს ისტორიაში ჩვენი ერის არსებობისა ალბათ იშვიათად მოიძებნება მეორე შემთხვევა, როცა უკიდურესი განსაცდელის ჟამს ხალხს ისეთი ქომაგი და მხსნელი გამოსჩენოდეს, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო. თითქოს მართლაც ზენაარმა მოუვლინა იგი თავის ქვეყანას. „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის — მიწიერი ზეციერსა“. ამას მხოლოდ განგებით მოვლენილი ეტყოდა თავის ხალხს.

და იქვე დაბეჯითებით იმეორებს — თითქოს იმიტომ, რომ თავი დაირწმუნოს და სიმტკიცე შეიმატოს, რაც უსათუოდ დასჭირდება ასეთი მისიით მოვლენილს — „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

რა საოცრად ჰგავს ეს შემაძრწუნებელი სიცხადით დახატულს სურათს განმარტოებულ მთაზე ღმერთთან მოლაპარაკე ადამიანისა.

როცა დიდ მოღვაწეებზე ლაპარაკობენ, ადამიანებს პარალელების გავლება უყვართ და ამას თავისი საფუძველი აქვს: ასე უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩინდება სიდიადე შემოქმედისა თუ მოღვაწისა. და როცა მოვინდომე პარალელი მომეძებნა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისათვის, ჩემს თვალწინ გამოიკვეთა მონუმენტური ფიგურა გრიგოლ ხანძთელისა. იქნებ სუბიექტურია ეს! მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ შედარებას საფუძველი აქვს.

გრიგოლ ხანძთელს ბედმა თუ განგებამ მაშინვე მოუვლინა მეისტორიე. ილია ჭავჭავაძე კვლავ ელის ღირსეულ მეისტორიეს. ამას რომ ვამბობ, მე სულაც არ მინდა ჩრდილი მივაყენო რამდენიმე კარგ გამოკვლევას. მაგრამ ეს ხომ მისი დიდი ცხოვრების სრული ასახვა არ არის. თუმცა უმთავრესი ღვაწლი გრიგოლ ხანძთელისა ვერც მისმა მეისტორიემ მიჯნანიშნა. ეს მას ალბათ არც შეეძლო, ეს შორიდანა ჩანს უფრო ცხადად და გამოკვეთილად. ის-

ტორიკოსი ერთი რამით უნდა ჰგავდეს პოეტს — გაბედულებით და აღსაწერი ფაქტისა თუ მოვლენის ფართო წარმოსახვით. გრიგოლ ხანძთელს ბედმა არგუნა საფუძველი ჩაეყარა განადგურების პირას მისული სამშობლოს აღორძინებისათვის. ვინც იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებას გაეცნობა და ამ თვალთახედვით შეხედავს ხანძთელის მოღვაწეობას, ეს მისთვის აშკარა გახდება.

ხანძთელმაც, როგორც უგვირგვინო მეფემ, ხალხის სულიერი ამაღლებით იწყო აღორძინება და გაერთიანება დარღვეული ქვეყნისა — მას სხვა იარაღი არ გააჩნდა, იგი ფეხშიშველი დადიოდა სოფელ-სოფელ (ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით მტრისაგან ნაცარტუტად ქცეულ და მტრისგანვე გავრცელებული საშინელი სენით გაუკაცრიელებულ ნასოფლარებში), რათა სამხრეთ საქართველოდან მთლიანი საქართველოს აღორძინებისათვის ჩაეყარა საფუძველი.

მოგვიტევოს მისმა ნათელმა თუ ვცდებოდეთ, მაგრა ხანძთელის მოღვაწეობა უფრო ადვილიც ჩანს.

ილია ჭავჭავაძის დროს ჩვენს ხალხს უფრო დიდი საშიშროებელოდა, მისი ქვეყანა კიდევ უფრო დარღვეული და დაცემული იყო. დიდი რისკის ფასად მოპოვებული სიმშვიდე მოჩვენებითი მშვიდობა იყო — მას ხალხის სულიერი დაცემა და გადაგვარება მოჰყვებოდა. და როცა მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდიოდა, ილია ჭავჭავაძეს უფრო მეტი საფუძველი ექნებოდა სასოწარკვეთისა, ის რომ განგებით მოვლენილი არ ყოფილიყო — ღმერთთან სალაპარაკოდ და ერის წასაძღოლად...

მე, ისე როგორც ალბათ ბევრს ჩვენს თანამედროვეს, შესწავლილი მაქვს ის ეპოქა, რომელშიაც ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა და თითქოს ძნელი არ უნდა იყოს მასზე წერა. მაგრამ რამდენჯერ ამიღია კალამი ხელში, შევმკრთალვარ, ისევე როგორც შეკრთება ადამიანი, თუ იგი ღმერთზე წერას განიზრახავს. მასზე მხოლოდ უნდა ილოცო.

გრიგოლ ხანძთელის მეისტორიე ძალიან ახლო იყო თავისი შესანიშნავი მოთხრობის პერსონაჟთან და არ შეეძლო ისეთის რელიეფური მთლიანობით აღექვა ის, როგორც ამ თვალსაწიერიდან ჩვენ ვხედავთ.

განვლილი წლების გაცნობიერებას დრო და მანძილი სჭირდება, რათა პერსპექტივაში მთელის სისრულით აღიქვა წარსული მოვ-

ლენის მნიშვნელობა. ყოველი ერის ისტორიას თან ახლავს ჭრილობები, რომელთაც გაქრობა და დავიწყება არასოდეს უწერია, მაგრამ უსათუოდ უნდა მოშუშდეს, რომ მასზე დინჯად და ობიექტურად ილაპარაკო.

ილია ჭავჭავაძისათვის ბევრი ჭრილობა მიუყენებიათ, უკანასკნელი — საბედისწერო გამოდგა. ეს ჭრილობა ჯერ ისევ ღიაა, ერს ჯერაც ვერ მოუშუშებია ის...

იქნებ იმიტომაც ვერ მოხერხდა ჯერ დიდი წიგნის შექმნა, ისეთი წიგნისა, რომელიც მთელის სიღრმით და სისავსით გადაგვიშლიდა მის დიდ ცხოვრებას, მის რთულსა და მრავალფეროვან მოღვაწეობას, ამ მოღვაწეობის ეროვნულ მნიშვნელობას...

ვბედავ, გავიხსენო სამიოდე წლის წინანდელი ერთი პატარა შემთხვევა. საგურამოში გავემგზავრეთ ილიას სახლის მოსანახულებლად. თან შვილიშვილები გვახლდა. მათ შორის ყველაზე პატარა — მაშინ ოთხიოდე წლისა — პირველად მიგვყავდა. სახლი დაკეტილი დაგვიხვდა და სანამ პორიგე თანამშრომელს მოვძებნიდით, ბავშვები ეზოს მოედვნენ, ყველა კუთხე-კუნჭული მოირბინეს, როგორც პატარებს სჩვევიათ ხოლმე. მოვძებნეთ მორიგე და სახლი გავაღებინეთ. რაღა თქმა უნდა, დაგვხვდა იგივე ექსპოზიცია — იქნებ აქ ამის დრო არ იყოს, მაგრამ საკმაოდ უგემურად და უგემოვნოდ მოწყობილი. უფროსი ბავშვებისათვის უკვე ნაცნობი იყო ყველაფერი და მაშინვე მისცვივდნენ იმ თაროს, სადაც სამარცხვინო ტყვიაა გამოფენილი. ასევე მოსდის ალბათ ყველა ბავშვს, მით უმეტეს, რომ მიგნება არ გაუჭირდებათ: რატომღაც შესვლისთანავე თვალში სწორედ ის გეცემათ. ამასობაში სხვა ბავშვებიც შემოვიდნენ. გიდი გვიხსნიდა ამ საბედისწერო ტყვიის თავგადასავალს. ეტყობოდა, ყველამ იცოდა ეს, მაგრამ სულგანაბული და აშკარად შეწუხებულები, შემცბარ-შეშფოთებულები იდგნენ და ისმენდნენ. ჩვენი პატარა შვილიშვილიც იქვე იყო, მაგრამ უკვე დაღლილი და თავჩაღუნული განზე იდგა. დანარჩენი ბავშვებისაგან განსხვავებით მისი სახე არც სიბრალულს გამოხატავდა და, მით უმეტეს, არც შეშფოთებას.

მწერლის ეზოდან რომ გამოვედით, ბავშვებმა ზედაზენზე ასვლა მოგვთხოვეს და უკვე შებინდებული იყო, როცა შინისაკენ გამოვბრუნდით. ბავშვები ერთხანს გატაცებით ლაპარაკობდნენ ახალ შთაბეჭდილებებზე, მერე დაღლილობა მოერიათ და მიჩუმდ-

ნენ. საღამოს, დაძინების წინ, როცა უკვე ლოგინში აწვენდნენ, სულ პატარამ, უმცროსმა შვილიშვილმა, პირველად ამოიღო ხმა: „რომ გავიზრდები, იმ ცუდ კაცს მოვკლავ“. ესა თქვა ძალიან მშვიდად, ბავშვისთვის დამახასიათებელი შეუვალი სიმტკიცით, დიდი ფიქრის შემდეგ ძნელად მიღებულ გადაწყვეტილებას რომ ამოთქვამ.

მას მართლაც ჰქონდა სათამაშო თოფი, მაგრამ ასეთი აგრესიულობა, თანაც ასე სიმშვიდითა და სიმტკიცით გამოთქმული, ჯერ არ გამოუჩენია, და ამიტომ დედამისი გაკვირვებით ჩაეკითხა, ვის უპირებ მოკვლასო. ბავშვმა ისეთივე სიმტკიცითა და სიმშვიდით თქვა: „ვინც ის კარგი კაცი მოკლა, ჩვენ რომ ვიყავით დღეს“.

პირველი გრძნობა, რაც ამ სიტყვებმა გამოიწვია ჩემში, იყო სიხარული. და მერე — გაკვირვება. რადგან ამ ბავშვს, საგურამოდან მოკიდებული ხმა არ გაუღია, და, საერთოდ, არაფრით გამოუხატავს თავისი განწყობილება.

და ახლაღა, როცა ამ წერილს ვწერდი, მთელი სიღრმითა და სიმწვავით ვაცნობიერე, რომ ჩვენ ჯერ ვალში ვართ დიდი წინაპრის წინაშე. და იქნებ სწორედ ამ ბავშვის თაობას დააკისროს ბედმა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და ცხოვრების მთელი სიმარტლითა და სიღრმით აღნუსხვა. ეს ხომ სწორედ დათრგუნვა და მოკვლა იქნება ბოროტებისა, რამაც პატარა ბავშვი აღაშფოთა. მათი პერსპექტივა და თვალსაწიერიც ხომ უფრო გაიზრდება და მეტის თქმის საშუალება ექნებათ. ჩვენ ხომ დღეს მხოლოდ ვლოცულობთ ამ დიდ ადამიანზე. და ეს ლოცვაც, რაც განუწყვეტლივ ესმით და გულში იბეჭდავენ — მათ ძალას შემატებთ.

ისევ გრიგოლ ხანძთელთან გავლებულ პარალელს უნდა დავუბრუნდე. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო რკინისებური სიმტკიცე და ერთხელ არჩეული გზის ერთგულება, შეუპოვრობა; ორ დიდ წინაპარს რომ ვადარებ ერთმანეთს, უპირველესად მათი მოღვაწეობის საერთო პათოსს ვგულისხმობ, რამაც ერის ბედი და მომავალი განსაზღვრა.

ძნელი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ბედი ჩვენი ხალხისა იმ მრისხანე დროს, არაბთა ხანგრძლივი ბატონობის უკიდურესად მძიმე წლებში, რომ სამხრეთ საქართველოდან არ დაძრულიყო და შემდეგ მთელ ქვეყანას არ მოსდებოდა გამაცოცხლებელი სუნთქვა თავისუფლებისა და აღორძინებისა. ამის სულის ჩამდგმელი გრიგოლ ხანძთელი იყო.

ასევე ძნელი წარმოსადგენია, რა ელოდა საუკუნეობრივი ჩაგვრისა და ბრძოლებისაგან სისხლდაწრეტილ, წელში გაწყვეტილ, გადაშენების წინაშე მდგარ ჩვენს ხალხს, თუ არა სამოციანელთა გამაცოცხლებელი მოძრაობა, რომლის სულის ჩამდგმელი და მეთაური ილია ჭავჭავაძე იყო.

ორივეს — გრიგოლ ხანძთელსაც და ილია ჭავჭავაძესაც — ყმაწვილკაცობიდანვე მტკიცედ ჰქონდათ გამოკვეთილი მიზანი ცხოვრებისა და თითქოს წინასწარ ხედავდნენ გზას, რომელიც უნდა გაევლოთ; იმასაც ხედავდნენ, რომ ეკლიანი იქნებოდა ეს გზა და მაინც ამ გზას ირჩევდნენ — როცა ნერსე დიდის კარზე აღზრდილი და მრავალმხრივ განათლებული გრიგოლ ხანძთელი მტკიცედ ჩამოყალიბებული გეგმით სამხრეთ საქართველოში მიემგზავრებოდა და ღმერთს შესთხოვდა „მოეც სულსა ჩემსა სიწმინდე საღმრთოი“, ხოლო ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროსვე ცას ნაპერწკალს შესთხოვდა გულში ცეცხლის აღსაგზნებად, რათა ერისათვის ტანჯვის ცრემლი მოეწმინდა. ისინი წინასწარ ჰვრეტდნენ, რა გზა უნდა გაევლოთ, ჩვენ კი უკვე თვალსაჩინოდ ვხედავთ მათ გავლილ გზას...

რა საოცარი მსგავსებაა მათი მოღვაწეობის ხასიათისა, როცა ისინი ორიენტაციას ახალგაზრდებზე იღებენ და ჭეშმარიტი მოძღვრის გულმოდგინებით წვრთნიან რთულ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსაყვანად. მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება. ჩვენ ვიცით, როგორ გზავნის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამისიონეროდ თავის თანამოძმეებსა და მოწაფეებს გრიგოლ ხანძთელი (კიდევ უნდა გავიმეოროთ: ეს მტრისაგან დარბეულ-დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანება-აღორძინებისათვის ნიადაგის მომზადება იყო!); მაგრამ განსაკუთრებით უნდა გავიხსენოთ არსენის მომზადება და დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოყვანა. ჩვენამდე მოღწეული ძველი ცნობები ძუნწია, მაგრამ მრავლისმეტყველი. ჩვენ ვიცით, როგორ მიიყვანა ხანძთელმა მონასტერში აღსაზრდელად ჯერ კიდევ სავსებით უწლოვანი არსენი, თუმცა ამით მონასტრის წამინდელ კანონებს არღვევდა. იმიტომაც შეიქნა „დრტვინვაი“ მონასტრის ბერებს შორის, ეს იყო ერთგვარი პროტესტი. მაგრამ ხანძთელმა იცოდა, რასაც აკეთებდა, მან საგანგებოდ შეარჩია ნიჭიერი ბავშვი—იმ მისიისათვის ზრდიდა, რაც ახლო მომავალში უნდა დაეკისრებინა. შემდეგ კი მოწმე ვხდებით, რა შეუპოვარ-

ბრძოლა დასჭირდა ხანძთელს, რათა თავისივე აღზრდილი, მისივე სულისკვეთებით განმსჭვალული ახალგაზრდა კაცი ქართლის კათალიკოსად გაეყვანა, რა საოცარი იყო ის ბობოქარი კრება, სადაც გრიგოლ ხანძთელი მრისხანე ხელისუფალს გააფთრებით შეებრძოლა და გატეხა კიდეც, უკვე გადაწყვეტილი საქმე თავის სასარგებლოდ შეატრიალა და დიდი ეროვნული მიზნის მისაღწევად საეკლესიო კანონების დარღვევასაც არ მოერიდა. რა რკინის ნებისყოფა და ბრძნული წინასწარჯვრეტა გამოიჩინა ხანძთელმა... აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ არსენის დროს მოხერხდა საქართველოს ეკლესიის გაერთიანება, რაც სულ მალე ქვეყნის გაერთიანების საფუძველი გახდა. იმიტომაც ისე თავგამოდებით ქომაგობდა გრიგოლ ხანძთელი.

გარეგნულადაც კი როგორა ჰგავს ეს იმ სიტუაციებს, იმ ბრძოლებს, რაც ილია ჭავჭავაძეს გადაუხდია; როგორა ჰგავს მის რკინის სიმტკიცესა და ნებისყოფას, მის ბრძნულ შეუპოვრობას.

ფართოდ არის ცნობილი ილია ჭავჭავაძის როლი ახალგაზრდა მწერლების, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოყვანაში, და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, არც სხვა ფაქტებს ჩამოვთვლი. მინდა გავიხსენო მხოლოდ ერთი ფაქტი, რაც გარეგნულადაც კი უფრო ჰგავს იმას, რასაც ხანძთელისა და არსენის ურთიერთობაზე მოგახსენებდით.

პეტერბურგში საქმეზე დიდი ხნით ჩასული ილია ჭავჭავაძე ხვდება სრულიად ახალგაზრდა სტუდენტს ვანო მაჩაბელს. ამ შეხვედრამ ალბათ უდიდესი როლი ითამაშა ივანე მაჩაბლის სამწერლო მომავალზე, სწორედ ამ დროს ითარგმნა შექსპირის პირველი ტრაგედია. „მეფე ლირი" გახდა ის ბედნიერი დასაწყისი, რამაც არა მარტო მაჩაბლის სამწერლო ბედი, არამედ ქართული შექსპირიანის მომავალიც განსაზღვრა. ბედნიერ შემთხვევას შემოუნახავს დროქამისაგან გაყვითლებული უბრალო რვეულის ფურცლები, აწ უკვე ჩვენი ერისათვის ძვირფასი და სანუკვარი რელიკვია. თავისი უნიკალობით გამორჩეული და იქნებ ერთადერთიც. ეს ფურცლები თითქოს თვალსაჩინოდ გვიცოცხლებს სურათს: როგორ შემოსხდომიან ლამპის შუქით სუსტად განათებულ მაგიდას ორი ადამიანი — ერთი სავსებით ახალგაზრდა, ჭაბუკი და მეორე მასზე ჩვიდმეტი წლით უფროსი ვაჟკაცი, უკვე გამოცდილი მწერალი. ჩვენ ვხედავთ, როგორ გაუბედავად იწყებს ახალგაზრდა კაცი წერას და

როგორ თანდათანობით ემატება მის ხელს სიმტკიცე. ჩვენ ვხედავთ, აქა-იქ როგორ ფრთხილად და მარჯვედ ჩაუსწორებია მეორე ხელს ცალკეული სიტყვა თუ გამოთქმა... ვფურცლავთ გაყვითლებულ ფოლიანტებს და უცებ წავაწყდებით საოცრებას — ჩვენთვის უკვე ნაცნობ, აწ უკვე მტკიცედ გამოყვანილ სტრიქონებს შიგადაშიგ, სტრიქონ-სტრიქონ, ენაცვლება მეორე ხელი, რომელსაც წინა გვერდებზე მხოლოდ ცალკეული სიტყვები ჰქონდა ჩასწორებული. თითქოს საგანგებოდ იმიტომ, რომ შთამომავლობისათვის თვალსაჩინოდ გაეცოცხლებინათ, ჩვენთვის ასე სანუკვარი და სასურველი გაეხადათ ის ბედნიერი წუთები... ეს ფურცლები ბრძენი ოსტატისა და ღირსეული შეგირდის ურთიერთობას გვიშლის. დროდადრო ისინი შეისვენებენ, შექსპირის სამყაროს ცოტა ხნით მოშორდებიან და საუბრობენ საქართველოზე, აქაურ მწერლებზე. ამას იგივე ფურცლები გვეუბნება ჩვენ. თარგმნილი სტრიქონების გვერდზე უზრუნველი სილაღით მიწერილი ცალკეული სიტყვები, ჯიუტად განმეორებული „იარალი“, „იარალი“ — ამ დროს, ალტყობა, გრიგოლ ორბელიანზე ჰქონდათ საუბარი.

ჩვენ უკვე ვიცით, რა მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე ამ თარგმანს. ეს ხდება 1873 წელს. გაივლის ამის შემდეგ ოცამდე წელი. გადაწყდება უკვე სახელმოხვეჭილი მწერლის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის გამოცემა. ამ საქმეს ალექსანდრე ჯაბადარი ითავებს. და კვლავ ბედნიერ შემთხვევას კიდევ ერთი წერილი შემოუნახავს. ამ დროს უკვე მაჩაბელსა და ჭავჭავაძეს შორის ბანკის საქმეების გამო მწვავე უთანხმოებაა ჩამოვარდნილი. ბარათი ილიას ხელით არის დაწერილი. იგი თავის გამომცემელსა სთხოვს, მოელაპარაკოს მაჩაბელს და თუ ისიც თანახმა გახდება, თხზულებების კრებულში „მეფე ლირის“ თარგმანიც შეიტანონ, რა თქმა უნდა, თანამთარგმნელის მოხსენიებით. ილია ჭავჭავაძე ბოლომდე სიყვარულით იხსენებს იმ თარგმანს, და ალბათ იმ თანამშრომლობის ბედნიერ დღეებსაც. სამწუხაროდ, გამომცემლის საპასუხო წერილი არა ჩანს. არც „მეფე ლირის“ თარგმანი შესულა იმ თხზულებათა კრებულში. რა მოხდა, ძნელი დასადგენია.

ეს თარგმანი სიტყვამ მოიტანა, სულ სხვა რამის თქმა მინდოდა. პირველივე შეხვედრით ილია ჭავჭავაძე დარწმუნდა, რომ მაჩაბელი დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი იყო. სწორედ ასეთი ხალხი სჭირდებოდა იმ საქმეში, რასაც იგი ახლა საქართველოში ფართო

ფრონტითა და დიდი მასშტაბით წარმართავდა. საქართველოში დაბრუნებული მაჩაბლის უფროს ძმას, თავისივე მეგობარს, ვასილ მაჩაბელს ხშირად სწერს წერილებს და სულ იმ ახალგაზრდა კაცით არის დაინტერესებული. შორიდან ადევნებს თვალყურს, შორიდანვე ამზადებს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსაყვანად. ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდა კაცის მისწრაფებების უფრო მტკიცედ გამოკვეთასა და ჩამოყალიბებაში. აწ უკვე პარიზს გამგზავრებული ივანე მაჩაბელი პეტერბურგში უფროს ძმასა სწერს წერილებს — თავის მომავალ გეგმებს უზიარებს, თავის მოსაზრებებს აცნობს, თუ როგორ უნდა ემსახუროს სამშობლოს. და საოცარი რამ ხდება: ილია ჭავჭავაძე, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებსა და იქვე მოღვაწე სხვა თანამემამულეებთან, და რომელსაც გაუგია ახალგაზრდა მაჩაბლის უცხოეთიდან გამოგზავნილი პირადი წერილების ამბავი, თავის მეგობარს ვასო მაჩაბელს ბარათსა სწერს, ვანოს წერილები გამომიგზავნე, „ივერიაში“ დავბეჭდავო. აქვე მოვიტანოთ ილიას ეს წერილი იმის ნიმუშად, თუ როგორ შორიდან მზრუნველობს, როგორ შორიდან „ზრდის“ მომავალ საზოგადო მოღვაწეს ერის სამსახურისათვის.

„საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაბარებული „ივერია“. აბა, შენ იცი, როგორ დაგვეხმარები. იწერები, ვანოს უცხოეთში უნდა გაეუგზავნოო. თუ გიყვარდე, იმისი ადრესი მომწერე და მე თვითონ გაეუგზავნი პირდაპირ აქედამ... ვანოს წიგნების ქებას იწერები. ვიდრე ამას შენ მომწერდი, ჩვენმა ავალოემა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგვცემს. მისწერე შენად და ჩემად, მოგვეშველოს როგორმე. ჰკვიანი ბიჭია და ამასთანავე კარგის კალმის პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. სთხოვე და არამც თუ სთხოვე, შეეხვეწე ჩემმაგიერ, რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოს“.

რა საოცარი მაგალითია ოსტატის და შეგირდის ურთიერთობისა. რამდენ ხანს გრძელდება ოსტატის მზრუნველობა.

და ახლა ის ფაქტიც, რაც კიდევ უფრო გაგვახსენებს მრავალი საუკუნის წინანდელი ბრძენი ოსტატისა და ღირსეული შეგირდის ურთიერთობას.

ახალგაზრდა მაჩაბელი უცხოეთიდან ბრუნდება. ზემოთ მოყვანილი წერილიდან ჩვენ უკვე ვიცით, როგორი სასოებით ელის მას ილია ჭავჭავაძე. იგი მაშინვე გვერდში დაიყენებს ივანე მაჩაბელს, რადგან იცის მისი სულისკვეთება, სჯერა მისი და ენდობა. და ისევე როგორც ერთ დროს გრიგოლ ხანძთელს დასჭირდა შეუპოვარი ბრძოლით გაეკაფა გზა არსენისათვის, ილია ჭავჭავაძეც დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ზუსტად ანალოგიური სიტუაცია განმეორდა, ახლაც შეიქნა პროტესტის ნიშნად საზოგადოების „დრტვინვაი". ილია ჭავჭავაძეს მოუხდა, შეუპოვრად დაპირისპირებოდა გავლენიან პირებს და ერთ-ერთ საზოგადო საქმეში უკვე დამტკიცებული პირი შეეცვალა, რათა მის ადგილას ახალგაზრდა მაჩაბელი გაეყვანა, რომელსაც მეტი პერსპექტივა ჰქონდა, რომლისვანაც მეტს მოელოდა ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმეში და რომელსაც ენდობოდა. შეიქმნა მითქმა-მოთქმა. გაზეთებიც ბეჭდავდნენ აშკარად საპროტესტო წერილებს, ისეთივე გააფთრებული ბრძოლა გაიმართა, როგორც იქ, ჯავახეთის კრებაზე, რამდენიმე საუკუნის წინათ, და ხანძთელის მსგავსადვე ილია ჭავჭავაძემ რკინის სიმტკიცე და ბრძნული შეუპოვრობა გამოიჩინა.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ არ შემიძლია კიდევ ერთი ფაქტი არ გავიხსენო.

რა წინააღმდეგობას აწყდებოდა ილია ჭავჭავაძე, როგორი დაჯგუფებები იმართებოდა მის წინააღმდეგ და რა შეუწყნარებლად უკადრის ხერხებს მიმართავდნენ მისი მოწინააღმდეგეები — ანუ ეროვნული საქმის წინააღმდეგ ამხედრებული ბოროტი ადამიანები, და რა საბედისწერო ტრაგედია მოჰყვა ამას, ეს ამჟამად კარგად არის ცნობილი და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

იქნებ ასე ფართოდ არ იყოს ცნობილი, რა წინააღმდეგობას აწყდებოდა თავის ეროვნულ მოღვაწეობაში გრიგოლ ხანძთელი. და სავალალო მსგავსება ის არის, რომ ორივე მოღვაწის წინააღმდეგ შემართეს სისხლიანი ხელი.

მაშინაც, მრავალი საუკუნის წინათაც, გარეწარმა მკვლელებმა „სამი გრივი ფეტვისა და ხუთი თხის" საფასურად ჯალათი დაიქირავეს, „მაგრად მოისარი", ანუ მარჯვედ მსროლელი არამზადა, რომელიც ბუჩქებში ჩაუსაფრდა შინ დაბრუნებულ მოხუც კაცს...

აქვე მთავრდება მსგავსება სიტუაციისა. როცა შინისაკენ მშვი-

დად შიშავალი მოხუცი კაცის გასაგმირად შემართა გარეწარმა მშვილდისაკენ, იგი ხანძთელის თავზე გამოსახულმა შარავანდმა დააბრმავა და მოზიდული მშვილდი დააშვებინა. თავადვე განერისხა — შეშინებული და საქციელწამხდარი. მაშინ უფრო ახლოს იყო ღმერთი ადამიანთან და გარეწარმაც კი დაინახა ცით დაშვებული შარავანდის ბრწყინვალება.

ახალი დროის მკვლელი გარეწრები, ბუნებრივია, სამი ვრიცხვით არ დაკმაყოფილდებოდნენ. მათ დიდებას შეჰპირდნენ და ყალბი დიდებით გაოგნებულებს აღარ შეეძლოთ დაენახათ შარავანდით გაბრწყინებული შუბლი ილიასი.

ასე მეორდება ისტორია. ასე ჯიუტად ცდილობს სხვადასხვაგვარად შენიღბული ბოროტება, ლახვარი ჩასცეს სიკეთეს. ვერცხლისა და ყალბი დიდების მოლოდინით დაბრმავებულები ვეღარ ხედავენ, რომ არსება სიკეთისა გრძელია.

აქვე შეიძლებოდა დაგვემთავრებინა ეს პატარა ექსკურსი წარსულში, მაგრამ რაკი აქ მოტანილი მაგალითებით თითქოს კონტურები მოიხაზა ილია ჭავჭავაძის პორტრეტისა. ერთი ფაქტიც უნდა გავიხსენო, რომელიც რბილ ფერებს შემატებს დიდი მწერლისა და მოღვაწის მონუმენტურ პორტრეტს.

როგორც ცნობილია, 1885 წელს მეფის მთავრობამ „საზოგადოებრივად საშიში მიდრეკილების“ გამო დახურა მაჩაბლის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „დროება“. მაჩაბელს ტვირთად დააწვა რედაქციის ვალი 9.000 მანეთი. ეს მაშინ დიდი თანხა გახლდათ, რომლის გადახდა ხელმოკლე მაჩაბლისათვის თითქმის შეუძლებელი იყო. საზოგადოების მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა, შეეგროვებინათ ფული და უსამართლოდ დაჩაგრული საზოგადო მოღვაწისათვის ეს მძიმე ტვირთი მოეხსნათ. შეადგინეს კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე, თუმცა ამ დროს მას, ბანკის საქმეების გამო, უკვე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა მაჩაბელთან. შეადგინეს სიები, ვისზედაც ვალად დარჩენილი თანხა უნდა გაენაწილებინათ. მაგრამ ვეღარაფერს გახდნენ, ფულის შეგროვება ვერ მოხერხდა. ვალი მაჩაბელსავე დარჩა გადასახდელად...

გავიდა ამ ამბის შემდეგ მრავალი წელი. უკვე აღარც მაჩაბელი იყო ცოცხალი და ის ვალი და მასთან დაკავშირებული საქმეც ყველას დაავიწყდა.

და აი, ილიას გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა ერთი პარადი წერილი. ილია ცნობილ მოღვაწეს, სერგი მესხის ძმას დავით მესხსა სწერს ქუთაისში. სწორედ ეს წერილი მინდოდა გამეხსენებინა. მცირე შემოკლებით მოვიტან მას.

„ბატონო დავით, თქვენმა წერილმა მეტად უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა. ჩვენ რა გადამხდელები ვართ გაზეთის ვალისაო, რომ უთქვამთ — ვერაფერი საბუთია. მაშ, აღმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის, ჩვეყნისათვის მოღვაწეს, იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზე დამაყენებენო?.. ასე თუ ისე, სამწუხაროა ის ამბავი, რასაც თქვენ იწერებით. მაგგვარი სჯა და ლაპარაკი, რასაკვირველია, აქაც ხელს აგვიცრის, მაგრამ მაინც კიდევ ყოველს ღონისძიებას ვიხმართ, რომ აქ მაინც მოვაგროვოთ ფული. თუ ეს მოხდა, მაგალითი მაინც იქნება, რომ საზოგადოება უმწეოდ არ უშვებს უსამართლოდ დასჯილს.. გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩეს. თქვენი ილია ჭავჭავაძე.“

აქ იმდენად ის კი არ არის საინტერესო, რომ ილია ჭავჭავაძე ძალიან მონდომებულია გასაჭირში ჩავარდნილ მოღვაწეს მდგომარეობა შეუმსუბუქოს, არამედ მინაწერი — ეს წერილი ჩვენს შორის დარჩესო.

გაუმჭლავნებელ სიკეთეს ასკეცად მეტი მადლი აქვს!

1987 წ.

## კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს

იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავის ქადაგებას, რომელიც 1860 წლის 8 სექტემბერს წარმოთქვა გელათის ტაძარში, წაუმძღვარა პავლე მოციქულის სიტყვები „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“, და ამით თავისი ხანგრძლივი და რთული მოღვაწეობა განსაზღვრა, გზის დასაწყისშივე, პირველსავე დღეს. მერე იქვე განმარტა ეს ისედაც ნათელი აზრი: „...მრავალს ეცადოს... არცა ღამე მოისვენოს და არცა დღე, და ყოველი თვისი სწავ-

ლა და ღონე მოახმაროს თვისსა სამწყსოს...“ საკუთარ თავზე ამბობდა ამას მღვდელმთავარი, მაგრამ ამავე დროს ეს მოწოდებაც იყო ყველას მიმართ, ვინც თავისი ხალხის სამსახურში დგებოდა. და საგულისხმოა, რომ ეს მოწოდება გაისმა 1860 წელს. თავად მტკიცედ შეასრულა სიტყვა — ისე გალია ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა, რომ ღირსითა თუ ღამით, სიტყვითა თუ პრაქტიკული საქმიანობით თავისი დიდი სამწყსოს — თავისი ხალხის — ზნეობრივი სიწმინდისა და სულიერი ამაღლებისათვის იღვწოდა. სხვა საქმე, სხვა საზრუნავი მას არა ჰქონია. და სიცოცხლის დასასრულს კიდევ უფრო მეტის სიმტკიცითა და დამშვიდებულის სინდისით შეეძლო ეთქვა, რომ ის ტვირთი, რაც მან ოცდათხუთმეტი წლის წინათ იტვირთა, მრავალი დაბრკოლებისა და ხელისშემშლის მიუხედავად, მხნედ და პატიოსნად ატარა.

თავად, რა თქმა უნდა, არ იტყოდა ამას. ეს სხვებმა თქვეს...

„თითოეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება — ერთი დიდი სკოლაა მაღალი სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა“...

ეს ილია ჭავჭავაძე გახლავთ — ამ სიტყვებით გამოეთხოვა იგი გაბრიელ ეპისკოპოსს 1896 წლის 10 მარტს.

მაგრამ ცოტა უფრო შორიდან დავიწყოთ.

გაბრიელი — ანუ ერობაში გერასიმე ქიქოძე — დაიბადა შუა გურიის ერთ დიდ სოფელში. მის დაბადებამდე სოფელი ღვინით იყო განთქმული, და ამას სოფლის სახელწოდებაც ადასტურებს — ბახვის სახელს ღვინის ღმერთს ბახუსს უკავშირებენ. ბოლო დრომდე, — სანამ ამ სოფლის მინდვრებსა და პატარა ლამაზ გორაკებს მთლიანად ჩაის ბუჩქები დაფარავდა, — აქაურ გლეხებს გაშენებული ჰქონდათ ჩხავერი, რომლისგანაც იშვიათი ღირსების ღვინოს ამზადებდნენ. ეს ღვინო ფართოდ იყო განთქმული და, ეტყობა, გასაყიდადაც ბლომად გაჰქონდათ. ახლა ალარა მგონია ვინმეს ედეას ეს ვაზი. გადაშენდა. ვაზის სხვა ჯიშებიც ჰქონდათ და ისინიც გადაშენდნენ. ახლაც მახსოვს მტევანდიდი — ჩხავერს ჩამოგავდა, ჩხავრის გვარისა იყო, ოღონდ უფრო დიდი მტევანი ჰქონდა, და ჩხავერივით გამძლე იყო: შემოდგომა მიიწურებოდა, თოვლს ჩა-

მოყრიდა, ის კი ისევ ხეზე იყო — ცალად შერჩენილი დამჭკნარი ფოთლებიდან მაცდურად შემოგცქეროდა დანისლული ვაშლებით, უფრო მოგვიანებით იზაბელა შემოიტანეს და ამან შეაწუხა სხვა ჯიშის ვაზები. თუმცა კარგი მეურნე გლეხები ჩხავერს მაინც აყენებდნენ და სასოებით ინახავდნენ — საგანგებო შემთხვევისათვის ან ძვირფასი სტუმრისათვის. თავი მოჰქონდათ ამ ღვინით. საგულისხმოა, რომ ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა იმდროისათვის უკვე თითქმის გადაშენებული ჩხავერის მოშენება მოინდომეს, სწორედ ამ სოფელში მოიკითხეს, ჯამნიკაულ აქაური გლეხის ღვინო წაიღეს და ჩხავერის მეურნეობაც აქ გააშენეს. თუმცა მერე ამ მიწაზეც ჩაიმ გადაიარა... ერთი სიტყვით, გაბრიელის დაბადებამდე ეს სოფელი ღვინით იყო განთქმული.

დაიბადა ღარიბი მღვდლის მაქსიმე ქიქოძის ოჯახში. 1825 წელს. მღვდელს პატარა სახლი ედგა სოფლის შუაგულში. გამოხვიდოდი ეზოდან, ცოტას გაიარდიდი აღმოსავლეთის მიმართულებით და დიდ ხევს მიადგებოდი. ხევი კი დიდი იყო, მაგრამ ნაკადული, რომელიც ქვემოთ, შორს, მის ფსკერზე მიიკლაკნებოდა, პატარა გახლდათ და უცნაური სახელი ერქვა — დურღანა. ამ პატარა ნაკადულს იჭირა ამოდენა სარეცელი, ეს დიდი ხეობა. ზაფხულობით ვერც კი დაინახავდით — ველური გვიმრისა და ბუჩქების სამოსელს შემოიბურავდა, თითქოს ადამიანის თვალს ემალებაო. მიდიოდა, მიბუტბუტებდა და მისი ხმა ვერც კი აღწევდა მაღლა შემართულ კბოდემდე.

ეს ადგილი, საიდანაც ჩვენ ახლა მას დავცქერით, ალბათ ყველაზე მარჯვე და მოხერხებულია მთელს ამ დიდ სოფელში — აქედან რკალად იშლება იშვიათი სილამაზის სანახაობა.

ხევის ცოტა იქით ლაღად მოქუხს უფრო მოზრდილი მდინარე, და ბახმაროს მთების საამური სიგრილე და სიჯანსაღე მოაქვს. ეს ბახვის წყალი გახლავთ. ეს „მთის წყალია, ჩქარი, ერთთავად ქაფი ადგას პირზე. კალაპოტი და ნაპირები სავსე აქვს უშველებელი სიპი ქვებით, რომელთაც ადიდების დროს პატარა კენჭებივით მოაგორებს ხოლმე მთიდან. ამ დროს მისი გრგვინვის ხმა შორს მანძილზე ისმის თურმე და ადამიანს მისი სიმძლავრის ყურებაზე შიში იპყრობს, თავის უძლურებას მკაფიოდ გრძნობს". ამას თედო სახოკია წერდა გასული საუკუნის ბოლოს, და იქვე, სხვათა შო-

რის, ვკითხულობთ: „ბახვის წყლის ჩავარდნილი კალაპოტიდან იწყება სერები, ვაზებით შეფენილი“.

მდინარის გაღმა, აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, მომაღლო სერის ფერდობებზე, თვალს იტაცებდა დაბურულ ხეებს შორის გაფენილი წითელი კრამიტის სახურავიანი წაბლის სახლები. ეს ერთმანეთზე გადაბმული ორი პატარა სოფელი გახლდათ — მშვიდობაური და ოქროსქედი. ორივე ბახვის საზოგადოებაში შედიოდა; სამხრეთ-აღმოსავლეთით — ასევე მთის კალთებზე შეფენილი იყო თავისი სახელითაც კი ისტორიული სოფელი ასკანა. ეს სოფელიც ღვინით იყო განათქმული.

აგუნა, აგუნა, გადმეიარე,
ბახვი, ასკანა ჩამეიარე...
ჩვენს ეზოში ყურძენიო,
მტრის ეზოში ფურცელიო...

რთველში და საახალწლოდ დააგუგუნებდნენ ხოლმე ამ სიმღერას, რთველის უძველეს ღმერთს — აგუნას — ყურძნის უხვ მოსავალს შესთხოვდნენ. სამხრეთით — აჭარა-გურიის მთები, რომელსაც აქ ბახმაროს მთებს ან უფრო მოკლედ მ თ ა ს ეძახიან...

საგანგებოდ იმიტომ ვახსენე ეს მარჯვედ შერჩეული ადგილი, საიდანაც ჩვენ ახლა ამ დიდებულ სანახაობას გავყურებდით, რომ აქ, სოფლის შუაგულში ეკლესია იდგა, გუმბათით ცაში აჭრილი, იშვიათი სილამაზის მწვანე ქვით ნაგები ეკლესია ანუ ტაძარი, როგორც მას თედო სახოკია უწოდებს. სხვასაც ბევრს უქია ეს ეკლესია — მთელს გურიაში ყველაზე დიდი და ლამაზი იყო, თუ რაღა თქმა უნდა, შემოქმედის ძველ მონასტერს არ შევადარებთ. სამრეკლოზე რომ ახვიდოდით, თითქმის მთელი გურია თქვენს თვალწინ გადაიშლებოდა, და აქ დაგუგუნებული ძლიერი, მაგრამ რბილი ხმა დიდი ზარისა. ყველგან სწვდებოდა იმ სივრცეს, რასაც თქვენ ახლა თვალით გაჰყურებდით, ლამის ბახმაროს მთების დაბლა კალთებს უწევდა. ეკლესიას ქვითკირის გალავანი ერტყა და შუაში მომაღლო ბჭე ჰქონდა დატანებული. მახსოვს, უქმე დღეებში როგორ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი აქეთკენ. დიდი, ხალხმრავალი სოფელი იყო. მოდიოდნენ მეზობელი სოფლებიდანაც. მოხუცები თავიანთ ჯოხებს გალავნის კედელს მიაყრდნობდ-

ნენ, ზედ ჩაბალახებს ჩამოაცვამდნენ და პირჯვრის წერა-თ ეკლესიისკენ მიეშურებოდნენ. ჰაერში განუწყვეტლივ ისმოდა ღუღუნი — „დილა მშვიდობისა, ბატონო“, „ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს, ჩემო ბატონო“, „ღმერთს თქვენს დღეგრძელობას ვთხოვ“, „მამაზეციერმა გაცოცხლოთ და გაძლიეროთ...“ ჯერ მხოლოდ სალამი. ეკლესიიდან რომ გამოვიდოდნენ, ჩაბალახებს დაიხურავდნენ და დაიწყებოდა ტკბილი საუბარი — ერთმანეთს მოიკითხავდნენ, საუბრობდნენ მოსავალზე, რთველზე, ამინდზე... ძალიან უყვარდათ ამ დროს ერთმანეთი. თითქოს ახლაც შევყურებდე და ვისმენდე, ისე ცხადად მახსოვს. მაგრამ განსაკუთრებული სიცხადით, შემაძრწუნებელი სიცხადით, შემორჩა მეხსიერებას ერთი სურათი. ნაშუადღევია, მზე არა ჩანს, ღრუბლიანი ამინდია. სოფლის ზემოთა მხრიდან ოდნავ დამრეც გზაზე გამოჩნდა მაღალი, გამხდარი ქალი, მხარზე დიდი შალი მოუსხამს, შეჭაღარავებული თმა ცერცხლისფრად უბზინავს. სწრაფი ნაბიჯით მოდის, როცა მოახლოვდება, შეამჩნევ, რომ ფეხშიშველაა, სახეშეშლილი. ეკლესიის გალავნის კარიბჭესთან მივა, დაიჩოქებს, ხელებს მაღლა აღაპყრობს, სასოებით გამოისახავს პირჯვარს და კარიბჭეს ეამბორება. მერე მძიმედ წამოდგება, თითქოს უფრო დამშვიდდაო, და სოფლის მოედნისკენ გაემართება, სადაც ფოსტა და აღმასკომია... ესაა რის გაუგია, რომ შვილი დაუპატიმრეს, უცოლშვილო კაცი, აქაური სკოლის მასწავლებელი, მთელი სოფლის საყვარელი ადამიანი. იმ წლებს მასობრივი რეპრესიების წლებს არ უწოდებენ, მაგრამ ხალხი ბევრი წაიყვანეს სოფლებიდან და, როგორც ეს მასწავლებელი, უკან თითქმის აღარავინ დაბრუნებულა. ეს იყო ალბათ 1927 თუ 1928 წელი. ეკლესია მაშინ იქვე იდგა, ოღონდ ზარი დადუმებულიყო. ამის შემდეგ სამოციდე წელი გავიდა და ეკლესიაც გაჭრა — ეს იშვიათი სილამაზის ტაძარი, რომელიც თვალსაც ახარებდა და გულსაც...

სიტყვა გამიგრძელდა, და ახლალა მოგახსენებთ, რომ ეს ეკლესია გაბრიელის აშენებული გახლდათ. „შეწევნითა ღვთისათა გასრულდა ტაძარი ესე ჩყდ წელსა აშენებული გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსისა და სოფლის ბახვის შემწეობითა, ხოლო ხელოვნებითა ლევან და მოსე ბერეკაშვილებისა“. ეს გახლდათ წარწერა ეკლესიის მთავარი შესასვლელის კარის ზემოთ.

ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე იყო და 1867 წლის 8(21) სექტემბერს, სწორედ ღვთისმშობლობა დღეს, გაბრიელმა თავად აკურთხა იგი და ქადაგებით მიმართა ხალხს. ეს ქადაგებაც შესულია გაბრიელის ქადაგებათა ორტომეულში. კერძოდ, მან გაიხსენა მაცხოვრის სიტყვები თავის მოწაფეთა მიმართ:

„ამით სცნან ყოველთა, რამეთუ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკეთუ იყვარებდით ურთიერთას".

„აჰა, ქრისტიანობის ნიშანი"! — განაგრძო შემდეგ მღვდელმთავარმა, — რომელს ქვეყანაშიაც არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა, იქ უნდა იყოს სიყვარული, ერთობა, ერთგულება".

და მოუწოდა ურთიერთსიყვარულისაკენ, განათლებისაკენ...

ეკლესიის გალავნის გადაღმა, იქვე, ორიოდ ნაბიჯზე სკოლა იყო — ესეც გაბრიელის დაარსებული. ჯერ პირველდაწყებითი სოფლის სკოლა, რომელიც შემდეგ მისივე თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით, ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. სკოლა იყო ეს სკოლა — ქვითკირით მტკიცედ ნაგები ორსართულიანი კოხტა შენობა — დიდი, ნათელი საკლასო ოთახები. ვრცელ კედლებზე დიდრონი რუკები იყო გამოსახული: ბავშვი სულ უკანა მერხიდანაც გაარჩევდა მდინარეებს, სოფლებისა თუ ქალაქების სახელებს. ქვემო სართულიდან ხის ფართო კიბით მეორე სართულზე ახვიდოდი. აქ იყო სამასწავლებლო და კიდევ რამდენიმე საკლასო ოთახი, სკოლის ბიბლიოთეკა... მაგრამ ყველაზე საინტერესო და საგულისხმო სკოლის ეზო გახლდათ. — სხვათა შორის, ეს მიწა, სადაც შემდეგ სკოლა აიგო და ეზო გაშენდა, გაბრიელმა თავისი ფულით შეიძინა. — ეზო ვრცელი იყო, აღმოსავლეთით იგი ესაზღვრებოდა იმავე ხევს, რასაც ეკლესია, სამხრეთით კი ოდნავ დამრეცი ვრცელი ფერდობი ეკრა. თავად ეზო მომაღლო ბორცვსავით დაჰყურებდა ფერდობს. ამ ვრცელ ფერდობზე გაშენებული იყო ხეხილის ბაღი, სადაც ყველა ჯიშის ხილს შეხვდებოდით, რაც კი ამ კუთხეში ხარობს. ბაღი მოსწავლეთა ხელით იყო გაშენებული და თავადვე უვლიდნენ. აქვე ედგათ რამდენიმე ოჯახი ფუტკარი. ბავშვები, სასწავლო პროგრამის პარალელურად, სწავლობდნენ მეფუტკრეობას, ხილის ბაღის მოვლას, დამყნობას, ვაზის მოვლა-მოშენებას. ფერდობი ტერასებად ჰქონდათ დაყოფილი და ისე მოვლილი და დასუფთავებული, როგორც კარგი დიასახლისი თავის

საკუთარ სახლს დაალაგებს. იმ ვრცელი ეზოს ერთი დიდი ნაწილი, სწორედ ის მხარე, რომელიც ფერდობზე გაშენებული ხეხილის ბაღს ეკვროდა, დეკორატიული ბაღისთვის იყო განკუთვნილი. აქ ბავშვების ხელითვე, მათივე დაუცხრომელი მზრუნველობით. გაეშენებინათ მრავალგვარი დეკორატიული მცენარე, დაერგოთ ნაძვები, მოეწყოთ სხვადასხვა ზომის ფანჩატურები, გაზონები. საკმაოდ ვრცელი ბაღი გახლდათ. როცა ხეები და ბუჩქები წამოიზარდნენ, ზოგჯერ, კარგ ამინდში, გაკვეთილებსაც კი ატარებდნენ აქ. მეორე ნაწილი ეზოსი, რომელიც ეკლესიის გალავანს ეკვროდა, ბაღჩა-ბოსტნისთვის იყო, და აქ უმთავრესად გოგონები საქმიანობდნენ— ეჩვეოდნენ ყოველგვარი ბოსტნეულის მოვლა-მოყვანას. უფრო მძიმე სამუშაოში — ბარვასა თუ გამარგვლა-გათოხვნაში, რაღა თქმა უნდა, ბიჭები ეხმარებოდნენ. ბარემ აქვე შევნიშნოთ, რომ ფერდობზე საგულდაგულოდ გაშენებული ბაღიცა და საფუტკრეც ეკლესიის დანგრევამდე გავერანდა. აღარც ბოსტნის მოვლა გახსენებია ვისმე. აქვე ერთ კუთხეში საყინულე იყო: ამოეთხარათ ვეება ორმო, ძალიან ღრმა და ფართო,—თუ მეტი არა, ათი მეტრის დიამეტრისა მაინც — იგი სქელი ისლით იყო დაბურული და ვიწრო ჩასასვლელი ჰქონდა, ისიც ისლით დახურული. ზამთრობით, როცა თოვლს დადებდა, გამოიყვანდნენ ხოლმე მოწაფეებს და ორმოს თოვლით გაავსებდნენ. ძალიან სახალისო იყო ეს საქმე, იდგა ერთი ჟრიამული. თოვლი თითქმის ზაფხულის მიწურულამდე არა ლნებოდა აქ, და მთელი სოფელი უსასყიდლოდ სარგებლობდა. რა თქმა უნდა, ავადმყოფებისათვის. მაშინ ხომ ყინულს ვერ ამზადებდნენ და ამ შენახული თოვლითაც იოლას გადიოდნენ...

თაობები უვლიდნენ ხოლმე ამ ბაღსა და ეზოს, პირველად ჩარგული ნერგების გამხარებელთა შვილები, შვილიშვილები; ახლებდნენ, ახალისებდნენ.

ეს არ ყოფილა სპეციალური სამეურნეო სკოლა, სოფლის სახალხო სკოლა იყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ბავშვები სასწავლო საგნებთან ერთად, შრომას ეჩვეოდნენ. ეჩვეოდნენ და იყვარებდნენ. მას შემდეგ უკვე სოფელში გახშირდა ხილის ბაღები, ფუტკარი... სკოლაში მიღებულ ცოდნას ყმაწვილები საკუთარ ოჯახებში იყენებდნენ—რგავდნენ, აშენებდნენ, სადმე კარგი ჯიშის ხეს რომ ნახავდნენ, უსათუოდ წამოიღებდნენ და თავის ეზოში დაამყნიდნენ. ცოტა-ცოტა მაინც იცოდნენ ყოველგვარი ხელო-

ბა—დურგლობა იქნება, კალატოზობა თუ სხვა,—რაც ცხოვრებაში ადამიანს გამოადგება.

ეს სულ გაბრიელ ეპისკოპოსის წყალობით!

რა კარგი იქნებოდა, ასევე მიჰყოლოდნენ ამ მარტივ, ბრძნულად მარტივ მეთოდს სწავლისა, და უხეიროდ შეკოწიწებული ექსპერიმენტებით სულ არ აერ-დაერიათ ჩვენი სკოლა.

სკოლას წინ პატარა მდინარე ჩამოუდიოდა — რომელიც მთელ სოფელზე გაივლიდა და შორს, მეზობელი სოფლის ბოლოს სხვა მდინარეს ერთვოდა. სინამდვილეში ეს მდინარე არ ყოფილა, არხი გახლდათ, და თანდათანობით, წლების განმავლობაში, მდინარის კალაპოტს დაემსგავსა.

ესეც გაბრიელის წყალობა გახლდათ.

ისედაც მწირმიწიანი სოფელი უწყლო იყო და გაბრიელის თაოსნობით, მისივე ფულით, ბახმაროს მთების კალთებში გამომდინარე დიდი მდინარიდან არხი გამოიყვანეს. ეს არხი სერავდა რამდენიმე სოფელს და წყლით ანაყოფიერებდა მწირ მიწას. მაშინვე გაჩნდა ამ სოფლებში წისქვილები (ადრე შორს მიჰქონდათ საფქვავი), ღომის საცეხვი ჩამურები, და ამან კიდევ უფრო გააცოცხლა და გაახალისა აქაურობა. ერთი სიტყვით, ეს სამი მაცოცხლებელი წყარო იმდროინდელი სოფლისა — ეკლესია, სკოლა და მდინარე— ამავე სოფლის სასიქადულო შვილის გაბრიელის საჩუქარი იყო. მაგრამ არ იფიქროთ, მარტო თავისი სოფლისთვის ეზრუნოს. თავის დიდ სამწყსოში მან საკუთარი სახსრებით ბევრი სასოფლო სკოლა გახსნა, მისივე თაოსნობით დაარსდა ქუთაისის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და სასულიერო სემინარია.

მაგრამ ზემოთ აღწერილ სკოლას უნდა დავუბრუნდეთ, სადაც ასე კეთილად იყო შერწყმული სწავლაცა და შრომაც. ეს მისი იდეალი იყო, უფრო მარჯვედ რომ ვთქვათ, მისი ცხოვრების წესი იყო. თავადაც მისდევდა ამ წესს და სხვასაც მოუწოდებდა. შრომა არის წყარო და საწყისი ყოველგვარი სიკეთისა და ბედნიერებისა, ღაღადებდა იგი თავის ქადაგებებში. ილია ჭავჭავაძე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში გაიხსენებს გაბრიელის ერთ ქადაგებას, რომელიც სწორედ შრომის ჰიმნს წარმოადგენს და დასძენს: „საკმაოა ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი სიტყვა მღვდელმთავრის ბაგეთაგან წარმოთქმული, რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულიერი ახოვნება და სიბრძნე მისი... ბევრი რამ არის ნათქვამი შრო-

მისა და გარჯის გაპატიოსნებისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა-ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბაგითაც თითონ ღმერთი მეტყველებს“.

რაკი სკოლაში სწავლისა და შრომის ჰარმონიულ შერწყმაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მრწამსი გახლდათ გაბრიელის როგორც პედაგოგისა. როცა იგი, ჯერ ისევ სავსებით ახალგაზრდა კაცი, 1849 წელს, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად განაწესეს, მან მისვლისთანავე დაგმო არსებული სწავლების წესი სემინარიაში და თავისი შემოიღო. და აქ კი იაკობ გოგებაშვილის სიტყვები უნდა მოვიტანო: „შეუდგა თუ არა ინსპექტორის თანამდებობის შესრულებას, მან გააუქმა დისციპლინის ყველა წვრილმანი წესი... კეთილი, ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად ის თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შეხაცვლებას. ამ წესს ის თვითონაც მკაცრად იცავდა... მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ ინსპექტორს და თვითონაც ხშირად ჭრიდნენ შეშას, მონაწილეობდნენ სამეურნეო სამუშაოებში და ამით უმსუბუქებდნენ მსახურთ ფიზიკურ შრომას“.

სემინარიაში მკაცრი რეჟიმი იყო შემოღებული, საპყრობილეს ჰგავდა. ეს ჩვენი ძველი მოღვაწეების არა ერთი მოგონებიდან ვიცით. ბავშვებს აჩვევდნენ დაბეზღებას, სიცრუეს, მცონარობას. მოსწავლეებს ეზიზღებოდათ თავიანთი მასწავლებლებიც და ხშირად ერთმანეთიც. სულ სხვაგვარად წარიმართა სემინარიის ცხოვრება იმ წლებში, როცა იქ გაბრიელი — გერასიმე ქიქოძე — მოღვაწეობდა. თუ მანამდე ბავშვებს თამაშობაც კი აკრძალული ჰქონდათ და მას „გარდუვალ ბოროტებად“ თვლიდნენ, ახალმა ინსპექტორმა თამაშობა შემოიღო, როგორც „აუცილებელი სასარგებლო მეცადინეობა არა მარტო სხეულისათვის, არამედ სულისთვისაც“. და ისევ იაკობ გოგებაშვილის სიტყვები უნდა მოვიყვანო: „ყოველდღე, ნასადილევს, რამდენიმე საათის განმავლობაში სემინარიის ეზო წარმოადგენდა ფრიად მრავალგვაროვან, მაგრამ სავსებით წესიერ თამაშობათა ასპარეზს და ჰაერში გაისმოდა მოთამაშე ბავშვთა თავისუფალი წკრიალა ხმები. ინსპექტორი ამ დროს ან შეშას აპობდა მოთამაშეთა ახლოს, ანდა აივნიდან უყურებდა ბავშვებს, აქებ-

და იმათ, ვინც თამაშობაში უფრო მეტ მოხერხებულობას და ღირსებას იჩენდა... ამის შემდეგ აშკარად შემცირდა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი, რაც ასე გავრცელებული იყო დახურულ სასწავლებლებში; შეიცირდა აგრეთვე დაავადებათა რიცხვი, ბავშვები უფრო ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ; ძლიერ ამაღლდა მოსწავლეთა წარმატება".

ბავშვთა აკადემიური წარმატების ერთი ძირითადი პირობა ის იყო, რომ ახალმა ინსპექტორმა სწავლების ძველი სისტემა უარყო, ბავშვებს აუკრძალა მაშინდელ სკოლებში გამეფებული უაზრო ზუთხვა გაკვეთილებისა. ამიტომ თავის საგნებში ბავშვებს სახელმძღვანელოების ყიდვასაც კი უშლიდა. სხვაგვარად ვერ მოახერხებდა უკვე მყარად დამკვიდრებული წესის ამოკვეთას — კონსპექტის ჩაწერასაც უკრძალავდა მოსწავლეებს. იგი აუხსნიდა გაკვეთილს ძალიან სადად და გასაგებად, ყოველგვარი „ზედმეტი სიტყვების და გამოთქმების გარეშე", მერე ბავშვს გაამეორებინებდა — ჯერ კარგ მოსწავლეებს, მერე უფრო სუსტებს. მართალია, ამას დრო მიჰქონდა, იძულებული იყო პროგრამა შეეკუმშა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბავშვები კარგად და შეგნებულად ითვისებდნენ საგანს და ამახსოვრდებოდათ. ამ მეთოდმა დიდი გავლენა მოახდინა ყურადღების აღზრდაზე, რაც სკოლის უპირველესი და უმთავრესი ამოცანააო, გოგებაშვილი წერს. ყველაფერმა ამან სასურველი შედეგი გამოიღო. „წინა წლებში აღსაზრდელები ხანდახან აჯანყებოდნენ ხოლმე, უწესობას სჩადიოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ არა მარტო მოსწავლეებს, არამედ უფროსებსაც კი. ასე მაგალითად, სცემეს ინსპექტორ ათანასეს, რომელიც შემდეგ რუსეთში გადაიყვანეს. ინსპექტორ ქიქოძის დროს ახალი წესრიგის დამყარების შედეგად კი სემინარიაში ეს უწესობანი სავსებით შეწყდა და კვლავ განახლდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან დასტოვა ინსპექტორის პოსტი".

ხუთიოდე წელი იყო ინსპექტორად. მის ბუნებას, ეტყობა, არ ეგუებოდა ადმინისტრაციული სამუშაო, და ითხოვა, გაეთავისუფლებინათ ამ თანამდებობიდან. მხოლოდ გაკვეთილები დაიტოვა სემინარიაში და თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში. საგულისხმოა, რომ საღვთო სჯულის გარდა, იგი ასწავლიდა მათემატიკას და ფიზიკას. ფიზიკის საგანი სწორედ მის დროს შემოიღეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. და მან სპეციალური ფიზიკის

კაბინეტიც მოაწყო. მათემატიკა განსაკუთრებით უყვარდა და მოგვიანებით, როცა იმერეთში მოღვაწეობდა, ყოველ წელიწადს სავანგებოდ მივიდოდა ხოლმე სასულიერო სასწავლებელში, მათემატიკის გამოცდებს ესწრებოდა, სხვებს არც კი დაანებებდა ბავშვების გამოკითხვას, თავად გამოკითხავდა და ამ დროს ძალიანაც ხალისიანი იყოო, მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ.

თბილისის სემინარიაში მოღვაწეობის დროსვე, პარალელურად ღვი მუშაობს სამეცნიერო შრომაზე. ეს იყო ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი მის ბიოგრაფიაში. საგულისხმოა, რომ ფილოსოფია მას სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს შეაყვარა მიხეილ ბატონიშვილმა, გიორგი მეთორმეტის შვილმა, რომელიც იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა: „ამ მეცნიერი ბატონიშვილის ნათელმა მსჯელობამ — წერდა შემდეგ მღვდელმთავარი თავის მოგონებაში — მეც უფრო ნათლად და გარკვევით შემაგნებინა ეს საგანი და წამახალისა, შემესწავლა რიგიანად და შეგნებით და არა ისე უაზროდ, უსულგულოდ და მშრალად, როგორც გვასწავლიდა ჩვენი აკადემიის მაშინდელი პროფესორი“.

და აი, 1858 წელს პეტერბურგში, რუსულ ენაზე გამოქვეყნდა გერასიმე ქიქოძის წიგნი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“; როგორც ითქვა, ქართველი მეცნიერის ნაშრომმა მაშინვე მიიპყრო როგორც სამეცნიერო წრეების, ასევე ფართო საზოგადოების ყურადღება, და ერთბაშად პოპულარობა მოუტანა ავტორს. მას გამოეხმაურა ჟურნალი „სოვრემენნიკი“, და ყველას გასაკვირად, ნ. დობროლუბოვმა ამ ჟურნალის ფურცლებზე მაღალი შეფასება მისცა გერასიმე ქიქოძის წიგნს, ფსიქოლოგიის სხვა სახელმძღვანელოთა შორის სწორედ მას მიანიჭა უპირატესობა; მართლაც, ეს წიგნი დიდხანს იყო რეკომენდებული რუსეთის სემინარიებში, როგორც ყველაზე კარგი სახელმძღვანელო — დაწერილი მეცნიერული სიღრმით და სასურველი უბრალოებით. სწორედ სტილის ეს სისადავე და სინათლე ხდიდა მას მიმზიდველს, განასხვავებდა ამავე საგანზე დაწერილ სხვა სახელმძღვანელოებისაგან. როგორც ჩვენი მკვლევარები აღნიშნავდნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორი იდეალიზმის პოზიციებზე დგას, მაგრამ არ უარყოფს ობიექტური სამყაროს რეალობას.

„სოვრემენიკის“ ასეთი დადებითი გამოხმაურებაც იმიტომ იყო გასაკვირი: ეს ჟურნალი ხომ მატერიალისტურ პოზიციებზე იდგა

და სწორედ ამის წინ მკაცრად, როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს, შეურაცხმყოფლადაც კი გაილაშქრა ზოგიერთი ავტორის იდეალისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ. ხალხი გაკვირვებული იყო ამ წიგნისადმი „სოვრემენიკის“ პოზიციით. და ამის ახსნას იქვე გვაძლევს იაკობ გოგებაშვილი. საქმე ის არის, რომ ქიქოძის ნაშრომში დობროლუბოვმა „დაინახა არა შაბლონურობა, არამედ სრული დამაჯერებლობა და გულწრფელობა, უმწიკვლო მეცნიერული კეთილსინდისიერება, აზროვნების ხერხთა თავისებურება, გადმოცემის კლასიკური სიმარტივე, საფუძვლიანი ცოდნა ფიზიოლოგიისა, რომლის მონაცემებს ავტორი საფუძვლად უდებდა თავის ფსიქოლოგიურ დასკვნებს“.

გერასიმე ქიქოძის წიგნი რომ გამოვიდა, იაკობ გოგებაშვილი მაშინ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა და მოწმე გახდა როგორი აღფრთოვანებით შეხვდნენ იქაური გამოჩენილი მეცნიერები წიგნს და რა ინტერესი გამოიჩინეს მისი ავტორის მიმართ. საგანგებოდ მომძებნეს, როგორც იქ მყოფი ერთადერთი ქართველი და მთხოვეს დაწვრილებით მეამბნა, რაც კი ვიცოდი გერასიმე ქიქოძის შესახებო.

ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა გერასიმე ქიქოძის შემდგომი მოღვაწეობა, რომ სწორედ ამ წიგნზე მუშაობის დროს თავს არ დასტყდომოდა დიდი უბედურება: ორიოდე წლის განმავლობაში მას მოუკვდა ხუთი შვილი და ცოლი.

რა სულიერი სიმხნე უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ეს საშინელი ტრაგედია გადაეტანა!

ამ უბედურებაში მან განგების ხელი დაინახა — ამან თითქოს მიანიშნა, რომ დარჩენილი სიცოცხლის დღეები მთლიანად ღვთის სამსახურისათვის შეეწირა, და ახალგაზრდა მღვდელი ბერად აღიკვეცა. 1856 წლის 31 ივლისს სიონის ტაძარში იგი მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს. სწორედ ამ დროს მიიღო სახელი გაბრიელი. რა სულიერი ძღელვარება უძღოდა წინ ამ გადაწყვეტილების მიღებას და საერთოდ როგორ იძოქმედა ახალგაზრდა კაცზე ამ გამანადგურებელმა უბედურებამ, ადვილი წარმოსადგენია და თუმცა მისი ბიოგრაფები დაწვრილებით მოგვითხრობენ, ჩვენ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ბერად აღკვეცის შემდეგ იგი ცოტა ხნით გარეჯის მონასტერში გაამწესეს წინამძღვრად მერე, ორიოდე

წლით, გორის ეპისკოპოსიც იყო. 1860 წელს გადაიყვანეს იმერეთის ეპისკოპოსად. ამ დროიდან იწყება მისი დიდი და დაუცხრომელი მოღვაწეობა.

•

ჩვენ უკვე ვახსენეთ ქადაგება გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომელიც მან გელათის ტაძარში წარმოთქვა. გავიხსენეთ ერთი ადგილი ამ ქადაგებიდან: „...არცა ღამე მოისვენოს და არცა დღე, და ყოველი თვისი სწავლა და ღონე მოახმაროს თვისსა სამწყსოს...“

უნებურად გაგონდება სტრიქონები კარგად ნაცნობი და ყველასათვის საყვარელი ლექსიდან — „შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული, ღამე თენდება ესრეთ ჩემი და დღე ღამდება“.

ქადაგებაც და ლექსიც თითქმის ერთი ხნისანი არიან — ერთი 1860 წლით არის დათარიღებული, მეორე 1861 წლით. ორივე დამოუკიდებლად შეიქმნა, და მაინც ასე საოცრად ემთხვევა ერთმანეთს.

არა, აქ გავლენა არ არის. აქ საერთო განწყობილება თუ სულისკვეთებაა ერის ღირსეული შვილებისა, რომელთაც ხალხის სამსახური გაუხდიათ უმაღლეს და უკეთილშობილეს მიზნად. ათასი ჯურის დამპყრობლებთან მრავალსაუკუნოვანი ბრძოლების შემდეგ, ქვეყანამ ცოტა მოისვენა, ჭრილობები მოიშუშა, მშვიდობა მოიპოვა... მაგრამ შეიძლებოდა ძვირი დამჯდარიყო ეს მშვიდობა, თუ იგი უმოქმედებად გადაიქცეოდა. ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, მცირერიცხოვანი ხალხისათვის საკუთარი ენა დაევიწყებინა, მისი კულტურა გაეუფასურებინა. ასეთ ვითარებაში — და საერთოდ არავითარ ვითარებაში — არ შეიძლებოდა მშვიდობა—დამშვიდებასთან, თვითდინებით სვლასთან გაეიგივებინათ. საჭირო იყო თვითშეგნების ამაღლება, ძველი დიდი კულტურის აღორძინება, ხალხში განათლების შეტანა. მხოლოდ ამით შეეძლო მას დაპირისპირებოდა ყოველგვარ დიდმპყრობლურ ზრახვებს. უმოქმედო მშვიდობა — უბრძოლველად დამარცხებას უდრიდა. არა-და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, მის მაღალ ფენებში, აშკარად შეიქმნა ასეთი განწყობილება. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ამ წრის ერთი წარმომადგენელი შეეცდე-

ბა „თეორიულად დაასაბუთოს“ „მცირე ერების“ მრავალრიცხოვან ერებთან შერწყმის კანონზომიერება, „მცირე ხალხის ენის განქარვების“ გარდაუვალობა. ეს იყო უბრძოლველად ფარ-ხმალის დაყრა მოწოდება სრული უმოქმედობისა და მოჩვენებითი მშვიდობისკენ, რაც მშვიდობას სრულებითაც არ ნიშნავდა. და თუმცა ზემოხსენებულმა წარჩინებულმა პირმა თავისი „თეორია“ უფრო მოგვიანებით, 1872 წელს წამოაყენა, ასეთი სულისკვეთება იმ წრის ხალხში ადრევე ჩაისახა. უძრაობა და უმოქმედობა უწყობდა ხელს მის გაღვივებას. და სწორედ ამ დროს შემოჰკრეს ზარი ერის უკანასკნელმა შვილებმა. „ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ ჩვეული გაუტეხელი სიმკაცრით გაისმა ილიას ხმა. „საქართველო ეხლა ცოტად თუ ბევრად დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რაც უნდა მოჰყოლოდა“, — წერდა იგი ერთ წერილში და ამის მიზეზად თვითდინებით სვლას, სრულ უმოქმედობას ასახელებდა.

აქვე გავიხსენოთ გაბრიელის ერთი ქადაგება, სადაც იგი, კერძოდ, ამბობს: „ნუ ჰგონებ შენ, ძმაო, რომ მშვიდობა ნიშნავს რომელსამე დაძინებას, ან განსვენებასა, ანუ სულიერ უძრაობასა და უგრძნობლობასა... პირიქით, მშვიდობა არის სულიერი ძალი და მოქმედება“.

ისევ საოცარი დამთხვევა აზრისა.

როგორც ითქვა, ეს იყო საერთო სულისკვეთება ერის ღირსეული შვილებისა, რომელთაც მტკიცედ გადაეწყვიტათ, მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურისათვის მიეძღვნათ, ძალ-ღონე არ დაეშურებინათ, დღე და ღამე გაესწორებინათ ხალხის თვითშეგნების ამაღლებისათვის, ძველი დიდი კულტურის აღორძინებისათვის, დამპყრობთაგან თავს მოხვეული მავნე და ჩვენი ტრადიციებისათვის მიუღებელი ჩვევებისაგან განთავისუფლებისათვის, სულიერი განწმენდისა და ზნეობრივი ამაღლებისათვის.

და თავის სამწყსოში ჩასულმა ახალგაზრდა მღვდელმთავარმა მტკიცედ, თუმცა არა პრეტენზიულად და არა ფუჭი თავმოწონებით განაცხადა — „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“.

ოცდათხუთმეტი წელი იღვაწა გაბრიელმა, როგორც იმერეთის ეპისკოპოსმა. ეს იყო წლები დაუცხრომელი საქმიანობისა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი სოფელი თავის ვრცელ სამწყსოში, რამდენჯერმე ფეხით არ მოევლოს, იმ სოფლების მცხოვრებთ არ შეხვედროდეს, მათი ჭირ-ვარამი არ გაეგოს, რითიმე არ დახმარებოდეს მათ. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სვანეთის, რაჭის და ზემო იმერეთის ბევრი სოფელი მიუვალ მთებში იყო და ზოგან ცხენითაც კი ჭირდა მისვლა, ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი იქნებოდა ეს მოგზაურობანი. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრეც კი, უკვე მოხუცმა და მძიმე ავადმყოფმა, კიდევ ერთხელ მოიარა რაჭის სოფლები.

ჩვეულებადა ჰქონდა, დღიურებს წერდა ხოლმე, ძთავარ ფაქტებს აღნუსხავდა, რაც იმ დღეს ენახა ან თავს გადახდომოდა. ამ უკანასკნელი მოგზაურობის ჩანაწერები კარგად ავიჩვენებენ მისი მუშაობის დაუცხრომელ რიტმსაც და თვითონ მის ხასიათსაც. სხვათა შორის, გაბრიელის ბიოგრაფს მ. ჯალაბაძეს თავის წიგნში იმათი მოგონებანიც აქვს მოტანილი, ვინც ამ მოგზაურობაში ხლებია მოხუც მღვდელმთავარს; და ძალიან საინტერესოა — ზოგჯერ ღიმილის მომგვრელიც — დღიურის მოკლე ჩანაწერებისა და იმ მოგონებათა შეპირისპირება. ღიმილის მომგვრელი იმ თვალსაზრისით, რომ მხლებლებსა ჰგონიათ, მღვდელმთავარი ქალაქიდან გამოვიტყუეთ, ყოველდღიურ საქმიანობას დროებით მოვაშორეთ, რათა ცოტა დაისვენოს მთის ჰაერზე, გაერთოს, გული გადააყოლოსო (სხვათა შორის, ექიმებმაც ასე ურჩიეს); მღვდელმთავარს კი თავისი საშური საქმე აქვს — მთელი ზამთარი იავადმყოფა და აქეთ კარგა ხანია არ ყოფილა, სამწყსო უნდა მოიაროს, ეკლესიები და სკოლები მოინახულოს, ხალხს შეხვდეს, იქადაგოს... იგი იქნებ ხვდება კიდეც მხლებლების კეთილ ეშმაკობას, მაგრამ არ იმჩნევს...

და, აი, 1895 წლის 12 მაისს დილაადრიან გაემგზავრნენ — გეზი სოფელ ხვანჭკარისაკენ აიღეს.

მხლებლებს უნდოდათ, გზაში სადმე შეჩერებულიყვნენ, ღამე გაეთიათ. ძნელი იყო ამოდენა მანძილის გავლა, დამქანცველი გზა იყო. ეშინოდათ, ძალიან არ დაიღალოსო. მაგრამ გაბრიელმა არ

ინება — გზას ვადგივართ და ბარემ ჩავიდეთ, ნუღარსად შევჩერდებითო.

როგორც იქნა, ეტლმა ხვანჭკარამდე ჩააღწია.

ამასვე ვკითხულობთ დღიურში:

ქუთაისიდან 12 მაისს ადრიანად გამოსულებმა 88 ვერსი გამოვიარეთ და ხვანჭკარაში მოვედით.

აქ ნაცნობი მასპინძელი ჰყავდა — ყოველ ჩამოსვლაზე ღამეს მის სახლში ათევდა ხოლმე. მხლებლებმა წინასწარ გააფრთხილეს მასპინძელი, რათა რამე ეღონა და დიდხანს გაეჩერებინა აქ. მასპინძელიც ამაზე სასურველ სტუმარს ვის ინატრებდა. იმ ღამეს ივახშმეს (ასე ითქმის, თორემ გაბრიელი ვახშამს არ მიირთმევდა — ცარიელა ჩაის თუ დალევდა — უყვარდა ჩაი და თვითონვე გამოჰყავდა ხოლმე), და მერე დაძინებამდე მასპინძელმა ტკბილი მუსაიფით შეიქცია ძვირფასი სტუმარი, თან გულში ხვალის და მომდევნო დღეების გეგმებს აწყობდა. მაგრამ, ინათლა თუ არა, სტუმარი წასასვლელად მოემზადა — სოფელ წესში მიმეჩქარება, ეკლესია უნდა ვაკურთხოო. შეწუხდნენ მხლებლებიცა და მასპინძლებიც, შეეხვეწნენ — ეს ერთი დღე მაინც დარჩით, დაისვენეთო. მაგრამ თავადვე იცოდნენ, რომ ხვეწნას აზრი არა ჰქონდა, კარგად იცნობდნენ თავიანთ მღვდელმთავარს — მისი გატეხა შეუძლებელი იყო.

და გაბრიელის დღიურში ვკითხულობთ:

13 მაისს ხვანჭკარიდან გავედი, 17 ვერსი გავიარე და სოფელ წესში მოვედი. 14 მაისს ვაკურთხე თლილი ქვით ნაგები ეკლესია, ვწირე და ვიქადაგე; იმავე დღეს სოფელ სორში მოვედი, რომელიც წესიდან რვა ვერსზეა. აქ სამრევლო სკოლა დავათვალიერე, ოთხმოცამდე მოსწავლე გამოვცადე და ჯვრები და წიგნები დავურიგე, დავათვალიერე ახალშეკეთებული ეკლესია.

სკოლის დათვალიერების ამბავს მისი მხლებლები უფრო დაწვრილებით გადმოგვცემენ:

მღვდელმთავარი ძალიან გაახარა ბავშვებთან შეხვედრამ — შუაში ჩაუჯდა მოსწავლეებს და ჩვეული ღიმილითა და ალერსით დაუწყო გამოკითხვა, მერე ბავშვებიცა და მათი მასწავლებელიც დაჰყილდოვა. ამაზე მღვდელმთავარი არაფერს წერს — ის მშრალად აღნუსხავს ფაქტებს.

და ისევ დღიური (ეს დღიურები რუსულადაა დაწერილი, აქ შემოკლებული თარგმანი მომაქვს):

იმავე დღეს ონში მოვედი — 12 ვერსი გზა გამოვიარე; 16 მაისს ვწირე და ვიქადაგე წმ. გიორგის ეკლესიაში; 17 მაისს სკოლა დავათვალიერე.

მხლებლები იგონებენ:

იმდენად გატაცებული იყო ჩვენი მღვდელმთავარი ხალხის განათლებით, რომ თუ სკოლას არ მოინახულებდა და ბავშვებს ჩვეული აღტაცებით არ გამოცდიდა, ისე როგორ წავიდოდა იქიდან; დარჩა ღამე ონში და როგორც კი გათენდა, პირდაპირ სკოლაში მიბრძანდა, ბავშვები გამოსცადა, საჩუქრები დაურიგა მათაც და მასწავლებელსაც. იქიდან იმავე დღეს საკაოში გაემგზავრა.

და ისევ დღიური:

სოფელი საკაო 8 ვერსითაა დაშორებული ონს. საკაოში დავათვალიერე ადგილი, სადაც ეკლესია უნდა ააშენონ, კარგი ადგილია, რომეწონა. 18 მაისს აქვე, წმ. გიორგის ეკლესიაში ვწირე...

მხლებლები, ჩვეულებრივ, უფრო გავრცობილად გადმოგვცემენ ამ ამბავს:

ჩამოვედით საკაოში. აქ შესანიშნავი ჰავაა და ავადმყოფი ძლივს გავაჩერეთ ორი დღე. გვინდოდა, კიდევ დავრჩენილიყავით, მაგრამ ვერ დავიყოლიეთ — ჭუთაისში მიმეჩქარება, სემინარიის საქმეები მაწუხებსო.

(ზემოთაც ითქვა — სემინარია სულ ერთი წლის გახსნილი იყო მისი დიდი მეცადინეობითა და შემწეობით).

დღიური:

19 მაისს სოფელ ძეგლევში მოვედი, რომელიც 10 ვერსზეა საკაოდან. 20 მაისს ეკლესია ვაკურთხე, ვწირე, ვიქადაგე...

მხლებლების მოგონებიდან:

ავადმყოფს ღამით ცხვირიდან სისხლი წასკდა და ბევრი სისხლი დაკარგა...

დღიური:

ძეგლევიდან ონშივე მივბრუნდი...

მხლებლების მოგონებიდან:

ძეგლევიდან ისევ ონში მივაბრუნეთ ავადმყოფი დასასვენებლად. ძალიან დასუსტებული იყო. იქ უარესად შეიქნა...

დღიური:

21 მაისს ონიდან სევაში გავემგზავრე, რომელიც 9 ვერსით არის დაშორებული ონს. 23 მაისს ვწირე და იმავე საღამოს სოფელ

ჰიბრეკში მივედი — 20 ვერსზეა სევადან. 24 მაისს ვაკურთხე ახალი, თლილი ქვით ნაგები ეკლესია, ვწირე და ვიქადაგე.

მხლებლებს ერთი დღით ადრე აქვთ დათარიღებული ეკლესიის კურთხევა, და ესეც საგულისხმოა: როცა გაბრიელი ღამით თუ მეორე დილით დღიურსა წერდა, რიცხვი შეეშალა. საქმე ის არის, რომ ეკლესიის კურთხევის დროს მღვდელმთავარი ცუდად შეიქნა, გალურჯდა, ხელები აუკანკალდა, ფეხები ეკეცებოდა... ამას იგი, ჩვეულებრივ, არა წერს დღიურში. იმ ფაქტს, რომ სისუსტისაგან ფეხები ეკეცებოდა, ძლივს სუნთქავდა და მაინც წირავდა, ქადაგებდა — საკუთარ უბის წიგნაკშიაც არ აღნიშნავს...

მაგრამ გაგვიგრძელდა ამ მოგზაურობის აღწერა. როგორც ითქვა, ამით მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხასიათი მინდოდა მეჩვენებინა.

ეს მოგზაურობა გამონაკლისი არა ყოფილა. საინტერესო ერთი ბარათი — ძმისწულთან მიწერილი სიცოცხლის ბოლო წლებში. „...ტიტოს უთხარი (იგულისმება მეორე ძმისწული, ექიმი ტიტო ქიქოძე), რომ შენს ყოველ წამლობას და რჩევას აჯობა წმინდა ჰაერმა, მოძრაობამ, ფიზიკურმა შრომამ, მოგზაურობამ...“ და ამას ზემო იმერეთის სოფლებში ერთი მოგზაურობის ამბავს მოაყოლებს. ამ მოგზაურობის დროს ცხენი ჩავარდნია ტალახში და კინალამ დამხვრჩალა ის ცხენი, მერე სოფლელებმა კეტებით ძლივს ამოათრიეს, ორი საათი მოუნდნენო...

და ასე ყოველ წელიწადს იმ 35 წლის განმავლობაში. იმიტომაც უწოდებს ამას იაკობ გოგებაშვილი ოცდათხუთმეტი წლის თავდადებულ მოღვაწეობას: (გაბრიელ ეპისკოპოსი) „როგორც ღვიძლი მამა, შეკავშირებული ყველა ეროვნული სიმებით თავის ძვირფას სამწყსოსთან, დაუღალავად უქადაგებდა სიტყვით და საქმით მას მხნეობას, თავდაჭერილობას, მოთმინებას, წმინდა ზნეობას, მარტივ ცხოვრებას, სწავლის სიყვარულს და ყოველ ღონეს ხმარობდა, თავის ღვიძლ სამწყსოში გაევრცელებინა სარწმუნოებაცა და ცოდნაც... არა მგონია, რომელიმე მწყემსმთავრის მოქმედებას აქამდე თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მოეტანოს სამწყსოსათვის იმაზედ უნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძლებია თავის ხალხს განსვენებულის მღვდელმთავრის ოცდათხუთმეტი წლის თავდადებულმა მოღვაწეობამა“.

ასეთი თავდადებული მოღვაწეობის შედეგი იყო, რომ მის სამწყსოში, ეკლესიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბევრი სკოლა აშენდა მისი თაოსნობით და მისივე ხარჯითაც. რაც წინა ორ საუკუნეში არ აშენებულა, ამ ოცდათხუთმეტ წელში აშენდაო, წერდნენ გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ. თავისი ხარჯით სასწავლებლებში აგზავნიდა ყმაწვილებს, ღარიბი ოჯახების შვილებს. სახლში ჰყავდა შეკედლებული ობოლი და ღარიბი ბავშვები და ზრდიდა, რაღა თქმა უნდა, სკოლაში ასწავლიდა.

მოღვაწეობის სიძნელე თუ სიადვილე თვით ადამიანზეა დამოკიდებული. თუ ახალი მღვდელმთავარი გააგრძელებდა თავისი უშუალო წინამორბედების ცხოვრებისა და საქმიანობის წესს, თუ იგი თავის ვრცელ სამწყსოში მაშინ გაისეირნებდა, როცა თავადაც მოეგუნებებოდა, როცა ზაფხულობით ქალაქის ხვატს გაშორება და ბუნების წიაღში მრავალრიცხოვანი ამალით გასეირნება თავშესაქცევადაც კარგია და ჯანის სიმრთელესაც არგებს, მაშინ რაღა სიძნელეზე შეიძლება ლაპარაკი. სწორედ ასეთი კახლდათ გაბრიელის წინამორბედი. როცა ახალი მღვდელმთავარი ჩავიდა ქუთაისში, სრული განუკითხაობა დახვდა — მექრთამეობა, უსამართლობა, პროტექციონიზმი... მისი წინამორბედის ეზო ძღვნად მორთმეული ცხვრებითა და ინდაურებით იყო სავსე; ისე ვერავინ მივიდოდა საქმეზე, თუ ძღვნად ძროხას ან ცხვარს არ მიართმევდაო, გადმოგვცემენ. რაკი მწყემსმთავარი ასეთი იყო, სხვებიც ბაძავდნენ. არც სხვაგვარ ქრთამს თაკილობდნენ. სამწყსოში მათი ერთი გასეირნება მრავალრიცხოვანი ამალით (სხვაგვარად არ დადიოდნენ, ასე უფრო ხალისიანია მგზავრობა) და რომელიმე სოფლის ეკლესიის მონახულება ისე ძვირი უჯდებოდა მოსახლეობას, ისე დაირბეოდა ისედაც გაღატაკებული სოფელი, როგორც ძველად მტრის შემოსევის დროსო.

გაბრიელმა ჩასვლისთანავე აგრძნობინა ყველას, რომ ამას იგი არ შეურიგდებოდა. მაგრამ, ბუნებრივია, არც უწესრიგობასა და იოლ გამდიდრებას შეჩვეული ხალხი დათმობდა ასე ადვილად. და დაიწყო ბრძოლა — ხან ჩუმი და ფარული, ხან აშკარა, ხან დაძაბული, ხან სიცილის მომგვრელი. დაიწყეს ცილისწამება, გაუთავებელი დაბეზღებები, ხან რას მოიგონებდნენ და ხან რას. ხელს უშლიდნენ კეთილ საქმეში. იმდროინდელ გაზეთებშიაც შეხვდებით ცნობებს, რომ ახალი საჩივარი შეუტანიათ მღვდელმთავარზე, სე-

მინარიის გახსნაში ხელს უშლიანო და სხვა. ეგზარქოს ევსევის შურდა იმერეთის ეპისკოპოსის ზღაპრული პოპულარობა, ბოლოს ახრჩობდა, რომ იგი მასზე გაცილებით უფრო განათლებული და მცოდნე იყო და ამიტომ ხალისით ღებულობდა საჩივრებს, განმარტებებს მოითხოვდა, რევიზიებს აგზავნიდა. ეს იცოდნენ ბოროტმა ადამიანებმა და თხზავდნენ და თხზავდნენ ათასნაირ ცილისწამებას. ამას პირდაპირ ასი გადმოგვცემს იაკობ გოგებაშვილი. უფრო მოგვიანებით გაბრიელი ქადაგებას წარმოთქვამს დაბეზღებაზე („...ეს არის ერთობ სასირცხო და საზიზღარი საქმე! იგი გამოაჩენს დაცემულსა და მდაბიოს ხასიათს კაცისას...“).

ისე ღრმად გაედგა ფესვები მექრთამეობასა და ბოროტებას და ისე გამწარებით ცდილობდნენ თავიანთი მდგომარეობის შენარჩუნებას ახალი მღვდელმთავრისაგან შევიწროებული მექრთამეები, თუ არა რკინისებური სიმტკიცე და ნებისყოფა, თუ არა წმინდანის სისპეტაკე, უსათუოდ გატეხდნენ.

გაბრიელი შეუპოვარი იყო, არავის ეპუებოდა, როცა სიმართლის დაცვაზე მიდგებოდა საქმე, არავის დაუთმობდა; ის თავის საქმეს აკეთებდა — მტკიცედ, განუხრელად, სამართლიანად. და თანდათანობით აღკვეთა ყოველგვარი უწესრიგობანი. რაკი თავად იყო მაგალითი პატიოსნების, სამართლიანობის და მაღალი ზნეობისა, არ უძნელდებოდა სხვებისგანაც ასეთივე პატიოსნება და სიწმინდე მოეთხოვა. როცა ამას სამართალი მოითხოვდა, იგი არ ერიდებოდა, მაღალ საერო ხელისუფლებასაც დაპირისპირებოდა. თანამედროვეები გადმოგვცემენ, როგორ დაუპირისპირდა იგი ქუთაისის გუბერნატორ ლევაშოვს. და გაიმარჯვა. შეზარხოშებული გუბერნატორი თავისი შეიარაღებული ამალის თანხლებით რომელიღაც სოფელში მივიდა. იქ უმიზეზოდ აუხირდა ამ სოფლის მღვდელს და უბრძანა, სამი დღის განმავლობაში გუბერნია დაეტოვებინა. მღვდლის მუდარას, წვრილშვილიანი ვარ და ნუ გამწირავთო, ყურიც არ ათხოვა. ლევაშოვს ხუმრობა არ უყვარდა — მისი ბრძანება უნდა შესრულებულიყო. მღვდელი მაშინვე ჯორზე შეჯდა და მღვდელმთავართან გავარდა, თითქოს გამოსამშვიდობებლად, გულში კი ალბათ ფიქრობდა, იქნებ დამიხსნასო. მღვდელმთავარი ლეჩხუმში წასასვლელად იყო გამზადებული, როცა დაფეთებული მღვდელი მივიდა. ძალიან გაბრაზდა — ფიცხი იყო, გულისმოსვლა ეცოდა. მაგრამ თავი შეიკავა და მღვდელი დაამშვიდა —

ნუ გეშინია, წადი, შენს საქმეს მიხედეო, უთხრა. მღვდელი კი დაამშვიდა, მაგრამ თვითონ საგონებელში ჩავარდაო, მისი ბიოგრაფი წერს. იცოდა, რომ გუბერნატორთან დაპირისპირება დიდ უსიამოვნებას უქადდა. მეორეს მხრივ, ეს რომ წაეყრუებინა, და დაეთმო, ჯერ ერთი, ადამიანი იჩაგრებოდა უსამართლოდ, და მეორეც— გუბერნატორს გაათამამებდა, სხვა დროს უარესს ჩაიდენდა. ისევ უსიამოვნება არჩია. დაჯდა და ბარათი დაწერა, მსახურს გაატანა ლევაშოვთან. რა ეწერა იმ ბარათში, არავინ იცის და ალბათ ვეღარავინ გაიგებს, ყოველ შემთხვევაში, ტკბილი სიტყვები არ იქნებოდა, რადგან, დაიწყო თუ არა გუბერნატორმა ბარათის კითხვა, გადაფითრდა, ხელები აუკანკალდაო, მსახური იგონებს. ლეჩხუმიდან ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა მღვდელმთავარი და ჯერ ერთი საათის მოსულიც არ იყო, რომ მოახსენეს, გუბერნატორი გეახლათო. მაშინვე გამოვიდა და არც სალამი აცალა გუბერნატორს, არც ხმის ამოღება, პირდაპირ მიაძახა: შენ ვინ მოგცა ჩემს ეპარქიაში ვანკარგულების უფლება?! რამდენჯერ შენ დათვრები და საქეიფოდ წახვალ, იმდენი თუ დააწიოკე ისედაც შენგან აწიოკებული ქვეყანა?!. მე ვიკითხავ, სადაც ჯერ არს, გაქვს თუ არა ამის უფლება და მერე შენც შეგატყობინებ!

ბოლო სიტყვებმა ალბათ განსაკუთრებით შეაშინა ლევაშოვი — წახდა, დაიბნა... გაბრიელი ფეხებს ურტყამდა იატაკს და სიტყვის თქმას არ აცლიდა. გუბერნატორი კი სულ ამას იმეორებდა: **Виноват, Ваше Преосвященство. Простите, Владыко.**

უსამართლობასთან ბრძოლის დროს სიცილის მომგვრელი შემთხვევებიც ჰქონდაო, ითქვა, და ახლა ერთ ასეთ კომიკურ შემთხვევას გაგაცნობთ. ესეც მის ბიოგრაფს აქვს გადმოცემული.

ერთმა სოფლის მღვდელმა მედავითნეს უჩივლა. გაბრიელმა გამოაძიებინა საქმე და გაირკვა, რომ მღვდელი ტყუოდა, ცილსწამებდა მედავითნეს. გაბრაზებულმა მაშინვე გადააყენა ცილისმწამებელი მღვდელი. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ მღვდელმთავარი იმ მხარეში მოხვდა, საიდანაც ეს მღვდელი იყო. სადილზე ნესვი მოართვეს თურმე და ძალიან მოსწონებია — გემრიელი ნესვიაო, უთქვამს. ამ დროს ოთახში ის მოხსნილი მღვდელი შემოსულა -- „ხომ გეამათ, ბატონო, ჩემი ნესვიო?“ თურმე ნესვი მისი მოტანილი იყო. გაბრიელი თოფნაკრავივით წამოვარდნილა ზეზე, ხელში აღებული ნაჭერი ნესვისა დაუგდია — „შენც

შეგარცხვინა ღმერთმა და შენი ნესვიცო“, შესძახა თურმე და გარეთ გამოვარდა.

მკაცრი იყო, მაგრამ ხალისიანი. უყვარდა ხუმრობა. თანამედროვეები გადმოგვცემენ, როგორ გამხიარულდებოდა ხოლმე ახლობლებთან. ამ დროს იგი უკვე აღარა ჰგავდა იმ მკაცრ ბერს. განსაკუთრებით ბავშვები უყვარდა. „უნდა გეყურებინათ, რა ნეტარებაში იყო, როცა ბავშვების გუნდს შემოისევდა გარს და ხან თავზე უსვამდა ხელს, ხან ჯვრებს ურიგებდა, ხან კოცნიდა, ხან ეალერსებოდა“. თავის მშობლიურ სოფელ ბახვში წელიწადში ერთხელ უსათუოდ ჩავიდოდა ხოლმე. ერთხელ ბახვის სკოლის ეზოში ბავშვები დამალობანას თამაშობდნენ. გაბრიელი თვალებგაბრწყინებული უყურებდა და გულიანად იცინოდა. ბოლოს ერთ პატარა ბიჭს ხელი წაავლო და იქვე დაზვინულ გამხმარ ფოთლებში დამალა, ზემოდან ფოთლები დააყარა. ვერავინ რომ ვერ მიაგნო, თავადაც დიდად ისიამოვნა და სხვებიც აცინაო.

„მარტივი ცხოვრებაო“, ზემოთ შევხვდით გოგებაშვილის სიტყვებს. თავისი ცხოვრების უბრალოებითაც იგი მაგალითი იყო ყველასათვის. თანამედროვენი ამის დამადასტურებელ მრავალ ფაქტს გადმოგვცემენ. ოთახში ორი ძველი სკამი და მუშამბაგადაფარებული მაგიდა ედგა. მაგიდაზე საწერკალამი და სპილენძის შანდლები, კედლებთან — ასევე უბრალო წიგნის კარადები. ეს იყო და ეს. ცხოვრობდა როგორც ძველი მეუდაბნოე ბერი. შეშას თვითონვე ხერხავდა და აპობდა, ბაღს ბარავდა და თოხნიდა, პირუტყვს აძლევდა საზრდოს. ეცვა ბერის შავი ანაფორა და თავზე ძველი უბრალო სკუფია ეხურა. მიღების საათები არა ჰქონდა, შეეძლოთ ღამითაც გაეღვიძებინათ, თუ ვინმე შორიდან იყო საქმეზე ჩამოსული. „რუსის სანოვნიკები რომ ჩამოვიდოდნენ გაბრიელთან, შეკრთებოდნენ, ვერ დაეჯერებინათ, ასეთი სახელოვანი მღვდელმთავარი ამ უბრალო ოთახში რომ ცხოვრობდა, საყვედურსაც კი ეუბნებოდნენ, რატომ შენი ღირსების შესაფერად არ მორთავ ბინასო“. რამდენჯერ შეშლიათ და მსახური ჰგონებიათ, როცა საქმეზე მოსულთ, ძველ ანაფორაში გახვეული ბერი უნახავთ, შეშის ჩეხვაში გართული, რა უკითხავთ, მღვდელმთავარი შინ თუ ბრძანდებაო. ახლო-მახლო სოფლებში ცხენით დადიოდა, თან ერთ მესენაკეს გაიყოლებდა, ხურჯინი ამ მესენაკეს ჰქონდა უნაგირზე შემოდებული. ხურჯინით საგზალი მიჰქონდა, უმთავრესად ხმელი ხილი,

ჩაი და ორცხობილა. არავითარი ამალა, არავითარი წინასწარ შეტყობინება — მოვდივარ და დამხვდითო. მისი ძმისშვილი ერთ საინტერესო სურათს გვიცოცხლებს — შორაპნის მაზრის უფროსს უამბნია მისთვის. ზესტაფონის ფოსტის აივანზე მჯდარა ეს უფროსი, რამდენიმე ადგილობრივ თავადთან ერთად. გზაზე შავ ანაფორაში გახვეული ცხენოსანი ბერი გამოჩენილა. ეს რომ ქართველმა თავადებმა დაინახეს, ხელად წამოიჭრნენ, კიბეზე ჩაცვივდნენ და მიეგებნენ, ხელზე ეამბორნენ, ცხენიდან ჩამოსვლა უშველეს. მაზრის უფროსი გაკვირვებით შეჰყურებს — ეს რა ხდება, ამ საწყალ ბერს რას შემოეხვივნენო. ქართული არ ესმის და ვერ მიმხვდარა, რაშია საქმე. როცა აივანზე ამოიყვანეს მოწიწებით, ბერს მკერდზე ანაფორა გადაეხსნა და პანაგია გამოუჩნდა. მაშინვე მიხვდა მაზრის უფროსი ყველაფერს. მივარდა, ხელზე ემთხვია და ბოდიშის მოხდა დაუწყო, თან თავადებს საყვედურით მიმართა — ეს როგორ მოგვივიდა, როგორ ვერ გავიგეთ, რომ მღვდელმთავარი ჩვენს მაზრაში მობრძანდებოდაო.

•

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებზე. ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, და არა მარტო საქართველოში. ჯერ კიდევ 1867 წელს გაბრიელის ქადაგებანი ინგლისურადაც გამოიცა, ლონდონში. გამოქვეყნდა, რა თქმა უნდა, რუსულადაც. ქართულად რამდენჯერმე გამოიცა.

რამ განაპირობა ამ ქადაგებათა პოპულარობა? რას ეხმაურებოდნენ ისინი და მიზნად რას ისახავდნენ?

„ადამიანს, ძმანო ჩემნო, ისეთი ბუნება აქვს, — ვკითხულობთ ერთ მის ქადაგებაში, — რომელ თუ ყოველს დღეს თავის თავს თვითონ არ უფრთხილდება, ანუ ერთი ვინმე ყოველთვის არ აღვიძებს, არ შეაგონებს, არ ასწავლის, მაშინ იგი თანდათან ფუჭდება, ბოროტდება და ბოლოს შეიქმნება მონა ცოდვისა“.

ვფიქრობ, აქ გაცემულია პასუხი იმ კითხვებზე, რაც ზემოთ დავსვით. ეს ქადაგებანი ასწავლის ადამიანს, უფრთხილდება, აღვიძებს, ცდილობს ცოდვასა და ბოროტებას ააშოროს და კეთილი საწყისი განავითაროს მის არსებაში. „ბუნებას კაცისასა და ყოველსა მისსა შინაგანსა და გარეგანსა მოქმედებასა აქვს ორი კერძო, ანუ ორი სახე,“ ქადაგებს იგი. ეს ორი საწყისი არის — კეთილი და ბო-

როტი. კაცი უნდა ებრძოდეს თავის თავში ბოროტს, უნდა ებრძოდეს თავისი სურვილით: „ვინც არ ცდილობს, თანდათან უმჯობესი შეიქნეს სულიერად, იგი უეჭველად თანდათან უარესი გახდება და მტერი შეიქნება ქრისტესი...“ და „თუ ჰიდაობა და ბრძოლა შორის ბოროტისა და კეთილისა არის შენს გულში, სჩანს, რომ იქ მუშაობს მადლი ქრისტესი“.

იგი დადის სოფლიდან სოფელში, რათა გაახსენოს ადამიანს თავისი მაღალი მოვალეობა, გააღვიძოს, გამოაფხიზლოს, დაეხმაროს ბოროტის დათრგუნვაში. ასობით ქადაგებაა დაბეჭდილი, ათჯერ მეტი დაუბეჭდავი დარჩაო, გადმოგვცემენ. მისთვის სულერთია, სად წარმოთქვამს ამ ქადაგებას — ქალაქის ხალხმრავალ ტაძარში თუ სადმე მიყრუებული სოფლის პატარა ეკლესიაში. ეს ქადაგებანი ყოველთვის კონკრეტულ საკითხს ეხება. გაბრიელი ცდილობს და ახერხებს, საღვთო წიგნის ამა თუ იმ იგავს, რომელიც იმ დღეს უნდა იქნას წაკითხული ეკლესიაში, ისე მოარგოს თავის ქადაგება, რომ ხალხის კონკრეტულ სატკივარს გამოეხმაუროს. ზოგადი ქადაგება, თუ ის ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას არ მიესადაგა, ნაკლებ სასარგებლო იქნება.

„ქადაგება, ძმანო, საყვარელნო, ორგვარი არს, — თვითონვე ამბობს ამას ერთ ქადაგებაში, — ...პირველად შეიძლება მქადაგებელძან ქადაგებასა შინა მისსა გამოთქვას მხოლოდ ისეთი აზრნი, რომელნიც არიან საზოგადონი, განყენებულნი, ანუ განშორებულნი ცხოვრებისაგან, არავის პირდაპირ არ შეეხებიან, არავის არ მისცემენ განსაკუთრებითსა სწავლასა და დარიგებასა... ესრეთი ქადაგება არავის არ გააჯავრებს, გარნა სარგებლობასაცა დიდსა არავის მისცემს. შეიძლება იგი იყოს დაწერილი მჭევრმეტყველურად... გარნა სარგებლობა მისი საეჭვო არის, მსმენელნი გულგრილად მიღებენ ესრეთსა ქადაგებასა... იქნება მათ კიდეც აქონ მქადაგებელნი, გარნა გულში არ დაუშთებათ არცა ერთი საკუთარი სარგებლობა“.

ასეთი ქადაგება გაბრიელს არა სწამს; იცის, რომ ხალხს ვერ გამოადგება, მას კი თავისი ხალხის სამსახური დაუსახავს მიზნად.

„...მეორე სახე ქადაგებისა არის სხვა, — ვკითხულობთ იქვე, — აქ მქადაგებელი ცდილობს, რომ სიტყვა მისი იყოს დაახლოებული მსმენელთა მისთა თანა. იგი წინა-პირველად შეიტყობს სულიერთა ნაკლულევანებათა და საჭიროებათა მსმენელთასა და მერმე იწყებს

დარიგებასა და მოძღვრებასა მათსა; იგი ცდილობს, რათა სიტყვა მისი იყოს არა უქმი და განყენებული, მავალი ღრუბელთა ზედა, არამედ მახლობელ კაცთა, ცხოველ და გამოყვანილ თვით კაცის ცხოვრებისაგან, მისთვის რათა ყოველმან კაცმან დაინახოს სიტყვათა შიგა მისთა, ვითარცა სარკესა, მისი სულიერი მდგომარეობა. ესრეთი მქადაგებელი... ცდილობს, რომ მარტივი სიტყვა მისი შევიდეს გულსა შინა მსმენელთასა და დასტოვოს მუნ რომელიმე კვალი. ესრეთი ქადაგებანი არიან უმეტესად სასარგებლონი ერისათვის".

აქ უკვე ნათლად და ზუსტად არის განსაზღვრული გაბრიელის მოღვაწეობის ხასიათი, და საოცარია, როგორა ჰგავს იგი ჩვენი სამოციანელების მოღვაწეობას. საგულისხმოა, რომ ეს ქადაგება წარმოთქმულია 1864 წელს. ამ დროს ილიას უკვე გამოქვეყნებული აქვს თავისი მოღვაწეობის პროგრამა. და აზრის დალაგებითაც როგორა ჰგავს ილიას საპროგრამო ლექსს („პოეტი"). საერთოდ, როცა ამ ქადაგებებს კითხულობ, თითქოს მაჯისცემას ვრძნობ იმ დროისას, რომელსაც ილიას ეპოქა შეიძლება ეწოდოს. რა საოცარი ზედმიწევნით არის გადმოცემული ყველა მტკივნეული და სჯაჭირბოროტო საკითხი, რაც მაშინდელ საზოგადოებას აწუხებს — და რა სიღრმით, რა კონკრეტული მიზანდასახულობით, რა საოცარი მღელვარებით, სადად და უბრალოდ.

გაბრიელი განუზომლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცოცხალ სიტყვას, მსმენელზე სიტყვის ზემოქმედების ძალას. „მქადაგებელმან სიტყვისა ღვთისამან კარგი დაფიქრებით უნდა გამოარჩიოს, რომელი საგანი უსაჭიროესია მსმენელთათვის. მან უფრო ხშირად და მტკიცედ უნდა ილაპარაკოს და მისცეს დარიგება იმ ცოდვის და ნაკლულევანებისათვის, იმ სულიერი სენისათვის, რომელიც მის სამწყსოს უფრო ეჩვევა და ავნებს".

ამისდა კვალობაზე, გაბრიელის ქადაგებებში წამოჭრილი და განხილულია თითქმის ყველა საკითხი, რაც მაშინ ჩვენს ხალხს აწუხებდა და რაც მღვდელმთავარს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა თავისი დაუცხრომელი მოგზაურობის დროს. სულ ერთია, დიდი იქნებოდა ეს საკითხი თუ მცირე. ერთხელ ლეჩხუმში მოგზაურობის დროს გაუგია, რომ აბრეშუმის ჭიის მოშენებისა ეშინოდათ გლეხებს — სეტყვასა და მეხს გამოიწვევსო, არა-და, აბრეშუმს დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო გაღატაკებული სოფლისათვის.

გაბრიელი შეწუხდა თურმე და საგანგებოდ ქადაგება წარმოთქვა, უვიცი ხალხის ცრუმორწმუნეობა შეარყია. მაგრამ, რომ უფრო გულდაჯერებული ყოფილიყო, მოაყვანინა აბრეშუმის ჭია და დაუმტკიცა ხალხს, რომ უვნებელ ჭიას არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლო.

სოფლად მოგზაურობის დროს მღვდელმთავარი ბევრჯერ წაწყდომია სავალალო ფაქტს, როგორ უწყალოდ სცემდა გატანჯული გლეხი პირუტყვს; უმონლობითა და უსამართლობით გაწამებული, ჯავრს პირუტყვზე იყრიდა, თითქოს გულს იოხებდა ამით. და აი, მისი ქადაგებების ორტომეულში ჩვენ ვხვდებით ერთ მშვენიერ ქადაგებას — „პირუტყვების შებრალებისათვის". „ვინც ფიქრობს, რომ ამ საგანზე არა ღირს უბნობა ეკლესიასა შინა, მას უთუოდ არ უნახავს, რა უწყალოდ ეპყრობიან ჩვენში პირუტყვთა; მას არ უფიქრია, რა დიდი ვნება გამოდის აქითგან და რა წინააღმდეგია კეთილისა და ქრისტიანულისა ზნეობისა უწყალო მოქცევა საქონელთან", — ვკითხულობთ ქადაგების შესავალ ნაწილში. და შემდეგ მოჰყავს ფაქტები, როგორ უწყალოდ ცემენ პირუტყვს, როგორი მშიერი და მოუვლელი ჰყავთ ზამთარში. „...ჩვენს ქვეყანაში ყველგან საქონელს ინახავენ ცუდად, საჭმელს არ აძლევენ საკმაოდ, ეპყრობიან უწყალოდ და სასჯელსა და შრომასა უზომოდ მიაყენებენ... ხშირად ნახავ ქალაქში თუ სოფელში, როდესაც უღონო და უჭმელი ხარი ვერ ზიდავს ურემსა, მაშინ მისი პატრონი, თივ. ჭოს გაცოფებული, უწყალოდ სცემს და კლავს... სცემს თავში და თვალებში..." „ან როგორ ეპყრობიან აქაურნი მხედარნი თვისთა ცხენთა... ერთხელ ერთმა აქაურმა გადარეულმა აზნაურიშვილმა, როდესაც მისმა უჭმელმა და გატანჯულმა ცხენმა ვეღარ შეძლო კარგად გაჭენება აღმართზე, ჩამოხტა, სატევარი ჰკრა მუცელში და მოჰკლა. აჰა, რა გონიერი ჩვეულება გვაქვს ჩვენ!" და ქადაგების დასასრულს: „ღმერთმან პირუტყვნი დაგვიმორჩილნა ჩვენ...გარნა ღმერთს ნება არ მოუცია ჩვენთვის, რომ ვტანჯოთ...როდესაც სტანჯავ (პირუტყვს), ამით სცოდავ ღვთის წინაშე. შემცდარი ხარ, თუ ფიქრობ, რომ ღმერთს მხოლოდ კაცი უყვარს და სხვა ქმნილებათა თვისთა კი არ მიხედავს". „თუ სხვა მიზეზი არ შეგაგონებს და არ გასწავლის პირუტყვთა მოწყალებასა, შენმა საკუთარმა სარგებლობამ (მაინც) უნდა გასწავლოს მათი შებრალება". და ამ „სარგებლობას" ასე ხსნის მქადაგებელი: მუდამ რომ „საქონელს

უჯავრდები, სცემ, სტანჯავ, ამით ბოლოს თვით შენ გაგიფუჭდება ხასიათი და ზნე, მიეჩვევი ცოტ-ცოტად გულფიცხობას, მოუთმენლობას, უსამართლობას, ასე, რომ პირუტყვისაგან ბოლოს ადამიანზე გადაიტან შენს გულფიცხობას და გახდები ერთი ცუდი, გაუტანელი კაცი".

„მქადაგებელს უნდა ახსოვდეს, რომელ იგინი (მისი ქადაგებანი) ხშირად აღძრავენ უკმაყოფილებასა და შფოთსა შორის მსმენელთა", ამბობს გაბრიელი ერთ ქადაგებაში. ეს ქადაგება დათარიღებულია 1864 წლით. მას ამ დროს ჯერ ისევ ცოცხლად ახსოვს, რა მძაფრი რეაქცია მოახდინა ერთმა მისმა ქადაგებამ მსმენელებზე. ეს იყო ბატონყმობის გადავარდნამდე და მოისურვა, ქადაგება სწორედ თავად-აზნაურთა წინაშე წარმოეთქვა. სამწუხაროდ, ეს ქადაგება დაბეჭდილი არ ყოფილა, რადგან მოუმზადებლად წარმოუთქვამს და არავის ჩაუწერია. ქადაგების შინაარსს და რეაქციას, რაც მას მსმენელებში გამოუწვევია, გაბრიელის ძმისწული გადმოგვცემს. ქადაგებაში მღვდელმთავარი „ცხოვლად ამტკიცებდა, რომ ბატონყმობა არის უსამართლობა, წინააღმდეგი ქრისტეს მცნებისა, სამარცხვინო და მავნებელი ამ ქვეყანაშიც"... თავადებმა ეს იწყინეს, „დაიწყეს დაცვინვა ეკლესიაშივე, ნელ-ნელა გამოვიდნენ კარში, დარჩნენ მხოლოდ მარშლები და რამდენიმე გლეხი, რომლებიც მუხლმოდრეკილნი ისმენდნენ მქადაგებლის მოძღვრებას... პირველმაც ხმამ ღრტვინვისა და ჩივილისამ ელექტრონის ძალასავით იმოქმედა მქადაგებელზედ; ეს წუთი დიდებული და ამასთანავე საშიში წუთი იყო: გაუბედაობას შეეძლო სამუდამოდ დაემარცხებინა... მქადაგებელი სამწყსოს წინაშე... ეს იყო წამი, როდესაც უმეცრება, უგუნურება პირისპირ შეება, შეეჯახა გონიერებას... გულისძგერით ელოდნენ, რით გათავდებოდა ეს საშიშარი შებრძოლება ორის, ერთმანეთის წინააღმდეგის სურვილისა და რწმენისა"... მღვდელმთავარი არ შემდრკალა, პირიქით — „ხმა მქადაგებლისა თანდათან გაძლიერდა, ამაღლდა, სიტყვები უფრო გარკვევით ისმოდა". დამთავრდა ქადაგება — „გალავანი, ჭუჩიდან ეკლესიის კარებამდე ისე იყო გაჭედილი თავადაზნაურობით, რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა; ხმამაღალი ღრტვინვა, მუქარა მღვდელმთავრის მიმართ ისმოდა გარედან თვით ეკლესიაში... ისმოდა მოკვლის მუქარა". გაბრიელმა მშვიდად გაიხადა სამოსელი და კარისაკენ გაემართა. დეკანოზი შეემუდარა, თავადაზნაურობა აღელვებულია და

ნუ გაბრძაწდებითო. მღვდელმთავარმა დაამშვიდა დეკანოზი და ღინჯად გამოვიდა ეზოში. კარებთან ერთი ხმალმომარჯვებული აზნაური იდგა, რომელიც ყველაზე მეტს იმუქრებოდა. გაბრაზდა მშვიდად, აუღელვებლად ჩაუარა მას და გალავნის კარისაკენ გაემართა. ხალხი შუა გაიპო, სულგანაბულნი ელოდნენ, რა მოხდებოდა. მღვდელმთავარს ქუჩაში ეტლი ელოდა, მაგრამ ეტლში არ ჩაჯდა, ფეხით წავიდა, ნელი ნაბიჯით გაიარა ქუჩა და თვალს მიეფარა. ხმალმომარჯვებული თავადი და სხვებიც, ვინც ორიოდე წუთის წინ დრტვინავდა, მონუსხულივით იდგნენ და ვერ გაეგოთ, რა მოხდა, რატომ ვერაფერი მოახერხეს.

ხშირად ერთი და იგივე თემა რამდენიმე ქადაგებაში მეორდება. ეს გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ ქადაგებანი წარმოთქმულია სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მსმენელთათვის, არამედ უფრო იმიტომ, რომ მღვდელმთავარს რამდენიმე თემა განსაკუთრებით აღელვებს, სხვა საკითხებზე მნიშვნელოვნად მიაჩნია. მისი ქადაგებების წიგნებს რომ გადაიკითხავ, აშკარად გამოჩნდება, რა ადამიანური სისუსტე და ბოროტება მიაჩნია მქადაგებელს ყველაზე მიუტევებელ ცოდვად, „სულიერ სენად“, რომელიც უსათუოდ უნდა მოიშოროს ადამიანმა, ხოლო მღვდელმთავარი უნდა დაეხმაროს მათ მოშორებაში. ეს არის სიზარმაცე და მცონარობა („წყაროო ყოველგვარი ბოროტებისაო“), ფარისეველობა და პირმოთნეობა, შური, სიხარბე, პატივმოყვარეობა, უმადურება...

ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგად ადამიანურ ბოროტებასთან ერთად ხალხისათვის შემაწუხებელი იყო ზოგი მავნე ჩვეულება, რომელიც ისედაც გაღარიბებულ ხალხს წელში სწყვეტდა და ჩვენი ხალხის ხასიათისა და ბუნებისათვის მიუღებელი იყო, ჟამთა სიავის დროს შეძენილი.

„...რაოდენი უჯუო და უზომო ხარჯი იცით სოფლის მცხოვრებთა ტაძრის დღეობაზედ, ქორწილზედ, ნათლობაზედ! მიკვირს მე მდაბიურის კაცის ჩვეულებათა უგუნურება...“

ამ თემას სხვა ქადაგებაშიაც უბრუნდება, ეტყობა, მაშინაც შემაწუხებელი ყოფილა ეს ჩვეულება.

„...დილიდან საღამომდე და თითქმის მთელს მეორეს და ჭესამე დღეს მედღესასწაულენი გაატარებენ ჭამაში, სმაში... თოფის სროლაში“... და იქვე; „ნეტავი ჭამა-სმაში მაინც ზომას შეინახავდნენ!

არა, ყოველი კაცი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ჭამოს და სვას“... და დასასრულ სინანულით იტყვის: „აჰ, რად აქციეს სასარგებლო და ღვთიური წესდებულება ეკლესიისა!“ უზომო ჭამა-სმის გაკიცხვას სხვა ქადაგებებშიაც ვხვდებით: „რა გააჩენს კაცის გულში უწმინდურთა გულისთქმათა და სურვილთა? უზომოდ სმა და ჭამა, მეტადრე, მომეტებული მიღება ღვინისა...“ „ჭამისა და სმისაგან დასნეულებული მრავალი უნახავს კაცს, გარნა მარხვისა და მოთმინებისაგან არც ერთი“...

ძალიან აწუხებს მიცვალებულის დატირების ხალხში გავრცელებული წესი და რამდენჯერმე უბრუნდება ამ საგანს. ზოგი ?ვევა უნდა დავივიწყოთო, მიმართავს მსმენელთ, „ვთქვათ, ეს გრძელი და მრავალფერი ტირილი რომ ვიცით მიცვალებულთა ზედა, თუ დავივიწყებთ და გადავეჩვევით, არ მოგვაკლდება არაფერი“... და ამასაც მიუბრუნდება, ამჯერად უფრო მკაცრად გმობს ამ ჩვეულებას: „ერთისა უმეტესად მავნებელისა და არა შესაწყნარებელისა ჩვეულებისათვის მე კიდეც გითხარით თქვენ, ძმანო ჩემნო, ქრისტიანენო... ესე იგი გრძელისა მის წყობილებისა და ტირილისათვის, დროსა მიცვალებულთა განსვენებისა. პირველი მიზეზი, რომლისთვისაც ჩვეულებასა ამას მე ვხედავ, ვითარცა მავნებელსა და არა შესაწყნარებელსა, არის შემდგომი: აღსრულება ჩვეულებისა ამის ადვილად ასწავლის კაცსა ფარისეველობასა და პირმოთნეობასა. ყოველი მწუხარება და ტირილი, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, არის ბუნებრივი გრძნობა, მწუხარება და ტირილი ჩემდა უცნობელად და უნებრივად უნდა მჭონდეს მე გულში, გარნა უკეთუ მე წინათვე მოვამზადებ თავსა ჩემსა მწუხარებისა და ტირილისათვის, უკეთუ მე ვეტყვი ჩემს თავს: აქ და ამ დროს მე უნდა ვიტირო და ცრემლი ვყარო, რასაკვირველია, რომ ეს არის ფარისეველობა და ვინც ამას ხშირად იქმს, იგი სხვათაცა შინა საქმეთა მიეჩვევა ფარისეველობასა და პირმოთნეობასა...“ „მწუხარება და ცრემლი კაცისა ერთობ ძვირფასი რამ არის; ბოროტად არ უნდა ხმარობდეს მას კაცი, ცოდვად არ გადააქციოს“... ფარისეველობა და პირმოთნეობა, ისევე როგორც შური და სიხარბე, განსასაკუთრებულ ცოდვად მიაჩნია და ხშირად უბრუნდება მათ თავის ქადაგებებში.

როგორც ვხედავთ, გაბრიელის ქადაგებანი ღრმად იჭრება ადამიანის ცხოვრებაში, ადამიანს, როგორც სარკეში, აჩვენებს თავს

და მაღალი ზნეობისაკენ, ჰუმანურობისაკენ მოუწოდებს. ამ ქადაგებებს დიდი საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობა აქვს და, როგორც ვხედავთ, თანამედროვეობასაც აქტიურად ეხმაურებიან.

აგერ, თუნდაც ერთი ქადაგება, ნაწყვეტს მოვიტან:

„ჩვენთა ძველთა წინაპართა ერთი კარგი ჩვეულება ჰქონდათ, ძმანო ქრისტიანენო — მათ უყვარდათ თავის შექცევა, ლხინი სუფრაზე სწორედ იმ სახით, როგორადაც გვასწავლის წმიდა მოციქული პავლე... მაშინ თითქმის ყოველმა კაცმა იცოდა საეკლესიო გალობა, ახლა კი, სამწუხაროდ, თანდათან ქრება ეს დიად პატიოსანი ჩვეულება და ნაცვლად ამისა შემოდის სხვანაირი დროების გატარება და თავის შექცევა, რომელიც, სამწუხაროდ, ძლიერ შორავს იმ ძველ ჩვეულებისგან პატიოსნებით და სულიერი სარგებლობითა...“

ამავე ქადაგებაში იგი მკაცრად გმობს კარტის თამაშს, რასაც ორნაირი მავნებლობა აქვს — სულიერიც და ხორციელიც. „სულიერად იმ სახით, რომელ როდესაც კაცი ქაღალდს თამაშობს, მაშინ მის სულში აღიძვრებიან და განმტკიცდებიან მრავალნი ცუდნი ვნებანი — სიხარბე, ჯავრი, სიძულვილი“...

და ამას მოჰყვება ქადაგება სიმთვრალეზე:

„...ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი მამა-პაპების დროს თითქმის არ იცოდნენ სიმთვრალე, მათ უყვარდათ მოლხენა, გამხიარულება, გარნა საკუთრად სიმთვრალე ძვირად იპოვებოდა მათ შორის, მეტადრე ვერ დაინახავდი უგრძნობლად მთვრალსა და ქუჩაზე ანუ გზაზე მდებარესა მკვდარივით“... „მეტადრე დანაშაულნი არიან ჩვენს ქვეყანაში იგინი, რომელნი, ნაცვლად ჩვენი ბუნებითი ღვინისა, ეჩვევიან სხვათა მაგართა სასმელთა... ჩვენს ფიცხელ და მხურვალე ქვეყანაში არასოდეს არ უნდა იხმაროს კაცმა არაყი, თუ მცირე ჭკუა მაინც დაურჩა მას.“

ჩამოთვლაც კი ძნელია ყველა საკითხისა, რაც ამ ქადაგებებშია განხილული. უნდა შევჩერდე მხოლოდ ერთზე, რითაც, სხვათა შორის, გაბრიელის ქადაგებათა ორტომეული მთავრდება — „დაბეზღებისათვის“, ასეთი სათაური აქვს მას.

„...ერთი დიდი და მავნებელი, შემარცხვენელი ქვეყნისა, სულიერი სენი, ცოდვა და ვნება გავრცელებულია ჩვენს ქვეყანაში და მოითხოვს ჩვენგან, მივაქციოთ ყურადღება და ვამხილოთ იგი

ნი, რომელნიც ემორჩილებიან იმას და ირცხვენენ თავსა, ამდაბლებენ სახელს და პატივს ჩვენი ქვეყნისასა. ეს არის საიდუმლო შესმენა ანუ დაბეზღება კაცისა მთავრობასთან სიტყვითა და უმეტესად საიდუმლო, უსახელო ანუ მოგონებულის სახელის წერილით. თუ ვინმეს ჩვენში შური და მტრობა აქვს ვინმესთან და უნდა როგორმე მას ავნოს, ხოლო პირდაპირ განცხადებით ვერაფერს ავნებს, თვითონაც ფარისეველია, ანუ ეშინია, მაშინ მთავრობასთან საიდუმლოდ დააბეზღებს წერილებით, სხვადასხვანაირს ბრალს დასდებს. ეს არის ერთობ სასირცხო და საზიზღარი საქმე! იგი გამოაჩენს დაცემულსა და მდაბიოს ხასიათსა კაცისასა...“

მოქმედებისაკენ, წინსვლისა და განვითარებისაკენ მოუწოდებს ადამიანს. უმოქმედობა თავისთავად ცოდვაა და საფუძველი ხდება უფრო დიდი ცოდვებისა. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, როგორა გმობს იგი უმოქმედობას, „სულიერს უმოძრაობასა“ და მოჩვენებით მშვიდობას. ასევე დასაგმობია გულგრილობა და დაუდევრობა.

„დაუდევნელი, წინდაუხედავი კაცი თვით ამ ქვეყანაზე არის ჭირში და განსაცდელში, პირდაპირ ვიტყვი — იგი დაემსგავსება პირუტყვს. პირუტყვმა არ იცის, რა არის მომავალი, არ ფიქრობს ხვალინდელი დღისათვის, ხოლო კაცს როგორ შეენდობა, თუ არ იფიქრა მომავლისათვის... კაცი სულ სხვანაირად შექმნა ღმერთმა, კაცი მარადის მიდის წინ ჭკუით, გონებით, ზნეობით, ყოფაქცევით; ერთი სიტყვით, კაცს აქვს დაუსრულებელი მისწრაფება უმჯობესისადმი, გარნა უზრუნველი, დაუდევნელი კაცი ცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღის რამ ლხინით და სიხარულით...“

ადამიანი უნდა ზრუნავდეს, რათა სულიერად ამაღლდეს — „ცხოვრება, ყოფა-ქცევა, ესე იგი ზნეობა და ჩვეულება მარადჟამს დაუსრულებლად უნდა მაღლდებოდეს“. თვითკმაყოფილება უგუნურებას ნიშნავს: „იცოდე, რომ კაცი გონიერი, თუკი მის გულში ღვთის მადლი და სასოება არის, არასოდეს არ იქნება კმაყოფილი თავის თავისა, იგი მარადის თავის თავს აფრთხილებს და თავს თავს უჯავრდება... თვით ღმერთმა კაცის ბუნებას შინა დანერგა დაუსრულებელი მისწრაფება უმჯობესისა და უმაღლესისა მდგომარეობისადმი... შინაგანი გულის კმაყოფილება არის ნიშანი მისის უგუნურებისა“.

ქადაგებებში მთელის სიმკაცრით არის დაგმობილი პატივმოყვარეობა, ჩინ-მედლებისათვის სამარცხვინო ბრძოლა. „პატივი და გავლენა საზოგადოებაში კარგი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიეცემა კაცს მართლა ღირსსა, მოპოებულსა ჭკუითა და სათნოებითა... კეთილი და სასარგებლო ის არის, როდესაც თვით პატივი ეძებს კაცსა და არა კაცი პატივსა... გარნა, რადგანაც პატივის წყურვილი დიდი აქვთ გულში, ცდილობენ, რომ გამოიტანონ ჯვრები, ჩინი და ჯილდონი მთავრობისაგან და მით გამოიჩინონ თავი... რა ამბავი მოხდა აქ, ამ ჩვენს ქალაქში, მცირე ჟამის წინეთ, ესრეთი პატივმოყვარეობისა გამო, რაოდენი შფოთი, შური, სიძულვილი, ჩივილი, დავა, დამდურება, მტერობა — ამის აღწერა თითქმის არ შეუძლიან კაცს... ნუთუ ერთი მტკაველი სირმა, რომელსა დააკერებენ მხრებზე, ღირს იმად, რომ კაცმა თავისი მამული დახარჯოს, ან სასოწარკვეთილებაში შთავარდეს? კარგი, ვთქვათ, იშოვნე ბოლოს, რასაც ამოდენის ამბოხით და ჭირით ეძიებდი, ჰოი, საცოდავო, ამაოებით აღსებულო კაცო! აწ მითხარ, რა მოგემატა? ჭკუა მოგემატა? სათნოება და ზნეობა გაგიკეთდა?.. სრულიად არც ერთი მათგანი არ მოგმატებია! მოგმატებია კი არა, იქნებ ზოგი მათგანი მოგაკლდა, ვინაიდან პატივის ძიება ხშირად ზნეობას გიფუჭებს... მაშ, რად იკლავდი თავს... რად აღავსე სული შენი შფოთითა და ამბოხითა?!“

ძალიან საინტერესო და საგულისხმო ქადაგებები აქვს, მიმართული მოსწავლეებისადმი, განსაკუთრებით საგულისხმოა 1877 წელს წარმოთქმული ქადაგება, რომელსაც წამძღვარებული აქვს სიტყვები მათეს სახარებიდან: „ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან“, მაგრამ ერთ წერილში ყველაფრის განხილვა ვერ მოხერხდება. მხოლოდ ორიოდ ნაწყვეტს მოვიტან ერთ-ერთი ამ ქადაგებიდან: „...განათლება თავისთავად კარგია და სასარგებლო, რადგან აამაღლებს და გაამდიდრებს კაცის გონებას, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი თვით იყოს მიზნად თავისა თვისისა. არა! იმან უნდა მიიყვანოს კაცი მეორე და უმაღლესი მიზნისადმი და ეს უმაღლესი მიზანი არა სხვა რაიმე არს, გარნა ზნეობითი განვითარება და გაუმჯობესება კაცისა. განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთილშობილებს კაცსა ყოვლის მხრით... თვითონ სწავლა არის ორპირიანი იარაღი: შეიძლება კაცმა მოიხმა-

როს ის კეთილ საქმეზედაც და ბოროტზედაც, საქმე უმაღლესია სიტყვაზე, ცხოვრება უძვირფასესია სწავლაზე... რა სასარგებლოა, როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალგვარი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან".

როგორც ვხედავთ, ამ ქადაგებებს დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა, ისინი თანამედროვეობას ეხმაურებიან, ადამიანის ზნეობრივ ამაღლებას ემსახურებიან. აკი თვითონვე ამბობს ერთ ქადაგებაში: „ცხოვრება, ყოფა-ქცევა, ესე იგი ზნეობა და ჩვეულება მარადჟამს, დაუსრულებლად უნდა მაღლდებოდეს".

და მღვდელმთავარი მოუწოდებს მოსწავლეებს, მოერიდონ ასეთ ცრუ წინასწარმეტყველებს

„...ახლა სწორედ მრავლდებიან ესრეთნი ცრუნი წინასწარმეტყველნი ანუ მასწავლებელნი... ახლანდელი ცრუ-წინასწარმეტყველნიცა მოდიან სამოსლითა ცხოვართათა, ისინიცა შეგაგონებენ, რომ მათ ჰსურთ თქვენი წარმატება, სიკეთე და ბედნიერება. ტკბილად გელაპარაკებიან, მაგრამ შინაგან არიან მგელმტაცებელი. იმათა ჰსურთ, რომ მოგტაცონ შენ ის, რაც არის უძვირფასესი კაცისათვის: მოგტაცონ და წაგართვან შენ ღმერთი და სჯული"... ვინ არიან ეს ცრუ-წინასწარმეტყველნი, განაგრძობს მღვდელმთავარი: „აჰა, ზოგიერთი მათი ნიშნები: თითქმის ყოველნი ახლანდელნი ცრუ წინასწარმეტყველნი გამოსულნი არიან სასწავლებელთაგან, რომელნიცა მათ არ შეასრულეს, ანუ ვერ შეასრულეს — ზოგმა სიზარმაცით, ზოგმა ცუდის ყოფაქცევისაგან. მაშასადამე, ისინი არიან ნახევრად ანუ ზედაპირულად სწავლულნი, რომელიც სრულიად უსწავლელზედ უარესია, და თვითონ კი თავის თავს რაცხავენ მეცნიერად, ბრძნად და წინასწარმეტყველად. მათი ამპარტავნება და თავხედობა ეთანასწორება მათს უმეცრებას... მათ დაივიწყეს ყოველივე წმიდა, პატიოსანი, მართალი, რაც არის მიღებული ყოველთა განათლებულთა კაცთა და საზოგადოებათაგან, რაზედაც დაფუძნებულია აწინდელი ქვეყნის განათლება, ცხოვრება, წარმატება, და შეუდგნენ ყოველსა სიბოროტესა და გარყვნილებასა: არ ერიდებიან არც ერთს ცოდვას, არც კაცის კვლას, არც მოწამვლას და არც სახლების და ქალაქების გადაწვას. სწვავენ ცეცხლით სოფლებს და ქალაქებს, და თვითონ ამბობენ და კიდევაც წერენ ზოგიერთა გაზეთებში, რომ ჩვენ ახლანდელი ქვე-

ყანა უნდა დავამხოთ და სუყველანი გავწყვიტოთ, ვინც ჩვენ არ დაგვიჯერებს და არ დაგვემორჩილებაო“.

ეს ხალხი მოითხოვს, რომ ყველაფერი გასწორდესო, — ამბობს მქადაგებელი, — მშრომელი და ჭკვიანი ადამიანის ნაოფლარი ზარმაცსა და გარყვნილს გაუყონო. „რა სამართალი იქნება ესა? ან კი რა გამოვა აქედან? გამოვა ის, რომ პირველი წახდება და გაღარიბდება, და მეორეც არ გამდიდრდება... მაგრამ რა საშუალებით მოვახდინოთ ეს ცვლილებაო? აქ, ძმანო, ისინი, ახლანდელი ცრუ-წინასწარმეტყველნი, თურმე, ერთს ისეთს რამე საშუალებას იტყვიან, რომ არ დაიჯერებ, ზღაპარი გეგონება: ისინი თურმე ამბობენ, რომ ვინც თანახმა არ გახდება ამ ჩვენი პლანისა და დაწყობილებისაო, იმათ უნდა სისხლი გამოვუშვათ, ამოვწყვიტოთო, და მასუკან კაცობრივი ნათესავი გაბედნიერდებაო.“ და ისევ სახარების შეგონებით ამთავრებს ამ ქადაგებას: „ეკრძალენით ცრუწინასწარმეტყველთა, რომელნი მოვიდენ თქვენდა სამოსლითა ცხოვარსათათა...“ შეგახსენებთ, რომ ეს ქადაგება წარმოთქმულია „წინაშე შეკრებილთა მოსწავლეთა სხვადასხვა სასწავლებელთაგან“, 1877 წელს.

ზემოთ ამ ქადაგებათა პოპულარობა ჩვენ მათში აღძრულ საკითხთა აქტუალობით ავხსენით. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ მარტო აქტუალობა ვერ მოუპოვებდა პოპულარობას, სხვა რამეშიაც უნდა ვეძიოთ მათი პოპულარობის მიზეზი. ეს არის ავტორის მაღალი ორატორული ხელოვნება და სადა, ბრძნულად სადა სტილი. იგი უბრალოდ ესაუბრება მსმენელთ — თითქოს ორი ადამიანი საუბრობდესო — და თუმცა ქადაგება დიალოგი არ არის, როგორ ლაღი დიალოგივითა ჩსოვს! თითქოს ამ საუბარში შეკითხვაც იგულისხმებოდეს და მასზე გაცემული პასუხიც. ერთ ქადაგებაში საუბრობს ცოდვის მანკიერებაზე და იქვე სათნოებას უპირისპირებს. მერე თითქოს შეკითხვას აძლევსო მოსაუბრეს — „მაშასადამე, არ უნდა შეიყვარო ყოველი მადლი და სათნოება და არ უნდა მოერიდოა ყოველსა ცოდვასა?“ და კი არ უპასუხებს თავისივე დასმულ კითხვას, თუმცა მსმენელი აქ ისედაც გარკვეულ პასუხს ელოდა. ორატორმა იცის, რომ პასუხს, რა მარჯვედ მოფიქრებული და ჩამოყალიბებულიც არ უნდა იყოს, აქ ნაკლები ეფექტი ექნება, ქადაგებაც მოსაწყენი გახდება... და იმ კითხვას მოსდევს: „ღმერთო ჩემო, რა საკვირველი არის ბუნება კაცისა!“. სულ

ბოლოს კი ლოცვად აღვლენილი სიტყვები: „ღმერთო დანერგე ჩვენს გულში შიში და მოძაგება ცოდვისა და სიყვარული სათნოებისა. ამინ“...

საუბარი, როგორც ითქვა, ძალიან უბრალო და სადაა, მაგრამ შინაგანი დინამიზმით დამუხტული. და მხოლოდ დროდადრო მიეცემა მას გარეგნული გამოვლინება, რაც ზოგჯერ ლამის დრამატიზმშიც გადავიდეს და ამით აცილებულ იქნას მოსაწყენი მონოტონურობა. „დიდ არს და პატიოსან მნიშვნელობა დედაკაცისა ქრისტიანობრივსა საზოგადოებასა შინა. დაუფასებელი ღირსება აქვს ქალსა, აურაცხელსა სარგებლობასა მისცემს იგი მთელსა საზოგადოებასა, — ვკითხულობთ ერთ ქადაგებაში, — როდესაც იგი ცხოვრობს ცხოვრებითა გონიერითა, როდესაც ყოველსა საქმესა ზედა და ქცევასა აქვს გონიერი აზრი, როდესაც, ერთი სიტყვით, იგი არის ჟურჭელი* კეთილისა ზნეობისა და გონებისა; გარნა ოდეს არა ზრუნავს არაფერზე, არა რას ფიქრობს, ოდეს ეძიებს მხოლოდ სოფლიურთა ნუგეშთა და კმაყოფილებათა, როდესაც ბედნიერება მისი მდგომარეობს გარეგანთა შინა სამკაულთა, მაშინ კარგავს იგი თვისსა დიდსა მნიშვნელობასა“... ასე მშვიდად მიედინება ეს საუბარი, და თითქოს ასევე უნდა დამთავრდეს. მაგრამ ერთბაშად დაძაბავს განწყობილებას, რათა ზეგავლენის ძალაც უფრო ძლიერი იყოს, და ახლა პირდაპირ მიმართავს: „ქრისტიანო ქალო! ღმერთმა მოგცა შენ დიდი და პატიოსანი მნიშვნელობა, რათა იყო სამკაულ საზოგადოებისა, არათუ მხოლოდ მშვენიერებითა პირისა და შესამოსელისა შენისათა, არამედ სულისა და ზნეობის შენისათა, რათა შენცა შენითა კეთილითა ზნეობითა, გონიერითა და კეთილითა ქცევითა, სიწმიდითა და სიმშვიდითა ეხმარებოდე განვრცელებათა სასუფევლისა ღვთისასა ქვეყანასა ზედა; ხოლო შენ ესოდენ სულმოკლე ხარ, ესოდენ გავიწყდება შენი დიდი მნიშვნელობა, რომელ მისდევ მცირეთა ამაოთა და უხმართა ნივთთა და ნუგეშთა სოფლისათა“... და ახლა უფრო მტკიცედ მოსთხოვს მას თავისი მოვალეობის შესრულებას, და საუბარიც უფრო დინამიური ხდება: „შენ უნდა პოულობდე ბედნიერებასა შენსა აღსრულებასა შინა დიდისა და პატიოსნისა მოვალეობისა შენისასა, ვითარცა დედისა, ვითარცა მეუღლისა, ვითარცა შვილთა აღმზრდელისა,

* ეს სახარების ტერმინია.

ოჯახის მმართველისა, საზოგადოებასა შინა კეთილ ზნეობის განმავრცელებელისა; ხოლო დაგიტევებიეს შენ ესე ყოველი და ხედავ შენსა ნუგეშსა და ბედნიერებასა ამაოთა შინა სამკაულთა". ამის შემდეგ კიდევ იცვლება პულსი ქადაგებისა, ისევ წყნარდება და მშვიდ შეგონებად ბოლოვდება: „იწყე შენცა ფიქრობა და განზრახვა ყოველთა საგანთა ზედა, ნუ ხარ დაძინებული. შენც გმართებს შეიძინო სიმაგრე ხასიათისა, სიმტკიცე აზრისა, ურყევობა ზნეობისა, რათა სხვათაცა მიიზიდავდე კეთილისა ყოფაქცევისაღმი და არა სხვანი მიგიზიდავდნენ შენ ცოდვისაღმი. ამინ".

ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ქადაგების ენა ზოგან დუნეა, სისხარტე აკლია, მაგრამ დააკვირდით: როცა მქადაგებელს სურს აფორისტულად ჩამოაყალიბოს აზრი, როგორ სხარტი და დინამიური ხდება იგი. (ფარისევლობა) „ვითარცა ერთი მოლიქნე და ცრუდმომფერებელი მეგობარი, უეცრად შეეპარება ადამიანს გულში და მოინადირებს სულსა მისსა..." „ცოდვა ვერ გააძლობს და ვერ გააბედნიერებს უკვდავსა სულსა კაცისასა, ცოდვა მხოლოდ ერთ წამს ამხიარულებს კაცსა; გავა წამი და ნაცვლად სიტკბოებისა დარჩება გულსა შინა სიმწარე, მოწყინება და სინანული"... „თუ თვისი საკუთარი ხასიათი ვერ აღაშენა კაცმან და ვერ დააწყო კეთილად... როგორ აღაშენებს იგი თვისსა ხორციელსა ბედნიერებასა"... „თუ შინაგანი სიწმინდე არ მოემატა (კაცს), სულით და გულით უმჯობესი არ შეიქმნა, ის ემსგავსება კაცსა მას, რომელ გზასა ზედან დგას და წინ არ მიდის"... „შური მისდრეკს კაცსა უნებრივად მრავალთა სხვათა ცოდვათამღი"... „შური იგონებს ცილისწამებასა; შური სთესავს სიძულვილსა ძმათა შორის, მეზობელთა შორის; შური ცეცხლად ეკიდება მრავალთა კაცთა და შეაგონებს მრავალთა უმსგავსთა საქმეთა, შური სთხრის ორმოსა, სადაც მოყვასმან შთააგდოს მოყვასი თავისი... მან დაარღვია ბედნიერება მრავალთა ოჯახთა... დაარღვია ყოველნი საღმრთონი კავშირნი; ვისი ენა გამოთქვამს, ვისი კალამი აღწერს ურიცხვთა ვნებათა, რომელი წარმომდინარეობენ ამ მოწამლულის წყაროსაგან"... „შე საწყალო, რისთვის არ გახსოვს, რომ შენ ისეთი პატივი მოგცა ღმერთმან, რომელზე უდიდესს კაცი ვერ წარმოიდგენს — შენ ღმერთმა შვილად აგიყვანა"... „ნეტავი ღმერთს ვეველდრებოდეთ ისე გულმოდგინედ, როგორც ვეხვეწებით ზოგჯერ კაცს..." „ცხოვრება ადამიანისა ბრუნავს, ვითარცა

ურმის თვალი და მასთანვე ბრუნავენ და იძვრიან ქვეყანაზედ ცოდვა და მადლი“...

დროდადრო ჩაურთავს ხოლმე მოწოდების ფრაზებს, თითქოს იმიტომ, რომ უფრო შეანჯღრიოს ადამიანის სინდისი და სილაღე შეამატოს ისედაც ლაღ საუბარს — „განეშორეთ, ძმანო, უცნაურთა საქმეთა“... „მოიშალე, ძმაო, ეს ჩვეულება“... „ნუროდეს ნუ დაიჯერებ, ძმაო“...

ამ ასობით ქადაგებებში იშვიათად თუ შეხვდებით „მამულის“, „სამშობლოს“, „საქართველოს“ ხსენებას ან ქართველ მოღვაწეთა სახელებს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მათ ავტორს პატრიოტული გრძნობა ღალატობდეს. როცა იგი, მთელი თავისი ცხოვრება დაუცხრომლად იღვწის თანამემამულეთა სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისათვის, მათი განათლებისათვის, მათი კეთილდღეობისათვის — სწორედ ესაა ჭეშმარიტი პატრიოტიზმი. მისი ბუნებაა ასეთი — ხაზგასმა არაფრისა არ უყვარს.

მაგრამ როცა მოინდომეს ხელყოფა მისი ხალხის ენისა და ისტორიისა, იგი ერთ-ერთი პირველი, მტკიცედ და მკაცრად გამოეხმაგა ენასაც და ეროვნულ თვითმყოფადობასაც. ყველასათვის ცნობილია მეფის მაღალი მოხელის გიორგი მუხრანბატონის ანტიეროვნული ბროშურა, რომელიც კაცობრიობის პროგრესად პატარა ერების მოსპობასა და დიდი ერების გაბატონებას თვლიდა; გარდაუვლად მიაჩნდა მცირე ერების დიდ ერთან შერწყმა და მცირე ერების ენათა გაქრობა. როგორც ითქვა, გაბრიელ ეპისკოპოსი აღაშფოთა ამ დიდმპყრობელურმა „თეორიამ“, იგი მაშინვე გამოეხმაურა მკაცრად და დასაბუთებულად. „ორი სრულიად სხვადასხვაგვარი ენა შეერთდეს, თან მცირე ხალხი... გარეშე ყოვლისა იძულებისა, განქარდეს და მის მაგიერად სრულიად სხვაგვარის ენა მიიღოს, რაც გინდ მცირე იყოს ის ხალხი, ეს შეუძლებელია“. მომეტებულ დეცენტრალიზაციას იქნებ თავისი უარყოფითი მხარე ჰქონდეს, წერს იგი, „მაგრამ ისევ ისა სჯობია პირველს, ე. ი. ცენტრალიზაციას“. შენ ამტკიცებ, „სულყველა მცირე ხალხის ენები განქარდეს, მხოლოდ სახელმწიფო გამაგრდესო. მაგრამ სახელმწიფო ამით ვერ გამაგრდება“. და ჯონ მილის თხზულებას შეახსენებს თავისუფლებაზე: გაიხსენე „მესამე თავი, სადაც ის უცხოთ ამტკიცებს, რომ ინდივიდუალობა, ე. ი. ყოველი საკუთარი განმასხვავებელი თვისება, ხასიათი — საჭირონი არიან

ყოველი კაცისა (მაშასადამე ხალხის) კეთილმდგომარეობისა და ბედნიერებისათვის. ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა; მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასეა, მაშინ ენის გამოცვლა არც ვცირე ხალხს არგებს და არც დიდი ხალხისათვის არის სასურველი"...

გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

„...გმადლობს შენ ენაცა მშობლიური, ენა, რომელიც მდიდარი ჰყავ შენ ქადაგებითა შენითა, რომლისთვისაცა ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელთა პირთა, რომელთაცა ენა პეტრიწისა, გიორგი მთაწმინდელისა... უარჰყვეს... შენ გამოესარჩლე ჩვენს ენას, როდესაც ერთმა დიდმა პირმა უქადაგა ამ ენას სიკვდილი"... ასე მიმართავდნენ მას გამოთხოვების ჟამს, თუმცა იმ პაექრობის შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა.

და მივადექით კიდეც დასასრულს.

გარდაიცვალა გაბრიელ ეპისკოპოსი 1896 წლის 25 იანვარს. დიდი ზამთარი იყო, დიდთოვლობა. სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ხალხი დიდი თოვლის გამო ვერ ჩამოვიდოდა და ამიტომ დაკრძალვა 10 მარტისთვის დანიშნეს. ამ დროისათვის თოვლი აიღო, ცოტათი დათბა კიდეც, ქუთაისს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან უამრავი ხალხი მოაწყდა და დანიშნულ დღეს — 10 მარტს მრავალნაღვაწი, ვალმოხდილი ადამიანი გელათის უძველეს ტაძარში დაკრძალეს. დაკრძალვაზე თბილისიდან ჩამობრძანდა ილია ჭავჭავაძე და გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. ზოგი ნაწყვეტი ამ სიტყვიდან ზემოთ უკვე მოვიტანე და კიდევ მოვიტან რამდენიმე სტრიქონს:

„დღეს სამუდამოდ კეთხოვებით იმისთანა დიდბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. „ნეტავი იმასაო, — ამბობს ერთი ძველად-ძველი ბრძენი, — ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო". აი, ჩვენს წინაშე მდებარეა იგი მაღლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც კი გვწვრთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი... სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიჰადლებული

ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა, რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე. ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისაო, ამბობდა განსვენებული და ამიტომაც იგი ქრისტეს ჯვარით თავგამოდებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად"...

მარტო სახელის ხსენებითაც გვწვრთნისო, ილია ჭავჭავაძე ბრძანებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სპეტაკი და უმწიკვლო ცხოვრება მაგალითად უნდა ჰქონდეთ ადამიანებს. მაგრამ თუკი ის, მიწაში ჩაფლული განძივით, უხილავი და დაფარული იქნება ხალხისათვის, რაღა თქმა უნდა, არც წვრთნისა და ზემოქმედების უნარი ექნება. თითქმის არაფერი იწერება გაბრიელ ქიქოძეზე. ან რომელიმე მეცნიერი ან ლიტერატორი იძულებული იქნება ახსენოს, უსათუოდ მის სამეცნიერო ნაშრომზე გააჩეხვილებს ყურადღებას, თითქოს მეორე მხარე მისი დიდი მოღვაწეობისა, მისი დაუცხრომელი ღვაწლი ხალხის სულიერი და ზნეობრივი განწმენდისა და ამაღლებისათვის, ნაკლები მნიშვნელობისა იყოს. ყოველნაირად ცდილობდნენ შთამომავლობისათვის დაევიწყებინათ მისი სახელი. მშობლიურ სოფელშივე დიდებული ეკლესია ხომ დაუნგრიეს, მის დაარსებულ სკოლასაც ორჯონიკიძის სახელი შეარქვეს. ამის მიზეზი ყველასათვის გასაგებია. მაგრამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს მისმა სასულიერო წოდებამ, ისევე როგორც ბელს არ გვიშლის გრიგოლ ხანძთელისა თუ გიორგი მთაწმინდელის ბერობა, მისი ცხოვრება საფუძვლიანად იცოდეს მომავალმა თაობებმა, რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, იყო „შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და მაშასადამე იცოდა, რა ტკივილი იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს"...

ეს წერილი მხოლოდ ცდაა ასეთი შეხსენებისა. მის მოღვაწეობას ღრმა შესწავლა სჭირდება.

1986 წ.

ვინც პავლე ინგოროყვას ახლოს არ იცნობდა, იქნებ ეს დაუჯერებელიც მოეჩვენოს: ამ შეუპოვარ კაცს ადამიანებთან ურთიერთობაში საოცრად რბილი ხასიათი ჰქონდა, ბავშვსა ჰგავდა, და თუ შეგატყობდა, მისდამი კეთილად განწყობილი იყავი, ბავშვივით მოგეკეროდა, მოგენდობოდა... ადამიანებთან კეთილ ურთიერთობას დანატრებული კაცივით, სულ შენთან ყოფნა უნდოდა და თავისი ნააზრევის გაცნობას ეშურებოდა. მოვიდოდა, გახსნიდა თავის დიდ, მძიმე პორთფელს და, სანამ წინა ღამისა თუ წინა დღეების ნაწერს ამოიღებდა, ჯერ დიდხანს ეძებდა, ეძებდა... ან დაასწყისი გაებნეოდა, ან — ბუდან რომელიღაც ფურცელი... ამოალაგებდა ქაღალდებს და სათითაოდ ფურცლავდა... ერთჯერ, ორჯერ... მერე, უკვე შემცბარი და დაბნეული, ხან თავში ეძებდა, ხან ბოლოში, არეულად... დრო გადიოდა და ბატონ პავლეს აშკარად შეშფოთება ეტყობოდა. თანდათანობით დაიძაბებოდა, ეძებდა უკვე ჩქარა, ნერვიულად... თითქოს ცოტა შიშითაც, ხომ არაფერი დაიკარგაო... და ეს დაძაბულობა თანდათანობით თქვენც გადმოგედებოდათ. გინდოდათ დახმარებოდით და არაფერი შეგეძლოთ. ამ დროს იგი წამომდგარია, მხრებში მოხრილი. დაფიქრებით შემოგხედავს, თითქოს იგონებს, სად შეიძლებოდა დაკარგულიყოო... და ბოლოს — როდის, როდის — მიაგნებს. ერთბაშად შვებით ამოისუნთქავს, გაბრწყინებული თვალებით შემოგხედავს, ხელის მტევნებს ჯაშლის და ორივე ხელს ამ ფურცლებს დაადებს, ნუ გეშინია, ყველაფერი აქ არისო.

ამას არ გეტყვის, ისე გაგრძნობინებს.

ეს თითქმის ყოველთვის ასე ხდებოდა, თითქოს სავალდებულო რიტუალი იყო.

ნელა დაეშვებოდა სკამზე, ხელს წამოსწევდა... ახლა უნდა გაიხსნას ახალი სამყარო და თქვენ ბედმა გარგუნათ ამის პირველმხილველი და მოწმე გახდეთ. ამ აზრს გამოხატავდა მისი საოცრად მოწყალე თვალები, მისი კეთილად ირონიული სახე, იმ სამყაროში შესასვლელად მომზადებული მთელი მისი სხეული. არა, ის ამ დროს გოროზი არ ყოფილა, არც იმის მოსურნე — თავისი ახალალმოჩენით გაეკვირვებინე. იგი ამ დროს ნეტარი იყო, ამ სიტყვის უველაზე კარგი და ძველი გაგებით... იგი თითქოს ამქვეყნად უკვე

აღარც იყო, თუმცა გვერდით გეჯდა — ძალიან მიწიერი, ძალიან უბრალო...

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხდება დაწესებულებაში და თუმცა მდივანი გაფრთხილებულია, არავინ შემოუშვას, მაინც ვაიღება კარი და შემოდის... ზოგჯერ ისეთი კაცი, რომელსაც წესით დიდი ღვაწლი უნდა ახსოვდეს პავლე ინგოროყვასი. მაგრამ ადამიანურ სისუსტეს ვერ მორევია და არასაკადრისი უმადურობა გამოუჩენია მის მიმართ.

პავლე ერთბაშად შეიცვლება, ის ნეტარი ნათელი, რაც მას თითქოს შარავანდად ადგა, ხელადვე გაქრება, საცოდავი გახდება, სახეზე გაკვირვება გამოეხატება. არა სიძულვილი, არა ბრაზი და გაგულისება, არა მღელვარება, არამედ უცოდველი გაკვირვება. იგი მაგიდიდან ხელს აიღებს, თვითონაც წამოდგება — არა მძაფრად, არა გამომწვევად, არა პროტესტით, არამედ თითქოს მხოლოდ იმის შეგნებით, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელი არ შეგიშალოს — და ფანჯარას მიადგება, ქუჩას გაჰყურებს... ის კაციც ვეღარ არის თავის ქერქში, ვინც ახლა ასე მოულოდნელად შემოიჭრა, მასაც რაღაც შეაწუხებს — იქნებ საკუთარი უმადურობის შეგნება, ან იქნებ ამ ადამიანის საოცარი მიმტევებლობა დათრგუნავს — და მალევე გავა... შენ ბოდიშს მოუხდი ბატონ პავლეს, ის მაშინვე შეგაჩერებს, ხელს რბილად დაგადებს მხარზე ან მკლავზე, სადაც მოუხდება — იგი ხომ შენს გვერდით ზის, სულ ახლოს, მისი გაძნელებული სუნთქვა გესმის — და აქეთ გამშვიდებს: სამსახური გაქვს, შენი საქმე გაქვს, მე არსად მეჩქარებაო, გეტყვის. სახეზე ერთი ნერვიც კი არ გამოხატავს იმ კაცის მიმართ არაკეთილ დამოკიდებულებას. ცუდს არ დაიმახსოვრებს. ყველას მიმართ მიმტევებელია. უფრო მწარე შემთხვევაც ბევრი ახსოვს. ერთხელ, ომის დროს, როცა გერმანელები კავკასიას მოადგნენ, ხმა გავრცელდა — ერთმა ვიწრო ჯგუფმა დასახვრეტი ხალხის სია შეადგინაო: თუ გერმანელები კავკასიონის გადმოლახვას მოახერხებდნენ, უნდა მოესწროთ და ეს ხალხი დაეხვრიტათ, როგორც არაკეთილსაიმედონი. და ამ სიაში პირველი პავლე ინგოროყვა ეწერაო. რამდენად მართალი იყო ეს ხმა, ვინ იცის. მაგრამ დაბეჯითებით ამბობდნენ და საზოგადოება აღშფოთებული იყო. ბატონი პავლეს მაშინ-

დელი რეაქცია არ მახსოვს, მაშინ არ ვიცნობდი, მხოლოდ შორიდან ვხედავდი. მაგრამ, როცა გავიცანი და დავუახლოვდი, ეს აღმაშფოთებელი ამბავიც არასოდეს გაუხსენებია. ზოგჯერ შეახსენებდნენ კიდეც, მაგრამ მიმტევებლად გაიღიმებდა და თქმით კი არაფერს იტყოდა. საერთოდ, არც ახლა და არც როდესმე მას ცუდი არ დაცდება არავის მიმართ. ეს შეუძლებელია, ეს არ მომხდარა. ზოგჯერ თუ შეჰკადრებენ თანაგრძნობის სიტყვას, როცა ვინმე უღირსი საჯაროდ გამოვა მის წინააღმდეგ, მაშინვე შეაჩერებს — არა იმ აზრით, თითქოს გახსენება არ სიამოვნებდეს, არამედ იმიტომ, რომ წვრილმანად მიაჩნია (რატომ უნდა იფუჭებდე ადამიანი გუნებას იმით, რაც არარაობაა, რაზეც წუთის გაცდენაც არ ღირს!) — „იმ ბედნიერებას არ მივანიჭებ, რომ ჩემი პასუხის ღირსად გავხადო“. ღიმილით იტყვის ამას, თითქოს გეხუმრება, მაგრამ გულის სიღრმეში ასე სწამს და ასე სჯერა...

შეწყვეტილი საუბარი კი გრძელდება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ბატონი პავლე თავის ქაღალდებზე დააწყობს ხელებს მშვიდად, თითქოს შენც გამშვიდებს, კვლავ იმ განწყობილებას გიბრუნებს, მერე თავს ოდნავ წამოწევს და... იწყება. მას მართლაც ახალ სამყაროში შეჰყავხარ. მოჯადოებული ხარ აზრის სინათლითა და ლოგიკურობით, მთხრობელის შინაგანი ფარული მგზნებარებით, რაც არც ხმაში გამოსჭვივის, არც მეტყველების რიტმსა და მანერაში, არც მის სახეზეა აღბეჭდილი... ამას რაღაც იდუმალი ძალით გაგრძნობინებს. მაგნიტის მიზიდულობით მიჰყვები სიტყვებს, აზრს, იგი მოგატარებს იმ ახალ სამყაროს — გამაღლებს, გულს სიხარულით გივსებს, ძალას გმატებს...

დაამთავრებს, გაშლილ ხელებს კვლავ ქაღალდებზე დააწყობს და იმ ადამიანის დაღლილი ღიმილით შემოგხედავს, რომელსაც გულში დიდი ხნის ნატარები აზრი ეს-ეს არის ჩამოუყალიბებია და ქაღალდზე გადაუტანია. არა, შენი აზრი არ აინტერესებს. მან ისედაც იცის, რომ ძალიან მოგეწონა. იგი თითქმის ვერც კი გხედავს შენ, თუმცა ალერსიანი ღიმილით შემოგცქერის. შენც ვერ მოგიხერხებია დაარღვიო ეს ნეტარების წუთები. ვერც კი გრძნობ, რამდენი დრო გავიდა. თვითონვე გამოერკვევა, ხელებს მოიფშვნეტს და უკვე განსხვავებული ხმით — მშვიდად, საკუთარი ღვაწლის შეგნებით, მაგრამ არა მედიდურად. არა თავმოწონებით — იტყვის: „ამრიგად, ჩემო მეგობარო, ქართველ ხალხს უკვე აქვს ბა-

რათაშვილის სრული ბიოგრაფია“ (თუ ამ დროს მან ბარათაშვილის ბიოგრაფია წაგიკითხათ).

ასეთი ჩვეულება ჰქონდა — როცა რაიმეს დაწერდა, უსათუოდ უნდა წაეკითხა სხვებისთვის. როგორც უკვე ითქვა, მისდამი კეთილად განწყობილი ადამიანებისათვის. ამასთან, არასოდეს არ მოითხოვდა, შენი აზრი გამოგეთქვა. ამისთვის არ გიკითხავდა. არც იმისთვის, რომ კითხვის დროს გზადაგზა ახალი აზრი გასჩენოდა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, და ჩაესწორებინა. არა, ეს უკვე საბოლოო იყო. ამის შემდეგ იგი აღარ ასწორებდა. ერთხელაც არ მახსოვს, ასეთი წაკითხვის დროს რაიმე ჩაესწორებინოს, ან არა-და, თუნდაც ოდნავ შეცვლილი დაებეჭდოს ის, რასაც თქვენ ხმამაღლა წაგიკითხავდათ. სწორება და წვალება მანამდე იყო. თქვენ ხედავდით, როგორ მალ-მალე მოიშველიებდა ცალკე, მომცრო ფურცლებზე დაწერილ ჩანართებს ძირითად ტექსტში, და ამითაც დარწმუნდებოდით, რომ ისე იოლად და ისეთი სილაღით არ იწერებოდა ეს თხზულებანი, რა სილაღითაც ახლა თავად კითხულობდა. ასეთი სილაღით საერთოდ არაფერი დაწერილა ქვეყნად; რაც კი რამ კარგია, ყველაფერი წვალებით იწერება. ლაღად მხოლოდ ის იწერება, რასაც შემდეგ ასეთივე სილაღით ველარავინ კითხულობს. როცა პავლე ინგოროყვა თავის ახალ დაწერილ თხზულებას გიკითხავდა, ეს იყო მისი პირველი დიდი სიხარული, საქმის დასრულების სიხარული. და ამ სიხარულს უზიარებდა იგი თავის მეგობრებს. ეს იყო ერთგვარი ზეიმი: თუ ტლანქი არ გამოვა ეს შედარება — რთველის სიხარული; ტანჯვით მოწეული ჭირნახულის აღებისა და დაბინავების სიხარული. სწორედ ასეთი საზეიმო განწყობილება დაუფლებოდა მას ამ დროს და შეგეძლოთ თავადვე გეგრძნოთ ეს საზეიმო განწყობილება, მანამდე, სანამ პორთფელს გახსნიდა და თავის ფოლიანტებს ამოალაგებდა ამ დროს იგი გამართული მოდიოდა ქუჩაში, თითქოს ძალა მოემატაო. თავისი მძიმე პორთფელიც თითქოს უფრო მსუბუქად ეჭირა ხელში. ნაბიჯი მხნე და მტკიცე გახდომოდა, სახეზე ნათელი დაჰფენოდა. ვინ იცის, რამდენჯერ განუცდია მას ასეთი სიხარული. ამის ჩამოთვლა ძნელი იქნება. ალბათ შეუძლებელიც. ამ სიხარულს სულ სხვადასხვა თაობის ხალხი მოსწრებია.

პავლე ინგოროყვა ბავშვობიდანვე დაინტერესდა საქართველოს ისტორიითა და ძველი ქართული ლიტერატურით. ჯერ ისევ სავ-

სებით ახალგაზრდა, ძველი ქართული მწერლობის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა და უკვე 1913 წელს პირველივე ნაშრომი გამოაქვეყნა — „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“. პავლე ინგოროყვასათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო დიდი მშობლიური კულტურის მაღალი რწმენა, რაც, რაღა თქმა უნდა, სავსებით გამორიცხავდა ყოველგვარი ეროვნული ნიჰილიზმის გამოვლინებას. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ეს საშინელი სენი დროდადრო იფეთქებდა ხოლმე და მისი ბაცილების მატარებლები ბევრჯერ პავლე ინგოროყვასაც დაპირისპირებიან. პავლე ინგოროყვას თამამი ჰიპოთეზები დამყარებულია არა უსაქნო და მყვირალა პატრიოტიზმზე; იგი დამყარებულია თავისი ხალხის კულტურის ღრმა ცოდნაზე, და იმ შესაშურ თვისებაზე, რომ საკვლევ საგანს ვიწროდ, შეზღუდული პერსპექტივით კი არ უყურებს, არამედ ამ დიდი კულტურის მაღალი გადასახედიდან. კვლევის დროს იქნებ ზოგი რამ არ იყოს ზუსტად ჩამოყალიბებული, ზოგიერთი დებულება იქნებ გადაჭარბებულად თამამი მოგვეჩვენოს, ზოგი საკითხი შემდგომი კვლევის დროს დაზუსტებას მოითხოვდეს, მაგრამ მიმართულება ამ კვლევისა მუდამ სწორია. არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგი დებულება დღეს, კვლევის დღევანდელ დონეზე მოგვეჩვენოს მეტისმეტად თამამად, და მისი სრული სისწორე მხოლოდ შემდეგ გახდეს აშკარა, როცა ქართული კულტურა თლიანობაში გაანალიზდება და შეისწავლება. ჩვენ ხომ ჯერ მხოლოდ ვიწყებთ ამ დიდი კულტურის შესწავლას.

პავლე ინგოროყვამ, ერთ-ერთმა პირველმა, თამამად და გადაჭრით წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ქართული ლიტერატურა გაცილებით უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლის მიხედვით ვათარიღებთ, რომ მისი ასაკი ქრისტიანობის წინადროინდელ ხანაში უნდა ვეძიოთ; აქედანვე გამომდინარეობს მეორე მნიშვნელოვანი დებულება, რომ საერო მწერლობის დასაწყისი გაცილებით შორს უნდა მოვიძიოთ, ვიდრე ეს დღემდე მცდარად იყო დაკანონებული, და რომ ქრისტიანულ სასულიერო მწერლობაში კი არ ჩაისახა ქართული საერო ლიტერატურა, არამედ ძველი ქართული საერო მწერლობის ერთ-ერთი ვანშტოებაა ქრისტიანული სასულიერო ლიტერატურა... რა თქმა უნდა, ძალიან თამამად მოეჩვენება ადამიანს — და ეს სითამამე ბევრს აღიზიანებს კიდეც — როცა პავლე ინგოროყვა უძველეს ქართულ ლიტე-

რატურას „ახალს“ უწოდებს. „წინაქრისტიანული ქართული მწერლობის გავლენა, ბუნებრივია, უკვალოდ ვერ გაქრებოდა და ეს გავლენა მოჩანს კიდეც მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაში, — წერს იგი, — ახალმა ქართულმა ლიტერატურამ, რომელიც მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობის საფუძველზე წარმოიშვა, შეითვისა ძველი „წარმართული“ მწერლობიდან როგორც ანბანი, ისე, ჩანს, ზოგიერთი ლიტერატურული ტრადიციებიც (ცერძოდ, ტრადიცია საერო მხატვრული მწერლობისა). შეითვისა ამ ახალმა ლიტერატურამ ძველი ლიტერატურიდან სავსებით დამუშავებული, უაღრესად მდიდარი სალიტერატურო ენა“.

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ პავლე ინგოროყვა იზიარებს ივანე ჯავახიშვილის ჰიპოთეზას ქართული ანბანის შექმნის თარიღთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ ივანე ჯავახიშვილი პატივისცემითა და ნდობით ეკიდება პავლე ინგოროყვას დებულებებს და ხშირად იმოწმებს თავის შრომებში.

საერთოდ, ყოველი მისი გამოკვლევა — თავისებური აღმოჩენა იყო. აღმოჩენა იმისა, რაც არსებობდა და მხოლოდ მისი მახვილი თვალი სჭირდებოდა, რათა ახლებურად გაეანათებინა, ახლებურად წარმოეჩინა; თითქოს უჩვეულოდ და საჩოთიროდაც კი, მაგრამ ლოგიკურად, მეცნიერული დასაბუთებით. ასეთ „აღმოჩენებს“ ყოველთვის პოეტის თვალი და ალღო სჭირდება, და პავლე ინგოროყვა განგებამ დააჯილდოვა ასეთი თვალითა და ალღოთი.

სულ პირველად პავლე ინგოროყვას სახელი „რუსთველიანათი“ გავიგონე-ამ საოცარი თხზულებით. როცა ეს თხზულება გამოქვეყნდა, პატარა ვიყავი და მესმოდა, როგორ მოიხსენიებდნენ ხოლმე ყოველგვარ ვითარებაში — ბუხართან, მყუდრო საუბარში, სუფრაზე, გზაში. ქებით-მეთქი, რომ ვთქვა, ეს არ იქნება ზუსტად განსაზღვრა იმისა, როგორც ამ თხზულებასა და მის ავტორს ახსენებდნენ. ალბათ უფრო სწორად გამოვხატავ იმ განცდას, თუ ვიტყვი — გაკვირვებითა და სასოებით-მეთქი. ჩვეულებრივ, გამოვა რაიმე თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წიგნი, საზოგადოებას ააღელვებს, ააბობოქრებს და ისევ მალე მიწყნარდება. „რუსთველიანით“ გატაცება უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა. ჩემი თაობის ცნობიერებაში იგი გვიან შემოვიდა — წიგნი დიდი ხნის გამოსული იყო. მაგრამ ხალხში ის პირველი აღტაცება მაინც არ დამცხ-

რალიყო, თუმცაღა სკეპტიციზმის ბაცილები — რაც ჩვენში, სამწუხაროდ, ადრე თუ გვიან, ყველა დიდ საქმეს უსათუოდ მოედება ხოლმე — უკვე თხელ ფენად მოსდებოდა. ამგვარად, ეს წიგნი ლეგენდასავით შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ წაკითხვას შევიძლებდით.

ლეგენდასავით იყო „გიორგი მერჩულეც“, ეს ფუხდამენტური გამოკვლევა, რომელიც ტიტანურ ნიჭსა და შრომას მოითხოვდა და რომელშიაც ერთნაირი სიძლიერით გამოჩნდა პავლე ინგოროყვას, როგორც საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის დიდი მკვლევარის, ალღო და ერუდიცია. უამწიგნოდ უკვე ძნელი წარმოსადგენია ჩვენი ისტორიოგრაფია და ლიტერატურათმცოდნეობა. აქ მკვლევარმა ძველი ელვარება დაუბრუნა უძველესი ქართული პოეზიის მანამდე ჩრდილში მოქცეულ ფურცლებს... ეს დიდი შრომა სათანადო გაანალიზებასა და შეფასებას ელის. სიმონ ყაუხჩიშვილისა და მიქელ თარხნიშვილის წერილები მხოლოდ დასაწყისია ამ შეფასებისა.

ხალხში გავრცელებულია ხმა, რომ პავლე ინგოროყვამ ამ დიდი წიგნის ჰონორარზე უარი თქვა, რათა პატარა გამომცემლობისთვის ზარალი არ მიეყენებინა. საოცარია! ამ დროს მას პურის ფულიც საძებნელი ჰქონდა.

ჩამოთვლაც კი ძნელია ამ დიდებული კაცის ღვაწლისა. მისი ინტერესების სფერო ისეთივე ფართო და მრავალფეროვანია, როგორც ნიჭი მისი. პავლე ინგოროყვა, ადრე თუ გვიან, ჩვენი კულტურის უდიდეს განძს — ძველ ქართულ საგალობლებს და სანოტო სისტემას უნდა მისდგომოდა, მის საოცარ ალღოს საუკუნეობით დადუმებული ბგერები უნდა აეყღერებინა. მთელი სიცოცხლე აწვალებდა ეს დიდი საიდუმლო და უკვე მოხუცი იყო, როცა თითქოს მიაგნო. მაგრამ აქ მარტო მიგნება არა კმაროდა. ეს ისეთი განძი არ იყო, რომლის საუკუნეობით დახშული კარი, არაბული ზღაპრისა არ იყოს, ორსიტყვიანი მოწოდებით შეიძლებოდა გახსნილიყო. აქ დიდი ენერგია და შრომა იყო საჭირო. საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, თანადგომა და მხარდაჭერა.

პირველმა მიგნებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი სენსაცია გამოიწვია. მას გამოუჩნდნენ როგორც მხარდამჭერნი, ასევე მოწინააღმდეგენი. გაიმართა მწვავე პაექრობანი, რაც ხშირად სცილდებოდა კონკრეტულ საგანზე მსჯელობას და სულ სხვა არა-

სასურველი პათოსი ეძლეოდა. სენსაცია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, უცხოეთის შორეულ ქვეყნებსაც მისწვდა. მკვლევარმა ერთხელ მაჩვენა იაპონიიდან გამოგზავნილი აღფრთოვანებული წერილი, რომელიც ის-იყო მიეღო. ასეთი წერილები განუწყვეტლივ მოსდიოდა. და, სხვათა შორის, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად სრულყოფილი იყო აღმოჩენა, კეთილი საქმე კეთდებოდა— სულ უფრო და უფრო იზრდებოდა დაინტერესება დიდებული ქართული მუსიკით, სულ უფრო და უფრო მეტ მეგობარსა და დამფასებელს იძენდა ის... მაგრამ ძველი ნოტების საიდუმლოს შემდგომ გახსნასა და შესწავლას ამ გაუთვალისწინებელმა და თვით მკვლევარისთვისაც კი მოულოდნელმა აჟიოტაჟმა ხელი შეუშალა. ამ უჩვეულო დაინტერესების ფართო გეოგრაფიამ, ეტყობა, შეაკართო მოხუცი კაცი, მოწინააღმდეგეთა მძაფრმა შემოტევამ კი— თითქოს დააბნია... სენსაცია ხშირად ვნებს საქმეს. ეტყობა, იჩქარა მკვლევარმა. იქნებ ჯობდა თავად ბოლომდე მიეყვანა საქმე და აღმოჩენის საიდუმლო მერე გაემჟღავნებინა. როგორც ითქვა, უკვე მოხუცი გახლდათ და ენერგიაც აღარ ეყო, ერთმანეთის საწინააღმდეგო ემოციათა ჭიდილს მორეოდა და საქმე ბოლომდე მიეყვანა.

საშინელ სენს სულ დაეცხრილა მისი ფილტვები და საკვირველი ის იყო, როგორღა სუნთქავდა, როგორ სულდგმულობდა. სული აცოცხლებდაო, ოთარ ჩხეიძე წერს. და ეს ძალიან მარჯვე გამოთქმაა. სხეულს თითქოს მართლაც შეეწყვიტა არსებობა და მხოლოდღა სული აძლებინებდა.

და სწუხდა, რომ ძალა აღარ შესწევდა დაწყებული საქმის დამთავრებისა. დარდი გაჰყვა კიდევ ერთი დიდი ნაშრომისა — ხეთური გრამატიკისა, რომლის გამოქვეყნება ვერა და ვერ მოახერხა. ნაშრომი გზას კვალავდა ქართველი ერის შორეული სათავეებისაკენ. თრთოლვით გვიკითხავდა ხოლმე ამ წიგნის ცალკეულ ფურცლებს. მახსოვს, ერთხელ კვირა დღეს მიგვიწვია სამი კაცი მწერალთა კავშირში და დილიდან მოკიდებული შუადღემდე ჩვეული გატაცებით გვიკითხავდა...

ზემოთაც ითქვა: ყველაფრის აღნუსხვა, რაც პავლე ინგოროყვას თავისი ერის კულტურისათვის შეუძენია, ძალიან ძნელია. მე მახსოვს როგორ მუშაობდა იგი ილია ჭავჭავაძის ბოლო ათტომეულის გამოცემაზე, რომელიც დღეისათვის ყველაზე სრულად ითვ-

ლება. საქმე, რასაც, ჩვეულებრივ, ხალხმრავალი დაწესებულებები ძლივს აუდიან, და ხშირად ხეირიანად ვერც კი ართმევენ თავს,— ამის მაგალითები მრავლად ვიცით — ერთმა კაცმა გააკეთა. მაშინ ყოველდღიურად შეგეძლოთ გენახათ, როგორ დადიოდა იგი ჩვეული აჩქარებული ნაბიჯით არქივიდან — საჯარო ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკიდან — მუზეუმებში და ახალ-ახალ მასალებს ავლენდა დიდი მწერლის ცხოვრებიდან, შემოქმედებიდან. თავის დიდ პორთფელში ჰქონდა მოქცეული ეს მასალები; მივიდოდა, მოიძიებდა, შეავსებდა — ოპერატიულად, საქმიანად. და ფრთხილად, დიდი პასუხისმგებლობით. მოუკითხავი და მიუკვლეველი არ დარჩებოდა, თუკი სადმე რაიმე ეგულებოდა. ერთ-ერთი ტომის გამოცემის დროს საღღაც წასწყდომია ილია ჭავჭავაძის წერილს თავისი გამომცემლისადმი. ეს ის დროა, როცა ილიასა და მაჩაბლის ურთიერთობა გამწვავებულია. და ილია თავის გამომცემელსა სწერს — ჩემს თხზულებათა კრებულში (რომელიც იმ დროს გამოდიოდა) სიამოვნებით შევიტანდი „მეფე ლირის“ თარგმანს, მაჩაბელს თუ არ დარჩება საწყენად; და იქნებ ჰკითხო მაჩაბელს, ნებას თუ დაგვრთავსო. აი, ამ წერილს წააწყდა პავლე ინგოროყვა, ამ წერილმა დააინტერესა ახალი გამომცემელი. დიდი იყო ცთუნება, ახლა მაინც შესრულებულიყო ილია ჭავჭავაძის სურვილი და „მეფე ლირის“ თარგმანი ამ ათტომეულში შეეტანათ. მაგრამ მწერლის სიცოცხლეში რომ ვერ მოხერხდა ეს! იქნებ მაჩაბელმა არ დართო ნება და იმიტომ!.. იმ დროს მე სწორედ წიგნსა ვწერდი მაჩაბელზე, მუზეუმებსა და არქივებში ვმუშაობდი და ბატონმა პავლემ მკითხა, ხომ არ წაწყდომიხარ რაიმე საბუთს, ამ საქმისადმი მაჩაბლის დამოკიდებულება რომ მეღავნებოდესო. ასეთი ცნობა თითქოს არ არსებობს, არსად წავწყდომივარ, და პავლე ინგოროყვამაც თავი შეიკავა, თუმცაღა დიდი დანანებით. ეს იმის მაგალითად მოვიტანე, როგორ გაფაციცებით ეძებდა იგი ყოველ ახალ, თუნდაც სულ უმნიშვნელო მასალას მწერლის თხზულებათა ტომეულების გამოცემის დროს. და რა სიფრთხილეს იჩენდა, რა ფაქიზად ეკიდებოდა მწერლის სახელს, მის ნება-სურვილს; რა სკრუპულოზური ანალიზით ხდებოდა ყველა ხელმოუწერელი და სათუო მასალის შერჩევა ტომეულებში შესატანად. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა ჩვენი კულტურის დიდი მოამაგე ქალბატონი თამარ მაჭავარიანი, ეს საოცარი ადამიანი — თავისი საქმის კარგი მცოდნე, ჩუმი, მოკ-

რძალებული, მოღვაწე... მისი წყალობით გამომზეურდა ბევრი ფურცელი ჩვენი კულტურისა, რაც შეიძლებოდა სამუდამოდ დაკარგულიყო. ეს დიდებული მანდილოსანი ყველას დაუზარლად ეხმარებოდა, ქართული კულტურით დაინტერესებულ ყველა ადამიანს, და მით უმეტეს უშურველ დახმარებას უწევდა პაველე ინგოროყვას.

პაველე ინგოროყვასვე უნდა ვუმადლოდეთ აკაკი წერეთლისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სრულ კრებულებს, მათ მომზადებას და გამოცემასაც ხომ ხალხმრავალი ინსტიტუტების ხანგრძლივი შრომა სჭირდება, და ერთმა კაცმა კი მოამზადა და გამოსცა — აკადემიურად, ღირსეულად. წიგნის გამოცემათა თანამედროვე დონეს რომ შეეფერება, ისე.

ამას წინ უძღოდა ორი დიდი ეროვნული საქმე: ჯერ ჟურნალ „კავკასიონის“ და მერე კი გამომცემლობა „ქართული წიგნის“ დაარსება. ერთმაც და მეორემაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთსაც და მეორესაც უდიდესი ერიცხული მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ჭეშმარიტ მწერლობას კლასიკურსაც და თანამედროვესაც — აუფასურებდნენ, როცა მწერლებს სდევნიდნენ; პაველე ინგოროყვამ ჟურნალში თავი მოუყარა სხვადასხვა ვითარებათა გამო დაფანტულ მწერლობას. ძალიან დიდი ხნის დუმილის შემდეგ პირველად სწორედ აქ დაიბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა. ეს იყო მწერლის მეორედ დაბადება. საერთოდ, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მიხეილ ჯავახიშვილის შემდგომი — ესე იგი, ფაქტიურად, მთავარი — სამწერლო მოღვაწეობა, პაველე ინგოროყვას რომ არ მიეწვია იგი თავის ახალდაარსებულ ჟურნალში, რომ არ გაემხნევებინა, საკუთარი თავის რწმენა არ დაებრუნებინა. აქვე დაიბეჭდა დავით კლდიაშვილის მოთხრობები, ერეკლე ტატიშვილის ესეები და თარგმანები, აქ დაიწყო ბეჭდვა შალვა დადიანის „უბედური რუსისა“... აღარ ჩამოვთვლი. ეს იყო ნამდვილი აკადემიური ჟურნალი, როგორიც ჩვენი მწერლობის მაშინდელ დონეს ეკადრებოდა.

ძველი თაობის ადამიანებს ახსოვთ, ახლაც ამშვენებს წიგნის თაროებს ლამაზ ყდაში ჩასმული, მშვენივრად გაფორმებული წიგნები — ილია ჭავჭავაძის ათტომეული (ეს ძველი ათტომეული გახლავთ, უფრო მომცრო ფორმატის წიგნები). აკაკის ოცტომეული, ვაჟას ოთხტომეული, საბას „სიტყვის კონა“, შექსპირის მაჩაბლი-

სეული ტრაგედიები — ორ-ორი ტრაგედია ერთად, და თითო-თითოც ცალ-ცალკე... ეს სულ „ქართული წიგნის“ გამოცემები გახლდათ. ასეთი გამოცემები დღემდე სანატრელია. თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ ის წიგნები იბეჭდებოდა იმ დროს, როცა, აპოლონ წულაძის მარჯვე გამოთქმისა არ იყოს, ჩვენს კლასიკოსებს პასპორტები ჩამორთმეული ჰქონდათ. კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს თითქოს ასწავლიდნენ სკოლებში, მაგრამ იქვე ლანძღავდნენ. გაზეთებში და დიდი თანამდებობის პირთა თუ ფეხსაყოლილი და დაბნეული ახალგაზრდა კრიტიკოსების წიგნუკებში ზედიზედ იბეჭდებოდა მისი განმაქიქებელი და ძაგების წერილები; ყოველნაირად ცდილობდნენ შეეძულებინათ ახალგაზრდობისათვის, და ამ დროს „ქართული წიგნის“ გამოცემები — ლამაზ ყდებში ჩასმული მშვენიერი წიგნები. ამ კლასიკოსებისა — უპირისპირდებოდა, კლდესავით წინაღუდგებოდა უკეთურ ადამიანთა საცარცხვინო გამოხდომებს; თაობებს იხსნიდა საშინელი შეცდომისაგან. გმირობას უდრიდა ესო, რომ ვთქვათ, ცოტა იქნება. ეს გმირობაც იყო და დიდი სიბრძნეც...

ვწერ, ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია მისი ღვაწლის ალნუსხვა-მეთქი, და მაინც აქეთკენ გამირბის ხელი.

გმირობა ვახსენეთ. პავლე ინგოროყვა მართლაც გმირი იყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ოციანი წლების დასაწყისში, იმ არეულ წლებში დიდი საშიშროება დაემუქრა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს. საათები წყვეტდა ქვეყნის ბედს. ბატონ პავლეს უამბნია, როგორ მოიარა ფეხით იმ ბობოქარ დღეებში თითქმის ყოველი მტკაველი იმ მიწა-წყლისა, როგორ თავგანწირვით უხდებოდა დაეცვა საერთაშორისო კომისიაში (რომლის მრჩეველად თუ კონსულტანტად თავად იყო მიწვეული) ყოველი მტკაველი მიწა. ზოგჯერ გაიხსენებდა ხოლმე ამას, ყვებოდა უბრალოდ, სხვა ამბებთან დაკავშირებით, თავისი როლის ხაზგასმელად, თითქოს სულაც არაფერი გაეკეთებინოს. მაგრამ შემდეგ ერთ მოგონებაში წავიკითხეთ, რა თავგანწირვა და გმირობა გამოუჩენია ამ ფიზიკურად სუსტ ადამიანს.

ეს ცოტა უფრო ადრე მოხდა — 1917 წელს. მაშინაც ქვეყნის საზღვრებს ეხებოდა საქმე. გაიანი შემოდგომის ცივ, წვიმიან ამინდში, როცა ზღვაზე ქარიშხალი მძვინვარებდა, საჭირო იყო რაც შეიძლება ჩქარა ჩასულიყვნენ ტრაპიზონს. ორნი იყვნენ, ზღვით

უნდა გამგზავრებულიყვნენ და ნავის შოვნა გაძნელდა, ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნეს ერთ ნავს, მაგრამ მენავე უარზე იყო — ვერ ბედავდა ჭარიშხლიან ზღვაში გასვლას. აიძულეს; იარაღით დაემუქრნენ. როგორც იყო, შევიდნენ ზღვაში, მაგრამ ძალიან ძნელი მგზავრობა შეხვდათ. ტალღები ნაფოტივით აქეთ-იქით ისროდა პატარა ნავს. სასწაულით გადარჩნენ. და ერთი კომიკური სურათიც ახლავს ამ დრამატულ ამბავს: მენავეს შემთხვევით მწვინილი აღმოაჩნდა ნავში და პავლე ინგოროყვა ამ მწვნილმა იხსნა— მალ-მალე მივარდებოდა ხოლმე ქილას, რომ გულისრევა დაეცხრო... სამშვიდობოს რომ ჩავიდნენ, ყველას უკვირდა ვერ დაეჯერებინათ, ამ საშინელ ღელვას როგორ გადაურჩითო.

ეყვარდა სტამბა, სტამბის მუშები, ეს ალალი ადამიანები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, თავგანწირვით ემსახურებიან მშობლიურ კულტურას. პათთან ძალიან კარგად გრძნობდა თავს, იქ ყველა მისი ერთგული იყო, მისდამი კეთილგანწყობილი, რაც ასე ენატრებოდა და რაც ასე სჭირდებოდა ამ სათუთი გულის ადამიანს. შინაურივით შევიდოდა სტამბაში, — ეს მისთვის ყველგან ნებადართული იყო — ყველას გულითადად მიესალმებოდა, ალერსიანად გაუღიმებდა. დამკაბადონებლები, ჰოჰკრავდნენ თუ არა თვალს, რაც უნდა საშური სამუშაო ჰქონოდათ დაზგაზე გაშლილი, მაშინვე გვერდზე გასწევდნენ იმ სამუშაოს და ინგოროყვას წიგნს გადმოიღებდნენ. ბატონ პავლეს ეს ეამაყებოდა. პორთფელს სკამზე ჩამოდებდა, ხელნაწერებს ამოიღებდა, ახლაც ისევე ძებნითა და ჩხრეკით მიაგნებდა საჭირო ფურცლებს და იწყებოდა! იგი გვერდში ედგა დამკაბადონებელს, ყოველი სტრიქონის ჩასწორებას თვალს ადევნებდა, თავადვე გამოიტანდა ხოლმე ლინოტიპზე ჩამოსხულ ცხელ სტრიქონებს და დამკაბადონებელს მიაწვდიდა. და, საოცარია, აქ სტამბის მძიმე ჰაერში, რაც მისი სნეული ფილტვებისათვის ყველაზე მავნებელი იყო, თავს ძალიან კარგად გრძნობდა, საათობით იდგა ხოლმე დაზგასთან ხელებდაკაპიწებული. ასე გამოვიდა ყველა მისი წიგნი. ასე იბეჭდებოდა ის დიდი ტომეულები ილიასი, აკაკისა... იგი არა მარტო წერდა და ადგენდა ამ წიგნებს, არამედ დაბეჭდვაშიაც თავად მონაწილეობდა. ინგოროყვასთან მგობრობა, რაღა თქმა უნდა, სტამბის მუშებსაც საამაყოდ ჰქონდათ.

გულისხმიერი იყო. არც დროს დაიშურებდა, არც ენერგიას, თუკი რითიმე შეეძლო დაგხმარებოდა. „ქართული წიგნის“ გამო-

ცემულ „მეფე ლირს“ წინ, სატიტულო გვერდის შემდეგ, წამძღვარებული ჰქონდა ყველა ქართველისათვის ძვირფასი და საყვარელი ავტოგრაფი, საერთოდ, ისტორიაში ალბათ უნიკალური რამ: ქაღალდის ერთ ფურცელზე, მონაცვლეობით, ორი ადამიანის ხელით ნაწერი სტრიქონები. ეს ორი ხელწერა ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს ეკუთვნის. „მეფე ლირი“ ხომ ერთობლივად თარგმნეს მათ, ჯერ კიდევ ადრე, ახალგაზრდობაში. მაჩაბლის ბიოგრაფიაზე მუშაობის დროს, რაღა თქმა უნდა, გამახსენდა „ქართული წიგნის“ მიერ გამოცემული „მეფე ლირისათვის“ წამძღვარებული ფურცელი. დავიწყე ძებნა. მუზეუმებსა და არქივებში საკმაოდ ბევრი იყო სხვადასხვა პირებისადმი მიწერილი მაჩაბლის პირადი წერილები, მაგრამ თარგმანების ან სტატიების ხელნაწერი თითქმის არა. სულაც არა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სტატიას, რომელიც არასოდეს არ გამოქვეყნებულა. ამგვარად „მეფე ლირის“ ხელნაწერს ვერსად მივაგენი: არ აღმოჩნდა იგი არც მისი ქალიშვილის სახლში. ალბათ ჩვეულებრივი დაუდევრობის გამო დაიკარგა-მეთქი, ბოლოს ვიფიქრე, როგორც ბევრი ძვირფასი ხელნაწერი დაკარგულა ჩვენში. და როცა იმედი თითქმის გადაწურული იყო, მაშინღა მოვიფიქრე, იმ წიგნის გამომცემლისთვის, პავლე ინგოროყვასთვის მეკითხა. ბატონი პავლე დაფიქრდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა. აბა, სახლში დავძებნი, თუმცა არ მეგულებაო. სახლში არ აღმოჩნდა. ყველგან მოიკითხე? ყველგანმეთქი, ვუპასუხე. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაშიაც? მაშინ ხელნაწერების ინსტიტუტი ცალკე არ არსებობდა. იქაც-მეთქი, ვუთხარი. აბა, თამარ მაჭავარიანს ვკითხოთ, იქნებ ის წააწყდა ან ილიას ფონდში, ან სხვაგან სადმე! თამარ მაჭავარიანს მე აღრევე ვკითხე, მაგრამ ვერც იმან მიაგნო...

ბატონი პავლე ახლა თავად დაინტერესდა. ნამდვილად მახსოვს, რომ მთელი რვეული იყო, როგორ შეიძლებოდა დაკარგულიყოო. და ყველა მუზეუმი თუ არქივი მოიარა. ამაოდ. დიდხანს ვერ ელეოდა იმის იმედს, რომ სადმე იპოვიდა, მაგრამ ხელნაწერი არსად არა ჩანდა. და უკვე შეეგუეთ ამ დასანან აზრს. ერთ დილას, ადრიანად, კარზე ვიღაც აკაკუნებს. მერძევე მეგონა, — ასე ადრე მერძევე მოდიოდა ხოლმე. კარი გავაღე და ვხედავ, თვალებგაბრწყინებული ბატონი პავლე დგას.

„ვიპოვნეთ!“ — სალმის მაგივრად ეს მომახარა. ასევე მრავლობით რიცხვში მითხრა, თითქოს მეცა მქონოდეს წილი ამ კეთილ საქმეში, — „ვიპოვნეთ!.. და არა მარტო „მეფე ლირი!“

გაშალა ქაღალდები და მართლაც, „მეფე ლირთან“ ერთად „ანტონიოს და კლეოპატრაც“ აღმოაჩნდა.

„გქონდეს ეს შენ, რამდენ ხანსაც დაგჭირდება, და მერე ჩავაბაროთ, სადაც ჯერ არს“.

ხელნაწერების საიდუმლო კი ასეთი გახლდათ. იმავე ხანებში ალექსანდრე აბაშელი გარდაიცვალა და აბაშელის ქალიშვილმა პავლე ინგოროყვა მიიწვია პოეტის არქივის სანახავად. როგორც ცნობილია, ბატონ პავლეს და ალექსანდრე აბაშელს კეთილი მეგობრობა აკავშირებდათ. და სწორედ აბაშელის არქივში წასწყდომოდა ამ ხელნაწერებს. საქმე ის არის, რომ აბაშელი ერთ დროს პავლე ინგოროყვასთან მოღვაწეობდა გამომცემლობა „ქართულ წიგნში“.

მე უკვე თითქმის დამთავრებული მქონდა წიგნი მაჩაბელზე, მაგრამ წინა თავი ხელახლა გადავამუშავე, ეს ხელნაწერი გამომადგა.

ცხოვრობდა ძერჟინსკის ქუჩაზე, თოთხმეტ ნომერში, ერთი პატარა ბინა ჰქონდა. მძიმედ განიცადა ცოლის გარდაცვალება, ვისთანაც სულიერი მეგობრობით იყო დაკავშირებული. ცოლის ხსოვნას მიუძღვნა „გიორგი მერჩულე“ და ამით უკვდავჰყო მისი ნათელი სახელი. მისი მეუღლე — ქეთევან ბაქრაძე — ცნობილი ლიტერატორი გახლდათ, და სხვათა შორის, მისი თარგმნილია „დავით კოპერფილდი“.

ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამდენი წიგნის ავტორი და გამომცემელი იყო, მაგრამ დიდი შემოსავალი არა ჰქონია. და, რაღა თქმა უნდა, ერთგვარი შვება იქნებოდა — მატერიალურიც და მორალურიც — განხორციელებულიყო ის აზრი, რაც ბუნებრივად მომწიფდა საზოგადოებაში და რასაც თითქოს მხარსაც უჭერდნენ მთავრობაში. საქმე ეხება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევას. ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ორმოცდაათიან წლებში. საზოგადოების ყოველი ფენა აღფრთოვანებით იწონებდა ამ კეთილ აზრს. ანკი როგორ შეიძლებოდა, პავლე ინგოროყვა აკადემიაში არ აერჩიათ! საქმე თითქოს გადაწყვეტილიც იყო. მაგრამ მოწინააღმდეგე მხარე კიდევ უფრო გავლენიანი აღმოჩნდა და

პავლე ინგოროყვა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისთვის აკადემიაში ადგილი არ გამოიძებნა. ნეტა ბევრი ჰყავდათ ამისთანა ხალხი აკადემიაში?! ვერ ვიტყვი, როგორ იმოქმედა ამან პავლე ინგოროყვაზე, ძალიან დაწყდა თუ არა გული. გარეგნულად არ იმჩნევდა, ხუმრობით იტყოდა ხოლმე — აკადემია ძერჟინსკის თოთხმეტ ნომერშიაო. ესე იგი, თავისი სახლის ნომერს ასახელებდა. საქმე ის არის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მაშინ ძერჟინსკის ქუჩაზევე მდებარეობდა, მგონი, მერვე ნომერში.

ახლა ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ბევრს ლაპარაკობენ. მაშინ ეს აკრძალული იყო, ცნობებს არ აქვეყნებდნენ; იქნებ ცოტათი მაინც შველებოდა საქმეს, მრავალი წლის განმავლობაში ასე უცნაურად გასაიდუმლოებული რომ არ ყოფილიყო ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო საკითხი. პავლე ინგოროყვა ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო — ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით — და, ბუნებრივია, ეს პრობლემა მწვავედ აწუხებდა. ზეპირად გეტყოდათ, ქვეყნის რომელ კუთხეში რამდენი მატება ან კლება იყო; გეტყოდათ შედარებით მონაცემებს გარკვეული წლების მიხედვით; გეტყოდათ პროგნოზებს, მოსალოდნელ დემოგრაფიულ ტენდენციებს უახლოეს წლებში, ცალკეული რაიონების მიხედვით. ამაზე ლაპარაკი არასოდეს მოსწყინდებოდა. გვერდზე გაგიყვანდა, პორთფელს გახსნიდა და ათასნაირ რუკებსა და დიაგრამებს ამოიღებდა, სადაც თვალსაჩინოდ იყო ნაჩვენები ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა. შეეძლო ცალკეული სოფლები დაესახელებინა — სად რამდენი ქართული ოჯახი ცხოვრობდა და რა პერსპექტივა ჰქონდა იმ სოფელს... მიკვირდა და ახლაც მიკვირს, როგორ მოიძიებდა იგი ამ ცნობებს, მიკითხავს კიდეც მისთვის და პასუხად მხოლოდ გაუღიმია. საოცარია: ყოველთვის ოპტიმისტური განწყობილება ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა უკვე მძიმე იყო. რას ეფუძნებოდა მისი ოპტიმიზმი, ძნელი სათქმელია. ისე კი ფანატიკური რწმენა ჰქონდა ქართველი ერის გამძლეობისა და ეს რწმენა გადამდები იყო...

— ორმოცდათიანი წლების დასასრულს პავლე ინგოროყვა საცხოვრებლად გოგებაშვილის ქუჩაზე გადავიდა. ბინა აქ, თითქოს შედარებით, უფრო კარგი იყო, მაგრამ გოგებაშვილის ქუჩა, მოგეხსენებათ, მაღალზეა, მთის ძირში და მოხუც კაცს, რომელსაც ხელში მუდამ განუყრელად ეჭირა თავისი მძიმე პორთფელი, ძალიან

უჭირდა ასვლა. უფრო დაბლა და მოსახერხებელ აღგილას მისთვის ბინა ვერ გამოიძებნა. არა-და, დღეში ზოგჯერ რამდენიმეჯერ უწევდა შინ მისვლა... ბოლო წლებში, ისედაც სუნთქვაგაძნელებული ადამიანისთვის სულ უფრო ძნელი გახდა შვეულად დაკიდულ აღმართზე სიარული. დღეში რამდენჯერმე უნდა ასულიყო!.. შინ ხომ ვერ გამოჯდებოდა ბოლომდე აქტიური მოღვაწეობით მცხოვრები ადამიანი — ხშირ-ხშირად უნდა შეეველო მუზეუმებში, ბიბლიოთეკაში, გამომცემლობებში. და ერთი პირობა კულტურის სამინისტროს შეეკედლა. ხშირად ნახავდით იქ ჯერ თენგიზ ბუაჩიძისა და მერე ოთარ თაქთაქიშვილის მინისტრობის დროს. აქ განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს გრძნობდა. ყველა ალერსიანად ეპყრობოდა, ყველა თანამშრომელი კეთილად იყო მისდამი განწყობილი. ბავშვივით გაიხარებდა და გალაღდებოდა ხოლმე. იმ დროს მინისტრის პირველ მოადგილედ აკაკი დვალიშვილი მუშაობდა და ბატონ პავლეს გულითადი მეგობრობა ჰქონდა ამ ახალგაზრდა კაცთან. დვალიშვილმა ცალკე ოთახი გამოუძებნა ბატონ პავლეს სამუშაოდ, თუმცა ოთახების დიდი გაჭირვება იყო. აქ საღამომდე თავისუფლად შეეძლო მუშაობა, ხელს არავინ შეუშლიდა. მაგრამ, საოცარია, ხშირად მაინც დვალიშვილის დიდ კაბინეტში ნახავდით, როცა მინისტრის მოადგილეს თათბირი არ ჰქონდა. ადამიანებთან ახლოს ყოფნა ერჩივნა. მეგობრების სიახლოვე სწყუროდა. კუთხეში მიჯდებოდა თავისთვის და ჩუმად მუშაობდა, ცდილობდა ხელი არ შეეშალა ამ ოთახის პატრონისათვის. კულტურის სამინისტროდან მუზეუმებიც ახლოს იყო, არქივებიც, გამომცემლობებიც და მწერალთა კავშირიც, სადაც დღის რომელიმე მონაკვეთში თითქმის ყოველთვის უნდა შეეველო. და თუმცა აქ თავის ძველ მეგობრებს სულ უფრო იშვიათად ხვდებოდა, — მეგობრები თანდათანობით შემოეცალნენ — მაინც რაღაც იზიდავდა. იქნებ იმავე მეგობრების აჩრდილებიც... იქნებ გაუცნობიერებელი შეგნებაც იმისა, რომ მწერალთა კავშირის დამაარსებელი თვითონვე იყო; იქნებ აქაური მყუდრო ბიბლიოთეკა; ის თავისი სიმყუდროვით განუმეორებელი ბაღიც, რომელიც ბიბლიოთეკას ეკვრის. იქვე სალიტერატურო გაზეთის რედაქცია იყო და მცირე ხნით იქაც უსათუოდ უნდა შეეველო...

როდის იყო ბატონი პავლე უკანასკნელად მწერალთა კავშირში?

ეს ძნელი სათქმელია.

მაგრამ თანდათანობით უკლო სიარულს, სულ უფრო და უფრო იშვიათად გამოჩნდებოდა. მუხლებმა უმტყუნეს, თვალებმაც უმტყუნეს... და ისევ ოთარ ჩხეიძის სიტყვები უნდა მოვიშველიო — სულიღა ამოძრავებდა ამ დაშრეტილ სხეულს. და გვიან, გვიან დადგა ის დღე — პაველე ინგოროყვა უკვე ოთხმოცდაათს მიღწეული იყო — როცა სულიც გაეყარა.

ზოგს სანატრელად მიაჩნია ასეთი გარდაცვალება — როცა ადამიანი ღრმა მოხუცობას მიაღწევს და დამშვიდებული მიდის ამქვეყნიდან, იმის შეგნებით, რომ ყველაფრის გაკეთება მოასწრო, რაც კი დასახული ჰქონდა.

არა მგონია პაველე ინგოროყვა დამშვიდებული წასულიყოს ამქვეყნიდან: მას ბევრი დარჩა ჩაფიქრებული — რის მოსწრებასაც ლამობდა, რაც უნდა გაეკეთებინა.

1988 წ.

## ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან*

სანამ პირადად შეხვდებოდი ერეკლე ტატიშვილს, იგი უკვე გაცნობილი გყავდა ათასნაირი ლეგენდებით. რაღას არ გაიგონებდით: ეს იყო ცხოვრებაზე გულგატეხილი კაცი; თავის დროზე ისეთი რამ შემთხვევია, რომ საბოლოოდ გასცრუებია იმედი და ხელი ჩაუქნევია ყველაფერზე — ამქვეყნიური აღარაფერი სწყამს, ცხოვრობს ერთ პაწაწინა ოთახში, ყველასაგან მოწყვეტილი, განმარტოებით, ახლოს არავის იკარებს. არის ღვთის მორწმუნე და მალულად დადის ეკლესიაში, საეკლესიო საბჭოს წევრიც კია. ეს იმ დროს გმირობა იყო და ძველი მარტვილების თავდადებას უტოლდებოდა. ახალგაზრდობაში უყვარდა ქალი და, რაკი ეს სიყვარული უიღბლო გამოდგა, სამუდამოდ შესძულებია ქალის სახსენებელი. დაუფლებულია რამდენიმე მეცნიერებას (სტამბოლში ექიმადაც უმუშავია), მაგრამ ნიჰილისტია და თვითონვე არაფერი სწყამს იმ მეცნიერებებისა... რამდენიმე უცხო ენა იცის, ძალიან კარგი პედაგოგია, მაგრამ გულჩახვეულია, პირქუში, ცივი, მიუკარებელი, გაუღიმარი...

მგონი ყველაფერი ვერც კი ჩამოვთვალე, რაც იმ წლებში მას-

* ფრაგმენტები „მემუარებიდან".

ზე გამეგონა. ისეთ რომანტიკულ საბურველში ხვევდნენ, რომ უცნაური გრძნობა გეუფლებოდა — თან ფარული შიში გიპყრობდა და თან ესწრაფვოდი მასთან შეხვედრას.

ასეთი შიშით, და ამ შიშით დათრგუნვილი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი წარვსდექი მის წინაშე 1936 წლის 1 სექტემბერს, როგორც მისი სტუდენტი.

იქნებ იმიტომაც, რომ წინასწარ მომზადებული ვიყავი, პირველმა შთაბეჭდილებამ თითქოს დაადასტურა აქამდე გაგონილი— მართლაც პირქუში და გაუცინარი ჩანდა. მაშინვე ის გავიფიქრე— მეტისმეტი სითამამე ხომ არ გამოვიჩინე, რომ ამ ფაკულტეტზე შესვლა გადავწყვიტე-მეთქი. ჯერ შორიდან შევყურებდი, ჯერ აუდიტორიაში არ შევსულიყავი. კარი შეღებული იყო და, რომ შევიხედე, კათედრასთან იჯდა, ადრე მოსულიყო. კარგად ჩანდა მისი სახე. იქვე იდგა ორი უფროსკურსელი სტუდენტი და ქალალდის ფურცლებს ჩაჰყურებდნენ; გაფაციცებით ჩაჰკირკიტებდნენ, რაღაცას ამოწმებდნენ. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ — მათი სმა კარამდე არ აღწევდა. ეცვა ძველებურად შეკერილი ჩესუნჩის კოსტიუმი (ძნელი სათქმელია, როდის იყო შეკერილი, მაგრამ მთელი იმ ათი წლის განმავლობაში, ზაფხულობით, ამ კოსტიუმს იცვამდა და დაძველება არც დასტყობია, მუდამ გაუთოებული და სუფთა ეცვა), პენსნე ეკეთა, შლიაპა იქვე, კათედრაზე იდო. ერთი პირობა წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, შეაღო. საშუალო ტანის კაცი იყო. საშუალოზე ცოტა მომაღლოც. უკვე კარგად შეჭაღარავებული. მაგრამ თმა მხოლოდ საფეთქლებზე შერჩენოდა. ხარბი გაფაციცებით ვადევნებდი თვალს და ყოველ მის მოძრაობას გულში ჩემებურ შეფასებას ვაძლევდი. რომ წამოდგა, მარცხენა ხელი წელზე შემოიდო. ნაბიჯი მოკლე ჰქონდა, არამყარი, და იმაზე მეტი ხნისა ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ დროს იგი ორმოცდაათს ცოტათი თუ იყო გადაცილებული. დროდადრო პენსნეს მოიხსნიდა და აუდიტორიას გადახედავდა: დიდ აუდიტორიაში, კათედრისაგან მოშორებით, მერხებზე ახლები ისხდნენ, პირველკურსელები, რაღაც გაურკვეველის მოლოდინში განაბულები; ჯერ ერთმანეთს არ იცნობდნენ, პირველად შეყრილიყვნენ ერთად და, როგორც ასეთ ვითარებაში ხდება ხოლმე, ცნობისმოყვარეობითა და ჩამოუყალიბებელი ინტერესით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ესენიც ადრე მოსულიყვნენ. ჩემს შემდეგ

მოსულთაგან ზოგი პირდაპირ შევიდა, მერხებზე მსხდომთ შეუერთდა ზოგი კი იქვე იდგა და შეღებული კარიდან იჭვრიტებოდა, შესვლა ვერ გადაეწყვიტა. როგორც იქნა, გაილია ის გაჭიანურებული წუთები. ერთ-ერთმა უფროსკურსელმა თითის მიყოლებით დათვალა აუდიტორიაში მსხდომნი, მერე კარებთან მოვიდა და, შემოდიოდა, გაგვიღიმა. კარებთანაც უკვე საკმაოდ მოგროვილიყვნენ ახლები. როცა ყველანი დავსხედით, ტატიშვილმა კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ მოავლო თვალი მერხებს და თქვა: აბა, ყმაწვილებო, ახლა გავარკვიოთ, ვის რომელ ენაზე სურს...

მაშინ ამაზე არ დავფიქრებულვარ, ეს ალბათ მერე გავიცნობიერე, რომ პირველი, რამაც ამ კაცთან დაკავშირებული დაძაბული მოლოდინი შეარბილა, მისი ხმა იყო. საოცრად ლამაზი ტემბრის დაბალი ბარიტონი ჰქონდა, რაღაცნაირი თანადგომისა და გულითადობის სირბილე დაჰკრავდა, და შეუძლებელი იყო, ამ ხმას კეთილად არ განეწყვე მის მიმართ. საერთოდ, ადამიანის ხმა ერთგვარი პასპორტია, რომელიც პირველი მოსმენისთანავე თითქმის უტყუარად ვადმოგვცემს მის ხასიათსა და ბუნებას... მაგრამ მაშინ, რა თქმა უნდა, ამაზე არ მიფიქრია. მაშინ თითქოს ერთგვარი შვება ვიგრძენი, თითქოს ცოტათი მომეხსნა ის გაუცნობიერებელი დაძაბულობა.

ვის რომელ ენაზე სურსო, რომ იკითხა, ჩვენთვის გასაგები იყო, რას გულისხმობდა. ეს იყო დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის კათედრა — ფრანგულის, გერმანულისა და ინგლისურის განყოფილებებით — და სამივე განყოფილება მაშინ ერთ ჯგუფად ითვლებოდა. ბევრი საგანი — საქართველოს ისტორია, ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, ფსიქოლოგია, ანტიკური ლიტერატურა, დასავლეთ ევროპის ხალხთა ლიტერატურა, მსოფლიო ისტორია, ფილოსოფია, ლათინური ენა და, საერთოდ, ყველა ჰუმანიტარული საგანი ერთად გვეკითხებოდა. რაც შეეხება სპეციალურ ენებსა და ლიტერატურას, ესე იგი — ფრანგულს, გერმანულსა და ინგლისურს — ცალ-ცალკე ასწავლიდნენ და მისი შეკითხვაც ამას ეხებოდა. მართალია, უნივერსიტეტში შესვლისას განცხადებაში თითქმის ყველას ჰქონდა მითითებული, რომელ ენასა და ლიტერატურას ირჩევდა სპეციალობად, მაგრამ ახლა კიდევ ერთხელ ამოწმებდნენ, კიდევ ერთხელ გეძლეოდა საშუალება, შენი გადაწყვეტილება შეგეცვალა. აქ სხვა რამეც უნდა გაერკვიათ. ინგლისურზე

შესვლის მსურველი ძალიან ცოტა იყო; შედიოდნენ, უმთავრესად, გერმანულზე, ნაწილობრივ ფრანგულზეც. ეს ალბათ იმიტომ, რომ საშუალო სკოლებში უმთავრესად გერმანულს ასწავლიდნენ, აქ-იქ ფრანგულსაც, ინგლისურს კი თითქმის არსად. მგონი, სულაც არსად. და ახლა ერთგვარი აგიტაცია იყო საჭირო, რომ გადაენაწილებინათ, ინგლისური განყოფილებაც შეევსოთ. ვსეც უნდა ითქვას, ევროპული ენებისა და ლიტერატურის სექციაზე საერთოდ უხალისოდ შედიოდნენ, ცოტა მსურველი იყო. მაშინ ცალკე ფაკულტეტიც არ არსებობდა, საერთო ფილოლოგიურ ფაკულტეტში შედიოდა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სექცია ერქვა.

ერთი სიტყვით, იმ სიების დაზუსტებისა და კიდევ ერთხელ შემოწმების ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, ინგლისური განყოფილება შეევსოთ. ამას გარდა, იქვე იყვნენ ის ყმაწვილებიც, რომელთაც ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართულ განყოფილებაზე სურდათ შესვლა, მაგრამ რაკი იქ უფრო მეტი კონკურსი იყო, ქულები დაკლებოდათ და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სექციაზე მიეწერათ. ახლა ისიც უნდა გარკვეულიყო, ამათგან ვინ რომელ ენასა და ლიტერატურას ირჩევდა.

ტატიშვილი ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, მაგრამ ამავე დროს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის კათედრის გამგე იყო — სამივე ენა ჩინებულად იცოდა — და ამიტომ ცალკეული ენებისა და ლიტერატურის მიხედვით სწორედ ის ანაწილებდა — რაღა თქმა უნდა, სტუდენტების სურვილის მიხედვით.

როგორც იყო, მორჩნენ სიების დაზუსტებას, ამასობაში ზარიც დაირეკა. ასე დამთავრდა ჩვენი უნივერსიტეტში ყოფნის პირველი საათი. გაირკვა, ვინ რომელ ჯგუფში რჩებოდა და ცალ-ცალკე აუდიტორიებში დაგვანაწილეს.

დაიწყო მეორე საათი. პირველი ლექციის მეორე საათი. ენის თითო ლექცია ორ-ორ საათიანი იყო და პირველ-მეორე კურსზე ყოველდღიურად ორი ლექცია გვქონდა, ესე იგი ოთხ-ოთხი საათი. ერთს თვითონ ტატიშვილი გვიტარებდა და მეორეს ინგლისელი ქალი, გვარად ჯონსონი, რუთ ჯონსონი. მაგრამ ახლა ქმრის გვარს ატარებდა — მეგდისოჟს. ახალგაზრდა რომ იყო, თურმე გუვერნანტად წამოიყვანეს, მოხვდა მდიდარი სომხის — მეგდისოვის ოჯახში და მერე მასვე მისთხოვდა. ჩვენს დროს უკვე დაქვრივებულ

იყო, ხანში შესული. ჰყავდა ქალიშვილი, რომელიც აქაურ რუსზე გათხოვილიყო.

ერთი სიტყვით, დაიწყო პირველი ლექციის მეორე საათი. ამჯერად უკვე პატარა აუდიტორიაში შეგვიყვანეს — სულ ათიოდე კაცი აღმოვჩნდით ინგლისურ განყოფილებაზე. ზარი რომ დაირეკა, თითქმის მაშინვე შემოვიდა ტატიშვილი. ხელით გვანიშნა, დასხედითო, თავისი განუყრელი რბილი, ყვითელი ტყავის პორთფელი კათედრაზე დადო, გვკითხა, რვეულები ხომ გაქვთო, თვითონ დაფასთან მივიდა, ცარცი აიღო, წინასწარ გაგვაფრთხილა — რასაც დაფაზე დავწერ, თქვენ გაიწერეთო, და ცარცით წერა დაიწყო.

მე — და ალბათ სხვებიც ყველა — გაფაციცებით ვადევნებდით თვალს ყოველ მის მოქმედებას. ბუნებრივია, ვეშურებოდით გაგვეგო, ბოლოს და ბოლოს როგორი იყო ეს კაცი, ვისთანაც ხუთი წელი უნდა გაგვეტარებინა. მისმა პირველივე მოქმედებამ ცოტა არ იყოს დაგვაბნია. მოველოდით, რომ ჯერ გაგვეცნობოდა, რაიმეს გამოგვკითხავდა, საუბარს ჩაგვიტარებდა საერთოდ საუნივერსიტეტო განათლების და კერძოდ უცხო ენის მნიშვნელობაზე... ძალიან ბუნდოვანი იყო ჩვენი წარმოდგენა, თუ რას გააკეთებდა ის პირველ ლექციაზე, მაგრამ ამას კი არაფრის დიდებით არ მოველოდით. ვერ გეტყვით ამან — ჩვენი მოლოდინის გაცრუებამ — გული დაგვწყვიტა თუ გაგვახარა, რადგან ეს რეაქციაც ისეთივე ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, როგორც ჩვენი მოლოდინი. რვეულები გადავშალეთ და დაფიდან გადმოწერა დავიწყეთ ლათინური ასოებით გამოყვანილი სიტყვებისა. ახლა უკვე იმან გაგვაკვირვა, რომ წინასწარ ანბანი არ გვასწავლა — პირდაპირ სიტყვები ჩამოგვიწერა, ოცდაათამდე სიტყვა ჩაგვაწერინა. მარტივი სიტყვები იყო. გადაწერას რომ მოვრჩით, გაგვაფრთხილა, რომ ყურადღებით ვყოფილიყავით — იგი წაგვიკითხავდა ამ სიტყვებს და ჩვენ გამოთქმა უნდა დაგვემახსოვრებინა. უნდა ვცდილიყავით, როგორმე კარგად დაგვემახსოვრებინა, რადგან ინგლისური დამწერლობა რთულია: ის, რასაც წერ, სულ სხვაგვარად გამოითქმის, მისი ფონეტიკური შესატყვისი ზოგჯერ დიდად განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, წინასწარ გაგვაფრთხილა — არ ჩაგვენიშნა, თუ როგორ გამოითქმოდა ესა თუ ის სიტყვა. მკაცრად გაგვაფრთხილა. ორჯერ წაიკითხა თავიდან ბოლომდე ეს სიტყვები, ძალიან ნელა,

მკაფიოდ, და მერე სათითაოდ წაგვაკითხა. თავად ისე მკაფიოდ კითხულობდა, რომ განმეორება არ გაგვჭირებია.

ამის შემდეგ ქართულად გვითხრა რამდენიმე მარტივი წინადადება, რომლებიც ჩვენ ინგლისურად უნდა გვეთარგმნა — იქვე, გაკვეთილზე. ახლაც მახსოვს ეს წინადადებები: „ჩემი პატარა ძმა არის დიდ ოთახში“, „მამაჩემი არის ბაღში“, „მე მყავს ოთხი ძმა და ერთი და“, „სად არის დედათქვენი, ისიც ბაღშია?“ „არა, ის ბაღში არ არის, ის სამზარეულოშია“... და დაირეკა კიდეც ზარი. დაგვავალა, იმ სიტყვებიდან, რაც ჩვენ რვეულებში ჩავიწერეთ, ხვალისათვის შეგვედგინა ექვს-ექვსი წინადადება. ამგვარად, ჩვენ უკვე ავლაპარაკდით, პირველსავე გაკვეთილზე! ძალიან გახარებულები ვიყავით, თავადაც გვიჭირდა დაჯერება, რომ უკვე ინგლისურად ვლაპარაკობდით...

იმავე დღეს კიდევ ერთი მოულოდნელი სიხარული გველოდა. მეორე ლექციაც, როგორც უკვე ითქვა, ინგლისური გვქონდა. ამჯერად ინგლისელ ქალთან. და რაკი ადრევე ვიცოდით, რომ ინგლისელი იყო, ძალიან ცივსა და ჭუშ ადამიანს ველოდით. რატომღაც ასეთი ყალბი წარმოდგენა იყო — და დღემდეც არის — ინგლისელებზე. ახლაც სასიამოვნოდ გაგვიცრუვდა მოლოდინი. ეს ჩვენი მასწავლებელი, იშვიათად რომ შეხვდები, ისეთი ალერსიანი გამოდგა. თვალები ერთთავად უცინოდა, უეუეუნებდა. საშუალო ტანის სრული ქალი იყო, უკვე ხანში შესული, მაგრამ არა ძალიან მოხუცი — ხალისიანი, ჟღურტულა. ქართულისა ხომ არაფერი გაეგებოდა და არც რუსული იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ შვილიშვილები რუსები ჰყავდა. ორი მკვირცხლი ბიჭი იყო, ზოგჯერ მოაკითხავდნენ ხოლმე ბებიას. არ ვიცი, რუსული როგორ იცოდნენ, ინგლისურად კი თავისუფლად მეტყველებდნენ. ერთი სულ პატარა იყო მაშინ — ეშმაკი, ეშმაკი. ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობდით და მერე და მერე ვცდილობდით ინგლისურად გამოველაპარაკებოდით. გულიანად იცინოდა ჩვენს ინგლისურზე. ძალიან უშუალოდ და ლაღად გაზრდილი ბავშვი იყო. უფროსი მამას ჰგავდა — მამასაც შევხვედრივართ. პატარა ბიჭი არა ჰგავდა რუსს — ბებიამისს უფრო მიამგვანებდით, ალბათ ისიც ასეთი იქნებოდა პატარაობისას.

ერთხელ...

ეს 1937 წლის შემდეგ იყო, ამ დროისათვის ჩვენი მასწავლებლის

ქალიშვილი უკვე დაეპატიმრებინათ და ბავშვები ბებიის ანაბარა იყვნენ. საშინელ დღეში იყო საბრალო ქალი, არავის იცნობდა, ენა არ იცოდა, ცალკე შვილის ამბავი აწუხებდა, ცალკე შვილიშვილები დააწვნენ, ლექციებით დატვირთული იყო და წუთი რა არის — თავის დღეში ერთი წუთიც არ დაუგვიანია ლექციებზე, თუმცა უნივერსიტეტიდან კარგა მოშორებით ცხოვრობდა. ეტყობოდა, დარდი სჭამდა. ალბათ თავადაც ეშინოდა, არ დამიჭირონო. ეს ჩვენთვის არ უთქვამს, მაგრამ აშკარად შეეტყო — ეს ხალისიანი და სიცოცხლით სავსე ქალი განადგურდა, თვალში ნაპერწკალი ჩაუქრა. თუმცა ცდილობდა, არ შეემჩნია. თანდათანობით გახდა და გაიცრიცა, ეტყობა, უკვე შეჰპარვოდა საშინელი სენი. მაგრამ თავსაც არ უტყდებოდა, თვალები კვლავ ღიმილიანი ჰქონდა, თუმცა სევდა მორეოდა მის ნაცრისფერ თვალებს. თავს არ უტყდებოდა იმიტომ, რომ უფლება არა ჰქონდა ავადმყოფობისა უცხო ქვეყანაში უთვისტომოდ დარჩენილს. ძმა კი ჰყავდა ინგლისში, მაგრამ იმ წლებში ძმასთან მიწერ-მოწერაც გაძნელებული ექნებოდა, თუ სულ შეწყვეტილი არა. სიბერეში ნოსტალგია მოსძალებოდა, განსაკუთრებით ახლა, ამ პირობებში. ჩვენთან არ ამჟღავნებდა სამშობლოს ასე მტკივნეულ მონატრებას — ესეც კი საშიში იყო — მაგრამ ყველაფრით ეტყობოდა. როცა რაიმე მხატვრულ თხზულებას გვიკითხავდა და ლონდონის რომელიმე უბანს ან ქვეყნის რომელიღაც კუთხეს შევხვდებოდით, თვალები გაუბრწყინდებოდა და ახლა უკვე თავად აგვიწერდა იმ ადგილსა თუ კუთხეს, გატაცებით, უცნაური დეტალებით, იმასაც გვეტყოდა, მისი ცხოვრების რაიმე ეპიზოდი თუ იყო დაკავშირებული ამ კუთხესთან. ერთხელ, მახსოვს, რომელიღაც თხზულებაში ბიგ-ბენს შევხვდით და მაშინ მოაყოლა სიტყვას სევდიანად — საათს ყოველთვის ინგლისის რადიოზე ვასწორებო. ომამდე ჯერ კიდევ შეიძლებოდა რადიომიმღებით ინგლისის დაჭერა. სამშობლოს სევდიან სიყვარულს ამით იკლავდა... შვილიშვილების ბედი აწუხებდა. დედის დაპატიმრების შემდეგ პატარა ბიჭს უფრო ხშირად ვხვდებოდით ხოლმე — მას სულ არ შესტყობია არც უდედობა და არც რაიმე წუხილი. ძველებურადვე მხიარული და ეშმაკი იყო.

და, აი, ერთხელ — ეს იქნებოდა ალბათ 1940 წელი — რუსთაველის პროსპექტზე შეგვხვდა მე და ალექსანდრე საჯაიას ბებიაც და პატარა შვილიშვილიც. მუდამ უნივერსიტეტში ვხვდებოდით

ხოლმე და ქუჩაში გამოსული პირველად ვნახეთ. გაეხარდა, გამოგველაპარაკა, ამბავი გვკითხა. ამ დროს საჯაიას უკვე დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი. უცებ წაავლო ხელი საჯაიამ ამ პატარა ბიჭს და იქვე მაღაზიისაკენ გააქანა. ბებიამაც და მეც გაკვირვებულებმა გავაყოლეთ თვალი. ლაღიძის წყლების გვერდით პატარა მაღაზია იყო, საათებს, ფოტოაპარატებს და ამისთანა რაღაცეებს ყიდდნენ. დიდი ხანი არ გასულა, რომ ვხედავ, მაღაზიიდან ჯერ ის პატარა ბიჭი გამორბის გახარებული, ხელში ფოტო-აპარატი უჭირავს. „გრანი! გრანი!“ შორიდანვე ეძახის ბებიას და აპარატს უჩვენებს. უკან საჯაია მოჰყვება, თვალებგაბრწყინებული და ბედნიერი, რომ ასეთი სიკეთის გამოჩენის საშუალება მიეცა. ცოტათი რომ დამშვიდდა ბიჭი, ახლა საჯაიას შესძახა — „Mad! Mad! You mad!“ — „გიჟი! გიჟი! გიჟი ხარ!“... სხვაგვარად ვერ მოახერხა დიდი სიხარულისა და მადლიერების გამოხატვა...

ინგლისელი ქალი უმთავრესად ტექსტებს გვაკითხებდა და ცოცხალ მეტყველებას გვაჩვევდა. მარტივი ტექსტებიდან დაგვაწყებინა. მაგრამ ეს მარტივი ტექსტებიც ძალიან საინტერესო იყო. ეს არ ყოფილა უცხოელებისათვის საგანგებოდ გამარტივებული ინგლისური ტექსტები, უმთავრესად საბავშვო წიგნები გახლდათ, ინგლისური სკოლების დაწყებითი კლასების საკითხავი წიგნები. აქ მოთხრობილი იყო ისტორიულ პირთა ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, ძალიან ცოცხლად და მიმზიდველად დაწერილი. ასე გავეცანით უოლტერ სკოტის, ბერნსის, დიკენსის, სვიფტის ბიოგრაფიებს, მათი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს, ზოგჯერ კურიოზულსა და სასაცილოსაც. ზოგიერთი ეპიზოდი დასურათებული იყო. ახლაც ცოცხლად მახსოვს ნელსონის სურათი — როგორ ეთხოვება სასწავლებელში წასვლის წინ პატარა ნელსონი თავის ბებიას. მისი სიტყვები ტრაფალგარის ბრძოლის წინ: England expects, that every man will do his duty... (ინგლისი მოელის [-მოითხოვს] — რომ ყოველი ინგლისელი თავის ვალს მოიხდის). მგონი, არ მეშლება.

ეს ქალბატონი ბავშვური გატაცებით გვიკითხავდა — ესე იგი ზეპირად გვეუბნებოდა — ძალიან ლაღსა და მიმზიდველ პატარა საბავშვო ლექსებს, რითაც მდიდარია ინგლისური ფოლკლორი. და, საოცარია: ზოგიერთი მათგანი წააგავს კიდეც ჩვენს ხალხურ ლექსებს — ვთქვათ, „თხა და ვენახს“, „რწყილსა და ჭიანჭველას“... წააგავს არა შინაარსით, არამედ ხასიათით, აღნაგობით... გვიკითხ-

ავდა ამ ლექსებს და ღიმილით აჟუჟუნებულ თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა. ზოგჯერ საბავშვო ფოლკლორის პერსონაჟთა სახელებს ჩვენს სტუდენტებს შეარქმევდა — ან ფიზიკური, ან სახელის ფონეტიკური მსგავსების მიხედვით და ამით, გარდა იმისა, რომ სახალისოდ მიმდინარეობდა გაკვეთილი, სტუდენტებსაც იშინაურებდა, იახლოვებდა; ჩვენ ვგრძნობდით, როგორი მშობლიური სიყვარულით უყვარდა მას ეს ახალგაზრდები — რომელთა ენა არ იცოდა, რომლებიც სავსებით უცხონი იყვნენ მისთვის. ერთი მორჩილი ტანის გოგონა გვყავდა — თინა ერქვა სახელად, იმას „ტაინი-ტინა“, ესე იგი პაწაწინა, ნამცეცა (Finy — აგრეთვე საბავშვო ფოლკლორის პერსონაჟის ეპითეტია) თინა დაარქვა. ერთ ჩვენს სტუდენტს პეტრე ერქვა, ძალიან კეთილი ბიჭი იყო საწყალი, მერე ომში დაიღუპა — იმას პიტა-პაიპას ეძახდა. ეს პიტა-პაიპა (Peter-piper) ინგლისელი ბავშვებისთვის ძალიან საყვარელი საბავშვო ლექსის პერსონაჟია. piper სალამურზე დამკვრელს ნიშნავს, და ამ ბიჭს მართლაც საყვარლად გამობერილი ლოყები ჰქონდა... ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამით მარტო თავის კეთილ დამოკიდებულებას კი არ გამოხატავდა ახალგაზრდა სტუდენტების მიმართ, ამით გონებაში მტკიცედ გეჭდობოდათ უცხო სიტყვები (ამ შემთხვევაში — tiny, piper), რომელთაც შემდეგ ვეღარაფერი ამოშლიდა. მეხსიერებიდან.

რა საყვარლები იყვნენ ჩვენი მასწავლებლები! სკოლიდან უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრილი ახალგაზრდისათვის მუდამ ძნელია ეს მძაფრი ცვლილება — პატარაობიდანვე შეჩვეულ მასწავლებლებს და სკოლის გარემოს მოშორება, სადაც ყველაფერი ძალიან ახლობელია, ძალიან მშობლიური და თბილია, და ერთბაშად ოფიციალურ გარემოში მოხვედრა, სადაც პირველ ხანებში, სანამ შეეჩვეოდე, ამხანაგებიც უცხონი არიან, მასწავლებლებიც გარკვეული ჯებირით თქვენგან დაშორებულნი; შემოვლენ, ლექციას წაიკითხავენ და გავლენ; შეიძლება ისე დაამთავროს ერთი საგანი, რომ თქვენი სახელი და გვარიც არ იცოდეს, მხოლოდ გამოცდის დროს მატრიკულით გაიგოს თქვენი გვარი.

ჩვენ ეს უხერხულობა არ გვიგრძნია. ჩვენ პირველი დღიდანვე მოვხვდით ძალიან თბილსა და მშობლიურ გარემოში. ერეკლე ტატიშვილმა პირველი დღიდანვე იცოდა ჩვენი სახელი და გვარი — საოცარია, საგანგებოდ თითქოს არც კი უკითხავს — და ყო-

ველთვის სახელით მოგვმართავდა ყველას. ერთხელაც არ მახსოვს, გვარით მოემართოს. იგი იცნობდა არა მარტო უმუალო თავის სტუდენტებს, თავის ინგლისურ ჯგუფს, არამედ გერმანული და ფრანგული ჯგუფის სტუდენტებსაც. თავისთავად ესეც კი ძალიან თბილ, სასურველ ატმოსფეროს ქმნიდა. და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის მძიმე ოცდაათიანი წლები...

მერე და მერე უფრო რთულ ტექსტებზე გადაველით. მოკლე ტექსტი იქნებოდა თუ ძალიან დიდი, სულერთია, მუდამ ჩვენს რვეულებში უნდა გადმოგვეწერა. ეს სავალდებულო იყო. ამას თვითონ ტატიშვილი უწევდა კონტროლს. სხვათა შორის, თავად ერთხელაც არ დასწრებია ინგლისელი ქალის ლექციას; ეტყობა, ერიდებოდა აქას — შემოწმებასავით რომ არ გამოსულიყო. მაგრამ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, როდის რას ვსწავლობდით და ვინ როგორ სწავლობდა. როგორც ითქვა, სწორედ ის მოითხოვდა დაბეჯითებით, რომ ტექსტები უსათუოდ გადმოგვეწერა. მახსოვს, ასე გადმოვიწერეთ თითქმის მთელი „დავით კოპერფილდი“, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკას, სადაც ტატიშვილისვე რეკომენდაციით ვიყავით ჩაწერილი— ამ წიგნის რამდენიმე ინგლისური ეგზემპლარი ჰქონდა. ისედაც იშოვებოდა — მაშინ ბუკინისტებთან ხშირად შეხვდებოდით შესანიშნავ ინგლისურ წიგნებს. დიკენსი განსაკუთრებით უყვარდა ჩვენს ინგლისელ მასწავლებელს. იქნებ იმიტომაც, რომ დიკენსის რომანებში ხშირად ხვდებოდა თავის საყვარელ, ბავშვობისდროინდელ ადგილებს, და დიდ ნეტარებასაც განიცდიდა, როცა გვიკითხავდა ან გვაკითხებდა, ბავშვივით იცინოდა და თან თვალებზე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე. ასეთი გახლდათ ჩვენი ქალბატონი რუთ ჯონსონი-მეგდისოვა, ჩვენი ტკბილად მოსაგონარი ინგლისელი მასწავლებელი. რამდენიმე თაობა აღზარდა მან და მეტ დაფასებასაც მოითხოვს ჩვენგან... ბოლოს საშინელი სენი შეეყარა და მალე მოინელა. მაშინ ჩვენ უკვე დამთავრებული გვქონდა უნივერსიტეტი... მაგრამ ისევ დაწყებულ საუბარს დავუბრუნდეთ.

მეორე დღეს, და შემდგომ დღეებშიაც, ტატიშვილი კვლავ იმავე წესით გვასწავლიდა სიტყვებს. ჯერ საშინაო დავალებებს შეგვიმოწმებდა, — ყურადღებით, გულმოდგინედ — ზეპირად გვათქმევინებდა შინ შედგენილ წინადადებებს და მერე ჩვენს ნაწერს წაიკი-

თხავდა, ჩაასწორებდა. ბოლოს დაფაზე ჩამოგვიწერდა ახალ სიტყვებს და ჩვენ რვეულში გადავიწერდით — ახლაც ისე, როგორც პირველ ლექციაზე: ჯერ თავად წაიკითხავდა ორ-ორჯერ, მერე ჩვენ წაგვაკითხებდა სათითაოდ ყველას. ამის შემდეგ ჩვენ თვითონვე ვადგენდით და ვთარგმნიდით წინადადებებს, ოღონდ უსათუოდ უნდა გამოგვეყენებინა წინა ლექციებზე შესწავლილი სიტყვები. ეს სავალდებულო იყო, ამას მტკიცედ მოითხოვდა. ასე რომ, ერთი კვირის, თუნდაც ერთი თვის წინათ შესწავლილი სიტყვები მუდამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქტიურ მოქმედებაში იყო და, საბოლოოდ, სტუდენტებს მტკიცედ ეჭდობოდათ მეხსიერებაში.

სულ მალე გადავედით მარტივსიუჟეტიანი ტექსტის შედგენაზე. ლექციებზეც ვადგენდით ასეთ ტექსტებს და საშინაო დავალებადაც გვაძლევდა. მგონი, ორი თვე არც კი იქნებოდა გასული, რაც სწავლა დავიწყეთ, — ამასობაში სიტყვების საკმაო რაოდენობა დაგვიგროვდა, — და, აი, ერთ დღეს გამოგვიცხადა, მოთხრობა უნდა წავიკითხოთ და ვისწავლოთო. გაკვირვებულებმა ყურებს არ დავუჯერეთ — ნუთუ უკვე შეგვეძლო ინგლისური მოთხრობის წაკითხვა?!

ეს უკვე ზეიმი იყო. პერიოდულად გვქონდა ხოლმე ასეთი პატარა ზეიმები. ეტყობა, საგანგებოდ აწყობდა ამას, რომ გარკვეული დროის შემდეგ რაღაცნაირი საზეიმო განწყობილება შექმნილიყო. იქნებ ესეც ერთ-ერთი წინასწარ მოფიქრებული ხერხი იყო, რომ სწავლის ხალისი არ გაგვნელებოდა! ამ დროს ჩვენი მასწავლებელი განსაკუთრებით საზეიმო განწყობილებით მოვიდოდა. ვერ ვიტყვი, რითი იყო იგი განსხვავებული იმ დღეს, მაგრამ აშკარად უფრო დიადი და ბრწყინვალე ჩანდა...

ერთი სიტყვით, გამოგვიცხადა, დღეს მოთხრობას ვსწავლობთო. წიგნი აიღო, გადაშალა, დაფასთან მივიდა და იმ წიგნში არც კი ჩაუხედავს, ისე დაგვიწერა ცარცით. მოთხრობა, როგორც მოგახსენეთ, პატარა იყო, სახუმარო, სულ რამდენიმე სტრიქონს შეიცავდა. და იუმორი აგებული იყო ზმნის რთულ ფორმაზე. ეს გრამატიკული ფორმები ჩვენ ჯერ კარგად არ ვიცოდით, მაგრამ სიუჟეტური სიმარტივის გამო, მოთხრობა მაინც ადვილად გავიგეთ; სიტყვები ნაცნობი იყო — წინა დღეებში გვასწავლა, წინასწარ საგულდაგულოდ მოამზადა ნიადაგი მოთხრობის შესწავლისათვის. იგი ცდილობდა, ის პირველი ინტერესი, რაც მან სტუდენტებში

გააღვივა, არ ჩამქრალიყო, მუდამ ხალისიანი ყოფილიყო გაკვეთილები.

მართლაც, ძალიან ხალისიანად მიდიოდა მეცადინეობა. ჩვენ მთელის ცხოველმყოფელობით ვგრძნობდით, როგორ თანდათანობით შევდიოდით მანამდე ჩვენთვის სავსებით უცნობ სამყაროში. როგორც საღამოს ბურუსიდან თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით გამოიკვეთება ხოლმე ვარსკვლავები, ისე ეხდებოდა ფარდა და თანდათანობით ელვარება ემატებოდა ჩვენთვის მანამდე დაფარულ იდუმალ განძს. და სიხარულით ვივსებოდით იმის შეგრძნებით, რომ მარტო მკვრეტელები კი არ ვყოფილვართ ამ ზღაპრული სილამაზისა და სიმდიდრისა, არამედ თითქოს პირველად-მომჩენელები ვიყავით მისი. ასეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა ბატონი ერეკლეს გაკვეთილებზე.

ასეთი სიხარულით, მახსოვს, ბავშვობაში „ბუნების კარს“ ვკითხულობდი. მას შემდეგ ჩვენი თაობის ხალხს ბევრი უსიამოვნო და კურიოზული ექსპერიმენტის გამოვლა მოუხდა სკოლაში, რაც ბავშვს თავიდანვე აძულებდა საგანს და საერთოდ სწავლას.

ეს სულ სხვა იყო. აქ სწავლა სახალისო იყო — სწავლობდი და გიხაროდა, როგორც სასიამოვნო აღმოჩენები ახარებს ხოლმე ადამიანს. მოუთმენლად ელოდი, როდის მოხდებოდა კიდევ ერთი ახალი აღმოჩენა...

რით აღწევდა ამას ბატონი ერეკლე?..

უპირველეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, თვითონ პიროვნება იყო... მიძნელდება ერთი სიტყვით დავახასიათო. ღრმა? საინტერესო? გულითადი? თბილი? მომხიბლავი? თანამდგომი?.. ყველა ეს თვისება. მართლაც ჰქონდა მას. მაგრამ ჰქონდა კიდევ რაღაც სხვა, რითაც ყოველი შეხვედრისას გავლენას ახდენდა შენზე, როგორც ბიოდენები, ისე გადმოდიოდა რაღაც უხილავი ძალა. არ მინდა ვთქვა, გამდიდრებდა-მეთქი — ეს შაბლონური და ტლანქი გამოხატვა იქნებოდა სათქმელისა. მაგრამ რაღაცნაირად გავსებდა, დაგაფიქრებდა; გეხმარებოდა, რომ შენი თავი შეგეცნო და პიროვნებად ჩამოყალიბებულიყავი, ადგილს გაპოვნინებდა ცხოვრებაში; ხელს გიწყობდა, რომ რაიმე საინტერესოსათვის მიგეგნო, რაც შემდეგ, რაგინდ მძიმე განსაცდელი შეგხვედროდა, ცხოვრებას გაგვიადვილებდა, გაგაძლებინებდა. თანაც ეს ხდებოდა არა შეგო-

ნებით, არა ჰკუის დარიგებითა და ნოტაციებით, არამედ თითქოს თავისით, შენ ვერც კი ამჩნევდი, ისე...

ჰო, ეს იმას მოვაყოლეთ, როგორ აღწევდა ტატიშვილი, სწავლა ხალისიანი და სიხარულის მომგვრელი ყოფილიყო...

უცხო ენის შესწავლის ერთი სიძნელე ის არის, რომ უმთავრესად უინტერესოდ ასწავლიან. თუ დაკვირვებიხართ, მემუარებში— როცა სკოლის წლებს იგონებენ ხოლმე — თითქოს პირი შეუკრავთო, ყველაზე მოსაბეზრებლად უცხო ენების გაკვეთილებს მოიხსენიებენ, და ყველაზე კურიოზულები უცხო ენის მასწავლებლები არიან. ახლა ეს საქმე გაუმჯობესებულია, მაგრამ ჩვენი თაობის ადამიანებს ახსოვთ, როგორ ასწავლიდნენ უცხო ენებს სკოლებში, რა მოსაბეზრებელი იყო გრამატიკის ზუთხვა და რა უინტერესო — ტექსტები, რასაც გრამატიკასთან ერთად ასწავლიდნენ. მარტო სკოლებში კი არა, უმაღლესი სასწავლებლების იმ ფაკულტეტებზედაც, სადაც უცხო ენა მაპროფილებელი საგანი არ იყო. ერთი მეგობარი მიამბობდა — სწორედ იმ წლებში იგი ისტორიულ ფაკულტეტზე სწავლობდა — რა ტექსტებს გადიოდნენ გაკვეთილებზე. „ხარ შენ ზღვა?“ — ეკითხება პედაგოგი სტუდენტს. „არა, მე არა ვარ ზღვა. მე ვარ ხე“. როგორც ვხედავთ, პედაგოგი ორ უცხო სიტყვას ასწავლის ამ დროს. „ვინ არის ზღვა?“ გრძელდება დიალოგი. „ჩემი ძმა არის ზღვა“. „არის შენი ძმა ხე?“ „არა, ის არ არის ხე. ის არის ზღვა“. „ვინ არის ხე?“ „მე ვარ ხე“... როგორც ვხედავთ, ეს დასაწყისი სტადიაა ენის შესწავლისა. და ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ მოსწავლეს თუ სტუდენტს სწავლის ინტერესი გაუჩრეს. ვინმეს იქნებ მოეჩვენოს, რომ აქ მოტანილი მაგალითები უტრირებულია. მაგრამ მე თვითონვე გამომიცდია. ასპირანტურაში რომ შევედი, სავალდებულო იყო კიდევ ერთი უცხო ენის შესწავლა. დავიწყე ფრანგული. იმდროინდელი ცნობილი პედაგოგები გვასწავლიდნენ, უნივერსიტეტის ლექტორები. და ასეთივე მაგალითების მოტანა შემიძლია. ახლაც ყურში მიდგას ათასჯერ დასმული შეკითხვა და პასუხი: „კეს-კ-ილ-ია ოტურ დე ლ-ოდიტუარ?“ „ოტურ დე ლ-ოდიტუარ ილ-ია კატრ მიურ“ („რა არის აუდიტორიის გარშემო?“ „აუდიტორიის გარშემო არის ოთხი კედელი“);

ასეთი იყო იმდროინდელი სახელმძღვანელოებიც.

ყველა დიდი მეცნიერი უსათუოდ პოეტიაო, ტატიშვილს უყვარდა თქმა. არ ვიცი, ენის სწავლება რა რანგის მეცნიერებას შეიძლება მიეკუთვნოს, მაგრამ ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, შემოქმედებაა და უსათუოდ სიყვარული სჭირდება, გულის რაღაც ნაწილი უნდა დაუთმო. პედაგოგს კი იმის უნარიც უნდა შესწევდეს, სხვასაც შეაყვაროს საგანი. ერეკლე ტატიშვილის ლექციებზე გვავიწყდებოდა, რომ ეს ენის გაკვეთილები იყო. უცხო ენა თითქოს საშუალება იყო, რათა სულ ახალი და ახალი საინტერესო ამბები გაგეგოთ. განათლებული ადამიანისათვის იმ აუცილებელ ცოდნას იძენდი, რაც სკოლაშივე უნდა მიეღო ადამიანს, მაგრამ ჩვენი სკოლა ასეთ ცოდნას არ იძლეოდა. ენის ლექციებზე, ტატიშვილთან, თქვენ სწავლობდით ბერძნულ მითებს, ეცნობოდით შუა საუკუნეების ცნობილ თქმულებებს — ართურის ციკლის ამბებს, ბეოვულფის, გრაალის ციკლის თქმულებებს, ინგლისის ისტორიის ნოველებსავით დაწერილ სხვადასხვა ეპიზოდებს, ძველი და ახალი აღთქმის იგავებს — იოსებისა და მისი ძმების ამბავს, დავითისა და საულის, სამსონისა და დალილას თავგადასავლებს, იაკობის სიზმარს... ჩამოთვლაც კი ძნელია; შერჩევით სწავლობდით ათას ერთი ღამის ზღაპრებს, დაწვრილებით ეცნობოდით ვასკო და გამას, კოლუმბის, მარკო პოლოს მოგზაურობებს... რას ალარა. საგანგებოდ შეარჩევდა ხოლმე ისეთ წიგნებს, სადაც ეს ამბები იყო გადმოცემული. იყენებდა პალმერისა და უესტის დიდებულ სახელმძღვანელოებს, ზოგიერთს თავად ადგენდა. თანაც, ეს მოთხრობები ისე იყო შედგენილი, რომ ახალ-ახალი, თქვენთვის ჯერ უცნობი სიტყვები თანდათანობით შემოდიოდა. როგორც უკვე ითქვა, წინა მოთხრობებში ანუ წარსულ გაკვეთილებზე შესწავლილ სიტყვებს ყველა მომდევნო მოთხრობებში ხვდებოდით, სულ სხვა კონტექსტებში, სხვადასხვა სიხშირით. მერე და მერე ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა მოთხრობები და ლექსები დაგვაწყებინა. ადაპტირებული ტექსტები არ უყვარდა — ერჩია, ცოტა წაგვეკითხა, ოღონდ ტექსტი გაუმარტივებელი ყოფილიყო. ჩვენ თვითონ შეგვარჩევინებდა, რომელი ავტორის ლექსი გვსურდა და ზეპირად გვასწავლიდა. ერთხელ, მახსოვს, ინგლისური პოეზიის ანთოლოგია მოიტანა — ასეთი ანთოლოგიები ინგლისში ბევრი გამოდიოდა, სულ სხვადასხვა ფორმატის, სხვადასხვა მოცულობის

და სხვადასხვა გემოვნებით შედგენილი — და წაგვიკითხა, მერე კი დასაზეპირებლად მოგვცა რომელიღაც უცნობი ავტორის ლექსი: იგი სევდიანი განწყობილებისა იყო, განშორების სევდას ალგიძრავდა: ნავსადგურიდან გადის გემი და ნაპირზე მდგომთ სევდა მოიცავთ. წაგვიკითხა და გადმოგვხედა — შეამოწმა, როგორ იმოქმედა ჩვენზე ლექსმა. მერე გვითხრა, ხომ გამოგიცდიათ, რა აუხსნელი სევდა შემოგაწვებაო ხოლმე, როცა მიმავალ მატარებელს დაინახავთ, თუნდაც მასში თქვენთვის ძვირფასი ადამიანი არც კი იჯდესო... ახლა უკვე ძნელი გასაგებია ეს განწყობილება — რეაქტიული თვითმფრინავის დანახვა, რომელსაც საშინელი ხმაურიც თან ახლავს, მხოლოდ უსიამოვნო მღელვარებას იწვევს. საგულისხმოა, რომ ამ დროს ჩვენ ვსწავლობდით ერთი, ჩვენთვის უკვე ცნობილი სიტყვის ახალ მნიშვნელობას. და ლექსში იყო სტრიქონი, სადაც ამ სიტყვას ერთ-ერთი, სწორედ ეს — ჩვენთვის ჯერ უცნობი მნიშვნელობა ჰქონდა. და საგულისხმო ის არის, რომ ლექსიდან სწორედ ის ფრაზა დამამახსოვრდა. „right sad we were“... აქ, ამ კონტექსტში, სწორედ იმ სევდის სიღრმეს ანუ ლექსის მთელ განწყობილებას განგვაცდევინებს ეს სიტყვა. ასე მარჯვედ შეარჩევდა ხოლმე ტექსტს. და ასე ხალისიანი იყო გრამატიკის გაკვეთილები.

ტექსტებს, როგორც ითქვა, რვეულებში ვიწერდით. ჯერ დაფიდან. მაგრამ თანდათანობით იზრდებოდა ეს ტექსტები. ზოგჯერ მოზრდილი წიგნი იყო გადასაწერი. და თუ მხოლოდ ერთი ეგზემპლარი ჰქონდა ამ წიგნისა და მეტი არა, პირველად ალექსანდრე გამყრელიძეს გადასცემდა, ჯერ ის გადაიწერდა. მერე ალექსანდრე რიგრიგობით გვათხოვებდა და ახლა ჩვენ გადავიწერდით. ეს ყველაფერი წინასწარ ხდებოდა, იმ ვარაუდით, რომ როცა ამ წიგნის შესწავლას დავიწყებდით, ტექსტი ყველას გვქონოდა. სიტყვამ მოიტანა, და აქვე უნდა ვთქვა, რომ ალექსანდრე გამყრელიძე — შემდეგში ცნობილი მეცნიერი — ყველაზე უფრო დაახლოებული იყო მასთან ჩვენი თაობიდან. ამ გამორჩეულად ბეჯითმა და გულმოდგინე სტუდენტმა, პატიოსანმა, პირდაპირმა და სამართლიანმა ადამიანმა, ბოლომდე უერთგულა თავის მასწავლებელს; ერთი ბეწო შური არავის მიმართ არა ჰქონია და მზად იყო ყველას დახმარებოდა. ასე გაატარა მან მთელი თავისი სიცოცხლე და სწორედ პირდაპირობასა და სამართლიანობას შეეწირა ჯერ ისევ ახალგაზრ-

და კაცი. რამდენი გააკეთა ქართული კულტურისათვის და რამდენის გაკეთება შეეძლო კიდევ.

ტატიშვილი ცდილობდა გაეღვივებინა სტუდენტში დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების უნარი, გამოემეღავნებინა მისი შესაძლებლობის მაქსიმუმი და, რაც ჩემის აზრით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შთაეგონებინა და გაეძლიერებინა მისთვის საკუთარი თავის რწმენა. უკვე მეორე კურსის დასასრულს იგი კვაძლევდა ზოგად თემებს, ვთქვათ: „ჩემი გმირი“, „ჩემი საყვარელი მწერალი“, რომელიმე ლიტერატურული თხზულების ჩვენეული გადმოცემა... ლექციაზე ვისხედით და ვწერდით, ვის როგორ მოგვეხერხებოდა. ორ საათში უნდა დაგვემთავრებინა. მერე წამოკრეფდა ჩვენს ნაწერებს და წაიღებდა — შინ უნდა გაესწორებინა, როგორც სკოლის მასწავლებელს. ხალისით აკეთებდა ამას. დღემდე შემომრჩა ორი ასეთი თემა, მისი ხელით გასწორებული. გასწორება ენობრივ შეცდომებს შეეხებოდა, სხვა მხრივ იგი არაფერს გვისწორებდა. ჩვენ თანდათანობით ვრწმუნდებოდით, რომ იგი ყველაფერს არათუ დაუზარლად, არამედ სიყვარულით აკეთებდა. საგნის ანუ თავისი საქმის სიყვარულით და ახალგაზრდობის სიყვარულით. იგი მონაწილე გახლდათ ჩვენი შრომისა, ჩვენი სიხარულისა და გულდაწყვეტისა.

ერთხელ დამავალა რეფერატი თუ მოხსენება წამეკითხა ინგლისურად რომელიმე ისტორიულ პირზე ან რაიმე მოვლენაზე საქართველოს ისტორიიდან. ამ დროს ჩვენ მესამე კურსზე ვიყავით. ბ. რატომღაც გიორგი სააკაძე ავირჩიე. იმ ორსაათიან ლექციაზე ერთი საათი მე მეთმობოდა — ჩემი სათქმელიც უნდა მომესწრო და შეკითხვებზეც მეპასუხა, თუკი ვინმეს ექნებოდა შეკითხვები. მოხსენებას იმ ჩვენ ათკაციან აუდიტორიაში ვკითხულობდი, ჩვენს კურსზე. იმ ეპოქას და თვით სააკაძის მოღვაწეობას საკმაოდ ვიცნობდი. ახლა კიდევ ერთხელ წავიკითხე „დიდმოურავიანი“, ანტონ ფურცელაძის მონოგრაფია და „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ადგილები... თან ვკითხულობდი და თან გონებაში ინგლისურ შესატყვისებს ვურჩევდი, თეზისებიც ჩამოვწერე. მაგრამ ერთი დიდი შეცდომა მომივიდა — მოხსენება არ დავწერე. და დავისაჯე კიდეც. დადგა მოხსენების დღე. ზარი დაირეკა. შემოვიდა ბატონი ერეკლე, კათედრისაკენ მიმითითა, თვითონ კი სტუდენტების მერხზე დაჯდა. შევდექი კათედრაზე, წარმოვთქვი წინასწარ მოფიქრებული რამ-

დენიმე წინადადება და უკვე მივხვდი ჩემს შეცდომას — ის, რაც გონებაში თითქოს ლამაზად ჩამოვაყალიბე, ადვილი წარმოსათქმელი არ აღმოჩნდა, ზეპირი ლაპარაკის დროს სიტყვების შერჩევა ჭირდა, საგანგებოდ უნდა მეძებნა გონებაში. ამას მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ნავარაუდევი მქონდა. აზრი ქართულად ლაღ დინებად მოდიოდა გონებაში, მაგრამ ინგლისური გაუვალ ჯებირად ხვდებოდა მას და ძალიან მძიმედ ატარებდა. და როცა ამას მივხვდი, ნერვიულობა დავიწყე. ამან კიდევ უფრო გაართულა საქმე, უფრო გაძნელდა გონებაში საჭირო სიტყვების ძებნა. ზარი დაირეკა. დერეფნიდან შემოდიოდა შესვენებაზე გამოსული სტუდენტების მხიარული ჟრიამული. რას არ მივცემდი ახლა, მეც იმათ შორის ვყოფილიყავი! მაგრამ მე კათედრაზე ვიდექი — აწურული, დაღლილი, იმის შეგნებით შეწუხებული, რომ ჯერ სათქმელის ნახევარიც არ მეთქვა. ბატონ ერეკლეს გადავხედე, მანიშნა, განაგრძეო. ე. ი. ლექცია გადაადაბა — შესვენებაზე გარეთ არ გვიშვებდა. ხდებოდა ხოლმე ზოგჯერ ასე. არა-და, მერჩია დასასვენებლად გავსულიყავით, იქნებ შესვენების დროს უფრო ადვილად მომეყარა თავი დაფანტული სათქმელისათვის, შემეკუმშა და დანარჩენი ნაწილი მოკლედ მეთქვა. ეს ახლა ვეღარ მოხერხდებოდა და მეც განვაგრძობდი ლაპარაკს. დროდადრო შემკრთალი გადავხედავდი. ის თითქოს თვალს მარიდებდა, სახეზეც ვერაფერს ვატყობდი, ვერც წუენას, ვერც გაბრაზებას. თუმცა, საერთოდ, თავისი გრძნობების გამოხატვას არ ერიდებოდა ხოლმე. და როცა შეატყო, მეორე საათიც არ იკმარებსო, შეამოკლეო, მითხრა. ვიცოდი, რისი ნიშანიც იყო ეს, მაგრამ ახლა ჩემთვის ხსნა გამოდგა. რამდენიმე წინადადებით მოვჭერი ჩემი ბედუკუღმართი ლექციის დასასრული და კათედრიდან ჩამოვედი. სტუდენტები დიდი მოთმინებით მისმენდნენ. ახლა კი უხერხული დუმილი ჩამოვარდა — აღარ ვიცოდი, მერხზე დავმჯდარიყავი თუ იქვე ვმდგარიყავი, კათედრის გვერდით. ისევ ალექსანდრე გამყრელიძემ მიხსნა, ჩემმა საშამ — რაღაც შეკითხვა მომცა. ეს მართლაც ხსნა იყო და ერთბაშად შვება ვიგრძენი. ამან თითქოს მართლაც დაამსგავსა ჩემი მოხსენება რაღაცას, უფრო სერიოზული გამოდგა, რაკიღა მსმენელთა ასეთი ინტერესი გამოიწვია. საოცარია, შეკითხვას უფრო რიხიანად ვუპასუხე, აღარც სიტყვების შერჩევა გამჭირვებია. ცოტა შვება ვიგრძენი. საშა დაუცხრომელი კაცი იყო — ჩემმა პასუხმა არ დააკმაყო-

ფილა, შემომედავა. და ესეც მოუხდა საქმეს. ამასობაში ზარიც დაირეკა ბატონი ერეკლე წამოდგა, სტუდენტებიც წამოიშალნენ, „Well“, ესღა თქვა, პორთფელი აიღო, ქუდი დაიხურა და კარისაკენ გაემართა. მეტი აღარაფერი უთქვამს — არც კარგი, არც ცუდი. ოღონდ სანამ აუდიტორიიდან გავიდოდა, ორჯერ შედგა, თავი მოაბრუნა და შემომხედა. ჩვენ უკვე ვიცნობდით ამ მოძრაობას შინაარსს — ეს მოჩვენებითი საყვედური იყო, ხუმრობაგარეული საყვედური. ნამდვილ საყვედურს იგი უფრო შეუკავებელი აღშფოთებით გვეტყოდა ხოლმე. ამას კი საყვედური არც ეთქმოდა; ან არადა, რბილად გამოთქმული საყვედური იყო, ხუმრობასავით. მითუმეტეს, მეორეჯერ რომ გამომხედა. უკვე კარგად ვიცნობდით ჩვენს მასწავლებელს. და თვითონვე იცოდა, რომ ჩვენ ყველაფერს ვგრძნობდით.

ხშირად არა, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა დაუვალებია: ესა თუ ის მოთხრობა, რაც ინგლისურად უკვე გვასწავლა, ქართულად დაგვეწერა, — სრულიად შეუზღუდავად, როგორც გვინდოდა ისე, რა ფორმითაც ჩვენ თვითონ გვერჩია. ამას არც ასწორებდა, იქვე წაგვაკითხებდა ხოლმე. ეს ხდებოდა პირველ ხანებში, როცა ჯერ კარგად არ გვიცნობდა, და სურდა გაეგო, როგორ ვიყავით დაუფლებული წერით მეტყველებას ქართულში. ამით იმასაც გვაგრძნობინებდა, რომ ჩვენგან იგი ქართულის კარგ ცოდნასაც მოითხოვდა და ნიადაგს ამზადებდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმისათვის.

ვგულისხმობ იმ შემოქმედებით-ლიტერატურულ საღამოებს, რასაც ერეკლე ტატიშვილი უფროსკურსელი სტუდენტების მონაწილეობით მართავდა. ეს საღამოები დიდ აუდიტორიებში ტარდებოდა ხოლმე, დიდძალი ხალხი ესწრებოდა და საზეიმო იერი დაჰკრავდა. ერთგვარი ანგარიში იყო ყოველი წლის ბოლოს. სტუდენტები ინგლისურად კითხულობდნენ რეფერატებს ამა თუ იმ ინგლისელი თუ ამერიკელი მწერლის შემოქმედებაზე, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კითხულობდნენ საკუთარ თარგმანებს.

სამზადისი ადრევე იწყებოდა და ყველა კურსი მონაწილეობდა. დიდ ფაცაფუცში იყვნენ, საგულდაგულოდ ამოწმებდნენ მონაწილეთა სიებს, რათა არავინ გამორჩენილიყო, ვისაც კი მონაწილეობა შეეძლო, გული არავის დაწყვეტოდა. ყველა მღელვარებით მოელოდა ამ საღამოს და საგულისხმო იყო, რომ თვით ჩვენს მასწავ-

ლებელსაც ეტყობოდა მღელვარება. სწორედ ეს უნერგავდა ყველას დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას. ერთი კვირით ადრე უნივერსიტეტის შესასვლელში, გამოსაჩენ ადგილზე, გამოაკრავდნენ ლამაზად გაფორმებულ აფიშებს — დაწვრილებით იყო აღნიშნული რეფერატების თემები და მონაწილეთა სახელები და გვარები.

ასეთ საღამოებს ის სიკეთეც ჰქონდა, რომ ამ დროს უფრო კარგად ხდებოდა დაახლოება სხვადასხვა კურსელთა შორის. სტუდენტებს თანდათან უმუშავდებოდათ ერთგვარი თანადგომისა თუ სოლიდარობის გრძნობა. ამას თავად უწყობდა ხელს. საგანგებო აგიტაცია არასოდეს გაუწევია, მაგრამ მთელი თავისი მოღვაწეობით შთაგვაგონებდა ამას. თქვენ გულთან მიგიკონდათ არა მარტო თქვენი კურსელების წარმატება ან მარცხი, არამედ სხვებისაც — თქვენი წინა თუ მომდევნო კურსელებისაც. ეს თითქოს ერთი მტკიცე ოჯახი იყო და ყველა ამ ოჯახის წევრად გრძნობდა თავს.

ბატონი ერეკლე დიდი ყურადღებით, — ყურადღებით და მოთმინებით, — მთელის სერიოზულობით ისმენდა ყველა გამოსვლას. ბავშვსავით უხაროდა, როცა ვინმე კარგად გამოვიდოდა და აუდიტორიასაც მოეწონებოდა, და ბავშვსავითვე მტკივნეულად განიცდიდა, თუ ვისიმე რეფერატი სასურველ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. ერთხელ ამგვარ საღამოზე რეფერატი წაიკითხა გამოსაშვები კურსის სტუდენტმა. ენა კი იცოდა ამ კაცმა, მაგრამ გამოთქმა ჰქონდა ცუდი — რაღაცნაირი ზლაზვნით და გაწელვით გამოთქვამდა სიტყვებს. სხვათა შორის, ქართულად მეტყველების დროსაც ჰქონდა ეს ნაკლი. ინგლისურში ეს უფრო თვალშისაცემია. მაგალითად, „ბაირონს“ ინგლისელები შეკუმშულად გამოთქვამენ, სიტყვის ბოლო ხმოვანი „ო“ თითქმის არც კი გამოითქმის და პირველი ორი ხმოვანიც შეკუმშულია. ეს სტუდენტი კი, თითქოს საგანგებოდ, გაწელავდა ხოლმე — „ბ-ა-ი-რ-ო-ო ნ“. ქართულადაც კი უხერხული გამოდიოდა და მით უმეტეს ინგლისურად. პოხსენება ინგლისელ რომანტიკოსებზე ჰქონდა და ამ სახელის გამეორება ხშირად უხდებოდა. ასევე გამოთქვამდა სხვა სიტყვებსაც. პოხსენება გრძელი არ ყოფილა, მაგრამ ასეთი მეტყველების გამო ზეტისმეტად გაჭიანურებული გამოჩნდა. სტუდენტმა — სხვათა შორის, იგი არც ისე ახალგაზრდა იყო, — თავად იგრძნო ეს და ძალიან შეწუხდა. ტატიშვილს, რაღა თქმა უნდა, იმ დღეს არაფერი უთქვამს, და არც შემდეგ, მგონი. მაგრამ გულში, ეტყობა, ხინ-

ჯად ჩარჩა. აკი ითქვა — თავისი სტუდენტების წარმატება თუ მარცხი მუდამ გულთან მიჰქონდა ხოლმე. იმ საღამოს, რაღა თქმა უნდა, სხვებიც გამოვიდნენ — რეფერატებით, თარგმანებით. ზოგი კარგად, ზოგიც შედარებით სუსტად, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე ხანი. იმ საღამოს შთაბეჭდილებები უკვე განელდა, ალარავინ ლაპარაკობდა მასზე. და ერთ დღეს ბატონი ერეკლე იგი საპროფესოროდან გამოვიდა, ერთად წავედით აუდიტორიისაკენ. მეუბნება: „ხედავ, კაცო, რა გვიყო კიროვმა?"... სახტად დავრჩი, ყურებს ვერ დავუჯერე. გამიკვირდა, რომ ჩვენმა მასწავლებელმა ასეთ საგანზე დამიწყო ლაპარაკი — ჯერ უმცროსი კურსის სტუდენტი ვიყავი. ეს ხდება 1937 წელს. ამ დროს ხალხი ჩუმჩუმად ლაპარაკობდა, რომ ეს საშინელი რეპრესიები კიროვის მოკვლამ გამოიწვია. და მეც ასე გავიგე მისი სიტყვები. იმიტომაც გამიკვირდა — ჯერ მას ასეთი გულახდილი საუბარი არა ჰქონია ჩვენთან. შემატყო, რომ გაოცებული დავრჩი — ალბათ იმას ვერ მიხვდა, რაც მე ვიფიქრე, მაგრამ განმარტა, განაგრძო დაწყებული სიტყვა: „გამოთქმა კი ცუდი აქვს, მაგრამ თავის დღეში ასე არ მოსვლია". ერთბაშად მივხვდი ყველაფერს, და ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გადამეხარხარა. საქმე ის არის, რომ იმ სტუდენტს, რომელმაც იმ დღეს რეფერატი წაიკითხა, კვიროსი ერქვა და ბატონი ერეკლე ჩემოკლებით „კირო"-ს ეძახდა. ეს საუბარიც მას და მის იმდღევანდელ მოხსენებას შეეხებოდა — მან თურმე მითხრა, „რა გვიყო კირომაო", და მე ვერ გავიგე. აქამდე გულში დარჩენოდა ის ტკივილი.

იგი თამამად ანდობდა ახალგაზრდებს დიდ საქმეს და ბოლომდე ყურადღების არეში ჰყავდა. ერთი ასეთი შემოქმედებითი საღამოს წინ — ამ დროს უკვე მესამე კურსს ვამთავრებდი — დამავალა ნაწყვეტის თარგმნა „რომეო და ჯულიეტადან". ეს ასეთ ვითარებაში მოხდა. ინგლისური პოეზიის ერთ-ერთ ანთოლოგიაში დაბეჭდილი იყო. ე. წ. აივნის სცენა „რომეო და ჯულიეტადან". ამ ანთოლოგიიდან ჩვენ რომელიღაც ლექსი ვისწავლეთ. გადავშლიდი თუ არა წიგნს, თითქოს განგებო, სწორედ ის ფურცელი მომხვდებოდა, რომელზეც შექსპირის ეს ნაწყვეტი იწყებოდა. ერთხელ ჩემი მეგობარი ალექსანდრე საჯაია იყო ჩემთან. იგი წინა კურსზე სწავლობდა, მაგრამ ჩვენ თითქმის სულ ერთად ვიყავით. ზოგჯერ ერთმანეთის ლექციებსაც კი ვესწრებოდით, და ლექციების შემ-

დეგ უნივერსიტეტიდან ერთად წამოვიდოდით ხოლმე. და აი, ალექსანდრე საჯაიას ვეუბნები — აბა, ერთი ვცადო, ამის თარგმნას თუ მოვახერხებ-მეთქი. ამ დროს მე მარკ ტვენის ერთი პატარა მოთხრობა მქონდა თარგმნილი, ლექსი ჩემს დღეში არ მეთარგმნა და არც დამეწერა. დავიწყე პირველი სტრიქონის თარგმნა, მაგრამ, ბუნებრივია, გამიძნელდა. ორიოდე სტრიქონი ვთარგმნე და, რომ დავრწმუნდი, არ გამოდიოდა, თავი მივანებე. და იქნებ არც არაა სოდეს მივბრუნებოდი, თუ არა ეს შემთხვევა. იმავე ხანებში დიდ შემოქმედებით საღამოს ამზადებდნენ. ჩვეულებრივ, უფროსკურსელები — ესე იგი, მეოთხე-მეხუთე კურსელები გამოდიოდნენ. საქმე იმ ეტაპზე იყო, უკვე მონაწილეთა სიებს აზუსტებდნენ. საღამოში მონაწილეობდა მაშინ მეოთხეკურსელი ალექსანდრე საჯაია — მას უნდა წაეკითხა შელისა და ლონგფელოს თარგმანები. და საჯაიას ბატონი ერეკლესთვის უთქვამს ჩემზე — „რომეო და ჯულიეტას“ ნაწყვეტს წაიკითხავსო, ოღონდ თავად არ სურს გამოაჩინოს და მას ნუ ვკითხავთ, პირდაპირ შევიტანოთ სიაში, ფაქტის წინაშე დავაყენოთო. ტატიშვილს გაახარებია ეს. და მართლაც, უკვე აფიშას ამზადებდნენ — ათი დღის შემდეგ საღამო უნდა გამართულიყო — რომ პირდაპირ მეუბნება, შენ შექსპირის ნაწყვეტს წაიკითხავო. მაშინვე მივხვდი, ვინ ეტყოდა ამას — გამოგიტყდებით, გულის სიღრმეში გამიხარდა კიდეც. მაგრამ მეშინოდა — ჯერ ერთი, როგორი გამოვიდოდა თარგმანი, და მეორეც — მოვასწრებდი კი ამ ათ დღეში? ნაწყვეტი დიდი არ იყო, მაგრამ მე, როგორც ითქვა, ორიოდე სტრიქონი მქონდა თარგმნილი. როგორც მოგახსენეთ, მივხვდი, რომ ეს ჩემმა მეგობარმა ალექსანდრე საჯაიამ მოაწყო. იგი მუდამდღე ჩამჩიჩინებდა, მოსვენებას არ მაძლევდა, მომეკიდა ხელი, მაგრამ ვერ გამებედა, ვერ გადამეწყვიტა და, აჰა, ეს ხერხი მოიგონა...

მოახლოვდა საღამოც. წინა დღით ტატიშვილმა მითხრა, აბა, ერთი მაჩვენე, როგორა გაქვს თარგმნილიო. წაიკითხა, კარგიაო, მითხრა. ერთი სიტყვაც არ ჩაუსწორებია. ალბათ გამიფრთხილდა, არ დავაფრთხოო, თორემ ჩასასწორებელი, რაღა თქმა უნდა, ბევრი იყო. დღემდე შემომრჩა თხელი რვეული, რომელშიაც ეს ნაწყვეტი მქონდა ჩაწერილი. დღემდე ცოცხლად მახსოვს ის საღამო. მომეჩვენა, თითქოს ტატიშვილმა განსაკუთრებული ხაზგასმით

გამოაცხადა, შექსპირის პიესიდან ერთ სურათს წაიკითხავს მესამე კურსის სტუდენტიო.

ზემოთ ითქვა, საოცრად რბილად გამოხატავდა იგი საყვედურს. იცოდა გაბრაზებაც, მაგრამ ხშირად არა. უმეტესად ასე, ხუმრობით... თუ არ ვიცი, რა დავარქვა ამას, „საპრისტი! საპრისტი!“ მოჩვენებითი მრისხანებით იტყოდა ხოლმე და ეს იმისი ნიშანი იყო, რომ უნდა დამჯდარიყავი. თუ ვერ მიუხვდებოდი და არ დაჯდებოდი, დააყოლებდა: „სიტ! სიტ! სიტ დაუნ ფორევერ!“ — დაჯექი, დაჯექი და აღარც ადგეო. „საკრამენტო!“ — ამ სიტყვას ერთხელ წარმოთქვამდა თვალებს ზეაღაპყრობდა — თითქოს, რა ამაოა ყველაფერიო. „კვირიკეთში, კვირიკეთში, უკვე ჩახვედი კვირიკეთში, კვირიკეთში ხარ!“ — ამას რომ იტყოდა, უკვე ცუდად იყო საქმე. იცოდა წამღერებაც და ეს უკვე მართლაც ხუმრობასავით იყო.

რი-ი-ი, რა რა რა,
რი-ი-ი, რა რა რა,
რი რა რა რა რა რა...

„ვალპურგის ღამიდან“ წაუმღერებდა ხოლმე ვალსს, მაგრამ რატომღაც ერთ ტაქტს ყოველთვის გამოტოვებდა. ალბათ განგებ, უფრო რომ გასმოდა ხაზი ხუმრობას, თორემ სმენა კარგი ჰქონდა. ამ წამღერებით იმას გვაგრძნობინებდა, რომ ჩვენ ადვილად წარმოგვედგინა სწავლაცა და ცხოვრებაც და ისეთ მოჩვენებით ნეტარებაში ყოფნა გვერჩია, რა განწყობილებასაც ეს მუსიკა ქმნის. როცა შეგვატყობდა, წინა დღით მეგობრულ სუფრასთან გაგვეტარებინა დრო და გაკვეთილი კი მომზადებული არა გვქონდა, მაშინ წაიმღერებდა ხოლმე ამას. ქართულადაც იცოდა წამღერება — „ჰრელი კაბა შეგიკერავს“... როცა უფრო გაუბრაზდებოდა გოგონებს, მაშინ — „მონასტერში! მონასტერში, ოფელია!...“

იგი არაფერს გვიშლიდა — არც მეგობრულ ქეიფსა და დროტარებას, არც თეატრში სიარულს, თუნდაც გაკვეთილის ხარჯზე (ჩვენ ხომ მესამე კურსიდან ლექციები საღამოობით გვქონდა). უსათუოდ შეგატყობდა მეორე დღეს და გაგრძნობინებდა. შეგატყვეო. ამ დროს გაკვეთილს არა გვკითხავდა. ერთ დღეს გაკვირვებული ამბობდა ერთ-ერთ პროფესორზე: „გაგონილა, თავის ასპირანტებს უთვალთვალებს თურმე, თეატრში ხომ არ დადიანო!..

ერთი გამოუტეხია კიდეც, წუხელ ოპერაში ვიყავიო... ხედავ, რა ზდება?!“.

ცდილობდა საერთო განათლება მიეცა სტუდენტისათვის, მარტო თავისი საგნით და ლექციებით არ შემოზღუდულიყო. თავის ვიწრო სპეციალობაში ჩაკეტილ მეცნიერს „პრიჩეტნიკს“ ეძახდა. უპირველეს ყოვლისა, ინტელიგენტი უნდა ყოფილიყო მისი აღზრდილი ადამიანი. თავად მრავალმხრივი განათლება და ინტერესები ჰქონდა. უყვარდა ხელოვნება. უყვარდა მუსიკა.

მახვილი თვალი ჰქონდა, საკმარისი იყო, ერთი შემოეხედა და მაშინვე მიხვდებოდა შენს სულიერ მდგომარეობას — ან რაღაც გაწუხებდა, ან რაღაცას გაეხარებინე, ან რისიმე გეშინოდა. ზარი რომ დაირეკებოდა და შემოვიდოდა, ჩვეულებრივ, გადახედავდა სტუდენტებს, მიესალმებოდა და იმდენი ადამიანის გამომეტყველებაში ხელადვე გამოარჩევდა, ვთქვათ, შენს განსაკუთრებულ, უჩვეულო განწყობილებას. ამოიღებდა წიგნს, რომელიც იმ დღეს ლექციაზე სჭირდებოდა და ახლა უფრო დაკვირვებით შემოგხედავდა, თავის პირველ შთაბეჭდილებას შეამოწმებდა, მაგრამ სხვებისთვის შეუმჩნეველად, თითქოს არაფერიაო — და შენ იგრძნობდი, რომ იგი მიხვდა. გამოკითხვას და ნუგეშისცემას არ დაგიწყებდა. ლექციის დამთავრების შემდეგ პორთფელს აიღებდა, ქუდს დაიხურავდა და კარისაკენ რომ გაემართებოდა, სანამ სტუდენტები წამოიშლებოდნენ, ერთხანს დაყოვნდებოდა (ეს ჩვეულებადაც ჰქონდა, თუ გაბრაზებული არ იყო), თვითონვე რაღაცნაირად ისე მოახერხებდა, რომ შენ მიახლოვებოდი; მხარზე ხელს დაგადებდა, საპროფესოროსაკენ გაგაცილებინებდა თავს, და შენ იგრძნობდი როგორ სასურველ თანაგრძნობაც დაგიღვიდა სხეულში მისი ხელის სითბო. თავად კი ამ დროს სავსებით ორდინარულ რამეზე გელაპარაკებოდა.

მძიმე წლები იყო. ყოველ გათენებას სულ ახალი და ახალი საშინელებანი მოჰქონდა. ქუჩებში შეწუხებული, შეჭირვებული, გამწარებული ხალხი დადიოდა. ორი ახლობელი რომ შეხვდებოდა ერთმანეთს, ჯერ გულზე მოეფოხებოდათ — რომ ისევ აქ არიან, არ წაუყვანიათ, და მერე იმას შეატყობინებდნენ ერთმანეთს, წუხელ ვინ წაიყვანეს; კი არ ეტყოდნენ — ისე მიახვედრებდნენ, რომ არავის გაეგონა. თან აქეთ-იქით იყურებოდნენ — დამფრთხალნი,

დაფეთებულნი, დამცირებულნი. შიშმა თითქოს ხორცი შეისხა და ხილული გახდა — თითქოს ხედავდი, როგორ დადიოდა ქუჩაში, როგორ მოგდევდა თან, სახლში როგორ შემოგყვებოდა... მიჰყავდათ ღამით და მიჰყავდათ დღისითაც, ლექციებიდანვე. კარზე დააკაკუნებდნენ, და აუდიტორიაში, რომელიც ხშირად ასამდე კაცს იტევდა, შიში დაუვლიდა ყველას, ელექტროდენის სისწრაფით მოიცლიდა ყველა მერხს და წამები, რაც კარის გაღებას სჭირდებოდა, მტანჯველ საუკუნედ გაიწელებოდა ხოლმე — ნეტა ვინ? ვინ მიჰყავთ? ადამიანის მაღალი ღირსება იბღალებოდა იმის შეგნებით, რომ იგი გაუცნობიერებლად შესთხოვდა ღმერთს — თავად არ ყოფილიყო და სხვა ყოფილიყო ვინმე. გაჰყავდათ ხან სტუდენტი, ხან ლექტორი. რასაც ღამით ვერ ასწრებდნენ, დღისით ინაზღაურებდნენ. ჩვენი ტყუპისცალი ჯგუფიდანაც — გერმანული ჭანყოფილებიდან — წაიყვანეს გერმანულის ლექტორი. შესანიშნავი ვაჟკაცი, კარგი მცოდნე თავისი საგნისა და საქმისა, დიდებული ადამიანი, რომლის შეყვარება უკვე მოასწრეს სტუდენტებმა და მათთვის ამ კაცის წაყვანა გულიდან მოგლეჯას ნიშნავდა. წაიყვანეს იმიტომ, რომ განათლება გერმანიაში მიეღო ახლახან; იმიტომ, რომ ნამდვილი ინტელიგენტი იყო; იმიტომაც, რომ იგი მომავალში ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებდა თავისი ერისათვის, ქართული კულტურისათვის. დიახ, აქ სხვა ბნელი ზრახვებიც მოქმედებდა — ანტიეროვნული, ანტიქართული. ივანე ჯავახიშვილი ალბათ იმიტომ გადაურჩა „წაყვანას“, რომ ადრე მოჰკვეთეს თავისივე დაარსებულ უნივერსიტეტს. მე პირადად არ მინახავს, სხვებისაგან ვიცი — რა სამარცხვინო ბრძანება ყოფილა გამოკრული უნივერსიტეტის შესასვლელში. ერთ პატარა ქაღალდის ნაჭერჯზე ჯერ რომ უნივერსიტეტის დამაარსებლის მოხსნის განკარგულება იყო აღნიშნული, იქვე, ქვემოთ, მეორე პარაგრაფად, თურმე ეწერა, როგორ ნიშნავდნენ — მართალია, არა რექტორად, არამედ რაღაც თანამდებობაზე, — ერთ უვიც ადამიანს, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ თაღლითობაში ამხილეს. ცალკე ბრძანებაც არ აღირსეს... ერეკლე ტატიშვილიც მაშინ ალბათ იმიტომ გადაურჩა „წაყვანას“, რომ ფართო, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას უკვე დიდი ხნის ჩამოშორებული იყო, უცხოეთშიაც ძალიან დიდი ხნის წინათ ნამყოფი, და როგორც ენის საცოდავ მასწავლებელს, ისე უყურებდნენ. მისი თანამდებობა არა შურდათ,

ვერც შეცვლიდნენ მას; არც ბინა შურდათ მისი — ერთი პაწაწინა საცოდავი ოთახი ვის რად უნდოდა. ბინა შემთხვევით არ მიხსენებია — რამდენი უკეთური ადამიანი დააცხრა მაშინ ამგვარად „გამოთავისუფლებულ“ ბინებს. და რამდენმა შეუწყო ხელი ბინის ამგვარ „გათავისუფლებას“. უგზოუკვლოდ წაყვანილთა ბავშვებს ან ქუჩაში გამოყრიდნენ ან იქვე, საკუჭნაო ოთახში შეტენიდნენ და თავად ეპატრონებოდნენ არა მარტო ბინას, არამედ ავეჯსაც, ბიბლიოთეკასაც იმ ადამიანისა, ვისი სუნთქვითაც ჯერ ისევ თბილი იყო ეს ოთახები... ნეტა, როგორ ეძინათ იმ ბინებში! მოლანდებები მაინც არ აწუხებდათ?! მახსოვს, მაშინდელი პლეხანოვის პროსპექტზე, ყოფილი „არტოს“ ბაღში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა უნივერსიტეტის პროფკავშირების საგადარჩევო კრება. ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. დანტეს ფანტაზიაც ვერ მისწვდებოდა იმ საშინელებას, რაც იქ სამი დღის განმავლობაში ხდებოდა. ადამიანებს არა თუ ადამიანური ღირსება, ადამიანის სახეც დაეკარგათ და სიბილწის მორევში თუხთუხებდნენ. გამოდიოდნენ და ხელს აღებდნენ, წარმოუდგენელი სისასტიკით სწირავდნენ თავიანთ მასწავლებლებს, ამხანაგ სტუდენტებს, ვთქვათ, იმისთვის, რომ ამა და ამ სტუდენტმა (და ზოგჯერ პროფესორმაც!) ძალიან მალე შეწყვიტა ტაშის დაკვრა ერთ-ერთ მიტინგზე (ამ მიტინგსაც დაასახელებდა), როცა ჩვენი საყვარელი ბელადი ახსენესო (და ამ დროს იგი არა მთავარ, არამედ რიგით ბელადს ახსენებდა); ახლა ეს ძალიან ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი. — ან: ციხისძირის დასასვენებელ სახლში (უნივერსიტეტს თავისი დასასვენებელი სახლი ჰქონდა ციხისძირში) ამა და ამ კაცმა ჩემთან საუბარში ისე წარმოთქვა ბელადის სახელი, რომ აშკარად ჩანდა, მისი დიდი სიყვარული და პატივისცემა არა აქვსო... „გაიყვანეთ! გაიყვანეთ ხალხის მტერი!“. — წამოიძახებდა რამდენიმე არამზადა დარბაზიდან... და მიჰყავდათ ან იქიდანვე, ან რამდენიმე საათის შემდეგ შინიდან. ერთხელ ლათინური ენის ლექციაზე ლექტორმა, რომელსაც მერხებს შორის სიარული უყვარდა, გვერდზე რომ ჩამიარა, უცებ დაფეთებულმა დააფარა ხელი ჩემს რვეულს, და ჩქარა დამალეო, ჩუმად მითხრა. დავიბენი, ვერ მივხვდი, რა უნდოდა ამ კაცს. და მერეღა მოვედი გონს. მგონი, პუშკინის დღეები იყო და ჩემს რვეულზე პუშკინი იყო გამოსახული, ფონად კი რაღაც ღრუბლისმაგვარი ჰქონდა. ეს

ასევე იყო დაბეჭდილი. ეს ღრუბელი ჩვენი ლათინურის ახალგაზრდა მასწავლებელს ტროცკის წვერად მოსჩვენებია, და მეც ამარიდა საფრთხეს და საკუთარი თავიც. დიდი, დიდი ხნის შემდეგ რომ შემხვდა, მაშინაც კი არ დავიწყებოდა — მითხრა, გახსოვს, როგორ გადაგარჩინეო. ასეთი დაეჭვება ძალიან გავრცელებული იყო. განსაკუთრებით ქალაქზე დახატულ ღრუბლებს უყურებდნენ უნდობლად, შეატრიალებდნენ, ყოველი კუთხიდან საგულდაგულოდ გასინჯავდნენ, ტროცკის წვერს ხომ არ ჰგავსო. გავრცელებული იყო ხმა, ხალხის მტრები შეფარვით ტროცკის წვერს ბეჭდავენ, რადგან წვერი ძნელი გამოსაცნობიაო. ამბობდნენ, თითქოს ამისთვისაც წაეყვანოთ ხალხი, ვერ ვიტყვი, რამდენად მართალი იყო, თუმცა დაუჯერებელიც არაფერია. ერთხელ ობლიგაციები დაგვირიგეს. ჩემს მეგობარს, ალექსანდრე საჯაიას ხელში ეჭირა ახალმიღებული ობლიგაცია. ვიღაცამ გააბრაზა. ფიცხი კაცი იყო და უნივერსიტეტის დერეფანში, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, უნებურად ობლიგაცია გახია კბილით. იმავე დღეს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტში გამოიძახეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, რომ გაბედა და სახელმწიფო სესხის ნიშანი გახია. კიდევ კარგი, დიდ პოლიტიკურ დანაშაულად არ ჩაუთვალეს და სასტიკი საყვედური აკმარეს. მაგრამ ეს არ არის მთავარი, ამისთვის არ დამიწყია ეს ამბავი. შემდეგ საჯაიამ მიამბო, რომ მასთან ერთად კომკავშირის კომიტეტში გამოძახებული ყოფილა ერთი გოგონა, რომლის მამაც წინა დღეებში „წაუყვანიათ“. ათასნაირი კითხვა დაუსვეს გოგონას, რათა „გამოეტეხათ“ და, რაკი ვერაფერს გახდნენ, საბოლოოდ ასეთი შეკითხვა მისცეს — „მაშ ეს გვითხარი, რა ურთიერთობა გქონდა მამაშენთან?“ გოგონა გამშრალია, დაბნეული, გაფითრებული, მამის ბედით განადგურებული. არავითარი ურთიერთობა არა მქონიაო, უპასუხა, გარდა იმისა, რომ დილით, სამსახურში წასვლის წინ, სანამ მე ისევ ლოგინში ვიწექი, მოვიდოდა და შუბლზე მაკოცებდა... და მეტი აღარც ცრემლებმა და აღარც მათ დაეცალეს. „გაკოცებდა?!“...ირონიულად შეაწყვეტინა მთავარმა დამკითხველმა. ერთმანეთს გაბოროტებით გადახედეს. ესე იგი, მეშჩანური ოჯახიდან ყოფილა! ეს არ უთქვამთ, მაგრამ მათი ირონიული ღიმილი ამას გამოხატავდა. — გულისტკივილით და იმ გოგონას სიბრალულით ჰყვებოდა ამას საჯაია. — თავად მეტისმეტად

გამკაცრებულები, ყოველგვარ ადამიანურ სითბოსა და სინაზეს მომაკვდინებელ მეშჩანობად მიიჩნევდნენ.“ ასე იყო მაშინ. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სექცია ოაზისივით იყო ამ გამკაცრებულ ატმოსფეროში. ჩვენივე კურსის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე ასეთი „ფხიზელი“ სტუდენტები სჭარბობდნენ. მათ თავიდანვე დაიჭირეს მაღალი თანამდებობები უნივერსიტეტის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. იმათი ფაკულტეტი გაცილებით დიდი იყო და ასეთი ხალხიც ბლომად ჰყავდათ. უმთავრესად ჩექმებში ჩატანებული ხაკისფერი გალიფე ეცვათ, ზემოთაც ხაკისფერი კიტელი, წვერს იშვიათად იპარსავდნენ — ეს იმის ნიშნად, რომ პარტიული საქმეებით დატვირთულნი წვერის გასაპარსადაც ვერ იცლიდნენ. თავიანთ თანაკურსელებზე გაცილებით უფროსები იყვნენ. უნივერსიტეტში შესვლამდე, ეტყობა, პარტიულ სამუშაოზე ემოღვაწათ. ისინი ყველაფერს ეჭვით უყურებდნენ, პროფესორებს უდიერად ექცეოდნენ. ორი გამოირჩეოდა მათ შორის. გვარებს განგებ არ ვასახელებ. ლექციებზე იშვიათად ესწრებოდნენ, უფრო ხშირად უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტში იყვნენ. ჰყავდათ ჯგუფში რამდენიმე გოგონა, რომელთაც საშუალო სკოლაში ერთად ესწავლათ და ახლაც ერთად ადრძელებდნენ სწავლას. ბავშვობიდანვე ერთად გაზრდილები, ბუნებრივია, ახლაც სულ ერთად იყვნენ. ეს მათ აბრაზებდა. ესეც მეშჩანობის გამოვლინებად მიაჩნდათ. მით უმეტეს, რომ „მეშჩანური“ (ესე იგი ინტელიგენტური) ოჯახებიდან იყვნენ. მათი ზედმეტი სილაღეც აბრაზებდათ.. დიდხანს შეჰყურებდნენ დაბღვერით ამ ლაღად მოკისკისე გოგონებს და ერთ დღეს — ეს მოხდა პირველსავე კურსზე — ერთ-ერთმა გალიფოსანმა, რომელიც მეტი სიმკაცრით გამოირჩეოდა, ჯგუფის კრება მოიწყია და დაადგინა — ოქმში შეიტანა, რომ ამ გოგონებს ემეგობრათ არა ერთმანეთთან, არამედ იმათთან, ვისაც კრება შეარჩევდა. წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული და ჩაწერილი, იმ სტუდენტ ქალთაგან თითოეულს ვისთან ემეგობრა. ასე გადაწვიტეს იმ „მეშჩანური“ წრის უვნებელყოფა. პროფესორებსაც უდიერად ეპყრობოდნენ. ითქვა. ერთხელ აკაკი შანიძე ატარებს ლექციას (ასეთი ბედი ერგოთ — თვით აკაკი შანიძე ასწავლიდა ენას და, ნახეთ, როგორ აფასებდნენ!). როგორც ჩანს, არსებითი სახელის ბრუნებას, გადიოდნენ. პროფესორმა გამოიძახა ერთ-ერთი გალიფოსანი, სახე-

ლად კალე, და ჰკითხა: „აბ, მითხარით, რომელ ბრუნვაშია „კაცო“?“.. ეს გალიფოსანი ვეება კაცი იყო, გადმოშვებული ღიპი ჰქონდა. ჩაფიქრდა, მაგრამ ჩაფიქრება აბა, რას უ ველიდა. მერე გაბრაზებამ წამოუარა, რომ შეჰკადრეს და დაფასთან გამოიყვანეს. „ესე იგი, რომელ ბრუნვაშია „კაცო“ არის?“ — დრო გაჰყავს კალეს. „დიახ, — უპასუხებს შანიძე, — რომელ ბრუნვაშია „კაცო“. ამასობაში სტუდენტები მიეშველნენ, უკარნახეს, და მანაც რიხიანად, ცოტა არ იყოს, ნიშნისმოგებითაც უპასუხა პროფესორს: „მაშასადამე, „კაცო“ არის წოდებითში!“ „ძალიან კარგი! — მოუწონა პროფესორმა, რომელმაც, რაღა თქმა უნდა, ისიც გაიგონა, როგორ უკარნახეს და ამის განწყობილებასაც მშვენიერად მიხვდა. „ძალიან კარგი, — გაიმეორა პროფესორმა, — ახლა ესეც მიბრძანეთ, „ქალო“ რომელ ბრუნვაშია“? გალიფოსანი კვლავ დაიბნა და ისევ გაბრაზებამ წამოუარა, ამჯერად უფრო ძალუმადაც. რას ჩააკივდა ეს პროფესორი, მეტი საქმე არა აქვს?! ისევ სტუდენტებს გადახედა, და მათაც მიაშველეს სხვადასხვა მხრიდან — „წოდებითში“, „წოდებითში!“ და ახლა კიდევ უფრო მეტი რიხით და უფრო ხაზგასმული ნიშნისმოგებითაც უპასუხა გალიფოსანმა: „მაშასადამე, „ქალოც“ არის წოდებითში!“.. მაგრამ შანიძე არა ცხრება: „კეთილი, — კვლავ მოუწონა მან, — მაშ, ესეც მითხარით, „იყო“ რომელ ბრუნვაშია?“ გალიფოსანმა უკვე ალღო აუღო სიტუაციას, აღარ შეყოყმანებულა, მყისვე უპასუხა ხმამაღლა და ერთგვარი სილაღითაც: „ესეც წოდებითშია!“. აუდიტორიაში სიცილი ატყდა. პროფესორს გაეღიმა, დაფასთან გამოყვანილი გალიფოსანი შეცბა, ჯერ პროფესორს გადახედა, მერე აუდიტორიას, დაიბნა. უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. გაბრაზებულმა მეორე გალიფოსანი მოძებნა თვალებით. ის მეორე — ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივანი იყო. ამასობაში ლექტორმა განუმარტა სტუდენტს, რომ „იყო“ არსებითი სახელი არ არის და მისი ბრუნება არ შეიძლება... და ახლა კი წამოვარდა მეორე გალიფოსანი: „ამხანაგო პროფესორო, რამდენად სწორია, რომ ლექტორმა სტუდენტს მცდარად დაუსვას კითხვა?!“ საქმე აშკარად პოლიტიკურ ხასიათს იღებდა. ეს იმ დროს საკმარისი იყო, „ხალხის მტრად“ მოენათლათ პროფესორი. აკაკი შანიძე არ დაიბნა... მაგრამ აღარ გავაგრძელებ. ისედაც გამიგრძელდა სიტყვა... მინდოდა, მეჩვენებინა, როგორი ატმოსფერო იყო იმ დროს უნივერსიტეტში. რა

დღეში იყვნენ პროფესორები. მაგრამ ჩვენთვის ჩვენივე ლექტორების და, უპირველეს ყოვლისა, ერეკლე ტატიშვილის წყალობით, აქაური სისასტიკე თითქოს არ იყო იმდენად საგრძნობი. პირიქით, გულდამძიმებულები და შეჯირვებულები, აქ, უნივერსიტეტში, იმ რამდენიმე საათს — ჩვენი მასწავლებლის ლექციებზე — თითქოს შვებასა ვგრძნობდით, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტშივე, ჩვენს ირგვლივ, ასეთი საშინელება ტრიალებდა. ფუჭი გამამხნევებელი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ ამ ალალი და ბრძენი ადამიანის გვერდით ყოფნა იმ საშინელების დროს თავისთავად დიდი ნუგეში იყო. მაშინ ყველას ეშინოდა თავისი ასაკოვანი ახლობლის გამო; და ჩვენ, სტუდენტებს, ფარული შიში გვქონდა მის გამოც. რა ბევრი საბაბის ძებნა ამას სჭირდებოდა (თუკი საერთოდ ეძებდა ვინმე იმ დროს საბაბს) — მრავალი უცხო ენის მცოდნე, უცხოეთში განათლებამიღებული, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ნამყოფი, შეუპოვარი, უკომპრომისო, მაღალი რანგის ინტელიგენტი... მეტი რაღა იყო საჭირო! ბნელი ძალები ასეთ ხალხს არ ინდობდნენ... და როცა დილით, ჩვეული ნელი ნაბიჯით, უნივერსიტეტის ჰიშკარს მოადგებოდა, ჩვენ ქვეცნობიერად გვიხაროდა. გვიხაროდა, რომ იგი ისევ ჩვენთან იყო. ისევ დავამთავრეთ უნივერსიტეტი, რომ არც წაუყვანიათ.

დიდხანს გვწვავდა ცნობისმოყვარეობა თუ გაუცნობიერებელი პატივმოყვარული ჟინი, ვწვეოდით მას შინ, გვენახა მისი პატარა ოთახი. და როცა ამის საშუალება მოგვეცა, თვალებს არ ვუჯერებდით — ნუთუ შეიძლებოდა, ამ სახელოვან კაცს ასეთ ბინაში ეცხოვრა! ხომ ადრევე გვქონდა გაგონილი, პატარა ოთახი აქვსო, მაგრამ რაც ჩვენ ვნახეთ, იმას პატარაც არ ეთქმოდა. სიგრძით ხუთიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა, სიგანითაც — სამიოდე თუ სამნახევარი. ბელეტაჟივით იყო, ერთადერთი ფანჯარა ძერჟინსკის ქუჩაზე გამოდიოდა, ფანჯარასთან მჭიდროდ მიდგმული ჰქონდა საწოლი. საწოლის ბოლოში იქვე ნავთქურა იდგა და კარამდე სულ ცოტაღა რჩებოდა. აქ მხოლოდ კალოშს თუ გაიხდიდა და პალტოს დაკიდებდა, თუმცა პალტო უმეტესად მოსხმული ჰქონდა — ციოდა ოთახში. ასეთი გახლდათ ოთახის სიგრძე. მოპირდაპირე კედელთან — საწოლის გასწვრივ — საწერი მაგიდა იდგა და საწოლსა და მაგიდას შორის სკამიღა ჩაიდგმებოდა, რომელზეც თვითონვე იჯდა ხოლმე. სხვა სკამი ოთახში არა ჰქონია. მაგიდას-

თან მიდგმული იყო დიდი, ძველებური ტყავის სავარძელი, უკვე საკმაოზე მეტადაც დაძველებული და შეფერთხილი. ეს იყო და ეს. სავარძელზე. სტუმარი დაჯდებოდა, თუ სტუმარი ერთი იყო; თუ ორი იქნებოდა, ორიც მოთავსდებოდა, თუ ძალიან გაჭირდებოდა, სამიც კი. მაგრამ სტუმრები ზოგჯერ მეტნი მოსდიოდნენ...

ჰო, როცა უკვე დავუახლოვდით, გვაფრთხილებდა, კარზე არ დაგვეკაკუნებინა. ეს კარი საერთო იყო ვიღაც მეზობელთან, რომელიც ჩვენ არასოდეს არ გვინახავს, შეიკეტებოდა მთელი ოჯახი სახლში და იყვნენ ასე. როცა ცხარე ლაპარაკი ჰქონდათ ოჯახში, მაშინ მკაფიოდ გამოდიოდა ხმა. და ეს იყო კიდევ ერთი სატანჯველი ერეკლე ტატიშვილისა. ვერ იტანდა იმ ოჯახს. უცნაური ხალხი იყო. ერთ დღეს რომ მივედი — ეს ომის დროს — საშინლად გაბრაზებული და აღელვებული დამხვდა ბატონი ერეკლე. ნეტა ხუთი წუთით ადრე მოსულიყავი და შენი ყურით მოგესმინა, — მეუბნება, — რა ბედი მარგუნა ღმერთმა!..

თურმე მამა ეჩხუბება შვილს — პატარა ბიჭს — ჩემი შაქარი რად იხმარეო. მთავრობა რომ საგანგებო ულუფას მინიშნავს, ეტყობა მე მჭირდება, და შენ თუ შეჭამე, რაღა გამოვიდაო! მთელი საათი ასე ეჩხუბებოდაო. და განა ეს პირველიაო. ვერ ვიტყვი, რა ხალხი იყო, რა ჯურისა, საიდან ჩამოთესლებულები. მაგრამ ეს ფაქტიც ხომ კარგად ამტკიცებს, რა ჯოჯოხეთურად ძნელი იქნებოდა მათ გვერდით ცხოვრება ერეკლე ტატიშვილისთანა კაცისათვის.

ერთი სიტყვით, გვთხოვდა, არ დაგვეკაკუნებინა იმ საერთო კარზე, რომელსაც პატარა დერეფანში შეჰყავდით. ქუჩიდან სადარბაზოში რომ შეხვიდოდი, რამდენიმე საფეხურს აივლიდი და კედელზე დააკაკუნებდი — სწორედ მისი ოთახის კედელი გამოდიოდა გარეთ.

იმას ვამბობდი — როცა სტუმრები მეტნი იყვნენ, პირდაპირ საწოლზე ჩამოსხდებოდნენ. ესენი, ჩვეულებრივ, მისი ახლობლები იყვნენ, მისი ძველი მოწაფეები, რომელთაც ტატიშვილი ერთ დროს საშუალო სკოლაში ასწავლიდა და მას შემდეგ მათი მეგობრობა აღარ შეწყვეტილა, პირიქით — დღითიდღე მტკიცდებოდა. შვილებივით შემოერტყმოდნენ ხოლმე გარს. და ყველაზე სასურველი წუთები ბატონი ერეკლესი ეს იყო. ვინ იყვნენ ესენი? კაკო ანდრიაშვილი, ლადო დონაძე, ქუჯი ძიძიშვილი, ლექსო ივა-

ნიშვილი, ვანო ტაბიძე, ვასო მურვინიძე, ლუარსაბ იაშვილი და, რაღა თქმა უნდა, ნიკო სამადაშვილი. მუდამ გაიხსენებდნენ ხოლმე უდროოდ გარდაცვლილ მწერალს ბასილ მელიქიშვილს... ისინი, ჩვეულებრივ, შაბათობით იკრიბებოდნენ თავიანთ მასწავლებელთან. კვირაძალის შეხვედრებს ეძახდნენ ამას. არა მგონია, რომელიმე შაბათ საღამო გამოეტოვებინოთ, მაგრამ ისე სხვა დღეებშიაც ნახავდით, ცალ-ცალკე მოსულებს, განსაკუთრებით, ნიკო სამადაშვილს, რომელსაც, ცოტა შეზარხოშდებოდა თუ არა. უსათუოდ მოენატრებოდა თავისი საყვარელი მასწავლებელი და მეგობარი და აქეთკენ მოეშურებოდა. ხშირად გვიან ღამემდე აჭიდა. ღელავდა, ბობოქრობდა, ვერ მოესვენა, რაღაც აწუხებდა. ჯიბეში ახალდაწერილი ლექსი ედო და ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა წაეკითხა. კითხულობდა წამღერებით, ძალიან მჭუხარედ, მღელვარედ, მაგრამ არა ცრუ მგზნებარებით. მარცხენა ხელში ლექსი ეჭირა, მეორეს კი რიტმს აყოლებდა — ლაღად, საკუთარი ძალის შეგრძნებით — თითქოს ნიშნის მოგებითაც; ოღონდ არა იმათ მიმართ, ვინც იმ დროს იქ ისხდნენ, არამედ იმ პოეტების მიმართ, რომლებიც კონკრეტულად იქნებ არცა ჰყოლია წარმოდგენილი, მაგრამ რომლებიც მეტისმეტად ემორჩილებოდნენ კონიუნქტურას. ჩაფსკვნილი კაცი იყო, გაღაჟღაჟებული, ძველი ტრადიციული წარმოდგენით პოეტს არა ჰგავდა, მაგრამ მთელი არსებით პოეტი იყო და, მგონი, ის აწუხებდა, რომ ძალიან არაპოეტური სამსახური ჰქონდა — საფინანსო დარგის მუშაკი გახლდათ. კისერი მაღალი არა ჰქონია, მაგრამ ლექსის კითხვის დროს ყელი მაინც მოღერებული ჰქონდა და ეშხიანად კითხულობდა, თავადვე სიამოვნებდა. წაიკითხავდა, ფურცელს დაკეცავდა და ჯიბეში შეინახავდა. თანდათანობით დაუცხრებოდა მღელვარება. ამ დროს საჭირო არ იყო, თქვენი აზრი გამოგეთქვათ, და არც გამოთქვამდნენ. ერთხელ მოგვიანებით მივედით მე და საშა. ბატონი ერეკლე რაღაცას წერდა თუ კითხულობდა მაგიდასთან. ის კი საწოლზე ჩამომჯდარიყო და ჩასძინებოდა. ასევე დამჯდარს ეძინა. ცოტა მეტი მოსვლოდა ღვინო. ჩვენ სავარძელზე ჩამოვსხედით და საუბარი გავაბით ბატონ ერეკლესთან. ნიკოს არ გაუღვიძია, ჩვენი მისვლა არ გაუგია. იჯდა მყარად და დროდადრო მისი ქშენა ისმოდა. ბატონი ერეკლე მალიმალ გახედავდა ხოლმე მამის მზრუნველი თვალით. ძველი მოწაფეები ყველა ძალიან

უყვარდა, გამორჩევა თითქოს არ იცოდა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ნიკო სამადაშვილის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა. როცა შეეკედით და დაესხედით, ხელი ნიკოსკენ გაიშვირა და სიცილით თქვა: „ხედავთ — ბუდა! ბუდას არა ჰგავს?!“ და ჩვენს იქ ყოფნაში ერთი-ორჯერ კიდევ გაიმეორა ეს სიტყვები. შერე თავისი პლედიც წამოახურა. ციოდა ოთახში, ნავთქურა კი ბრჩოლავდა, მაგრამ დიდად ვერ ათბობდა — დროდადრო ფანჯარა უნდა გაეღო, კვამლი გაეშვა, და ერთბაშადვე სიცივე შემოიჭრებოდა.

ნიკო სამადაშვილს ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი ერეკლე ტატიშვილისადმი, მაგრამ ერთი მათ შორის თავად განსაკუთრებით უყვარდა, და, მგონი, ბატონ ერეკლესაც,

როგორი იყო ეს „კვირაძალის შეხვედრები“?

იხსენებდნენ წარსულს, ახალგაზრდობის დღეებს, საუბრობდნენ საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებზე — ცხარე კამათი გაიმართებოდა ხოლმე — საერთოდ ისტორიაზე, მუსიკაზე, ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე... რაზედაც კი სიტყვა ჩამოვარდებოდა. ერთმანეთს მოიკითხავდნენ, ერთმანეთის ოჯახების ამბავს გაიგებდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. ბატონი ერეკლე ძალიან კარგი მოსაუბრე იყო და უყვარდა თანამოაზრეთა წრეში საუბარი. საკარია, ეს ძველი მოწაფეები „შენობით“ მიმართავდნენ თავიანთ მასწავლებელს, მაგრამ მათი ურთიერთობა ფამილარობაში არასოდეს გადასულა. თანაც „ბატონო“ ყოველთვის უნდა დაერთოთ მისი სახელისთვის — მაშინაც, როცა პირადად მიმართავდნენ, და მაშინაც, როცა თავად იქ არ იყო და ისე ახსენებდნენ მის სახელს. აქვე იგონებდნენ ბეთანიაში გატარებულ წარსულ დღეებს და მომავალს გეგმავდნენ. ბეთანია ძალიან უყვარდა ბატონ ერეკლეს. ბავშვური გატაცებით მოენატრებოდა ხოლმე. და თითქმის ყოველ წელიწადს დადიოდნენ.

ზაფხულს ნეძვში ატარებდა — ნეძვიც უყვარდა. იქ თავისი ვასპინძელი ჰყავდა და ყოველ ზაფხულს მიდიოდა. ხშირად ახსენებდა ბეთანიის ცას, და ნეძვის ცას. ამაზე უკეთესს ვერაფერს ნახავო, იტყოდა. ვერავითარი ხელოვნება ამას ვერ შეედრება. ეს ღვთის უმაღლესი ქმნილებააო საკარია — ბეთანიაშიც და ნეძვშიაც ადამიანი თითქოს უფრო ცხოვლად გრძნობს ბუნების სიახლოვეს, გრძნობს, რომ ისიც ამ ბუნების განუყოფელი ნაწილია,

აქ თითქოს ღმერთთანაც ახლოს არის ადამიანი, ღმერთთან საუბარიც შეიძლება. ალბათ ამიტომაც შეარჩიეს ეს ადგილები მონასტრებისათვის. სამწუხაროდ, ნეძვის უძველესი, ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის დროს აგებული მონასტერი ერთიანად ჩაქცეულია და აღდგენაც ვერ მოხერხდება. ახლა დაცლილია ნეძვი — გზის მოვლა დაეზარათ. არა-და, ახალდაბიდან შვიდიოდე კილომეტრზეა. სოფელმა ქვევით ჩამოინაცვლა. დაცარიელებული სახლები იქვე დგას, გულისმომკვლელად.

მე პირადად ნეძვში არ მინახავს ბატონი ერეკლე, ალექსანდრე გამყრელიძე კი ერთხელ ესტუმრა, და მისგან ვიცი, როგორ შეჰხაროდა იქაურობას. საშას მამა ზაფხულობით წაღვერში მუშაობდა და მთელი ოჯახი იქ ატარებდა ზაფხულს. საშა და მისი ძმა სწორედ წაღვერიდან წავიდნენ ფეხით, მთა გადაიარეს და ბატონ ერეკლეს ესტუმრნენ. მგონი ნეძვშივე აჩუქა საშას მინიატურული ბიბლია ინგლისურ ენაზე და ფსალმუნისავე სიტყვები წაუწერა (რალა თქმა უნდა, შავი მელნით) — We bring our years to an end, as if it were a tale that is told.

რატომ მაინცდამაინც ეს სიტყვები ამოარჩია ამ წიგნიდან? ესეც მის ხასიათსა და ცხოვრების წესზე ხომ არ მიგვანიშნებს? თვითონაც ამ განწყობილებით ხომ არ ცხოვრობდა და ამითვე ხომ არ გვიმსუბუქებდა იმ ბედუკუღმართი წლების სიმძიმეს?!

„რაღა თქმა უნდა, შავი მელნით“-მეთქი, ზემოთ შევნიშნე. თუკი შეიძლება ხელწერის მიხედვით უტყუარად გამოცნობა ადამიანის ხასიათისა, მაშინ ერეკლე ტატიშვილზე სრული წარმოდგენა შეგიძლიათ იქონიოთ მისივე ნაწერების მიხედვით. რამდენი ხელწერაც არ უნდა ნახოთ მისი, სულ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში შესრულებული, მიკროსკოპული ანალიზითაც კი განსხვავებას ვერ შენიშნავთ. არა მარტო საკუთარი სახელისა და გვარის ხელმოწერა. სპეციალისტი სულაც არ არის საჭირო, რომ მიხვდეს, რა რკინის ნებისყოფა ჰქონია ამის დამწერს, რა კეთილი და უშურველი ყოფილა ეს კაცი. მის ნაწერებს რომ შეჰყურებ, თვალს უხარია, თითქოს მაღალი გრაფიკული ხელოვნების ქმნილებას შეჰყურებდე. რა გასაკვირველად თანაბარი დაშორებაა მკვეთრად დახრილ ასოებს შორის, სიტყვებს შორის, სტრიქონებს შორის. და მელანიც როგორი თანაბარი ინტენსივობით გაუ-

ნაწილებია. რა სიმტკიცით გამოუკვეთია თითოეული ასო, თით-ქოს საგანგებოდ ქვაზე დაუჭდევიაო.

ერეკლე ტატიშვილი შინ ყოველთვის შავი მელნით წერდა. შინ-მეთქი, იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ავტომატური კალმებისთვის მა-შინ შავ მელანს არ უშვებდნენ და იძულებული იყო, ლურჯი მე-ლანი ჩაესხა. მე, როგორც მომიხდებოდა, ისე ვწერდი — ხან ლურჯი მელნით, ხან იისფერით, ხან მწვანით. დიდხანს არაფერი უთქვამს ამაზე და ერთ დღეს კი — მაშინ უკვე მისი ასპირანტი ვი-ყავი — მეუბნება (რჩევა და დარიგება ყოველთვის რბილად იცო-და, ცდილობდა, საკუთარი აზრი შენთვის არ მოეხვია): რატომ შავ მელანს არა ხმარობ? ან ერთი ფერი მაინც აირჩიე. ადამიანს თავისი ცხოვრების სტილი უნდა ჰქონდეს. ესეც სტილია. ასე, აჭრელებული წერა სად გაგონილა! ამაზე აქამდე არც დავფიქ-რებულიყავი — რასაც ვიშოვიდი და რაც შემხვდებოდა, იმით ვწერ-დი. შავი მელანი სად ვიშოვო-მეთქი, მოვიმიზეზე. მე მოგცემო, მითხრა და უჯრიდან ამოიღო შავი მელნის რამდენიმე ტაბლეტი, მასწავლა, როგორ გამეხსნა წყალში. ეს ტაბლეტები რომ გამომე-ლია, შევჩივლე, სად ვიშოვო-მეთქი. კიდევ მოგცემო, და რამ-დენიმე ტაბლეტი კიდევ მომცა. ესეც გამითავდა და უფრო მტკიცედ ვკითხე, იქნებ მასწავლოთ, სად შოულობთ-მეთქი. გამოიღო და კიდევ მომცა. ამდენი როგორ იყიდეთ, რომ აღარ გამოგელიათ-მეთქი; საშასაც ამარაგებდა შავი მელნით. ისეთ დროში ვართ, რომ რასაც იშოვი, ბლომად უნდა იყიდო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ მეტად ვეღარ შეხვდებიო. გამეცინა და მანაც იცინა. ახლა უკვე სხვა მელნით წერა მიჭირს. მერე ტუშში ვაზავებდი ხოლმე წყალს და იმით ვწერდი, თუმცა ტუში კალამზე ილექებოდა და კალმის ხშირი ფხეკა და გამოცვლა იყო საჭირო.

თავად ძალიან კარგი ქართული იცოდა და სტუდენტებისგანაც მოითხოვდა სწორ მეტყველებას. ვერ იტანდა ქართული ენის და-მახინჯებას, დიალექტებით აჭრელებულ მეტყველებას. „წე-ვი-და, მე-ვი-და“... საყვედურით გაიმეორებდა ხოლმე სტუდენტის სიტყვებს და ყოველთვის გაუსწორებდა, ამას არასოდეს არ დაი-ზარებდა. ერთხელ ჰყვება წყალტუბოდან მოვდივარ (ეს უკვე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იყო). უნებურად ვისმენ სხვების ლაპარაკს — საერთო ვაგონით მოდიოდა — და ვხედავ, აშკარად ვხედავ, ჩემ თვალწინ როგორ იგონებს ერთ-ერთი მოსა-

უბრე სიტყვას, ჯერ არავისგან თქმულ სიტყვას, როგორა ცდილობს, სიტუაციის ასაწერად უფრო შესაფერისი ბგერები შეარჩიოსო. და ამას მოაყოლა ერთი პროფესორის ამბავი, რომელიც წარმოშობით ქართლელი იყო. ამ კაცს იმერელი ქალი შეერთო ცოლად დიდი ხანი არ მენახაო, ბატონი ერეკლე ჰყვება, ერთ დღეს ვხვდები და იმერულად არ უქცევს — „პაწა, რაცხა"... რა ღმერთი გაგიწყრა, ვეუბნები. ბატონო ირაკლი, ვერ წარ-მე-იდგენ, რა სუმ-ბუქი ენააო, მიპასუხა. სუმ-ბუქიაო, განაპ და იცინის ბატონი ერეკლე, ჩვეული, გულიანი სიცილით.

მისი საყვარელი მოწაფეები სულ სხვადასხვა კუთხის შვილები იყვნენ, საქართველოს ყველა კუთხისა თითქმის — კახელები, ქართლელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, რაჭველები... გამორჩევა არავისი იცოდა და ყველასაგან მოითხოვდა სწორ მეტყველებას. საბას ლექსიკონი უნდა იკითხოთ, როგორც რომანი ისეო, გვეტყოდა ხოლმე. ანატოლ ფრანსს აქვს ზუსტად ასეთი გამოთქმა — ყოველგვარ რომანზე საინტერესო საკითხავი ლექსიკონიაო. აგერ, დავწერე „ზუსტად" და გამახსენდა, რომ ბატონი ერეკლე ამას არ მომიწონებდა. არ უყვარდა სიტყვა „ზუსტი", „მეთქი"... ერთხელ, „რომეო და ჯულიეტას" თარგმანს რომ ვუკითხავდი, დამტუქსა — „ზუსტი" რამ დაგაწერინა, როგორ შეიძლებაო. აბა, როგორ უნდა გამოვთქვა ეს აზრი-მეთქი. „ზედმიწევნითო". კი მაგრამ, შევეკამათე, შეიძლება განა, ვთქვათ — „ხვალ ზედმიწევნით ხუთ საათზე მოვალო". ცოტა კი შეუყოყმანდა, მაგრამ ბოლოს დამიდასტურა — ასე უნდა თქვა. ცოტა არ იყოს, კონსერვატიული შეხედულებები ჰქონდა ენის საქმეში. ახლა „მეთქი", ამ სიტყვასაც ვერ იტანდა. და როცა ეს სიტყვაც შეგვხვდა „რომეოსა და ჟულიეტას" კითხვის დროს, ესეც დამიწუნა. ამაზე დათანხმება ძნელი იყო. როცა შევეკამათე და კონკრეტული მაგალითიც დავუსახელე, აბა როგორ უნდა თქვას კაცმა, „არ გინდა-მეთქი", — მიპასუხა — „არა, ვამბობ"... შემატყო, რომ ვერ დამარწმუნა, მაგრამ იმ დღეს აღარაფერი უთქვამს. თუმცა არც დავიწუებია. და აი, ერთხელ რომ მივედი, პირველად ეს მითხრა სიცილით — მოდი, ერთი რა გაჩვენოო. მის დისწულს, რეჟისორ გიორგი ჟურულს რუსულ თეატრში დასადგმელად ერთი ახალი ქართული პიესა აეღო და ამ პიესის რუსულად თარგმნა თავის ბიძას, ბატონ ერეკლეს სთხოვა. ბიძამაც ხათრი ვერ გაუტეხა და თარგმნა.

მგონი, აღარ დადგმულა ის პიესა. ისტორიული იყო და ისტორიას მაშინ პატივს არა სცემდნენ. ერთი სიტყვით, ბატონმა ერეკლემ გადმოიღო პიესა და ის ადგილი წამიკითხა, რასაც იგი აღუშფოთებია და რაზეც ახლა იცინოდა. იქ იყო ერთი სცენა, როცა თამარ მეფე კარიბჭეს მიადგება და გუშაგს შესძახებს: — „გააღე-მეთქი!“ ეს მართლაც ძალიან უხერხული და სასაცილო იყო, მაგრამ „მეთქის“ საწინააღმდეგო არგუმენტად, რაღა თქმა უნდა, არ გამოდგებოდა. ასევე ვუთხარი. მაგრამ მისი გადარწმუნება ძნელი იყო..

მაგრამ ეს ამბები უფრო მოგვიანებით ხდებოდა, ცოტა წინ გავიჭერი.

დადგა ის დღეც, რასაც მოუთმენლად მოველოდით სამი წლის განმავლობაში. ერეკლე ტატიშვილმა უნდა წაგვიკითხოს ინგლისური ლიტერატურის ისტორიის კურსი. წინასწარ ვღელავდით: გავიგებდით კი ყველაფერს, რასაც ჩვენი ლექტორი ინგლისურად წაგვიკითხავდა? და შემდეგ მოვახერხებდით ამის ჩაბარებას ინგლისურადვე?.. კარგად მახსოვს ის პირველი საღამო. ლექციები ამ დროს საღამოობით გვქონდა. უნივერსიტეტის ძველი კორპუსის ჩრდილო მხარეს დიდი აუდიტორიის ფანჯრები ვერეს ხეობას გადაჰყურებდნენ. მაგრამ ახლა ღამეა, ხეობას ვერა ვხედავთ, ოდნავ შეღებული ფანჯრების მინებში ჩვენი გამოსახულებაღა ჩანს ბუნდოვნად, და გარეთ — შავი სივრცე. დღისით აქ დროდადრო შემოიჭრება ხოლმე ზოოპარკის ბინადართა ყრუ ღმუილი, როგორც სამუდამოდ თავისუფლებადაკარგულთა და თავის მწარე ბედსშეგუებულთა დუნე გმინვა, ახლა კი იქაც დუმილია; გატანჯული დღის შემდეგ დათრგუნვილ შვების მომცემ სიზმრებს მისცემიან და მხოლოდ ჰიტის კივილი თუ შემოიჭრება..

ზარი დაირეკა და შემოვიდა ჩვენი ლექტორი — გაღიმებული, გაბრწყინებული, გახარებული. ასეთი ჯერ არ მენახა. ეს სიხარული ადვილი გასაგები იყო. შედარებით მოკლე დროში მან მიაღწია იმას, რომ დღეს უკვე შეუძლია ინგლისურად წაუკითხოს ლექცია ყმაწვილებს, რომელთაც მანვე შეასწავლა ენა და საგანი შეაყვარა. აშკარად ჩანდა, ეს ეამაყებოდა. იმიტომაც გაბრწყინებოდა სახე, იმიტომაც იყო გახარებული.

იგი კათედრაზე შედგა, ჩვეულებისამებრ, ნელი მოძრაობით ხელები მოიფშვნიტა — ამ მოძრაობაშიაც იყო რაღაც საზეიმო — და დაიწყო. ლაპარაკობდა დინჯად, მაგრამ არა ძალიან ნელა; ჩვენ პირველად ვუსმენდით მას, როგორც ორატორს და მოჯადოებულივით ვიყავით. ახლა უფრო მკაფიოდ ვგრძნობდით მისი ხმის გულშიჩამწვდომ სითბოსა და სილამაზეს. ლაპარაკობდა ძალიან უბრალოდ, კონკრეტულად, ყოველგვარი პათეტურობისა და კეკლუცობის გარეშე. ეტყობა, წინასწარ საგულდაგულოდ მოემზადებინა ლექცია. კითხულობდა უბრალოდ და სადად მისი შთაგონებული მეტყველებით მაშინვე იგრძნობდი, როგორ უყვარდა ეს ლიტერატურა. და თითქოს იმასაც ვგრძნობდით, რაღაც უხილავი ძალით ჩვენს გულებშიაც როგორ გადმოდიოდა ეს სიყვარული. დროდადრო ფანჯრისკენ გაიხედავდა. ამ დროს იგი თავის სილუეტს ხედავდა შეღებული ფანჯრის მინაში, ყელსახვევს გაისწორებდა ხოლმე. ეს არ იყო კეკლუცობა. ეს იყო თითქოს სურვილი, ადამიანმა თავისი გახარებული სახე დაინახოს სარკეში. საცარია: მას — ცხოვრების მდიდარი გამოცდილებით დაბრძენებულ ადამიანს — შეეძლო ბავშვური სიხარულის განცდა. ეს იყო მისი ხასიათის ერთი მომხიბლავი თვისება, და ალბათ ერთ-ერთი სხივი იმ მცირერიცხოვან სხივთა კონაში, რაც მეტად თუ ნაკლებად, ყველა ადამიანისათვის მიუნიჭებია განგებას, რათა ცხოვრების გზა გაუნათოს, და რაც ჩვენს მასწავლებელს მძიმე ცხოვრებას უადვილებდა. ორი საათი ისე გავიდა, არაფერს დაურღვევია მისი შთაგონება — არც დერეფნიდან დროდადრო შემოჭრილ ჟრიამულს, არც მერხების ჭრაჭუნს; ძაღლების წკავწკავსაც კი არა, რაც დროდადრო ამოიჭრებოდა ქვემო სართულიდან და რასაც სხვა დროს ჩვენი ლექტორი მოთმინებიდან გამოჰყავდა ხოლმე...

ბარემ აქვე უნდა მოვყვე ამ ძაღლების ამბავს. უნივერსიტეტის პირველ სართულზე, სწორედ ჩრდილოეთ მხარეს, ფიზიოლოგიის კათედრა იყო, და იქ, ლაბორატორიაში, საცდელი ძაღლები ჰყავდათ. დილის ლექციებზე კიდევ არა უშავდა რა, უფრო მიყუჩებულები იყვნენ, თუ დღის საერთო ხმაური შთანთქავდა მათ წკავწკავს. ღამით კი დროდადრო ამოიჭრებოდა გნიასი, და ამას მოთმინებიდან გამოჰყავდა ჩვენი ლექტორი, ხელებს მაღლა შემართავდა — თითქოს ღმერთს მიმართავს, რას ერჩიან ამ საწ-

ყალ ცხოველებსო, და აღშფოთებით წარმოთქვამდა თავის საყვარელ შეძახილს — „საკრამენტო!“... და ცოტა ხნის შემდეგ გაიმეორებდა — „საკრამენტო!“..

ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ მარტო ძაღლების წკავწკავი არ ყოფილა ჩვენი მასწავლებლის გაბრაზების მიზეზი. რამდენიმე ხნის წინათ ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა — თვით ივანე ბერიტაშვილმა — დარვინის დიდი თხზულების თარგმნა სთხოვა ტატიშვილს. ბატონმა ერეკლემ თარგმნა და ჩააბარა. ამის შემდეგ გავიდა წლები და მისი გამოცემა აღარავის გახსენებია. მგონი, ბოდიშიც არ მოუხდიათ მთარგმნელისათვის. ვერ ვიტყვი, შემოსწყრნენ დროის იმ მონაკვეთში დარვინს თუ რა მოხდა — ასეთ „შემოწყრომას“ ხომ მაშინ კანონზომიერება არა ჰქონია — ფაქტი ის არის, რომ ტყუილუბრალოდ ათარგმნინეს იმოდენა თხზულება. და, ბოლოს, დაკარგეს კიდეც თარგმანი. აღარც დედანი შერჩა მთარგმნელს...

ზუსტად ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ლექციები. იქნებ ხუთი თვე. იქნებ ცოტა მეტი. და ერთბაშად შეწყდა. ერთ დღეს ტატიშვილი აღარ მოვიდა. ლექცია ჩაიშალა. ეს უჩვეულო იყო — მას ლექცია ერთხელაც არ გაეცდინა, არც ჩვენთან და, გადმოცემით ვიცოდით, არც არავისთან. ავადმყოფობასაც არ ეპუებოდა — ბოლო დროს კბილები აწუხებდა ხოლმე, ყბა გაუსივდებოდა. აიხვევდა ყბას შავი ბაფთით თბილად და მოვიდოდა. ეს იყო, რომ იმ დროს უფრო ადვილად ბრაზდებოდა. ამიტომაც გაგვიკვირდა ლექციის გაცდენა. მით უმეტეს, წინა დღეს ენის ლექცია ჩაგვიტარა და ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა.

მალე გაირკვა ყველაფერი.

ერეკლე ტატიშვილს ინგლისური ლიტერატურის კურსი ჩამოართვეს... ბევრი კურიოზის მოწმე გავმხდარვართ, მაგრამ ეს განსაკუთრებული იყო. ტატიშვილს თურმე დისერტაცია არა ჰქონია დაცული! და კაცს, რომელმაც საფუძვლიანად და ღრმად იცოდა არა მარტო ინგლისური, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურა, ორიგინალში წაეკითხა ყველა მნიშვნელოვანი ქმნილება. და ამასთან, დიდი საერთო განათლება ჰქონდა, ინგლისური ლიტერატურის კურსი ჩამოართვეს. ხმა გამოვიდა. ვილაცამ უჩივლაო. ჩვენ ხომ ვერ ვკითხავდით. ხომ ვერ შევამოწმებდით სიმართლეს. ანკი რაღა საჭირო იყო კითხვა... არ იმჩნევდა, მაგ-

რამ ეს დიდი ელდა გამოდგა მისთვის. ჩვენ სხვა რამეც გვაწუხებდა: ხომ არ ნიშნავდა ეს პოლიტიკური უნდობლობის გამოცხადებას? ენა მაინც სხვაა, ლიტერატურის კურსს უფრო ძნელად ანდობდნენ „ნაკლებად საიმედო“ ხალხს. ამის მაგალითი ბევრი იყო უნივერსიტეტში. იტყოდნენ, ბურჟუაზიული მეთოდოლოგიით ასწავლისო და მორჩა. საბაბის პოვნას რა ბევრი რამე უნდოდა.

ასე იყო თუ ისე, ინგლისური ლიტერატურის კურსი გადასცეს ახალგაზრდა კაცს, მისსაევე ნასტუდენტარს, ვისაც ის-იყო დისერტაცია დაეცვა და კანდიდატის ხარისხი მიეღო. იგი ქართულად კითხულობდა კურსს. ჩვენთვის ძნელი იყო, ტატიშვილის შემდეგ ამ საგანში სხვის ლექციებზე გვეველო. არც მივსულვართ. ერთხელაც არა. არც მე, არც ალექსანდრე გამყრელიძე და არც არავინ, ორიოდე ქალის გარდა. ეს იქნებ სისასტიკეც იყო ახალგაზრდა ლექტორის მიმართ, მაგრამ სხვაგვარად არ შეგვეძლო. ტატიშვილმა, რა თქმა უნდა, იცოდა ეს, მაგრამ არაფერი უთქვამს — არც ავი და არც კარგი; არც ის უკითხავს, რატომ არ დადიხართო და არც ის დაუვალებია, იარეთო. ხოლო როცა შემდგომ წელს კურსი დამთავრდა, თვითონვე მოელაპარაკა ახალგაზრდა ლექტორს — ჩაუბარებლობაც არ შეიძლებოდა — მატრიკულები შეევსრიბეთ, გავუგზავნეთ და მანაც ყველას ჩაგვიწერა ნიშნები.

ინგლისური ენის გაკვეთილები გრძელდებოდა. ვერ ვიტყვი, ადვილად მოენელებინოს ლიტერატურის კურსის ჩამორთმევა, რასაც იგი რაღაც განსაკუთრებული კრძალვით და სასოებით გვიკითხავდა. თქმით არაფერი უთქვამს. თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ოღონდ პირველ ხანებში აშკარად შეწუხებული და გაღიზიანებული იყო. სტუდენტების უბრალო დაუდევრობა და უტაქტობა, რისთვისაც სხვა დროს იქნებ ყურადღებაც არ მიექცია, ახლა აბრაზებდა. ზოგჯერ იტყოდა — ის კაცი მართალი ყოფილა (ერთი პროფესორის გვარს დაასახელებდა), სტუდენტებს არ უნდა გადაყვე, მადლობლები, მაინც არ დაგრჩებიან...

საერთოდ, დიდ ბოროტებად მიაჩნდა უმადურობა. ერთ დღეს „მეფე ლირი“ მოიტანა, თუმცა მაშინ „ჰამლეტს“ გვაკითხებდა. ის ადგილი წაგვაკითხა პიესიდან, სადაც ლირი ადამიანურ უმადურობას კიცხავს.

უყვარდა შექსპირი. რამდენიმე წიგნი განსაკუთრებით უყვარდა. ერთხელ დაასახელა თავისი საყვარელი წიგნები. ხუთი წიგნია ქვეყნად, რომლებიც უსათუოდ უნდა წაიკითხოო, თქვა და ნელ-ნელა ჩამოთვალა, თან თითებსა კეცავდა: ჰომეროსი, ბიბლია, რუსთაველი, შექსპირი, ნიცშე და (მცირე პაუზის შემდეგ) მარქსი. მეორე ხელიც მიაშველა. ექვსი გამოუვიდა, მაგრამ ჩვენ აღარაფერი გვითქვამს. გაგონილი გვქონდა, რომ ნიცშეს თარგმნიდა, თუ უკვე თარგმნილი ჰქონდა. დანამდვილებით არ ვიცოდით. ნიცშეს მოზრდილი პორტრეტიც ეკიდა თავის ოთახში. და საოცარია — იმ სურათში ძალიანა ჰგავდა გორკის. რომ შეხედავდი, ერთბაშად გორკი გეგონებოდა. ასევე ეგონათ, როცა მის წაყვანად მივიდნენ. და სურათისთვის ხელი არ უხლიათ. მაგრამ ეს უფრო მოგვიანებით მოხდა.

ბოლო კურსზე, როცა კარგად გაგვიცნო და დაგვიახლოვდა, ბევრს გვესაუბრებოდა ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ხელოვნებაზე...

ეს საუბრები, რაშიაც ყველა სტუდენტი მონაწილეობდა, იმითაც იყო საინტერესო, რომ ახალგაზრდა ადამიანს საკუთარი თავის რწმენას უნერგავდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი არ თაკილობდა, თავისი აზრები გამოეთქვა ჩვენთან და ჩვენიც მოესმინა, თანაც მთელი სერიოზულობით. საერთოდ, ყველა მისი ლექცია, პირველივე კურსიდან მოკიდებული, აქეთკენ იყო მიმართული.

თუმცა ზოგჯერ მეტისმეტადაც განუვითარდებოდათ ხოლმე საკუთარი თავის რწმენა. ჰყავდა ერთი სტუდენტი ქალი — ჩვენზე ერთი წლით წინ სწავლობდა — ძალიან მეცადინე გოგო იყო, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭი ენისა არ აღმოაჩნდა. რაკი მის ამგვარ მონდომებასა და გულმოდგინებას ხედავდა, ბატონი ერეკლე ყოველნაირად ხელს უწყობდა, — აქეზებდა, ახალისებდა, აგულიანებდა... დაამთავრა ამ ქალმა უნივერსიტეტი და თავისივე სოფელში გააწესეს მასწავლებლად. ამ ქალს თურმე გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, სამეცნიერო სამუშაოზე დამტოვებენ უნივერსიტეტშიო, და, რომ არ დატოვეს, გული დაწყდა. ერთ დღეს ბატონი ერეკლე მის წერილს ღებულობს — სიყვარულით მოიკითხავს, უამბობს, როგორ მოეწყო სკოლაში. რამდენი გაკვეთილი აქვს... და ბოლოს გულისტკენითა და საყვედურით დასძენს — კი ვიყავი ასპირანტად დატოვების ღირსი. მაგრამ

თქვენ არ მოინდომეთო. სწორედ იმ დროს მივედი ბატონ ერეკლესთან, როცა ეს წერილი წაეკითხა და ხელში ეჭირა. „ხედავ, რასა მწერს?! — მეუბნება, — კაპიტნობა მივეცი და რატომ გენერლობა არ მიბოძეო! ასეთი უმადურობა გაგონილა!“ მაგრამ სიცილითა თქვა ეს, დიდად არა სწყენია.

რაც უფრო ახლოვდებოდა მეხუთე კურსის დასასრული, დრო უფრო სწრაფად გადიოდა. ზუსტად ისე, როგორც ადამიანის სიცოცხლეში ხდება — რა საამურად გრძელია ბავშვობის დღეები და რა სწრაფად მიჰქრის სიცოცხლის ბოლო წლები...

დადგა ბოლო გამოცდის დღეც. ეს ჩვეულებრივ, სასიამოვნო მღელვარების და სიხარულის დროა. მიჰკირს თქმა, რა განწყობილება გვქონდა მაშინ. დიდი ომი ჯერ წინ იყო, მაგრამ მისი მძიმე აჩრდილი უკვე კარგად გამოიკვეთა. გახშირდა სამხედრო კომისარიატებში გამოძახებანი. ქუჩებში სულ უფრო და უფრო ხშირად ნახავდით ახალწვეულთა ჯგუფებს; ახალგაზრდებისათვის თავი გადაეხოტრათ, მაგრამ ჯერ ისევ სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ და არა მწყობრი ნაბიჯით, არეულად მიდიოდნენ ქუჩაში, წინ თადარიგის მეთაურები მიუძღოდნენ... ომი ახლოვდებოდა. ყველა ვგრძნობდით ამას, მაგრამ რაც უკვე გამოვიარეთ, იმის შემდეგ მოახლოებული ომის საშინელებანი თითქოს ვერ გვაძრწუნებდა. ომში ადამიანი თავაწეული იბრძვის თავისუფლებისათვის, სამშობლოსათვის, ღირსებისათვის... ხოლო, რაც მანამდე გამოვიარეთ, ადამიანური ღირსების დამცირებისა და ფეხქვეშ გაქელვის წლები იყო... ჩვენი საყვარელი ლექტორები იმ წლებში შესამჩნევად მოტყდნენ და დაბერდნენ. მოტყდა ტატიშვილიც, თუმცა არც იმდენი ხნისა იყო. ის ხალისი და რიხი აღარ შერჩა, რითაც ხუთი წლის წინათ ფრთებს გვასხამდა. უარესი განსაცდელი თურმე წინ ელოდა, მაგრამ მანამდე წელიწადზე მეტს უნდა გაევლო.

ჯერ ბოლო გამოცდაზე ვართ. გამოცდები ტატიშვილთან მუდამ ძალიან ადვილი და სახალისო იყო. იგი უსათუოდ მხიარული და გაღიმებული მოვიდოდა ხოლმე ამ დღეს, ყველას მოიკითხავდა, ყველას გამოელაპარაკებოდა, იხუმრებდა. მაგრამ ეს ხომ უკანასკნელი გამოცდა იყო — ჩვენი უნივერსიტეტში ყოფნის უკანასკნელი დღეები, და თუმც კი ვიცოდით ჩვენი მასწავლებლის ხასიათი, მაინც გაუცნობიერებელი შიში გვქონდა. და აი, გამოცდაზე

ვართ: ქალბატონი მეგდისოვა უკვე აუდიტორიაშია. კარი შემოაღო ბატონმა ერეკლემაც. იგი, ჩვეულებრივ, საზეიმო განწყობილებაზეა. შემოვიდა, გადმოგვხედა, მოგვესალმა, ინგლისელ მასწავლებელს რაღაც უთხრა, გააცინა — მერამდენე წელია, ასე გულიანად არ გაუცინია ამ ქალს — მერე პორთფელი გახსნა... ჩვენ შოველით, რომ წიგნს ამოიღებს, რითაც უნდა გამოგვცადოს, და ვვარაუდობთ, რა წიგნი იქნება; მაგრამ ამოიღო ბღუჯა-ბღუჯა შოკოლადის კანფეტები. ჯერ ქალბატონ მეგდისოვას მიართვა, მერე ჩვენ ჩამოგვიროგა სათითაოდ... მას მუდამ აბრაზებდა ხოლმე ის საგამოცდო ციებ-ცხელება, რასაც ხელოვნურად ქმნიდა ზოგიერთი ლექტორი. ეს ბოლო გამოცდა მაინც განსაკუთრებული იყო. აქ იმდენად ცალკეული სტუდენტის შემოწმება კი არ ყოფილა — ეს ისედაც ძალიან კარგად იცოდა მან ყოველდღიური ლექციებით, ყოველდღიური ურთიერთობით — რამდენადაც იმის შეჯამება, რასაც ჩვენმა კურსმა ხუთი წლის განმავლობაში მიაღწია. იგი თითქოს სტუდენტებს კი არ ამოწმებდა იმდენად, რამდენადაც საკუთარ თავს, საკუთარ მოღვაწეობას. დამთავრდა უნივერსიტეტის ხუთი წელი, და ძალიან სევდიანი იყო მოკლე სიტყვაც, რითაც მან მოგვმართა; მოკლე იყო, მაგრამ არ მახსოვს. ასე მგონია, ყველა ლექცია შემიძლია აღვადგინო, რაც მან იმ ხუთ წელიწადში ჩაგვიტარა და ის მოკლე სიტყვა კი ვერ აღმიდგენია. მაგრამ ძალიან ცოცხლად მახსოვს, — თითქოს გუშინდელ ამბავს ვიხსენებდე, — მაშინდელი განწყობილება; ტატიშვილისაც და ჩვენიც, ყველასი. ასეთი სევდიანი და ასეთი ახლობელი აქამდე თითქოს არასოდეს ყოფილა. მას ჩვენ ვუყვარდით ყველანი, როგორც საკუთარი შვილები, და ჩვენი გულებიც მშობლიურ სიყვარულს მოეცვა. ასეთი იყო მაშინდელი განწყობილება, რაც ასე ცოცხლად დამამახსოვრდა და კიდევ ბუნდოვანი გრძნობა გაურკვეველი შიშისა — რა უნდა ვქნათ ჩვენ, როცა დამოუკიდებლად შევდგამთ ფეხს ცხოვრებაში, როცა ეს კაცი გვერდით აღარ გვეყოლება!..

იმავე ზაფხულს ომი დაიწყო. ერთი წლის შემდეგ ერეკლე ტატიშვილი დააპატიმრეს.

ციხიდან რომ გამოვიდა, საშა გამყრელიძემ და მე ერთად მოვინახულეთ, თავი მხნედ ეჭირა და მოგვეჩვენა, რომ ჯანმრთელად იყო, მაგრამ ჩვენი პირველი შთაბეჭდილება, სამწუხაროდ, მცდარი გამოდგა, და ეს მაშინ გახდა აშკარა, როცა გამოგვაცი-

ლა და კიბეზე ჩამოგვყვა. ჩვენ ძმის სახლში ვეწვიეთ, რომელიც იმავე ეზოში ცხოვრობდა. სიარული ძალიან უჭირდა, სუნთქვაც უჭირდა, გამხდარიყო... უკვე ზაფხული ახლოვდებოდა, მალე სიცხეებს დაიჭერდა და საჭირო იყო, სადმე სოფელში გაეყვანათ. მაგრამ სად? თავის საყვარელ ნეძვში წასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის 1943 წლის გაზაფხულის მიწურული თუ ზაფხულის პირველი დღეები. ომი მძვინვარებს, ხალხი დამშეულია. ქალებისა და ბავშვების ანაბარა დატოვებულ სოფელში კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა ომის საშინელება — სოფელი თალხშია გახვეული. ლამის ყოველ მესამე ოჯახს უბედურების შავი ცნობა მიუღია, გაცინებულს ვეღარავის ნახავ, მამლის ყივილსაც კი იშვიათად გაიგონებ, ძაღლის ყეფა აღარ ისმის — ძაღლების შენახვაც ჭირს... იქნებ ძალიანაც ენატრებოდა თავის საყვარელ ნეძვში წასვლა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. და ბატონი ერეკლე დასასვენებლად და მოსასულიერებლად ოთარ ჩხეიძესთან მიდის სოფელში. ვინც ოთარ ჩხეიძის სოფელში ყოფილა და ვისაც ოთარის დედა სცნობია, ადვილად წარმოიდგენს, რომ იმ მძიმე დღეებშიაც აქ მოვლა და პატრონობა არ მოაკლდებოდა, კარგად გაუმასპინძლდებოდნენ. თითქმის მთელი ზაფხული გაატარა იქ. მერე კი როგორღაც წყალტუბოში წასვლა მოუხერხეს. წყალტუბო უსათუოდ სჭირდებოდა. აგერ ახლახანს გამოქვეყნდა იოსებ მეგრელიძის ცნობა: ციხეში ცემით ფეხისგულები დაუზიანებიათ. მისგან არ გამიგონია ეს. ალბათ ჩვენვე გვაფრთხილებდა და დაწვრილებით არ უამბნია თავსგადახდილი ამბები. მხოლოდ ერთხელ — ციხიდან გამოსვლის შემდეგ კარგა ხანი იყო გასული — ასეთი რამ მიამბო. ამ დროს ჩვენ სავსებით განყენებულ თემაზე ვსაუბრობდით; აღარ მახსოვს, სახელდობრ, რაზე. გაერთო ლაპარაკში და აი, რა მითხრა: წარმოიდგინე შუაღამე, ოთახში ორნი ხართ, ერთი მაგიდას უზის და ქაღალდებშია ჩაფლული, რაღაცას წერს, მეორე — შუა ოთახში დგას, ორივე ხელში ჩემოდანი უჭირავს, რომელთა იატაკზე დადგმის უფლება არა აქვს. უკვე რამდენი საათია ასე დგას იგი და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს უნდა იდგეს. ლამპა, რომელიც იმ მეორეს უდგას მაგიდაზე, თვალებში სცემს ამ კაცს, მაგრამ აბგილის მონაცვლეობაც არ შეიძლება. საერთოდ, ფეხის განძრევის უფლება არა აქვს. ჩემოდნები სულ უფრო და უფრო მძიმდება. სანამ ფიქრი

შეეძლო, კიდევ არა უშავდა, მერე უკვე ფიქრსაც ველარ უყრიდა თავს. უცებ კუთხიდან თაგვი გამოცოცდა, ოთახში გამოირბინა და ამ კაცს მოადგა. ჯერ ერთ ფეხს შემოუარა, დასუნა, ცოტაზე ამოცოცდა კიდეც. კაცს ეშინია, უფრო ზევით არ ამოვიდეს, სახეზე არ ამოცოცდეს. მაგრამ თაგვმა გადაიფიქრა, ისევ დაბლა ჩაძვრა, ახლა მეორე ფეხს შემოუარა და, საცუცნავი რომ ვერაფერი იპოვა, ისევ თავის სოროს მიაშურა...

ჰყვებოდა ამას რაღაცნაირი გახევებული ხმით — თუკი შეიძლება ხმის გახევება — თვალები სივრცისთვის მიეშტერებინა... შემაძრწუნებელი იყო ეს მოთხრობა. და თუმცა იგი თავის თავგადასავალთან არ დაუკავშირებია — სულ სხვა რამეზე ვსაუბრობდით — რაღა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, რა იყო ეს. დიდხანს ვერ ამოვიღე ხმა და ისიც გარინდებული იყო. მერე კი უცებ — ძილიდან ერთბაშად რომ გამოაღვიძებ კაცს — ჩემი დავალება მოიკითხა. ამ დროს მე მისი ასპირანტი ვიყავი.

მომინიშნავდა ხოლმე მონაკვეთებს ლიტერატურიდან, დროს დამითქვამდა და, როგორც სკოლის მოსწავლეს, ისე უნდა ჩამებარებინა. თანაც, არ მარტო ინგლისური ლიტერატურიდან, რის სპეციალობაზეც მასთან ასპირანტად ვიყავი. თავიდან ანტიკური ლიტერატურით დამაწყებინა, თავისივე ბიბლიოთეკიდან მომცა კრუაზეს დიდებული წიგნი და ვადა დამითქვა, როდის უნდა ჩამებარებინა — რა თქმა უნდა, მისთვისვე, არაოფიციალურად. ეს საასპირანტურო პროგრამაში არ შედიოდა. ძირითადი, რაღა თქმა უნდა, ინგლისური ლიტერატურა იყო და ამას საფუძვლიანად და დაწვრილებით გავდიოდით. საჭირო იყო, წინასწარვე ამერჩია სადისერტაციო თემა. მე დიკენსი ავირჩიე — „ბავშვთა მხატვრული სახეები დიკენსის შემოქმედებაში“. მიიღო ჩემი არჩევანი. ეს ახლა უნდა დაემტკიცებინა შალვა ნუცუბიძეს — ისიც ახალი დაბრუნებული იყო და, მგონი, ევროპის ლიტერატურის კათედრას განაგებდა. იმიტომაც უნდა დაემტკიცებინა მას. დავწერე ჩემი განაცხადი, ტატიშვილმა ხელი მომიწერა და შალვა ნუცუბიძეს მივუტანე. მას ეტყობა, კარგად არც ვახსოვდი, თუმცა სამივე განყოფილების გაერთიანებულ ჯგუფში თვითონვე გვიკითხავდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კურსს. დამთავრება ამ კურსისა არ დასცალდა, იგი ადრევე წაიყვანეს და ლექციების კითხვა განაგრძო კონსტანტინე კაპანელმა. ნუცუბიძემ დახედა ჩემს გა-

ნაცხადს, შემომხედა და მითხრა — თანახმა ვარ, წინააღმდეგი არ ვიქნები, თუკი თქვენ პედაგოგიურ ასპარეზზე გინდათ იმუშაოთო. რატომღაც ასე გაიგო ჩემი არჩევანი. გამიკვირდა. ცოტათი გული დამწყდა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

შინ მივდიოდი ხოლმე ბატონ ერეკლესთან და გაკვეთილებს შინ ვაბარებდი. აქ ახლა უფრო ხშირად ეხვდებოდი მის განუყრელ მეგობრებს, მის ძველ მოწაფეებს. ისინი სისტემატურად მოდიოდნენ ხოლმე — უფრო ხშირად, ვიდრე წინა წლებში — და მზრუნველობას არ აკლებდნენ თავიანთ მასწავლებელს, გულს უცბობდნენ, სიცოცხლეს უადვილებდნენ. და მათ შორის, ისევ და ისევ ნიკო სამადაშვილი გამოირჩეოდა. ხშირად — კვირაში ორ-სამჯერ მაინც — მოდიოდა საშა გამყრელიძე. ტრადიციულ კვირაძალზეც მუდამ მასთან იყო. საშა ასპირანტურაში ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილთან იყო — ტატიშვილისავე წარდგინებითა და შუამდგომლობით — მაგრამ მისი მეგობრობა თავის ძველ მასწავლებელთან სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა. ყოველგვარ წვრილმან ცხოვრებისეულ საკითხსაც კი მას უზიარებდა, რჩევას ჰკითხავდა. ერთხელ, მივედი თუ არა, ბატონმა ერეკლემ სიცილით მითხრა: „საშა იყო ახლახან, ფეხად გაგასწრო, და იცი, რას მეკითხება — მმაჩი სად არისო. გესმის! მე მეკითხება, მმაჩი სად არისო!"... საშა იმ დღეებში ქორწინდებოდა და გახარებული იყო. ეტყობა, თავისი სიხარული გაუზიარა საყვარელ მასწავლებელს, მაგრამ ის კი ვეღარ გაითვალისწინა, რომ მმაჩის ადგილსამყოფელი ყველასთვის შეიძლებოდა ეკითხა და ბატონი ერეკლესთვის კი არა, რადგან მას ერთხელაც არ დასჭირვებია მმაჩი.

უკვე ვეღარ იყო კარგად და მისი მოწაფეები — ძველებიც და ახლებიც — ცდილობდნენ, სულ მასთან ყოფილიყვნენ, მარტო არ დაეტოვებინათ. მასთანვე ხშირად ნახავდით აგრეთვე ნათელა კეშელავას, ოთარ ჩხეიძეს — ჩვენივე თაობისას; და სულ ახლებსაც: ნოდარ კაკაბაძეს, ციალა თოფურიძეს, ნიკო ყიასაშვილს...

ოპერაში ხომ შედარებით უფრო ხშირად დადიოდა, ძველმა მოწაფეებმა ერთხელ დაიჟინეს და დრამატულ თეატრში წაიყვანეს ერთი გახმაურებული სპექტაკლის სანახავად. მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობს მსოფლიო დრამატული სცენის ვარსკვლავებს ადარებდნენ. ბატონ ერეკლეს, ეტყობა, ის მსახიობი ოდეს-

ღაც ჰყავდა ნანახი, მისი შესაძლებლობა იცოდა და ამგვარ ქებას სკეპტიკურად უყურებდა. როგორც იქნა, დაითანხმეს და წაიყვანეს. და, ცოტა არ იყოს, კურიოზული ვითარება შეიქმნა: ამათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, სპექტაკლის შემდეგ კულისებში შეეყვანათ ბატონი ერეკლე და მსახიობისთვის გაეცნოთ, თავისი აღტაცება გამოეთქმევინებინათ, — მსახიობიც ელოდა მას. ბატონი ერეკლე კი გასახდელისკენ მიისწრაფოდა, რათა ჩქარა ჩაეცვა პალტო და ქუჩაში გასულიყო. მერე მთელი თვე ამაზე იყო დავა იმ პატარა ოთახში. ბატონ ერეკლეს არ მოეწონა მსახიობი, ყალბიაო, ამბობდა, ისინი კი, უკვე ნირწამხდრები, მაინც ცდილობდნენ თავისი დაემტკიცებინათ.

ვერ იტანდა ვერავითარ სიყალბეს, როგორაც არ უნდა შენიღბათ, და ვერც ვერავინ გამოაპარებდა სიყალბეს. მთელს ამ კურიოზულ ისტორიას კი ის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ თავად გახალისდა, უფრო გამოცოცხლდა.

საოცარია: ფიზიკურად ვერ გამომრთელდა, მაგრამ ძველი ხალისი თანდათანობით დაუბრუნდა. მე ამ დროს ინგლისური ენის გაკვეთილები მქონდა საშუალო სკოლაში. მან იცოდა ეს და მტკიცე დავალებას მაძლევდა, დამეინტერესებინა ბავშვები საგნით და რამდენიმე მოსწავლე მაინც შემერჩია ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისურ სექციაზე შესასვლელად. წინასწარ მომემზადებინა ეს ახალგაზრდები. სკოლაში მართლაც კარგად მომზადებული ბავშვები იყვნენ და გადავწყვიტეთ, გამოგვეცა ხელნაწერი ჟურნალი, რომელშიაც შევიდოდა ბავშვების მარტივი თხზულებანი ინგლისურ ენაზე. და ქართული თარგმანებიც ინგლისური ლიტერატურიდან. გვინდოდა, მოგვემზადებინა ჟურნალის პირველი ნომერი და ბატონი ერეკლე სკოლაში მიგვეწვია, ეს სიურპრიზი დაგვეხვედრებინა. მასალები უკვე მოვაგროვეთ, მხატვრულად გამფორმებელიც აღმოჩნდა: მერი კარბელაშვილი — ამჟამად ხელოვნებისმცოდნე — მაშინ მეათე კლასის მოსწავლე იყო, კარგად ხატავდა და კარგადაც დაასურათა ხელნაწერი ჟურნალი. მაგრამ გაჭირდა ჟურნალის სახელწოდების მოგონება. რამდენი ვარიანტი მოვიფიქრეთ, მაგრამ არც ერთი არ მომწონდა. გამოეტყდები, იმასაც ვშიშობდი, ვაითუ მას არ მოსწონებოდა, ვისი აზრიც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი იყო. გადავწყვიტე, მისთვისვე მეკითხა რჩევა — ამით სიურპრიზის ეფექტი კი დაიკარგებოდა,

მაგრამ, სამაგიეროდ, შესაფერისი სახელწოდება ექნებოდა ჩვენს ჟურნალს. ცოტა ხი დაფიქრდა, როცა ვკითხე, და უცებ მომმართა: რატომ არ გინდა „რობინ ჰუდი“ დაარქვათ. სახტად დავრჩი, გაკვირვებისაგან თვალები დავაჭყიტე. უფრო ის გამიკვირდა — რატომ მე თვითონ არ მომაგონდა ეს, თითქოს ასე მარტივი და ზუსტად ამ ჟურნალის შესაფერისი სახელწოდება! როცა უკვე მზადა გვქონდა ჟურნალი, ბატონი ერეკლე სკოლაში მივიწვიეთ. ერთ გაკვეთილს დაესწრო — სულ უკანა მერხზე დაჯდა და გვისმენდა. იმ კლასიდან ზოგიერთი შემდეგ მისი სტუდენტი გახდა და ახლაც სახელოვნად მოღვაწეობს უნაღლეს სასწავლებლებში.

ერთგვარი შიშით მოველოდი, როდის მკითხავდა ჩემი თარგმანის ამბავს — აკი მისივე დავალებით ვთარგმნე ერთი სურათი „რომეო და ჯულიეტადან“. ახლა უკვე დამთავრებული მქონდა თარგმნა. მართლაც, მკითხა ვუთხარი, უკვე დავამთავრე და მწერალთა კავშირში განხილვას ვაპირებენ-მეთქი. მწერალთა კავშირში მართლაც მოეწყო განხილვა. 1944 წლის ზამთარში. დარბაზში საშინლად ციოდა, მაგრამ მაინც მოიყარა ხალხმა თავი. აკაკი გაწერელიამ პატივი დამდო და საგანგებოდ სთხოვა გერონტი ქიქოძეს, იოსებ გრიშაშვილს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს და სხვებს, მონაწილეობა მიეღოთ განხილვაში. ამათგან მაშინ მე მხოლოდ კონსტანტინე ჭიჭინაძეს ვიცნობდი. როცა უკვე ხალხმა თავი მოიყარა და ის იყო უნდა დაგვეწყო, კარი გაიღო და შემოვიდა ერეკლე ტატიშვილი. მკითხა კი განხილვის დრო, მაგრამ იმედი არა მქონია, რომ მოვიდოდა. ამას ვერცა ვთხოვდი იმ საშინელ სიცივეში. ყველანი წამოიშალნენ, მიეგებნენ. ყველა მათგანი კარგად იცნობდა. სთხოვეს, წინ მობრძანებულიყო. მაგრამ არ ინება, მოშორებით დაჯდა. მთელი პიესა არ წამიკითხავს, მაგრამ დიდი ნაწილი წავიკითხე — სცენები სხვადასხვა მოქმედებიდან. პირველი სიტყვა ერეკლე ტატიშვილს მისცეს. მერე ილაპარაკეს გერონტი ქიქოძემ, აკაკი გაწერელიამ, იოსებ გრიშაშვილმა, გრიგოლ აბაშიძემ, ვანო წულუკიძემ, დიმიტრი ჯანელიძემ, ყველა გამომსვლელი აღარ მაგონდება. როცა დამთავრდა, მე ბატონი ერეკლე გავაცილე, რატომ შეწუხდით-მეთქი, გზაში ვუთხარი. „ფახი მივეცი მაგათ! რომ არ მოვსულიყავი, ვინ იცის, რას იტყოდნენ“, სწორედ ამ სიტყვებით მიპასუხა, ნახევრად ხუმრობით. აღარ მითქვამს, რომ იქ ყველა კეთილად განწყობილი იყო.

იმ დღეს არაფერი და შემდეგ კი მითხრა — იქ მაინც სხვა ვითარება იყო, არც განწყობილება ყოფილა ისეთი, შენიშვნები გამოეთქვათ, და ტექნიკურადაც მოუხერხებელი იყო. შენ ნუ ირწმუნებ, რომ ყველაფერი კარგად გქონდეს თარგმნილი. ერთად უნდა წავიკითხოთ თავიდან ბოლომდე. ამაზე სასურველი რა უნდა ყოფილიყო ჩემთვის! იმ დღიდან, მართლაც, დავსხდებოდით ხოლმე მის ოთახში და სისტემატურად ვკითხულობდით: იგი, ჩვეულებრივ, მაგიდას უჯდა და ინგლისურ ტექსტს ჩასცქეროდა, მე კი სავარძელში ვიჯექი და თარგმანს ვკითხულობდი. დროდადრო შემაჩერებდა, შეამოწმებდა. ერთხელ, იმ ადგილს რომ მივადექით, როცა გამდელი უთავბოლოდ ჰყვება თავის თავგადასავალს, შეგვხვდა სიტყვა wormword, ლექსიკონებში იგი „აბზინდად“ არის განმარტებული. ასევე მეწერა მეც. ეს გახლავთ წამალი, რასაც ქალები ძუძუზე ისვამენ ხოლმე, რათა ბავშვები ძუძუს მოსწუვიტონ. შემაჩერა და ხელმეორედ წამაკითხა. „აბზინდა“ არაფრის მთქმელიაო, მითხრა, მაგრამ შესაფერი სიტყვაც ვერ მოიგონა. თამარს ვკითხავო, დამპირდა. თამარი მისი რძალი გახლდათ, ძმის ცოლი, რომელსაც ძალიან უქებდა ენას. მეორედ რომ მივედი, კარებშივე მომაგება — „ძირმწარა!“ როგორ ვერ გავიხსენეო, წუხდა.

დიდხანს გაგრძელდა ეს კითხვა. როცა საღამოობით ვკითხულობდით, ზოგჯერ მისი მეგობრებიც შემოგვესწრებოდნენ და ისინიც ძალიან ხალისით მონაწილეობდნენ ჩვენს საქმეში. უფრო ხშირად ნიკო სამადაშვილი მოდიოდა. ამ კითხვის დროს კიდევ უფრო აშკარად დავინახე ერეკლე ტატიშვილის ენის საარაკო სიმდიდრეცა და ერთგვარი კონსერვატიზმიც.

საოცარი უნარი ჰქონდა ზუსტი შესატყვისის მიგნებისა. ერთხელ... ეს იყო ასპირანტურაში მისაღები გამოცდების დროს. გამოცდები ტარდებოდა ვიქტორ კუპრაძის კაბინეტში, მისივე მონაწილეობით — ის იყო მაშინ უნივერსიტეტის რექტორი. სწორედ მაშინ გავიცანი პირველად ბატონი ვიქტორი და მერე ხშირად შევხვედრივარ ცხოვრებაში. ორნი ვაბარებდით ინგლისურ ენას და ბატონმა ერეკლემ მოიტანა „მაკბეტი“ — იქვე გამოეტანა უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკიდან ორი ცალი. უნდა გვეთარგმნა ერთ-ერთი სურათი „მაკბეტიდან“; მე — ქართულად, იმ მეორეს კი — რუსულად. იგი რუსულად აბარებდა. ერთ-ერთ სა-

კითხად გამოცდაზე ეს თარგმანი გვქონდა მოცემული. „მაკბეტი“ საკმაოდ კარგად ვიცოდი და მაჩაბლის თარგმანიდანაც მახსოვდა ასე რომ თარგმნა არ გამჭირვებია, მით უმეტეს, უნდა გვეთარგმნა ეგრეთ წოდებული „ხანჯლის სცენა“, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი მწერლის მთელ შემოქმედებაში. სურათი ასე იწყება: შემოდიან ბანქო და მსახური. ბანქო მსახურსა ჰკითხავს, ღამის რა დრო არისო. მთვარე ჩავიდაო, მსახური უპასუხებს... ბანქო ხმალს შემოიხსნის, მსახურს გადასცემს და იტყვის: ther's husbandry in heaven, their candles are all out... მაჩაბელს ეს ადგილი ასე აქვს თარგმნილი — „ზეცაში ზოგვით იჭცევიან და ჩაუქრიათ ყველა მნათობნი“... აღარ მახსოვს, მე როგორ ვთარგმნე ჩამოცდაზე ეს ადგილი, მაგრამ შინ რომ მოვედი, რაღა თქმა უნდა, მაჩაბლის თარგმანი გადმოვიღე და შევამოწმე ჩემი თავი. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონ ერეკლესთან იმ ჩემს საგამოცდო თარგმანზე ჩამოვარდა სიტყვა. შექსპირი გადაშალა და ვამოწმებდით, როგორ ჯობდა თარგმნა. ზემოთ მოტანილი მაჩაბლის თარგმნილი სტრიქონი არ მოეწონა. ცოტა ხანს ჩაფიქრდა და თქვა, იქნებ ასე ჯობდესო: „ზეცას თავის თადარიგი აქვს“... მე თუ მკითხავთ, ორივე კარგია, მაგრამ ტატიშვილისეული თარგმანი დედანთან უფრო ახლოა.

ერთი სიტყვით, ჩემი თარგმანის ამგვარი კითხვა-შედარება კარგა დიდხანს გაგრძელდა. პარალელურად მე ვაბარებდი ჩემს საასპირანტო კურსს — ინგლისური ლიტერატურის ცალკეულ მონაკვეთებს; ვსწავლობდი ფრანგულ ენას და ამასაც კი ამოწმებდა დროდადრო, გამომკითხავდა ხოლმე, ფრანგულ წიგნს წამაკითხებდა; ახალ დავალებებს მაძლევდა. ამასთან, უკვე დაწყებული მქონდა „ვენეციელი ვაჭრის“ თარგმნა და ესეც იცოდა ბატონმა ერეკლემ, თუმცა ჯერ არც ერთი ნაწყვეტი არ წაეკითხა ამ თარგმანისა. ბატონმა ერეკლემ გადაწყვიტა მოეწყო თარგმანის განხილვა, ამჯერად უნივერსიტეტში. ამ დროს ომი უკვე დამთავრებული იყო. ომის გამარჯვებით დამთავრებამ და ამ გამარჯვებაში მოკავშირე ქვეყნების მონაწილეობამ ახალი იმედები აღძრა უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირის განვითარებისა. ხმა გავრცელდა, უცხოეთის ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის დიდ გეგმებს ადგენენო. იმართებოდა თათბირები ამ საგანზე, დაიწყეს სათარგმნი ლიტერატურის სიების წინასწარი დაზუსტება,

ისახებოდა ფართო მასშტაბის ღონისძიებანი. სამწუხაროდ, იმგვარივე გაქანებით აღარ განვითარებულა ასეთი აღმაფრენით დაწყებული საქმე. ყველაფერი ეს კარგად დაემთხვა ჩემს მთარგმნელობით მუშაობას. „რომეო და ჯულიეტა“ „მნათობში“ მიიღეს დასაბეჭდად. ახლა საჭირო იყო მალე დამემთავრებინა „ვენეციელი ვაჭარიც“, და კარგი პერსპექტივა ისახებოდა ამ ორი პიესის წიგნად გამოცემისა. ასეთ ვითარებაში, როცა მხატვრული ლიტერატურის თარგმნას და გამოცემას თითქოს მტკიცე საფუძველი ეყრებოდა, ბუნებრივია, ერეკლე ტატიშვილსაც უნდა ჰქონოდა ძონაწილეობა და არა მარტო მთარგმნელების აღზრდითა და მომზადებით, არამედ პირადი წვლილით. ჩვენ ვიცოდით, რომ მას ედგარ პოს რამდენიმე მოთხრობა ჰქონდა თარგმნილი. ეს მოთხრობები თავის დროზე პავლე ინგოროყვამ დაბეჭდა „კავკასიონში“. როგორც ითქვა, ყურმოკვრით ვიცოდით, რომ ნიცშეს თარგმნიდა, თუ უკვე თარგმნილი ჰქონდა. მაგრამ ნიშცეს ახლა ვინ დაბეჭდავდა, მისი სახელის ხსენებაც კი საშიში იყო. იმიტომაც არ ვიცოდით, მართლა თარგმნიდა თუ არა. ეშკარაა, ამის თქმას ერიდებოდა — ჩვენვე გვიფრთხილდებოდა. ჩვენ ყველანი ვხედავდით, რა დიდი დრო და ენერგია მიჰქონდა პედაგოგიურ მოღვაწეობას — მთელი დღე რომ ლექციებზე იყო, საღამოთი სტუდენტების ნაწერებს ასწორებდა. სადილის დროც კი აღარა ჰქონდა...

და აქ კი ცოტათი უნდა გადავუხვიო დაწყებულ ამბავს.

ომამდე ბატონი ერეკლე ზოგჯერ „ორიანტში“ სადილობდა ხოლმე. მთელი დღე უნივერსიტეტში იყო ლექციებზე და როდის, როდის წამოვიდოდა — უკვე შებინდებულიც იყო. „ორიანტში“ ნაცნობი მზარეული ჰყავდა. ოფიციანტის პირით შეუთვლიდა, მოვედიო და იმანაც იცოდა, რა უნდა მოერთმია. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეს ხდებოდა ზოგჯერ, ყოველთვის არა. ომის დროს, ბუნებრივია, დიდი ფუფუნება იქნებოდა რესტორანში სიარული. ამის სახსრები მას არა ჰქონდა, და ხშირად თავისი ძმის ოჯახში სადილობდა. ძმა ხომ იქვე ცხოვრობდა. სადარბაზოდან ეზოში შეხვიდოდი — გრძელი ეზო იყო — ცოტას გაივლიდი და მისი ძმის ბინას მიადგებოდი. ზოგჯერ თავად იმზადებდა ნავთქურაზე სადილს. სწორედ ეს მინდოდა მეთქვა. იცოდა, რომ მე ზაფხულობით მარტო ვრჩებოდი და ერთხელ მკითხა, სად სადილობ და რასა სჭამო. აღარ მახსოვს, რა ვუპასუხე. ეს არც არის მთავარი.

მე იმიტომ შევაჩერე მკითხველის ყურადღება, რომ ერთი კერძის მომზადება მასწავლა: ხელად მოამზადებ და იაფიც ჯდებაო. ცოტაოდენი ბრინჯი უნდა ჩაყარო წყალში, ისე, რომ ოდნავ დაფაროს; როცა წამოდუღდება და წყალიც დაშრობას იწყებს, რამე ცხიმი უნდა დაასხა, ზეთი ან ქონი, რასაც იშოვი, ხახვი ჩააჭრა და ცოტა ხნის შემდეგ პამიდორი უნდა ჩაათალო. სულ მალე სადილიც მზად არის, დიდებული კერძი გამოდისო. მართლაც, გემრიელი კერძი გამოდიოდა.

ერთი სიტყვით, ძალიან დაღლილი ბრუნდებოდა შინ. იმ ამბებს შემდეგ განსაკუთრებით მოტყდა — ფეხები სტკიოდა, სიარული უჭირდა, გული აწუხებდა, უკვე წლებიც ემატებოდა მაგრამ ხათრიანი კაცი იყო და ზოგჯერ ხათრით ისეთ რამეს თარგმნიდა, რაც აშკარად არ სიამოვნებდა. მაგალითად, თავისი დისწულს, რეჟისორ გიორგი ჟურულის თხოვნით, რუსული თეატრისთვის, ქართულიდან რუსულად თარგმნა რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი პიესა და ამაზე დაკარგა დრო და ენერგია (თუმცა გიორგი ჟურულს უნდა ვუმადლოდეთ, რომ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ ათარგმნინა მარჯანიშვილის თეატრისათვის. დიდი ხნის შემდეგ, როცა მთარგმნელი უკვე გარდაცვლილი იყო, ეს პიესა დაიბეჭდა კიდეც; ეტყობა, ჟურულისავე თხოვნით თარგმნა ბერნარდ შოუს „კეისარი და კლეოპატრა“, რომლის დადგმა, რაც გორც ჩანს, ვეღარ მოხერხდა და რომლის არსებობაც არავინ იცოდა. დიდი ხანი არ არის, რაც აღმოჩნდა და დაიბეჭდა); ცოტა უფრო ადრე, ასევე ხათრით თარგმნა დარვინის დიდი თხზულება, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, არც დაბეჭდეს და დაუკარგეს კიდეც... ახლა, როცა ასეთი მოძრაობა დაიწყო უცხოეთის ლიტერატურის ფართო მასშტაბით თარგმნაზე, მე და საშა გამყრელიძემ უფრო დაჟინებით დავუწყეთ თხოვნა — ისე კი ადრეც გვითხოვნია — მარტო მთარგმნელთა აღზრდითა და მომზადებით არ დაკმაყოფილებულიყო და პირადი წვლილიც შეეტანა ამ საქმეში. კონკრეტულადაც დავუსახელეთ, რომ ჩემთან ერთად მოეკიდა ხელი შექსპირის სრული თარგმანისათვის. ძველი მოწაფეებიც ჩვენს მხარეზე აღმოჩნდნენ და დავითანხმეთ. ჯერ მე „შავად“ ვთარგმნდი ამა თუ იმ პიესას და მერე ერთად დავსხდებოდით, ერთად მივცემდით საბოლოო სახეს. ეს იყო 1945 წლის ზაფხული და შევთანხმდით, რომ მუშაობას დავიწყებდით ზაფხულის არდა-

დეგების შემდეგ. სამწუხაროდ, ამას განხორციელება არ ეწერა. ზაფხული მიიწურა, შემოდგომაზე ხან რა საქმე გამოუჩნდა და ხან რა. ჯერ ვერ მოიცალა ამისთვის. ჩემი საასპირანტურო მუშაობა კვლავ ჩვეული წესით მიმდინარეობდა—რაც საზაფხულოდ მქონდა დავალებული, ჩავაბარე, ახალი დავალებანი მომცა. ასე მიიწურა 1945 წელი. როგორც კი დადგა ახალი წელი, შემახსენა ჩემი „ვენეციელი ვაჭრის“ განხილვა. როგორც ითქვა, უნივერსიტეტში დაინიშნა თარგმანის განხილვა და ეს საასპირანტურო სამუშაოშიც მეთვლებოდა. გამოჰყო მომხსენებლები — ნათელა კეშელავა და ოთარ ჩხეიძე — გამოაკრეს აფიშა, დაიბეჭდა პოსაწვევი ბარათები... ერთი სიტყვით, ძალიან ფართო მასშტაბი მიეცა ამ განხილვას. დიდი აუდიტორია, სადაც ჩვეულებრივ დისერტაციების დაცვა ხდებოდა ხოლმე, ხალხით გაიჭედა. ეს იყო ერთგვარი გაგრძელება იმ ძველი შემოქმედებითი საღამოებისა. და თუმცა ძველი ჯანჯს სიმრთელე აღარ შერჩენოდა, მაინც ძველებურადვე ხალისიანი და მონდომებული იყო. ნათელა კეშელავა — ბატონი ერეკლეს საყვარელი სტუდენტი — ჩემი ძველი მეგობარი იყო, ოთარ ჩხეიძეს კი შორიდან ვიცნობდი მაშინ, უნივერსიტეტში ჩემზე ორი წლით უკან იყო და მისი მოთხრობები წამეკითხა ჟურნალებში. ერთი სიტყვით, შორეული ნაცნობობა გვქონდა. თურმე დღევანდელი დღით ეყრებოდა საფუძველი ჩვენს მეგობრობას. მას შემდეგ, რაც მე ადგილები წავიკითხე პიესიდან — დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს ხდება 1946 წლის 26 იანვარს — მოხსენებით გამოვიდა ქალბატონი ნათელა კეშელავა. მისი შეფასება, ძირითადად, დადებითი იყო. ოთარ ჩხეიძე კი საკმაოდ მწვავედ და მკაცრად გამოვიდა, ბევრი შენიშვნა ჰქონდა. მე ზოგ რამეში არ დაეეთანხმე და საკმაოდ მწვავე დავა გამოგვივიდა... საბოლოოდ ბატონმა ერეკლემ ილაპარაკა. ჩემთვის და, ალბათ, ყველა იქ მყოფთათვის იმიტომ შემორჩა ის სიტყვა ცოცხლად მეხსიერებას, რომ ეს მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა გამოდგა.

სიკვდილი მოულოდნელად მოვიდა. 31 იანვრის საღამოს ციალა თოფურიძე ესტუმრა. იშვიათად გამოერეოდა საღამო, ვინმე ახლობელი არ მისულიყო — თითქოს საგანგებოდ იჭერდნენ თადარიგს, რომ მარტო არ დაეტოვებინათ. ბატონი ერეკლე, ჩვეულებრივ, გაახალისა საყვარელი სტუდენტის მისვლამ, ბევრი ილაპარაკა, იცინა. და უცებ გულზე იტაცა ხელი... ექიმი რომ მო-

ვიდა, უკვე გვიან იყო. მაინც ველარავინ უშველიდა. „ანგინა პექტორის“ — თავად უკარნახა ექიმს. მაგრამ შეცდა — მისი დიაგნოზი სწორი არ გამოდგა. ეს იმ წვალების კვალი იყო — თრომბი დაიძრა და გული გადაკეტა. 1946 წლის თებერვალი თენდებოდა.

ვაკის სასაფლაოს სამხრეთით, შემაღლებულ ბორცვზე, ყოველ პირველ თებერვალს მოდიან მისი მოწაფეები. ამ დროს აქ უმეტესად თოვლია ხოლმე. ჯერ პირველი კვალი გაიპრება. მერე თანდათან ემატება ნაფეხურები. საფლავი სადაა — ისეთივე, როგორიც თავად იყო ცხოვრებაში. ძველებურად გამოთლილ დიდ ლოდზე საჩრეთელით ამოკვეთილია — „ერეკლე ტატიშვილი. 1884 — 1946.“ ეს დიდი ლოდი ნიკო სამადაშვილმა მოიტანა. მანვე შეარჩია ეს ადგილი — აქედან ბეთანიასთან ახლოს იქნებაო. როცა დაღამდება, როცა ღამის დიდი მანათობელი ბეთანიის თავზე დაეკიდება და სინათლის ჩქერში გაახვევს წმინდა ტაძარს, სხივთა ერთ კონას ამ ძვირფას საფლავსაც უგზავნის.

1988 წ.

## მარგიანების ოჯახი

რევაზ მარგიანი თავად კეთილშობილი კაცი იყო და ადამიანის უმაღლეს ღირსებად კეთილშობილება მიაჩნდა. ვერ იტანდა სიყალბეს, ორპირობას, გაიძვერობას, და თავის შეგნებაში, ყოველდღიურ ურთიერთობაში, ასევე ორ კატეგორიად ჰყავდა დაყოფილი ადამიანების სამყარო. ოღონდ არა ასე განზოგადებულად და განყენებულად: წლების მანძილზე იყო ჟურნალებისა თუ გაზეთების რედაქტორი, გამომცემლობის ხელმძღვანელი და, როცა ნიჭის თვალსაზრისით ნაკლები შესაძლებლობის ადამიანს დაუბეჭდავდა რაიმეს, იტყოდა ხოლმე, — თითქოს თავს იმართლებსო — „ოჯახში გაზრდილი მაინც არის“. ასე უბრალოდ განსაზღვრავდა — „ოჯახ-

ში გაზრდილი", ესე იგი, პატიოსანი, მაღალი ზნეობის ადამიანი, მეგობრობის ერთგული... ხოლო ისინი, ვინც „ოჯახში არ არიან გაზრდილნი" — ფლიდები, გაიძვერები, იხტიბანები...

შესახედავად სვანს არა ჰგავდა, მაგრამ ნამდვილი სვანის ხასიათი ჰქონდა — არამზადების მიმართ პირქუში იყო, გაუცინარი, არც კი ცდილობდა დაეფარა თავისი ანტიპათიები; კეთილშობილი ადამიანისათვის კი გული გახსნილი ჰქონდა, სახე უცინოდა, თავს ევლებოდა... უყვარდა მეგობრების წრეში ყოფნა და ეს იყო უბედნიერესი წუთები მის ცხოვრებაში. მაშინ იგი დროის მოძრაობას თითქოს ვერცა გრძნობდა და უნდოდა, ეს ბედნიერი წუთები უსასრულოდ გაგრძელებულიყო; თავის სიყვარულს უხვად სთავაზობდა მეგობრებს და თუნდაც დროებით განსაშორებლად ეღარ ელეოდა... თავისივე ლექსებივით გულწრფელი და სადა იყო. ასე გავიცანი ბავშვობაში, როცა სკოლას ამთავრებდა, და ასეთი დარჩა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

საინტერესო იყო ეს გაცნობაც. ჩვენ მეზობელ სკოლებში ვსწავლობდით, მაგრამ ერთმანეთს არ ვიცნობდით. სკოლაში ყოველთვის გამოერევა ხოლმე თითო-ოროლა ბავშვი, ხელოვნებით ან სპორტის რომელიმე სახეობით გატაცებული და თუ სათანადო ენერგიულობაც მოსდევს, ხშირად მთელ სკოლას აიყოლიებს, „გადაიბირებს"... მერვე სკოლაში, სადაც რევაზი სწავლობდა, იყო თეატრით გატაცებული ორი ყმაწვილი კაცი, უფროსი კლასის მოსწავლეები, რევაზზე რამდენიმე კლასით უფროსები. ერთი მათგანი ბოლომდე ერთგული დარჩა თეატრისა. ეს გახლდათ შემდეგში ცნობილი თეატრალური მოღვაწე ალექსანდრე ჭედია. მათი თაოსნობით ხშირად იდგმებოდა სკოლაში წარმოდგენები, უმთავრესად ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები. ამ ყმაწვილებმა ბევრს გადასდეს თეატრის სიყვარული. იქნებ იმ საერთო თეატრალურმა განწყობილებამაც განაპირობა. რომ რევაზისავე თანაკლასელმა, ნოდარ ჩხეიძემ, შემდგომში ჩვენმა გამოჩენილმა მსახიობმა, თეატრს შესწირა მთელი თავისი ნიჭი და ენერგია... ერთი სიტყვით სწორედ იმ უფროსკლასელი ყმაწვილების თაოსნობით ერთ დღეს მერვე სკოლამ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" წარმოადგინა მოზარდ მაყურებელთა თეატრში. როგორც მოგახსენეთ, სკოლის კლუბში წარმოდგენები ადრეც ბევრჯერ გაუცართავთ, მაგრამ სკოლის ზღუდეებიდან გასვლა და ეს ერთგვარი გასტროლები ნამდვილი თეატრის

სცენაზე უკვე მოვლენა იყო. ორმოცდათხუთმეტამდე წლის წინანდელ ამბავს მოგახსენებთ. მაგრამ იმ სასკოლო წარმოდგენიდან დღემდე ცოცხლად შემომრჩა მეხსიერებაში სახე მუნჯი ბაჩუასი, რომელსაც წარმოდგენაში ეპიზოდური როლი ჰქონდა. ერთბაშად შემოვარდა იგი სცენაზე, მოწყვეტით დაეცა და მუნჯი ადამიანის ნერვიული ჟესტიკულაციით რაღაცის მტკიცებას თუ პროტესტს მოჰყვა. დარბაზიდან გამამხნევებელი შეძახილები გაისმა მსახიობის მისამართით — ზოგი ალბათ ხუმრობით, ზოგი — სერიოზულად. ამას მოწონების ტაშიც მოჰყვა. სანამ ტაშს დაუკრავდნენ, ყველაფერი კარგად იყო — აშკარად იგრძნობოდა შემსრულებლის უშუალობა და გულწრფელობა, რაც მას უსათუოდ ბუნებით უნდა ჰქონოდა თანდაყოლილი. მაგრამ ტაშმა გააფუჭა საქმე — მსახიობი, ეტყობა დაინტერესდა, გულწრფელად მიკრავენ ტაშს თუ ღიმცინიანო, და თავი დარბაზისაკენ მიაბრუნა, კარგა ხანს გაჩერდა ასე, ამდენი მაყურებლის დანახვამ, რომელთა სახეები ჩაბნელებულ დარბაზში ბუნდოვნად ჩანდა ცოტა არ იყოს, შეაკრთო. ამას ახალი ტაში და ჟრიამული მოჰყვა. მაგრამ მალევე გამოსწორდა ყველაფერი — ეტყობა ახალგაზრდა რეჟისორმა კულისებიდან მოუწოდა მსახიობს, დარბაზისათვის ყურადღება არ მიექცია და თავისი საქმე ეკეთებინა. და ჩვეულებრივად წარიმართა მოქმედება. ის პატარა დაბნეულობა მოუხდა კიდეც, როგორც თეატრალური კრიტიკოსები იტყვიან ხოლმე, გმირის სახის გახსნას. ის ეპიზოდი და თვით პერსონაჟის სახის შთამბეჭდაობაც ალბათ იმიტომ ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ როლის შემსრულებელი, შემდეგში ჩემი გულითადი მეგობარი, რევაზ მარგიანი გახლდათ. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დარბაზში მსხდარნი სცენაზე ავცივდით და მონაწილეებს მივულოცეთ. მაშინ გავიცანი პირველად რევაზ მარგიანი. იმავე ხანებში გამოქვეყნდა ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსი „მირანგულა“ და ამან მისი ეპიზოდური როლი „ტარიელ გოლუაში“ ყველას დაავიწყა. ლექსი ძალიან მოეწონათ მკითხველებსაც და მწერლებსაც. ეს არა ჰგავდა დამწყები ავტორის ვარჯიშს, — ეს ნიჭიერი პოეტის დასრულებული ქმნილება იყო. და საინტერესო იმითაც, რომ ლექსში მარტო ნიჭი კი არა ჩანდა პოეტისა, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი მრწამსი, მისი დამოკიდებულება საერთოდ პოეზიასთან, ტრადიციასთან...

...ჰქონდა კარგი მუსიკალური სმენა და კარგადაც მღეროდა. უყვარდა აკაკისა და ვაჟას ლექსებზე შექმნილი სიმღერები. თუ ვინმე უსმენო ჩაერეოდა სიმღერაში, აღშფოთებული ახედავდა და მოურიდებლად ანიშნებდა, გაჩუმდიო. უყვარდა ფალიაშვილი და თავის ახლობელსა და მეგობართან, გამოჩენილ პედიატრ და შესანიშნავ ქართველ ინტელიგენტ ირაკლი ფაღავასთან ერთად, საოჯახო სალამოებზე, დუეტებსა და სცენებს მღეროდა კომპოზიტორის ოპერებიდან. რთულ სვანურ სიმღერებსაც არ ერიდებოდა. ბიძები დიდებული მომღერლები ჰყავდა და გალაღდებოდა ხოლმე, როცა მათთან და ბიძაშვილებთან ერთად სვანურ სიმღერებს დააგუგუნებდა. უყვარდა სიმღერა. მღეროდა და თითქოს ეალერსებოდა თავისი ქვეყნის მთებს, მინდვრებს, ველებს, თავის ხალხს, მის წარსულს თუ აწმყოს; თვალები გაბრწყინებული ჰქონდა, მაღალი შთაგონებით იყო მოცული. თითქოს ეამაყებოდა ეს დიდებული სიმღერები, და, სხვათაშორის, ეს იყო მისი პატრიოტული გრნობების გამოვლენა; სამშობლო ხატად ჰყავდა დასახული, მაგრამ გულში მჯიღის ბაგუნითა და ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოებით როდი გამოხატავდა ამ გრძნობას.

ვერ იტანდა კუთხურ მიკერძოებას და აბრაზებდა ეს პროვინციული ჩამორჩენილობა. კარგი გემოვნება ჰქონდა, უყვარდა მხატვრობა და ბევრი კარგი მეგობარიც ჰყავდა ქართველ მხატვართა შორის. ერთი პირობა ისე გაიტაცა მხატვრობის სიყვარულმა, რომ მისი სახლის კედლები მოფენილი იყო ნახატებით, რომლებიც მეგობარ მხატვრებს მიეძღვნათ მისთვის.

კარგად იცოდა ქართული მწერლობა და თაყვანისმცემელი იყო ილიასი და აკაკისა. საერთოდ ამ მწერლების კულტი იყო მის ოჯახში. მამა-პაპათაგან ასე მოსდგამდათ. მე მახსოვს რევაზის ბაბუა დარისპანი, ას წელს მიტანებული კაცი; კარგად ვეღარა ხედავდა, მაგრამ სვანეთიდან რომ ჩამოვიდოდა, საათობით იდგა ხოლმე წიგნის მაღაზიების ვიტრინებთან, წიგნებს ათვალიერებდა. საინტერესო მოხუცი იყო, სიცოცხლითა და ხალისით სავსე, ჰქონდა იუმორის გრძნობა, სახე უცინოდა. უყვარდა ახალგაზრდობისდროინდელი საინტერესო ამბების მოყოლა. ერთხელ საგაზაფხულო სუფრაზე მიგვიწვიეს — ალექსანდრე საჯაია, ნიკა აგიაშვილი და მე ვიყავით (ლადო ასათიანი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული თბილისში), გაიხარა ბერიკაცმა, როგორც ტოლებს, ისე გვექცეოდა

შვილიშვილის მეგობრებს. ძველი საგალობლები წამოიწყო და, რომ ვერ ავყევით, გაბრაზდა, დაგვიცაცხანა, შეგვარცხვინა. ვერც სვანურ სიმღერაში ავყევით. აბა, იმერულს ყველა იმღერებსო, ისუმრა. მაინც აგვყვა, გამხიარულდა, მოილხინა. „აგიაშვილო!“ დროდადრო შესძახებდა ხოლმე სიცილით ნიკას, ღვინოს აძალებდა. ერთ აგიაშვილს ვიცნობდი ყმაწვილკაცობაშიო, დაიწყებდა და აღარ დაამთავრებდა, სხვა რამეზე გადავიდოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ იმერელი თავადი აგიაშვილი ნამდვილად მეტოქე იქნებოდა სატრფიალო საქმეებში ამ სვანი სასულიერო პირისა, რომელიც, აშკარად ჩანდა, ასკეტური ცხოვრების მიმდევარი არ იქნებოდა ახალგაზრდობაში. პირდაპირ ვერა ვკადრეთ, ვერ გავუმხილეთ ჩვენი ვარაუდი, მაგრამ მივახვედრეთ. გულიანად გაიცინა, სინათლედაშრეტილი თვალები ეშმაკურად გაუბრწყინდა, მაგრამ „ჰო“ არ უთქვამს, თუმცა არც „არა“ დასცდენია... თუ ჩვენი ვარაუდი მართალი იყო, მაშინ, ეტყობა, სვან სასულიერო პირს გაუმარჯვნია იმ მეტოქეობაში, ისე ეშმაკურად და ნიშნისმოგებით შესძახებდა ხოლმე „აგიაშვილო!“-ო. მერე ნათესავები მოვიდნენ და სვანური სიმღერები დასჭექეს, ძველი საგალობლებიც იმღერეს. თითქოს იმ პატარა სახლის დაბალი ჭერი აიწია, ის პატარა ვეძინის ქუჩაც, შიბად რომ არტყია მთაწმინდის კალთას, თითქოს განათდა და შარავანდი დაადგა.. დღემდე ცოცხლად მახსოვს გაზაფხულის ის დიდებული დღე.

მამა პოეტისა საფინანსო დარგში მუშაობდა. დიდი მცოდნე და მოყვარული იყო ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიისა, კარგი მწიგნობარი. ბობოქარი კაცი იყო, ფიცხი, მგზნებარე, სულ იმას წუხდა, ამ ოხერ ციფრებს ვეღარ მოვშორდი და ჩემს საყვარელ საქმეს უფრო მეტ დროს ვერ ვუთმობო, ჩვენც შემოგვჩიოდა ამას, შვილის მეგობრებს. ერთხელ სვანეთიდან მომწერა — (იმ დროს მთელი ოჯახი სვანეთში იყო რამდენიმე წლით წასული) — კორნელი კეკელიძესთან მიდი და პროგრამები გამოართვი, კარგადაც გამოჰკითხე, რა არის საჭირო, რომ ძველ ქართულ მწერლობაზე დისერტაცია დავიცვაო. იქვე მწერდა: იმ ბერიკაცის ამბავი ხომ არ გაგახსენდა, ჩონგურის სწავლა რომ დაიწყო, საქიოში დავუკრავო?.. დაე, ასე იყოს, ეს მაინც უნდა გავაკეთოო. მაგრამ განზრახვის შესრულება აღარ დასცალდა — ამის შემდეგ მალევე გარდაიცვალა ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი.

ერთი სიტყვით, ოჯახში ილიასა და აკაკის კულტი იყო. რევაზს უხაროდა, რომ სახლში ეკიდა ისტორიული ფოტოსურათი, რომელზეც აკაკი წერეთელთან ერთად მამამისიც იყო გამოსახული. კედელზე მომაღლოდ ეკიდათ ილია ჭავჭავაძის დიდი პორტრეტი, სეთის საღებავებით დახატული ნაკლებად ცნობილი მხატვრის მიერ; და თუმცა სურათს დიდი მხატვრული ღირსება არ ჰქონია, მთელს ოჯახს უყვარდა, როგორც ძვირფასი რელიკვია. და რევაზსაც ეამაყებოდა, რადგან იგი ახალგაზრდობაში ავტორს ამაღელვებელი წარწერით მიუძღვნია პოეტის მამისათვის.

რევაზი ბევრ რამეში ჰგავდა მამას, მაგრამ დედისა უფრო მეტი გამოჰყოლოდა. დედა უსათნოესი ქართველი ქალი იყო — დინჯი, მშვიდი, ოჯახის ერთგული, სამართლიანი, ალერსიანი... მასთან საუბარი შენც დაგამშვიდებდა.

ასეთ გარემოში იყო აღზრდილი რევაზ მარგიანი და, ბუნებრივია, თავის შემოქმედებაში იგი ერთგული დარჩა კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებისა.

1986 წ.

## ჩვენი ლადო ასათიანი

ლადო ასათიანის ყველაზე სრულ წიგნს წამძღვარებული აქვს ავტოგრაფი პოეტის ცნობილი ლექსისა — „რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა“... არ ვიცი ეს შემთხვევით მოხდა თუ საგანგებოდ შეარჩია წიგნის შემდგენელმა. ძალიან მარჯვედ კი შეურჩევია. ვისაც სურს ლადო ასათიანის პორტრეტი გააცოცხლოს, უსათუოდ უნდა გაიხსენოს ან წარმოიდგინოს იმდროინდელი რუსთაველის პროსპექტი. როგორც ნეგატივიდან თანდათანობით გამოიკვეთება ხოლმე გამოსახულება, ისე წელთა სიმრავლის ბურუსიდან ნელ-ნელა იკვეთება მაშინდელი, ოცი-ოცდაათიანი წლების რუსთაველის პროსპექტი — არა ასეთი გადარეული, არა ასეთი აჟოტჟოტებული და ერთფეროვან ნიაღვრად დაძრული...

ხალხი დინჯად დადის, თითქოს არსად მიეჩქარებათ, ტროტუარზე აქა-იქ მწვანედ შეღებილი გრძელი მერხები გამოუდგამთ და

მოხუცები სხედან, საღამოს სიგრილეს ოთახის ხვატიდან გამოუტყუებია ისინი და ტკბილად საუბრობენ — არც თავად უშლიან სხვებს ხელს და არც ქუჩაში კანტიკუნტად მიმომავალი ხალხი უშლის მათ რამეს. აქ უსათუოდ ნაცნობ სახეებს წააწყდები, და თუნდა პირადი ნაცნობობა არა გქონდეს, არც ვინაობა იცოდე, როცა ჩაუვლი, უსათუოდ გაუღიმებ, ისიც, რა თქმა უნდა, გაგიღიმებს, და სასურველი სიმშვიდე გეუფლება...

ასეთი ჯადო და მადლი აქვს ამ ქუჩას.

ალბათ ამ მადლმა მოხიბლა თბილისში ახლადჩამოსული ჭაბუკი პოეტი ლადო ასათიანი. ისე შეიყვარა ეს ქუჩა, როგორც შეიძლება შეიყვაროს ადამიანმა ცოცხალი არსება. იგი ვერა ძღებოდა ამ სიყვარულით. საცრებათა ქვეყანაში მოხვედრილი ბავშვის ხარბი აღტაცებით შეჰყურებდა ირგვლივ ყველაფერს და კი არ ხედავდა მხოლოდ, მთელი არსებით გრძნობდა. დადიოდა და თვალებით ეფერებოდა ყველა სახლს, ყველა ხეს, დიდებულ ტაძარს, რომელიც უვიცობისა თუ ავკაცობის გამო ჩიხში მოექციათ და შავი ჯანღით დაებურათ. წარმოსახვით ხედავდა და ეალერსებოდა ნაფეხურებს ძვირფასი ადამიანებისა, რომელთაც ცოტა ხნის წინათ აქ ევლოთ და ერთბაშად გამქრალიყვნენ...

ჩაგეკითხებოდა ხოლმე: როდის ჩამოივლიდა აქ ციტიან ტაბიძე, დღის რა დროს, სად შეჩერდებოდა, თან ვინ ახლდა, ჩქარა მოდიოდა თუ ნელა: მიხეილ ჯავახიშვილსაც თუ უყვარდა რუსთაველის პროსპექტზე გავლა; როგორი სიარული იცოდა ვასილ ბარნოვმა, რომელ ხესთან უყვარდა გაჩერება... და მალ-მალე შეავლებდა თვალს ამ ხეს.

აქ, ამ ქუჩაზე, დღის რომელიმე მონაკვეთში უსათუოდ ნახავდი ყველა საყვარელ ხელოვანს — მწერალს, კომპოზიტორს, მხატვარს, მსახიობს... და დაახლოებით იცოდი კიდეც, ვის როდის შეხვდებოდი ან სად შეხვდებოდი... მწერალთა კავშირისაკენ მიმავალ ან იქიდან გამოსულ მწერალს უსათუოდ აქ უნდა გაევლო (მაშინ ხომ ფეხით დადიოდა ხალხი), და ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულებაც აქ იყო — კონსერვატორია, საოპერო თეატრი, რუსთაველის თეატრი, ხელოვნების სამმართველო, სამხატვრო გალერეა, მუზეუმები, რედაქციები, კინოთეატრები: „მინიონი“, „სპარტაკი“ და საოცარი საზაფხულო კინო „ეთერი“ — საოცარი თავისი განუმეორებელი სიმყუდროვითა და სილამაზით,

მშვიდი, ღიმილიანი მაყურებლებით, რომლებიც თითქოს იმიტომაც მოიჩქაროდნენ საღამოს სიგრილეში აქეთკენ, რათა ერთმანეთისთვის სიყვარული გაეზიარებინათ და ალერსით გული გაეთბოთ...

ასეთი იყო ეს ქუჩა და იგი ერთბაშად შეიყვარა ლადო ასათიანმა.

საოცარი იყო ეს სიყვარული.

სულ სხვაა გრძნობა, ადამიანის ხელითვე შექმნილი დიადი ძეგლების მიმართ რომ აღგეძვრის — მას შეიძლება ეწოდოს კრძალვა, მოწიწება, თაყვანისცემა... ეს კი სულ სხვა იყო. „ქაშვეთის შემოხედვამ დამარეტიანოსო“, როცა წერს პოეტი, ეს გაზვიადება სულაც არ არის, არც მოდას აყოლილი სიკეკლუცე. ეს გულიდან ამოსული სიტყვებია — გატაცებული, ტკივილიანი... ასე მხოლოდ ცოცხალ არსებას თუ შეიყვარებ. და მართლაც ცოცხალი იყო ეს დიდი ქუჩა — თბილი, მღელვარე, სასურველი. მან მოწყენაც იცოდა და გახარებაც... და ლადოს არ ეთმობოდა, უმძიმდა მასთან ხანმოკლე განშორებაც კი. ისე ეთხოვებოდა, როგორც ახლობელ ადამიანს. მე მინახავს ასეთი გამოთხოვება — შემაძრწუნებლად საყვარელი და ცრემლისმომგვრელი.

ახლაც თვალწინ მიდგას, თითქოს ცოცხლად ვხედავდე — ნელი, ძალიან არათანაბარი ნაბიჯით მოდის და დროდადრო ერთბაშად შედგება, თითქოს უხილავი თოკით ვინმემ უკან დასწიაო; თავს ასწევს, ცას ახედავს, სახლებს შეათვალიერებს და ისევ მძიმედ წამოვა; თუ ზაფხულია, შარვალზე გადმოშვებული, ჯიბეებიანი მოთალხო ბლუზა აცვია, წელზე ბრტყელი ქამარი შემოურტყამს; ზამთარში სიახლედაკარგული პალტო აცვია, საყელო წამოუწევია, ღილები კი გახსნილი აქვს, ღია ნაცრისფერი კაშნე მოუხვევია, ჭუდი ლამის თვალებზე ჩამოუფხატავს... თუმცა ჯერ შორსაა და სახეს ვერც გაარჩევ; და როცა მოგიახლოვდება, ერთბაშად თვალები შემოგანათებს — დიდრონი, ანთებული თვალები. რომ მკითხონ, ყველაზე დამახასიათებელი რა გახსოვს ლადო ასათიანისო, თვალებს ვიტყოდი, სევდით დანისლულ თვალებს, რომლებიც ერთდროულად სითბოსაც ასხივებს, სიკეთესაც, სევდაგარეულ ირონიასაც, და კიდევ რაღაც სხვას. რისთვისაც სახელის შერქმევა გაგიჭირდება — იქნებ იმედისგაცრუებას, თუ დაღლას... მაგრამ არა გესლსა და სიძულვილს, როგორც შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, როცა მის მეტისმეტად მწვავე ეპიგრა-

მებს გაეცნობა. როცა დაგინახავს, გულწრფელი სიხარულით გა-გიღიმებს და თავის ვეება ხელის მტევანში მოიქცევს შენს ხელს. ხმაში ოდნავ, სულ ოდნავ, რაღაცნაირი ხრინწი დაჰკრავს, და ეს ერთგვარად არბილებს მის მეტყველებას. ლაპარაკობს გატაცებით, მგზნებარედ, და ამ დროს ხელების ქნევა უყვარს. ტანმაღალია, ძვალმსხვილი, შუბლმაღალი და შუბლნათელი. ასეთ ადამიანებს ნათელი აზროვნება აქვთ. უყვარს ხუმრობა და ამ დროს თვალებში ეშმაკი ჩაუჯდება.

ზემოთ რომ ლექსების სრული კრებული ვახსენე, მას დართული აქვს გუდიაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტი პოეტისა. რაღა თქმა უნდა, თავისთავად მშვენიერი. მაგრამ იგი სრულად ვერ გადმოგვცემს ლადო ასათიანის ბუნებასა და ხასიათს; კარგად გვაგრძნობინებს პოეტის სპეტაკ სულსა და შინაგან სინაზეს, მაგრამ ვერ განგვაცდევინებს ძალასა და სიმტკიცეს. საბედნიეროდ, მრავალი ფოტო-სურათი დარჩა პოეტისა, და განსაკუთრებით ერთი, რომელიც მურმან ლებანიძეს მის მიერვე გამოცემული კრებულისათვის წაუმძღვარებია. თითქოს ცოცხალ ადამიანს შეჰყურებდე. ღრმა სევდა, რომელსაც თვალები ასხივებს, მწუხარებას ჩრდილს კი არა ჰფენს მის სახეს, არამედ შინაგანად ანათებს და ხალას ტალანტთან ერთად ძალასა და სიმტკიცეს გაგრძნობინებს.

ასეთი იყო ლადო ასათიანი. ასეთი დაგამახსოვრდებოდა იგი, რუსთაველის პროსპექტზე თუ შეხვდებოდი 1938-41 წლებში. მერე ცოტათი შეიცვალა — უფრო და უფრო გაღიზიანებული გახდა. გაღიზიანებული, და არა გაბოროტებული. ირონია გაუმკაცრდა, ის იმედისგაცრუების პატარა ჩრდილი. პირველად ძლივს რომ შენიშნავდი, ქუშ გულგატეხილობად იქცა, თუმცა სიძულვილის გესლი მაინც არ გარევია...

მურმან ლებანიძე წერს, ლადო ასათიანი თუ გინდა გაიგო, მასზე დაწერილი სტატიების წაკითხვა არ არის საჭირო, პოეტ ლექსები უნდა წაიკითხო და ის ყველაფერს გეტყვისო. ნამდვილად ასეა. ოღონდ მარტო ლექსები კი არა, უსათუოდ უნდა წაიკითხო ის პატარა, დღიურივით ჩანაწერებიც, რომლებიც მის ყველა წიგნში შეაქვთ, და, რა თქმა უნდა, პირადი წერილები, რომლებიც, იქვე უნდა ითქვას, სრული არ არის და მერე ალბათ თანდათანობით შეივსება. საოცარია ეს წიგნი, საოცარი სიცხადით გადაგვიშლის პოეტის ცხოვრებას, მისი განწყობილებების მე-

ტამორფოზას, იმ სწრაფცვალებად დროს, რომელშიაც პოეტი ცხოვრობდა...

ამრიგად, 1938 წლის ზაფხულში ლადო ასათიანი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად.

მანამდე?

მანამდე ქუთაისი. სწავლა. წიგნების დაწაფებით კითხვა, პირველი ლექსები, პირველი სიხარული და... პირველი იმედის გაცრუება, პირველი მოსინჯვა ცხოვრების სიმწარისა, რომელიც ჯერ მხოლოდ მიამიტურად გააკვირვებს ახალგაზრდა პოეტს... და მალევე პირველი დიდი, განუკურნებელი ტკივილი, რომელიც თავის ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე მოუშუშებლად გაჰყვება. თუმცა სხვებთან ამაზე ლაპარაკი არ უყვარს. ზემოთ რომ პოეტის პორტრეტის მოხაზვა ვცადე, დამავიწყდა მეთქვა მისი ხასიათის ერთი თვისება — სიამაყე, რაც სხვამხრივ გულღია და გულგახსნილ ახალგაზრდა კაცს ბორკავს, რომ თავისი სატკივარი და გასაჭირი სხვასაც გაანდოს და ამით თუნდაც მცირე შვება იგრძნოს. ეს სიამაყე მას კაცურ კაცობის ნიშნად მიაჩნია და ამითვე აფასებს ადამიანს — „იყავი ამაყად, კაცურად, ჰკვიანად“ — სწერს იგი უმცროს ძმას. ჩანჩურა ხალხს, ვისაც საკუთარი თავის ღირსება და სიამაყე არ გააჩნია, ეფროსინეებს ეძახის. „ახლა თბილისი დაცარიელებულია, მაგრამ კიდევ დარჩნენ ეფროსინეები... ო, როგორ მძულს და მეზიზღება ზოგი ხეპრე და ბოლთის თაყვანისმცემელი, კარგად ნასადილევი ადამიანის სახე რომ აქვს... ყველაფრით რომ კმაყოფილია... თვალებში უაზრობა ჩასდგომია... ასეთი ადამიანის გული ბნელია, როგორც ძუნწი კაცის საფლავი“, სწერს იგი თავის უახლოეს ადამიანს. მაგრამ წერილის განწყობილებასაც ეტყობა, რომ ეს უფრო გვიანდელია. ჩვენ ჯერ მწერლობაში მის პირველ ნაბიჯებზე ვლაპარაკობდით.

რა მოკლეა ის ბედნიერი დღეები, როცა ლეჩხუმიდან ქუთაისში ჩამოსული ჯერ კიდევ ბავშვი პოეტი წერილით უზიარებს დედას გაზეთში პირველი ლექსის დაბეჭდვით გამოწვეულ სიხარულს.

„გიგზავნი ლექსს, რომელმაც აალაპარაკა ხალხი ქუთაისში“... „ტრიუმფალურად მიდის ქუთაისისა და კერძოდ ჩემი ლიტერატურული ცხოვრება. გიგზავნი გაზეთებს. გვერდში რომ ლექსია, მანდ დავწერე, ის კი, ცალკე რომაა, ახალია“... ლადოს. საერთოდ,

ირონიაგარეული ხუმრობა უყვარს, მაგრამ ეს ხუმრობა არ არის. ახალგაზრდა პოეტის ლაღი სიხარულია, რომელიც გულში ვეღარ დაუტევია და ეშურება უახლოეს და უძვირფასეს ადამიანს გაუზიაროს; ეს სიტყვები იქნებ უხერხულ ტრაბახობადაც მოგვჩვენებოდა, თუ არ გვეცოდინებოდა, რომ ბავშვის დაწერილია, რომანტიკულად განწყობილი და აღტაცებული ნიჭიერი ბავშვისა, რომელსაც ჯერ თვალსა სჭრის ცხოვრების ელვარება, რომლის წილ ცხოვრებაში ჯერ სატანა არ შეპარულა. „გამომიგზავნე ღვინო და ჩურჩხელების ლეგიონებიო“, იქვე სწერს დედას. რა ლაღი უზრუნველობითა სწერს. იმ ადამიანის სილაღით, რომელიც სიცოცხლეს შეტრფის, ირგვლივ მხოლოდ სიკეთეს ხედავს და ბოროტის არსებობა ვერ წარმოუდგენია.

მაგრამ უმალვე, დედისადმი მიწერილ შემდეგ წერილშივე წაეწყდებით იმ პირველ იმედისგაცრუებასა თუ გაოცებას, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

„...ლექსში კუპლეტები ამომიგდეს. მაინც არ ვჩივი, ეს პირველია... 4 კუპლეტიდან 2 დატოვეს. სასაცილოა“...

ამ დროს პოეტი 17 წლისაა მხოლოდ. ეს პირველიაო, თითქოს წინათგრძნობამ ათქმევინა — ამის შემდეგ მას სულ ეს სტანჯავს, ამაზე აქვს დავა რედაქციებთან, გამოშცემლობებთან, ამან მოუსწრაფა სიცოცხლე... მკაცრი წლები იყო. „ჩემი ლექსი „სამშობლო“, — სწერს იგი ქუთაისიდან ალიო მაშაშვილს, რომელიც იმ დროს „მნათობს“ რედაქტორობდა, — „...უნდა დაბეჭდილიყო თქვენი ჟურნალის ა. წ. მე-2 ნომერში, მაგრამ უკვე დაბეჭდილი ამოგიღიათ“...

ეს წერილი დაწერილია 1938 წელს.

დააკვირდით ლექსის სათაურს და წერილის თარიღს! ამ დროს ლადოს უკვე მიყენებული აქვს პირველი დიდი ტკივილი — დედა მოაშორეს და არც იცის, სად არის. როგორც ითქვა, ამ ტკივილს იგი გულში ინახავს, არავის ანდობს და მხოლოდ ლექსში იფეთქებს დროდადრო. „ავდექი დარდით გულგასერილი... გინატრა შვილმა, იტირა ლექსმა... ნეტავ სადა ხარ ან რომელ მხარეს, სულზე უტკბესო დედილო ჩემო?“ ეს ლექსი 1938 წელსაა დაწერილი, თბილისში ჩამოსვლამდე. გადის წლები და ლექსებში ისევ და ისევ მწარედ გაისმის — „...როცა ვნატრობდი უბრალო ხალათს, დედის ძვირფასი ხელით შეკერილს“... (1939)

„შენ, მამაჩემო, რად დარდობ, რამ დაგისველა თვალები? ან შენ სადა ხარ, დედილო, რომ ლექსი გამაბედვინო?“ (1940)...

ასეთი დარდით გულგასერილი ჩამოვიდა ახალგაზრდა პოეტი თბილისში — დაბნეული, დაეჭვებული, უბინაო, ყოველგვარ საარსებო სახსრებს მოკლებული, მეტად ბუნდოვანი მომავლის მომლოდინე. და მიუხედავად იმისა, რომ იმ ძნელი წლების სიმკაცრე უველაზე მწვავედ სწორედ თბილისმა განიცადა, ახალგაზრდა პოეტმა მაინც შვება იგრძნო აქ; იგი ერთბაშად მოხვდა თანამოაზრეთა გარემოცვაში, რომელთაც გულში ჩაიკრეს ახალგაზრდა ნიჭიერი თანამოკალმე. აქ მას დახვდა ნიკა აგიაშვილი — დედის შემდეგ უველაზე ახლობელი ადამიანი და მზრუნველი, რომლის ქუთაისიდან წამოსვლა ძალიან დააკლდა ახალგაზრდა პოეტს; აქ მას დახვდნენ თანატოლები — რეზო მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, მირზა გელოვანი, კოტე ხიმშიაშვილი, ლადო ავალიანი, ალეკო შენგელია, გიორგი კალანდაძე, გაბრიელ ჯაბუშანური... ეს ერთი თაობა იყო, ნიჭიერი და იმედისმომცემი თაობა, დიდი ქართული მწერლობის ერთი მძლავრი შენაკადი... აქ მას დახვდა ჯერ ისევ გაუყუჩებელ ტკივილიანი მოგონება ტიციან ტაბიძეზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, პაოლო იაშვილზე; აქ ის მწერალთა კავშირში თუ თბილისის ქუჩებში უველდღე ხვდებოდა გალაკტიონს, ნიკო ლორთქიფანიძეს, ლეო ქიაჩელს, კონსტანტინე გაჩსახურდიას... თბილისში ამ დროს ლიტერატურული ატმოსფერო სუფევდა რაც მუდამ ასე სწყუროდა ლადო ასათიანს... აქ იგი ხვდებოდა და ესაუბრებოდა ხალხს, რომელთაც საკუთარი თვალით ენახათ, გამოლაპარაკებოდნენ ფიროსმანს, რომლის შეყვარება ახალგაზრდა პოეტმა ადრევე მოასწრო; აქ იგი დადიოდა იმ ქუჩებში, სადაც დიდ მბატვარს ევლო, ჩადიოდა სარდაფებში, სადაც, გადმოცემით, ფიროსმანს უხატავს, გაუხარელი სიცოცხლის დღეები გაუტარებია...

რამ შეაყვარა ახალგაზრდა პოეტს ასე მტკივნეულად ფიროსმანი? იქნებ არა მარტო თვითმყოფადმა ტალანტმა მხატვრისა, არამედ მისმა ტრაგიკულმა ცხოვრებამაც, რაშიაც იგი საკუთარ ბედსაც ცნობდა!

ლადო ასათიანი დიდი ქალაქის ცხოვრებას დაეწაფა. ამ ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა. წმიდა მღოცველის სასოებით ნაბიჯ-

ნაბიჯ აქვს შემოვლილი მთელი თბილისი, მისი ყოველი ქუჩა და უბანი...

საოცარია, ვისზე აღარ წერენ, თბილისის მომღერალიაო — რომელ პოეტსა თუ აშუღზე, ლადო ასათიანს კი თითქოს არც ეხსენებინოს თბილისი. არა-და, ძნელად თუ დაასახელებ პოეტს, ასეთი წრფელი სიყვარულით ემღეროს თბილისისათვის, შვილის პატივილიანი, თავდავიწყებული სიყვარულით... ვცადე, ამის საილუსტრაციოდ სტრიქონები ამომეწერა პოეტის ცალკეული ლექსებიდან, მაგრამ შეუძლებელი გამოდგა, ერთი წერილი ვერაფრით ვერ დაიტევს ამას, სტრიქონების ძებნაც ამაო იქნება — მთელი მისი შემოქმედებაა გამსჭვალული ამ სიყვარულით. რა სიხარული, რა სევდა და სინანულია ამ სიყვარულში.

„რამდენჯერ მომნატრებია ადრინდულად გასეირნება რუსთაველზე ღამით, მდუმარებაში. ახლა ჩემსავით აღარავინ დახეტიალობს აქ, აღარ ჩაუვლის ქაშვეთს"... — წერს უკვე სიკვდილს მიახლოებული პოეტი. თავისი თაობის პოეტებში მხოლოდ მას შეეძლო ასე ეთქვა: „ჩემი თბილისი და ფიროსმანი არ ვიცი ასე რამ შემაყვარა..." „...მე მოვიარე საავდრო ნისლში დედაქალაქის ყველა ქუჩები, და მერე როცა ჩვეული რიდით გავხსენ რუსთაველის ქუჩის ურდული, დაიგრუხუნა თბილისის ირგვლივ და წამოვიდა წვიმა შურდულით. გავხედე, თრთოდნენ ქარ-წვიმის ხმაში ქუჩები, ბევრჯერ გადანათელი, მარტო გამზირზე არ წვიმდა მაშინ და მარტო გამზირს ადგა ნათელი"... ან: „...და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი"... თანაც, სხვა პოეტებისგან განსხვავებით, აქ ზღვარს ვერ გაავლებ — ძველი თბილისია ეს თუ მისი რომელიმე ახალი უბანი... აქ თბილისი წარმოდგენილია როგორც საქართველო — თავისი წარსულითა და აწმყოთი; როგორც საქართველოს გული, ერის მთლიანობისა და ერთიანობის გამომხატველი.

და როცა სხვადასხვა დროს დაწერილ სტრიქონებს ვკითხულობ, ჩემს თვალწინ შთამბეჭდავ სურათებად ცოცხლდებიან ცალკეული ეპიზოდები იმ მეტისმეტად ხანმოკლე ცხოვრებისა, რაც მჟაცრმა და უსამართლო ბედმა პოეტისთვის გამოიმეტა.

ზოგიერთ წერილსა თუ მოგონებას რომ წაიკითხავ ლადო ასათიანისა და მისი თაობის მწერლებისადმი მიძღვნილს, ისეთი

შთაბეჭდილება შეგექმნება, თითქოს ეს ხალხი სულ რესტორნებში იყო და მეტს არაფერს აკეთებდა. ასე არ არის. ბევრს შუშაობდნენ, ძალიან ბევრს კითხულობდნენ. ხელიდან ხელში გადადიოდა პრუსტის, ჰამსუნის, იბსენის, მეტერლინკის, პშიბიშევსკის, ჰემინგუეის, ფოიხტვანგერის, ჟიდის წიგნები, რომ აღარაფერი ვთქვათ დიდ კლასიკურ მწერლობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ პოეზიაზე. ესენინის, ბლოკის, შელის ლექსებს ზეპირად კითხულობენ, როცა ერთად შეიყრებიან, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო...`

არ შემიძლია აქვე არ მოვიტანო ნაწყვეტი პირადი წერილიდან, რომელიც დაწერილია 1942 წლის მიწურულს, როცა ახალგაზრდა პოეტს მორეული ჰქონდა საშინელი სენი, სიცხით იყო გათანგული და გადარჩენის აღარავითარი იმედი აღარ არსებობდა.

„...აბასთუმანში ბევრი დრო მქონდა და სულ წიგნებთან ვიყავი... რომ იცოდე, რამდენი რამ წავიკითხე: როლანისა და ცვაიგის ნაამბობი ბეთჰოვენის, მიქელანჯელოს, ბალზაკის, დოსტოევსკის, დიკენსის, მაგელანის ბიოგრაფიები, შემდეგ ვაზარი და სტენდალი... მერე რამდენი კარგი წიგნია აქ — გიორგი ბრწყინვალის ისტორია, ბექა და აღბუღა ათაბაგების სამართლის წიგნი, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ჰეროდოტე და სტრაბონი, თუკიდიდე და ტაციტი, აქვეა პლუტარქეც... რა ყოფილა ეს გილგამეშიანი — ბრძოლა სიბერისა და სიკვდილის წინააღმდეგ — საუკუნო ცხოვრებისათვის“...

ლადო ასათიანმა, ისე როგორც მისი თაობის ბევრმა ახალგაზრდამ, კარგად იცის საქართველოს ისტორია; ეწაფებიან „ქართლის ცხოვრების“ ძველ, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ გამოცემებს, ეძიებენ და კითხულობენ პირველწყაროებს და აღმერთებენ ივანე ჯავახიშვილს (ლადო ლექსს უძღვნის დიდ ისტორიკოსს), დიდი თაყვანისცემით მოიხსენიებენ ექვთიმე თაყაიშვილს, მაგრამ ოფიციალურად მისი სახელის ხსენება მიღებული არ არის.. ლადომ ჩინებულად იცის ქართული ლიტერატურა და ახლა უცხოურს ეწაფება — საფუძვლიანად, მთელი სერიოზულობით, როგორც მას სჩვევია ხოლმე. თანამედროვე ქართველ პოეტთაგან. რაღა თქმა უნდა. უყვარს გალაქტიონი. მაგრამ განსაკუთრებით გატაცებულია ტიციან ტაბიძით. ლექსის სტრიქონებიც უძღვნა მას შეფარვით („მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა თავისი ქვეყანა

ხალხი და მიწა, ვისაც სახელი შორს გაუვარდა, ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა"...). სწუხდა, რომ ტიციანის ლექსების წიგნი არა ჰქონდა, და როგორ გაიხარა, როცა მე ვაჩუქე სწორედ წინა წლებში გამოცემული კრებული ტიციან ტაბიძის ლექსებისა. ჩემთან იყვნენ სახლში საჯაია და ის, და თვალი ვერ მოაშორა აგრეთვე ნიცშეს, რომელიც „ნივას". დამატებებად იყო გამოცემული და სიძველისაგან ერთიანად გაყვითლებულიყო, ისედაც მდარე ქაღალდს ელასტიურობა დაეკარგა. წინა წლებში ვიყიდე პუშკინის ქუჩაზე, პატარა ბუკინისტურ მაღაზიაში, ნარინჯისფერ ყდებში ჩასმული თხელი წიგნები დაძენძილი კანაფით შეეკრათ. მაშინ ჯერ ისევ შეხვდებოდი ასეთ წიგნებს ბუკინისტებთან. დაიწყო ლადომ ფურცვლა სიძველისგან გაცრეცილი ფურცლებისა და ველარ მოშორდა — ასეთი გატაცება იცოდა — და ეს წიგნებიც ვაჩუქე. ალბათ ახლაც მის არჩივშია.

ლადო ასათიანის შემოქმედებაში აშკარად გამოიკვეთება ერთი მთავარი თემა. და როცა ამას ვწერ, მახსენდება ერთი რეცენზია, დაწერილი შოპენის კონცერტის მოსმენის შემდეგ, კომპოზიტორის სიცოცხლეშივე. რეცენზია ფრანგულად არის დაწერილი, მაგრამ რამდენადაც მე რუსულად მაქვს წაკითხული, პირდაპირ რუსულ თარგმანს მოვიტან: „В Шопене две личности: патриот и художник, и душа первой побуждает гений второй..."

საოცარია, ეს სიტყვები დაიწერა 1842 წელს, ზუსტად ასი წლის წინათ იმ დღეებიდან, რომელთაც ახლა ვიგონებ. რა თქმა უნდა, ამიტომ არ გამხსენებია ეს რეცენზია. მით უფრო არც იმიტომ, რომ ნიჭისა და შემოქმედების მასშტაბურობის თვალსაზრისით პარალელი გავავლო. ასეთი პარალელების გავლება საერთოდ ფუჭი და უსარგებლო საქმეა. მაგრამ თემისადმი მხატვრის დამოკიდებულების, შემოქმედების საერთო ხაზის, განწყობილების თვალსაზრისით, ვფიქრობ მართლაც შეიძლება ზემოთნახსენები რეცენზიიდან მოტანილი სიტყვების გამოყენება ლადო ასათიანის პოეზიის მიმართ. ლადო ასათიანის მთელი შემოქმედება, თითქმის ყველა მისი ლექსი სამშობლოს სიყვარულით, მშობელი ხალხის ბედზე ზოუნვით არის შთაგონებული. პატრიოტიზმი სასინჯი ქვაა, წამიკითხავს. შეიძლებოდა ამ აზრის დაკონკრეტება: პატრიოტიზმი ბეწვის ხიდზე სიარულია, საიდანაც ადვილად შეიძლება გადაჩეხო — და ბევრი გადაჩეხილა კიდეც — პროვინციალიზმში, უგე-

მოვნებაში, სქემატიზმში, ყალბ პათეტიკაში. ლადო ასათიანი ამ ბეწვის ხიდზე გადის. გადის თავაწეული, ლაღად. როცა კითხულობ, შიში არ გიპყრობს, ვაითუ გემოვნებამ უმტყუნოს, ვაითუ ფეხი დაუცდეს და გადაიჩეხოსო. რა შველის პოეტს ასე ლაღად რომ ეპყრობა ამ საშიშ თემას? უპირველეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, ნიჭი, ტალანტი, და გულწრფელობა, უშუალობა, გრძნობის სიხალასე...

საერთოდ, ვერ იტანდა ვერავითარ სიყალბეს. საოცრად გამახვილებული სმენა ჰქონდა და ხელადვე იგრძნობდა სიყალბის ნოტებს — მხატვრულ ქმნილებაშიაც, ადამიანის ხასიათშიაც, მეტყველებაშიაც... ყველაფერს აპატიებდა ადამიანს და ყალბ პათეტიკას — არა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, რა ვითარებაში, თუნდაც სუფრაზე, სადღეგრძელოების დროს, როცა ადამიანს უფრო უჭირს ზომიერების დაცვა, ხელებს გაშლიდა და შესძახებდა: „გადავირევი ახლა, გავსულელდები!“ ეს მისი საყვარელი შეძახილებია — ასე გამოხატავდა პროტესტს, თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. ირაფერს მოერიდებოდა, პირში მიახლიდა მოურიდებლად და მკვახედ. მით უფრო ვერ იტანდა ყალბ პათეტიკას მხატვრული შემოქმედების ვერც ერთ სფეროში. ერთხანს პიონერთა სასახლეში ვმუშაობდი. ჩემი ოთახიდან პირდაპირ დიდ აივანზე გახვიდოდი და იქიდან ქვის ფართო, ძველებური კიბე ეშვებოდა სასახლის დიდებულ ბაღში. მთელს იმ დიდ აივანსა და კიბის გრძელ, მასიურ მოაჯირს ორივე მხარეს გლიცინია მიჰყვებოდა, და არაფერი ჯობდა იქ ყოფნას გაზაფხულობით, როცა გლიცინია აყვავდებოდა. ალიონშა საჯაია და ლადო ხშირად გამომივლიდნენ ხოლმე, მოსწონდათ იქაურობა. ერთხელ, აივანზე რომ გავედით ბაღში ჩასასვლელად, ლადო რაღაც არაბუნებრივად დაიძაბა, მოაჯირს ხელჩაჭიდებულმა უხერხულად ამსუბუქებული ნაბიჯით (თითქოს მთიელი კაცის მოძრაობას ბაძავსო) დაიწყო ქვემოთ დაშვება, თანაც, ყოველ ორ საფეხურს რომ ჩაივლიდა, ერთი-ორჯერ შემოტრიალდებოდა, თითქოს პირდაპირ ჩასვლა არ შეიძლებოდა, ჩასვლას განგებ ირთულებდა, თვალებს გადააბრიალებდა... კიბე კარგა მაღალია, და როცა სულ ქვემო საფეხურს მიუახლოვდა, ერთი კიდევ შეტრიალდა, თვალები გადაკარკლა, შეჰკივლა — „მ ო მ კ ლ ე ს!“ და უხერხული მოძრაობით მოაჯირს გადააწვა. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია სიტყ-

ვებით გადმოცემა, როგორ გააკეთა ეს. და ახლა იმიტომ გავიხსენე, რომ ეს იყო პაროდია ზოგიერთი ჩვენი თეატრისა, როცა უზარმაზარი დეკორაციებით გაჭედილ სცენაზე თითქოს გმირულ თეატრს განასახიერებდნენ და ეპიგონობა კი გამოსდიოდათ, ყალბი, გულისამრევი პათეტიკა. ნამდვილი გმირული თეატრი მოსწონდა ლადოს. იგი არ მოსწრებია ახმეტელის დიდებულ სპექტაკლებს და ეს სანანებლად ჰქონდა...

უბრალო ადამიანი იყო, ვერ იტანდა გატყლარჭულ, გადაპრანჭულ სტილს. საგულისხმოა რეზო მარგიანისადმი მიწერილი ბარათი, სადაც ვკითხულობთ: „... მე მართალი კაცი ვარ, ჩემი ლექსების თემა მუდამ საქართველოა... იჭია-ბიჭია ცრუ პატრიოტიზმი ჩემი საქმე არ არის. აი, ასეთი თანამედროვე პოეტი ვარ და ასეთი თანამედროვეობა მწამს მე. მორჩა და გათავდა! ვინც ეს არ იცის, ის სულელია...“ ეს სიტყვები შემთხვევით არ არის დაწერილი, როგორც ვხედავთ აქ ერთგვარად პოლემისტური პათოსიც იგრძნობა იმათ მიმართ, ვისთვისაც სწორედ „იჭია-ბიჭია“ ცრუ პატრიოტიზმია დამახასიათებელი და იმათ მიმართაც, ვისაც ასათიანის შემოქმედების პატრიოტული განწყობილება არ მოსწონს

აგერ, უმცროს ძმასთან მიწერილი ბარათიც ვნახოთ: „თუ ძმა ხარ, სიტყვების კორიანტელი, გატყლარჭული სტილი და ათასნაირი უცხოური ამბები ნუ გაგიტაცებს, ეს ყველაფერი სისულელეა, ჩვეულებრივი, ადამიანური ენით დაწერილი (ილია, აკაკი, ვაჟა) წაიკითხე და იყავი ჩვეულებრივად უბრალო“.

ძმასთან მიწერილმა ბარათებმა გამახსენეს. მცდარია ის აზრი, თითქოს ლადო ასათიანი დაუდევარი კაცი ყოფილიყოს, ბოჰემური ცხოვრების მიმდევარი... ამ შთაბეჭდილების შექმნას იქნებ იმანაც შეუწყო ხელი, რომ უბინაო იყო, ხან ვისთან იყო შეკედლებული და ხან ვისთან. არც იმის საშუალება ჰქონდა, ბინა კერძოდ დაეჭირავებინა... საოცარი შინაგანი წესრიგი ჰქონდა, თვითდისციპლინა, ფანატიკურად პატივისმცემელი იყო საქმისა, რომელსაც ემსახურებოდა, და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა. დაუდევრობას და ადამიანებთან ურთიერთობაში უპატივცემლობას სხვებისასაც ვერ იტანდა. სწორედ ძმასთან მიწერილმა ბარათმა გამახსენა: „ბიპო გოგია, ამ ერთ ნაკუწ ქაღალდზე რომ იწერები, სხვას თუ არ სცემ პატივს, შენს თავს მაინც უნდა სცე. გაგონილა ასე რაღაც

ნაკუწებზე წერა!.. მოიწერე წესიერად წერილები, თავისუფალი ხარ, დიდი დატვირთვა შენ არ გაქვს, რომ ვერ მოიცალო".

უნდა ნახოთ არქივში დაცული ავტოგრაფები პოეტისა, მეგობრებთან და ახლობლებთან მიწერილი ბარათები, ჩანაწერები... რა სასოებით წერს, რა სიყვარულით! ესეც კი მაღალი პროფესიონალიზმის გამოხატულებაა, რაც ასე დამახასიათებელი იყო ლადო ასათიანისათვის.

თბილისში ჩამოსული ლადო ასათიანი ერთი პირობა გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში მუშაობდა. გაზეთის რედაქცია იმ დროს საოპერო თეატრის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სახლში იყო, სულ ზემოთა სართულზე. ზაფხულის დღეებში, მუშაობის დამთავრების შემდეგ, როცა თანამშრომლები სახლებში გაიკრიფებოდნენ, ლადო რედაქციის პატარა აივანზე გამოვიდოდა. ბინა არა ჰქონდა — ხან ვისთან იყო შეკედლებული და ხან ვისთან — და არსად მიეჩქარებოდა. იჯდა აივანზე და კითხულობდა. დროდადრო რუსთაველის პროსპექტს გახედავდა. მთელი ქუჩა ხელისგულივით მოჩანდა აქედან. ასე გვერდიდან რომ გახედავდა, ქაშვეთიც კარგად იხედებოდა, თუმცა წინ ულაზათო შენობა (ჰიგიენის სახლი — ბანო-საპარიკმახერო) წამოუჭიმეს, რათა ტაძარი ნაწილობრივ მაინც დაეფარათ. ქუჩაში მოსიარულისათვის მართლაც დაფარული იყო, მაგრამ ასე ზემოდან რომ გახედავდა მთელი თავისი მშვენიერებით ჩანდა. ლადოს თანატოლი ახალგაზრდები უკვე სოფლებში იყვნენ გაკრეფილები, თვითონ კი ვერსად მიდიოდა, მთელი ზაფხული თბილისში გაატარა. ეს იყო 1939 წელს. ცხელი ზაფხული იყო, მეც თბილისში ვიყავი იმ ზაფხულს. საღამო ხანს გამოვივლიდი — ასე ვიყავით შეთანხმებული — ავძახებდი, ისიც ჩამოვიდოდა და კიროვის პარკში წავიდოდით, განაპირა კორდზე ჩამოვსხდებოდით, აქედან მთელი თბილისი მოსჩანდა, ზოგჯერ ყაზბეგიც გამოჩნდებოდა ხოლმე. გვიან ღამემდე ვისხედით იქ. რაზე ვსაუბრობდით? რაზე აღარ—ახალწაკითხულ წიგნებზე, ჩვენს ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე, დღევანდელ ჩვენს ყოფაზე. იმ დროს აღმოვაჩინეთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში „ინგლისის ისტორია ბავშვებისათვის" დიკენსისა. ეს წიგნი, რამდენადაც ვიცი, რუსულად არ გამოცემულა, და ლადო დაინტერესდა — როგორ არის მოთხრობილი, გაიდეალებულია წარსული თუ ყველაფერი სიმართლით არის

გადმოცემული, გაბმული თხრობაა თუ ცალკეული მნიშვნელოვანი ეპიზოდებია მოთხრობილიო... ცალკეულ ადგილებს მაამბობინებდა ხოლმე. ძალიან დააინტერესა იმ ფაქტმა, რომ დიდი მწერალი ბავშვებს ერის ისტორიას მოუთხრობდა — უბრალოდ, მიმზიდველად...

იქნებ ამ დროს გაჩნდა ჩანაწერი მის რვეულში:

„მინდა მქონდეს საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის ისე, დიკენსმა რომ დაწერა და შეადგინა...“

და იქნებ ესეც ამავე აზრის გაგრძელება იყოს:

„როგორ უნდა დაიწეროს საქართველოს ისტორია? ჩვენ ხომ ჯერ არ გვაქვს იგი ხალხის საკითხავად! საჭიროა მიუკერძოებელი ჟამთააღმწერელი: დაწეროს, რაც იყო, რაც მოხდა — შეულამაზებელ-შეუფერავად, უბრალო ენით, ზღაპარივით საამოდ სასმენელად...“

ზემოთაც ითქვა, საერთოდ გატაცებული იყო საქართველოს ისტორიით, ყველაფერს კითხულობდა, რასაც კი წააწყდებოდა ამ საგანზე. საგულისხმოა მისი ერთი პირადი წერილი აბესთუმნიდან — ითხოვს გაუგზავნონ სხვადასხვა წყაროები საქართველოს ისტორიიდან, რისი წაღებაც ვერ მოუსწრია.

არა, ეს არ ყოფილა უბრალო დაინტერესება — იგი უფრო დიდი რამისთვის ემზადებოდა...

ქართველი ხალხის წარსულის სიყვარული კარგად ჩანს მის პოეზიაში. და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო, რომ მკაცრად აკრიტიკებდნენ. საქმე ისაა, რომ ამ თემას ეჭვით და ალმაცერად უყურებდნენ მაშინ, ნაციონალისტობად ნათლავდნენ, პატივში არ იყო ისტორია. ზემოთ აკი გავიხსენეთ, რა ბედი ეწია ლადოს ერთ ლექსს — „სამშობლოს“, ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდოდა. დიდი, სახელმოხვეჭილი უნდა ყოფილიყო მწერალი, რომ ამ თემაზე წერა ეპატიებინათ.

საგულისხმოა პოეტის ერთი ჩანაწერი.

მწერალთა სასახლის ბაღში მწერლები ისხდნენ და საუბრობდნენ... მაგრამ პირდაპირ შოვიტან ამ ჩანაწერს:

„მწერალთა სახლის ბაღში ერთი მწერალი იჯდა — რაფიელის „სამშობლო ხევსურისა“ ადგილობრივი, კუთხური პატრიოტიზმიაო, შოვინიზმის სუნი უდისო. სულ სულელი ეუძახე. უნდა

შეცემნა, ძლივს გამასწრო... სულელია და... აბა რა ჰკუა უნდა მოვკითხო!“

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა ახალგაზრდა პოეტი, როცა მისი შემოქმედების ამოსავალი სწორედ ეს იყო. ამიტომაც ჰქონდა გაუთავებელი დავა რედაქციებთან და კრიტიკოსებთან, ამიტომ იყო სულ იმის შიშში, რომ ლექსისათვის „ჩხიკინი“ არ დაეწყოთ (ეს მისი გამოთქმაა), არაფერი შეეცვალათ, არაფერი ამოეგდოთ. აღიზიანებდა მაშინდელი კრიტიკის დონე. იმავე „ჩანაწერებში“ ასეთი კრიტიკოსებიც მოხვედრილან. ერთგან მთელი აბზაცი გადმოუწერია ასეთი კრიტიკოსის ნააზრევისა:

„ჩვენი შესანიშნავი პოეტის ამ ღირსშესანიშნავი კრებულის გამოცემა, როგორც ამას ჩვენი არანაკლებ ღირსშესანიშნავი კრიტიკა აღნიშნავს, ნიშნავს იმ განსაკუთრებულსა და ახლის აღნიშვნას ჩვენი უმნიშვნელოვანესი ხალხის ცხოვრებაში, რაც პოეტმა ჩანიშნა ჩვენი მწერლობის შესანიშნავ საგანძურში და, რაც ბუნებრივად აღსანიშნავია, დაკავშირებულია ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს უმნიშვნელოვანეს სახელთან“.

კრიტიკოსის გვარი არა აქვს აღნიშნული, უბრალოდ მოწერილი აქვს „ერთი კრიტიკოსის სტილი და ენა“. და თუნდაც თვით პოეტის მოგონილი იყოს, მაინც კარგად მიუთითებს ჩვენი კრიტიკის მაშინდელ დონეზე და იმაზეც, თუ როგორ გაუღიზიანებია ამ კრიტიკას. ასეთი „კრიტიკა“ თანამედროვე ცხოვრებიდან განდგომას სწამებდა კაცს, რომელიც სწორედ თანამედროვე ცხოვრებით სუნთქავდა და სულდგმულობდა. ლადოს, ბუნებრივია, ძალიან აღიზიანებდა ეს. ასე იცოდნენ — როცა ერთ რამეს ან ვინმეს ამოიჩემებდნენ, აღარ მოეშვებოდნენ ხოლმე, ყველგან მასზე იყო ლაპარაკი, ყველა კრებასა თუ პლენუმზე, მწერალთა კავშირშიც და კავშირის გარეთაც. ერთხელ ლადო ასათიანი მაღალი ტრიბუნიდან დაამუშავეს, საკმაოდ მკაცრად. უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეტად არასასურველი შედეგები. დრო იყო ისეთი. ლადო არ იმჩნევდა. ცდილობდა სხვებისთვის არ ეჩვენებინა შიში თუ შეწუხება. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა. ამის შემდეგ სულ რამდენიმე დღე გავიდა და გაზეთში გამოჩნდა უცნაური და უსიამოვნო განცხადება: ერთი მწერალი, რომლის ინიციალები ლადოსას ემთხვეოდა, მკითხველ საზოგადოებას აუწყებდა, მოხსენებაში მკაცრად

გაკრიტიკებული ლ. ასათიანი მე არ ვარო. ეტყობა ასე ურჩიეს თუ დაავალეს იმ კაცს. — ასეთი შემთხვევები სხვებიც ჭომხდარა. — ამან კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა, ხაზი გაუსვა ისედაც ყველასათვის ცნობილ ფაქტს, რომ ასეთი ტრიბუნიდან გაკრიტიკებას შეიძლებოდა უფრო რთული შედეგები მოჰყოლოდა. ლადოს მეგობრები შეწუხებული იყვნენ. თვით ლადო ახლაც ცდილობდა არ შეემჩნია. მაგრამ ბავშვი ხომ არ იყო, ყველაფერს ხვდებოდა. როცა პირველად ნახა ეს გაზეთი, ჯერ გაშრა, იმდენად მოულოდნელი იყო; სახე შეუფაკლდა (დაუფორაჟდებოდა ხოლმე სახე ასეთ დროს), მერე ერთბაშად თავისი გრძელი ხელები გაშალა და გაცხარებით თქვა: „მეც უნდა გამოვაქვეყნო ახლა განცხადება, რომ მაგისი უნიჭო ნაწერების ავტორი მე არა ვარო“. ეს კი თითქოს ლაღად თქვა, მაგრამ გულში რა ცეცხლი უტრიალებდა! მწარე იყო ეს ხუმრობა.

ლექსების ბეჭდვა ხომ მუდამ გაძნელებული ჰქონდა და იმ კრიტიკის შემდეგ უფრო გართულდა მდგომარეობა. გამოჩნდა კრიტიკული წერილები, ამჯერად უკვე სალიტერატურო პრესაში — ისეთივე მკაცრი და უსამართლო. ზედიზედ აკრიტიკებენ მის საუკეთესო ლექსებს, როგორც არაჯანსაღი განწყობილების გამომხატველებს; აკრიტიკებენ, რომ ის სიყვარულზე წერს. ასე გაუკრიტიკეს მშვენიერი ლექსი „ალბომიდან“ („რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს, რამ დამავიწყოს ეს ალუბლები“) როგორც დეკადენტური მიმართულების გავლენით დაწერილი, აკრიტიკებენ მის ერთ-ერთ შედევრს „ცაგერის ბაზრობას“, როგორც სინამდვილიდან განდგომისა და ისტორიზმში გადასვლის ნიმუშს, აკრიტიკებენ მის შესანიშნავ ლექსებს ფიროსმანზე, მის „კოლხიდას“... თითქოს მისთვის მოიცალა კრიტიკამ. მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა. პოეტს მოსთხოვეს საჯაროდ ეღიარებინა თავისი „შეცდომები“. და გულსმომკვლელი იყო ეს სიტყვა:

„...მე ვგრძნობ ჩემი ზოგიერთი ლექსის იდეურ სიღარიბეს, იდეურ ჩამორჩენილობას... გამოვედევნე რა სასიყვარულო განცდებს, წმინდა ადამიანური განწყობილებების გადმოცემას, სჩანს დავიწყე ნამდვილი სოციალური მოტივი. გავყევი რა პირადულ განცდებს, დავიწყე მისი განზოგადების აუცილებლობა“...

მე აქ დაწვრილებით არ მოვიტან ამ სიტყვას. იგი მართლაც რომ გულისმომკვლელია. რა სისასტიკე იყო ეს ახალგაზრდა პოეტის მიმართ! თუმცა ეს მარტო სისასტიკე არ ყოფილა, ეს იყო საშინელი ცინიზმი. კაცს, რომლის მთელი შემოქმედება სიცოცხ-

ლის საგალობელია, რომელიც თანამედროვე ცხოვრებით ცხოვრობს, — პესიმიზმს, ჩამორჩენილობას და ისტორიზმში გადავარდნას უკიჟინებენ. „სასიყვარულო განცდებისა“ და „ადამიანური განწყობილებების გადმოცემას“ მომაკვდინებელ ნაკლად უთვლიან.

ამის შემდეგ პოეტის ყოველ სტრიქონს ეჭვით უყურებდნენ რედაქციებში. მკაცრად მოითხოვდნენ, თანამედროვეობაზე წერას, თითქოს ყველა ლექსი ლადო ასათიანისა თანამედროვეობას არ ეხმაურებოდა... ჭირს ლექსების დაბეჭდვა. რედაქციებში თვეობით, წლობით აწყვია მისი ლექსები.

„გამიგე „თაობაში“ ლექსი თუ იბეჭდება ჩემი, № 6-ში, ახდა საჯაიამ თუ მიუტანა ნიკას ლექსი, ორი ლექსი აქვთ მანდ ჩემი“...

ეს წერილი აბასთუმნიდანაა.

და ისევ აბასთუმნიდან:

„...იმ ერთი ლექსის გარდა, რომელიც მაგათი ანგარიშით № 7-ში უნდა დაიბეჭდოს, კიდევ აქვთ ერთი ლექსი „ასათიანური“ და თუ არ დაბეჭდავენ, გამოართვი“.

დააკვირდით: იგი ახსენებს ერთ ლექსს — „ასათიანურს“. ასეთ ლექსს ვერ შეხვდებით მისი ლექსების ყველაზე სრულ კრებულშიაც. საქმე ისაა, რომ ეს ლექსი „სალაღობოს“ სახელით დაიბეჭდა. „ასათიანური“ ალიოშა საჯაიამ დაარქვა ამ ლექსს (როცა პოეტმა წაუკითხა) და ლადოს ძალიან მოეწონა. მაგრამ ამ სახელწოდებით მაინც არ დაიბეჭდა. ძნელი სათქმელია, რედაქციამ შეაცვლევინა სათაური თუ თვითონ შეცვალა და, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი სათაურიც კი მისცა. მაგრამ ლადოს ისე მოეწონა ეს სახელწოდება, რომ შემდეგ ყველა თავის ლექსს „ასათიანურს“ უწოდებს. ერთგან ამბობს კიდევ — უნდა დავწერო ჩემებურად, ასათიანურადო...

მაგრამ ისევ დაწყებული ამბავი განვაგრძოთ. გაძნელდა ლექსების ბეჭდვა.

„გიგზავნი ლექსებს (სულ 6 ლექსია), მიეცი სიმონ ჩიქოვანს ან კარლო კალაძეს „მნათობისათვის“. უნდა დაიბეჭდოს აუცილებლად ასე — ეჭვსივე. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მინდა, თუ რაიმე შეიცვლება, თუ გინდა ერთი სიტყვა. არც მაშინ მინდა. არაფერია აქ შესაცვლელი, და არც სადაოა რამე... ისევ გიმეორებ, თუ ასე დაიბეჭდება, თორემ არ მინდა. იცოდე, გავგიჟდები, რომ სხვანაირად რამე მოხდეს, ჭვეყანას შევაწრიალებ. თუ დაბეჭდვა გადაწ-

ყვიტონ, მაშინ მანქანაზე რომ გადააბეჭდვინებენ, მერე ნიკას შეადარებინე, თორემ შეცდომები იქნება და გავგიჟდები. თუ ასე არ დაიბეჭდოს, მაშინ გამოართვი, არ დაკარგო, შეინახე, ნურავის ნუ აჩვენებ, ჩუმად და წყნარად გააკეთე ეს. კიდევ გიმეორებ, თუ ასე არ დაიბეჭდება, არ მინდა, კარგად დაიმახსოვრე. სხვას არავის მისცე. სიმონი სჯობია ან კარლო".

ეს წერილიც აბასთუმნიდანაა, და იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ კარგად გვაჩვენებს პოეტის სულიერ მდგომარეობას.

„ლექსებს არაფერი ჩხიკინი დაუწყო, არ გადამრიო, შვილივით გაბარებ, იცოდე".

ამასაც აბასთუმნიდან იწერება.

გართულდა წიგნის გამოცემა.

„როგორაა შენი წიგნის საქმე? ჩემსას ხომ არ დაადგა საშველი და ისაა", — სწერს აბასთუმნიდან მეგობარს.

და ისევ აბასთუმნიდან მეუღლესთან მიწერილ ბარათში:

„რა ეშმაკი მოუვიდა მა „ერთცახე" წიგნს, მაგან გამიჩინა პლექი"!

აქ ლაპარაკია პოეტის პირველ წიგნზე, რომელმაც, როგორც იქნა, იხილა დღის სინათლე...

ლადო ასათიანს ძალიან ბევრი ეპიგრამა დარჩა. ეს ეპიგრამები ზეპირად ვრცელდებოდა და დიდი გამოცოცხლება შეჰქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში — ზოგი ობიექტი ეპიგრამისა განაწყენებული რჩებოდა, ზოგი გახარებული, ზოგი მოთმინებას კარგავდა და რისხვას ითხოვდა... საქმე ისაა, რომ ეპიგრამები ეხმაურებოდა სხვადასხვა ფაქტსა თუ მოვლენას, ეხებოდა ცალკეულ პირს... იგი უმთავრესად კიცხავდა და დასცინოდა ადამიანურ ხისუსტეებს, საზოგადოებაში გამეფებულ მანკიერებებს — მლიქვნელობას, პირმოთნეობას, სიხარბეს, წრეგადასულ პატივმოყვარეობას, ანდა სულაც ჭამა-სმითა და დროსტარებით ზედმეტ გატაცებას... ზოგში პირდაპირ იყო დასახელებული დაცინვისა და გაკიცხვის ობიექტი, ზოგში შეფარვით, მაგრამ ისე იყო დახასიათებული, რომ ყველა კარგად ცნობდა. ზოგი ეპიგრამა სავსებით უწყინარი იყო, ზოგი მეტისმეტად მწარე და გესლიანიც კი, ეს ეპიგრამები უმთავრესად სახელდახელოდ ითხზვებოდა, ზოგჯერ

ზეპირადაც, მეგობრების წრეში ყოფნის დროს. და კიდევ ერთხელ ადასტურებდა ავტორის დიდ პოეტურ ნიჭსა და მახვილგონიერებას, ხასიათების ლაკონიურად ხატვის უნარს. ბევრი ეპიგრამა თავისსავე მეგობრებზეა, თავისსავე საყვარელ ადამიანებზე და არც მათ აკლია სიმწვავე. მაგრამ როცა ამ ეპიგრამებზე ვსაუბრობთ, ერთი წუთითაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაკი ბედი უსამართლოდ მოექცა პოეტს, რაკი ადამიანებიც უსამართლოდ ექცეოდნენ, თითქოს ამას გაებოროტებინოს იგი. რაღა თქმა უნდა, უსამართლო მოპყრობა აღიზიანებდა, მაგრამ ღვარძლი და ბოროტება უცხო იყო მისთვის. იგი ყველას მიმართ კეთილმოსურნე იყო, ყველას წარმატება ახარებდა და არასოდეს არავის მიმართ ერთი ბეწო შური არა ჰქონია. პირიქით, მის პირად წერილებსა და ჩანაწერებს რომ კითხულობ, გაკვირვებული რჩები — სადა ჰქონდა ამ უკიდურესად გატანჯულ ადამიანს ამდენი სითბო და ალერსი. როგორი სიყვარულით მოიხსენიებს ყველას — უფროსი თაობის მწერლებსაც და თანატოლებსაც. როგორი სიყვარულით ახსენებს არა მარტო მის ყველაზე ერთგულსა და უახლოეს მეგობარს ნიკა აგიაშვილს, არამედ სხვებსაც, ყველას — მირზას, რეზო მარგიანს, გაბრიელ ჯაბუშანურს. როგორ ხშირად წააწყდები ხოლმე ამ ბარათებში — „ალიოშა თუ ჩამოვიდა“, „ალიოშა ახლა ალბათ შოვშია“... ეს ალიოშა საჯაიაა.

საკმარისია ჩაიხედო მის წიგნში, და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავთ ასეთ ფრაზებს... და რაც უფრო ახლოვდება სიკვდილი, უფრო მწვავედ იგრძნობა მეგობრების მონატრება.

სიკვდილი კი ულმობლად ახლოვდება.

ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდება. წამლის შოვნა ჭირს. თუმცა რა წამალმა უნდა უშველოს უკურნებელ სენს. მაინც აქვთ წამლის იმედი. „მაზგავოი“ და მისი ჯანი!“ იმედიანად და მხნედ სწერს ლადო ცოლს აბასთუმნიდან. ეს წერილი ცოტა უფრო ადრინდელია — ჯერ არ გადაწურულა იმედი. მაგრამ წამლის შოვნა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ძნელდება. და საინტერესოა ალექსანდრე საჯაიას წერილები, რომლებშიც ამკარად ჩანს ამ კეთილშობილი კაცის ჩვეული სითბო და გულისხმიერება, რასაც იგი არასოდეს არ იშურებს მეგობრების მიმართ. აქ მოვიტან ცალკეულ სტრიქონებს ზოგიერთი წერილიდან:

„გამარჯობა, ძმაო ლადო, შენი წერილი მივიღე. ცუდად ვარო იწერები. „მაზგავოის“ წამალი ვიშოვე მთელი ნახევარი წლის საჭიროფი. ნუ გეშინია, ლადო. მთავარია, არ ინერვიულო... კარაქი იყიდე ცალკე“... ეს წერილი 1940 წლითაა დათარიღებული. აგერ, მეორე წერილი: „...მომწყინდა, იწერები. რასაკვირველია, მოგწყინდებოდა, მაგრამ წამოსვლა სისულელეა, კიდევ ორი თვე და შენ სულ კარგად იქნები. წამალი არ მოიკლო, იცოდე, თუ მანდ არ არის, აქედან გამოგიგზავნი. კარაქიც უნდა ჭამო, თორემ ისე არაფერი გამოვა“... კიდევ ერთი წერილი: „...შენი წამოსვლა ჯერჯერობით არაფრით არ შეიძლება — თბილისში ძალიან ცხელა“... აგერ. კიდევ ერთი წერილი: „...სხვა, ლადო, აქ გავიგეთ, რომ „მაზგავოის“ წამალი მანდაც ყოფილა. სანატორიუმის ექიმს ექნება. გამოართვი და იხმარე მანდ ყოფნისას. აქ რომ ჩამოხვალ, იმ დროისთვის ეთერი იშოვის კიდევ. ნუ მოიწყენ და კარგად იყავი. ლექსები დაწერე ბევრი“... აქ ნახსენებ ეთერ სვანიძეს ლადომ ლექსი უძღვნა („ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ დაფდაფითა და ბუკითა, ახლა ყაყაჩო შემომხვდა ლამაზი ქალის შუქითა“...).

საჭიროა აბასთუმანში ხანგრძლივად ყოფნა, მაგრამ არც ეს ხერხდება — ძვირი ჯდება აბასთუმანი. საგზურის შოვნა ჭირს, ფული არ არის. აქ უსათუოდ უნდა ითქვას ლადოს მეუღლის ანა ვაჩნაძის საოცარ ერთგულებასა და თავდადებაზე. იგი შეუძლებელს ხდება, რომ ლადოს არაფერი მოაკლოს. ცხოვრება გაუადვილოს, ამ საშინელი გაჭირვების დროს ახერხებს. საგზური უშოვოს, ვიდა გაუგრძელოს, ფული დროზე მიაწოდოს. უკვე ომიც დაიწყო. ახალგაზრდები მიმოიფანტნენ. ცხოვრება ძალიან გაძნელდა. პოეტის სულიერი განწყობილება მეტისმეტად მძიმეა, უკვე გრძნობს ველარ ნახავ... პირად წერილებში ასე თუ ისე ჩანს განწყობილება. წუწუნი არ უყვარს, მაგრამ აქა-იქ მაინც გამოსჭრება ხოლმე სამდურავი — „წავიდა ჩემი უმაწვილკაცობა... განა ასეთი ახალგაზრდობა მინდოდა? განა ამას ვნატრობდი...“ „ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება და თვეებს საუკუნეებად ვითვლი...“ ამ ფრაზებს, როგორც ითქვა, პირად წერილებში თუ წააწყდები. შეშფოთებით თუ წამოიცდება ასეთი რამ, კატეგორიულად იგი, რა თქმა უნდა, გრძნობს ჰოაალოებულ სიკვდილს. როგორ შეიძლება არ იგრძნოს, როცა ყოველდღიურად ტყვიასა და ტანჯვას უმატებს, ძალღონეს აცლის. ენერგიას აცლის, მაგრამ საოცარია,

ეს არ იგრძნობა მის შემოქმედებაში, ლექსებში. „ჩემი საქმე წასულია... საშინელი დღე დამაყარა ცხოვრებამ“ წერს იგი ერთ წერილში, და აქვე: „რაც შეეხება მწერლობას, ეს ცალკეა. მწერლობას სხვა პატივისცემა უნდა“... და მართლაც, სწორედ იმ ხანებში, როცა ზემოთ მოტანილი ფრაზები იწერებოდა, შექმნილია პოეტის ლექსები „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „გულბაათ ჰავჰავაძე“, „ბასიანის ბრძოლა“, მისი საოცარი „ქართული ენა“... და აქ იმას კი არ მინდა ხაზი გავუსვა, თუ რა დიდებული ლექსებია ისინი და როგორ ამშვენებენ ქართულ პოეზიას, არამედ ამ ლექსებში განწყობილებაა საგულისხმო: საოცარი სილაღე, სიმხნე, შემართება და ხალისი, სიცოცხლის დაუშრეტელი სიყვარული. თვით ისეთ ლექსებშიაც კი, რომლებიც სიკვდილს ეძღვნება, სიცოცხლის ფეთქვა და წყურვილი იგრძნობა. გავიხსენოთ თუნდაც მისი ლექსი „სასაფლაო“ — „ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული, აქეთ-იქით საფლავები და მათ შორის ნაკადული, და მათ შორის ნაკადული, ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი, ვით იესოს ტანჯულ მკერდზე გადმომსკდარი სისხლის ღვარი... ვის უნახავს საფლავებში როგორ მოქრის ნაკადული, როგორ მოქრის, როგორ მოქუხს, ვით სიცოცხლე უშიშარი...“ საინტერესოა ამ ლექსის დაწერის ისტორიაც, რომელსაც პოეტი თავის მეგობარს აკაკი გაწერელიას სწერს: „აქაური სასაფლაო ვნახე. უცნაურია: მთაში რამდენიმე საფლავია... საფლავებს შორის მოჰქრის ნაკადული, მთის ნაკადული... როგორც სიცოცხლე...“ ანდა შესანიშნავი ლექსი, რომელსაც თავის საშინელ სენს მიუძღვნის, თითქოს გამოწკევაა სიკვდილისა, მარადიული სიცოცხლის სადიდებელია. გავიხსენოთ ეს ლექსი — „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო, ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო“. „შენ შეგრჩეს ვაჟას ფილტვების დაღრღნა და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა“.

სულიერად მართლაც ვერ გასტეხა, მაგრამ კატასტროფა სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. სამწუხაროდ, ამ ხანებში დაწერილი ზოგი წერილი პოეტისა ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. მინდა გავიხსენო ერთ-ერთი უკანასკნელი ბარათი, მიწერილი ჩიკა ავგაშვილთან ფრონტზე. ამის შემდეგ ათიოდე თვე იცოცხლა ლადომ: „მე — დაწყეკლილი ლადო ასათიანი — ერთი კვირაა რაც გეახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბასთუმანში-

აბსოლუტურად მარტომ, სულ წიგნებთან. არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით მე მალე უნდა მივიცვალო... ახლა რაც შეეხება ჩემს პოეტურ მოღვაწეობას... დავწერე რამდენიმე ლექსი: „გულბაათ ჭავჭავაძე“, „საქართველოს ოქროს მაძიებლების სიმღერა“, „ირმების შეთქმულება“, „სუმბული“ და ერთიც 300 სტრიქონიანი ბალადა „ბასიანის ბრძოლა“, თამარ მეფის დროიდან... სხვებიცა მაქვს, კაი-კაი, „ასათიანური“...

და .ისევ ამ ბარათიდან ვაგრძელებ ნაწყვეტს:

„თუ ავადმყოფობამ არ შემიშალა ხელი და არც სხვა რამე უხიაკობა არ გამომიტყვრა საიდანმე, მინდა ცალკე წიგნად გამოვცე „ასპინძა“, ეს ბალადა და სხვა ასეთი ლექსები. დამპირდნენ გამოცემას. წიგნს „წინაპრები“ უნდა დავარქვა... წიგნის („წინაპრების“) გეგმა და პროექტი უკვე მოფიქრებული მაქვს. წიგნი არ იქნება დიდი, ზომით ძალზე პატარა — შიგ მოთავსდება სულ 16 ლექსი: „სალაღობო“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ქართველი ოქროს მაძიებლების სიმღერა“, „ასპინძა“, „გულბაათ ჭავჭავაძე“, „კრწანისის ყაყაჩოები“, „ციხის სიზმარი“, „ქართული ენა“, „ბასიანის ბრძოლა“, „მანანა ორბელიანის სურათზე“, „ბაბუაჩემი“, „ბარდნალა“, „საქართველო იყო მათი საცნებო სახელი“, „პირველი მჭედლები“, „სასწაული“, „ივანე ჯავახიშვილისადმი“. აქედან იქნებ ორი-სამი ამოვიღო და სხვა რომელიმე ჩავუმატო, იქნებ, ზოგი ვინმეს არ მოეწონოს და მან ამოიღოს, ვინ იცის... მგონი არ იქნება ცუდი. ვინძლო მისმა გამოსვლამ ცოტა სული მომათქმევინოს, გამახალისოს და ეს ხანმოკლე და უღიმღამო სიცოცხლე ოდნავ გამიხანგრძლივოს. ესაა ჩემი იმედი და კიდევ ბევრი რამ ამ ქვეყანაზე, რაც მასულდგმულებს და სიცოცხლის სიყვარულს არ მიკარგავს...“ „თუ ცოცხალი დავრჩი და შენც ცოცხალს მომისწარი, როცა ჩამოხვალ, კაი ლამაზ წიგნს დაგახვედრებ...“

ასეთი სასოებით შეჰხაროდა ამ წიგნს, რომელსაც გატანჯული და უღიმღამო სიცოცხლე უნდა გაეხანგრძლივებია პოეტისათვის. ს ვწუხაროდ. მისი ავი წინათგრძნობა გამართლდა — მართლაც „გამოტყვრა რაღაც უხიაკობა“, რამაც ხელი შეუშალა. უკვე დაბეჭდილი წიგნის მთელი ტირაჟი გაანადგურეს. მხოლოდ სასიგნალოები გადარჩა, ათიოდე ცალი, რომელთა სტამბიდან გამოტანაც მოასწრო

პოეტმა, და იქნებ კიდევ თითო-ოროლა ცალი, რომელთაც სტამბის მუშები გამოიტანდნენ.

ადვილად წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ეს პოეტზე, რომლის ღღეები ისედაც უკვე დათვლილი იყო.

შური და ბოროტება ყოველთვის ტყვიით როდი ებრძვის ნიჭს. ის უკვე საყვარელ ქუჩაშიაც ვეღარ გამოდიოდა, ამისი ძალა აღარა ჰქონდა. „ძლივსღა დავღოღავ... ბოტანიკურ ბაღშიაც ვეღარ გავდივარ...“ სწერს იგი ნიკა აგიაშვილს 1943 წლის 20 მარტს, გარდაცვალებამდე სამიოდე თვით ადრე.

ამავე ხანებში შემხვდა იგი ქუჩაში, მაგრამ არა მის საყვარელ რუსთაველის პროსპექტზე, არამედ ცოტა უფრო მოშორებით, მაშინდელ ვერის ბაზარსა და რუსთაველის მოედანს შორის. ცივი, ნესტიანი დღე იყო, სველი ბურუსი თითქოს ტანში ჟსიამოვნოდ ატანდა. შორიდან დავინახე ლადო — პალტოში გახვეული, მობუზული, თითქოს დაპატარავებული, ყელზე თავისი ნაცრისფერი კაშნე ჰქონდა მოხვეული, ქუდი მომაღლოდ ეხურა. ცხელ შუბლზე ცივი ჰაერი სიამოვნებდა. მოდიოდა ძალიან ნელა, თითქოს მართლაც მოღოღავდა, და სახე მისი არაფერს გამოხატავდა — არც მოახლოებული სიკვდილის შიშს, არც წუხილს, არც ტანჯვას, არც სინანულს... გახევებული, დაღლილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. ცხელ, ოფლიან ხელს ძალა სულ აღარ შეეჩენოდა. ძნელია განწირულ ადამიანს ჩვენში ჩვეულებად მიღებული სიტყვებით მიმართო — როგორა ხარ, რასა იქმო. დაცინვასავით გამოვა. ისიც ძნელია ასეთ დღეში მყოფი კაცი გაამხნევო და რისიმე იმედი მისცე. ესეც თითქოს დაცინვასავითაა. უხერხულობა რომ დამერღვია, ესღა ვკითხე — სად ყოფილხარ, ჯიბეში რა გაქვს-მეთქი. პალტოს ჯიბე გამობერილი ჰქონდა. დიდი, წითელი ვაშლი ამოიღო და მაჩვენა, მწარედ გაიღიმა, თავისი პატარა მანანასთვის ეყიდნა ბაზარში. ხილიც ძალიან ძვირი იყო.

ამის. შემდეგ ქუჩაში აღარ გამოსულა. უკვე საბოლოოდ ღოგინად ჩავარდა.

და ისევ მისი მეუღლის კარგი ქალობა უნდა გავიხსენო. იმ მძიმე დროში მარტოხელა ქალს ცალკე პატარა ბავშვისათვის უნდა მოევლო, ცალკე ასეთი ავადმყოფისათვის. დამხმარე კი არავინ იყო. ყველას თავისი თავი გასჭირვებოდა. ერთბაშად გავრცელდა ხმა — სიმონ ჩიქოვანი ცეკას პირველ მდივანთან მივიდა და ლა-

დოსთვის კარაქი სთხოვაო. ბაზარში ამ დროს კილო კარაქის ფასი — თუკი ვინმე იშოვიდა — ათას მანეთს აღემატებოდა. ასე მოიპოვა სიმონ ჩიქოვანმა სასიკვდილოდ განწირული პოეტისათვის ორი კილო კარაქი. ყველა ლოცავდა ცალკე ცეკას მდივანს და ცალკე სიმონ ჩიქოვანს.

კარაქი, რადა თქმა უნდა, ვეღარაფერს უშველიდა, მაგრამ რაღაც ნუგეში მაინც იყო, ადამიანი მუდამ იმედს ებღაუჭება. სიკვდილის წინ მამა ინატრა. უკვე სულთმობრძავი იყო, როცა მაჭა ჩამოვიდა და მომაკვდავ შვილს არც გაუგია.

ასე გარდაიცვალა იმ დიდი თაობის ყველაზე თვალსაჩინო პოეტი ლადო ასათიანი, 26 წლის ახალგაზრდა კაცი. ეს მოხდა 1943 წლის 23 ივლისს. „ლადო ასათიანის სახით ახალმა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ დაჰკარგა ორიგინალური პოეტი, რომლის შემოქმედებითი ძალა ჯერ კიდევ არ იყო სავსებით გამოვლენილი. მისი საუკეთესო პოეტური სტრიქონები მუდამ იცოცხლებენ მისი მეგობრებისა და მკითხველი საზოგადოების წინაშე". ამ სიტყვებით მთავრდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ძალიან პატარა ნეკროლოგი, რომელსაც ხელს აწერდნენ: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი, პავლე ინგოროყვა, შალვა აფხაიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი გაწერელია, გეროსტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, ლევან ასათიანი, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, ალექსანდრე საჯაია, ილო მოსაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, მიქელ პატარიძე.

გარდაცვალების ზუსტად ერთი წლის თავზე პოეტის ხსოვნას წერილი მიუძღვნა მისმა მეგობარმა ალექსანდრე საჯაიამ. ეს წერილი, რომელიც შესულია ალ. საჯაიას წიგნში, პირველი სერიოზული ცდა იყო ლადო ასათიანის პოეზიის პროფესიული და პატრიოსანი შეფასებისა, პოეტის შემოქმედების მთავარ თვისებებსა და თავისებურებებზე მიუთითებდა. დაწერილია სითბოთი და უდროოდ დაღუპული მეგობრისადმი სიყვარულით. მაგრამ წერილი მოკლე იყო, პოეტის გარდაცვალების წლისთავისათვის სახელდობელოდ დაწერილი. და ავტორი აპირებდა ვრცელი წერილის დაწერას, რომელშიაც მოთხრობილი უნდა ყოფილიყო ლადო ასათიანის ცხოვრება და განხილული მისი შემოქმედება. ამ განზრახვის შესრულება მას არ დასცალდა... როცა იმ პატარა წერილს

მწერალთა კავშირში აბეჭდინებდა ალექსანდრე საჯაია, მბეჭდავს — ჭალბატონ ნადია გოგიჩაძეს უთხრა თურმე: მეც მალე მოვკვდები და ნეტა ჩემზე ვინ დაწერს წერილსო. ჭალბატონმა ნადიამ უსაყვედურა— ამისთანა ლაპარაკი როგორ შეიძლებაო. ეს საშინელი წინათგრძნობა გამოდგა. ამის შემდეგ ორი თვეც არ გასულა, რომ მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი იმ შესანიშნავი თაობისა ალექსანდრე საჯაია მშობლიური სოფლის მიწას მიაბარეს.

ამითვე უნდა დავამთავრო ეს წერილი. მინდოდა იგი ისე დამეწერა, როგორც მისი საყვარელი მეგობარი ალექსანდრე საჯაია დაწერდა, ახლა, ლადო ასათიანის დაბადების 70 წლისთავზე როცა ცოცხალი ყოფილიყო.

1987 წ

## თვალადური ქართული

გიორგი შატბერაშვილი თითქმის ყველა ჟანრში მუშაობდა: ლექსები, მოთხრობები, პიესები, წერილები, მემუარული ჩანაწერები... მწერლის თხზულებათა ოთხტომეულში ამათგან მხოლოდ ზოგიერთია დათარიღებული, მაგრამ თითქმის ყველას დაწერისა და დაბეჭდვის დრო მახსოვს. ვფურცლავ ტომეულებს და აგერ ერთ მოზრდილ თხზულებას წავაწყდი, რომელსაც არც დაწერის თარიღი აქვს და ვერც განსაზღვრავ, როდის დაიწერა — მწერალმასზე მთელი თავისი სიცოცხლე მუშაობდა და დამთავრებულად არც მაშინ მიაჩნდა, როცა დაიბეჭდა. ამ თხზულებას „თვალადური ქართულის ჯამნიკი“ ჰქვია. მისი ჟანრობრივი განსაზღვრაც გვიჭირდებათ. ფორმით თითქოს ლექსიკონსა ჰგავს, მაგრამ ლექსიკონის ჩაოჩოებში ვერ ჩასტევ. უფრო სხვა არის, უფრო მეტი და უფრო საინტერესოც...

აქ ავტორი ქართლის ერთ მშვენიერ სოფელს გვაცნობს. სოფლის ცხოვრებას გადაგვიშლის. სოფლის შვილი თავისი მშობელი სოფლის ჰირ-ვარამს გვიზიარებს. მიგვიძღვის ორღობიებში, ეზოკარს მოგვატარებს, უყელგან დაუფიქრებლად შეგვიყვანს და ისეთ რამესაც დაგვანახებს, რაც სტუმრის თვალისთვის დაფარუ-

ლია, სტუმრის თვალს მოარიდებენ ხოლმე. სოფელს თავისი საიდუმლო აქვს, თავისი თადარიგი, თავისი წესი და რიტუალი, ყველაფერს როდი აჩვენებენ უცხო ადამიანს...

შენ კი, როცა ამ თხზულებას კითხულობ, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი გხურავს, დადიხარ სოფელში და ყველაფერს ხედავ, ყველაფერი გესმის... განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ მარტო ერთი თაობის სოფელს კი არა ხედავ, თითქოს შორეულ წარსულშიაც გადაგიყვანა შენმა მეგზურმა და ამათი წინაპრებიც გაჩვენა, ვისაც ახლა ხედავ და უსმენ.

ქართულ სოფელს ეცნობი, მისი ცხოვრების წესს, მის მეტყველებას, მის განუმეორებელ იუმორს, მის მწარტკბილ ირონიას, მის ყოფით კულტურას, მის შრომისმოყვარეობას, გულითადობას, პატიოსნებას...

აქ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებსაც შეხვდები, პატარა ესკიზებს, დასრულებულ ნოველებს. რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარ ნოველას. და ხასიათებს. ზოგჯერ თითო სიტყვით დახატულ ხასიათებს.

აბა, ნახეთ, რა სხარტი და მარჯვე დახასიათებაა და როგორ ცოცხლად ხედავ ამ ადამიანს.

„არსაითა — ყოყმანა, არსაითა კაცი“.

მას ოდესღაც აქ უვლია, ამ ორღობეებში; და ახლაც დადის ხვალაც იქნის. ეს ზოგადი ტიპია ადამიანისა, რომელიც სხვაგანაც გინახავთ, მხატვრულ ლიტერატურაშიც შეგხვედრიათ, მაგრამ ასეთი მარჯვე სიტყვა მის დასახასიათებლად მხოლოდ ქართლის ამ პატარა სოფელში მოუძებნიათ. თითქოს მთელი ცხოვრება გაგეცნოს ამ კაცისა, თითქოს ცოცხლად ხედავ მუდმივი ორჭოფობისა და ყოყმანისაგან სასაცილოდ დაფეთებულსა და შესაბრალისად გაწამებულ სახეს, თითქოს მისი ყოყმანის კონკრეტული ეპიზოდები ცოცხლდებიან...

სხვათა შორის, ეს ხასიათი მწერალმა მერე თავის პიესაში გამოიყენა.

„უსაკლისა — კაცი, რომელიც არაფერს მოაკლდება, არც მოიკლებს“.

„უჯერ-მაჯერა — მსუნაგი, მსრიტი, უჯეროდ ჭამა-სმის მოყვარული“.

„არმინდა — თავპატიჟა, სუფრაზე ხვეწნის დიდად მოყვარუ-

ლი, მაგრამ ხარბი და გაუმაძღარი ადამიანი. ასეთზე იტყვიან „არმინდამ ცხრა ჯამი ლობიო მოტორაო“.

„ცალპირად ნაქსოვი კაცი — უნდილი, უქნარა კაცი“.

„წელანგარა — ზარმაცი, წელათრეული, წელმოწყვეტილი კაცი“.

„ჭამაფიცილა და სმაფიცილა — ჭამაფიცილა და სმაფიცილა ხასიათი ერთმანეთის ძმები არიან: ჭამაფიცილა ჭამს და ფიცავს, არ მიჭამიაო. სმაფიცილა სვამს და უარობს, არ მისვამსო“...

„აქშა ქალი — რამდენჯერმე ქმარგამოცვლილი ქალი“.

„საბეგრო მოზვერი — საბეგრო მოზვერს დაცინვით ეძახიან იმას, ვისაც წარამარა საქმებენ და მორბედივით იყენებენ: „რა საბეგრო მოზვერი მნახეთ, სუ მე რო მსაქმებთო“.

ხალხში მოკრებილ ამ სიტყვებს და გამოთქმებს რომ ეცნობი, აღფრთოვანებაში მოყავხარ არა მარტო ჩვენი ენის საოცარ მოქნილობასა და სიღრმეს, როცა ერთი სიტყვით ადამიანის ხასიათის გადმოცემა ხერხდება, არამედ უფრო იმას, რომ ეს უვნებელი ირონია ადამიანის ზნეობრივ აღზრდას ემსახურება. ეს კი, თავისთავად, ერთი შტრიხია ხალხის ხასიათისა. ადამიანის ზნეობრივი აღზრდა მუდამ იყო ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი. მისი ცხოვრების წესი ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ უმთავრეს ამოცანად ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, ადამიანში მაღალი ზნეობის წარმოჩენას, მის კაცურ კაცად აღზრდას ემსახურებოდა. ფორმები ასეთი აღზრდისა სხვადასხვაგვარი იყო — თანაც, არა იმდენად მშრალი დიდაქტიკური შეგონება ან მკაცრი აკრძალვა, რამდენადაც რბილი ზემოქმედება, რასაც გაცილებით უფრო დიდი ეფექტი აქვს; კეთილგანწყობილი სიცილით — რაც თანაგრძობას უფრო გამოხატავს, ვიდრე ბოროტ დაცინვას — გაკიცხვა ამა თუ იმ ადამიანური სისუსტისა. და როცა ჩვენი ხალხის ხასიათზე ვლაპარაკობთ, სწორედ ადამიანებთან ურთიერთობაში გამოვლენილ ამ თანამდგომ სირბილეს ვგულისხმობთ მის ერთ-ერთ თვისებად. ეს გიორგი შატბერაშვილის „თვალადურ ჭაშნიკშიც“ კარგად აისახა. პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ აშკარად ეტყობა, მწერალი ამაზე ამახვილებს ყურადღებას. საგულისხმოა: ხალხს თითქოს საგანგებოდ უზრუნია ცალკეულ ადამიანურ სისუსტეთა და მარკიერებათა გამომხატველი მარჯვე სიტყვებისა თუ გამოთქმებს

შესაქმნელად, რომელთა სიმკაცრეს თითქმის ყოველთვის არბილებს ლაღი იუმორი.

ამავე თხზულებაში უფრო უწყინარ და „უსაგნო“ იუმორსაც შეხვდებით:

„ცხვირის შასიება — „ცხვირი რო შაუსივდება გოგოსა და თანაც კვერცხივით შამწიფდება, მაშინ არი გასათხოვარი“.

„დილის წყალი — ეს სიტყვა ჩემი ბავშვობის მოგონებაა... ჭეშმო სართულში, რომელსაც „ძირის სახლს“ ვეძახდით, მიწურ იატაკზე დამწკრივებული იყო ცივი სასმელი წყლით სავსე ხეზედასხვანაირი უზარმაზარი თიხის კოკები, გრძელკისერა ლიტრები, ლამაზი ღვინის გოზაურები, ჩაფები... სოფელში წყალსადენი არ იყო და მთელი დღის მარაგი დილითვე მოჰქონდათ. მიწური იატაკი ზაფხულის ცხელ დღეებშიც წყალს გრილად ინახავდა. გახურებული კალოობის დღეებში ხშირად გაიგონებდით: „ჩაირბინე, ბიჭო, დილის წყალი ამოიტანე, უელი გაშრა“.

„ვაზის დაწვრილშვილება — როცა ვაზს რქით მეტისმეტად დატვირთავენ, ვაზი „რქად იქცევა“. მისი ძალა რქის ზრდაში იხარჯება. მართალია, ბევრსაც მოისხამს, მაგრამ ძალა დაადგება და ქვირითას გამოიტანს“.

„პირუბანელა პური — უსაფანლოდ გამომცხვარი პური. „რა პირუბანელა პურს აკრავ, გოგო, საფანელი ვეღარ უყავ?!“

„დამთქნარება დღე — პატარა დღე, ზამთრისა. „ერთი დამთქნარება დღეა“.

„ფაკის გავარდნა — ძირამდე დასვლა, ოჯახში სურსათის გამოლევისას იტყვიან — ფაკი გავარდაო“.

„გაფრენილი ნაბიჯი — ძალიან სწრაფად. სირბილით სიარული. „გაფრენილი ნაბიჯით მიდიოდა“.

„ცომის შეცოლქმრება — პურის ცომი ზელვის დროს კარგად რომ შეიკვრება და შედედდება, იწელება და ნაწილ-ნაწილ არა წყდება. იტყვიან ცომი შეცოლქმარდაო“.

რა საოცარია! თითქოს კარგი ლექსი წაგეკითხოს. დიდ სიბრძნესთან ერთად რა მაღალი ზნეობის გამომხატველია თუნდაც ეს ორი სიტყვა. მარტო პურის ცომის გარკვეულ მდგომარეობას. კი არ გამოხატავს ასე მარჯვედ, აქ საგულისხმოა ჩვენი ხალხის წარმოდგენა ოჯახის სიმტკიცეზე. თანაც, თუ შეიძლება ასე ითქვას. არა უბრალო, პასიური გადმოცემა ფაქტისა. არამედ თითქოს მო-

წოდებაც ოჯახური სიწმინდის დაცვისათვის. ესე იგი — ისევ და ისევ ზნეობრივი აღზრდის გაკვეთილი; არა მშრალი დიდაქტიკური შეგონება, არამედ ძალდაუტანებელი, ხაზგაუსმელი, რბილი და ამდენად უფრო ეფექტური.

გიორგი შატბერაშვილის „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რა მრავალფეროვანი, ღრმა და ამოუწურავია ჩვენი ენა, კიდევ რამდენი გულმოდგინე მუშაობაა საჭირო მისი საარაკო სიმდიდრის გამოსამზეურებლად, რა საშური და გადაუდებელია ეს საქმე... ეს თხზულება, და სხვა წერილებიც, რომლებიც ავტორის ოთხტომეულშია დაბეჭდილი, პირდაპირ მოუწოდებენ ახალგაზრდა ავტორებს გაუფრთხილდნენ მწერლების მთავარ იარაღს — ენას, არ დააჩლუნგონ იგი, და რაც მთავარია, გამოიყენონ მისი ამოუწურავი სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ამის მაგალითს გიორგი შატბერაშვილი თავის შემოქმედებით თვითონვე აძლევდა ახალგაზრდა ავტორებს.

ავტორს მუდამ უჭირს თავისი შემოქმედებიდან რომელიმე გამოარჩიოს. ეს ალბათ გიორგი შატბერაშვილსაც გაუძნელდებოდა. და მაინც, როცა მწერლის ოთხტომეულს გაეცნობი, „თვალადური ჭაშნიკი“ უსათუოდ მიგიზიდავს და დაგაინტერესებს — როგორც თავისებური ქებათა-ქება ქართული ენისა და ქართული სოფლისა.

1975 წ.

## ელენე მაჩაბლის ხსოვნას

გარდაიცვალა ელენე მაჩაბელი-ჩერქეზიშვილისა, დიდი ქართველი მწერლის ივანე მაჩაბლის ქალიშვილი, თავად ჩუმი და საკმარგებლო მოღვაწე, ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი იმ ოჯახების შვილთა, რომლებიც თითქოს ფიზიკურად კვაკავშირებდნენ დიდ მეცხრამეტე საუკუნესთან. მგზნებარე სუნთქვა იმ ბობოქარი დროისა, სითბო და სილამაზე ჩვენი განუმეორებელი სამოკიანელებისა ამ შესანიშნავმა ოჯახებმაც მოიტანეს ჩვენს დღეებამდე. წინაპრების მსგავსადვე მათ სახლის კარი მუდამ ღია

ჰქონდათ ყველასათვის; ყველას უხვად და უშურველად უნაწილებდნენ მამებისაგან გადმოცემულ სიკეთეს, კეთილშობილების, პატიოსნების, ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა და სათნოების მადლს...

როცა ამ თაობის ადამიანებზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, უსათუოდ ქალბატონი ელენე მაჩაბელი გაგვახსენდება — მომხიბლავი სისადავითა და უბრალოებით, დიდი ადამიანური სიკეთითა და სათნოებით გამორჩეული ადამიანი...

„იმედი უნდა გაგიცრუოთ: თქვენ ელით, რომ ბევრ რამეს გეტყვით მამაჩემისა და მისი მეგობრების შესახებ, მე კი მნიშვნელოვანს ვერაფერს გიამბობთ — სულ პატარა ვიყავი, მამა რომ დაიკარგა“, გეტყოდათ იგი ღიმილით, და ძალიან ბევრსა და მნიშვნელოვან რამეს კი გიამბობდათ — წყნარად, მძიმედ, თითქოს უემოციოდ. თვალებში ზოგჯერ ცრემლი გაუკრთებოდა, მაგრამ მაშინვე გაიღიმებდა და მოგონების მწარტკბილ სევდას მომხიბლავი ღიმილით გააცისკროვნებდა. კარგად იცოდა თავისი დიდებული მამის ფასი, მაგრამ საოცარი თავდაჭერით ყვებოდა ამბებს და არასოდეს არაფერს არ გააზვიადებდა. მუდამ ობიექტური იყო და ცდილობდა, თავისი აზრი შენთვის არ მოეხვია. სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდა, მასთან ხშირად შეხვდებოდით ხოლმე იმ საუკუნიდან შემორჩენილ ადამიანებს, თითქოს სხვა, ზღაპრული, მაგრამ ჩვენთვის ასე ახლობელი და საყვარელი სამყაროდან მოსულებს, შესაშური სისადავითა და უბრალოებით მომხიბლავებს.

ისინი უბრალოდ ყვებოდნენ საკუთარი თვალით ნანახსა თუ ცოცხლად გაგონილ საოცარ ამბებს, თითქოს არაფერიო, ისე ახსენებდნენ ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, ივანე მაჩაბელს... და თავად ვერც კი გრძნობდნენ, როგორ გიცოცხლებდნენ ყოველი ქართველისათვის ერთნაირად ძვირფასი ადამიანებით დასახლებულ სამყაროს...

თანდათანობით წავიდნენ ეს ადამიანები, თანდათანობით აკლდებოდნენ ისინი ელენე მაჩაბლის სახლში ტრადიციად ქცეულ საღამოებს...

ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ კიდევ შეხვდებოდით ადამიანებს, რომელთაც ერთ დროს მაჩაბელთან ემუშავნათ — ან ბანკში, ან რედაქციაში, ან რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოებაში... და ქალბატონმა ელენემ ყველას სახლი იცოდა. თუკი შეგატყობდა მისი დიდებული მამის ცხოვრებითა და მოღვაწეობით დი-

ინტერესებას, არ დაგზარდებოდა, წაგიყვანდა, გაგაცნობდა, აამბობინებდა... გზად უსათუოდ შეივლიდა, — ეს აუცილებლად არ დაავიწყდებოდა, — და იყიდდა ყვავილებს, ტკბილეულს, რაიმე ძვირფას სასმელს: მამაჩემის თანამშრომლები არიან და ჩემგან არ შეიძლება, უხერხულია ხელცარიელი მისვლაო, იტყოდა. ეს მისი მამის თანამშრომლები, ზოგჯერ ას წელს მიტანებული პოეტები, ჯერ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერებდნენ მათთან სტუმრად მისულ იშვიათი სილამაზის მანდილოსანს, ჩვენს დროში უკვე ღიმილისმომგვრელი გალანტობით მიიპატიჟებდნენ, და როცა შეიცნობდნენ, ვინც იყო, ჩამქრალ თვალებში ხელადვე სიცოცხლე ჩაუდგებოდათ, თითქოს ახალგაზრდობაც დაუბრუნდებოდათ, მიიწვევდნენ, — იმგვარივე თავაზითა და მოწიწებით, როგორც ერთ დროს ალბათ მის დიდებულ მამას, — დასვამდნენ, გვერდზე მიუსხდებოდნენ და ცოცხლდებოდა დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბები, ზოგჯერ ბერიკაცული რიხით, ზოგჯერ გატეხილი ხმითა და თრთოლვით, მაგრამ მუდამ აღსარების სიწრფელით მოთხრობილი...

რა დასანანია, რომ ეს გულახდილი საუბრები — ეს საოცარი აღსარებანი — ფირზე არ იწერებოდა და დღეს საშუალება არა გვაქვს ისევე ცოცხლად მოვისმინოთ.

რა დასანანია, რომ თვით ელენე მაჩაბელს, ალბათ, თანდაყოლილი თავმდაბლობის გამო, გაბმული მოგონებების წიგნი არ დაუწერია. როცა ასეთი წიგნის დაწერას შეახსენებდნენ, იგი თავს გააქნევდა და თავისი ჩვეული ღიმილით იტყოდა: ვნახოთ... ყოველ შემთხვევაში, ჯერ არა... და ასე გადიოდა დრო. დაწერა და გამოაქვეყნა მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოგონებათა დაუწერელი წიგნიდან. ისინი გაბნეულია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და მკვლევარებს უთუოდ კარგ სამსახურს გაუწევს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ავტორის კეთილსინდისიერებასა და ზედმიწევნით ობიექტურობას.

უანგარო და ალალი ადამიანი იყო. ამ ოცდაათი წლის წინათ გადაწყდა ივანე მაჩაბლის თარგმანები გამოეცათ სამ ტომად, დიდი ტირაჟით. ამ დროს შეიქმნა აზრი, რომ შემოსავლის ერთი მცირე ნაწილი მისცემოდა მთარგმნელის ქალიშვილს, იმ ადამიანს, რომელსაც თაეის სიცოცხლეში კაპიკი ჰონორარი არ მიუღია ბრწყინვალე თარგმანებისათვის. რაკი მემკვიდრეობის დაწესებული ვადა დიდი ხნის გასული იყო, საჭირო გახდა მთავ-

რობის საგანგებო ნებართვა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე. მოემზადდა განკარგულების პროექტი, საჭირო იყო ძნელად ვიზა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალის“ ხელმძღვანელობისა, რათა იმ დიდი მოგებიდან, რაც ტომეულებმა მისცეს გამომცემლობას, მცირე ნაწილი მწერლის ოჯახისათვის გადაეცათ. სამწუხაროდ, გამომცემლობის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ და ზოგიერთმა მწერალმა მადლიერება და საჭირო შეგნება ვერ გამოიჩინეს, კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიეს ამ ღონისძიებას და კეთილი და სამართლიანი საქმე — მცირე მადლიერების გამომჟღავნება დიდი მწერლის სახელისადმი — განუხორციელებელი დარჩა. ქალბატონი ელენე მერე ჩვეული სიმშვიდითა და მიმტევებლობით, — ისე რომ გულში არავითარი წყენა არ გასჩენია, — თავისი კეთილი ღიმილით ამბობდა: მე ხომ არაფერი მითხოვია, ვიღაცას მოაგონდა ეს, და საოცარია, ამ ხალხს ასეთი გამწარებული აქტიური წინააღმდეგობა რად დჭირდაო.

ახლა ამისი დრო არ არის, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: რამდენი სიფრთხილე მართებს ადამიანს, რომ წრესგადასულ სიხარბესა და თავკერძობას მოერიოს და სახელი სამუდამოდ არ შეარცხვინოს.

ადვილი წარმოსადგენია, რა მდიდარი და საინტერესო არქივი დარჩებოდა ქალბატონ ელენეს დედის გარდაცვალების შემდეგ. მარტო მწერლის დღიურები და ხელნაწერები, ან აკაკისთან, და-ძმა უორდროპებთან. მიშო და ვასილ მაჩაბლებთან მიწერ-მოწერა. რად ღირს. იმ დალოცვილ საუკუნეს ეს დიდი სიკეთეც ჰქონდა — ადამიანებს ერთმანეთისათვის წერილების მიწერა და გულის გადაშლა, წყენისა თუ სიხარულის გაზიარება არ ეზარებოდათ. ცალკე უნდა აღინიშნოს ილიასთან ერთად შესრულებული „მეფე ლირის“ თარგმანის ხელნაწერი, მწერლობის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი თავისებურად უნიკალური საბუთი, როცა ქაღალდის ფურცელზე ერთმანეთს ენაცვლება ორი სხვადასხვა, მაგრამ ყველა ქართველისათვის ერთნაირად ნაცნობი და ძვირფასი ხელწერით გამოყვანილი სტრიქონები; ამ ხელნაწერს ისეთი საოცარი თვისებაცა აქვს, რომ მარტო ტექსტს კი არ გაგაცნობს, არამედ თითქოს იმ შორეულ დროში გადავყავართ, ორი დიდი მწერლის მეგობრობისა და თანამშრომლობის სასურველ პერიოდს გადაგვიშლის და ცოცხლად განგვაცდევინებს მშობელი ხალხის

ქეთილდღეობისათვის გულანთებული ახალგაზრდა ადამიანების მაშინდელ განწყობილებას. ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შექსპირის მაჩაბლისეული წიგნები ინგლისურად, ტექსტზე მეტად საინტერესო მინაწერებით, რაც, მაჩაბლისავე ხელნაწერებთან ერთად, საშუალებას აძლევს მკვლევარს, მწერლის მთარგმნელობით მეთოდსა და მუშაობას ჩაწვდეს...

ეს ყველაფერი, შესანიშნავად მოწესრიგებული და დალაგებული, ადრევე, ჯერ ისევ ოციან წლებში სავსებით უსასყიდლოდ გადასცა ელენე მაჩაბელმა ახლად დაარსებულ სალიტერატურო მუზეუმს. ერთი მნიშვნელოვანი საბუთიც კი არ დაუკარგავს შთამომავლობისათვის.

ამისათვის იგი მთელი ჩვენი საზოგადოების მადლობას იმსახურებს. დიდი მწერლისა და მოღვაწის შვილობა მარტო პატივი როდია, ეს მშობელი ხალხის წინაშე ვალდებულებასა და პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. და ქალბატონმა ელენე მაჩაბელმა პირნათლად მოიხადა ვალი მამის წინაშეც და ხალხის წინაშეც. მამის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი მისი ყურადღება და გულისხმიერება მაგალითად უნდა გაიხადონ ყველა დიდი მწერლისა და მოღვაწის მემკვიდრეებმა.

ახლა, როცა ელენე მაჩაბელს ვეთხოვებით, არ შემიძლია არ გავიხსენო მისი შვილი, შვილიშვილი ივანე მაჩაბლისა,' ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი მიხეილ ჩერქეზიშვილი — კაცი დარბაისელი, სათნოებითა და სიკეთით აღსავსე, ღირსეული მემკვიდრე თავისი დიდი პაპისა. და თუმცა პაპის გვარი არა ჰქონია, როცა შემოგხედავდა, მაშინვე იცნობდი — ივანე მაჩაბლის მკვირცხლი თვალები შემოგანათებდა. იგი უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან და ჩოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვა თავის ოჯახს, დედას, რომელსაც მუდამ მხარში ედგა. მასავით უანგაროდ იღვწოდა, რათა შთამომავლობისათვის არ დაეკარგა დიდი პაპის არც ერთი ხელნაწერი თუ ნივთი.

მოწიწებით ვხრით თავს ღვაწლმოსილი ადამიანის ელენე მაჩაბლის ხსოვნის წინაშე.

1982 წ.

## „ცისკარის“ პირველი რედაქცია, პირველი ავტორები და პირველი ნომერი

„ცისკარს“ 25 წელი შეუსრულდა. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე — რა სწრაფად გაურბენია წლებს, თითქოს ყველაფერი ეს გუშინ იყოო... მე, პირიქით, — როცა იმ წლებს ვიგონებ, ასე მგონია, საუკუნეები გავიდა: საოცარი კია — ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი, გაუხუნარი სიცხადითა და გაუნელებელი სიმძაფრით ცოცხლდებიან ცალკეული ფაქტები და მოვლენები, ერთხელ განცდილსა და დანახულს, თითქოს კვლავ პირვანდელის სიმწვავითა და სიმკვეთრით განვიცდიდე და ვხედავდე, მაგრამ გრძნობა, რომ ეს ოდესღაც, საუკუნეების წინათ მოხდა და უკვე დასრულებული ცხოვრების ერთი მონაკვეთია, მაინც არა მშორდება და მძაფრად მეუფლება.

ახლა ბევრსა წერენ იმ წლებზე, ჟურნალის იმ პირველ პერიოდზე... ვერ ვიტყვი, ყოველთვის ზუსტი იყოს ფაქტები, რასაც დროდადრო გვთავაზობენ ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ზოგჯერ მეხსიერება ღალატობდეთ, როცა თავიანთ მოღვაწეობას — თუნდაც კერძოდ ამ საქმეში თავიანთ ღვაწლს, საქმისადმი თავიანთ დამოკიდებულებას თუ ადამიანებთან ურთიერთობას — ცოტა უფრო სხვაგვარად წარმოაჩენენ, ვიდრე სინამდვილეში იყო. თითქოს წესად იქცა უკვე განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შელამაზება-„შეკეთება“. ამას წინათ ერთი კაცი ისეთი სიმწრით იგონებდა — მეტად მძიმე და რფული ცხოვრების გზა ვამოვიარეო, და ისე გამწარებით თხოულობდა მსმენელთა თანაგრძნობას, თითქოს თავად სხვებისთვის არ დაემძიმებინოს და არ გაერთულებინოს მუშაობაცა და ცხოვრებაც...

პირველი რედაქცია ვთქვი და ერთბაშად თვალწინ დამიდგა თერთმეტი სახე, თერთმეტი წყვილი თვალი — ისინი ძალიან უშუალოდ, მაგრამ ყველანი თავისებურად გამოხატავდნენ სიხარულს, წყენას, გაკვირვებას, გულისწყრომას, შეშფოთებას, აღფრთოვანებას, მოუთმენლობას, მოლოდინს, იმედის გაცრუებას... ეს განცდები იმ წლებში ძალიან ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს... ძველი სათეატრო აფიშებისა არ იყოს, ჯერ პირველი რედაქციის მანდილოსნებს გაგაცნობთ — ციალა ჩხეიძე, მედეა კახიძე, ნანული ქორქოლიანი: შემდეგ — გიორგი შატბერაშვილი, რევაზ თვარაძე.

გიორგი ბედინეიშვილი, ნოდარ დუმბაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსულ ჩარკვიანი, ალექსანდრე ბანძელაძე (მალე იგი ჯემალ ლოლუამ შეცვალა), რაულ ჩაჩანიძე. ამ პირველი თანამშრომლების თანამდებობებსა და სამსახურებრივ მოვალეობებს არ ვამოვთვლი, რადგან მტკიცედ განსაზღვრული არა გვქონია განაწესით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობა — იმხანად განყოფილების გამგე, ლიტმუშაკი თუ კორექტორი, ყველანი ერთნაირად ვთანაწილეობდნენ ავტორების მოწვევასა და მასალების შეგროვებაში, ნომრის დაგეგმვაში, წერილების გასწორებასა თუ კორექტურის [illegible]ითხვაში... რა თქმა უნდა, ვისაც როგორ შეეძლო და გული ოდგორ შესტკიოდა.

ამრიგად, 1957 წლის აღრიანი გაზაფხულის დილაა, ჯერ ისევ ცივა, ვარეთ წვიმს, მოლრუბლულია. მთელი ჩვენი რედაქცია კომკავშირის ცეკას სხდომათა დარბაზში ერთ დიდ მაგიდას შემოსხდომია, ჯერ არა გვაქვს არც შენობა რედაქციისა, არც მაგიდები და სკამები, კომკავშირის ცეკამ შეგვიკედლა და ეს დიდი დარბაზი დაგვითმო... ჯერ არც საბეჭდი მანქანა გვაქვს და ძალიან ცარს მოპოვებული მასალების სტამბაში ჩასაშვებად მომზადება. ჯერ ჩვენმა მემანქანემ, — პატარა კოგონამ, რომელმაც ხელად უღო საქმეს ალღო და მალე რედაქციის სული და გული შეიქნა — ეეჭდვაც არ იცის და ახლა იქვე, მეზობელ ოთახებში კომკავშირის ცეკას აპარატის მემანქანე ქალებთან სწავლობს, იწვრთნება...

საბოლოოდ ვათვალიერებთ და ვალაგებთ მასალებს, რომლებიც მალე სტამბაში უნდა ჩავუშვათ, და მოუთმენლად ველით ნოდარ დუმბაძეს, რომელიც მასალის მოსაპოვებლად არის წასული — მოთხრობები უნდა მოიტანოს „ჭაშნიკისათვის". მოუთმენლად იმიტომ ველოდებით, რომ დარწმუნებული არ ვართ, მოახერხებს თუ არა ნოდარი იმ ავტორის მიგნებას და რედაქციაში მოყვანას, უკვე მერამდენე დღეა დაეძებს...

იღება კარი და შემოდის ნოდარ დუმბაძე, სახე პირველადმომჩენის სიხარულით უბრწყინავს. რაკი ასეთი გახარებული დაგვინახეთ, თვალებით იმასაც ვეძებთ, ვინც ნოდარმა უნდა მოიყვანოს; მაგრამ ისე მიხურა კარი, რომ აღარავინ გამოჩენილა. და ახლაღა დავუნახეთ ხელში რვეულები. მოვიდა მაგიდასთან და რვეულები პირდაპირ კი არ დამილაგა, გადამიშალა და ისე დამიწყო — ჯერ ის მიჩვენა, როგორი ხელით იყო დაწერილი!.. მას წუხელ გვიან

ღამით მიეგნო ამ მოთხრობებისათვის, წუხელვე წაეკითხა და ახლა, ერთგვარი შიშით, იმას ეშურებოდა, პირველივე შთაბეჭდილება კარგი ყოფილიყო. ხელწერა მართლაც ძალიან შთამბეჭდავი იყო და არ შეიძლებოდა, მაშინვე არ დაეინტერესებინე: იგი თითქოს უკვე გაცნობდა ავტორის ხასიათს; თავიდანვე გინერგავდა მისი ძალის რწმენას... როდისმე ალბათ საშუალება მექნება დაწვრილებით ვილაპარაკო ამაზე — ამ მოთხრობებსა და მათ ავტორზე. ახლა კი მთავარი დამავიწყდა მეთქვა: ეს გახლდათ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები, და მათი მოპოვება იმიტომ გაძნელდა, რომ ახალგაზრდა კაცს უკვე მოესწრო გულისგატეხა... მერე გაირკვა, რომ ამ მოთხრობებით უკვე ყველა რედაქცია მოუვლია და ყველგან ცივად და ამრეზით შეხვედრიან. მისი არსებობა კი ედიშერ ყიფიანმა გაგვაგებინა...

და როცა „ცისკრის“ პირველ თანამშრომლებზე ვლაპარაკობ, არ შეიძლება ედიშერ ყიფიანიც არ ვახსენო, რომელთანაც მაშინ უკვე, ჩვენი ასაკის განსხვავების მიუხედავად, გულითადი მეგობრობა მაკავშირებდა. და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რედაქციის შტატში არასოდეს ყოფილა, იგი თავიდანვე, დაარსების პირველი დღიდანვე, ერთგული მეგობარი და ჭირისუფალი იყო „ცისკრისა“. მხოლოდ იმიტომ ვერ გადმოვიდა ჩვენთან შტატში, რომ სხვა რედაქციაში მუშაობდა და იქაური რედაქტორისა მოეხათრა...

ახლა უკვე პირველი ნომერი „ცისკრისა“ თითქმის შევსებული იყო... მაგრამ ვიდრე მას გაგაცნობდეთ, ჯერ ის უნდა ვთქვა, რომ ჟურნალს „ცისკარი“ არა რქმევია, როცა დაარსდა. მაშინდელი გაზეთები რომ მოძებნოთ, ალბათ, ნახავთ, დადგენილებაში ეს ახალი ჟურნალი დასახელებულია, როგორც „ჩვენი თაობა“. და როცა რედაქტორად დამნიშნეს, ჯერ საშტატო ერთეულებისათვის ჩვეულებრივი ბრძოლაც კი არ დამეწყო საფინანსო ორგანოებთან, რომ პირველივე ჩემი საზრუნავი ის გახდა, როგორმე ჟურნალის სახელწოდება შეცვლილიყო. ისე მეჩვენებოდა, რომ ეს სახელწოდება თავიდანვე ზღუდავდა ჟურნალის პროფილსა და მოქმედების სივრცეს, სუნთქვას უხშობდა, ხელოვნურ არტახებში ჰკრავდა. ეს უნდა ყოფილიყო ახალგაზრდული ჟურნალი, მაგრამ არა მხოლოდ ერთი თაობისათვის (ჟურნალის სახელწოდება კი თითქოს საგანგებოდ მიუთითებდა ამაზე), არა მხოლოდ ახალგაზრდებისა და დამწყები მწერლებისათვის. ეს უნდა ყოფილიყო მეორე

სამწერლო ჟურნალი, რომელიც მხარში ამოუდგებოდა „მნათობს“. თითქოს გული მიგრძნობდა, რომ დაიწყებოდა თაობათა შორის ხელოვნური დაპირისპირება და ამას ჟურნალის სახელწოდებაც შეუწყობდა ხელს. ასე რომ, სანამ შტატებზე ზრუნვას დავიწყებდი (თუ ამის პარალელურად), საჭიროდ ჩავთვალე ჟურნალის სახელწოდებისა და ფორმატის შეცვლაზე მეზრუნა (ფორმატი დადგენილებაში არ იყო მითითებული, მაგრამ ისე კი თითქოს ჩამოყალიბებული იყო საზოგადოებრივი აზრი, ახლად დაარსებული ჟურნალი უფრო დიდი ფორმატისა და დასურათებული ყოფილიყო).

ეს საქმე, რომ არ ეღლოდი, ისე ადვილად მოგვარდა. ჩვენ თავიდანვე ორი პატრონი გვყავდა — მწერალთა კავშირი და კომკავშირის ცეკა — და გავრცელებულ ანდაზას თუ ვერწმუნეთ, ასეთ პირობებში თითქოს ძნელი უნდა ყოფილიყო მუშაობა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს სიძნელე ჩვენ არასოდეს გვიგრძვნია; ახლაც, ირაკლი აბაშიძეცა და კომკავშირის ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი თამაზ ჯანელიძეც მოწონებით შეხვდნენ ჩემს წინადადებას ჟურნალის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. რაც მთავარია, მხარი დაგვიჭირა პარტიის ცეკას კულტურის განყოფილების გამგემ მიხეილ კვესელავამ, და სანამ შტატს დავაკომპლექტებდით და მუშაობას შევუდგებოდით, მიღებული იქნა მეორე დადგენილებაც ჟურნალის სახელწოდების შეცვლის შესახებ. ასე დაერქვა ახალ ჟურნალს „ცისკარი“.

მთავარი სიძნელე მაინც წინ იყო — „ცისკრის“ პირველ ნომერს მტკიცედ ჩამოყალიბებული საკუთარი სახე უნდა ჰქონოდა, მაშინვე უნდა გამოეცხადებინა თავისი პოზიცია; თავიდანვე, პირველი ნომრიდანვე, აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალი კარს უღებდა და თანამშრომლად იწვევდა ყველა თაობის ნიჭიერ მწერალს; რომ ჟურნალი ახალგაზრდული იყო, მაგრამ არა მხოლოდ ერთი თაობისათვის; ამასთან იგი მრავალფეროვანი იქნებოდა — გარდა ორიგინალური მხატვრული ლიტერატურისა, ჟურნალში ფართო ადგილი უნდა ჰქონოდა დაუმობილი კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებას, ჟურნალი მკითხველს გააცნობდა ახალ თარგმანებსაც, ნარკვევებსაც; ექნებოდა ხელოვნების, სპორტის და იუმორის განყოფილებაც; ეს არ იქნებოდა ნახატებიანი ჟურნალი, მაგრამ ილუსტრირებული უთუოდ უნდა ყოფილიყო და ამიტომ მხატვრებიც უნდა მოეწვია. რო-

გორც ცნობილია, რედაქცია არა მხოლოდ მოთხრობების დასასურათებლად იწვევდა მხატვრებს, არამედ მან მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა და მხატვართა მეტად სასურველ შემოქმედებით და პირად მეგობრობას...

ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს ჟურნალის პირველსავე ნომერს უნდა ეცნობებინა მკითხველისათვის, თანაც ისე, რომ მკითხველი სადმი საგანგებო მიმართვა, ჟურნალის საპროგრამო წერილი არ ყოფილიყო საჭირო. თითქოს წინასწარ ვგრძნობდით, რომ ასეთი წერილი გამომწვევი და გამაღიზიანებელი იქნებოდა, რადგან აშკარა გახდა, რომ ახლადდაარსებულ ჟურნალს კეთილისმსურველებთან ერთად მტრებიც გამოუჩნდნენ...

ახლა გაგაცნობთ პირველი ნომრის შინაარსს.

პოეზიის განყოფილებაში წარმოდგენილი იყო გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, მურმან ლებანიძის, არჩილ სულაკაურისა და თამაზ ჭილაძის ლექსები (დააკვირდით, როგორ საგანგებოდ შეეცადა რედაქცია, ყველა თაობის ქართველი პოეტი წარმოედგინა. მურმან ლებანიძე მაშინ ჯერ ისევ ახალგაზრდა მწერალი იყო, ხოლო თამაზ ჭილაძე და არჩილ სულაკაური ის-იყო ფეხს იკიდებდნენ მწერლობაში); პროზის განყოფილებაში — ლევან გოთუასა და გიორგი ნატროშვილის მოთხრობები...

პირველსავე ნომერში რედაქციამ „ჭაშნიკის" განყოფილება შესთავაზა მკითხველს და საგულისხმო და სასიხარულო ის იყო, რომ ეს განყოფილება ძალიან საინტერესო გამოდგა. ასევე მიიღო მკითხველმაც. აქ წარმოდგენილი იყო გურამ რჩეულიშვილის ხუთი მოთხრობა, ანზორ სალუქვაძის ლექსები და გურამ გეგეშიძის ერთი მოთხრობა.

ბარემ აქვე შევნიშნავ, რომ სწორედ „ჭაშნიკის" განყოფილებამ გამოიწვია თანდათანობით გამწვავებული დავა. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ნამდვილი მიზეზი მწერალთა ერთი ნაწილის გაღიზიანებისა არა მარტო „ჭაშნიკი" — და არა იმდენად „ჭაშნიკი" — არამედ უფრო სხვა მასალები იყო.

თარგმანის განყოფილება წარმოდგენილი იყო რობერტ ბერნსის ლექსების თამარ ერისთავისეული თარგმანებით. თამარ ერისთავი მაშინ სავსებით ახალგაზრდა იყო. და ესეც „ჭაშნიკის" გაგრძელებასავით გამოვიდა.

პირველსავე ნომერში შემოვიღეთ განყოფილება „მწერლის არქივიდან“, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი კი არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი; საგულისხმო ის გახლდათ, რომ რეაბილიტაციის შემდეგ პირველად ქვეყნდებოდა დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები. თანაც მწერლის არქივში აღმოჩენილი შესანიშნავი მოთხრობა „მიწის ყივილი“; აქვე გამოვაქვეყნეთ ფოტორეპროდუქცია მწერლის ერთი დიდებული ჩანაწერისა (ავტოგრაფი), რომელსაც „ჩვენი დროის ათი მცნება“ ჰქვია და მწერალი თავის შვილს უძღვნის, მაგრამ ფაქტიურად მიმართვაა საერთოდ ახალგაზრდობისადმი, და სწორედ რომ ზედგამოჭრილ-გამოდგა ახალგაზრდული ჟურნალის პირველი ნომრისათვის. ამ მასალას ძალიან მოუხდა ფოტოსურათიც — დიდი მწერალი თავის შვილთან ერთად, თანაც ისეთ ვითარებაში, თითქოს სწორედ ახლა წერდეს იმ „ათ მცნებას“. ეხ იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იმ თაობის ადამიანებმა პირველად იხილეს მწერლის სახე. ეს მასალები ჩვენი თხოვნით გადმოგვცა მწერლის ქალიშვილმა ქალბატონმა ქეთევან ჯავახიშვილმა, რომელმაც მეტად რთულ ვითარებაში მამის არქივის მოვლა-პატრონობით დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. როგორც ცნობილია, ქალბატონი ქეთევანი ბოლომდე დარჩა ჟურნალის ერთგული თანამშრომელი.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, — ამის დაფარვა საჭიროდ არ მიმაჩნია, — რომ ამ საარქივო მასალებმა ძალიან გააღიზიანა მწერალთა ერთი ჯგუფი: რეაბილიტაცია მოხდა მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც მოქალაქისა და არა როგორც მწერლისო, თავგამოდებით ამტკიცებდნენ ისინი, და რედაქციას ბრალდებად უყენებდნენ ამ „გაუმართლებელ სითამამეს“... უფრო დაწვრილებით ამაზე ამჟამად აღარ შევჩერდები.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში წარმოდგენილი იყო მაშინ ჯერ ისევ სავსებით ახალგაზრდა მწერლის გურამ ასათიანის საინტერესო სტატია — „შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ“. წერილი საკითხის განხილვის წესით დაიბეჭდა და ამან მკითხველთა ინტერესიც აღძრა და ზოგიერთი რატომღაც გაანაწყენა კიდეც; ნიკო ჭავჭავაძის „ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხის გამო“; სარგის ცაიშვილის სტატია „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო და თინათინ კოპლატაძისა და ზურაბ ჭუმბურიძის „რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა და-

გენისათვის“ (ეს მასალა მეორე ნომრისა იყო, მაგრამ პირველ ნომერში გადმოტანა მოგვიხდა).

ხელოვნების რუბრიკით დაიბეჭდა აკაკი ბაქრაძის „სცენარისტი და რეჟისორი“, ირაკლი აბაშიძის მხატვრული ნარკვევი „ინდოეთის გზებზე“ დაიბეჭდა „მოგზაურის დღიურის“ რუბრიკით. პირველსავე ნომერში დავბეჭდეთ შალვა დემეტრაძის პუბლიკაცია „სერგეი ესენინი საქართველოში“ — კერძოდ, ესენინის იმდრომდე უცნობი წერილი ტიციან ტაბიძისადმი, სადაც კარგად ჩანს ორი ტრაგიკული ბედის პოეტის მეგობრობისა და ურთიერთობის ამბავი. ახალგაზრდები მაშინ მოწყურებული ადამიანის გაფაციცებით ეძებდნენ ყოველგვარ ცნობებს, რაც კი ოცდაათიან წლებში ტრაგიკულად დაღუპულ მწერალთა ცხოვრების ბიოგრაფიას შეავსებდა. და ამდენად ამ პუბლიკაციასაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პირველ ნომერშივე გვქონდა ნარკვევი რუბრიკით „ჩვენი ადამიანები“ და იუმორის განყოფილება, სადაც დაბეჭდილი იყო ნოდარ დუმბაძისა და ედიშერ ყიფიანის შესანიშნავი იუმორისტული მოთხრობები, თენგიზ გოგოლაძის ორიგინალური შარჟები ქართველი მწერლებისა, სადაც ავტორი კარგად ახერხებს ცალკეულ მწერალთა ხასიათის გადმოცემას. და ჯემალ ლოლუას ჩვეული დახვეწილი ოსტატობით და სოციალური სიმახვილით გამორჩეული ნახატი-ხუმრობები. ეს დიდებული მხატვარი და ასევე შესანიშნავი ადამიანი მაშინ სავსებით ახალგაზრდა იყო, მაგრამ, ასაკის მიუხედავად, უკვე პირადი მეგობრობა მაკავშირებდა, და ჩემი თხოვნით, მალე დაიწყო კიდეც ჩვენთან მხატვრად მუშაობა. სწორედ მას მიუძღვის დიდი ღვაწლი შესანიშნავი ახალგაზრდა ქართველი მხატვრების — დიმიტრი ერისთავის, თენგიზ, მირზაშვილის, ზურაბ ნიჟარაძის რედაქციაში მოწვევასა და დაახლოებაში, რაც მალევე გახდა მტკიცე საფუძველი იმ თაობის მწერალთა და მხატვართა განუყრელი მეგობრობისა. ვფიქრობ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „ცისკრის“ დიდი როლი, საერთოდ, კულტურის სხვადასხვა დარგში მოღვაწე ახალგაზრდა შემოქმედთა რედაქციის გარშემო შემოკრებასა და დაახლოებაში. ეს იყო აღდგენა და გაგრძელება ქართული კულტურის სხვადასხვა დარგში მოღვაწეთა შემოქმედებითი და პირადი მეგობრობის კარგი ტრადიციისა, რაც ბოლო რამ-

დენიმე ათეული წლის განმავლობაში თითქმის შეწყვეტილიყო. და საგულისხმოა, რომ ესეც „ცისკარმა“ ითავა.

პირველსავე ნომერში გვქონდა დაგეგმილი მემუარების განყოფილება შალვა დადიანმა ხალისით მიიღო ჩვენი თხოვნა, ჟურნალისთვის დაეწერა მემუარები, მაგრამ პირველი ნომრისთვის ვერ მოასწრო; მეორე ნომერში დავიწყეთ და გაგრძელებებით ვბეჭდავდით — მწერალი თანდათანობით წერდა და გვაწვდიდა ხოლმე. საერთოდ, არ შეიძლება დიდი მადლიერების გრძნობით არ გავიხსენო მისი ჩვეული გულისხმიერება და მხარდაჭერა.

მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს „ცისკრის“ პირველსავე ნომერში წარმოდგენილ ავტორებს. ერთი მხარე რედაქციის პოზიციისა სწორედ ეს იყო, რომ ჩვენი მწერლობა მთლიანობაში წარმოედგინა, ეჩვენებინა, რომ მას ქმნის ყველა თაობის ნიჭიერი შემოქმედი და მიენიშნებინა, რომ ჟურნალი სწორედ ასე აპირებდა თავისი სარედაქციო პოლიტიკის გაგრძელებას.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ ჟურნალის ერთ-ერთ განხილვაზე, რასაც ძალიან ფართო საზოგადოება ესწრებოდა (ასეთი „განხილვები“ კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა; კერძოდ, ეს განხილვა ორ დღეს გაგრძელდა), უფროსი თაობის ერთმა ოფიციალურად ცნობილმა წარმომადგენელმა ახალგაზრდული ჟურნალის რედაქციას ერთ-ერთ სერიოზულ ბრალდებად ისიც წამოუყენა, რომ იგი ახალგაზრდობის გარდა ჟურნალში აქვეყნებდა უფროსი თაობის მწერლებსაც. გასაკვირი ის იყო, რომ რამდენიმე ხნის წინ ამ კაცმა თავად მოგვიტანა საკუთარი მასალა რედაქციაში და, რაკი გასაგები მიზეზების გამო ჩვენი ჟურნალისთვის შეუფერებლად ჩაეთვალეთ, უკანვე გავატანეთ. მაგრამ ეს ფაქტი მარტო მე ვიცოდი და, ალბათ, რედაქციის კიდევ ერთმა თუ ორმა მუშაკმა. ფართო საზოგადოებამ, ვინც განხილვაში მონაწილეობდა, ეს არ იცოდა. ასე რომ, ადვილი შესაძლებელი იყო, იმ კაცის სიტყვები, იქნებ მართებულად არა, მაგრამ გულწრფელად მიეჩნიათ. არ ვიცი, იქნებ უტაქტოდ მოვიქეცი, მაგრამ ჩემს სიტყვაში მოურიდებლად მოვახსენე დამსწრე საზოგადოებას ეს ფაქტი: განვაცხადე, არ კაცს თავად ჰქონდა მოტანილი ამას წინათ მასალა, რომელიც, ადვილად ასახსნელი მიზეზების გამო, ვერ დავბეჭდეთ, და გასაკვირია, ასე მალე როგორ შეეცვალა ამ საგანზე თავისი შეხედულე-

ბა-მეთქი. და მასვე ვთხოვე დაედასტურებინა ჩემი სიტყვები. ეტყობა, ამას არ მოელოდა ის კაცი და შემცბარმა და დაბნეულმა, დამიდასტურა. ამან, რაღა თქმა უნდა, სიცილი გამოიწვია.

ჟურნალის პოზიციაზე ვლაპარაკობდი; ვშიშობ, ძალიან პრეტენზიული და ხმამაღალი არ გამოვიდეს ეს განცხადება, მაგრამ ფაქტია, რომ ჟურნალის პირველსავე ნომერში გამოჩნდა ეს. ახლა არ არის ამაზე დაწვრილებით ლაპარაკის ადგილი და საშუალება, ეს სხვა დროისთვის გადავდოთ, მაგრამ, ვინც დაკვირვებით გაეცნობა ჟურნალს უსათუოდ იგრძნობს ამას.

და ეს თავისი დამოკიდებულება მწერლობისა და ცხოვრებისადმი, — თვით ცხოვრებისავე ნაკარნახევი, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, — გამოხატული იყო თითქმის ყველა მასალაში, იუმორისტულ მოთხრობებშიაც კი. ამან, ეტყობა, ბევრი გააღიზიანა. ეს მოსალოდნელიც იყო. როცა, მაგალითად, ნიკო ჭავჭავაძის წერილში მთელი სიმკაცრით, თუმცა სათანადო ტაქტით, იყო ნაჩვენები ესთეტიკური აღზრდის ცალკეული მანკიერი მხარეები, რაც ხელს უშლიდა და აფერხებდა თანამედროვე სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებას, როცა იქვე გაკრიტიკებული იყო აშკარად ეულგარულ-სოციოლოგისტური მიდგომა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს და ამის დამადასტურებელი კონკრეტული ციტატებიც იყო მოტანილი სასკოლო სახელმძღვანელოებიდან, ეს, რაღა თქმა უნდა, გააღიზიანებდა იმ სახელმძღვანელოების ავტორებს. ასეთ დაუფარავ კრიტიკას ისინი დაჩვეულნი არა ყოფილან; როცა იუმორისტულ მოთხრობებში ძალიან ცოცხლად და მწვავედ იყო დახატული თითქმის დაკანონებული უბადრუკი წესი მხატვრული ნაწარმოების განხილვისა, და იქვე მოტანილი იყო თითქმის ტრაფარეტად ქცეული კრიტიკული წერილის ასლი, როგორც უპრინციპობისა და სიყალბის ნიმუში, აქ, რაღა თქმა უნდა, ბევრი საკუთარ თავს იცნობდა და განაწყენდებოდა, ისინი დაჩვეულნი არ იყვნენ ასეთ კრიტიკას.

ასე რომ, ჟურნალმა თავიდანვე ძალიან ბევრი მეგობარი და კეთილისმსურველი გაიჩინა, მაგრამ, თავისდაუნებურად, ზოგი გაანაწყენა და მტრადაც მოიკიდა. ეს იქნებ რედაქციისავე ბრალი იყო — იქნებ სათანადო ტაქტი ვერ გამოვიჩინეთ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ეს ყველაფერი ისტორიაა და მხოლოდ კეთილი სმილით მოვიგონებთ.

სამწუხაროდ ცალკეული მასალების შინაარსი საზოგადოებას გარკვეული ნაწილისათვის ჟურნალის ბეჭდვის პროცესშივე გახდა ცნობილი.

ახლა ძნელია თქმა, როგორ და რანაირად...

დამავიწყდა ჟურნალის პირველი სარედაქციო კოლეგიაც ჯერ მეცნო მკითხველისათვის: თ. ბადურაშვილი (კომკავშირის ცეკას მაშინდელი ერთ-ერთი მდივანი), რ. თვარაძე (პ/მგ. მდივანი), კ კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია. სამართლიანობა მოითხოვს აქვე შევნიშნო — ისინი, ვისაც ჩვენი ჟურნალი უშუალოდ ეკუთვნოდა, უხეშად არ ჩარეულან სარედაქციო კოლეგიისა და, განსაკუთრებით, სარედაქციო შტატის დაკომპლექტების დროს. ნახევრად ხუმრობით მითხრეს — თითო, ან დიდი-დიდი ორ-ორ კაცს შემოგთავაზებთ, დანარჩენი შენ თვითონ შეარჩიე და მერე დაგიმტკიცებთო. მართლაც ასე მოხდა და რედაქცია, როგორც ვნახეთ, შესანიშნავი ახალგაზრდებით დაკომპლექტდა. იშვიათად შეხვდებით ისეთ ერთსულოვან კოლექტივს, როგორადაც სულ მალე ჩამოყალიბდა „ცისკრის“ რედაქცია.

ერთი სიტყვით, ზოგიერთი მასალის შინაარსი ადრევე გახდა ცნობილი გარკვეული წრეებისათვის.

და აი, ახლა, წინ მიდევს „ცისკრის“ პირველი ნომრის ორი დაბეჭდილი და აკინძული ცალი. ერთი შეხედვით, ისინი თითქოს არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ, როცა კარგად დაათვალიერებ, განსხვავება თვალშისაცემია. პირველნდელ ვარიანტში, მაგალითად, გარეკანზე დაბეჭდილია ალ. ბანძელაძის ნახატი — თბილისის უნივერსიტეტი (გვინდოდა, ყდაზევე გამოგვეტანა რაიმე ახალგაზრდული თემა). მაგრამ ვიღაცას ეს ნახატი ფორმალისტურად მოეჩვენა, თუმცა ნამდვილ ფორმალისტს რომ აჩვენო, იქნებ სწორედ იმიტომ დაიწუნოს, რომ უკიდურესად ნატურალისტური მოეჩვენება. უკვე აკინძული ჟურნალი დაიშალა, გარეკანი უნივერსიტეტის გამოსახულებით განადგურდა და ახალი დაიბეჭდა... სწორედ ამ ახალი გარეკანით გავრცელდა ჟურნალი; ასე რომ, ჩვენი გადაწყვეტილება — ყოველი ნომრის ყდაზე რაიმე თემატური ნახატი ყოფილიყო, თავიდანვე განუხორციელებელი დარჩა: პირველ ნომერში ცვლა მოვასწარით ნახატი შეგვეცვალა, და, რაკი პირველში არ დაიბეჭდა, მერე საერთოდ აკიღეთ ხელი პირველ

ვარიანტში დაბეჭდილია ზურაბ კაკაბაძის წერილი „საბჭოთა ხელოვნების შეუფერხებელი განვითარებისათვის“. მეორე ვარიანტში კი ეს წერილი აღარ არის, იგი უკვე დაბეჭდილი ტირაჟიდან ამოიხა და მის მაგივრად დაიბეჭდა თ. კოპლატაძისა და ზ. ჭუმბურიძის წერილი. ამაზე ზემოთაც ითქვა. ზ. კაკაბაძის წერილში კი მკრებელურს ვერაფერს შეხვდებით. სტატია დაწერილია სავსებით ჯანსაღი, თანამედროვე ცხოვრებით ნაკარნახევი სულისკვეთებით, არ დავინტერესებულვარ, შემემოწმებინა, მერე შეიტანა თუ არა ავტორმა ეს წერილი თავისი სტატიების კრებულში. ისე კი იმ დროისათვის აქტუალური და საჭირბოროტო მასალა იყო. როგორც ჩვენ ვიცით, ეს მასალა უკვე დაბეჭდილი ნომრიდან ამოგვახევინეს და იძულებული გავხდით, სხვა მასალით შეგვეცვალა. ახლა გაგიკვირდებათ, რომ ნახოთ, რა არის შეცვლილი, რა ადგილები ამოგვაღებინეს. რაღა თქმა უნდა, დაბეჭდილ მასალას ისე ვერ შევცვლიდით, თუ მთლიანად არ ამოვხევდით და ახალს არ დავბეჭდავდით. ამ იძულებითმა და უსიამოვნო „რემონტმა“, ცხადია, ჟურნალის გაშვებისა დააყოვნა.

სხვა განსხვავებაც არის პირველი ნომრის ამ ორ ვარიანტს შორის. ცვლილება განიცადა ნიკო ჭავჭავაძის სტატიამაც, მეორე ვარიანტში ზოგიერთი ადგილი შემცირებულია და სამაგიეროდ რამდენიმე აბზაცი ემატება. ძირითადი მასალები, რა თქმა უნდა, იგივეა.

პირველ ნომერს ივნისი აწერია, მაგრამ როგორც ითქვა, უფრო ღაგვიანებით გამოვიდა. და აი, ზაფხულის ერთ დღეს, როცა „ცისკრის“ პირველი ნომრის სასიგნალო ცალი მგონი მხოლოდ მე მქონდა რედაქციაში და მკითხველი ჯერ, რაღა თქმა უნდა, ვერ მიიღებდა, მწერალთა კავშირიდან შეგვატყობინეს, რომ დღესვე მწერალთა კავშირის გაფართოებული პრეზიდიუმის სხდომაზე დანიშნული იყო „ცისკრის“ პირველი ნომრის განხილვა. ეს მოულოდნელი და უპრეცედენტო მოვლენა გახლდათ და ძალიან გაგვიკვირდა — აკი ითქვა, ჟურნალი ჯერ არც ხელისმომწერლებს მიეღოთ და არც საგაზეთო ჯიხურებში გამოეტანათ გასასყიდად.. საერთოდ, არავის ენახა. და გასაკვირიც სწორედ ის იყო — რამ გამოიწვია ასეთი ძნელად გასაგები აჩქარება... უსიამოვნო ფაქტი იყო. თუმცა მაშინ იმას ვერც ვიფიქრებდით, რომ ამ განხილვით იწყებოდა მთელი ციკლი ასეთივე „განხილვებისა“, ვერ წარმოვიდ-

გენდით, რომ მოგვიხდებოდა გადაკეთება უკვე საბეჭდად გამზადებული მეორე და მესამე ნომრებისა.

ერთი სიტყვით, ასე სასწრაფოდ დაენიშნათ ჟურნალის განხილვა. მაშინვე გავეშურე მწერალთა კავშირში, რათა მეთხოვა, ცოტათი გადაედოთ, სანამ ჟურნალი გავრცელდებოდა და მკითხველამდე მიაღწევდა. მაგრამ როცა მივედი, მწერალთა კავშირის თავჯდომარის კაბინეტში უკვე იკრიბებოდნენ მწერლები. გადადება უხერხულიაო, მითხრეს, მომხსენებელი უკვე მზად არის და მერე იქნებ ვეღარ მოიცალოსო... მომხსენებელი იქვე იყო და მორიგი გამარჯვების სიხარულით ცმუკავდა. ასეთი „გამარჯვებების" სიხარული მას აქამდეც ბევრჯერ განეცადა და მომავალშიც ბევრი ელოდა. რაღა თქმა უნდა, წინასწარ არ ამჟღავნებდა თავის საშინელ განაჩენს (მისი მოხსენება სწორედ განაჩენი იყო და არა განხილვა ჟურნალისა, რომელიც ჯერ იმ კრების არც ერთ მონაწილეს არ ენახა). გაგვიცინა კიდეც შინაურულად, ჯანმრთელობის ამბავი გამოგვკითხა. ესეც მისი ჩვეულება გახლდათ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგრძნობდით, რომ რისხვას დაგვატეხდნენ, მაგრამ ისეთი საშინელი და ულმობელი თუ იქნებოდა ის რისხვა, მით უმეტეს იმ წინასწარი „რემონტის" შემდეგ, რაზედაც ზემოთ ითქვა, ჩვენთვისაც ძნელი წარმოსადგენი იყო. ერთი სიტყვით, დაგვამშვიდეს, არაფერია, მეგობრული საუბარი გვექნებაო... და ასე სიცილ-სიცილითა და ტკბილი მუსაიფით დავეშვით კიბეზე, მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზისაკენ გავემართეთ, სადაც ჟურნალის პირველი ნომერი უნდა განეხილათ.

ასე დაიწყო „ცისკრის" ცხოვრება.

1982 წ.

# უილიამ შექსპირი

შექსპირი ერთი საუკუნის შვილი არ ყოფილა — იგი ყველა დროს ეკუთვნისო, წერდა ბენ ჯონსონი, დიდი ინგლისელი ჰუმანისტის თანამედროვე და მისი პირველი ბიოგრაფი. შეიძლებოდა დაგვემატებინა — იგი ერთ ქვეყანასაც არ ეკუთვნის, ყველა ქვეყნის შვილია. სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნებოდა ის ინტერესი, რასაც მთელი კაცობრიობა იჩენს შექსპირის მიმართ. ეს არის გენიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი — როცა მოიშლება დროისა და სივრცის საზღვრები, როცა მწერლის შემოქმედება ყველა დროისა და ქვეყნის ადამიანთა კუთვნილებად იქცევა, როცა იგი მუდამ თანამედროვედა ჟღერს.

ოცდაჩვიდმეტი პიესა დაწერა შექსპირმა. ამ პიესების მოქმედება უმთავრესად სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებს — იტალიაში, საბერძნეთში, დანიაში... ან ინგლისში თუ ხდება — ისიც ისტორიულად, ზოგჯერ წარმართული ხანაც კია აღებული. მისი ტრაგედიებისა თუ კომედიების გმირებს რომაული ტოგა მოუსხამთ, ან სკანდინავური მახვილი არტყიათ, მის ისტორიულ ქრონიკებში თითქოს საუკუნეთა წინანდელი ინტერესები ცოცხლდება. ამ სურათებს, ამ ხასიათებს თითქოს არაფერი აქვთ საერთო იმასთან, რაც იმჟამად ინგლისში ხდება, ავტორი განზე გასდგომია ცხოვრებას, ორი დიდი ეპოქის საოცარ ჰიდილს ვერა ხედავს და სადღაც შორს იყურება — შორეულ საუკუნეებსა თუ შორეულ ქვეყნებში ეძებს თავისი შემოქმედების წყაროს, გაცილებით უფრო ნაკლები მნიშვნელობის მოვლენებს მიუქცევია მისი ყურადღება...

მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. სინამდვილეში, იშვიათად ღაასახელებ მწერალს, რომელსაც ისეთი სიმართლით, სიზუსტითა

და სიღრმით დაეხატოს თავისი ეპოქა, როგორც ეს შექსპირმა მოახერხა. იმ ისტორიულ მოვლენებში, საცა ძველი ამბებია აღწერილი, ჩვენ შექსპირისდროინდელ ინგლისსა ვჭვრეტთ და ის რომაულად გამოწყობილი, ტოგამოსხმული ხალხიც შექსპირის თანამედროვე ინგლისელები არიან.

ჩვენ რომ მოკლებული ვიყოთ შექსპირისდროინდელი ინგლისის ისტორიულ წყაროებს და არ შეგვეძლოს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღვადგინოთ ყოველი ისტორიული მოვლენა, იმდროინდელ განწყობილებებსა და განცდებს, ცხოვრების საერთო ატმოსფეროს, ეპოქის სუნთქვას, გაგვიცოცხლებენ შექსპირის პიესები, მიუხედავად იმისა, რომ ამ პიესების სიუჟეტები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ ეპოქასაც შორდება და ინგლისისგანაც შორსა დგას.

და როცა შექსპირის რეალიზმზე ვლაპარაკობთ, სწორედ ის დიდი ცხოვრებისეული სიმართლე იგულისხმება, ეპოქის სუნთქვა და საერთო განწყობილების სისწორე, ადამიანის ბუნების ყოველმხრივი ცოდნა, მისი სულის მოძრაობის სულ უმნიშვნელო დეტალიც კი, რაც არასოდეს, არც ერთ ვითარებაში შეუმჩნეველი არა რჩება დიდი მწერლის თვალსა და ყურს; აქ იგულისხმება ადამიანთა რთული ურთიერთობების სიმართლით გადმოცემა და არა უბრალო ზედაპირული სისწორე. გარეგნული სისწორის მიხედვით თუ შევხედავთ, იქნებ ბევრი უხერხულობაც შევნიშნოთ, ბევრი უზუსტობა თუ ლაფსუსი. ისეთი ლაფსუსი, რაც იქნებ სხვა მწერალს არც ეპატიოს. ზოგჯერ იგი თითქოს გეოგრაფიის ცოდნაშიაც ცოდავს, ისტორიაც ავიწყდება... ავიღოთ თუნდაც „ზაფხულის ღამის სიზმარი“. აქ დასაწყისშივე ნახსენებია მონაზვნის მძიმე ფლასები, მონასტრის სენაკის ვიწრო სარკმელი, რაც სავსებით შეუფერებელია ძველი საბერძნეთისათვის, სადაც პიესის მოქმედება მიმდინარეობს. მაგრამ, როგორც ითქვა, შექსპირისათვის ეს კი არ არის მთავარი. მისთვის მთავარია ადამიანურ ურთიერთობათა სწორი ასახვა, ადამიანის გრძნობათა და ვნებათაღელვათა სწორი გადმოცემა. ცალკეულ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ შეცდომებს თითქოს არც დაგიდევს, დაუდევრად ეკიდება... თითქოს განგებ სჩადის ამას, რათა ამ უზუსტობის ფონზე ხაზი გაუსვას იმ დიდსა და მთავარ სიმართლეს, რაშიაც იგი არასოდეს არა ცდება.

როგორც უკვე ითქვა, შექსპირი ოცდაჩვიდმეტი პიესის ავტო-

რია. აქ შედის კომედიებიც, ტრაგედიებიც, ისტორიული ქრონიკებიც. და დაწერის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით თუ განვიხილავთ ჩვენ ამ პიესებს, სასურველი სიზუსტით შეგვეძლება აღვადგინოთ ავტორის ხანმოკლე, მაგრამ დიდი ცხოვრება, მთელი მისი ბიოგრაფია. არა ყოველდღიური ფაქტებით აკინძული ბიოგრაფია, როცა ზედმიწევნითი სისწორით არის ხოლმე ასახული უველა წვრილმანი ადამიანის ცხოვრებისა — მისი დაბადების დღიდან მოკიდებული გარდაცვალებამდე, მისი ოჯახური გარემო, სწავლა, მეგობრები, ნათესავები, მოგზაურობა და ა. შ. არა, ასეთი ბიოგრაფია შექსპირისა არ არსებობს. ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას ოფიციალურად დადგენილი და დაზუსტებული ფაქტებით გავეცნოთ მწერლის ცხოვრებას, თვალი გავადევნოთ მის აღზრდას, განვითარებას... დანამდვილებით ვერავინ იტყვის, სად სწავლობდა იგი, ვისთან მეგობრობდა, როგორი გარეგნობა ჰქონდა, რიგი იყო გატაცებული, სად უმოგზაურია, ან უმოგზაურია კი საერთოდ. ის ძუნწი ცნობები, რასაც სხვადასხვა პირთა მიერ შედგენილ ბიოგრაფიებში ვხვდებით, სავარაუდოა მხოლოდ და ზოგჯერ დავას იწვევს. ასევე სავარაუდოდ თუ მივიჩნევთ შექსპირის ნამდვილ სახედ იმ გავრცელებულ პორტრეტსა და ამ პორტრეტის ვარიაციებს, რაც შექსპირის გამოცემებს ახლავს ხოლმე თან. საინტერესოა ბენ ჯონსონის ერთი ლექსი: შეჰყურებს პოეტი შექსპირის პორტრეტს და მიმართავს — არა, ეს პორტრეტი შენს ნამდვილ სახეს არ უჩვენებს; ვისაც შენი ნამდვილი სახე უნდა იხილოს, შენს წიგნებში ჩაიხედოსო. ასევე წიგნების მიხედვით ცდილობენ შექსპირის წაშლილი ბიოგრაფიის აღდგენას. ამიტომაც იწვევს დავას ცალკეული ფაქტები მისი ცხოვრებისა.

და როცა ჩვენ ზემოთ შექსპირის ცხოვრების სასურველი სიზუსტით აღდგენაზე ვლაპარაკობდით, ასეთ ბიოგრაფიას კი არ ვგულისხმობდით, არამედ მისი სულიერი განცდების ბიოგრაფიას, მისი მსოფლმხედველობის განვითარებასა და გაღრმავებას; იმ განწყობილებას, იმ სულიერ ვნებათა ღელვას, რასაც პოეტი სხვადასხვა დროს, ცალკეული პიესების წერის დროს მოეცვა ხოლმე. ასეთი ბიოგრაფიის აღდგენა კი მართლაც შეუმცდარად შეიძლება. საინტერესო და ცოცხალ სურათს მივიღებთ, როცა ასეთი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დავალაგებთ შექსპირის პიესებს.

რა წყნარი და უშფოთველი ჩანს მისი ჭაბუკობის წლები, ის მონაკვეთი დროისა, როცა დიდი პოეტის შემოქმედება იწყება. რა უზრუნველად იცინიან მისი გმირები, როგორ შეჰხარიან ძახეს, ბუსებას, სიცოცხლეს... როგორ ფართო მკერდით სუნთქავს ავტორი და რა იმედით შეჰყურებს მომავალს. ადამიანების ცალკეული ნაკლოვანებანი აქაც გვხვდება, მაგრამ აქ თითქოს უბოროტო, მისატევებელ ცოდვებად გვეელინება. ავტორი ღმერთის დიდსულოვნებით დასცქერის ზემოდან ამ მიწიერ ცოდვებს და მხოლოდღა ეღიმება, კეთილაღ დასცინის. რადგან ჯერ ისევ სჯერა, რომ საბოლოოდ დიდი ადამიანური სიკეთე იზეიმებს, თეითონვე აფერადებს იმ ცალკეულ შეცდომებს, კომიკურ საბურველში ახვევს, ანელებს, ჯერ გული არ გასტეხია ადამიანებზე. ასეთია მისი დიდი ლირიზმით გამთბარი და გაბრწყინებული კომედიები. თუნდაც გვირგვინი ამ კომედიებისა — „ზაფხულის ღამის სიზმარი", რომელიც დიდი პოეტურობით გამოირჩევა. საგულისხმოა, რომ ამ კომედიების გმირები უფრო ხშირად ბუნების წიაღში გეხვდებიან, ბუნებაში იშლება მოქმედება, ხან მცსუნვარე მზე ანათებს ამ გმირებს, ხან მთვარის სინათლეზე გადაიშლება ხოლმე მათი სასაცილო ურთიერთობა. ჩვენს გულიან სიცილს თითქოს ნაკადულების რაკრაკიც, ერთვის, შორეული ძაღლის ყეფა, გუგულის მოძახილი, ჩიტების სტვენა... ისეთი გამჭვირვალეა ჰაერი, ირგვლივ ისეთ სიწმინდესა და სიფაქიზეს დაუსადგურებია, რომ ზოგჯერ თითქოს, ღამის სიწყნარეში, კვირტების ზრდის ჩქამიც კი ჩაგვესმის. ბუნების ამ პირველყოფილ სიწმინდეში ბოროტება ვერ დაიბუდებს!..

ამავე პერიოდს განეკუთვნება ისტორიული ქრონიკებიც. მათ შორის, ორნაწილიანი ქრონიკა „ჰენრი IV", რომელსაც დიდი დრამატურგის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ტრაგედიებსაც ვხვდებით ამ პერიოდში. ზოგჯერ თითქოს მოიღრუბლება დიდი დრამატურგი. ცრემლი მოერევა. მკითხველსა და მაყურებელსაც ატირებს. მაგრამ ეს ტრაგედიები თითქოს სტიქიური უბედურებით არის გამოწვეული — გვაწუხებს, მაგრამ არ გვაძრწუნებს; ცრემლსა გვგვრის, მაგრამ გულს ჩისხვით არ გვიშფოთებს. ასეთია თუნდაც „რომეო და ჯულიეტა". მართალია, აქ ორი სპეტაკი ყმაწვილის სიცოცხლე ადამიანური ურთიერთობის უკუღმართობამ შეიწირა, მაგრამ მკითხველი ქვეცნობიერად გრძნობს, რომ ამ უკუღმართობას ყაელი უკვე გასული აქვს, ძველი დროის გამო-

ყოლილია და წარსულს ბარდება. ამ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე „ვენეციელი ვაჭარი“, რომელიც ტრაგედიისა და კომედიის მიჯნაზე დგას. როცა ვლაპარაკობთ ძველი დროისგან ნაძოყოლილი ადამიანური ურთიერთობის უკუღმართობაზე, საკვარელო მტრობას, ფეოდალურ შუღლსა ვგულისხმობთ, რამაც ორი მშვენიერი ადამიანი იმსხვერპლა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქვე ჩანს კონტურები იმ დიდი უბედურებისა, რაც ახალ დროს მოაქვს. ამავე პიესაში შექსპირი მწარედ ათქმევინებს ერთ გმირს: აჰა, შენ ოქრო მაგ შხამის საფასურად. ეს ოქრო უფრო წამლავს ადამიანს, ვიდრე შხამი, რასაც მე შენგან თავის მოსაწამლად ვყიდულობთ. გავიხსენოთ თუნდაც ამომავალი კლასის ტიპიური წარმომადგენლის მევახშე შაილოკის სახე, რომელიც ცერბერის სიფხიზლით დარაჯობს თავისი კლასის ინტერესებს, ცალ ხელში ალესილი დანა უჭირავს, მეორეში სასწორი, რათა დაგვიანებული ვალის საფასურში ცოცხალ ადამიანს ხორცი ჩამოსჭრას და აწონოს.

მაგრამ რა უცებ ამოკრილა ჭარიშხალი, რა ხანმოკლე გამომდგარა ის სიხარული და იმედები, როგორ ერთბაშად გასტეხია გული პოეტს.

სულ რამდენიმე წელიწადი — და დიდი მხატვრის ტილოზე მუქი ფერები ჩნდება, მისი გმირების გულში გრიგალი დატრიალებულა და სიხარულის ნაცვლად განწირულებას დაუხადგურებია. პატიოსან ადამიანს აღარ ეცხოვრება. ქვეყანა თითქოს „გაუმარგლავი ბაღი“ გახდა, საცა „ღვარძლი მორეულა“ და სულს უხუთავს ადამიანს. ისე ძნელი გახდარა სინამდვილისათვის თვალის გასწორება, რომ აღარ იცის კაცმა — ღირს კი შეებრძოლოს ამ „მოზღვავებულ უბედურებას?!“

აი, ეს გვიშლის
და გრძელს ცხოვრებას ჩვენსას იგი გრძელ ტანჯვად ხდის.
ვინ მოითმენდა უამისოდ ქამთა სომწარეს,
მტარვალის ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას,
ტანჯვას მწვავეს, უარყოფილ სიყვარულისას,
მართლმსაჯულების გვიანობას, შძლავრთ უკმეხობას,
შეურაცხყოფას ღირსეულს უღირსისაგან...[1]

[1] „ჰამლეტი“. ა. მაჩაბლის თარგმანი.

დანია საპყრობილეა, ამბობს შექსპირის ერთი გმირი — ცხოვრებით სასოწარკვეთილი ადამიანი, და ამ „დანიაში“ შექსპირის-დროინდელი ეპოქა იგულისხმება. ერთიმეორეს მოსდევს შექსპირის დიდებული, საკაცობრიო ტრაგედიები, სადაც ცხოვრების უკუღმართობასა და უსამართლობას პატიოსანი ადამიანები ეწირებიან, სადაც კეთილს ბოროტი შესჭიდებია და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის.

ეს ტრაგედიები უკვე გვაძრწუნებენ, აქ ყოველ ნაბიჯზე ადამიანური ბოროტებისა და მანკიერების საშინელება გადაგვეშლება. ავტორი შეუბრალებელი სიმკაცრით ამხილებს ამ მანკიერებას, ყოველი კუთხით გვაჩვენებს, ყოველგვარ ვითარებაში გადაგვიშლის, მუქ საღებავებს არ იშურებს, რათა ამ საშინელების ფონზე უფრო მკაფიოდ გვაჩვენოს პატიოსანი ადამიანის განწირულება. ამ ტრაგედიების მოქმედებას ბუნების წიაღში უკვე იშვიათად ვხვდებით. გმირების სამოქმედო ასპარეზი პირქუში სასახლეები, ტაუერი, ჩაბნელებული პალატები გამხდარა, საცა ყოველ ჩაბნელებულ კუთხეში ბოროტება ჩასაფრებულა. პატიოსან ადამიანს ყოველი კუნჭულიდან ბოროტი თვალი ზვერავს. ჰაერი მოშხამულია, სუნთქვა ჭირს. თუ ზოგჯერ ამ პირქუში შენობებიდან ბუნებაში გავიდა მოქმედება, ცას უკვე ძველი გამჭვირვალობა აღარ შერჩენია, შავი ღრუბლებით არის დამძიმებული, ბნელი და ნესტიანია. ამ პერიოდშია შექმნილი დიდი ტრაგედიები — „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“, „ოტელო“, „კორიოლანოსი“...

ერთი წუთით დავარღვიოთ ჩვენი ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. „ჰამლეტის“ ან „მეფე ლირის“ შემდეგ „ზაფხულის ღამის სიზმარს“ რომ გადაიკითხავ, არა გჯერა ერთი კაცის დაწერილი თუა, რა საოცარი სილაღე და სიმსუბუქეა, რა სინათლეა, როგორ ლაღად ძგერს გული. თითქოს იმ დიდ უბედურებაზე, რასაც ტრაგედიებში ვხედავთ, თავის დღეში არ ეფიქროს ავტორს.

ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ თემას მუდამ წარმოადგენდა ბოროტის წინააღმდეგ კეთილის ბრძოლა. ჯერ კიდევ შოთა რუსთაველი ამბობდა — ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია. დიდი ინგლისელი მწერლის დიკენსის მთელი შემოქმედება ბოროტის წინააღმდეგ კეთილის ბრძოლას წარმოადგენს. მაგრამ დიკენსის რომანებში ამ ბრძოლის მასშტაბი სულ სხვაა, იგი უფრო ყოფითია, ყოველდღიური ცხოვრების ჩარჩოებით შემოზღუდული.

შექსპირის ტრაგედიებში კი კეთილისა და ბოროტის შეჯიდება კოსმოსურ მასშტაბებს მოიცავს, ცნობილი ინგლისური ხალხური ეპოსის გმირის ბეოვულფის ზღვის ურჩხულთან შეჯიდებას ჰგავს, როცა მიწას ზანზარი გაუდიოდა. ბეოვულფი აქ შემთხვევით არ გვიხსენებია — შექსპირის მთელი შემოქმედება ხალხიდან გამოდის და ხალხური სიბრძნითა და შემართებით საზრდოობს.

ლიტერატურის ისტორიაში შექსპირის შემოქმედების ამ პერიოდს, ამ დიდი საკაცობრიო ტრაგედიების პერიოდს, პესიმისტურს უწოდებენ. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ტერმინი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვიხმაროთ, რადგან ყოველ ამ ტრაგედიაში ბოლოს მაინც იმედის შუქი კიაფობს. ამრიგად, შექსპირს პესიმისტი არ შეიძლება ეწოდოს, რადგან მის ტრაგედიებში განწირულება კი არ მძლავრობს, არამედ ბრძოლის სული ტრიალებს, ხოლო საცა ასეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილია, სადაც ბოროტს კეთილი ებრძვის, იქ პესიმისტური განწყობილება ვერ იბოგინებს, რადგან „არსება ამ კეთილი განწყობილებისა მუდამ გრძელია“.

ხალხურობის საკითხი მეტად დიდი და მნიშვნელოვანია შექსპირის შემოქმედებაში. ლიტერატურის ისტორიაში ამას მუდამ აღნიშნავენ და საგანგებო გამოკვლევებსაც კი უთმობენ. მაგრამ შექსპირის ხალხურობის დასამტკიცებლად ის კი არ უნდა ვითვალოთ, მის ამა თუ იმ პიესაში ხალხის მასა რამდენჯერ არის გამოყვანილი, ან რამდენჯერ ხმარობს ამა თუ იმ ხალხურ გამოთქმას ავტორი თავის ქმნილებებში. ამ მხრივ სხვა რამეა უფრო საინტერესო. სახელდობრ. შექსპირის დიდი ოპტიმიზმი, დიდი იმედიანობა, მომავლის რწმენა, და მძიმე ტრაგიკულ ვითარებაშიაც კი მხნე განწყობილება. სწორედ ეს გამომდინარეობს ხალხის ბუნებიდან, და ხალხური ეპოსისათვის სწორედ ეს არის დამახასიათებელი ყოველ დროსა და ყოველ ქვეყანაში.

არსად არ ღალატობს შექსპირი თავის დიდ ოპტიმიზმს. არა მარტო პიესებში, სადაც ამბის სიუჟეტური განვითარება საშუალებას აძლევს ავტორს უფრო მარჯვედ დაუპირისპიროს ბოროტს კეთილი და დიდი განწირულების მიუხედავად, იმედის სხივი მაინც დასტოვოს, მომავლის რწმენა მაინც არ დაუკარგოს „ფეხით გათელილ სიმართლესა და სათნოებას“, არამედ ლექსებშიც, კერძოდ მის სონეტებში, რომლებიც ერთის სუნთქვით არის დაწერილი და

თითქოს უფრო ძნელი უნდა იყოს იქ, იმ საშინელი განწირულების აღწერის შემდეგ, ოპტიმისტური ლანწყობილების მორგება. ამ მხრივ საინტერესოა შექსპირის ცნობილი 66-ე სონეტი, რომელსაც სამართლიანად ყოფნა-არყოფნის მონოლოგს ადარებენ ხოლმე. როგორც ჰამლეტის ცნობილ მონოლოგში, აქაც აღწერილია მთელი ის ბოროტება და საშინელება, რაც ქვეყნაო გამეფებულა და დაუსჯელად ზეიმობს — უვიცობა, გალანძღული და შერცხვენილი სათნოება, ორპირობა, გაუტანლობა, პოროტის მონადქცეული სიკეთე, ძალმომრეობის მიერ ენადაბმული ხელოვნება, სისულელის ზეიმი... ამ გამეფებული უსამართლობით დაქანცული პოეტი პირველსავე სტრიქონში სიკვდილს მოუხმობს, მაგრამ ბოლო ორ სტრიქონში, რაც ერთგვარ დასკვნას წარმოადგენს ხოლმე შექსპირის სონეტებში, ავტორი კვლავ სიცოცხლისაკენ მოუწოდებს:

შე დავიქანცე, წამიყვანე, სიკვდილო, ჩქარა,
რომ აღარ ვნახო ღირსეულნი ფეხით თელილი,
აღარ ვიხილო უვიცობის ზეიმი მარად,
არც სათნოება გალანძღული და შერცხვენილი.
უნამუსოებს თავს ნამუსის გვირგვინი ბურავს,
ღა უძლურება ძლიერებას უკარგავს ძალას,
არარაობა უსამართლოდ განდიდებულა
და სამართალი ცრუ დიდებას ხარკს უხდის კვალად.
სათელ გონებას გზას უღობავს უგუნურება,
ენადაბმული ხელოვნება უღელქვეშ კვდება,
კეთილი საქმე ბოროტებას ემსახურება
და სასაცილოდ აუგდიათ ჰეშმარიტება.
მე მოვკვდებოდი, მოქანცული ამდენი თმენით,
რომ არ მიმძიმდეს, სიყვარულო, დათმობა შენი.

მივყვეთ ისევ ჩვენს ქრონოლოგიას. შექსპირის დიდი ენებათღლება თანდათან დამცხრალა. ოღონდ ეს არ არის სიმშვიდის დაცხრომა. ეს უფრო დიდი ტკივილების შემდეგ სხეულის გაბრუებასა ჰგავს, აგონიაგამოვლილი ადამიანის მიყუჩებას. ახლა კი თითქოს ნამდვილად განზე გამდგარა შექსპირი, ცხოვრებასთან შეგუებას ცდილობს, თავის მოტყუებას. იმ საშინელების დავიწყებას, რაც სულ ცოტა ხნის წინათ თვითონვე მთელი სიმძაფრითა და სიმართლით აღწერა. ამ პერიოდის პიესებიდან გამოირჩევა „ქარიშხალი", მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოები.

იმდროინდელი განწყობილება შექსპირიაა აშკარაა პიესების მიხედვით. მაგრამ მიზეზი ასეთი განწყობილებისა ძნელად დასადგენია, ბურუსით არის მოცული.

ზედიზედ რამდენიმე ბრწყინვალე ტრაგედიის შექმნის შემდეგ, იმ ტრაგედიების შემდეგ, რომელთაც შექსპირს კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მწერლის სახელი მოუხვეჭეს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცმა რატომ მიატოვა სცენა, რატომ დასტოვა ლონდონი და თავის სამშობლო ქალაქ სტრადფორდში რად გაემგზავრა? მშობლიურ ქალაქში დაბრუნება, რა თქმა უნდა, ასე გასაკვირი არ უნდა იყოს; მაგრამ ჩვენთვის ეს საინტერესოა იმიტომ, რომ სტრადფორდს დაბრუნება შექსპირის ცხოვრებიდან განდგომას დაემთხვა. დანამდვილებით არავინ იცის, რა მოხდა ისეთი შექსპირის ცხოვრებაში, რომ იმ დიდი ქარიშხლოვანი ტრაგედიების შემდეგ იგი შორიდან უყურებს ცხოვრებას და ერთგვარ შემარიგებლობას იჩენს, თუმცა შექსპირი მაინც შექსპირია და ბოლო ნაწარმოებებშიაც იგი კვლავ დიდ მხატვრად გვეელინება. მართალია, შექსპირის ბიოგრაფებს ამაზეც აქვთ პასუხი, მაგრამ მხოლოდ სავარაუდო და ნაკლებად დამაჯერებელი.

სამშობლო ქალაქში დაბრუნების შემდეგ ოთხიოდე წელსღა იცოცხლა შექსპირმა და 1616 წელს, როგორც ვარაუდობენ, დაბადების დღეს, 23 აპრილს, მოულოდნელად გარდაიცვალა. დანამდვილებით ჯერაც არ არის გარკვეული რისგან და როგორ. შექსპირის საფლავის ქვაზე მის ახლობლებს ეპიტაფია წაუწერიათ:

ქრისტეს გაფიცებთ, შეისმინეთ მხურვალე ხვეწნა —
ამ ჩემს სამარეს ნუ დაუწყებთ თხრასა და წეწვას.
ვინც მომასვენებს — გაიხარეს!.. და იმას ვწყევლი,
ჩემს ძვლებს მიწაში ვინც შეახოს თავისი ხელი.

ამაოდ გამოუჩენიათ სიფრთხილე. თითქმის მთელი საუკუნე გავიდა შექსპირის გარდაცვალების დღიდან და გარდა თითო-ოროლა ღირსეული ადამიანისა, დიდად აღარავის შეუწუხებია თავი მისი მოგონებით. თეატრები, რასთანაც განუყრელად იყო დაკავშირებული შექსპირის დიდება, თითქმის სულ დაიხურა, და არც ის მოჰგონებიათ, რომ მისი პიესების წაკითხვა უთეატროდაც შეიძლებოდა. ხოლო დაახლოებით საუკუნე-ნახევრის შემდეგ, როცა შექსპირის

დიდების ვარსკვლავი კვლავ ამობრწყინდა, მისი ძვლები მართლაც არავის შეუწუხებია, მაგრამ სულში კი დაუწყეს ხელის ფათური. გამოჩნდა ხალხი, რომელთაც დიდებული ტრაგედიების შემქმნელად საეჭვოდ ჩათვალეს ეს უბრალო კაცი და ხან ფილოსოფოსი ბეკონი მიიჩნიეს მათ ავტორად, ხან გრაფი რეტლენდი და ხან ვინ და ხან ვინ. ეს უსარგებლო „კვლევა-ძიება“ დღესაც გრძელდება, თუმცა ნაკლები ხალისით.

მართალია, შექსპირს თავისი ფილოსოფიური სისტემა არ ჩამოუყალიბებია, საკუთარი ფილოსოფიური სკოლა არ შეუქმნია, მაგრამ ეს არც იყო საჭირო დიდებული პიესების დასაწერად. მის შემოქმედებაში გამოსჭვივის დიდი ცხოვრებისეული ფილოსოფია, ხალასი ნიჭი და გენია. ალბათ გაძნელდება მეორე ისეთი შემოქმედის დასახელება — რომელ დარგშიაც არ უნდა იყოს: გინდ მხატვრობაში, გინდ მწერლობასა და მუსიკაში, — რომელიც ახერხებდეს თავის მეორე ნაწარმოებში ოდნავადაც კი თავისი თავი არ გაიმეოროს. შექსპირი ამას ახერხებს. იგი არსად არ იმეორებს თავს. ტიპების ამ დიდ გალერეაში ერთი სახე მეორეს არა ჰგავს, ერთი სიტუაცია მეორეს არ ემთხვევა. შექსპირის ერთ-ერთი დიდი მკვლევარი, გამოჩენილი ინგლისელი პოეტი კოლრიჯი მას უწოდებს „გონების ოკეანეს“, „ათასსულიან შექსპირს“, და ამით ხაზს უსვამს მისი სახეების სიმრავლეს და მრავალფეროვნებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ შექსპირის გმირთა ხასიათების მრავალმხრივობა. როდესაც მას ბოროტი ადამიანი გამოჰყავს, სულაც არ ცდილობს ის სიკეთე მიუჩქმალოს, რაც ყოველთვის შეიძლება ბოროტ ადამიანსაც კი ჰქონდეს. იმდენად დიდია მისი სიმართლის ძალა, რომ არ ეშინია ამისი. არც იმას ერიდება, სიკეთის განმასახიერებელ გმირს ნაკლი შენიშნოს და ამხილოს ეს მანკიერება. სწორედ აქედან წარმოსდგება მისი გმირების ხასიათთა მრავალფეროვნება და სიმდიდრე. პუშკინი ადარებს მოლიერისა და შექსპირის ძუნწს და წერს: „შაილოკი მრავალმხრივი კაცია — ძუნწი, გონიერი, შურისმგებელი, მოსიყვარულე მამა, ენამოსწრებული... მოლიერის ძუნწი კი მხოლოდ ძუნწია და სხვა არაფერი“. „ჰენრი IV-ში“, ისე როგორც სხვა ქრონიკებშიაც, შექსპირი მომხრეა ცენტრალიზებული ეროვნული სახელმწიფოსი, ნაჩვენებია გამძაფრებული ბრძოლები მეფესა და ფეოდალებს შორის. ავტორის მსოფლმხედველო-

ბა აშკარაა. მაგრამ შექსპირი არ ერიდება დაგვიხატოს მეფე მთელი თავისი უარყოფითი თვისებებით, გვაჩვენოს მისი მორალური ვარდნა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პიესა სხვა რამითაც საყურადღებოა. ჯერ ერთი, აქ არის გამოყვანილი ფოლსტაფი — სახე, რომელიც შექსპირის გმირთა გალერეაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა თავისი სისრულით, მრავალმხრივობით, რეალისტური გამოკვეთით... პიესა ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ მეფის კარისა და წარჩინებულთა აღწერასთან ერთად, რაც სხვა ისტორიულ ქრონიკებშიაც სრულად და დამაჯერებლად არის მოცემული, აქ ფილიგრანული სიზუსტით არის დახატული დაბალი ფენები. უბრალო მოხელეები, სამიკიტნოებისა და ფუნდუკების მუშტრები, საზოგადოების წუმპე. ისეთი რეალისტური დამაჯერებლობით გვიხატავს შექსპირი საზოგადოების ამ ორ ფენას, რომ ჩვენს წინ მთელი ეპოქა ცოცხლდება, თავისი სუნთქვით, თავისი სურნელებით, თავისი მუსიკით. შექსპირის შემდეგ საზოგადოების ამ დაბალი ფენის ასეთი რეალისტური სიზუსტით, სისრულითა და დამაჯერებლობით დახატვა ინგლისურ ლიტერატურაში პირველად მხოლოდ დიკენსთან გვხვდება.

შექსპირი უპირველეს ყოვლისა დიდი პოეტია. და ეს მაღალი პოეზია თანაბარი ძალით გამოსჭვივის მის ტრაგედიებშიც, კომედიებშიც და სონეტებშიც. იგი ყველგან ჯადოქრული სიმარჯვითა და ოსტატობით ახერხებს უაღრესად დაძაბული დრამატული ეპიზოდი თუ მეტისმეტად კომიკური სიტუაცია მაღალი პოეტური ელვარებით გააბრწყინოს.

ერთი ფრანგი ლიტერატორი წერს — შექსპირის შემოქმედება სიცოცხლისა და სილამაზის დიდი მდინარეაო.

ორი საუკუნის წინათ გაარღვია ამ დიდმა მდინარემ ეროვნული ჯებირი და თავისი უხვი და მაცოცხლებელი ტალღებით თითქმის ყველგან შეიჭრა.

შექსპირი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში მოევლინა სხვადასხვა ქვეყანას. და ყველგან მისი გამოჩენა მთელი მოვლენა იყო. ყველგან იგი ცოცხლდებოდა როგორც საკუთარი ეროვნული მწერალი და მისი სიდიადე ყველგან იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ მოარგებდნენ ამა თუ იმ ენასა და მეტყველებას მის დიდებულ სტრიქონებს.

საქართველოში შექსპირის პირველი თარგმანი მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ეს იყო დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილი „რომეო და ჯულიეტა“. მას შემდეგ ბევრმა სცადა დიდი ინგლისელი მწერლის ტრაგედიებისა და კომედიების თარგმნა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ცდა. ის პირველი თარგმანები ოდნავადაც კი ვერ გადმოსცემდა ორიგინალის სიღრმესა და სილამაზეს.

ისევე როგორც ბევრი სხვა დიდებული საქმე, შექსპირის ქართულ ენასა და ქართულ სცენაზე ღირსეული დამკვიდრებაც ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. პეტერბურგიდან დაბრუნებული ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა ილია, ოცნებობს ახალფეხადგმულ ქართულ სცენაზე იხილოს შექსპირის პიესები. თავისივე ინიციატივით ცოცხალ სურათებსა დგამს „მეფე ლირიდან“ და ლირს თვითონ ანსახიერებს. ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით, 1873 წელს, თავის უმცროს თანამოკალმე ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნის კიდეც ამ უკვდავ ტრაგედიას. ეს იყო პირველი ნაწარმოები შექსპირისა, რომელიც ღირსეულად აღერდა ქართულ ენაზე. ამას მოჰყვა სხვა ტრაგედიებიც, ამჯერად მარტო მაჩაბლის მიერ თარგმნილი.

ნამდვილი შექსპირი თავისი დიდი ჰუმანიზმითა და ენებათღელვანით, საოცარი დინამიურობითა და სიტყვის ჯადოქრობით, ხალხური უბრალოებითა და მიმზიდველი სილაღით სწორედ ამ თარგმანებმა განაცდევინეს ქართველ მკითხველს.

მაჩაბლის თარგმანებმავე განაპირობეს შექსპირის საარაკო გამარჯვება ქართულ ხელოვნებაშიაც, და არა მარტო დრამატული თეატრის სცენაზე, სადაც ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ სხვადასხვა დროისა და თაობების ბრწყინვალე მსახიობები, რომლებიც თამამად ამოუდგებიან გვერდში შექსპირისეული როლების შემსრულებელ რომელი გინდა ქვეყნის დიდ კორიფეებს, არამედ ხელოვნების სხვა დარგშიაც — კერძოდ, მხატვრობასა, მუსიკასა და ბალეტშიაც. ზოგს იქნებ ეს პარადოქსადაც მოეჩვენოს — აბა როგორ უნდა განაპირობოს მაჩაბელმა თავისი ლიტერატურული თარგმანებით შექსპირის გამარჯვება ბალეტსა და მუსიკაშიო? მაგრამ ეს სრული ჰეშმარიტებაა. და აქ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო შთაგონების ის დიდი ძალა, რაც მაჩაბლის სტრიქონებმა ბავშვობაშივე შთაბერეს ჩვენს დიდ ხელოვანთ, არამედ, აგრეთვე, მეტად თვალსაჩინო მეთოდი — რომ ბრმად, „სიტყვა-სიტყვით“ კი არ ვად-

მოიტანონ შექსპირის გენიალური სახეები და იდეები, არამედ ქართულს მოარგონ, ქართულ საწყისებს დაამყნონ — იქნება ეს ქართული სიმღერა, ცეკვა თუ ჩვენი ძველი ბრწყინვალე ფრესკები და მოხატულობანი.

1964 წ.

## ჯონ მილტონი

ინგლისური ლიტერატურის სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებს რომ გადახედოთ, ბევრგან შეხვდებით ასეთ შენიშვნას: იმ დიდ პოეტთაგან, რომელთაც ინგლისურ პოეზიას საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი, შექსპირის გვერდით, უყოყმანოდ, მხოლოდ მილტონის დასახელება თუ შეიძლებაო. ასეთი ზოგადი შედარება უხერხულიც არის და გულუბრყვილოც, მაგრამ ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ თვალსაჩინო წარმოდგენას გვაძლევს, რა პოპულარობით სარგებლობს თავის ქვეყანაში ჯონ მილტონი — ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მომღერალი, უკვდავი პოემების „დაკარგული სამოთხისა“ და „სამსონის“ ავტორი. მილტონი შექსპირის თანამედროვედ შეიძლება ჩაითვალოს: დიდი დრამატურგი რომ გარდაიცვალა, მილტონს უკვე მიღებული ჰქონდა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში და წმ. პავლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა. მხოლოდ შემთხვევას უნდა მიეწეროს ის უცნაური ფაქტი, რომ ამ ორ, თითქმის ერთმანეთის თანამედროვე მწერალთაგან — ერთის ბიოგრაფია სრული წყვდიადითაა მოცული, ხოლო მეორესი ისე დაწვრილებით არის აღნუსხული, რომ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია აღადგინოს მისი ცხოვრების ყოველი უმნიშვნელო დეტალიც კი. არსებობს ექვსტომიანი ბიოგრაფია მილტონისა, საცა დიდის გულმოდგინებით არის მოთხრობილი ყოველგვარი წვრილმანი, რაც კი მწერალს შეეხება — მისი ოჯახური გარემო, იმ სახლის აღწერილობა, სადაც იგი დაიბადა და ცხოვრობდა, პირველდაწყებითი განათლება, სკოლისა და უნივერსიტეტის წლები, მოგზაურობა, მისი რთული მოღვაწეობა, ურთიერთობა

ყველა ნაცნობსა თუ მეგობართან (ამ ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავების დაწვრილებითი თავგადასავალიც კი), ცალკეულ ნაწარმოებებზე მუშაობის დეტალები, მისი განწყობილება სხვადასხვა დროსა თუ სხვადასხვა პირობებში, მისი ადამიანური თვისებები, ჩვეულებები... ერთი სიტყვით, ამ ბიოგრაფიის წყალობით, მკითხველს საშუალება ეძლევა თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს, ზედმიწევნითი თანმიმდევრობით გააცოცხლოს მწერლის მიერ ერთხელ უკვე გავლილი ცხოვრების მთელი სიმწარე თუ სიტკბო, სადაც, აქვე უნდა ითქვას, სიმწარე სჭარბობს.

ბიოგრაფები მილტონის ცხოვრებას სამაქტიან დრამას უწოდებენ. ეს მართლაც მოხდენილი გამოთქმაა და კარგად გამოხატავს მწერლის ცხოვრების მთელს გზას. მოხდენილი და შესაფერია არა მარტო იმიტომ, რომ პოეტის ცხოვრება თავისუფლად შეიძლება გაიყოს სამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ პერიოდად, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ მისი ცხოვრება მართლაც მღელვარე დრამას წარმოადგენს, თავისი დიდი ვნებათღელვანით, დიდი ძვრებითა და სევდიანი დასასრულით.

პოეტის პაპა მეტყეველ ყოფილა, ოქსფორდის მახლობლად მსახურობდა შოტოვერის ტყის მეთვალყურედ. თავგამოდებულ კათოლიკეს შვილისათვის პროტესტანტობა შეუმჩნევია (მის ოთახში ინგლისური ბიბლია უპოვია, რაც მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა რომაული კათოლიციზმის ჭეშმარიტი მიმდევრისათვის) და მემკვიდრეობა წაურთმევია. ახალგაზრდა კაცი, მომავალი დიდი პოეტის მამა, იძულებული გამხდარა თავად ეზრუნა საკუთარ ბედზე — ლონდონს გამგზავრებულა, ჯერ სანოტარო კანტორაში დაუწყია მუშაობა, მერე, ეტყობა, საკუთარი ნიჭის წყალობით, თავი გამოუჩენია, ჰკვიანი ვექილის სახელი მოუხვეჭია და კარგა დიდი სიმდიდრეც შეუძენია.

ეს შეიძლება ერთგვარ პროლოგად ჩავთვალოთ იმ სამაქტიანი დრამისათვის, რომელსაც მილტონის ცხოვრება ეწოდება.

ჯონ მილტონი 1608 წლის 9 დეკემბერს დაიბადა. მამისაგან მას, როგორც ბიოგრაფები გადმოგვცემენ, მწერლობისა და მუსიკის დიდი ნიჭი და მისწრაფება გამოჰყოლია, დედისა — სათნოება და მხედველობის სისუსტე. ამ შთამომავლობითმა მიდრეკილებებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს როგორც პოეტის შემოქმედებაზე.

ისე მის პირად ცხოვრებაზე. მუსიკის უბრალო მოყვარული კი არ ყოფილა მამა, თვითონვე თხზავდა, თავისი დროის გამოჩენილ კომპოზიტორად ითვლებოდა. წერდა ლექსებსაც. მამამ გადაწყვიტა შვილისთვის ფართო ლიტერატურული და მუსიკალური განათლება მიეცა. პირველი მასწავლებელი თვითონვე იყო. ბავშვი ძალიან ბეჯითი გამოდგა. თამაშობით ნაკლებად ერთობოდა, თითქმის მთელი დღეები წიგნებს უჯდა. თვითონვე იგონებს, „რაც თორმეტი წლისა გავხდი, მერე არ მახსოვს შუაღამემდე დავწოლილიყავი ლოგინში, ერთთავად ვმეცადინეობდიო“. ასეთი ბეჯითი მეცადინეობისა და განსაკუთრებული ლინგვისტური ნიჭის წყალობით მან პატარობაშივე სრულყოფილად შეისწავლა ლათინური და ბერძნული, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით — ფრანგული, იტალიური, ებრაული, ქალდეური, სირიული...

თექვსმეტი წლის ჯონ მილტონი კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტია. იგი არც სტუდენტობის დროს ღალატობს ბავშვობის ჩვეულებას — მთელ თავისუფალ დროს კითხვას და მეცადინეობას ანდომებს. დროდადრო წერს ლექსებს. საგულისხმოა, რომ ლექსებს იგი თავდაპირველად ლათინურად წერდა. სტუდენტობის დროსვე რამდენიმე ლექსი დედაენაზეც დაწერა, ინგლისურად. ხოლო სონეტები რაც აგრეთვე უნივერსიტეტის ხანას განეკუთვნება, დაწერილი აქვს იტალიურად, რადგან იტალია კლასიკური სონეტის სამშობლოდ ითვლებოდა. აქ საინტერესო ისიცაა, რომ მან სრულყოფილად, როგორც დედაენა, რამდენიმე ენა იცოდა. შვიდი წელი დაჰყო უნივერსიტეტში მილტონმა. ამის შემდეგ იგი დასახლდა სოფელში და ბუნების სიმყუდროვეში კვლავ განაგრძო მეცადინეობა და შემოქმედებითი მუშაობა. მიუხედავად საოცარი სიბეჯითისა და გულმოდგინებისა, რითაც მილტონი ცოდნას ეწაფებოდა, გულში იგი მაინც უკმაყოფილო იყო, რატომ მეტი ვერ მოვასწარიო; ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ რაღაც დიდი საქმისათვის იყო მოწოდებული და იმ საქმისათვის ემზადებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ლექსი, დაწერილი თავისი დაბადების ოცდამესამე წლისთავზე. იგი ჰკიცხავს დროს, ყმაწვილკაცობის ამ „დახელოვნებულ ქურდს“, რომელმაც შეუმჩნევლად მოჰპარა მას ოცდასამი წელი. პოეტი უკმაყოფილოა, რატომ მეტის გაკეთება ვერ შესძლო. მოწიფულობის ზღურბლზე მდგომს ამაღლებული მიზნები ამოძრავებს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სოფლად გატარებული რამდენიმე წელი ყველაზე უფრო მშვიდი და უზრუნველი იყო პოეტის ცხოვრებაში.

ამ დროისათვის უკვე კარგა დიდი სიმდიდრის პატრონმა მამამ თავი დაანება მუშაობას და სოფლად დასახლდა, ჰორტონში. სწორედ ამ მყუდრო სოფელში გაატარა მილტონმა ოთხი თუ ხუთი უზრუნველი წელი. გარეშე ხალხისათვის ეს მეტად უცნაური ძოვლენა იყო — უნივერსიტეტდამთავრებულ ახალგაზრდას, ჩვეულებისამებრ, მაშინვე სამსახურისათვის უნდა მოეკიდა ხელი, მამის ხელობას გაჰყოლოდა ან არადა მღვდლად კურთხებულიყო, როგორც ეს თავიდანვე ჰქონდა გათვალისწინებული. მღვდლობა მილტონმა არ ისურვა, არც მამის ხელობას გაჰყვა. მისი მოწოდება სულ სხვა რამ იყო და ამისთვის ემზადებოდა. მაგრამ 5 წლის „უქმად“ ყოფნამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მეზობლები და ნათესავ-მეგობრები სიზარმაცეს უკიჟინებდნენ ახალგაზრდა პოეტს, სიზარმაცეს სწამებდნენ მას, ვინც დილის რიჟრაჟიდან შუაღამემდე თავაუღებლად მუშაობდა, ჯანის სიმრთელეს ინადგურებდა, თვალის სინათლეს იშრეტდა. თითქოს იგი წინასწარ გრძნობდა დიდ ცხოვრებისეულ ტრაგედიას — სრულ სიბრმავეს, რაც რამდენიმე წლის შემდეგ დაატყდა თავს — და ეშურებოდა, რათა მეტი წაეკითხა და განეცადა, რათა დიდ პოემებზე მუშაობის დროს, რაც, აქვე უნდა ითქვას, ადრევე ჰქონდა ჩაფიქრებული, ყველაფერი ზეპირად სცოდნოდა. ავი წინათგრძნობით შეპყრობილი, თითქოს ხარბად ეწაფებოდა ბუნების მომხიბლაობას, რათა ეს შთაბეჭდილებები ცოცხლად გაჰყოლოდა სიბრმავეში და ბევრი მომხიბლავი სურათი ახალნანახივით, ახლად მიღებული შთაბეჭდილებით გადაეტანა ქაღალდზე. ბიოგრაფების გადმოცემით, სოფელი, სადაც ის ოთხი თუ ხუთი წელი გაატარა მილტონმა, მართლაც მომხიბლავი ადგილი იყო, გაშენებული მომაღლო გორაკზე, იქვე სწრაფი მდინარე ჩამოუდიოდა, ერთი მხრივ ტყე ერტყა, აქეთ-იქით — ბაღ-ვენახები, უფრო მოშორებით — გაშლილი მინდვრები, საძოვრებზე შეფენილი ნახირი... სოფელში გატარებული წლები ნაყოფიერი იყო შემოქმედებითადაც. ამ დროს შექმნა მან პიესა-ნიღაბი „კომუსი“, ორი პოემა — „L'Allegro“ და „Il Penseroso“, აგრეთვე რამდენიმე ლექსი, რომელთაგან საინტერესოა ელეგია „ლისიდასი“, რაც მეგობრის დაღუპვამ დააწერინა. პოეტი მისტირის მეგობარს, რო-

მელიც ზღვაში დაიხრჩო, გაუელვებს ფიქრი, ვაითუ მეც ასე უდროოდ დავიღუპო და ველარ მოვახერხო იმის გაკეთება, რისთვისაც მოწოდებული ვარო. როგორც ვხედავთ, ფიქრი იმისა, რომ იგი რაღაც დიდისთვის არის მოწოდებული, არასოდეს არ ასვენებს

როგორც მკვლევარები შენიშნავენ, მილტონის მოღვაწეობის ამ პერიოდს, ისევე როგორც მთელს მის შემოქმედებას, გაორების ბეჭედი ახლავს: ძვალ-რბილში გამჯდარ პურიტანულ მსოფლმხედველობას ჰუმანიზმის იდეები ერწყმის. ერთი მხრივ, იგი აღტაცებულია ანტიკური სამყაროთი, მისი ხელოვნებით, მთელი მისი კულტურით, მაგრამ, ამავე დროს, მისთვის, როგორც პურიტანული სულისკვეთებით გამსჭვალული კაცისათვის, მიუღებელია ის ზედმეტი თავისუფლება, რაც, მაგალითად, ჰომეროსისთვის არის დამახასიათებელი. ასეთი გაორების ნიშნად მკვლევარებს სხვა მაგალითებიც მოჰყავთ. პურიტანული მსოფლმხედველობის მიუხედავად, მილტონი, როგორც ჰეშმარიტი ჰუმანისტი, პატივისმცემელია თეატრისა, სონეტს მიუძღვნის შექსპირს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიესა-ნიღაბსაც წერს...

გაორების კარგ ნიმუშს წარმოადგენს პოემები „L'Allegro" და „Il Penseroso", რომლებიც ერთდროულად შეიქმნა და ერთმა კრიტიკოსმა მოხდენილად „ტყუპი პოემები" უწოდა. „L'Allegro" იტალიურად „მხიარულს" ნიშნავს და ამ პოემაში დახატულია მხიარული ყმაწვილი კაცი, რომელიც დიდად არაფერზე იწუხებს თავს, ნაღველს ახლოსაც არ იკარებს, გატაცებულია შექსპირის პოეზიით. პოემაში მომხიბლავად არის დახატული ბუნების იდილიური სურათები. ერთი სიტყვით, მთელი ნაწარმოები გაჟღენთილია რენესანსული სულით.

სულ სხვა განწყობილებაა მეორე პოემაში. „Il Penseroso" იტალიურად „დაღვრემილს" ნიშნავს და ამ ნაწარმოებში მართლაც პირველი პოემის საპირისპირო განწყობილებაა მოცემული. აქ გამოყვანილი ყმაწვილი კაცი ნაღველს მოუცავს, ერთთავად ჩაფიქრებული და მშმუნვარეა, მხიარულებას ერიდება. სულ მეცნიერულ წიგნებში აქვს თავი ჩარგული. რამე მხატვრული თუ წაიკითხა, უსათუოდ ტრაგედია უნდა იყოს. მუსიკასაც უფრო ნაღვლიანს, სევდის მომგვრელს არჩევს. ნაწარმოები თავიდან ბოლომდე პურიტანული განწყობილებით არის დაწერილი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მილტონისთვის ევროპის კონტინენტზე მოგზაურობას. მან მოიარა საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია... განსაკუთრებით დიდი ხანი დაჰყო იტალიაში. წელიწადხე მეტი დრო გაატარა მან უცხოეთში და ანტიკური სამყაროს პატივისმცემელი პოეტისათვის ეს დრო წარუშლელი შთაბეჭდილებებით იყო სავსე. არ შეიძლება აქვე არ ვახსენოთ, რომ ფლორენციაში ყოფნის დროს იგი შეხვდა და ესაუბრა ინკვიზიციის ტყვეობაში მყოფ უდიდეს მეცნიერსა და ჰუმანისტს გალილეის. შესანიშნავი თემაა მხატვრისათვის — მწირის სენაკში გამოკეტილი, გაწამებული, გვემული, შანთებით დადაღული და დამცირებული ბრმა ტიტანი და მასთან მოსაუბრე ახალგაზრდა მეოცნებე პოეტი, რომელსაც ბედი ამგვარსავე წამებას, გვემას, ტანჯვასა და სიბრმავეს უმზადებს. კარგა ხნის შემდეგ თავის ერთ-ერთ ცნობილ ტრაქტატში მილტონი გაიხსენებს ამ შეხვედრას. აღშფოთებით წერს, როგორ იყო დიდი გენიოსი დადაღული გახურებული შანთებით, როგორ ჰქონდა სხეული დალილავებული! აქვე შევნიშნავთ, რომ ეს შეხვედრა მან გაიხსენა იმ ტრაქტატში, სადაც პოეტი სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას მოითხოვს. სიტყვის თავისუფლების მოაპობა ინკვიზიციის იმ უმაგალითო მხეცობას ჰგავსო, დაასკვნის პოეტი.

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ გალილეისთან შეხვედრის შემდეგ გაუძლიერდა მას სიძულვილი პაპიზმისა და ინკვიზიციის მიმართ. იეზუიტები გრძნობდნენ მის განწყობილებას (საერთოდ, მათთან პაექრობის დროს მილტონი არც ერიდებოდა თავისი აზრების მოურიდებლად გამოთქმას) და გაფაციცებით უთვალთვალებდნენ.

უფრო დიდი ხნით აპირებდა მილტონი იტალიაში დარჩენას, მაგრამ სამშობლოში მომხდარმა ამბებმა დააჩქარეს მისი დაბრუნება. ეს ის დრო არის, როცა ურთიერთობა მონარქიასა და პურიტანულ ბურჟუაზიას შორის სულ უფრო და უფრო მწვავდება და აშკარა ბრძოლის ხასიათს იღებს.

სწორედ უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებით იწყება მილტონის ცხოვრების მეორე აქტი ანუ მისი შემოქმედების მეორე პერიოდი. ეს პერიოდი ორ ათეულ წელს მოიცავს და ხასიათდება დიდი დაძაბულობით, მგზნებარებითა და შემართებით. პოეტი გაბედულად გამოდის პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე, იგი მთე-

ლი ენერგიითა და მონდომებით ემსახურება თავისუფლების საქმეს, პოეტის კალამს დროებით გვერდზე გადასდებს და მთლიანად პუბლიცისტურ მოღვაწეობას მიეცემა.

მაგრამ უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე არ გაწოსულა იგი პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე, ჯერ თითქოს შორიდან ზომავდა, გარედან უყურებდა, აქტიური ბრძოლისათვის ემზადებოდა. პირველად პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა: ჯერ ობლად დარჩენილ დისწულებს დაუწყო სწავლება, მერე რამდენიმე ბავშვი კიდევ მიემატა, და ასე, კერძო სკოლასავით მოაწყო. ასწავლიდა ენებს, მათემატიკას, ასტრონომიას, ბიბლიას... ეს ფაქტი უმთავრესად იმით არის მნიშვნელოვანი და ჩვენც იმიტომ გავამახვილეთ აქ ყურადღება, რომ, როგორც ეტყობა, სწორედ ამან დააწერინა პოეტს ცნობილი პუბლიცისტური წერილი აღზრდის შესახებ. აღზრდის საკითხებზე უნივერსიტეტში ყოფნის დროსაც ბევრჯერ დაფიქრებულა მილტონი. ახლა კი მან მკაფიოდ და მთელი სიმწვავით ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი აღზრდის შესახებ. ადამიანის აღზრდისა და სულიერად ფორმირებს საქმე მას პირველხარისხოვან საკითხად მიაჩნია. სწორედ აღზრდით ხალხს სათნოებაც ექნება, ძლიერი ნებისყოფაც, ხასიათის სიმტკიცეც და ვნებათა დაოკების უნარიც, ამბობს იგი. არავითარი შეზღუდვა! სკოლა სახელმწიფო დაწესებულებად უნდა იქცეს, საიდანაც სულით მტკიცე მოქალაქეები გამოვლენ. „მე მოვითხოვ თავისუფალსა და ყოველმხრივ აღზრდას; ამგვარად აღზრდილი ადამიანი ცხოვრებაში სამართლიანი იქნება, პირადსა თუ საზოგადოებრივ მოვალეობებს ბრძნულად და ვაჟკაცურად შეასრულებს, ომისა თუ შვიდობის დროს“.

იმავე ხანებში მილტონი დაქორწინდა. ეს მოხდა სრულიად მოულოდნელად, როგორც ბიოგრაფები შენიშნავენ, თვითონ პოეტისათვისაც კი მოულოდნელად. მოგზაურობის დროს იგი შემთხვევით გაეცნო სოფლელი ჯენტლმენის როიალისტ რიჩარდ პოუელის ოჯახს, მოეწონა მისი 17 წლის ქალიშვილი მერი და ცოლად შეირთო. ქორწინება ვერ გამოდგა ბედნიერი. რამდენიმე კვირის შემდეგ ქალი მამის სახლში გაემგზავრა, თითქოს მოკლე ვიზიტით. ჩინამდვილეში კი მალე გაირკვა, რომ მას მტკიცედ გადაეწყვიტა, აღარ დაბრუნებოდა ქმარს. გალალებულ ცხოვრებას მიჩვეული ყმაწვილი ქალი ვერ შეეგუა ქმრის ასკეტურ რეჟიმს. ცოლ-ქმრის ხა-

სიათი, პოეტის „ტყუპი პოემების“ გმირების მსგავსად, ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული გამოდგა. ქმარი რიჟრაჟიდან მოკიდებული შუაღამემდე წიგნებში იქექებოდა, მუდამ დაღვრემილი და სერიოზული იყო. შესვენების დროსაც უმეტესად სევდისმომგვრელი მუსიკით ერთობოდა... მისი ღრმა, შინაგანი პოეტური ბუნება მხიარულებასა და ცეკვა-თამაშს დაჩვეულ კისკასი ყმაწვილი ქალისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა. გული მაინის სტუმართმოყვარე, მხიარული ოჯახისაკენ მიუწევდა. აქვე უნდა გავიხსენოთ პოეტის ერთი ბიოგრაფის სიტყვები: „მილტონის ხასიათში მკაცრი სერიოზულობა იგრძნობოდა, მაგრამ ვერ იტყოდი, ქუში და დაბღვერილიაო. მისი ამაღლებული გონება წვრილმანი საქმეებისათვის ვერ იცლიდა. საუბრის დროს ხშირად სატირიკული ტონი ჰქონდა. სასიამოვნო თანამოსაუბრე იყო და დახვეწილი თავაზიანობით გამოირჩეოდა“.

რამდენიმე სიტყვა პოეტის გარეგნობაზეც. მილტონი საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანისა ყოფილა. ახალგაზრდობაში ქალური სილამაზე ჰქონდა, მერე თანდათანობით ვაჟკაცური იერი მიეცა. ქერა თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი, ჩამოგრძელებული კულულები მხრებზე სცემდა. მის ცისფერ თვალებს სრული სიბრმავის დროსაც ვერ შეატყობდი, სინათლე თუ ჰქონდათ დაშრეტილი. მხრებში გამართული დადიოდა, ამაყი იყო, ზვიადი შესახედაობა ჰქონდა...

ცოლის შინიდან გაქცევამ დააწერინა რამდენიმე ტრაქტატი გაყრის შესახებ, სადაც პოეტი ჰგმობს არსებულ წესს და ეკლესიის კანონების საწინააღმდეგოდ მოითხოვს გაყრისათვის გასამართლებელ საბუთად მიღებულ იქნეს თითქოს ისეთი უმნიშვნელო ფაქტი, როგორიც არის ხასიათთა შეუგუებლობა. ოთხი ტრაქტატი მიუძღვნა პოეტმა გაყრის საკითხს (1643—45 წწ.). მისი შეხედულებანი ამ საგანზე გამომდინარეობდა მისივე საერთო მსოფლმხედველობიდან პიროვნების თავისუფლების შესახებ. საზოგადოების ბედნიერებისათვის სამი სახის თავისუფლებაა აუცილებელი, აცხადებდა პოეტი — რელიგიის თავისუფლება, პირადი თავისუფლება და მოქალაქეობრივი თავისუფლება.

საინტერესოა ამავე პერიოდში დაწერილი პამფლეტები და ტრაქტატები რელიგიის თავისუფლების შესახებ. იმავე შეუპოვრობითა და პირდაპირობით, რითაც მომდევნო წლებში მთელს ევროპაში გაითქვა სახელი თავისი პოლიტიკური ტრაქტატებითა და პამფლე-

ტებით, მილტონი ამ პირველ წერილებშიაც ხმას იმაღლებს ეპისკოპალური ეკლესიის წინააღმდეგ, მოითხოვს ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან იმგვარად, რომ რელიგიის საქმეებში არავითარი გარეგანი ჩარევა არა ხდებოდეს. რელიგია შინაგანი რწმენის საქმეა და სრულ თავისუფლებას მოითხოვსო, მთელის სიმძაფრით აცხადებს იგი.

ჯერ კიდევ 1641 წელს გამოქვეყნებულ ტრაქტატში „რეფორმაციისა და იმ მიზეზების შესახებ, რამაც აქამდე დააყოვნა ინგლისში მისი გატარება“, მილტონი მთელი მოურიდებლობითა და ზიზღით ჰკმობს ეპისკოპოსობას, მის დამცველებს, მთელი სიმწვავითა და გამძაფრებით ილაშქრებს მათ წინააღმდეგ. მოითხოვს ეპისკოპოსობის ძირფესვიანად ამოძირკვას და პრესვიტერიანული კულტის შემოღებას. კათოლიკური ეკლესიის სიძულვილით არის გამსჭვალული მთელი წერილი. მაგრამ ეპისკოპოსობის წინააღმდეგ გალაშქრება მხოლოდ დასაწყისი იყო იმ შეუპოვარი ბრძოლისა, რასაც კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ აწარმოებდა მილტონი. პამფლეტს პამფლეტზე აქვეყნებდა, სულ უფრო და უფრო მძაფრი და დაუნდობელი ხდებოდა. მისი მგზნებარე სული თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა. მხოლოდ იმ რელიგიას სცემს პატივს, რომელიც გულის სიღრმიდან მოდის.

პოეტი არ ერიდება „წმინდა წიგნის“ კრიტიკასაც, მას ადამიანის გონება უფრო მტკიცე დასაყრდენად მიაჩნია ცხოვრებაში, ვიდრე ღვთის სიტყვა. სწორედ საკუთარმა გონებამ უნდა აზიაროს ადამიანი ნამდვილ თავისუფლებასა და ბედნიერებას: რაკი ადამიანი ღმერთის შექმნილია, რაკი მისივე ხატებად გვევლინება იგი (ამას კი მილტონი არ უარყოფს), მას ძალაც შესწევს თავისი პირადი თავისუფლება და ბედნიერება დაიმკვიდროს. აქ კიდევ უფრო მკაფიოდ იჩინა თავი მილტონის ჰუმანისტურმა განწყობილებებმა, იგი შორსა დგას პურიტანული რელიგიის პესიმიზმისაგან და სჯერა, რომ გონება ადამიანისა თვითონვე დაიმკვიდრებს ბედნიერებას.

ჩვენი მეცნიერები საინტერესო დაკვირვებას ახდენენ მილტონის შემოქმედებაზე. თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობით პოეტი მატერიალიზმისაკენ იხრებაო. ღმერთმა ადამიანი მატერიისგან შექმნა და მატერია თვით ღმერთის ელემენტიაო. აქვე მოჰყავთ მილტონის ცნობილი სიტყვები ტრაქტატიდან „ქრისტიანული დოქტრინის შესახებ“: ადამიანი ცოცხალი არ-

სებაა, ერთიანი და განუყოფელი. შეუძლებელია, რომ იგი ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ელემენტისაგან—სულისა და ხორცისაგან შექმნილიყო.

მილტონის ტრაქტატები უკვე იშვიათად იბეჭდება, და მხოლოდ ამ დარგში მომუშავე მეცნიერებისთვისაა ხელმისაწვდომი. მაგრამ ვინც წაიკითხავს პოეტის უდიდეს ქმნილებას „დაკარგულ სამოთხეს“, რომელიც ხსენებულ ტრაქტატებზე გაცილებით უფრო გვიან დაიწერა, იგი დარწმუნდება ამ აზრის სიმართლეში. გავიხსენოთ რაფაელის სიტყვები, როცა იგი ადამს ესაუბრება — ანგელოზებიც მატერიალური არსებანი არიან, ოღონდ უფრო მსუბუქი ნივთიერებისგან შექმნილნიო. საინტერესოა ის სურათიც, როცა ღმერთი ლხინს გაუმართავს ანგელოზებს და სუფრა ხორაგეულით გაივსება...

ადამიანური ცხოვრების უპირველესი დანიშნულებაა ფუჭი ვნებანი დაიოკოს და სათნოებას მისცეს გასაქანი. პოეტი სასტიკად ილაშქრებს ადამიანის თავისუფლების გარეგნული შეზღუდვების წინააღმდეგ, და ამითაც იგი ნამდვილ ჰუმანისტად გვეელინება.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ მილტონის შესანიშნავი ტრაქტატი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ („Areopagitica“...). ტრაქტატი დაწერილია მოწოდების სახით, რითაც პოეტი პარლამენტს მიმართავს. ამ ტრაქტატში იგი ჩვეული პირდაპირობითა და სიმწვავით მოითხოვს ბეჭდვის განუსაზღვრელ თავისუფლებას. „წიგნის მოკვლა კაცის კვლაზე ნაკლები დანაშაული როდია“, წერს იგი და გალილეისთან შეხვედრას იხსენებს. მიმართვა დაწერილია დიდი ორატორული ნიჭითა და მგზნებარებით და მთელს ინგლისურ პუბლიცისტურ ლიტერატურაში დღემდე ერთერთ უბრწყინვალეს ნაწარმოებად არის მიჩნეული. განუსაზღვრელად დიდი იყო ტრაქტატის ემოციური ზემოქმედებაც; მისი გამოქვეყნების შემდეგ საგრძნობლად შესუსტდა ცენზურის გავლენის ძალა და სისასტიკე. ერთი ცენზორი იმდენად შეაწუხა სინდისის ქენჯნამ, რომ სამსახურიდან გადადგაო, მოგვითხრობენ ბიოგრაფები.

საერთოდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მილტონის ყველა პუბლიცისტურ წერილს პოლიტიკურ წრეებსა და მთელ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი და ზემოქმედების ძალა ჰქონდა. მისმა ტრაქტატებმა რელიგიის შესახებ საგრძნობლად შეასუსტა ეპისკოპოსების გავ-

ლენა. ეპისკოპოსები დაითხოვეს კიდეც ლორდთა პალატიდან. როგორც გადმოგვცემენ, ერთ-ერთმა მისმა პოლემისტური ხასიათის ტრაქტატმა ისეთ დღეში ჩააგდო მოწინააღმდეგე, — საკმაოდ დიდი მეცნიერი და გავლენიანი პირი, — რომ ყოველგვარი პასუხის ხალისი დაუკარგა და, საბოლოოდ, დადარდიანებულს, გული გაუსკდა. აქ ის კი არ არის მთავარი, ნამდვილად მილტონის წერილმა გაუხეთქა თუ არა გული მოწინააღმდეგეს. მთავარია თვით ფაქტი, როგორი აზრი იქმნებოდა პოეტის შესახებ, რა შიშის ზარსა სცემდა მისი ყოველი გამოსვლა მტრებს, როგორ აღაფრთოვანებდა რესპუბლიკის მომხრეებს. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, როგორი რეაქცია გამოიწვია მისმა წერილმა, რომელშიაც ავტორი სამართლიანად მიიჩნევდა მეფის სიკვდილით დასჯას. მილტონის სახელი მთელს ევროპაში ქუხდა. ხალხი საგანგებოდ ჩამოდიოდა სხვა ქვეყნებიდან, რათა კრომველისა და მილტონისათვის შეევლო თვალი...

ცოლის მოულოდნელმა და უცნაურმა განშორებამ, რაღა თქმა უნდა, დიდი სულიერი ტკივილი მიაყენა პოეტს. წერილი მისწერა და პასუხი არ მიიღო, კაცი გაუგზავნა და ცუდად შეხვდნენ იმ კაცს. სიამაყემ ნება არ მისცა თვითონვე ჩაეკითხა. ხოლო როცა ორი წლის შემდეგ, ასევე მოულოდნელად, ახალგაზრდა ცოლი უკანვე მობრუნდა და ფეხებში ჩაუვარდა, პატიება სთხოვა, მილტონმა იგი დიდსულოვნებით მიიღო. საქმე ის არის, რომ იმ ორი წლის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა; მეფის ჩამოგდების შემდეგ პოუელების როიალისტურად განწყობილმა ოჯახმა დევნა განიცადა, ახალ მთავრობასთან დაახლოებულმა მილტონმა სიმამრი შეივრდომა და თავის სახლში მისცა თავშესაფარი. ცოლქმრული ბედნიერება არც ამის შემდეგ გაგრძელებულა დიდხანს: 1653 წელს მერი პოუელი გარდაიცვალა, მეოთხე შვილის მშობიარობას გადაჰყვა.

ინგლისური ანდაზა — „Misfortunes never come singly“ („უბედურება ცალად არასოდეს არ მოდის“) — ამჯერადაც გამართლდა. ცოლის სიკვდილს წინ უსწრებდა კიდევ ერთი დიდი უბედურება: 1652 წელს მილტონი სავსებით დაბრმავდა. მთელი ათი წლის განმავლობაში იგი თანდათანობით კარგავდა სინათლეს. ექიმები სასტიკად უკრძალავდნენ მუშაობას, აფრთხილებდნენ, რომ სრული დაბრმავება მოელოდა. მაინც ვერ გატეხეს პოეტი. „პოეზია ხომ მივიტანე მსხვერპლად, ახლა მზადა ვარ თვალის სინათ-

ლეც შევწირო თავისუფლებისათვის ბრძოლას“, უპასუხებდა იგი. ორმოცდახუთი წლის, დაქვრივებულ, ბრმა პოეტს მოსავლელად დარჩა სამი თავნება გოგონა, რომელთაგან უფროსი რვა წლისა იყო.

უდიდესი სულიერი სიმტკიცისა და გმირობის მაგალითია მილტონის მერმინდელი ცხოვრება. ბრმა პოეტი ამის შემდეგაც არ შეწყვეტილდება ბედს და ჩვეული ენერგიითა და შეუპოვრობით განაგრძობს მუშაობას, ბრძოლას, დიდ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ეს ოცი წელი, ნამდვილი მოწიფულობის ხანა, რაც პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდს, მისი ცხოვრებისეული დრამის მეორე აქტს მოიცავს, მართლაც პოეზიის სამსხვერპლოზე მიტანის ხანად შეიძლება ჩაითვალოს. სულ რამდენიმე სონეტი დაწერა ამ ხნის განმავლობაში. ეს იყო და ეს. ჩვენ ვნახეთ, როგორ ემზადებოდა პოეტი შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყრობად; როგორ შეიძინა თავის დიდ ჩანაფიქრს, როგორ ელოლიავებოდა და ეალერსებოდა. როცა ამას გავითვალისწინებთ, მთელი სიცხადით გამოჩნდება, მართლაც რა ძვირფასი ყოფილა მისთვის ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა, რამაც ლექსის საწერად გამზადებული კალამი გვერდზე გადაადებინა და პოლიტიკური პამფლეტები აწერინა. რესპუბლიკას არა ჰყოლია მეორე ასეთი ყოველმხრივ განათლებული, ერუდირებული, მრავალი ენის ჩინებულად მცოდნე მოღვაწე, რომლის არსებაშიაც ამავე დროს ჰარმონიულად იყო შერწყმული დიდი მოქალაქეობრივი სისპეტაკე, შეუპოვრობა და მშობელი ხალხის დაუცხრომელი სიყვარული.

The man of thought და the man of action (მოაზროვნე და ქმედი) — ასე ახასიათებდნენ მილტონსა და კრომველს. მაგრამ მილტონი მარტო ტვინი კი არ იყო რესპუბლიკისა, იგი იყო აგრეთვე გაშმაგებული და დაუცხრომელი მებრძოლი. ერთი თანამედროვე მას ხარს ადარებს, წითელი მოსასხამით გაცოფებულ ხარს. რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ მილტონი მართლაც შმაგი ხარის დაუნდობლობითა და თავგანწირულობით გამოდიოდა.

მილტონი სახელმწიფო მდივნის როლს ასრულებდა. იგი ავსებდა და ადგენდა ხოლმე დიპლომატიურ ოქმებს, ყოველგვარ სახელმწიფოებრივ მიწერ-მოწერას, რაც იმ დროს ლათინურ ენაზე წარმოებდა. ის იყო იმ ურიცხვი პამფლეტების პასუხისგამცემი, რაც რესპუბლიკური სახელმწიფოს წინააღმდეგ იწერებოდა ხოლმე,

არა მარტო ინგლისში, არამედ და უმთავრესად ევროპის სხვა ქვეყნებში. ამ ტრაქტატებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა „ხატის მებრძოლი“, რომელშიაც იგი ემოციური დაჟინებით ამართლებს მეფის ჩამოგდებასა და დასჯას, ასაბუთებს, რომ ხალხს უფლება აქვს ტირანი მოსპოს. ტრაქტატი დაწერა იმ პამფლეტის წინააღმდეგ, რომელიც მეფის დასჯის შემდეგ გამოქვეყნდა და სადაც მეფე წამებულად იყო გამოყვანილი. ის პამფლეტი მაშინ ყუმბარასავით გავარდა და ხალხში როიალისტების თანაგრძნობა გააღვიძა. მილტონის შესანიშნავად დაწერილმა პასუხმა ერთბაშად გააქარწყლა პამფლეტის გავლენა: პამფლეტით გულაჩუყებული, რესპუბლიკის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხი ხელადვე შეატრიალა და კვლავ რესპუბლიკის თანამგრძნობთა რიგებში ჩააყენა. ასევე მნიშვნელოვანია „Defensio pro populo Anglicano“ („ინგლისელი ხალხის დაცვა“) და Defensio Secunda“ („მეორე დაცვა“).

ტრაქტატებში მილტონი რესპუბლიკური მმართველობის ჭომაგად გვევლინება, სამარცხვინო ბოძზე აკრავს რესპუბლიკის მტრებს და სასტიკად ილაშქრებს მათ წინააღმდეგ. ხალხს უფლება აქვს მმართველობის ის ფორმა აირჩიოს, რაც უფრო შეეფერება მის ინტერესებს. ხალხს უფლება აქვს ცალკეულ პირებს ჩააბაროს ქვეყნის მართვა, მაგრამ ამ პირებმა ბოროტად არ უნდა გამოიყენონ მმართველობა. თუ ასე მოხდა, ხალხს იმის უფლებაცა აქვს, დასაჯოს ამგვარი მმართველები. ასეთია პოეტის შეხედულება ამ საკითხზე.

ბუნებრივად ისმება კითხვა, — და ბიოგრაფებიც ვერ უვლიან გვერდს მას, სულ სხვადასხვაგვარად ცდილობენ ამ მოვლენის ახსნას, — როგორ მოხდა, რომ რევოლუციის გამარჯვებისათვის, რესპუბლიკური იდეების დამკვიდრებისა და ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი მილტონი ბოლომდე ერთგული დარჩა კრომველისა? როგორც ცნობილია, კრომველმა სამხედრო დიქტატურა შემოიღო. პარლამენტი გარეკა, თავი ლორდ-პროტექტორად გამოაცხადა და სტიუარტების დინასტიის ნაცვლად საკუთარი დინასტიის დამკვიდრება სცადა! მილტონი ერთ-ერთ თავის ადრინდელ ტრაქტატში, რომელშიაც ქება-დიდებას ასხამს კრომველს, იქვე აფრთხილებს მას: „შენ, ვისაც ამდენი საშიშროებისათვის გაგისწორებია თვალი თავისუფლებისათვის ბრძოლის დროს, თვითონ-

ვე არ გამოიჩინო ძალმომრეობა, არც სხვას გაათელინო ფეხქვეშ ეს თავისუფლება!“ რატომ არ დაშორდა მას მილტონი, რატომ მაშინვე არ გასწყვიტა კავშირი, რატომ აგრძელებდა სახელმწიფო მდივნად სამსახურს მასთანაც და, მისი სიკვდილის შემდეგ, მის შვილთანაც, რომელმაც კრომველი შესცვალა? ასე მსჯელობს ზოგი ბიოგრაფი და ამ ფაქტს პოეტის მთელ მოღვაწეობაში შავ ლაქად მიიჩნევს. ზოგი ბიოგრაფი იმით ცდილობს გაამართლოს პოეტის ასეთი მოქმედება, რომ ქვეყნის არეულობის დროს, თითქმის ათწლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ, პარტიათა შორის დაძაბული ბრძოლების ვითარებაში, როცა როიალისტები თავგანწირვით იღვწოდნენ რესტავრაციისათვის და შეთქმულებას შეთქმულებაზე აწყობდნენ რესპუბლიკის წინააღმდეგ, კრომველი იძულებული იყო სამხედრო დესპოტიზმისათვის მიემართა. იმ მოსალოდნელი რესტავრაციის საშინელებასთან შედარებით კრომველის დესპოტიზმი უფრო ნაკლები ბოროტება იყოო.

„ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში“, რომელიც საბჭოთა მეცნიერების მიერაა შედგენილი, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მილტონი, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული დარჩა კრომველის ასეთი მოქმედებით და ამის შემდეგ მასზე კრინტიც არ დაუძრავს, ერთი ქების სიტყვაც არ დასცდენია. კრომველის სიკვდილის შემდეგაც, როცა პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გამოსატირებელი ლექსის შეთხზვაში, მილტონს ერთი სტრიქონიც არ დაუწერია, რადგან კრომველის სიკვდილი მას რესპუბლიკური თავისუფლების აღდგენის იმედს აღუძრავდა.

ამის შემდეგ უკვე სიმართლედ უნდა მივიჩნიოთ იმ ბიოგრაფების მოსაზრება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მილტონს კრომველის დესპოტიზმის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა არ შეეძლო მონარქიის რესტავრაციის რეალური საშიშროების გამო.

როგორც ცნობილია, რესტავრაცია მაინც მოხდა, 1660 წელს. და აქედან იწყება სწორედ პოეტის ცხოვრების დრამის მესამე, სევდიანი აქტი, მისი შემოქმედების მესამე პერიოდი. პოლიტიკურად განადგურებული, მატერიალურად გაღარიბებული (მის ქონებას კონფისკაცია უყვეს), ფიზიკურად გატეხილი, ორიეე თვალში სინათლედაშრეტილი და უთვისტომო (მეორე ცოლი, — რომელიც განსაკუთრებული ალერსითა და მზრუნველობით უვლიდა და პოეტსაც ნაზად უყვარდა, ქერა ანგელოზს ეძახდა, სიყვარულით გამთბა-

რი სონეტიც მიუძღვნა, — ჯერ კიდევ რესტავრაციამდე ორი წლით ადრე მოუკვდა. სამი თავნება ქალიშვილი, მეფე ლირისა არ იყოს, ნუგეშისა და სიყვარულის ნაცვლად, ყოველდღიური უსიამოვნებისა და სიმწარის ფიალას ასმევდა მამას; ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ლირს ერთი ქალი მაინც შერჩა ნუგეშად, მილტონს კი სამივე ქალი მტრად მოეკიდა), მთავრობის მიერ დევნილი პოეტი ახლა მართლაც დაემსგავსა იმ ტიტანს, რომელსაც იგი ფლორენციაში შეხვდა ოცი წლის წინათ. იმითაც ემსგავსება მილტონი იტალიელ ტიტანს, რომ მისი ნაწერებიც ცეცხლს მისცეს, საჯაროდ, ჯალათის ხელით, ისევე, როგორც ამას იტალიელი ინკვიზიტორები აკეთებდნენ. მაგრამ გალილეისთან მსგავსების მთავარი ნიშანი მაინც ის გაუტეხელი სულია, რაც პოეტს ამდენი განსაცდელის მიუხედავად შერჩა. მისი შემოქმედების სწორედ ეს მესამე პერიოდია ყველაზე უფრო მძაფრი, შეუპოვარი, რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული და მხატვრული სრულყოფილების ნიშნით, სწორედ ამ პერიოდში შექმნა პოემები, რომელთაც მას ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი პოეტის სახელი მოუხვეჭეს.

პოემებს იგი კანტიკუნტად შემორჩენილ მეგობრებს კარნახობდა ხოლმე. მესამე ცოლი, რომელიც მან სიცოცხლის მიწურულში შეირთო, მდივნად ვერ გამოადგებოდა, გაუნათლებელი ქალი იყო და ქმრის მოვლის მეტი არაფერი შეეძლო — ვერც პოეტის ღრმა აზრებს ჩასწვდებოდა და ვერც სულიერ მეგობრობას გაუწევდა. ისე კი ერთგულად უვლიდა და გატანჯულ სიცოცხლეს უმსუბუქებდა. საინტერესოა მილტონის ცხოვრებისეული რეჟიმი სიცოცხლის ბოლო წლებში. ზაფხულობით დილის ოთხ საათზე იღვიძებდა, ზამთრობით — ხუთზე; ადგებოდა თუ არა, ვინმეს ებრაული ბიბლია უნდა წაეკითხა მისთვის, თითო თავი. ამას მოჰყვებოდა დილის საუზმე და შემდეგ მუშაობა თორმეტ საათამდე. მერე სადილი. მსუბუქი ვარჯიში ერთი საათით. მერე ორღანს მიუჯდებოდა (გამწარებულ სიბერეში გამოადგა მამის მუსიკალური გაკვეთილები). ზოგჯერ მღეროდა, ან მუსიკის აკომპანიმენტით ცოლს ამღერებდა ხოლმე, რომელსაც, მისივე სიტყვებით, ხმა კი კარგი ჰქონდა, მაგრამ სმენა — არა. შემდეგ ისევ მუშაობა ექვს საათამდე. ექვსიდან ოვამდე სტუმრებს ესაუბრებოდა, თუკი ეწვეოდა ვინმე. ამას მოჰყვებოდა მსუბუქი ვახშამი. ძილის წინ ჩიბუხს გააწყობდა და მოსწევდა, ერთ ჭიქა წყალს დალევდა და ცხრა საათზე იძინებდა. ეკ-

ლესიაში არ დადიოდა. თავისთვის ლოცულობდა ხოლმე. ასე შექმნა მან თავისი შემოქმედების შედევრი „დაკარგული სამოთხე"; აგრეთვე „დაბრუნებული სამოთხე" და „სამსონი".

დიდი ეპიკური ნაწარმოების შექმნა მილტონის მთელი ცხოვრების ოცნება იყო. თავდაპირველად განზრახული ჰქონდა დაეწერა დიდი პოემა ლეგენდარულ მეფე ართურზე. დიდხანს ელოლიავებოდა ამ აზრს. მასალებიც შეაგროვა. დანტესა და ტორკვატო ტასოს ქვეყანაში მოგზაურობის დროს იგი მოწიწებით გაიხსენებდა აღორძინების ეპოქის ამ დიდ პოეტებს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ნეაპოლში იგი ტორკვატო ტასოს მეგობარსა და მის პირველ ბიოგრაფს შეხვდა. ვინ იცის, იქნებ გალილეისთან შეხვედრამ და საუბარმა შთააგონა ისეთი დიდი ნაწარმოების შექმნა, რომელსაც მასშტაბებიც კოსმოსური ექნებოდა და ფაქტურაც! ყოველ შემთხვევაში, ართურზე მას აღარაფერი დაუწერია.

„დაკარგული სამოთხის" და უკანასკნელი პერიოდის სხვა პოემების არჩევისათვის ბიძგი, უდავოდ, რევოლუციამ მისცა. მიუხედავად ბიბლიური საბურველისა, რაშიაც პოემებია სიუჟეტია გახვეული, აქ ჩვენ ვგრძნობთ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის სუნთქვას, იმ განწყობილებებსა და სულისკვეთებას, იმ დიდ მგზნებარებას, რაც რევოლუციის უშუალო მონაწილეებს ასულდგმულებდა. ერთი სიტყვით, ამბავში, სადაც პერსონაჟებად ღმერთი და ბიბლიური იგავების გმირები გვევლინებიან, ფაქტიურად მოცემულია მე-17 საუკუნის ინგლისის სინამდვილე. არა ისტორიულ პირთა გარეგნული მიმსგავსებით, არა იმ საინტერესო ისტორიული მოვლენებისა და ცალკეული ეპიზოდების მხატვრული გადმოცემით, რაც პოემების სიუჟეტს კიდევ უფრო დაძაბავდა, მიმზიდველსა და საინტერესოს გახდიდა, არამედ ეპოქის საერთო განწყობილების გადმოცემით, იმ წინააღმდეგობათა გადმოცემით, რითაც მაშინდელი ცხოვრება ხასიათდება, და, რაც ყველაზე უფრო მთავარია, რევოლუციური შემართებისა და გმირული სულისკვეთების გადმოცემით.

მაგრამ მილტონი ცნობილია როგორც შეუპოვარი, უკომპრომისო და უშიშარი მებრძოლი, რომელიც თავისი იდეების დასაცავად არაფერს ეპუება — ვერც კრომველის დესპოტიზმი მოახრევინებს ქედს, ვერც მონარქიის რესტავრაციის საშინელი შურისძიების შიში შეაკრთობს. მაშ, რაშიღა დასჭირდა, რომ ის აზრები

და მოვლენები, რასაც თავის პუბლიცისტურ წერილებში პირდაპირ გადმოსცემდა, ახლა ბიბლიის საბურველში გაეხვია და მხოლოდღა მინიშნებით მიეტანა მკითხველთან? აკი ვერც გაუგეს კარგა დიდხანს და, ვიდრე მასავით დიდი რევოლუციურად განწყობილი პოეტები შელი და ბაირონი გაშიფრავდნენ, რელიგიურ ნაწარმოებებად მიაჩნდათ! როგორღა შევუთავსოთ ეს მის დიდ შეუპოვრობასა და უშიშარ სულს? თითქოს ბუნებრივად უნდა დაიბადოს ასეთი კითხვა, მაგრამ ყველაფერი ნათელი გახდება, თუ თვით ამ ბურჟუაზიული რევოლუციის ხასიათს გავიხსენებთ და გავითვალისწინებთ. საქმე ის არის, რომ თვით ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია იყო გახვეული ბიბლიურ საბურველში, „რელიგიური კოსტუმი ეცვა“. როგორც შენიშნავენ ხოლმე, რაკი ინგლისის ეს რევოლუცია, ერთ-ერთი ადრეული ბურჟუაზიული რევოლუცია იყო მთელს ევროპაში, იქნებ შუა საუკუნეებიდან გადმოჰყვა ის იდეოლოგიური ფორმა, რასაც ძველად მასობრივი სოციალური მოძრაობების დროს იყენებდნენ ხოლმე.

ნაწარმოების ზერელე გადაკითხვითაც კი ადვილად დავრწმუნდებით, რომ ბიბლიური სიუჟეტი აქ მართლაც მხოლოდ სამოსელია, თანაც ტანზე მოურგებელი სამოსელი; დაკვირვებული თვალი მაშინვე შენიშნავს, რომ ეს სამოსელი სულ სხვა ტანზეა გამოჭრილი, ნამდვილ პატრონს არ აცვია, ამ ტანსაცმლის ახლანდელ პატრონს სულ სხვაგვარად უძგერს გული, მის მკერდში სულ სხვა განწყობილებას დაუსადგურებია.

ამიტომაც არის რომ პოემაში დახატული სატანა სულაც არა ჰგავს ბიბლიის სატანას. აქაური სატანა გმირი მეომარია, თავისუფლებისათვის მებრძოლი სული, დროებით დამარცხებული, მაგრამ გაუტეხელი, შეუდრეკელი, შეუპოვარი, მეგობრებისათვის თავდადებული, წარბშეუხრელი ვაჟკაცი. ეს დამარცხებაც უსამართლობაა. ბედის უგუნური დაცინვა. ასეთი სამართლიანი საქმისათვის მებრძოლი სული არ უნდა მარცხდებოდეს. ასეთია პოემის ავტორის ტენდენცია. მკითხველი ამას ყოველ სტრიქონში კითხულობს, სტრიქონსა და სტრიქონს შორისაც გრძნობს. ამიტომაცაა, რომ მილტონის სატანა ზიზღს კი არ აღგვიძრავს, თანაგრძნობას აღგვიძრავს. თანაც, არა სიბრალულნარევ თანაგრძნობას. არა. ასეთი ვაჟკაცები სიბრალულს არ აღძრავენ, აღფრთოვანებას აღძრავენ, გაკვირვებას აღძრავენ.

დამარცხებული ანგელოზების კრებაზე გადაწყდა, ვინმე გამგზავრებულიყო და სამყარო დაეზვერა. ეს იყო მეტისმეტად საშიში, თავსედობამდე მისული თამამი გადაწყვეტილება. ასეთი გამგზავრების გაფიქრებაც კი შიშის ძრწოლვას მოჰგვრიდა, როგორადაც უტეხი სული არ უნდა ყოფილიყო. ვინ უნდა გაემგზავროს? მრავალრიცხოვანი კრება შეიშმუშნა... და აქ მარტო ის კი არ არის საგულისხმო, რომ სატანა თვითონ წამოდგა და თავად იკისრა მძიმე მოვალეობა. თუმცა მას, როგორც ბელადს, არც ეკუთვნოდა ეს, უფლებაც არავის ექნებოდა დაეძრახა, შენ თვითონ რატომ არ კისრულობო წმინდა სამხედრო თვალსაზრისით იქნებ შეცდომადაც კი ჩაეთვალოს ეს სარდალს. მაგრამ თვითონვე იკისრა და დიდი მოწონება და სიმპათია დაიმსახურა, თანაც არა მარტო თავისი თანამგმობარი სულებისა, არამედ მკითხველისაც. მაგრამ გმირობა ერთი მხარეა. აქვე სხვა ნიუანსსაც ამჩნევს მკითხველი. როცა სულთა კრებულს შეკრთომა შენიშნა, სატანა მიხვდა, რომ ცოტა დაყოვნებაც და ამბოხებულთა სიმხდალე გამჟღავნდებოდა, ამიტომ იგი დაეშურა ჩქარა გამოსულიყო და ჩქარა განეცხადებინა, გამგზავრებას მე თვითონ ვკისრულობო, რათა ზედმეტი უხერხულობა არ შეექმნა. ეს იყო დიდსულოვნების გამოვლინებაც და ჭკვიანი სარდლის გონივრული გადაწყვეტილებაც, რადგან გულში სილაჩრეშეპარული მხედრობა მოსალოდნელი დიდი ბრძოლების დროს მას არ გამოადგებოდა.

გავიხსენოთ მეორე ეპიზოდიც. ეს არის ცნობილი სცენა ევას ცთუნებისა. აქ ჩვენ ვხედავთ არა ბილწ და გაიძვერა მაცთუნებელს, როგორც ეს ბიბლიის იგავშია მოცემული, აქ თითქოს ის კი არ ღაუსახავს მაცთუნებელს მიზნად, როგორმე აცთუნოს ადამიანთა წინაპარი და სამუდამო განადგურებას მისცეს, როგორმე, რაიმე ხერხებით, ბილწი გაიძვერობით!.. თუ კარგად დავაკვირდებით, ეს ნამდვილად არ არის ასე პოემაში, თუმცა სიბილწეც არის იქ ნახსენები და გაიძვერობაც. არა. სატანა ცდილობს დაარწმუნოს კაცთა მოდგმის წინაპარი ღმერთის გადაწყვეტილების უსამართლობასა და უსაფუძვლობაში. ეს არ არის უბრალო ცთუნება, ეს არის შეგონება. თანაც მოაზროვნე არსების მიერ საფუძვლიანად დასაბუთებული, ღრმად ლოგიკური. აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამ ეპიზოდში, ისევე როგორც ბევრ სხვა ადგილას, კარგად ჩანს იდეურ ბრძოლებში გამობრძმედილი ავტორის ორატორული ხელოვნება.

ერთი სიტყვით, პოემაში დახატული სატანა ისეთივე გაუტეხელი და შეუპოვარი მებრძოლია, როგორც თვითონ მილტონი ან რევოლუციის სხვა მეთაურები, რომელთაც დამარცხების მიუხედავად ჭედი მაინც არ მოუხრიათ და ახლა „დაკარგული სამოთხის“ პერსონაჟის პირით პოეტი მედიდურად აცხადებინებს: ომი წავაგეთ?.. ეს შემთხვევით მოხდა, ამით არაფერი შეცვლილა, რადგან ჩვენი ნებისყოფა კვლავაც გაუტეხელია, კვლავ შეგვრჩა შურისგების წყურვილი, დაუშრეტელი სიძულვილი და მამაცობა; დათმობასა და მორჩილებას არა ვართ ჩვეული: ამიტომ ტყუილი იმედი ნუ გექნებათ — მუხლს არ მოვიდრეკთ და შეწყალებას არ გთხოვთ... ეს იქნებოდა უკიდურესი შერცხვენა და თავლაფის დასხმა, რაც ჩვენს ბუნებას არ ეგუება: ცაში მონობას ჩვენ ჯოჯოხეთში თავისუფლება გვირჩევნია.

ასეთია პოემაში გამოყვანილი სატანა. ამასვე მოითხოვს მილტონი რევოლუციის მეთაურებისაგან.

პოემაში გამოყვანილი ღმერთიც არა ჰგავს ბიბლიის ღმერთს. პოემის ღმერთის მსჯელობა ხშირად უსამართლოა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. არალოღიკურიცაა. დაუსაბუთებელი. მის აზროვნებას სიღრმე აკლია. და ეს ყველაფერი თვალსაჩინოდ ჩანს ნაწარმოებში. ავტორი არ ცდილობს ამის მიჩქმალვას. პირიქით, თითქოს იმას უფრო ცდილობს, უხერხული სიტუაციები შეუქმნას ღმერთს. ზემოთ ჩვენ გავიხსენეთ ამბოხებულ სულთა კრება. თითქოს ამის საპირისპიროდ ავტორს ღმერთის ერთგული ანგელოზების კრებაც დაუხატავს. ღმერთი მიმართავს ამ კრებულს, საჭიროა ვინმე თქვენგანმა თავი გაწიროს, დროებით ადამიანის ცოდვა იკისროს, მსხვერპლად შეეწიროს... პირდაპირ მიმართავს კრებულს, ვინ გამოიჩენს ამ გმირობასო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამბოხებულ სულთა კრებაზე სატანას ასე როყიოდ არ მიუმართავს თანამგმობარი ანგელოზებისათვის: არც თავი ჩაუგდია უხერხულობაში და არც მეგობრები. ღმერთი კი მართლაც უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რაკი ასე პირდაპირ მიმართა მან ანგელოზებს, ეტყობა უყოყმანო პასუხს მოელოდა. ის კი არადა, ერთმანეთისთვის არ უნდა ეცლიათ, ყველას უნდა გამოედო თავი. მით უმეტეს, რომ ეს არ იყო დიდ საშიშროებასთან დაკავშირებული. დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ ღმერთი მათ მალევე აღადგენდა. მაგრამ რა მოხდა? ერთბაშად დაება ყველას ენა, უკადრისი სიჩუმე ჩამოწვა, თი-

თქოს დამუნჯდა ყველაs სწორედ ამ სიტყვას ხმარობს ავტორი— დამუნჯდაო. All the heav'nly choir stood mute, and silence was in Heaven.

ისევე, როგორც სატანა და მისი მხედრობა მივამსგავსეთ რევოლუციის მეთაურებსა და რევოლუციური ჯარების მეომრებს, ღმერთიც და მისი ერთგული ანგელოზებიც ინგლისის მეფესა და როიალისტების ჯარისკაცებს ჰგვანან.

ცალკეულ ეპიზოდებსაც რომ არ გამოვეკიდოთ, ცალკეული პერსონაჟების დახასიათებას რომ არ მოვჰყვეთ, საერთოდ მთელს პოემაში, ისევე როგორც უფრო მოგვიანებით შექმნილ დრამატულ პოემა „სამსონში“ (რომელიც ასევე ბიბლიურ სიუჟეტზეა აგებული) რევოლუციური სუნთქვა იგრძნობა, ამბოხი სული ბორგავს, რომელიც დამარცხებასა და თავისუფლების ფეხქვეშ გათელვას ვერ შეგუებია. ეს არ არის არც ღმერთი, არც სატანა, არც ანგელოზები, არც კაცთა წინაპრები, ეს პოემის უჩინარი პერსონაჟია, ეს თვით ავტორია, თვითონ მილტონი, თავისუფლების მომღერალი და თავისუფლების დამკვიდრებისათვის თავდადებული მებრძოლი, რევოლუციის გმირი, რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ მილტონი; პოლიტიკურად განადგურებული, ფიზიკურად გატეხილი, უთვისტომო, ორივე თვალში სინათლედაშრეტილი, გამარჯვებული რეაქციის მიერ დევნილი, მაგრამ სულიერად კვლავ მხნე და გაუტეხელი ჯონ მილტონი, რომელიც ჩვეული მგზნებარებით უცხადებს მტერსაც და მოყვარესაც, რომ ორი ათეული წლის წინათ დაწყებული ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, რევოლუციის მარცხი დროებითია, ეს ბრძოლა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, რადგან სინამდვილეში იგი ორი ათეული წლის წინათ კი არ დაწყებულა, გაცილებით უფრო ადრე დაიწყო... ეს თავისუფლებისათვის ბრძოლაა, რაც ადამიანმა დასაბამიდანვე დაიწყო, ეს იმ დროიდან მოდის, როცა პრომეთე ღმერთს შეერკინა. პრომეთე აქ ჩვენ შემთხვევით არ გვიხსენებია. ზოგი მკვლევარი სწორედ პრომეთეს ადარებს „დაკარგული სამოთხის“ სატანას. ეს შედარება მართლაც საგულისხმოა. და პოემის მთელი შინაარსიც მხოლოდ მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუ მას ასეთი დიდი მასშტაბებით განვიხილავთ.

მიუხედავად იმისა, და იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ პოემა ზეპირად ითხზვებოდა, ორიგინალში იგი მუსიკალობით გამოირჩევა. ზოგი მკვლევარი ამას სწორედ იმ მემკვიდრეობითს მუსიკალო-

ბას მიაწერს, რაც პოეტს მამისგან გადმოჰყვა. დიდი განზოგადებისა და გრანდიოზული მასშტაბურობის მიუხედავად პოემა დამშვენებულია ისეთი კონკრეტული, იდილიური სამკაულებით, რაც პოეტის ცოცხალ მოგონებებს, კერძოდ ჰორტონში გატარებულ მშვიდ წლებს უკავშირდება. ნაწარმოებში უხვად ვხვდებით სოფლის ლამას პეიზაჟებს, ბუნების სტიქიური მოვლენების აღწერას... მართალია, პოემა ისეა აგებული, რომ მკითხველს არ აღელვებს გმირების თავგადასავალი, მათი ურთიერთობა, მაგრამ მაღალი იდეური გიზანდასახულებისა და დიდი პოეტურობის წყალობით პოემას ემოციური ძალა აქვს. ემოციურია ცალკეული ადგილებიც, თუმცა, ვიმეორებ, მკითხველს გმირების ბედი არ აღელვებს. გავიხსენოთ, თუნდაც ევასა და ადამის ცთუნების სცენა. გველისაგან უკვე ცთუნებული ევა ადამის ცთუნებასაც ცდილობს. ქმარი გრძნობს მთელ სიშინელებას, რაც მათ ამ ცოდვის გამო მოელით, მაგრამ ცოლთან განშორება უმძიმს და მის ცოდვას იზიარებს.

„...მაგრამ სულ არ ვგრძნობ ჰე სიკვდილის მოახლოებას,
პირიქით, თითქოს მომემატა სიცოცხლის ძალა,
თვალი ამეხსნა, ახალ შვებას და იმედსა ვგრძნობ,
ისეთ სანუკვარ და ღვთაებრივ გემოს განვიცდი,
რომ ძველად რაც კი მიგემია ტკბილი, ნუგბარი,
აჴ მკისადა და უგემურად მე მეჩვენება...
სჲობს უყოყმანოდ მიენდო ჩემს გამოცდილებას,
გასინჯო ხილი და ჭარს მისცე სიკვდილის შიში“.

ესა თქვა, ადამს მოეხვია და თვალებიდან
გადმოაფრქვია სიხარულის ნაზი ცრემლები;
გული სიამით ევსებოდა, რადგანაც ვრძნობდა
ჭირის განუზომელ სიყვარულსა: ევას გულისთვის
არ შეუშინდა არცა სიკვდილს, არც ზეცის რისხვას.
ჭმარს გასამრჯელოდ (ამ სულელურ დამორჩილებას
სწორედ ამგვარი გასამრჯელო შეეფერება)
ევამ იმავე მაცთუნებელ ხის ტოტებიდან
ჩამოუკრიფა მშვენიერი ნაყოფი უხვად;
ადამიც სინდისუქენჯნელად ხილს დაეხარბა,
თუმცა იცოდა, რომ აკრძალულ ნაყოფსა ჭამდა;
ის არ ყოფილა არავისგან მოტყუებული,
მოაჯადოვა დედაკაცის ლაციცმა მხოლოდ...

ტკივილებისგან კვლავ შეინძრა მიწის წიაღი,
ბუნებამ ისევ გამწარებით ამოიკვნესა,
ჰექა-ქუხილი გაძძვინვარდა, ცა ჩამობნელდა

და სიმწრის ცრემლით დაიტირა პირველი ცოდვა,
პირველი ცოდვა — საშინელი სიკვდილის წყარო.
ჯამით გართული ადამი კი ვერ-რას ხედავდა,
არ მოერიდა ევაც ცოდვის განმეორებას,
ჯამდა, მეუღლეს დანაშაულს უადვილებდა...
და თითქოს მაჯრით დამთვრალიყვნენ — გაბრუედნენ უცებ.
ნეტარებაში გალაღებით დაიწყეს ცურვა,
წარმოიდგინეს, რომ დვთაებრივ არსებად იქცნენ,
შეესხათ ფრთები, ზიზღით მოსწყდნენ უბადრუკ მიწას.
მაგრამ სხვაგვარად იმოქმედა მაცდურმა ხილმა —
მყის ხორციელმა აღტყინებამ მათ დაუარა.
ადამმა ევას ვნებიანად მიაპყრო თვალი,
ევამც ასევე აღტყინებით ქმარს გადახედა,
ავხორცი ვნება დაეუფლა იმათ სხეულებს...
...ტკბილი სიტყვებით, ანცი მზერით, ხელის თამაშით
ცოლს სატრფიალო გულისწადილს მიახვედრებდა,
ევაც მიუხვდა და თვალები ვნებით აენთო.
ქმარი ხელში სწვდა, გაიტაცა ჩრდილში, სკამისკენ,
რასაც ებურა სახურავად ხეთა სიმწვანე,
გაიტაცა და ცოლიც მიჰყვა, არ გაუძალდა;
ლოგინად ეგოთ ასფოდელი, იასამფერი,
ნაზი სუმბული — დედამიწის ფაფუკი კალთა...
აქ დაეწაფენ სიყვარულის საამო ნექტარს,
იჯერეს გული სატრფიალო ხვევნა-ალერსით,
ცოდვა თავისი, ერთობლივი, მტკიცედ დაბეჭდეს
და სიყვარულის თავშექცევით მთლად მოთენთილებს,
გულმოყირჭებულთ ბოლოს ძილმა მოსტაცა თვალი.
მაგრამ მალევე ძალა იმა მაცთური ხილის,
რამაც მოხიბლა, დაუბინდა გონება ცოლ-ქმარს
და შინაგანი არსი მათი ცთუნებას მისცა
სულმთლად აორთქლდა და მტანჯველი, გულისწამღები,
მძიმე, მჭენჯნელი სინდისისა, ძილიც გაშორდათ.
გამოიღვიძეს, თითქოს სულაც არ დაესვენოთ,
შეხედეს ერთურთს და მაშინვე ორივე მიხვდა —
თვალი ახსნოდათ, გონება კი ჩაბნელებოდათ.
უმანკოება, რაიც მარჯვე საბურველივით
ავი ცოდნისგან იფარავდა, გაშორებოდათ,
არ შერჩენოდათ აღარც რწმენა საკუთარ თავის,
აღარც სიმართლის წმინდა გრძნობა, თანდაყოლილი,
არც ძველებური ღირსება და პატიოსნება;
გაშიშვლებული და ცოდვილი სირცხვილი შერჩათ,
და მხოლოდ იგი აფარებდა თავის საბურველს —
არა, ის უფრო აშიშვლებდა, დაფარვის ნაცვლად.

ზემოთ ლაპარაკი იყო, თუ როგორ ერწყმის პურიტანელი პოეტის მსოფლმხედველობას ჰუმანისტური იდეები. ადამისა და ევას სახე პოემაში ამ შერწყმის კიდევ ერთ დასტურად მიაჩნიათ. საინტერესოა ისიც, რომ პოეტი თითქოს ჰკიცხავს თავის გმირებს საბედისწერო ცოდვისათვის, სინამდვილეში კი ისეთი ემოციური ძალით არის დახატული მათი ურთიერთობა და მთელი ეს ცთუნება, მკითხველი აშკარად გრძნობს, ვისკენ იხრება ავტორის სიმპათია.

გასაკვირი არ არის, რომ გარდა საერთო სულისკვეთებისა, რითაც ნაწარმოები ყოველი დროის ადამიანის საუკეთესო მისწრაფებებსა და იდეალებს შეესატყვისება, პოემაში მრავლად ვხვდებით ისეთ ადგილებს, რაც კონკრეტულადაც ეხმაურება ხოლმე თანამედროვეობას.

ჰოი, შერცხვენა ადამიანს ბოროტ სულებსაც
ერთმანეთ შორის თანხმობა აქვთ გაუტეხელი,
გონიერთაგან მხოლოდ კაცთა არ აქვთ თანხმობა,
თუმც ზეციური შეწყალების იმედი მოსავთ.
მშვიდობისაკენ მოუწოდებს მაღალი ღმერთი,
ისინი მტრობას და სიძულვილს ჰქადაგობინებენ,
თითქოს არ ჰყავდეთ სულ სხვა მტრები — ქვესკნელის მკვიდრნი,
რომელნიც დღე-ღამ ოცნებობენ მათს მოსპობაზე,
და იმის ნაცვლად, რომ შეთანხმდნენ და შეკავშირდნენ,
იბრძვიან მარად, წყეულ ომებს გააჩაღებენ,
ჭლეტენ ერთმანეთს და უდაბნოდ აქცევენ მიწას.

შვიდ წელიწადს მუშაობდა პოეტი „დაკარგულ სამოთხეზე". დაამთავრა 1665 წელს, ჩალფონტში, შავი ჭირის ეპიდემიის გამო ლონდონიდან გახიზნულმა.

იმ მრავალრიცხოვან ბიოგრაფიებში, რაც მილტონის შესახებ გამოქვეყნებულა, თითქმის ყველგან მოხსენიებულია ერთი საინტერესო და არცთუ უმნიშვნელო ფაქტი: თავის „დაკარგულ სამოთხეში" პოეტმა და მისმა მემკვიდრეებმა სულ 18 გირვანქა სტერლინგი მიიღეს. 18 გირვანქა სტერლინგი ჰონორარი მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილებისათვის! აქედან თვითონ პოეტმა, სიცოცხლეში, 10 გირვანქა მიიღო, დანარჩენი 8 — მემკვიდრეებს ერგოთ. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სიცოცხლის ბოლო წლები პოეტმა უკიდურეს გაჭირვებაში გაატარა. ვიღაც მღვდელი, რომელსაც გარდაცვალებამდე რამდენიმე დღის წინათ

უნასავს პოეტი, იგონებს: მილტონი დაფხავებული ფიცრული სახლის ერთ მოციცქნილ ოთახში ვნახეო. სინესტის გამო კედლები ოთახს ობით ჰქონია დაფარული, სავარძელში იჯდა, შავი ტანსაცმელი კოხტად ადგა ტანზე, ფერმკრთალი იყო, მაგრამ ეს არ ჰგავდა ავადმყოფურ ფერმკრთალობას, მიუხედავად იმისა, რომ ნეკრესის ჭარებისაგან იტანჯებოდა. სელის მტევნები ერთიანად დაემახინჯებინა სნეულებას, მაგრამ სასეზე ვერ შეატყობდი საშინელი ტკივილის კვალს...

არსებობს გადმოცემა, თითქოს მილტონს უკვე დამთავრებული პოემა, „დაკარგული სამოთხე", ერთი თავისი მეგობრისთვის გადაეცეს წასაკითხად. მეგობარმა წაიკითხა პოემა, ალბათ თავისი აზრიც უთხრა ავტორს და დასძინა: „სამოთხის დაკარგვა კი გვაჩვენე, მაგრამ დაბრუნებას როდისღა გვაჩვენებო". თითქოს ამის შედეგი იყოს მეორე პოემის, „დაბრუნებული სამოთხის" შექმნა. კიდეც რომ არ იყოს ეს გადმოცემა მართალი, მაინც საინტერესოა, იმიტომ, რომ სიმართლესა ჰგავს. „დაბრუნებული სამოთხე" არც მსოფლმხედველობით, არც მხატვრული ღირსებით „დაკარგულ სამოთხეს" არ შეედრება, და მხოლოდ პოეტის შემოქმედების სისრულისათვის არის საინტერესო. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ამ პოემის პერსონაჟებიც განსხვავდებიან დიდი პოემის იმავე პერსონაჟებისგან. „დაბრუნებული სამოთხის" სატანას ალარ შეჰჩენია წინა პოემის გმირის არც სიდიადე, არც მომხიბლელობა და სამართლიანობა. აქ იგი ქვენა გრძნობებით გამსჭვალულ გაიძვერა და ბილწ მცთუნებლად წარმოგვიდგება.

უკანასკნელი დიდი პოეტური ნაწარმოები მილტონისა, როგორც უკვე ითქვა, არის „სამსონი", ანტიკური ტრაგედიის ფორმით დაწერილი დრამატული პოემა. აქაც გამოყენებულია ბიბლიური სიუჟეტი და ამ ნაწარმოებშიაც, ისევე როგორც „დაკარგულ სამოთხეში" მოცემულია ავტორის რევოლუციური განწყობილება, მისი გაუტეხელი სული და მგზნებარება.

სიცოცხლის ბოლო წლებმა მგზნებარე პოეტისა გარეგნულად ისევე მშვიდად და უშფოთველად ჩაიარა, როგორც მშვიდი და უშფოთველი ჩანს გარეგნულად მისი პოეტური შემოქმედება. იგი პურიტანელი ადამიანის პედანტიზმით იცავდა თავის ცხოვრებისეულ რეჟიმს. დილით ადრე დგებოდა, მოისმენდა თავის საყვარელ ებრაულ ბიბლიას, ისაუზმებდა, მერე რომელიმე მეგობარს თავის

ახალ ნაწარმოებს უკარნახებდა, ამჯერად უკვე არა პოეტურ ნაწარმოებს, არამედ ისტორიულს. ისევ მუსიკა. ისევ ბგერები. იქნებ ამ ბგერების მოსმენით პოეტი უფრო ცოცხლად წარმოიდგენდა ბუნების მშვენიერ სურათებს... საღამოზე ისევ კარნახი. ისევ თავისი ჩიბუხი, და მომავალი დღის მოლოდინში, კვლავ გარეგნულად უშფოთველი ძილი. მისივე სიტყვით რომ ვთქვათ:

მიდ..ან დღენი, ზამთარს მოსდევს კვლავ გაზაფხული,
ჩემთვის კი არა, აროდეს გამითენდება!
ვეღარ ვიხილო ტკბილი დილის მოახლოება,
ვეღარც საღამო სასუქვარი, ნახირი, მწყემსი,
ვერც გაზაფხულის ყვავილები, ზაფხულის ვარდი...
ვერ განვიცადო ღვთაებრივი მშვენიერება.
შემომხვევია გარს ღრუბელი. მარადი ბნელი
მისპობს ყოველგვარ ნეტარებას, ადამიანურს.
და ცოდნის წიგნი, ეს ბუნების შეცნობის წყარო,
ჩემთვის ჩაშავდა, დაიხურა და წაიშალა,
გზა სიბრძნისაკენ — დასაწყისში გადამელობა.
ბით უფრო ძლიერ, ღვთაებრივო სინათლის წყაროვ,
მე შინაგანად განმანათლე, სულიერ ძალებს
შუქი მოჰფინე, ჩამისახე თვალები სულში,
გაქფანტე სულმთლად, გადასწმინდე მისგან ბურუსი,
რომ ყველაფერი დავინახო, ვიუბნო ყველა,
რასაც ვერა სჭვრეტს ვერასოდეს მოკვდავის თვალი...

პოეტი გარდაიცვალა 1674 წლის 8 ნოემბერს, 66 წლისა.

P. S. რამდენიმე სიტყვა მილტონის ქართულ თარგმანებზე. „დაკარგული სამოთხის" თარგმნა ჩვენში დიდი ხნის წინათ უცდიათ. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ხელნაწერი პოემის ქართული თარგმანისა, რომელიც, ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დასკვნით, გასული საუკუნის ოციან წლებში უნდა იყოს შესრულებული, ესე იგი რამდენიმე ხნით იმაზე ადრე, ვიდრე შექსპირი მოევლინებოდა პირველად ქართველ მკითხველს. მთარგმნელის ვინაობა გაურკვეველია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ თარგმანი შესრულებულია რუსული პროზაული გამოცემის მიხედვით. შემორჩენილია პოემის მხოლოდ ოთხი წიგნი (მეოთხე წიგნი დაუსრულებელია). საყურადღებოა ისიც, რომ იმავე ინსტიტუტში ინა-

ხება „დაკარგული სამოთხის“ პროზაული ქართული თარგმანის სხვა მცირე ნაწყვეტებიც, შესრულებული, როგორც ეტყობა, სხვა პირთა მიერ. თითქმის ასი წლის შემდეგ, 1904 წელს გამოვიდა „დაკარგული სამოთხის“ სამიოდე თავის შემოკლებული პროზაული თარგმანი. წიგნი იწყება მეოთხე თავიდან (რადგან მთარგმნელს, როგორც ეტყობა, განზრახული ჰქონია მკითხველისათვის გაეცნო „პირველი ცოლ-ქმრის ცხოვრება სამოთხეში“). მხატვრული ღირსებით, ზემოხსენებული ხელნაწერი წიგნად გამოცემულ თარგმანზე უფრო მაღლა დგას.

„დაკარგული სამოთხე“ პირველად 1956 წელს გამოვიდა.

1966 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა პოეტის მეორე შესანიშნავი ქმნილება „სამსონი“, ინგლისურიდან მშვენივრად თარგმნილი ლეზარ კვიტაიშვილისა და ზურაბ კიკნაძის მიერ. ამრიგად, მთავარი პოეტური ნაწარმოებები მილტონისა ქართულად უკვე გვაქვს.

1969 წ.

## რობერტ ბერნსი

ლიტერატურული პარალელებისა და შედარებების მოყვარულნი რობერტ ბერნსის ხსენებაზე უსათუოდ ვაჟა-ფშაველასაც გაიხსენებენ ხოლმე და მაშინვე შეეცდებიან მსგავსება მონახონ ამ ორ დიდ პოეტს შორის. ასეთი შედარების ერთგვარი საფუძველი მართლაც არსებობს. და არა იმდენად ის, რომ ორივე პოეტი მთის შვილია; არც ის არის მთავარი, რომ ორივეს განუყრელი თანამგზავრი სიღატაკე იყო და მთელი სიცოცხლის მანძილზე ცალ ხელში გუთანი ეჭირათ, ხოლო მეორეში კალამი; დღენიადაგ ლუკმა პურისათვის ბრძოლა უხდებოდათ და მათი გაუტეხელი სული ერთის წუთითაც არ დამორჩილებია ბედს... შეიძლებოდა კიდევ ბევრი მსგავსების ჩამოთვლა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. ყველაზე არსებითი ის არის, რომ ორივე პოეტის შემოქმედებას ერთი წყარო კვებავდა და ორივეს ქნარი ერთსა და იმავე თემას ემსახურებოდა.

ხალხი იყო რობერტ ბერნსის შთაგონების წყარო, ხალხისგან ჰქონდა მას შესისხლხორცებული არა მარტო თავისი ლექსებისა და

ბალადების რიტმი, მოტივები, მსუბუქი იუმორი, სილაღე და უშუალობა, არამედ მთელი მსოფლმხედველობა, სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული, მტრის სიძულვილი, პატიოსნება, კაცური კაცობა, ოპტიმიზმი და თავისუფლებისათვის თავდადება. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად დაასახელებთ პოეტს, რომელსაც ბერნსისოდენი მიეღოს ხალხისაგან და მისებრვე გაათკეცებული მიეზღოს მშობელი ხალხისათვის.

პატარა ქალაქ ეირის მახლობლად, მდინარე დუნის ნაპირას, ისლით დახურულ ქოხში, რომლის კედლებსა და სახურავს ნიავის დაქროლვაზეც კი დანგრევა ემუქრებოდა, ღამღამობით დღიური შრომით დამაშვრალი ბერნსი იჯდა და თხზავდა თავის უკვდავ ლექსებს. იქვე ცეცხლს შემოსხდომოდნენ მისი მეზობელი გლეხები, წრუპავდნენ ლუდს და ხალხურ მოტივებზე მხიარულად მღეროდნენ თავიანთი ღარიბი მეზობლისა და ყანის მოზიარის ახალ-ახალ ლექსებს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, დროთა ქარტეხილმა ბევრი დიდებული და მკვიდრად ნაგები სასახლე აღგავა პირისაგან მიწისა, ბევრის სახელი გააცამტვერა და დავიწყებას მისცა, ის პატარა ისლის ქოხი კი, რომელშიაც ორასი წლის წინათ შოტლანდიის დიდი პოეტი რობერტ ბერნსი დაიბადა, ძველებურადვე დგას, რათა ღარიბი კაცის ჩვეული სიამაყითა და გულღიაობით მიიღოს დიდი პოეტის ლირიკით მოხიბლული ყველა ქვეყნისა და ყველა დროის ურიცხვი სტუმარი.

პირველი დიდი და ღირსეული სტუმარი ამ პატარა ქოხისა იყო თავისი სამშობლოდან დევნილი და რეაქციონური კრიტიკის მიერ შეჩვენებული ინგლისის გამოჩენილი პოეტი ჯონ კიტსი, რომელმაც მთელი ღამე თეთრად გაათენა ღარიბი ფერმერის ქოხში და დაუვიწყარი სტრიქონები უძღვნა პოეტს. „ბედმა, როგორც საჩუქარი, მე მარგუნა დინჯი ნაბიჯებით ვზომო შენი სახლი და გამოღებული სარკმლიდან ვუყურო გორაკებითა და ამწვანებული მინდვრებით შემკულს შენს ძვირფას ქვეყანას“, — ვკითხულობთ ამ სონეტში.

და მართლაც, ქოჩორა გორაკები, მწვანე ჯეჯილით აბიბინებული ველები, ცხვრის ფარებით თეთრად მოპენტილი მინდვრები და გლეხების სევდანარევი სიცილით გაჟღენთილი შოტლანდიის გამშვენიერებული ჰაერი იყო პოეტის მთელი სამყარო — მისი სკოლა-

ცა და უნივერსიტეტიც, მისი შთაგონების წყაროცა და ლექსების თემაც, მისი დიდი სევდაცა და დიდი სიხარულიც. ამ გორაკებსა და ველ-მინდვრებზე გაატარა მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის უდიდესი ნაწილი (რობერტ ბერნსი 37 წლისა გარდაიცვალა).

მამამისი ღარიბი გლეხი იყო და როგორც ყველა ხელმოკლე გლეხის შვილის ხვედრია, რობერტ ბერნსსაც პატარაობაშივე მოუხდა დაკაცება. გუთნის მაჭს ხეირიანად ვერც კი სწვდებოდა. რომ მთიელის მსუბუქი მოძრაობით მიჰყვებოდა კვალს და მეზობელი გუთნისდედების წაბაძულობით დაბოხებული ხმით აქეზებდა და ავნევებდა ცხენებს.

მძიმე ბავშვობა ჰქონდა. მამამისი გვიან მოჰკიდებია ოჯახს. შვიდი შვილი შეეძინა. არაადამიანური მუშაობით ჯანგატეხილს სიბერეც მალე წამოეწია და ოჯახის მთელი ტვირთი უფროს ვაჟიშვილს, მომავალ პოეტს დააწვა. ბერნსი მწარედ იგონებს ბავშვობას: შორიდან ვინმე მწერალს იქნებ რომანტიკულად მოეჩვენოს ჩემი ბავშვობა, მაგრამ მე კი სული მხდებოდაო. პოეტი სიამაყით იხსენებს მამას — ჭკვიანი და პატიოსანი იყო, კაცური ღირსება არასოდეს არ შეუბღალავსო. „მაგრამ, — იქვე დასძენს, — ჯიუტი და ტლანქი პატიოსნება, მით უფრო, როცა ამას დაუოკებელი სიფიცხეც ემატება, ცხოვრებაში, ეტყობა, ვერაფერ ხეირს დაგაყრის: ამიტომაც დავიბადე უღარიბესი კაცის შვილად“.

საღამოობით დაღლილი მამა ჭრაქის სინათლეზე წერა-კითხვასა და მარტივ ანგარიშს ასწავლიდა შვილებს. დედას შოტლანდიური სიმღერები და ხალხური ლექსები უყვარდა და პატარა დამაშვრალ ბერნსს ტკბილად ჩაეძინებოდა ხოლმე დედის სიმღერაში. განათლებული და ჭკვიანი გლეხი ყოფილა პოეტის მამა. წიგნების კითხვა უყვარდა. ყოველნაირად ცდილობდა შვილებისათვის განათლება მიეცა, თუმცა ეს მრავალშვილიანი ღარიბი კაცისათვის მეტისმეტად ძნელი იყო. მაინც მოახერხა და ორი შვილი — მომავალი პოეტი და მისი მომდევნო ძმა — სკოლაში მიაბარა. ერთ დღეს ერთი ძმა წავიდოდა ხოლმე სკოლაში, მეორე დღეს — მეორე, მონაცვლეობით, რადგან საკლასო სიაში ორივე ძმა ერთ მოწაფედ ირიცხებოდა და როცა ერთი სწავლობდა, მეორე ყანაში მუშაობდა. სკოლაში ბედზე ერთი კარგი მასწავლებელი შეხვდა. თვითონვე ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მომავალ პოეტს ლიტერატურა შეაყვარა.

პოეტის პირველი საყვარელი მწერლები შექსპირი და მილტონი იყვნენ. თავდაპირველად ახალგაზრდა მასწავლებელი თვითონვე უკითხავდა შექსპირის უკვდავ პიესებსა და მილტონის პოემებს. მომავალმა პოეტმა თითქმის ზეპირად იცოდა სცენები დიდი ჰუმანისტის უკვდავი ტრაგედიებიდან. და როცა რამდენიმე წლის შემდეგ, ჩრდილოეთ შოტლანდიაში მოგზაურობის დროს, იმ ციხე-დარბაზში მოხვდა, ის ტახტი უჩვენეს, რომელზეც, გადმოცემის მიხედვით, მაკბეტმა მეფე დუნკანი მოჰკლა, სუნთქვაშეკრულმა ახალგაზრდა პოეტმა ზეპირად გაიხსენა მაკბეტის ცნობილი მონოლოგი. საყურადღებოა, რომ ახალგაზრდა პოეტი მილტონის სატანას თავის საყვარელ გმირად აცხადებს და ამიტომ მას „სატანიზმშიაც“ სდებენ ბრალს...

რობერტ ბერნსი მალე გამოეთხოვა სკოლას: მასწავლებელი წავიდა, სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა. მამა დაავადმყოფდა. ოჯახს აღარც სახსარი ჰქონდა, სწავლის ქირა ეხადა და უკვე შეღერებული ჰაბუკიც ვერ მოცდებოდა ყანის სამუშაოებს, მაშინ შიმშილით სიკვდილი ელოდა მრავალრიცხოვან ოჯახს.

მაგრამ კეთილი მასწავლებლის ჩაგდებული თესლი გაღივდა — ბერნსმა დამოუკიდებლად განაგრძო მსოფლიო ლიტერატურისა და ისტორია-ფილოსოფიის შესწავლა. ედინბურგიდან იწერდა ხოლმე წიგნებს და გატაცებით კითხულობდა. პოეტის ბიოგრაფებს მეზობლების მოგონებები მოჰყავთ: რობერტ ბერნსს ხშირად ნახავდი ყანაში, სადილის დროს, წიგნებში თავჩარგულსო. შეგვიძლია თვითონ პოეტის სიტყვებიც დავიმოწმოთ: „...რამდენიმე ძველი წიგნი და მათ შორის „რჩეული ინგლისური სიმღერები“ მქონდა. ეს რჩეული ლექსები განუყრელ თანამგზავრად მექცა: ფურგონზე ვიჯექი სადავით ხელში, თუ ყანისკენ მივაბოტებდი, წიგნი მუდამ გადაშლილი მქონდა და ვკითხულობდი. სტრიქონებს ჩავკირკიტებდი, ვცდილობდი ჰეშმარიტად წმინდა და ამაღლებული ყალბისა და გაფუყულისაგან გამერჩია“. სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება, თითქოს ბერნსი, მართალია ნიჭიერი, მაგრამ გაუნათლებელი ფერმერი ყოფილიყოს. ფაქტიურად იგი, როგორც ითქვა, შესანიშნავად იცნობდა ანტიკურ ლიტერატურას, ორიგინალში კითხულობდა დიდ ფრანგ მწერლებს და ინგლისური ლიტერატურაც ჩინებულად იცოდა. საყურადღებოა, რომ აქაც ჩვენი ვაჟას ბედი შოტლანდიელი პოეტის ბედს დაემსგავსა: ერთ

დროს აკი ჩვენშიაც გამოჩნდნენ ნიჰილისტები, რომელთაც ვაჟა-ფშაველა გაუნათლებელ ადამიანად მიაჩნდათ...

ბერნსის პოეტური შემოქმედება და სამიჯნურო თავგადასავლები ერთდროულად იწყება. თხუთმეტი წლის ყმაწვილს ყანის მოზიარე გლეხის გოგონა შეუყვარდა და პირველი ლექსიც იმას მიუძღვნა. ასე დაიწყო ჩემთვის სიყვარული და პოეზიაო, — თვითონვე წერს უფრო მოგვიანებით. ეს სიტყვებიც მას ეკუთვნის: აზრადაც არ მომსვლია ლექსის შეთხზვა და პოეტობა, მანამ სიყვარული არ მეწვეოდაო. სოლო როცა პირველი სიყვარული განვიცადე, რითმაცა და მელოდიაც ჩემი გულის გამოძახილად იქცნენო. და იქვე დასძენს: „ეჭვი არ მეპარება, უშუალო კავშირი არსებობს სიყვარულსა, მუსიკასა და ლექსებს შორის“.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამის შემდეგ სიყვარული კიდევ ბევრჯერ სწვევია პოეტს. იქნებ უფრო სწორი იყოს, თუ ვიტყვით: ამის შემდეგ განუწყვეტლივ შეყვარებულია და ლექსებსაც, რაღა თქმა უნდა, განუწყვეტლივ წერს. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა ერთი ქალით თავდავიწყებამდე გატაცებულს, უცებ სხვა შეჰყვარებია და ახლა თავისი გულის ძგერაცა და პოეტური ქნარიც იმ ქალისათვის მიუძღვნია. ასე რომ, თითქოს ვერ იტყვი ბერნსზე — მყარი და ერთგული სიყვარული შეეძლოო. იქნებ პირადოქსადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია — ბერნსი სიყვარულშიაც მუდამ ერთგული იყო და იმ მრავალრიცხოვანი სამიჯნურო თავგადასავლების დროს არ ყოფილა შემთხვევა, ახალგაზრდა პოეტს ნამუსისა და პატიოსნებისათვის ეღალატნოს. ხშირი სამიჯნურო გატაცება მისივე მგზნებარე ბუნებით უნდა ახსნას, ხოლო კაცური კაცობა ამის გამო არასოდეს შეუბღალავს; ასეთი გატაცება არასოდეს შემთხვევითი და უხამსი არ ყოფილა, ეს მუდამ პოეტის დიდი წვა იყო, და ამიტომაც ზოგი ახალი სამიჯნურო ფურცელი მის ბიოგრაფიაში მისივე ცხოვრებისეული ტანჯვის ახალ გვერდს წარმოადგენს. ბევრი შესანიშნავი ლექსი შესძინა მსოფლიო პოეზიის საგანძურს ამ სასიყვარულო თავგადასავლებმა. ამას მკითხველი ადვილად შენიშნავს, როცა რობერტ ბერნსის ლირიკის მოზრდილ ტომს გადაიკითხავს (ქართულად ჯერჯერობით ამ წიგნის მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია თარგმნილი, უმთავრესად თამარ ერისთავის მიერ). იმის დადასტურებად, რომ ბერნსის სამიჯნურო გატაცება არასოდეს ზერელე და უხამსი არ ყოფილა და მუდამ დიდ წვასა და გან-

ცდასთან იყო დაკავშირებული, მინდა მოვიყვანო ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელიც ერთ-ერთ საყვარელ ქალთან იძულებითი განშორების დროს დაიწერა.

Had we never lov'd sae kindly,
Had we never lov'd sae blindly,
Never met or never parted,
We had ne'er been broken-hearted.

უოლტერ სკოტი წერდა, ეს ოთხი სტრიქონი, გრძნობების სიღრმითა და გულწრფელობით, ასობით რომანს უდრისო. საგულისხმოა, რომ ბაირონმა ეპიგრაფად წაუმძღვანა თავის ერთ პოემას ეს სტრიქონები. ქართულად ამ ლექსის თარგმანი ჯერჯერობით არ არსებობს და თავს ნებას მივცემ აქ ლერმონტოვისეული რუსული თარგმანი მოვიყვანო.

Если б мы не дети были,
Если слепо не любили,
Не встречались, не прощались,
Мы б страдания не знали.

ახალგაზრდა პოეტი კვლავ ფერმაში მუშაობს, დრო ნელა გადის, იწერება ახალი ლექსები. პოეტის განათლების ჰორიზონტი სულ უფრო და უფრო ფართოვდება. წმინდა სამიჯნურო ლირიკას თანდათანობით სოციალური სიმწვავე ემატება. სტრიქონი უცრო და უფრო იხვეწება. რობერტ ბერნსს, როგორც პოეტს, უკვე კარგად იცნობენ მეზობელი გლეხები და ახლომახლო სოფლელები. ლექსებს თვითონვე მოარგებს ხოლმე პოეტი რომელიმე შოტლანდიური სიმღერის მელოდიას, და ეს სიმღერებიც თანდათანობით მიიკვლევს გზას ხალხში. ოღონდ ჯერ ისევ პატარაა მისი პოპულარობის წრე — ახლომახლო სოფლებით და ნაცნობებით შემოიფარგლება. მაგრამ პოეტიცა და მისი მეგობრებიც უკვე გრძნობენ, რომ ეს წრე უნდა გაირღვეს და გადიდდეს, პოეტს ახლა იმდენი ლექსი დაუგროვდა, რომ უკვე შეიძლება წიგნის გამოცემა. მაგრამ ისეთ სიძნელეებთანაა დაკავშირებული ეს, რომ ჯერ არც კი ცდილობენ, ვერ ბედავენ.

და ისევ სამიჯნურო შემთხვევამ დააჩქარა პირველი წიგნის გა-

მოცემა. ეს მოხდა 1786 წელს, როცა პოეტი 27 წლისა იყო. ამჯერად რობერტ ბერნსი შეხვდა ქალს, რომელიც მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ეს იყო იშვიათი ხმისა და მუსიკალური სმენის პატრონი ლამაზი გოგონა, ჯინი არმორი. არსებობს გადმოცემა, რომ ჯინმა უამრავი ძველებური შოტლანდიური სიმღერა იცოდა და ბერნსი იმ სიმღერების მელოდიებზე თხზავდა თავის ახალ ლექსებსო. ეს შეხვედრა, როგორც პოეტის ბიოგრაფები გადმოგვცემენ, უცნაურ ვითარებაში მომხდარა. ერთ უქმე დღეს სოფლის ახალგაზრდები ერთად შეკრებილიყვნენ და ცეკვავდნენ, დროს ატარებდნენ. უცებ გახარებული წკმუტუნით მოვარდა ბერნსის ძაღლი და პატრონს მიაშურა, მკერდზე შეახტა. „ეჰ, ასეთი ქალი რომ შემხვდებოდეს, ასე შევუყვარდებოდე!“ — იხუმრა თურმე პოეტმა. რამდენიმე დღის შემდეგ ბერნსი თავის ყანაში მიდიოდა, გზად გოგონების ჯგუფს ჩაუარა, მუშაობაში კართულთ და უცებ წკრიალა სიცილი შემოესმა: „რა ჰქენი, რობი, არ შეგხვდა ისეთი ქალი, შენი ძაღლივით რომ შეუყვარდე?!“ ახლა მართლაც სულ სხვა თვალით შეხედა ბერნსმა შავტუხა გოგონას, რომელსაც თვალები სიყვარულით უციმციმებდა...

ეს გატაცება უფრო სერიოზული აღმოჩნდა. ბერნსმა გადაწყვიტა ცოლად შეერთო ჯინი არმორი. ქალის მამამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა! სიძედ ვერაფერი სასურველი იყო ღარიბი, არაფრის მქონებელი პოეტი, რომელმაც უკვე მოასწრო და თავისი გესლიანი ეპიგრამებით სოფლის გავლენიანი პირები, მათ შორის სამღვდელოების წარმომადგენლებიც კი, გადაიკიდა. ვეღარაფერმა გასჭრა. ქალის მამა იმაზე უფრო მტკიცე და თავისნათქვამი გამოდგა, ვიდრე ეგონათ. გოგონას ნახვაც კი გაძნელდა, მაგრამ თავდავიწყებამდე მისული მიჯნურები მაინც ახერხებდნენ და მალულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ სიყვარულს მიეძღვნა მრავალი შესანიშნავი ლექსი, რომლებიც მარგალიტის ელვარებით ბრწყინავენ პოეტის შემოქმედებაში. ეს ლექსებია „ჩემი ჯინი, ჩემი პატარა გოგონა“, „დაუსტვინე და გამოვალ“, „დასავლეთის ქარს“, „ფეხშიშველა გოგონა“, ისევ „ჩემი ჯინი“ და ბევრი, ბევრი სხვა სატრფიალო თუ სოციალური პათოსით გამძაფრებული ლექსი. როგორც ბიოგრაფები გადმოგვცემენ, პოეტის შემოქმედებაში ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი წელი.

ჩაილია ზაფხული, შემოდგომა მიიწურა, და ჯინ არმორმა შიშ-

ჩარევი სიამაყით ახარა რობერტ ბერნსს, მალე შვილი გვეყოლე-ბაო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვაჟისათვის ეს არ ყოფილა პირ-ველი შვილის სიხარული. იგი უკვე კარგა ხანია მამა იყო. ლექსიც უძღვნა თავის უკანონო შვილს. ეს ლექსი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება პოეტის შემოქმედებაში. „ჩვენ — მე და დედაშენს — ბეჭ-დები არ გაგვიცვლია ერთმანეთისათვის, მაგრამ მაინც მუდამ შე-ნი მოსიყვარულე მამა ვიქნები. რაც უნდა გაჭირვებული ვიყო, ლუკმას მაინც გაგინაწილებ, არაფერს მოგაკლებ... ვიცი, რომ შენს გამო ჯოჯოხეთი მელის, ღვთისმგმობელი შემარქვეს, ეკლესიაში შე-მაჩვენეს, ახლაც რამდენს ჭორაობენ... ილაყბონ, არ დავეძებ“...— ვკითხულობთ ამ ლექსში.

ახლა უკვე ახალი შეჩვენების საბაბი მიეცათ ისედაც განაწყე-ნებულ ღვთისმსახურებს, კიდევ უფრო მეტი საჭორაო მიეცათ დე-დაკაცებს. ქალის მამა არც ახლა გატყდა. პირიქით, ეს ამბავი რომ გაიგო, შვილი სადღაც გადაჰკარგა, შეხვედრის საშუალება მოუს-პო.

შორიდან ეს ყველაფერი იქნებ მართლაც რომანტიკულად ჩან-დეს, მაგრამ თუ კარგად გავითვალისწინებთ დროს, გარემოს, მო-რალის მტკიცე კანონებს, ბერნსის ოჯახის უკიდურეს სიღარიბეს, ნათელი გახდება, რა საშინელ დღეში ჩავარდებოდა პოეტი. ერთ-ხელ იგი უკვე შეარცხვინეს საჯაროდ, ეკლესიაში, შემაღლებულ ადგილზე წამოსვეს და შეუბრალებლად გაჰკიცხეს და შეაჩვენეს. ახლა გაცილებით უარესი განსაცდელი მოელოდა გესლიანი ეპ-იგრამებით გამწარებული გავლენიანი პირებისაგან. ერთი სიტყვით, პოეტს სოფელში აღარ დაედგომებოდა და გადაწყვიტა კიდეც, გას-ცლოდა იქაურობას, სადმე გადაკარგულიყო.

მაგრამ ნურც ამ გამგზავრებას გავახვევთ რომანტიკულ საბურ-ველში. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს არ იქნებოდა მხიარული თავგა-დასავლებისა და ახალ-ახალი შთაბეჭდილებების შემცველი სასია-მოვნო მოგზაურობა, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებდა პოეტის შემოქმედებას. არა! ეს იქნებოდა ლუკმა პურისათვის სამშობლო-დან საალალბედოდ გადახვეწილი, დამცირებული და გაწამებული ადამიანის წანწალი დღიური სამუშაოს საძებნელად. პოეტის ათა-სობით გაჭირვებული თანამემამულე წასულა ასე შინიდან და ნახე-ვარიც კი ველარ დაბრუნებულა სამშობლოში. ისინი მსხვერპლი იდებოდნენ უცხოეთის მკაცრი ჰავისა, მალარიისა, ათასგვარი ტრო-

პიკული დაავადებისა, შიმშილისა... ასეთივე შიმშილით სიკვდილი ენუქრებოდა შოტლანდიის სასიქადულო პოეტსაც...

მაგრამ მოულოდნელად საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა.

პოეტის მეგობრებმა სახელდახელოდ შეაგროვეს ფული, მოლაპარაკება გამართეს მეზობელი ქალაქის ერთ-ერთ გამომცემელთან და სასწრაფოდ გამოსცეს პოეტის ლექსების კრებული. წიგნის გამოცემას ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა — იმ ცოტაოდენი ფულის გარდა, რასაც წიგნში მიიღებდა, პოეტს ახლა მორალური გამხნევებაც ესაჭიროებოდა, რათა შორეულ ქვეყნებში გადახვეწაზე ხელი აეღო და სამშობლოში დარჩენილიყო.

გამომცემელმა სიფრთხილე გამოიჩინა და ნება არ დართო ავტორს სოციალურად მძაფრი ლექსები შეეტანა წიგნში. არ შეატანინა მაგალითად სწორედ იმ ხანებში დაწერილი ერთ-ერთი შედევრი პოეტის ლირიკისა „სიყვარული და თავისუფლება“, რომელსაც შემდეგ სახელწოდება შეეცვალა. მაგრამ ამის მიუხედავად სოციალური სიმახვილე მაინც შერჩა წიგნს. პირველივე ლექსი „ორი ძაღლი“, რომელიც გამომცემელმა ეტყობა უწყინარ ხუმრობად მიიჩნია, მახვილ პოლიტიკურ სატირას წარმოადგენდა. წიგნში შევიდა აგრეთვე მრავალი პატრიოტული ლექსი, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნეიტრალურ პატრიოტიზმს კი არ წარმოადგენდა, არამედ ბრძოლის სულით იყო გაჟღენთილი და მგზნებარე მოწოდებად გაისმოდა სამშობლოს მტრებისა და მოღალატეების წინააღმდეგ. მოცულობით პატარა იყო ეს პირველი კრებული, მაგრამ მრავალფეროვანი გამოდგა და პოეტის მეგობრებისა და განსაკუთრებით გამომცემლის შიშის მიუხედავად წილად ხვდა საარაკო გამარჯვება. ასეთი წარმატება მანამდე არავის ღირსებია შოტლანდიაში. წიგნი 600 ცალი დაიბეჭდა. იმ დროისათვის ეს არცთუ ისე მცირე ტირაჟია. გაიყიდა წიგნი ორ დღეში! მოხდა სასწაული — ყველა ხელობის ადამიანი დააინტერესა ახალგაზრდა პოეტის პირველმა წიგნმა. დღიური მუშები, გლეხები, ხელოსნები შავი დღისთვის გადანახულ უკანასკნელ გროშებს არ ზოგავდნენ, რათა ეს კრებული ეშოვათ და ეყიდათ. წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა. „შაბათ საღამოს მათხოვეს ეს წიგნი და კითხვაში შემომათენდა, — წერს პოეტის ერთი თანამედროვე, — რამდენჯერმე გადავიკითხე“. მეორე მოგონებაც არსებობს: ერთ სახელოსნოში ფურცელ-ფურცელ დაუშლიათ წიგნი და გაუნაწილებიათ. ეაიზეპირებდნენ თი-

თო ლექსს და მერე ფურცელს გაცვლიდნენ. ეს იყო წარმოუდგენლად დიდი გამარჯვება, რამაც პოეტის სულიერი და მორალური მდგომარეობა ერთბაშად გამოასწორა. ამასვე ვერ ვიტყვით მატერიალურ მხარეზე. მეტად მცირე გამოდგა ჰონორარი, რაც პოეტს თავისი ლექსების პირველ კრებულში ერგო. ისე მცირე, რომ, ეტყობა, ცხენის ყიდვაც ვერ მოახერხა და როცა წიგნის გამოსვლის შემდეგ სულ მალე ედინბურგში წასვლა განიზრახა, ნათხოვარი ცხენით გაემგზავრა.

ედინბურგს გამგზავრება დიდი მოვლენა გამოდგა ახალგაზრდა პოეტის ცხოვრებაში. დედაქალაქში ლიტერატურული ცხოვრება დუღდა. აქ ცხოვრობდნენ ცნობილი შოტლანდიელი მწერლები, მეცენატები, ლიტერატურით დაინტერესებული ხალხი. სწორედ ამითვე უნდა აიხსნას, რომ პროვინციის პატარა ქალაქში მცირე ტირაჟით გამოსული კრებული შეუმჩნეველი არ დარჩენილა ედინბურგში. ახალგაზრდა ბერნსზე დედაქალაქშიაც ალაპარაკდნენ. მისი შემოქმედებით იმდროინდელი ცნობილი შოტლანდიელი მწერლები დაინტერესდნენ და ახალგაზრდა პროვინციელი პოეტი დედაქალაქში მიიწვიეს.

ვამბობთ პროვინციელიო, თუმცა რობერტ ბერნსს ახალგაზრდა პროვინციელისათვის დამახასიათებელი უხერხული სიმორცხვე, შეკრთომა და ფრთხილი ცნობისმოყვარეობა არაფერში დასტყობია. მან მთიელი კაცის სიამაყით შეაჯირითა ნანათხოვრები ცხენი ქალაქის ქუჩებში და ერთბაშად აღმოჩნდა ედინბურგის ცხოვრების ცენტრში. ყველას გასაკვირად, იგი გამოდგა დიდად განათლებული და ერუდირებული ჭაბუკი, სასიამოვნო თანამესაუბრე და თანამეინახე, რომელსაც დახვეწილი მანერები და ნატიფი გემოვნება აღმოაჩნდა. სულ მალე იგი დიდი სალონების სასურველი სტუმარი შეიქნა. დიდებულთა ოჯახებმა სავალდებულოდ გაიხადეს ახალგაზრდა პოეტის დაპატიჟება. ეს თითქოს მოდად იქცა. და ახალგაზრდა პროვინციელი პოეტიც შერჩევით ღებულობდა მიპატიჟებას, ზოგჯერ მოწყალებით ეწვეოდა ხოლმე ისეთ სალონებს, სადაც მოხვედრა ბევრისთვის სანატრელი იყო.

ერთ-ერთ ასეთ სალონში იგი შეხვდა მომავალ დიდ მწერალს უოლტერ სკოტს, რომელიც მაშინ თხუთმეტი წლის ყმაწვილი იყო. პოეტის გარდაცვალების დიდი ხნის შემდეგ უოლტერ სკოტმა მოგონების საინტერესო ფურცელი უძღვნა ბერნსს. მისი ლექსე-

ბი ზეპირად ვიცოდით ბავშვებმა და ჩვენი უდიდესი ნატვრა იყო, ერთხელ მაინც შევხვედროდითო. დიდი რომანისტი ცოცხლად გვიხატავს ბერნსის პორტრეტს. მაგარი კაცი იყო — ძლიერი და ბკვრივი. სოფლური მანერები კი ჰქონდა, მაგრამ სიტლანქეს ოდხავადაც ვერ შენიშნავდით. ერთი შეხედვით გლეხი ვეგონებოდათ, რომელსაც საგარეო ტანსაცმელი ჩაუცვამს და მემამულეს სწვევია სადილადაო. მთელი მისი არსებიდან დიდი უბრალოება, უშუალობა და მოკრძალება გამოსჭვიოდა. როცა შემოგხედავდა, გასაოცარ ძალასა და გამჭრიახობას შენიშნავდით. მის პოეტურ ბუნებასა და ტემპერამენტს მთელი სისავსით თვალები ამჟღავნებდნენ. დიდრონი, შავი თვალები, რომელთაც ხელადვე ცეცხლი წაეკიდებოდა, როგორც კი პოეტი გატაცებით დაიწყებდა რამეზე ლაპარაკსო. ჩემს დღეში არ მინახავს ამისთანა თვალები, თუმცა ბევრს შევხვედრივარ ჩვენი დროის გამოჩენილ ადამიანს. ლაპარაკობდა თავისუფლად და დამაჯერებლად, და ერთი ბეწო თვითკმაყოფილებაც კი მის მეტყველებაში არ იგრძნობოდა. როცა კამათის დროს ვინმეს არ ეთანხმებოდა, თავის აზრს მუდამ მტკიცედ გამოთქვამდა ხოლმე, ოღონდ თავშეკავებისა და მოკრძალების საზღვრებს არც ამ შემთხვევაში გადავიდოდა. საკუთარ ლექსებს დინჯად და უბრალოდ კითხულობდა — არავითარი დეკლამაცია და ხელოვნურობა! მაგრამ ამ დროს საოცარი ძალა იგრძნობოდა მის ხმაში. კითხულობდა ლექსებს და თან ფანჯარაში იყურებოდა, სივრცეს გასცქეროდა, მსმენელებს ერთხელაც არ მოხედავდაო...

ზემოთ ითქვა, ედინბურგში ჩასული ბერნსი შერჩევით იღებდა მიპატიჟებასო. პოეტი თავიდანვე გრძნობდა, რომ მისი ლექსები ძალიან ბევრისათვის გაუგებარი იყო, ამ ხალხის უმრავლესობას სულაც არ აინტერესებდა მისი პოეზია, და თუ ასეთი თავგადადებით ეპატიჟებოდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მოდას იყვნენ აყოლილნი. პოეტი იმასაც კარგად გრძნობდა, რომ, როგორც ყოველგვარი მოდა, მისი პოპულარობაც საზოგადოების მეშჩანურ ნაწილში დროებითი და წარმავალი იყო. ამიტომაც საკუთარი ღირსება არასოდეს არ შეუბღალავს და არც თავის დამახასიათებელი სიამაყისათვის უღალატნია. იყო შემთხვევები, როცა პროვინციიდან ახალჩამოსულმა ახალგაზრდამ საკმაოდ მკვახედ უთხრა უარი მიწვევაზე გამოჩენილ დიდებულებსა და დიდად გავლენიან ხალხს. უოლტერ სკოტი ხაზს უსვამს კამათის დროს პოეტის დიდ თავშე-

კავებასა და მოკრძალებას. მაგრამ როცა საქმე დიდი ლიტერატურის ღირსებას ეხებოდა, იგი საკმაოდ ტლანქი იყო. ბიოგრაფები გადმოგვცემენ, როგორ გამოლანძღა ახალგაზრდა რობერტ ბერნსმა ერთი გავლენიანი პირი, რომელმაც დიდი ინგლისელი პოეტის გრეის დამცირება სცადა. „ახლა კი ვხედავ, — შესძახა თურმე გაცხარებულმა პოეტმა, — ლექსწყობის დაკანონებული წესები იქნებ ზეპირადაც იცოდეს კაცმა, მაგრამ მაინც ყეყეჩი და რეგვენი იყოსო“... ბიოგრაფები განაგრძობენ: მაშინვე მიხვდა, რომ მეტისმეტად ტლანქად გამოუვიდა, და ბოდიში მოუხადა... ოღონდ არა თავის მოკამათეს, არამედ დიასახლისის პატარა ბიჭუნას — ბოდიშს ვიხდი, ჩემო პატარა მეგობაროო, — უთხრა.

ედინბურგის „რჩეული საზოგადოების“ მოდური გატაცება ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებით მართლაც მალე განელდა. პირველი საერთო აღტაცების შემდეგ კრიტიკული შენიშვნები გაისმა პოეტის ვულგარული ენისა და გამოთქმების მიმართ. უწუნებდნენ შოტლანდიური დიალექტის სიჭარბეს, აღშფოთებას გამოთქვამდნენ ეპიგრამების მძაფრი ტონის გამო, კატეგორიულად ურჩევდნენ სტილისა და თემატიკის დახვეწას, „გლეხური თემატიკის“ სიტლანქისა და სინედლის ნაცვლად იდეალად უსახავდნენ სენტიმენტალურ თემებსა და სტილს. ეს ბატონები ზოგიერთ ჩვენებურ მრთველს მაგონებს, — წერდა ბერნსი, — ისე წმინდად ქსოვენ თავიანთ საქსოვს, რომ ქსოვილი აღარაფრის მაქნისიაო.

მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პოეტის საერთო პოპულარობისათვის. მისი ლექსები კვლავ მტკიცედ მიიკვლევდნენ გზას და მშრომელი ხალხის განუყრელ თანამგზავრებად ხდებოდნენ. პირველი წიგნის გამოცემიდან ერთი წელიც კი არ გასულიყო, რომ გამოვიდა პოეტის ლექსების ახალი კრებული — ამჯერად უფრო სრული და მრავალფეროვანი. ახალი წიგნი ედინბურგში გამოიცა, ახლა უკვე სამი ათასი ტირაჟით. და გამოცემისთანავე გაიყიდა! ეს მართლაც საარაკო გამარჯვება იყო. მართალია, ახალი გამომცემელიც მოერიდა კრებულში სოციალურად მძაფრი ლექსებისა და ეპიგრამების შეტანას, მაგრამ რისი დაბეჭდვაც მოხერხდა, ისიც გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა მკითხველს პოეტის საერთო მრწამსსა და თავისებურებაზე. ამ წიგნის გამოცემის შემდეგ ბერნსის სახელი კიდევ უფრო შორს გაიჭრა. ზედიზედ გამოიცა მისი წიგნები ინგლისისა და ირლანდიის ქალაქებში. აქვე ისიც უნდა ით-

ვან, რომ ლექსები, რომელთა შეტანა კრებულში ვერ მოხერხდა, ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში. პოეტის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები იწერდნენ ხოლმე ამ ლექსებს და სხვებსაც გადასცემდნენ.

მიღებული ჰონორარის ნახევარი (ბიოგრაფების გადმოცემით, სულ ოთხასი გირვანქა სტერლინგი ერგო ამ მეორე წიგნში) ძმას გაუგზავნა სოფელში, მეორე ნახევრით კი საფლავი აუგო თავის წინაპარ შოტლანდიელ პოეტს ფერგიუსონს. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ახალგაზრდა პოეტს კარგა დიდი დრო დასჭირდა, მანამ ფერგიუსონის დაკარგულ საფლავს მიაგნებდა. დარჩენილი ფულით ორი ცხენი იყიდა და, დედაქალაქის სალონებით გულმოყირჭებელმა, ერთ ახალშეძენილ მეგობართან ერთად სამოგზაუროდ გასწია ჯერ შოტლანდიის სამხრეთში, მერე კი ჩრდილოეთიც მოიარა.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტისათვის ამ მოგზაურობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ცოცხლად ისმენდა ძველ შოტლანდიურ სიმღერებს, რომელთაგან ბევრი აქამდე არც კი გაეგონა, იწერდა მდიდარ შოტლანდიურ ფოლკლორს, მოინახულა მრავალი ისტორიული ადგილი, რომლებიც თავისი ხალხის ძველ დიდებასა და დამოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძოლებთან იყო დაკავშირებული. პატარა ერის შვილი უფრო მტკივნეულად განიცდის ხოლმე სამშობლოს წარსულის გმირული დიდებისა თუ უბედობის ეპიზოდებს. შოტლანდიელთა გმირი მეფის რობერტ ბრუსის დანგრეული სასახლის ხილვამ მწარე ნაღველგარეული აღშფოთების სტრიქონები დააწერინა პოეტს.

მოგზაურობიდან მტკიცე გადაწყვეტილებით დაბრუნდა რობერტ ბერნსი ედინბურგში — სასწრაფოდ გამგზავრებულიყო მშობლიურ სოფელში, დაბრუნებოდა თავის საყვარელ ჯინსა და შვილებს. მაგრამ მაშინვე ვერ გაემგზავრა. შოტლანდიის დედაქალაქში მას ამჯერად ერთი „გაუთვალისწინებელი“ სასიყვარულო თავგადასავალი კიდევ ელოდა, და სწორედ ამან დააყოვნა პოეტის შინ დაბრუნება. აქ იგი შეხვდა მომხიბლავ ქვრივს ნენსი მაკლიოზს და პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა. ვინც ბერნსის შემოქმედებას იცნობს, კარგად ეხსომება ნენსისადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსები. სხვათა შორის, ზემოთ მოყვანილი ოთხსტრიქონიანი ლექსიც, რომელსაც უოლტერ სკოტმა ისეთი ქება შეასხა, ნენსი მაკლიოზს ეკუთვნის.

ეს იყო ყველაზე უცნაური სიყვარული პოეტის ცხოვრებაში. ქალი მტკივნეულად განიცდიდა ამ გატაცებას. ცოდვად მიაჩნდა ცოლშვილიანი კაცის შეყვარება. შეყვარებულები ყოველი შეხვედრისას მწარედ ნანობდნენ ამ შეხვედრას და ფიცავდნენ, რომ ამის მეტად აღარ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მაინც ხვდებოდნენ, თითქმის ყოველდღიურად. და ყოველდღიურადვე სწერდნენ ერთმანეთს მხურვალე სიყვარულისა და მწარე სინანულის წერილებს. ასეთი უცნაური წერილები ჯერ ალბათ შეყვარებულებს ერთმანეთისთვის არ უგზავნიათ. კარგა ხანს გაგრძელდა ეს გატაცება. და ალბათ იმან გასწყვიტა, რომ პოეტი შინიდან სულ უფრო და უფრო ცუდ ამბებს გებულობდა ჯინის ჯანმრთელობის შესახებ. დადგა განშორების დღე. ამჯერად მიჯნურებმა დაუფარავად აღუთქვეს ერთმანეთს, კვლავ მალე შევხვდეთო. მაგრამ მეტად აღარ შეხვედრილან. რამდენიმე ხნის შემდეგ ედინბურგში მოკლე ხნით ჩასულ პოეტს ქალი დაემალა და აღარ გამოუჩნდა. ეტყობა, იგი გაენდო სულიერ მამას და ასეთი დარიგება მიიღო.

ბერნსი დაუბრუნდა თავის ოჯახს, ჯინს, შვრიის ყანებსა და ველურ ყვავილების სურნელით გაჟღენთილ ჰაერს. პოეტმა კვლავ გლეხის პაჭიჭები ამოიცვა და გუთანს ჩასჭიდა ხელი. „ჩემი გული მთებში არის, აქ ნუ გგონიათ ჩემი გული“... — წერდა ბუნების პირველყოფილ სიწმინდეს მოშორებული პოეტი. და ახლა გულმა კვლავ ლაღად დაიწყო ფეთქვა. მისი დიდების ამბავს სოფელშიაც მიეღწია და ჯინის ოჯახი წინააღმდეგი აღარ წასულა ახლა ოფიციალურად დაეწერა ჯვარი შოტლანდიის სასიქადულო პოეტს მათ ქალიშვილთან, რომელთანაც ბერნსს უკვე რამდენიმე შვილი ჰყავდა. ახალი პერიოდი დაიწყო ბერნსის შემოქმედებასა და ცხოვრებაში.

შემოქმედებაში ეს პერიოდი აღინიშნება სოციალური მოტივების გამახვილებით და დიდი ნაყოფიერებით. ამ დროს შეიქმნა „ტემ ო'შენტერი“, „თავისუფლების ხე“, „პატიოსანი სიღარიბე“, „ჯონ ანდერსონი“, რომელიც ერთგული მეგობრობისა და სიყვარულის ჰიმნად შეიძლება ჩაითვალოს, და ბევრი სხვა. მოგზაურობის დროს შოტლანდიის მდიდარი ფოლკლორის გაცნობამ ბერნსის ლექსის ჟღერადობასაც მრავალფეროვანება შემატა. ჯინი კამერტონივითა ჰყავდა — იგი თავისი წკრიალა ხმით წაიმღერებდა თურმე რაიმე შოტლანდიურ სიმღერას და პოეტი სიტყვებს მოარგებდა ხოლ-

მე ამ მოტივს. პოეტის თანამედროვენი გადმოგვცემენ, როგორ იწერებოდა ეს ლექსები. ჯერ ზეპირად თხზავდა, ან გუთნის მანჭს ხელჩაჭიდებული, ან მდინარე ნისის პირად მოყიალე, რომელიც მისი ახალი ფერმის მახლობლად მოედინებოდა, იგი შთაგონებით ბუტბუტებდა ახალი ლექსის სტრიქონებს და მისთვის იმ წუთებში სხვა აღარაფერი არსებობდა. ვინც არ უნდა შეხვედროდა იმ დროს, ვერ შეამჩნევდაო, — ვკითხულობთ თანამედროვეთა მოგონებებში.

ცხოვრების პირობები უფრო მძიმე გახდა. ვალებმა იმატა. ზოგმა მოვალემ სასამართლოშიაც აღძრა საქმე. საქვეყნო სახელმა და დიდებამ ოდნავადაც ვერ შეუმსუბუქა ცხოვრება. პოეტი იძულებული გახდა ისეთი სამსახურისთვის მოეკიდა ხელი, რაც ძნელიც იყო თავისთავად, და მის ბუნებასაც არ ეგუებოდა. სამსახურიდან თავისუფალ დროს ფერმაში მუშაობდა.

პოეტი მხურვალედ გამოეხმაურა საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რომლის გამოძახილმაც ქუხილივით გადაუარა მთელს ევროპას. ეროვნული თუ სოციალური უუფლებობით გაქელილი ხალხი ყველგან იმედის გულისფანცქალით შეჰყურებდა ამ ქუხილს, რომელსაც საყოველთაო თავისუფლება და სამართლიანობა უნდა დაემკვიდრებინა. ბერნსი რევოლუციაში თავისი ჩაგრული სამშობლოს ხსნას ხედავდა. პირველად იგი არ მოერიდა რევოლუციის მიმართ თავისი დიდი სიმპათიების გამომჟღავნებას. არის გადმოცემა, რომ რამდენიმე ზარბაზანიც კი გააგზავნა მალულად ფრანგი რევოლუციონერებისათვის. იმავე გადმოცემის მიხედვით, ზარბაზნები ინგლისელებს დაუკავებიათ. ძნელია დაბეჯითებით თქმა, რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს გადმოცემა. მაგრამ პოეტის დევნა რომ დაიწყო ამავე პერიოდში, ეს აშკარაა.

ბევრი შოტლანდიელი ემსხვერპლა იმხანად საფრანგეთის რევოლუციისადმი სიმპათიების აშკარა გამოთქმას. ინგლისელებმა ადრევე მიიღეს საჭირო ზომები, რათა რევოლუციის ზვირთებს კონტინენტიდან ბრიტანეთში არ შეეღწია. რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებს საშინელი სისასტიკით უსწორდებოდნენ. განსაკუთრებით დევნას განიცდიდა შოტლანდიელი ახალგაზრდობა. პატარა საბაბი იყო საჭირო, რომ ისინი შორეულ ქვეყნებში გაეგზავნათ. ბევრი მათგანი უკან აღარც დაბრუნებულა, გადასახლებაში დაიღუპა. რობერტ ბერნსის გადასახლებას, ეტყობა, მოე-

რიდნენ. მაგრამ მისი ფარული დევნა არ შეწყვეტილა. ამას დაემატა პოეტის მძიმე ავადმყოფობა, მწვავე რევმატული დაავადება, რამაც ერთბაშად გასტეხა და ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა კაცი სამარის კარამდე მიიყვანა. მისი თანამედროვეები გადმოგვცემენ, როგორ შესცვალა სნეულებამ სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდა კაცი. ერთბაშად მოტყდა და მოხუცდა, მკურნალობამ ვერ უშველა. თვითონვე გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას. ერთი მისი თანამედროვე იგონებს, გარდაცვალების რამდენიმე კვირის წინ შევხვდი და მწარედ მეხუმრა, საიქიოში ხომ არაფერს დამაბარებო. ექიმებმა გადარჩენის იმედი გადაიწყვიტეს. მეგობრებიც ხედავდნენ, რომ პოეტის დღეები დათვლილი იყო. მაგრამ ფიზიკური დაუძლურების მიუხედავად, სულიერი სიმხნევე ბოლომდე შეინარჩუნა. გარდაიცვალა 1796 წლის ივლისში.

ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ბერნსის შემოქმედებისა — პატრიოტიზმია, სამშობლოს სიყვარული, მტრის ფეხით გათელილი მშობლიური ქვეყნის განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის მოწოდება. მაგრამ ბერნსის პატრიოტიზმი განსხვავდება მისივე თანამემამულის — უოლტერ სკოტის — პატრიოტიზმისაგან. წარსულის გადაჭარბებული იდეალიზაციის ნაცვლად, ბერნსის პატრიოტიზმი უფრო აქტიურია, შემტევი და თანამედროვეობის სულისკვეთებით გაჟღენთილი. შესანიშნავი ლექსი „ბრუსის მოწოდება“, რომელიც მიძღვნილია ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი მეფის რობერტ ბრუსისადმი, ხალხმა დაწერისთანავე შეიყვარა. „შოტლანდიური მარსელიოზა“ უწოდეს ამ ლექსს და დღემდე ამაყად მღერიან პოეტის სამშობლოში.

ვინ გვიღალატებს, ვინ იქნება ეგზომ მუხთალი,
რომელ სულმდაბალს დაერქმევა მონა და მხდალი,
ვისაც არ ძალუძს მოიხადოს კაცური ვალი,
სჯობს განგვერიდოს!
შორს ღალატი, შიში და ძრწოლა...
ნუმც მოგვეთმინოს ჩაგვრის ბოღმა ტკივილის შიშით,
ნუმც გაეხაროს მტერს ჩვენს შვილთა ვაით და ეშვით,
მაშ რისთვის გვიდგას სისხლი ძარღვში და სული პირში,
შთამომავლობა თუ ბორკილებს არ გადარჩებაl

ქედმაღალ მტარვალს შეუტიეთ, დასცხეთ, დაჰკარით,
მოვსპოთ, მიწასთან გავასწოროთ მტერი მზაკვარი,
თავისუფლებას გაეუქვაღოთ ფართო გზაკვალი;
წინ, შეუპოვრად — ან სიკვდილი, ან გამარჯვება![1]

არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს პატარა ერის შვილის მიერ ასეთი ლექსის გამოქვეყნება, სადაც შეუფარავად არის მოცემული ეროვნული თავისუფლებისათვის მგზნებარე მოწოდება, დიდი გმირობა იყო. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსი თავისი განწყობილებით შემთხვევითი როდია პოეტის შემოქმედებაში. პოეტი კვლავ და კვლავ უბრუნდება ამ თემას და ადამიანის საერთო თავისუფლებასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, მგზნებარედ მოითხოვს მის ეროვნულ გათავისუფლებას. „შოტლანდიის დიდება" — ასეთი სახელწოდება აქვს პოეტის ერთ ლექსს, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა. „საუკუნეების განმავლობაში ჩვენი მოდრეკა ვერ მოახერხეს, — ვკითხულობთ ამ ლექსში, — ინგლისური ფოლადი მრავალჯერ დაგვიჩლუნგებია ბრძოლებში, მაგრამ საბოლოოდ ინგლისურმა ოქრომ დაგვამარცხა, იმით მოისყიდეს მოღალატე და სამშობლოს გამცემი... ნეტა მეც ბრძოლის ველზე დავცემულიყავი, როცა სამშობლოს ღირსების დასაცავად ჩვენი ამაყი ბრუსი ჯარს წინ მიუძღოდა და გვერდში გმირი უოლესი ედგა".

პოეტის შემოქმედებაში ხან აშკარად და შეუფარავად გაისმის ეს მოწოდება, ხან შეფარვით; ხან იუმორით ანელებს თავისუფლების ბრძოლისათვის მოწოდების სიმწვავეს. საინტერესოა ერთი სახუმარო ლექსი, სადაც აღწერილია, თუ რა საშინელი კბილისტკივილი აწამებს პოეტს.

წყეულიმც იყავ, ოხერ-ტიალო,
ღრძილებს მიშანთავ, ტვინში ტრიალებ,
ყურებს მიბურღავ, — ვკვნესი, ვღრიალებ გაბოროტებით,
ტანსაცმელს ვიხევ, დავკოტრიალებ, მოვთქვამ გოდებით...

---

[1] ბერნსის ლექსების ქართული თარგმანი ეკუთვნის თამარ ერისთავს.

და ბოლოს:

ჰოი, სატანავ, ბნელსახიერო,
შავი კუპრის და ცეცხლისმიერო,
შოტლანდიის მტრებს, სულო ძლიერო,
გეედრებ კიეილით,
გადაუხადე სამაგიერო კბილის ტკივილით.

ზემოთაც ითქვა, რობერტ ბერნსი ადამიანის საერთო თავისუფლებას უმღერის. იგი გაბედულად გამოდის ადამიანის სოციალური, რელიგიური, ცრუზნეობრივი და საერთოდ ყოველგვარი ჩაგვრისა და შეზღუდვის წინააღმდეგ. ამავე დროს დაუნდობლად ებრძვის ყოველგვარ ადამიანურ მანკიერებას — ღალატს, გამცემლობას, სიცრუეს და სულმდაბლობას. თავისი პოლიტიკური სიმახვილის გამო ზოგიერთ ლექსს პოეტის სიცოცხლეში დღის სინათლე არ უნახავს და ისე ვრცელდებოდა ხალხში. ამ ლექსთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „თავისუფლების ხე“, რომელიც საფრანგეთის რევოლუციას მიეძღვნა. „ვინც თავისუფლების ხის ნაყოფი იგემა, — ვკითხულობთ ლექსში, — იგი მაშინვე დარწმუნდა, რომ ადამიანი პირუტყვი არ არის“... და იმავე ლექსში: „ბრიტანეთო, შენ მდიდარი ტყითა ხარ შემოსილი, მაგრამ ამ უთვალავ ხეებში თავისუფლების ხე არ ურევია... მჯერა, ის დღეც მალე დადგება, როცა თავის ჯადოსნურ ყლორტებს ჩვენკენაც გადმოშლის ეს ხე. მაშინ დავიწყებას მიეცემა მონობა და გაჭირვება, ხალხები ძმურად და მეგობრულად იცხოვრებენ ერთ ძმურ ოჯახში“.

ასეთი პუბლიცისტური სიმახვილით ხასიათდება პოეტის ბევრი ლექსი. „გაუმარჯოს კითხვის თავისუფლებას, გაუმარჯოს წერის თავისუფლებას. მართალი სტრიქონებისა მხოლოდ მას ეშინია, ვინც იძულებულია ხალხს სიმართლე დაუმალოს“, — ვკითხულობთ პოეტის ერთ ლექსში. სხვათა შორის, ეს ლექსი ბერნსმა მიუძღვნა იმ შოტლანდიელებს, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის თანაგრძნობისათვის სამშობლოდან გადახვეწეს.

ზოგსა ჰგონია, რომ პოეზიის საგანი მხოლოდ სიყვარული და ღვინო უნდა იყოს; ეს სულაც არ არის ასეო, — წერდა პოეტი ერთ წერილში. რობერტ ბერნსმა გაბედულად გაუღო პოეზიის კარი ისეთ თემებს, რაც მანამდე ლექსისათვის დამამცირებლად და მკრეხელობად ითვლებოდა. უპირველესად ყოვლისა სწორედ ამა-

ში ვლინდება ბერნსის პოეზიის ხალხურობა. ბაირონი შენიშნავდა: „ბერნსი რომ არისტოკრატად დაბადებულიყო და არა გლეხად, მისი შემოქმედება უფრო დახვეწილი იქნებოდა, მაგრამ ის ძალა აღარ ექნებოდა; ლექსები იქნებ იმდენივე ყოფილიყო, მაგრამ არ იქნებოდა უკვდავება“.

მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ ბერნსის ლექსიკის სიმდიდრეზე. შექსპირისა და მილტონის შემდეგ ინგლისურ ლიტერატურაში ყველაზე მდიდარი ლექსიკა ბერნსსა ჰქონია. პოეტი გაბედულად იყენებს შოტლანდიურ დიალექტს, ხალხურ გამოთქმებს, ბევრ ისეთ სიტყვას, რასაც მანამდე უფლება არა ჰქონდა პოეზიის სამკაული ყოფილიყო. და ლექსიკის ასეთი სიმდიდრის მიუხედავად, არის რამდენიმე სიტყვა, რასაც რობერტ ბერნსი ძალიან ხშირად იმეორებს ხოლმე თავის ლექსებში, მაგრამ ეს სულაც არ მოასწავებს მისი ლექსიკისა და პოეტური თემატიკის სიღარიბეს. ეს სიტყვებია „პატიოსნება“, „ნამუსი“, „ღირსება“, „კაცური კაცობა“... ეს ისეთი ცნებებია, რასაც პოეტი ადამიანის უმაღლეს ღირსებადა თელის და მგზნებარედ უმღერის. ამ შემთხვევაში ბერნსი, როგორც მოქალაქე და პოეტი, განუყოფელია. მთელი თავისი ცხოვრებით იგი პატიოსნებას ემსახურებოდა და ნერგავდა და შემოქმედებაშიაც პატიოსნებას უმღეროდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდამ თავის სოფელში დააარსა უცოლოთა კლუბი. ეს იყო ერთგვარი თავშეყრის ადგილი, სადაც განათლებული ახალგაზრდები დისკუსიებს მართავდნენ ხოლმე სხვადასხვა საკითხებზე. საინტერესოა კლუბის წესდება, რომელიც ბერნსის ხელით არის დაწერილი. „ამ საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ პატიოსანი, ნამუსიანი და გულღია ადამიანი, — ასე იწყება წესდება, — ქედმაღლები, მედიდურები, თავდაჯერებულები, როელთაც ცხოვრების მთავარ მიზნად ფულის შოვნა განუზრახავთ, კლუბში არასდიდებით არ მიიღებიან“.

ბერნსის მთელი შემოქმედება პატიოსნების, ნამუსის, კაცური კაცობის ჰიმნია. ამიტომაც არის რომ მისმა პოეზიამ ეროვნული და ეპოქის საზღვრები გაარღვია და ყველა დროისა და ყველა ქვეყნის პატიოსან ადამიანთა კუთვნილებად იქცა. მის ლექსებს მარტო თავის სამშობლოში და მარტო შოტლანდიურ მოტივებზე როდი მღერიან. ჩვენ მოწმენი ვართ, რა პოპულარობა მოიპოვა ქართველ

ხალხში მისმა ერთმა ლექსმა, ქართველი პოეტის მიერ თარგმნილმა და ქართველი კომპოზიტორის მიერ ნოტებზე გადატანილმა:

ცოლი მყავს და ნამუსი მაქვს,
არ დავუთმობ არავის,
რქებს ვერავინ ვერ დამადგამს,
არც დავადგამ არავის...

მე არავის ვემონები,
არც ვბატონობ არავის,
მტერს შიშველი ხმალით ვხვდები,
ქედს არ ვუხრი არავის.

გავიჩარებ, გავლაღდები,
არ ვიდარდებ არავის,
თუ არავის ვენაღვლები,
არც მე ვნაღვლობ არავის.

1971 წ.

## ჩარლზ დიკენსი

ჩარლზ დიკენსი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ბავშვობაში გაეცნობა ხოლმე ადამიანი და მერე ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად გაიხდის. ყმაწვილობის ასაკში კითხულობენ უმთავრესად მის რომანებს, მაგრამ მათ ისეთი მადლი აქვთ, რომ შემდეგ აღარასოდეს ავიწყდებათ, მთელი ცხოვრების მანძილზე ისევე ცოცხლად იგონებენ ამ წიგნების გმირებს, როგორც ნამდვილად არსებულ ადამიანებს, რომელთაც ოდესღაც შეხვედრიან და, თავიანთი დიდი სიკეთისა თუ დიდი ბოროტების გამო, დავიწყება ვეღარ მოუხერხებიათ. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მოვლენები, დიდი ძვრები, რაც ერთიანად აუფორიაქებს გულს და მერე გარკვეულ დაღს ასვამს მთელ ცხოვრებას, თავისებურად წარმართავს მის არსებობას. სულ სხვადასხვაგვარია ეს ძვრები და სხვადასხვა დროს ეწვევა ხოლმე ადამიანს: ეს შეიძლება იყოს მძაფრი მწუხარება ან სიხარული, დიდი ტკივილი ან იმედის გაცრუება, რაღაც დიდი

ცხოვრებისეული საიდუმლოს შეცნობა თუ აღმოჩენა, რაც თავისთავად იდუმალ იმედებსა და სევდას შეიცავს.

დიკენსის შემოქმედება შეიძლება სწორედ ასეთი „ძვრების“ გამომწვევ მოვლენად მივიჩნიოთ, რადგან ის საოცარი მრავალფეროვნებითა და სიმართლით გადაგვიშლის ადამიანის ბუნების საიდუმლოებას, მის რთულ სულიერ სამყაროს, მთელი თავისი სიკეთითა და ბოროტებით.

ეს ორი სიტყვა — სიკეთე და ბოროტება — შემთხვევით არ გვიხსენებია. ეს არის დიკენსის შემოქმედების ამოსავალი წერტილი. ოცამდე დიდი წიგნი გამოაქვეყნა მან თავისი არცთუ ისე სანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (იგი გარდაიცვალა 58 წლისა) და ყველგან, ყველა რომანსა თუ მოთხრობას გამოკვეთილ ზოლად გასდევს ადამიანური ცხოვრებისა და ურთიერთობის ეს ორი ძირითადი საწყისი.

ბოროტისა და კეთილის განუწყვეტელი ჭიდილია მის რომანებში, ზოგჯერ გამძაფრებული, ზოგჯერ კი შეფარვით, უბრალო ადამიანურ ურთიერთობებში გამოვლენილი; არა ისეთი შემარყეველი კოსმოსური მასშტაბებისა, როგორსაც მისივე თანამემამულის შექსპირის ტრაგედიებში ვხვდებით, არამედ უბრალო, საყოველდღიურო ცხოვრებისეული, მაგრამ მაინც განუწყვეტელი ჭიდილი. ვეცნობით ამ ჭიდილს და ვგრძნობთ, რომ ბას არბიტრის მახვილი თვალი უთვალთვალებს: დრომდე შორიდან შეჰყურებს ეს არბიტრი ჭიდილს, არ ერევა, თითქოს ობიექტურობას იჩენს, თითქოს გადაუწყვეტია ბოლომდე ამხილოს და გამოავლინებინოს ბოროტ ძალას თავისი მანკიერება, ყველას აშკარად დაანახვოს მისი სიგლახე და საშინელება, აღაშფოთოს მკითხველი, ატიროს, სუსტის თანაგრძნობით გაუვსოს გული, და როცა გგონია, ბოროტმა იმძლავრაო, მაშინ არბიტრის მსახვრალი ხელი აღიმართება და მოსპობს ამ ბოროტ ძალას. დიკენსს თამამად შეეძლო თავისი შემოქმედებისათვის საერთო ეპიგრაფად წაემძღვანებინა შოთა რუსთაველის სიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება, ცხოვრებაში მისი გამოვლინება და ჭიდილი, საერთოდ მხატვრული ლიტერატურის მარადიული თემაა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ არსად, არც ერთი მწერლის შემოქმედებაში არ არის ეს ისე გამოკვეთილი და ხაზგასმული, როგორც დიკენსისაში.

ბავშვობაში მან თვითონ მთელი სიმწვავითა და სიმძიმით განიცადა სოციალური თუ ადამიანური ბოროტების საშინელება და შემდეგ, როგორც ჰეშმარიტ ჰუმანისტ მწერალს შეეფერება, თავის შემოქმედებაში მკაცრად გაილაშქრა ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, დაუზოგავად დასცინა ადამიანურ სიხარბეს, შურს, გაუტანლობასა და ამაო პატივმოყვარეობას. საღებავები არ დაუშურებია, რათა მთელი საშინელებით დაეხატა ქვეყნად გამეფებული უსამართლობა, უეხში ძალის მიერ სუსტისა და ფაქიზის გათელვა, უსიხარულოდ დაღამებული ცხოვრება, ფიზიკურად და სულიერად დასახიჩრებული ბავშვობა, კანონის მიერ წაქეზებული ძალმომრეობა, სიხარბითა და გაუმაძღრობით გამხეცებული ადამიანისაგან ძმისა და მოყვასის არდანდობა... მთელის მანკიერება, რაც იმხანად განსაკუთრებული სიმწვავითა და სისშიშვლით გამოვლინდა ინგლისში.

ეპოქა, რომელშიაც დიკენსი ცხოვრობდა, ითვლება სამრეწველო კაპიტალიზმის მანამდე არნახული განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლების უაღრესი გამწვავების ხანად. საპარლამენტო რეფორმამ, რაც 1832 წელს ჩატარდა, ძალაუფლება სამრეწველო ბურჟუაზიას გადაულოცა. მაგრამ ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე ქვეყნის ეს ახალი მესვეურები ვერაგულად გადაუდგნენ თავიანთ გუშინდელ მოკავშირეებს — ინგლისელ მუშათა კლასს, ვისი მეშვეობითაც სულ ცოტა ხნის წინათ ძალაუფლება მოიპოვეს. 1834 წელს მათ გამოსცეს „ღარიბთა კანონი“, რისი ძალითაც უმუშევრებს ყოველგვარი ადამიანური უფლებები ეკვეცებოდათ და იგზავნებოდნენ ეგრეთ წოდებულ „მუშათა სახლებში“, რაც ფაქტიურად ციხეს წარმოადგენდა. პროლეტარიატის სასტიკი ექსპლოატაციისა და წვრილი ბურჟუაზიის გაკოტრების ხარჯზე სამრეწველო კაპიტალიზმი სულ ახალახალ ვამპირჯვებებს იხვეჭდა და განუხრელად წინ მიიწევდა.

უუფლებოდ დარჩენილი პროლეტარიატი თავგამოდებით იბრძოდა საარსებო პირობების გაუმჯობესებისა და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. 1837 წელს ეკონომიურმა კრიზისმა იფეთქა. ამან, თავისთავად, ქუჩაში გამოჰყარა მუშათა ახალი და ახალი არმიები. ზედიზედ იკეტებოდა ფაბრიკები და ქარხნები, ეცემოდა სამუშაო ხელფასი, ცხოვრების პირობები თანდათანობით

უარესდებოდა. ამ პერიოდს ემთხვევა მუშათა მასობრივი გამოსვლები და საყოველთაოდ ცნობილი ჩარტისტული მოძრაობა.

ამ სოციალური ძვრების უშუალო მოწმე იყო სავსებით ახალგაზრდა მწერალი ჩარლზ დიკენსი, რომელსაც, როგორც ითქვა, ბავშვობიდანვე საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი ცხოვრების უსამართლობის მთელი სიმძიმე და უბედურება და თუნდაც ამი ტომ არ შეიძლებოდა გულგრილი მეთვალყურის როლში დარჩე ნილიყო. მართალია, მას იარაღი არ აუღია, არც მუშებს ამოდგომია გვერდში — საერთოდ აქტიური ბრძოლა მის ბუნებასა და მსოფლმხედველობას არ ეგუებოდა. მაგრამ, „თავისი კალმითა და სამწერლო მოღვაწეობით იმაზე მეტი პოლიტიკური თუ სოციალური ჭეშმარიტება დაანახვა ხალხს, ვიდრე პოლიტიკოსებისა და პუბლიცისტ-მორალისტების მთელი არმია მოახერხებდა“. სტეფან ცვაიგი პირდაპირ წერს — დიკენსის რომანების გამოსვლის შემდეგ ინგლისში ადამიანები უფრო ლმობიერნი და გულმოწყალენი გახდნენ; რაც „ოლივერ ტვისტი“ გამოქვეყნდა, უპატრონო ბავშვებს გაცილებით უფრო მეტ მოწყალებას უბოძებდნენ, ხოლო ძმები ჩირიბლების გავლენით, მდიდარმა ხალხმა საქველმოქმედო საქმეებისთვის ფულის შეწირვა იწყოო. მთავრობაც ცდილობდა, ღარიბთა თავშესაფრებისათვის მზრუნველობა გაეძლიერებინაო. აქ ავსტრიელ მწერალს ალბათ მხედველობაში აქვს ერთეული კონკრეტული შემთხვევები, რაც საერთო ამინდს, რაღა თქმა უნდა, ვერ შექმნის, მაგრამ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ფაქტის გახსენებით დიკენსის მხატვრულ ძალასა და დიდ ჰუმანიზმს უსვამს ხაზს.

დიკენსი ამხელდა ინგლისური კანონმდებლობისა და საპარლამენტო სისტემის მანკიერებას, სასტიკად ჰკიცხავდა ბურჟუაზიის ეგოისტურსა და მტაცებლურ ბუნებას, არისტოკრატიის გამოფიტულობასა და გარყვნილებას, ფარდას ხდიდა ბურჟუაზიული მორალისა და ფილანტროპიის თვალთმაქცობას... და ყველაფერ ამას იგი აღწევდა არა მშრალი ფრაზებით ან პათეტიკური გამოსვლებით, არამედ თითქოსდა სავსებით მიუდგომელი კალმით. იგი საოცარი სიმართლით ხატავდა არსებულ ცხოვრებას. ყოველ ახალ რომანში იგი თავისდროინდელი ცხოვრების სულ ახალ-ახალ მხარეებს განიხილავს, ახალ პრობლემებს წამოჭრის, ახლებურად აშუქებს სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებს. და თითქმის არც

ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო მოვლენა შეუმჩნეველი არა რჩება. ვისაც სურს ცოცხალ სურათებად წარმოიდგინოს იმდროინდელი ინგლისის ცხოვრება, თითქმის საკმარისი იქნება დიკენსის რომანები ჩაიკითხოს თავიდან ბოლომდე. ბევრი ეპიზოდი მისი რომანებიდან დღევანდელ მკითხველს იქნებ ავტორის მოგონილად მოეჩვენოს, მისი დიდი იუმორისტული ნიჭის ფანტაზიად, რაღაც თვითმიზნურ პასაჟად, რაც ზოგჯერ მწერალს სიუჟეტური ხაზის განვითარებისათვის, ან დიდი დრამატული დაძაბულობის შესამსუბუქებლად სჭირდება ხოლმე.

სინამდვილეში ასეთ თვითმიზნურ ადგილებს დიკენსის რომანებში ვერ ნახავთ. ყველაფერი ცხოვრებისეულია და გარკვეულ მიზანს ემსახურება. ეს მიზანია — მხილება, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მანკიერებათა მხილება, იქნებ არც ისე გამძაფრებული, რომ მისმა ზვირთებმა ერთბაშად შესძრას და შეანჯღრიოს, მაგრამ ყოველთვის მწვავე და დაუნდობელი. ზედმეტ გამძაფრებას კი დიკენსი ერიდება, თითქოს ეშინია ზედმეტი აბობოქრება-მღელვარებისა, და როგორც კი მოეჩვენება გადაჭარბებული სიმძაფრით გამომივიდაო, მაშინვე თავის მადლიან იუმორს მოიშველიებს, ხელად შეარბილებს; ჯერ რისხვას დაუგუბებს გულში მკითხველს, შურისგებით აღაგზნებს, მუშტს მოსაქნევად შეუკრავს, მაგრამ მალევე გადაუშლის სახეზე ღიმილს და გაგულისებას მხიარული სიცილით დაავიწყებს, გულში რაღაც ბუნდოვანი იმედის შუქს ჩაუნათებს.

ერთი შეხედვით ასეთ „თვითმიზნურ“, ავტორის გამოგონილ ეპიზოდად მოეჩვენება ადამიანს მთელი საინტერესოდ მოთხრობილი ამბავი კრომლსის თეატრისა „ნიკოლას ნიკლბიში“. ახლა ეს ამბავი სახალისოდ გვეჩვენება და მადლიანადაც გვახარხარებს. სინამდვილეში თეატრის ბედი მეტისმეტად სავალალო იყო დიკენსის დროინდელ ინგლისში, ყველა მოცლილი და უნიჭო ადამიანი სცენაზე გამოდიოდა, დრამატურგობას ჩემულობდა. საინტერესოა ერთი ასეთი „დრამისმკეთებელი“ იმავე „ნიკოლას ნიკლბიდან“. იგი „გულმოწყალედ“ და ქედმაღლურადაც კი ახსენებს შექსპირს. „აჰ, ბილიზე ლაპარაკობთ, — ფამილიარულად შესძახებს იგი, სკამის ზურგს გადააწვება, კბილსაჩიჩქნს აამუშავებს, — რაღა თქმა უნდა, ბილი გადამკეთებელი იყო, ნამდვილი გადამკეთებელი და ძალიან მარჯვედაც აკეთებდა... შედარებით, რა თქმა უნდა...

მაგრამ მას შემდეგ ადამიანის ინტელექტი განვითარდა, ვითარდება და კიდევ უფრო განვითარდება, სერ“. მოთმინებადაკარგული ნიკოლასი, რომელიც ამ შემთხვევაში ავტორის პირით ლაპარაკობს, გაგულისებით შესძახებს: „...ის თავისი გენიის მაგიური წრისათვის იღებდა ძველ თქმულებებს, ჩანაფიქრის მიხედვით გადააკეთებდა და ნაცნობ ამბებს ისეთ ელვარე თანავარსკვლავედად აქცევდა, რაც საუკუნეების განმავლობაში მთელ ქვეყანას გაანათებს. თქვენ კი, თქვენი სიჩლუნგის მაგიური წრისათვის გამოუსადეგარ სიუჟეტებს ამოათრევთ ხოლმე და იმასაც ამდაბლებთ, მაშინ როცა იგი ამაღლებდა. თქვენ, მაგალითად, ცოცხალ ავტორებს ხელიდან სტაცებთ დაუმთავრებელ, საღებავშეუმშრალ წიგნებს, სჭრით, აჭუცმაცებთ, ანაკუწებთ, თქვენი თეატრების შესაძლებლობასა და აქტიორების ნიჭს უფარდებთ, დაუმთავრებელ ნაწარმოებს თვითონვე ამთავრებთ, ამდენ ფაცაფუცში ტლანქად აკოწიწებთ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ იდეებს, რომელთა გამომუშავებაზე ნაწარმოების ავტორებს ვინ იცის რამდენი მშფოთვარე დღე და უძილო ღამე გაუტარებიათ; ტვინს იჭყლეტთ, რათა ცალკეული ეპიზოდები და დიალოგები, თვით უკანასკნელი სიტყვაც კი, — რომელიც, ვინ იცის, ავტორს იქნებ ორი კვირის წინათ დაუწერია, — ერთმანეთს შეურწყათ და ნაწარმოების ჩანაფიქრი წინასწარ ივარაუდოთ, — ამას ყველაფერს ავტორის უნებართვოდ აკეთებთ, მისი სურვილის წინააღმდეგ. ბოლოს კი დაწყებულ საქმეს აგვირგვინებთ უბადრუკი წიგნუკას გამოცემით, რომელშიაც დამახინჯებული ეპიზოდების დომხალია და სხვა არაფერი. ამ წიგნუკას თქვენს გვარს აწერთ და შენიშვნებში კი დიდი რიხით აცხადებთ, ასე ბარე ასჯერ დამირღვევია უფლებაო. ერთი გამაგებინეთ, რა განსხვავებაა ამნაირ ქურდობასა და ქუჩებში წვრილ ჯიბგირობას შორის, გარდა იმისა, რომ კანონმდებლობა ცხვირსახოცების დაცვას კისრულობს, ხოლო ადამიანის გონების დაცვა არავის ენაღლება — თავდაცვაზე თვითონვე იზრუნოსო (თუკი მთლად არ დაუჩეჩქვეს თავი). „ხალხმა ხომ უნდა იცხოვროს, სერ!“ — შეაწყვეტინებს ვაიდრამატურგი. „ეს მოტივი ორივე შემთხვევაში გამოდგებოდა, — მიუგებს ნიკოლასი, — მაგრამ თუ ასე შეატრიალებთ საკითხს, მაშინ სათქმელი აღარა დამრჩენია რა, გარდა ერთისა, მე რომ წიგნების ავტორი ვიყო, თქვენ კი თავგადადებული დრამატურგი, ვამჯობინებ რომელიმე ფუნდუკში მთე-

ლი ექვსი თვე ვიხადო თქვენი დანახარჯი, რა დიდიც არ უნდა იყოს, იმას კი არასგზით დავთანხმდები, რომ შთამომავლობამ ექვსი საუკუნის განმავლობაში ჩემს გვართან ერთად დიდების ტაძარზე ამოტვიფრული თქვენი გვარი იკითხოს, თუნდაც სადღაც დაბლა, ჩემი კვარცხლბეკის შეუმჩნეველ კუთხეში".

განგებ დავუთმეთ ამდენი ადგილი ამ ციტატას: იგი არა მარტო მაშინდელ მდგომარეობას გაგვაცნობს, არამედ შემდეგი დროის მოვლენებსაც აქტუალურად ეხმაურება. ისევე, როგორც ყველა სხვა აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხს, დიკენსი თეატრის ბედსაც ჩვეული სიმწვავითა და სიმახვილით გამოეხმაურა. მით უმეტეს, რომ თეატრი მისთვის სასხვათაშორისო ამბავი არ ყოფილა. გატაცებით უყვარდა სცენა, ნანობდა რატომ მსახიობი არ გამოვედიო, ოჯახურ წარმოდგენებს მართავდა ხოლმე, თვითონვე მონაწილეობდა, ბოლოს კი მით მოიკლა თავისი თეატრალური ჟინი, რომ საჯაროდ გამოდიოდა და თავისივე რომანებს კითხულობდა. ეს არ იყო უბრალო დეკლამაცია — თან კითხულობდა და თან ოცენიურად წარმოადგენდა თავის მრავალრიცხოვან გმირებს. აღტაცებული ხალხი სულგანაბული უსმენდა, ტიროდა, იცინოდა. ალბათ ნამდვილ თეატრსაც კი იშვიათად ღირსებია მაყურებლის ასეთი გულიანი ტაში და აღფრთოვანება.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არავის არ მოუხერხებია იმდროინდელი ინგლისის ისე ცოცხლად და მრავალფეროვნად დახატვა, როგორც დიკენსმა შესძლო. მან გააცოცხლა ყველა კლასის წარმომადგენელი, მაშინდელი საზოგადოების ყოველ საფეხურზე მდგომი წევრი, ღრმად ჩაიხედა ყოველი ადამიანის სულში და გმირის სიხარული თუ მწუხარება მკითხველს გაუზიარა. მისი წიგნების კითხვისას თითქოს ყურში ჩაგვესმის და თვალწინ ცოცხლივ ვხედავთ აჩოჩქოლებულ ბირჟებს; უცხოეთიდან ჩამოტანილი საქონლით გამოტენილი საწყობების სინესტეს; გემებისა და ფაბრიკების კვამლით გაჟღენთილ ნისლს, რომელიც დაბლა ჩამოწოლილა და ადამიანს სულს უხუთავს; უპატრონოდ მიგდებული ბავშვების გაცრეცილ სახეებს, რომელთაც თვალებში შიში დაბუდებიათ; ლოგინზე მიჯაჭვულ გაბოროტებულ, მომაკვდავ მამას, რომელსაც ეს ქვეყანა შვილისთვისაც კი ენანება; ძუნწი მევახშის ნერვულ ნაბიჯებს... ერთი სიტყვით, სახეების ამოუწურავ ზღვას.

ინგლისელმა პოეტმა კოლრიჯმა დიდ ინგლისელ დრამატურგს

ათასსულიანი შექსპირი უწოდა, და ამით მის სცენიურ სახეთა სიმდიდრეს გაუსვა ხაზი. უფრო თამამად შეგვეძლო ეს სიტყვები გამოგვეყენებინა დიკენსის მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიკენსის ყველა წიგნში გამოკვეთილად ჩანს ბოროტებისა და სიკეთის ჰიდილი, მხატვრული ფაქტურაც თითქმის ერთნაირია. და. ზერელე შეხედვით, კაცს იქნებ ერთფეროვანი მოეჩვენოს მწერლის შემოქმედება. მაგრამ დიკენსის უდიდესი ღირსება და ნიჭის ძალა სწორედ ისაა, რომ თემისა და ფაქტურის ერთფეროვნების მიუხედავად, ყოველ ახალ წიგნში იგი სულ ახალ და ახალ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეებსა და სიტუაციებს ქმნის, და ყველა მისი გმირი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ამას იგი ახერხებს ადამიანის ყოველმხრივი და საფუძვლიანი ცოდნით. მას ისეთი მახვილი მზერა აქვს, რომ შეუმჩნეველი არაფერი რჩება. ერთი თვალის შევლება კმარა, რომ ყველაფერი შეამჩნიოს, ყოველი წვრილმანი აღიქვას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საშვილიშვილოდ დაიმახსოვროს. „სწორედ ეს წვრილმანებია თავი და თავი ცხოვრებაშიო“, წერდა თვით დიკენსი.

მწერლის სამყარო ორად განიყოფება — სიკეთით აღსავსე ადამიანები და ბოროტი ადამიანები. მაგრამ დიკენსის ყველა კეთილი ადამიანი თავისებურად კეთილია, ერთმანეთს არა ჰგავს, არც ბაძავს ერთმანეთს, არც ერთნაირ სიტუაციაში აქცევს მათ ავტორი. იგივე ითქმის ბოროტ ადამიანებზე. ამასთან, ავტორი არ კმაყოფილდება გმირის ხასიათის მარტო ერთი მხარე გვიჩვენოს, იგი ბოლომდე მიჰყვება მას და ყოველი კუთხით გვაჩვენებს გმირს, ყოველგვარ მდგომარეობასა და სიტუაციაში. სრულებითაც არ ერიდება, რომ დადებითი გმირის სუსტი, ზოჯერ მეტისმეტად სასაცილო მხარე გვაჩვენოს. არც ბოროტი კაცის სიკეთეს დაფარავს. თუკი აღმოაჩნდება მას რაიმე სიტუაციაში თუნდაც ნატამალი ადამიანური სიკეთისა.

ჩვენ აღვნიშნეთ, როგორ გულმოდგინედ ხატავს მწერალი თავის გმირს, რათა ყოველი კუთხით გვაჩვენოს იგი, რათა გაუშუქებელი და მკითხველისათვის უხილავი არ დარჩეს მისი სახისა და ბუნების არც ერთი ნაკვთი, არც ერთი მხარე და ნიუანსი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიკენსი ერთი კალმის მოსმითაც კი აცოცხლებს ტიპს და მის დასრულებულ სახეს გვაძლევს, მკითხველს

პირველივე გაცნობით უქმნის სათანადო განწყობილებას. როდე-საც თვალთმაქცი და გაიძვერა ური ჰიპი შემოდის სცენაზე და მას რომანის მთავარი გმირი ხელს ჩამოართმევს, თითქოს ადამიანისთ-ვის კი არა — სველი ბაყაყისთვის წაეცლოს ხელი ახალგაზრდა და-ვით კოპერფილდს. და ის ჟრუანტელი, რაც რომანის მთავარმა გმირმა განიცადა ური ჰიპის ხელის ჩამორთმევით, მაშინვე მკითხ-ველსაც დაუვლის ტანში.

მწერალმა თავიდანვე დაისახა მიზნად, არა მარტო დაეხატა სინამდვილე თავისი სიმკაცრითა და საშინელებით, არამედ დაუნ-დობლად ემხილებინა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი მანკი-ერებანი. ეს განზრახვა მას გამოთქმული აქვს ერთ-ერთი ადრეუ-ლი ნაწარმოების შესავალში. მართლაც, დიკენსი დროულად და აქტიურად ეხმაურება ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას, რასაც იგი ცხოვრებაში ხედავს.

თავისი მძაფრი სატირული მახვილი მწერლობაში გამოსვლის-თანავე მან აღზრდის სიმახინჯის წინააღმდეგ მიმართა. მაშინდელი ინგლისის სკოლების უმრავლესობა ემსახურებოდა არა ადამიანის წესიერ აღზრდასა და ბუნებრივ განვითარებას, არამედ მის სული-ერ და ფიზიკურ დამახინჯებას. სკოლა ბავშვს სიცოცხლეს უწამ-ლავდა და ყოველგვარ სიხარულს ართმევდა. აღზრდის საქმე მინ-დობილი ჰქონდა უვიც, უსულგულო და ანგარებიან ადამიანებს. დიკენსი პირდაპირ წერდა ერთ-ერთი რომანის წინასიტყვაობაში: „კერძო სკოლები დიდხანს იყო იმისი მშვენიერი მაგალითი, თუ რა საშინლად უგულებელყოფილია ინგლისში აღზრდა და რა უგულოდ ეკიდება ამ საქმეს — კარგი თუ ცუდი მოქალაქის ჩამო-ყალიბების, ადამიანის უბედურ თუ ბედნიერ გზაზე დაყენების საქმეს — სახელმწიფო. ყველას, ვინც კი სხვა საქმიანობაში უხე-რობას გამოიჩენდა, თავისუფლად, შეუმოწმებლად შეეძლო გაე-ხსნა სკოლა, როცა მოესურვებოდა. დასტაქარს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის გაჩენას, ან ზოგჯერ იქნებ საჭირო გახდეს ამქვეყ-ნიდან მის წასვლასაც შეუწყოს ხელი, უსათუოდ მოსთხოვდნენ ხოლმე საჭირო განათლებას, ამგვარსავე მოთხოვნას წაუყენებდნენ მეაფთიაქეს, ვექილს, ყასაბს, ხაბაზს, სანთლის მკეთებელს... ერთი სიტყვით, ყოველგვარი ხელობის და საქმიანობის ადამიანს, გარდა მასწავლებლისა... მშობლების სიხარბისა თუ უჭკუობის, აგრეთვე ბავშვების უმწეობის წყალობით, მრავალი უვიცი, ბილწი, გულქვა

ადამიანი, რომელთაც ჰკვათამყოფელი კაცი ცხენსა და ძაღლსაც კი არ ანდობს, გახდა ქვაკუთხედი ისეთი საზოგადოებისა, რომელსაც სისულელესა თუ გულცივობაში ქვეყნად ბადალი არა ჰყოლია... ზოგჯერ გვესმის ხოლმე, როგორ აძლევენ სამართალში უხეირო ექიმს, რომელმაც მორჩენის ნაცვლად სავსებით დაასახიჩრა მოტეხილი მკლავი, ან ფეხი, მაგრამ რაღა უნდა ვთქვათ ასიათასობით ადამიანის სულზე, რომელიც უნიჭო გაიძვერებმა, განსპეტაკების ნაცვლად, საბოლოოდ დაამახინჯეს?!“

იმდენად მწვავედ იდგა იმ დროს ინგლისში აღზრდისა და სკოლების საქმე, რომ დიკენსი თავის რომანებში არაერთხელ დაბრუნებია ამ საკითხს. უვიცი და გულქვა მასწავლებელი, რომელსაც პირობითად თუ შევარქმევთ ამ სახელს, თორემ ისე. თავისი გულქვაობისა და სიმხეცის გამო, არათუ ბავშვის აღმზრდელად, საპყრობილის გუშაგადაც არ გამოდგება, ყოველნაირად წაჰლავს ნორჩ გულს, უშხამავს სიცოცხლეს, გონებრივად აჩლუნგებს, და ფიზიკურადა და სულიერად დამახინჯებული ადამიანი ნაადრევად ჩაჰყავს სამარეში. კერძო წერილებითა და ზოგი რომანის ავტორისეული წინასიტყვაობით ვიცით, რომ დიკენსს რამდენიმე ადგილას უნახავს ასეთი სკოლა...

და აი მკითხველის თვალწინ ცოცხლდება მისტერ და მისის სკვირსების, მისტერ და მისს მორდსტონების, მისტერ კრიკლის არაადამიანური სახეები. ამასთან, ისეთის სიზუსტითა და ზედმიწევნითი მსგავსებით გადმოაქვს დიკენსს ეს სახეები, რომ ბევრმა მასში საკუთარი თავი შეიცნო და საქმეც კი აღძრა სასამართლოში მწერლის წინააღმდეგ. ვკითხულობთ მშობლების მიერ განწირულ, ბედის ანაბრად მიგდებული გაუბედურებელი ბალღების სავალალო ამბავს, თითქოს ვხედავთ გამხეცებული მორდსტონების თვალების ბრიალს და უსამართლოდ განწირული უმწეო ბალღის აფართქალებული გულის ძგერაც გვესმის. ამაშია მწერლის დიდი ნიჭი და სურათის გაცოცხლების უნარი.

დიკენსი კიდევ და კიდევ უბრუნდება ამ საკითხს, რადგან იცის, რომ ყველაფრის სათავე ეს არის. ბავშვობამოწამლული ადამიანი ან ფიზიკურად ისპობა ან სულიერად ნადგურდება, ეჩვევა პირმოთნეობას, გაიძვერობასა და თვალთმაქცობას, პატიოსანი და ნორმალური კაცი კი იშვიათად გამოდის. და მართლაც მწერალი ჩვენ თვალწინ შლის ასეთ ბავშვობაგამოელილ ადამიანთა

სახეებს — ესაა რალფ ნიკლბი. რომელსაც თავიდანვე ფული დაუსახეს ღმერთად, ფულის სიყვარულსა და სიხარბეს დააჩვიეს და ახლა ფულის გარდა აღარაფერი არსებობს მისთვის, ყველა ადამიანურ გრძნობას — სიყვარულს, სინანულს, ლმობიერებას და სათნოებას ცინიკურად შეჰყურებს და როცა მის გამოვლინებას ღაინახავს, საშინლად ღიზიანდება ხოლმე. ასეთია ური ჰიპი, რომელსაც თავიდანვე თვალთმაქცობა და გაუტანლობა შეუსისხლხორცებია და თვითონ ბავშვობიდანვე ყოველგვარ სისპეტაკესა და სათნოემბამოკლებელს, აღარავითარი სიწმინდე აღარა სწამს.

დიკენსი დაუნდობელი კრიტიკით გამოდის იმ დროს ინგლისში გაბატონებულ სხვა სოციალურ ბოროტებათა წინააღმდეგაც და დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი ასე თუ ისე აქტუალური საკითხი, რაც მწერლის მახვილი კალმის დაცინვისა და გაკიცხვის საგანი არ გამხდარიყოს. „ჩემი მწერლობით, — წერდა იგი უფრო მოგვიანებით, — მე ვემსახურებოდი ჩემს ხალხს, ვცდილობდი გავრკვეულიყავი სოციალურ უსამართლობაში და საზოგადოებრივი საკითხების სწორად გადაჭრაში დავხმარებოდი".

მაგრამ როგორ უნდა დაეხმაროს მწერალი თავის ხალხს იმ სოციალური ბოროტების ამოძირკვაში, რასაც იგი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხედავს? ამ კითხვას გარკვეულ პასუხს ვერ აძლევს დიკენსი. იგი სულითა და გულით თანაუგრძნობს თავის ხალხს, მწვავედ განიცდის მთელს მის უბედურებას, დაუნდობლად დასცინის და ამათრახებს ყველა იმ გრაიდებსა თუ გრანდგრინდებს, რომელთაც გაიძვერობითა და თაღლითობით დაგროვებული ფულის წყალობით განუზომელი უფლება მოუპოვებიათ... ამ ნაძირალა ხალხს ყოველგვარი სიწმინდე და სიფაქიზე დაუკარგავს, ადამიანურ გრძნობებს ფულით ზომავს და ფულზე ახურდავებს. განუზომელი სიმდიდრის პატრონი ბიძა, რომელსაც ძმისწულების მეტი ქვეყნად აღარავინ შერჩენია, წამიერად გაღვიძებულ ადამიანურ სინანულსა თუ სიყვარულს ხელადვე თრგუნავს და ფულზე ჰყიდის თავის მშვენიერ ძმისწულს... ქმარი ცოლსა სწირავს... იმავე ფულის გამო. ეგოისტი მამა შვილსა სთმობს... ეს ფულით გაუმაძღარი ხალხი, რაღა თქმა უნდა, ერთმანეთსაც არ ინდობს, ათასნაირი გაიძვერობითა და ხრიკებით ცდილობენ ერთურთის მოტყუებას. ერთმანეთს არ ზოგავენ, ფეხით ქელავენ, სასიკვდილოდ არ ინდობენ, მაგრამ საკმარისია გამოჩნდეს მოპირდაპირე ბანაკის

წარმომადგენელი — პატიოსანი ადამიანი, რომ ისინი ხელადვე შეერთდებიან და საერთო ძალით ცდილობენ მის მოსპობას. თითქოს ინტუიცია უკარნახებთ, რომ ასე მოიქცნენ, გამოჩენისთანავე მოსპონ და გაქელონ ყოველი პატიოსანი...

ერთი სიტყვით, მწერალი ოდნავადაც კი არ ზოგავს, გამძაფრებული სატირით დასცინის და კიცხავს ქვეყნად გამეფებულ ბოროტებას... მაგრამ ამაზე შორს ვეღარ მიდის. გადამჭრელი ზომები მისთვის უცხოა, და ისევ შემარიგებელი გზების გამოძებნაზე ზრუნავს. ცვაიგი მოხდენილად შენიშნავს: „როგორც კი მოიმარჯვებს ხელს მძლავრი დარტყმისათვის, იმწამსვე სიბრალული წაეტანება მკლავში და შეაჩერებს“. დიკენსი ცდილობს უნუგეშოდ არ დასტოვოს თავისი გმირები, გაიდეალებული და არარსებული ტიპების შემოყვანით რაღაც ოპტიმისტური მომავალი დაუსახოს, და იმავე იუმორით, რითაც ასე მწვავედ და დაუნდობლად ამხილებს ძალმომრეობას, ცდილობს ჩაგრულთა გულებსაც მოუფონოს.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი თავის რომანებში ასე შიშველად და დაუნდობლად ამხელს საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ სოციალურსა თუ ადამიანურ ბოროტებებს, გვაჩვენებს ტლანქი ძალმომრეობით გათელილ ადამიანურ სიფაქიზესა და სინაზეს, მისი გმირები ბოლომდე განწირულები მაინც არ რჩებიან. მათ, როგორც შორეული შარავანდი, მაინც აშუქებთ რაღაც ნათელი, ცრემლებს შორის მაინც ხედავენ ღრუბლებით დაფარული მკრთალი მზის სხივის ციაგს, რომელიც იმედის შუქს უღვივებს გულში. ეს არის სიკეთე, დიდი ადამიანური სიკეთე, დროებით გაქელილი სიკეთე, რომელიც არ შეიძლება საბოლოოდ მოისპოს, რომელიც სადღაც არსებობს, სადღაც ჩვენს მახლობლად და რომელმაც, როცა იქნება, უსათუოდ უნდა გაიმარჯვოს ბოროტებასა და წყვდიადზე. ოღონდ ეს არის, რომ ამ სიკეთის დასაჩქარებლად დიკენსის გმირები უძლურნი არიან, ეს სიკეთე თავისით მოვა, თავისით დამკვიდრდება, თავისით განდევნის ბოროტს... ასეთია მწერლის მრწამსი. მისთვის საკმარისია მხოლოდ მხილება ბოროტებისა და მეტი არაფერი.

გალაკტიონ ტაბიძეს აქვს ასეთი სტრიქონი „დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება“... ეს არის მართლაც საყვარელი სურათი მწერლის რომანებში. ზის ცხოვრების უკუღმართობით გა-

ქელილი, ფაქიზი სულის ადამიანი და გაღვივებულ ნაკვერჩხალს ჩაჰყურებს, თითქოს იქ ხედავს იმ დიდ სიკეთეს, რამაც უნდა იზეიმოს ქვეყანაზე. მეტი არაფერია საჭირო. ზის და ჩაჰყურებს გაღვივებულ ნაკვერჩხლებს, იმ ცრუმორწმუნე ადამიანის მსგავსად, რომელსაც კოშმარული სიზმრების ცეცხლისათვის განდობა და ამ საშუალებით მათი გაფანტვა გადაუწყვეტია.

1967 წ.

## მაინ რიდი

მაინ რიდს ცნობილი ამერიკელი მწერლის ფენიმორ კუპერის ლიტერატურულ მიმდევრადა და მისი საქმის გამგრძელებლად თვლიან. ფენიმორ კუპერი 1851 წელს გარდაიცვალა. მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დროს გამოაქვეყნა მაინ რიდმა თავისი პირველი რომანი. მაინ რიდმა ახალი განვითარება მისცა, ახალი ჰორიზონტი გადაუშალა ე. წ. სათავგადასავლო ლიტერატურას და ამ ჟანრს ბევრი შესანიშნავი რომანი შემატა.

ამდენად, მაინ რიდს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იმ სახელგანთქმულ მწერალთა შორის, რომლებიც, უმთავრესად სათავგადასავლო რომანებს წერდნენ. პირველ ასეთ მწერლად უნდა დავასახელოთ დანიელ დეფო, აგრეთვე ჟიულ ვერნი, ფენიმორ კუპერი, ალექსანდრე დიუმა... როცა სათავგადასავლო ჟანრის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ვლაპარაკობთ, უნებურად გაგვახსენდება ხოლმე ამავე ჟანრის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის რობერტ სტივენსონის სიტყვები: ლიტერატურამ ხალხს სიხარული უნდა მიანიჭოს, მხნეობა განუმტკიცოს, გული გაუმაცოს. და მართლაც, სათავგადასავლო ჟანრის გმირები სულით მხნე და მამაცი ადამიანები არიან, ისინი უშიშრად ებრძვიან ბოროტებას და ქვეყნად კეთილი საქმის დამკვიდრებისათვის იღვწიან. არავითარი განსაცდელი მათ არ აშინებთ, თვითონვე ეძებენ ხოლმე ფათერაკებს და დაუსრულებელი ბრძოლებიდან უმთავრესად გამარჯვებულები გამოდიან. ბუნებრივია, რომ ამ ჟანრის ნაწარმოები ხშირად მოკლებულია ფსიქოლოგიურ სიღრმეს, ცხოვრების რეალისტურ ანალიზს. მაგრამ მათი მნიშვნელობა მა-

ინც განუზომლად დიდია, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკითხველებისათვის. აქვე მოკლედ შევნიშნავთ, რომ სათავგადასავლო ლიტერატურა ორი ძირითადი ხაზით განვითარდა — სამეცნიერო-ფანტასტიკური (და, ამდენად, დიდია ამ ჟანრის შემეცნებითი მნიშვნელობა) და ისტორიულ-ავანტურისტული. პირველის ბრწინვალე წარმომადგენელია ჟიულ ვერნი (თუმცა, ცნობილია, მარტო სამეცნიერო-ფანტასტიკური თემატიკით არ იზღუდება იგი), მეორისა — ალექსანდრე დიუმა. მაინ რიდის შემოქმედებაში ორივე მიმართულებასა ვხედავთ.

ორმოცდაათამდე რომანის ავტორია მაინ რიდი. რაც წერა დაიწყო, იმ დღიდან მოკიდებული სიკვდილის დღემდე წელიწადში თითქმის ორი რომანი მოსდის. ასეთი ხელხვავიანი მწერალი ბევრი როდი იცის ლიტერატურის ისტორიამ. მართალია, ყველა ნაწარმოები ვერა დგას ერთნაირ მხატვრულ დონეზე, საგულდაგულოდ რომ შევარჩიოთ მისი რჩეული ნაწერები, სულ ერთი ათეული რომანი, თუ ცოტათი მეტი, შეიძლება მოჰყვეს შიგ და ისინიც, უნდა ითქვას, თანაბარი მხატვრული ღირებულებისა ვერ აქნებიან, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინ რიდის თითქმის ყველა რომანი, მართალია მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ხასიათდება სიუჟეტის საოცარი დაძაბულობით, ეპიზოდების სიმრავლით, გმირთა მოქმედების გეოგრაფიული არის მრავალფეროვნებით, ფანტაზიის სიმდიდრითა და თხრობის სილაღით.

სიუჟეტის დაძაბულობასა და საინტერესო ეპიზოდების სიმრავლეს რომ ვამბობთ, უნებურად გვახსენდება თვითონ ავტორის, მაინ რიდის, საოცრად დაძაბული, სახიფათო თავგადასავლებითა და გმირული ეპიზოდებით სავსე ცხოვრება. ჩვენი მხატვრული გამოთქმა — „სიკვდილს თვალი გაუსწორაო" — რაც ყოველთვის გადატანითი მნიშვნელობით იხმარება ხოლმე, შეგვეძლო მაინ რიდზე პირდაპირი მნიშვნელობით გამოგვეყენებინა, რადგან მან იმაზე გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე საბოლოოდ ჰაიბარებდნენ სამარეს, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში განიცადა პირველი სიკვდილი, საკუთარი ნეკროლოგების წაკითხვა მოუხდა. ამ შეჯახებამ ათქმევინა კიდეც, მე ვიქნები ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ორჯერ სიკვდილი უწერიაო...

მაგრამ ამ „პირველი სიკვდილის" ამბავს ცოტა უფრო ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი ჩვენი მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა

დავიწყოთ იმითი, რომ თომას მაინ რიდი, ანუ როგორც თვითონვე უწოდებდა ხოლმე თავს — კაპიტანი მაინ რიდი, ჩაგრული ერის შვილი იყო და უნდა ვიფიქროთ, რომ ის მხურვალე თანაგრძნობა ჩაგრული ხალხისადმი და ის მრისხანე აღშფოთება გათავხედებულ დამპყრობთა და მჩაგვრელთა მიმართ, რაც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება მის რომანებში, ბავშვობის უმშვენიერესი შთაბეჭდილებებითა და საკუთარი განცდებითა და განწყობილებებით არის გაპირობებული.

მაინ რიდი ირლანდიელი მღვდლის ოჯახში დაიბადა, 1818 წლის 4 აპრილს, ირლანდიას მაშინ ინგლისის პირველ კოლონიას ეძახდნენ და დამპყრობელი ერის საშინელ სისასტიკეს თითქმის ყველაზე მწვავედ მართლაც ეს ქვეყანა განიცდიდა. ყველაზე მწვავედ ალბათ იმიტომაც, რომ თავისუფლების მოყვარული პატარა ხალხის წინააღმდეგობა აქ უფრო მედგარი და შეუპოვარი იყო.

პირველდაწყებითი განათლების შემდეგ, როცა საქმე პროფესიის არჩევაზე მიდგა, ახალგაზრდა მაინ რიდს უთანხმოება მოუვიდა მამასთან და ოჯახიდან წავიდა. მამა დაჟინებით მოითხოვდა, შვილიც მის კვალს გაჰყოლოდა, მღვდლად კურთხეულიყო. ჭაბუკის გონება კი, იმდროინდელი ახალგაზრდობის უმრავლესობის მსგავსად, სხვა უფრო რომანტიკული ფიქრებით იყო მოცული. უცხო ქვეყნებში ბედის საძებრად წასვლა და სახიფათო თავგადასავლებით სავსე ცხოვრება ერჩიენა. და წავიდა კიდეც, დეფოს ცნობილი რომანის გმირივით, მამის შეგონებას ყური არ ათხოვა და ერთ მშვენიერ დღეს ამერიკის კონტინენტისაკენ გასამგზავრებლად გამზადებულ გემზე შედგა ფეხი.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი საინტერესო ფაქტი. მაინ რიდის ერთ-ერთი რომანი ზუსტად ასე იწყება. თექვსმეტიოდე წლის მეოცნებე ჭაბუკი, რომელსაც ისე იტაცებს ზღვა და საზღვაო თავგადასავლები, რომ სიზმარშიაც კი ეს ელანდება, სტოვებს მშობლიურ კერას და, რობინზონ კრუზოსავით, ერთ-ერთ გემს უცხო ქვეყნებისაკენ გაჰყვება. დეფოს საერთო გავლენა მართლაც აქვს მაინ რიდს, და არა მარტო მაინ რიდს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს თანდამთხვევა სხვა რამით უნდა აიხსნას. ზემოთაც ითქვა, დრო იყო ისეთი, მთელი ქვეყანა მოგზაურობაზე ოცნებობდა, შინიდან გარბოდნენ, პირველივე გემის ბანზე მოექცეოდნენ, და, გამდიდ-

რებისა და ბედის ძიების ჟინით შეპყრობილნი, ოკეანეებს სერავდნენ.

თითქმის ყველა ბიოგრაფი ერთხმად დაასკვნის, მაინ რიდიც გასამდიდრებლად, ოქროების მოსახვეჭად გაემგზავრა ამერიკაში. ეს იქნებ ნაწილობრივ მართალიც იყო, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ გადამწყვეტი როლი მაინც მისმა დაუცხრომელმა სულმა და რომანტიკულმა ბუნებამ ითამაშა. თანაც, იგი ვერ იტანდა იმ მონურ მორჩილებას, რასაც მისი ხალხისგან ინგლისელი დამპყრობლები მოითხოვდნენ. ამას თვითონვე ამბობს ახალგაზრდობისდროინდელ ერთ-ერთ ლექსში, რომელიც მხოლოდ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მის მაშინდელ განწყობილებას გამოხატავს. „გულით მიყვარხართ, ჩემო თანამემამულენო“, წერს იგი ამ ლექსში, „მაგრამ თქვენთან მაინც ვერ დავრჩები. ჯოჯოხეთად აქცია ჩემი სამშობლო უცხოელმა და მე არ შემიძლია, მდიდრების კარდაკარ ხელგაწვდილმა ვიარო“...

ირლანდიელები იმხანად მასობრივად გარბოდნენ სამშობლოდან — გაურბოდნენ აუტანელ გაჭირვებასა და სიღარიბეს, დამპყრობელთა ძალმომრეობასა და სისასტიკეს. მიდიოდნენ უმთავრესად ამერიკაში, რომელიც იმ დროს მართლაც დიდი ეკონომიური აღმავლობის გზაზე იდგა. გამდიდრების ჟინით შეპყრობილი ამერიკელი ვაჭრები და პლანტატორები არაფერს არ ეპუებოდნენ, ცეცხლითა და მახვილით იპყრობდნენ ახალ ქვეყნებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს ფეხით თელავდნენ.

მაინ რიდი პირველად ნიუ ორლეანში ჩავიდა. ეს იყო 1840 წელი. ათას რამეში სცადა ბედი მეოცნებე ჰაბუკმა. კაჭრობაც სცადა, აქტიორობაც, მასწავლებლობაც, მაგრამ არაფერმა არ გაუმართლა. ბოლოს, 1843 წელს, ფილადელფიაში, 25 წლის ჰაბუკი, პირველად მოჰკიდებს კალამს ხელს. ამჯერად უკვე ჟურნალისტობაში სცდის ბედს. აქედან უკვე ერთი ნაბიჯიღაა მწერლობამდე, მაინ რიდის ნამდვილ მოწოდებამდე. და ამ ძნელ ნაბიჯს მას, როგორც ჩანს, ედგარ პო გადაადგმევინებს, იმდროისათვის უკვე ცნობილი ამერიკელი მწერალი, სათავგადასავლო ჟანრის ოსტატი, რომელიც მაშინ ფილადელფიაში ცხოვრობდა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ წლებში დაიწერა ედგარ პოს დეტექტური ნაწარმოებები — „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“, „მარი როჟეს საიდუმლო“, „მოპარული წერილი“ და სხვა. მაინ რიდი დაუახლოვდა ამერი-

კელ მწერალს, მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა და უნდა ვიფიქროთ, რომ ირლანდიელი მწერლის პირველი ჟურნალისტური ნაწერების მკითხველი და რედაქტორი სწორედ ედგარ პო იყო. იქნებ ახალგაზრდა ჟურნალისტმა მაშინვე მოიფიქრა თავისი ადრინდელი სათავგადასავლო რომანების სიუჟეტიც! თუმცა პირველი ასეთი ნაწარმოები ცოტა უფრო მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ გამოვიდა.

აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, თითქოს მაინ რიდს ამერიკელი მწერლის ლიტერატურული გავლენა განეცადოს. მაინ რიდის წერის მანერა სულ სხვაგვარია, სხვა არის მისი გმირების სამოქმედო ასპარეზიც. მაინ რიდის გმირები პირველყოფილი პუნების წიაღში მოქმედებენ, მათი ცხოვრება სამხრეთის მზით განათებულ ცასავით გამჭვირვალეა.

ჟურნალისტობით მალე გაითქვა ახალგაზრდა ირლანდიელმა სახელი და სულ მალე იგი ამერიკის უდიდესი გაზეთების თანამშრომლად მიიწვიეს. ამავე დროს იწყება ომი ამერიკასა და მექსიკას შორის და მაინ რიდს უკვე ფრონტზე ვხედავთ, მოხალისედ წასულს, ამერიკელი ჯარისკაცების მხარდამხარ მებრძოლს.

ბიოგრაფები ვარაუდობენ, რომ ახალგაზრდა მაინ რიდი, თითონ ჩაგრული ერის შვილი და ჩაგრულთა მოსარჩლე, მოატყუეს, ამერიკელ იმპერიალისტთა აგიტაციის ანკესზე წამოეგოო. საქმე ის არის, რომ მექსიკაში იმ დროს სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ქვეყნის სხვადასხვა პარტიები და ჯგუფები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. დაბნეული და გაუბედურებული ხალხი ხან ერთ პარტიას მიემხრობოდა ხან მეორეს. ომს ბოლო არ უჩანდა და მექსიკელი ხალხი მძიმე დღეში იყო ჩავარდნილი. ამერიკელ იმპერიალისტებს დიდი ხანია თვალი ეჭირათ ამ მდიდარ მიწებზე, დიდი ხანია ოცნებობდნენ, ტეხასი მთლიანად წაერთმიათ მექსიკისათვის. და აი, ხელსაყრელი შემთხვევა მიეცათ. განგაში ასტეხეს, კაცთმოყვარე ამერიკელი ხალხი ვეღარ მოითმენს მეზობელი პატარა ხალხის ჩაგვრასა და წამებას, ღვთის სამართალი მოგვიწოდებს დავიხსნათ მექსიკა საშინელი განსაცდელისაგანო... დაიძრა კიდეც ამერიკის ლაშქარი და, სამართლიანობისა და მეზობლური დახმარების დროშით, ყაჩაღურად ჩამოაჭრა მექსიკას ტერიტორიის უდიდესი ნაწილი.

სწორედ ამ ომში დაიჭრა სასიკვდილოდ ამერიკელი ჯარისკაცის მუნდირში გამოწყობილი ახალგაზრდა ირლანდიელი. როგორც მისივე თანამებრძოლები გადმოგვცემენ, ერთ-ერთი ქალაქის აღებისას მან გამოიჩინა უმაგალითო მამაცობა და იერიშის დროს ბრძოლის ველზე დაეცა განგმირული...

ასე ეგონა ყველას — თანამებრძოლებსაც და მოწინააღმდეგესაც. ამიტომ აღარავის უზრუნია, მძიმედ დაჭრილი მეომარი ბრძოლის ველიდან გაეყვანა. იქვე დატოვეს, მკვდრებში. გაზეთებში მაშინვე ნეკროლოგები გაჩნდა. ლექსიც კი მიუძღვნეს დაღუპულ მეომარს. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მოხვდა იგი ჰოსპიტალში, სისხლისაგან თითქმის მთლიანად დაცლილი...

ბიოგრაფების ვარაუდი სწორი უნდა იყოს. ახალგაზრდა მაინ რიდი მართლაც მოტყუებით ჩაითრიეს სამარცხვინო ომში. ეს იქიდან ჩანს, რომ ამის შემდეგ, სულ მალე, მწერალი თანაგრძნობით ხატავს მექსიკელ ხალხს, ხოტბას ასხამს გმირ მეომრებს, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი შეგვიძლია მოვიშველიოთ იმის დასამტკიცებლად, რომ კაპიტანი მაინ რიდი მოტყუებით აღმოჩნდა დამპყრობ იმპერიალისტთა მხარეზე, რომ მას ბოლო წუთამდე ეგონა, თითქოს მექსიკელი ხალხის განმათავისუფლებელ ომში იბრძოდა.

ის საბედისწერო შეტაკება, როცა მაინ რიდი სასიკვდილოდ განგმირული დაეცა, 1847 წლის შემოდგომაზე მოხდა. ეს ის დროა, როცა მთელს ევროპაში ხალხთა დიდი მოძრაობაა და საცაა რევოლუციის ცეცხლი უნდა აგიზგიზდეს. ქვეყნიერება შეპარყია ამ დიდმა მოძრაობამ. ჩაგრული ერები იმედის თვალით შეჰყურებდნენ მას. მაინ რიდი ამ დროს უგრძნობლად ეგდო ამერიკის ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში. ხოლო როცა სიცოცხლეს დაუბრუნდა და ევროპაში მომხდარი ამბები გაიგო, გამოჯანმრთელებასაც აღარ დაელოდა და, თითქოს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად, განუკურნებელი, ჭრილობამოუშუშებელი, ევროპის კონტინენტისკენ გაეშურა, რათა ამჯერად ნამდვილ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმულიყო.

მაგრამ დაიგვიანა. როცა მაინ რიდი ინგლისში ჩავიდა, რევოლუცია ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში რეაქციას ჩაეხშო. ახალგაზრდა კაცი გულისტკივილით შეჰყურებს ევროპის ჩაგრუ-

ლი ხალხების, მათ შორის ინგლისელი იმპერიალისტებისაგან გა-, თელილი თავისი მშობელი ხალხის დამსხვრეულ ოცნებებს. მაინ რიდი არ ერიდება აშკარად გამოთქვას თავისი სიმპათიები 1848 წლის რევოლუციის მიმართ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების მიმართ.

ამავე პერიოდს განეკუთვნება მისი მეგობრობა დიდ უნგრელ რევოლუციონერთან და ტრიბუნთან ლაიოშ კოშუტთან, რომელიც რევოლუციის დამარცხების შემდეგ იძულებული გამხდარა საშობლოდან გამოქცეულიყო. მაგრამ ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია უნგრეთის რევოლუციის ბელადს. იგი ახლა ცდილობს როგორმე იტალიაში მოხვდეს და ახალი ბრძოლების გეგმა დასახოს. თანამემამულეებს დაუკავშირდეს, რომლებიც, უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, ავსტრიელ დამპყრობლებს იძულებით წაოუყვანიათ, რათა მათი დახმარებით ახლა იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაახშონ.

მაინ რიდმა კონკრეტული და საქმიანი დახმარება აღუთქვა კოშუტს და დაეხმარა კიდეც. იგი უშიშრად გამოვიდა საქვეყნოდ, პრესის ფურცლებზე, რათა დაეცვა უნგრეთის რევოლუციის ბელადი. ასევე მგზნებარედ და უშიშრად გამოდიოდა იგი აბჯა ჩაგრული ხალხების ინტერესების დასაცავად. ამითვე უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, 1855 წელს, ლონდონში გამართულ მიტინგზე, რომელიც 48 წლის რევოლუციის ხსოვნას მიეძღვნა, მსოფლიოს ბევრ პროგრესულად განწყობილ ადამიანთან ერთად, მაინ რიდიც იყო მიწვეული.

თავისი პირველი რომანის წერას მაინ რიდი ჰოსპიტლიდან გამოსვლისთანავე შეუდგა, მაგრამ რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად ევროპაში გამგზავრებამ კალამი რამდენიმე ხნით გვერდზე გადაადებინა. ახლა კი, რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის გაძლიერების შემდეგ, როცა იმედები კარგა ხნით ჩაქრა და ჩაიფერფლა, ისევ მიუბრუნდა დაწყებულ რომანს. სწორედ ამ დროიდან იწყება მაინ რიდის ნაყოფიერი მუშაობა მწერლობაში.

მკითხველი ინტერესით შეხვდა ახალი მწერლის გამოჩენას. მისი რომანები მალე საღდება. საოცარი ის არის, რომ თითქმის ვაშინვე, ამ რომანებმა სხვა ენებზედაც გაიკვლიეს გზა.

აქედან მოკიდებული მთელი ჩვიდმეტი წელიწადი ლონდონში

ცხოვრობდა მაინ რიდი. მისი მოუსვენარი ბუნება მარტო მაგიდასთან მშვიდად მუშაობას ვერ ეგუებოდა. სცადა ხელი მოკიდა რამდენიმე საქმისათვის, მაგრამ ყოველი ცდა ისევ და ისევ მარცხით მთავრდებოდა. ბოლო წლებში ავადმყოფობამაც გაუხანგრძლივა, განუკურნებელი ძველი ჭრილობის ტკივილები საშინლად აწამებდა.

ამისდა მიუხედავად, ან იქნებ სწორედ ამის გამოც, იგი გადაწყვეტს ერთხელ კიდევ გაემგზავროს ამერიკაში. ნიუ იორკში აარსებს ახალ ჟურნალს. ინგლისიდან ჩამოყოლილი ფული ამ ახალ საქმეზე დააბანდა. მაგრამ წარმატება არც ამ საქმეში ეწერა. ჟურნალს ბევრი მკითხველი არ გამოუჩნდა და იძულებული გახდა ძალევე დაეხურა. ეგონა, ჰავის გამოცვლით ავადმყოფობაც შეუმსუბუქდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა.

ამჯერად დიდხანს აღარ დარჩენილა მწერალი ამერიკაში. ავადმყოფობისაგან ფიზიკურად დაუძლურებული და იმედგაცრუებული, მალევე დაბრუნდა ინგლისში და ახლა უკვე საბოლოოდ დასახლდა აქ.

ცნობილია, რომ უოლტერ სკოტმა, დიდი ქალაქებისკენ დაშორებით, ბუნების წიაღში შუასაუკუნეობრივი კოშკი აიგო, ცდილობდა იმ განწყობილებით ეცხოვრა და ესუნთქა, რითაც მისი რომანების მრავალრიცხოვანი გმირები ცხოვრობდნენ. საინტერესოა, რომ მაინ რიდიც ასე მოიქცა. მისი რომანების მოქმედების ასპარეზი სულ სხვა იყო, სხვა იყო ამ რომანების გმირთა სულისკვეთება და ცხოვრებისეული მიზანი, და აი, ლონდონის მახლობლად იგი ძველ ესპანურ „ასიენდას“ აიშენებს, ტეხასში ნანახ სახლებს დაამსგავსებს, რათა უფრო გაიაზვილოს თავისი რომანების გმირების — უშიშარი მონადირეებისა და მეომრების — ცხოვრებით სუნთქვა, რათა ამითი უფრო მიუახლოვდეს მათ განწყობილებას და მათი მოქმედება და ურთიერთობა უფრო ბუნებრივი და დამაჯერებელი გახადოს.

სიცოცხლის ბოლო წლები განსაკუთრებით მძიმე გამოდგა მწერლისათვის. ძველი ჭრილობა უკვე აუტანელი ტკივილებით ტანჯავდა, ეს ოდესღაც უმამაცესი და უმარდესი მხედარი ახლა უავარჯნებით ძლივს დაჩაჩუნობს და ერთადერთ ნუგეშად ისევ

თავისი გმირების — უშიშარი და პატიოსანი ადამიანების — ცხოვრებაღა დარჩენია.

გარდაიცვალა მაინ რიდი 1883 წელს.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ — იმ ორმოცდაათამდე რომანიდან, რაც მაინ რიდმა დაწერა, დროს მხოლოდ ერთმა ათეულმა თუ ცოტა უფრო მეტმა გაუძლო. ქართული გამოცემის რვატომეულში ყველა ეს ცნობილი რომანი შევიდა.

მაინ რიდის ნაწარმოებთა წაკითხვისას უსათუოდ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ. ამაზე ზემოთაც ითქვა. ეს რომანები სათავგადასავლო ჟანრს განეკუთვნება და მოკლებულია იმ ღრმა ფსიქოლოგიზმს, ღრმა სოციალურ ანალიზს, რითაც მაინ რიდის თანამედროვე დიდი რეალისტი მწერლების დიკენსის, თეკერეის, ბალზაკის და სხვათა შემოქმედება გამოირჩევა. მისი რომანების გმირები ერთფეროვანები და ერთმანეთის მსგავსები არიან. მათი მოქმედება ხშირად სწორხაზოვანია, გულუბრყვილო და დაუსაბუთებელი, სათანადო მოტივირებას მოკლებული, მათ ურთიერთობას, სამიჯნურო თავგადასავლებსაც კი, ადამიანური ვნებათა ღელვის სიმწვავე აკლია.

ასეთი დიდი მწერლობის პოზიციებიდან თუ შევხედავთ და განვიხილავთ მაინ რიდის შემოქმედებას, რა თქმა უნდა, ის კრიტიკას ვერ გაუძლებს.

მაშ რით უნდა აიხსნას მაინ რიდის დიდი პოპულარობა? რატომ არის, რომ მისმა წიგნებმა დროს გაუძლეს? რატომ არის, რომ ახალგაზრდა მკითხველი თავაუღებლად კითხულობს ამ წიგნებს და გულისფანცქალით მისდევს გმირის თავგადასავალს, მიუხედავად იმისა, რომ ამ გმირთა ხასიათები მეტისმეტად სქემატურია?

ზემოთ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა მაინ რიდის რომანების სიუჟეტის დაძაბულობაზე, საინტერესო ეპიზოდების სიმრავლეზე, გმირთა მოქმედების გეოგრაფიული არის მრავალფეროვანებაზე, მწერლის ფანტაზიის სიმდიდრეზე, თხრობის სილაღეზე... ყველაფერი ეს, რაღა თქმა უნდა, საინტერესო საკითხავსა ხდის მის რომანებს. მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამეა. მწერლის ასეთი პოპულარობის საიდუმლო სულ სხვა რამეში იმალება.

ეს არის ჰუმანიზმის დიდი პათოსი, რითაც მაინ რიდის ყველა ნაწარმოებია გაჟღენთილი. ეს არის დიდი პატიოსნება, შეუპოვრობა, სიმამაცე, კაცთმოყვარეობა, მეგობრისათვის და საყვარელი ადამიანისათვის თავდადება, დაჩაგრულის გამოჭომაგება, სამართლიანი საქმისათვის საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა... ასეთი თვისებებით ხასიათდებიან მაინ რიდის გმირები. ისინი უშიშარი ადამიანები არიან და თავიანთი დიდი პატიოსნებითა და გულწრფელობით ხიბლავენ მკითხველს. მაინ რიდის საყვარელ გმირებს ვანუწყვეტელი ბრძოლა აქვთ სხვადასხვა სახისა და სხვადასხვაგვარ ვითარებაში გამოვლენილ ბოროტებასთან. მწერლის კეთილშობილი გმირები, როგორც წესი, იმარჯვებენ, ბოროტება ითრგუნება, უკუღმართი დროისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის წყალობით გაქელილი სამართლიანობა კვლავ ზეიმობს. ხშირად, სიუჟეტის განვითარების მიხედვით, გმირი თითქოს დასაღუპად არის განწირული და, გარდუვალი კატასტროფის მოლოდინში, მკითხველსაც გული ეწურება, მაგრამ აქ მწერლის მდიდარი ფანტაზია ჩაერევა და იხსნის ხოლმე. ზოგჯერ გულუბრყვილო სიტუაციასაც მოიგონებს გმირის ბედის შემოსაბრუნებლად. ასეთ ვითარებაში ავტორი თითქოს მარცხისთვის არის განწირული. მაგრამ აქ მისი მწერლური ოსტატობა შველის საქმეს — სიუჟეტის უაღრესად დაძაბვის უნარი, პეიზაჟების პოეტური აღქმა, ძალდაუტანებელი და ლაღი თხრობა. ხოლო ზოგჯერ თუ დაიღუპა კეთილი საქმისათვის მებრძოლი გმირი, ავტორი მაინც ახერხებს, რომ პესიმიზმის მძიმე განწყობილება არ შეუქმნას მკითხველს — ამას მწერლის ლაღი თხრობაც, მისი სტილის თავისებურებაც უწყობს ხელს.

როცა ვამბობთ, მაინ რიდის რომანებს სოციალური სიღრმე აკლიაო, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მწერალი თავს არიდებდეს სოციალური საკითხების მწვავედ დასმას. პირიქით, ბევრი რომანი სწორედ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ ავტორს ძალა არა ჰყოფნის, მთელი სიმწვავითა და სიღრმით მოგვცეს საზოგადოების სოციალურ ურთიერთობათა ანალიზი. ასეთი მიზანი მას არცა აქვს.

მაინ რიდის შემოქმედებაში სოციალური სიმახვილითა და სიმართლით გამოირჩევა „ოცეოლა“, რომელსაც მწერლის შედევრად თვლიან. ამ რომანში ავტორი გვიხატავს ინდიელი ხალხის

თავგანწირულ ბრძოლას ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. შვიდი წლის განმავლობაში წარმოებდა ეს უთანასწორო ბრძოლა თითქმის უიარაღო მცირერიცხოვანი ინდიელებისა კარგად შეიარაღებულ მრავალრიცხოვან კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ავტორი წიგნის პირველივე ფურცლებიდან ჩაგრული ხალხის მხარეზეა. მკითხველი ყოველ გვერდზე გრძნობს მწერლის აღშფოთებას ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. თვითონ ჩაგრული ერის შვილი, მგზნებარედ ესარჩლება ყოველგვარ ეროვნულ თუ სოციალურ ჩაგვრასა თუ უსამართლობას. მაინ რიდის მრავალრიცხოვან გმირთა შორის ოცეოლა, ინდიელთა ერთერთი ტომის ბელადი, ყველაზე უფრო სრულყოფილად და მრავალწახნაგოვნად არის დახატული.

სოციალური სიმწვავით სხვა რომანებიც ხასიათდება. „კვარტერონში“ ავტორი ზანგი მონების მოსარჩლედ გვევლინება და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მონათმფლობელებს. მკითხველი რომანის პირველივე გვერდებიდან აშკარად ხედავს, რომ ერთი ჯგუფი გმირებისა ბოროტებას ემსახურება, ბოროტებას თესავს ქვეყნად, ხოლო მეორე ჯგუფი — ამ ბოროტების დამთრგუნველად გვეკლინება. არის მესამე კატეგორიაც, — ნეიტრალური გმირები, რომლებიც თავიდანვე კარგად ვერ გარკვეულან შექმნილ სიტუაციაში, ცხოვრების არსში, და მერყეობენ, ყოყმანობენ. თუმცა, საბოლოოდ, ისინიც კეთილი ძალის მხარეზე აღმოჩნდებიან. ამასთან, ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირები ყოველგვარი ადამიანური ღირსებით არიან შემკული. და არა მარტო სულიერი ღირსებით, არამედ ფიზიკურითაც. ეს გმირები, როგორც წესი, გულადები არიან, ყოველგვარ საშიშროებას მამაცურად და უყოყმანოდ ხვდებიან, შიში და უკანდახევა მათთვის უცხოა, სამართლის აღსადგენად მზად არიან სასიკვდილოდ გასწირონ თავი. ამ „მეორე ჯგუფის“ გმირებს კი, სხვადასხვა სახის ფიზიკური ნაკლის გარდა, მკერდშიაც ლაჩრის გული უცემთ და გადამწყვეტი შეტაკების დროს ბრძოლის ველიდან გარბიან.

მაგრამ ასეთი სქემატურობის მიუხედავად, სიუჟეტის ძაფი ისე საინტერესოდ არის დახლართული, ავტორიც ისე ლაღად გვიყვება ამბავს, რომ ახალგაზრდა მკითხველი თვალს ვერა წყვეტს წიგნს. მისი სიმპათია, თავიდანვე, უსამართლოდ დაჩაგრული მშვენიერი გოგონას მხარეზეა, რომელსაც ყოველგვარი ადამიანური ღირსებე-

ბის მიუხედავად სიყვარულის უფლებაც აჰყარეს და, როგორც პირუტყვს, ბაზარზე ჰყიდიან.

საინტერესოდ არის დაწერილი სწორედ ეს გაყიდვის სცენა. ავტორი აქ შეუფერადებლად გვაჩვენებს განწირული ახალგაზრდების ბედს. იყიდება იშვიათი სილამაზის, განათლებული და სათნოებით სავსე გოგონა — რომანის მთავარი გმირი. მკითხველი, სუნთქვაშეკრული, შეჰყურებს ამ სამარცხვინო ვაჭრობას. ვისაც მეტი ფული აღმოაჩნდება, მისი საკუთრება უნდა გახდეს გოგონა. როგორც მოსალოდნელი იყო, ფული ბოროტ ადამიანს აღმოაჩნდა, ყველაფერი დაიღუპა. იმედი და ოცნება დაიმსხვრა. კიდევ ორი მშვენიერი ახალგაზრდა შეეწირა ქვეყნად გამეფებულ უსამართლობასა და ძალმომრეობას. ასეთია რომანის ლოგიკური დასასრული. თითქოს ასევე უნდა დაამთავროს იგი ავტორმა, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, აქ უკვე ავტორის კეთილი სურვილები ჩაერევა, დაუჯერებელ სასწაულს მოახდენს და დასაღუპად განწირულ გმირებს იხსნის, თავისუფლებასა და ბედნიერებას მიანიჭებს.

„უთავო მხედარში“, რომელიც სიუჟეტის საინტერესოდ განვითარების თვალსაზრისით მწერლის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება, ნაჩვენებია ტეხასის ცხოვრება, ამერიკელთა მიერ მისი დაპყრობის პირველ წლებში. ავტორს აქ დაპირისპირებული ჰყავს ერთის მხრივ ამერიკელი კოლონიზატორები, რომლებიც მთელი სისასტიკითა და დაუნდობლობით სულ უფრო და უფრო წინ მიიწევენ, სულ უფრო და უფრო უხვად „ითვისებენ“ „თავისუფალ“ მიწებს და, მეორეს მხრივ, ნამდვილი ბუნების შვილები, თავისუფლების მოყვარული ადამიანები, რომლებიც ლაღად დააქროლებენ მინდვრებზე ველურ ცხენებს, პეიზაჟების სიმშვენიერით ტკბებიან, ხარბად ისუნთქავენ პირველყოფილი ბუნების ჰაერს და მზად არიან უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანებს გამოექომაგონ. რაც უფრო ღრმად შედიან სხვის ტერიტორიაზე უცხოელი კოლონიზატორები, რაც უფრო მეტ მიწებს „ითვისებენ“ ისინი, მით უფრო ეკვეცება ფრთები თავისუფლების-მოყვარე ადამიანების სილაღეს, მით უფრო ჭირს სუნთქვა. ერთი სიტყვით, ამ რომანშიაც სოციალური საკითხია დასმული. მართალია, ეს სოციალური ურთიერთობა ზერელედ არის დახატული, მაგრამ მწერლის ტენდენცია ყოველთვის ნათელი და აშკარაა.

იმდენად დიდია მწერლის გულისწყრომა ეროვნული და სო-

ციალური ჩაგვრის გამო, რომ ავტორის სიტყვები ზოგან საბრალდებულო დასკვნად გაისმის:

„ეს ხუთასი უბედური ადამიანი დღეიდან ცოტათი კიდევ გაზრდის მონათა არმიას, — ვკითხულობთ მის ერთ-ერთ რომანში, — მაგრამ სამაგიეროდ კაპიტნის სიმდიდრეც გაიზრდება. გარეწარ მეზღვაურებსაც შეხვდებათ მოგებიდან თავიანთი წილი და იქვე გაფლანგავენ. ადამიანური ურთიერთობის ყოველგვარი კანონი გაიჭელება. მაგრამ „პანდორის“ კაპიტანსა და მის ეკიპაჟს ფეხებზე არ ჰკიდიათ „მაღალი ზნეობა!“ უცნაურია, მაგრამ მორიგი ოპერაციის წარმატებამ ისინი უფრო გაამართლა „საზოგადოების“ თვალში, კანონი ამის შემდეგ მათ მხარეზე აღმოჩნდა. დიდ ქურდს არა სჯიან ხოლმე! გამდიდრებული კაპიტანი საპატიო ადგილს დაიჭერს კომერციული არისტოკრატიის წრეში, დიდის პატივით მიიღებენ ნეგოციანტების სალონებში, ფეშენებელურა კლუბების წევრი გახდება, ყველგან მოწიწებითა და პატივისცემით შეხვდებიან... და კაციშვილი არ დაინტერესდება, ეს ქონება საიდან შეიძინაო, კაციშვილი არ იკითხავს — ამ ფულს სისხლის სუნი ხომ არ ასდისო. ფულს ხომ საერთოდ არაფრის სუნი არ ასდის!“

ზემოთ ჩვენ შევნიშნეთ, რომ მაინ რიდის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტორიულ თემასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომანი „თეთრი ხელთათმანი“. მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ავტორი თავისი რომანის კმირთა მოქმედებას გაბედულად შლის ინგლისის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ პერიოდში — ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, როცა მონარქიის წინააღმდეგ გაბედულად გამოვიდნენ ქვეყნის პროგრესული ძალები. ჯონ მილტონიდან მოკიდებული, რომელიც თვითონვე იყო მონაწილე ამ რევოლუციისა, ბევრი ინგლისელი მწერალი შეხებია ამ დიდ თემას. საქმე ის არის, რომ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია ლოკალური მნიშვნელობისა როდი იყო. მთელი ევროპა შეაზანზარა მან. ის იყო ერთგვარი დასაწყისი იმ დიდი ძვრებისა, რასაც შემდეგ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ეხედავთ. ავტორი ამ რომანში კარგად გვიჩვენებს მეფის დამჭაშების სისასტიკესა და ძალმომრეობას, უბრალო ხალხის სწრაფვას თავისუფლებისაკენ. მკვლევარები შენიშნავენ, რომ ამ რომანში მაინ რიდს გაბედულად გამოჰყავს

ხალხი, რაც მისივე სხვა რომანებში უფრო ნაკლებად შეინიშნება. აქვე იმასაც უსვამენ ხაზს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ე. ი. იმ დროს, როცა ეს რომანი იწერებოდა, ინგლისში გამოქვეყნდა ბევრი ისტორიული ნაწარმოები, რომლებიც ისტორიის ამავე მონაკვეთს შეეხებოდა. ამ ნაწარმოებთა ავტორები ცდილობდნენ ინგლისის მეფის ერთგვარ რეაბილიტაციას, მის გაიდეალებას. მაინ რიდი კი პირიქით, ცდილობს მთელი სიმართლითა და სიმწვავით აღადგინოს ისტორიული სინამდვილე, გვაჩვენოს მეფისა და მისი მომხრეების გულქვაობა და უსამართლობა.

მაინ რიდის ზოგიერთ რომანს, მათ შორის ე. წ. სამხრეთ-აფრიკულ ტრილოგიას, წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს. ავტორი გვაცნობს ქვეყნებს, გეოგრაფიას, სხვადასხვა ხალხების ეთნოგრაფიასა და ჩვეულებებს. როგორც ვნახეთ, მწერალს არათუ ნატურალისტის სპეციალური განათლება, არამედ სრულა საერთო განათლებაც არ მიუღია, მაგრამ მისი ცოდნა გეოგრაფიისა, ბოტანიკისა, ზოოლოგიისა და ეთნოგრაფიის სფეროში სპეციალისტთა აღფრთოვანებას იწვევს.

რამდენი თაობის ბავშვებისათვის აუძგერებია გული მაინ რიდის რომანებს, რამდენისათვის მოუწყვეტია თანაგრძნობის ცრემლი, რამდენი თაობის ბავშვს გაუთენებია ღამე და სუნთქვაშეკრულს გაფაციცებით უდევნებია თვალი მისი გმირების ბედისათვის!.. და კიდევ რამდენი თაობის ბავშვს გაუთბობს გულს, რამდენს მოსწყვეტს თანაგრძნობის ცრემლს, რამდენს აუძგერებს გულს სამართლიანობის დასაცავად!..

ეს არის ჭეშმარიტი მწერლობის ნიშანი და დანიშნულება. თავისი დიდი ჰუმანიზმის, გმირული კეთილშობილებისა და ვაჟკაცური პატიოსნების წყალობით, მაინ რიდის პერსონაჟებს მუდამ ექნებათ ადგილი ბავშვების საყვარელ გმირთა დიდ გალერეაში.

1970 წ.

## მარკ ტვენი

იშვიათად თუ შეხვდებით წიგნს, რომელსაც ბავშვებიცა და დიდებიც ერთნაირი ინტერესით კითხულობდნენ. ყველა წიგნს თავისი მკითხველი ჰყავს და განსაკუთრებულ ასაკს რომ გადაცილდები, იქნებ ისე აღარ დაგაინტერესოს იმან, რასაც რამდენიმე

წლის წინათ გულის ფანცქალითა და მთრთოლვარე მოლოდინით კითხულობდი. ხშირად მომხდარა — სასოებით აგვიღია ხელში წიგნი, რომელსაც ბავშვობაში ჩვენთვის, ვინ იცის, რამდენი ტკბილი წუთი მოუნიჭებია და ახლა კი, ხანში შესულს, გაგვჭირვებია წაკითხვა; რამდენჯერ მოგვისმენია სინანულით ნათქვამი სიტყვები — რა კარგი მახსოვდა ეს წიგნი და ახლა კი თავი ვეღარ წამაკითხაო. ასეა, წიგნსაც თავისი საიდუმლო აქვს. მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, მისი ღირსება არ განისაზღვრება. ზოგი წიგნი საგანგებოდ ბავშვებისათვის არის დაწერილი და რა უკვდავიც არ უნდა იყოს, ბავშვის კარადას აღარა შორდება. მრავალ ბედნიერ და ტკბილ წუთს მიანიჭებს ერთ თაობას, გააფართოებს მისი ცოდნისა და ინტერესის სფეროს, თავისი ცხოვრებით აცხოვრებს, ხან ატირებს, ხან აცინებს, ბევრ კარგ თვისებას შესძენს, გაასპეტაკებს, გააკეთილშობილებს, მიაცილებს დიდი ცხოვრების კარიბჭესთან და თვითონ ისევ ბავშვის კარადაში რჩება, რათა ახალ დიდი საიდუმლოებანი და ცხოვრების საკვირველებანი სხვა თაობას გააცნოს, ახლა მომდევნო თაობის ბავშვები აცინოს და ატიროს, მათი გული გაასპეტაკოს.

მაგრამ არის ისეთი წიგნებიც, რომლებიც ბავშვის კარადასა და მოზარდთა წიგნის თაროს შორის მოძრაობენ. ყველას გვინახავს: ზოგჯერ მთელი ოჯახი კითხულობს ხოლმე ერთსა და იგივე წიგნს. ჯერ ბავშვი დაიწყებს კითხვას და მერე ყველას მოუნდება „კიდევ ერთხელ“ გადაკითხვა — უფროს და-ძმასაც და მშობლებსაც. ბევრი არ არის ასეთი წიგნი, და ამ მცირე გამონაკლისს მიეკუთვნება მარკ ტვენის წიგნებიც. განსაკუთრებით კი „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“.

თვითონ ტვენი დიდხანს ყოყმანობდა, ვერ განესაზღვრა, ვისთვის იყო მისი წიგნები — დიდებისა თუ ბავშვებისათვის. ბოლოს კი გადაწყვიტა — ეს უმთავრესად ბიჭებისა და გოგონებისთვის მაქვს დაწერილი, მაგრამ ვიმედოვნებ, დიდებიც წაიკითხავენ, რადგან ჩემი განზრახვა იყო მოზრდილებისათვისაც მიმენიჭებინა სიამოვნება იმის გახსენებით, თუ რას წარმოადგენდნენ ერთ დროს თვით ისინი, რას ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ, რა უცნაურ ოინებს მოიგონებდნენ ხოლმე.

ამას მწერალი ამბობს ერთი თავისი წიგნის შესახებ. ტვენის შემოქმედება კი ძალიან დიდი და მრავალფეროვანია. ეს იშვიათი

მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში: აგერ სამოც წელზე მეტი დრო გავიდა მწერლის გარდაცვალებიდან და მისი შემოქმედება ჯერაც არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. არათუ შესწავლილი, აღნუსხულიც კი არ არის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამდენი წიგნის ავტორი და ასეთი ნაყოფიერი მწერალი ძალიან დიდხანს არა თვლიდა თავის ძირითად მოწოდებად მწერლობას. მას არათუ ჰუმანიტარული, საერთო განათლებაც კი არ მიუღია და მხოლოდ ცხოვრება წარმოადგენდა მის სკოლასაც და შთაგონების წყაროსაც.

მარკ ტვენი — ფსევდონიმია მწერლისა. მისი ნამდვილი სახელი და გვარია სამუელ კლემენსი. მწერლის წინაპრები წარმოშობით ინგლისელები ყოფილან. ტვენს თვითონვე უყვარდა ხოლმე თქმა — იმ ხალხში, რომელთაც მეფე ჩარლზ პირველს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს ინგლისის რევოლუციის დროს, ვიღაც კლემენსიც ერიაო. თავის ავტობიოგრაფიაში ამაყად აცხადებს: ის ჩემმა წინაპარმა, რაც კი შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, რათა თავისი დროის გვირგვინოსან მატყუარათა სია შეემცირებინაო. უფრო ახლო წინაპრები სამხრეთის შტატებიდან ყოფილან — პლანტატორები. მამა კი პროვინციელი იურისტი იყო. მსგავსად თავის თანამედროვე ამერიკელთა უმრავლესობისა, გამდიდრებაზე ოცნებობდა, მაგრამ დიდ წარმატებას ვერ მიაღწია, და როცა გარდაიცვალა, ოჯახი თითქმის ულუკმაპუროდ დასტოვა. ადრე გარდაცვალა მამა მომავალ მწერალს, თორმეტი წლისა დაობლდა და იძულებული გახდა ლუკმაპურის მოსაპოვებლად ეზრუნა.

ცელქი და ყოჩაღი ბიჭი ყოფილა. როგორც ბიოგრაფები გადმოგვცემენ, თავის ტოლებში იგი პირველი წამომწყები იყო ყოველგვარი თამაშისა. მისისიპს ისე გადასცურავდა, თითქოს არაფერიო. ზაფხულობით ბიძის ფერმაში აგზავნიდნენ. ეს ფერმა ტყის პირას იყო. შეკრებდა ხოლმე პატარა ბიჭი თავის ტოლებს და გათენებიდანვე ტყეს მოედებოდნენ, ნადირობდნენ, ათასნაირ გასართობს მოიგონებდნენ, ბავშვობის ეს ეპიზოდები შესანიშნავი სიცხოველით არის გადატანილი მრავალ მის ნაწარმოებში, განსაკუთრებით კი „ტომ სოიერსა“ და „ჰეკლბერი ფინში“.

მამა, გადმოცემით, პირქუში, გაუცინარი და პედანტი კაცი ყოფილა, და მხიარული ხასიათი, ოპტიმისტური განწყობილება და, რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, იუმორის საოცარი გრძნობა,

ტვენს დედისა გამოჰყოლია. ამასთან, დედა შესანიშნავი მთხრობელი ყოფილა და, ეტყობა, შვილს ეს ნიჭიც დედისა გამოჰყოლია. მარკ ტვენს ახასიათებენ როგორც ცოცხალი თხრობის ოსტატს. ხშირად გამოდიოდა ხოლმე იგი სცენაზე და მრავალრიცხოვან აუდიტორიას, დიკენსის მსგავსად, ზეპირად უყვებოდა თავის მოთხრობებს. ზღაპრული წარმატება ჰქონდა.

დედის იუმორისტული ნიჭის დასახასიათებლად საინტერესო იქნება გავიხსენოთ ერთი პატარა ეპიზოდი. როცა მარკ ტვენი საქვეყნოდ ცნობილი მწერალი გახდა, სხვადასხვა შტატების მცხოვრებლებს ზოგჯერ დავა მოსდიოდათ — არა ჩვენი შტატიდან არის ტვენი და არა ჩვენი შტატიდანაო. ერთი ასეთი დავის მომსწრე უკვე ღრმად მოხუცებული დედაც გამხდარა. მატარებლით მიეგზავრებოდა და უნებური მოწმე გახდა მგზავრების დავისა: ერთნი ამტკიცებდნენ, ტვენი ფლორიდაში დაიბადა, მეორენი კი არ უთმობდნენ — ჰანიბალშია დაბადებულიო. დიდხანს უსმინა თურმე დედამ ამ გაცხარებულ დავას და ბოლოს ჩაერია ლაპარაკში, ერთ-ერთი ჯგუფის მხარი დაიჭირა, ფლორიდაში დაიბადაო, თქვა. ის კი არ გაუმხელია, რომ დედა იყო მწერლისა. მეორე მხარე ამაზე კიდევ უფრო გაცხარდა, მკვახე სიტყვებიც აკადრეს მოხუცს, ასე დარწმუნებით რატომ ლაპარაკობ, როცა არ იციო. მაშინ მშვიდად გაიღიმა თურმე მოხუცმა ჯენ კლემენსმა და ასევე შვიდად განაცხადა: „დედა ვარ მისი და დამეჯერება, მე თვითონ ვესწრებოდი მის დაბადებასო“. ეს პატარა ეპიზოდი იმითაც არის საინტერესო, რომ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, რა პოპულარობით სარგებლობდა ტვენი უბრალო ხალხში.

მამის გარდაცვალების შემდეგ პატარა სამუელ კლემენსი სკოლიდან გამოიყვანეს და სტამბაში მიაბარეს შეგირდად. აქედან იწყება დიდი ცხოვრების გზა. მომავალმა მწერალმა მრავალი ხელობა გამოიცვალა, ბევრგან სცადა ბედი, და თუმცა შესაფერი ხელობის ძებნის დროს მან ვერ მიაგნო ისეთ სამუშაოს, სადაც მინიმალური ადამიანური პირობები იქნებოდა გათვალისწინებული, მაგრამ სამაგიეროდ, გაიარა დიდი ცხოვრების სკოლა, მოწმე და მონაწილე გახდა ბევრი ისეთი ცხოვრებისეული ეპიზოდისა, რამაც შემდეგ მის წიგნებში ჰპოვა ასახვა, შეხვდა და გაეცნო მრავალ ადამიანს, რომლებიც უფრო მოგვიანებით თავის ნაწარმოებებში გააცოცხლა.

პირველივე სამუშაო მეტად მძიმე შეხვდა სკოლას მოწყვეტილ ყმაწვილს. სტამბაში ჯამაგირს არ აძლევდნენ—მხოლოდ საჭმელი და ჩასაცმელი. საჭმელი, როგორც თვითონვე იგონებს უფრო მოგვიანებით, ნარჩენები და ისიც ცოტა; ჩასაცმელი — გამონაცვალი და ისიც დიდი ზომისა. არც საწოლი ჰქონია — პირდაპირ სტამბის იატაკზე იძინებდა.

ბევრი ხელობა გამოიცვალა ამის შემდეგ ახალგაზრდა სამუელ კლემენსმა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის მისისიპის სამდინარო გემებზე ლოცმანობა იყო.

ეს უდიდესი მდინარე, განსაკუთრებით იმ დროს, ცალკე სამყარო იყო, თავისი ადამიანებით, წესებით, კანონებით, ადათებით... მთელი თავისი ცხოვრებით. მომავალ მწერალს საშუალება ჰქონდა აქ შეხვედროდა ყოველი ჯურისა და ხასიათის ადამიანს, მოწმე ყოფილიყო ყოველგვარი ცხოვრებისეული სცენებისა — სიკეთის მრავალნაირ გამოვლინებასაც ხედავდა აქა და ბოროტებასაც, უსამართლობაც ბევრი უნახავს და სიმართლისათვის გამოქომაგებაც. აქ იგი ყოველდღე და ყოველღამე, წელიწადის ყოველ დროს, ყოველგვარ ამინდში შესცქეროდა ბუნების განუმეორებელ სიმშვენიერეს, და მეოცნებე ბავშვის გონებაში ეს მდიდარი შთაბეჭდილებები სამუდამოდ ცოცხალი რჩებოდა. საინტერესოა თვითონ მწერლის სიტყვები, უფრო მოგვიანებით წარმოთქმული: „ლოცმანობის დროს პირადად გავეცანი და ახლო ურთიერთობა მქონდა ადამიანთა ტიპების ყოველ ნაირსახეობასთან, რასაც ჩვენ ლიტერატურასა, ცალკეულ ბიოგრაფიებსა თუ ისტორიაში ვხვდებით. როცა ლიტერატურასა თუ მემუარებში მკაფიოდ გამოკვეთილ მოქმედ პირსა ვხვდები, მის გაცოცხლებასა და აღქმაში მე თვითონ ცხოველ მონაწილეობას ვღებულობ, რადგან ეს პიროვნება ჩემი ძველი ნაცნობია, მისისიპზე მინახავს“. სხვათა შორის, ფსევდონიმიც — მარკ ტვენი — ლოცმანობის დროინდელ მოგონებებს უკავშირდება. Mark Twain — მისისიპზე ნაოსნობის ტერმინი იყო. დიდი ხნის შემდეგ, უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი, დედასა სწერს: „აღარც კი ვიცი, რა მოგწერო, ისე ერთფეროვანია ჩემი ცხოვრება. ნეტა იმ დროს, როცა ლოცმანი ვიყავი და გემებს დავატარებდი მისისიპზე. მართლაც რომ ყველაფერი ამაოებაა ქვეყნად, გარდა ლოცმანობისა“.

ლოცმანობის დროს სამუელ კლემენსს თანა ჰქონდა უბის წიგ-

ნაკი და თავისუფალ დროს ინიშნავდა ხოლმე ახლადმოსმენილ სკეტჩებს, ანეკდოტებს, ცალკეულ გამოთქმებს. თუმცა მწერლობაზე მაშინ არ ფიქრობდა. თვითონვე ამბობს: ლიტერატურა არასოდეს არ მიზიდავდა, არავითარი სურვილი არა მქონია მწერლობისა, მხოლოდ შემთხვევამ ამაღებინა კალამი ხელში და მწერალი შემთხვევით გავხდიო.

მართლაც, მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები საგაზეთო ფელეტონები და იუმორისტული სკეტჩები იყო და მწერლობის პრეტენზია არა ჰქონია. ეს სკეტჩები პირველ ხანებში სავსებით უწყინარი იყო, მკითხველის გაცინებისათვის გამიზნული და, რაღა თქმა უნდა, აკლდა ის სოციალური სიმძაფრე და სიმახვილე, რითაც დამახასიათებელია მარკ ტვენის მთელი მერმინდელი შემოქმედება. ერთხელ, მაგალითად, როცა იგი ძმასთან მუშაობდა რედაქციაში, ძმის იქ არყოფნის დროს, გაზეთში ასეთი სათაური ვაჩნდა, მსხვილი ასოებით აწყობილი: „საშინელი უბედურება! ხუთასი კაცი დაიღუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა“ მერე კი წვრილი შრიფტით: „ეს სათაური რომ ავაწყვეთ, რაღა თქმა უნდა, იმედიც გვქონდა, რომ გამოვიყენებდით, მაგრამ რაკი ასეთი შემთხვევა ჯერჯერობით არა ჩანს, მეტი რაღა დაგვრჩენია — გაგრძელება იქნება“. ეს ხუმრობა სამუელ კლემენსს ეკუთვნოდა, იხელთა და ძმის არყოფნის დროს დაბეჭდა. ან არადა, ასეთი ხუმრობა: „როგორ დავიცვათ ძაღლები აგვისტოში გაცოფებისგან? იცლისშივე გააგდებინეთ თავები!“ მაგრამ ამ უწყინარ ხუმრობებში ზოგჯერ სოციალური მოტივიც გაიელვებდა ხოლმე. ცნობილია, როგორ ციებასავით იყო მაშინ გავრცელებული ოქროს მაძიებლობის სენი. და აი, გაზეთში გამოჩნდა არითმეტიკული ამოცანის პაროდია: „თუ რვა კაცმა თორმეტი დღის განმავლობაში თხარა მიწა და მაინც ვერაფერი იპოვა, რამდენი დღე უნდა თხაროს ოცმა კაცმა, რათა ორჯერ უფრო მაღალ მაჩვენებელს მიაღწიოს?“ საინტერესოა ტვენის ერთ-ერთი ადრეული ნაკვესი ვილაც მწერლის შესახებ — ამ მწერლის სიტყვის დაბეჭდვა მუდამ ჭირდა, რადგან ასოთამწყობებს „სალაროში“ იმდენი „მე“ არ აღმოჩნდებოდაო („მე“ ინგლისურად ერთი ასოთი გადმოიცემა).

ოცდაათამდე წლისა იყო ტვენი, როცა ერთ-ერთი პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა, რამაც მას საქვეყნო სახელი მოუტანა. ეს იყო „მხტუნავი ბაყაყი“, უწყინარ ხუმრობაზე აგებული მოთხრო-

ბა, რასაც ავტორი დიდად არ აფასებდა, და წყინდა კიდეც, როდესაც, მისდა მოულოდნელად, მოთხრობამ მკითხველთა ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მოთხრობა ხელად გადაბეჭდა რამდენიმე გაზეთმა და ჟურნალმა. გაზეთებში მაშინვე გამოჩნდა ქების წერილები. თვითონ ტვენი გულისტკივილით სწერს დედას, რა ნახეს ამ მოთხრობაში ვერ გამიგიაო. და იქვე, დედასთან მიწერილ ბარათშივე მოჰყავს ნიუ იორკის ერთ-ერთი დიდი გაზეთის რეცენზია. „მთელი ნიუ იორკი სიცილით მუცელზე იფხრიწება, როცა მარკ ტვენის მოთხრობას „ჯიმ სმაილსა და მხტუნავ ბაყაყს“ კითხულობს. დღეიდან უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტვენის სახელი მარკად იქცა! თითქმის ყველა გაზეთმა გადაბეჭდა ეს ნაწარმოები, წლის საუკეთესო მოთხრობად მიაჩნიათ“...

დედის წერილში გამოთქმული გულისტკივილი ყალბი თავმდაბლობა არ ყოფილა. მოთხრობა მართლაც სუსტი იყო და ავტორი ამას თვითონვე გრძნობდა. ამის შემდეგ გავიდა მთელი ათი წელი. მარკ ტვენმა ამ ხნის განმავლობაში ბევრი ნაწარმოები დაწერა, და მხოლოდ 1876 წელს გამოქვეყნებულმა წიგნმა მოუტანა მას ჰეშმარიტად დიდი მწერლის სახელი და საზღაპრო პოპულარობა. ამჯერად, უკვე ავტორსაც სამართლიანად მიაჩნდა მისი ახალი მოთხრობის ასეთი გახმაურება. ეს მოთხრობა იყო „ტომ სოიერის თავგადასავალი“, რომელიც ფითქოს ტყუპის ცალს წარმოადგენს და მეორე ასეთივე პოპულარულ მოთხრობასთან — „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალთან“ ერთად მსოფლიო ლიტერატურის სამკაულად ითვლება.

ტყუპის ცალიო, ვთქვით, მაგრამ ეს გამოთქმა მხოლოდ პირობითად შეიძლება ვიხმაროთ, რადგან ეს ორი მოთხრობა ერთდროულად არ გამოსულა; „ტომ სოიერის“ გამოქვეყნების დღიდან თითქმის ათი წელი გავიდა, მანამ „ჰეკლბერი ფინი“ დაიბეჭდებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მწერალი განუწყვეტლივ მუშაობდა „ჰეკლბერი ფინზე“; მაგრამ მეორე წიგნი, რომელიც სიუჟეტის განვითარების მიხედვით პირველის გაგრძელებას წარმოადგენს, მძიმედ იწერებოდა. ტვენს ჩვეულება ჰქონდა — ერთდროულად რამდენიმე ნაწარმოებზე მუშაობდა ხოლმე. ახლაც, პარალელურად, სხვა მოთხრობებსაც წერდა.

„ტომ სოიერი“ გამოსვლისთანავე ითარგმნა სხვა ენებზე და მარკ ტვენის სახელი ამიერიდან მთელს მსოფლიოში ცნობილი გახდა. ასეთი პოპულარობა, ბიჭერ სტოუს ცნობილი რომანის გარდა, მანამდე არც ერთ ამერიკულ წიგნს არ ღირსებია. წიგნი ზედიზედ გამოიცა დიდი ტირაჟებით და ხელადვე გაიყიდა. ტვენი თვითონვე სიამაყენარევი სიხარულით სწერს მეგობარს: „ბიძია თომას ქოხის“ გარდა ამერიკაში არც ერთ წიგნს ასეთი ბედი არა ჰქონია და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ბიძია თომა“ ორი შილინგი ღირს (იგულისხმება წიგნის იაფი გამოცემა), ეს წიგნი კი თექვსმეტი შილინგიო.

ამ მოთხრობების მიმართ პირველი დიდი აღტაცება არ განელებულა. მათ მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში და სულ სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებისათვის მაგიდის წიგნად იქცნენ, ტომ სოიერი, ჰეკლბერი ფინი და მათი მეგობრები ყველა ბავშვისათვის საყვარელი და ახლობელი გმირები გახდნენ. წიგნში მოთხრობილი მრავალი ეპიზოდი და თავგადასავალი ნაცნობი აღმოჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანებისათვის. წიგნის ასეთი საარაკო პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ეს არის. მოთხრობებში გადმოცემული ამბები საერთო ადამიანურია, უშუალო, გულწრფელი, მართალი და მიმზიდველი. მოთხრობილია სადად — კითხულობ წიგნს და თითქოს საკუთარ განცდილ ამბებს ახლობელ ადამიანს უამბობდე.

საინტერესო ის არის, რომ ტვენმა თვითონვე მისცა შეფასება თავის წიგნს და ძალიან მარჯვედაც დაახასიათა — ეს ჰომეროსის საბჭლესიო საგალობელი, დაწერილი პროზადო.

როდესაც პროზის პოეტურობაზე ვლაპარაკობთ, სიფრთხილე გვმართებს, ზოგს ეს პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და ლექსის რიტმით დაწერილ ნაწარმოებს, რაც ზოგჯერ აღარც ლექსია და აღარც პროზა, პოეტურს უწოდებს. მარკ ტვენის აღნიშნულ მოთხრობებს პროზის ყველა დამახასიათებელი ნიშანი აქვს, ჩვენ შეგვიძლია პროზაული ნაწარმოების ნიმუშადაც კი დავასახელოთ ივი, იმდენად გამოკვეთილია ეს კომპონენტები, მაგრამ დიდი ლირიზმის წყალობით, რაც სამკაულად კი არ გასდევს წიგნს, არამედ ორგანულად შერწყმულია და ცალკე ვერც გამოყოფ, მოთხრობებს დიდი პოეტური ელერადობა აქვთ.

მთელი წიგნი გამთბარია ნამდვილი ტვენისებური იუმორით, და დიკენსისა არ იყოს, აქაც ეს იუმორი სამკაულივით კი არ ახლავს ნაწარმოებს, არამედ მისი შემადგენელი ნაწილია. ეს იუმორი თითქოს ანელებს იმ სოციალურ სიმძაფრეს, რაც „ტომ სოიერშიაც“ იგრძნობა და რითაც განსაკუთრებით „ჰეკლბერი ფინია“ გამსჭვალული. ალბათ ამას გულისხმობდა ბერნარდ შოუ, როცა ტვენის შესახებ წერდა: იგი იმგვარად გვიხატავს ყველაფერს, თითქოს ხუმრობდეს, ასე აჩვენებს ხალხს, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოახრჩობდაო. აქვე საინტერესო იქნება გავიხსენოთ ტვენის სიტყვები: „მხოლოდ იმ იუმორს უწერია სიცოცხლე, რომელიც ცხოვრებისეულ სიმართლეზეა აღმოცენებული. მკითხველის გაცინება ფუჭი საქმეა, თუ ნაწარმოები ადამიანის სიყვარულით არ არის გამსჭვალული“.

სწორედ ჰუმანიზმის ამ დიდი პათოსით არის დაწერილი აღნიშნული მოთხრობები, და საერთოდ ტვენის მთელი შემოქმედება.

ვინც კარგად დააკვირდება ტვენის შემოქმედებას, უსათუოდ იგრძნობს, რომ ბუნება მის მოთხრობებში წარმოგვიდგება როგორც ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი, რომელიც ყველა ეპიზოდში მონაწილეობს, სხვა გმირებთან ერთად მეტყველებს, გრძნობს, განიცდის, გავლენას ახდენს სხვა გმირების მოქმედებასა თუ ბედზე... და ამრიგად ეს ბუნებაც ტვენის ნაწარმოებებში მხოლოდ სამკაული კი არ არის, არამედ ორგანული და განუყრელი ნაწილია, დიდი სიმფონიის შემკვრელი მოტივი. და როცა ჩვენ ტვენის მოთხრობების პოეტურობაზე ვლაპარაკობთ, აქ ბუნებასაც თავისი დიდი როლი აქვს. კერძოდ. აღნიშნულ მოთხრობებში ბავშვები თითქოს ეცლებიან თვალთმაქცობისა და გაიძვერობის სამყაროს და ბუნების უშუალობასა და პირველყოფილებას აფარებენ თავს.

მკითხველს ეხსომება ეპიზოდი, როცა ბავშვები ჯეკსონის კუნძულზე მიცურდებიან და თავს იქ დამოუკიდებლადა გრძნობენ ეს კუნძული თითქოს სიმბოლოა, რასაც თავი უნდა შეაფაროს ცხოვრების სიმძიმით გაწამებულმა ადამიანმა. ასეთი კუნძული ყველას უნდა ჰქონდეს. ტვენი პირდაპირ წერდა, ნეტა ცხოვრების აზრო ფაციფუცს მომაშორა და ჯეკსონის კუნძულზე შემაფარებინა თავიო. და აქვე დასძენს: რომ ვაკვირდები, ჩვენ ყველასა

გვაქვს ჩვენ-ჩვენი ჯეკსონის კუნძული, და როცა ცხოვრებით დავიქანცებით, იმ კუნძულზე ვოცნებობთ ხოლმე.

„ტომ სოიერი“ და „ჰეკლბერი ფინი“ ზემოთ ტყუპის ცალებს შევადარეთ და იქვე აღვნიშნეთ, ეს გამოთქმა მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვიხმაროთო. გარეგნულად ეს ორი ნაწარმოები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. საერთო განწყობილებას რომ თავი დაეანებოთ, სიუჟეტურად ერთი წარმოადგენს მეორის გაგრძელებას, მთავარი მოქმედი პირებიც საერთოა... მაგრამ მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა. ლიტერატურის ისტორიკოსებს უყვართ მწერლის შემოქმედების პერიოდიზაცია და ზოგჯერ ხელოვნურადაც კი ცდილობენ არარსებული პერიოდები მოიგონონ. მარკ ტვენის შემოქმედების პერიოდიზაციასაც თუ მოვინდომებთ, მაშინ ეს ორი ნაწარმოები უსათუოდ სხვადასხვა პერიოდში მოხვდება.

იმ ათი წლის განმავლობაში, რაც პირველი მოთხრობას დაწერიდან მეორე მოთხრობის გამოქვეყნებამდე გავიდა, მარკ ტკენის მსოფლმხედველობა უფრო ჩამოყალიბდა. მის კალამს მეტი პოლიტიკური სიმძაფრე მიეცა და თუ „ტომ სოიერი“, გარეგნულად მაინც, უწყინარი, ყოველგვარი პოლიტიკისაგან განზე გამდგარი ნაწარმოები ჩანს, „ჰეკლბერი ფინში“ უკვე გულუბრყვილო მკითხველისთვისაც თვალშისაცემია ავტორის აშკარა ტენდენცია, პოლიტიკური და სოციალური სიმძაფრე, არსებული მდგომარეობის მტრობა და სასტიკი კრიტიკა. შემთხვევითი არ არის, რომ ოფიციალური წრეები ამ მოთხრობას ისეთი აღტაცებით აღარ შეხვდნენ, კრიტიკამ გაილაშქრა კიდეც მის წინააღმდეგ. აშკარად დაინახეს, რომ ეს უკვე აღარ იყო უწყინარი ხუმრობა, ამჯერად ავტორი დაუნდობლად გამოდიოდა რასობრივი დისკრიმინაციის და ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ის ცალკეული სოციალური მანკიერებანი, რაც „ტომ სოიერში“ რბილად და შეფარვით იყო ნაჩვენები, აქ უკვე მთელი სიშიშვლითა და პირდაპირობით გამოააშკარავა მწერალმა.

„ჰეკლბერი ფინი“ ამერიკის სამოქალაქო ომის ორი ათეული წლის შემდეგ დაიწერა. ომმა თითქოს ბოლო მოუღო ბანგებას რაადამიანურ დევნას, მონობა ოფიციალურად გაუქმდა, რასობრივ დისკრიმინაციას თითქოს წერტილი დაესვა. მაგრამ სამხრეთელ (და არა მარტო სამხრეთელ) მონათმფლობელ პლანტატო-

რებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, კვლავ ცდილობდნენ ძველი ჯა-
ლაუფლების აღდგენას. სწორედ ამ დროს შეიქმნა მრავალი ტე-
რორისტული ორგანიზაცია, კუ-კლუს-კლანის ჩამოყალიბებაც ამ
პერიოდს განეკუთვნება. ეს ტერორისტული ორგანიზაციები სისხ-
ლში ახრჩობდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ზანგებისა და
ღატაკი თეთრკანიანების მოძრაობას, ლინჩით უსწორდებოდნენ
მათ. სწორედ ამ რეაქციის წლებში იწერებოდა „ჰეკლბერი ფი-
ნი“.

მწერლის დიდი რეალიზმი ოფიციალურ კრიტიკას შეუწყნა-
რებელ სიტლანქედ მოეჩვენა და სასტიკად გაილაშქრა მის წინა-
აღმდეგ. ჩემს უსამართლოდ შეურაცხყოფილ ბავშვს ჩირქსა
სცხებენო, გულისტკივილით შენიშნავდა ტვენი. სკოლებში კრძა-
ლავდნენ ამ წიგნს. სხვათა შორის, ზოგიერთ პედაგოგს „ტომ სო-
იერიც“ დიდ მკრეხელობად მიაჩნდა, წიგნის აკრძალვას მოითხო-
ვდნენ, ბავშვების უშუალო და მართალი ურთიერთობა თვალთმაქ-
ცობას შეჩვეულ ობივატელებს შეუწყნარებელ სიტლანქედ მიაჩ-
ნდათ და მოითხოვდნენ ბავშვებისათვის აეკრძალათ ეს წიგნი. ამ-
ლა კი „ჰეკლბერი ფინი“ აღშფოთების მეტ საბაბს იძლეოდა. აქ
როგორც ითქვა, მთელი სიმძაფრით იყო გაკრიტიკებული არა მარ-
ტო რასობრივი დისკრიმინაცია, არამედ ყოველგვარი საზოგადო-
ებრივი მანკიერებანი — თვალთმაქცობა, მლიქვნელობა, პირმოთ-
ნეობა, აღზრდის მანკიერი წესი (ტომ სოიერი ციხეს ადარებს
სკოლას), მართლმსაჯულების მთელი უსამართლობა და ანგარება,
ხალხში ფართოდ ფესვგადგმული ცრუმორწმუნეობა, რომელიც
ადამიანს ხელს უშლის გამოამჟღავნოს თავისი ნამდვილი, ადამია-
ნური ბუნება...

ორივე მოთხრობა — „ტომ სოიერიცა“ და „ჰეკლბერი ფინიც“,
ისევე როგორც „ჰეკლბერი ფინზე“ სამოდე წლის წინათ გამოქ-
ვეყნებული „უფლისწული და მათხოვარი“, აგრეთვე მისივე რამ-
დენიმე სხვა ნაწარმოები, თავიანთი აღნაგობითა და ხასიათით სა-
თავგადასავლო ჟანრს განეკუთვნება. მაგრამ იმ დროს ფართოდ გავ-
რცელებულ სათავგადასავლო რომანებისაგან განსხვავებით, ტვე-
ნის მოთხრობები, უპირველესად ყოვლისა, რეალისტური ნაწარ-
მოებები არიან და სოციალური სიმძაფრით გამოირჩევიან, საზო-
გადოებრივი აქტუალობა ახასიათებთ, ისტორიული მოთხრობე-
ბიც კი თანამედროვეობას ეხმაურებიან.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტვენის ისტორიულ ნაწარმოებში დაგმობილია წარსულის იდეალიზაცია, ტვენი სასტიკად ილაშქრებს წარსულის იდეალიზაციის წინააღმდეგ, მწარედ დასცინის ცხოვრების ყალბ რომანტიზაციასა და სენტიმენტალიზმს. ზედმეტი სიმკაცრით აკრიტიკებს უოლტერ სკოტს, რომლის გავლენას, ტვენისავე სიტყვებით, ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი მსოფლიო ლიტერატურამ. არა ერთი და ორი პამფლეტი მიუძღვნა მწერალმა ამ თემას. ამავე თემას გამოეხმაურა იგი მხატვრულ ნაწარმოებებშიაც. ამ მხრივ საყურადღებოა მისი დიდტანიანი ნაწარმოები „იანკი ართურის კარზე“ და უფრო ნაკლებად ცნობილი მოთხრობა — „შუა საუკუნეების რაინდული რომანი“. ამ ნაწარმოებებში ავტორი ერთის მხრივ დასცინის ევროპაში იმ დროს შემორჩენილ მონარქიულ წყობილებას, და ამასთან, როგორც უკვე ითქვა, მკაცრი სატირით აკრიტიკებს შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ცხოვრების იდეალიზაციას.

უოლტერ სკოტის საერთო კრიტიკის დროს ტვენი ახსენებს ინგლისელი რომანტიკოსი მწერლის „მაღალფარდოვანსა და დალვლარჭნილ სტილს“. ამ საკითხზე ცალკე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ტვენის ენა სადაა, უბრალო და ნათელი. მისი მეტყველება ხალხურს უახლოვდება, მაგრამ არ ითქვიფება ხალხურში. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი დიალოგი — სადა, ლაკონური და ყოველგვარი ზედმეტობისაგან დაზღვეული. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც დაკვირვებით წაიკითხავს ტვენის მოთხრობებს. ამით იგი პირდაპირი წინამორბედია ჰემინგუეისა. კიდევ იმით შეგვიძლია ტვენი და ჰემინგუეი ერთმანეთს შევადაროთ, რომ ტვენი, ისევე როგორც შემდგომ ჰემინგუეი, დიდ ყურადღებას ანიჭებდა კონტექსტისათვის შესაფერი სიტყვის მოძებნას. ერთი მისივე თანამედროვე ამერიკელი მწერალი მოხდენილად შენიშნავდა: ტვენს უნარი აქვს ძნელად დასაჭერი ოქროს მარცვალი — საჭირო სიტყვა — მოძებნოსო. ჰემინგუეიმ ოცდაცხრამეტჯერ გადაწერა თავისი ერთ-ერთი რომანის ბოლო აბზაცი დე მანამ ვერ მოისვენა, ვიდრე იმ „საჭირო“ თუ „შესაფერის“ სიტყვას არ მიაგნო.

მწერლის მთელი მერმინდელი შემოქმედება მძაფრი სოციალური სიმახვილითა და თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებათა მხილებით გამოირჩევა. ერთხელ ევ-

როპაში გამგზავრების წინ ღარძლგარეული ხუმრობით შენიშნა: ახლა ხალხი ცუდს აღარაფერს იტყვის ჩემზე — ეცოდინებათ, რომ მაინც ვერ გავიგებ, და, ამრიგად ტკივილს ვერ მომაყენებენ... ამიტომაა, რომ ჩვენ ცუდს არაფერს ვამბობთ მკვდრებზე.

მაგრამ ეს დიდი გულისტკივილი კონკრეტული გაღიზიანებით იყო გამოწვეული, ხოლო მთელი მისი შემოქმედება სწორედ სოციალური სიმახვილით ხასიათდება. ტვენი კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად ითვლება ამერიკულ ლიტერატურაში. ყველა მისი ნაწარმოები ცხოვრებისეული სიმართლითა და განცდათა უშუალობით არის გამსჭვალული. ერთგან თვითონვე წერს — თითქმის ყველა ეპიზოდი თუ ამბავი, რასაც ჩემს ნაწარმოებებში წაიკითხავთ, ან ჩემივე თავზე გამომიცდია ან საკუთარი თვალით მინახავსო.

მარკ ტვენის ბევრი პამფლეტი და სატირული მოთხრობა ავტორის სიცოცხლეში ვერ ეღირსა დღის სინათლეს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რაც დრო გადიოდა, მწერლის კალამი სულ უფრო და უფრო მწარე სატირული ხდებოდა, უფრო და უფრო მკაცრად აკრიტიკებდა ცხოვრების ყველა მანკიერ მხარეს. „მთელი ევროპა და ამერიკა ფულისთვის იბრძვის, — წერდა ტვენი, — ჩვენ, ამერიკელები, დოლარის თაყვანისმცემლები ვართ“. და ჩვენ ვიცით მწერლის არაერთი ნაწარმოები, სადაც სასტიკი სატირით არის დაგმობილი ფულის გაღმერთების ყოველგვარი გამოვლინება; ეს კარგად ჩანს „ტომ სოიერსა“ და „ჰეკლბერი ფინშიაც“. ტომის პატარა ქალაქშიაც ვისაც ფული აქვს, პატივსა სცემენ, ვისაც არაფერი აბადია, არაფრად აგდებენ, თითქოს ვერც კი ხედავენ. გავიხსენოთ, რა საოცარი მღელვარება და ალიაქოთი გამოიწვია განძის აღმოჩენამ, რა სასაცილო ყოფაში ჩავარდა მთელი ქალაქი, რა ფაცხაფუცხი შეუდგათ, როგორი გამწარებითა და გაბოროტებით დაიწყეს განძის ძებნა. გამორნაკლისი ტომი და ჰეკი იყო. ისინი თავისუფლად მოაზროვნე სპეტაკი ადამიანები არიან, და თუ მათაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს განძის მიმართ, ეს არა ფულის სიყვარულით, არამედ იმ საინტერესო თავგადასავლის გამო, რაც განძის მოპოვებასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც არის, რომ მათ ღატაკთა ქომაგ რობინ ჰუდის გახსენება უფრო ახალისებთ, ვიდრე ბრჭყვიალა ბრილიანტები, რისთვისაც მთელი ქალაქი ჰკუ-

ას კარგავს. „არაფერი სიკეთე ამ სიმდიდრეში არა ყრია, — ეუბნება ჰეკი ტომს, — სულ ტყუილად გვეგონა კარგი რამე“.

ამ მხრივ საინტერესოა მწერლის მოზრდილი მოთხრობა — „კაცი, რომელმაც აცთუნა ჰედლიბერგი“. ამ მოთხრობაში ავტორი წარმოუდგენელი სისასტიკითა და დაუნდობლობით ამათრახებს ფულზე ფანატიკურად შეყვარებულ საზოგადოებას. საშინელ გულქვაობას იჩენს — ალბათ არც ერთ ავტორს არ ჩაუგდია თავისი გმირი ისეთ სამარცხვინო და უხერხულ მდგომარეობაში, როგორც მოთხრობის ავტორმა პატარა ქალაქ ჰედლიბერგის მთელი მოსახლეობა ჩააგდო.

„მხოლოდ მკვდრებსა აქვთ სიტყვის თავისუფლება, — წერდა ტვენი, — მხოლოდ მკვდრებსა აქვთ უფლება სიმართლე ილაპარაკონ“.

ჰეშმარიტ ხელოვნებას გასაქანი არა აქვს, ნამდვილი ხელოვნის ხვედრი — დევნა და შიმშილით სიკვდილია. მარკ ტვენს თავის მოთხრობაში — „ცოცხალია თუ მკვდარი“ — ასეთი ამბავი აქვს აღწერილი: ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრები შიმშილით კვდებიან, ლუკმა პური სანატრელად გახდომიათ. მათ ნახატებს არავინ ყიდულობს, ზედაც კი არ უყურებენ. საბრალო მხატვრებმა ალარ იციან რა ქნან, რა იღონონ. ბოლოს ერთი მათგანი საოცარ ხერხს მოიგონებს: ერთ-ერთი ჩვენთაგანი უნდა მოკვდეს, — ეტყვის იგი ამხანაგებს, — დანარჩენები კი ვეცადოთ მის განდიდებას, რადგან ხელოვანი სიკვდილის შემდეგ შეიძლება დაფასდესო. ისინი გაზეთებში გამოაცხადებენ, თითქოს მართლაც გარდაიცვალა ერთ-ერთი მათგანი, უნიჭიერესი მხატვარი. იმავე გაზეთების საშუალებით საოცარ განგაშს ატეხენ, სახელს გაუთქვამენ ამხანაგს, რომელიც „გარდაცვალების“ შემდეგ სხვისი გვარით ცხოვრობს და რომელსაც საკუთარი ხელით მიჰქონდა სასაფლაოსკენ თავისი კუბო. მოდას აყოლილი ვაჭრები მილიონობით ფულს იხდიან იმავე ნახატებში, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინათ ავტორი კომბოტოშიაც სიხარულით გადაცვლიდა და თავს ბედნიერად იგრძნობდა.

დაახლოებით ასეთივე ამბავია აღწერილი მეორე მოთხრობაში — „კაპიტოლელი ვენერა“. ნიჭიერ ახალგაზრდა მოქანდაკეს, რომელმაც ბოლო დროს შესანიშნავი ქანდაკება შექმნა, პურის ფული ვერ უშოვია. მოქანდაკეს შეუყვარდება ახალგაზრდა ქალი,

ვაჭრის ასული. მაგრამ ქალის მამა ცივ უარზეა — როგორ მიათხოვოს შვილი ღარიბ ხელოსანს, რომელიც მთელი ექვსი თვე მოუნდა ქანდაკების შექმნას, რაშიც მას ას დოლარსაც კი არ აძლევენ. ქალს მაშინ მიათხოვებს იგი მოქანდაკეს, თუ ეს უკანასკნელი 50 000 დოლარს შეაგროვებს! გამოუვალი მდგომარეობიდან ნიჭიერ მოქანდაკეს მეგობარი გამოიყვანს: იგი ცხვირსა და ხელს მოამტვრევს მეგობრის ქანდაკებას და მიწაში ჩაფლავს; რამდენიმე თვის შემდეგ კი ისევ ამოიღებს და გაასაღებს, როგორც ანტიკური ხელოვნების შესანიშნავ ქმნილებას. მარტო იმის გამო, რომ მის ეზოში აღმოჩნდა ეს „უძველესი ხელოვნების შედევრი“, მ. ქანდაკეს ხუთ მილიონ დოლარს გადაუხდიან, ხოლო რომაელმა მოქანდაკეებმა, რომელთაც ქანდაკების მომტვრეული ცხვირი და ხელი აღადგინეს, სამარადისო სახელი და დიდება მოიხვეჭეს...

თითქმის არ დარჩენილა თავისდროინდელი ცხოვრების არცერთი მანკიერი მხარე, რაც ტვენს სასტიკად არ გაემათრახებინოს. მაგრამ თვითონ მაინც არ მიაჩნდა საკმარისად ეს კრიტიკა და უფრო მეტის მოსურნე იყო. მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწარმოები — „ავტობიოგრაფია“ — ასე იწყება: „ამ ავტობიოგრაფიას რომ ვწერ, ერთი წუთითაც არ მავიწყდება, რომ სამარიდან გელაპარაკებით. ეს ნამდვილად ასეა: ეს წიგნი რომ დაიბეჭდება, მე ცოცხალი აღარ ვიქნები. მირჩევნია მკვდარმა ვილაპარაკო, ვიდრე ცოცხალმა, მეტად სერიოზული მიზეზის გამო: სამარეში უფრო გულახდილი ვიქნები“.

მარკ ტვენის შემოქმედება არასოდეს არ მოკვდება და ყოველ ეპოქაში სულ ახლებურად იელვარებს. ეს უპირველესად ყოვლისა აიხსნება იმ დიდი კაცთმოყვარული გრძნობითა და სიმართლის დაუცხრომელი ძიებით, რითაც გამსჭვალულია მისი ყველა ნაწარმოები.

1970 წ.

## ერნესტ ჰემინგუეი

ჩვენს საუკუნეში არც ერთ მწერალს, ალბათ, იმდენი მიმდევარი და წამბაძველი არა ჰყოლია, რამდენიც ერნესტ ჰემინგუეის გამოუჩნდა. შეიქმნა ტერმინი — „ჰემინგუეის სტილი“, „ჰემინგუეისებური წერა“, და იქნებ გადაჭარბებული არ იყოს თქმა, რომ

თითქმის ყველა ახალბედა მწერალმა სცადა თავისი მწერლური ნიჭისა და შესაძლებლობისათვის მოერგო ეს სტილი. ასე მოხდა ყველგან, ყველა ქვეყანაში. ჰემინგუეიმ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა კლასიკოსის სახელი, თავისი მეტად საინტერესო და დიდი შემოქმედებით იგი ათეული წლების განმავლობაში ტონს აძლევდა ლიტერატურის განვითარებას მთელს მსოფლიოში. და მაღალი მოქალაქეობრივი პატიოსნებით, დიდი ჰუმანური პათოსით ეხმაურებოდა ყველაზე მნიშვნელოვანსა და მტკივნეულ პრობლემებს, რაც კი ხის თანამედროვე ადამიანებს აწუხებდა და აღელვებდა.

ერნესტ ჰემინგუეი დაიბადა 1899 წელს, 21 ივლისს, პატარა ქალაქ ოუკ პარკში, ჩიკაგოს მახლობლად, ექიმის ოჯახში. მამამისი თავგადადებული მონადირე ყოფილა და შვილს ბავშვობაშივე აჩუქა სანადირო თოფი, ნადირობის სიყვარული ჩაუნერგა. დედა ღვთისმოსავი ქალი იყო, პატარაობიდანვე შეაჩვია შვილი ბიბლიის კითხვას. სწავლობდა ქალაქის სკოლაში და დამოუკიდებელ ცხოვრებას პატარაობიდანვე შეეჩვია — ადრევე გამოსცადა ცხოვრების მთელი სიმძიმე და მრავალფეროვანება, რაც შემდეგ მწერლობაში გამოადგა. საინტერესოა თვითონ ჰემინგუეის სიტყვები:

„თექვსმეტი წლისა იყო ეს მწერალი, — ამას იგი თავისივე თავზე წერს, — როცა საკუთარი შრომით დაიწყო ლუკმაპურის მოპოვება. იყო დღიური მუშა, მოჯამაგირე, ოფიციანტი, რესტორანში ჯურჭლის მრეცხავი, კრივის მწვრთნელ-ასისტენტი (როცა რომელიმე მოკრივე ცოცხალ სხეულზე მოიწადინებდა წვრთნას), იყო რეპორტიორიც, ხოლო 1926 წლიდან მწერლობით დაიწყო ცხოვრების სახსრების მოპოვება. ბავშვობიდანვე ნადირობითა და თევზაობით იყო გატაცებული. უფრო ნაკლები დრო რომ დაეთმო ამ საქმეებისათვის, აგრეთვე თხილამურებისა, მდინარის სპორტისა და ხარების ბრძოლისათვის, მაშინ ალბათ მეტსაც დაწერდა. თუმცა, იქნებ, ტყვიაც ეკრა მაშინ შუბლში. ყველა საქმიანობაზე უფრო (გარდა მწერლობისა) კითხვა უყვარს და ყველაზე დიდ ბედნიერებას მაშინ განიცდის, როცა კარგ რამეს დაწერს. ბედი მუდამ სწყალობდა ცხოვრებაში, და იმედი აქვს, რომ არც მომავალში უმტყუნებს“...

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჰემინგუეი ერთხანს ადგილობრივ გაზეთში თანამშრომლობდა, მერე კი ევროპაში გაემ-

გზავრა. იქ მაშინ პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ახალგაზრდა მწერალმა გადაწყვიტა ბრძოლებში ჩაბმულიყო. თავდაპირველად უარი უთხრეს ომში გაგზავნაზე, რადგან კრივის გაკვეთილებზე თვალი სერიოზულად დაზიანებოდა. ბოლოს მაინც მოახერხა ნებართვის მიღება და 1918 წლის გაზაფხულზე წითელი ჯვრის ავტოკოლონაში ჩაირიცხა, რომელიც იტალიაში მიემგზავრებოდა. მალევე გაამწესეს იტალია-ავსტრიის ფრონტზე, და ორი თვე არც კი გასულიყო, რომ ცეცხლის ხაზზე მოხვდა და მძიმედ დაიჭრა. ყუმბარის ნამსხვრევებს სულ დაეცხრილა, ორასზე მეტი ჭრილობა ჰქონდა. მაშინვე მილანში გადაიყვანეს და ზედიზედ რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს. ეს ყველაფერი თითქმის ზედმიწევნით არის აღწერილი „მშვიდობით, იარაღო“, და მკითხველს კარგად ახსოვს ამ შესანიშნავი რომანიდან.

ეს იყო პირველი მძიმე განსაცდელი, პირველი თვალის გასწორება სიკვდილთან. შემდეგ კი ჰემინგუეი ბევრჯერ შეხვედრია სიკვდილს პირისპირ, სხვადასხვა გარემოებასა და სხვადასხვა პირობებში, ხან ბრძოლებში, ხან ნადირობის დროს. ერთხელ გამოიტირეს კიდეც აფრიკაში თვითმფრინავის კატასტროფის შემდეგ, როცა ყველას მკვდარი ეგონა და გაზეთებში სამგლოვიარო განცხადებებიც კი დაბეჭდეს. მწერალმა თვითონვე წაიკითხა თავისი ნეკროლოგები, რომლებშიაც დიდი მგზნებარებით წერდნენ, ჰემინგუეი მუდამ სიკვდილს ეძებდაო. მწერალი მერე მწარედ შენიშნავდა ამის გამო: „თითქმის ყველა ნეკროლოგი ირწმუნებოდა, ჰემინგუეი მთელი დღე და მოსწრება სიკვდილს ეძებდაო. მაგრამ როგორ უნდა ვირწმუნოთ ეს ფაქტი? თუკი ადამიანი მთელი თავისი ცხოვრება სიკვდილს ეძებდა, ორმოცდათოთხმეტი წლისა როგორღა მოიყარა?!. კაცი რომ მთელი სიცოცხლე სიკვდილს ეძებდეს, მაგრამ ლაჩრულად არ უხრიდეს თავს, დაცინვის საშუალებას არ აძლევდეს და სწავლობდეს მას, ეს როდი ნიშნავს, სიკვდილს ეძებსო!“

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჰემინგუეი კანადური გაზეთის „ტორონტო სტარის“ თანამშრომელია, მალე ევროპაში გზავნიან კორესპონდენტად, იგი კარგა ხანს ცხოვრობს პარიზში და თავის პირველ მოთხრობებსაც პარიზში ყოფნის დროს ბეჭდავს. როგორც კორესპონდენტს, მას ევალება მთელი ევროპა მოიაროს, მრავალნაირ ხალხს შეხვდეს, კარგად გაეცნოს ომგამოვ-

ლილ ქვეყნებს. მოხვდა თურქეთ-საბერძნეთის ფრონტზედაც. ნანახსა და მოსმენილს გულმოდგინედ აღწერს და კორესპონდენციებს თავის გაზეთს უგზავნის. როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, ამ რეპორტიორულმა წერის მანერამ დიდად შეუწყო ხელი ჰემინგუეის თავისებურ სამწერლო სტილის ჩამოყალიბებას.

პარიზში ყოფნის დროსვე ჰემინგუეიმ მტკიცედ გადაწყვიტა მთელი სერიოზულობით მოეკიდა ხელი მწერლობისათვის, ამიტომ 1924 წლის დასაწყისშივე გაზეთის კორესპონდენტობას თავი გაანება და მთლიანად მწერლობას მიეცა. იგი დაუახლოვდა იმჟამად პარიზში მცხოვრებ ამერიკელ მწერლებს — გერტრუდა სტაინს, სკოტ ფიცჯერალდს, ეზრა პაუნდსა და სხვებს. ეს იყო დიდი ძიებებისა და უაღრესად დაძაბული მუშაობის წლები. ჰემინგუეი ბევრს კითხულობს, ყურადღებით აკვირდება მაშინდელ რთულ ლიტერატურულ ცხოვრებას, სერიოზულად მუშაობს საკუთარი სამწერლო სტილის გამომუშავებაზე. მაგრამ უსამსახუროდ დარჩენილი ახალგაზრდა კაცი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. გაზეთის კორესპონდენტობისათვის თავის დანებებამ დრო კი ბევრი მისცა, მაგრამ ცხოვრების სახსარი თითქმის სულ ამოუწურა. ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა მწერლის მოთხრობებსა და ლექსებს ჟურნალები უხალისოდ ბეჭდავენ, სხვადასხვა ჟურნალებსა და გამომცემლობებში გაგზავნილი ნაწარმოებები ავტორს, უმთავრესად, უკანვე უბრუნდება ფოსტით. ჰემინგუეი შიმშილობს, თავის ულუფას ცოლს უთმობს, თვითონ კი სადილობის დროს, რამდენიმე საათს, ლუქსემბურგის ბაღში დასეირნობს მშიერი: იძულებული მოატყუოს ცოლი, თითქოს სადილად მეგობრებთან იყოს დაპატიჟებული. პარიზში ცხოვრების ეს პერიოდი ჰემინგუეის შესანიშნავად აქვს აღწერილი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაწარმოებში, „განუყრელ დღესასწაულში“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

მწერლის გაუტეხელ ნებისყოფასა და თავიდანვე ჩამოყალიბებულ რწმენაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად მას ერთი ნაბიჯიც კი უკან არ დაუხევია შემოქმედებაში, თავისი ნიჭი და მწერლური ძალა იაფფასიანი გემოვნებისა და ჟურნალების მკითხველთა გემოვნებისათვის არ მოურგია.

პარიზის პერიოდი ძალიან ნაყოფიერი გამოდგა ჰემინგუეისათვის. 1925 წელს იგი აქვეყნებს მოთხრობების ციკლს „ჩვენს დროში" — In Our Time — (ამ წიგნიდან ქართულად გამოცემულ ოთხტომეულში შევიდა „ნავსადგური სმირნა", „ინდური სოფელი", „ექიმი და მისი ცოლი", „რაღაც გათავდა", „ძალიან მოკლე მოთხრობა", „შინ დაბრუნება", „ბატონი და ქალბატონი ელიოტი", „კატა წვიმაში", „პედუცი", „გადარბენა თოვლზე", „ჩემი ბერიკაცი"). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ წლებში დაწერილი მოთხრობების დიდი ნაწილი ავრეთვე ერთი თითქმის დამთავრებული რომანი დაიკარგა; ჰემინგუეის ცოლს ჩემოდანში ჩალაგებული მიჰქონდა ავარაკზე, ქმართან, და, როგორც ეტყობა, სადგურზე მოჰპარეს. გადარჩა მხოლოდ ის მოთხრობები, რომლებიც ავტორს რედაქციებში ჰქონდა დაგზავნილი და იმჟამად ფოსტით უკანვე უბრუნდებოდა. ესეც კარგად აქვს აღწერილი ჰემინგუეის თავის „განუყრელ დღესასწაულში". 1926 წელს გამოვიდა „აღმოხდების მზე" (ს. ფიესტა") — The Sun Also Rises, 1927 წელს— მოთხრობების ციკლი „მამაკაცები უქალებოდ" — Men Without Women (ამ ციკლიდან ქართულ ოთხტომეულში შევიდა „უძლეველი", „უცხოეთში", „თეთრი სპილოების მსგავსი მთები", „მკვლელები", Chi ti dice la Patria", „ალპური იდილია", „ბანალური ამბავი", „ორმოცდაათი ათასი", „ათი ინდიელი", „იადონი საჩუქრად"). 1929 წელს გამოდის ჰემინგუეის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანი „მშვიდობით, იარაღო!" — A Farewell To Arms!

სახელი ახალგაზრდა მწერალს მოთხრობების პირველმავე წიგნმა მოუტანა. ლიტერატურულმა კრიტიკამ და მწერალთა საზოგადოებრიობამ, აგრეთვე მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა მაშინვე მიაქციეს ყურადღება, როგორც გაბედულად მოაზროვნე, ორიგინალური ნიჭისა და სტილის მწერალს. „განუყრელ დღესასწაულში" ჩვენ ვკითხულობთ, რა პატივისცემით ექცევა ჰემინგუეის მეორე ახალგაზრდა ამერიკელი მწერალი სკოტ ფიცჯერალდი, რომელსაც თავისი პირველი შესანიშნავი რომანით უკვე სახელი მოუხვეჭია. ფიცჯერალდს წაუკითხავს ჰემინგუეის რამდენიმე მოთხრობა და, აღფრთოვანებული, დაინტერვსებულია მისი სამწერლო მუშაობით, სთხოვს ახალ-ახალი მოთხრობები დაბეჭდვამდე წააკითხოს.

ოცდაათი წლების მიწურულს ჰემინგუეი სამშობლოში დაბრუნდა და ფლორიდის განაპირა ადგილას კი-უესტში დასახლდა. ეს ადგილები მას აღწერილი აქვს თავის მომდევნო რომანში. რამდენადაც მწერლის შემოქმედების პირველი პერიოდი — პარიზის პერიოდი — ნაყოფიერი აღმოჩნდა, იმდენად უნაყოფო იყო შეხვედრი ექვსი თუ შვიდი წელი, სამშობლოში დაბრუნების მომდევნო წლები. ამოიწურა ბავშვობისას მიჩიგანში მიღებული შთაბეჭდილებები, რაც მან ასე ცოცხლად გამოიყენა მოთხრობების პირველ წიგნში, თავისი ხარკი მიუძღვნა ომის თემას, გამოხატა ის სულიერი განწყობილება, რასაც ომგამოვლილ ევროპაში გადახვეწილი ამერიკელი ახალგაზრდები განიცდიდნენ, და სამშობლოში დაბრუნებული ჰემინგუეი სინამდვილეს მოწყვეტილი აღმოჩნდა, ის ატმოსფერო, რაც ომის შემდეგ ამერიკაში დამდგარიყო, მისთვის უცხო გამოდგა. ზერელედ წერა კი, ისეთი ფაქტებისა და მოვლენების ასახვა, რასაც თვითონ კარგად არ იცნობს და რაც გაძვალრბილებული არა აქვს, ჰემინგუეის არ შეუძლია. მწერლის მოვალეობა მან ახალგაზრდობაშივე მტკიცედ ჩამოაყალიბა და მერე, მთელი ცხოვრების განმავლობაში, საეალდებულოდ გაიხადა — ის არის სიმართლის წერა, იმის მხატვრულად ასახვა, რასაც ზედმიწევნით იცნობ და გრძნობ. „ისეთ ხალხზე უნდა წერო წიგნები, ვისაც იცნობ, ვინც გიყვარს ან გძულს, და არა იმათზე, ვისი გაცნობაც ახლახან დაგიწყია... ქვეყნად არაფერი არ არის ისე ძნელი, როგორც უბრალო, პატიოსანი პროზის წერა ადამიანის შესახებ. ჯერ ის საგანი უნდა შეისწავლო, რაზედაც წერ, და მერე წერა ისწავლო. ამას სჭირდება მთელი სიცოცხლე ადამიანისა... მწერლის ამოცანა უცვლელია: სიმართლეს უნდა ჩასწვდეს, და როცა მიხვდება, რაში მდგომარეობს სიმართლე, იმგვარად ასახოს იგი, რომ მკითხველის ცნობიერებაში, როგორც საკუთარი გამოცდილების ნაწილი, ისე შეიყვანოს“.

ომით განცდილი სევდა და უიმედობა კიდევ უფრო გაამწვავა ახალ სინამდვილესთან პირისპირ შეყრამ. სამშობლოში დაბრუნებულ უკვე მომწიფებულ მწერალს კიდევ უფრო მწვავე სიცხადით წარმოუდგა „მქონებელთა“ და „არაფრისმქონეთა“ კონტრასტი და ანტაგონიზმი. იმ ხნის განმავლობაში, როცა მწერალი უცხოეთში იმყოფებოდა, მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულა. „ჩვენს წინაპრებს ამერიკისკენ მიუწევდათ გული... კარგი ქვეყანა

იყო ამერიკა, ჩვენ კი, ეშმაკმა უწყის, რად ვაქციეთ“, — შენიშნავს ჰემინგუეი სწორედ ამ კრიზისის წლებში.

სულ რამდენიმე მოთხრობა დაწერა ამ წლებში ჰემინგუეიმ, და ეს მოთხრობები ხასიათდება დიდი სევდითა და პესიმიზმით, გმირები აპათიას მოუცავს, მწვავედ განიცდიან სრულ მარტოობას და უთვისტომობას, სიკვდილზე მსჯელობენ, და თითქოს კი არ ცოცხლობენ, დაფარფატებენ მხოლოდ ამ ქვეყანაზე. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „ნათელი, სუფთა ადგილი“, რომელშიაც მარტოდ დარჩენილი ადამიანის ტრაგედიაა ნაჩვენები. თვით ჰემინგუეი ბევრს მოგზაურობს ამ წლებში, ჩადის ესპანეთში, აფრიკაში, თევზაობს, ნადირობს... თანდათანობით მზადდება ნიადაგი რაღაც დიდის შესაქმნელად.

უშუალო შემოქმედებით ბიძგს ესპანეთში მომხდარი ამბები მისცემს მწერალს. ჰეშმარიტი მწერალი არ შეიძლება განზე გაუდგეს საზოგადოებას, შორიდან უყუროს დიდ მოვლენებს. ჰემინგუეიმ ადრევე იგრძნო და განიცადა ომის მთელი საშინელებანი, და ახლა ფაშიზმის საფრთხე რომ დაინახა ევროპაში, მთელი ხმით, ვაჟკაცური პირდაპირობითა და პატიოსნებით განაცხადა, რომ ფაშიზმი უდიდესი ბოროტებაა, ბანდიტიზმია, და ამ ბოროტებას ვინც შეურიგდება, ის მწერალი განწირულია. ამ ბანდიტს ახლავე უნდა გასწორება, ჩანასახშივე, განაცხადა მან.

ეს არ იყო მხოლოდ ლიტონი სიტყვები. ჰემინგუეიმ ჩამოაყარა გამომცემლები, შეაგროვა კარგა ბლომად თანხა, შეიძინა სანიტარული ავტომანქანების მთელი კოლონა და რესპუბლიკურ ესპანეთს გაუგზავნა. თვითონ ის საომარი იარაღი აიღო ხელში, რომელსაც ერთ დროს გამოეთხოვა, და ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემგზავრა. ჰემინგუეი მთელი არსებითა და შემოქმედებით ომის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ომიც არის და ომიც. ფაშიზმის წინააღმდეგ ომი, ეს თვით ომის წინააღმდეგ გალაშქრება იყო. „ყველასათვის ცხადია, რა ბოროტებას წარმოადგენს ომი, — ამბობდა ჰემინგუეი, — მაგრამ ზოგჯერ აუცილებელია, რომ იომო“. ასევე აუცილებელი იყო ომი იმავე ფაშიზმის წინააღმდეგ ცოტა უფრო მოგვიანებით, და ჰემინგუეი ამ ომშიაც უყოყმანოდ ჩაებმება. იგი მონაწილეა საფრანგეთის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლებისა მეორე მსოფლიო ომის დროს. იგი ერთ-ერთი პირველი გაემართა პარიზის გასათავისუფლებლად.

„როცა ხალხი უცხოელი ინტერვენტებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის იბრძვის, როცა ეს ხალხი შენი მეგობარია— ზოგი ძველი, ზოგი უფრო ახალი, და როცა იცი, როგორ ვერაგულად დაესხნენ მას, როცა იცი, როგორ იბრძოდნენ ისინი, თანაც პირველად თითქმის საკუთარი ხელით უიარაღოდ... როცა თვალს ადევნებ მათ სიცოცხლეს, ბრძოლასა და სიკვდილს, მაშინ მიხვდები, რომ ომზე უფრო საძაგელი რაღაც ყოფილა ქვეყნად. სილაჩრე — უფრო დიდი საძაგლობაა, ღალატი — უფრო დიდი საძაგლობაა და ასევე ეგოიზმიც“.

ჰემინგუეი გულისტკივილით შენიშნავს, რომ რესპუბლიკური ესპანეთის დასახმარებლად ჩამოსულ მთელი ქვეყნის მწერალთა შორის ვერც ერთი ამერიკელი მწერალი ვერ ნახა. ესპანეთის ბრძოლებს მიეძღვნა ჰემინგუეის ცნობილი პიესა „მეხუთე კოლონა“ — The Fifth Column — და რამდენიმე მოთხრობა. პიესა, როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ბრძოლების შუალედებშია დაწერილი, და მართლაც რომ გაღვენთილია ფაშიზმის სიძულვილით. საბრძოლო სულისკვეთებითა და შემართებით. ამის თქმა არ შეიძლება ჰემინგუეის მეორე დიდ ნაწარმოებზე „ვისთვის რეკს ზარი“ — For Whom The Bell Tolls, 1940 წ., — რომელიც ასევე ესპანეთის ამბებს მიეძღვნა, მაგრამ უფრო მოგვიანებით არის დაწერილი, როცა ფრანკოს რეჟიმი სისხლიანი ტერორით გაუმასპინძლდა რესპუბლიკელებს. რომანს ის სევდისა და გულგატეხილობის განწყობილება გასდევს, რამაც ჰემინგუეი მოიცვა რესპუბლიკელთა დამარცხების შემდეგ. ამ რომანის მთავარ გმირზე, რესპუბლიკელთა მხარეზე მებრძოლ ამერიკელზე, ძალიან მოხდენილად შენიშნავს ერთი მკვლევარი: „რობერტ ჯორდანი ისე ასრულებს თავის მოვალეობას, რომ გამარჯვებისათვის კი არ ემზადება, არამედ სასიკვდილოდ“. სწორედ ასეთი სულისკვეთებით არის დაწერილი წიგნი.

ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ჰემინგუეი ბეჭდავს თავის ახალ რომანს „ქონა თუ არქონა“ — To Have And Have Not.

რომანში დიდი სოციალური საკითხია აღძრული, ავტორი ჩვეული სიმართლითა და პირდაპირობით აგვიწერს „მქონებელთა“ და „არაფრის მქონეთა“ კონტრასტულ სამყაროს, მძაფრ კონფლიქტს სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. რომანმა დიდი დავა გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა, თვით ამერიკელ კრიტიკოსთა შორის. ავტორს

უკიჟინებდნენ „მასალის სინედლეს“, დაუხვეწაობას, ზედმეტ პუბლიცისტიკურობას და ცალკეული თავების არათანაბარი მხატვრულობით დამუშავებას. ეს თემა, ეტყობა, დიდხანს აწვალებდა ევროპიდან სამშობლოში დაბრუნებულ მწერალს, რომელსაც დიდი ეკონომიური კრიზისით შერყეულ ამერიკაში კიდევ უფრო გამძაფრებული დახვდა წინააღმდეგობა ორ კლასს — „მქონებელთა“ და „არაფრის მქონეთა“ შორის. როგორც ცნობილია, ჰემინგუეიმ ჯერ პატარა მოთხრობები გამოაქვეყნა ჰარი მორგანზე, მერე კი თავიდან მოდგა და საფუძვლიანად განავრცო და დაამუშავა. ამ რომანში განსაკუთრებით საინტერესოა ჰარი მორგანის სიტყვები, რასაც ავტორი სიკვდილის წინ ათქმევინებს მას: „კაცი... მარტოხელა კაცი ვერაფერს გახდება. მარტოხელა კაცი ვეღარ. მარტოხელა კაცი, რაც არ უნდა მოხდეს, სულ ტყუილია“.

აქ თითქოს დაძლეულია ცხოვრების მიმართ ის ინდივიდუალისტური დამოკიდებულება, რაც აქამდე ჰემინგუეის მთელ შემოქმედებას ახასიათებდა. ჰარი მორგანი მარტოდმარტო მოქმედებდა, მთელი ქვეყანა თითქოს მის წინაშე ამხედრებულიყო და იგი ყველას უსწორებდა ანგარიშს — მტერსაც და მოყვარესაც. თავდაპირველად იგი პატიოსნად შრომობდა, აქირავებდა კარჭაპს და თავი გაჰქონდა. მაგრამ როცა მოატყუეს, ვიღაც უსაქმური მდიდარი — რომელსაც თავის გასართობად ჰქონდა მისი კარჭაპი დაქირავებული — ისე გაიპარა, რომ არც ნავის ქირა გადაუხადა და არც სათევზაო მოწყობილობისა, როცა სულაც გაქრნენ ეს „მოხალისე მეთევზეები“, ჰარი მორგანი იძულებული გახდა ის ეკეთებინა, რაც ცხოვრებამ უკარნახა — აკრძალული საქმისთვის მოეკიდებინა ხელი, კონტრაბანდისტობა დაეწყო და ამით გამოეკვება ცოლ-შვილი, რადგან ამავე რომანის ერთი გმირისა არ იყოს „...კაცმა იშიმშილოსო, ასეთი კანონი არ არსებობს“. და ამის შემდეგ ჰარი მორგანიც ჯუნგლის მგლური კანონით მოქმედებს. იგი საკუთარ ამხანაგსაც არ ინდობს, ავი თვალით შეჰყურებს თავის კარჭაპზე შემოხიზნულ გაუბედურებულ ელბერს და გონებაში ანგარიშობს, როდის მოუღოს ბოლო, რათა მიზნის მიღწევის შემდეგ, ხელი აღარ შეუშალოს, რამე არ წამოაყრანტალოს. Homo homini lupus est — ჰარი მორგანი დამოუკიდებლად მივიდა ამ აზრამდე, ცხოვრებამ დააყენა იგი ამ გზაზე და მხოლოდ სიკვდილის წინ შეიგრძნო თავისი ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის მთე-

ლი უაზრობა და უსაფუძვლობა. „კაცი... მარტოხელა კაცი ვერაფერს გახდება. მარტოხელა კაცი ვეღარ. მარტოხელა კაცი, რაც არ უნდა მოხდეს, სულ ტყუილია“. ამბობს, და კვდება კიდეც.

ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი ივანე კაშკინი შენიშნავს, რომ ფაშიზმის სიძულვილი ჰემინგუეის ჯერ კიდევ ადრე გაუჩნდა, როცა იტალიელ ფაშისტთა წინამორბედ კარაბინერებთან მოუხდა შეხლაო. ეს ეპიზოდები ბრწყინვალედ არის აღწერილი „მშვიდობით, იარაღო“. ერნესტ ჰემინგუეი მუდამ შეუპოვრად და მთელი პირდაპირობით გამოდიოდა ფაშიზმის წინააღმდეგ და მასთან დაუნდობელი ბრძოლისათვის მოუწოდებდა ხალხს. მეორე მსოფლიო ომის დროს ჰემინგუეის კორესპონდენტად ვხედავთ საავიაციო შენაერთებში. მერე კი, როგორც უკვე ითქვა, მოკავშირეთა საფრანგეთში შეჭრის ოპერაციებში მონაწილეობდა და პარიზის განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

ომიდან დაბრუნებული ჰემინგუეი კუბაზე დასახლდა და სიცოცხლის ბოლო წლები იქ გაატარა, „სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, — წერს ერთი ამერიკელი ლიტერატორი, — ჰემინგუეი ცდილობდა უფრო მეტი და უფრო ჩქარა ეწერა, გრძნობდა, რომ ცოტაღა დრო რჩებოდა. სიბერე და ავადმყოფობა მიეპარა და, ალბათ, გატეხა კიდეც — საკუთარი ხელისაგან მიყენებული ჭრილობით მოკვდა. მაგრამ მაინც დიდი სიცოცხლე გაიარა, მწერლის შრომით სავსე სიცოცხლე, დაგვიტოვა უკვდავი რომანებისა და მოთხრობების ტომები, რომლებიც იმ საუკეთესო წიგნებს მიეკუთვნებიან, რაც კი ჩვენს საუკუნეში დაწერილა“.

თავისი შემოქმედების უდიდესი ნაწილი ჰემინგუეიმ ომის თემას მიუძღვნა. ომი უდიდესი ბოროტებაა ყველა ბოროტებათა შორის, ბოროტებაა იგი მთელი თავისი გამოვლინებით და, შემდგომში, წყაროც ხდება მრავალი ბოროტებისა, ღალადებს ავტორის ყველა რომანი და მოთხრობა, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ომის თემას მიეძღვნა. ჰემინგუეი მთელი სისასტიკით და საშინელებით გვაჩვენებს ომით განადგურებულ ქვეყანას, ომით გაუბედურებულ ადამიანის ცხოვრებასა და განცდებს, ომით დარღვეულ ურთიერთობებს. პირველ მსოფლიო ომს მიეძღვნა ჰემინგუეის ორი დიდი რომანი — „აღმოხდების მზე“ და „მშვიდობით, იარაღო!“ — რომ-

ლებმაც ავტორს საქვეყნო სახელი მოუხვეჭეს. მაგრამ მანამდეც, ჰემინგუეის მოთხრობების პირველ წიგნშიაც, სადაც უმთავრესად ავტორის ადრინდელი, ბავშვობისა და სიყრმის დროინდელი შთაბეჭდილებებია გადმოცემული, ჩვენ ომით გატანჯული ადამიანების სახეებსა და განცდებსაც ვხვდებით.

მოთხრობების ამ პირველივე წიგნში ჩვენ ვხვდებით ომის საშინელებათა პირდაპირ სურათებსაც და მის დაყოვნებულ გაკვეთასაც. ამ მხრივ საყურადღებოა მოთხრობა „შინ დაბრუნება“. ომიდან დაბრუნებული, ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა კაცი სრულ აპათიას მოუცავს და აღარაფერი აინტერესებს. პატარა ქალაქი კვლავ ძველი ცხოვრებით ცხოვრობს, „არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ გოგონები დაიზარდნენ“; მაგრამ ყმაწვილი კაცის სული ისე დაუმახინჯებია და გაუნადგურებია ომს, რომ ყველაფერს გულგრილად შესცქერის და უდროოდ დაბერებული ადამიანის სულისკვეთებით აღიქვამს მოვლენებს. მისთვის ცხოვრება კი არ მიედინება, თითქოს ერთ ადგილას გაქვავებულა და ცხოველმყოფელობა დაუკარგავს, სილუეტებადღა ეჩვენება ყველაფერი. ეს არის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იმ დაკარგული თაობისა, რომელმაც შემდეგ უფრო ფართო გამოხატულება ჰპოვა მწერლის შემოქმედებაში.

ამ მოთხრობის განწყობილება შემდეგ გადავიდა „აღმოხდების მზეში“, მწერლის პირველ გამოქვეყნებულ რომანში. აქ უკვე ჩვენ ვხედავთ მთელ ჯგუფს ომით განადგურებული ადამიანებისას, რომელთაც აღარც აწმყო აინტერესებთ და მომავლის რწმენაც დაუკარგავთ. ქვეყნიდან ქვეყანაში დაეხეტებიან ეს ახალგაზრდები, ქალაქიდან ქალაქში, დღედაღამ კაფე-რესტორნებში სხედან, სვამენ, იცინიან, მხიარულობენ, ახალ და ახალ თავშესაქცევსა და გასართობებს იგონებენ... მაგრამ მათი მხიარულებაცა და თავშექცევაც მოჩვენებითია, სისხლი გაყინული აქვთ, გული გამოფიტული, მთელი შინაგანი არსება — დაცარიელებული. თითქოს ბევრსა მსჯელობენ, დავობენ, მაგრამ ეს არ არის ცხოვრების ინტერესებით გამოწვეული მსჯელობა და დავა, მათ აღარაფერი აინტერესებთ ამ ქვეყანაზე, სოციალური საკითხები მათთვის უცხო და მიუწვდომელი გამხდარა, და მიტომაც გასდგომიან ცხოვრებას. გართობა-თავშექცევისათვის სხვადასხვა ქვეყანასა თუ ქალაქებში ხეტიალიც მათი სურვილითა და ინიციატივით კი არ ხდება,

ცხოვრების ტალღები დააბორიალებს. დაცურავს მზე ცაში, ულმობელი დრო ბრუნავს, მთელი მოძრაობა თითქოს განგებ დაყოვნებულია, და სამყაროს ამ შენელებულ მოძრაობაში ჩვენ ვხედავთ ჰემინგუეის რომანის მოფარფატე გმირებს. იმდენად გულგრილნი არიან ისინი ცხოვრების მიმართ, რომ თითქოს თანაგრძნობასაც არ აღძრავენ, და ამდენად, ტრაგედია არ შეიძლება ეწოდოს მათ გაუბედურებულ ცხოვრებას. მაგრამ ერთი წუთით რომ ცალკე გამოვყოთ რომანის მთავარი გმირები — ჯეიკ ბერნსი და ბრეტ ეშლი — თვალი რომ გავადევნოთ მათი უჩვეულო და უბუნებო სიყვარულის ისტორიას, მაშინვე მივხვდებით, რა დიდი ჭარიშხალი ტრიალებს, რა დიდ ვნებათაღელვას დაუსადგურებია. ეს არის უთქმელი სევდის ტრაგედია, როცა მწუხარების ცრემლი თვალებიდან კი არ გადმოდის მკითხველის დასანახად, თვითონ გმირებს ღრჩობს. მათ სიყვარული კი არ დაუკარგავთ, რომ მერე გამოიტირონ ეს სიყვარული, სიყვარულის უფლება აქვთ წართმეული.

ზოგი კრიტიკოსი უსაყვედურებს ჰემინგუეის, რომანის ცალკეული ეპიზოდები გაჭიანურებულია, თვით ფიესტა თვითმიზნურიაო. უფრო ღრმად თუ დავუკვირდებით, ეს გაჭიანურებული ადგილები, გაუთავებელი სიარული ესპანეთის საშინელ სიცხეში, ავტორს სჭირდება კონტრასტის გასაძლიერებლად, საერთო მოთენთილობის განწყობილების შესაქმნელად.

მეორე დიდი ნაწარმოები, რომელიც აგრთვე ომის თემას მიეძღვნა, „მშვიდობით, იარაღო“. თუ პირველ რომანში ომის შედეგს, ომით სულიერად და ფიზიკურად დამახინჯებული ადამიანების ტრაგედიას გვიჩვენებს ავტორი, აქ უშუალოდ ომის ეპიზოდებს ვხედავთ. საინტერესოა თვითონ ჰემინგუეის სიტყვები ამ რომანის შესახებ.

„ამ წიგნის სახელწოდებაა „მშვიდობით, იარაღო!“ და გარდა იმ სამი წლისა, რაც წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ გავიდა, ჭეშმარიტად სადღაც მაინც ანთია ომის ხანძარი. მაშინ ბევრს უკვირდა — ნეტა რა დაემართა ამ კაცს, რას დაიჟინა ეს ომიო, მაგრამ ახლა, 1933 წლის შემდეგ, ალბათ იმათთვისაც გასაგები გახდა, რატომ არ შეიძლება მწერალი გულგრილი იყოს იმ უტიფრული, სისხლიანი, ბინძური ბოროტმოქმედების მიმართ, რასაც ომი წარმოადგენს. მე მრავალი ომის მონაწილე ვარ და არ შემიძლია გულგრილი ვიყო აქ საქმის მიმართ, პირიქით, ძალიანაც ახლოს მიმაქვს

ხოლმე გულთან. ამდენი ხნის დაკვირვების შემდეგ ამ წიგნის ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეომარი ხალხი ყველაზე შესანიშნავი ხალხია, და რაც უფრო ახლოს მიხვალ ფრონტის ხაზთან, სულ უფრო და უფრო შესანიშნავ ხალხს შეხვდები. სამაგიეროდ ომის დამნთები და წამომწყები ხალხი ღორები არიან, იმათ მარტო ეკონომიური კონკურენცია ახსოვთ, და სულ იმას ფიქრობენ, რა მოგება ნახონ ომით. მე თუ მკითხავ, ყველანი, ვინც ომით ითბობს ხელს და ვინც ომის წამომწყებად ითვლება, ომის დაწყების პირველსავე დღეს უნდა შეჰყარონ ამა თუ იმ ქვეყნის პატიოსანმა მოქალაქეებმა, და სწორედ იმ ხალხმა, ვისაც ძალიან ომში ერეკებიან, დახვრიტონ".

რომანში აღწერილია იტალია-ავსტრიის ფრონტის ეპიზოდები, მთელი სიცხადით არის ნაჩვენები ომის საშინელება. ბრძოლები, სისხლის ღვრა (ავტორი ჩიკაგოს საყასბოს ადარებს ამ ომის სასაკლაოს), უკანდახევის შესანიშნავად აღწერილი სურათები, რის მსგავსს იშვიათად თუ შეხვდები ლიტერატურაში, დამარცხება, ჯერ იმედები, მერე კი ჯარისკაცების განწირული მსჯელობა ომზე, დაღუპული სიყვარული, დამსხვრეული ოცნებანი, ცინიკური სტატისტიკა დახოცილთა შესახებ რომანის დასაწყისშივე — „ზამთარი დადგა და გადაუღებელი წვიმები დაიწყო, წვიმებს კი ხოლერაც მოჰყვა, მაგრამ მალევე მოგუდეს და, საბოლოოდ, მთელს ჯარში მხოლოდ შვიდი ათასი კაცი იმსხვერპლა" (ასეთია ომისდროინდელი გაზეთების ქრონიკა)...

ლეიტენანტი ჰენრი, მოხალისე ამერიკელი, რომელიც იტალია-ავსტრიის ფრონტზე მოხვდება, საკუთარ თავზე გამოცდის ომის საშინელებათა თითქმის ყველა ეპიზოდს, დარწმუნდება ომის უაზრობაში და საბოლოოდ გამოეთხოვება იარაღს. მაგრამ გვიანღაა. ბოლო სურათში ჩვენ მას ვხედავთ საბოლოოდ განადგურებულს, ყველაფერზე ხელჩაქნეულს და იმედგაცრუებულს, მისი პროტესტიც ომის მიმართ ინდივიდუალისტურია. უკვე მოიხსენია „დაღუპული თაობის" ერთ-ერთი წარმომადგენლის სახე, რომელიც ჰემინგუეიმ უფრო ადრე აგვიწერა თავის პირველ რომანში.

Genération Perdue — დაღუპული (დაკარგული) თაობა. საინტერესოა თვით ამ ტერმინის ისტორია, რასაც მკითხველი „განუყრელ დღესასწაულში" წაიკითხავს. ეს სიტყვები, როგორც ლიტერატურული ტერმინი, პირველად გერტრუდ სტაინს უხმარია და

ჰემინგუეიც თავის პირველ რომანს ეპიგრაფად სწორედ გერტრუდა სტაინის ამ სიტყვებს უმძღვარებს — „თქვენ დაღუპული თაობა ხართ“.

საერთოდ საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო რწმენა, თითქოს ახალგაზრდა ჰემინგუეის გერტრუდა სტაინისა და მისი „ლიტერატურული სალონის“ დიდი გავლენა განეცადოს. თითქოს ჰემინგუეი „მოდერნიზმის“ ტყვეობაში მოექცა და დიდი ხარკი მიუზღო. იმხანად ფართოდ გავრცელებულ ლიტერატურულ მიმდინარეობას. ის კი არადა, ბევრის წარმოდგენაში ჰემინგუეი ბოლომდე ამ ტყვეობაში დარჩა. სინამდვილეში კი მოდერნისტების გავლენა არათუ ხანმოკლე, ალბათ მოჩვენებითიც კი იყო. ყოველ შემთხვევაში ის არ გასცილებია ახალგაზრდა მწერლისათვის დამახასიათებელ ლიტერატურულ ვარჯიშს, და ჩვენ ვხედავთ, რომ ჰემინგუეი იმავე წლებში პაროდიასაც კი წერს იმ მწერლის ნაწარმოებებზე, ვის „მოდერნისტულ“ გავლენასაც თითქოს თვითონვე განიცდიდა. ბევრი მკვლევარი თავიდანვე ეჭვით უყურებდა ამ შეხედულებას. ჯერ ცნობილმა მკლევარმა და მთარგმნელმა ივანე კაშკინმა გამოთქვა ეს აზრი და მერე უფრო გადაჭრით — პროფესორმა სამარინმა. კაშკინს თვითონ სტაინის სიტყვები მოჰყავს ჰემინგუეიზე: „ერთი შეხედვით თანამედროვესა ჰგავს, მაგრამ ისე კი მუზეუმის სუნი ასდისო“. მეტად საგულისხმო სიტყვებია და მოხდენილადაც თქმული. მართალია, სტაინი ამით ამცირებს ჰემინგუეის, მაგრამ ფაქტიურად ეს ხოტბას წარმოადგენს. გერტრუდა სტაინი, ეტყობა, მაშინვე დარწმუნდა, რომ ჰემინგუეი თავისი „სკოლის“ წევრად და მიმდევრად არ გამოადგებოდა და ამითვე უნდა აიხსნას ის ბზარიც, რაც თითქმის მაშინვე დააჩნდა მათ ურთიერთობას.

დავუბრუნდეთ ისევ გერტრუდა სტაინის სიტყვებს, მოვაცილოთ მათ დამამცირებელი ფორმა და პირდაპირ გავშიფროთ. ჰემინგუეი მართლაც მტკიცედ დგას დიდი, კლასიკური ლიტერატურის საფუძველზე, მთელი მისი შემოქმედება სწორედ ამ დიდი ლიტერატურის გაგრძელებასა და განვითარებას წარმოადგენს, ოღონდ იგი ახლებურ ფორმას ეძებს, საკუთარ სტილს იმუშავებს, და სწორედ ამას შეჰყავს შეცდომაში ბევრი მკვლევარი და მკითხველი. ჰემინგუეის მთელი შემოქმედება მაღალი ჰუმანიზმით არის გაჟღენთილი, ადამიანის ცხოვრებაში დამკვიდრებულ სიკე-

თის საწყისებს ეძებს და ბოროტის ძალებს ებრძვის. მართალია, ეს ბრძოლა არ არის გამძაფრებული, ხშირად, გულგატეხილი და ხელჩაქნეული ადამიანის ფსიქოლოგიას უფრო მოგვაგონებს (აქედანვე წარმოსდგება მისი გაორება, შინაგანი წინააღმდეგობა), მაგრამ ხაფუძველი კი მას უაღრესად ჰუმანისტური ჰქვს, და, ამდენად, ვიმეორებ, კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავი ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც „ახლებური და თავისებური“, ე. წ. ჰემინგუეისებური წერის მანერა უპირისპირდება კლასიკური მწერლობის ძირითად კანონებს. მისი პროზა არის უაღრესად რეალისტური, ნათელი და დახვეწილი. ინტერესს მოკლებული არ იქნება აქვე გავიხსენოთ ჰემინგუეის სიტყვები იმ მწერლებზე, რომლებიც განგებ ხლართავენ და აწვალებენ ენას, რათა თავიანთი ნაწარმოების გამოფიტულობა დაფაროს. „როცა მწერალი გასაგებად წერს, ოდნავი სიყალბეც რომ გამოაჩნდეს, ხელადვე შენიშნავს მკითხველი, ხოლო როცა ბურუსში გაახვევს, სათქმელის პირდაპირ თქმას თავს არიდებს (ეს არასდიდებით არ უნდა მივიღოთ ე. წ. სინტაქსური და გრამატიკული წესების განგებ დარღვევად, რასაც აზრის უფრო მოხდენილად გამოხატვისათვის მიმართავენ ხოლმე, როცა სხვანაირად არ ხერხდება), მაშინ მისი სიყალბის აღმოჩენა უფრო ძნელდება, და სხვა მწერლებსაც, რომელთაც თავიანთი სიგლახის დასაფარავად ასევე სჭირდებათ ბურუსი, საკუთარი თავის დაცვის ინსტინქტით, ცაში აჰყავთ ისინი. ნამდვილი მისტიციზმის ყალბსა და მოჩვენებით „იდუმალებში“ არ უნდა ავურიოთ, რის იქითაც, ფაქტიურად, არავითარი „იდუმალება“ არ იფარება, და რასაც მხოლოდ იმიტომ მიმართავს უნიჭო მწერალი, რომ თავისი უვიცობა და სიგლახე დაფაროს, რაკი ნათლად წერა არ შეუძლია, განგებ ღვარძნის ენას. მისტიციზმი მისტიკას გულისხმობს, რაიმე იდუმალებას, ამისთანა იდუმალებას ქვეყნად რა გამოლევს. მაგრამ უნიჭობაში არავითარი იდუმალება არ არსებობს“.

პირველი თავისებურება ჰემინგუეის სტილისა ეს არის გამომსახველ საშუალებათა უდიდესი სიძუნწით ხმარება, იგი ცდილობს მინიშნებით გააცნოს მკითხველს ესა თუ ის სიტუაცია, უშუალოდ დაანახოს მას გმირი, კი არ მოგვითხროს თავისი გმირის თავგადასავალი, არამედ გვაჩვენოს, და ყოველგვარ მსჯელობასა თუ ავტორისეულ რემარკებს თავი აარიდოს. იგი მკითხველის აქტიურ

ჩარევას გულისხმობს, რომელმაც თავის წარმოდგენაში უნდა აღადგინოს ის, რაც ავტორმა განგებ გამოტოვა — გმირისა თუ მოვლენის დახასიათება, მისი ბიოგრაფია თუ მომავალი. მე ვნახე მარლინების ქორწილის გრანდიოზული სანახაობა, ამბობს ჰემინგუეი, ზედმიწევნით გავეცანი მეთევზეთა ცხოვრების ყოველ დეტალს, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა, მაგრამ „ბერიკაცსა და ზღვაში“ ესენი სულ გამოვტოვე, რადგან ისედაც იგრძნობა ეს, როცა მოთხრობას კითხულობთ. როცა იცი და ისე გამოტოვებ, არაფერი იკარგება, მკითხველი მაინც გრძნობს იმ გამოტოვებულს და წარმოსახვაში თვითონვე აღადგენს. ხოლო როცა არცოდნის გამო გამოტოვებს რამეს მწერალი, როცა იმიტომ გამოტოვებს, რომ არ იცის, ესეც ხელადვე საგრძნობი გახდება და ყველაზე დიდი უბედურებაც ეს არისო. ჰემინგუეი აისბერგს ადარებს ლიტერატურას: მხოლოდ მერვედი ნაწილი ჩანს აისბერგისა წყალს ზემოთ, დანარჩენი წყალშია, დაფარულია: ლიტერატურაშიაც ასე უნდა — მერვედი ნაწილიღა უნდა დაიწეროს იმისა, რაც მწერალმა იცის და რაც ნაწარმოებში იგულისხმება. ჰემინგუეი ცდილობს არც ერთი ზედმეტი ფრაზა არ იხმაროს, მაგრამ, სამაგიეროდ, შეარჩიოს ისეთი სიტყვა, რაც ზედმიწევნითი სისწორითა და სიმარტლით გამოხატავს და შექმნის საჭირო განწყობილებას. ოცდაცხრამეტჯერ დავწერე „მშვიდობით, იარაღოს“ დასასრულიო, გაიხადა ჰემინგუეიმ, და როცა ჰკითხეს, მაინც რა გაგიძნელდაო, მან უპასუხა — შესაფერ სიტყვას ვეძებდიო. სიტყვა სამკაულად არ წარმოუდგენია ჰემინგუეის. „მხატვრული პროზა — ეს არქიტექტურაა და არა დეკორატორის ხელოვნება... როცა რომანის ავტორი თავის ხელოვნურად გამოძერწილ გმირებს პირში საკუთარ ტვინის ნაჭყლეტ აზრებსა ჩრის, — რაც გაცილებით უფრო სარფიანია, ვიდრე იმავე აზრების ცალკე ნარკვევებად დაბეჭდვა, — ეს უკვე ლიტერატურა აღარ არის“. როგორც ყველა დიდი შემოქმედი, ჰემინგუეი ბეწვის ხიდზე დადის, რადგან აქედან ერთი ნაბიჯიღაა სქემატურობამდე და სიმშრალემდე.

ჰემინგუეიმ მწერლობაში გამოსვლისთანავე იგრძნო, რომ საჭირო იყო ახლებურად წერა, გატკეპნილი გზით სიარული აღარ შეიძლებოდა. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი უპირისპირდებოდეს კლასიკურ ლიტერატურას, იმას, რაც ძველად შექმნილა. „ისეთი გიგანტები გამოავლინა წარსულში ლიტერატუ-

რამ, რომ ახლანდელ მწერალს უფრო შორს უბედება წასვლა, ძალიან შორს...“ ამბობს მწერალი. იგი ბევრსა სწავლობს კლასიკოსებისაგან. არაერთხელ ჩამოუთვლია, წერილებსა თუ მრავალრიცხოვან ინტერვიუებში, თავისი საყვარელი მწერლები. აქ ჩვენ ვხედავთ სულ სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის, სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და მიმართულების, სტილისა და მანერის შემოქმედთ, და არა მარტო მწერლებს, არამედ მხატვრებსაც, მუსიკოსებსაც. რადგან ამ დიდი ლაკონურობისა და ნათელი სისადავის მიღწევას ლიტერატურაშიაც კი, მხატვრის ფუნჯი და მუსიკოსის ბგერაც სჭირდება. როგორ? ამას არ ამბობს მწერალი, ეს თვითონვე უნდა იგრძნოს შემოქმედმა. მხატვრისა ისიც ახასიათებს ჰემინგუეის, რომ იგი ნატურიდან იღებს ყველაფერს — გმირს, სურათს, თუ რაიმე ეპიზოდს... განწყობილებასაც კი. ზის ახალგაზრდა მწერალი პარიზის ერთ-ერთ კაფეში, ბლოკნოტი მოუმარჯვებია, და წერს... თუ ხატავს... მალიმალ გახედავს მშვენიერ გოგონას, რომელიც ფანჯარასთან მიმჯდარა და მოუთმენლად გადაცქერის ქუჩას, სატრფოს ელოდება. გარეთ ცივა, ქარიანი და არეული დღეა... და ეს ყველაფერი — გოგონაც, ცივი და არეული დღეც და სიყვარულის ის შორეული განცდაც სახელდახელოდ დაწერილ მოთხრობაში აისახა. შემდეგ თვითონვე იგონებს ჰემინგუეი ამას: „რაკი ძალიან ცივი, ქარიანი და არეული დღე იყო, მოთხრობაშიაც ასე გამომივიდა... გავცქეროდი გოგონას, და თანდათანობით მღელვარებამ და მოუსვენრობამ მომიცვა. მომინდა ამავე მოთხრობაში ამეწერა იგი... მოთხრობა თავისთავად მიდიოდა, და ვე ძლივს მივდევდი“. თავის საყვარელ მწერალთა შორის იგი ასახელებს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შექსპირს, რომელსაც ყოველწლიურად მიუბრუნდება ხოლმე და კითხულობს... მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინიდან“ მთელი ამერიკული ლიტერატურა გამოვიდაო, წერს...

ბოლოდროინდელ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბერიკაცი და ზღვა“ — The Old Man And The Sea — რისთვისაც ავტორს ნობელის პრემია მიანიჭეს. კრიტიკამ სულ სხვადასხვაგვარი შეფასება მისცა ამ მოთხრობას. ზოგი მასში მარტოობის ტანჯვისა და ტრაგედიის სიმბოლოს ხედავს, ზოგს კი იგი გმირობისა და მამაცობის საწყისად მიაჩნია. ეს ალეგორიულ

ნაწარმოებია. მოთხრობის მთავარი გმირი, მოხუცი სანტიაგო, თითქოს მართლაც განიცდის მარცხს, მთელი ოთხმოცდახუთი დღის ტანჯვისა და წანწალის შემდეგ უშველებელ თევზს გადაეჯრება, რის ვაივაგლახით დაიჭერს, მაგრამ საბოლოოდ ზვიგენები წაართმევენ, თვითონ კვლავ ხელცარიელი ბრუნდება შინ, მშიერი და გაწამებული. ამის მიუხედავად ეს მოთხრობა მაინც ადამიანის უძლეველობასა და სულის გაუტეხელობას უმღერს. მისი ფინალი მაინც საოცრად ოპტიმისტურია და ამით განსხვავდება ავტორის სხვა ნაწარმოებებისაგან. საინტერესოა თვითონ ჰემინგუეის სიტყვები ამ მოთხრობის შეახებ. „ამჯერად მართლაც რომ გამჯღიმა ბედმა, მოვახერხე გადმომეცა ადამიანის განცდები ისე, როგორც ჯერ არავის არ გადმოუცია. ეს იმიტომ მოვახერხე, რომ კარგ ბერიკაცსა და კარგ ბიჭს შევხვდი — მწერლებმა კი ამ ბოლო ხანებში სულაც დაივიწყეს ქვეყნად კეთილისა და კარგი რამის არსებობა".

ბევრი ნაწარმოები ჰემინგუეისა ჯერაც არ გამოქვეყნებულა. ავტორისავე ანდერძის მიხედვით ცოლის სეიფში ინახება და დროს უცდის. წარმოუდგენელია, რომ ჰემინგუეის არაფერი დაეწეროს მეორე მსოფლიო ომზე, რომლის უშუალო მონაწილეც თვითონ იყო. ზოგ წიგნს უკვე დაუდგა გამოქვეყნების დრო. ეს არის „განუყრელი დღესასწაული" — A Moveable Feast — თავსებური და შესანიშნავი ავტობიოგრაფიული რომანი ჰემინგუეისა. ეს წიგნი ავტორის ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობის ახალ ფურცლებსა შლის და კიდევ ერთხელ აცოცხლებს ჩვენ წინაშე დიდ, რეალისტ მწერალსა და პატიოსან მოქალაქეს. როგორც ჩანს, წიგნის დამთავრება ავტორს ვერ მოუსწრია. იგი იმსხვერპლა საკუთარი ხელით მიყენებულმა ჭრილობამ, მამისეული თოფიდან გასროლილმა ტყვიამ.

ამ პატარა წერილს ცნობილი საბჭოთა მკვლევარის პროფესორ რ. სამარინის სიტყვებით დავამთავრებ. „ერნესტ ჰემინგუეის ტრაგიკული სიკვდილის ამბავი რომ გავიგეთ, ისეთი განცდა დაგვეუფლა ბევრს, თითქოს მხოლოდ შესანიშნავი მწერალი კი არ დაღუპულიყოს, არამედ ახლობელი ადამიანი, ვისი გამარჯვებები და მარცხი, წარმატებები თუ წარუმატებლობა ახლოს მიგვქონდა ხოლმე გულთან. ჰემინგუეისთან ერთად რაღაც დიდი და პატიოსანიც წავიდა იმ პირქუშ და უსამართლო სამყაროდან, რომელშიაც იგი ცხოვრობდა"...

# ცნობისმოყვარე მოგზაური



## თარგმანი — ეროვნული საქმე

ამ სათაურით დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. რაკი აქ წამოჭრილი საკითხები მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება, გადავწყვიტე წიგნშიაც შემეტანა. გაზეთის კორესპონდენტმა შემდეგი კითხვებით მომმართა:

1. როგორ აფასებთ თარგმნის მნიშვნელობას ეროვნული კულტურისათვის? 2. რა სასიკეთო ტენდენციებს ხედავთ დღევანდელ მთარგმნელობით ლიტერატურაში? 3. რა მაენე ტენდენციებს ამჩნევთ და როგორ შეიძლება მათი გამოსწორება? 4. მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლობად ჩვენი წინაპრების მთარგმნელობითი მემკვიდრეობის ხელახალი რედაქტირება? 5. რამდენად შეიძლება უცხო ტექსტის გაქართულება? და, საერთოდ, როგორ უყურებთ დღევანდელ მთარგმნელთა ენას? 6. რას თარგმნით ამჟამად ან უახლოეს მომავალში რის თარგმნას აპირებთ? რა პრობლემები წამოგეჭრათ თარგმნის პროცესში? 7. მიუხედავად მთარგმნელთა ინტენსიური მოღვაწეობისა, რა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები დაგერჩა უთარგმნელი?

თუ ნებას მომცემთ, ცოტათი გადავაადგილებ თქვენს შეკითხვებს და დავიწყებ მეხუთე კითხვიდან.

პასუხი იმაზე, თუ რამდენად შეიძლება უცხო ტექსტის გაქართულება, ძალიან მარტივი იქნება: თუ თქვენ ქართულად თარგმნით ამა თუ იმ თხზულებას და არა, ვთქვათ, რუსულად ან გერმანულად, უნდა გააქართულოთ კიდეც. თარგმნილ

თხზულება უკვე იმ ენის საკუთრებაცაა, რა ენაზეც თარგმნით, ამ შემთხვევაში ქართულისა, იგი ქართული ლიტერატურის საგანძურში შედის, ამდიდრებს ამ ლიტერატურას — თუკი, რა თქმა უნდა, თავად წარმოადგენს რაიმე სიმდიდრეს; მასზე ქართველი ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს, მთელი თაობები, იგი უკვე ქართულია, ჩვენია, და თუ არ გაქართულდა — ამ სიტყვის სწორი და არა უკუღმართი გაგებით — მაშინ არც გახდება ჩვენი ლიტერატურის მკვიდრი, არ გაითავისებს მკითხველი, ან არა-და, ყალბ წარმოდგენას შეუქმნის ორიგინალზე.

თვით ის ფაქტიც, რომ თქვენ ამ კითხვასა სვამთ, თავისთავად რაღაცაზე მიგვანიშნებს. ჩვენში მართლაც წააწყდები „თეორიებს“, რომელთა მიხედვითაც სათარგმნი ნაწარმოების გაქართულება არ შეიძლება, ეს თითქოს თავის მადლსა და კოლორიტს დაუკარგავს ორიგინალს. ასეთ „თეორიებს“ უმთავრესად ის ხალხი მისდევს, ვისაც თავად ვერ ემარჯვება ქართული. სულ სხვა საქმეა ორიგინალის მადლი და კოლორიტი, რაც უსათუოდ უნდა გადმოჰყვეს თარგმანს, მაგრამ ისე, რომ ქართული ენის ბუნება არ დაირღვეს. ყველა კარგ მწერალს თავისი სტილი და წერის მანერა აქვს. და, რაღა თქმა უნდა, მისი გადმოტანა სასურველია. არა თუ სასურველი — აუცილებელია. აბა, ქართულ ლიტერატურას გადახედეთ — განა ყველა ჩვენი მწერალი ერთნაირად წერს? ღმერთმა დაიფაროს, რომ ასე იყოს. სულ სხვა არის, ვთქვათ, ბარნოვის სტილი და სხვაა სტილი ჯავახიშვილისა; ამათგან საკმაოდ განსხვავდება ოთარ ჩხეიძის სტილი. სხვა არის სტილი, ვთქვათ, დავით კლდიაშვილისა და სხვა სტილი აქვს ლევან გოთუას ან რევაზ ინანიშვილს... მაგრამ ყველა ქართულად წერს. ყველა ქართულია. ასეა ყველა ერის მწერლობაში. ასე განსხვავდება ერთმანეთისაგან ბალზაკის, შერიმეს თუ სტენდალის სტილი, თუმცა ყველა ფრანგულად წერს... დიკენსს ისე ვერ თარგმნი, როგორც ოსკარ უაილდს, მაგრამ დიკენსიცა და უაილდიც თავისუფლად უნდა იკითხებოდეს ქართულად. დიკენსი დიდ, კეთილ მდინარესავით მოედინება, დინჯად მოაგორებს ტალღებს, თუმცა, როგორც ყველა დიდ მდინარეს, ჩუმი მორევიც ბევრგან აქვს და მრავალი შენაკადი ერთვის — ზოგი მთის ჩანჩქერიეთ სწრაფი და მხიარული, ზოგი ქვებზე ხეთქებით გაავებული... უაილდის პრო-

ზას რომ კითხულობ, თითქოს მთვარის ცივ სიკაშკაშეს გრძნობდე... ეს თავისებურებანი უსათუოდ უნდა გადმოვიდეს ქართულად. სულ სხვა საქმეა, ვინ როგორ მოახერხებს, ვინ როგორ მიუახლოვებს ორიგინალის განწყობილებას, რადგან ზუსტად ადექვატური თარგმანი ალბათ შეუძლებელია, მაგრამ მთავარი პირობა ყოველთვის დაცული უნდა იქნეს — ქართული უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოახერხებს მთარგმნელი ორიგინალის სტილისა და თავისებურებების გადმოცემას. ქართული ენა ზღაპრულად მდიდარია და არა მარტო ლექსიკით. იოანე ზოსიმე რომ წერს, ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არსო... აქ ეს ზღაპრული სიმდიდრეც იგულისხმება. მიუხედავად იმისა, გულისხმობდა თუ არა ამას თავად ავტორი. სახელდახელოდ ვერ მივაგენი და ამიტომ ზუსტ ციტირებას ვერ მოვახდენ, მაგრამ ნიკო მარი წერდა, რომ ქართულ ენაზე შეგიძლია გამოხატო ყოველგვარი აზრი და სახე.

ისევ ორიგინალის მადლსა და კოლორიტს დავუბრუნდეთ. იქნებ უფრო ზუსტი იყოს თუ ვიტყვით, სათარგმნი ორიგინალის მუსიკას დავუბრუნდეთ, რადგან ყოველ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს — (და არამხატვრულსაც კი) — თავისი მუსიკა აქვს. რაკი სიტყვა მუსიკაზე ჩამოვარდა: მუსიკოსების საქმე ხომ თითქოს გაადვილებულია — მათ საერთაშორისო ენა აქვთ. მაგრამ იქაც კი ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ იყენებს ამ „ენას“ (ამჟამად მხედველობაში არა მაქვს დიდი ოსტატი-შემსრულებლების თავისებური ინტერპრეტაცია) — მომღერალი იქნება, დირიჟორი თუ რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელი. დღევანდელი ტექნიკა საშუალებას გვაძლევს, ერთი და იგივე მუსიკალური ნაწარმოები თითქმის ერთდროულად მოვისმინოთ, ერთმანეთის მიყოლებით. და საოცარია: ზოგჯერ თითქოს სულ სხვადასხვა ნაწარმოებს ისმენდე, ისეთი მაღალი ოსტატობით არის შესრულებული ერთი და ისე უხეიროდ — მეორე. კარგად თუ არ დაუკვირდი, ვერც მიხვდები, ერთსა და იმავე ნაწარმოებს თუ ასრულებენ. მუსიკალური ენა საერთაშორისოა, ვამბობთ, და, ხედავთ, მაინც როგორი ოსტატობაა საჭირო, რომ მას მარჯვედ ფლობდე.

ცოტათი დავშორდი, არა, ჩვენს თემას? მე ის მინდოდა მეთქვა, რომ გაქართულება კი არ არის იმის მიზეზი, როცა ზოგიერთ

თარგმნილ ნაწარმოებში ორიგინალის განწყობილება და კოლორიტი ვერ გადმოდის, არამედ ის ძალიან უბრალო და მარტივი ფაქტი, რომ ამ თხზულების მთარგმნელი თავად შემოქმედი ვერ არის — არც ორიგინალის მადლი ესმის და არც საკუთარი ენის სათანადოდ გამოყენების უნარი აქვს. კარგი თარგმნილი თხზულება ისე უნდა იკითხებოდეს, თითქოს ქართულ ორიგინალურს კითხულობდე და ამავე დროს (ქვეცნობიერად) მაინც უნდა გრძნობდე, რომ ეს თარგმანია. თან უნდა გრძნობდე და თან — არა! შემოქმედებაში ბევრი პირობითობაა — თავისი კანონზომიერება აქვს — ხშირად ჩამოუყალიბებელი, იდუმალი.

ერთი სიტყვით, ქართულად გადმოღებული თხზულება რომ ბუნებრივი ქართულით იყოს თარგმნილი და „ქართულად ცღერდეს" — ეს უპირველესი და აუცილებელი პირობაა. მთარგმნელის ხელოვნება ამის შემდეგ იწყება, თარგმნის ხარისხი ამის შემდეგ უნდა შეფასდეს — იმის მიხედვით, თუ როგორ ახერხებს მთარგმნელი ორიგინალის განწყობილების გადმოღებას. ამ განწყობილებას ბევრი რამა ქმნის, და უპირველესად ყოვლისა კი მუსიკა ნაწარმოებისა...

ხშირად სათარგმნი ნაწარმოების პერსონაჟი დიალექტზე მეტყველებს ან ჟარგონზე. როგორ უნდა გადმოაქართულოს ეს მთარგმნელმა? ჩვენს რომელიმე დიალექტზე, ჩვენს ჟარგონზე? თუ სულაც ყურადღება არ მიაქციოს და ლიტერატურული ენით გადმოიღოს? ჩვეულებრივი ლიტერატურული ენით გადმოღება, რა თქმა უნდა, თავისებურებას დაუკარგავს ნაწარმოებს, კოლორიტი აღარ გადმოყვება, მუსიკა დაირღვევა. მაშ, როგორ უნდა მოიქცეს მთარგმნელი — ჩვენს რომელიმე დიალექტზე გადმოიღოს? ვთქვათ, იმერულად ან ქიზიყურად? ეს ხომ მით უფრო დაარღვევს ნაწარმოების მუსიკას და სასაცილოც კი გამოვა (ზოგჯერ ასეთ კურიოზებსაც ვხვდებით). აქ ყველაფერი მთარგმნელის ნიჭსა და სმენაზეა დამოკიდებული და მზამზარეული რეცეპტები არ არსებობს. მთარგმნელმა უნდა მოახერხოს ორიგინალის განწყობილების გადმოტანა. ქართული ენის ამოუწურავი შესაძლებლობა ამის საშუალებას მისცემს. თანაც სავალდებულო არ არის, პედანტური სიზუსტით მიჰყვეს ორიგინალს. მხატვრულ თარგმანში სიზუსტე შედარებითი ცნებაა. ერთი და იგივე ნაწარმოები რამდენიმე ადამიანმა თარგმნოს, რაღა თქმა უნდა, სულ სხვა-

დასხვანაირად, და ორიგინალის განწყობილება კი ყველგან სასურველი სიზუსტით იყოს გადმოცემული.

მე შემიძლია მაგალითები მოვიტანო ერთი და იგივე ფრაზის თარგმანებისა სხვადასხვა მთარგმნელთა მიერ.

თუნდაც ცნობილი სტრიქონები ჰამლეტიდან.

> O, that this too, too solid flesh would melt,
> Thaw and resolve itself into dew!
> Or that the Everlasting had not fixt
> His canon 'gainst self-slaughter!

მოროზოვი სიტყვა სიტყვით ასე თარგმნის ამ ადგილს:

> О, если бы это слишком, слишком плотное
> тело растаяло, растворилось, и распустилось
> в росу! Если бы вечносущий не установил
> закона против самоубийства!

ახლა გავეცნოთ მაჩაბლის, ლოზინსკისა და პასტერნაკის თარგმანებს:

> რად არ მეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი?
> რად არ გადნება და ცის ნამად რად არ იქცევა!
> ან შემოქმედი თავის მოკვლას ნეტა რად გვიშლის?
>
> (მაჩაბლის თარგმანი)

> О, если б этот плотный сгусток миса
> Растаял, сгинул, изошел росой!
> Иль если бы предвечный не уставил
> Запрет самоубийству!
>
> (ლოზინსკის თარგმანი)

> О, тяжкий груз из мяса и костей
> Когда б ты мог исчезнуть, испариться!
> О, если бы предвечный не занес
> В грехи самоубийства!
>
> (პასტერნაკის თარგმანი)

საგულისხმოა, რომ „პედანტური სიზუსტის“ თვალსაზრისით არც ერთი არ მისდევს ორიგინალს. ასეთი სიზუსტის მოყვარული კრიტიკოსი არცერთს არ მოიწონებდა. მაგრამ სამივე თარგმანი სასურველი სიზუსტით გამოხატავს ორიგინალის აზრს, პერსონაჟის განწყობილებას.

იქნებ ათმა მწერალმა თარგმნოს ერთი და იგივე ნაწარმოები. ბუნებრივია, რომ ათივე ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ათივე სასურველი სიზუსტით გადმოსცემდეს ორიგინალის განწყობილებას.

თარგმანში მათემატიკური სიზუსტის მიღწევა არ შეიძლება.

არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა ქართული სიტყვები, რომელთა გამოყენება თარგმნის დროს თითქმის არ შეიძლება, სწორედ იმ ზედმეტად გაქართულების საშიშროების გამო. ასეთი სიტყვებია, ვთქვათ, „გენაცვალე“, „შენი კვნესამე“, „შენი ჭირიმე“, „შენ შემოგევლე“ და სხვა. მაგრამ ყველაფერი მაინც ორიგინალზეა დამოკიდებული, და, იმაზეც, როგორ გამოიყენებს მთარგმნელი. კურიოზი იქნება ეს სიტყვები სტენდალის რომანების თარგმნისას გამოვიყენოთ, მაგრამ „გლეხიკაცის ისტორიაში“, ან „ტარტარენ ტარასკონელში“ იქნებ მოუხდეს კიდეც. რაღა თქმა უნდა, თუკი მარჯვედ მოარგებს მთარგმნელი.

გოლზუორთის რომ ვთარგმნიდი, ერთ ასეთ ადგილს მივადექი, უფრო სწორად, რომანის დასაწყისშივეა ეს ადგილი. ერთერთი ფორსაიტის სახლში ხშირად იკრიბებიან ამ დიდი ოჯახის ძველი წარმომადგენლები. აქ არიან წინა თაობის ღრმად მოხუცი მანდილოსნები, რომლებიც შინიდან ძალიან იშვიათად გამოდიან, და ამიტომ, იმათი ხათრით, სხვებიც აქ იყრიან თავს, აქ მოაქვთ და აქ გებულობენ ახალ ამბებს, ძველს იხსენებენ; ჰყვებიან, რა მოხდა ამ ცოტა ხანში, ვინ როგორ დაასაფლავეს, ვის როგორი ქორწილი გადაუხადეს, ვინ რა თქვა, ვის რა შეცდომა მოუვიდა, ვინ როგორ გამოიყურებოდა — ათასგვარ ჭორსა თუ მართალს. ისევე, როგორც ალბათ ყველა ქვეყანაში ხდება, და ჩვენთვისაც ხომ ძალიან დამახასიათებელია. მოხუცი ქალები ყველა თავისიანს ტკბილად გაიხსენებენ ხოლმე, ალერსით, მოფერებით — იქ მყოფებსაც და სხვებსაც, ვინც იმჟამად იქ არ არიან. რამდენს ახსენებენ ამ ახლობლებს, იმდენს ალერსის სიტყვას დაურთავენ.

შენი ძვირფასი მამა როგორ არის, — ეკითხებიან ერთ

ახალგაზრდა ნათესავს — ალბათ გარეთ ვერ გამოდის, საშინლად აცივდა. უსათუოდ უთხარი, არ დაგავიწყდეს, რომ ჰესთერმა დეკას ფოთლები დაიდო მტკივან ადგილზე და ხელად დაუმა; ყოველ სამ საათში იცვლის ხოლმე ცხელ საფენებს... იქნებ შავი ქლიავის მურაბაც ესიამოვნოს, პატარა ქილით გავუგზავნი, წელს ძალიან კარგი გამოგვივიდა.—მერე საუბარი გადავა ბურებთან ომზე... ძვირფას როჯერსს გაიხსენებენ, მის ახირებულ ხასიათს. — ასე გრძელდება ეს ტკბილი საუბარი (დაწვრილებით იმიტომ გამბობთ, რომ სიტუაციის განწყობილება და თვით მოხუცების ხასიათი გაგაცნოთ). ახლა ერთ-ერთი მოხუცი მამიდა ამ ახალგაზრდა კაცზე იტყვის, ვინც სტუმრად მოსულა და მათ ესაუბრება: — ძვირფასი სომსი სულ არ შეცვლილა: ძვირფასი მამიდა ენის დასაფლავებაზე რომ მახსოვს, ისეთივეა. — და ახლა უკვე იმ მამიდის დასაფლავებაზე გაგრძელდება საუბარი: ყველამ მოვიყაროთ მაშინ თავი — ძვირფასმა ჯოლიონმა, ძვირფასმა სუითინმა, ძვირფასმა როჯერმა... — და ასე გრძელდება ეს ტკბილი მოგონებები.

როგორც ხედავთ, განწყობილება ძალიან ნაცნობია, თითქოს ჩვენებური ძველი ოჯახების ამბავს აღწერდეს ავტორი. ისეთივე ტკბილი და ალერსიანი მოხუცები, ისეთივე მყუდრო და თბილი გარემო... ბოლო დრომდე ჩვენშიაც იყო ასეთი ოჯახები. და ჭირთულად გადმოტანა ამ განწყობილებისა თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, ოღონდ მკითხველი მუდამ უნდა გრძნობდეს, რომ ეს მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში ხდება. აქ ძნელი იყო ზემოთ ხაზგასმული სიტყვა „ძვირფასის“ გადმოტანა, რომელიც დაჟინებით მეორდება. ეს არის მათი საალერსო სიტყვა. ამით ეფერებიან ერთმანეთს. და ორიგინალში, რაღა თქმა უნდა, ბუნებრივად ჟღერს. სხვათა შორის, რუს მთარგმნელსაც ზუსტად ასე გადმოუტანია; ოღონდ ეს ინგლისური სიტყვა dear („ძვირფასი“) ზოგჯერ გადმოაქვს, როგორც „дорогой“, ზოგჯერ კი როგორც „милый“, მარტო ერთი სიტყვით რომ გადმოეტანა, ეტყობა, საუბრის ლაღი მდინარება დაირღვეოდა, მეტისმეტად იყვირებდა, ბუნებრიობა დაიკარგებოდა და იმიტომაც შეუნაცვლა მეორე სიტყვა. მაგრამ ამით, ნაწილობრივ, ხასიათი დაიკარგა: მოხუცებს სწორედ ეს ერთი სიტყვა აქვთ ამოჩემებული და, რაღა თქმა უნდა, სასურველია, თარგმანშიაც სწორედ ერთი სიტყვით გადმოვიდეს.

აი, ეს სიძნელე იყო — თუკი შეიძლება ამას სიძნელე ეწოდოს. „ძვირფასის“ ხშირი განმეორება არაბუნებრივს გახდიდა ქართულ ტექსტს. ის კი არა და, ერთხელაც რომ გამოიყენო, ბუნებრივად ვერ გადმოსცემ განწყობილებას.

ვერ ვიტყვი, რამდენად მარჯვედ მოვახერხე ამ ადგილის თარგმნა, მაგრამ გამახსენდა ასეთივე სიტუაცია, ძალიან ნაცნობი და ახლობელი, ზუსტად ასეთივე განწყობილებისა.

მამა როგორ აჩის (ვ ე ნ ა ც ვ ა ლ ე!) — ეს სიტყვა ცოცხალი საუბრის დროსაც თითქოს ჩართულია, ოდნავ განსხვავებული ტონით წარმოითქმება და თითქოს შორიდან ეალერსება, — ჩვენი სომსი (ვ ე ნ ა ც ვ ა ლ ე!) თითქოს სულაც არ შეცვლილა... ყველამ მოვიყვარეთ მაშინ თავი — ჯოლიონმა (ვ ე ნ ა ც ვ ა ლ ე!), სუითინმა (ვ ე ნ ა ც ვ ა ლ ე!)... და ა. შ.

სიტყვა, რომელიც სხვა ვითარებაში, თუნდაც ამავე ნაწარმოების სხვა პასაჟებში ზედმეტად გააქართულებდა და ორიგინალს კოლორიტს დაუკარგავდა თარგმანს, აქ მე ბუნებრივი და მარჯვე მეჩვენა.

გარკვეულ სიძნელესა ქმნის ჰემინგუეის რომანის („მშვიდობით, იარაღო“!) ფინალი. საქმეს ისიც ურთულებს მთარგმნელს, რომ ჰემინგუეი თავად წერს — ამ რომანის ფინალმა გამაწვალა, ოცდაცხრამეტჯერ დავწერე, ვიდრე სასურველ სიტყვას მივაგნებდიო. ალბათ გახსოვთ ეს რომანი. ახალგაზრდა კაცმა, როგორც იქნა, თავი დააღწია ათასგვარ ტანჯვას და განსაცდელს, ომის საშინელებებს, და ახლა თავის საყვარელ ადამიანთან ერთად სამშვიდობოსაა, ძლივს ეწია სანატრელ ბედნიერებას. და მთელი არსებით მიეცა მას. მაგრამ ბედნიერება ეფემერული გამოდგა. ერთბაშად საშინელი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა — ეღუპება საყვარელი ადამიანი, ერთადერთი იმედი და ნათელი ცხოვრებისა. და სასოწარკვეთილი კაცი ღმერთს შესთხოვს შველას.

სწორედ ამაზე მოგახსენებდით.

ერთ პატარა, ოთხიოდსტრიქონიან აბზაცში მუდარის ერთი და იგივე სიტყვა — please (ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში ეს სიტყვა ახსნილია, როგორც „пожалуйста“, ანუ ქართული „გეთაყვა“) ათჯერ მეორდება. ამ სიტყვით ემუდარება იგი ღმერთს, საყვარელი არსება გადაურჩინოს. და განწირულების შემაძრწუნებელ განწყობილებას ამ სიტყვის ასე თვალშისაცემად ხშირი განმეორება

ქმნის. ეს არის ალბათ ყველაზე დრამატული ადგილი ამ სევდიან რომანში. და რაკი ისიც ვიცით, რომ სწორედ ეს ადგილი ოცდაათჯერ დაუწერია ავტორს, ვიდრე საბოლოო ვარიანტს მიაგნებდა, ეს ფაქტი თავისთავად მოუწოდებს მთარგმნელს, მაქსიმალურად შეზღუდოს თავისუფლება და მკაცრი სიზუსტით სცადოს ორიგინალის გადმოტანა.

მაინც როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში მთარგმნელი? გვერდი აუაროს, შესცვალოს ის სიტყვა, რომლის ასეთი უჩვეულოდ ხშირი განმეორებითაც ავტორი უკიდურესი განწირულების განწყობილებასა ქმნის, თითქოს უხერხულია. ავტორს საგანგებოდ შეურჩევია ეს სიტყვა. მეორეს მხრივ, ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნა ალბათ ვერ შექმნის ორიგინალის განწყობილებას: დრამატულის ნაცვლად ვაითუ კომიკური სიტუაცია მივიღოთ.

სხვათა შორის, ამავე აბზაცში პერსონაჟი ორჯერ იმეორებს „ძვირფასო ღმერთო“ (dear God). ამ სიტყვის ზუსტი თარგმნაც ხომ კომიკურ სიტუაციას შექმნის, რადგან ჩვენ ღმერთს განსაცდელის დროს (და საერთოდ ყოველგვარ ვითარებაში) სულ სხვაგვარად მივმართავთ. თითქოს არავითარი სიძნელე არ არის: ორიგინალის ტექსტი სავსებით ნათელი და სადაა, სიტუაციაც ჩვენთვის სრულიად ნაცნობი და ბუნებრივი — როცა ადამიანი ღმერთს სასოებითა სთხოვს შველას — და მაინც ერთგვარი პრობლემა შეიქმნა. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მთარგმნელი, სიზუსტეს ასეთი აუცილებლობის მიუხედავად, აქვს კი უფლება დაარღვიოს ეს სიზუსტე? პედანტურად ზუსტი თარგმანი ხომ საწინააღმდეგო განწყობილებას შექმნის, უკიდურესად დაძაბულ დრამატულ სიტუაციას სრულიად გააქარწყლებს და იქნებ კომიკურიც კი გახადოს. ერთადერთი სწორი გზა ალბათ ის არის, ქართულისათვის შესაფერისი ბუნებით გადმოიღო, ოდნავ დააშორო დედანს, და სწორედ ეს მოჩვენებითი დაშორება დაგვაახლოებს მასთან.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ალბათ უფრო სწორია, ზემოთ ნახსენები ათჯერ განმეორებული ინგლისური სიტყვის მაგივრად თარგმანში ასეთივე სიხშირით დავწეროთ „ღმერთი“. „ღმერთო, გადამირჩინე; ღმერთო, უშველე; ღმერთო; ღმერთო; ღმერთო, ღმერთო, ნუ მომიკლავ, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო“, და ა. შ., რადგან ჩვენს ენაში ღვთისადმი მუდარა სწორედ ასე გამოიხატება. ხოლო „ძვირფასო ღმერთოს“ მაგივრად ალბათ სწორი იქნება „ღმერთო,

დიდებულო“ ითარგმნოს, რადგან ჩვენ ასე მივმართავთ ღმერთს. პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, იქნებ კომიზმის ელემენტებიც გაეროიოს.

ბოდიშს ვიხდი, რომ სიტყვა გამიგრძელდა. მე კონკრეტული მაგალითებით მინდოდა მეჩვენებინა, რომ მხატვრულ თარგმანში სიზუსტე პირობითია. ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნა ზოგჯერ უფრო გვაშორებს ორიგინალს. ეს მოჩვენებითი სიახლოვეა. და თუ ქართულად თარგმნილი უცხოური ქმნილება ბუნებრიკი ქართულით არა ჟღერს, იგი ვერანაირად ვერ გადმოსცემს ორიგინალის განწყობილებას.

ახლა პირველ კითხვას დავუბრუნდეთ.

თქვენ კითხვაშივე განსაზღვრეთ თარგმანის ფართო მნიშვნელობა ეროვნული კულტურისათვის, რაკი ერის კულტურის, და არა მხოლოდ მისი მწერლობის განვითარება დაუკავშირეთ მას. თარგმანის მნიშვნელობა მართლაც განუსაზღვრელად დიდია. „პირველ იყო სიტყვა“ — გვეუბნება უძველესი სიბრძნე და რა მნიშვნელობითაც არ უნდა ყოფილიყო ეს თქმული, სულ ერთია, სიტყვის ხელოვნება ანუ მწერლობა, მართლაც საფუძველია მთელი სულიერი კულტურისა. ამასთან, ადამიანები, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, დამოუკიდებლად ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობებისა, თითქოს იდუმალი ძაფებით არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. თვით ადამიანის ბუნებაა ასეთი. ალბათ ძნელი დასადგენი იქნება— პრომეთეოსის მითი უფრო ძველია თუ ჩვენი ამირანისა ან რომელი რომლის გავლენით არის შექმნილი! ფაქტი ისაა, რომ უხსოვარ დროს, იმ ძნელი კომუნიკაციების პირობებში შეიქმნა ორი თითქმის იდენტური მითი, მითი საოცრება. და თუნდაც დამოუკიდებლად შექმნილიყვნენ, მაინც უნდა ვიგულისხმოთ რაღაც იდუმალი, უხილავი ძაფები, რაც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებთ. და ადამიანი მიისწრაფვის ასეთი კავშირისაკენ, სწორედ ეს არის მტკიცე საფუძველი საკაცობრიო ცივილიზაციისა. ამიტომაცაა, რომ ყოველი დიდი ქმნილება, როდესაც არ უნდა შექმნილიყო იგი და სადაც არ უნდა შექმნილიყო, კაცობრიობის საერთო მონაპოვარია. ამ ქმნილებით, რაღა თქმა უნდა, ამაყობს ერი, სადაც ის შეიქმნა, მაგრამ ამაკე დროს ამაყობს მთელი კაცობრიობა. ჰომეროსის ქმნილებანი, მო-

ცარტი, შექსპირი საერთო საკაცობრიოა, და თუ გვსურს, კაცობრიობის განვითარების დონეზე ვიდგეთ, უსათუოდ უნდა ვეზიაროთ მათ. თარგმანი ყველაზე მარჯვე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე დემოკრატიული საშუალებაა ამისა. თარგმანი შენად, შენი ერის საკუთრებად ხდის იმას, რაც შენ, როგორც მთელი კაცობრიობის წევრს, ისედაც გეკუთვნის. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენს წინაპრებს და ჯერ კიდევ როდის ჩაეყარა საფუძველი ჩვენში მთარგმნელობით ხელოვნებას. ეს მაშინვე მოჰყვა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში (როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ქართლის დიდებული მანდილოსანი თარგმნილ წიგნებს კითხულობდა). ერთი დიდი სიკეთე ამისა ისიც იყო, რომ სწორედ მან შეუწყო ხელი, — ის კი არა-და, სწორედ მან განაპირობა ეროვნული მეობის შენარჩუნებაც. თავის დროზე რომ არ ყოფილიყო თარგმნილი ძველი და ახალი აღთქმა, კანონიკური ტექსტები, საფუძველი აღარ ექნებოდა ქართულ ეკლესიას. ეს კი, თავისთავად, საეჭვოს გახდიდა ეროვნული მეობის შენარჩუნებას

მაგრამ შორს წავედით. უფრო მოკლედაც შეიძლებოდა მეთქვა: თარგმნილი ლიტერატურა უსათუოდ საჭიროა არა მარტო უცხოეთის მწერლების გასაცნობად, არამედ ადამიანების კულტურის საერთო დონის ასამაღლებლადაც, რაც, თავისთავად, ეროვნული კულტურის დონეს განსაზღვრავს.

ეს ზოგადად.

ახლა ისიც ვნახოთ, კონკრეტულად როგორ ეხმარება თარგმანი საერთო ეროვნული კულტურის განვითარებას.

შექსპირის მიჩაბლისეულმა თარგმანებმა არა მარტო ქართული ლიტერატურა გაამდიდრეს, არამედ დიდად შეუწყვეს ხელი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასაც. ეს ერთი. მაჩაბლის თარგმანებმა განსაზღვრეს და მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ქართული თეატრის განვითარებასაც. თუ არა ის თარგმანები, ძნელი წარმოსადგენია, რა იქნებოდა ჩვენი თეატრი, იქნებოდნენ თუ არა მესხიშვილი, ყიფიანი, მესხი, საფაროვა, იმედაშვილი, რომლებიც სწორედ ძველ ქართულ თეატრს წარმოადგენენ; იქნებოდნენ თუ არა თუნდაც უფრო თანამედროვე დიდი ქართველი მსახიობები. ანუ ძნელი წარმოსადგენია, რა იქნებოდა, როგორი განვითარება მიეცემოდა ქართულ თეატრს

უამთარგმანებოდ. მაჩაბლის თარგმანებსვე უნდა ვუმადლოდეთ სასცენო მეტყველების კულტურის ამაღლებას. და კიდევ უფრო თუ განვავრცობთ ამ აზრს, იქნებ მაჩაბლის თარგმანების დამსახურება იყოს შექსპირის თემაზე შექმნილი მუსიკალური თუ ფერწერული ნაწარმოებებიც, რამდენადაც მათი შემქმნელები ბავშვობიდანვე ამ თარგმანებით იყვნენ შთაგონებულნი.

მე მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიტანე იმის თვალსაჩინო ნიმუშად, თუ როგორ უწყობს ხელს თარგმნილი ლიტერატურა საერთო ეროვნული კულტურის განვითარებას და, თუ ნებას მომცემთ, ამით დავკმაყოფილდები.

თქვენ მკითხავთ, რა სასიკეთო ტენდენციებია დღევანდელ მთარგმნელობით ლიტერატურაში.

არ ვიცი, როგორ გიპასუხოთ — „ტენდენციები“ ძალიან ხმამაღლა ხომ არ ჟღერს... და მაინც გამოვყოფდი ერთ მეტად სასურველ მიდრეკილებას: მე ვგულისხმობ ესეისტური და ფილოსოფიური თხზულებების ქართულად თარგმნას, რასაც სულ უფრო და უფრო მეტი ასპარეზი ეძლევა. ამის დიდ მნიშვნელობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ისედაც ძალიან გამიგრძელდა საუბარი. ეს, რა თქმა უნდა, ახალი არ არის: ჯერ კიდევ როდის თარგმნიდნენ ჩვენი წინაპრები ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თხზულებებს. მერე დიდი ხნით შეწყდა ეს საქმე. და მისასალმებელია, რომ კვლავ ააღორძინეს ჩვენმა საშუალო თაობისა და ახალგაზრდა ნიჭიერმა მთარგმნელებმა. მკითხველთა ისეთი დაინტერესება გამოიწვია ამ წიგნებმა, რომ ვფიქრობ, მისი დაბრკოლება უკვე აღარაფერს შეუძლია.

ახლა გადავხედოთ მესამე კითხვას — რასა ვხედავ მავნეს? ასეთი განსაზღვრა შეიძლება მკაცრი იყოს, მაგრამ დიდ დაუდევრობად კი მიმაჩნია, ქაღალდის ასეთი ნაკლებობისა და ჩვენი პოლიგრაფიული მეურნეობის არასასურველი მდგომარეობის დროს განურჩევლად ვთარგმნიდეთ და ვბეჭდავდეთ ყველაფერს, რაც ხელში მოგვხვდება. ისეთ წიგნებსაც კი, რაც ნეტა თავის ენაზეც

არ გამოცემულიყო. და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მცირე ნაწილი გვაქვს თარგმნილი დიდი მსოფლიო ლიტერატურიდან.

ამას გარდა, ყველა დიდი მწერალი უნდა მონაწილეობდეს თარგმნის საქმეში და არა მხოლოდ „პროფესიონალი" მთარგმნელები. ეს საერთო მთარგმნელობის დონეს აამაღლებს, ისედაც საინტერესოა, როგორ გაიგებს და გადმოიტანს თავის ენაზე მწერალი სხვა ენაზე შექმნილ ნაწარმოებს. ამის კარგი მაგალითები ჩვენ გვაქვს.

მეოთხე შეკითხვაზე, ნება მომეცით, ცოტა უფრო სხვაგვარად გიპასუხოთ: ჩვენი დაუდევრობაა და, თუ ძალიან მკაცრად არ გამომივა, — უმადურობაც, რომ ხშირად არა ვბეჭდავთ გრიგოლ ყიფშიძის, ივანე მაჭავარიანის, ნიკოლოზ ავალიშვილის, თედო სახოკიას თარგმანებს, ხოლო ზოგჯერ აუგადაც კი მოვიხსენიებთ ამ ღვაწლმოსილ ადამიანებს. მათს თარგმანებში თქვენ თვალსაჩინოდ გრძნობთ ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობას და სასიამოვნოდ გაკვირვებული რჩებით. აქ მარტო ლექსიკურ სიმდიდრეს არ ვგულისხმობ. ეს თარგმანები, ჩვენს საოცარ ხალხურ ზღაპრებთან ერთად, გამუდმებით უნდა აკითხო ახალგაზრდებს, რათა მშობლიური ენის გემოს გაეცნონ, მისი მუსიკა შეითვისონ. ეს უსათუოდ საჭიროა განსაკუთრებით ახლა, როცა მომრავლდა უგემოდ და უხეირო ქართულით დაწერილი წიგნები თუ ყოველი ხასიათის ინფორმაცია. მაგრამ ეგეც რომ არ იყოს, ამ შესანიშნავი მწერლების ზოგი თარგმანი, შეიძლება ითქვას, მხატვრული თარგმანის ყველა თანამედროვე მოთხოვნას აკმაყოფილებს.

როცა რაიმე დიდ თხზულებას ვთარგმნი და ძალიან გამიჭიანურდება, გულში ფიცსა ვდებ ხოლმე — მორჩა, ამის შემდეგ თარგმანს ხელს აღარ მოვკიდებ-მეთქი... ბოლოს და ბოლოს დავიბეჭდება ის თარგმანი. ჯერ მეშინია ხელის ხლება, მერე გადავფურცლავ, ალაგ-ალაგ გადავიკითხავ; ხან მომწონს, ხან არ მოჭწონს — ალბათ იმასაც მნიშვნელობა აქვს, რა განწყობილებაზე ხარ იმ დროს. როცა არ მომეწონება, გული მომდის საკუთარ თავზე და ისევ იმ ფიცს ვიმეორებ. მაგრამ გავა დრო, ფიცი გადამავიწყდება, — მუშაობის წვალებამაც მალე იცის გადავიწყება; დავიწყებ რომელიმე წიგნის კითხვას და ზოგჯერ გონებაში, ჩემდა-

უნებურად ცალკეული ფრაზების ქართული შესატყვისები გამოცდებიან. ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ამ წიგნის თარგმნა მომინდა, და, საერთოდ, თარგმნა მომენატრა. ხშირად მომხდარა ასე, ქაღალდებში ახლაც წავაწყდები ხოლმე — რისი თარგმნა აღარ დამიწყია: მარლოს „ფაუსტი“, სკოტის „თილისმა“, გოლზუორთის კიდევ ერთი რომანი „საგებიდან“ ლამის შუამდე მიმიყვანია... მოცლა არ არის, ბევრი დრო სჭირდება. და მეშინია, ვთქვა, ამას ვთარგმნი-მეთქი. ვაითუ ვერ დავასრულო. რამდენჯერ მომსვლია ასე. აგერ, რამდენი ხანია დავიწყე უაილდერის მშვენიერი მოთხრობის თარგმნა და ვერა და ვერ დავასრულე...

თქვენ სიძნელეებზე მეკითხებით. ყველა წიგნის თარგმნა თავისებურად ძნელია — თუკი ნამდვილად კარგი წიგნია. და მაინც, ყველაზე ძნელი ალბათ შექსპირია. აქ წარამარა წააწყდები სიძნელეებს — ხან ტექსტის გაგება ჭირს, ხან ქვეტექსტებისა და ორაზროვანი ფრაზების გადმოტანა, სიტყვის თამაშისთვისაც მარჯვე შესატყვისის მიგნება და ბოლოს, შექსპირის პოეზიის გადმოღება. ეს ძალიან მაღალი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, რთული პოეზიაა (მე აქ, რა თქმა უნდა, მარტო ვერსიფიკაციული თვალსაზრისით არ ვამბობ ამას). ამ პოეზიას ქმნის ყველაფერი, ზოგჯერ ვერც კი განსაზღვრავ — რა ქმნის. თუ ეს პოეზია დაიკარგა, აღარც შექსპირი გამოვა. აქ, სხვათა შორის, მარტო თარგმანი არ იგულისხმება. სცენურ ხორცშესხმასაც ვგულისხმობ.

ყველა ნაწარმოების თარგმნის დროს მთავარი მაინც განწყობილების დაჭერაა, ნაწარმოების მუსიკალური ქსოვილის აღქმა. მერე უკვე გაადვილებულია საქმე. მერე უკვე მოთმინებაა მთავარი. ამ გასაღების მიგნება შეიძლება მაშინვე მოახერხო, შეიძლება დიდხანს გაწვალდე და ხეირიანად მაინც არ გამოგივიდეს. რაკი სიძნელეზე ჩამოვარდა სიტყვა, ძალიან ძნელი სათარგმნია დიკენსი. იქნებ იმიტომ, რომ აქ ერთდროულად ორი განწყობილებაა, ორი მუსიკალური თემა გასდევს მის რომანებს (რაკიღა მუსიკა ასე გავიშინაურეთ): ერთია სევდაგარეული მაღალი ლირიზმი და რომანტიკა. და მეორე — იუმორით შერბილებული მკაცრი ირონია. ამ განწყობილებებს, რაღა თქმა უნდა, ენობრივი ქსოვილი ქმნის. ლაღ. ჰაეროვან თხრობას, რომელიც დიდი სიფრთხილით უნდა წარმართო, (როგორც ბეწვის ხიდზე გავლა), რათა უგემოვნო, პროვინციულმა სენტიმენტალობამ არ ჩაგითრიოს,

გაძუძგებით ეხაცვლება თვალწისაცემად გადაპრანჭული სტილი; ამათ, ერთგვარად აერთებს თუ აწონასწორებს დინჯი, შარაგზასავით დაულეველი მეტყველება ავტორისა, რომელიც ასევე გრძელ პერიოდებად უნდა გადმოიღო, რათა ნაწარმოების ქსოვილი არ დაირღვეს... ზოგან ნოველებიც აქვს დიკენსს ჩართული რომანებში და საინტერესო ის არის, რომ განწყობილება ამ ნოველებისა აგრეთვე სავსებით განსხვავებულია — ერთი რომ ღრმა სევდით არის დამძიმებული, მეორე ლაღი, ნამდვილი დიკენსისებური იუმორით გახარხარებს... ზოგს მოძველებულად მიაჩნია ჩვენს დროში დიკენსი. მე ყოველთვის სიამოვნებით წავიკითხავ და არცა მგონია ოდესმე მოძველდეს. პირიქით, ამ აფუსფუსებულ საუკუნეში, მე თუ მკითხავთ, ერთგვარ ნოსტალგიასაც იწვევს. ყოველ შემთხვევაში, ასე მოხდება მალე. ისევე როგორც მოენატრა მსმენელს, და კიდევ უფრო მეტი გატაცებით დაეწაფა, ერთი პირობა თითქმის დავიწყებული ვივალდი. ახლა კიდევ უფრო მეტის სიამოვნებით ვთარგმნიდი დიკენსს და იქნებ უფრო კარგიც გამომსვლოდა, მაგრამ ჩემთვის უკვე გვიანაა, ახალგაზრდა ადამიანის ენერგია სჭირდება... სიამოვნებით ვთარგმნიდი უოლტერ სკოტს. ეს შედარებით უფრო ადვილია. აქ არ არის ის პარალელური თემები, არც სტილური განსხვავებები. აქ შუა საუკუნეების რომანტიკა დომინირებს, ოღონდ არა პათეტიკური. შეცდომა მოუვა მთარგმნელს, თუ არქაიზმისკენ გადაბრა მოინდომა სტილისა... ისევ დიკენსს უნდა დავუბრუნდე. ქართულად დიდი ხანია თარგმნილია და რამდენჯერმე გამოიცა შედევრი მწერლისა — „დავით კოპერფილდი“. ჩემის აზრით, მთარგმნელს ძალიან კარგად აქვს გადმოტანილი ის პირველი განწყობილება, პირველი „თემა“. ხოლო მეორე ხმა, ის მეორე თემა თითქმის სულ არ იგრძნობა. და მაინც ეს თარგმანი ხშირად უნდა გამოიცეს, ყველა თაობის ბავშვმა უნდა წაიკითხოს; იგი ბავშვს შეაყვარებს ყოველგვარ ადამიანურ სიკეთეს, რითაც გასხივოსნებულია მთელი წიგნი და შეაძულებს ბოროტებას...

იქნებ ამით დავასრულო... თარგმნის დროს იმდენი სიძნელე წამოიჭრება ხოლმე, რომ ასე სახელდახელოდ ვერ უპასუხებ.

და ბოლო, მეშვიდე კითხვა: ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილი გვაქვს თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურისა. და ყველაფერს

ვერც მოვერევით, ძალები არ გვეყოფა. ყველაფრის თარგმნა არც საჭიროა. ჩამოთვლაც ძნელია, რა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები დაგვრჩა უთარგმნელი. ჯერ ძველი კლასიკიდან რამდენი რამ უნდა ითარგმნოს და ამასობაში დიდი თანამედროვე ლიტერატურა იქმნება, რომელიც სასურველია დროზე ითარგმნოს. მეცხრამეტე საუკუნეში იმ ძუნწი შესაძლებლობებით ახერხებდნენ თითქმის კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ უცხოეთის ლიტერატურას. ძველი ჟურნალ-გაზეთები რომ გადაათვალიეროთ, გაგიკვირდებათ, რამდენს თარგმნიდნენ.

მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის გამოცემა რომ დაიწყო „საბჭოთა საქართველომ“, მტრებს არ ვიტყვი, მაგრამ მოწინააღმდეგეები კი გამოუჩნდნენ. დაიწყეს მითქმა-მოთქმა, გაავრცელეს ხმა, თითქოს გამომცემლობას ორიგინალური მწერლების შევიწროების ხარჯზე გადაეწყვიტოს მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის დაარსება. აშკარად გამოდიოდნენ ხოლმე მწერალთა კრებებზე და მკაცრად მოითხოვდნენ, მიხედეთ, ერთი, რა ხდება, რას გვიპირებენო. სინამდვილეში გამომცემლობის ყოველწლიურად დაგეგმილი ორასამდე წიგნიდან მხოლოდ ოთხიოდე იყო გათვალისწინებული ამ სერიით. მერე კი დარწმუნდნენ, რომ ასე არ იყო. ეს მაგალითი თარგმნის საქმისადმი ჩვენი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მოვიტანე.

და, დასასრულ, რაკი ძალიან გამიგრძელდა საუბარი, მოკლედ გავიმეორებ: თარგმანი ეროვნული კულტურის განვითარების საფუძველიცაა. და თუ ასე შევხედავთ საქმეს, რაღა თქმა უნდა, მას დიდი ყურადღება სჭირდება და დიდი პერსპექტივებიც აქვს.

1987 წ.

## თარგმნის პრობლემები

ბევრი წიგნი და სტატია წამიკითხავს თარგმნის საკითხებზე. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტი თეორიული ხასიათის შრომა ეძღვნება თარგმნის პრობლემებს; ჩვენშიაც გამოდის ასეთი შრომები, უცხოეთშიაც, მრავალ საინტერესო დებულებას გვთავაზობენ თარგმნის თეორეტიკოსები, პრაქტიკულ დარიგება-

საც ბევრს ნახავთ იმ შრომებში, კონკრეტულ მაგალითებსაც შევხვდებით...

ვერ ვიტყვი, რამდენად გამოსდგომიათ ეს თეორიები მთარგმნელებს პრაქტიკულ საქმიანობაში. ამისი დადგენა ძნელი იქნება... ამის გარკვევას არც ვაპირებ. არც იმ შრომების გარჩევას ვაპირებ; ამიტომ არ მიხსენებია ისინი. მე მინდა გავიხსენო ერთი საინტერესო დებულება; იგი სწორედ თარგმანს ეხება და ეკუთვნის არა ამ საქმის თეორეტიკოსს, არამედ ადამიანს, რომელსაც თარგმნის თეორიები თავად ნაკლებად სწამდა. ბევრი წიგნი აქვს მას თარგმნილი და ეს დებულებაც საკუთარი გამოცდილებით ჩამოუყალიბებია. ეს ადამიანი გახლავთ ჩვენი შესანიშნავი მწერალი გერონტი ქიქოძე.

ეს დებულება მას საგანგებოდ, მგონი, არ დაუწერია და ამიტომ თავს ნებას ვაძლევ, ჩემი სიტყვებით გადმოგცეთ ის, რაც მისგან მომისმენია.

როცა უცხოელი მწერლის რომელიმე ფრაზას თარგმნით ქართულად, წარმოიდგინეთ, როგორ დაწერდა ამ ფრაზას ავტორი, იმ რომ ქართველი ყოფილიყო.

ჰეშმარიტად ნათელი აზროვნებისა და გონების პატრონს თუ შეუძლია უპასუხოს რთულ პრობლემას ასე უბრალოდ, ასე ნათლად და ლაკონიურად.

საერთო აზრი ამ დებულებისა — შემოვლით, არაპირდაპირ და არა ასე გამოკვეთილად — იქნებ ზოგ იმ დიდტანიან თეორიულ წიგნშიაც იპოვოთ, ზემოთ რომ ვახსენეთ. მაგრამ მთავარია, როგორ ჩამოაყალიბებს აზრს, როგორ გამოთქვამს სათქმელს. მისი პრაქტიკული გამოყენებაც ამაზეა დამოკიდებული.

ზემოთ მოტანილი დებულება კარგი გასაღებია, ძალიან მარჯვე იარაღია მთარგმნელისათვის. ოღონდ დებულების უბრალოება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს იარაღი ადვილად მოსახმარი იყოს და ყველას შეეძლოს მისი გამოყენება.

იარაღის გამოყენებას ნიჭი და ცოდნა უნდა.

ყველას, რაღა თქმა უნდა, არ შეუძლია წარმოიდგინოს: შექსპირი რომ ქართველი ყოფილიყო, როგორ ათქმევინებდა თავის გმირს ამ სიტყვებს — The time is out of joint; o, cursed spite, that ever I was born to set it right. ეს მხოლოდ მაჩაბელს შე-

ეძლო შექსპირის მაგივრად ეთქვა — ასე მარჯვედ, ასე ლაღად, ასე ნათლად და ლაკონიურად, ასეთი სიღრმით, ასე ემოციურად:

„დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“

ამას რომ კითხულობთ, თითქოს ჰამლეტის სუნთქვასაც გრძნობთ, მისი ხმა გესმით — განათლებული ადამიანის სასიამოვნო მეტყველება, ოდნავ გატეხილი ხმა, რომელსაც ირონიაც დაჰკრავს, ნაღველიც... არა მარტო კონკრეტული, პირადი მწუხარებით ან ტკივილით გამოწვეული ნაღველი, არამედ ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებული ადამიანის ძნელად შესამჩნევი სევდა — ფიქრების აღმძვრელი უფრო, ვიდრე თანაგრძნობის გამომწვევი.

„დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“.

ეს მაჩაბელია. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, შექსპირია. რალა თქმა უნდა, შექსპირიც ასე იტყოდა, ქართველი რომ ყოფილიყო.

ალბათ ძნელია თქმა, რამდენნაირად შეიძლება ამ აზრის ჩამოყალიბება. რუსულად რამდენიმე თარგმანი არსებობს ტრაგედიისა და ეს ფრაზა ყველგან განსხვავებულია. აქ ორ თარგმანს გავიხსენებ.

Век расшатался, и скверней всего, что я рожден восстановить его.

ეს ლოზინსკის თარგმანია.

ახლა პასტერნაკს მოვუსმინოთ:

Порвалась дней связующая нить, как мне обрывки их соединить.

ქართულადაც არსებობს ამ ფრაზის რამდენიმე თარგმანი, მაგრამ აქ გახსენება არც კი ღირს—შექსპირი, რა თქმა უნდა, მაჩაბლის თარგმანს აირჩევდა. მაჩაბელმა კარგად იცოდა ინგლისური, ჩინებულად იცოდა მშობლიური ენა, მთელი თავისი სიღრმითა და ნიუანსებით, იცოდა ძველი ქართულიც, ახალიც, მწიგნობრულიც, ხალხურიც... ძალიან კარგად იცოდა შექსპირი, იცოდა მთელი ის ეპოქა, აღორძინების ეპოქა, დიდი ძვრებისა და ფიქრების ეპოქა... იცოდა, იცოდა კი არა — გრძობდა, მთელი არსებით გრძნობდა გმირის სულისკვეთებას... ისიც იცოდა, ვისთვის თარგმნიდა (ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს!), ვის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო მისი თარგმანი, რა მისია შეესრულებინა, როგორ სჭირდებოდა ეს მის ხალხს, აღორძინების გზაზე შემდგარ დიდ ქართულ კულ-

ტურას, რომელსაც დიდი წარსული ჰქონდა, დიდ გზაზე მოდიოდა და მერე ამ გზიდან გადააგდეს.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად, მაჩაბელს მახვილი სმენა ჰქონდა, უტყუარი ალღო და ინტუიცია... და როცა შექსპირის მისეულ თარგმანებს კითხულობთ, გრძნობთ, რომ შექსპირი სწორედ ასე იტყოდა, ქართველი რომ ყოფილიყო.

როცა შუაღამის სიბნელეში აჩრდილის მომლოდინე ჯარისკაცებს ელვის სისწრაფით ჩაუქროლებს ჰამლეტის მამის აჩრდილი, ამ ჯარისკაცების შეძახილებს — 'Tis here! 'Tis here! მაჩაბელი ასე თარგმნის:

„აგერ!...

აგერ, აქ არის!“

და შექსპირიც სწორედ ასე დაწერდა, ქართველი რომ ყოფილიყო; რადგან სხვაგვარად ვერ გამოხატავდა ამ სიტუაციის უკიდურეს დაძაბულობასა და დინამიკას...

ამ რეპლიკების მიხედვით, თქვენ თითქოს ხედავთ კიდეც ჯარისკაცებს, რომლებიც ერთმანეთის მოშორებით დაუყენებიათ: მათ აჩრდილი უნდა შეიპყრონ და ერთს თუ გაუსხლტება, მეორე და მესამე ცოტა მოშორებით უნდა იდგნენ, რომ იმათ მაინც წაავლონ ხელი და შეიპყრონ. თითქოს კი არ კითხულობთ ამ რეპლიკებს, არამედ გესმით ცივ, ბნელ სივრცეში დარხეული სუსტი ვიბრაცია შიშითა და სიცივით აკანკალებული ჯარისკაცების გაუბედავი შეძახილებისა.

თითქოს პირველი სიტყვა უფრო ხმამაღლა ჩაგესმით, რადგან მისი წარმომთქმელი უფრო ახლოს დგას თქვენთან, ხოლო მეორე ფრაზა შორიდან დაიძრა, სცენის სიღრმიდან, და უფრო სუ-ტია, უფრო დაბალი.

„აგერ!..

აგერ, აქ არის!...“

ამ ფრაზის სხვა თარგმანებიც არსებობს ქართულად, მაგრამ შექსპირი სწორედ ასე დაწერდა, ქართველი რომ ყოფილიყო.

წერილის ეს მონაკვეთი დაწერილი მქონდა, როცა ვერონტი ჭიქოძის სტატიების პირველი ტომი გადმოგიღე და გადავშალე: აქ პატარა წერილია მოთავსებული ივანე მაჩაბელზე; აქამდეც წამეკითხა, მაგრამ აღარ მახსოვდა, ეხ თუ ეწერა აქ: „ესაა ნამდვილი შემოქმედებითი თარგმანი, — წერს გერონტი ჭიქოძე შექსპირის

მაჩაბლისეულ თარგმანებზე, — არსად მკითხველი არ ჯრძნობს, რომ თარგმანს კითხულობს და არა ორიგინალს; ის ფიქრობს, შექსპირი თავის ტრაგედიებს სწორედ ასე დასწერდა, თუ ის ქართველი ყოფილიყოო"...

ერთი სიტყვით, როცა უცხოელი ავტორის რომელიმე ფრაზას თარგმნით ქართულად, წარმოიდგინეთ, როგორ დაწერდა ამ ფრაზას ავტორი, ის რომ ქართველი ყოფილიყო.

არა მგონია, ამ სადად ჩამოყალიბებულ აზრზე უფრო კარგი სახელმძღვანელო და ამოსავალი პრინციპი არსებობდეს მთარგმნელისათვის.

კარგად თუ დავუკვირდებით, აქ ისიც ივულისხმება, რომ მთარგმნელს გაბედულება მართებს, მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ორიგინალის ავტორის სახელით მიდის მკითხველთან, ავტორს წარმოგვიდგენს და გაგვაცნობს, ავტორის აზრებს გვაზიარებს, და თუ სურს მისი ერთგული დარჩეს, მონური მორჩილებითა და გაუბედაობით კი არ უნდა მოიქცეს...

ზემოთ მოტანილ ფრაზაში — „დროთა კავშირი დაირღვა"... — მართლაც იგრძნობა მთარგმნელის გაბედულება. ასეთივე გაბედულება იგრძნობა იმ ორი ბრწყინვალე მთარგმნელის რუსულ ფრაზებშიაც, საილუსტრაციოდ რომ მოვიტანეთ. ზოგი ჩვენი კრიტიკოსი, — თუკი არ ეცოდინება, რომ ამ ფრაზების მთარგმნელები მაჩაბელი, პასტერნაკი და ლოზინსკი არიან, — უთუოდ დაიწუნებს თარგმნილ ფრაზებს, ალბათ მწარე სიტყვებსაც აკადრებს... გამოითქვა კიდეც ასეთი მკაცრი საყვედური (და, სხვათა შორის, ამ ფრაზის გამოც) მაჩაბლის მიმართ... რადგან ე. წ. სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ამ ფრაზისა უფრო სხვაგვარია; ე. ი. ის მოჩვენებითი სიზუსტე, რასაც საქმეში კარგად ჩაუხედავი კრიტიკოსები მოითხოვენ, არც ერთ ამ თარგმანში დაცული არ არის. და სწორედ ამით აღწევს მაჩაბელი (ჩვენ ამჟამად ქართული თარგმანი გვაინტერესებს) ორიგინალის განწყობილების გადმოცემას. ამიტომაც ითქვა, შექსპირი სწორედ ასე იტყოდა, ქართულად რომ დაეწერა თავისი პიესაო.

ეს, რაღა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს სხვაგვარად არ შეიძლებოდეს ამ ფრაზის თარგმნა ქართულად, ისე, რომ ორიგინალის განწყობილება კვლავ შენარჩუნებული იქნას და კვლავ შეგვეძლოს თქმა, შექსპირიც ასე იტყოდაო... ისევე, როგორც თუ-

თონ შექსპირსაც შეეძლო იგივე აზრი და განწყობილება სხვაგვარად გადმოეცა ინგლისურად, სხვა სიტყვებით... ენა რთული ფენომენია... ამდენად, თარგმანიც რთული ფენომენია და არ შეიძლება მას ძალიან მარტივად მივუდგეთ.

ისევ იმ დებულებას დავუბრუნდეთ.

ამ აზრს სხვა ქვეტექსტიც აქვს. კარგი თარგმანი იმ ნაწარმოებისა და მწერლის მეორედ მოვლენა-დაბადებას ნიშნავს, მის ზრდასა და განდიდებას. კარგად თარგმნილი ყოველი დიდი მწერალი შენი ეროვნული ლიტერატურის განუყრელი ნაწილი ხდება... ამას წერდა ბრანდესი შექსპირის შესახებ, როცა დიდი ინგლისელი ჰუმანისტის შლეგელისეულ გერმანულ თარგმანზე ლაპარაკობდა; და ამ აზრის სისწორე ჩვენ უკვე მაჩაბლის მიერ ქართულად აქცერებული შექსპირისავე მაგალითით შეგვიძლია დავამტკიცოთ.

შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები მართლაც კარგად შეერწყა ჩვენს ლიტერატურას და შემთხვევითი არ არის თუნდაც ის უბრალო, მაგრამ იქნებ უფრო თვალსაჩინო ფაქტი, რომ ცალკეული ფრაზები ამ ნაწარმოებებისა ჩვენი ხალხის ცნობიერებაში მკვიდრდება არა როგორც თარგმნილი აფორიზმები უცხოელი დიდი მოაზროვნისა, არამედ როგორც საკუთარი მახვილი, ფრთიანი გამოთქმები.

ქართველ ადამიანს იქნებ წაკითხული არცა ჰქონდეს შექსპირი, მაგრამ ეს ფრაზები კი გაგონილი ექნება. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: ისინი მარტო აფორიზმებივით კი არ არიან ჩამოყალიბებული ჩვენს ცნობიერებაში, არამედ ზოგჯერ თითქოს როგორც აუცილებელი მასალა ენობრივი ქსოვილის შესაკრავად.

აბა, ვცადოთ და წარმოვიდგინოთ, რა დანაკლისი იქნებოდა ქართული ლიტერატურისათვის, ქართული ხელოვნებისათვის, საერთოდ ქართული მხატვრული აზროვნებისა და კულტურისათვის, შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები რომ არ ყოფილიყო, სწორედ მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ქართული კულტურის აღორძინების პერიოდში!..

მაჩაბლის თარგმანები ცალკე მაქვს განხილული და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ამრიგად, კარგი თარგმნილი წიგნი ეროვნული ლიტერატურის შენაძენია, ორიგინალურ ლიტერატურას ამდიდრებს, მის შემდგომ განვითარებას უწყობს ხელს.

ეს დასაბამიდანვე კარგად ჰქონიათ შეგნებული ჩვენს მოღვაწეებს, რომლებიც თავიდანვე უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ თარგმნის საქმეს, ორიგინალური ლიტერატურის განვითარებასთან ერთად, მის განვითარებაზეც ზრუნავდნენ. ქართულ თარგმნით ხელოვნებას ძალიან დიდი ისტორია და შესანიშნავი ტრადიცია აქვს. საკმარია, მაგრამ ფაქტია: ჩვენამდე მოღწეულ პირველ ლიტერატურულ ძეგლში, 1500 წლის წინათ დაწერილ მოთხრობაში, უკვე ნახსენებია ქართულად თარგმნილი წიგნები. როგორც ცნობილია, მომდევნო საუკუნეებში ქართულმა მთარგმნელობითმა ლიტერატურამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია...

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, — უფრო რომ დავაკონკრეტოთ, იმ საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, — ქართული კულტურის საერთო აღორძინებასთან ერთად, კვლავ ფართო მასშტაბით გაიშალა გასაგები მიზეზების გამო საუკუნეების განმავლობაში მინელებული მთარგმნელობითი მუშაობა. გაგიკვირდებათ, იმდენი უცხოელი მწერალი ითარგმნა მაშინ ქართულად. ოღონდ, მაჩაბლისა და კიდევ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ეს თარგმანები მესამე ენის — რუსულის მეშვეობით სრულდებოდა არა იმიტომ, თითქოს ორიგინალიდან თარგმნის სიკეთე და უპირატესობა არა სცოდნოდეთ, არამედ იმიტომ, რომ ორიგინალიდან თარგმნა ვერ ხერხდებოდა და ამას მაშინვე გულისტკივილით აღნიშნავდნენ. აი, რას წერდა „თეატრი“ 1886 წელს.

„ქართული მწერლობა ვერ დაიკვეხს უცხო საკლასიკო მწერლობის თარგმანებს და თუ ორიოდე უცხოეთის თხზულებანი გვაქვს, ისინი ვერ აღწევენ თავიანთ დანიშნულებას, რადგან არა პირდაპირ ორიგინალებიდან არიან თარგმნილნი, არამედ თარგმანებიდან და ისიც რაზხირი თარგმანებიდან, მხოლოდ ალახმა იცის. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ყოველ კუთხეში გაიძახიან, უცხო, გამოჩენილი, საკლასიკო თხზულებანის თარგმანები არა გვაქვს, გვეჭირვებაო და სხვა. ეს ჩივილი საფუძვლიანია და საყურადღებოც. ბევრნი იმის მაგიერ, რომ თარგმანებს შესდგომოდნენ, რაღაც თავიანთ თხზულებებს „იგონებენ“ და ასე დროს დაკარგვასთან უნაყოფო შრომის სიყვარულით უგემო და უაზრო თხზულებებით ავსებენ ჩვენს მწერლობას. ამიტომ ჩვენ განზრახვა გვქონდა დრო გამოშვებით მაინც გაგვეცნო მკითხველისათვის საკლასიკო თხზულებანი, მაგრამ ღირსიანი და ჯეროვანი თარგმანების

უქონლობის გამო დღემდე ვერ მოვახერხეთ განზრახვისათვის ხორცი შეგვესხა. ხოლო დღეს საშუალება აღმოგვაჩნდა და კიდეც შევუდექით სურვილის განხორციელებას; თავად ივანე მაჩაბელს თურმე ამ ექვსი თუ შვიდის წლის წინათ გადაუთარგმნია პირდაპირ ინგლისურიდამ „ჰამლეტი“ შექსპირისა და ეს თარგმანი ჰატივცემულმა ავტორმა თავაზიანად დაგვითმო, რომელსაც ამ ნომერშივე ვბეჭდავთ. ჩვენ ვაპირებთ აგრეთვე „ჰამლეტის“ ცალკე წიგნებად გამოცემას“.

ამ ამონაწერიდან ისიც კარგად ჩანს, რა განუსაზღვრელად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ უცხოური ლიტერატურის თარგმნას.

მგონი, აღნუსხულიც კი არ უნდა იყოს, რა ითარგმნა და დაიბეჭდა მაშინ ქართულად, ამ თარგმანთა ანალიზსა და შესწავლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არადა, ასეთ განხილვას უსათუოდ იმსახურებენ ისეთი შესანიშნავი ლიტერატორები, როგორიც არიან გრიგოლ ყიფშიძე, ნიკო ავალიშვილი, თედო სახოკია... ცოტა უფრო მოგვიანო დროის შესანიშნავი მწერალი გერონტი ქიქოძე. ეს მიუტევებელი დაუდევრობაა და იმას ნიშნავს, რომ კარგად არა გვაქვს შეგნებული თარგმნილი ლიტერატურის როლი, მისი ადგილი საერთო ეროვნულ ლიტერატურასა და კულტურაში. ფართო მასშტაბით ვიკვლევთ იმ დროის ორიგინალურ ლიტერატურას, ჟურნალისტიკის ისტორიას, აზროვნების ისტორიას... სხვადასხვა თაობის მრავალი მეცნიერია ჩაბმული ამ საქმეში, ზედიზედ გამოდის მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, გამოკვლევები.. და ეს სავსებით შეესაბამება ჩვენი კულტურის, ჩვენი მეცნიერების განვითარების საერთო დონეს. თარგმნილი ლიტერატურა კი შეუსწავლელია; და ამას ვერავითარ გამართლებას ვერ მოვუძებნით, მხოლოდ უხერხული გაუგებრობა თუ შეიძლება ეწოდოს ასეთ მდგომარეობას, ეს არ შეესაბამება ჩვენი კულტურის დონეს.

ჩვენ დიდებული მთარგმნელები გვყავს, და ჯერ არავის უცდია ასე თუ ისე საფუძვლიანად შეესწავლა მათი შემოქმედება. როგორც უკვე ითქვა, ჯერ არავის შეუსწავლია ნიკო ავალიშვილის, გრიგოლ ყიფშიძის, ივანე მაჭავარიანის, თედო სახოკიას თარგმნის თავისებურებანი, მათი მთარგმნელობითი მეთოდი და ხერხი. შესწავლას ვინ დაეძებს, მათი გამოცემაც კი ვერ მოგვიხერხებია. ნურავინ იფიქრებს, ეს თარგმანები მოძველებული იყოს და ცოც-

ხალ საკითხავ წიგნებად გამოცემა არ შეიძლებოდეს. პირიქით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უცხოელი მწერლის ამა თუ იმ ნაწარმოების გაცნობასაც რომ არ მივხედოთ, ამ თარგმანებს განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა აქვთ თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ენის საარაკო სიმდიდრეს გვაზიარებენ — მის მდიდარ ლექსიკას, მის საოცარ მოქნილობას, ურთულესი და უღრმესი აზრის სხარტად და იშვიათი სინათლით გადმოცემის უნარს, მის განუსაზღვრელად მდიდარ იდიომატიკას, დიალოგის დინამიკურობას, თხრობის სიდარბაისლეს...

პატარა ნაწყვეტს მოვიტან გრიგოლ ყიფშიძის თარგმანიდან და, ვფიქრობ, მაშინვე დარწმუნდებით, რა დიდებული მთარგმნელი გვყოლია. თანაც არ იფიქროთ, ეს ნაწყვეტი საგანგებოდ შემერჩიოს.

„დესპანმა პასუხის თქმა ვეღარ მოასწრო, რომ სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში დიდის ფართი-ფურთით ერთი აზნაურიშვილი. ახლად შემოსულმა საშინლად მიაჯახუნა კარები, მიიხედ-მოიხედა გარშემო და შეჰყვირა:

— თავს გიკრავთ, ბატონებო!

იქნებოდა ესე ორმოცის წლისა, დაბალ-დაბალი იყო და გაჯავრებული სახე ჰქონდა. უშველებელი თვალები უცნაურად გადმოჰკარკლოდა. ცოცხალი კაცი იყო, ფიცხი, განრისხებას ჩვეული.

— თავს გიკრავთ, ბატონებო! — განმეორებით და გაჯავრებით შეჰყვირა უფრო ხმამაღლა, რაკი ყურადღება არავინ მიაქცია იმის სალამსა“.

ეს გახლავთ სენკევიჩის ერთ-ერთი რომანის თარგმანიდან და, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ნაწყვეტია, ვფიქრობ, კარგად გვაჩვენებს აზრის სინათლეს, სხარტულობას, დინამიზმს...

ზემოთ გერონტი ქიქოძის სიტყვები მოვიტანეთ, როცა იგი ივანე მაჩაბლის თარგმანებს აფასებდა. ახლაც შეგვიძლია ის სიტყვები გავიმეოროთ. ესეც ორიგინალური ნაწარმოებივით იკითხება, თარგმანს არა ჰგავს.

ახლა ივანე მაჭავარიანის ერთ-ერთი თარგმანის ნაწყვეტი გავიხსენოთ.

„ღვთის თვალი ტრიალებდა ჩვენს ოჯახში; სიმდიდრე და ბარაქა საკმარი გვქონდა, მზე ძმასავით გვეხმარებოდა და კარგა ხანია, ცუდი მოსავალი აღარ მახსოვს. ათი სული მეტი ვიყავით; ჯერ მე,

მოხუცებული ვარ, მაგრამ სამუშაოდ წინ მაინც მე მივუძღვოდი უმაწვილებს. ჩემი მომდევნო იყო პეტრე; უცოლშვილოდ დაბერდა საწყალი, ხელმწიფის სამსახურს შეალია თავისი სიყმაწვილე; მერე ჩვენი და ადათია. დაქვრივდა თუ არა, მაშინვე ჩვენსა დაბრუნდა. მუშა დედაკაცი იყო, ვაჟკაცს არ ჩამოუვარდებოდა; იმისი სიცილი სოფლის ბოლოს ისმოდა; შემდეგ წვრილფეხობა: ლიზა, ვერონიკა და მარიამი. ლიზა სიპრიან ბუისონსა ჰყავდა — ისიც კარგი მუშა კაცი იყო; ორი პატარა ბიჭი ჰყავდათ: ერთი ორი წლისა იყო, მეორე — ათი თვისა. ვერონიკა წარსულ კვირას დავნიშნეთ, გასპარ რაბუტოს ვაძლევდით. მესამე — მარიამი... თავადიშვილის ქალი გეგონებოდათ, რომ გენახათ: თეთრი, ნაზი, თითქოს ქალაქში დაბადებულა და იქ აღზრდილაო. სწორედ ათნი ვიყავით. პაპაზედ მეტი ვიყავ; შვილის-შვილის-შვილები მყავდა. სუფრაზე რომ დავსხდებოდით — მარჯვნივ ჩემი და აღათია მომიჯდებოდა, მარცხნივ ჩემი ძმა პეტრე, მერე სხვანი მისდევდნენ, ჯერ უფროსნი, მერე უმცროსნი. ირგვლივ ვუსხედით სუფრას, თავში თოვლივით გათეთრებული პაპა და ბოლოში ათი თვის ბაღანა, რომელიც პაპაზედ უკეთესად შეექცეოდა თავის შეჭამანდს. რა წყარუნი გაჰქონდათ კოვზებს! მედგარი მუშაობა ვიცოდით დიდით-პატარამდე და ჭამასაც მედგრად შევუდგებოდით. მერე რა მხიარული სუფრა გვქონდა ხოლმე! რა ოხუნჯობა და სიცილი! ნეტარებით მევსებოდა გული, როდესაც პატარები ხელს გამომიშვერდნენ და: — პაპა! პური მომიტეხე! დიდი, დიდიო! შემომძახებდნენ. სადღაა ეს ნეტარება! დღეს დაუსვენებლივ ვმუშაობდით. საღამოზედ პეტრე ბავშვებში ჩაერეოდა, აჰყვებოდა და თამაშობას დაიწყებდა, ან არა და თავის ჯარიანობას მოიგონებდა, თავის თავგადასაკალს და ომების ამბებს გვიამბობდა...“

და ერთი პატარა ნაწყვეტიც „ტარტარენ ტარასკონელიდან“. ესეც ივ. მაჭავარიანის თარგმანია.

„დაჰკრა ქალაქის საათმა სამი და ტარტარენმაც თვალები ჭყიტა. ძაან ძილი კი გამოაცხო, ღვთის წინაშე! მთელი დღე ეძინა, მთელი ღამე, მთელი დილა და კარგა ხანი სადილის უკანაც, მაგრამ ისიც გაიხსენეთ, რამდენი წვალება გამოიარა საბრალომ ამ მგზავრობის დროს! გაახილა თუ არა თვალები, მაშინვე ის მოაგონდა — ლომების ბუდეში ვარო! და — აქ დასამალავი რა არის! —

მოაგონდა თუ არა, ალჟირული ლომები აქვე არიანო, ორ ნაბიჯზედ. აი წინ მიდგანან და ახლა კი დროა წავიდე და ჩავუსაფრდეო, — თმები აეშალა, შეაჟრიალა გმირთა გმირი, ისე შეაჟრიალა, რომ მუშტის ტოლად მოიკუნტა და თავიან-ტანიანად საბან ქვეშ შეძვრა"...

როგორც ხედავთ, ამ ნაწყვეტებში კარგად ჩანს თხრობის სინათლე, ბუნებრიობა და სიდარბაისლე. ეს ნაწყვეტები ორიგინალისათვის არ შემიდარებია. ამჟამად მე მაინტერესებდა მხოლოდ ერთი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი: როგორა ქღერს ეს თარგანები ქართულად, როგორი ლაღი და ბუნებრივი ენით არის თარგმნილი, რა მარჯვედ არის გამოყენებული ჩვენი ენის სიმდიდრე.

ამ ნაწყვეტებში განწყობილებათა განსხვავებაც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკურად არცა ცდილობს ამას მთარგმნელი.

როცა იმ ქველი მთარგმნელების ენის სიმდიდრესა და ბუნებრიობაზე ვლაპარაკობთ, უნებურად ისევ გვახსენდება წერილის დასაწყისში მოტანილი სიტყვები გერონტი ქიქოძისა. კიდევ ერთი ქვეტექსტი აქვს ამ დებულებას: თარგმანის განხილვის და შეფასების დროს უპირველესი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორა ქღერს თარგმნილი ნაწარმოები ქართულად; შენარჩუნებულია თუ არა ენის ბუნებრიობა, იკითხება თუ არა თავისუფლად. როცა გერონტი ქიქოძე მაჩაბლის თარგმანებს აფასებს, სწორედ ენის ბუნებრიობას უსვამს ხაზს, ეს მიაჩნია უპირველეს ღირსებად: „არსად მკითხველი არა გრძნობს, რომ თარგმანს კითხულობს და არა ორიგინალს"... და იქვე სიტყვები იმის შესახებ, რომ შექსპირი სწორედ ასე დაწერდა, ქართველი რომ ყოფილიყო.

თუ ეს ღირსება არა აქვს თარგმანს, თუ მეტყველების ბუნებრიობა არაა შენარჩუნებული, იგი უკვე არც მხატვრული თარგმანია. სწორედ ამით უნდა დაიწყოს თარგმანის შეფასება, და სხვა კომპონენტებთან ერთად, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამრიგად, დიდი მთარგმნელობითი მემკვიდრეობის შესწავლას თვითმიზნური მნიშვნელობა კი არ ექნება, მარტო საინტერესო კი არ არის, არამედ საჭიროა, აუცილებელია თუნდაც მხატვრულ

ლიტერატურის ამ მეტად საჭირო დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ჯერ არავის უცდია, მაგალითად, ჩასწვდომოდა და გაენალიზებინა გერონტი ქიქოძის თარგმანების საოცარი თავისებურება; მათი განხილვა მხოლოდ იმ მეთოდით, როცა ცალკეულ თარგმნილ ფრაზებს წმინდა ენობრივი თვალსაზრისით განიხილავენ, სწორი არ იქნება. გერონტი ქიქოძის თარგმანები ბრწყინვალე ფურცელია ჩვენს ლიტერატურაში. მას საფუძვლიანი ანალიზი და განზოგადება სჭირდება. გერონტი ქიქოძე თარგმანის სრულყოფას და საოცარ მომხიბლაობას აღწევს არა იმდენად ცალკეული ფრაზების სიზუსტითა და ენობრივი დახვეწილობით, არამედ რაღაც სულ სხვა ჯადოთი; იგი თითქოს თავგამოდებით არცა ცდილობს ორიგინალის ცალკეული ფრაზები „ზუსტად“ გადმოიღოს და ამავე დროს კი ახერხებს ორიგინალის განწყობილების, ნაწარმოების სულისა და ავტორის აზრის სიღრმის იდეალური სიზუსტით გადმოცემას. რა არის ის ჯადო, რითაც ამას აღწევს მწერალი? იქნებ შინაგანი იდუმალი პაუზები, რითაც მთარგმნელი კიდევ უფრო მარჯვედ გადმოსცემს ორიგინალის შინაგან ძღელვარებასა და ექსპრესიას? ამას მიკვლევა და სათანადო ანალიზი სჭირდება.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ისეთი დიდი მასშტაბითა და გაქანებით დაწყებული მთარგმნელობითი მუშაობა მერე თანდათანობით მინელდა, ინერციითღა მოდიოდა, სულ უფრო და უფრო ნაკლები ითარგმნებოდა ქართულად და მხოლოდ ჩვენს დროში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა ამ დიდ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება.

რაც მთავარია, თანდათანობით მომზადდა ნიადაგი მთარგმნელობითი ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. ყურადღება მიექცა უცხო ენათა სათანადოდ შესწავლას. ცნობილი ლიტერატორისა და პედაგოგის ერეკლე ტატიშვილის თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით ჯერ თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, რომელიც თავდაპირველად სამი ევროპული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებს ამზადებდა, მერე ეს ფაკულტეტი თანდათანობით გაფართოვდა, და ამჟამად უკვე სხვა ევროპულ ენებსაც ასწავლიან; დაარსდა უცხო ენათა ინსტიტუტი, სადაც, უნივერსიტეტის პარალელურად, წარმატებით ამზადებენ მთარგ-

მნელობით კადრებს. პარალელურად, ჩვენი შესანიშნავი მეცნიერისა და მწერლის სიმონ ყაუხჩიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ასეთივე მუშაობა გაჩაღდა ანტიკური ენებისა და ლიტერატურის შესწავლისათვის და აქაც მომზადდა ნიადაგი გაშლილი მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის. სწორედ ამის შედეგია, რომ ქართველ მკითხველს უკვე აქვს ორიგინალურიდან თარგმნილი ისეთი დიდებული წიგნები, როგორიცაა ჰეროდოტე, ვერგილიუსი, პლუტარქე... ამის წყალობით გვაქვს „ოდისეას“ დიდებული პროზაული თარგმანი, ანტიკური პროზის, დრამატურგიისა და პოეზიის საუკეთესო ქმნილებანი...

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაარსების შემდეგ, თითქმის დაარსებისთანავე, ქართულად პირველად აჟღერდა უშუალოდ ინგლისურიდან თარგმნილი ბაირონი, შელი, კიტსი, ბერნსი, ინგლისური ხალხური ბალადები. ამ ფაკულტეტის პირველივე სტუდენტის გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი ინგლისური პოეზიის ანთოლოგია და ბაირონის ლექსების კრებულის ცალკე გამოიცა. ლიტერატურულ ჟურნალებში გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტ ალექსანდრე საჯაიას მიერ მშვენივრად თარგმნილი ლექსები შელისა, ლონგფელოსი, ედგარ პოსი.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა დიდი ლიტერატურის (და უკვე არა მარტო ევროპული ლიტერატურის) ორიგინალიდან თარგმნა. თუ მეცხრამეტე საუკუნის ზემოთ ნახსენებ პერიოდში მხოლოდ მაჩაბლისა და ცოტა უფრო მოგვიანებით თედო სახოკიას და გერონტი ქიქოძის თარგმანები ამ მხრივ გამონაკლისი იყო, და მთელი ის უცხოური ლიტერატურა თარგმნის თარგმანს წარმოადგენდა, ახლა უკვე უცხოელი მწერლების უდიდესი ნაწილი (ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა) ორიგინალიდან ითარგმნება. ეს პრობლემა თითქმის გადაწყვეტილია. მკითხველი შეეჩვია იმ სასურველ აზრს, რომ ახლა უკვე, როცა წიგნის მაღაზიაში თომას მანის, ზოლას, ბალზაკის, გოეთეს, შილერის, თეკერეის, კუპერის, ჟიულ ვერნის, კონან-დოილისა თუ მორიაკის ნაწარმოებები გამოჩნდება, ორიგინალიდან იქნება თარგმნილი.

ნიადაგის მომზადებაზე როცა ვლაპარაკობთ, მარტო უცხო ენების შესწავლას არა ვგულისხმობთ. ეს მხოლოდ ერთი მხარეა. მთარგმნელობითი საქმის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი

ჩვენი შესანიშნავი ენათმეცნიერების დიდმა ღვაწლმა... უიმლექსიკონებად, რაც ბოლო ორი თუ სამი ათეული წლის განმავლობაში გამოიცა, შეუძლებელი გახდებოდა მთარგმნელობით ლიტერატურის შემდგომი განვითარება... სწორედ ამ წლებში გამოიცა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, რუსულ-ქართული ლექსიკონი სამ წიგნად, ბოტანიკური ლექსიკონი, სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ორთოგრაფიული ლექსიკონი...

თავისთავად ცხადია, უამწიგნებოდ წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის ასეთი მასშტაბით განვითარება.

ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ბევრი წიგნი ითარგმნა ქართულად. ბევრი ავტორი შეემატა ჩვენს ლიტერატურას. სასურველი სისრულით არის თარგმნილი რუსული ლიტერატურა. მთავარი ნაწარმოებები პუშკინისა, ტოლსტოისა, დოსტოევსკისა, ტურგენევისა, გოგოლისა, ჩეხოვისა, გორკისა, რუსული საბჭოთა ლიტერატურის ბევრი კარგი ნიმუში ქართულად უკვე გვაქვს და წარმატებით გრძელდება მუშაობა დიდი რუსული ლიტერატურის მთლიანად და ღირსეულად თარგმნისათვის. სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოძმე რესპუბლიკათა, სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურათა თარგმნას.

მთარგმნელობითი საქმიანობის შემდგომ გაშლას დიდად უწყობს ხელს სოლიდური ალმანახი „საუნჯე", რომელიც „ხომლისა" და „ცისარტყელას" ბაზაზე შეიქმნა და ორ თვეში ერთხელ გამოდის. ალმანახის ასეთი სისტემატური გამოცემით თარგმნის საქმეს მეტი ორგანიზებულობა ეძლევა და შემთხვევითობაც (ანუ ამ დიდ და სერიოზულ საქმეში შემთხვევით მოსული ხალხიც) კლებულობს.

მგონი, შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რამდენიმე ხნის წინათ (თუნდაც 15—20 წლის წინათ) ამ დიდ საქმეში შემთხვევითი ხალხი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ახლა არის. არა მგონია, ახლაც შევხვდეთ ისეთ კურიოზებს, რასაც მაშინ ძალიან ხშირად ვხვდებოდით. ჩემს ქაღალდებში წავაწყდი ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ დაწერილ რეცენზიას, რომელიც რუსულიდან თარგმნილ ერთ საბავშვო წიგნს შეეხება. აღარც მახსოვდა ეს რეცენზია და ახლა რომ წავიკითხე, გაკვირვებული დავრჩი: ბევრი კარგი თარგმანის პარალელურად როგორ შეიძლებოდა დაბეჭდილიყო ასეთი წიგნი. წიგნსა და მის მთარგმელს ახლა ალარ დავასახელებ:

ძველი ამბავია და ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. გავიხსენე მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვენებინა, რა საშიშია შემოქმედებით სქმეში შემთხვევითი ხალხის ჩარევა, და როგორ თარგმანს ვითმენდით.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს წიგნი რუსულიდან არის თარგმნილი.

მოვიტან რამდენიმე ნიმუშს, თუ როგორ უთარგმნიათ საბავშვო წიგნი.

«Пролита на лестнице карболка... И вот мне девятнадцатый год. Я еду в поезде. Песни, шинели, винтовки. Станции все в извести — тиф».

ახლა ამ აბზაცის ქართული თარგმანიც ვნახოთ:

„დავუშვათ, კარბოლაი მჟავა დაექცათ კიბეზე და აი, მე თითქოს მეცხრამეტე წელში გადავდექი, მატარებლით მივდივარ; მაგონდება სიმღერები, ფარაჯები, შაშხანები და ყველასათვის ტიფით ცნობილი სადგურები“.

«Стоит и полынью бьет. А в полынье никого нет—чистота, вода синяя, черная и рябь по воде ходит».

ქართული თარგმანი:

„დგას და ყინულჭრილს ურტყამს. ყინულჭრილზე არავინ არა ჩანს. მოსუფთავებული იყო იქაურობა, წყალი ლურჯად და შავად გამოიყურებოდა და ზედ კაკაბი დაიარებოდა“.

«...А полянка-то маленькая, будто комнатка—шагов пять в ширину, десять в длину. Стеной вокруг смородина растет, в смородине рябина, под рябиной опять малина. А дальше настоящий лес обступил поляну. Еловый лес“.

ქართული თარგმანი:

„მინდორი ისეთი პატარა იყო, თითქოს ოთახიაო — ხუთი ნაბიჯი განი ჰქონდა და ათი — სიგრძე. კედლის გარშემო მოცხარი იზრდებოდა. მოცხარში ტყის ჭალამი მიმალულიყო, ცოტა ქვემოთ ჟოლო ჰყვაოდა. უფრო შორს ნამდვილი ნაძვის ტყე შემორტყმოდა მინდორს“.

«И трава кругом густая, разноцветная, от цветов разноцветная».

ქართული თარგმანი:

„გარშემო ყვავილებისაგან აფერადებული სხვადასხვა ფერი ხშირი ბალახი ბიბინებს“.

«А олениха, всегда ласковая, вдруг бросилась на меня и стукнулась лбом о решетку».

ქართული თარგმანი:

„ფურირემი, რომელიც ყოველთვის ალერსიანი იყო, უცებ ჩემს საცემად წამოიწია და ურქო შუბლი ღობეს მიარტყა“.

«Сел я на снег, разуваюсь. Так и есть — два патрона в голенище застряли».

ქართული თარგმანი:

„თოვლზე დავჯექი და ჩექმის გახდა დავიწყე. ასეც იყო — ორი ვაზნა წვივში ჩარჩენილიყო“.

«А ворона посмотрела на него, наклонила на бок голову, прищелкнула клювом и давай выговаривать на разные лады».

ქართული თარგმანი:

ჩხიკვმა შეხედა ჟენიას, თავი გვერდზე გადაიწია, ნისკარტი მიმართა და დაიწყო სხვადასხვანაირად შეხმატკბილებულად ჩხავილი“.

«Раза два он обогнал меня, сунулся под ноги, я смаху так и перекувыркнулся через него».

ქართული თარგმანი:

„ორჯერ წინ წამისწრო, ფეხებში მედებოდა, ერთხელ მოვიქნიე და ყირამალა გადავატრიალე“.

სხვა მაგალითებიცაა იმავე თარგმანიდან მოტანილი („Лето“, მაგალითად, „ზამთრად“ არის თარგმნილი და ამ ზამთარს მერე შემოდგომა მოსდევს), მაგრამ ვფიქრობ საკმარისია: ისედაც აშკარად ჩანს, რომ ასეთი უხერხულობა ბევრი იქნება წიგნში.

როგორც ვხედავთ, ეს მეტისმეტად დაბალი დონეა, სრული გაუგებრობაა. მაგრამ ამ და ასეთ თარგმანს ერთი „სიკეთე“ აქვს: აქ შეცდომები თავისთავად ყვირის, თავისთავად აფრთხილებს მკითხველს, რომ ეს რაღაც გაუგებრობის შედეგია, შემთხვევით დაიბეჭდა და გამოიცა. არანაკლები უბედურებაა, როცა აზრი თითქოს სწორად არის გაგებული, მაგრამ მთარგმნელი ვერ ახერხებს ორიგინალის განწყობილების, ნაწარმოების სულის გადმოცემას, ორიგინალის სტილის შესატყვისობის დაცვას...

მაგრამ ბევრი თარგმნილი ნაწარმოებისათვის ასეთი მოთხოვნების წაყენება დიდი ფუფუნებაა — ბევრი მთარგმნელი აზრის ბუნებრივად ჩამოყალიბებას ვერ ახერხებს, აზრის სინათლეს ვერ იცავს. თარგმანი ლაკმუსის ქაღალდივით არის — ხელად შეეტყო-

ბა ხოლმე მთარგმნელს, რა ენისა და სტილის პატრონიც არის, როგორა ფლობს იმ ენას, რა ენაზედაც წიგნის თარგმნა გადაუწყვეტია. ისე იქნება მოახერხოს აზრის ჩამოყალიბება და წინადადების გამართვა, თარგმანში კი იმავე ადამიანს უბრალო და უმარტივესი აზრის გადმოცემა გაუჭირდება.

იმავე რეცენზიაში სხვა მაგალითებიც არის მოტანილი — როცა აზრი თითქოს არაა დამახინჯებული, შინაარსობრივი „სიზუსტე" დაცულია, მაგრამ რაკი მთარგმნელი ჟანრობრივ თავისებურებას ვერ ითვალისწინებს და ვერც ენის ბუნებრიობას იცავს, ფაქტიურად რაიმე სიზუსტეზე ლაპარაკი შეუძლებელია.

მოტანილია მაგალითი ერთი რუსული პიესის თარგმანიდან, სადაც აზრი არსად არ არის დამახინჯებული, შინაარსობრივად თითქოს ზუსტად მიჰყვება ორიგინალს, მაგრამ გათვალისწინებული არ არის ჟანრობრივი თავისებურება, სცენური მეტყველება.

„I პერსონაჟი. ჰმ!.. ამ ქალისათვის ყველა დიდულვაშიანი მამაკაცი — უკვე ზრდილობიანია. ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს, აი რა... სწორედ ამაშია ზრდილობა (მიდის მარცხენა კარისაკენ)...

II პერსონაჟი. ამ ქალს ისე უჭირავს თავი, თითქოს ის იყოს აქ დიასახლისი. ერთი უყურეთ, როგორ იქცევა!... გაუზრდელი, ტლანქი.

III პერსონაჟი (შემორბის). დეიდა ტანია, ის პორუჩიკი მთლად სულელი ყოფილა!.. ალბათ ცემს კიდეც ჯარისკაცებს... ყვირის, სახეს რაღაც საშინლად მანჭავს... ძია, საჭიროა პატიმრებთან ცოლები გაუშვან... იქ ხუთი კაცია ცოლიანი! მიდი, უთხარი იმ ჟანდარმს... თურმე ის ყოფილა აქ უფროსი.

IV პერსონაჟი. ხომ ხედავ...

III პერსონაჟი. ვხედავ, რომ არ მიდიხარ!.. წადი, წადი და უთხარი! ქალები ტირიან... წადი, რაღას უცდი!

IV პერსონაჟი (გადის). მე მგონია, ვერას გავხდები...

II პერსონაჟი. შენ ყოველთვის ყველას აწუხებ, ნადია!

III პერსონაჟი. ეს თქვენ აწუხებთ ყველას...

II პერსონაჟი. ჩვენ იფიქრე, ამას...

IV პერსონაჟი (აგზნებული). ჩვენ ყველანი — მეც, შენც, ძიაც... ეს ჩვენ ვაწუხებთ ყველას".

ნაცვალსახელების სიჭარბეს საერთოდ ხშირად ვხვდებით ქართულ თარგმანებში. განსაკუთრებით პიესაშია ეს მიუტევებელი. ამ თარგმანიდანვე შეიძლებოდა ნაცვალსახელთა სიჭარბის მაგალითები მოგვეტანა.

„II პერსონაჟი. თქვენ კი, ნეტა არ აბოლებდეთ აქ თქვენს წეკოს. მისგან ხეებზე ფოთლები ჭკნება...

III პერსონაჟი. ამას შიმშილის გამო რომ სჩადიოდნენ, ჩემთვის ეს გასაგები იქნებოდა.

I პერსონაჟი. მე მაქვს მიზეზი ასე ვილაპარაკო... მე უკიდურესად სულელურ მდგომარეობაში ვარ ჩაყენებული! ამას წინათ მე გამოვუცხადე მუშებს, რომ უფრო ადრე დავხურავ ქარხანას, ვიდრე დავითხოვ დიჩკოვს... მათ გაიგეს, რომ მე სწორედ ისე მოვიქცევი, როგორც ვსთქვი და დაწუნარდნენ. პარასკევს კი თქვენ უთხარით მუშა გრეკოვს, რომ დიჩკოვი უხეში კაცია და თქვენ მის დათხოვნას აპირებთ“.

ნაცვალსახელების სიჭარბის გარდა, აქ, რაღა თქმა უნდა, სხვა უხერხულობაცაა. მთარგმნელი ვერ ითვალისწინებს სათარგმნი მასალის ჟანრობრივ თავისებურებას: ვერ იცავს ფრაზის ლაკონიურობასა და მოქნილობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სცენიურ ნაწარმოებში.

ახლა რამდენიმე მაგალითს ერთი თანამედროვე რომანის თარგმანიდან მოვიტან. მთარგმნელი ცნობილი ლიტერატორია და კარგ მოქართულედ ითვლება, მაგრამ აქ თარგმანს შეუბოჭავს, უცხო ენის სტრუქტურის გავლენას უმძლავრია. ამ მაგალითებში პრინციპული ხასიათის უხერხულობასაც ვხვდებით, რასაც საყანგებოდ უნდა მიექცეს ყურადღება.

„მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა ჯმუხმა, მხარბეჭგაშლილმა სერჟანტმა, რომელიც ჭესაზღვრეს ესაუბრებოდა. სერჟანტის ქერა, ბოქსისებურ ყაიდაზე გაკრეჭილი თავი სულ წინ იწეოდა, ხოლო ხელები ნიდაყვებთან ისე მოღუნოდა, თითქოს სერჟანტი მწყერს ეპარებოდა, რომ ბალახში მოულოდნელად თავზე დასწოლოდა“.

იქვე ვკითხულობთ: „სერჟანტი იუმორით ყვებოდა და წარმოსახავდა“..

„მწუხარე ქალი ძველი ყაიდის შავი შალით, მუხლებზე ხელმოკეცილი, პირდაპირ ობიექტივში იყურებოდა“.

„...მელოტი თავით, გადმოფარჩხული დიდრონი ყურებით, ოდნავად წელში მოხრილი, იგი საფლავთან იდგა, როგორც მოხუცი მამა შვილთა შორის“.

„როდესაც ასეული ჯერ კიდევ ფორმირებაში იყო და საღამოობით ბევრს მღეროდა...“

როცა პრინციპული ხასიათის შეცდომებზე ვლაპარაკობდი, ვგულისხმობდი არა იმდენად იმ აშკარად არაქართულ გამოთქმებს, კაცი რომ „მელოტი თავით“ და „გადმოფარჩხული ყურებით“ იდგა საფლავთან, ან ასეული რომ „ჯერ კიდევ ფორმირებაში იყო“ და „ბევრსა მღეროდა“... არამედ იმ ერთ გამოთქმას, როცა თმა ბოქსისებურ ყაიდაზე ჰქონდა გაკრეჭილი და მწუხარე ქალს ძველი ყაიდის შალი მოასხეს. „ყაიდა“, ისევე როგორც ყველა სიტყვა, თავის ადგილზე ძალიან კარგია, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ აშკარად უადგილო უნდა იყოს. აქ ალბათ „ძველებური შალი“ აჯობებდა, აქ იგრძნობა მთარგმნელის მისწრაფება— რაც შეიძლება მდიდარი ლექსიკა, მეტი სიტყვა გამოიყენოს, თანაც ისეთი სიტყვა, რაც შედარებით ნაკლებ გავრცელებულია. ეს კი თავისთავად ბუნებრიობას უკარგავს მეტყველებას, ხელოვნურია და, ამდენად, უხერხულიც. საოცარი თვისება აქვს სიტყვას — თუ თავის ადგილზე არ არის ჩასმული კონტექსტში, უსათუოდ იყვირებს.

საბედნიეროდ, ასეთმა თარგმანებმა, თუ საგრძნობლად არა, ცოტათი მაინც იკლო. ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ უცნობ მთარგმნელს რომ წაეკითხავდი წიგნის სატიტულო გვერდზე, გეშინოდა: თითქმის ნამდვილად მოელოდი, რომ წიგნი ცუდი. არაბუნებრივი ქართულით იქნებოდა თარგმნილი. უსამართლობა იქნება, არ აღინიშნოს, რომ ახლა უკვე აღარ არის ასეთი საეჭვალო მდგომარეობა. სურათი შეიცვალა: მოვიდა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მთარგმნელი, რომელთაც ორიგინალის ენაც კარგად იციან, კარგი მოქართულეებიც არიან და ისიც კარგად ესმით, როგორ უნდა თარგმნონ. იმიტომაც იკლო იმ მეტისმეტად უხეირო თარგმანებმა, რომ კარგის მომრავლებამ მათი ასპარეზი შეავიწროვა. ბუნებრივად მოხდა ეს, თავისთავად. ის, რაც კრიტიკას უნდა გაეკეთებინა, ნაწილობრივ თავისით მოგვარდა.

მაგრამ ახალგაზრდების გამოყვანას სტიქიური და შეუთხზეველი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. ახალგაზრდებს ხელი უნდა შევუწყოთ და დავაწინაუროთ. ისეთ პირობებში, როცა მთარგმნელობი-

თი ასპარეზის დაპყრობას საქმოსნები ან ნაკლებად ნიჭიერი და ნაკლებად მომზადებული ადამიანები ცდილობენ და ახერხებენ, ნიჭიერი ახალგაზრდები განზე მიდგებიან ხოლმე და ძალიან ძნელდება მათი მიზიდვა. მახსოვს, როგორ გაძნელდა ამ საქმეში ჩაგება ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ლიტერატორი, რომელსაც ბევრი კეთილი საქმე შეუძლია გააკეთოს. როცა გიორგი ნიშნიანიძეს — ნიჭიერ პოეტსა და ყოველმხრივ მომზადებულ ადამიანს, ენებს ჩინებულ მცოდნეს, კარგი გემოვნების პატრონს — ჩოსერის ფუნდამენტური ნაწარმოების „კენტერბერიული მოთხრობების" თარგმნა ვთხოვეთ მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკისათვის და წინასწარ ხელშეკრულების გაფორმებაც შევთავაზეთ, დიდხანს ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა. მანამდე მას რამდენიმე პოეტის ლექსები ჰქონდა თარგმნილი, კანტი-კუნტად, და დიდ საქმესთან შეჯიდება, ეტყობა, ვერც წარმოედგინა. ვერა და ვერ დავითანხმეთ.. ყოყმანობდა არა იმდენად იმიტომ, რომ ძნელი საქმისათვის თავის გართმევისა ეშინოდა, არამედ უფრო იმის გამო, რომ არა სჯეროდა, ახალგაზრდა კაცს ამოდენა საქმეს თუ ვანდობდით. როგორც იქნა დავითანხმეთ. და ახალგაზრდა პოეტმა ეს დიდი ეროვნული საქმე შეასრულა. ახლა ჩვენ უკვე გვაქვს ჩოსერის კარგი თარგმანი. ქართულ ლიტერატურას ერთი დიდი მწერალი შეემატა.

როცა ნიჭიერ ახალგაზრდას ნდობას გამოუცხადებ და დიდ საქმეს შეაჯიდებ, ეს თავისთავად დიდი სიკეთეა და ხშირად ამ ახალგაზრდის მომავალსაც განსაზღვრავს ამ რამდენიმე წლის წინათ „ნაკადულმა" ერთ-ერთი ყველაზე ძნელად სათარგმნი მწერლის — თომას მანის — დიდი რომანის „ბუდენბროკების" თარგმნა მიანდო ნიჭიერ ახალგაზრდა ლიტერატორს დალი კოკაიას. ახალგაზრდა ლიტერატორმა გაამართლა ნდობა — თარგმანი მაღალმხატვრულია. „ბუდენბროკების" შემდეგ დალი კოკაიამ ასევე კარგად თარგმნა თომას მანის მეორე დიდი რომანი „ჯადოსნური მთა". კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდა.

—ველა იცნობს ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს დავით წერედიანს. ვიიონის მისეულმა თარგმანმა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნდა, საერთო აღტაცება გამოიწვია. ესეც ძნელად „დასაყოლიებელი" ავტორია, განზე დგომას არჩევს, თვითონ არ აქტიურობს... ასეთი ადამიანებიც არიან!.. ყოვ-

ლად შეუწყნარებელია, რომ დავით წერედიანი წლების განმავლობაში განზე იდგეს და დიდ საქმეს არ ეპიდებოდეს...

თავის დროზე ძალიან ძნელი გახდა ცნობილი მთარგმნელის გურამ გოგიაშვილის დაყოლიება, რათა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელისთვის“ მოეკიდნა ხელი. ესეც მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკისათვის გვინდოდა. ძლივს დავიყოლიეთ. იმ ნაწყვეტების მიხედვით, რომელიც უკვე გამოქვეყნდა, მკითხველი დარწმუნდა, რომ გურამ გოგიაშვილმა ჩინებულად თარგმნა მსოფლიო ლიტერატურაში ასევე ერთ-ერთი ძნელად სათარგმნი მწერალი. კიდევ ერთი დიდი მწერალი შეემატა ქართულ ლიტერატურას.

ერთი სიტყვით, საჭიროა ჩვენ თვითონ ვეძებოთ მთარგმნელები, შევარჩიოთ, გაბედულება გამოვიჩინოთ და ახალგაზრდა ლიტერატორი დიდ საქმეს შევაჭიდოთ, მალე გავუჩინოთ პატრონი მსოფლიო ლიტერატურის იმ მწვერვალებს, რომლებიც ნამდვილ პატრონს ელოდებიან და არა ტლანქ დამპყრობლებს.

მწერლის ენისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის, მისი ქვეყნის ისტორიისა თუ გეოგრაფიის შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, ეს აუცილებელი პირობაა. ეს პირობა, სხვათა შორის, სათარგმნი ნაწარმოების სიყვარულშიაც იგულისხმება. მაგალითისათვის ისევ ჩვენს დიდებულ მაჩაბელს მივმართოთ. მაჩაბელის დროს მთელს რუსეთის იმპერიაში ევროპულ ენათაგან ყველაზე გავრცელებული და მოდური ფრანგული და გერმანული ენები იყო. ინგლისურს იშვიათად თუ სწავლობდნენ, კანტიკუნტად. როგორც ცნობილია, მაჩაბელი პეტერბურგის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა და სწავლის გაგრძელებას გერმანიასა და საფრანგეთში აპირებდა. ბუნებრივია, მას ეს ენები უნდა შეესწავლა — ფრანგული და გერმანული. მაგრამ მაჩაბელი ამ ენებს კი არ სწავლობს, ინგლისურს სწავლობს და, უნდა ითქვას, დიდი მონდომებითაც. გერმანიაში სასწავლებლად ჩასულმა გერმანული არ იცოდა და წარმოუდგენელი ენერგია და მონდომება დასჭირდა, განსაკუთრებულმა ლინგვისტურმა ნიჭმა უშველა, რომ სწრაფად შეეთვისებინა ენა და სწავლაში ხელი არ შეშლოდა. ინგლისურს კი იმიტომ სწავლობდა პეტერბურგში სტუდენტობის დროს, რომ მომავალში შექსპირის თარგმანს აპირებდა: შექსპირს ეალერსებოდა, თვითონ ენის შესასწავლადაც ძის

მონოლოგებს იზეპირებდა... არადა, მას წინამორბედებისაგან „ჯარგი“ მაგალითი ჰქონდა — იმავე ფრანგულიდან და გერმანულიდან ეთარგმნა შექსპირი. მით უმეტეს, გერმანულად უკვე არსებობდა ინგლისელი მწერლის სწორუპოვარი თარგმანები. ერთი სიტყვით, ანდაზისა არ იყოს, ვისაც თევზის დაჭერა სურს, ფეხიც უნდა დაისველოს... მით უმეტეს თავად ენის სწავლის პროცესი ძალიან საინტერესო და საამოვნოა.

აქვე ბუნებრივად წამოიჭრება ე. წ. პწკარედის საკითხი. პწკარედით ბევრი კარგი ნაწარმოები უთარგმნიათ, ბევრი კეთილი საქმე გაკეთებულა.

პწკარედის დაგმობა ჯერჯერობით, ჩვენს პირობებში, ვფიქრობ, გამართლებული არ არის, კერძოდ, ქართულიდან რუსულად და სხვა ენებზე თარგმნის დროს. მაგრამ ამას რომ ვიტყვით, იქვე განმარტება უნდა მოვაყოლოთ: ოღონდ განსაკუთრებულ ვითარებაში და არა ყოველთვის; როცა თავად ღირსეული პოეტი მეორე დიდი პოეტის ქმნილებათა თარგმნას გადაწყვეტს, ენობრივმა ბარიერმა მას ხელი არ უნდა შეუშალოს, რადგან სიყვარული, რამაც პოეტს მეორე პოეტის ენაზე აყღერება აფიქრებინა, პოეტური აზროვნებისა და სულისკვეთების ნათესაობა ყოველგვარ დაბრკოლებას დასძლევს და სასურველ შედეგს მოგვცემს. ამის დადასტურებად თუნდაც პეტეფის გრიგოლ აბაშიძისეული შესანიშნავი თარგმანები გამოდგება. ეს ლექსები თითქოს ქართულად არის დაწერილი, ლაღად ყღერს და თან მიღწეულია ორიგინალის განწყობილების იდეალურად გადმოცემა.

ცხადია, სჯობს პასტერნაკმა და ზაბოლოცკიმ პწკარედით თარგმნონ ვაჟა და რუსთაველი, ვიდრე რომელიმე მეორეხარისხოვანმა პოეტმა — ორიგინალიდან. ოღონდ პწკარედიც არის და პწკარედიც. პწკარედს გარდა, მთარგმნელმა სული უნდა შეიცნოს ნაწარმოებისა, ეპოქისა, ავტორისა. იმ ხალხისა, რომელსაც ავტორი ეკუთვნის. ერთი სიტყვით, უფრო ნათლად და ამომწურავად რომ გამოვხატო სათქმელი — უნდა შეიყვაროს ნაწარმოებიცა და პწკარალიც. სიყვარულით თარგმნილ ნაწარმოებს მაშინვე შეეტყობა. სიყვარულია ყოველი სიკეთის წყარო, ყოველგვარი გამარჯვების საწინდარი — ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში. არც თარგმნაა გამონაკლისი.

და მეორე შენიშვნაც: როცა პწკარედზე ვლაპარაკობთ, ეს მხოლოდ პოეზიის თარგმნაზე შეიძლება გავრცელდეს, რადგან პოეტური სახეებით აზროვნება განსხვავებულია; პროზას პოეზიისაგან განსხვავებით უამრავი ისეთი ნიუანსი ახასიათებს, რომელთა გადმოცემა პწკარედით, ენის უცოდინრად, შეუძლებელია. ასე რომ, თუ ჩვენ შეგვიძლია გამონაკლისი მოვითმინოთ პოეზიის თარგმნის დროს, პროზის თარგმნისას უსათუოდ ორიგინალიდან თარგმნა უნდა მოვითხოვოთ.

უკვე ითქვა, რომ ამ ბოლო წლებში კარგი თარგმანები და კარგი მთარგმნელები ერთგვარად ავიწროებენ მოძალებულ ხალტურას, რაც წინა წლებში უფრო საგრძნობი იყო, და მათ ადგილს იჭერენ. თავისთავად, სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ ძალიან ნელა მიიდინარეობს ეს პროცესი. მაინც ბევრი ცუდი თარგმანი გამოდის. ახალგაზრდობა, ბუნებრივია, ეწაფება თარგმნილ ლიტერატურას; ცუდ თარგმანს კი ორმაგი ვნება მოაქვს: ჯერ ერთი, მკითხველს მცდარ წარმოდგენას უქმნის თვით ნაწარმოებსა და ავტორზე, საშუალებას არ გვაძლევს საფუძვლიანად გავეცნოთ ამა თუ იმ მწერალს; და, რაც კიდევ უფრო სავალალოა, ენას ბღალავს, ჩვენს ქართულ ენას. თარგმნილი წიგნი უმეტესად პოპულარულია და ფართო მკითხველი ჰყავს, ესე იგი, ცუდი ენით თარგმნილი წიგნი ფართოდ ვრცელდება და ხელს უწყობს ენის შებღალვას. აი, სად უნდა ვეძიოთ ერთი მთავარი მიზეზი ჩვენს მეტყველებაში მომრავლებული ე. წ. „კალკებისა“, ჩვენი ენის ბუნებისათვის შეუფერებელი გამოთქმებისა, არაბუნებრივი სინტაქსისა და რაც არანაკლებ სავალალოა, ენის გაღარიბებისაკენ მიდრეკილებისა, როცა დაახლოებით ერთნაირი ცნების გადმოსაცემად მხოლოდ ერთ სიტყვას ვიყენებთ და არა იმ მრავალფეროვანი ნიუანსების გამომხატველ სინონიმებს, რითაც ძალიან მდიდარია ჩვენი ენა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვებრძვით მოძალებულ ხალტურას, თითქმის თვითდინებაზეა საქმე მიშვებული. მხოლოდ იმის იმედით ყოფნა, კარგი მთარგმნელები თანდათან დაეუფლებიან ასპარეზს და ამით ხალტურა თავისთავად შეივიწროვდება, არ შეიძლება. აქაც საჭიროა კრიტიკა — საფუძვლიანი, საქმიანი, ობიექტური კრიტიკა. ასეთი კრიტიკა მთარგმნელობით საქმეში ჩვენ არა გვაქვს. მართალია, არცთუ იშვიათად გამოჩნდება ხოლმე ჟურნალ-გაზეთების

ფურცლებზე წერილები თუ რეცენზიები, რომელთაც თარგმნილი ნაწარმოების განხილვა-შეფასების პრეტენზია აქვთ, მაგრამ იშვიათი გამონაკლისის გარდა ეს წერილები არაკვალიფიციური და არაობიექტურია. კრიტიკა სულ სხვა რამ არის, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე თარგმანს შეეხება. თარგმანის ხელაღებით ძაგება ან ქება კრიტიკა არ არის, თუნდაც ის ძაგებაც და ქებაც დამსახურებული იყოს (რაც სინამდვილეში ძალიან იშვიათად ხდება: ძალიან ხშირად ძაგებაც და ქებაც სუბიექტურია, დაუმსახურებელი, ანგარებიანი და, ამდენად, უპატიოსნო).

საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ისეთი ხალხი გვევლინება თარგმნის თეორეტიკოსად და კრიტიკოსად, ვისაც პრაქტიკულ მთარგმნელობით საქმეში ხელი მოცარვია. თავისთავად ცხადია, ასეთი კრიტიკოსის დებულებანი და ანალიზი ძალიან საეჭვო იქნება, და არა მარტო იმიტომ, რომ ხელმოცარული ადამიანები ხშირად გაბოროტებულნი არიან, არამედ უფრო იმიტომ, რომ მათი გემოვნება და შეხედულებანია საეჭვო და საჩოთირო.

ერთი სიტყვით, მთავარია ანალიზი! სწორი, ყოვლისმომცველი ანალიზი. ეს არის კრიტიკა და არა ხელაღებით, დაუსაბუთებლად ძაგება ან ქება.

ვიცი, შემეკამათებიან. არა იმის გამო, თითქოს ანალიზი საჭირო არ იყოს. არა, დამისახელებენ რეცენზიებს! — თითქმის ყველას, რაც კი იბეჭდება — სადაც განხილულია ცალკეული ფრაზები, შედარებულია ორიგინალის წინადადებები თარგმნილთან... და თითქოს ყველაფერი დამაჯერებლად და ცხადად.

ასეთი შეფასება ყოველთვის ცალმხრივია. ცალკეული ფრაზების შედარება ყოველთვის როდი შეგვიქმნის სწორ წარმოდგენას თარგმნილი ნაწარმოების ავ-კარგზე. მით უმეტეს, როცა თარგმანს სუბიექტურად განწყობილი ადამიანი იხილავს — ან საქებად ან განსაქიქებლად, ეს სულერთია. ცალკეული ფრაზები ერთი მხარეა, ერთი საკითხია; როდის მომხდარა, რომ რომელიმე ორიგინალური ნაწარმოების ანალიზი ცალკეული უხეირო ან მარჯვე ფრაზების განხილვით დაეწყოთ?! მართალია, თარგმნილ ნაწარმოებს თავისებური განხილვა სჭირდება, მაგრამ აქაც უნდა გაირჩეს მთავარი. როცა თარგმანს განვიხილავთ, მთავარი ყურადღება სხვა რამეს უნდა მიექცეს; ცალკეული ფრაზებისა და სიტყვების შედარება პირველხარისხოვანი საკითხი არ არის. ეს ყველაზე ადვილი

ხერხია იმ სუბიექტურად განწყობილი რეცენზენტებისათვის, რო-
მელთაც ამა თუ იმ თარგმნილი ნაწარმოების (და, ამდენად, მთარ-
გმნელის) ან განჭიქება, ან აღზევება გადაუწყვეტიათ. ძნელია, ჩა-
მოვთვალოთ ყველა ის საკითხი, რასაც თარგმანის განხილვის დროს
კრიტიკოსმა უნდა მიაქციოს ყურადღება. იმიტომაც არის ძნელი,
რომ ეს კომპონენტები სხვადასხვა თარგმნილი ნაწარმოების მი-
მართ სხვადასხვაგვარია, თვითონ სათარგმნი ნაწარმოებისა და
ავტორის მიხედვით. ამიტომაც აქ არც ვეცდები მათ ჩამოთვლას.
როცა ჩვენ, მაგალითად, მაჩაბლის თარგმანებს განვიხილავთ, იმას
კი არ უნდა დავუწყოთ მიკროსკოპით ძებნა, იქნებ სადმე უხეი-
რო გამოთქმას, თუ გნებავთ აზრობრივ შეცდომას, ან რაიმე ენობ-
რივ უხერხულობას წავაწყდეთო, და გაფაციცებით აღვნუსხოთ
ის შეცდომები. თუ საგანგებოდ მოვინდომებთ, ერთ პატარა წე-
რილში ისე შეგვიძლია გამოვაჩინოთ ეს შეცდომები, რომ მკითხ-
ველს მცდარი შეხედულება შევუქმნათ და საერთოდ მცდარად
წარმოვაჩინოთ მდგომარეობა. ეს უკადრისი საქმეა. მაჩაბლის
თარგმანებში მთავარია მთარგმნელის საოცარი ძალა ორიგინალის
აზრის სიღრმისა და სინათლის გადმოცემისა, დიალოგის დინამი-
კურობა და მოქნილობა, პროზაული ადგილების შექსპირისეული
სისადავე და ლაკონიურობა, მთარგმნელის აზროვნების საოცარი
სინათლე...

და ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი. მთავარი შეც-
დომა ზოგი რეცენზენტისა ის არის, რომ მათ სწორად ვერ განუ-
საზღვრავთ სიზუსტის კრიტერიუმი.

თარგმანი, რა თქმა უნდა, ზუსტი უნდა იყოს. სულ სხვა საქ-
მეა, ვის როგორ ესმის „სიზუსტე". ზოგი მოითხოვს პედანტურ სი-
ზუსტეს — ორიგინალის ენობრივი კონსტრუქციის გადმოტანასაც
კი! — ეს, რა თქმა უნდა, მოჩვენებითი სიზუსტე იქნება; სინამდვი-
ლეში ასეთი „სიზუსტე" უფრო ღალატობს ორიგინალს და მის
განწყობილებას ვერ გადმოსცემს. მხატვრული ნაწარმოების თარ-
გმნა შემოქმედებითი პროცესია და ყველაფერი იმაზეა დამოკიდე-
ბული, ვინ როგორ მოახერხებს, ვის რა ძალა შესწევს.

ზემოთ ჩვენ ორი დიდი რუსი მთარგმნელი გავიხსენეთ. მათ დიდი
ღვაწლი დასდეს რუსულ მთარგმნელობით ლიტერატურას. ბევრი
შესანიშნავი ნაწარმოები თარგმნეს და ამით გაამდიდრეს საერთოდ
რუსული ლიტერატურა. როგორც ვნახეთ, მათ ერთი და იგივე ნა-

წარმოებიც უთარგმნიათ. რაღა თქმა უნდა, ორივეს განსხვავებულად, და ორივე თარგმანი თავისებურად საინტერესოა. აქ საგანგებოდ გავიხსენე ეს ფაქტი. როცა ერთ თარგმანს ვიწონებთ, ეს სულაც არ გვიშლის ხელს იმავე ნაწარმოების სხვა მაღალმხატვრული თარგმანიც მოვიწონოთ. თარგმნა შემოქმედებითი პროცესია. ზუსტი მეცნიერების კრიტერიუმით არ შეიძლება მასზე მსჯელობა და მისი შეფასება. მხატვრულ თარგმანში სიზუსტე შედარებითი ცნებაა („Точность перевода относительна", წერს ცნობილი რუსი მეცნიერი მ. მოროზოვი) და ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს, როცა ამა თუ იმ ნაწარმოების თარგმანზე ვლაპარაკობთ. არის იმავე „ჰამლეტში" ერთი რეპლიკა, თითქმის პიესის დასაწყისშივე. აჩრდილის მომლოდინე, შიშითა და საოცარი მოულოდნელობით გაოგნებული გუშაგები, ღამის შიშისმომგვრელ მყუდროებაში მოახლოებულ ფეხის ხმას გაიგონებენ და შესძახებენ: ჰორაციო ხარ? A piece of him, უპასუხებს ჰორაციო და ეს ფრაზა თითქმის ყველა მთარგმნელს თავისებურად გადააქვს:

„მგონი, ისა ვარ", თარგმნის მაჩაბელი და კვლავ შეგვიძლია გავიმეოროთ, ისე მარჯვე ადექვატია ნაპოვნი, რომ შეიძლება თქვა, შექსპირიც ასე დაწერდაო.

Я за него, თარგმნის მოროზოვი.

Да, внекотором роде, — ეს პასტერნაკისეული ფრაზაა, და როგორც ხედავთ, მაჩაბლის თარგმანს უახლოვდება.

Кусок его, — ეს ლოზინსკია.

როგორც ვხედავთ, ყველა მთარგმნელს განსხვავებულად უთარგმნია, და ყველა თავისებურად საინტერესოა.

დიახ, მხატვრულ თარგმანში სიზუსტე შედარებითი ცნებაა.

მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციო ერთ მნიშვნელოვან საკითხს: უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული ენათა თავისებურებასა და მონათესაობაზე. ცნობილია რუსული მთარგმნელობითი სკოლა. რომელიმე ევროპელ მწერალს რომ კითხულობ რუსულად, უმეტესად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ კარგი თარგმანია და სასურველი სიზუსტით გადმოსცემს ორიგინალს. ამას თავისი საფუძველი და წინაპირობები აქვს — უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავი ტრადიცია, რაც სულ უფრო და უფრო ვითარდება და ღრმავდება, კრიტიკისა და რეცენზიების სასურველი დონე (მარ-

ტო ჩუკოვსკის შესანიშნავი გამოკვლევები რად ღირს), ბევრი სხვა ფაქტორიც, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველხარისხოვანია რუსული ენის სიახლოვე ევროპულ ენებთან, როცა ლექსიკურ სიახლოვესთან ერთად მრავალი ენობრივი კონსტრუქცია, ცალკეული გამოთქმები, სინტაქსი ძალიან ახლოა რუსულთან და თარგმნას აადვილებს. ამდენად, არ შეიძლება ევროპული ენიდან ქართულად თარგმნილი ნაწარმოების სიზუსტის კრიტერიუმად რუსული თარგმანი ავიღოთ, რაც ხშირად ხდება ხოლმე. ქართულ თარგმანში ასეთივე „სიზუსტე", როგორც უკვე ითქვა, მოჩვენებითია; და რამდენადაც ასეთ „სიზუსტეს" დავიცავთ, ზოგჯერ იმდენადვე ვშორდებით ხოლმე ორიგინალის საერთო განწყობილებას. აქ სულ სხვა „სიზუსტე" უნდა ვეძიოთ, ისეთი სიზუსტე, სადაც ქართული ენის ბუნება იქნება გათვალისწინებული.

როცა უცხო მწერლის რომელიმე ფრაზას თარგმნით ქართულად, წარმოიდგინეთ, როგორ დაწერდა ამ ფრაზას ავტორი, ის რომ ქართველი ყოფილიყო...

ჩვენი შესანიშნავი მწერლის ეს ნათელი დებულება მარტო მთარგმნელს კი არ უნდა ახსოვდეს, არამედ ყველას, ვინაც კი მთარგმნელობითი საკითხებით არის დაინტერესებული. მათ შორის კრიტიკოსსაც.

როცა მხატვრული ნაწარმოების თარგმანზე ვლაპარაკობთ, ამას ყველაფერს გათვალისწინება სჭირდება.

1977 წ.

## შენიშვნები თარგმნის საკითხებზე

ბოლო დროს სულ უფრო და უფრო გახშირდა რუსულიდან და უცხო ენებიდან თარგმნილი წიგნები. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში რაოდენობრივად იმაზე მეტი წიგნი ითარგმნა ქართულად, ვიდრე წინათ მთელი ხუთი ათეული წლის განმავლობაში თარგმნილა. გამოჩნდა მთარგმნელთა ახალი გვარები. წინა თაობის მწერლებთან ერთად გამო-

ვიდნენ ახალბედა ლიტერატორები, რომელთაც განათლება ჩვენს უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში მიუღიათ. შეინიშნება, რომ გამომცემლობები გაბედულად აბამენ ამ ახალ მთარგმნელებს მუშაობაში. და ისინიც ხშირად ამართლებენ ნდობას.

ეს, თავისთავად სასიამოვნო მოვლენაა. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ჯერ კიდევ ბევრსა ვხვდებით უხეიროდ თარგმნილ წიგნს. და ეს მარტო იმით კი არ არის სავალალო, რომ ესა თუ ის წიგნი ფუჭდება და მკითხველს ზოგჯერ ყალბი წარმოდგენა ექმნება მწერალზე, არამედ უფრო იმიტომაც, რომ ქართული ენა ირყვნება. ხოლო როცა ასე უხეიროდ თარგმნილ წიგნებზე კაციშვილი არაფერს ამბობს, რეცენზიები არ იწერება, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ვერავითარ შეფასებას ვერ ნახავთ მათ შესახებ, ამით უპასუხისმგებლობა იზრდება და აღნიშნული წიგნების მთარგმნელებიც იოლი გზით განაგრძობენ საქმიანობას. ძველად უფრო ხშირად ეწყობოდა თარგმნილი წიგნების საჯარო განხილვა, რეცენზიებსა და კრიტიკულ წერილებსაც მეტსა ვხვდებოდით პრესაში. ახლა წიგნები სულ უფრო და უფრო მეტი ითარგმნება, მათ შეფასებას კი, როგორც უკვე ითქვა, თითქმის სულაც ვეღარ ვხვდებით. ამდენად, კარგიცა და ცუდიც ერთ ტაფაში ხვდება და საერთო საქმეს ზიანი მოსდის.

მარტო უხეიროდ თარგმნილი წიგნი როდი საჭიროებს შეფასებას. საჭიროა კარგად თარგმნილი წიგნებიც შეფასდეს. ამ პატარა წერილში, რომელიც მიზნად არ ისახავს საფუძვლიან ანალიზს, მე მინდა ორი წიგნი და მათი მთარგმნელები ვახსენო. ეს წიგნები თითქმის ერთდროულად გამოვიდა ბაზარზე, ორივე ინგლისურიდან არის თარგმნილი, ოღონდ სხვადასხვა თაობის მთარგმნელთა მიერ.

პირველი წიგნია უილიამ თეკერეის „ამაოების ბაზარი". თარგმნილი ჩვენში უკვე ცნობილი ლიტერატორის და მეცნიერი მუშაკის ალექსანდრე გამყრელიძის მიერ. იგი ცნობილი გახდა თავისი თარგმანებით, და ამაში არავითარი წვლილი არ მიუძღვის კრიტიკას, რადგან მის თარგმანებზე თითქმის არაფერი დაწერილა. ალექსანდრე გამყრელიძემ რამდენიმე წლის წინათ თარგმნა კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი", სტივენსონის „განძის კუნძული" და მისივე „შავი ისარი" (ეს წიგნები „ნაკადულმა" გამოსცა სათავგადასავლო რომანების სერიით). მანვე კარგა ხნის წინათ თარგმნა „ამა-

ოების ბაზარის“ პირველი წიგნი, და ახლა მეორე წიგნიც გამოჩნდა საქწიგნის მაღაზიებში.

თეკერეი, დიკენსთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე ძნელი სათარგმნელი მწერალია. განსაკუთრებით ეს ითქმის „ამაოების ბაზრობაზე“. თეკერეის იუმორი უფრო სარკასტულია, ის განსხვავდება მისივე თანამედროვის დიკენსის ლაღი იუმორისაგან, და, ამდენად, განსხვავებული სტილის თარგმანსაც მოითხოვს.

ვფიქრობ, მთარგმნელის წერის მანერა კარგად მოუხდა ამ შესანიშნავი რომანის სტილსა და განწყობილებას. ალექსანდრე გამყრელიძისათვის დამახასიათებელია მდიდარი ლექსიკა, თხრობის სიდინჯე და დარბაისლურობა. მისი ენის შესამჩნევი სიმძიმე, რაც იქნებ ერთგვარად საჩოთირო იყო სხვა თარგმანებში, ამ წიგნს უფრო მოუხდა. საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მთარგმნელი არ აქუცმაცებს გრძელ პერიოდებს, დიდ წინადადებებს, ცდილობს ასევე გადმოიტანოს ქართულად, და ამით, პრაქტიკულად უპასუხებს იმ საკმაოდ ფეხმოკიდებულ აზრს, თითქოს ჩვენი ენა გრძელ პერიოდებს ვერ იტანდეს: თარგმანში კარგად ჩანს იმ მოსაზრების უსაფუძვლობა; კარგად ჩანს, რომ ჩვენი ენა გრძელ წინადადებასაც კარგად „ეგუება“.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, პირველი წიგნისაგან განსხვავებით, რაც თითქმის ათი წლის წინათ ითარგმნა, მეორე წიგნში მთარგმნელის სტილის დამახასიათებელი სიმძიმე უფრო დახვეწილა და ენა უფრო მოქნილი გამხდარა. ეს ძალიან სასიამონო მოვლენაა. რადგან ალექსანდრე გამყრელიძე ნიჭიერი, კარგი მცოდნე, სერიოზული და შრომისმოყვარე ლიტერატორია. და ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის თარგმნის თვალსაზრისით.

ქართულად აქამდე თეკერეის არც ერთი ნაწარმოები არ გამოსულა, და ჩვენ მადლობა გვმართებს ალექსანდრე გამყრელიძისმიმართ, რომ მან კრიტიკული რეალიზმის ეს დიდი წარმომადგენელი მწერლის შემოქმედების შედევრით გაგვაცნო.

ჩვენი მკითხველი აქამდე არც შარლოტა ბრონტეს შემოქმედებას იცნობდა. ბრონტეც დიკენსისა და თეკერეის თანამედროვე მწერალია, და საყურადღებოა, რომ მასაც ინგლისელ რომანისტთა ბრწყინვალე სკოლას მიაკუთვნებენ. მისი შემოქმედების შედევრ-

მა — „ჯეინ ეარმა“ — მთელი მსოფლიო მოიარა, თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. ახლა ეს წიგნი ქართულადაც გამოვიდა.

შარლოტა ბრონტე თვითონ თეკერეის მიმდევრად აცხადებს თავს, სხვათა შორის, ეს წიგნიც თეკერეის მიუძღვნა. თეკერეის მსგავსადვე, შარლოტა ბრონტემ რომანებში თავისი თანამედროვე საზოგადოების ნამდვილი სახე აჩვენა — მისი ზნეობრივი დაკნინება, მისი მგლური ბუნება, ქვეყნად გამეფებული უსამართლობა და ძალმომრეობა. ყველაზე უფრო მკვეთრად და გამოკვეთილად ეს კრიტიკა „ჯეინ ეარში“ გამოვლინდა.

ქართულად ეს წიგნი ლიტერატურაში ჯერ სავსებით უცნობ მთარგმნელებს თამარ მალრაძესა და ზეინაბ ხახანაშვილს უთარგმნიათ. რა თქმა უნდა, ძნელი იქნებოდა გამოუცდელი ლიტერატორებისათვის პირველადვე ასეთ დიდ წიგნთან შებმა, მაგრამ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მათ კარგად გაურთმევიათ საქმისათვის თავი და მთელი რომანი კეთილსინდისიერად უთარგმნიათ. რაც მთავარია, ამ თარგმანში იგრძნობა აზრის სინათლე, დიალოგების ბუნებრივი მდინარება, მკითხველი იშვიათად თუ შეხვდება ენობრივ უხერხულობას. მთარგმნელები ცდილობენ იდიომებისა და სხარტული გამოთქმების ზომიერად გამოყენებას. ამ წერილს პრეტენზია არა ჰქონია თარგმანების დაწვრილებითი ანალიზი მოეცა, მაგრამ იმის სანიმუშოდ, თუ როგორ თავისუფლად აგებენ ახალგაზრდა მთარგმნელები წინადადებებს და როგორ გაბედულად იყენებენ იდიომურ გამოთქმებს, პირველივე ორ პატარა აბზაცს მოვიტან.

„სასეირნოდ გასვლა იმ დღეს შეუძლებელი იყო. მართალია, დილით ერთი საათი დავეხეტებოდით ფოთლებშემოძარცულ ბუჩქნარში, მაგრამ ნასადილევს (მისის რიდი ადრე სადილობდა, თუ სტუმრად არავინ ჰყავდა) ზამთრის ცივმა ქარმა დაჰბერა, ცაზე შავი ღრუბლები მოჯარა და ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ მისი სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. ასეთ ამინდში გასეირნებაზე არავის უფიქრია.“

„გულში ვზეიმობდი. არ მიყვარდა დიდხანს სეირნობა. ისიც ნაშუადღევს, ცივ ამინდში. ჰირის დღესაცით მძულდა, როცა შებინდებისას ხელფეხ-გაყინული შინ ვბრუნდებოდით; გულს სევდით შიესებდა ჩვენი აღმზრდელი ქალის ბესის დაუსრულებელი ბუზღუნი; იმის გახსენება კი, რომ ელიზა, ჯონი და ჯორჯიანა რა-

დები გარეგნულად ჩემზე ბევრად უკეთესები იყვნენ, უფრო მომატებდა ნაღველს და ჩემს საკუთარ თვალში მამცირებდა.

როგორც ვხედავთ, წინადადებები ძალდაუტანებლად და ბუნებრივად არის აგებული და თავისუფლად იკითხება. აქ მე განსაკუთრებით მომწონს იდიომური გამოთქმების გაბედული და მოხდენილი გამოყენება: „სუსხი ძვალ-რბილში ატანდა“... „ჰირის დღესავით მძულდა“...

გასაკვირი აქ, რა თქმა უნდა, არაფერია. სწორედ ასე უნდა ითარგმნებოდეს მხატვრული ნაწარმოები (და არა მარტო მხატვრული!), იდიომებისა და სპეციფიკური გამოთქმების თავის ადგილზე გამოყენებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება, ჩვენ ვიცნობთ ბევრ თარგმანს — მშრალს, გამოფიტულს, უცხო ენის სინტაქსურ სტრუქტურაზე აგებულს. ამიტომაც სასიამოვნოა, როცა ახალგაზრდა მთარგმნელები გაბედულად ცდილობენ, მარჯვედ ახერხებენ წინადადებების ლაღად აგებას და იდიომური გამოთქმების ზომიერად და თავის ადგილზე გამოყენებას. ამოდენა წიგნში, რაღა თქმა უნდა, აქა-იქ იქნებ უხერხულ გამოთქმებსაც შევხვდეთ. ზემოთ მოტანილ აბზაცებს შემდეგ, მაგალითად, ვხვდებით ასეთ გამოთქმას: „ელიზა, ჯონი და ჯორჯიანა ახლაც სასტუმრო ოთახში მყოფი დედის გარშემო შეკრებილიყვნენ“. გრამატიკულად აქ შეცდომა არაფერია. მაგრამ „ოთახში მყოფი დედა“ ამ კონტექსტში კარგად არა ჟღერს. ალბათ, ჯობდა ასე ეთარგმნათ: ელიზა, ჯონი და ჯორჯიანა ახლაც დედის გარშემო შეკრებილიყვნენ, სასტუმრო ოთახში... (თუმცა აქ არც სიტყვა „შეკრებილიყვნენ“ არის მაინცდამაინც მოსაწონი).

მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ ამოდენა წიგნში, აქა-იქ ასეთ უხერხულ გამოთქმას წააწყდე. ასეთ უხერხულ გამოთქმებს და ცალკეულ შეცდომასა თუ უზუსტობას ყველა თარგმანში შეხვდები, საგანგებოდ თუ დაუწყებ ძებნას. ცალკეულ უხერხულ გამოთქმასა და შეცდომებზე უნდა მივუთითოთ მთარგმნელს, მაგრამ როცა თარგმანს განვიხილავთ, მთავარია სულ სხვა რამ, სულ სხვა რამეზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. მთავარია, როგორ გადმოსცემს თარგმანი ორიგინალის განწყობილებას, როგორ არის გადმოცემული ავტორის სტილისტური თავისებურებანი, როგორ არის გამართული დიალოგი, როგორ იკითხება, როგორ ჟღერს ქართულად...

ერთი სიტყვით, ახალგაზრდა მთარგმნელების ნამუშევარი სა-სურველ შთაბეჭდილებას ახდენს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი მომავალში მეტი გაბედულებით განაგრძობენ მუშაობას.

ახლა, ასეთ პირობებში, როცა უკვე მომრავლდა პროფესიონალ მთარგმნელთა რიცხვი, როცა ამ საკმაოდ ძნელ საქმეს ახალგაზრდებმაც გაბედულად მოჰკიდეს ხელი, დროა უცხოეთის კლასიკური და თანამედროვე პროგრესული ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა უფრო ფართოდ დაიგეგმოს. თუ აქამდე ჩვენი მკითხველი უცხოელ მწერლებს თითო-ოროლა წიგნით იცნობდა (და ისიც მხოლოდ ზოგიერთ მწერალს), ეს უკვე საკმარისი აღარ არის. თითო რომანით არ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მწერლის მთელ შემოქმედებაზე. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს რუსული ლიტერატურის თარგმნის საქმეში. ჩვენ ახლა ქართულად უკვე გვაქვს თითქმის მთელი ტოლსტოი და გორკი, უდიდესი და უმთავრესი ნაწილი პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ჩეხოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, კოროლენკოს და სხვა რუსი კლასიკოსების შემოქმედებისა, გვაქვს რამდენიმე კარგად თარგმნილი რომანი დოსტოევსკისა და, რამდენადაც ვიცი, დოსტოევსკის თარგმანზე კვლავაც გრძელდება მუშაობა. ნაყოფიერი მუშაობაა აგრეთვე თანამედროვე რუსული ლიტერატურის თარგმნის საქმეშიაც.

დიდი რუსული ლიტერატურის სრულად თარგმნა ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. ამასთან, საოცარია, რომ ამ დიდ და სერიოზულ საქმეში სათანადოდ არ არის ჩაბმული კარგი მოქართულე და დიდი ერუდიციის ლიტერატორი ნიკოლოზ აგიაშვილი. მის გვარს ჩვენ უმთავრესად წიგნის ბოლო ფურცელზე ვხვდებით, წიგნის რედაქტორად გვევლინება. თარგმანის რედაქტორობაც, რა თქმა უნდა, სერიოზული საქმეა, მაგრამ ასეთმა კარგმა სპეციალისტმა მაინც ძირითად საქმეზე უნდა იმუშაოს.

ამრიგად, დადგა დრო, როცა უნდა ვიზრუნოთ გამოჩენილ უცხოელ კლასიკოსთა და თანამედროვე პროგრესულ მწერალთა სრული კრებულების გამოცემაზე. ამ მხრივ მისასალმებელია გამომცემლობა „ნაკადულის“ ინიციატივა; სათავგადასავლო რომანების მთელი სერიის გამოცემის შემდეგ, იგი ამჟამად გამოსაცემად ამზადებს ჯეკ ლონდონის რჩეულ თხზულებათა ხუთტომეულს, „საბჭოთა საქართველო“ უშვებს შილერის რჩეულ თხზულებათა სა-

ტომეულს, მკითხველი მალე მიიღებს ჰემინგუეის რჩეულ ნაწარმოებთა ოთხტომეულს, რომელიც გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ მოამზადა და გამოსცა. საჭიროა ასევე თანდათანობით მომზადდეს და გამოიცეს ბალზაკის, სტენდალის, ფლობერის, ჰიუგოს, მერიმეს, ზოლას, დიკენსის, სკოტის, თეკერეის, ტვენის, დრაიზერის, თომას მანის, გოლზუორთის, სენკევიჩის, მიცკევიჩის, ჰაინეს, ბაირონის, გოეთეს, უელსის და სხვა გამოჩენილ მწერალთა რჩეული თხზულებები. რაც უფრო ჩქარა ჩაეყრება ამ საქმეს საფუძველი, მით უკეთესი. თანაც, ჩვენ მთარგმნელების ისეთი კადრი გაგვიჩნდა, რომ უკვე შეგვიძლია გადაჭრით მოვითხოვოთ პირდაპირ ორიგინალიდან თარგმნა და თარგმანის თარგმნით აღარ დავუაბულდეთ. ეს განსაკუთრებით ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ-ამერიკულ ლიტერატურაზე ითქმის. და მხოლოდ ისეთი ენებიდან თუ მოვითმენთ დროებით თარგმანის თარგმნას, რისი სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები ჯერ კიდევ არა გვყავს (მაგალითად, ესპანურიდან, იტალიურიდან). ინგლისურიდან, უკვე ძალიან ბევრი თარგმნის და კარგადაც შეუძლიათ მუშაობა, ზემოთ ნახსენებ მთარგმნელებს გარდა ჩვენ სხვებიც შეგვიძლია დავასახელოთ. ჯონ ბრეინის წიგნის თარგმანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ ახალგაზრდა მთარგმნელებს ნოდარ ბადრიაშვილს და ციალა თოფურიძეს. მათი თარგმნილი წიგნი სასურველ პროფესიულ დონეზე დგას.

ცალკე უნდა დაიგეგმოს ანტიკური ლიტერატურის თარგმნა. სასიამოვნოა, რომ ამ საქმის ინიციატივა მეცნიერებმა გამოიჩინეს... საინტერესო იქნება პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილისა და პოეტ დავით გაჩეჩილაძის ერთობლივი მუშაობა „ილიადაზე“, რომელსაც „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს. „ნაკადული“ უკვე ამზადებს პანტელეიმონ ბერაძის თარგმნილ „ოდისეას“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება პროზის თარგმანზე და ეს — გასაკვირია, მაგრამ ფაქტია — პოეზიის თარგმნის საზიანოდ მოხდა. კარგა ხანია ჩვენს მკითხველს არ მიუღია გამოჩენილ პოეტთა ისეთი კრებულების თარგმანები, რაც წარმოდგენას მოგვცემდა ამა თუ იმ პოეტის მთელ შემოქმედებაზე. მე მგონი, შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვი, რომ შანდორ პეტეფის რჩეული ლირიკის შემდეგ, რომელიც ბრწყინვალედ თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ, ჩვენს მკითხველს

ასე თუ ისე მნიშვნელოვანი კრებული უცხოელი პოეტის ლირიკისა არ მიუღია. ამ რამდენიმე წლის წინათ შესანიშნავად დაიწყო მუშაობა ბერნსის თარგმნაზე ახალგაზრდა პოეტმა თამარ ერისთავმა. მან კარგი ადექვატი უპოვა პოეტის თავისებურად ამღერებულ ლექსს მაგრამ მთარგმნელმა რატომღაც, მუშაობა შეანელა. ბერნსის ლირიკა „მსოფლიო პოეზიის“ სერიით მეორედ გამოსცა „ნაკადულმა“, მაგრამ მასში უმთავრესად თ. ერისთავის მიერ ძველად თარგმნილი ლექსები შევიდა, და მხოლოდ რამდენიმე ლექსის ახალი თარგმანი დაემატა.

თავის დროზე ბაირონის თარგმნას ხელი მოჰკიდა ჩვენმა ცნობილმა მთარგმნელმა გიგი გაჩეჩილაძემ, მანვე თარგმნა ინგლისური ლირიკის რამდენიმე ნიმუში და ამით ძალიან სასარგებლო საქმე გააკეთა, მაგრამ, სამწუხაროდ, მანაც შეანელა ამ დარგში მუშაობა. ბაირონის, ჰაინეს, გოეთეს, შელისა და სხვა დიდ პოეტთა შემოქმედების გასაცნობად სრულებითაც არ კმარა რამდენიმე ნიმუშის ან პაწაწინა კრებულების გამოცემა. ამ საკითხზე განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ პოეზიის თარგმნის კარგ პერსპექტივას ვერა ვხედავთ, მართალია, გამოჩნდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნეს უცხოელ კლასიკოსთა რამდენიმე ლექსის თარგმანი, მაგრამ იგრძნობა, რომ საერთოდ უხალისოდ ეკიდებიან ამ საქმეს — თვით მთარგმნელებიცა და გამომცემლობებიც.

აქვე მინდა ერთ საკითხს შევეხო. კარგა ხნის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ დაიწყო შექსპირის თხზულებათა გამოცემა ათ ტომად. შექსპირმა, ივანე მაჩაბლის ჭეშიალური თარგმანების წყალობით, თავიდანვე დიდი პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ხალხში. და ამიტომაც მკითხველი ინტერესით შეხვდა ამ წამოწყებას. გამოიცა ხუთი ტომი, საკმაოდ დიდი ტირაჟითაც, და მაშინვე გაიყიდა. მაგრამ ამის შემდეგ გამომცემლობები რატომღაც ძალიან უხალისოდ მოეკიდნენ საქმეს. აქ უკვე მთარგმნელები ბრალში არ არიან, — ისინი დროულად ამზადებდნენ ცალკეული პიესების თარგმანებს.

მხატვრული ლიტერატურის თარგმნა ჩვენში სულ უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს ღებულობს, საჭიროა მეტი ორგანიზებულობა და მთარგმნელთა დაკვირვებული შერჩევა, რადგან ჯერ კიდევ ბევრი გამოდის უხეიროდ თარგმნილი წიგნი, ცუდად თარგ-

მნილ წიგნს კი, ზემოთაც ითქვა, სამი ბოროტება სჭირს: თვითონ თარგმნილ ნაწარმოებზე ყალბ წარმოდგენას გვიქმნის, დიდი ხნით უკეტავს გზას იმავე წიგნის ხელახლა თარგმნას და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია, ქართულ ენას გვირყვნის.

1965 წ.

## შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები

შექსპირის პირველი თარგმანი მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში მოევლინა ქართველ მკითხველს. ეს იყო „რომეო და ჯულიეტა“, რომელიც უხეირო ფრანგული თარგმანიდან გადმოიღო დიმიტრი ყიფიანმა და ამიტომაც არ შეიძლებოდა უნაკლო ყოფილიყო. მაგრამ რაკი პირველი თარგმანი იყო, მაინც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელს ლიტერატურულ წრეებში. ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოთარგმნა «Ромео и Джулиетта», შექსპირის ტრაღედია, და მე ვთარგმნე «Юлий Таретский», ტრაღედია ლეიზევიცისა“...

ეს იყო 1841 წელს. ამის შემდეგ ინტერესი შექსპირის შემოქმედებისადმი დღითი დღე იზრდებოდა, და სულ მოკლე ხანში შექსპირმა ფართო პოპულარობა მოიპოვა ჩვენში. იმ ზომამდე შეიყვარა ჩვენმა ხალხმა აღორძინების ეპოქის ეს უდიდესი მწერალი, რომ 70-იან წლებში სამეგრელოს ერთ პატარა სოფელში მისი პიესა დადგეს, ხოლო იმაზე უფრო ადრე მეხუთე კლასის მოსწავლემ „ჰამლეტის“ თარგმნაც კი სცადა. ეს პატარა ფაქტები თავისთავად ბევრის მეტყველია. ზედიზედ ითარგმნა „ოტელო“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ჰამლეტი“, „ტიმონ ათინელი“, „იულიუს კეისარი“, „ორი ვერონელი“ და კიდევ რამდენიმე ნაწარმოები შექსპირისა. თარგმანები რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხარისხით იყო შესრულებული მაგრამ დიდად მაინც არ გაეჩქეოდა ერთმანეთს: მათ ახასიათებდა ერთი საერთო ნიშანი — ვერც ერთი ვერ გადმოსცემდა დიდი გენიოსის მგზნებარე სულსა და საკაცობრიო იდეალებს,

ლაპარაკიც ზედმეტია ცალკეული ენობრივი თუ მხატვრული ნიუანსების გადმოტანაზე. ასეთი თარგმანებით მკითხველს არ შეეძლო განეცადა დიდი მწერლის მაგიური ძალა.

ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა გამონაკლისი როდი იყო. ასეული წლების განმავლობაში ასეთივე უხეირო თარგმანებით იცნობდნენ შექსპირს თვით საფრანგეთსა და გერმანიაშიც, სადაც, ენის ნათესაობის წყალობით, შექსპირის თარგმნა გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე ისეთს არამონათესავე და ინგლისურისაგან სრულიად განსხვავებულს ენაზე, როგორიც ქართულია.

ყველგან, ყველა ქვეყანაში, დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო ხოლმე შექსპირის თარგმნა. გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა ა. შლეგელმა ათეული წლები მოანდომა იმას, რომ შექსპირის უკვდავ ქმნილებათა გადმოსატანად შესაფერი ტონი მოენახა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიაში შლეგელამდე უკვე ჩატარებული იყო სერიოზული მუშაობა შექსპირის თარგმნისათვის და ეს დიდად უადვილებდა საქმეს მთარგმნელს. შლეგელის თარგმანებმა სენსაცია მოახდინა მაშინდელ ლიტერატურულ წრეებში, რადგანაც ეს იყო შექსპირის პირველი რიგიანი თარგმანი საერთოდ მთელს მსოფლიოში, ხოლო კერძოდ გერმანული ლიტერატურისათვის ეს იყო ახალი დიდი მწერლის გამოჩენა. „...მე-18 საუკუნეში გერმანიას, გოეთესა და შილერის გვერდით, თავისი შექსპირიც მოევლინა. იგი ინგლისში 1564 წ. დაიბადა, ხოლო კვლავ აღსდგა 1767 წელს, თავისი გერმანელი მთარგმნელის სახით...“ — წერდა ბრანდესი.

იმავე წერილში ბრანდესი განაგრძობს.

Многое требовалось, чтобы на свет могло появиться такое, по-види мому, беспритязательное умственное произведение, хотя и занимающее выдающееся место в литературе. Можно прочесть историю умственной жизни целого поколения Германии в набросках и рукописях шекспировского перевода. Чтобы сделать возможным его появление, необходимо было, чтобы критика Лессинга и труды Вилланда и Эшенбурга подготовили почву, чтобы затем такой гений, как Гердер, сконцентрировал в своем лице всю восприимчивость и способность к умственным размышлениям германского ума и, властно, подчинив себе молодого Гёте, обратил его в своего ученика. Но Гёте своим написанным прозою «Гецем» похож только на Шекспира, пишущего прозою. Поэтому должен был еще родиться такой талант, как А. Шлегель, с его оригинальными особенностями, талант, в котором филологические способности и гибкость

формы были унаследованы; затем этот талант должен был развить в себе высшее техническое совершенство и освободиться от пристрастия Бюргера ко всему грубому, резкому. Он должен был подвергнуться воздействию художественного воодушевления Шиллера, отбросив в сторону пристрастие Шиллера к торжественному и его робость перед необузданно-веселым; он должен был проникнуться полным пониманием Гёте, принять в наследство от него выработанный им язык, достигнуть еще более высокого, чем у Гёте, понимания необходимости согласования у Шекспира формы с содержанием; он должен был иметь вблизи себя родственный талант, подстрекающий его рвение и тонкий женский ум; сотни источников должны были слиться в один поток, сотни обстоятельств должны сочетаться, сотни лиц познакомиться друг с другом, сотни умов встретиться и взаимно оплодотвориться, прежде чем перед нами во всей его чарующей прелести могло появиться это произведение, как будто бы незначительное само по себе, перевод поэта, умершего за двести лет до того, но доставившее самую благородную умственную пищу миллионам людей, и оказавшее глубокое и продолжительное влияние на германскую поэзию.

ამდენი ადგილი იმიტომ დავუთმეთ ბრანდესის სიტყვებს, რომ წარმოდგენა გვქონდეს, რა დიდი მოვლენა იყო შექსპირის თარგმნა ისეთი დიდი ლიტერატურული ტრადიციების ქვეყნისათვის, როგორიც გერმანიაა.

ერთი შეხედვით, მაჩაბელს თითქოს არა ჰქონია ასეთი ნიადაგი მომზადებული. ის რამდენიმე ცდა შექსპირის ქართულად თარგმნისა, რა თქმა უნდა, ცრავითარი წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა არა ყოფილა და მაჩაბელს ოდნავადაც კი არ გაუადვილებდა საქმეს. აბა რა დახმარება უნდა გაეწია მისთვის ასეთ თარგმანებს:

„კოროლო, მერზავეცო, დამიბრუნე მამაჩემი"... ანდა — „...არ გაუცვეთია ბაშმაკები, რომლითაც მისდევდა ქმრისა კუბოსა..." ან თუნდაც ცოტათი უკეთესი თარგმანი „ოტელოსი":

„უკეთუ ყოველთა მხედრობათა გაენაწილებინათ ჩემთან ტკბილი საწოლი, ხოლო მე არ მცოდნოდა, ჩემთვის იგი იქმნებოდა ყოველივე სიამოვნის ასატანი! ეხლა კი მშვიდობით საუკუნოდ, ნეტარებაო ჩემო, მშვიდობით განსვენებაო, მშვიდობით ჯილავ გაბრწყინებულო, მშვიდობით ბრძოლანო, სადაც წუყრვილნი დიდებისანი ითვლებიან კეთილ მოქმედებად, მშვიდობით, მშვიდობით, ტაიჭნო ბრძოლისანო, საკრავნო, გამამხნევებელნო ბარაბანნო, გასაგმირელნო სალამურნო, მომიტევეთ ბაირახნო ნიშანნო და განმამშვენებელ-

ნო ძლევამოსილთა ბრძოლათა შინა და თქვენ ზარბაზანნო სიკვდილისანნო, ვითარიღა ტყვია შემაშრობს საყვარლისაგან დაჩაგრულსა! მშვიდობით! თქვენთან უკვე აღარ ვარ ცნობილი!“

ეს გამონაკლისი როდია! შექსპირის ყველა პიესა მაჩაბლამდე თითქმის ამგვარად ითარგმნებოდა. ბარემ აქვე მოვიტანოთ ამავე ადგილის მაჩაბლისეული თარგმანი, რათა ერთბაშად ვიგრძნოთ მაჩაბლის ენის საოცარი ძალა:

თუნდა მთელს ბანაკს,
ყოველ ჯარისკაცს თუნდ ცალ-ცალკე ეგემნა იგი.
იმის ტკბილ სხეულს შეეხებოდა, მე ბედნიერად
ჩავთვლიდი ჩემს თავს, არ მცოდნოდა ოღონდ არა-რა.
აწ-კი მშვიდობით, საუკუნოდ, სულის სიმშვიდევე,
მშვიდობით, ჩემო მხიარულო კმაყოფილებავ!
მშვიდობით, სპანო ჯიღოსანნო, დიდნო ბრძოლანო,
თავმოყვარების სათნოებად გარდამქცეველნო!
მშვიდობით, ჩემის თავმომწონე ცხენის ჭიხვინო,
გულის აღმძვრელო დაფდაფებო, ბუკის მკვეთრო ხმავ,
ყურთა გამგმირო სალმურო, სამეფო დროშავ,
დაუდგრომლობავ, მღელვარებავ დიდებულ ომთა,
ბრძოლის მშვენებავ, სიამაყევ, თვალის მიმტაცო.
ოჰ, თქვენც მშვიდობით, მანჭანანო, სიკვდილის მბადნო,
რომელთ ყელიდამ გადმოჰქუხს ხმა სმენად საშიში,
როგორც უკვდავის იუპიტრის საზარო გრგვინვა!
ოტელოს ჩარხი ბედ-უკუღმა გადატრიალდა!

როგორც ვხედავთ, შექსპირის ძველი ქართული თარგმანები მაჩაბელს ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევდნენ, და, ერთი შეხედვით, ამ დიდი საქმისათვის მას თითქოს წინასწარ არა ჰქონია ნიადაგი მომზადებული.

მაგრამ ეს მოგვეჩვენება მხოლოდ მაშინ, თუ ზერელედ მივუდექით საქმეს, და წინასწარ მოსამზადებელი ნიადაგი მხოლოდ და მხოლოდ შექსპირისავე ნაწარმოებების ძველ ქართულ თარგმანებში ვეძებნეთ. სინამდვილეში კი მაჩაბელს შექსპირის თარგმნისათვის იმაზე უფრო საფუძვლიანი და მყარი ნიადაგი ჰქონდა მომზადებული, ვიდრე შექსპირის რომელიმე სხვა მთარგმნელს რომელიმე სხვა ქვეყანაში. ეს ნიადაგი უფრო შორს უნდა მოვსინჯოთ. ამ ნიადაგს ამზადებდნენ საუკუნეების წინათ ჩვენი დიდი მწერლები და მოღვაწეები, ამ ნიადაგს ამზადებდა „ვისრამიანის“

პოეტური პროზა და რუსთაველის უკვდავი პოემის ნათელი სტრიქონები; საბა ორბელიანის დახვეწილი მოთხრობები; ბარათაშვილის მღელვარე ლექსები... მაჩაბელმა თავისი ნათელი გონებით და საოცარი ალღოთი ბავშვობიდანვე შეითვისა ყველა ეს ელემენტი და როდესაც მის ბრწყინვალე თარგმანებს ვკითხულობთ, ეს რაღაც ბედნიერ შემთხვევითობად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ჩვენი დიდი კლასიკური ლიტერატურის ბუნებრივ გაგრძელებად. აქ თანაბრად გამოსჭვივის მთაწმინდელების თარგმანების დარბაისლური ტონი და მდიდარი ლექსიკა, „ვისრამიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ენის მაღალი პოეტურობა, სიმსუბუქე და გასაოცარი სინათლე, საბა ორბელიანის პროზისა და ქართული ხალხური ზღაპრების უაღრესი ლაკონიურობა და მსუბუქი იუმორი, ბარათაშვილის პოეზიის სიღრმე და მღელვარება...

ნიადაგის მომზადებაზე როცა ვლაპარაკობთ, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ კიდევ რამდენიმე ფაქტორი. მათ შორის, უპირველესად, მგზნებარე პატრიოტიზმი მაჩაბლისა, რომელიც, თავისი დიდი თანამედროვე მწერლების — ილიასა და აკაკის მსგავსად, მხოლოდ იმისათვის კი არა წერდა, რომ ეწერებოდა, არამედ ყოველ სტრიქონს, შექსპირის ყოველი ახალი პიესის თარგმანს მშობელი ხალხის სულიერ აღორძინებასა და განვითარებას უკავშირებდა. სამშობლოს ასეთი უანგარო სიყვარული ასულდგმულებდა და შთაგონებას მატებდა მაშინდელ ჩვენს დიდ მოღვაწეებს!

შეიძლებოდა დაგვესახელებინა აგრეთვე ერთი არცთუ ისე უმნიშვნელო ფაქტორი: შექსპირი აღორძინების ეპოქის წარმომადგენელი იყო და მის შემოქმედებაში გამოხატულება ჰპოვა ამ ეპოქის მთელმა წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებამ სიკეთისა და ბოროტის უკიდურესობამდე დაძაბულმა ბრძოლამ, კეთილშობილ ადამიანთა იმედის გაცრუებამ და სასოწარკვეთილებამ, „მძლავრთა უკმეხობამ... ჟამთა სიმწარემ... მტარვალთა ჩაგვრამ... სიამაყის თავგასულობამ... მართლმსაჯულობის გვიანობამ... უღირსისაგან ღირსეულის შეურაცხოფამ...“

ნაწილობრივ ასეთი სურათები ჩვენი ხალხის იმდროინდელ ცხოვრებაშიაც იგრძნობოდა. ფეოდალიზმის დაგვიანებულმა, მაგრამ სწრაფმა რღვევამ, კაპიტალიზმის ჩქარმა განვითარებამ, ერის სულიერი ცხოვრების მანამდე არნახულმა აღორძინებამ ჩვენშიაც წარმოქმნეს ისეთი წინააღმდეგობანი და დაახლოებით ისეთი სი-

ტუაციები, რაც რამდენიმე საუკუნის წინათ შექსპირის ინგლისისათვის იყო დამახასიათებელი.

მაჩაბელს თავის ირგვლივ შეეძლო დაენახა და ხედავდა კიდეც ჰამლეტივით: დიდი შთაბეჭდილებისა და კეთილშობილი ბუნების მქონე ადამიანებს, რომლებიც ამჩნევდნენ ქვეყნად გამეფებულ საშინელ უსამართლობას და ძალმომრეობას, და არ კი იცოდნენ როგორ შებრძოლებოდნენ მას; შეეძლო დაენახა, და ხედავდა კიდეც, პოლონიუსის მსგავსს ფლიდ და გაიძვერა ჩინოვნიკებს, ბოროტი ადამიანების ბრმა იარაღად ქცეულ სუსტი ნებისყოფის უსინდისო ადამიანებს — გილდენსტერნებსა და როზენკრანცებს, ვერაგ და გაიძვერა იაგოებს... ასეთი ვაჟბატონები იმ დროსაც საკმაოდ ბევრნი იყვნენ და სწორედ მათ შესახებ წერდა მაჩაბელი თავის „დროებაში“ — ამ მოცლილ ხალხს თვითონ ხომ არაფერი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, ხოლო თავიანთი ნიჰილისტური გულცივობითა და უმადურობით იმათაც უკლავენ გულს, ვინც საქვეყნო საქმისათვის შიმშილ-წყურვილს არ ერიდებაო. „მოცლილი დრო ჰორებისათვის ჰქონდათ გადადებული... და ამ გულცივობით გულს უკლავდნენ იმათ, ვინც იტანდა საზოგადო საქმისათვის შიმშილს, წყურვილს, ეწყალო, განუწყვეტელ შრომას და თან ყოველს ამაზე კიდევ უარესს — საზოგადოების გულგრილობას, უმადურობას“...

ერთი სიტყვით, შექსპირის ნაწარმოებთა სიტუაციებსა და ხასიათებს მაჩაბელი თვითონვე ხედავდა თავის ირგვლივ და ამას უსათუოდ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, თუნდაც სათარგმნ ნაწარმოებთა შერჩევის თვალსაზრისით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად მაჩაბლის ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდები და განწყობილებანი ემთხვევა იმ პერიოდს, როცა მან შექსპირის ასეთივე განწყობილების ნაწარმოებები თარგმნა. იქნებ ეს შემთხვევითი არ იყოს! მაგალითად, გახურებული „ბანკობიადის“ დროს, როდესაც საზოგადოება ორ პარტიად იყო გაყოფილი და ერთმანეთის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ, მაჩაბელმა თარგმნა „იულიუს კეისარი“, რომელშიაც პარტიათა ასეთივე შეუპოვარ ბრძოლას ვხედავთ: სიცოცხლის უკანასკნელ წელს, დასნეულებულმა და ყველაფრისაგან გარიყულმა მაჩაბელმა სწორედ „კორიოლანოსი“ თარგმნა და ა. შ.

ერთი სიტყვით, ზემოთ ნახსენებ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად მაჩაბლის თარგმანების გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ მთარგმნელს ისეთი სიტუაციები და განწყობილებანი უნდა ეთარგმნა, რასაც თვითონვე განიცდიდა. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ მაჩაბლის დიდ ერუდიციასა და საოცარ ლინგვისტურ ნიჭს, გასაგები გახდება, როგორ შექმნა შექსპირის უბადლო თარგმანები.

თარგმანები კი მართლაც უბადლო იყო, ეს შეიძლება ითქვას პირდაპირ და გადაუჭარბებლად. ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც მაჩაბლის თარგმანებს შეადარებს მანამდე არსებულ სხვა თარგმანებს, ყველა ენაზე. ამას გადაჭრით ამბობს ისეთი კომპეტენტური პირი, როგორიც იყო ოლივერ უორდროპი, ვისთვისაც ინგლისური დედაენა იყო, ხოლო ქართული და ევროპული ენები ჩინებულად იცოდა და, ამრიგად, საშუალება ჰქონდა მაჩაბლის თარგმანები შექსპირის სხვა ენებზე თარგმნილი პიესებისათვის შეედარებინა.

პირველი ბედნიერი მიგნება, პირველი გასაღების პოვნა იყო შექსპირის იამბიკური პენტამეტრისათვის, ქართულ თოთხმეტმარცვლოვანი თეთრი ლექსის მისადაგება. როგორც ირკვევა ამის არჩევანი მაჩაბელს ეკუთვნის, ხოლო ილია ჭავჭავაძემ მიიღო მისი მოსაზრება ამ საქმეში, და „მეფე ლირი" მათ სწორედ თოთხმეტმარცვლოვანი თეთრი ლექსით თარგმნეს.

ეს არჩევანი მაჩაბელს, ალბათ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიამ შთააგონა. მას ბავშვობიდანვე ხიბლავდა ბარათაშვილის პოეზიის სიღრმე, მისი საკაცობრიო იდეალები... ბავშვობაში, ბარათაშვილისავე გავლენით, თვითონვე წერდა ხოლმე თოთხმეტმარცვლოვან ლექსებს. აღსანიშნავია მისი ერთი ლექსი, რომელიც ბარათაშვილის აშკარა გავლენით არის დაწერილი. ამას ერთი წაკითხვითაც იგრძნობს კაცი.

ხაფხულის ღამეს ვიწექ გულაღმა და შევყურებდი ჩემზედ შეკრულსა
ცისა კამარას უღრუბლ-უმთვაროს, ვარსკვლავებითა აჭრელებულსა;
აოც მფრინველთ შტევნა, არცა ბუზის ხმა ჩემსა გარშემო არ მოისმოდა
და მიძინებულს მშვენიერს ღამეს ნიავიცა კი ძილს არ უფრთხობდა.

ვფიქრობდი, ნუთუ ვინცა შექმნა ცა და ქვეყანა, —
შექმნა ჩვენთვისა უთვალავნი ესე ვარსკვლავნი?
ნუთუ იმისთვის მზე და მთვარე ქვეყნად მოჰფინა,
რომ მხოლოდ სულდგმულთ ქვეყნიერთა დაგვეტკბოს თვალნი?
ნუთუ ბუნების სუფრა ჩვენ, კაცთ, გვიშლია წინა

და სანთელთ წილად გვინათებენ ცის მნათობთ ალნი?
და შემოქმედმა ნუთუ მხოლოდ ჩვენ მოგვიჩინა,
ჩვენ, მიწიერთა, დედამიწის და ზეცის ძალნი?
არა, არ მჯერა, რომ ესე იყოს ქვეყნიერების განწყობილება.
ეს არის მხოლოდ ამაყი აზრი, ბუნებისადმი ცილის წამება:
დედამიწაა ერთი ვარსკვლავი, ცისა სიღრმეში გადაკარგული
ვინ მისცა ამას დანიშნულება, სხვა ვარსკვლავთ შორის განსხვავებული?!
მჯერა, რომ ზოგნი, სხვებზე მეტად მოელვარენი
დედამიწისა წარსულს ხატსა წარმოადგენენ,
ჯერ არცა მწერნი, არც ყვავილნი, არც მცენარენი
იქაურთ ველთა არ ამკობენ, არ აჭრელებენ.
მაგრამ რას ვამბობ! იქ რა უნდა ან ველს, ან ტყესა!
ბუნების ძალნი არ არიან ჯერ იქ დამცხრალნი,
იქ გაურჩეველად ერევიან ჯერ ერთმანერთსა.
ცეცხლისა ალნი, წყლისა ორთქლნი, ქართა ჭროლვანი.
მათზედ ყოველნი მიწის კავშირნი მსუბუქს ჰაერად გადაქცეულან;
რკინა და მიწა, ქვა და სულდგმული იქ სიცხის ბეღში ვერ გარჩეულან,
მჯერა, არიან ესე ვარსკვლავნი ცეცხლით მოცულნი მიწის სახენი,
უზომ-უძირო დაუსრულებელს, ცისა სიერცეში მოცურავენი.

როდესაც შექსპირის თარგმნა გადაწყვიტა და უფრო დაკვირვებით წაიკითხა დიდი გენიოსის პიესები, მაჩაბელს ბარათაშვილის ლექსები გაახსენდა და ალბათ მაშინვე გადაწყვეტა შექსპირის პიესების თარგმნა თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით. შემდეგ მაჩაბელმა თავის შექსპირისეულ თარგმანებს შეუნარჩუნა არა მარტო ბარათაშვილის ლექსის ფორმა, არამედ მისი პოეზიის დიდი მღელვარება და სიღრმეც მისცა...

მრავალგვარ სიძნელესთანაა დაკავშირებული შექსპირის თარგმნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შექსპირის პიესებისათვის დამახასიათებელია მდიდარი ლექსიკა, ამასთან მისი ენა უაღრესად ხალხურია, ანდაზებით, კალამბურებით, ჭარაგმებითა და იდიომებით სავსე.

შექსპირმა სახეთა ოკეანე შექმნა. მისი ტრაგედიებისა და კომედიების ყველა გმირი თავისი ენით მეტყველებს და მთარგმნელმა უსათუოდ უნდა დაიცვას ეს ნიუანსი. სულ სხვაგვარია გაქნილი კარისკაცის პოლონიუსის ლექსიკა და მეტყველების მანერა. სხვაგვარად მეტყველებენ მეფე, დედოფალი, ჰამლეტი. ხოლო ბრძენი მესაფლავე ამათგან სავსებით განსხვავებულია. ასეა შექსპირის ყველა ტრაგედიასა და კომედიაში.

ამა თუ იმ განწყობილების შესაქმნელად შექსპირი ძალიან ხშირად მიმართავს სიტყვათა თამაშს, ერთგვარ კალამბურს, რომლის თარგმნა სხვა, არამონათესავე ენაზე უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს.

შექსპირის ენა არის მსუბუქი, სასაუბრო, ცოცხალი დიალოგით გამართული. ხშირად ერთ პიესაში ქარაგმით არის რაიმე სახე ან მოვლენა ნახსენები, და მხოლოდ სხვა ნაწარმოებით შეიძლება მისი ახსნა. ზოგჯერ ნაგულისხმევი აზრის ასახსნელად საჭირო ხდება ძველი ინგლისური ფოლკლორის მოშველიება, რადგანაც შექსპირის პიესებში ხშირად ვხვდებით ბალადებიდან და სიმღერებიდან ამოღებულ ფრაზებს, რომლებიც ტექსტში, ეპიგრაფების მსგავსად, იმ ბალადებისა და სიმღერების განწყობილებას ქმნიან. ამიტომ მთარგმნელისათვის საჭიროა შექსპირის შემოქმედების ღრმა ცოდნა, ისტორიისა და ინგლისური ლიტერატურის ღრმა ცოდნა.

ყველაფერი ეს დიდ სიძნელეს უქმნის შექსპირის მთარგმნელს.

მთარგმნელის გამარჯვება მაშინ იქნება გარანტირებული, თუ იგი მოახერხებს გადმოიტანოს ორიგინალის მთავარი არსი — ნაწარმოების საერთო განწყობილება, ნაწარმოების ლეიტმოტივი. ამ ამოცანის შესრულებას უნდა ემსახურებოდეს მთარგმნელის მთელი მუშაობა.

შესაძლებელია რომელიმე პოეტური ნაწარმოების თარგმანში მტკიცედ იყოს დაცული სტრიქონების რაოდენობა, მეტრი, რითმების განლაგება, მუსიკალობა, მაგრამ თარგმანი მაინც არ გამოხატავდეს ორიგინალის განწყობილებას, ავტორის იდეას, მისი აზრის სიღრმეს; ასეთი თარგმანი შეიძლება შევადაროთ კარგად შეკერილ ტიკინას, რომელსაც ყველა ნაწილი თავის ადგილზე აქვს მიკერებული, მაგრამ სული არ უდგას. ეს, რა თქმა უნდა, ანბანური ჭეშმარიტებაა მთარგმნელისათვის. მაგრამ ზოგიერთ მთარგმნელს შეცდომა მოსდის, როცა ცდილობს ორიგინალის განწყობილება გადმოიტანოს მხოლოდ სტრიქონებისა და სიტყვების მტკიცე თანამიმდევრობით, სიტყვებისა და წინადადებების ზუსტი თარგმანით, ხშირად ორიგინალის სინტაქსის გადმოტანითაც, ამასთან ივიწყებს მთავარს — ნაწარმოების საერთო იდეასა და განწყობილებას.

ასეთ თარგმანს პირობით შეიძლება ვუწოდოთ ფორმალისტური და რამდენადაც იგი ერთი შეხედვით ახლოს დგას ორიგინალთან,

სწორედ იმდენად არის დაშორებული ავტორის განწყობილებასა და ნაწარმოების ძირითად იდეას.

შექსპირის ყველა პიესა თავისი განწყობილებით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი გამოჩენილი შექსპიროლოგი განიხილავს „მაკბეტს“ და ამტკიცებს: ეს ტრაგედია ისეა გამსჭვალული ერთი განწყობილებით, რომ უთუოდ ერთ ღამეშია დაწერილიო, ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ მეცნიერს, მაგრამ თავისთავად ეს მოსაზრება საინტერესოა. შექსპირის ყოველი პიესა მართლაც საოცრად არის შეკრული ერთი განწყობილებით, და, სხვათა შორის, ეს არის შექსპირის თარგმნის ერთი დიდი სიძნელე.

უდიდესი დამსახურება მაჩაბლისა სწორედ ის არის, რომ მან შეძლო მოენახა ყველა ნაწარმოების გასაღები, ჩასწვდომოდა ორიგინალის სიღრმესა და დედააზრს. რვა ტრაგედია თარგმნა მაჩაბელმა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან შეძლო ყველგან გადმოეტანა ნაწარმოების მთავარი განწყობილება. მაგრამ მის თარგმანებს მაშინვე შეატყობ, რომ სტრიქონების თვლითა და სიტყვების ზომვით არ უპოვია მაჩაბელს ეს გასაღები. მაჩაბელი გარედან არ უყურებს ნაწარმოების გმირებს, იგი ამ გმირებიდან გამოდის, იგი ნაწარმოების საერთო განწყობილებას ქმნის არა ცალკე სიტყვებისა და ფრაზების ზუსტი ლექსიკონური თარგმანით, არამედ ცალკეული გმირის ხასიათის გახსნით, ცალკეული სიტუაციის ღრმა პოეტური ანალიზით.

მაჩაბელს კარგად ესმის, რომ ხშირად სიზუსტის დაცვით, სიტყვების პირდაპირი თარგმნით, ნაწარმოების შინაარსისა და ქართული ენის ბუნების გაუთვალისწინებლად, არასასურველ შედეგს მივიღებთ. ასეთი თარგმანი, პირიქით, დაშორდება ორიგინალს. ამიტომაც იგი ბრმად არ თარგმნის ცალკეულ ფრაზას, არამედ საოცარი ინტუიციით სწვდება ყველა ნიუანსს და შესაფერი ფორმით გადმოაქვს ქართულად.

მოვიტანოთ ერთი პატარა მაგალითი.

ჰორაციოს მეგობრები ეტყვიან, რომ ღამღამობით, ციხესიმაგრის წინ გამოჩნდება ხოლმე გარდაცვლილი მეფის არჩდილი და მხედრული ნაბიჯით ჩაივლის. ჰორაციო განსწავლულია, ახალი დროის ახალგაზრდაა, რენესანსის პირმშო, მან იცის, რომ „ბევრი რამ ხდება ცათა და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ არც კი დასიზმრებიათ“, მისი განწყობილება ლაღია. ახლაც ხუმრობის გუნებაზეა,

რადგან აჩრდილის სანახავად მიდის. ჰორაციო გაჰყვება ამხანაგებს.

ღამეა. ბნელა. გუშაგი კარგად ვერ გაარჩევს სიბნელეში ჰორაციოს და ჰკითხავს:

— What, is Horatio there?
— A piece of him. — უპასუხებს ჰორაციო.
(პირდაპირი თარგმანი:
— ჰორაციო ხარ?
— მისი ნაჭერი).

ინგლისურად „A piece of him" თავისებურად ჟღერს. მაშინვე გვაგრძნობინებს სცენაზე პირველად გამოჩენილი გმირის განწყობილებას. ეს ფრაზა რომ პირდაპირ, სიტყვასიტყვით ეთარგმნა მაჩაბელს, რა თქმა უნდა, ვერ გადმოსცემდა ამ განწყობილებას, როგორც ვერ გადმოსცემს მას ფრჩხილებში მოთავსებული პირდაპირი თარგმანი. მაჩაბელს ეს ფრაზა ასე აქვს თარგმნილი, გუშაგი ჰკითხავს —

— ჰორაციო: მგონი შენა ხარ?
— მ გ ო ნ ი ი ს ა ვ ა რ. — უპასუხებს ჰორაციო.

თარგმანში ზედმიწევნითი სისწორით არის გადმოტანილი ორიგინალის აზრი და განწყობილება.

იმავე სურათში სცენაზე შემოდის რამდენიმე ჯარისკაცი. გუშაგი მათ შესძახებს:

— Stand, ho! Who is there?
— Friends to this ground, — უპასუხებს ოეთოსული.
(პირდაპირი თარგმანი:
— შეჩერდით! ვინ ხართ?
— მეგობრები ამ ნიადაგის).

მაჩაბელმა არც აქ თარგმნა სიტყვასიტყვით ბოლო ფრაზა, რადგან პირდაპირი თარგმანი უაზრო იქნებოდა; ამიტომ მან გადმოიტანა ის, რაც ინგლისურ ფრაზაში იგულისხმებოდა, მოუნახა ისეთი შესატყვისი, რასაც, მაგალითად, ქართველი კაცი იტყოდა:

— აი, მგონია მათი ხმაა, აქ ვინ მოდიხართ?
— მ ო ყ ვ ა რ ე ნ ი ვართ.

„მოყვარენი ვართ“ სრულიად ბუნებრივი გამოთქმაა ქართულად და ზედმიწევნით გადმოსცემს შექსპირის ფრაზის შინაარსს.

ივანე მაჩაბელმა შესანიშნავად იცის ქართული ენა ყველა თავისი ნიუანსით. იგი აღზრდილია ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე, ამავე დროს კარგად იცის ხალხური ენა და უხვად იყენებს თარგმანებში ხალხურ გამოთქმებსაც. სწორედ ეს ორი მდიდარი წყარო ასაზრდოებს მის ენას. შედეგი ბრწყინვალეა: მაჩაბლის ფრაზა ყოველთვის მსუბუქია, მოქნილი, მოხდენილი, ნათელი, ცოცხალი, მაჩაბელს ყველგან ჰყოფნის სიტყვა შექსპირის სიბრძნის გადმოსაცემად. მის თარგმანებში ვერსად ნახავთ ხელოვნურ გამოთქმებს, არაბუნებრივ ფრაზებს. ეს იგრძნობა ყოველ სტრიქონში. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

იმისდა მიხედვით, თუ რა კონტექსტში ხმარობს მაჩაბელი სიტყვას, აი, როგორ იცვლება შექსპირის სხვადასხვა პიესაში გამოყენებული ერთი და იგივე ინგლისური სიტყვის ქართული მნიშვნელობა.

„Ambitious“ ნიშნავს „პ ა ტ ი ვ მ ო ყ ვ ა რ ე ს“. ახლა ვნახოთ კონტექსტის გათვალისწინებით როგორ სხვადასხვაგვარად უთარგმნია ეს სიტყვები მაჩაბელს.

„ჰამლეტში“ ჯარისკაცი სიამაყით იხსენებს დამარცხებულ მტერს, ნორვეგთა მეფეს და მას უწოდებს „Ambitious“-ს.

When he th' A m b i t i o u s Norway combated („ჰამლეტი“).

მაჩაბელს რომ „პატივმოყვარედ“ ეთარგმნა ეს სიტყვა ამ კონტექსტში, თარგმანი პირდაპირი იქნებოდა, ზუსტიც, მაგრამ ჯარისკაცის განწყობილებას არ გადმოსცემდა, აქ თავისი ქვეყნის გამარჯვებით გაამაყებული ჯარისკაცი აგდებულად ახსენებს მტერს, დასცინის მას და მთარგმნელსაც ისეთი სიტყვა უნდა შეერჩია, რაც მის ნამდვილ განწყობილებას გამოხატავდა.

თარგმანში ვკითხულობთ:

როს დაამარცხა თ ა ვ გ ა ს უ ლ ი ნორვეგიელი.

ინგლისური ambitious-ის („პატივმოყვარის“) შესატყვისად მა-

ჩაბელმა „თავგასული“ გამოიყენა და მართლაც ზედმიწევნითი სისწორით გადმოსცა გმირის დამოკიდებულება მტრისადმი.

სხვა ადგილას იგივე სიტყვა სულ სხვა კონტექსტში გვხვდება:

**Stand still Ambitious debt is paid** („იულიუს კეისარი“).

აქ ბრუტოსი ხალხს მიმართავს თავისი მეგობრის — კეისრის შესახებ, რომელიც მას გულით უყვარდა, მაგრამ სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების გამო მოჰკლა. ამიტომ არ შეიძლებოდა ბრუტოსს აგდებულად ეხსენებინა კეისარი. ამ კონტექსტში იმავე სიტყვით რომ ეთარგმნა მაჩაბელს ინგლისური „Ambitious“, როგორც ზემომოყვანილ კონტექსტში თარგმნა, აზრის დამახინჯება იქნებოდა, ვერ გადმოსცემდა გმირის განწყობილებას. მთარგმნელი აქაც გმირის ხასიათისა და განწყობილების გახსნიდან გამოვიდა და სწორედ გადმოგვცა ორიგინალის აზრი:

დამშვიდდით, ღირსად დაისაჯა თ ა ვ მ ო ყ ვ ა რ ე ბ ა.

იმავე პიესაში იმავე სიტყვას მაჩაბელი, კონტექსტისა და მოქმედების სიტუაციის მიხედვით, სხვაგვარადაც თარგმნის:

**But as he was ambitious I slew him** („იულიუს კეისარი“).

მაგრამ მ ე ც ი დ უ რ ი იყო და ამისათვის მოვჰკალ იგი.

ამბობს ბრუტოსი, რომელსაც გულით უყვარდა კეისარი და არ შეიძლებოდა მასზე ეთქვა ან „თავგასული“ ან „პატივმოყვარე“.

**I am very... ambitious.**

-მე მეტისმეტად... პ ა ტ ი ვ მ ო ყ ვ ა რ ე ვარ. (ჰამლეტი).

სხვა პიესებში იგივე სიტყვა მაჩაბელს შინაარსის მიხედვით თარგმნილი აქვს „გ უ ლ ზ ვ ი ა დ ა დ“ და „ქ ე დ მ ა ღ ლ უ რ ა დ“.

კიდევ ერთი მაგალითი: „Proud“ „ამაყსა“ ნიშნავს.

ვნახოთ, რა შესატყვისებს მოუძებნის მას მაჩაბელი სხვადასხვა პიესაში, სხვადასხვა კონტექსტის მიხედვით.

**Till your proud heart break** („იულიუს კეისარი“).

ვიდრე ეგ ზვავი გული შუა არ გაგისკდება.

თარგმნის მაჩაბელი.

He is grown too proud to be valiant. („კორიოლანოსი").

მაგ ვაჟკაცობამ მეტისმეტად წაათამამა.

აქ საინტერესო ისიც არის, რომ მაჩაბელმა ზმნის ფორმით იხმარა ეს სიტყვა და ამით მეტი მოქნილობა და დინამიკურობა მისცა ფრაზას (პირდაპირი თარგმანი იქნებოდა: „მეტისმეტი თამამი (ანუ ამაყი) გახადა").

I am very proud („ჰამლეტი");

ამპარტავანი ვარ.

ვხვდებით მეორე სახის ცვლილებებსაც, როცა სხვადასხვა ინგლისურ სიტყვას ერთი ქართული შესატყვისი აქვს:

Since Cassius first whet me against Caesar, I have not slept. („იულიუს კეისარი").

„whet" ნიშნავს გაღიზიანებას, აღძრას, წაქეზებას. ეს სტრიქონები ასე აქვს თარგმნილი მაჩაბელს:

რაც კასიოსმა კეისარზე მე წამაქეზა,
თვალთ ძილი აღარ მქარება.

No, not an oath; if not the face of men,
The sufferance of our souls, the time's abuse,
If these be motives weak (იქვე).

ფიცი რად გვინდა! თუ სირცხვილი კაცთა წინაშე,
ამდენ სულთ ტანჯვა, სიბედშავე ჩვენი ყოფისა
წასაქეზებლად არა კმარა!..

ტექსტშია:

Tempt me no further.
ნუღარ მაქეზებ...

თარგმნის მაჩაბელი აზრისა და განწყობილების მიხედვით.

...So, after Pyrrhus' pause,
Aroused vengence s e t s h i m new a-work („ჰამლეტი").

...ისე პიროსი
განმეორებით წ ა ა ქ ე ზ ა შურისძიებამ.

მაჩაბელი ახერხებს მოუნახოს შექსპირის მდიდარ ლექსიკას ნამდვილი ქართული ადექვატი.

როდესაც მაჩაბლის თარგმანს ვკითხულობთ, სიტყვები პირდაპირ ალბეჭდავენ ჩვენს ცნობიერებაში სახეებს. სიტყვას იგი თარგმნის არა ლექსიკონურად, არამედ აზრობრივად. მაჩაბელი დიდი ოსტატობით ქსოვს სიტყვების მომხიბლავ ქსოვილს და ქართულადაც ორიგინალივით აჟღერებს შექსპირის უკვდავ ქმნილებებს. ხანდახან გხიბლავთ გაბედული გამოთქმები, პირველად მაჩაბლის მიერ გამოყენებული ქართულ ენაში.

Urge me no more, I s h a l l f o r g e t m y s e l f... („იულიუს კეისარი").

დამეხსენ ბრუტოს, ლ ა მ ი ს გ ო ნ ე ბ ა დ ა მ ე ფ ა ნ ტ ო ს.

(პირდაპირი თარგმანი იქნება: „ლამის თავი დამავიწყდეს").

The jealous o'e r w o r n widow and herself... („რიჩარდ მესამე").

ეს და ის ქვრივი, ეჭვიანი, დ რ ო გ ა ც ვ ე თ ი ლ ი
მარტოდ-მარტონი აქ მეფობენ, ნათლიდედობენ.

O' erworn — ზედმიწევნით ამასვე ნიშნავს, ე. ი. უკვე ჟამგადასული, ხანდაზმული ან, სიტყვასიტყვით, გ ა დ ა ც ვ ე თ ი ლ ი ქვრივი. რაკი გლოსტერი აგდებულად ლაპარაკობს დედოფალზე, ქართულად ძალიან კარგად გამოდის აზრი. ვერც ერთი სხვა სიტყვით ვერ გადმოსცემდი ამ აზრს!

იმავე პიესაში ასეთ ფრაზას ვხვდებით;

My Lord of Buckingham, if my weak oratory
Can from his mother win the Duke of York...

„W e a k o r a t o r y" — პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, იქნება „სუსტი მშვერმეტყველება". იგულისხმება, რომ კარდინალს (რომე-

ლიც ამ სიტყვებს წარმოთქვამს) არა აქვს იმედი, დაიყოლიოს იორკის მთავარი. ქართულად ეს სტრიქონებიც შესანიშნავადაა თარგმნილი:

მილორდ ბუკინგამ, თუკი ჩემი მწირმეტყველება,
დაათხოვნინებს თავის დედას იორკის მთავარს...

ომიდან დაბრუნებული, გამარჯვებული მაკბეტი მიმართავს კუდიანებს:

Stay you imperfect speakers, tell me more...

(სიტყვასიტყვით იქნება: შეიცადეთ თქვენ, ვინც არ იცით სათქმელის დასრულება და მაუწყეთ).

მაჩაბელს ასე აქვს თარგმნილი:

აქ შეიცადეთ, სიტყვაძვირნო, ყველა მაუწყეთ...

იმავე პიესაში:

Be not a niggard of your speech...

„Niggard" — ძუნწს ნიშნავს. ეს ფრაზა ასეა თარგმნილი:

ყველა მითხარ, ნუ სიტყვაძვირობ.

ეს გამოთქმა მაჩაბელს ხალხში აქვს გაგონილი. ქართლის სოფლებში ხშირად ამბობენ ხოლმე: „სიტყვაძვირი (ან პურძვირი) კაცია", „წისქვილძვირობა იყო", „წყალძვირობაა" და ა. შ. როგორც ვნახეთ, ეს შესანიშნავი ხალხური გამოთქმა მოხდენილად გამოიყენა მაჩაბელმა თარგმანში და ფრაზას ლაკონიურობა მისცა.

„იულიუს კეისარი" ასე იწყება: მარულოსი ცდილობს ქუჩაში შეყრილი მოქალაქეების გაფანტვას. იგი ყველას სათითაოდ ეკითხება, რა ხელობისა ხარო. მოქალაქენი ენამახვილობენ. განსაკუთრებით ერთი მათგანი, მეჯღანე უპასუხებს ქარაგმებით. მოთმინებიდან გამოსული მარულოსი დაუყვირებს:

— What trade thou knave? Thou naughty knave, what trade?

— Nay I beseech you, sir, be not out with me; yet if you be out, sir, I can mend you.

(სიტყვასიტყვით იქნება: რა ხელობისა ხარ მაინც, საბიზღარო არამზადაჟ, თქვი, რა არის შენი ხელობა?

გთხოვთ, მოთმინებიდან ნუ გამოხვალთ, და თუ მაინც გამოხველით, მე შემიძლია თქვენი დაკურებაჟ.

ახლა ვნახოთ, რა ჩინებულად თარგმნა ეს დიალოგი მაჩაბელმა.

მარუღოსი — მერე რა აქვიან შენს ხელობას, აღარ იტყვი, შე არამზადაჟ

მე-2 მოქალაქე — ნუ გაცხარდები, მოთმინებას ნუ შემოიცვეთ, თორემ ისევ მე გამიხდები დასაკერებელი.

(ამით იგი აგრძნობინებს კიდეც, წალების მკერავი ვარო).

მაჩაბელს ემარჯვება სიტყვის ლაღად მოქნევა, აზრისათვის ნამდვილი ქართული იერის მიცემა და ამიტომაცაა, რომ შექსპირის მაჩაბლისეული პიესები თარგმანის შთაბეჭდილებას არ ტოვებენ. ისინი ორიგინალური ნაწარმოებებივით ჟღერენ. მაჩაბელი უხვად იყენებს ქართულ იდიომატიკას, ინგლისურ იდიომებსა და ანდაზებს მოხდენილად ცვლის ქართული შესატყვისებით.

„ხედავ, გარს როგორ შემოეწყო თითს ეგ ბეჭედი".
„მის მძიმე საქმეთ მე ვზიდავდი ბარგის ცხენივით".
„მაგრამ მან ისე მაწყენინა ცხრაჯერ თუ ათჯერ,
რომ ცოტას გაწყდა, არ ჩავურჩე ფერდში მახვილი".
„ძალნო ციურნო, შეუსმინეთ!.. ვეღარ ვახერხებ
გამოვთქვა ჩემი ნეტარება... ხმა აღარ მომდევს"...
„ენა ამიხსნა ულეველმა ბედნიერებამ".
„ქვეყანას კითხვით შევაჯერებ".
„მე მთხოვენ ხელის გამოღებას და სიტყვის თქმასაც".
„და სიკვდილს არის მიღწეული თითონ კასიოც"
„ეგ არის კასკა, წილჩადებული ჩვენს საქმეში".

და ა. შ. დაუსრულებლად, ყველა პიესაში, ყველა გვერდზე...

We might have met them dareful beard to beard.
And beat them backward home.

(პირდაპირი თარგმანი: ჩვენები რომ არ დახმარებოდნენ, გაბედულად შეხვედებოდით პირისპირ და ცემით დაგირეკდით სახლებში).

თარგმანში ვკითხულობთ:

რომ ჩვენიანებს
იმათთვის მხარი არ მიეცათ, მაშინ ხმალდახმალ
შეეებრძოდით და სულ კუდით ქვას ვასროლინებდით.

მაჩაბელი ცდილობს აზრი ყველგან თავისუფლად იშლებოდეს, ყოველი გამოთქმა ბუნებრივი იყოს ქართული ენისათვის. ამიტომაც იგი ძალიან ხშირად ინგლისურ ანდაზებს ქართულით ცვლის ხოლმე. ეს ასეც უნდა მოხდეს. ზოგიერთი ანდაზა მოარულია და ის, რაც თქმა უნდა, პირდაპირ ითარგმნება (მაგ. „ახალი ცოცხი კარგად გვის"... „ჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს" და ა. შ.), სხვა შემთხვევაში კი სათარგმნი ანდაზა უნდა შეიცვალოს იმავე აზრისა და განწყობილების გამომხატველი საკუთარი ანდაზით. ვერ გამოვიყენებთ მხოლოდ ისეთ ანდაზებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ ან ისტორიულ სახელებთან.

„ჰამლეტში" ასეთ გამოთქმას ვხვდებით.

I do not set my life at a pin's fee (ქინძისთავის საფასურსაც არ მივცემ სიცოცხლეში).

თარგმნილია ასე:

ჩემი სიცოცხლე ჩალის ფასად არ მიმაჩნია.

იქვე:

While the grass grows... (და წყდება სათქმელი).

ეს არის ცნობილი ინგლისური ანდაზის პირველი ფრაზა: „ვიდრე ბალახი გაიზრდებოდეს, რაში შიმშილით მოკვდებაო"

თარგმნილია ასე:

პავლეს ტყავს გააძრობენ, სანამ...

კიდევ ერთი მაგალითი, აქაც ინგლისური გამოთქმა შეცვლილია ქართულით:

But yet I run before my horse to market.
Clarence still breathes; Edward still lives and reigns.
When they are gone, then must I count my gains.
(„რიჩარდ მესამე").

მაგრამ რას ვჩამახაე, ურემს ხარებს უკან რად ვუბამ!
კლარენს ჯერ სუნთქავს, ედვარდ მეფეც ცოცხალი არის,
როს გაისტუმრებ, მონაგები მაშინ ავნუსხო.

შექსპირის ენისათვის დამახასიათებელია წინადადების ლაკო-

ნიურობა-და სხარტულობა. მისი-ფრაზა ყოველთვის მოქნილია. ამავე დროს მსუბუქი და უბრალო, არაპათეტიკური (მცირე გამონაკლისს გარდა). მაჩაბელი ოსტატურად სძლევს ამ სიძნელესაც, ხშირად ალფრთოვანებაში მოდიხარ, როცა მაჩაბლის რომელიმე ფრაზას დედანს ადარებ; თარგმნილ ფრაზებში იგრძნობა სიცოცხლე, დინამიკურობა, უაღრესი ლაკონიურობა და სხარტულობა.

Sir, praise me not.
My work hath yet not warm'd me. („კორიოლანოსი").

ტყუილად მაქებ,
ჯერ რიგიანად ომის ცეცხლი არ მომდებია.

The bow is bent and drawn, make from the shaft. („ლირი").

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფრთხილდი ისარს.

So let high-sighted tyranny range on
Till each man drop by lottery. („იულიუს კეისარი").

დეე, გაზნექავდეს მტარვალობა ქედს წამომჯდარი,
ვიდრე სიცოცხლეს თითო-თითოდ არ მოვაკლდებით.

Grim=visaged war hath smoothed his wrinkled front.
(„რიჩარდ მესამე").

აწ, თითქო ომმა, შეჰმუხვნილმა, გაიხსნა შუბლი.

Take up the sword again, or take up me. (იქვე)

აიღე ხმალი, ან მე- მკუდრეთით ზე-ადმადგინე.

Our fatlierlese distress was left unmourned. („მაკბეტი").

ჩვენ ობლად დავრჩით და არავინ არ გვისამძიმრა.

Players in your housewifery, and housewives in your beds.
(„ოტელო").

ცუდად ლაყბობთ მასპინძლობის დროს
და მასპინძლობა კარგი იცით მხოლოდ ლოგინში.

First, if all obstacles were cut away,
And that my path were even to the crown... („რიჩარდ მესამე“).

ჯერ ყოველივე დაბრკოლებაც რომ ამაცილონ
და გამიაჯდეს გვირგვინამდე მისასვლელი გზა...

მაჩაბლის თარგმანების ერთ-ერთ უდიდეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს აზრის სინათლე. მის თარგმანებში ვერსად ვერ შეხვდებით ბუნდოვან, დახლართულ, ბნელ და გაუგებარ სტრიქონებს. მისი ენისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სინტაქსის ბუნებრიობა და სილაღე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო ფაქტი: მაჩაბელი ცდილობს აზრი სტრიქონის ბოლოში დაამთავროს და არ გადაიტანოს იგი მომდევნო სტრიქონის პირველ მუხლში. ეს თავის მხრივ ხელს უწყობს აზრის სინათლესა და სილაღეს.

მაჩაბლის ენა და აზროვნება იმდენად რეალისტურია, რომ იგი ხშირად ორიგინალის ბუნდოვან ადგილებსაც ნათელსა ჰფენს, ცდილობს აუხსნელი არ დატოვოს ორიგინალის შეკვეცილი აზრი. ხშირად შექსპირის ფრაზა მკვლევართა დავას იწვევს. მაჩაბელი ცდილობს ყველგან გახსნას ფრჩხილი და უნდა აღინიშნოს, რომ იგი იჩენს გენიალურ მიხვედრილობასა და ინტუიციას. მოვიტანოთ მაგალითი:

This avarice
Sticks deeper; grows with more pernicious root'
Than summer-seeming lust. („მაკბეტი“).
(სიტყვასიტყვით: სიძუნწე უფრო ღრმად მიდის და მაუნებელ ფესვს უფრო ღრმად იდგამს, ვიდრე ზაფხულის მსგავსი ვნება).

მკითხველისათვის გაუგებარი რჩება, რითი ჰგავს ვნება ზაფხულს. შექსპირის კომენტატორებს სხვადასხვაგვარი მოსაზრებანი აქვთ ამაზე. ზოგი მიუთითებს ზაფხულის მცხუნვარებას და ამით ამსგავსებს ვნებას. ეს ადგილი უველა თარგმანში ასევე ბუნდოვანია, როგორც ორიგინალში.

მაჩაბელი თარგმნის:

სიძუნწე უფრო ღრმად სჭრის კვალსა და მავნებელ ფესვს
უფრო ღრმად იდგამს, ვიდრე ვნება ზაფხულებრ მოკლე.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელმა გახსნა ფრჩხილი და ნაგულისხმევი აზრი დაამთავრა.

რომ მაჩაბლის ინტუიცია არ შემცდარა და რომ შექსპირი ნამდვილად ამით ამსგავსებს ვნებას ზაფხულს, ამას ამტკიცებს შექსპირის ერთი ლექსიც „ვენერა და ადონისიდან“:

Love comforteth like sunshine after rain,
But Lust's effect is tempest after sun;
Love's gentle spring doth always fresh remain.
Lust's winter comes ere summer half be done.

ამ ლექსში დაპირისპირებულია წმინდა სიყვარული და ვნება. სიტყვასიტყვით თარგმანი ასეთი იქნება: სიყვარული წვიმის შემდეგ მზის გამოჩენასავით ტკბილია. ვნება ქარიშხალს ჰგავს, მზიანი დარის შემდეგ ატეხილს; სიყვარულის გაზაფხული მარად ახალი და ნორჩია, ვნების ზაფხული (კი მოკლეა) შუაზე მისვლასაც ვერ ასწრებს, უმალვე მოსპობს ზამთარი.

ახლა ძნელი სათქმელია, მთარგმნელი ინტუიციით მიხვდა ორიგინალის ნამდვილ აზრს, თუ ზემოხსენებულმა ლექსმა განუმარტა მას ტრაგედიის ბუნდოვანი ადგილი...

მეორე მაგალითი:

...Thy royal father
Was a most sainted king: the queen that bore thee,
Oftener upon her knees, than on her feet
Died every day she lived.

აქაც არ არის აზრი დამთავრებული და კომენტატორები ამ ადგილს სხვადასხვანაირად ხსნიან. მაჩაბელი ამთავრებს აზრს და დასრულებულ ფრაზას გვაძლევს.

სხვა მეფეთ შორის, უწმინდესი მამა გყავდა შენ
და დედოფალი, დედაშენი, მუხლის თავებზე
ლოცვით და მარხვით ლევდა მშვიდად ცხოვრების დღეებს

ხაზგასმული სიტყვები მაჩაბლის ჩამატებულია, ორიგინალში ნახსენები სულაც არ არის.

ზოგან ორიგინალის ტექსტი ნათელია და მკითხველისათვის გასაგები. მაჩაბელი მაინც შლის აზრს, მოქმედებისა და დიალოგის სიცხოველისათვის უმატებს სიტყვას და ხშირად ძალიან მარჯვედაც:

I a g o — Yet be content.
O t h e l l o — O, blood, blood, blood.

ი ა გ ო — გთხოვთ, რომ დამშვიდდეთ,
ო ტ ე ლ ო — სისხლი, სისხლი, სისხლი მწყურია.

ორიგინალში ოტელო ამბობს: სისხლი, სისხლი, სისხლი. „მწყურია" — მაჩაბლის ჩამატებულია.

იმისათვის, რომ აზრის სინათლე დაიცვას და მკითხველთან მკაფიოდ მიიტანოს ავტორისეული აზრი, მაჩაბელი ხშირად ცვლის ორიგინალის სიტყვებს. ერთი შეხედვით, თითქოს თავისუფლად თარგმნის. მაგრამ სინამდვილეში, სწორედ ამ „თავისუფალი" თარგმნით უახლოვდება ორიგინალს.

ჰამლეტში ასეთ ადგილს ვხვდებით:

P o l o n i u s — Will you walk o u t o f the air, my lord?
H a m l e t — Into my grave?
P o l o n i u s — Indeed that is o u t o' th' a i r.

პოლონიუსი ვერ მოუგებს ჰამლეტს ენამახვილობაში და, ბოლოს, რომ როგორმე თავიდან მოიშოროს იგი, მიმართავს, ხომ არ გაიცლითო.

აქ ეს გამოხატულია გამოთქმით „o u t o f the a i r", რომელიც. სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, იქნება: ამ ჰაერიდან, ამ ოთახიდან ხომ არ წახვალთო. - საფლავში? - ჰკითხავს ჰამლეტი.

მართლა რომ ეგეც ამ ჰაერიდან წასვლა იქნებოდა — უპასუხებს პოლონიუსი.

პირდაპირ რომ ეთარგმნა მაჩაბელს ეს სიტყვები, როგორც აქა გვაქვს მოტანილი. უაზრობა იქნებოდა და მკითხველი ვერ გაიგებდა ავტორის ჩანაფიქრს როგორც აღვნიშნეთ, მაჩაბელმა აქ თავი-

სუფალი თარგმანი აირჩია და სწორედ ამით დაუახლოვდა ორიგინალს. მოჩვენებითი დაშორებით იგი უფრო ახლო მივიდა ავტორის ტექსტთან.

მაჩაბელს ასე აქვს გადმოტანილი:

პ ო ლ ო ნ ი უ ს ი — ქ ვ ე ვ ი თ ჩაბრძანებას ხომ არ ინებებთ, ბატონო ჩემო?

(ისინი ამ დროს სასახლის დარბაზში არიან).

კ ა მ ლ ე ტ ი — საფლავში?

პ ო ლ ო ნ ი უ ს ი — მართლა რომ ეგეც ქვევით ჩაბრძანება იქნება.

შემდეგ:

This blows my heart

I f s w i f t thought break it not, a s w i f t e r m e a n

Shall o u t s t r i k e t h o u g h t... („ანტონიოსი და კლეოპატრა").

გასკდა ეს გული თუკი ელდა მთლად არ მომიდნობს,
სხვა გამოჩნდება ღონე თვითონ ელდაზე სწრაფი.

„Swift thought" ნიშნავს სწრაფად ფიქრს, ფიქრის გაელვებას.

„ანტონიოს და კლეოპატრაში" ანტონიოსი მიმართავს სკაროსს. სისხლი გდისო. იგი უპასუხებს:

I had a wound here that was like a t
But now it is made an H.

ე. ი. ჭრილობა მქონდა პატარა, t მსგავსი, ახლა კი H ოდენა გახდაო.

თარგმანში ვკითხულობთ:

პო, აქ ჭრილობა მქონდა ქ ე რ ი ს მ ა რ ც ვ ე ლ ი ს ოდენი,
და აწ პირი ქნა...

თუ რამდენად ნათელია თარგმნილი სტრიქონები, როგორი ბუნებრივი ქართულით აგებს მაჩაბელი სინტაქსს, რა თავისუფალი და ლაღია მისი თხრობა, ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც კი გადაიკითხავს შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანებს. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

## I. ანტონიოსის მონოლოგი „იულიუს კეისრიდან".

რომაელებო, ჩემნო თანამემამულენო
და მეგობრებო, მომისმინეთ, მე აქ კეისრის
დასაკრძალავად მოვსულვარ და არა საქებრად!
ადამიანის ავი საქმე მის შემდეგ ცოცხლობს,
კეთილი ხშირად იმარხება იმის ძვლებთანვე, —
ეს იყო ხვედრი კეისრისაც. კეთილშობილმა
ბრუტოსმა გითხრათ, მედიდური იყოო იგი.
მედიდურობა საშინელი ნაკლია და თუ
ასეთი იყო, საშინლადვე ყო დასჯილა.
აქ ბრუტოსის და მის მეგობართ ნებადართვითა —
პატიოსანი არის ბრუტოს, ეს კარგად იცით,
აგრეთვე სხვებიც, სხვებიც ყველა, რაღა თქმა უნდა, —
მე მსურს კეისრის დამარხვის წინ სიტყვით მოგმართოო.
ის იყო ჩემი მეგობარი სწორი, ერთგული,
თუმცა ბრუტოსი ამბრალებს მას მედიდურობას,
და ბრუტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი.
კეისარს რომში მრავალი ტყვე მოუყვანია,
ეს სახელმწიფო გაესილა მათ შესასყიდ ფულით
და იქნება ეს ამტკიცებდეს მედიდურობას!
როს გაჭირვებულს განიცდიდა, ცრემლით ტიროდა,
ცრემლი მედიდურ ბუნების კაცს, ეგონებ, არ ჰყურობს,
მაგრამ ბრუტოსი ამბობს — იყო მედიდურიო,
და ბრუტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი.
ბრუტოსის ნათქვამს არც ვამტყუნებ, მას ვამბობ მხოლოდ,
რაც თვით მე ვიცი, კეისარი გიყვარდათ ერთ დროს,
ალბათ, მიზეზიც გქონდათ მისთვის. აწ, რაღა გიშლით,
რომ ცრემლი მაინც დაყაროთ? ოჰ, კაცის ჭკუაე,
შენი სამყოფი გაგიშვია და გადასულხარ
ნადირ-მხეცებში, — პატარა ხანს, გთხოვთ, დამაცადოთ,
გული და გრძნობა გამეპარა კეისრის გვამთან,
უნდა ველოდოთ, ვიდრე ეკან დამიბრუნდება.

## II. ოტელოს ორი მონოლოგი.

სიდარბაისლით, სიძლიერით სახელგანთქმულნო,
კეთილშობილნო და სულდიდნო უფალნო ჩემნო!
მართალი არის, მე მოვტაცე ამ მოხუცს ქალი;
ისიც სწორია, რომ მეც იგი ცოლად შევირთე, —
ეს არის ჩემი შეცოდების თავი და ბოლო.
სიტყვა-პასუხი მკადრე მაქვს და კაზმულ ლაპარაკს,
შვიდობიანის დროს შესაფერს, მოკლებული ვარ,

რადგან მას აქეთ, შვიდი წლისა რაც-კი შევიქენ,
დღევანდელ დღემდე, გარდა ამ ცხრის თუ ათის თვისა, —
რაც-კი ამ მკლავთა ღონე იგრძნეს, მათთვის სანუკვარ
საქმედ შეჰქმნიათ ვარჯიშობა საომარ ველზე.
ძრა ვიცი-რა ამ დიდებულ ქვეყნის ბრუნვისა,
რაც-კი ბრძოლას და ვაჟკაცობას არ შეეხება
და, ეგონებ, ჩემს თავს დამცველად ვერ გამოვადგები;
მაგრამ თუკი თქვენ მოთმინებას და ნებას დამრთავთ,
მე სიყვარულის ზრდას მოგითხრობთ თავით ბოლომდე
უბრალო ენით და სიტყვების შეუხამებლად,
მოგითხრობთ, რაკი მაბრალებენ, თუ რა წამლებით,
როგორის გრძნობით, რა თილისმით ან ჯადოსნობით
შევძელ მე მაგის ქალიშვილის გულის მოგება.

ჯერ შეიცადეთ:

ვიდრემდე წახვალთ, მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა;
მე ვენეციის სახელმწიფოს გამგებელთათვის
გამიწევია სამსახური, — თითონ იციან;
მაგრამ ამაზე არას ვამბობ, მე გთხოვთ მას მხოლოდ,
თქვენს წერილებში რომ აუწყებთ ამ ბედშავ ამბავს,
მიწოდეთ იგი, რაცა ვარ მე: ნურც რას მოუკლებთ
და ნურც არაფერს მოუმატებთ გაბოროტებით,
სთქვით, იცოდა-თქო სიყვარული მან ჭეშმარიტი,
თუმც არაბრძნული; ვერ სძლევდა-თქო ეჭვი ადვილად,
მაგრამ რაკი გულს აუსებდნენ ეჭვიანობით,
მიაღწევდა-თქო უკიდურეს მრისხანებამდე,
სთქვით, მსგავსადა-თქო უგუნურის ინდიელისა,
შორს გადასტყორცნა მარგალიტი უძვირფასესი
მთელს იმის თემზე; იმის თვალთა, დამონებულთა,
ტირილს არჩვეულთ უხვად ცრემლი გადმოსდიოდათ,
როგორც ჭიში-თქო სამკურნალო არაბეთის ხეთ..,
ეს უველაფერი აცნობეთ მათ და დაუმატეთ,
რომ როცა ერთხელ ალეპოში ოსმალო ვინმე,
თავს რიდედგმული, სიამაყით გულზე მოსული
ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას
უშვერის სიტყვით აგინებდა, — მიესწედი მე ყელში
იმ ქოფაკს ძაღლსა, წინდაცვეთილს, და დავკალ ასე.

## III. „ჰამლეტიდან“.

მძვინვარე პიროსს, აღშურფილსა შავის ფარხმალით,
მსგავსით მის შავის განზრახვისა და შავის ღამის,
როს იგი იწვა შავბედითის ხის ცხენის გუამში,
ახლა თავისი საშურველი, შიშის აღმძერელი,

უფრო საზარელ სამკაულზე გადაუცვლია
წითელი სისხლით შეღებილა თავით ფეხამდე,
ვამათა სისხლით, დედათ სისხლით, სისხლით ქალ-ვაჟთა,
გამოწრთობილა ფოლადივით ქუჩების ცეცხლში,
რომელთ წილად ხედათ მამხილებლის წყეულის შუქით
გზის განათება თავიანთის მეფის მკვლელისა.
პიროს, მძვინვარე ჯოჯოხეთის ცეცხლით და რისხვით,
თვალთ ნაპერწკლების გამომცემი, სისხლით შესვრილი,
ეძებს მოხუცის მამამთავრის ფრიამის კვალსა.
აგერ, მიაგნო მოხუცს პრიამს, იგი ამეამად
უღონოდ ქმნილი ბერძენთა გმირს ვეღარას აკლებს
და იმის მკლავსა აღარ ერჩის ბეჭერი ხმალი.
აგერ პიროსი მისწვდა კიდეც გაცოფებული,
უძლურსა პრიამს, მოუქნია ხმალი ძლიერად
და მარტო ხმალის მიმოქნევის ქარმა, ზუილმა
ღონემიხდილსა მოხუცებულს მუხლი მოჰკვეთა.
ეს იგრძნო თითქო ილიონმა, მიყუჩებულმა,
ცეცხლი მოედო მის შენობებს საძირკვლებამდე
და ნგრევის ჰქონ წუთისვე პიროსს სმენა მიჰხადა.
აგერ მის ხმალი, რომლის დაკვრას ლამობდა იგი
მოხუცებულის პრიამისა ჰაღარა თავსა.
თითქოს ჰაერში დაეკიდოთ. თვითონ პიროსი
უძრავადა. დგას, დახატულის მტარვალის მსგავსად,
თითქო მოესპოთ მისთვის ნებაც და ძლიერებაც.
მაგრამ ვით ხშირად წვიმა-ავდრის და ქუხილის წინ
ცასა და მიწას მყუდროება მოეფინება,
ჩადგება ქარი და ღრუბელნიც დაწუნარდებიან,
და ვით უეცრად საზარელი ჰქონ-ქუხილი
გააპობს ხოლმე დედამიწას — ისე პიროსი
განმეორებით წააქეზა შურისძიებამ
მისის საშინელ განზრახვისა ასასრულებლად.
ციკლოპს ჩაქუჩი არ დაუკრავს ისე გულგრილად,
როდესაც იგი ჰარსს უპყრია მტკიცე საჭურველს,
ვით პრიამს ხმალი სისხლიანი დასცა პიროსმა.
ჰოი, შენ, ბედო უხამუსო! ოჰ ზეცის ძალნო,
ერთად შეცრბენით და წაართვით მას ძლიერება.
მილეწ-მოლეწეთ მისის ჩარხის სოლი და ფერსო
და მორგეი ზეცით დაუგორეთ, თუნდ ქვეყნელამდე...

ასეთი მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა.

აქვე განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი. იცავს თუ არა მაჩაბელი ზედმიწევნით ორიგინალის სტრიქონების რაოდენობას ცალ-

კეულ მონოლოგებსა და დიალოგებში? აზრის სინათლესა და დინამიკურობას ხომ არ ეწირება სტრიქონთა რაოდენობის დაცვა? ან არის თუ არა საჭიროებულო მტკიცედ დავიცვათ სტრიქონთა რაოდენობა?

ფორმით წინასწარ განსაზღვრულ ნაწარმოებში, რა თქმა უნდა, აუცილებელია სტრიქონთა რაოდენობის დაცვა. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთ ნაწარმოებებში ჩვენ მიერ ნასესხებ საერთო განწყობილების შექმნას ესეც უწყობს ხელს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გაიზარდოს სტრიქონთა რიცხვი ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდში“ ან „დონ ჟუანში“, შექსპირის სონეტებში, დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, და ყველა იმ პოეტურ ქმნილებაში, სადაც მტკიცედ არის განსაზღვრული სტროფებში ან ცალკეულ თავებში სტრიქონების რაოდენობა. ამიტომ ასეთი ნაწარმოებების თარგმანებში ხშირად ცალკეული სიტყვები და ფრაზები იკარგება ხოლმე.

ყოველად შეუძლებელია ვინმემ მოახერხოს და „ჩაილდ ჰაროლდის“ თარგმნილ სტროფში ჩასტიოს ორიგინალის ყოველი ფრაზა, ეპითეტი, შედარება, აზრი, სახე. ამ დროს ის მთარგმნელი იქნება გამარჯვებული, ვინც მოახერხებს და უფრო მეტს გადმოიტანს — ორიგინალის ნიუანსს, ისე რომ აზრი არ დააბნელოს.

შექსპირის პიესების, პუშკინისა და ბაირონის დრამატული პოემების და ზოგიერთი სხვა ნაწარმოების თარგმნისას თვითმიზნად არ უნდა გავიხადოთ სტრიქონების მტკიცედ დაცვა. სხვანაირად რომ ვთქვათ, სტრიქონების რაოდენობის დაცვა თვითმიზნად არ უნდა გავიხადოთ ისეთი ნაწარმოების თარგმნის დროს, რომლის ავტორსაც თვითონ არ ჰქონია განზრახული თავიდან, რამდენი სტრიქონი უნდა ყოფილიყო მისი პიესის მონოლოგი ან მისი პოემის რომელიმე თავი.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სავსებით შეუზღუდველი ვიყოთ და ორიგინალის 4 სტრიქონის ნაცვლად თარგმანში 8 სტრიქონი გაჩნდეს, როგორც ამას სჩადის ზოგიერთი მთარგმნელი და რასაც, სხვათა შორის ვხედებით „მეფე ლირის“ ქართულ თარგმანშიც. ასე არც მოხდება. მხედველობაში გვაქვს ცალკეულ მონოლოგებსა და დიალოგებში სტრიქონების სიზუსტე. თუკი თარგმანი კარგი და მაღალმხატვრულია, საბოლოოდ დაახლოებით თანაბარი რაოდენობისა გამოვა სტრიქონები. საქმე ისაა, რომ

ენათა თავისებურების გამო, ამასთან აზრის სინათლისათვის ზოგჯერ საჭირო ხდება სტრიქონთა რაოდენობის მცირედ გაზრდა. ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგანაც იმავე თავისებურების გამო ორიგინალის ზოგიერთი სხვა ადგილი თარგმანში უფრო სხარტულად გამოდის სტრიქონთა შემცირების ხარჯზე და საბოლოოდ თითქმის სტრიქონების თანაბარ რაოდენობას მივიღებთ. ამიტომაც მაჩაბელი არჩევს აზრი გადმოიტანოს სრულიად ნათლად, თუნდა ამას შეეწიროს სტრიქონების რაოდენობის ზუსტად დაცვა. ავიღოთ ერთი მაგალითი „ოტელოდან":

E m i l i a — A halter pardon him! and hell gnaw his bones!
Why should he call her whore? who keeps her company?
What place? what time? what form? what likelihood?
The Moor's abused by some most villainous knave,
Some base notorious knave, some scurvy fellow.
O heaven, that such companions thou'ldst unfold,
And put in every honest hand a whip
To lash the rascals naked through the world
Even from the east to the west.

ე მ ი ლ ი ა — დეე, შეუნდოს საბრჩობელამ და ჯოჯოხეთმა
დაუღრღნას ძვალნი! უნამუსო რისთვის უწოდა?
ამასთან, აბა, ვინ უნახავთ? სად, როდის, როგორ?
ან უნამუსოს რა მიუგავს? მაერს უეჭველად
ატყუებს ვინმე საზიზღარი, ურცხვი არსება,
სიავკაცითა გახთუპნული! ჰოი, ზეცაო,
ახადე ფარდა ამ ავაზაკთ და მათ სასჯელად
ბიეც მართალ კაცთ სათითაოდ ხელში მათრახი,
რომ დააშიშვლონ იგი ბილწნი არამზადანი,
აღმოსავლეთით დაირეკონ დასავლეთამდე
და ტყავი აძრონ გაცხარებულ მათრახის ცემით.

აზრის სინათლესა და შინაარსის მთლიანად გადმოტანას მაჩაბელმა აქ ანაცვალა სტრიქონების მომატება, ორიგინალის 9 სტრიქონის ნაცვლად თარგმანში, როგორც ვხედავთ, 11 სტრიქონია. ეტყობა, სხვაგვარად ვერ მოახერხა. ეს ბუნებრივიცაა: „H e l l" — ერთმარცვლოვანი სიტყვაა, მისი ქართული ადექვატი „ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი" კი — ოთხმარცვლოვანი; „h a l t e r" — ორმარცვლოვანია, მისი ქართული შესატყვისი „ს ა ხ რ ჩ ო ბ ე ლ ა" კი — ოთხმარცვ-

ლოვანი და ა. შ. რომ წინასწარ შეეზღუდა მაჩაბელს თავი სტრიჭონთა რაოდენობის დაცვით, მიეიღებდით ბუნდოვან სტრიჭონებს, გაუმართავ სინტაქსს, ანდა ამოვარდებოდა რომელიმე ფრაზა.

სამაგიეროდ ახლა ვნახოთ მეორე ადგილი ამავე ტრაგედიიდან.

Like to the pontic sea,
Whose icy current and compulsive course
Ne'er feels retiring ebb, but keeps due on
To the Propontic and the Helespont.
Even so my bloody thoughts, with violent pace,
Shall ne'er look back ne'er ebb to humhle love,
Till that a capable and wide revenge
Swallow them up — Now, by yond marble heaven
In the due reverence of a sacred vow
I here engage my words.

როგორც პონტოს ზღვის ცივნი ზვირთნი, გატაცებულნი,
მისდევენ ერთ გზას პროპონდიტს და ჰელესპონტისკენ,
არ შეიმჩნევენ თავის დღეში კლება-მცირებას, —
ისე მედგარნი, მოსისხლენი ზრახვანი ჩემნი
უკან ვერ წავლენ, სიყვარულს არ შეუდრკებიან
და შთანთქავს იმათ შურისგება ყოველად ძლიერი!
ამ მარმარილოს მსგავსად გაშლილ ცის ქვეშ ფიცსა ვდებ,
ვდებ წმინდა ფიცსა, შევასრულო ეს აღთქმა ჩემი.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ორიგინალის 10 სტრიქონის ნაცვლად ქართულად 8 სტრიქონი გვაქვს, ისე რომ აზრი არც გამოტოვებულია და არც ბუნდოვანი.

კიდევ ერთი მაგალითი „მაკბეტიდან“:

M a c b e t — Avaunt! And quit my sight! Let the earth hide thee!
Thy bones are marrowless, thy blood is cold;
Thou hast no speculation in those eyes
Which thou dost glare with.

იქით! თვალთაგან მიმეფარე! მიწამ ჩაგბალოს!
შენს ძვლებში ტვინი აღარ არის, სისხლი ცივი გაქვს
და მზედეელობაც აკლია შენს ბრჭყვიალა თვალებს.

ორიგინალის 4 სტრიქონის ნაცვლად თარგმანში 3 სტრიქონია. აქაც არაფერია გამოტოვებული და შეკვეცილი.

მაჩაბელი მარჯვედ სარგებლობს ქართული ენის განუსაზღვრელი სიმდიდრითა და შესაძლებლობით. უპირველეს ყოვლისა, სარგებლობს ჩვენი ზმნის საოცარი ელასტიკურობითა და მოქნილობით. ხშირად იგი გაბედულად იყენებს ამ შესაძლებლობას და ისეთ სიტყვას მოაქცევს ხოლმე ზმნის ფორმაში, რაც ლიტერატურაში ძალიან იშვიათად, ან სულაც არ ხმარებულა. საინტერესო ის არის, რომ ზმნის ასეთ ფორმებს მაჩაბელი მარტო თარგმანებში კი არ იყენებს, მის პუბლიცისტურ და კერძო წერილებშიაც ვხვდებით ასეთ შემთხვევებს: „გულწრფელმა კაცმა მარტო სხვის შესახებ კი არ უნდა ი გ უ ლ წ რ ფ ე ლ ო ს“... „ევროპული განათლება ვერ გ ა ვ ი ძ ვ ა ლ რ ბ ი ლ ე თ“... „ყველგან უნდა ი პ ი რ ვ ე ლ ო ს“... „რისთვის გინდა გ ა მ ა გ უ ლ ჩ ვ ი ლ ო?...“ — და სხვა. იგი უხვად ხმარობს აგრეთვე ისეთ მოხდენილ ხალხურ გამოთქმებს, რაც ფრაზას ლაკონიურობასა და სხარტულობას აძლევს. მაგ., „იმისი ქცევა უ ჩ ე მ ს ი ტ ყ ვ ო დ ა ც ყოველისფერს გამოამეღავნებს“... „ბ უ ნ ე ბ ა წ ა მ ხ დ ა რ ი პირუტყვი“... „შენ კი იცოცხლო, დედოფალო, უ მ ა გ დ ი დ ე ბ ო დ“... „თ ა ვ ი მიზეზი შენ იქნები“... და სხვა.

სტრიქონთა თანაფარდობის მიხედვით ქვემოთ დასახელებულ ოთხ ტრაგედიაში ასეთი სურათი გვაქვს:

ო ტ ე ლ ო: — ორიგინალში 2670 სტრიქონია, თარგმანში — 2746, ე. ი. 76 სტრიქონით მეტი.

ი უ ლ ი უ ს კ ე ი ს ა რ ი: — ორიგინალში 2222 სტრიქონია, თარგმანში — 2122, ე. ი. 100 სტრიქონით ნაკლები.

მ ა კ ბ ე ტ ი: ორიგინალში 1928 სტრიქონია, თარგმანში — 2015, ე. ი. 87 სტრიქონით მეტი.

ჰ ა მ ლ ე ტ ი: ორიგინალში 2650 სტრიქონია, თარგმანში — 2668, ე. ი. 18 სტრიქონით მეტი.

(ყველგან ნაანგარიშევია მხოლოდ ლექსის სტრიქონები, პროზაული ტექსტების გამოკლებით).

მხოლოდ „მეფე ლირია“ გამონაკლისი. ამ ტრაგედიაში მონოლოგები ხშირად ერთიორადაა გაზრდილი და ეს ტექსტზეც ახდენს გავლენას. თარგმანში ხშირად ჩამატებულია ეპითეტები და ფრაზებიც. ეს უთუოდ იმით უნდა აიხსნას, რომ „მეფე ლირი“ ილიასა და მაჩაბლის პირველი თარგმანია, შესრულებული ახალგაზრდობის დროს.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მაჩაბელი იოლი გზით მიდიოდეს და არავითარ ანგარიშს არ უწევდეს სტრიქონთა რაოდენობის დაცვასა და ფრაზების ზუსტი თარგმნით გადმოტანას. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობს მტკიცედ დაიცვას ორიგინალის სტრიქონთა რაოდენობა, მოგვცეს სიტყვის პირდაპირი, ლექსიკონური თარგმანი. მაგრამ თუ ამით ოდნავადაც კი ბნელდება აზრი, ან იკარგება რაიმე სახე ან შედარება, იგი უყოყმანოდ არჩევს სტრიქონების გაზრდას, სიტყვის ან ფრაზის თავისუფალ თარგმანს. იმის დასასაბუთებლად, რომ მაჩაბელი უდიდეს ანგარიშს უწევს ფორმას, საკმარისი იქნება მოვიტანოთ მაგალითი „ანტონიოს და კლეოპატრადან“:

To hold you in perpetual amity.
To make you brothers, and to k n i t your hearts
With an unslipping k n o t. take Antony
Octavia to his wife.

ხაზგასმული სიტყვები „knit“ და „knot“ ფონეტიკურად ერთმანეთს ჰგავს. მაჩაბელს ასე აქვს თარგმნილი:

... რომ საუკუნოდ
დამყარდეს ძმობა, მეგობრობა თქვენ ორთა შორის
და მკვიდრ კ ა ვ შ ი რ ი თ დ ა კ ა ვ შ ი რ დ ე თ, —
ანტონიოსმა ცოლად შეირთოს ოქტავია.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი ცდილობს ნაწარმოების შეუნარჩუნოს ფორმალური, ამ შემთხვევაში ტექსტისათვის სრულიად უმნიშვნელო სილამაზეც კი.

შექსპირის პიესების ერთ-ერთი შესანიშნავი თვისება არის აგრეთვე დიალოგის საოცარი მოქნილობა და დინამიკურობა. კითხულობთ მის ტრაგედიებსა და კომედიებს და არსად არ იგრძნობთ რაიმე შეფერხებას, ყველა სიტყვა, ყოველი ფრაზა მჭიდროდ ნაჭსოვია, არსად არ წყდება. საუბრის ძაფი. მთარგმნელი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკცეს ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს: შექსპირის დიალოგის თარგმნა ერთ-ერთი უძნელესი პრობლემაა მთარგმნელისათვის.

მაჩაბელი ამ შემთხვევაშიაც შექსპირის კონგენიალია. იგი ღრმად

გრძნობს სიტყვას და დიალოგის მდინარებას. მისი თარგმანებიც შეუფერხებლად იკითხება, არც აქ წყდება საუბრის ძაფი. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

I „რიჩარდ III“.

მარგარიტა. ...შენ დედაშენის ორსულობის ცილისწამებავ.
მამაშენისა სამარცხვინო შთამომავალო,
პატიოსნების დალეკილო, ნაგლეჯ-ნაფლეთო,
ყოველად საზიზღო...
გლოსტერი. მარგარიტა!
მარგარიტა. რიჩარდ!
გლოსტერი. რა გინდა?
მარგარიტა. — მე შენ არ გიხმობ!
გლოსტერი. უკაცრავად, ასე მეგონა,
რომ მაგ უწმაწურ სახელებით მე მიწოდებდი.
მარგარიტა. შენ გიწოდებდი, მაგრამ პასუხს როდი ველოდი.
აღარ დამაცდი მოვადევნო ამ წყევლას ბოლო?
გლოსტერი. აკი მე ბოლო მოვადევნე, ვთქვი „მარგარიტა“.
მარგარიტა. მაშ შენი წყევლა ისევ შენვე დაგიბრუნდება.

აქ საინტერესოა ის, რომ მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 სტრიქონი, ე. ი. ყველაზე დაძაბული ადგილი დიალოგში — ერთ სტრიქონს, 14 მარცვალს შეადგენს. ამით მაჩაბელმა ორიგინალის დინამიზმი და დაძაბულობა შეუნარჩუნა თარგმანს. ასე რომ არ იყოს, უსათუოდ შენელდებოდა დიალოგის დინამიკურობა და სიცხოველე.

II. „ჰამლეტი“.

ჰორაციო. (მიმართავს აჩრდილს)
მითხარი რამე, დადეგ, დადეგ! მითხარი რამე!
არსად გაუშვა ეგ, მარცელუს!
(აჩრდილი გარბის)
მარცელუს. მახვილი დაეკრა?
ჰორაციო. თუ არ გაჩერდეს, დაკარ!
ბერნარდო. აგერ!
ჰორაციო. აგერ, აქ არის!

III. „ოტელო“.

ოტელო. ...მხოლოდ ამას კი მოწიწებით ვითხოვ მე ხქვენგან,

რომ ჩემს მეუღლეს მისცეთ სარჩო-საცხოვრებელი
ისე, ვით ჰფერობს მაგის მაღალ შთამომავლობას,
მ თ ა ვ ა რ ი. გსურთ თავის მამის სახლში იყოს?
ბ რ ა ბ ა ნ ც ი ო. ეგ მე არა მსურს!
ო ტ ე ლ ო. არც მე მსურს!
დ ე ზ დ ე მ ო ნ ა. არც მე. მამიჩემის სახლში ვერ წავალ.

ეს ადგილი შეიძლება ჩაითვალოს დიალოგის ბრწყინვალე ნიმუშად. მარტო ამითაც შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ მაჩაბელს საოცრად ფაქიზი სმენა აქვს, რომ მისი ენა მდიდარია არა მარტო ლექსიკურად, არამედ უფრო ღრმა, მუსიკალური შეგრძნებითაც.

**IV. მეორე ადგილი იმავე ტრაგედიიდან:**

ო ტ ე ლ ო. კასიო იყო რომ გავიდა ახლა აქედან?
დ ე ზ დ ე მ ო ნ ა. დიახ, ის იყო სევდიანი და გულმოკლული,
ისე, რომ თვისი მწუხარება მეც მიზიარა.
და მასთან ერთად ვიტანჯები. უხმე ახლავე.
ო ტ ე ლ ო. ახლა ნუ, ჩემო სასურველო, საკმაოდ დარჩეს.
დ ე ზ დ ე მ ო ნ ა. მალე იქნება?
ო ტ ე ლ ო. რაკი შენ გსურს, მეც დავაჩქარებ.
დ ე ზ დ ე მ ო ნ ა. ამაღამ ვახშმად შეიძლება?
ო ტ ე ლ ო. ამაღამ ვერა.
დ ე ზ დ ე მ ო ნ ა. მაშ ხვალ სადილად?
ო ტ ე ლ ო. ხვალ სადილად შინ არ ვიქნები,
ჯარისკაცებთან ციხეში ვარ მე მიწვეული.
დ ე ზ დ ე მ ო ნ ა. მაშ ხვალ საღამოს, ან სამშაბათ დილაზე იყოს,
ან შუადღისას, ანუ ღამე... ოთხშაბათ დილით..

მაჩაბელი ზოგჯერ არ ერიდება და თარგმანში თავის ფრაზასაც უმატებს, რომ დიალოგი ლაღად, შეუფერხებლად მიმდინარეობდეს:

P o r t i a.
...Dwell I but in the suburbs
Of your good pleasure? If it be no more,
Portia is Brutus' harlot, not his wife.
B r u t u s.
You are my true and honourable wife
As dear to me as are the ruddy drops
That visit my sad heart. („იულიუს კეისარი").

პორცია. ...გინდა მამყოფო
არა შენს გულთან, არამედ გარს, კარმიდამოში.
ეს თუა, ბრუტოსს მაშ პორცია ხასად ჰყოლია,
არა მეუღლედ.
ბრუტოსი. ოჰ, რას ამბობ, შენა ხარ ჩემი
ტკბილი მეუღლე, გაჩენილი ჩემ საამაყოდ...

აქ ხაზგასმული ფრაზა — „ოჰ, რას ამბობ“, ჩამატებულია და ალბათ ერთგვარი გამართლება აქვს; იქნებ დიალოგის დინამიკურობა და ბუნებრიობა დაკარგულიყო, ასე, რომ ეთარგმნა მაჩაბელს:

პორცია. ეს თუა, ბრუტოსს მაშ პორცია ხასად ჰყოლია,
არა მეუღლედ.
ბრუტოსი. შენ ხარ ჩემი ტკბილი მეუღლე...

ვფიქრობთ, რომ ფრაზის ჩამატებით თარგმანმა მოიგო. რა თქმა უნდა, ყველგან, სადაც კი მოგვეპრიანება, არ შეიძლება დავუმატოთ ჩვენი სიტყვები. აქ ჩამატებული ფრაზა თავისთავად იგულისხმება ბრუტოსის კილოში, ხმაში. და რაც იგულისხმება, ის ჩაუმატა მთარგმნელმა.

მაჩაბლის თარგმანებში საინტერესოა ერთი მოვლენა. როგორც ცნობილია, შექსპირის პიესებში ხშირად გვხვდება უწმაწური სიტყვები, მეტისმეტად ტლანქი ფრაზები, ორაზროვანი და გადაკრული გამოთქმები. მაჩაბელი ასეთ ადგილებს ზოგან ოდნავ არბილებს და ცვლის. სხვაგვარად არც შეიძლება. თვით ორიგინალშიაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი სიტყვები ორაზროვანია, ე. ი. მას აქვს ორი მნიშვნელობა: ტლანქი და არატლანქი, უწმაწური და არაუწმაწური. ძნელია ქართულად ყოველთვის მოუნახო ასეთივე ორაზროვანი და გადაკრული შესატყვისები. ხოლო პირდაპირ თუ ითარგმნა, მაშინ მარტო სიტლანქისა და უწმაწურობის გამომხატველი აზრი შერჩება და ეს, თავისთავად, აზრის დამახინჯება იქნება.

ჰამლეტი ოფელიას მიმართავს: „Shall I lie in your lap?“ „lap“ ამ კონტექსტში ორაზროვანია — ჰამლეტის მიმართვა ორაზროვანია: სინამდვილეში ის ეკითხება — „ნებას მომცემ მოვთავსდე შენს მუხლებში?“ „არა“, უპასუხებს შეშფოთებული ოფელია... „მე მინდოდა მეთქვა, — ეუბნება ჰამლეტი, — შენს კალთაზე დავდებ-მეთქი თავს“ და ა. შ. მაჩაბელს ეს ასე აქვს გადმოტანილი.

ჰამლეტი. ნებას მიბოძებთ, რომ თქვენს კალთას ქვეშ ამოვეფარო?

ოფელია. ვერა, ხელმწიფის შვილო.

ჰამლეტი. მე ვამბობ, თავი თქვენს კალთაზე დაედო-მეთქი.

ოფელია. ეგ კი თქვენი ნებაა.

ვფიქრობ, ეს კარგად აქვს მაჩაბელს თარგმნილი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ „lap"-ს ორი მნიშვნელობა აქვს დედაწში და მაჩაბელს რომ ეთარგმნა — თქვენს მუხლებში მოვთავსდებიო, აზრის დამახინჯება იქნებოდა. ასეა სხვა შემთხვევაშიც. მაგრამ ამჟამად ეგ არ გვაინტერესებს. უფრო საინტერესოა სხვა ხასიათის ცვლილებანი.

მაგალითად, „კორიოლანოსში" დედამთილი მიმართავს რძალს:

If my son were my husband, I should freelier rejoice in that absence wherein he won honour that in the embracements, of his bed where he would show more love.

პირდაპირი თარგმანი იქნება:

ჩემი შვილი რომ ქმარი ყოფილიყო ჩემი, მაშინ სარეცელში მასთან ტრფიალსა და ხვევნა-ალერსს, მის საგმიროდ გასტუმრებას ვარჩევდი.

მაჩაბელი კი თარგმნის:

მარციოს რომ ჩემი ქმარი ყოფილიყო, საჭორწინო ქვეშაგებში მასთან ტრფიალებით ხვევნა-ალერსს საგმიროდ გასტუმრებას ვარჩევდი!

როგორც ვხედავთ, მთარგმნელმა ცვლილება შეიტანა და „შვილის" ნაცვლად სახელი — „მარციოსი" — ახსენა. ამით, ვფიქრობ, შეარბილა ორიგინალის სიტლანქე. ფრაზა — „ჩემი შვილი რომ ქმარი ყოფილიყო ჩემი". — უფრო ტლანქია, ვიდრე — „მარციოსი რომ ჩემი ქმარი ყოფილიყო", მიუხედავად იმისა, რომ მარციოსი მაინც შვილია მისი, ყოველ შემთხვევაში, მკითხველსა და მაყურებელს ეს ისე ტლანქად აღარ ხვდება ყურში.

„იულიუს კეისარში" ანტონიოსი ამბობს:

Blood and destruction shall be so in use,
And dreadful objects so familiar.
That mothers shall but smile when they behold
Their infants quarter'd with the hands of war.

ე. ი. ისე შევეჩვიეთ სისხლს, ხოცვა-ჟლეტასა და საშინელებას, რომ დედებიც კი ოთხად გაპობილი შვილების დანახვაზე გაიღიმებენ.

მაჩაბელს ასე აქვს თარგმნილი:

ჩვენ შევეჩვიეთ სისხლს და ხოცვას, საშიშარ ამბებს,
ისე, რომ თვითონ დედებიც კი არ შეკრთებიან,
როს დაინახავენ მათთა ნაშობთ ოთხად გაპობილთ.

მთარგმნელმა გაღიმება („smile“) შეცვალა გამოთქმით „არ შეკრთებიან“ და შეარბილა ორიგინალის ერთგვარი სიტლანქე და უხერხულობა. ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ ბევრისა შეიძლება

„ჰამლეტში“ ასეთ ადგილს ვხვდებით:

This heavy-headed revel east and west
Makes us traduced and taxt of other nations:
They clepe us drunkards, and with swinish phrase
Soil our addition.

თარგმანში:

მუდამ მეჯლისი, სიმთვრალე და დროს გატარება
უცხო ხალხთ თვალში თავსა გვჭრის და სახელსაც გვიტეხს
ჩვენ გვეძახიან ლოთებს და სხვას კიდევ უარესს.

ორიგინალში პირდაპირ წერია: ლოთებს გვეძახიან და ღორულად გვაგინებენო.

რა თქმა უნდა, მთარგმნელს არ ევალება შეარბილოს და შეალამაზოს ორიგინალი. მაგრამ მაჩაბელმა, ეტყობა, ანგარიში გაუწია მკითხველ საზოგადოებას. ყოველ შემთხვევაში, მას მოხდენილად აქვს შერბილებული ორიგინალის სიტლანქე.

ზემოთ გაკვრით აღვნიშნე ის დიდი სიძნელე. რასაც შექსპირს მთარგმნელები სიტყვათა თამაშის დროს ხვდებიან. შექსპირის გერმანელი და ფრანგი მთარგმნელებისათვის უფრო გაადვილებულია ეს სიძნელე, რადგანაც სიტყვათა თამაში უმთავრესად აგებუ-

ლია სიტყვათა ფონეტიკურ მიმსგავსებაზე, ხოლო ეს ენები ერთმანეთის მონათესავენი არიან. მიუხედავად ამისა, ყველა კალამბურის გადატანას ვერც გერმანელი და ფრანგი მთარგმნელები ახერხებენ.

მაჩაბელი თუმცა ყველგან ვერა, ბევრგან ახერხებს გადმოიტანოს ქართულად კალამბურები და ზმები. თუ რა სიფრთხილით ეკიდება იგი ამ საკითხს, ქვემოთ მოტანილი მაგალითებით დავრწმუნდებით:

I. „იულიუს კეისარი"

Antonius — Pardon me Julius! Here wast thou bay'd. brave hart;
O, world thou wast the forest to this hart:
And this indeed, o world, the heart of thee.

აქ სიტყვის თამაში აგებულია სიტყვების „hart" და „heart" (ერთნაირად გამოითქმის) მსგავსებაზე. „hart" ნიშნავს ირემს. „heart" — გულს. ანტონიოსი მიმართავს კეისრის გვამს: მოიტევე, იულიოს, აქ მოგესივნენ მშვენიერ ირემს (hart); ქვეყანავ, შენ მისთვის ტყე იყავი, ის კი გული (heart) იყო შენი.

მაჩაბელმა ასე თარგმნა:

ანტონიოსი. ო, მაპატიე, იულიოს, აქ მოგესივნენ,
აი, აქ დაგცეს, შემოგარტყეს, ვით მშვენიერ შველს.
ქვეყნიერებავ, ამ შველისთვის შენ ტყედ გარდიქეც,
ვერ მიხვდი, რომ ის იყო შენი მშველიც და მხსნელიც.

II. „რიჩარდ მესამე".

Gloster. A greater gift than that I'll give my cousin.
York. A greater gift! O, that is the sword to it.
Gloster. Ay, gentle cousin — were it light enough.
York. O, then, I see you will part with but light gifts

In weightier things you'll say a beggar nay.
Gloster. It is too heavy for your Grace to wear.
York. I weigh it lightly, were it heavier.
Gloster. What, would you have my weapon, little Lord?
York. I would that I might thank you as you call me.
Gloster. How?
York. Little.
Prince. My Lord of York will still be cross in talk;
Uncle, Your Grace knows how to bear with him.
York. You mean, to bear me,
not to bear with me.
Because that I am little, like an ape,
He thinks that you should bear me on your shoulder.

გლოსტერი. მე კიდევ უფრო დიდ საჩუქარს მიცემ ჩემს ძმისწულს.
იორკი. კიდევ უფრო დიდს? ეგ უთუოდ ხმალი იქნება.
გლოსტერი. უფრო მსუბუქი ყოფილიყო, ხმალსაც მოგცემდი.
იორკი. მსუბუქ საჩუქარს, როგორც გატყობ, იმეტებ მხოლოდ
და ეუბნები ცივს უარსა, ძვირფასის მთხოვნელს.
გლოსტერი. ხმალი ძალიან მძიმე არის და ვერა ზიდავ.
იორკი. ადვილად ვზიდავ, უფრო მძიმეც რომ იყოს ეგე.
გლოსტერი. გამაგებინე, მართლა მთხოვ ხმალს, ჩემო პაწია?
იორკი. დიახ, რომ ისე დაგიმადლო როგორც მიწოდებ
გლოსტერი. რაო, არ მესმის.
იორკი. რომ პაწია მადლობა გითხრა.
პრინცი. ჩემს ძმას ბაასში კინკლაობა ჩვეულებად სჭირს.
უნდა სულგრძელად აიტანო ეგ, ბიძაჩემო.
იორკი. ამიტანოს თუ ამიყვანოს? ძია, ჩემი ქმა
ორთავე დაგვცინის, შეხედ და შეც: მაიმუნივით
რომ პატარა ვარ, გეუბნება, მხრით ზიდე.

## III „ჰამლეტი"

Hamlet. My lord. you played once in the university:

you say? And what did you enact?

Polonius. I did enact Caesar; I was killed in the Capitol. Brutus killed me.

Hamlet. It was a brute part of him to kill so a capital calf there.

ი. ი. „მე ვთამაშობდი კეისარს და კაპიტოლში ბრუტოსმა მომკლა, — ამბობს პოლონიუსი. — მაშ მართლაც ბრუტალობაა (პირუტყვობა) მისი მხრივ, რომ ასეთი კაპიტალური (დიდი) ხბო მოუკლავს“... — უპასუხებს ჰამლეტი.

მაჩაბელი ასე თარგმნის:

ჰამლეტი. შენ მგონია მითხარი, რომ უნივერსიტეტში ყოფნის დროს სცენაზე გითამაშნია... რასაა თამაშობდი?

პოლონიუსი. მე ვთამაშობდი იულიოს კეისარს და კაპიტოლში მომკლეს, ბრუტოსმა მომკლა.

ჰამლეტი. მაშ ის ბრუტოსი სწორედ ბრუტიანი ყოფილა, რომ მაგისთანა ჩინებული ხბო დასაკლავად გამოუმეტნია.

„ჰამლეტის“ ეს პატარა ნაწყვეტი შეიძლება ჩაითვალოს ბრწყინვალე ნიმუშად. სიტყვათა თამაშის გადმოტანის დროს ლაპარაკიც ზედმეტია ზედმიწევნით თარგმნაზე. ეს არც სავალდებულოა. შექსპირისათვის ის კი არ არის მნიშვნელოვანი, ბრუტოსი ბრუტალურად მოიქცა თუ ბრუტიანი იყო. მთავარი ისაა, რომ ამ ადგილას საჭიროა უსათუოდ რაიმე კალამბური, და სწორედ ისეთი, რომელიც შესაფერისი იქნება ენის ბუნებისათვის. ამ შემთხვევაში ქართული ტექსტი ლოგიკურად გამართულია: ჰამლეტი მიმართავს პოლონიუსს — ბრუტოსი ბრუტიანი ყოფილა, რომ (ვერ დაგინახა ვინ იყავი და) ასეთი დიდი ხბო მოგკლა.

IV. ასეთივე ბრწყინვალე ადგილი იმავე „ჰამლეტიდან“.

სცენა სასაფლაოზე:

I Clown. There is no ancient gentlemen but gardeners, ditchers, and grave-makers: they hold up Adam's profession.

II Clown. Was he a gentleman?

I Clown. A' was the first that ever bore arms.

II Clown. Why, had none.

I Clown. What, art a heathen? How dost thou understand the Scripture? The Scripture says, Adam digg'd: could he dig without arms?

სიტყვა „arm"-ს ორი მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს მკლავს და იარაღს, საჭურველს. სიტყვის თამაშიც სწორედ ამაზეა აგებული. I მესაფლავე ამბობს: ადამი თავადი იყო, იარაღსა-ჭურველი (arms) ჰქონდაო. II მესაფლავეს გაუკვირდება: მაშინ I მესაფლავე განმარტავს: ხომ გახსოვს ბიბლიაში წერია, ადამი მიწას თხრიდაო, მკლავი (arm) რომ არა ჰქონოდა, როგორღა დაამუშავებდა მიწას?!

ახლა ვნახოთ როგორ თარგმნა ეს ადგილი მაჩაბელმა:

I მესაფლავე. ყველაზე დიდი თავადები მებაღეები, მიწისმთხრელები და მესაფლავეები არიან, მათ ადამის ხელობა უჭირავთ.

II. მესაფლავე. მერე ადამი თავადი იყო?

I. მესაფლავე. თავდაპირველად ის გაჩნდა და თავადი არ იქნებოდა? თავადიც ის იყო, მთაც იმას ეკირა ხელში და ბარიცა.

II. მესაფლავე. სტყუი..

I. მესაფლავე. ურჯულო ხომ არა ხარ, საღმრთო წერილი არ იცი? იქა სწერია, ადამი მიწასა თხრიდაო. ოითი გასთხრიდა თუ ბარა ხელში არა სჭეროდა.

შექსპირის პროზისათვის დამახასიათებელია უაღრესი ლაკონიურობა და სხარტულობა. ამიტომ შექსპირის პროზის თარგმნა განსაკუთრებით ძნელია. ივანე მაჩაბელი ახერხებს შეუნარჩუნოს თარგმანს ორიგინალის ლაკონიურობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „ჰამლეტი". მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი სწორედ ამ ტრაგედიიდან:

— მონასტერში წადი, მონასტერში. რად გინდა ქვეყანაზედ ცოდვიანები გაამრავლო? აი, თუნდ მეც, არა მგონია უპატიოსნო კაცი ვიყო, მაგრამ იმდენი ნაკლულევანება მაქვს, რომ ემჯობინებოდა დედიჩემის მუცლიდან არა ვშობილიყავ. მეტის-მეტად ამპარტავანი ვარ, ჯავრის გადამხდელი, პატივმოყვარე; გულში იმდენი განზრახვა მიტრიალებს, რომ გონებაში აღარ მეტევა. თვალით ვერ წარმოიდგენია და დროც არა მყოფნის მათ შესასრულებლად. რისთვის დაძვრებიან ჩემისთანა სულდგმულები ცისა და დედამიწის შუა? ჩვენ ყველანი მატყუარები ვართ. ნურც ერთს ნურას დაგვიჯერებ. წადი მონასტერში... თუ ქმარს შეირთავ, ეს სიმწარე მხითვად გამომიტანებია: ჯინულსავით რომ უმანკო იყო და თოვლსავით წმინდა, მაინც ცილისწამება არ აგცდება. გეუბნები, მონასტერში წადი, მშვიდობით, თუ მაინცდამაინც ქმარს შეირთავ, სულელი შეირთე, თორემ ჭკვიანებს კარგად ესმით, რა სამინელებასაც იმათ უმზადებთ. მონასტერში წადი, წადი ჩქარა, მშვიდობით...

— ამ თავს ერთხელ პირში ენა სდებია და სიმღერაც შესძლებია. როგორ! ისერის ეს ბრიყვი მიწაზედ, თითქო პირველ კაცისმკვლელის კაენის თავი იყოსო. ვინც იცის, იქნება ეს თავი პოლიტიკოსის თავი იყო და ეს ვირი როგორ უმართებულოდ ეპყრობა! იქნება თავის დროზედ იგი ღმერთთანაც გაბჭობას არ ეოიდებოდა. არა, ჰორაციო?... ანუ ერთ-ერთ კარისკაცისა. როშელიც ყოველდღე ამბობდა: „დილამშვიდობისა, ხელმწიფეო ჩემო!“ „როგორ ბრძანდებით, ბატონო ჩემო?“ იქნება ესა და ეს დიდებული იყო და ამა და ამ დიდებულს ცხენს აკებდა, როცა სურვილი მოუვლიდა საჩუქრად მიეღო. ესეც ხომ შესაძლებელია, ჰორაციო?.. და ეხლა კი ბატონ მატლების ულუფაა. კანშემხმარი, ძესაფლავის ნიჩბის სასროლ-საგდებელი. აი, ამას ჰქვია გარდაცვლა, რომ თვალი გვიჭრიდეს და დანახვა შეგვეძლოს. განა ამ ძვლების პატრონი თავის ძვლებს ამისათვის უელდა, რომ ამ უმსგავსებს კოპებივით ეთამაშებინათ! ძე თვითონ ძვლები მტკივა, ამას რომ ვფიქრობ... აი კიდევ... იქნება ეს თავი რომელიმე ვეკილის თავი იყო, სად არის ეხლა ამის კილოს-გამობმა, სიტყვის რახა-რუხი, ამის შეკამათება, სამართალზე ლაპარაკი და ათასი სხვა ეშმაკობა? რათ აძლევს ამ წუწკს ნებას, რომ მის კანონებით სავსე თავს ტალახიანი ნიჩბით ისერის და მოქმედებით შეურაცხებისათვის დავას არ აუტეხს? ან იქნება ეს ვაებატონი თავის დროში მამულებს ჰყიდულობდა და მისდევდა კანონის მუხლებს, ვალდებულების ჭალალდებს, გარდასახადებს, თავდებებს, წამოდაეებებს... მაშ ეს არის იმის გარდასახადების გარდასახადი, რომ ამისი კანგარდახდილი თავი ეხლა მიწითა და მტვრით არის სავსე! მაშ ამის თავდებები სხვა ნასყიდობაში არ უთავდებენ, თუ არ ამ ერთ მტკაველ მიწაში? ამას ხომ სიგრძე-სიგანეზედ ორი ნასყიდობის წერილი კარგად დაჰფარავს; მთელი ამისი ეტრატები ამოდენა უეთში ძლივს ჩაეტეოდა და თვით მფლობელსაც მეტი ადგილი არ უნდა ეპოოს?!.

— საბრალო იორიკ! მე მახსოვს იგი, ჰორაციო, საკვირველი ხუმარა და მშვენიერი ამბების მომგონი იყო, ათასჯერ მეტად უტარებივარ თავის მხარზედ და ეხლა როგორ მეზიზღება იმისი ნახვა. ლამის გული ყელში მოვებჯინოს. აი, აქ ჰქონდა ის ტუჩები, რომლისთვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ მიკოცნია. სად არის ეხლა შენი მხიარულება, შენი სიცელქე, შენი სიმღერა? ნაპერწკლები შე-

ნის ოხუნჯობისა, რაც ყველა მონადიმეთ აცინებდა, ახარხარებდა? რატომ ეს მაინც არ შეგიძლიან, რომ სასაცილოდ შენი კბილების კრეჭა აიგდო? სად არის შენი სავსე, მოცინარი ლოყები? წადი ეხლა ამა და ამ ქალბატონის ოთახში და უთხარ, რომ თუნდ ერთი ადლის სისქე ფერ-უმარილი წაითხუპნოს, იმის ბოლო მაინც ეს არის. უთხარ ეს ამბავი და გააცინე.

ამ მაგალითებიდან შესანიშნავად ჩანს ისიც, თუ რა უხვად და მოხდენილად იყენებს მაჩაბელი ხალხურ გამოთქმებს. ასეა ყველა ტრაგედიაში, მის თარგმნილ ყველა ნაწარმოებში. ავიღოთ თუნდაც „კორიოლანოსის“ დასაწყისი, სადაც უბრალო ხალხის დიალოგია მოცემული და მაჩაბელსაც შესაფერი ხალხური ენით უთარგმნია.

1 მოქალაქე. გადაწყვეტილი გაქვთ, რომ შიმშილს სიკვდილი გირჩევნიათ?

მოქალაქენი. ოღონდაც, ოღონდაც!...

1 მოქალაქე. მაშ მოვკლათ იგი და პურს, რა ფასიც გვინდა, ის ფასი დავადოთ. ჰა, ასე იყოს?

მოქალაქენი. მაგას რაღა ჩიჩინი უნდა, აგრე იყოს, აგრე! მოდით, არიქა!

2 მოქალაქე. ერთი სიტყვა მეც მათქმევინეთ, ჩემო კარგო მოქალაქენო.

1 მოქალაქე. კარგო მოქალაქენო! კარგს აღარა გვაქვია რა! კარგები პატრიციები არიან, ჩვენ-კი ღარიბ-ღატაკები. მარტო ის გვეყოფოდა საზრდოდ, რაც მათთვის მეტია და ამ მეტ ღუმას რომ მოგვაწოდებდნენ, სანამ სული არ ამოგხდომია, კიდევ ვიტყოდით, ჰო, კაცურად გვეპყრობიანო. მაგრამ ამაზედაც-კი პურძვირობენ. ჩვენი სიღარიბე მათ დიდკაცობას უფრო თვალსაჩინოდა ჰხდის და რასაც ბევრს ვიტანჯვით, ის ურჩევნიათ. დავაკლოთ ხელ ამ მარგილებს და თუ თავზე ქუდი გვხურავს, სამაგიერო გადავუხადოთ. ღმერთნი მყავს მოწმად, ამას შიმშილი მალაპარაკებს და არა ჯავრის ამოყრის სურვილი.

2. მოქალაქე მარტო კაიოს მარციოსი რათ ამოგიჩემებიათ?

მოქალაქენი. ის არის, რაც არის: ის ძაღლი ღუპავს ჩვენს ხალხსა.

2 მოქალაქე. რაც ნაკლი ბუნებითვე ხასიათად დასჩემებია, ბიწად არ ჩაეთვლება. ახლა ბარემ სიხარბეც დააბრალე.

1 მოქალაქე. ხარბი თუ არ არის, შენი პირიმე, სხვა ნაკლს ვერ ვუპოვნი! მარტო ჩამოთვლით ყბები დამეღლება. (ყვირილი მოისმის). ეს რა ყვირილია? ქალაქის მეორე უბანიც აჯანყებულა. ტყუილად რასა ვყბედობთ აქა; კაპიტოლისკენ გავსწიოთ!..

გავრცელებულია გამოთქმა — პოეზიის მთარგმნელი ავტორის მეტოქეა, პროზის მთარმნელი კი — მონაო. ეს პარადოქსული გამოთქმა უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, სრულ ჭეშმარიტებადაც რომ მივიღოთ ეს აზრი, მაჩაბელზე მაინც არ შეიძლება ამის თქმა — იგი არც ლექსისა და არც პროზაული ადგილების თარგმანის დროს ავტორის მონა არ არის. თავისი თარგმანებით მაჩაბელი ყოველთვის ავტორის კონგენიალად და მეტოქედ გვევლინება.

მაჩაბლის მიერ თარგმნილ შექსპირის 8 ტრაგედიიდან დგას თუ არა ყველა ერთ მხატვრულ სიმაღლეზე? ყველა ნაწარმოებს ერთნაირად თუ აქვს მაჩაბლისეული თარგმანის სრულყოფილება და მომხიბლაობა?

ამ კითხვებს მოკლედ ასე შეგვიძლია ვუპასუხოთ: ყველა თარგმანი კარგია და სრულყოფილი, ყველა გადმოსცემს ორიგინალის არსს, ყველა გვაგრძნობინებს შექსპირის სიდიადეს, მაგრამ ერთნაირ მხატვრულ სიმაღლეზე მაინც არა დგას.

„ოტელო“ და „ჰამლეტი“, შეიძლება ითქვას, სწორუპოვარი თარგმანებია, ამ ტრაგედიებში მთარგმნელი აღწევს ავტორის კონგენიალობას და წინასწარ კრიტიკულად განწყობილი მკითხველიც კი ვერ აღმოაჩენს მათში მნიშვნელოვან ზადს. ხაზს ვუსვამ სიტყვა მნიშვნელოვანს, რადგანაც ამ ტრაგედიების თარგმანებშიც შეიძლება შეგვხვდეს მცირე შეუსაბამო რამ, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არღვევს საერთო ჰარმონიას და არ შეაქვს დისონანსი მტკიცედ შეკრულ სიმფონიაში.

შემდეგ მოდის „იულიუს კეისარი“, „მაკბეტი“, „ანტონიოსი და კლეოპატრა“, „რიჩარდ III“ და „კორიოლანოსი“.

„მეფე ლირი“ ცალკე დგას, იგი ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის პირველი თარგმანია, ახალგაზრდობის დროის პირველი ცდა. ამ ტრაგედიაში უსათუოდ იგრძნობა მთარგმნელთა დიდი პოეტური ნიჭი და ემოცია, მშვენიერი ენა, დიალოგის ბუნებრიობა, მაგრამ ცალკეულ შეუსაბამობას ამ თარგმანში შეაქვს დისონანსი. ირღვევა საერთო ჰარმონიულობა.

ჯერ ერთი, თარგმანში მეტისმეტად არის გაზრდილი სტრიქონების რიცხვი, რაც იწვევს ზედმეტი ფრაზების ჩამატებასა და ტავტოლოგიას.

აზრი ხშირად არ არის სწორად გაგებული. მაგალითად პირველ მოქმედებაში კორდელიაზე განრისხებული ლირი ამბობს:

I loved her best, and thought to set my rest on her kind nursery.

ე. ი. მე იგი უველაზე უფრო მიყვარდა, და ვფიქრობდი სიბერის დღენი მისი მზრუნველობისათვის (მოვლისათვის) მიმენდო.

თარგმანში კი ვკითხულობთ:

მე ეგ მიყვარდა უველაზე მეტად, მსურდა ჩემი ნაშთენნი დღენი მაგის შვილისა აკვანზედა მე დამელია.

აქ აზრის უბრალო შეცვლა როდია: ჩამატებული ფრაზა სავსებით ცვლის ლირის ხასიათს.

ასეთ ადგილებს ბევრს ვხვდებით „ლირში“. პირველ სურათში გლოსტერი, იმის ნაცვლად რომ ორიგინალის მიხედვით თქვას — ქალი დამსხვილდაო, ამბობს: ისე დამსხვილდა, რომ წელზე ჩეუწვდებრივი სართული ველარ წვდებოდა (ხაზგასმული ფრაზა ჩამატებულია). ორიგინალში ედგარი ამბობს: თავი მოვიგიჟიანე; თარგმანში — „მოვიგიჟმაქე თავი ჩემი“. ჯერ ერთი, „მოვიგიჟმაქე“ არ არის „მოვიგიჟიანეს“ სინონიმი. მეორეც სრულიად ზედმეტია სიტყვა ჩემი. უნდა იყოს — თავი მოვიგიჟიანე. ორიგინალში უბრალოდ ძაღლი წერია. თარგმანში ეპითეტი გაუჩნდა „ოთხფეხი ძაღლი“...

ცალკეულ შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, საერთოდ, ნაწარმოებს სიმძიმე ეტყობა. ამას გარდა, აქა-იქ ვხვდებით კუთხურ გამოთქმებსაც. მაგ. „მეორე შვილი რეგანაი“, ამბობს ლირი და სხვა,

პირველ მოქმედებაში კენტი მეტად სხარტულად და მძაფრად ამბობს:

Be Kent unmannerly, when Lear is mad.

თარგმანში ვკითხულობთ:

ვაღნიერდები, მაგრამ ეგე მე მომეტევოს,—
იქ საცა მეფეს გზას უღობავს უგუნურება.

პირველ სტრიქონში ხაზგასმული ფრაზა ჩამატებულია და მეორე სტრიქონიც ძალიან შორდება ორიგინალს. კენტის მობოდიშება და განმარტება ზედმეტია. ეს არ არის ორიგინალში და არც შეეფერება მოქმედების ხასიათს.

ლირი ამბობს:

while we
unburden'd crawl toward death.

თარგმანში ვკითხულობთ:

ჩვენ კი, მოხუცნი, ტვირთახსნილნი ნელ-ნელა გოგვით
ვიყლით, ვიდრემდე ქვეყნის ქამთ ცელა სიკვდილს შეგვყრიდეს

ხაზგასმული სიტყვები ჩამატებულია და საერთოდ სტრიქონები უფრო მოშვებულია.

ბევრი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება აღნიშნული ტრაგედიიდან. მაგრამ, ვიმეორებ, ამ პიესის ქართულ თარგმანს მაინც აქვს დიდი ემოციური ძალა, უსათუოდ მოჩანს მთარგმნელთა უდიდესი პოეტური ნიჭი და გაქანება. თარგმანის მრავალ დიალოგსა და მონოლოგს აღფრთოვანებაში მოჰყავს მკითხველი. მოვიტანოთ ერთი პატარა მაგალითი, სადაც მოხდენილადაა გადმოცემული ორიგინალის სილამაზე და სხარტულობა.

განრისხებული ლირი მიმართავს კორდელიას — რაიმე თქვიო. კორდელია უპასუხებს:

Unhappy that I am, I cannot heave
My heart into my mouth.

პირდაპირი თარგმანი:

რა უბედური ვარ, არ შემიძლია
გული პირში ამოვიტანო.

თარგმანში ვკითხულობთ:

ლ ი რ ი — სთქვი რამე-მეთქი!
კ ო რ დ ე ლ ი ა — ვამც ბედკრულსს რა ეთქვა? არ ძალუძთ
ბაგეთა ჩემთა გული ჩემი ზე-აღმობეჭდონ.

ან ცნობილი ადგილი:

Fortune, that arrant whore
Ne'er turns the key to the poor.

ბედი სწორედ უნამუსო ქალია,
ღარიბი სძაგს, მდიდრის ეშხით მთვრალია.

სტრიქონების თანაფარდობა „მეფე ლირში" ასეთია: ორიგინალში გვაქვს 2355 სტრიქონი, თარგმანში — 2818, ე. ი. 463 სტრიქონით მეტი.

სხვა ტრაგედიებშიაც გვხვდება არასწორად გაგებული ფრაზები, ბლაგვი გამოთქმები, აქა-იქ ენობრივი შეცდომებიც, მაგრამ იმდენად მცირე და უმნიშვნელო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოების საერთო ჰარმონიულობას არ არღვევს.

მაგალითად,

If thy revengeful heart cannot forgive.

თუ შენს შურიანს გულს შენდობა არ შეუძლია („რიჩარდ III").

„R e v e n g e f u l“ ნიშნავს შ უ რ ი ს გ ე ბ ი თ ა ღ ს ა ვ ს (ან ჯავრის ამომყრელს, როგორც თვითონ მაჩაბელი თარგმნის ამავე სიტყვას „ჰამლეტში“) და არა შ უ რ ი ა ნ ს. რა თქმა უნდა, აზრი იცვლება.

„ოტელოში“ ასეთ ადგილს ვხვდებით:

E m i l i a — I've laid those s h e e t s you bade me on the bed.
D e s d e m o n a — All's one. Good faith how foolish are our minds!
If I die before thee, prithee, shroud me
In one of those same sheets.

დეზდემონამ ემილიას უბრძანა ქორწინების ღამის ზეწრები გაეფინა ლოგინზე. ემილიამ შეასრულა ბრძანება და თავის ქალბატონს მოახსენა. დეზდემონას მწარედ გაეცინება და ეტყვის: — სულ ერთია, რა სულელები ვართ! თუ შენზე ადრე მოვკვდე, იმ ზეწრებში გამახვიე.

მაჩაბელს ასე აქვს თარგმნილი:

ე მ ი ლ ი ა — ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი რომ მიბრძანეთ, თქვენს ქვეშაგებზე დავაწყე კიდეც.
დ ე ზ დ ე მ ო ნ ა — მესმის, კარგი. ო, ღმერთო ჩემო, რა უმეცარი გონება გვაქვს! გთხოვ, თუ რომ შენზე უწინ მოვკვდები, ეს სამოსი ჩამაცვა მკვდარსა.

როგორც დავინახეთ, თარგმანში „ზ ე წ რ ე ბ ი“ „ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი თ“ შეიცვალა. შეცდომა მით უფრო საგრძნობია, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ ინგლისში გავრცელებული იყო ცრურწმენა, თითქოს საქორწინო ზეწრის ლოგინზე გაფენა ქმრისაგან მიტოვებულ ცოლს ქმრის სიყვარულს დაუბრუნებდა.

ვხვდებით ასეთ არასწორ გამოთქმებსაც:

„დიდათა ენუხვარ, რომ მოვტყუვდი მე ო ტ ე ლ ო შ ი“. („ოტელო“).
„იმ დედაკაცს ს ი ც ო ც ხ ლ ე ს თ ა ნ ხ ე ლ ი ა ღ ა რ უნდა ჰ ქ ო ნ დ ე ს“.
„მ ა ს ხ ა რ ე ბ ა დ გ ა გ ვ ა ქ ა თ ა მეტმა ლოთობამ“.
(„იულიუს კეისარი“).
„ა რ მ ე გ ო ნ ა, რომ შენ როდესმე გაგდებულს გ ნ ა ხ ა ვ“.
(„ანტონიოსი და კლეოპატრა“).

„ანუ დაეიხსნათ, ან ჩვენც მათთან დავდოთ თავები“.
(„კორდოლანოსი“).

„თავებს გვაჩვენებენ“. (იქვე).
„კეთილ კაცთა სიცოცხლე ჰკვნებს იმ ყვავილს ადრე,
რომელიც მათ ქუდში ურჩვიათ“. („მაკბეტი“).
„ლაპარაკის დროს აქეთ-იქით თვალებს ეცეცებ,
ეიმზირებ უკან, ავთრთოლდები ჩალის ფაჩუნზედ“.
(„რიჩარდ III“).
„ნუ, ნუ ასწავლი მაგ შენს ტუჩებს ზიზღით ყურებას“.
(იქვე).

მაჩაბელი ხშირად გამოტოვებს ან სხვა სიტყვით შეცვლის ხოლმე მიმართვით სიტყვებს: Sir, Lady, Why და სხვა. ზოგი ამისთვის უსაყვედურებს, თითქოს ეს იყოს მომაკვდინებელი შეცდომა. თითქოს ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს „ეპოქის სულის“ და „მატერიალური კულტურის“ გასახსნელად. ეს არ არის სწორი. ეს სიტყვები შექსპირთან არის უბრალო მიმართვის სიტყვები საუბრის დროს. საცა საჭირო არ არის მათი ხმარება, მაჩაბელს გამოტოვებული აქვს, ხან კი შეცვლილია საჭიროებისა და ტექსტის მიხედვით სიტყვებით: ძმაო, ძმობილო და ა. შ. — ხოლო ზოგან თუ მართლაც აქვს ამ სიტყვებს რაიმე მნიშვნელობა, არა „ეპოქის სულისა“ და „მატერიალური კულტურის“ ასახსნელად, არამედ უბრალოდ, გმირების ურთიერთდამოკიდებულების გასარკვევად, მაშინ მაჩაბელი მათ ასევე ტოვებს.

მაჩაბელი ახერხებს შექსპირის გმირთა და სახეთა მდიდარ გალერეას შეუნარჩუნოს ორიგინალის დამაჯერებლობა და მომხიბლაობა, აამეტყველოს გმირები თავისი ენით, დაიცვას თითოეულის მეტყველების სტილი და მანერა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მაჩაბლის ენის შესანიშნავი თავისებურება არის ხალხური და სალიტერატურო ენის ოსტატური შერწყმა. ამას იგი ახერხებს დიდი ვირტუოზობით და ისე ოსტატურადაა ნაქსოვი ამ ორი მთავარი ძაფის ქსოვილი, რომ შეუძლებელია გათარო მათ შორის ზღვარი.

ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი. ბევრი იმდროინდელი მთარგმნელი გაბედულად იყენებდა ხალხურ ენას, მაგრამ მაჩაბლის გარდა, თითქმის ყველას ღალატობდა ზომიერების გრძნობა და ამიტომაც მათ თარგმანებში ფრანგი ფერმერის ან შოტლანდიე-

ლი მეღორისა თუ მონადირის მეტყველება ძალიან ჰგავდა ზემოიმერელი ან ქართლელი გლეხის ლაპარაკს. ეს მთარგმნელები ზედმეტი თავისუფლებით ეპყრობოდნენ ორიგინალის ტექსტს და ხშირად მეტისმეტი გადმოქართულებით კოლორიტსა და განწყობილებას უკარგავდნენ ნაწარმოებს.

მაჩაბელი საოცარ სიფაქიზესა და ზომიერებას იჩენს. იგი გაბედულად იყენებს ხალხის ცოცხალ, სალაპარაკო ენას, სხვადასხვა კუთხეში გაგონილ იდიომებსა თუ სიტყვებს, მაგრამ ყველა ეს გამოთქმა თავის ადგილზეა, საოცარი სისწორითა და ზედმიწევნობით ემსახურება ორიგინალის გარკვეული ტექსტისა და გმირის განწყობილების გადმოცემას. იგი არსად არ აჭარბებს, ყველგან ოსტატურ ზომიერებას იცავს, აქვს ენის საოცარი მუსიკალური შეგრძნება და ინტუიცია. შემორჩენილია მისი ზოგიერთი თარგმანის ხელნაწერი, და თუ დავაკვირდებით, იქაც შევნიშნავთ, თუ რა სიფრთხილით ეკიდება მაჩაბელი ხალხური გამოთქმების ზომიერად გამოყენებას, ისე რომ თარგმნილ კლასიკურ ნაწარმოებს ზედმეტად გადმოქართულება არ დაეტყოს.

მაგრამ განა მარტო ამ თვალსაზრისით ეკიდებოდა ფრთხილად თავის თარგმანებს მაჩაბელი! წლების განმავლობაში სისტემატურად, იმისგან დამოუკიდებლად, მეორედ გამოსაცემად ამზადებდა თუ არა რომელიმე პიესას, მას შესწორებანი შეჰქონდა ხოლმე თარგმანებში, ცალკეულ სადაო ადგილებსა და ფრაზებს აზუსტებდა, სხვადასხვა გამოცემებს ადარებდა.

მთელი დღის სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მუშაობით დაქანცული, ლიტერატურული შრომისათვის მხოლოდ ღამით თუ მოიცლიდა და, მისი თანამედროვეების გადმოცემით, ხშირად გათენებამდეც კი წერდა, თარგმნიდა, ებრძოდა დიდი გენიოსის ჯადოსნურ სტრიქონებს.

# თეატრალური ჩანაწერები

## ძიძნელეები... პრობლემები...

თეატრის საკითხებზე გამართული დისკუსიების დროს ჩვენში, საქართველოში, ყველაზე მწვავედ ერთი საკითხი წამოიჭრება ხოლმე — მწერლობისა და თეატრის კავშირი. ორატორები სულ სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენენ საქმის ვითარებას. მწერლები თეატრებს უსაყვედურებენ — სათანადო დაინტერესებას არ იჩენენ მწერლების მიმართ, მაინცდამაინც დიდი ხალისით არ გვღებულობენ და საერთოდ ჩვენს როლს უგულებელჰყოფენო; თეატრები კი, თავის მხრივ, ჩამორჩენასა თუ წარუმატებლობას მწერლობას აბრალებენ. ეს დავა და დისკუსია შემდეგ პრესის ფურცლებზეც გადადის, საქმე კი, ჩვეულებრივ, გადაუწყვეტელი რჩება. ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ თვითონ არის მართალი: რაც დრო გადის, ამ თავის უცოდველობასა და მეორე მხარის „დანაშაულსა“ თუ დაუინტერესებლობას მეტისმეტად აზვიადებენ, საქმე კი, ამასობაში, ფერხდება. ჩვენი თეატრები კვლავ ვერ უპასუხებენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს, თანამედროვეობის ამსახველი დიდი, მღელვარე სპექტაკლები კვლავ ძალიან იშვიათად თუ გამოჩნდება, ქართული დრამატურგიის შემდგომი განვითარება კვლავ ნელი ტემპით მიმდინარეობს, მსახიობებს კვლავ თოთქმის დაცარიელებულ დარბაზში უხდებათ თამაში, ხოლო სათანადო ორგანიზაციებს სულ უფრო და უფრო უძნელდებათ თეატრის აბონენტების გავრცელება დაწესებულებებსა და მოსახლეობაში.

ეტყობა, ძნელი მოსაგვარებელი გახდა თეატრებისა და მწერლობის ურთიერთობის საკითხი.

არა-და, დავას, როცა იქნებოდა, ხომ უნდა მოღებოდა ბოლო! და პირველი ნაბიჯი „შერიგებისაკენ“ თეატრმა გადადგა...

ჭალიან მარჯვე გამოდგა ეს ნაბიჯი, ყველა კმაყოფილი დარჩა — თეატრიც, მწერალიც, და, წარმოიდგინეთ, მაყურებელიც.

რაკიღა ის მწვავე დავა მინელდა და ყველა კმაყოფილი დარჩა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ამ მხრივ ყველაფერი მოგვარდა და მოწესრიგდა.

მაგრამ ნამდვილად მოგვარდა კი საქმე?

ყველასათვის ცნობილია და შეიძლება გახსენებაც კი უხერხული იყოს, რომ თეატრის საძირკველს ლიტერატურა წარმოადგენს და. რაც არ უნდა, ერთი შეხედვით, მიმზიდველი სპექტაკლი „ააშენოს“ რეჟისორმა, იგი ხელადვე დაინგრევა, ყოველ შემთხვევაში, ვერასდიდებით ვერ შერჩება თეატრის ისტორიას, თუ მას საძირკვლად კარგი პიესა არა აქვს.

მაგრამ ლიტერატურული მასალა სპექტაკლში ერთ-ერთი ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილი კი არ არის — მისი სული და გულია, თეატრის სული და გულია, მისი დედააზრი... თუ კარგი ლიტერატურული მასალა არა აქვს, თეატრი ვერ იარსებებს, ვერ განვითარდება... მსახიობი ვერ აღიზრდება.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში განახლებულ ქართულ თეატრს საფუძვლად დაედო გიორგი ერისთავის დრამატურგია; პარალელურად მას ასაზრდოებდა აგრეთვე უცხოურიდან გადმოკეთებულ-გადმოქართულებული პიესები — უმთავრესად მდარე ხარისხისა. ამ თეატრმა თავისი კეთილი საქმე გააკეთა... ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა მის საერთო როლზე ქართული კულტურის აღორძინებისა და ხალხის ესთეტიკური აღზრდის საქმეში; ამჯერად უფრო ვიწრო საკითხით ვიფარგლებით და ვგულისხმობთ თვითონ თეატრის განვითარებას — მის ჩამოყალიბებას, მსახიობთა ბირთვის შექმნას და მათ აღზრდას, მაყურებლის ჩამოყალიბებასა და აღზრდას... ამ თვალსაზრისითაც პირველმა თეატრმა თავისი კეთილი საქმე გააკეთა.

მაგრამ განვითარების მეორე საფეხურზე ქართულ თეატრს უკვე აღარ აკმაყოფილებდა ის ლიტერატურული საფუძველი, რაზეც თვითონ დაფუძნდა. აღარც გემოვნებაგანვითარებულ მაყურებელს დააკმაყოფილებდა ეს, აღარც მსახიობს... და დროზე რომ არ მოვლენოდა მაშინდელ ჩვენს თეატრს შექსპირი (მაჩაბლისეული თარგმანები), დ. ერისთავის „სამშობლო“ და ზოგი სხვა პიესა, თეატრის განვითარებასა და არსებობასაც საფრთხე ელოდა. აღარც

მაყურებელი შერჩებოდა და ვერც მესხიშვილისთანა და საფაროვასთანა მსახიობები აღიზრდებოდნენ.

თეატრისა და მწერლობის ისტორია ისე შეერწყა ერთმანეთს, რომ ძნელი სათქმელია, რომელია პირველადი და რომელი — მეორადი. უხერხულიც კი იქნება ვიდავოთ და უსათუოდ ვცადოთ იმის დადგენა — მარლომ და შექსპირმა შექმნეს ელიზაბეთის ეპოქის დიდი ინგლისური თეატრი თუ იმ თეატრმა შექმნა შექსპირი და მარლო; სოფოკლესა, ექსილესა და ევრიპიდესაგან გამოთიშვით შეუძლებელია ანტიკურ თეატრზე ლაპარაკი. ეს იმდენად ცხადია, რომ, ვიმეორებ, იქნებ უხერხულიც იყოს გახსენება. მაგრამ როცა თეატრისა და მწერლობის ასეთ განუყოფელ ერთიანობაზე ვლაპარაკობთ, აქ უნდა ვიგულისხმოთ დრამატურგია და არა მწერლობის სხვა რომელიმე ჟანრი; იმას კი არ ვამბობ, რომ ლიტერატურის სხვა ჟანრებს ურთიერთობა და თუნდაც გავლენა არ ჰქონდეს თეატრზე. არა — აქ მე ხაზს ვუსვამ განუყოფელ ერთიანობას. დღეს კი, ჩვენში, ერთი უკვე შეიძლება ითქვას, საშიში ტენდენცია შეინიშნება. თუ ზომიერად მივმართავთ ამ საქმეს — სასურველი და საჭიროც არის, მაგრამ იმ გატაცებითა და თავგამოდებით, როგორც ეს დღეს ჩვენში ხდება, ვფიქრობ, თეატრის შემდგომი განვითარებისათვის საშიში იქნება.

გაჩნდა არასასურველი ტენდენცია — ნაკლები ხალისით მამართავენ ორიგინალურ, ქართულ დრამატურგიას და მეტის გატაცებით ეწაფებიან ინსცენირებას. არა-და, ქართული დრამატურგია — არც კლასიკური და, მითუმეტეს, არც თანამედროვე — ამას არ იმსახურებს. ჩამოთვლას არ მოვყვები, მაგრამ ჩვენი დრამატურგია მდიდარია. ოღონდ წაკითხვა და მოძიებაა საჭირო. რაც მთავარია, ქართველი დრამატურგები არ ერიდებიან მწვავე პრობლემების დასმას, რაც ხალხს აღელვებს და რაც მაყურებელს უსათუოდ მიიზიდავს. ჩვენი თეატრი კი ნაცვლად იმისა, მაქსიმალურად გამოიყენონ ქართული დრამატურგიის მიღწევები, ხარბად დაეწაფნენ არადრამატურგიული ნაწარმოებების ინსცენირებას.

რომ არ ელოდნენ. ისე გააადვილა ამან საკითხის სირთულე; პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები, მადლობა ღმერთს, ბლომად აღმოჩნდა, საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი. მიჰყვეს ხელი და გაუტიეს ამასთან, საკმაოდ ჰოურიდებლადაც. ზოგ-საკუთარ გვარს აწერენ მხოლოდ: ზოგი უფრო მორიდებული

სადღაც ქვემოთ მოიხსენიებს ავტორს, ამისაც მადლობელი იყოსო; ზოგი აიღებს და ავტორის ერთ ნაწარმოებს მეორეს (ხოლო ზოგჯერ მესამეს, მეოთხესა და მეხუთესაც კი) გადააბამს, ერთის შეყვარებულს მეორეს შეაყვარებინებს, ერთის მოსაკლავ კაცს მეორეს მოაკვლევინებს...

რა თქმა უნდა, ეს ყველა ინსცენირებულ ნაწარმოებს არ ეხება. და საერთოდ ასე მწვავედაც იმიტომ ვაყენებ საკითხს, რომ, ვფიქრობ, დროა ეს მსჯელობის საგნად იქცეს. გადადება არ შეიძლება. ცნობილი მხატვრული ნაწარმოების ინსცენირება, ალბათ, ყოველთვის ხდებოდა, მაყურებლისთვის ალბათ ყოველთვის იყო საინტერესო წიგნში გაცნობილი გმირისათვის ხორცშესხმა და თვალის შევლება, წიგნში წაკითხული სურათებისა თუ ეპიზოდების გაცოცხლება... მაგრამ, ვიმეორებ, ეს საინტერესო იყო, და ამას იქით აღარ უნდა წავიდეს მისი მნიშვნელობა. ამიტომაც არის, რომ თეატრის ისტორიას, როგორც ეტაპური რამ, არც ერთი ინსცენირებული ნაწარმოები არ შემორჩენია. „დონ-კიხოტის", როგორც რენესანსის დროის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქმნილების, მნიშვნელობას აქ არ მოვჰყვები, ასეთი დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ძალიან უხერხული და გულუბრყვილოა, მაგრამ საერთოდ თუ ავიღებთ. არა მგონია, მას, ვთქვათ, იგივე ესპანური „ცხვრის წყარო" შეედაროს; და მაინც მრავალგზის სცენაზე წარმოდგენილ „დონ-კიხოტს" თეატრის ისტორიაში ისეთი კვალი არ გაუვლია, როგორც „ცხვრის წყაროს". მიუხედავად იმისა, რომ „დონ-კიხოტი" უფრო „ინსცენირებადია", თავისი ხასიათის მიხედვით უფრო აიტანს ინსცენირებას, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწარმოები.

ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება. ზოგი ნაწარმოები უფრო იტანს ინსცენირებას, უფრო მოუხდება სცენას, ზოგი კი იქნებ სულაც არ გამოდგეს. ამით, რა თქმა უნდა, სულაც არ მცირდება ნაწარმოები. რადგან ყველა ნაწარმოებს თავისი ხასიათი აქვს. არა მგონია, გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც „ანა კარენინას", როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, ასევე შესანიშნავ „თოლიაზე" დაბლა დააყენებს. მაგრამ „ანა კარენინა" მხოლოდ საინტერესო იყო სამხატვრო თეატრში, „თოლია" კი — საეტაპო სპექტაკლი.

ნაწარმოების ინსცენირება ზოგჯერ საჭიროც არის. ილია ჭავჭავაძის იუბილეს დღეებში შალვა დადიანის მიერ ინსცენირებულმა „ჩატეხილმა ხიდმა" ან მისმავე ინსცენირებულმა „ნინოშვილის გურიამ", რომელიც, აგრეთვე, მწერლის საიუბილეო დღეებს მიეძღვნა,

დიდი ინტერესი და დიდი მოწონებაც დაიმსახურა; მაგრამ თეატრის განვითარების, თეატრის ისტორიის თვალთახედვით ეს ინსცენირებები ვერ შეცვლიან იმავე შალვა დადიანის პიესებს, ვთქვათ, „გუშინდელნს“, ან „კაკალ გულშის“, თუ „თეთნულდს“ მიუხედავად იმისა, რომ არავინ გაკადნიერდება, — და ამას არც თვითონ ჩვენი საყვარელი მწერალი შალვა დადიანი მოიწადინებდა, — აღნიშნული პიესები ილიას მოთხრობებს შეადაროს.

სწორედ ასეთი განსაზღვრული ინტერესით უნდა შემოიფარგლოს ინსცენირებანი ჩვენს თეატრებში და აღარ მიეცეს ისეთი ფართო გაქანება, როგორიც ამჟამად აქვს. ამასთან, საჭიროა მეტი სიფრთხილე და მოკრძალება გამოუჩინონ თვით ნაწარმოებებისა და მათი ავტორების მიმართ, არა მარტო საავტორო უფლებების დაცვის თვალსაზრისით (აქ მე ვგულისხმობ არა ჰონორარს, რადგან ჰონორარს ჩვენი კლასიკოსები, რაღა თქმა უნდა, ვეღარ აიღებენ), არამედ იმით, რომ ვთქვათ, ვაჟა-ფშაველას რომელიმე პოემისა თუ ყაზბეგის რომელიმე მოთხრობის ავტორის ძებნა აფიშის ბოლოში კი არ დაგვჭირდეს. ისიც გამადიდებელი შუშით, არამედ თავის ადგილზე ეწეროს და საკმაოდ მსხვილი შრიფტითაც. ხოლო თუ იმის მტკიცება იქნება შესაძლებელი, რომ ინსცენირებულ ნაწარმოებში ხასიათები და სიტუაციები „მთელი 50%-ით“ და ზოგჯერ მეტითაც ვაჟას ან ყაზბეგს შორდება და არა ჰგავსო (სამწუხაროდ, ხშირად ასეთი გაჭიანურებული და გადაუჭრელი დავის მოწმენიცა ვართ), მაშინ, ნურას უკაცრავად, მაგრამ ასეთი ნაწარმოები თეატრში კი არ უნდა წავიდეს, არამედ სასამართლოს გადაეცეს.

ზემოთ აღვნიშნე, ზოგიერთი ნაწარმოები უფრო იტანს ინსცენირებას, ზოგი კი ნაკლებად ან სულაც ვერ იტანს-მეთქი. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხოლმე. ნოდარ დუმბაძის მოთხრობებმა. მაგალითად, კარგად აიტანა ეს პროცესი, ეტყობა, ინსცენირების ავტორმაც მეტი სიფრთხილე და სიყვარული გამოიჩინა და ნაწარმოებს ბევრი არ წაუგია.

ეს, რა თქმა უნდა, მაინც არ არის ნამდვილი დრამატურგია, თეატრის განვითარების ნამდვილ გეზად არ შეიძლება ეს გზა ავირჩიოთ, მაგრამ, ვიმეორებ, ამ ნაწარმოებებმა სცენაზეც შეინარჩუნეს თავისი სითბო და მომხიბლაობა.

ამასვე ვერ ვიტყვით ყველა ინსცენირებულ ნაწარმოებზე. უფრო ხშირად ინსცენირებული ნაწარმოებები ფრაგმენტული გამოდის.

სურათების ხშირი ცვლა ხელს უშლის დასრულებული შთაბეჭდილების შექმნას. ზოგ ინსცენირებულ სპექტაკლში კინოკადრების სისწრაფით იცვლებიან სურათები. ერთ-ერთ ასეთ სპექტაკლზე მაყურებელმა, მე თვითონ გავიგონე, ხუმრობით გადაულაპარაკა თავის მეზობელს: „ჩააქრე — აანთე, ჩააქრე — აანთე!“... და მართლაც ძალიან მარტივად გამოთქვა ის, რაც სცენაზე ხდებოდა.

ინსცენირებულ ნაწარმოებებში, როგორც წესი, უძნელდებათ სახეების სრულყოფილად გადმოტანა, ცალკეული სიტუაციების მხატვრული მოტივირება. სცენას, დრამატურგიას თავისი კანონები აქვს და თავისი გამომსახველობითი საშუალებები. ბოლოს და ბოლოს, დრამა დიალოგებით იწერება, გმირთა ხასიათები თავიანთივე ლაპარაკითა და მოქმედებით იხსნება. რომანში კი, გარდა ნაწარმოების სიდიდის განუსაზღვრელობისა, გმირთა ხასიათების გასახსნელად, სიტუაციების მოტივირებისათვის, მოქმედებს აგრეთვე, და ძალიან აქტიურადაც, ისეთი დიდი ფაქტორი, როგორიცაა ავტორისეული რემარკები.

იმას კი არავინ მოითხოვს, ბრძოლა გამოვუცხადოთ და აღვკვეთოთ ინსცენირებანი, არამედ იმას, რომ მთელი ჩვენი ენერგია, ნუ გადაგვაქვს მხოლოდ ამ ერთ, თეატრის განვითარებისათვის მეორე თუ მესამეხარისხოვან საქმეზე. ვერაფერი სიკეთე და საამაყო იქნება, აედგეთ და „ვეფხისტყაოსანი“ პროზად გადავწეროთ, თუნდაც დიდის სიყვარულით და მოწიწებით, საქმის დიდი ცოდნით. მკითხველთა გარკვეული ნაწილისათვის იქნებ ეს პროზაული რუსთაველიც იყო საჭირო, ვთქვათ, პატარა ბავშვებისათვის, ან განსაზღვრული განვითარების ადამიანებისათვის... და იქნებ ძალიან გადაჭარბებული არ გამოდგეს, თუ ვიტყვით, რომ ინსცენირებული ნაწარმოებიც დაახლოებით ისევე შეედრება თავის პირველ წყაროს, როგორც პროზაული „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის ნამდვილ „ვეფხისტყაოსანს“. კვლავ სიფრთხილეს ვიჩენ და, ვიმეორებ, მცირე გამონაკლისის გარდა.

ახლა კი რა ხდება — არის ერთი რეკვა, გამოძიება, გამოძახება, გამორკვევა, თუ რომელი პროზაიკოსი რა რომანსა და მოთხრობაზე შუშაობს, და თეატრებიც ხშირად თავიანთ სარეპერტუარო პერსპექტივებს ამის მიხედვით აწყობენ.

ეს ბევრს არაფერს მოგვცემს დღეს, ხოლო ხვალ და ზეგ დამღუპველიც კი იქნება. დიდ თეატრს თავისი დიდი დრამატურგია

უნდა ჰქონდეს. ის ერთგვარი შიში, რომ პიესა მხოლოდ სცენაზე ცოცხლობს და უსცენოდ დამოუკიდებელი ლიტერატურული ფასი არა აქვს, მხოლოდ ისეთ პიესებს შეეხება, რომლებსაც არც სცენაზე უწერიათ დიდი ხნის სიცოცხლე; ნამდვილი პიესა კი ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც დიდი რომანი ან პოემა. ამის მაგალითები, ვფიქრობ, საჭირო არ არის და თუ მაინც ვიმეორებთ, მხოლოდ იმ მწერლების გასაგონად, რომელთაც იქნებ დრამატურგიაში მუშაობა დროის გაცდენად მიაჩნდეთ.

და კიდევ ერთი დამაფიქრებელი საკითხი.

ამ გაფაციცებული კონკურენციის დროს, როცა თეატრს ბევრი მრისხანე მეტოქე გამოუჩნდა, როცა ერთის მხრივ ტელევიზია და საოცარი აღმავლობით მზარდი, დიდი პერსპექტივების კინო უტევს, რამაც ლამის ხელოვნების ყველა კომპონენტი შეიძინოს და გაითავისოს, ხოლო მეორეს მხრივ — ასევე დიდი აღმავლობით მავალი, უაღრესად პოპულარული და ძალიან პერსპექტივიანი სპორტის სხვადასხვა სახეობა, ჩვენ ამ მეტოქეებს იმავე იარაღით კი არ უნდა ვებრძოლოთ (როგორც ამას ზოგიერთი ჩვენი თეატრი ძალიან დიდი თავგამოდებითა და მონდომებით, დიდი თავდაჯერებით ცდილობს), რომელიც მათ უფრო მარჯვედ უპყრიათ, არამედ რაღაც ახალი საშუალება გამოვძებნოთ, ისეთი რამ, რაც მეტოქეს არ გააჩნია.

ხოლო მანამ ამ საშუალებას მიაგნებდეს თეატრი, მას ოდითგანვე დაჰყვა ერთი ისეთი რაღაც, რასაც ვერავინ წაართმევს და ვერაფერი შესცვლის.

ეს არის ს ი ტ ყ ვ ა, ცოცხალი ს ი ტ ყ ვ ა, მსახიობის სუნთქვასთან ერთად დაძრული ემოციური სიტყვა, მაყურებელთან ცოცხალი ურთიერთობა, ცოცხალი აზრი, რასაც წინ ვერაფერი დაუდგება.

ეს შესანიშნავი იარაღი კარგად ჰქონდათ მომარჯვებული ჩვენს დიდ თეატრალურ მოღვაწეებს, ახლა კი ისე ჩლუნგდება, რომ ზოგიერთი თეატრის სცენიდან ადამიანს სიტყვებიც კი ვერ გაგირჩევია მეტად დამახასიათებელია, რომ მსახიობის შერჩევა ხშირად მხოლოდ გარეგნობის მიხედვით ხდება და ოდნავი ყურადღებაც კი არ ექცევა მეტყველების კულტურას, მაშინ, როდესაც ეს უნდა იყოს პირველი პირობა, პირველი ღირსება მსახიობისა.

ზემოთ გასული საუკუნის დიდი თეატრალური მოღვაწეები ვახ-

სენო. ისინი სათეატრო რეცენზიების წერასაც არ თაკილობდნენ და. იმ რეცენზიებისაგან განსხვავებით, რაც დღეს იბეჭდება, იქ, იმ ძველ რეცენზიებში, მსახიობების თამაშისა და სპექტაკლის შეფასების დროს, მუდამ გამახვილებული იყო ყურადღება მეტყველებაზე, ენაზე, მსახიობის დიქციაზე. პირველხარისხოვან საკითხად მიაჩნდათ ეს და საგანგებო სტატიებსაც უძღვნიდნენ.

ახლა თვითონ ტექსტი, პიესის ენა! დღევანდელი თეატრალური კრიტიკა ამ მნიშვნელოვან საკითხს თითქმის არ უთმობს ყურადღებას, იშვიათად თუ მოხდება, რომ ჩვენმა კრიტიკოსმა ენობრივი თვალსაზრისით შეაფასოს ორიგინალური თუ თარგმნილი პიესა — რამდენად ბუნებრივია მეტყველება, რამდენად სცენიურია, ხელს ხომ არ უშლის მსახიობს...

ამასთან დაკავშირებით ერთი ისტორიული ფაქტი უნდა გავიხსენო. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში — აღარ მახსოვს ზუსტად რომელ წელს — ქუთაისში „ოტელო" წარმოადგინეს. მთავარ როლს ცნობილი მსახიობი კოტე მესხი ასრულებდა. პრემიერაზე მაყურებელი მოწმე გახდა მეტად უცნაური მოვლენისა — შემდეგ ეს რეცენზიაში გამოითქვა. სპექტაკლის დასაწყისში შესანიშნავი იყო თურმე კოტე მესხი, ყველაფერი კარგად გამოსდიოდა... მერე კი ერთბაშად შეიცვალა, თითქოს სულ სხვა მსახიობი გამოეყვანოთ სცენაზე. იმდენად დიდი იყო განსხვავება დასაწყისსა და მომდევნო მოქმედებებს შორის, რომ მაყურებელი გაოგნებული დარჩა, ვეღარ მიმხვდარიყვნენ — იმ ნახევარ საათში რა მოუვიდა მსახიობს!..

სულ „უბრალო" რამე გამოდგა მიზეზი: პირველი მოქმედება მაჩაბლის თარგმანი ყოფილა და, რაკი მაჩაბელმა ბოლომდე თარგმნა ვერ მოასწრო, ხოლო თეატრი ეშურებოდა პიესის დადგმას, დანარჩენი ნაწილი სახელდახელოდ ათარგმნინეს სხვას. ბუნებრივია, მაჩაბლის თარგმანთან ვერ მოვიდოდა ის თარგმანი, და მსახიობის მარცხიც ცუდმა თარგმანმა გამოიწვია!

აი, ასეთი მნიშვნელობა აქვს ენას, სიტყვას, მეტყველებას... ჩვენი თეატრები და თეატრალური კრიტიკა კი, როგორც ითქვა, ამ საკითხს ყურადღებას თითქმის სულაც არ უთმობს. ამის შემდეგ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მსახიობიც დიდად არ იწუხებს თავს მეტყველების დახვეწაზე. ანეგდოტივით არის თეატრალურ სამყაროში გავრცელებული ერთი გადმოცემა: სუმბათაშვილ-იუჟინს თითქოს

ეთქვას, სცენაზე გამოსვლის წინ ქართულად ლაპარაკს ვერიდებიო (სუმბათაშვილი ხომ რუსულ სცენაზე გამოდიოდა). ჩვენი რეჟისორები კი რეპეტიციებს ხშირად ქართულად არ ატარებენ, მხოლოდ პიესის პერსონაჟთა სალაპარაკო ტექსტს გაიგონებთ ქართულად.

დასასრულ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ჩვენი თეატრები ძალიან მალე „აბერებენ“ ხოლმე სპექტაკლებს. ზოგი სპექტაკლი მეტ ყურადღებას და მოვლას მოითხოვს. საუკეთესო დადგმები, ე. წ. საეტაპო სპექტაკლები დიდხანს უნდა შეინარჩუნოს თეატრმა მოქმედ რეპერტუარში. ასე ხდება ეს ყველა დიდ თეატრში. ჩვენ კი დაუდევრად ვეკიცევით. მაგალითისათვის ბევრი დაფიქრება არ არის საჭირო, — ძალიან ადრე შეელია რუსთაველის თეატრი „ოიდიპოსსა“ და „ბახტრიონს“...

რითაც დავიწყე, იმითვე უნდა დავამთავრო ეს წერილი. თეატრი და მწერლობა განუყოფელია. თეატრში მწერალი სტუმრად — მით უფრო, არასასურველ სტუმრად — არ უნდა გრძნობდეს თავს. ერთხელ და საბოლოოდ უნდა შევიგნოთ, რომ ინგლისური თეატრი უპირველეს ყოვლისა — შექსპირია, რუსული თეატრი უპირველეს ყოვლისა — ოსტროვსკი, ჩეხოვი და გორკია. ხოლო საქართველოში პირველი რეპეტიციებიც მწერლებს გაუმართავთ, პირველი მსახიობებიც ისინი ყოფილან და თეატრის პირველი დამაარსებლებიც.

1965 წ.

## თეატრი და მაყურებელი

მოახლოვდა თეატრალური სეზონი. წინასწარი სამზადისი თითქმის ყველგან, საქართველოს ყველა თეატრში, დასასრულს უახლოვდება. რეპერტუარები ახალი სეზონისათვის დიდიხანია დამტკიცებულია. თეატრებმა დაამთავრეს საგასტროლო მოგზაურობანი, მსახიობებს გაუთავდათ შვებულება. სარეპეტიციო დარბაზებიდან ნაცნობი გმირების დიალოგებს გაიგონებთ — ყველა თეატრი ცდილობს ახალი სპექტაკლით გახსნას სეზონი. და კიდევ ერთხელ ამოწმებენ უკვე შარშანვე თითქმის მომზადებულ პრემიერას.

ასეთ სურათს წააწყდებით თითქმის ყველგან, საქართველოს ყველა თეატრში...

და თითქმის ყველგან, ყველა თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს თანამედროვეობის თემას. თეატრების ხელმძღვანელობა, სალიტერატურო ნაწილი, რეჟისორები გაფაციცებით ადევნებენ თვალს ლიტერატურულ ჟურნალებს, ეძებენ თანამედროვეობის ამსახველ ახალ ნაწარმოებებს. თეატრისათვის საგანგებოდ დაწერილი პიესა კვლავ ფუფუნებად ითვლება. და თითქმის მიწყნარდა თეატრსა და მწერლობას შორის გაუთავებელი დავა, რამაც ამ რამდენიმე წლის წინ განსაკუთრებით ცხარე ხასიათი მიიღო და პრესის ფურცლებზეც გაიშალა... დავა, რომლის არსი ძალიან მარტივია — თეატრს მიუძღვის ბრალი თუ მწერლობას, რომ სცენა თანამედროვეობის ამსახველი პიესებით არის ღარიბი?

მაგრამ რაკი პასუხის გაცემა ამ მარტივად დასმულ კითხვაზე ძნელი გამოდგა, ისევ მარტივ და ამ შემთხვევაში თითქოს ყველაზე საქმიანსა და სწორ გამოსავალს მიმართეს — მზამზარეული ნაწარმოებების ინსცენირებას მიჰყვეს ხელი.

მაშინ, იმ წლებში, გაუთავებელი და უსარგებლო ჩანდა თეატრსა და მწერლობას შორის ამტყდარი დავა, მაგრამ ნელ-ნელა გამოიღო შედეგი.

პაექრობის პროცესში თეატრებიც დარწმუნდნენ, რომ თანამედროვეობის თემისა და მწერლობის აქტიური მონაწილეობის გარეშე თეატრი ვერ იარსებებდა, რომ კლასიკური დრამატურგია, რომელსაც ერთი პირობა ხსნისათვის მიმართეს, მათ ვერ იხსნიდა, რადგან თვით ეს დრამატურგიაც სწორედ იმიტომ გახდა კლასიკური და უკვდავი, რომ თავის დროზე თანამედროვეობის აქტიური ამსახველი იყო, და მას შემდეგაც, მომდევნო პერიოდებშიაც, მხოლოდ მაშინ ეწერა სიცოცხლე, თუ ამა თუ იმ დროის რეჟისორის ხელში თანამედროვეობის ჭეშმარიტება მიეცემოდა.

ერთი სიტყვით, ყინული უკვე გალღვა და ქართული მწერლობა თანდათანობით ჩაება (თუ ებმება) თეატრალურ ცხოვრებაში.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ სულაც არ არის საკმარისი და უნდა ვაღიაროთ. მწერლობა კვლავ თეატრისა და მაყურებლის ვალშია. მან სისხლხორცეულ საქმედ უნდა გაიხადოს თეატრის ცხოვრება და მისი ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა საკუთარ წარმატებად თუ წარუმატებლობად ჩათვალოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ

სასურველ შედეგს, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩვენი თეატრი მოწოდების სიმაღლეზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაართმევს თავს იმ დიდ ამოცანებს, რასაც ცხოვრება უყენებს.

მწერლობის აქტიური მონაწილეობის გარეშე თეატრი ვერ იარსებებს.

ტრადიციაც ხომ ასეთი აქვს ჩვენს თეატრს: გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში განახლებული ქართული თეატრის სათავეში სწორედ ჩვენს სასიქადულო მწერლებსა ვხედავთ — ილიას, აკაკის, მაჩაბელს... ქართული თეატრის განახლება სწორედ მათ სახელებს უკავშირდება.

და მას შემდეგ ქართული თეატრის ყოველი წარმატება განუყრელად იყო დაკავშირებული ქართული მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენლებთან — აკაკი წერეთელთან, ვაჟასთან, დავით კლდიაშვილთან, უფრო მოგვიანებით პოლიკარპე კაკაბაძესთან, შალვა დადიანთან...

ცოდვა გამოტეხილი სჯობია, როცა ჩვენ დღეს ქართულ მწერლობას წავუყენეთ პრეტენზია და უყოყმანოდ განვაცხადეთ, მწერლობა ჯერ კიდევ თეატრისა და მაყურებლის ვალშიაო, ეს იმიტომაც გავაკეთეთ, რომ ასევე გულახდილად წაგვეყენებინა ზოგიერთი პრეტენზია თეატრისა და მისი ხელმძღვანელობისათვის.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ახლა, მოახლოებული სეზონის დროს, რესპუბლიკის თეატრებში გაცხოველებული ფუსფუსი და სამზადისია. საზეიმო ელფერი დაჰკრავს ამ სამზადისს და სადღესასწაულო თრთოლვა და სიხარული ახლავს. ასეთი მთრთოლვარე სიხარულით დღესასწაულს ელიან ხოლმე.

და ყოველი ახალი თეატრალური სეზონის გახსნა მართლაც ჰგავს დღესასწაულს.

მაგრამ ჩვენ გვეჩვენება, რომ წელსაც, წინა წლების მსგავსად, ამ ვაფაციცებულ თეატრალურ სამზადისს, რომელშიც რესპუბლიკის ყველა თეატრია ჩაბმული — თავიანთი მსახიობებით, რეჟისორებით, დრამატურგებით, თეატრალური მხატვრებით, კომპოზიტორებით, რეკვიზიტორებითა თუ სცენის მუშებით... ამ საერთო სამზადისს აკლია ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი კომპონენტი — მაყურებლის სამზადისი ახალი თეატრალური სეზონისათვის! უამისოდ სამზადისსაც აკლია ხალისი და დღესასწაულსაც. ისევე, როგორც

ხალისი აქვს დაკარგული უბრწყინვალეს სპექტაკლსაც კი ცარიელ დარბაზში.

და გულისტკივილით უნდა შევნიშნოთ, რომ თეატრი დ მისი ხელმძღვანელობა თითქოს შეეჩვია ამას. შეეჩვ მ ყუ ებლ ის გულგრილობას, და ზომაზე მეტად შეთხელებულ დ რბ ებს ც; ზოგჯერ იქნებ სავსეც იყოს დარბაზი, განსაკუთრებით სეზონის პირველ წარმოდგენაზე, მაგრამ დღესასწაულის თრთოლვა ყოველთვის ალარ ახლავს, და დამაფიქრებელი ის არის, რომ თეატრი და მისი ხელმძღვანელობა თითქოს შეეჩვია ამას.

უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ოცდაათიან-ორმოციან წლებში, ასეთ დროს, თეატრის მუშაკებთან ერთად მაყურებლის სამზადისიც ძალუმად იგრძნობოდა და ეს, თავისთავად, დღესასწაულის სიხარულს ჰმატებდა. ყოველი ახალი თეატრალური სეზონის გახსნას.

ახალ თეატრალურ სეზონზე ლაპარაკს გაიგონებდით ქუჩებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში, ტრამვაიში... ხალხი აგვისტოს სიცხესაც არ ეპუებოდა, ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხოლმე თეატრების წინ და გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა სეზონის გახსნამდე კარგა ხნით ადრე საგანგებოდ გამოკრულ, ლამაზად გაფორმებულ აფიშებს, ეცნობოდა დასის შემადგენლობას, რეპერტუარს, ყოველგვარ ცვლილებას, რაც ახალ სეზონში იყო მოსალოდნელი, თეატრალური ანონსების ცხრილს ათვალიერებდა...

გაკვირვებითა და გულისტკივილით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მოახლოებული თეატრალური სეზონის წინ საგანგებოდ ჩამოვიარეთ დედაქალაქის ქუჩები და გამოხუნებული შარშანდელი აფიშების გარდა, რომლებიც ზოგან ქარსა და წვიმას სანახევროდ ჩამოუხევია, ვერსად ვერაფერი შევნიშნეთ...

თუნდაც ამ მეტად მარტივი მიზეზის გამო მაყურებელს წართმეული აქვს საშუალება, გაიზიაროს და გაინაწილოს თეატრალური სეზონის გახსნის სიხარული.

ჩვენი თეატრები რატომღაც უგულებელყოფენ კიდევ ერთი დიდი სიხარულის წყაროს — ერთი თეატრის მსახიობთა მონაწილეობას მეორე თეატრში; რომელიმე დიდი და ყველასათვის საყვარელი მსახიობის მონაწილეობას პერიფერიის თეატრში.

ეს პრაქტიკა ჩვენში რატომღაც თითქმის უგულებელყოფილია.

საჭიროა რეპერტუარის დამტკიცების დროს გათვალისწინებულ იქნას ერთი და იმავე პიესის დადგმა დედაქალაქის რომელიმე თეატრსა და პერიფერიაში იმ ვარაუდით, რომ სახელმოხვეჭილ მსახიობს საშუალება მიეცეს საგასტროლოდ გაემგზავროს რომელიმე პერიფერიულ თეატრში და მონაწილეობა მიიღოს ამ სპექტაკლში, თანაც არა მარტო ქართულ თეატრში, არამედ აფხაზურში, ოსურ ში... ეს, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი სკოლა იქნება პერიფერიაში მომუშავე ახალგაზრდა მსახიობებისათვის, წარმოადგენს აგრეთვე ინტერნაციონალური აღზრდის თავისებურ ფორმასაც.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ წინა წლების კარგი პრაქტიკა, როცა, კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების მხარდაჭერითა და დახმარებით, პერიფერიების თეატრები სეზონის განმავლობაში თავიანთ საუკეთესო დადგმებს დედაქალაქის მაყურებლებს აჩვენებდნენ ხოლმე.

ეს პრაქტიკა კიდევ უნდა გაიშალოს და გაფართოვდეს.

ბრავალნაირი ფიქრი აიშლება ხოლმე ახალი თეატრალური სეზონის წინ.

გვინდა მივმართოთ ჩვენს მაყურებელს: როგორც თეატრის მოღვაწეებს გადმოეცათ თავიანთი წინაპრებისაგან მდიდარი თეატრალური ტრადიცია, ასევე დიდი თეატრალური ტრადიცია აქვს ჩვენს მაყურებელსაც. გვინდა ვუსურვოთ მას, არ მოჰკლებოდეს ის თავისებური სიხარული, რასაც ადამიანს ანიჭებს თეატრში წასვლის სამზადისი, ფარდის გახსნის საამური შრიალი, სცენიდან გამოჭრილი სპეციფიკური სურნელი დეკორაციებისა, სცენური გმირებისადმი თანაგრძნობა — ხან თვალზე მომდგარი ცრემლი, ხან უდარდელი სიცილი... არ მოჰკლებოდეთ ანტრაქტებში ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრისა და ტკბილი საუბრის სპეციფიკური გემო, რასაც მხოლოდ თეატრის კედლებში განიცდი და სხვაგან არა.

1973 წ.

## თეატრის სიხარული

ის სიხარული, რაც მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერამ განაცდევინა 21 დეკემბერს ჩვენს მაყურებელს, დიდად აღემატებოდა ახალი საოპერო სპექტაკლით მონიჭებულ ჩვეულებრივ

სიამოვნებას. ამას თავისი რამდენიმე მიზეზი აქვს, მაგრამ დღეს ჩვენ მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით.

დღეს იმ დიდი სიხარულიდან ერთი ძალიან სასიამოვნო ფაქტი უნდა გამოვყოთ. გერმანელი კომპოზიტორის ოპერა ქართულად მოისმინა მაყურებელმა. ლიბრეტო ნელი ამაშუკელმა თარგმნა. და პირველი შთაბეჭდილებით, იმ ერთი მოსმენით, შეიძლება ითქვას, მთარგმნელს კარგად გაურთმევია თავი ძნელი საქმისათვის: ქართული თარგმანი ბუნებრივად ჟღერს და არავითარი უხერხულობა არ იგრძნობა.

გერმანული ოპერა რომ ქართული თეატრისათვის ქართულად ითარგმნა, აქ განსაკუთრებით აღსანიშნავი და სასიხარულო თითქოს არაფერი უნდა იყოს. მართლაცდა, რა გასაკვირია, თბილისის საოპერო სცენიდან ვერდისა თუ მოცარტის ოპერა მაყურებელმა ქართულად მოისმინოს, რაკილა საშუალება თუ უფლება არა გვაქვს ორიგინალის ენაზე ავაჟღეროთ ოპერები. ეს იდეალური მოვლენა იქნებოდა.

სამწუხაროდ, ეს მოვლენა სანატრელი შეიქნა.

რევოლუციამდე თბილისის საოპერო სცენაზე ძალიან იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ქართველი შემსრულებელი — სოლისტი-მომღერალი გუნდის წევრი, ორკესტრის წევრი, დირიჟორი... და სულაც არ იყო გასაკვირი, უცხოური ოპერები ქართულ ენაზე რომ არ იდგმებოდა. არც არავის უკვირდა.

რევოლუციის შემდეგ კი, როცა ეროვნული კულტურის განვითარებას პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა, როცა ჩვენი ოპერის თეატრში სულ უფრო და უფრო გაიზარდა ჩვენივე კონსერვატორიაში აღზრდილი მუსიკოს-შემსრულებელთა რიცხვი, როცა ჩვენს საოპერო სცენაზე ბრწყინვალე ქართული ოპერებიც გამოჩნდა, ბუნებრივია, დადგა დრო, უცხოური ოპერებიც ეთარგმნათ ქართულად...

ამას თავისთავად მოითხოვდა ქართული კულტურის ინტერესები. ქართულ სცენაზე განხორციელებული ყოველი ახალი საოპერო ნაწარმოები უცხოელი ავტორისა, გარკვეული თვალსაზრისით, ქართული კულტურის საგანძურს ავსებს, ჩვენი კულტურის განუყრელ ნაწილად იქცევა. ამიტომაც უნდა აჟღერდეს იგი ქართულად. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენს დიდ მოღვაწეებს, და როცა საამისოდ ნიადაგი მომზადდა. შეუდგნენ კიდეც უცხოური ოპერე-

ბის გადმოქართულებას. ამ საქმეს გამოუჩნდნენ ისეთი დიდი მოამაგეები, როგორიც იყვნენ ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, ალექსანდრე წუწუნავა, ია კარგარეთელი და სხვები, და ბევრს ალაბთ ახლაც ახსოვს, რომ ზოგიერთი ოპერა დაიდგა კიდეც ქართულად — „კარმენი“, მაგალითად, „აიდა“... ესეც ერთ-ერთი გამოვლინება იყო იმ დიდი სიკეთისა, რაც რევოლუციამ მოუტანა ეროვნულ კულტურებს.

სამწუხაროდ, გამოჩნდნენ უსულგულო ადამიანები, რომელთაც ამ კეთილი საქმის დიდი მნიშვნელობა ვერ გაიგეს და ძალიან კარგი ტრადიცია ჩანასახშივე ჩაჰკლეს. ამ ხალხს, უბრალოდ, თავის შეწუხება დაეზარა, ლიბრეტოს მთარგმნელთან და შემსრულებლებთან ზედმეტი მუშაობა დაეზარა... სხვა ენაზე მზამზარეული ლიბრეტოები იქვე ჰქონდათ და იოლი გზით წავიდნენ. თავის გასამართლებლად კი ძალიან უცნაური „საბუთები“ მოიტანეს: უცხოური ოპერები ქართულ ენას ვერა ჰგუობენო!.. სამწუხაროდ, ამ აზრს აქა-იქ დღესაც გაიგონებთ, უფრო ფრთხილად გამოთქმულს. ეტყობა, ზეპირად იმეორებენ ოდესღაც გამოთქმულ არასერიოზულ „მოსაზრებას“ და ალბათ ვერცა გრძნობენ, რომ ეს იმავე თავის შეუწუხებლობისა თუ უდარდელობა-უპასუხისმგებლობისაგან მომდინარეობს.

ეს მარტო მცდარი აზრი კი არ არის, ეს დიდი მკრეხელობაცაა. და ჩვენ რომ დავაჯეროთ თავი, სხვა არ დაგვიჯერებს, ჩვენი კულტურის ჭეშმარიტი მეგობრები და პატივისმცემლები არ დაგვიჯერებენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“, „ამირანიანისა“ და „ეთერიანის“ ენა, იმ ხალხის ენა, რომელსაც შეუქმნია ასეულობით დიდებული მრავალფეროვანი სიმღერა — პათეტიკურ-ამაღლებულიც, გმირულიც, ლირიკულიც, სევდიანიც, ღრმა ფილოსოფიური განწყობილებისაც, დრამატიულიც და სალაღობოც — თითქოს ამ ხალხის ენა უცხოურ ოპერებს ვერა ჰგუობდეს. არა, ამას არავინ დაგვიჯერებს და თუ ვინმეს კიდევ მოუნდება ასეთი აზრის გამოთქმა, სჯობს დროზე შეიკავოს თავი, რადგან, როგორც ვთქვათ, ეს მკრეხელობა და საკუთარი კულტურის უპატივცემულობაა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იქიდან მომდინარეობს, რომ თავის შეწუხება ეზარებოდათ, მზამზარეული რუსული თარგმანები უცხოურ ოპერათა ლიბრეტოებისა იქვე ჰქონდათ!

უფრო დიდი კურიოზის მოწმენიც გავხდით. ამ რამდენიმე წლის წინათ გადაწყვიტეს თბილისის საოპერო სცენაზე დაედგათ ჯაკომო პუჩინის ოპერა „ჯანი სკიკი.“ რა თქმა უნდა, ამ ოპერის ლიბრეტოს რუსული თარგმანი მოიკითხეს. ეს არც არავის გაჰკვირვებია — სხვაგვარად ვერც კი წარმოედგინათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. ის უფრო გაუკვირდათ, როცა ლიბრეტოს რუსული თარგმანი არ აღმოჩნდა — ოპერა რუსულად არ დაედგათ და თარგმანიც არ არსებობდა. ცოტათი კი შეწუხდნენ, მაგრამ განზრახვაზე ხელი მაინც არ აუღიათ; და რა ქნეს, როგორა გგონიათ — ქართველი სპეციალისტი მოიწვიეს და იმ იტალიური ოპერის ლიბრეტო ქართული თეატრისთვის რუსულად ათარგმნინეს! როგორი თარგმანი გამოვიდა და შეემატება თუ არა იმ თარგმანით რამე დიდ რუსულ საოპერო ხელოვნებას, ამის განსჯას ნუ შევუდგებით. ეს მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება, როცა იმ ოპერის დადგმას რუსეთის რომელიმე საოპერო თეატრი გადაწყვეტს...

ამრიგად, მაყურებელი გაახარა მოცარტის ოპერის ქართულად დადგმამ. გაახარა იმიტომ, რომ ესეც ძალიან კარგი ტრადიციის დასაწყისად მიიჩნია და მიიღო. ამ კარგ ტრადიციას მოვლა და განვითარება სჭირდება. ზოგი ჭირი მარგებელიაო — ახლა ჩვენი ოპერის ხელმძღვანელობას კარგი საშუალება აქვს ამისა. როგორც ცნობილია, ჩვენი საოპერო რეპერტუარი ხელახლა შესავსებია. ბევრი ოპერის დადგმა თავიდან უნდა დაიწყონ, თავიდან უნდა იმუშაონ ახალ შემსრულებლებთან. ამით უნდა ისარგებლონ და უფრო აქტიურად მოჰკიდონ ხელი უცხოური ოპერების გადმოქართულებას. თუკი მათი ორიგინალის ენაზე დადგმა აკრძალულია.

ამ პატარა წერილში რამდენჯერმე ვახსენეთ სიტყვა „ტრადიცია“. თეატრის ცნებას, საერთოდ თეატრში სიარულს ერთი ძალიან კარგი და სასიამოვნო სიხარული ახლავს. სიხარული, რომელიც დროთა განმავლობაში ტრადიციად დამკვიდრდა და თეატრალურ წარმოდგენას უკავშირდება.

ეს არის ანტრაქტების სიხარული, ნაცნობ-მეგობრებთან გაუთვალისწინებელი შეხვედრების სიხარული, თეატრის ფოიეების მუსაიფის განუმეორებელი სიტკბო და კოლორიტი ..

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ტრადიციას გადაკვდებას ვუპირებთ. მოქმედებათა შორის ანტრაქტებს მარტო, და იმდენად, ტექნიკური დანიშნულება არა აქვს, რამდენადაც სწორედ ეს მეორე,

ეს უფრო ტკბილი, ტრადიციად ქცეული სიხარული. ჩვენ ახლა თავგამოდებით ვცდილობთ, რაც შეიძლება შევკვეცოთ და შევკუმშოთ ეს ანტრაქტები და, უცხვირპირო მასპინძელივით, მაყურებელს ვაგრძნობინოთ, როგორმე ჩქარა მიბრძანდეს შინ.

ახლა ამ საგანზე იმიტომ ჩამოვაგდეთ სიტყვა, რომ „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერამ გაგვახსენა. პრემიერის დიდი სიხარული ისიც იყო, რომ მაყურებელთა დარბაზი გაიშვედა. ამას იქნებ ზემო აღნიშნულმა ძალიან სასიამოვნო ფაქტმაც შეუწყო ხელი, კარგმა რეკლამამაც, იმანაც, რომ მოცარტის ეს ღვთაებრივი ოპერა პირველად იდგმებოდა თბილისის საოპერო სცენაზე.

ასეა თუ ისე, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, და სასიამოვნო ისაა, რომ აქ ნახავდით ჩვენი ინტელიგენციის ყოველი დარგის წარმომადგენელს. იმ ერთადერთი ანტრაქტის დროს ხალხი გახარებული ხვდებოდა ერთმანეთს. გაიგონებდით ხუმრობით ნათქვამ რეპლიკას — თურმე თეატრშიაც შეიძლება ნაცნობებს შეხვდეო...

არა, ანტრაქტების შეკვეცას ვერ დავწამებთ ამჟამად თეატრს: მოცარტს თვითონვე ასე დაუწერია ოპერა — ორ მოქმედებად. მაგრამ გულდასაწყვეტი და გასაკვირიც იყო, რომ ხალხმა ფოიეში გამოსვლა ვერ მოასწრო და მაშინვე ჩააქრეს სინათლე — ელექტრონის ზარმა მაყურებელს ხელად მოუწოდა დარბაზისაკენ: სცენის ტექნიკური მხარე დიდ ანტრაქტს არ მოითხოვდა.

ამაზე იქნება არც ღირდა ლაპარაკი, იქნებ ეს შემთხვევით მოხდა პრემიერის საღამოს, ან სულაც იქნებ სავსებით ნორმალური ანტრაქტი იყო და მხოლოდ ჩვენ შეგვექმნა მცდარი შთაბეჭდილება, რადგან თეატრში ამდენ მაყურებელს ვხედავდით და გვინდოდა ეს მონატრებული სიამოვნებაც, — რასაც ანტრაქტებში გაუთვალისწინებელი შეხვედრების სიხარული ვუწოდეთ, — უფრო გაგრძელებულიყო. ამიტომაც აღარ ჩავთვალეთ უხერხულად, ამაზეც შეგვეჩერებინა მკითხველის ყურადღება. ჩვენ გვინდა უფრო ფართოდ შევხედოთ ამ საკითხს, უფრო დიდი საზოგადოებრივი და, თუ გნებავთ, კულტურული თვალსაზრისით.

1975 წ.

# „ფვრილმანი“ საკითხები

ხელოვნების არც ერთ დარგს ისე არა სჭირდება მსმენელი და მაყურებელი, როგორც თეატრს. რადგან სპექტაკლის შემქმნელ რთულ კოლექტივში მაყურებელი ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. მარტო რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, გამნათებელი, გრიმიორი და თეატრის კოლექტივის სხვა წევრები ვერ შექმნიან სპექტაკლს. უმაყურებლო სპექტაკლი ჩაფერფლილ ნაღვერდალსა ჰგავს, რადგან ცეცხლს მუდამ სუნთქვა სჭირდება და გადატანითი მნიშვნელობით ნაგულისხმევ, სცენაზე დატრიალებულ ცეცხლსაც მაყურებლის გახშირებული სუნთქვა აღაგზნებს.

ჩვენს თეატრს მოაკლდა მაყურებელი.

ამას ყველა გრძნობს.

ყველას აწუხებს ეს.

მაგრამ ვერ დავეთანხმებით თეატრალურ მოღვაწეებს, როცა ისინი მაყურებლის გულგრილობისათვის მთელ პასუხისმგებლობას თითქმის მხოლოდ მაყურებელს აკისრებენ. მაყურებლის პასიურობა ბევრით არის დამოკიდებული თვითონ თეატრზე.

თეატრის მუშაკებს ზოგჯერ ციფრები მოაქვთ ხოლმე იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აიცრუა მაყურებელმა თეატრზე გული. და ჩვენც თუ მივმართავთ მათემატიკურ ტერმინს, მაყურებლის გულგრილობა პროპორციულია თეატრის მაყურებელთან მუშაობის ხარისხისა. ჩვენთვის ძნელია თქმა, კულტურის სამინისტრო დაინტერესებულია თუ არა ასეთი საკითხებით, მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, ყველაზე ნაკლები მაყურებელი (აქ იგულისხმება დარბაზში მყოფი, ცოცხალი მაყურებელი და არა საბუღალტრო ანგარიშებში გატარებული „მკვდარი სულები“, ე. ი. ის ფიქტიური მაყურებელი, რომელიც ბილეთს კი ყიდულობს, მაგრამ თეატრში არ მიდის) გასულ წლებში ჩვენს საოპერო თეატრს ჰყავდა. და ეს მაშინ, როცა ჩვენი მომღერლები მსოფლიოს რომელიც გნებავთ საუკეთესო საოპერო თეატრს დაამშვენებენ.

დასკვნა ადვილი გამოსატანია: ზემოთ ნახსენები ფიქტიური მაყურებლით კმაყოფილი და დამშვიდებული დირექცია გულგრილობას იჩენდა მაყურებლის მიმართ და იმ მათემატიკური კანონის მახედვით, რაც ზემოთ ვახსენეთ, მაყურებელი ასეთივე გულგრილობით უპასუხებდა.

ამიტომაც იყო, რომ სცენაზე ხედავდით პირველი რანგის მომღერლებს, მაყურებელს კი დარბაზში კანტი-კუნტად თუ დაინახავდით.

მაინც რაში გამოიხატა საოპერო თეატრის გულგრილობა მაყურებლის მიმართ?

ჩვენ აქ მხოლოდ წვრილმანების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით, მთავარ მტკივნეულ საკითხებს, ისეთ დიდ საკითხებს, როგორიცაა სარეპერტუარო პოლიტიკა, სპექტაკლის დადგმის ხარისხი და სხვა, დღეს არ შევეხებით.

ეს „წვრილმანი“ არის თუნდაც ის, რომ თეატრის ნახევრად ჩაბნუტული შესასვლელი, ვესტიბიული, ფოიეები სულაც არ უწყობდნენ ხელს თეატრალური, საზეიმო განწყობილების შექმნას და მაყურებლის შთაბეჭდილებას თეატრში ფეხის შედგმისთანავე ერთ პატარა ჩრდილს ჰფენდნენ;

თეატრალურ განწყობილებას ვერ ქმნიდა მარმარილოს მშვენიერ კიბეებზე დაფენილი მტვრით გაღენთილი, დაგლეჯილი და მრავალ ადგილას მსხვილი, უხეში კანაფით თითქოს საგანგებოდ გაბოსაჩენად გაკერილი ნოხები, რომელთაც თავიანთი პირველი ელვარება დიდი ხანია დაკარგული ჰქონდათ და ახლა ვერც კი ამოიცნობდით მის პირვანდელ ფერს.

ეს წვრილმანია, რალა თქმა უნდა, მაგრამ მაყურებლის შთაბეჭდილებას უცვე მეორე ჩრდილი მიაყენა.

არცთუ ისე იშვიათად აფიშაში წინასწარ გამოცხადებული ერთი მომღერლის მოსასმენად მისულ მაყურებელს სცენაზე სულ სხვა მომღერალი დახვედრია, რომლის მოსმენა დღეს შეიძლება მას არც აინტერესებდა (ამას ხომ საოპერო თეატრისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს). ამასთან, არავის შეუწუხებია თავი, ეს ცვლილება წინასწარ, გარკვეული დროით ადრე გაზეთით ან რადიოთი გამოეცხადებინა, ან ბოდიში მაინც მოეხადა თეატრში მოსული გაწბილებული მაყურებლისათვის.

ესეც წვრილმანია, მაგრამ, აგერ მესამე ჩრდილი მიაყენა მაყურებლის შთაბეჭდილებას.

იქნებ ვინმეს წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ კი წვრილმანად ვერ ჩავთვლით, როცა თეატრის დირექცია, არცთუ იშვიათად, საგასტროლოდ იწვევს მეტად მდარე ხარისხის მომღერლებს, რომელთა ვოკალური და სცენიური შესაძლებლობანი გაცილებით ჩა-

მოუვარდება ადგილობრივ შემსრულებლებს. ასეთი ფაქტის მოწმე კი ხშირად ვყოფილვართ. არა და, მაყურებელი დირექციას თუ არ ენდო საგასტროლოდ მოწვეული ხელოვანის შერჩევაში, ვიღას ენდოს!

და აჰა, კიდევ ერთი ჩრდილი მაყურებლის შთაბეჭდილებას.

აი, რასა ჰქვია (ძალიან რბილად, რომ ვთქვათ) გულგრილი დამოკიდებულება მაყურებლის მიმართ.

ჩვენ აქ ერთი თეატრის მაგალითი მოვიტანეთ, მაგრამ მეტ-ნაკლებად სხვა თეატრებშიაც ხომ ვხედებით ასეთ მდგომარეობას!

განა მაყურებლის მიმართ გულგრილობით (არ გვინდა უფრო მაგარი გამოთქმა ვიხმაროთ) არ აიხსნება ის უცნაური ფაქტი, რომ დღეს, 14 სექტემბერს, სეზონის გახსნის წინა დღეს, მაყურებელმა არც თეატრების რეპერტუარი იცის, არც დასების შემადგენლობა, არც სხვა რამ სიახლენი თეატრის ცხოვრებაში?! არა და, ჩვენ ამის კარგი ტრადიცია გვაქვს.

წლების განმავლობაში თუ ყოფილა შემთხვევა, რომ მაყურებელთა კონფერენცია მოეწვიოთ, თეატრის მოღვაწენი უშუალოდ შეხვედროდნენ თავიანთ მაყურებელს, მათი აზრი და სურვილები მოესმინოთ, თავიანთი გეგმები და თუნდაც სიძნელეები გაეცნოთ?! ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც მაყურებლის გააქტიურების თვალსაზრისით, და ჩვენს თეატრს ამისი ტრადიციაც ჰქონდა.

თეატრი ხომ მოწოდებულია, აღზარდოს მაყურებელი. ახლა ისიც ვიკითხოთ, გემოვნების დახვეწა-განვითარებას ხელს უწყობს ის საეჭვო გემოვნების აფიშები და პროგრამები, ჩვენი თეატრები მაყურებელს რომ სთავაზობენ?! არა-და, ბევრი თეატრი ინატრებს ისეთ მაღალნიჭიერსა და დახელოვნებულ მხატვრებს, როგორიც ჩვენა გვყავს. ეს იმითაც ჩანს, რომ როცა ჩვენი თეატრი რესპუბლიკის გარეთ მიემგზავრება საგასტროლოდ, იშვიათი გემოვნებით შესრულებული აფიშები და პროგრამები მიაქვს!

ეს აფიშები და პროგრამები „საგარეოა“.

„საშინაოდ“ კი...

ყველას კარგად მოეხსენება, როგორი პროგრამები იყიდება ჩვენს თეატრებში!

თეატრი ისეთი დაწესებულებაა, სადაც ყველაფერი „საგარეო“ და ბრწყინვალე უნდა იყოს.

1973 წ.

# საკონცერტო დარბაზის სევდა

ცნობილი რუსი კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი თავის მემუარებში იხსენებს გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების თბილისის ცხოვრებას, გადმოგვცემს, როგორ თანდათან იზრდებოდა ჩვენს დედაქალაქში ინტერესი კლასიკური მუსიკისადმი... კერძოდ, იგონებს, როგორ მღეროდნენ ქალაქის ქუჩებში ქართველი ბიჭუნები მელოდიებს იტალიური ოპერებიდან თუ სიმფონიური მუსიკიდან. ერთი პატარა ქართველი ბიჭი მიდიოდა ქუჩაში და ბეთჰოვენის პირველი კვარტეტის მელოდიას ღიღინებდაო, დაუფარავი გაკვირვებით შენიშნავს კომპოზიტორი.

აი, თურმე როდის ეყრებოდა საფუძველი კლასიკური მუსიკის მოსმენის ძალიან კარგ ტრადიციას! აი, როდიდან შერქმევია თბილისს ჰეშმარიტი მუსიკალური ქალაქი (რაღა თქმა უნდა, დიდი კლასიკური მუსიკის თვალსაზრისით).

შემდეგ ჩვენ ხშირად გაგვიგონია და წაგვიკითხავს ერთგვარი სიამაყითა და დაუფარავი სიხარულით წარმოთქმული თუ დაწერილი სიტყვები: შალიაპინმა ჩვენს საოპერო სცენაზე აიდგა ფეხი; სობინოვს სასიხარულოდ ჰქონდა ჩვენს თეატრში გამოსვლა; კოზლოვსკი დღესაც სიამოვნებით იგონებს თბილისელ მაყურებელსა და ქართველ პარტნიორებს; მავან და მავან მომღერალს უღიარებია, თუ რა შიშით მოდიოდა თბილისში გასტროლებზე და რა გახარებული წასულა, როცა ჩვენს მაყურებელს კარგად მიუღია (აქვე ჩამოთკლიდნენ ხოლმე ამ მომღერალთა გვარებს)...

და ეს სიამაყე საფუძვლიანი იყო, არც იმ დაუფარავ სიხარულში ყოფილა რამე ცუდი და გასაკიცხი. თბილისი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე განთქმული მუსიკალური ქალაქი გახლდათ მთელს კავშირში.

უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ და მუდამ სიხარულის ღიმილით მოიგონებენ ჩვენი დიდებული ოპერის შესასვლელში სპექტაკლის დაწყების წინ აჩოჩქოლებულ მაყურებელს (არა სენსაციური ემოციებით აჩოჩქოლებულ მაყურებელს!), იმ სანატრელ აბონემენტებს, რომლებზეც რბილი ლურჯი ხაზებით ჩვენი ოპერის თეატრის გუმბათები იყო გამოსახული. აქვე შევნიშნოთ: მაშინ აბონემენტები შეწერილი არავის ჰქონია, ამ აბონემენტების ერთადერთი

დანიშნულება ის იყო, ოპერაში მოხვედრის გარანტია წინასწარვე ჰქონოდა მაყურებელს...

ამ პატარა წერილში ალბათ საჭირო არც არის ვარკვიოთ, როდის ჩაეყარა საფუძველი, კერძოდ, სიმფონიური მუსიკის მოსმენის კარგ ტრადიციას. იქნებ საკმარისი იყოს იმის შენიშვნით დავკმაყოფილდეთ, რომ ასეთი ტრადიცია ნამდვილად იყო: სიმფონიური მუსიკის მოსმენის ტრადიცია. ნამდვილი თბილისური ტრადიცია. ის ორშაბათი დღეები, როცა საოპერო დასი ისვენებდა და სცენა დათმობილი ჰქონდა სიმფონიურ ორკესტრს. ის სანატრელი მოლოდინი ორშაბათის სიმფონიისა...

ორშაბათობითო, ვამბობთ, და ესეც პირობითია, ამასაც განმარტება სჭირდება. უფროსი და საშუალო თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ სიმფონიური ორკესტრის კონცერტები თბილისის ბაღებსა და პარკებში, ღია ცის ქვეშ, თითქმის ყოველდღე.

ისიც კარგად ახსოვთ, როგორ გაემგზავრებოდა სააგარაკოდ ოჯახი ბორჯომში იმის სასურველი მოლოდინით, რომ იქ, ბორჯომის დიდებულ პარკში, ბუნების წიაღში, საღამოობით სიმფონიურ მუსიკას მოისმენდა, სადირიჟორო პულტზე შემდგარ მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ევგენი მიქელაძეს იხილავდა... როგორ უადვილებდა, ვთქვათ, სამკურნალოდ ჩასულ მრავალრიცხოვან მშრომელებს წყალტუბოს მეტად უსიამოვნო სიცხის ატანას საღამოს მოლოდინი, როცა საქალაქო პარკს სიმფონიური მუსიკის ბგერები გაავსებდა...

და აი, ჩვენ იმ სამწუხარო ფაქტის მოწმეც გავხდით, როგორ თანდათანობით დავკარგეთ ეს კარგი ტრადიცია.

გაზეთში გამოქვეყნდა მწერალ ლევან ხაინდრავას პატარა წერილი. ავტორი გულისტკივილით შენიშნავს: ამ დღეებში სიმფონიური მუსიკის კონცერტს დავესწარი, პროგრამაში იყო ბახის, ვივალდის, ბოკერინის, ბეთჰოვენის ნაწარმოებები, მონაწილეობდნენ პირველხარისხოვანი შემსრულებლები, მაღალკვალიფიციური დირიჟორი... მაყურებელთა დარბაზი კი ცარიელი იყოო... რა ხდება, ნუთუ სერიოზული მუსიკისადმი ინტერესი გაუქრათ ჩვენს ქალაქში, სადაც ოდესღაც დაიწყო შალიაპინის დიდება, სადაც მღელვარებით ჩამოდიოდნენ სახელგანთქმული მუსიკოსები და მომღერლები, რაკი იცოდნენ თბილისის მაყურებლის მალალი გემოვნებაო...

ამ სტრიქონების ავტორიც დაესწრო იმ ნაღველიან კონცერტა-

მინდოდა დამეწერა, მოსაწყენ კონცერტს-მეთქი, და დირიჟორისა და შემსრულებლების მომერიდა. მათი ბრალი სულაც არ არის, რომ კონცერტი მოსაწყენი იყო.

ლ. ხაინდრავას სიტყვა „ფეიერვერკი“ აქვს ნახსენები თავის წერილში. არა, თავს ნუ მოვიტყუებთ: რა ნაწარმოებიც არ უნდა შეასრულოთ და რა ვირტუოზულადაც არ უნდა შეასრულოთ, ფეიერვერკი არ გამოვა, როცა ას კაციან ორკესტრს ორიათას ხუთას ადგილიან გრანდიოზულ დარბაზში ოცი მოწყენილი მაყურებელი უსმენს.

ჩვენ დავინტერესდით: იმ დღეს ორმოცამდე ბილეთი გაყიდულა, მაგრამ დარბაზში რატომღაც მაინც ოცი მაყურებელი იჯდა. ოცი მაყურებელი! ამ ოცთაგან, ერთი, როგორც იქვე გამოირკვა, მოსკოველი გასტროლიორი სოლისტის თანამგზავრი იყო; ერთი — თვითონ სიმფონიური ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელი (ამ საღამოს ის არ დირიჟორობდა, სადირიჟორო პულტზე სხვა დირიჟორი იდგა), რომელიც გაოგნებული და შეწუხებული იჯდა მაყურებელთა დარბაზში.

აქვე უნდა ვთქვათ, სასაყვედურო მის მიმართ ჩვენ არაფერი გვაქვს — მას აქვს ჩვენთან სასაყვედურო. მან, და მისი ხელმძღვანელობით მთელმა სიმფონიურმა კოლექტივმა, დიდი სიყვარულით და ენერგიით მოჰკიდეს საქმეს ხელი, ყოველნაირად ცდილობენ აღადგინონ კარგი ტრადიცია, ცდილობენ მრავალფეროვანი, საინტერესო რეპერტუარით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე, სულ ახალ და ახალ ნაწარმოებებს ასრულებენ, მათ შორის ბევრს ისეთს, რაც იშვიათად ან ჯერ სულაც არ შესრულებულა ჩვენს ქალაქში, ცდილობენ აიმაღლონ საშემსრულებლო ოსტატობა... ამ კაცისა და მთელი კოლექტივის — შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს — მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის!..

დარბაზში იჯდა აგრეთვე სამი კომპოზიტორი, დირიჟორის შვილი, ზემოთ ნახსენები წერილის ავტორი ლ. ხაინდრავა და... თუ კიდევ დარჩა ვინმე, იმათი ვინაობა ალარ ვიცი.

ეს რომ პირველი შემთხვევა ან გამონაკლისი შემთხვევა იყოს, მაშინ არ გავკადნიერდებოდით და მკითხველის ყურადღებას ალარ შევაჩერებდით, კრინტსაც არ დავძრავდით. სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი არ არის. ჩვენ ხშირად ვართ იმის მოწმე, რომ საოპერო თეატრში ზოგჯერ შესანიშნავ სპექტაკლსაც კი, რომელშიაც მონა-

წილერბენ ჩვენი პირველხარისხოვანი მომღერლები, ოციოდე მაყურებელი ესწრება. ოციოდე ფაქტიური მაყურებელი, რადგან სალაროში რომ მიხვიდეთ, იქნებ ბილეთი ვერც კი იშოვოთ, ბილეთები სულ გაყიდული აღმოჩნდეს. მაგრამ როგორმე მაინც თუ მოახერხეთ შესვლა, ხშირად თითქმის ცარიელი დარბაზი დაგხვდებათ. ამრიგად, რამდენიმე წლის შემდეგ რომ ვინმე დაინტერესდეს და ამ ყველაზე სარწმუნო მონაცემების — საბუღალტრო მონაცემების — მიხედვით შეამოწმოს მაყურებელთა დასწრების მდგომარეობა, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქოს დარბაზი მუდამ გაჭედილი ყოფილიყოს.

ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, ეტყობა, ეს ადუნებს იმ ადამიანების ყურადღებას, ვისაც ამ სავალალო მდგომარეობის გამო თავის შეწუხებაც მართებს, დაფიქრებაც და ხელის განძრევაც. საკითხავია, შეუწყობს კი ხელს ჩვენი კულტურის — კერძოდ, თეატრალური და მუსიკალური კულტურის — განვითარებას კარგი „საბუღალტრო მონაცემები?“ გვაძლევს კი ეს თვითდამშვიდების უფლებას?

თუ, პირიქით, მრავალმხრივ მავნებელია ასეთი პრაქტიკა?

ვის რაში სჭირდება იმ მაყურებლის მიერ გადახდილი ბილეთის ფული, რომელიც სპექტაკლის დროს შინა ზის ან სხვა რამე საქმით არის გართული?! მას ხომ აშკარად აკლდება ფაქტიურად გამოუყენებელი ბილეთის ფული (და ალბათ ამით ძალიან უკმაყოფილოც არის)!

მაგრამ ემატება კი ამით ვინმეს რამე?

თუ, პირიქით, ჩვენს დიდ კულტურასაც ბევრი აკლდება სწორედ ამ ფაქტით. თუნდაც იმიტომ, რომ უნებურად თვითდამშვიდებისაკენ გვიბიძგებს?!

ზემოთ გავიხსენეთ სპექტაკლის დაწყების წინ ოპერასა თუ საკონცერტო დარბაზებთან აჩოჩქოლებული ხალხი, კლასიკური მუსიკით გატაცებული და დაინტერესებული ხალხი.

ახლაც შეგიძლიათ ნახოთ კლასიკური მუსიკით დაინტერესებული აჩოჩქოლებული ხალხი. და, სხვათა შორის, იმაზე გაცილებით მეტი.

იულისის ცხელ დღეებში კონსერვატორიის წინ და მის მახლობელ ქუჩებში, მთელს უბანში, ხალხი ირევა, გვერდს ვერ აუქცევ, ქუჩაში ვერ გაიელი. ასეთსავე სურათს ნახავთ ყველა მუსიკალურ

ტექნიკუმისა და სასწავლებლის წინ, ყველა მუსიკალური სკოლის წინ. ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინ, რომლებთანაც საგანგებო მუსიკალური სასწავლებლები ჩამოყალიბდა...

ეს სულ კლასიკური მუსიკით დაინტერესებული ხალხია.

იმავე ცხელ დღეებში განუწყვეტლივ ისმის ტელეფონის ზარის წკრიალიც:

ეს — მუსიკით დაინტერესებული ხალხი ითხოვს შველას...

განა კონცერტზე და სპექტაკლზე ბილეთებისათვის!

არა, იმისათვის, რომ თავისი შვილი ან მახლობელი, რომელსაც სმენაც დიდებული აქვს, ძალიანაც უყვარს მუსიკა და უმუსიკოდ ვერ სძლებს, როგორმე სასწავლებელში ჩარიცხონ.

დამთავრდება სასწავლებელში მიღება და ტელეფონის ზარის წკრიალი მაინც არ წყდება, ხალხის ჩოჩქოლი ახლა უკვე კულტურის სამინისტროსა და იმ ორგანიზაციებისაკენ გადაინაცვლებს, ვისაც ეს სასწავლებლები ექვემდებარებიან. ახლა უკვე ჩვეულია, რომ მათი შვილები თუ ახლობლები დაჩაგრეს, კარგად ვერ გამოსცადეს, სათანადოდ ვერ დააფასეს... და კვლავ იმის წუწუნი, რომ უმუსიკოდ ვერ ძლებენ და სხვ...

მაგრამ ამ ხალხს დავეხსნათ, — მათ თავისი სადარდებელიც ეყოფათ, — ვინც ჩაირიცხა, იმათ მივხედოთ. რამდენი ახალგაზრდა სწავლობს კონსერვატორიაში, მუსიკალურ ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში, მუსიკალურ სკოლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ მუსიკალურ სასწავლებლებში?...

სხვათა შორის, იმ „ნაღვლიან კონცერტზე", იქვე დამსწრე კომპოზიტორებთან საუბარში ვცადეთ მიახლოებით მაინც გვეგარკვია, ვპარტო დირექტორი და პედაგოგი რამდენი ჰყავთ ამ სასწავლებლებს.

ზეპირი ტლანქი გამოანგარიშებით თბილისის მხოლოდ იმ მუსიკალურ სასწავლებელთა დირექტორები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არის ჩამოყალიბებული, 120 თუ ცოტა მეტი უნდა იყოს, პედაგოგების რიცხვი იმავე მუსიკალურ სკოლებში რამდენიმე ათასი ვიყარაუდეთ...

მაგრამ ამ დროს კონცერტის მეორე განყოფილება დაიწყო და ჩვენც შევწყვიტეთ ეს უსარგებლო ანგარიში. შემდეგ კი შეგნებულად მოვერიდეთ ამის გარკვევას. ეს სიები ხომ ჩვენს ხელთ არ

არის. ვაი, თუ ზუსტი არ გამოგვივიდეს! ვაი თუ შევცდეთ და დაგვძრახონ!

ისე კი ურიგო არ იქნებოდა ვინმეს, — ისეთ ვინმეს, ვისაც ეს უფრო ეხება, — დაეანგარიშებინა, რამდენი პედაგოგი და მოსწავლეა თბილისის მუსიკალურ სასწავლებლებში.

ამას რომ გავიგებთ, მერე იმის გარკვევაც გაადვილდება, რამდენი ოჯახი ყოფილა დაინტერესებული, თავის შვილსა თუ ახლობელს ჰეშმარიტი მუსიკალური განათლება მიაღებინოს...

ახლა რამდენი ჰუმანიტარული დარგის უმაღლესი სასწავლებელი და ფაკულტეტი გვაქვს მარტო თბილისში, რომელთა ლექტორებსა და მსმენელებს წმინდა პროფესიული თვალსაზრისით უნდა აინტერესებდეთ კლასიკური მუსიკის კონცერტებისა და საოპერო სპექტაკლების მოსმენა — თეატრალური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, პედაგოგიური ინსტიტუტები, ფილოლოგიური, ფილოსოფიური და სახელოვნო ფაკულტეტები?!

როგორც ვხედავთ, ეს ერთი ორგანიზაციის და, მით უმეტეს, ერთი კაცის საზრუნავი არ არის, ამაზე უნდა იზრუნოს ყველამ, ვისაც ჩვენს კულტურაზე გული შესტკივა, ვინც ჩვენი კულტურის განვითარებით არის დაინტერესებული. მაგრამ უნდა იზრუნონ საქმით, პრაქტიკული ღონისძიებებით და არა ზოგადი გულისტკივილის გამოთქმით.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ყოველ კარგ ტრადიციას მოვლა და განვითარება უნდა. ზოგი ტრადიციის დამკვიდრებას დიდი დრო სჭირდება და დაკარგვა კი, როგორც ვნახეთ, უფრო ადვილი ყოფილა. ისიც გავიხსენოთ, რომ, როცა ჩვენი ხალხის დიდ სულიერ კულტურაზე ვლაპარაკობთ, ეს ზოგადი ცნება კი არ არის — სულიერი კულტურა ასეთ კონკრეტულ საკითხებში ვლინდება.

და სწორედ ის მაღალი სულიერი კულტურა გვავალებს თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ყველაფერს, რაც ამ კულტურის შემადგენელი ნაწილია და რაც მის შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

1975 წ.

# შექსპირის მემორიალური თეატრი

შექსპირის მემორიალურ თეატრს დიდი ტრადიცია აქვს. თითქმის ორი საუკუნის წინათ ჩაუყარა მას საფუძველი მწერლის სამშობლო ქალაქ სტრადფორდში შესანიშნავმა ინგლისელმა მსახიობმა დავით გარიკმა. მერე დიდხანს ალარ გამოსჩენია ამ საქმეს გულშემატკივარი და მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ გახდა შესაძლებელი ასი წლის წინათ დაწყებული საქმის განგრძობა. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებში, თითქმის სწორედ იმ დროს, როცა ჩვენში ილიამ და მაჩაბელმა „მეფე ლირი“ თარგმნეს და მაყურებელმა ქართულ სცენაზედაც იხილა შექსპირის გმირების შესანიშნავი განმსახიერებელნი, მეცენატმა ფლაუერმა კვლავ განაახლა გარიკის დაწყებული საქმე და მას შემდეგ თეატრს ალარ შეუწყვეტია არსებობა.

ამ თეატრის სცენაზე შექსპირის თითქმის ყველა პიესა დადგმულა, ისეთებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ არც ერთ ქვეყანაში და მათ შორის ინგლისის სხვა თეატრებშიაც არ იდგმება ხოლმე. სხვას თითქმის არც არაფერს დგამს თეატრი — მხოლოდ შექსპირის პიესებს! ათასში ერთხელ თუ დადგამენ სხვა პიესას და ისიც უსათუოდ შექსპირის თანამედროვე დრამატურგისას. ამ თეატრის მუშაობის ხასიათი ცოტათი განსხვავდება სხვა თეატრებისაგან. მისი დასი დენადია. ესე იგი მოდიან და მიდიან მსახიობები. ზოგჯერ მხოლოდ თითო სეზონს რჩებიან. უფრო ხშირად სამ-სამ წელიწადს. ძალიან იშვიათად მეტსაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მემორიალური თეატრის სცენაზე უთამაშია თანამედროვე დიდ ინგლისელ მსახიობს, შექსპირის როლების ცნობილ შემსრულებელს ლორენს ოლივიეს, რომელსაც ჩვენ უმთავრესად კინოფილმებიდან ვიცნობთ. აგრეთვე პოლ სკოფილდს, ვივიენ ლის, რალფ რიჩარდსონს, ბარბარა ჯეფორდს და სხვებს.

მაჩაბლის გენიალურმა თარგმანებმა, ჩვენი სცენის დიდმა ოსტატებმა ისე „გაგვიშინაურეს“ და შეგვისისხლხორცეს შექსპირი, რომ ქართველი კაცისათვის მუდამ საინტერესოა იმის ნახვა და მოსმენა, თუ როგორ ახასიერებენ შექსპირის უკვდავ ქმნილებებს მისივე მშობლიურ ქალაქში, ინგლისურად როგორა ჟღერს ის სიტყვები, რაც ოთხი საუკუნის წინათ დაუწერია დიდ გენიოსს. განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ ახერხებენ ისინი შექსპირის დროინ-

დელი თეატრის თავისებურებების აღდგენას, ისე რომ, ამასთან, თანამედროვე თეატრის მთელი უპირატესობანიც გამოიყენონ (რადგან მემორიალური თეატრის ერთ-ერთი ამოცანა ეგეც არის).

სამი სპექტაკლი ვნახე ამ თეატრში. ამ სპექტაკლებზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

ძნელია ერთ წერილში საფუძვლიანად განიხილო სამი სპექტაკლი და ისიც თითო ნახვით. მე შევეცდები უშუალო შთაბეჭდილებები გავუზიარო მკითხველს.

თუ ზოგად შეფასებას მოვინდომებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თეატრი. მისი პირველი თავისებურება — შექსპირის დიდი ერთგულებაა. ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ შექსპირის ტექსტს დღევანდელი მაყურებლისათვის უსათუოდ შეკვეცა სჭირდება. ეს უკვე დაკანონებულია ყველა ქვეყნის ყველა თეატრში. და ისე გაიძვალრბილეს ეს აზრი რეჟისორებმა, რომ თვითნებურად გადააადგილებენ ხოლმე არა მარტო ცალკეულ სურათებს, არამედ მთელ მოქმედებებსაც. ამაყად უპირავთ ხელში მაკრატელი და შეუბრალებლად სჭრიან ტექსტს, უბოდიშოდ აკეთებენ ყოველგვარ მონტაჟსა და კუპიურებას. ზოჯერ სონეტებიდან და პოემებიდან გადმოიტანენ ცალკეულ სტრიქონებს და ამა თუ იმ პიესის გმირებს ჩასჩრიან პირში, ლამის ერთი პიესის გმირს მეორის პერსონაჟი შეაყვარონ! ასე ხდება ყველგან, ყველა ქვეყანაში.

ამ თეატრში კი სასურველი სიზუსტით მისდევს სურათი სურათს, სწორედ ისე, როგორც შექსპირსა აქვს, და მხოლოდ აქა-იქ, ცალკეულ მონოლოგსა და დიალოგში თუ შენიშნავთ სტრიქონთა ოდნავ შემოკლებას. მაგრამ ეს ხდება ძალიან იშვიათად, და ისიც უმნიშვნელოდ. თითქოს რაც ქვეყანაზე შექსპირის დამდგმელი რეჟისორები ყოფილან და არიან, იმათ ჯავრს ერთბაშად იყრიანო. მთელი სპექტაკლი გაყოფილია ორი ოც-ოცწუთიანი შესვენებით. „მოქმედებას“ არც ეძახიან სამ შემადგენელ ნაწილს, სწორედ ასე წერენ — სპექტაკლი ნაჩვენები იქნება ორი ოც-ოცწუთიანი შესვენებითო.

ზოგს იქნებ გაუკვირდეს კიდეც — ეს რაღა ერთგულებაა, თუკი ავტორისეულ მოქმედებებად დაყოფასაც არ იცავენ და შექსპირის ხუთმოქმედებიან ტრაგედიას თუ კომედიას თვითნებურად სამ ნაწილად ყოფენო. მაგრამ სინამდვილეში თეატრი ამითაც შექსპირს

ერთგული რჩება. საქმე ის არის, რომ თვით შექსპირს თავისი პიესები იმგვარად არა ჰქონია დაყოფილი, როგორც ახლა იბეჭდება მაგალითად, მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული „ჰამლეტი“ სულაც არ არის მოქმედებებად დაყოფილი, ამბავი სულმოუთქმელად ვითარდება. ხოლო ის ტრადიციული დაყოფა, რაც ახლა ყველგან დაკანონდა და რის მიხედვითაც იბეჭდება შექსპირის პიესები ინგლისშიაც და სხვა ქვეყნებშიაც, უფრო მოგვიანო პერიოდს ეკუთვნის; და როგორც მკვლევარები შენიშნავენ, არცთუ ძალან მარჯვედ არის პიესის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთისაგან გამოყოფილი. ცალკეული მოქმედებები ხშირად ლოგიკური წერტილით არა მთავრდება, ერთი განწყობილების ამბავი ზოგჯერ მექანიკურად არის გათიშული და ხელს უშლის ნაწარმოების მთლიანობის აღქმას.

რამდენადაც პირველ შთაბეჭდილებას დაეჯერება, მემორიალური თეატრის სამივე სპექტაკლი („ჰამლეტი“, „რომეო და ჯულიეტა“, „მეთორმეტე ღამე“) კარგად არის დაყოფილი, ლოგიკური წერტილები სწორედ არის მონახული. ხოლო „წერტილები“ ცალკეულ სურათებს შორის საერთოდ დაგმობილი აქვთ და, ვფიქრობ, სამართლიანადაც; ერთ სურათს უმალვე, „უწერტილოდ“, ამოუსუნთქავად ცვლის მეორე სურათი და ამით კიდევ უფრო ეწყობა ხელი მოქმედების დინამიკას, რაც შექსპირისეულ სპექტაკლებში უმნიშვნელო საკითხი როდია.

მაგრამ ამ საოცარი „ერთგულების“, ტექსტის ასე შეუკვეცელობის მიუხედავად, სპექტაკლი მაინც ადრე მთავრდება. „მეთორმეტე ღამეს“, ორი ოც-ოცწუთიანი შესვენების ჩათვლით, სამი საათი დასჭირდა; „ჰამლეტსა“ და „რომეო და ჯულიეტას“ კი სამ-ნახევარი საათი თითოეულს. ეს აიხსნება იმ საოცარი რიტმით რაც ყველა სპექტაკლს ახასიათებს. მაგრამ ეს რიტმი შეუმჩნეველია, როგორც ჭკუაში ხოლმე — „ხაზგაუსმელია“, ისევე როგორც ხაზგაუსმელია სპექტაკლის ყველა კომპონენტი. ამ თეატრში (იგულისხმება, სამი სპექტაკლის მიხედვით) განსაკუთრებულად არაფერი ჭეშმათ თვალში. სპექტაკლის შემადგენელი არც ერთი ნაწილი არ ყვირის, ერთი შემხედე, რა ვარ და ვინ ვარო; არც მხატვარი, არც რეჟისორი, არც კომპოზიტორი, არც მსახიობი... „ჰამლეტში“, მაგალითად, მუსიკა ძალიან საინტერესოდ არის გააზრებული. ცალკეული მოკლე მუსიკალური ფრაზები ისე მოხდენილად არის ჩაქსოვი-

ლი დიალოგებში და ისე ჰკრავს მათ, თითქოს თვით შექსპირს შე-
ეტანოს წერის დროს და დამაკავშირებელი ძაფების ფუნქცია დაე-
კისრებინოს. ერთი სიტყვით, ხელს არავინ უშლის ერთმანეთს,
ხაზგასმული არაფერია, არაფერი ყვირის. საინტერესო ისაა,
რომ თავგამოდებით მსახიობებიც არა ყვირიან. ფარდის ახდისთა-
ნავე მოიხიბლებით საოცარი სისადავითა და უბრალოებით. სცენა
არ იტვირთება „ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით“, თითქმის ცა-
რიელია. მაგრამ მსახიობები ბოროტად არ სარგებლობენ ამ „თავ-
სუფალი სივრცით“ — მოძრაობა საოცრად ძუნწი აქვთ. ჰამლეტ
ყველა ცნობილ მონოლოგს თითქმის ერთ ადგილას გაქვავებულ
კითხულობს, თავის სულიერ განწყობილებასა და ვნებათაღელვას
ინტონაციით, ღრმა გააზრებული მიმიკითა და ძუნწი ჟესტიკულა-
ციით გადმოსცემს.

ყველა სპექტაკლში, განსაკუთრებით ეს „მეთორმეტე ღამეზე“
ითქმის, ფარდების მონაცვლეობით იცვლება ხოლმე ფონი და ეს
ქმნის განსხვავებულ განწყობილებას. რბილი ფერები... თითქოს
ფარდები დროთა ვითარებაში გამოხუნებულაო. კომედიაში მხატვა-
რი (და მუსიკაც) დიდად უწყობს ხელს იმ განწყობილების შექმნას,
თითქოს მართლაცდა „ძველ, მხიარულ ინგლისს“ უყურებდე დ
თითქოს ელოდე, რომ ბუჩქებიდან, რომლებიც სცენის სიღრმეში
მოსჩანს, საცაა „სანადიროდ ჩასაფრებული შექსპირი გამოვაო“.

აღსანიშნავია, რომ კოსტუმებს მხოლოდ დამოუკიდებელი, ე. წ
მხოლოდ კოსტუმების მნიშვნელობა კი არ ენიჭება და დეკორაციებ
თანაც უბრალოდ ფერების შეხამებით კი არ არიან დაკავშირებულ
ნი, არამედ ავსებენ და ამთავრებენ ამ დეკორაციებს. „ჰამლეტში“
მეორე სურათი მეფის სასახლეს წარმოადგენს. პირველი ჩამუქებუ
ლი სურათის შემდეგ ინთება უცებ შუქი (ფარდა არა აქვთ — პირ
დაპირ ღია სცენით იწყება მოქმედება და ასევე ღია სცენით მთავრ
დება. დეკორაციების ცალკეული შემადგენელი ნაწილები თვითონვ
შემოაქვთ მსახიობებს და დგამენ; ეს ხდება მუსიკის რიტმზე დ
ამით ერთგვარად პაუზა ივსება ხოლმე. ასეთი ხერხებით ცდილობე
შექსპირის დროინდელ თეატრს დაამსგავსონ თანამედროვე მემო
რიალური თეატრი), ინთება შუქი და მეფის სასახლ
უჩვეულო ბრჭყვიალება, სწორედ უზურპატორის შესაფერ
ბრჭყვიალება და არა სასახლის გრანდიოზულობა. სცენაზე არი
კლავდიუსი, გერტრუდა, პოლონიუსი, ჰამლეტი და მთელი ამალა

მოისმენთ კლავდიუსის ყალბი სიტყვებით გაბერილ მონოლოგს, რამდენიმე რეპლიკას, შესიტყვებას... ესე იგი, როგორც ტექსტშია, და ერთბაშად ყველანი გადიან, მხოლოდ ჰამლეტი რჩება, რათა თავისი პირველი მონოლოგი — „რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი“ — წარმოთქვას. არ იცვლება სურათი, სცენა იგივე რჩება, მაგრამ რადიკალურად იცვლება განწყობილება. სპექტაკლშიაც იგივე სცენა დარჩა, დეკორაციები არ შეუცვლიათ, შუქიც არ ჩაუქრიათ, არც ფონი შეცვლილა, მაგრამ მაყურებელს ისეთი მთაბეჭდილება ექმნება, თითქოს სცენა, დეკორაციები მთლიანად შეცვლილიყოს, ის უგემოვნო ბრჭყვიალება ერთბაშად შესცვალა სასახლის დარბაისლურმა გრანდიოზულობამ და უკვე მომზადდა განწყობილება შესანიშნავი მონოლოგის მოსასმენად. საქმე ის არის, რომ ამ პირველ განწყობილებას, უზურპატორის უგემოვნო ბრჭყვიალების განწყობილებას, კოსტუმები ჰქმნიდა, კოსტუმები და ორიოდე დროშა. ისინი ავსებდნენ დეკორაციებს, ხოლო კოსტუმების „გავლით“ რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი.

საინტერესოა ტექსტის ორიგინალური ამოკითხვა და თავისებური ინტერპრეტაცია (ამ საკითხშიაც განსაკუთრებული პრეტენზიები აქვს მემორიალურ თეატრს). ამჯერად შევჩერდები ორ მაგალითზე, ფაქტიურად ეს წერილიც ამ მაგალითებმა დამაწერინა.

შექსპირის პიესები თეატრისათვის იწერებოდა. ამ პიესების წერის დროს ხშირად ავტორს თვალწინ ედგა მსახიობი, რომელსაც ესა თუ ის გმირი უნდა განესახიერებინა: ყურში იდუმალად ჩაესმოდა მისი ხმა, მისი დიქცია, მის მიხვრა-მოხვრას ხედავდა... შექსპირი თვითონვე თეატრში მუშაობდა და შესანიშნავად იცოდა სცენის ყოველი საიდუმლო, რაც თეატრის გარეთ მყოფი დრამატურგისათვის იქნებ შეუმჩნეველი დარჩეს. ამიტომაც არის მისი პიესები ასე სცენიური. მაგრამ შექსპირის გენიის სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ მის პიესებს ერთნაირი ძალა აქვთ — როგორც საკითხავ წიგნსა და სცენაზე განსასახიერებელ პიესას, როგორც ლიტერატურულ პირველწყაროს და სცენურ მასალას. მსოფლიო ლიტერატურის, კერძოდ დრამატურგიის ისტორიაში, ცოტას თუ დაასახელებ ისეთ პიესას, რომელიც წასაკითხად და სცენაზე საყურებლად ერთი სიძლიერისა იყოს. ამ მხრივ შექსპირს ბადალი თითქმის არა ჰყავს. ამიტომაც არის, რომ შექსპირის სცენაზე განსახიერებას ყოველთვის ის სიძნელეც თან დაჰყვება, რაც დიდი ლიტერატურუ-

ლი (არადრამატურგიული) ნაწარმოების გასცენიურებას ახლავს ხოლმე თან: ფართო მკითხველს წაკითხულითა აქვს ამა თუ იმ გმირის სახე ჩამოყალიბებული თავის წარმოდგენაში და სცენაზე ნანახს უნებურად იმას ადარებს.

„ჰამლეტს“ საკაცობრიო ქმნილებას უწოდებენ. როცა ამ ნაწარმოებს კითხულობ, გაკვირვებული ხარ (სხვა სიტყვა ვერ გამოხატავს იმ განცდას, რაც ტრაგედიის წაკითხვის დროს გეუფლება). იგი გაკვირვებს ფილოსოფიური აზრის სიღრმით, საოცარი პოეტური ელვარებით, დიდი ემოციური ზეგავლენით და, რაც ყველაზე უფრო საოცარია, საარაკო თანადროულობით, უბერებლობით...

აქ ყოველი სახე და ყოველი ფრაზა ისეთი სიზუსტითა და ჰარმონიულობით არის გამოკვეთილი, რომ მხოლოდ სამყაროს დიდ ჰარმონიულობას თუ შევადარებთ... ყველაფერ ამას რომ გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, თუ რა სიძნელის წინაშე დგას ყოველი რეჟისორი, როცა ტრაგედიის სცენიურ ხორცშესხმას განიზრახავს.

ბევრჯერ მინახავს „ჰამლეტი“ ჩვენს თეატრშიაც, რუსეთშიაც, ეკრანზედაც. წამიკითხავს ცნობილ შექსპიროლოგთა დახასიათებანი ცალკეული პერსონაჟებისა. წამიკითხავს სხვადასხვა დადგმების ანგარიში, რომლებშიც მოცემულია ამა თუ იმ ხასიათის საინტერესო გადაწყვეტა, ავტორისეული ტექსტის ორიგინალური ინტერპრეტაციები. მთავარი სახე ამ პიესაში, რალა თქმა უნდა, ჰამლეტია.

ბევრი დიდი მსახიობის ოცნება იყო, არის და მუდამაც იქნება ამ როლის განსახიერება. თეატრის ისტორია ამ როლის ბევრ საინტერესო და ორიგინალურ გადაწყვეტას იცნობს. მემორიალური თეატრის სპექტაკლში ცნობილი მსახიობი რედგრეივი ასახიერებდა დანიის პრინცს. ბევრი რამ იყო საინტერესო მის შესრულებაში, იქნებ ბევრი სადავოც... მაგრამ ამჟამად ჰამლეტი არ მაინტერესებს...

ჩემთვის მუდამ საინტერესო იყო ტრაგედიის ორი პერსონაჟი, რადგან ზოგი მკვლევარის ინტერპრეტაციები და (იქნებ აქედან გამომდინარეც) ის ტრადიციული სცენიური გადაწყვეტა, რაც თითქმის დაკანონდა, მეტად საეჭვო ჩანს. ესენი არიან პოლონიუსი და გერტრუდა.

თითქმის ყველა იმ დადებმასა თუ განმარტებაში, რაც ზემოთ ვახსენე, ჩვენ პოლონიუსი გვახსოვს წვერცანცარა, გამოჩერჩეტებულ ბერიკაცად, რომელსაც სკლეროზი მორევია და ერთი თუ დაწყო ლაპარაკი, ბოლო აღარ იცის, ენად გაიკრიფება. ამიტომაც არის, მას ყველა დასცინის, აბუჩად იგდებს, კაციშვილი არაფერს ეკითხება. სიკეთეს არაფერს უნდა გამოელოდე მისგან, მაგრამ ავსაც ვერაფერს გიზამს. ასეთი პოლონიუსი გვინახავს ჩვენ ბევრ დადგმაში; ასეთი დაგვამახსოვრდა იგი ბოლო ქართული დადგმიდანაც.

ბელინსკი უფრო შორს მიდის, «старый ребенок»-ს უწოდებს პოლონიუსს («Старый ребенок, глупый умник»...). პირდაპირ წერს: Это уже не отрицательное ((პოლონიუსია ნაგულისხმევი), но положительное, хотя и гадное понятие... და იქვე დასძენს: Что же такое этот Полоний? — Да просто — добрый малой — bon vivant... და ცოტა უფრო ქვემოთ: ...бедный Полоний не знал всего этого: впрочем он был добрый малой. მისივე რწმენით, პოლონიუსმა ეშვითაც კი არ იცის, თუ ვინაა მეფის ნამდვილი მკვლელი.

ახლა გერტრუდა. პრინცის დედას ქმარი ვერაგულად მოუკლეს და მკვლელმა — მისივე მაზლმა — ცბიერებით მოახერხა რძლის, მოკლული ძმის ცოლის მონუსხვა. ქალი რომ მტკიცე და სათნოებით შემკული ყოფილიყო, რაღა თქმა უნდა, ასე ადვილად ვერ მოახერხებდნენ მის ცთუნებას. მაგრამ სუსტია ეს ქალი, მერყევი, უნებისყოფო. და ამიტომაც გასტეხეს. უარყოფითი პერსონაჟია გერტრუდა თუ არა? ამაზე იქნებ პირდაპირი პასუხი არ მოგცენ. გიპასუხებენ (აქ მე ვგულისხმობ ზემოთ ნახსენებ ინტერპრეტატორებს — მსახიობებს, რეჟისორებსა თუ შექსპირის ზოგიერთ მკვლევარს), რომ იგი საცოდავი არსებაა, ტრაგიკული პიროვნება. შვილის მოსიყვარულე დედას (ხაზი გავუსვათ ამ სიტყვებს — შვილის მოსიყვარულე დედას) თავისდა საუბედუროდ ამ შვილის მამის, თავისივე ქმრის მკვლელი შეჰყვარებია. და მისი მთელი ტრაგედია ის არის, რომ ეს ორი დაპირისპირებული ძალა, ორი მოსისხლე მტერი უყვარს, ორივე უყვარს: შვილი — ნაზი დედობრივი სიყვარულით, ქმარი — მთელი მგზნებარებით. კეთილი ძალაც უყვარს და ბოროტი ძალაც; თან კი არ იცის, რომ ეს ბოროტი ძალაა. ისიც კეთილი ჰგონია. ასეთი გერტრუდა გვინახავს ჩვენ ბევრ დადგმაში; ასეთი დაგვახსომდა იგი ბოლო ქართული დადგმი-

დანაც. ბელინსკი მოსიყვარულე დედას უწოდებს გერტრუდას და დაბეჯითებით იმეორებს ამ ფრაზას. იგი დამნაშავე და, მით უმეტეს, ბოროტმოქმედი კი არ არის, არამედ სუსტი ნებისყოფის ქალიაო.

დარბაისელი, კეთილშობილი და გმირი მეფე ჰამლეტი ვერაგულად მოჰკლა თავისივე ძმამ კლავდიუსმა, რომელსაც ძველი მეფისა არაფერი სცხია — არც პატიოსნება, არც კეთილშობილება, არც სათნოება, არც გმირობა და, წარმოიდგინეთ, არც გარეგნობა. ამ ვერაგმა კაცმა ხელში ჩაიგდო არა მარტო ტახტი ძმისა, არამედ მისი ცოლიც, დედოფალი, თავისივე რძალი. მაგრამ სხვის დაუხმარებლად, გავლენიანი პირის საქმეში ჩაურეველად მოახერხებდა ამას კლავდიუსი?

უნდა ვიფიქროთ, რომ არც ერთი პატიოსანი ქვეშევრდომი და კარისკაცი ისეთი ღირსეული ადამიანისა, როგორიც ძველი ჰამლეტი იყო, არ გადაუდგებოდა მას და, უფრო მეტიც, საშუალებასაც არავის მისცემდა მოეკლათ იგი. აქ მთელი შეთქმულებაა. წინასწარ მომზადებული, ათასჯერ აწონილ-დაწონილი. მეფე იმისთვის კი არ მოუკლავთ, რომ მისი ცოლი ჩაიგდონ ხელში. არა, უფრო სწორი ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ დედოფალი შეიყვარეს ტახტის ადვილად ხელში ჩასაგდებად. სახელმწიფოს პოლიტიკა იცვლება, გადატრიალება ხდება. და ამაში უსათუოდ მეფის პირველი მინისტრიც არის ჩარეული. სხვაგვარად მეფის მოკვლასაც ვერ მოახერხებდა გარეწარი. ან კი რა დასაჯერებელია, რომ მეფის გარდაცვალების შემდეგ, ისეთ ვითარებაში, დიდი და ძლიერი სახელმწიფოს პირველ მინისტრს ეჭვიც არ აღძროდა მკვლელობისა და შეთქმულების შესახებ და ხელმწიფის ამქვეყნიდან წასვლა ბუნებრივ სიკვდილად მიეღო?! დედოფალი კი იმიტომ სჭირდებათ მკვლელსაც და მის ხელშემწყობსაც, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე უფრო ადვილად ჩამოიშორონ. დედის სიყვარულით ხელ-ფეხი შეუკრან შურისმაძიებელ შვილს. ერთი სიტყვით, შეთქმულებაში გარეულია გავლენიანი პირი. თანაც ისეთი, რომელიც ხელმწიფესთან არის დაახლოებული და ამასთან შემკულია ყოველგვარი ფლიდობით, გაუტანლობით, ბოროტებით... ყველა იმ სისაძაგლით, რასაც ჰამლეტი ჩამოთვლის თავის მონოლოგში. ასეთი კაცი უსათუოდ პოლონიუსი უნდა იყოს. და თუმცა პირდაპირ არ მიუთითებს შექსპირი, პოლონიუსი შეთქმულების მონაწილეაო, ტრაგე-

დიაში სადღაც იგულისხმება ეს. მაგრამ ასეთი აზრი იქნებ სხვასაც დაბადებია „ჰამლეტის“ წაკითხვის შემდეგ. მთავარი ის არის, როგორ მოახერხა რეჟისორმა (სპექტაკლის რეჟისორია გლენ ბაიეჰ შოუ) ისე გადმოეცა ეს მაყურებლისათვის, რომ არც მას ეთქვა პირდაპირ — ეს კაცი მკვლელობის მონაწილეაო.

ეს რეჟისორმა ძალიან უბრალოდ, მაგრამ გონებამახვილურად მოახერხა. ეს ფუნქცია სპექტაკლში მან დააკისრა ერთ-ერთ მოქმედ პირს, რომელსაც, საერთოდ, სიტყვა არც კი აქვს მგონი და ვინც ზედმიწევნით კარგად არ იცნობს პიესას, იქნებ არც ახსოვდეს მისი სახელი. ეს არის რეინალდო, პოლონიუსის მსახური, რომლის ფუნქცია, პიესის მიხედვით, მხოლოდ ის არის, რომ ერთ სურათში, მხოლოდ ერთგან. პოლონიუსის გაუთავებელი დარიგებანი მოისმინოს. სპექტაკლშიაც თითქოს არაფერი შეცვლილა, არც აქა აქვს სიტყვა რეინალდოს. მაგრამ აქ მას დაკისრებული აქვს უდიდესი ფუნქცია — ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. მისი პირველი გამოჩენისთანავე აშკარა ხდება, რაც არის პოლონიუსი. რამდენიმე სურათში გამოჩნდება სცენაზე რეინალდო გულბილწი ადამიანის შემპარავი ნაბიჯით. ზოგჯერ შემოიხედავს და მაშინვე გაქრება. ხმას, როგორც აღვნიშნეთ, ერთხელაც არ გაიღებს. არც ზედმეტად გეჩრებათ თვალში. და ახლა რომ მკითხოთ, გამიძნელდება კიდეც გადმოგცეთ, როგორ ახერხებს იგი თავისი უსიტყვო როლით, ძალიან ძუნწი მოძრაობითა და მიმიკით რეჟისორის ჩანაფიქრის ხორცშესხმას. ასეა თუ ისე, იგი ჩინებულად უწყობს ხელს პოლონიუსის სახის დახატვას. თქვენ თვალნათლივ ხედავთ, რომ პოლონიუსი გაიძვერა კარისკაცია, ფუშეს წინაპარია, რომელსაც სასახლის კარზეც და მთელს სახელმწიფოშიაც ჯაშუშების ქსელი აქვს გაბმული. გჯერათ, რომ ეს უსინდისო და ფლიდი მინისტრი ადვილად მოაწყობდა ხელმწიფის სიკვდილს და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც ამ ახალი მეფის მოკვლა გაუჭირდება.

დიახ, პოლონიუსი სულაც არ არის სკლეროზმორეული წვერგანცარა ბერიკაცი. იგი ბოროტებით აღსავსე ფლიდი და გაიძვერა კარისკაცია. მკვლელობის მონაწილე. მოღალატე და გარეწარი. გამოჩერჩეტებულ ბერიკაცს იგი თამაშობს. ასე აჩვენებს ხალხს თავს.

საერთოდ, რეჟისორს კარგად მიგნებული, ღრმად ვააზრებული დეტალები აქვს, რომლებიც დიდად უწყობს ხელს გმირის ხასიათის

გახსნას და შესაფერისი განწყობილების შექმნას. პოლონიუსის მოკვლის შემდეგ დედასთან მარტოდ დარჩენილი ჰამლეტი ორ სურათს აჩვენებს გერტრუდას — მამისას და კლავდიუსისას. ეს სცენა ალბათ ყველას ახსოვს. როგორც ცნობილია, შექსპირი ძალიან ძუნწად გვაწვდის რემარკებს. არც მსახიობს და არც რეჟისორს თავს არ ანებებს სცენიურ დეტალებს. ყველამ თავისებურად უნდა წაიკითხოს და გადმოსცეს ტექსტი. არც ამ ადგილას არის მინიშნებული ავტორის მიერ — ჰამლეტი კედელზე შეჰყურებს ამ ორ სურათს თუ ხელში უპირავს პატარა პორტრეტები. რამდენადაც ვიცი, ეს ტრადიციულად ასე აქვთ მოფიქრებული: ჰამლეტი გახსნის გულზე ჩამოკიდებულ თავის მედალიონს, რომელშიაც მამის პორტრეტი უდევს, და მედალიონს დედისას, რომელსაც უკვე კლავდიუსის სურათით შეუცვლია პირველი ქმრის გამოსახულება. მემორიალური თეატრის სპექტაკლში შეცვლილია ეს ტრადიციული გაგება. აქ ჰამლეტი დედას უჩვენებს გულზე ჩამოკიდებულ მედალიონს, რომელზეც თავისი მამაა გამოხატული, და მერე ირონიულად, ზიზღით, როგორც ხელის ჭუჭყს, აგდებული ჩხარუნით ამოიღებს დანიურ მონეტებს, რომლებზეც ახალ მეფეს უკვე მოუსწრია თავისი სახის გამოკვეთა. ამ პატარა დეტალით კიდევ უფრო ესმება ხაზი უბადრუკი უზურპატორის სულწასულობასა და სულმოკლეობას.

ახლა გერტრუდა. ამ როლს ასრულებდა მსახიობი კორელ ბრაუნი და აქვე შევნიშნავ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო სახე, რაც ინგლისურ თეატრში ვნახე.

„არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“ ამბობს ერთ თავის მონოლოგში ჰამლეტი, და გერტრუდას სახის გახსნისათვის სწორედ ეს სიტყვებია ამოსავალი. შეცდომა მოსდის ზოგიერთ მსახიობს, როდესაც გერტრუდას სახის გახსნისას წინა პლანზე მოსიყვარულე დედას წამოსწევს და ხასიათის გაორებით ტრაგიკულ გმირსა ქმნის არა, გერტრუდა სრულებითაც არ არის მოსიყვარულე დედა. არც ლედი მაკბეტივით პატივმოყვარე დედაკაცია. საერთოდ არა აქვს მას ჩამოყალიბებული ხასიათი. ეს არის უმწეო არსება. Frailty! ძალიან კარგად გამოხატავს ეს სიტყვა მის უბადრუკ ბუნებას, საოცარ უნებისყოფობას, მერყეობას, არაადამიანურ სისუსტეს და პირუტყვულ შიშს (მაჩაბლის მიერ თარგმნილი „არარაობა“ კარგად ხსნის დედნის საერთო აზრს, მაგრამ ყველა ნიუანსით ვერ გადმოსცემს ამ სიტყვის მნიშვნელობას). შექსპირისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს

არის „Weak vessel“* (ეს გამოთქმა შექსპირის სხვა ტრაგედიაშიც გვხვდება). მისთვის თითქმის სავსებით უცხოა ყოველგვარი ადამიანური გრძნობა — მანკიერიცა და სათნოც: ის მეტისმეტად მოჯარბებული ვნებაცა და შიშიც, რასაც ჩვენ ჰის არსებაში ვხედავთ, ადამიანური არ არის, უფრო პირუტყვულია, ცხოველური. პირველსავე მონოლოგში უწოდებს ჰამლეტი ქალს „არარაობას“, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მამის მოკვლის ამბავს გაიგებდეს. ამის საბაბს დედა აძლევს. ჰამლეტი ხედავს დედის ამ ცხოველურ ვნებას და ვნებას, რასაც სულაც არ ფარავს დედოფალი, რაღაც ავადმყოფური გატაცებით, სხვების თვალწინ ლოშნის თავის ახალ ქმარს. და პირველად სწორედ ეს თავშეუკავებელი ვნება აღაშფოთებს ჰამლეტს. მართლაც რომ ზედგამოჰრილია ასეთ ქალზე „Weak vessel“.

მაგრამ მანამ ქმარი ჰყავდა, ეს უბადრუკობა და არარაობა თითქოს დაფარული იყო. მხოლოდ ქმრის სიკვდილის შემდეგ გამოჟღავნდა მთელი მისი ბუნება და ხასიათი. ქმრის დაკარგვით მისი წონასწორობა დაირღვა და ერთბაშადვე აშკარა გახდა, რომ მას დამოუკიდებლად არსებობა ერთის წუთითაც არ შესძლებია, რადგან არაფერი გააჩნია დამოუკიდებელი — არც აზროვნება, არც ფიქრი, არც ოცნება, არც პატიოსნება... ის არის ერთგვარი დამატება ქმრისა და თავისი უბადრუკი არსებით ქმრის ხასიათს ბაძავს თუ იმეორებს, რამდენადაც შესწევს ამის ძალი ისეთ უბადრუკ არსებას, რომლის სახელადაც „Erailty“ გამოდგება. ქმრის დაკარგვისთანავე იფეთქა პირუტყვულმა ვნებამ და ცხოველურმა შიშმა, რაღაც გაუკვეთელი მომავლის გაურკვეველმა შიშმა... და ივი მიენდო პირველსავე მამაკაცს, რადგან არ შეუძლია დიდხანს იარსებობს დამოუკიდებლად, უმამაკაცოდ. დამოუკიდებლად სუნთქვაც კი არ შეუძლია, ხოლო ადამიანური სევდა-მწუხარების უნარი არა აქვს. იგი არ ყოფილა შეთქმულების მონაწილე, მაგრამ თუნდაც სცოდნოდა, რომ კლავდიუსმა მოუკლა ქმარი, მაინც გაჰყვებოდა მას, მკვლელსაც გაჰყვებოდა. რადგან მისი ვნება ადამიანური, თუნდაც კლეოპატრას ავხორცული ვნება კი არ არის, მისი არსება მოუცავს რაღაც ცხოველურ ინსტინქტსა თუ ჟინს და პირუტყვულ შიშს. მას ეშინია მეორე ქმრის დაკარგვისა, ეშინია შვილისა — ვაითუ ქმარს აუხირ-

---

* „სუსტი ჭურჭელი“ (შექსპირს ეს გამოთქმა აღებული აქვს ბიბლიიდან — „უძლურესი ჭურჭელი“).

დესო. და როგორც ამ დღეში ჩავარდნილ ყველა უბადრუკ არსებას მოუვა, შეშფოთებული აცეცებს თვალებს ქმარსა და შვილს შორის, თითქოს მათ მორიგებას ცდილობს, მათი მოსალოდნელი უთანხმოება თავგზას უკარგავს.

მთელი სასახლის კარი, მათ შორის ჰამლეტიც, მეორე სურათში გამოდის სცენაზე ინთება სინათლე და საზეიმოდ გაბრჭყვიალებულ დარბაზში პირით მაყურებლისაკენ დგანან მეფე და დედოფალი, პოლონიუსი.. მთელი ამალა. ჰამლეტი ზურგშექცევითაა; ისე წარმოთქვამს კლავდიუსი თავის გრძელ სეფესიტყვას, რომ ჰამლეტი ერთხელაც არ მობრუნდება მაყურებლისაკენ, მაგრამ მისი სულის მოუსვენარ მოძრაობას. მის აღშფოთებულ გამომეტყველებას, საიდანაც ირონიაც გამოსჭვივის, მისი გულის ბაგაბუგსა და უსიტყვო მღელვარე მონოლოგს ჩვენ გარკვევით ვისმენთ და ვხედავთ... გერტრუდას თვალებში, რომლებიც თითქოს სარკედ ქცეულა, რათა ჰამლეტის განწყობილება დაგვანახოს. ეს დაჭრთხალი თვალები გაკვირვებასაც გამოხატავენ, შიშსაც, მუდარასაც... უკვირს, რამ შესცვალა ჰამლეტი ასე, თუკი მე განუსაზღვრელ ბედნიერებას ვგრძნობ, ამას რაღა ღმერთი უწყრება?! ეშინია — ვაითუ გამწვავდეს ურთიერთობა შვილსა და ქმარს შორის, ვაითუ დააკარგვინოს მას ეს შეკოწიწებული ბედნიერება! ემუდარება — ნუ იზამს ამას ჰამლეტი, ნუ დაურღვევს ბედნიერებას, აცალოს!.. ქმარსაც ემუდარება — მოუთმინოს, დაუთმოს ჰამლეტს... ასეთი იყო მისი გამომეტყველება პირველი გამოჩენისთანავე, თავიდან ბოლომდე ასეთი არის გერტრუდა, ასე წარმოადგენს მას ნიჭიერი მსახიობი ქალი იმ სურათშიც კი, როცა შვილი ორ პორტრეტს აჩვენებს შესადარებლად. როლის ტრადიციულად გახსნისაგან განსხვავებით, სრულს სინდისის ქენჯნას როდი მიეცემა გერტრუდა; აქ აშკარად სჩანს, რომ სინდისის ქენჯნა მოჩვენებითია და აქაც შიშია მთავარი, რაღაც ბუნდოვანი, გაურკვეველი შიში. არა სინანული, არა სინდისის ქენჯნა და შვილის სიყვარული! ეს ყველაფერი მოჩვენებითია.

ჰამლეტის სიტყვებმა თითქოს თვალი აუხილეს დედოფალს. იგი „მდუღარე“ ცრემლებს აფრქვევს, „მწარე“ სინანულის სიტყვებს წარმოთქვამს, ოხრავს და ვიშვიშებს... მაგრამ, ვიმეორებ, ეს მხოლოდ მოჩვენებითია. აბა გავიხსენოთ სურათის ბოლო ნაწილი: ამ მდუღარე ცრემლის ფრქვევისას ჰამლეტი მიმართავს დედოფალს — მე მახეს მიგებენ და თითქოს რაღაც საქმეზე ინგლისს მგზავნიანო.

პირდაპირ ეუბნება — სიკვდილის მახეს მიგებენო!.. და რა უგუნოდ, რა ცივად და ცინიკურადაც კი გაისმის იმ მწარე მონანიებისა და ცრემლების შემდეგ გერტრუდას სიტყვები: „ვაიმე, ბედკრულს! დამავიწყდა, რომ ეგრე არის გადაწყვეტილი“. და მეტი არაფერი!.. თითქოს ამ სიტყვებით სიკვდილის გზა დაულოცა შვილს...

გაცოფებული ლაერტი, რომელიც, ეტყობა მეფეს აბრალებს მამის მოკვლას, კლავდიუსს მივარდება — სად არის მამაჩემიო. „მოკვდა“, — დამშვიდებით უპასუხებს ხელმწიფე. დამშვიდებით იმიტომ, რომ აქვე აპირებს ამ მკვლელობის მთელი ისტორია უამბოს და ჰამლეტი მისცეს პირში. მშვენივრად იცის ეს დედოფალმა, მაგრამ მაინც ვერ მოითმენს და შუაში ჩაუდგება მეფესა და ლაერტს. „მოკლეს, მაგრამ ამას არ მოუკლავს“ (But not by him! ქართულ თარგმანში — „მაგისი ბრალი არ ყოფილა“ — ცოტა უფრო შერბილებულია) — შიშითა და განწირულებით შესძახებს ამას, თან, ხელგაშლილი, მეფეს აეფარება და თავისი ინტონაციით აგრძნობინებს წარმოუთქმელ სიტყვებს — ჰამლეტს მოჰკითხეთო! ამას დედა სჩადის, დედა!.. იმ „სინდისის ქენჯნის“ შემდეგ!.. დედა გასცემს შვილს! იმდენად უადგილოა აქ დედოფლის ჩარევა, რომ კლავდიუსსაც კი უხერხულად მოეჩვენება და საკმაოდ მკვახედ შესძახებს — „დაეხსენ, მკითხოს“...

ასეთია „შვილის მოსიყვარულე“ გერტრუდა...

მეტად ორიგინალური და საინტერესო მოულოდნელი იყო ოლივიას სახის გადაწყვეტა („მეთორმეტე ღამე“). ეს არის თითქოს რადიკალურად საწინააღმდეგო ამ როლის ტრადიციული გახსნისაც და იმისიც, რა წარმოდგენაც შეგვექმნია ჩვენ ოლივიაზე პიესის წაკითხვის შემდეგ. აქ ოლივია თითქოს წარმოდგენილია არა სათნო და რომანტიკულ არსებად (როგორადაც ჩვენ გვესახება იგი), არამედ ჭარაფშუტა ქალიშვილად, რომელიც სასაცილოდ ტიტინებს და სულელურად დასდევს ვაჟად გადაცმულ ვიოლას. ერთი შეხედვით, ძალიან გაკომიკურებულია და ამით იგი ეწინააღმდეგება არა მარტო ტრადიციულ გაგებასა და ჩვენს წარმოდგენას, არამედ თვით ტექსტსაც, საიდანაც ჩვენი წარმოდგენა და როლის ტრადიციული გახსნა გამომდინარეობს. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ სულ სხვა ამბავია. აქ ოლივიას მთლიანი სახე კი არ არის სხვაგვარად გაგებული,

არამედ ის ხერხებია სხვაგვარი, რითაც მსახიობი და რეჟისორი როლის შექსპირისეულ გადაწყვეტას აღწევენ. მაგრამ იმდენად ორიგინალურია ეს ხერხები, რომ პირველად გვეჩოთირება და სულ სხვა წარმოდგენას ქმნიან. საქმე ის არის, რომ ოლივია გონებამახვილი გოგოა და მასში მოჭარბებულია იუმორის გრძნობა. ეს კი სრულებითაც არ გამორიცხავს მის სათნოებასა და რომანტიკულობას. იგი მეტად კომიკურ გარემოშია მოქცეული — აქეთ მისივე სასაცილო ბიძა სერ ტობი ბელჩი, რომელსაც კარგად შეუსისხლხორცებია ცხოვრების ფოლსტაფისებური სიბრძნე და სინდისის უქენჯნელად ფცქვნის და ძარცვავს ყველას, ვისაც კი გადაეყრება (სხვათა შორის, მსახიობ პატრიკ უაიმარკის ბელჩი მართლაც ძალიან მოგვაგონებს ფოლსტაფს), სულელი აზნაური სერ ენდრიუ ეიგჩიკი, რომელსაც ოლივია შეჰყვარებია და ყალთაბანდი მეგობრის — ბელჩის ფშუტი სიტყვებით გაბრუებული თავის ავადმყოფურ წარმოსახვაში ეტრფის მშვენიერ ქალიშვილს, აგერ მალვოლიოც — თითქოს საშინელი დესპოტი და მკაცრი ტრადიციების ერთგული დამცველი, რომელიც ხელადვე წამოეგება ხუმარა მსახურების ანკესზე...

ერთი სიტყვით, ამ ახირებულ გარემოში მოქცეული ოლივია თავისი თანდაყოლილი იუმორით მოხდენილად აჰყვება ყველას, ეშმაკურად დასცინის მათ და თავს ქარაფშუტა გოგოდ გვაჩვენებს, თუმცა ჰკუაც საკმაო აქვს და სათნოებაც. თავიდანვე ძალიან ჰკვიანურად უარყოფს მდიდარი ორსინოს მოჩვენებითს და ნახევრად ავადმყოფურს სიყვარულს და საქმროსაც მარჯვედ აირჩევს ბოლოს. როლის ასეთი გააზრება ცოტა სარისკოცაა, ეს მოითხოვს მსახიობის დიდ ნიჭს, მომხიბლაობასა და გამოცდილებას. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მსახიობი ჯერალდინ მაკიუენი უხვად იყო შემკული ამ თვისებებით და ოლივიას მიმზიდველ სახესა ქმნიდა.

საერთოდ, მთელს დასში გამოირჩეოდნენ ქალი მსახიობები. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ გერტრუდას როლის შემსრულებელ ბრაუნზე. ცალკე უნდა აღვნიშნოთ დოროთი ტიუტინი, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ინგლისელი მსახიობი ქალი.

პირველად „მეოთხმეტე ღამეში“ ვნახეთ იგი და მიუხედავად იმისა, რომ ჩინებულად შეასრულა ვაჟად გადაცმული ქალის როლი, როცა შემდეგი სპექტაკლების პროგრამები გადავიკითხე, სახტად დავრჩი. ნუთუ ეს ქალი თავისი არასასიამოვნო და „არაპოეტუ-

რი“ ხმით ოფელიასა და ჯულიეტას როლს დასძლევს?! „რომეო და ჯულიეტაში“, თუ არ ვცდები, რამდენიმეჯერ მიმართავს რომეო ჯულიეტას — შენი ხმის მუსიკით დამატკბეო. ან ოფელიას მომხიბლავი სიმღერა როგორ უნდა შეასრულოს! ტანმორჩილია, ვერც იმას იტყვი, ძალიან ლამაზი სახე ჰქონდეს, ხმაზე უკვე მოგახსენეთ... მაგრამ ამ მსახიობმა საერთო სიმპათია დაიმსახურა და მაყურებელი მუდამ მჭუხარე ტაშით ხვდებოდა. „ჰამლეტის“ დასაწყისში თითქოს არ მომეწონა, ალბათ წინასწარვე შექნილი შთაბეჭდილების გამო. მაგრამ რა მომხიბლავი იყო იგი შემდეგ, სიგიჟის მეტად რთულ სცენაში.

„ჩემი პატარა სხეული დაჰქანცა ამ დიდმა ქვეყანამაო“, ამბობს ერთ-ერთ პიესაში შექსპირის ერთი ძალიან ახალგაზრდა გმირი ქალი. იქნებ ეს არც გახსენებია მსახიობს, როცა როლზე მუშაობდა, მაგრამ ისე აქვს გახსნილი სახე, რომ ზემოთ მოყვანილი სიტყვები მართლაც ზედგამოჭრილია. ოფელიას სახის გასახსნელად მართლაც გამოდგება შექსპირისავე ეს სიტყვები, სხვა პერსონაჟის წარმოთქმული, სულ სხვა პიესაში. ჩვენ ვხედავთ უმანკო არსებას, რომელიც უდროოდ მოჰქანცა და გასრისა „ქამთა სიმწარემ... უარყოფილი სიყვარულის მწვავე ტანჯვამ... მოზღვავებულმა უბედურებამ“... ვისმენდი ოფელიას სიტყვებს და ერთის წუთითაც არ მიგრძვნია ხმის „არაპოეტურობა“, პირიქით, მისი სიტყვები იყო მართლაც ჟღერში ჩამწვდომი. სხვა გამოთქმით ვერ გამოვხატავ იმას, რაც ამ მსახიობის თამაშმა განმაცდევინა. და ამას ყველაფერს, ჩემის აზრით, იგი აღწევდა საოცარი გულწრფელობით. იგი გმირის ცხოვრებით ცხოვრობდა და დამაჯერებელი გულწრფელობით განიცდიდა მის სიხარულსა თუ მწუხარებას. არც ერთ სპექტაკლში ერთი ყალბი ნოტი არ შემინიშნავს მისთვის. სწორედ ამ გულწრფელობამ და მომხიბლავმა ბუნებრიობამ გადააიწყა მაყურებელს ხმის „არაპოეტურობაც“.

როცა ამ მსახიობის ჯულიეტას შეჰყურებ, პირველი დიდი შთაბეჭდილება ის არის, რომ ქალი ნამდვილად შეყვარებულია. მას თავდავიწყებით უყვარს და ამ სიყვარულის მეტი აღარაფერი არსებობს მისთვის. „რომეო და ჯულიეტა“ ერთ-ერთი ძნელად განსახორციელებელი ტრაგედიაა სწორედ ამ დიდი, ერთბაშად მოვარდნილი სიყვარულის გამო. აქ სიყვარული თვით მტრობას ანგრევს, საუკუნეობრივ მტრობას. ფეოდალურ სიბნელესა და წყვდიადს ამა-

რცხვებს. ტრაგედიაში ორი პერიოდია. და სწორედ ერთი „პერიოდიდან“ მეორეზე გადასვლა უჭირთ მსახიობებს. პირველად რომეო — მოდას აყოლილი და მხიარულ ახალგაზრდებში გათქვეფილი ბიჭი — თავის სიყვარულზეა შეყვარებული. მას წარმოუდგენია, თითქოს ვიღაც როზალინა უყვარდეს. მაგრამ ეს ყალბი სიყვარულია, ორსინოს მოჩვენებითი სიყვარული. ფაქტიურად მას უნდა, რომ ვიღაც უყვარდეს. ნამდვილი სიყვარული ჯერ არ განუცდია. დადის ეს ყმაწვილი კაცი, ღამეებს ათენებს (რადგან იცის, რომ შეყვარებულებს ძილი გატეხილი აქვთ), კითხულობს, ოხრავს და ვიშვიშებს...

ძიძისა და მშობლებისაგან განებივრებული ჯულიეტა ჯერ არ არის ასე მოდურად შეყვარებული, მაგრამ სიყვარულის „თეორიას“, ეტყობა, უკვე კარგად იცნობს და გამოცდილი ქალივით უპასუხებს დედას, რომელიც პარისს შესთავაზებს ქმრად — „ვნახავ, თუკი ნახვით შეიძლება კაცის შეყვარება, მეც შევიყვარებო“. და ალბათ საკმაოდ ეკეკლუცებოდა კიდეც პარისს (ეს შექსპირს არა აქვს მითითებული) იმ საბედისწერო მეჯლისზე, სადაც პირველად შეხვდა იგი რომეოს. და აქედან იწყება სწორედ ის დიდი სიყვარული, ყოვლისშემძლე სიყვარული, რომელიც საუკუნეობრივ მტრობას ანგრევს და საბოლოოდ იმარჯვებს.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ გექმნება შთაბეჭდილება, რომ მთავარი გმირები — რომეოცა და ჯულიეტაც — ბოლომდე უმწეონი რჩებიან და წინააღმდეგობის გაუწევლად, როგორც ზვარაკები, ეწირებიან გვარტომულ შუღლს. ასეთი შთაბეჭდილება რჩება, მე მგონი, არა იმიტომ, თითქოს რეჟისორს ასე ჰქონდეს გამიზნული, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ ჯულიეტას შესაფერი პარტნიორი არა ჰყავდა. მომხიბლავი გარეგნობის ჯონსონმა, რომელმაც კარგად შეასრულა ენდრიუ ეიგჩიკის როლი, აქ ვერ მოახერხა პირველი ჭერიოდიდან (რაც მე ზემოთ პირობით ვახსენე) მეორეზე — ყალბი სიყვარულიდან ნამდვილ სიყვარულზე გადასვლა. იგი ბოლომდე პირველი მოქმედების რომეოდ დარჩა, თავის „სიყვარულში შეყვარებულ“ რომეოდ. მის რომეოს აკლდა ის გულწრფელობა და უშუალობა, რაც ასე მომხიბლავსა ხდიდა ჯულიეტას. ჯულიეტა პირიქით — პირველი მოქმედების შემდეგ ერთბაშად იცვლება და ნამდვილი შეყვარებული ქალის მგზნებარებითა და თავგანწირულებით ებრძვის ყველაფერს, რაც სიყვარულის გზაზე გადაეღობება —

მშობლების ნებას, საუკუნეობრივ გვარტომეულ შუღლს, ცრურწმენას, შიშს. ეს არის გმირი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც არაფერი აშინებს, არაფერს ეპუება. ჯონსონის რომეო, ვიმეორებ, ოდნავადაც ვერ იყო ასეთი, და ამან დიდად შეუშალა ხელი პიესის (და სპექტაკლისაც) ნამდვილი იდეის ხორცშესხმას.

გარეგნულ მონაცემებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ორი მსახიობის მაგალითით ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ სცენაზე მთავარი მაინც შინაგანი სიმართლე და გულწრფელობაა.

ჰოლონიუსის როლის შემსრულებელი სირილ ლაკჰემიც სამივე სპექტაკლში მონაწილეობდა და, უნდა ითქვას, სამივე სპექტაკლში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი ხუმარა „მეთორმეტე ღამეში“, სადაც მან დაარღვია ამ როლის ტრადიციული გაგება და გვიჩვენა არა „პროფესიონალი“ ხუმარა, თავისი გადაჭარბებული მანჭვა-გრეხითა და ოინბაზობით, არამედ წამდვილი გლეხი, რომელიც ბრძენის თვალებით უყურებს ცხოვრებას. საინტერესოა, რომ სპექტაკლის დასაწყისშივე მოიშველიებ მან ხუმარის ჩაჩი და მერე სულ თავშიშველი იყო. ამ მსახიობს ორი ნაკლი აქვს. ამათგან ერთი იქნებ ნაკლად არც ჩაუთვალოს კაცმა — ეს არის უბრალოებისა და გულწრფელი შესრულების ხაგზასმა; ესე იგი, ჩანდა, რომ იგი უბრალოდ და ბუნებრივად თამაშობდა. მეორე უფრო დიდი ცოდვა ის არის, რომ ე. წ. გარდასახვის უნარი არა აქვს (ყოველ შემთხვევაში, ამ სპექტაკლების მიხედვით).

რაღა თქმა უნდა, საინტერესო იყო ჰამლეტის როლი. ბევრს, სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნის შვილს უთამაშნია ჰამლეტი და ყველა დიდ მსახიობს თავისებური ინტერპრეტაცია ჰქონია. თვითონ ტექსტი აძლევს მსახიობს ათასგვარ ნიუანსს, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნას მან ეს დიდებული სახე. ცნობილი მსახიობის მაიკლ რედგრეივის ჰამლეტი უფრო რეალისტურია, უფრო ახლოს არის მიწასთან, არ არის ისეთი „ფილოსოფიური ვეღანჭოლიით“ გულდამძიმებული, როგორც წარმოუდგენია იგი მსოფლიოში განთქმულ მრავალ მსახიობს, და მათ შორის შექსპირის როლების შემსრულებელ თანამედროვე ინგლისელ მსახიობ ლორენს ოლივიეს, რომლის ჰამლეტი ჩვენ კინოში გვინახავს. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თუ რომელია უფრო სწორი. ისიც სწორია და ისიც. ან, უფრო მარჯვედ რომ ვთქვათ — ასეც შეიძლება

და ისეც. აქ მთავარი ისაა — როგორ ახორციელებს მსახიობი ჩანაფიქრს. ამ შემთხვევაში რედგრეივი, ეტყობა, ოფელიას სიტყვებიდან გამოდის: The courtier's, soldier's, scholar's eye tongue, sword.

ასეთი იყო ჰამლეტი. „სასახლის თვალი, ბრძენის ენა და ჯარისკაცის ხმალი... მოდების სარკე". გულმხიარული, ვაჟკაცობით სრული, ჭკვიანი, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც „ცხოვრების ფილოსოფია" აქამდე მხოლოდ წიგნებით, „თეორიულად" იცოდა, და ახლა იგემა პირველად მთელი მისი სიმწარე. ეს არის კეთილშობილი ადამიანი ყველა მისი თვისებით, მოსიყვარულე შვილი, რომელსაც მამის აჩრდილს რომ უხსენებენ, ერთბაშად შეეცვლება სახე და სიყვარულით, ზედმეტი მღელვარებისაგან გატეხილი ხმით ჰკითხავს — ისევ ისეთი სახე ჰქონდა, ჭაღარაც ისევე აჩნდა წვერში? ბელინსკი შენიშნავს, თუ როგორ გაჭიანურებული და არაბუნებრივად გრძელია ჰამლეტის მონოლოგი აჩრდილთან სცენაში. ამ მონოლოგს ჩვეულებრივ კვეცავენ ხოლმე, აქ კი, როგორც მემორიალურ თეატრში, ხელუხლებლად არის დატოვებული, მაგრამ ისეთის მღელვარებითა და სითბოთი წარმოთქვამს მას რედგრეივი, რომ მაყურებელი ვეღარ გრძნობს მონოლოგის არალოგიკურ გაჭიანურებას. იგი ჩაიჩოქებს, ტირის და ვაჟკაცის ტირილით წარმოთქვამს ამ სიტყვებს.

მსახიობი ბუნებრივად და დამაჯერებლად აჩვენებს ჰამლეტს მერყევ ბუნებას — პირველ აღგზნებას აჩრდილის გამოსვლის შემდეგ, მერე ყოყმანს... კვლავ მტკიცე გადაწყვეტილება... ისევ სიკეთე... რედგრეივს მომხიბლავი გარეგნობა აქვს, ხმა — სასიამოვნო ტემბრისა, მაგრამ არც ძალიან ძლიერი. მისი მეტყველება ოდნავ სტილიზებული და ამაღლებულია, მაგრამ ეს „ამაღლება", მსახიობის შინაგანი გულწრფელობისა და ბუნებრიობის წყალობით, არსად ყალბი არ გამოდის. ყოველი ფრაზა მეტყველია და საოცრად მუსიკალური. აქ მე ვგულისხმობ არა საერთოდ ტკბილჟღერადობას (თუმცა, როგორც აღვნიშნე, არც ეს აკლია), არამედ შინაგანი დრამატიზმის გამომსახველ მუსიკალობას, ინტონაციის, ტექსტის, შინაარსობრივ მუსიკალობას, რაც ენის უცოდინარ მაყურებელსაც კი მშვენივრად ასმენინებს მთელს ტექსტს და ასე თუ ისე აგებინებს ავტორისეულ ნიუანსებს. განსაკუთრებით ძლიერი იყო მსახიობი ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ აჩრდილის სცენაში, ასევე

კარგი იყო მისი დიალოგი ოფელიასთან, რომელსაც წინ ცნობილი მონოლოგი „ყოფნა — არყოფნა“ უძღვის, ბრწყინვალე ტექნიკა გამოამჟღავნა „თაგვის მახეში“.

„ყოფნა — არყოფნის“ მონოლოგის მოსმენისას ყოველთვის მეჩოთირებოდა ხოლმე, როცა მსახიობს ხანჯალს დავუნახავდი ხელში. ამით თითქოს წვრილმანდება ის დიდი ფილოსოფიაც და ჰამლეტის სულის განუზომელი მღელვარებაც, რასაც ჩვენ ტექსტში ვკითხულობთ. სახტად დავრჩი, როდესაც ლორენს ოლივიეს დავუნახე ხანჯალი კინოფილმში, აქ იგი მდინარის პირად, შემაღლებულ ბორცვზე ზის, ღრმად დასევდიანებული და ჩაფიქრებული დაჰყურებს ხანჯალს და მძიმედ წარმოთქვამს შესანიშნავ მონოლოგს. მერე თითქოს გადააგდოს ამ ხანჯლის არსებობაო, შეუმჩნეველად გაუვარდება ხელიდან და ხანჯალი ფერდობზე ჩაცურდება, ბალახში...

რედგრეივსაც ხანჯალი ეჭირა ხელში, სცენაზე რომ გამოვიდა. განსაკუთრებით ვაკვირდებოდი ამას, თორემ იქნებ ვერც შემენიშნა, რადგან ხანჯალი მას ზურგს უკან ეპყრა, დაიწყო მონოლოგი — „ყოფნა — არყოფნა?... საკითხავი აი ეს არის“... მერე ნელ-ნელა წინ გამოსწია ხანჯლიანი ხელი, ნაღვლიანად და თითქოს ირონიულადაც დახედა ხანჯალს (არა იმ განზრახვით, თითქოს ახლა ორჭოფობდეს — თავი მოვიკლა თუ არაო; ეს უფრო პატარა საქმეა იმასთან შედარებით, რასაც ის ფიქრობს და ლაპარაკობს), იმავე სევდანარევი ირონიით ყელზე მიიბჯინა ხანჯლის წვერი მსუბუქად, აგდებულადაც კი... რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და ისევ ნელ-ნელა დაუშვა ხელი.

ერთი სიტყვით, მანაც კარგად მოახერხა არ დაეკნინებინა მონოლოგის ღრმა აზრი. მაგრამ მაინც საკითხავია — არის კი საერთოდ საჭირო ასე „შეიარაღებული“ გამოსვლა ამ სურათში?

სხვა მსახიობებზე აღარაფერს ვიტყვით.

როგორც ყველა თეატრში, აქაც ზოგიერთი მსახიობი განსაკუთრებით გამოირჩეოდა, ზოგი შედარებით ნაკლების წარმატებით გამოდიოდა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ თეატრის ყველა მსახიობისათვის დამახასიათებელი ერთი შესანიშნავი თვისება: ყვე-

ლანი დაუძაბავად, უბრალოდ ასრულებენ როლს, თავს ძალას არავინ ატანს და ვერც ერთ მათგანზე ვერ იტყვით — ეს გამწარებით ცდილობს და განსაკუთრებულის თავგამოდებით თამაშობსო. მხატვრობაზე უკვე აღვნიშნეთ. სოლომონ ვირსალაძის ბრწყინვალე ნამუშევრის (ბალეტი „ოტელო“), ანდა იოსებ სუმბათაშვილის ასევე შესანიშნავი „რიჩარდ III“ შემდეგ, რა თქმა უნდა, ძნელია მოიხიბლო შექსპირული სპექტაკლების მხატვრობით, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან საინტერესო იყო სამივე სპექტაკლის, განსაკუთრებით „რომეო და ჯულიეტას“ და „მეთორმეტე ღამის“ დეკორაციები და კოსტიუმები. ამათაც ახასიათებდა ის მრავალმეტყველი სისადავე, რაც ასე უხდება შექსპირისეულ სპექტაკლებს.

1959 წ.

# ზიჭაძეები
# ჩვენი წინაპრები
# დრეზე



# წიგნი

შვიდი საკვირველება კაცობრიობისა!

უძველეს დროშივე მიიღო ასეთი სახელწოდება ქანდაკებისა და არქიტექტურის გრანდიოზულმა და ბრწყინვალე ნიმუშებმა, რაც ადამიანის ნიჭსა და მარჯვენას უხსოვარ დროს შეუქმნია.

ადამიანისავე ნიჭითა და მარჯვენით შექმნილი იმდენი საარაკო საკვირველება არსებობს დღეს ქვეყნად, რომ ჩვენს დროში ალბათ ვეღარავინ გამოიჩენს ისეთ გაბედულებას, რაც მის შორეულ წინაპარს გამოუჩენია და ამ საკვირველებათა ჩამოთვლას ვეღარ იკისრებს.

მაგრამ მაინც რომ ვცადოთ ჩამოთვლა და ამ საკვირველებათა წონა და მნიშვნელობაც ჩამოთვლის რიგითი თანმიმდევრობის მიხედვით ვიგულისხმოთ, ყველაზე პირველად უსათუოდ წიგნი უნდა დავასახელოთ.

ბოთლში გამომწყვდეული ჯინისა არ იყოს, წიგნს მაგიური ძალა აქვს. შედიხართ ბინაში, ათვალიერებთ თაროებზე დალაგებულ, ლამაზად აკინძულ ნივთებს, შესცქერით, და თითქოს არაფერი — ამ ნივთებში წყვდიადს დაუსადგურებია. მაგრამ ეს წითელშეკრული ნივთები უდიდეს საოცრებებს მალავენ — უდიდეს სიბრძნეს, უდიდეს მღელვარებას, ცხოვრების ათასგვარ საიდუმლოებას, ათასნაირ თავგადასავალს, ათასნაირ ტკივილსა თუ ბედნიერებას... მაგრამ ყოველთვის დიდ სიხარულს.

და როგორც კი წიგნი გადაიშლება, როგორც კი სტრიქონებს თვალის შუქი გაანათებს, ხელადვე გაცოცხლდება, ამოძრავდება ის აზრი, სიბრძნე, ცხოვრებისეული მღელვარება, მრავალფეროვანი თავგადასავლები...

წიგნი თავისთავად დიდი სიკეთეა და ამავე დროს დაუშრეტელი წყაროა ყოველგვარი სიკეთისა და ბედნიერებისა. წიგნი კაცობრიობის მეხსიერებაა. წიგნი წინაპართა მიმართ მადლიერების გამოხატულებაა. წივნი მწარე გაკვეთილია, გაფრთხილებაა. წიგნი ცოდნის წყაროა — როგორც ეს დიდი მწერლისათვის შესაფერი უბრალოებით არის გამოთქმული. წიგნი კაცობრიობის დიდი მომავლის გზის გამნათებელია; წიგნი ბრძოლის უმახვილესი იარაღია...

თავიდანვე ჰქონდა შეგნებული ჩვენს ხალხს ეს სიკეთე წიგნისა და ამიტომაც შეიყვარა იგი. ისტორიას შემოუნახავს ერთი საგულისხმო ფაქტი, რითაც ყველა იამაყებდა: ჯერ კიდევ თხუთმეტი საუკუნის წინათ, მეხუთე საუკუნეში, სულიერად და ფიზიკურად ტანჯულმა ქართლის დიდებულმა მანდილოსანმა სულიერი ძალის შესანარჩუნებლად დილეგში წიგნები მოითხოვა!..

ზემოთ შევნიშნეთ, წიგნი ბრძოლის იარაღიაო. და ამიტომაც კაცობრიობის ისტორიაში რამდენი დევნა განუცდია მას.

ამას რომ ვიტყვით, მაშინვე გაგვახსენდება გვიანდელი შუა საუკუნეები, როცა გაფთრებული იდეოლოგიური ბრძოლების დროს ბნელეთის მოციქულები მთელ ევროპაში წიგნის კოცონებს აგიზგიზებდნენ. იქნებ ყველას არ გაახსენდეს, მაგრამ ჩვენში ასეთი კოცონი კიდევ უფრო ადრე დაინთო, მეოთხე საუკუნის დასაწყისში, გამძვინვარებული იდეოლოგიური ბრძოლის დროს, როცა ახალი რელიგია — ქრისტიანობა — ძველს უტევდა:

მემატიანეს შემოუნახავს ცნობა, რომ ახალი ეკლესიის მსახურებმა ის ძველი წიგნები გამოიტანეს და ქუჩებში დაწვეს...

ვინ იცის, რამდენი ქართული წიგნი იმსხვერპლა მაშინ ბრმა რელიგიურმა ფანატიზმმა. ჩვენ რომ იმ ლიტერატურის სასწაულებრივი აღდგენა შეგვეძლოს, რაც მაშინ რელიგიური ექსტაზით აღტყინებულმა ხალხმა ცეცხლით გაანადგურა, პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოების შექმნის თარიღი 600—700 წლით მაინც გადაიწევდა და ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის ნაცვლად ძველი წელთაღრიცხვის III—II საუკუნე იქნებოდა.

ჩვენს ხალხს დასაბამიდანვე წიგნი მოუნათებდა გზას ისტორიის ძნელსა და ბნელ სავალზე. წიგნი ამხნევებდა. წიგნი ასწავლიდა. წიგნი აკეთილშობილებდა, იმედგაცრუებულს რწმენით აღავსებდა, სულმოკლეს ადიდსულოვნებდა, გაბოროტებულს სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა, გაგოროზებულს მოკრძალებას შთააგონებდა, გულგატე-

ხილს გაამხნევებდა, სასოწარკვეთილს გულს უმაგრებდა, ცოდნა-მოწყურებულს ცოდნით აღუფრავდა...

აქ ბევრი წიგნია ნაგულისხმევი — „შუშანიკიც“, „აბოს წამებაც“, ზოგი სხვაც. მაგრამ ზემო აბზაცში მოტანილ სიტყვებს რომ კითხულობ, კონკრეტულად მაინც ერთ წიგნს გულისხმობ. ეს შენდა უნებურად ხდება. და საკვირველი ის არის, რომ ამ დიდ წიგნში ყოველი ფენისა და მდგომარეობის, ყოველი ასაკის, ყოველი განწყობილების ადამიანი პოულობდა შესაფერ საზრდოს. იმიტომაც არ მოუშორებია იგი ჩვენს ხალხს მთელი რვა საუკუნე და დღესაც, თანამედროვე ადამიანს სასოებით უჭირავს ხელში.

და როცა „ვეფხისტყაოსანს“ — ქართველი ხალხის მსოფლმხედველობის, სიბრძნის, ზნეობის, მაღალი იდეალებისა და სულისკვეთების გამომხატველ წიგნს — ვახსენებთ, უსამართლობა იქნება აქვე არ გავიხსენოთ ჩვენი ხალხის ძნელი, განსაცდელით სავსე ცხოვრების, ჩვენი ხალხის თავისუფლებისმოყვარეობის, ჭირში გაუტეხაობის, საარაკო მხნეობისა და შეუპოვრობის, გმირული ბრძოლისა და ბეჯითი შრომის ამსახველი მატიანე „ქართლის ცხოვრება“, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ახალ-ახალ თაობებს სწორედ ამ თავისუფლებისმოყვარეობისა და შეუპოვრობის სულისკვეთებით ზრდიდა.

ჩვენმა ხალხმა არა მარტო სიყვარული იცოდა წიგნისა, მისი დაფასებაცა და მოვლაც კარგად შეეძლო.

ხელნაწერების ინსტიტუტში რომ შეხვალთ, გაკვირვებასთან ერთად სიხარულიც მოგიცავთ, როცა იხილავთ საუკუნეების წინათ გადაწერილ წიგნებს, სიყვარულით გამოყვანილ ლამაზ ქართულ ასოებს, ფაქიზი ოსტატობით დახატულ განუმეორებელ ორნამენტებს, რითაც წიგნის ფურცლები შეუმკიათ და რაც დახვეწილი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს... ამ საგანძურის შემხედვარეს დიდი ფანტაზია არც კი დაგჭირდებათ, რომ გააცოცხლოთ სიყვარულით გაცისკროვნებული, თვალანთებული ჩვენი ძველი მწიგნობრები, რომელთაც თრთოლვით გამოჰყავთ ლამაზი ასოები და ორნამენტები...

წიგნის ეს განსაკუთრებული სიყვარული ნათელ ზოლად გასდევს ჩვენი ხალხის მთელ ისტორიას.

ივი გადმოჰყვა ახალი საუკუნეების ადამიანებსაც, რომელთაც უკვე ნაბეჭდი წიგნები წამოეწიათ.

უფროსი თაობის თანამედროვე ადამიანებს კარგად ახსოვთ, რა სიხარულს იწვევდა ყოველი ახალი წიგნის გამოჩენა, რაც მაშინ იშვიათი მოვლენა იყო. რა სასოებით გადადიოდა ხელიდან ხელში ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, ილიას შედარებით ძველი, ქართველიშვილისეული ძვირფასი გამოცემა, აკაკისა და ვაჟას ცალკეული პოემები და ლექსების კრებულები, ყაზბეგის უფრო მდარედ გამოცემული ორტომეული, ყველა ოჯახისათვის სანატრელი „ბუნების კარი“, რაზიკაშვილის მიერ შეგროვებული და საკმაოდ უხარისხოდ გამოცემული, მაგრამ მაინც სანუკვარი ქართული ხალხური ზღაპრების სამტომეული, მომწვანო ყდაში ჩასმული ავალიშვილის მიერ ჩინებულად თარგმნილი პირველი წიგნი დიდებული სერვანტესისა, „ქართული წიგნის“ გამოცემული შექსპირის მაჩაბლისეული ტრაგედიები; უფრო მოგვიანებით საკმაოდ მდარედ გამოცემული, მაგრამ ასევე ჩინებული ქიქოძისეული თარგმანი „ტრისტანი და იზოლდასი“, კლდიაშვილის ერთტომეული, ნინოშვილის ორტომეული...

გაგიკვირდებათ, ისეთი პატარა ტირაჟებით გამოდიოდა ეს წიგნები, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ყველა სოფელში შეაღწევდა, სოფლის ყველა სახლში შეიხედავდა რიგრიგობით (ბევრი ალბათ იმის მოწმეც არის, სხვა ქალაქიდან და სოფლიდან როგორ ინათხოვრებდნენ და რა სასოებით აღუთქვამდნენ, არ დაგიკარგავთ, მალევე დაგიბრუნებთო), და იმ უტელევიზიობისა და უკომფორტობის პირობებში რა ხარბად ეწაფებოდა მათ ოჯახის ყველა წევრი, რა გულისძგერით მიუსხდებოდნენ ხოლმე მბჟუტავ ნავთის ლამპას, ფიჩხით განათებულ ბუხარს. და ზოგჯერ ერთ წიგნს რამდენიმე წუვილი თვალიც კი კითხულობდა. ეს წიგნები ოჯახის ძვირფას რელიქვიას წარმოადგენდა, და რაგინდ დიდი სოფელი ყოფილიყო, ყველა გეტყოდა, ვთქვათ, ტრისტან და იზოლდას წიგნი რომელ ოჯახს ჰქონდა.

ეს იყოს, ერთგვარი პათეტიკური თუ რომანტიკული ნაწილი ჩვენი წერილისა. ახლა კი უფრო საქმიან ნაწილზე გადავიდეთ.

ერთ-ერთ დიდ სიკეთედ ჩვენი დროისა ის მიაჩნიათ, რომ ყველგან, ყველა სოფელსა და ყველა ოჯახში განათლება შევიდა, სწავლა საყოველთაო-სავალდებულო გახდა. იშვიათად ნახავთ ოჯახს, რომ საკუთარი ბიბლიოთეკა არ ჰქონდეს, ზოგიერთს საკმაოდ ბრდიდარიც. უცხოელები რომ ჩამოდიან ჩვენში, უკვირთ ხოლმე,

ზოგჯერ ეჭვითაც შეხედავენ უბრალო გლეხის ოჯახში ლამაზ თაროებზე დალაგებულ წიგნებს. და ამ უცხოელების დაკვირვება ერთი-ორად დიდია, როცა აჩვენებენ მათივე ქვეყნის მწერალთა წიგნებს, ქართულ ენაზე თარგმნილს.

მახინჯი, სამწუხაროდ, გამოერევა ხოლმე ოჯახს. ზოგან იქნებ მართლაც ხელუხლებლად და მხოლოდ „სილამაზისთვის“, მხოლოდ სხვის დასანახად იდოს ეს წიგნები, როგორც ამას ხშირად იტყვის ხოლმე ნიჰილისტურად განწყობილი ხალხი, რომელთა ნაკლებობას, სამწუხაროდ, არც ჩვენს დროში განვიცდით.

მაგრამ უსამართლობა იქნება არ შევნიშნოთ, რომ ეს წიგნები, რომელთა ტირაჟები დაუჯერებლად დიდია, იკითხება. უსამართლობა იქნება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი ხალხი დღესაც, ტელევიზიის, ცხოვრების აჩქარებული რიტმის პირობებშიც, წიგნს გატაცებით კითხულობს. და ეს სასიხარულო მოვლენაა.

სასიხარულოც არის და დიდ სიფრთხილესაც მოითხოვს.

დღეს ჩვენში, ჩვენს შედარებით მცირერიცხოვან რესპუბლიკაში, დაჯერებაც კი გაგიძნელდებათ, იმდენი წიგნი გამოდის.

და ახლა უნდა დაისვას ერთი უხერხული კითხვა, რაც უსათუოდ გაკვირვებას გამოიწვევს.

არის კი საჭირო ამდენი წიგნი?

როგორც ხედავთ, კითხვა მართლაც საჩოთიროა. საჩოთიროა, თუ პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ ამ კითხვას.

მაგრამ ჩვენ სხვა აზრით დავსვით:

შეიძლება კი ყველა ეს წიგნი კარგი და საჭირო იყოს?

საქმე ის არის, რომ ყველა წიგნს, რა ჟანრისა და ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი — თუნდაც აბრეშუმის ჭიის მოვლაზე იყოს, ხილის ახალი ჯიშის გამოყვანაზე, ვაზის დაავადებებზე თუ მარტენის ღუმელზე — თავისი კონკრეტული იდეა უნდა ჰქონდეს, თავისი მიზანდასახულობა, თავისი განსაკუთრებული კომპოზიცია, თავისი სტილი და მანერა. ესე იგი, ყველა წიგნის ავტორი მოწოდებით მწერალი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის განსაკუთრებული გაგებით. ამიტომაც არის, რომ „ბუნების კარში“ მოტანილი წმინდა საბუნებისმეტყველო საკითხები ასეთი ინტერესით იკითხება; ამიტომაც არის, რომ ამავე ხასიათის ბევრი წიგნი, რომელთაც დღეს სრულიად შეგნებულად არ ვასახელებთ, ინტერესით იკითხება და სარგებლობა მოაქვს; ამიტომაც არის, რომ უძველეს დროს და-

დაწერილი ისტორიები — ტაციტუსისა, კეისრისა ან უფრო მოგვიანო და ავერ თითქმის თანამედროვე — მაკოლეისა, ჯავახიშვილისა, კლიუჩევსკისა, ინტერესით იკითხება და სარგებლობა მოაქვს; ამიტომაც არის, რომ ისეთი სპეციფიკური წიგნებიც კი, როგორიც არის იოანე ბატონიშვილის თუ მენდელეევის შრომები, თუკი სათანადოდ მომზადებული მკითხველი შეხვდა, ინტერესით იკითხება.

ერთი სიტყვით, ყველა წიგნს, როგორიც არ უნდა იყოს იგი — მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული, მხატვრული, პუბლიცისტური, სააგიტაციო თუ სახელმძღვანელო — თავისი კომპოზიცია აქვს, თავისი დასაწყისი და დასასრული, თავისი კულმინაცია, თავისი სტილი და ხასიათი. ხოლო ყველაფერი ეს რომ დაცული იქნას და წიგნი მართლაც წიგნსა ჰგავდეს, აუცილებელია მის ავტორს, საჭირო ცოდნის გარდა, სათანადო მოწოდება, ამ საგნისა და საქმის სიყვარული, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა და მკითხველის პატივისცემა ჰქონდეს.

აი, ამის შემდეგ უნდა დაგვესვა ის საჩოთირო კითხვა.

შეიძლება ყოველწლიურად გამოსულ ორიათასზე მეტი დასახელების წიგნს ასე ყოველმხრივ შემკული ავტორები ჰყავდეს?

ამ კითხვას პირდაპირ და კატეგორიულად ვუპასუხოთ:

ყველას არა ჰყავს ასეთი ავტორი და ამიტომ ყველა წიგნი ვერ ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას. ხოლო რაკი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, ზიანიც მოაქვს, რადგან ყველა მკითხველს ვერ მოვთხოვთ ისეთ კვალიფიკაციას, კრიტიკოსის ცოდნითა და თვალით აღიჭურვოს და უვარგისი წიგნი გვერდზე გადადოს.

რამდენადაც სასიხარულო და საამაყო ფაქტია ის, რომ ჩვენში წიგნი გაიაფდა, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, მისი გამოცემა გაადვილდა, იმდენად დიდი ბოროტებაა, რომ ავტორებმა წიგნის წერა გაიადვილეს და გაიმარტივეს.

იმდენი კარგი წიგნი შექმნილა კაცობრიობის ისტორიაში, რომ ახალი კარგი წიგნის დაწერა ძალიან ძნელი და რთულია.

ხდება კი პირიქით: მომრავლებულმა ავტორებმა ჩვენში ძალიან გაიადვილეს წიგნის წერა.

ძველად კარგი ექიმი სავალდებულოდ სულაც არა თვლიდა წიგნი ეწერა, იგი არანაკლებ პატივსადები საქმით — ავადმყოფების მკურნალობით იყო გართული და წიგნის დაწერა (თუკი ეს მისი განსაკუთრებული მოწოდება არ იყო) ფიქრადაც არ მოსდიოდა.

რამდენი შესანიშნავი ინჟინერი, აგრონომი, მასწავლებელი, სპორტსმენი თუ სხვა დარგის მოღვაწე გვყოლია, წიგნის დაწერა არც კი მოჰგონებიათ.

ახლა იშვიათად შესვდებით ექიმს, ინჟინერს, აგრონომს, მასწავლებელს, სპორტსმენს თუ სხვა დარგში მომუშავე ადამიანს, წიგნის დაწერისა და გამოცემის სურვილი არა სწვევდეს და ამ სურვილის განხორციელებას ძნელად მოსაგერიებელი პრაქტიკული საქმიანობით არა ცდილობდეს. ამიტომაც არის, რომ აიღებ ბევრ წიგნს — არც თავი აქვს, არც ბოლო, შინაარსითაც ახალს არაფერს ამბობს, არც ცოდნასა გძენს, ესთეტიკურ სიამოვნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, არც თავისი სტილი აქვს და, რაც ალბათ ყველაზე უფრო დიდი ცოდვაა, უმოწყალოდ ბღალავს ქართულ ენას.

მარტო არამხატვრული წიგნები როდია ასეთი. სავალალო ის არის, რომ მხატვრულ ლიტერატურაშიაც შეხვდებით ასეთ წიგნებს — უთავბოლოს, უკომპოზიციოს, აჩრსა და შინაარსს მოკლებულს და ჩიქორთულით დაწერილს...

თითქოს უფრო ადვილი უნდა იყოს თარგმნილი ლიტერატურის წესიერად შერჩევისა და გამოცემის საქმე: აქ ხომ ყველაფერი ორიგინალშია — კომპოზიციაც, შინაარსიც, თავიც და ბოლოც. აქ მხოლოდ ქართულად გადმოღებაა საჭირო. თუ ორიგინალს აკლია ეს თვისებები, ვინა გვრჯის, ჩვენს ხელთ არ არის?! — ნუ ვთარგმნით. მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც ბლომად (და იქნებ უფრო მეტადაც) შეეხვდებით უხეიროდ (უხეირო ენითა და სტილით) თარგმნილ უხეირო წიგნს.

რა მოხდა?

ყველას რატომ გავღვიძა წიგნების „შექმნის“ მადა?

ამისი გარკვევა გაგვიძნელდება, და არც შევეჭიდებით ამ საკითხს.

მაშ, მეორე კითხვა ისმის:

რატომ გამოდის ასეთი წიგნები?

პასუხი თითქოს ადვილი გასაცემია. მაგრამ უსამართლონი ნუ ვიქნებით: ყველაზე მეტად გამომცემლობებსა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს გაუჭირდებათ ასეთი ავტორების მოგერიება. რადგან მთელი იერიში (და საკმაოდ მრავალსვლიანი ტაქტიკით გამაგრებული იერიში) სწორედ მათზეა მიმართული. ამაში ჩვენ თვითონ

მიგვიძღვის ბრალი — ჩვენს კრიტიკასა და ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, ჩვენს თავშიგდებულობას, ჩვენს გაუმართლებელ ინერტულობასა და გულგრილობას...

და არც ეშველება საქმეს, თუ მთელი კრიტიკული აზრი არ დაიძრაზმა, თუ ჟურნალ-გაზეთებიც, კრიტიკაც, მთელი საზოგადოებაც მხარში არ ამოუდგებიან ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს, გამომცემლობებს, სასტიკ ბრძოლას არ გამოუცხადებენ ყოველი ჟანრის ლიტერატურულ ხალტურას.

1974 წ.

## ოსტატი და შეგირდი

ოსტატი და შეგირდი.

ბევრ რამეზე მიგვანიშნებს ეს ორი სიტყვა, მრავალ ასოციაციას აღგვიძრავს, მრავალ საჭირბოროტო საკითხზე დაგვაფიქრებს. უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულან ისინი ქართულ ენაში ეს ორი სიტყვა, და ის ფართო მნიშვნელობაც, რასაც ისინი ერთად წარმოთქმის დროს იძენენ, ასევე უხსოვარი დროიდან მოდის.

ოსტატს რომ ვიტყვით, თავისი საქმის უბადლო მცოდნეს, თავის საქმეში იდეალურად დახელოვნებულ, გონიერ, განათლებულ, მოწინავე, ზნეობრივად სპეტაკ, კარგ საზოგადო მოღვაწეს და მამულიშვილს წარმოვიდგენთ.

ლექსიკონებში ვერ იპოვნით ამნაირ სრულ განმარტებას. ამას ჩვენ წარმოვიდგენთ ასე, ხალხი უყენებს მას ასეთ მოთხოვნებს.

ხალხის წარმოდგენაში არ არსებობს მარტო კარგი ოსტატი — ვთქვათ, უბრალოდ კარგი მეცნიერი ან უბრალოდ კარგი შემოქმედი. თავისი საქმის კარგი მცოდნე თუა ადამიანი, გამოცდილი და დახელოვნებული, იგი უსათუოდ ზნეობრივად სპეტაკი, მოწინავე იდეების მატარებელი, კარგი მამულიშვილი ანუ კარგი საზოგადო მოღვაწეც უნდა იყოს. მხოლოდ მაშინ იქნება იგი ჭეშმარიტი ოსტატი, ოსტატი ფართო და განზოგადებული გაგებით.

ოსტატის საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი, უპირველეს ყოვლი-

სა, შეგირდების მომზადება, და, ამდენად, ქვეყნის მომავალზე, ხალხის ხვალინდელ დღეზე ზრუნვაა.

ასე ყოფილა ჩვენში ძველთაგანვე.

სწორედ ოსტატისა და შეგირდის ამ ქებულმა სკოლამ შექმნა ქართველი ხალხის დიდი კულტურა. თუნდაც ჩვენი ძველი განთქმული სამკურნალო ხელოვნება, სამშენებლო ხელოვნება, წიგნის გრაფიკის დღევანდელი დღისთვისაც კი სანატრელი დონე. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბეჭდვის შემოღებამდე ლამის მთელი ათი საუკუნე წინ იყო.

მაგრამ ისტორიული ექსკურსი ძალიან შორს წაგვიყვანს და არც საჭიროა, რადგან შეგვიძლია თანამედროვე ცხოვრებიდანაც მოვიტანოთ თვალსაჩინო მაგალითი.

არსებობს ქართველ ენათმეცნიერთა შესანიშნავი სკოლა. ამ სკოლას ისეთი მეცნიერები ამშვენებენ, რომელთა სახელები ძალიან დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და სრულიად სამართლიანად საერთაშორისო აღიარება მოიპოვა (მარტო აკაკი შანიძის სახელი რამდენს გვეუბნება). ამ დიდებულ სწავლულთა შრომებმა სახელი გაუთქვეს მეცნიერების იმ ვიწრო დარგსაც, რასაც ისინი ემსახურებიან, და მთელ ქართულ კულტურასაც. მათ აზრს ყველა აფასებს, ყველა პატივსა სცემს, ყველა ანგარიშს უწევს, ვისაც კი ამ საქმისა რაიმე გაეგება და ვინც თავად ღირსეულია. მაგრამ ამ მართლაც დიდებულ მეცნიერთა ძველი თაობის ღვაწლი მაინც ცალმხრივი იქნებოდა, რომ მათ ისეთივე გულითა და მონდომებით არ ეზრუნათ ახალი თაობის აღზრდისათვის, რა გულითა და მონდომებითაც თავიანთ საკუთარ მეცნიერულ სფეროს ემსახურებოდნენ. და ახლა ყველას, ვისაც კი ჩვენი კულტურის განვითარებაზე გული შესტკივა, დამშვიდებით შეუძლია თქვას, რომ იმ პირველი პლეადის ჩვენი დიდებული ენათმეცნიერები ღირსეულ ცვლას ტოვებენ. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე. მათი მოღვაწეობა ცალმხრივი არა ყოფილა.

ვინც ამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თვალს ადევნებდა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასა და მისი მოწაფეების მუშაობას, შეუძლებელია არ მოეხიბლოს ოსტატისა და შეგირდების შესანიშნავ თანამშრომლობას, ოსტატის ჩუმ, უხმაურო, ხაზგაუსმელ გულისხმიერებასა და მზრუნველობას თავისი შეგირდების მიმართ. და შედეგიც თვალსაჩინოა. ოსტატ-შეგირდთა ასეთი ერთობლივი, ჰარმონიული თანამშრომლობის შედეგია ჩვენი დიდებული განძი,

ყველა განათლებული ქართველი ადამიანის სამაგიდო წიგნი — ქართული განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, მრავალი დარგობრივი თუ ტერმინოლოგიური ლექსიკონი... კავკასიის ხალხთა ენების საფუძვლიანი, მეცნიერული შესწავლა, რასაც მარტო ენათმეცნიერული მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ მონათესავე დარგის მეცნიერებებსაც დაუფასებელ დახმარებას უწევს.

ჩვენ ეს კონკრეტული საკითხი იმიტომაც გამოვყავით, რომ გვეჩვენებინა: ოსტატ-შეგირდთა ასეთ მუშაობას ფრიად სასარგებლო კონკრეტულ-პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვება ხოლმე. ასეთი პრაქტიკული საქმიანობით თავისთავად ხომ დიდი ეროვნული განძი შეიქმნა, და. ამასთან, სწორედ ამ მუშაობაში და ამ მუშაობით ენათმეცნიერთა ღირსეული ცვლაც მომზადდა.

სხვა საგულისხმო ფაქტიც შეგვიძლია მოვიტანოთ.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი დარგი — კლასიკური ფილოლოგია — ჩვენში ოცდათიანი წლებიდან თითქმის ერთ ადამიანს, მაშინ ჯერ ისევ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერს სიმონ ყაუხჩიშვილს დააწვა მხრებზე. და ჩვენი სასიქადულო მეცნიერის-და სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავისი ნიჭით, შესაშურებელი ენერგიით, შრომისმოყვარეობითა და ჭეშმარიტად მამულიშვილური სულით კლასიკური ფილოლოგიის შესანიშნავი ქართული სკოლა შექმნა, რომლის სახელი აგრეთვე გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. გარდა საკუთარი დიდი მეცნიერული მოღვაწეობისა — მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომებისა და სახელმძღვანელოებისა, — რაც თვითონ აკადემიკოს ყაუხჩიშვილის კალამს ეკუთვნის და ურომლისოდაც ახლა ძნელია წარმოვიდგინოთ საერთოდ ჩვენი ფილოლოგიური და საისტორიო მეცნიერება — მან თავის შეგირდებთან ჰარმონიული თანამშრომლობით ბევრი საჭირო და სასარგებლო წიგნი მოამზადა და გამოსცა (მარტო „გეორგიკის“ 8 ტომი რადა ღირს!). ამასთან, თუ ამ სამი ათეული წლის წინათ დიდი ანტიკური ლიტერატურის ნიმუშები თითქმის სულ არ მოგვეპოვებოდა ქართულად, ახლა ეს ხარვეზი მნიშვნელოვნად ამოვსებულია, ქართული ლიტერატურა გამდიდრდა ანტიკური ლიტერატურის ნიმუშების მაღალხარისხოვანი თარგმანებით და მუშაობა ამ მხრივ კვლავ ინტენსიურად გრძელდება. მალე ჩვენს

მკითხველს ქართულად ექნება ბერძნული და რომაული მწერლობის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

აი, ეს არის ოსტატისა და შეგირდის ინსტიტუტი. ჩინებული ოსტატისა და ღირსეული შეგირდების თანამშრომლობის შედეგია ის დიდი ეროვნული განძი, რაც ჩვენ მთლიანად არ ჩამოგვითვლია და ურომლისოდაც მართლაც ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა ჩვენი კულტურა. სწორედ ამ მუშაობაში და ამ მუშაობით მომზადდა მეცნიერთა ღირსეული ცვლა კლასიკურ ფილოლოგიაში. ყოველდღიური ჩუმი, უხმაურო, ხაზგასმელი მზრუნველობითა და მამულიშვილური გულისხმიერებით მზადდებოდა ეს ცვლა. მეცნიერთა ეს ახალი თაობა.

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ ქართველ ფსიქოლოგთა განთქმული სკოლა, რომელსაც დიდმა მეცნიერმა დიმიტრი უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი. ამ სკოლამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი, საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა, და მას ახლა ყველგან, ისეთ ქვეყნებშიაც კი, სადაც ფსიქოლოგიურმა მეცნიერებამ განვითარების ძალიან მაღალ დონეს მიაღწია, ანგარიშს უწევენ, პატივსა სცემენ.

არ შეიძლება, ასევე არ გავიხსენოთ ქართველ მათემატიკოსთა დიდებული სკოლა და მისი სხვადასხვა თაობის ღირსეული წარმომადგენლები.

ყველა დარგს არ ჩამოვთვლით.

სხვაგვარი ფაქტიც შეგვიძლია მოვიტანოთ, ცალმხრივი მოღვაწეობის ფაქტი. თუნდაც იმავე მრავალდარგოვანი ფილოლოგიური მეცნიერებისა თუ სხვა მეცნიერებათა ცალკეული დარგებიდან, როცა მეცნიერების დიდ ოსტატს მართლაც რომ დაუფასებელი განძი შეუქმნია, ეროვნული მეცნიერება დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაუმდიდრებია, მაგრამ ამ ღვაწლის შესაფერი სკოლა ვეღარ მოუმზადებია. თავისი ღირსეული ცვლა ვეღარ შეურჩევია და დაუტოვებია. და ამიტომ მისი მოღვაწეობა ცალმხრივია, რადგან ის თაობა, ვინც ამ მეცნიერმა დატოვა, წინ წასვლას ვერ ახერხებს და ერთ ადგილს ტკეპნის, სხვადასხვა ვარიაციით იმასვე იმეორებს, რაც მრავალი წლის წინათ გამოუთქვამთ, ვერც იმ მიღწევებს უვლის სათანადოდ, რაც წინაპრებს თავის დროზე მოუპოვებიათ და ახალს კი მით უმეტეს ვერაფერს ქმნის, მეცნიერების ამ დარგს ვერ ანვითარებს და ამიტომ ერთ დროს სხვა მონათესავე მეცნიერების დონეზე მდგარი ეს დარგი ახლა მხარს ვეღარ უბამს

სხვა დარგებს, განვითარების საერთო ფერხულიდან ამოვარდნილია.

თვალსაჩინოებისათვის ჩვენ მეცნიერების რამდენიმე დარგი დავასახელეთ. შეგვეძლო ზოგი სხვა დარგიც გვეხსენებინა. შეგვიძლია კულტურისა და საერთოდ ჩვენი ცხოვრების სხვა დარგებსაც გადავსწვდეთ. რადგან თაობათა ცელა ცხოვრების ყველა სფეროს შეეხება.

გამოჩენილმა საოპერო მოღვაწემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა დავით ანდღულაძემ თავისი საკუთარი ხელოვნებით დიდად შეუწყო ხელი განთქმული ქართული საოპერო კულტურის პრესტიჟის განმტკიცებას. მთელი სამი ათეული წელი გამოდიოდა იგი სცენაზე და თავისი ვოკალური და სასცენო მოღვაწეობით მრავალი უკვდავი სცენიური სახე შექმნა. ამით მან დიდი წვლილი შეიტანა მაყურებლის ესთეტიკური აღზრდის საქმეშიაც. მაგრამ ეს ღვაწლიც ცალმხრივი იქნებოდა, რომ მას დიდებული ვოკალური სკოლა არ შეექმნა და საოპერო მოღვაწეთა ახალი, ღირსეული ცელა აო დაეტოვებინა.

და აქვე სხვაგვარი მაგალითიც შეგვიძლია მოვიტანოთ.

იყო პერიოდი, როცა ქართული საბალეტო სკოლა ხელოვნების მოყვარულთა ფართო წრეში — ჩვენშიც და ჩვენი ქვეყნის გარეთაც — დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდა. სასიხარულო იყო ეს მოვლენა, მაგრამ გასაკვირი სულაც არ ყოფილა. რადგან ჩვენს ხალხს ათეული საუკუნეების განმავლობაში ისეთი მაღალი ქორეოგრაფიული ხელოვნება შეუქმნია, რაც თავისთავად გულისხმობდა და მოითხოვდა საკუთარი სკოლის არსებობას კლასიკურ ბალეტშიც. და, აი, გამოჩნდა მართლაც ლეგენდარული ვახტანგ ჭაბუკიანი. ჭაბუკიანს სცენის ჯადოქარი შეარქვეს და იგი მართლაც ჯადოქარი იყო — მისი ცეკვა ცეკვაც იყო, სიმღერაც, მეტყველებაც, ფიქრიც, ოცნებაც... და, რაც მთავარია, ეს იყო ქართული ხალხური საწყისებიდან ამოზრდილი ხელოვნება... ეს ღვთაებრივი მადლით დაჯილდოებული ხელოვანი უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა ხალხს. ყველას ეგონა, რომ ჩვენი ხელოვნების ერთი დიდი და საპატიო დარგის საქმე საბოლოოდ მოგვარებული იყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. როგორც ირკვევა, მას ხელი შეუშალეს, და ახლა თავიდან უხდებათ ამ სკოლის შენება, რაც, აქვე უნდა ითქვას, გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სულ ახალი სკოლის აშენება.

სამწუხაროდ, აქაც ცალმხრივი გამოდგა ხვლოვნების ამ დარგის მოღვაწეთა ღვაწლი.

ცალმხრივი გამოდგა მოღვაწეობა ქართული სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. ტანვარჯიშის ქებული ქართული სკოლა, კალათბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, ლამის ჰიდაობაც კი... ახლა მხოლოდ წარსული დიდებით ამაყობს. ერთი პირობა ტერმინიც კი შემოიღეს — „ქართული ფეხბურთი", რაც ფეხბურთის ქართულ სკოლას ნიშნავს, მაგრამ ამ ტერმინის გახსენება ახლა უხერხულიც კია — ან დაგცინებენ, ან მწარედ გაეღიმებათ...

საეულისხმოა ერთი დეტალი. ჩვენ რომ სპორტის სხვადასხვა დარგი ჩამოვთვალეთ, ბევრმა ამ დარგში მაშინ მიაღწია თავისი განვითარებისა და დიდების ზენიტს, როცა რესპუბლიკაში ისეთი დიდი მასშტაბის, ყოველმხრივ აღჭურვილი, შესანიშნავი დარბაზებითა და მოედნებით მოწყობილი სპეციალური დაწესებულება არც არსებულა, როგორიც არის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

საგანგებო საბალეტო სასწავლებელიც ხომ ჩვენ დაარსდა!

ყველა სამეცნიერო დაწესებულებაც ხომ დღითიდღე იზრდება და ფართოვდება!

მაშ, რა მოხდა?

რატომ არის, რომ ერთ დარგში მოდის ღირსეული ცვლა და მეორეში კი არა. ერთ დარგში ბუნებრივად, უმტკივნეულოდ, ჰარმონიულად ხდება თაობათა ცვლა და მეორე დარგში კი დიდი ტკივილებითა და ჩავარდნებით...

ეტყობა, მარტო „მატერიალური ბაზა" საკმარისი არ არის. მთავარი მნიშვნელობა სხვა რამესა ჰქონია, სხვა ყოფილა მთავარი.

დიახ, სხვა რამეა მთავარი.

მთავარია საქმის სიყვარული, ახალგაზრდობის სიყვარული, მათ მიმართ ნდობის გამოჩენა, მეტი გულისხმიერება, მეტი გულისყური, მეტი გულთბილობა, გულმოდგინება. და გულშემატკივრობა (უფრო ფართო გაგებით, ვიდრე ეს დღეს სპორტის მოყვარულებს ესმით).

ვისაც ეს თვისებები აქვს, იმას არ გაუჭირდება კარგად შეახამოს მოღვაწეობის ეს ორი მხარე. ვინც უგულოდ ეკიდება საქმეს, ვინც მხოლოდ საკუთარი სამეცნიერო თუ შემოქმედებითი მუშაობით იფარგლება და სხვა ყველაფრის მიმართ გულგრილია, იგი, რა თქმა,

უნდა, ვერ მოახერხებს თავისი შემცვლელის აღზრდას, იგი ცალმხრივი მოღვაწეა, ცალმხრივი ოსტატი. და ამ ცალმხრივობით მოშავლის წინაშეც სცოდავს და საკუთარ ღვაწლსაც საშიშროებას უქმნის, რაკი ისეთ ღირსეულ შემცვლელს, ისეთ ღირსეულ შეგირდს არა ტოვებს, ვინც მერე მისივე შემოქმედებას უნდა მოუაროს, დაიცვას, შეინახოს და განავითაროს.

გაცილებით უფრო რთული და ფაქიზი საქმეა ახალი ცვლის აღზრდა შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებში.

მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ ჩვენ საგანგებოდ ვცდილობთ ამ ცნების — მომავალი ცვლის — გამომხატველი უფრო მარჯვე სიტყვა „თაობა“ ხშირად არ ვახსენოთ. ამ სიტყვას ზოგჯერ ცოტა უფრო სხვა ნიუანსით აღიქვამენ. რაკი ერთ თაობას ვახსენებთ, თითქოს უსათუოდ უნდა დავუპირისპიროთ იგი რომელიმე სხვა თაობას, უფრო ხშირად — თავის წინა თაობას. ეს, რაღა თქმა უნდა, სწორი არ არის. ეს ეწინააღმდეგება ჩვენი წერილის პათოსს.

იყო დრო — არც თუ შორეულ წარსულში — როცა ზოგიერთი კრიტიკოსი ბოროტად იყენებდა ასეთი დაპირისპირების ხერხს.

ღმერთმა ნუ ქნას, მწერლობაში ახალ მოსულ თაობასაც ზუსტად იგივე ეწეროს და ზუსტად იმგვარადვე ეწეროს, როგორც მის წინაპარს უწერია. ეს ხომ ეპიგონობა იქნებოდა.

როცა ადამიანი ჯვრის მონასტრიდან სვეტიცხოველს გადასცქერის, რაც არ უნდა გამოუცდელი თვალი იყოს, მაინც მიხვდება, რომ ის სხვა არის და ეს სხვა. ერთი წარმოადგენს მეორის განვითარებას და განგრძობას. ერთი ადრეა შექმნილი, მეორე — მომდევნო საუკუნეებში, კარგა ხნის შემდეგ. სვეტიცხოველის ადგილასაც რომ ჯვრის მონასტერს ვხედავდეთ, ეს ხომ უბედურება იქნებოდა, ჩვენი ხელოვნების საშინელი გაღატაკება, ჩვენი სულიერი კულტურის ჩამორჩენა და უკანსვლა. და არა იმიტომ, რომ სვეტიცხოველი ჯვარსა სჯობს. ასეთი შედარება საერთოდ მიუღებულია. გაუნათლებელი ადამიანი თუ დაიწყებს ასეთ მსჯელობას. ჯვარი უბრწყინვალესი ქმნილებაა, შეუდარებელია. და სვეტიცხოველიც უბრწყინვალესი ქმნილებაა, შეუდარებელია.

ეს იმას ნიშნავს, თითქოს ყველაფერი, რასაც ახლად მოსული თაობა წერს, პირდაპირ ისე მივიღოთ, უკრიტიკოდ; რაკი

ახალმოსული თაობის შექმნილია, ლიტერატურის ბუნებრივ განვითარებად მივიჩნიოთ.

რა თქმა უნდა, არა.

და კრიტიკის ვალიც სწორედ ის არის, რომ დროზე მიუთითოს, საფუძვლიანი ანალიზი მოახდინოს, მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკოს, და ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს.

და აი მივადექით ახალი კადრების აღზრდისა და შემცვლელი თაობის მომზადების იმ სირთულესა და სპეციფიკურობას, რაც ზემოთ ითქვა, და რასაც შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებში ვაწყდებით ხოლმე.

აქ, რა თქმა უნდა, კადრების მომზადების ზუსტად ისეთი ხერხების გამოყენება შეუძლებელია, როგორც, ვთქვათ, კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე. აქ კრიტიკამ უნდა თქვას თავისი დროული, სწორი და კარგად მოფიქრებული სიტყვა, აქ ახალგაზრდა შემოქმედი ყოველდღიურად უნდა გრძნობდეს გულისხმიერი ოსტატის თვალს.

და სირთულე ისიც არის, რომ ერთ ახალგაზრდა შემოქმედს ასეთ ვითარებაში მრავალი ოსტატი ჰყავს, ხოლო ერთ ოსტატს მრავალი შეგირდი, ოღონდ, სპეციფიკური ხასიათის გამო, ეს „ოსტატ-შეგირდობა“ არაორგანიზებულია. აქ ყველა ახალგაზრდა მწერალი უნდა გრძნობდეს, რომ მისი ლექსისა თუ მოთხრობის პირველი წამკითხველი სწორედ მხცოვანი მწერალია, და ახალგაზრდა კომპოზიტორის თუ მხატვრის პირველი შემფასებელი ასევე მხცოვანი მხატვარი თუ კომპოზიტორი, წინა თაობების შემოქმედები, მისი ოსტატები და მასწავლებლები. ახალგაზრდა შემოქმედი უნდა გრძნობდეს, რომ იგი შეგირდია და მის ყოველ ნაბიჯს დიდი სიფრთხილითა და სიყვარულით ამოწმებს და ზომავს ოსტატი. ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში ნაკლი საგანგებოდ არ უნდა ვეძებოთ. როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენ კარგად გვახსოვს ზოგიერთი ვაიკრიტიკოსის მიერ „ნაკლის“ ასეთი ძებნის პათოსი... მაგრამ როცა ამ ნაკლს წავაწყდებით, მისი მიფუჩეჩებაც არ შეიძლება. ეს უსათუოდ უნდა აღინიშნოს. ადამიანი ხელად ხვდება, როდის საგანგებოდ ეძებენ მის ნაკლს და როდის გულისტკივილით წააწყდებიან. გულისტკივილით რომ შენიშნავ ნაკლს და წამალსაც მოუძებნი, ასეთი ნაკლი ადვილად გამოსასწორებელია. თუკი,

რაღა თქმა უნდა, შეგირდი ღირსეულია. და თუ ღირსეული არ არის შეგირდი, მისი გამოყვანა არცა ღირს.

ასეთი არის შემოქმედებითი ცხოვრება. და რაც უფრო მჩქეფარეა შემოქმედებითი ცხოვრება, მით უფრო სრულყოფილი სკოლაა იგი ახალგაზრდა კადრების გამოსაყვანად, შემოქმედთა ახალი ცვლის, ახალი თაობის მოსამზადებლად.

ჩვენ აქ არ გვიხსენებია ოსტატისა და შეგირდის განთქმული სკოლა ჩვენი ხალხის ყოფით კულტურაში, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების მრავალ დარგში; სკოლა, რომელსაც თავისი დაუწერელი მორალური კოდექსი და წესდება ჰქონდა, თავისი განუმეორებელი კოლორიტი, თავისი რიტუალები, თავისი სილამაზე და მომხიბლაობა... საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ეს სკოლა და სწორედ მან გაუთქვა საქვეყნოდ სახელი ქართველი ხალხის ყოფით კულტურას.

ცხოვრება წინ მიდის, ტექნიკისა და მეცნიერების ზღაპრულმა ვანვითარებამ თავისთავად გადაუკეტა გზა ზოგი იმ ძველი დარგის შემდგომ განვითარებას... ზოგი რამის შენარჩუნება კი შეიძლებოდა და საჭიროც იყო. თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაშიაც გამოუჩნდებოდა თავისი ფუნქცია. უფრო გაგვილამაზებდა და დაგვიმშვენებდა ცხოვრებას. წინაპრების მიმართ პატივისცემისა და მადლიერების გამოხატულებაც იქნებოდა.

ჩვენივე დაუდევრობას უნდა მივაწეროთ, რომ ვერ შევინარჩუნეთ.

ყველაფერს პატრონი და მოვლა სჭირდება, ყველა დიდსა და პატარა საქმეს...

სწორედ უპატრონობამ მიგვიყვანა იმ სავალალო მდგომარეობამდე, რომ ერთ დროს ქებულსა და აღმავლობის გზაზე მდგარ ქართულ სპორტს ახლა ასე გასჭირვებია.

ნიშს ყველა დარგში პატრონი სჭირდება. ახალგაზრდა შემოქმედს პატრონი და პატრონის ყოველდღიური მზრუნველი თვალი სჭირდება. და ეს პატრონობა უნდა იკისროს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, გამომცემლობებმა, შემოქმედებითმა სექციებმა, მუსიკალურმა დაწესებულებებმა... ეს პატრონობა უნდა იკისროს ყველა შემოქმედმა.

ასეთია ოსტატისა და შეგირდის ძველთაგანვე განთქმული ინსტიტუტი. ოსტატისა და შეგირდის თანამშრომლობასა და ერთობ-

ლივ მუშაობას შეუქმნია ყველაფერი ღირსეული, რამაც ჩვენს სულიერსა და ყოფით კულტურას სახელი გაუთქვა. ასეთია ის დიდი ესტაფეტა, რამაც მძიმე საუკუნეები გამოიარა და ამ საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული სასიქადულო ტრადიციები ჩვენს დრომდე მოიტანა. იმ პირობებში, როცა მომავალი თაობის აღზრდის საქმეს მრავალი სასწავლებელი და ორგანიზაცია ემსახურება, ოსტატის ინდივიდუალური როლი კი არ მცირდება, არამედ კიდევ უფრო მაღლდება. ეს განსაკუთრებით შემოქმედებითი კადრების აღზრდაზე, შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალი ცვლის მომზადებაზე ითქმის. ვინც ჭეშმარიტი შემოქმედია, ვინც თავისი საქმის ღირსეული ოსტატია, მისთვის ისეთივე მაღალი მოქალაქეობრივი მოწოდება უნდა იყოს მომავალ ცვლაზე, შეგირდზე ზრუნვა, როგორც საკუთარი შემოქმედება; როგორც საკუთარ შემოქმედებაზე, ისეთივე გულით უნდა ზრუნავდეს იგი ახალგაზრდა შემოქმედზე. და ისევე, როგორც ყველა ჭეშმარიტ ოსტატს, ყველაფერი უნდა აწუხებდეს და აღელვებდეს თავისი შეგირდისა — მისი შემოქმედებაც, მისი მორალური სახეც, განათლებაც, პირადი ცხოვრებაც, მატერიალური მდგომარეობაც, მისი ჰირიცა და ლბინიც.

ჩვენი ანდაზა — ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა — სწორედ ამ მასშტაბით და ასე ფართოდ არის ნაგულისხმევი. რა დიდი ღვაწლიც არ უნდა დასდოს ადამიანმა თავის ქვეყანას, თუ იგი, ამასთან, მომავალზე არ იზრუნებს, თუ იგი თავისივე ღირსეულ შემცვლელებს არ შეარჩევს და არ მოამზადებს, ასეთი ღვაწლი ცალმხრივია.

1974 წ.

## ფიქრები ხვალინდელ დღეზე

ხვალ პირველი სექტემბერია და მე ამაღამ არ მეძინება!

მკითხველმა, რასაკვირველია, იცნო ეს ფრაზა. ასე იწყება ჭოლა ლომთათიძის ერთი მშვენიერი მოთხრობა. ჩვენ მხოლოდ ერთი სიტყვა შევცვალეთ ამ ფრაზიდან — მაისის ნაცვლად სექტემბერი ჩავწერეთ.

და როგორც გაზაფხულის ნათელ დღესასწაულს მღელვარებით მოელის ყველა, ასეთივე გულისფანცქალით ველით შემოდგომის ამ ჭეშმარიტად დიდ სახალხო დღესასწაულსაც, პირველი სექტემბრის მობრძანებას.

როგორც გაზაფხულის დღეებში ჰაერს მერცხლების ჭიკჭიკი გაავსებს, ისე ხვალაც ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს ბავშვების მხიარული ჟრიამული მოედება. ყველგან, ყველგან გაიგონებთ ამ ჟრიამულს — ქალაქის ფართო ქუჩებსა და შესახვევებში, სოფლის შარაგზებზე, ვიწრო ბილიკებსა და წავარნებზე, მთასა თუ ბარში, დიდ დაბებსა თუ შორეულ სოფლებში, ყველა ეზოსა და ყველა სახლში, ყველგან, ყველგან... მთელ ჩვენს ცხოვრებას გაავსებს ეს მხიარული ჟრიამული. ხვალ ახალი მჩქეფარება მიეცემა ქვეყნის სასიცოცხლო არტერიას და ცხოვრების იმპულსი იმატებს.

ჰეშმარიტად საერთო-სახალხოა ეს დღესასწაული. კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში ხვალ 974 000 ბავშვი შეაღებს სკოლის კარს და საკლასო მერხს მიუჯდება. თითქმის ერთი მილიონი! 78.000 მასწავლებელი შევა ხვალ საკლასო ოთახებში. რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს დავალებული აქვთ 66 ახალი, კეთილმოწყობილი სასკოლო შენობა ჩააბარონ ხვალ. 66 ახალი სასკოლო შენობა! ეხუმრებით!

პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა მუშაკებმა კიდევ უფრო ადრე შეასრულეს ვალდებულება — უკვე დიდი ხანია სასკოლო სახელმძღვანელოები სკოლებს გადაეცათ და, როგორც განათლების სამინისტროში დაგვაიმედეს, ეს სახელმძღვანელოები თითქმის მთლიანად დააკმაყოფილებს ჩვენს ბავშვებს.

ქართულ მწერლობას ტრადიციულად გადმოეცა საპატიო ტვირთი — გულგრილად არ შეხედოს არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყნის ცხოვრებაში და ყოველი დიდი ეროვნული საქმე თავის სისხლხორცეულ საქმედ დაისახოს. იმაზე დიდი ეროვნული საქმე კი, როგორიცაა სულითა და ხორცით ჯანსაღი, ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული, შრომისმოყვარე, პატიოსანი, პატრიოტი, გამტანი, ერთგული, თანამედროვე მოქალაქის აღზრდა... ამაზე დიდი ეროვნული საქმე ჩვენ სხვა არ გვეგულება. ამიტომაც გასაკვირი არ არის ის სისხლხორცეული დაინტერესება, რასაც ქართული მწერლობა ამ საქმის მიმართ იჩენს.

ქართულ მწერლობას აღელვებს ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებული ბევრი მწვავე და ჯერ გადაუწყვეტელი საკითხი.

გონივრულ გადამუშავებას (უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, გონივრულ გამარტივებას) მოითხოვს სასკოლო პროგრამები. ცხოვრება, რა თქმა უნდა, წინ მიდის, ტექნიკა და მეცნიერება არნახული ტემპით ვითარდება, ადამიანმა კოსმოსი გაარღვია და ციურ სხეულებს ესტუმრა, ადამიანთა ურთიერთობა გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანი გახდა... ყველაფერმა ამან, რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება თავისი ასახვა არ ჰპოვოს სკოლის ცხოვრებაში, სასკოლო პროგრამებში. თანამედროვე, ყოველმხრივ განათლებული ადამიანის აღზრდა სწორედ ამას გულისხმობს. და, ბუნებრივია, პროგრამები ახალი შინაარსით იტვირთება, იზრდება.

მაგრამ პროგრამების გაზრდა ბავშვის „თავისუფალი დროის“ ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ბავშვს არ უნდა წავართვათ თამაშისა და გართობის საათები.

შეზღუდვაც არ შეიძლება ამ საათებისა!

ყველაფერი შეიძლება შეიზღუდოს და ეს არა.

ადამიანმა გულუბრყვილო ოცნებით დაიწყო, ოცნებით მიაღწია მეცნიერების იმ დიდ განვითარებას, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, და სხვა რომ არა იყოს რა, იმავე მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის არ შეიძლება ეს ოცნება შევკუმშოთ და შევაწუხოთ. მთვარესა და სხვა ციურ პლანეტებზე ადამიანის ფეხის დადგმა სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ბავშვს ამ ციურ სხეულებზე საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ლამაზი ზღაპრები დავუმახინჯოთ.

ძნელია ყველაფერი ამის შეთავსება, მაგრამ უნდა გაკეთდეს! ბევრი იწერება ამაზე, მაგრამ ნურავინ შეეცდება დაგვარწმუნოს, თითქოს საქმე წინ დაძრულიყოს. ჩვენ საკუთარი თვალით ვხედავთ, ყოველდღიურად გვესმის მშობლების წუხილი, რომ ბავშვს სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება თამაშისა და ოცნებისათვის.

არ გვინდა ვინმემ წამოგვძახოს, სხვა სხვის ომში ბრძენიაო, მაგრამ გვეჩვენება, რომ პატარა შესწორებებით ვერ მივაღწევთ სასკოლო პროგრამების გამარტივებას. მეტი რისკი და გაბედულებაა საჭირო.

მაგალითისათვის ავიღოთ მეოთხე კლასის ისტორიის სახელმძღვანელო (ნუ დავივიწყებთ, რომ ლაპარაკი გვაქვს საგანზე, რო-

მელიც 10—11 წლის ბავშვმა უნდა აითვისოს). კარგად თუ გააანალიზებთ, ეს წიგნი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ისტორიის კონსპექტს. ასეთი კონსპექტით მეხუთე კურსის სტუდენტები სახელმწიფო და საასპირანტურო გამოცდებისათვის ემზადებიან! ამ სახელმძღვანელოს მიზანი ხომ ის არის, ბავშვს თავისი ქვეყნის გმირული წარსული შეასწავლოს, ჯანსაღი პატრიოტული და გმირული სულისკვეთებით აღზარდოს, ხალხთა მეგობრობის გრძნობა განუვითაროს და გაუფაქიზოს.

აღწევს მიზანს ეს სახელმძღვანელო?

ამ კითხვას საგნის პედაგოგები და მშობლები უფრო კარგად გასცემენ პასუხს, ჩვენ კი ამასღა ვიტყვით: ვანა უფრო ადვილად არ მივაღწევდით მიზანს, რომ ამ კონსპექტურად შეკუმშული, და ამიტომაც ძნელად გასაგები და დასამახსოვრებელი ტექსტის ნაცვლად, რომელშიც ავტორები ცდილან რაც შეიძლება ბლომად ფაქტები და თარიღები ჩაეტიათ, 10 წლის ბავშვისათვის მიგვეწოდებინა კარგი ენით მოთხრობილი ლეგენდები და ცალკეული ეპიზოდები ჩვენი ხალხის გმირული წარსულიდან?! თუნდაც პატარა მოთხრობები ვახტანგ გორგასალზე, დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე, თევდორე მღვდელზე, ცოტნე დადიანზე... ყოველ შემთხვევაში, მიზანთან გაცილებით უფრო ახლოს ვიქნებოდით და, რაც მთავარია, შევაყვარებდით თვითონ საგანს — ისტორიას! მერე კი, როცა ასეთი საინტერესო მოთხრობებით გულანთებული ბავშვი წამოიზრდება, თქვენ რომ არ შესთავაზოთ, თვითონვე მოძებნის და გაეცნობა იმ ფაქტებს, რომელთა გაზეპირებინება ჩვენ ძალიან ნაადრევად მოვინდომეთ. ისტორიის საგანს შეიყვარებს! ამ სახელმძღვანელოთი კი გვეეჭვება ბავშვს შევაყვაროთ ისტორია.

ეს საგანი ჩვენთან უფრო ახლოს დგას და იმიტომაც გავკადნიერდით ასე თამამად გველაპარაკნა. იქნებ იმ ადამიანებმა, რომლებიც თავიანთი პროფესიის მიხედვით მათემატიკურ მეცნიერებასთან უფრო ახლო დგანან, სიტყვა შემოგვაწიონ და დაგვიდასტურონ, რომ რთული ტრიგონომეტრიული ამოცანები შეიძლება სავალდებულო არ იყოს ბავშვებისათვის, რომლებიც ხვალ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დაუფლებისათვის ემზადებიან!

ერთი სიტყვით, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია სასკოლო პროგრამების გონივრული მოწესრიგება.

რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საშუალო სკოლებში. უმაღლეს სასწავლებლებში წლევანდელმა მისაღებმა გამოცდებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს საქმე სერიოზული შეშფოთების საფუძველს გვაძლევს. საჭირო იქნება მთელი სიმწვავით დაისვას ეს პირველი მნიშვნელობის საკითხი და კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებები დაისახოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გასაუმჯობესებლად. ქართული მწერლობა, რაღა თქმა უნდა, მხარში უნდა ამოუდგეს განათლების მუშაკებს და კონკრეტული დახმარება გაუწიოს ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

ხვალ პირველი სექტემბერია და სკოლასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი გვიკრთობს ძილს.

სხვათა კრიტიკა უფრო ადვილია. ჭართულმა მწერლობამ მოიხადა კი პირნათლად ვალი ჩვენი სკოლისა და მოსწავლეების წინაშე? დადებითადაც რომ ვუპასუხოთ ამ კითხვას, სამართლიანობა მოითხოვს იქვე დავსძინოთ: მაგრამ მეტის გაკეთება გემართებს!

იშვიათად დაასახელებთ თანამედროვე ქართველ მწერალს, საბავშვო ლიტერატურაში რომ არ ემუშაოს. ესეც ტრადიციულად გადმოგვეცა. აკაკი, ვაჟა იცლიდნენ ბავშვებისათვის და მათი საბავშვო ნაწარმოებები ისეთივე საპატიო ადგილს იჭერენ ქართული ლიტერატურის საგანძურში, როგორც დიდებისათვის დაწერილი მათივე საქვეყნოდ განთქმული ლექსები და პოემები.

ჩვენ წინ გვიდევს სია ბოლო წლებში გამოსული ქართული საბავშვო წიგნებისა და კმაყოფილებით უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი მწერლები ენერგიულად მუშაობენ ბავშვებისათვის. მაგრამ მეტის გაკეთებაა საჭირო. ზემოთ აკაკი და ვაჟა შემთხვევით არ გვიხსენებია. თანამედროვე გამოჩენილმა მწერლებმა მეტი დრო უნდა დაუთმონ საბავშვო ლიტერატურას.

აქვე უნდა ითქვას: ძალიან სასიამოვნოა, რომ „ნაკადულმა", რომელიც სასარგებლო საქმეს აკეთებს ქართული საბავშვო ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად, ბოლო წლებში ყურადღება გაამახვილა სამეცნიერო-პოპულარულ ჟანრზე, რითაც ჩვენი ლიტერატურა შედარებით ღარიბი იყო, და ბევრი საინტერესო წიგნი გამოსცა. შეიძლებოდა დაგვესახელებინა ნიკო კეცხოველის, ევგენი ხარაძის, ანდრო ლეკიშვილის და ზოგი სხვა ავტორის შესანიშნავი, ორიგინალური წიგნები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამომცემ-

ლობა ამ მხრივ კიდევ უფრო გაშლის მუშაობას და მეტ სამეცნიერო-პოპულარულ წიგნს მიაწვდის ქართველ ბავშვს.

ამ ჟანრს ქართულ ლიტერატურაში ტრადიციაც აქვს (იქნებ ძალიან მდიდარი არა, მაგრამ, საკმაოდ თვალსაჩინო) და დღესაც გარკვეული ხვედრითი წონა უჭირავს ჩვენს საგამომცემლო გეგმებსა და, ამდენად, ჩვენი ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში.

როცა ტრადიციაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ, უპირველეს ყოვლისა, იაკობ გოგებაშვილის შესანიშნავ წიგნს „ბუნების კარს“. ეს წიგნი, რომელიც თავიდანვე შეიყვარეს და, იქნებ გადაჭარბებული არ იყოს თუ ვიტყვით, თავის სულის ნაწილადაც გაიხადეს სხვადასხვა თაობის ადამიანებმა, არა მარტო იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა მოუთხრო და გააცნო ახალგაზრდებს ბუნების მრავალფეროვანი მოვლენები, ადამიანის გარემო და მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ძალიან ბევრი და ბევრი პრაქტიკული და კონკრეტული საკითხი, არამედ იმის შესანიშნავ მაგალითსაც წარმოადგენს, თუ როგორ უნდა შეაყვარო მოზარდს შრომა, გამოუმუშავო შრომის კონკრეტული ჩვევები, შეაყვარო სამშობლო, ასწავლო მეზობელი და მოძმე ხალხების პატივისცემა და დაფასება და, საერთოდ, კაცთმოყვარული გრძნობებით აღზარდო.

თუ ასე ფართოდ შევხედავთ ამ წიგნს (და საჭირო კია ასე შევხედოთ), მაშინ იქნებ ისე მოძველებულად აღარ მოგვეჩვენოს მასში მოცემული ბევრი წმინდა მეცნიერული და შემეცნებითი საკითხი და უფრო ხშირად ვიფიქროთ მის გამოცემაზე (რაღა თქმა უნდა, სათანადო კორექტივებით, შენიშვნებითა და განმარტებებით), რადგან დარწმუნებული ვართ, ეს ძვირფასი წიგნი დღესაც იტყვის თავის სიტყვას, დღესაც დიდ დახმარებას გაგვიწევს, დაგვეხმარება ჩავუნერგოთ ბავშვს შრომის სიყვარული, დედა-ენის სიყვარული, პატიოსნება, უანგარობა, მოყვასის სიყვარული... თანაც, ეფიქრობთ, იგი ისეთივე ინტერესით წააკითხებს თავს დღევანდელ მოზარდებს, რა თრთოლვითა და ინტერესითაც კითხულობდნენ მას მათივე პაპები და პეპერები...

საჭიროა მეტი ადგილი დაეთმოს საგამომცემლო გეგმებში (თანაც, არა მარტო „ნაკადულის“ გეგმაში) მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურას. მოზარდ მკითხველსა და მრავალ დარგად განტოტვილ დღევანდელ რთულ მეცნიერებას უფრო მეტი დამაკავშირებელი

სჭირდება, რათა ჩვენი ბავშვი არ ჩამორჩეს გიგანტური ნაბიჯებით წინ მიმავალ მეცნიერებასა და ტექნიკას. თანაც დღემდე გამოცემული ორიგინალური წიგნების ერთი თვალის გადავლებითაც ადვილად დარწმუნდებით, რომ აშკარად სჭარბობს მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის წიგნები ჰუმანიტარულ დარგში. ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლები ჩვენში, ეტყობა, უფრო უხალისოდ თუ მეტისმეტი სიფრთხილით ეკიდებიან ამ საქმეს.

აქვე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ამ ჟანრის მომიჯნავე, ასეთივე მნიშვნელოვანი და საყურადღებო დარგის — სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. აქ ჩვენ გაგვიჭირდება ჩამოთვლაც კი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ორიგინალური ნაწარმოებებისა.

საჭიროდ მიგვაჩნია ეს საკითხები რესპუბლიკის მეცნიერთა ფართო წრის, განათლების ორგანოების, საგამომცემლო ორგანოებისა და მწერალთა კონკრეტული მსჯელობის საგანი გახდეს; დაისახოს ერთობლივი ღონისძიება მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის, და, რადგან ამ დარგში მეტი ხარვეზი გვაქვს, განსაკუთრებული ყურადღება ზუსტ მეცნიერებებს მიექცეს.

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ შევაჩეროთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე: რაკი ამ სახის ლიტერატურას პოპულარული ჰქვია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მკითხველს ენა ვუჩლიქოთ. რთული მეცნიერული საკითხების პოპულარულად გადმოცემა სულაც არ გულისხმობს მეტისმეტ გაუბრალოებას. ეს, რაღა თქმა უნდა, ყველასათვის გასაგებია, და აქ მხოლოდ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ იყო პერიოდი, როცა ზოგი ავტორი მეტისმეტ უნდობლობას იჩენდა მოზარდი მკითხველის მიმართ და, ვთქვათ, რთული ფიზიკური მოვლენების მოზარდთან მიტანას, სასურველი და ზომიერი გამარტივების ნაცვლად, ენის მოჩლექით ცდილობდა. ეს ეხება (და, კონკრეტული მაგალითების მიხედვით, იქნებ კიდევ უფრო მეტადაც) ორიგინალურ ფანტასტიკურ ლიტერატურასაც. იგულისხმება, რომ მიზანს ამით ვერავინ მიაღწევს და საჭირისადმი ინტერესისა და სიყვარულის აღძვრის ნაცვლად, ეს, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენი მოზარდი მკითხველის ღიმილს გამოიწვევს.

ლიტერატურის ეს ჟანრი ერთი დიდი სიკეთის წყაროც შეიძლება გახდეს: ზემოთ ლაპარაკი იყო სასკოლო პროგრამების მე-

ტისმეტ გადატვირთვაზე; და დღეს, როდესაც მომწიფდა საკითხი მეტისმეტად გაზრდილი და გართულებული სასკოლო პროგრამების შეკუმშვა-გამარტივებისა, როცა მშობლები სულ უფრო და უფრო მეტი დაბეჯითებითა და ენერგიულობით მოითხოვენ მოსწავლე ბავშვის განტვირთვას, ხოლო განათლების ორგანოები მათ ასეთივე ენერგიული დუმილით უპასუხებენ, ვფიქრობთ, თავისი კეთილი სიტყვის თქმა შეუძლია მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურას, ისეთ სახალისოდ საკითხავ წიგნებს, რომელთაც იქნებ სასურველი მასშტაბით გააცნონ და შეაყვარონ ბავშვს მეცნიერების ესა თუ ის საგანი და საკითხი, და ამით შეენაცვლონ ზოგიერთ სავალდებულო სასკოლო დისციპლინას. ეს, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ საკითხის დასმის წესით...

საჭიროა დავეხმაროთ მოზარდებს დიდი მეცნიერული პრობლემების გაცნობასა და შესწავლაში. ხელი შევუწყოთ მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის შემდგომ განვითარებას.

სკოლასთან დაკავშირებით სხვა საკითხებიც აღელვებს ჩვენს საზოგადოებას — უფრო კონკრეტული, უფრო პრაქტიკული და იქნებ კიდევ უფრო საჩქაროც, და არცთუ ისე ძნელად მოსაგვარებელიც.

ჩვენ რომ ზემოთ 66 ახალი სკოლა ვახსენეთ, რომლებიც ხვალ უნდა მიიღონ ჩვენმა მოსწავლეებმა, ყველა ეს შენობა უპასუხებს თანამედროვე სკოლის მოთხოვნებს? ყველა კეთილსინდისიერად ააშენეს ჩვენმა მშენებლებმა? ყველა ნათელი და მზიანია? ყველა ახარებს გულს? ყველა საკლასო ოთახში ხალვათი მერხები დგას, რომ ბავშვი თავისუფლად დაჯდეს და ხერხემალი არ გაუმრუდდეს? ყველა საკლასო დაფა სასურველად არის შეღებილი, რომ ცარცით ხაზები მკაფიოდ გამოისახოს და ბავშვებს თვალები არ დაეთხაროთ? მოსწავლეთა ის სასკოლო ფორმები, რითაც ხვალ ჩვენი პატარები სკოლაში წავლენ, ლაზათს მატებს მათ?

გვეეჭვება, რომ ასე იყოს. შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ეს საკითხები ზოგჯერ პირველხარისხოვან საკითხებად არ უნდა მიაჩნდეთ ჩვენს სასკოლო დარგის მუშაკებს.

ხვალ პირველი სექტემბერია და სულითა და გულით ვულოცავთ ამ დღესასწაულს ჩვენს მოსწავლეებს და მასწავლებლებს — ვუ-

სურვებთ მათ ახალ წარმატებებს, ქეცნიერების ახალი ნაწერვალების დაუფლებას, სიხარულსა და ენერგიებას.

1973 წ.

## საშვილიშვილო საგანძური

გასული საუკუნის ჩვენი დიდმა წინაპრებმა ილიანთი მადლიანი მოღვაწეობა, რომელიც ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ყოველ დარგს სწვდებოდა, ენის სიწმინდის დაცვით კი იწყეს: ილია ჭავჭავაძემ პირველად ქართული ენის ბარბაროსულად დამმახინჯებელთა წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა და თაობათა შორის ცნობილი ბრძოლაც ჩვენში ენის საკითხებით დაიწყო. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი სასიქადულო ქართული ენა, რომლის ბადალი (თუკი საერთოდ შეიძლება ენების შედარება) იქნებ ბევრი არ აღმოჩნდეს ქვეყანაზე, უდიდესი მზრუნველობით მოვლილი გადაეცემოდა ხოლმე თაობიდან თაობებს. აქვე შეიძლებოდა ილიას ცნობილი და შესანიშნავი სტრიქონები გაგვეხსენებინა ამ საკითხზე, მაგრამ ისე ხშირად და უბოდიშოდ ახსენებენ ხოლმე ჩვენში ამ გამოთქმას — ხან ეპიგრაფად, ხან ტექსტში, ხანაც რომელიმე წერილის სათაურად, რომ ლამის არის ფასი და თავისი დიდი მომხიბლაობა დაკარგვინონ. ამიტომ აღარ გავიმეორებ ამ მშვენიერ ფრაზას და იმასღა გავიხსენებ, რომ შემდეგ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, არა ერთჯერ და ორჯერ დაბრუნებია ილია ენის სიწმინდის საკითხებს.

მაშინ ეს საქმე ძნელი იყო და თავში საცემი. მაშინ სულ ახალი ამბავი იყო ბაგრატიონ-მუხრანსკის ცნობილი ანტიეროვნული გამოსვლა, და ჩვენს მადლიან მოღვაწეებს, რომელთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო, უკვე გადაგვარებული ბედოვლათი ადამიანების „გადმოქართველება“ უხდებოდათ. მაშინ, ქართული ენის საშინელი დევნის დროს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ამას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მისცემოდა, მაშინ კანტიკუნტად ახერხებდნენ თითო-ოროლა ქართული წიგნის გამოცემას და ქარ-

თულ საჯარო მეტყველებასაც ხან ნახევრად არალეგალური ქართული თეატრის სცენიდანღა თუ მოისმენდა კაცი და ხანაც საადგილმამულო ბანკის მშფოთვარე ყრილობების ტრიბუნიდან (სხვათა შორის, არსებობს გადმოცემა, ამ კრებებით ფართო საზოგადოების დაინტერესება ჰავჰავაძისა და მაჩაბლის მშვენიერი ქართული მეტყველებით აიხსნებოდაო). ერთი სიტყვით, მაშინ არავითარი პირობები არ არსებობდა ენის სიწმინდის დაცვისათვის, ენის კანონების ჩამოყალიბებისა და ანალიზისათვის, ენის ისტორიისა და მისი აწმყოს გაცნობისა და დადგენისათვის... და ბარაქალა ჩვენს დიდ მოღვაწეებს, რომ მაინც მოახერხეს ასე შესანიშნავად მოვლილი გადმოეცათ ჩვენთვის ეს საშვილიშვილო საგანძური.

ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა პატარა სოფელში ამაყად დგას ქართული სკოლა და ყოველი საკლასო ოთახიდან მოისმის ბალღების რიხიანი და თამამი მეტყველება მშობლიურ ენაზე. ახლა ჩვენი ქვეყნის ყოველ რაიონს თავისი ქართული თეატრი აქვს, ათობით ქართული გაზეთი და ჟურნალი გამოდის, ათასობით ქართული წიგნი იბეჭდება, ყოველი კრებისა თუ კონფერენციის ტრიბუნიდან მჭუხარედ გაისმის (თ უ კ ი ა მ ა ს ჩ ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ ვ ე მ ო ვ ი ს უ რ ვ ე ბ თ!) ქართული ენა; ჩვენს ყველა ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში ცალკე არსებობს ქართული ენის კათედრა, ჩვენი ენათმეცნიერები ენერგიულად ხელმძღვანელობენ მრავალგვარი ლექსიკონისა და ენის სახელმძღვანელოების გამოცემას, ადგენენ ენის კანონებს, მეცნიერულ ანალიზს უკეთებენ ენის ისტორიას...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჩვენს წინაპრებს არც კი დაესიზმრებოდათ, ასეთი პირობები თუ შეექმნებოდა ოდესმე ჩვენი ენის განვითარებას. ახლა, ასეთ პირობებში, ერთიათად დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა — კიდევ უფრო სათუთად და მზრუნველობით მოვლილი გადავცეთ ჩვენი ენა მომავალ თაობებს.

საყურადღებოა ისიც, რომ ახლა მთელ ხალხს აქვს შეგნებული ენის სიწმინდის დაცვის მნიშვნელობა და, ალბათ, ბევრი შენიშნავდა: წარმოება-დაწესებულებებში სანაძლეოსაც დებენ ხოლმე — აბა ვინ მოახერხებს, ქართულად მეტყველების დროს უცხო სიტყვა არ იხმაროსო, ხუმრობით ჯარიმა აქვთ შემოღებული, ვინც წესს დაარღვევს და ქართული ლაპარაკის დროს უცხო სიტყვას გამოურევს.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. სასიხარულოა, რომ თვითონ ხალხს, ასე მასობრივად, შეგნებული აქვს ენის სიწმინდის მნიშვნელობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მაინც ვერ არის სასურველი. ენის სიწმინდის დაცვის დროს ძალიან ხშირად ვიბნევით და ბრძოლას იმ „ფრონტზე“ გავმართავთ ხოლმე, საიდანაც ყველაზე ნაკლები „საშიშროება“ მოგველის. მეც ამ საკითხს მინდა შევეხო.

ენის სიწმინდის დაცვის დროს ჩვენ ხშირად კარგად გახარებული ჯეკილის იმ უხეირო მცველსა ვგევართ, რომელიც ჰიშკრის ბტკიცედ ჩაკეტვასა და გამაგრებაზეა გადაგებული, ყანას შემოვლებულ ღობეს კი ერთხელაც არ გადახედავს, თუმცა ეს ღობე ბევრგან არის გამოტეხილი და გარღვეული. ჩვენ ერთმანეთს ვკიცხავთ და ვაჯარიმებთ, მაშინვე პირში ვეცემით ხოლმე, თუ ქართული მეტყველების დროს „სტოლი“ ან „პოლი“ წამოგვცდება. ასეთი თავგამოდება, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ამგვარი შეცდომები როდია მთავარი უბედურება. გასული საუკუნის ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეებიც კი, რომელთაც ბრწყინვალედ იცოდნენ ქართული ენა და თავგამოდებით იბრძოდნენ მისი სიწმინდის დაცვისათვის, ზოგჯერ თვით ისინიც კი შეცდებოდნენ და დაწერდნენ „სტოლს“. დედაენის პირველ გამოცემებშიც კი შეხვდებით ასეთ შეცდომებს. მაგრამ ეს არ იყო და არ არის მთავარი უბედურება ქართული ენისათვის. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული ზემოხსენებულ მოღვაწეებს.

იმის თქმა როდი მინდა, თითქოს გამართლებული იყოს ქართული მეტყველების დროს არაქართული სიტყვების ხმარება. რა საკვირველია, არა. ჩვენ ამ მხრივაც უნდა ვიბრძოლოთ ენის სიწმინდისათვის. მაგრამ ეს მაინც მეორეხარისხოვანი საკითხია. მეორეხარისხოვანია იმიტომ, რომ ქართულ ენას არ ეშინია ასეთი „შემოსევისა“, მას საოცარი ძალა აქვს ისე გააქართულოს უცხო ენიდან შემოჭრილი ესა თუ ის სიტყვა, რომ შემდეგ ამ სიტყვის ძირის ცნობაც ჭირს. მაგალითისათვის შეგვეძლო გაგვეხსენებინა სიტყვა хлопоты-დან ნაწარმოები „გამიხლაფორთდა საქმე“, ანდა იმერეთში გავრცელებული გამოთქმა — „საქმე გამიპუსტიაკესო“. პირველი სიტყვის ცნობა მართლაც რომ გაგვიძნელდება, ხოლო მეორე სიტყვა როგორ საოცრად დაატრიალა ქართულმა ელასტიკურმა

ზმნან და რუსულ სიტყვას ნამდვილი ქართული იერი მისცან.

ვიმეორებ, არაფერი გამართლებაა ის, რომ ჩვენს ენას არ ეშინია ასეთი „შემოსევისა“ და ძალი შესწევს გაუმკლავდეს ან თავისებურად „გადახარშოს“ სხვა ენიდან შემოსული სიტყვები. ჩვენ მაინც უნდა ვიბრძოლოთ ენაში ასეთი ლექსიკური „შემოსევების“ წინააღმდეგ. თუმცა ზოგიერთი აჭარბებს და მეტისმეტ პურიზმს იჩენს: ისეთ სიტყვებსაც ებრძვის, რამაც თითქმის ყველა ენაში შეაღწია. ისეთი სიტყვების გაკეთება-შეკოწიწება, ან, მით უმეტეს, გამოგონება, რაც ჩვენი ენის ბუნებისათვის არ არის დამახასიათებელი, გაუმართლებელია და ვერც აიტანს ჩვენი ენა, ისევე როგორც ვერ აიტანს „სატუცარი“ (კალოშის ნაცვლად) ანდა „ორთვალა“ (ველოსიპედის ნაცვლად); რატომ უნდა ვებრძოლოთ, მაგალითად სიტყვა „ფასონს“? რამდენიც უნდა ვებრძოლოთ, ის მაინც შემოდის და დღეს თუ ხვალ უსათუოდ დამკვიდრდება. ზედმიწევნით ამ ცნების გადმომცემი სიტყვა ჩვენ, თუ არ ვცდები, თანამედროვე ქართულში არ გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენი ენა ისეთი მდიდარი და ელასტიურია, რომ, რა კონტექსტშიაც უნდა შეგხვდეს ეს სიტყვა, მაინც მოვახერხებთ და ფრაზის აზრს ზედმიწევნითი სისწორით გადმოვცემთ ქართულად. მაგრამ არის კი საჭირო ამგვარი თავგამოდება და „პრინციპული“ ბრძოლა ისეთი საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვის წინააღმდეგ, რომლის ზუსტი ადექვატი ქართულად არ მოგვეპოვება? (ზოგი მთარგმნელი „ფასონს“ „ყაიდად“ თარგმნის. რაც ყოველთვის არ გადმოსცემს აზრს სწორად). ზოგჯერ დაუჯერებელ კურიოზებს წავაწყდებით. ამას წინათ ერთ ახალგამოცემულ თარგმნილ წიგნში ვნახე: „სტეტოსკოპი“ „ავადმყოფის გასასინჯ საექიმო მილად“ უთარგმნიათ.

აგერ, ახალმიღებულ გაზეთში თვალი მოხვდა ერთი პატარა ქრონიკის ბოლო აბზაცს (ამ ქრონიკით ვგებულობთ, თუ რა წარმატება ხვდომია ახალგაზრდა მომღერლის კონცერტს): „კონცერტის წარმატებას ხელს უწყობდა... კონსერვატორიის დოცენტის საუცხოო მუსიკალური თანხლება“, ასე ამთავრებს თავის ქრონიკას ავტორი და, დარწმუნებული ვარ, გულში ამაყად ეღიმება, ნიშნის მოგებით მოგვმართავს — ხომ ხედავთ, როგორ წმინდად ვიცავ ენას, ამ ცნებას თქვენ რაღაც უცხო სიტყვით გამოხატავთ, მე კი ქართული შესატყვისი მოვუძებნე და ახლა კეთილი ინებეთ და ასე წარეთო. მაგრამ ეს „თანხლება“ რაღაა?! განა ახლავე არ ეტყო-

ბა, რომ ეს ხელოვნურად შეკოწიწებული სიტყვა ვერ დამკვიდრდებ-ბა ჩვენს ენაში! ან რა საჭიროა! ილია ჭავჭავაძე თვითონ ქმნიდა სიტყვებს, მაგრამ იგი ითვალისწინებდა ჩვენი ენის ბუნებას და მისგან შემოტანილ ტერმინს ქართული სიტყვის ელფერი დაჰკრავ-და. იმიტომაც შეითვისა ღა შეისისხლხორცა ქართულმა ენამ ეს სიტყვები. ყველას როდი შეუძლია იტვირთოს ეგ დიდი ტვირთი. მარტო ავტორიტეტზეც არ არის საქმე. მოხდენილად რომ არ ყო-ფილიყო შერჩეული, ვერც ილიას სიტყვები დამკვიდრდებოდა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, არის კი საჭირო ასეთი „თანხლების“ ძებნა? აკი არსებობს ამ ცნების გამომხატველი შესანიშნავი სიტყ-ვა! ყველა კულტურულ ენაში დამკვიდრდა სიტყვა ა კ ო მ პ ა ნ ე-მ ე ნ ტ ი. ფაქტიურად ჩვენს ენაშიაც შემოვიდა ეს ტერმინი და რამდენიც უნდა ვებრძოლოთ, ვერ განვდევნით, რადგან ის სიტყვა, რითაც მის შეცვლას ვლამობთ, ხელოვნურია, ვერ მოიპოვებს მო-ქალაქეობრივ უფლებას. და არც საჭიროა ბრძოლა მის წინააღმდეგ. არის სიტყვები, ტერმინები, რომელთაც ყველა ენაში შეაღწიეს და დამკვიდრდნენ. სასაცილოც კი იქნება, ენის სიწმინდის დაცვის დრო-შით იმათ ბრძოლა გამოვუცხადოთ და ახალი, ხელოვნურად შეკო-წიწებული გამოთქმებით ვცადოთ მათი შეცვლა. ეს იქნებოდა ყოვლად გაუმართლებელი პურიზმი, ცრუ და ყალბი პატრიოტიზმი. სავსებით გაუმართლებელია აგრეთვე ზოგის სკეპტიციზმი, როცა სადმე ამოიკითხავს, ესა თუ ის სიტყვა რომელიღაც ენიდან შემო-სულა და „წმინდა ქართული“ არ ყოფილაო. ენის სიმდიდრე და სიდიადე, თუ არ ვცდები, ასე არ უნდა იზომებოდეს, რადგან ალ-ბათ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ენას, ასეთ უხვ სესხება-ჩასესხე-ბაში არ იყოს.

კურიოზული ის არის, რომ ჩვენ ხშირად ზედმეტ და ყოვლად გაუმართლებელ სიფრთხილეს ვიჩენთ კუთხურიდან სალიტერატუ-რო ენაში ცალკეული სიტყვის შემოტანის საქმეშიც. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ უცხო ენაზე შემხვდა სიტყვა, რომელიც გამოხატავდა ერთ ადგილას ლამაზად დალაგებული შეშის ცნებას. მივიკითხ-მოვიკითხე, მაგრამ ამის გამომხატველი სიტყვა ლექსიკო-ნებში ვერ მოვძებნე. ეტყობა, არ არის თანამედროვე სასაუბრო ენაში. ამავე დროს ამ ცნებას ზედმიწევნით გადმოსცეს გურიაში გავრცელებული სიტყვა „საყადელი“ (ზმნის ფორმაშიაც ხმარობენ ამ სიტყვას, შეშა დ ა ვ ა ს ა ყ ა დ ლ ე თ ო, იტყვიან). რატომ არ უნ-

და შემოვიდეს ეს სიტყვა? მხოლოდ იმიტომ, რომ კუთხურიაა? ეს არ არის სწორი. რატომ არ უნდა შემოვიდეს აგრეთვე ახალგაზრდა ხის აღსანიშნავად გურიაშივე გავრცელებული სიტყვა „ჩქოლა“ და ა. შ.

ამრიგად, ასე არ უნდა გვეშინოდეს-მეთქი ისეთი სრულიად უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად შემოჭრილი სიტყვებისა, როგორიცაა „სტოლი“ და „პოლი“, რომლებიც აშკარად ამცდავნებენ თავიანთ არაკანონიერებას და ამიტომაც არ არიან იმდენად საშიშნი. ვებრძოლოთ მათ, მაგრამ მთავარ ენერგიას ამაზე ნუ დავხარჯავთ. მთავარი ძალა იმ „ფრონტზე“ უნდა გადავიტანოთ, სადაც გაცილებით დიდი საშიშროებაა, მაგრამ ეს საშიშროება რატომღაც თვალსაჩინოდ არა ჩანს; იმ არაქართულის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ, რომელსაც ქართული სამოსელი ჩაუცვამს და გამოუცდელ თვალს ადვილად ატყუებს. იმიტომ, რომ სწორედ ეს არის საშიშენისათვის, საერთოდ, და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამჟამად ჩვენს ენაში ყველაზე უფრო სერიოზულია ეს საშიშროება.

აგერ ჩვენს თვალწინ შემოვიდა და თითქმის დაკანონდა სავსებით არაქართული გამოთქმა — „გაწყობთ“. „თქვენ როგორ გაწყობთ, რა დროს მოვიდე ხვალ?“ — „თქვენც თუ გაწყობთ, მომყიდეთ ამ ფასად“, — გაიგონებთ ქუჩაში, ბაზარში, დაწესებულებაში... განა მარტო ცოცხალ მეტყველებაში წიგნებსა და გაზეთებშიაც ხშირად წაიკითხავთ ახლა: „ჩვენს დინამოელებს აწყობთ ორი ქულა, რომ მეშვიდე ადგილი შეინარჩუნონ“, ან: „ქართველებს მუდამ აწყობდათ ასეთი ცეკვა“ და ა. შ. დაუსრულებლად. თითქოს გაგიჯრაზებითო, წარამარა ხმარობენ ამ გამოთქმას, და ერთხელაც არ დაფიქრდებიან, რომ ეს ქართული არ არის, თარგმანია. ხოლო ამ ქართული სიტყვის მნიშვნელობა სულ სხვა რამეს გამოხატავს. გარდა პირდაპირი მნიშვნელობით გაგებული „წყობისა“, ეს გადაგებას, გაწყვეტას ნიშნავს. აბეზარი ბავშვებისაგან გაგულისებული დედაკაცები იწყევლებიან ხოლმე — „გაწყვით, თქვენი გაწყობა ვნახეო“. ხოლო ეს რუსული გამოთქმა — устраивает — ქართულად უნდა ითარგმნოს კონტექსტის მიხედვით სულ სხვადასხვანაირად: „როგორ გირჩევნიათ, რა დროს მოვიდე ხვალ“, „თქვენც თუ გაძლევთ ხელს, მომყიდეთ ამ ფასად“, ან „ჩვენს დინამოელებს ორი ქულაღა ჰყოფნით“... და სხვა.

თითქმის დაკანონდა და ყოველდღიურად ვამბობთ, ვწერთ, ვკითხულობთ — „ჩემმა შვილმა გასულ წელს დაამთავრა სასწავლებელი“, „მე გასულ წელს დავიცავი დისერტაცია“, „გასულ წელს გადმოვედი ამ ქალაქში“... ერთხელაც არ დავფიქრდებით, რომ ამ გამოთქმამ ლამის განდევნოს ენიდან ნამდვილი ქართული სიტყვა „შარშან“.

ვწერთ, ყოველდღიურად ვკითხულობთ ჟურნალ-გაზეთებსა თუ წიგნებში; დაწესებულებებსა თუ ქუჩებში, საჯარო ადგილებში შეხვდებით საკმაოდ მსხვილი შრიფტით დაბეჭდილ პლაკატებს — „არ დავუშვათ ელექტროენერგიის გადახარჯვა“. ასე ვაფრთხილებთ ბედოვლათ ადამიანებს, რომლებიც ყაირათიანობას არ იჩენენ ელექტროენერგიის ხარჯვაში. ვუფრთხილდებით ელექტროენერგიას. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ენას ხომ არ ვუფრთხილდებით! განა ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს! სახელმძღვანელო წიგნებშიაც ამოიკითხავთ ასეთ წინადადებებს... „დავუშვათ, ბავშვი სკოლაში არ გამოცხადდა (თუმცა ასეთი დაშვება მიუტევებელია“)... ეს ქართულად სულ სხვაგვარად უნდა დაიწეროს — „ვთქვათ (ან წარმოვიდგინოთ) ბავშვი სკოლაში არ გამოცხადდა (თუმცა ამის წარმოდგენაც კი მიუტევებელია)“... ან სხვაგვარად, მაგრამ არა ისე, როგორც ახლა თითქმის ყველა წერს. ცოცხალ მეტყველებაშიც გაიგონებთ: „განა ეს დასაშვებია?!“ — ეუბნება მამა შვილს... არც პედაგოგიურ ლიტერატურასა თუ სკოლებში გავრცელებული ასეთი გამოთქმა უნდა იყოს ქართული — „სამოცი მოწაფიდან მხოლოდ ათი ასწრებს, ასეთი მოსწრება შეუწყნარებელია“..

ახლა ბევრ წიგნსა და ჟურნალში, სცენაზე, დაწესებულებაში, ოჯახშიაც კი გაიგონებთ სრულიად არაქართულ გამოთქმას, მაგრამ რაკი ფრაზა ქართული სიტყვებისაგან შესდგება, ჩვენც ქართული გვგონია: „ასეც ვიცოდი!“. ყველგან გაიგონებთ ამ გამოთქმას, ნაცვლად იმისა, რომ ითქვას „აკი ვთქვი!“ „აკი ვამბობდი!“ „განა არა!“ და ა. შ., როგორც კონტექსტს მოუხდება. მე განგებ ვარჩევ ისეთ გამოთქმებს, რომლებიც თითქოს თანდათან პოულობენ „მოქალაქეობრივ უფლებას“ ჩვენს ენაში, თუმცა ქართულისა არაფერი სცხიათ.

ჩვენში თითქმის დაკანონდა და ახლა ყველა გაზეთსა და ჟურნალში, წიგნში წაიკითხავთ, ყველგან მოისმენთ ასეთ ფრაზებს: „შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი სიყვარულმა აიძულა იგი“, „მ ა მ უ ლ ი ს ა დ მ ი სიყვარულმა გააბედინა“... არც ეს არის ქართული. უნდა ითქვას— „შ ვ ი ლ ი ს სიყვარულმა აიძულა“, „მ ა მ უ ლ ი ს სიყვარულმა გააბედინა!..“

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!..

ხშირად გაიგონებთ, ბავშვებს აფრთხილებენ — „წიგნის გარეშე არ წახვიდე სკოლაში“, ან: „ფულის გარეშე დავრჩი“... ხოლო ნამდვილი ქართული ფორმა უ წ ი გ ნ ო დ, უ ფ უ ლ ო დ, უ გ ა ზ ე თ ო დ — ლამის დავიწყებას მიეცეს.

ერთი ახალგაზრდა მწერალი წერს მოთხრობაში — „ე ს მ ო ხ დ ა მ ი ს ი ს უ რ ვ ი ლ ი ს გ ა რ ე შ ე“. ეს რა ქართულია?! უნდა დაეწერა მ ი ს დ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ მ ო ხ დ ა ო. ასეთი მაგალითი, სამწუხაროდ, უამრავია, მე ძებნა არ დამჭირვებია. რაც ამ წერილის წერის დროს შემთხვევით შემხვდა, ის ვახსენე. ამგვარ გამოთქმებს თითქმის ყველგან შეხვდებით, ყველა წიგნსა, გაზეთსა თუ ჟურნალში, მაგრამ ჩვენი ენათმეცნიერები, პედაგოგები, მწერლები იშვიათად იმაღლებენ ხმას ენის ასეთი დამახინჯების წინააღმდეგ.

აი, ეს არის ის ქართულად ჩაცმული გამოთქმები, რომელთაც ქართულისა არა სცხიათ რა. ამ გამოთქმების შემადგენელი სიტყვები ქართულია და ამიტომ ჰგონია გამოუცდელ თვალსა თუ ყურს ის ქართული. ამიტომ არიან ისინი საშიშნი. ამიტომ არის საჭირო ბრძოლა მათ წინააღმდეგ. მაგრამ არავინ ებრძვის.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენში ამჟამად ათასობით ქართული წიგნი გამოდის. ჩვენ ახლა მსოფლიო ლიტერატურის ბევრი კლასიკოსის თითო-ოროლა ნაწარმოები მაინცა გვაქვს თარგმნილი ქართულად (თუმცა ეს ალარ არის საკმარისი და დროა დაისვას ზოგიერთი დიდი მწერლის სრულ თხზულებათა გამოცემის საკითხი). ეს დიდი მიღწევაა, მაგრამ აქ დიდი სიფრთხილეცაა საჭირო. ძველად თითო-ოროლა წიგნი გამოდიოდა და ამ წიგნების ავტორები თუ მთარგმნელები სწორედ ჩვენი დიდი მოღვაწეები იყვნენ, რომელთაც ბრწყინვალედ იცოდნენ ქართული ენა. ახლა წიგნის მაღაზიის თაროზე ყოველდღე ახალ-ახალ ორიგინალურსა თუ თარგმნილ წიგნსა ვხედავთ. მათი ავტორები და მთარგმნელები არ არიან ყველანი

თანაბარი ცოდნისა და გემოვნებისა, რაც მთავარია, ყველამ ერთნაირად არ იცის ქართული ენა, თუმცა ყველას ჰგონია, ჩინებულად ვიცით. ჩვენ ბევრი განათლებული ადამიანი გვყავს, მაგრამ სრულიადაც არ არის სავალდებულო ყველა განათლებულმა ადამიანმა მწერლის კალამს მოჰკიდოს ხელი.

დიახ, მწერლის კალამს! რადგან დიდი მხატვრული ლიტერატურის თარგმნა იგივე დიდი მწერლობაა, ხოლო მწერლის უპირველესი იარაღი ენაა, ყველა თავისი ნიუანსით, მთელი თავისი საოცარი მრავალფეროვნებით, იმ დიდი იდუმალებით, რასაც ასე ადვილად ვერ ჩასწვდება კაცი.

დიახ, ბევრი არასაკადრისი ქართულით დაწერილი და თარგმნილი წიგნი რყვნის ენას, რადგან ამ წიგნებს კითხულობენ ჩვენი ახალგაზრდები, ბავშვები, მოზარდები. ეს ეხება არა მარტო მხატვრულ ლიტერატურას. ამას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს, რადგან ზოგიერთ აგრონომს ან ფიზიკოსს წარმოიდგინეთ, ზოგ ისტორიკოსსაც კი, ჰგონია, რომ მისთვის სავალდებულოა აზრის გადმოცემა. ქართული როგორი იქნება, ამას არ დაგიდევთ. იმას აღარ ფიქრობს — სხვას რომ თავი დავანებოთ. ცუდი ენით არ შეიძლება აზრის კარგად გადმოცემა. ამიტომაა, რომ ვთქვათ, რომელიმე „სამზარეულო წიგნში“ ვკითხულობთ „დაკლული ხბოს დ ა ყ ო ფ ა ს“ და არა ა ს ო-ა ს ო დ ა ქ ნ ა ს; რომელიმე აგრონომიულ წიგნში ვხვდებით „ვ ე ნ ა ხ ი ს პ ლ ა ნ ტ ა ც ი ა ს“ და არა ზ ვ ა რ ს...

აი, სწორედ ეს არის ქართულად ჩაცმული ის არაქართული გამოთქმები, ზემოთ რომ მოგახსენებდით. ენის სიწმინდის თვალსაზრისით ყველაზე დიდი საშიშროება ის არის, როდესაც სხვა ენის ფორმები და გამოთქმების პირდაპირი თარგმანები შემოდის. ეს საშიშროება განსაკუთრებით ამჟამად იგრძნობა ჩვენს ენაში, რადგან, შეიძლება ითქვას, სულაც არ ეებრძვით მას.

გაოცდებით, ისეთ თარგმანზე წაიკითხავთ ხოლმე რეცენზიას— „თარგმანი შესრულებულია ძარღვიანი ქართულითო“. ფაქტიურად, სანთლით რომ ეძებოთ, ამ თარგმანში ერთ იდიომურ გამოთქმას ვერ იპოვით, ერთ ფრთიან სიტყვას ვერ შეხვდებით. და მხოლოდ იმიტომ ეჩვენება ასეთი რეცენზიის ავტორს თარგმანი „ძარღვიანი“, რომ შიგ „სტოლი“ და „პოლი“ ვერ აღმოუჩენია. ასეთი თარგმანები უფრო „აწყობს“ ზოგ რეცენზენტს. თუ რომელიმე წიგნში ძ ვ რ ა ს მაგიერ ქ ო რ ი ნახეს თარგმნილი, განგაშს ასტეხენ, საქ-

ვეყნოდ შეარცხვენენ მთარგმნელს, „ასეც ვიცოდის“ კი ვერ შენიშნავენ; მაშინ როდესაც ეს არის „ქვეყნის დამქცევი“; ხოლო „ძერას“ მაგიერ „ქორი“ კი არა, „ბულბულიც“ რომ დაწერო, ისეთი დიდი ცოდვა არ იქნება — ყველა იგრძნობს, რომ ეს ლაფსუსია, უბრალო დაუდევრობაა. მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობაც რომ ჰქონდეს წიგნში ამა თუ იმ სიტყვის ზედმიწევნით თარგმნას, მთარგმნელი ამ შემთხვევაში მაინც ცოტას ცოდავს — მხოლოდ ამ ნაწარმოებს გადმოსცემს დამახინჯებულად; უფრო დიდი ცოდვა კი ენის წარყვნა და დამახინჯებაა. ქართული სიტყვებისაგან შემდგარი არაქართული გამოთქმები უფრო საშიში და მავნეა!

ზემოთ ვამბობდი, ზოგიერთ ნაწარმოებში ერთ ქართულ იდიომსაც ვერ წააწყდები და ასეთ თარგმანს მაინც „ძარღვიან ქართულს“ უწოდებენ-მეთქი. იდიომები და ფრთიანი გამოთქმები ზოგი ნაწარმოებისათვის დიდი ფუფუნებაა (და ასეთი წიგნებიც ბევრია, სამწუხაროდ). იქ არც სხვა მხრივ არის კარგად საქმე, თუმცა გრამატიკულად შეიძლება ყველაფერი რიგზე იყოს. საქმე ის არის, რომ მწერლობას თავისი გრამატიკა აქვს, ხოლო ასეთ გრამატიკას არავინ სთხოვს ზოგ ორიგინალური ნაწარმოების ავტორს და გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მთარგმნელებს. მცირე გამონაკლისს გარდა, ახლა ძალიან ბევრ წიგნში შეხვდებით თითქოსდა სწორად გამართულ წინადადებებს და რომ დაიწუნოთ, გაეღიმებათ კიდეც, ეს კაცი რამ გააგიჟა, რას იწუნებსო. დიახ, ბევრ წიგნში წაიკითხავთ, ვთქვათ, ასეთ წინადადებას — „შვილმა უთხრა დედას, რომ ის მიდის იქ, სადაც ამხანაგები ეგულება“; გრამატიკულად ეს წინადადება სწორია, მაგრამ ენის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, სულაც არ არის ქართული წინადადება. ქართველი გლეხკაცი ამას თავის დღეში არ იტყვის, მაგრამ რაკი გრამატიკულად სწორია, ამასთან, რაკი ქართული სიტყვებისაგან შესდგება და „სტოლი“ არ ურევია, კაცი არ დაგიდევს — არც ავტორი და არც მკითხველი, არც რეცენზენტი, პირიქით, ასეთი წინადადებებით შედგენილ წიგნზე წერენ ხოლმე ზოგჯერ, „ძარღვიანი ქართულიაო“. იგივე წინადადება ქართულად ასე უნდა დაიწეროს — „შვილმა უთხრა დედას, სადაც ამხანაგები მეგულება, იქ მივდივარო“. აი, ეს არის ქართული. მაგრამ ჩვენ რატომღაც ძალიან თავმდაბლები გავხდით და ენის სიწმინდისათვის ბრძოლის დროს მარტო „სტოლსა“ და „პოლს“ ვებრძვით, მთავარი მტერი, ყველაზე

საშინელი სარეველა კი გვავიწყდება. ფაქტიურად თუ ნამდვილად ენის სიწმინდის დასაცავად ვიბრძვით, სწორედ ამას უნდა ვებრძოლოთ, რადგან ეს არღვევს ენის ჰარმონიას, ენის მუსიკას. ენა, მართალია, სიტყვებისაგან შესდგება, მაგრამ ენის ბუნებას სიტყვები, და თუნდაც გრამატიკა, როდი განსაზღვრავენ ისე, როგორც ის იდუმალი მუსიკა, რომლის სწავლა ყველაზე უფრო ძნელია.

ასეთი „გამოთქმები“, ენის ბუნების ასეთი დარღვევა აღატაკებს ენას. წარამარა და უადგილო ადგილას ანდაზის ან იდიომის თვითმიზნური ხმარება, რა თქმა უნდა, აგრეთვე ენის მუსიკის უცოდინარობაა, მაგრამ არც ისე გამოფიტვა და გაღატაკება შეიძლება, რომ რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებში, ან თუნდაც კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებში, ერთ იდიომურ გამოთქმას, ერთ ფრთიან სიტყვას ვერ გადაეყარო. ამიტომ, როცა თარგმანის ან ორიგინალური ნაწარმოების ენას ვაფასებთ, მარტოკა გრამატიკასა და სიტყვების მართლწერას კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, არამედ, უპირველესად ყოვლისა, ენის ბუნების ამ მხარეს, იმ იდუმალ მარილსა და გემოს, რასაც გრამატიკა არ ითვალისწინებს. აი ეს იქნება ენის სიწმინდის დაცვისათვის ჭეშმარიტი და სასარგებლო ბრძოლა.

ენის სიღარიბეზე როცა ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ჩვენს თარგმანებში, სამწუხაროდ, არც ამ მხრივ არის კარგად საქმე, კითხულობს მთარგმნელი რომელიმე უცხო ენაზე „მელა მორბის“ და ასევე თარგმნის „მელა მორბისო“, მაშინ როდესაც მელიას სირბილს ჩვენში ცუნცულს ვეძახით. რა თქმა უნდა, არც ის არის აკრძალული, ზოგჯერ კაცმა თქვას, მელა მირბისო. მაგრამ რაკი მელიასათვის ცუნცულია დამახასიათებელი, რა თქმა უნდა აჯობებს, უფრო ბუნებრივი ჭართული იქნება, თუ ვიტყვით, — მელა მიცუნცულებდაო (თუკი ეს მელაკუდა ამ შემთხვევაში თავქუდმოგლეჯით არ გარბოდა); ისევე. როგორც მგლისათვის დამახასიათებელია ძუნძული, კურდღლისათვის ცანცალი და ა. შ.

ვთქვათ, რომელიმე ნაწარმოებში გაუმაძღარი ტიპი, რომელიც, საერთოდ, არასიმპათიურადა ჰყავს დახატული ავტორს, შემოვარდება ოთახში, მიუჯდება სუფრას, ღორივით შეჭამს რამდენიმე კაცის ულუფას და ისევ გავარდება. კითხულობს ამას ზოგიერთი მთარგმნელი და ასევე თარგმნის, რამდენიმე კაცის ულუფა ღორი-

ვით შეჭამაო. მერე რა მოხდა, გვეტყვის ეს მთარგმნელი, არ შეიძლება ასე ითარგმნოსო? შეიძლება კიდეც და არც შეიძლება. ისიც შეიძლება კაცმა მოხარშოს ლობიო და პირდაპირ შეჭამოს — არც მარილი უყოს და არც არავითარი საკაზმი. მაგრამ აბა დაკუფიქრდეთ, რა კარგად შეიძლებოდა იმავე ლობიოს გემრიელად შეკაზმვა — ნიგვზით, ქინძით და ათასნაირი საკაზმით! თუმცა შედარება საკმაოდ ტლანქი გამომივიდა. ასეთ თარგმნილ წიგნს ათი-ათასობით ადამიანს სთავაზობენ, და მერე ეს წიგნები შთამომავლობასაც რჩება. აზრობრივად ზემოთ ნახსენებ ბაგალითში თითქოს ყველაფერი სწორია. მაგრამ, ფაქტიურად, ეს გაცილებით უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე, ძერას ან ქორის ნაცვლად ბულბულის თარგმნა, რადგან ეს არის შეუწყნარებელი გაღატაკება ენისა, და ისევე, როგორც უბადრუკ შთამომავლებს დასცინიან და ჰკიცხავენ მამაპაპისეული ქონების უგემურად გამოყენებისათვის, ჩვენც უნდა სასტიკად გავკიცხოთ ჩვენი დიდი მწერლების ის ბედოვლათი მემკვიდრეები, რომლებიც ასე აღატაკებენ ჩვენს მდიდარ ენას (მგონი განმარტებაც არ არის საჭირო, რომ ამ შემთხვევაში უნდა ეთარგმნათ — შეთქვლიფა, შეჭანჭლა ან შესანსლაო და ა. შ.). ამისთანა მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება.

ცალკეული მაგალითები არ მომაქვს. ეს არ არის ამ წერილის მიზანი. მე მინდოდა საერთოდ ენის სიწმინდის საკითხებზე მელაპარაკა. ხოლო რაკი ენის დამახინჯება, უცხო ენისათვის დამახასიათებელი გამოთქმებისა და იდიომების პირდაპირი შემოტანა უმთავრესად თარგმნილი ნაწარმოებებიდან ხდება, მეც ყურადღება უმთავრესად თარგმნილ ნაწარმოებებზე გავამახვილე. თარგმნილი წიგნები ამჟამად ძალიან ბევრი გამოდის და მთარგმნელებიც უმთავრესად არაკვალიფიციურნი არიან. ხოლო ამას თუ დავუმატებთ უპასუხისმგებლობას, რასაც ასეთი მთარგმნელები იჩენენ, ნათელი გახდება, რა დღეში იქნება ენა მათვან თარგმნილ წიგნებში.

ამ წერილში აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ასეთი მთარგმნელები ელემენტარულ წესებსაც ვერ იცავენ; რაც მთავარია, მათ არა აქვთ დიალოგის შეგრძნების უნარი და როცა ასეთ თარგმანებს კითხულობთ, ერთი გმირის საუბარი ალთას მიდის, ხოლო მეორისა ბალთას; ნაცვალსახელების აჩხაფაჩხად ხმარებას ნუღარ იკითხავთ. უცხო ენებში, ზმნის თავისებურების გამო, ბუნებრივია

ნაცვალსახელების ხშირი ხმარება. ჩვენი მთარგმნელებიც, გაგიხარიათ, ერთგულად მისდევენ დედანს და გადმოაქვთ და გადმოაქვთ ნაცვალსახელები ქართულში. წერილის სტილისა და თავისებურების შენარჩუნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ან კი რა სტილზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც რომელიმე უცხოელი მწერლის გრძელ წინადადებას (ზოგიერთი მწერლისათვის ხომ გრძელი პერიოდებია დამახასიათებელი და ხშირად თითო წინადადება თითო გვერდს იჭერს ხოლმე) დააქუცმაცებენ და ბარე 5-6 წინადადებად გადმოიტანენ. ადვილი წარმოსადგენია, რა ფლობერი ან რა დიკენსი გამოვა ქართულად, თუ ასე ვაქუცმაცეთ და ვახურდავეთ. ასეთი მთარგმნელების „პრაქტიკულ“ საქმიანობას ზოგი „თეორეტიკოსიც“ ამაგრებს და ამტკიცებს, თითქოს ქართული ენა გრძელ პერიოდებს ვერ იტანდეს. მაგრამ ეს დამოუკიდებელი საკითხებია და სჯობს ცალკე ვიმსჯელოთ.

ხოლო ამ წერილში იმიტომ ჩამოვაგდე სიტყვა მთარგმნელებზე, რომ, ვიმეორებ, უხეიროდ თარგმნილი წიგნები ყველაზე მეტად რყვნის ენას; თარგმნილ წიგნებს ბევრი მკითხველი ჰყავს, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ეს იმიტომ, რომ თარგმნიან უმთავრესად ცნობილ კლასიკოსებსა და თანამედროვე მწერლებს (აუმცა არცთუ იშვიათად ისეთ უმნიშვნელო წიგნსაც ნახავთ თარგმნილს, რომ გაგიკვირდებათ, რატომ „გადასდო“ მთარგმნელმა თავი მის გადმოსატანად); სასწაულებრივი სისწრაფით იყიდება გამოჩენილი ავტორების წიგნები. ზოგიერთი თარგმნილი წიგნი დილიდან საღამომდე ვერ „სძლებს“ მაღაზიაში. რამდენიმე საათში საღდება, რაგინდ დიდი ტირაჟით იყოს გამოცემული. წიგნებს ეწაფება ჩვენი ახალგაზრდობა. და მით უფრო სავალალოა, როცა ბევრ ასეთ თარგმნილ წიგნში ისინი ენას იფუჭებენ. ამ საქმეს სერიოზული დაფიქრება უნდა. ეს არ არის ისეთი უბრალო საკითხი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. თარგმნის მადა და ხალისი უნდა დაეკარგოთ ისეთ „მთარგმნელებს“, რომელთაც ქართული ენისა არაფერი გაეგებათ და მაინც დაუზარებლად გვთავაზობენ თავიანთ ღვაწლს. და განა მარტო ასეთ მთარგმნელებს უნდა დავუკარგოთ მადა! ის კუდმოკვეცილი, არაფრისმთქმელი რეცენზიებიც უნდა აიკრძალოს, რომელთა ავტორები ასე გულუხვად ასხამენ ხოტბას და ქართული ლიტერატურის „შენაძენად“ გვიხატავენ ჩიქორთული ენით თარგმნილ და დაწერილ წიგნებს.

ასეთ მკაცრ მომთხოვნელობას ორნაირი მნიშვნელობა ექნება: ჯერ ერთი, ხალისს დაუკარგავს უხეირო მთარგმნელებს; მეორეც, იმათაც გამოაფხიზლებს, ვისაც უნარიც აქვს თარგმნისა, მოქალაქეობრივი სინდისიც აწუხებს, მაგრამ რაკი ასე აგდებულია ეს საქმე ჩვენში, მასაც გაიოლებული აქვს და ხშირად არც კი ფიქრობს ისე, თავისდაუნებურად ამახინჯებს ენას.

აგერ, ავიღოთ თუნდაც უცხო ენიდან თარგმნილი სქელტანიანი რომანი ერთი დიდად სახელგანთქმული ავტორისა. ეს წიგნი შარშან გამოიცა 10.000-იანი ტირაჟით და იმავე დღეს გაიყიდა. წიგნი თარგმნილია კეთილსინდისიერი ადამიანის მიერ, რომელმაც ავტორის ენა კარგად იცის. მიუხედავად ამისა, წიგნის უბრალო გადათვალიერების დროსაც, შეხვდებით ყველა იმ სახის შეცდომას, რაც ზემოთ მაქვს ნახსენები. აი ზოგი მაგალითიც:

„ქმრის სიტყვებმა ქალი შიშის და მორჩილების მდგომარეობიდან გამოიყვანა“.

„ეს ჩემი ბრალი არ არის, თუ ჩვენ აქამდე მოვედით“...

„მე შენ გნახავდი, თუ რას იზამდი ორი ბავშვით ერთ ოთახში, სადაც ღუმელიც კი არ არის, რომ წყალი გაათბო“.

„ქმარი კედლისკენ მიბრუნდა მოწყენილი სახით“.

„ოჰ, არც თქვენი რეცხვა გასტანს დიდხანს“.

„მისი დედა წარსულ წელს გარდაიცვალა“.

„ამ საღამოს ძალიან თავაზიანი შესახედაობა აქვთ“.

„ქალს შეეშინდა, რომ ამით რამე გააფუჭა და ფეხი საჩქაროდ უკანვე გამოიღო“.

„თქვენ ეს მოგაწყობთ?“

„საღამოს კურდღლის ხორცს ავხლეჩთ სადმე პირველ შეხვედრილ რესტორანში“.

„იგი დიდი ნაბიჯით მოვიდა, დაღვრემილი და შიშისაგან გაფითრებული სახით“.

„შეხედეთ ერთი! დასაშვებია ესა?!“

„ერთი მითხარ, შენ არ ფიქრობ, რომ ეს ქალბატონი ჩემს დასა ჰგავს?!“

„მას ორსული დედაკაცის ვეება, მეტისმეტად წინგამოშვერილი მუცელი მოჰქონდა“, და ა. შ.

ეს არის ქართული სიტყვებისაგან შედგენილი არაქართული გამოთქმანი!

მთარგმნელის გვარს არ ვასახელებ. არც საჭიროა. ეს ხომ სარეცენზიო წერილი არ არის. ამას გარდა, ეს თარგმანი ბევრს სხვისას არ ჩამოუვარდება და ამიტომაც არა აქვს მნიშვნელობა მთარგმნელის გვარის დასახელებას. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, ენის სიწმინდისათვის ბრძოლის დროს ასეთ საკითხებს მივაქციოთ მეტი ყურადღება.

ზერელედ გადავხედოთ მეორე ასევე დიდტანიან წიგნს, რომელიც რუსულიდან არის თარგმნილი (800-მდე გვერდს შეიცავს ეს წიგნი). აქაც, გრამატიკის თვალსაზრისით, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თქვენს მტერს, რა დღეში ჩაუგდია მთარგმნელს ქართული ენა! არ შეიძლება ილია ჭავჭავაძის სიტყვები არ გაგახსენდეთ — „გეიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს ავის დედ-მამის ენა ისე, როგორც ამ წიგნის მთარგმნელს გამოუმეტნია“. ამოდენა წიგნში მთარგმნელს შეეძლო, რომ იტყვიან, მთელი სიგრძე-სიგანით ეჩვენებინა ჩვენი ენის საარაკო მრავალფეროვნება და სილამაზე, მისი სინტაქსური თავისებურებანი, მომხიბლავი გამოთქმები, ზმნის ელასტიურობა, მდიდარი ლექსიკა... თქვენც არ მომიკვდეთ! აქ სწორედ ჩვენი ენის ვაღარიბება და საოცარი ერთფეროვნება დაგწყვეტთ გულს. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, გრამატიკულად თითქოს ყველაფერი რიგზეა. ალბათ არც აზრობრივად არის დიდი დამახინჯებანი. ერთი სიტყვით, წყალი არ ჭაუვა; ისეა „გაკეთებული“, რომ ყველა კეთილისმსურველ რეცენზენტს შეუძლია დაწეროს — ძარღვიანი ქართულიაო. და, როგორც მახსოვს, მართლაც ასე შეაფასეს ეს წიგნი. აი რა მაგალითები ამოვიწერე ამ წიგნის სამიოდ გვერდიდან:

„დედა, რომელსაც ქმრისადმი არასოდეს ეჭვიანობა არ გამოუჩენია, ნაღვლიანად ფიქრობდა, რომ შვილი შეიყვარებს ახალგაზრდა ქალს. როგორც მას ეგონა, ქარაფშუტა ქალს და გულს აიყრის დედაზე“.

განა ეს არის ჩვენი სასიქადულო ენა?! სამჯერ მაინც უნდა წაიკითხოს კაცმა ეს პატარა წინადადება, რომ აზრს ჩასწვდეს. ეს იმიტომ, რომ ქართულად კითხულობს, სიტყვები ქართულია, ხოლო მთელ წინადადებას ქართულისა არაფერი სცხია. ნუთუ უმარტივესი აზრის გამოთქმა ისე ვერ მოვახერხეთ, რომ კითხვის დროს

კაცმა არ იბორძიკოს და ერთბაშად გაიგოს ავტორის სიტყვებიო?! მაშ რაღას მოგვაქვს თავი — ჩვენს ენაზე უღრმესი აზრებისა და ცნებების გამოთქმა და გადმოტანა შეიძლებაო?! ნუთუ ასე დაკნინდა ჩვენი ენა?! გავკადნიერდები და ამავე აზრს ცოტა უფრო სხვანაირად გამოვთქვამ (იქნებ არც ეს იყოს კარგი ქართული, მაგრამ მე ხომ კარგ მოქართულეობას არ ვიჩემებ. მე იმას ვწუხვარ, რომ საერთოდ იშვიათად გამოდის კარგი ენით თარგმნილი წიგნი): „დედას თავის დღეში ქმარზეც არ უეჭვიანია, ახლა კი საგონებელში ჩავარდა — ვაითუ ჩემი შვილი ვინმე ქარაფშუტა ქალს გადაეყაროს და ჩემზე გული აიცრუოსო“. რა თქმა უნდა, ამის თარგმნა სხვაგვარადაც შეიძლება, არც ჩამიხედავს ორიგინალში, რომ უფრო მარჯვედ გადმომეტანა. მე მხოლოდ ქართული ენის ბუნების მიხედვით დავალაგე.

შემდეგ:

„მან იმდენი რამ ნახა, რომ ს ი მ შ ვ ი დ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა არ სჯეროდა“.

მართლაც, როგორ უღვთოდ ვიმეტებთ ჩვენი დედ-მამის ენას! ეს არის განა ქართული? განა ქართულის მცოდნე ამ აზრს ასე გამოთქვამს?![1] ეს ხომ პირდაპირი თარგმანია სიტყვებისა და არა აზრისა. აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ ძილგატეხილი კაცი, რომელიც ასე მიმართავს თავისიანს: „მე დღეს იმდენი რამ ვნახე, რომ ძილის (გინდა დამშვიდების) შესაძლებლობა არა მჯერაო“.

მაგრამ განვაგრძოთ.

„ქალაქი ღაღაჟებდა, როგორც სახლი, სადაც ქორწილია“.

ეს რა ჩხირკედელაობაა, — ნიშნის მოგებით წამოიძახებენ ამ წიგნის მთარგმნელიც, და ის რეცენზენტებიც, რომელთაც ამ თარგმანს „ძარღვიანი ქართულის“ მარკა დააკრეს; ახლა ხომ დაგიჭირეთ, აბა რომელ სიტყვას დაადებ ხელს ამ ფრაზაში, რომ ქართული არ იყოსო. მართლაც რა მეთქმის. ყველა სიტყვა ქართულია, მაგრამ ვაი ამისთანა ქართულს. მართალი თუ გნებავთ, ის, რაზედაც ალბათ ცოტათი მაინც ეთანაღრება გული ახლა მთარგმნელს, სულაც არ არის დიდი უბედურება. მარტო ეს უხერხულობა რომ იყოს ამ ფრაზაში, ამაზე თავსაც არ შეგაწუხებდით. ქ ა ლ ა ქ ი ს

---

[1] ზოგჯერ მწერალი, იუმორის გასაძლიერებლად, განგებ წერს ასეთი სტილით, რათა ამით გვიჩვენოს გმირთა გატყლარჭული მეტყველება. ეს სულ სხვა ამბავია.

ლაჟღაჟი მართლაც ძალიან უხერხულია, მაგრამ ყურს აქ სხვა უხერხულობა უფრო ეჩოთირება და ვაი რომ ვერ დაეკუჭრებ მთარგმნელსა და მის რეცენზენტებს. ამის აშკარად ჩვენება ძნელია, რადგან ამას თითქოს კანონი არა აქვს, ენის მუსიკას ემორჩილება.

„ეს ფირმა რეორგანიზაციის პერიოდს განიცდის“.

ვკითხულობთ შემდეგ. ფირმისა რა მოგახსენოთ და კარგი იქნება, ჩვენმა რედაქციებმა და გამომცემლობებმა დროზე განიცადონ ისეთი რეორგანიზაციის პერიოდი, რომ ამგვარი თარგმანებით აღარ გაუფუჭონ ენა ჩვენს მკითხველებს.

„ეს მონოკლიანი კაცი ხომ ზედგამოჭრილია ის, რომელზედაც მწერალი სწერდა“.

„როცა ქალმა გონს მოსვლა დაიწყო, ფიქრობდა ხან იმაზე, რაც მოხდა, ხან ბავშვობას იგონებდა“..

არ მახსოვს, რა პირობებში ხდება აქ აღწერილი ამბავი, მაგრამ როგორც ხედავთ, ქალს გადაუწყვეტია, აწი დროა გამოვჯობინდეო და გონს მოსვლა დაუწყია. რა გვეთქმის!

„რამდენიმე დღის შემდეგ შუაღამისას პატარა უბრალო ოთახში... შემოვარდა ქალი, უქუდოდ, თმაგაწეწილი, მეტად გრძელი სხვისი კაბით“.

აქ ისღა უნდა შევნიშნოთ, რომ თავისი კაბა თუ სცმოდა, იმ უბრალო ოთახში ის ქალი გრძელი თავის კაბით შეევარდებოდა.

შემდეგ:

„სირცხვილია! თქვენს ასაკში იერიშები უნდა მოგქონდეს...“

მაგრამ კმარა! მართლაც სირცხვილია! რა ხნისაც (ე. ი. მთარგმნელის სიტყვებით რომ ვთქვათ — რომელ ასაკშიაც) უნდა იყოს კაცი, ასეთი ქართულით წერა არ ეპატიება.

საშწუხარო კი ის არის, რომ ასეთი თარგმანები ჩვენში ახლა უხვად გამოდის. გზა ხსნილი აქვთ ამგვარ მთარგმნელებს. და ისინიც ენერგიას არ იშურებენ, თარგმნიან და თარგმნიან, დაუზოგავად ამახინჯებენ ქართულ ენას. არცთუ ძნელია ასე მუშაობა. მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს? ასეთ წიგნებში ხომ ენის ბუნების უმარტივესი კანონებია დარღვეული. ამაზე კამათიც არ შეიძლება. ამას ისეთივე ხერხებით უნდა ვებრძოლოთ, როგორც რაი-

მე მავნე ჩვევას, რაიმე სენს. აქ ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება სტილის თავისებურებაზე, ეს, უბრალოდ, ენის უცოდინარობა და მიუტევებელი დაუდევრობაა. სულ სხვაა, მაგალითად, როცა რომელიმე მთარგმნელი მძიმე ენით თარგმნის და გვედავება, ორიგინალშიც ასეაო; ან როცა ავტორის სტილსა და ნაწარმოების განწყობილებას ვერ გადმოსცემს; ან როცა ზედმეტად აქართულებს და ნაწარმოებს თავის კოლორიტს უკარგავს. ასეთ პირობებში შეგვიძლია ვედავოთ მთარგმნელს, თარგმანი დავუწუნოთ, გავაკრიტიკოთ და მისი მოსაზრებანიც მოვისმინოთ. ჩვენ გვყავდა ბრწყინვალე მთარგმნელები — გრიგოლ ყიფშიძე, ნიკო ავალიშვილი, ივანე მაჭავარიანი, ი. ბაქრაძე და სხვები. ისინი ზ ო გ ჯ ე რ (ზოგიერთი ნაწარმოების თარგმნისას, ყოველთვის არა) ზედმეტად აქართულებდნენ ნაწარმოებს, და ორიგინალს, ერთგვარად, თავის კოლორიტსა და სურნელებას უკარგავდნენ, ზოგჯერ ავტორის ტექსტიდანაც გადაუხვევდნენ; მაგრამ, სამაგიეროდ, თარგმნიდნენ შესანიშნავი ქართული ენით, და ახლა, ამ თარგმანებს რომ კითხულობთ, უდიდეს სიამოვნებას განიცდით, რადგან იქ მართლაც მთელი სიუხვით იგრძნობა ქართული ენის მადლი და ბარაქა, სილამაზე და მრავალფეროვნება.

განა ახლა კი არ გვყავს ასეთი მთარგმნელები. საბედნიეროდ, გვყავს: გვყავს ღვაწლმოსილი მწერლებიც, ახალგაზრდებშიაც გამოჩნდნენ საიმედო მთარგმნელები. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ „ჩიქორთული“ ენით მთარგმნელებს მეტი გასაჭანი აქვთ. ეს ალბათ მათი აქტივობის წყალობით. რას იზამ, ღმერთი სამართლიანია, არავის გასწირავს — ზოგს ნამდვილი საქმის უნარს მიანიჭებს, ზოგს კიდევ საქმოსნურ აქტივობას!..

რაკი ენის სიწმინდის საკითხად ენის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების გამოყენება დავსახეთ, აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მეტად საჭირბოროტო და მტკივნეული საკითხი. ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი წყარო, როგორც ცნობილია, ქართლური და კახური დიალექტებია, აგრეთვე ზემოიმერული. რა თქმა უნდა, ამ კუთხეებში გაზრდილი ბავშვებისათვის უფრო ადვილი უნდა იყოს ქართულ სალიტერატურო ენაში გაწაფვა. მაგრამ იაკობ გოგებაშვილის ბრწყინვალე „დედაენის“ წყალობით, ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხიდან გამოსულმა ბევრმა მწერალმა ჩინე-

ბულად იცოდა და იცის ქართული ენა. თედო სახოკიას, შალვა დადიანისა და დემნა შენგელაიას ენა სამაგალითოა მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამეგრელოდან არიან; გერონტი ქიქოძე გურულია, მაგრამ მისებრ კარგი ქართულით წერა ნეტა ყველას შეეძლოს. მე ვფიქრობ, ეს არის შესანიშნავი გავლენა იაკობ გოგებაშვილის „დედაენისა“. ათვალიერებ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ძიერ ახლახან გამოცემულ ორ ნაწილს გოგებაშვილის „დედაენისას“ და გიხარია. რა დაკვირვებით შედგენილი ტექსტი, რა მოხდენილი სასაუბროები, ენის რა ნიუანსებია გათვალისწინებული!

ჩვენი „დედაენის“ შემდგენლებს ბევრი რამ გაუთვალისწინებიათ და გადმოუღიათ გოგებაშვილის სახელმძღვანელოდან. ვგებაშვილის მეტად სასარგებლო და ცოცხალი სასაუბროები თითქმის მთლიანად არის გადმოტანილი მეორე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში, მაგრამ, იშვიათ გამონაკლისს გარდა, მასწავლებლები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ მას და ვერ იყენებენ იმ მდიდარ საუნჯეს, სადაც ჩვენი ენის ბევრი ნიუანსია გათვალისწინებული.

სამწუხაროდ, „დედაენის“ შემდგენლებს ძალიან ძუნწად შეაქვთ წიგნში ანდაზები, გამოცანები და ე. წ. საპასუხოები, რომელთაც სასაუბროებზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვთ. „სასაუბროების“ მსგავსად, აღნიშნულ „საპასუხოებშიც“ გოგებაშვილს გათვალისწინებული აქვს ენის მრავალი ნიუანსი და ბავშვი უფრო გაბედულად შეჰყავს ენის სტიქიაში. იგივე უნდა ითქვას მეორე, მესამე და მეოთხე კლასის სახელმძღვანელოებზე, სადაც აგრეთვე სასურველია მეტი ანდაზებისა და ხალხური ზღაპრების შეტანა. ზოგიერთი ორიგინალური და თარგმნილი მასალა, რაც ამ წიგნებშია შეტანილი, გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, იდიომური და ფრთიანი გამოთქმებით მეტისმეტად ღარიბია. მაგრამ იდიომებს ვიღა ჩივის, როდესაც ბევრ სახელმძღვანელოში (ეს უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ შეეხება სხვა საგნების, არაქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს) ქართული ენის ელემენტარული ბუნებაა დარღვეული.

აბა, რა ენისმცოდნე უნდა გამოვიდეს ბავშვი, რომელსაც მესამე-მეოთხე კლასშივე ასეთი სახელმძღვანელოებით ასწავლიან.

„ადგილზე ჰორიზონტის მოძებნის ცოდნას გაგნება ეწოდება. ყოველგვარ, თვით პატარა ექსკურსიის დროსაც კი, უნდა ვიცოდეთ

ადგილზე გაგნება. მისი ცოდნა შეძლებას მოგვცემს გაბედულად გავემგზავროთ ისე, რომ დაბნევის შიში არ გექონდეს".

„მკვლევარებმა ჩაატარეს ოკეანის სიღრმის გაზომვა" (თითქოს უფრო ადამიანურად არ შეიძლებოდეს თქმა — მკვლევარებმა ოკეანის სიღრმე გაზომეს).

„ბოლოს ყინული გამოტანილ იქნა უფრო თბილ წყალში".

„ყოველი ნებისმიერი საგნის ზედაპირი შეიძლება წარმოვიდგინოთ მრავალი წერტილებისაგან შემდგარი".

„ხმელეთზე გადმოსვლისას ჰაერი ამცირებს ტემპერატურას".

„მურმანსკი ჩრდილო ატლანტიური დინების გავლენის ქვეშ იმყოფება. მისი თბილი წყლები ადგებიან სკანდინავიის და კოლის ნახევარკუნძულებს".

„ცნობილია, რომ მაღლა ასვლასთან დაკავშირებით ცივა" (თითქოს არ შეიძლებოდეს ადამიანურად ვთქვათ — რაც უფრო მაღლა ადიხარ, მით უფრო ცივაო.).

„გზაზე ეს ქარები ხვდებიან მძლავრ ზღუდეს მთების სახით".

„ჰავის შესახებ ნათქვამიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ ადგილის ჰავის თავისებურება დამოკიდებულია... ოკეანის დონიდან სიმაღლეზე, ქედების მიმართულებაზე"...

„ეს ნივთიერებები იმყოფებიან მოძრაობაში, რომელიც ხანდახან დედამიწის ზედაპირსაც გადაეცემა".

„საინტერესოა, რომ ცხოველები ალღოს საშუალებით ადამიანზე ადრე გრძნობენ მიწისძვრის მოახლოებას, ადამიანებს კი ეჭვიც არა აქვთ მომავალ საფრთხეზე, რომ ისინი იწყებენ მოუსვენრობას. ცხენები არ ღებულობენ საკვებს".

აი, სადამდე მივყავართ წინადადებისა და გამოთქმების პირდაპირ, სიტყვასიტყვით თარგმნას!

„დრო არის სიდიდე, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვხვდებით საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში და სამეცნიერო გაზომვაში".

მაგალითების მოტანა, სამწუხაროდ, აქაც დაუსრულებლად შეიძლება. მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს, დროის ამაო დაკარგვა იქნება. ხოლო დრო, როგორც ამ სახელმძღვანელოთი ვგებულობთ, არის სიდიდე, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვხვდებით „საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში და სამეცნიერო გაზომვაში". რაღა გვეთქმის ამის შემდეგ, დაეხუროთ ეს სახელმძღვანელო და გადავცეთ პატრონს, 10 წლის ბავშვს, რათა ახლავე შეუდგეს ზუთხვას, თორემ რას მოას-

წრებს ყველა გაკვეთილის მომზადებას; იცოცხლეთ, საგნები თავზე ვადასდით და არც ასეთ სახელმძღვანელოებს არიან მოკლებულნი.

მაგრამ მაინც ვიკითხოთ — რა ენა ეცოდინება ასეთ წიგნებზე აღზრდილ ბავშვს?! ასი არ იქნება (და ამისი სრული უფლებაც ექნება მას იურიდიულად) ადგეს და ერთ მშვენიერ დღეს ასეთი საკლასო თხზულება წარბშეუხრელად წარუდგინოს მასწავლებელს?!

ჩვენმა კლასმა გადაწყვიტა ტყეში წასვლა. თან წავიყვანეთ უფროსი კლასელი ამხანაგი, ასე უფრო გვაწყობდა, რადგან მან იცოდა გაგნება, აგრეთვე ჰქონდა სოკოების მოძებნის ცოდნა. ჩვენი მეზობლის ცუგაც აგვედევნა გრძელი თავისი კუდით. გზის ცოდნამ შესაძლებლობა მოგვცა გაბედულად გვევლო, ისე რომ დაბნევის შიში არა გვქონოდა. ადრე დილა იყო და ხმელეთზე გაღმოსულ ჰაერს ტემპერატურა ძაღზე შეემცირებინა. მაგრამ ჩვენ მაინც არა გვციოდა, რადგან ვიმყოფებოდით მოძრაობაში, რასაც ჩვენს პატარა ცუგასაც გადავცემდით. ჯერ კიდევ დილა იყო, როდესაც მივადექით მძლავრ ხღუდეს მთების სახით. მთაზე მაღლა ასვლასთან დაკავშირებით ციოდა, რადგან მწვერვალზე თოვლი იდო და მთის ჰავა იმყოფებოდა თოვლის ტემპერატურის გაელენის ქვეშ. მწვერვალზე ჩვენ ჩავატარეთ თოვლის სიღრმის გაზომვა. მთიდან რომ დავეშვით, დასვენების შესაძლებლობა არავის არ გვჯეროდა; დაგვცხა, რადგან შუადღისას იცის დათბობა საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში. ამასობაში სადილად დავსხედით. ჩანთებიდან ამოღებულ იქნა საგზალი. ცუგამ ალღოს საშუალებით იცოდა, რომ თან გვქონდა საუზმე, მაგრამ იგი ისე გააბრაზა ერთმა ჩვენმა ამხანაგმა, რომ საკვები არ მიიღო. ძაღლის შესახებ ნათქვამიდან ჩანს, რომ ის იყო ძალიან ამაყი. ნასადილევს გავედით მდინარეზე და ტყეს მივუახლოვდით. მდინარის ნაპირს მთის ცივი წყლები ადგებოდნენ. ისე გავერთეთ, რომ არც კი ვიცოდით, რა დრო იყო, მიუხედავად იმისა, რომ დრო არის სიდიდე, რომელსაც ჩვენ მუდმივად ეხვდებით საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში და თითქმის ყვე-

ლა სამეცნიერო გაზომვაში. უცებ შევნიშნეთ, რომ მზე ჩადიოდა და მოუსვენრობა დავიწყეთ. მერე შინ გამოვხწიეთ. ყოველი ნებისმიერი ბავშვი დაღლილი იყო.

საინტერესოა, რა გუნებაზე დადგება მასწავლებელი, მართლაც ასეთი თბზულება რომ მიუტანოს მოსწავლემ. იქნებ შინაც გააგდოს თავხედი ბავშვი, რომელსაც სკოლის აბუჩად აგდება გადაუწყვეტია. მაგრამ ბავშვმა რა დაგიშავათ? აკი სახელმძღვანელოებში უწერია და ისიც იზუთხავს (ვერ წარმომიდგენია, სხვაგვარად როგორ უნდა დაისწავლოს).

ეს მაგალითები მეხუთე კლასის ერთი სახელმძღვანელოდან ამოვკრიფე, ზერელე გადათვალიერების დროს. მადლობა ღმერთს, „დედაენაში“ არ არის ასეთი „მარგალიტები“.

ისევ „დედაენას“ დავუბრუნდეთ. შემდგენლების საყურადღებოდ უნდა ითქვას: როცა გოგებაშვილი ადგენდა თავის სახელმძღვანელოს, მოსახლეობის უმრავლესობა მაშინ სოფლად ცხოვრობდა. ახლა, პირიქით, ქალაქები გაიზარდა, ბევრი ახალი ქალაქი გაჩნდა. ბავშვთა რიცხვი ქალაქებში ახლა გაცილებით უფრო დიდია. ბავშვები ზაფხულობით უმთავრესად მთისა და ზღვის ადგარაკებზე დაჰყავთ. სოფელში დასასვენებლად ძალიან ცოტა თუ მიდის. ასე რომ ეს ბავშვები ვერ ისმენენ ცოცხალ ხალხურ მეტყველებას, წარმოდგენა არა აქვთ სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე, ცხოველთა სამყაროს მხოლოდ ზოოპარკით იცნობენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევადგინოთ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდნენ მათ, ამ ბავშვებმა, რას ჰქვია, მაგალითად, ტაბიკი, აპეური, ჰიგრო... იქნებ გვითხრან ამეების შესწავლას შემდეგ, შვიდწლედშიაც მოესწრებიანო, ისევე როგორც შეიძლება უს სიტყვები შემდეგ ინგლისურად ან ესპანურად ისწავლოს კაცმა. მაგრამ „დედაენა“ იმიტომ ჰქვია 1 კლასის სახელმძღვანელოს, რომ ძირითადი სიტყვები და კანონები პატარაობისას შეითვისოს ბავშვმა. ასეთ შესწავლილ ენას აქვს მადლი. და ამიტომაცაა, რომ, ჩვეულებრივ, ვერავითარ უცხო ენას ვერ ისწავლის კაცი ისე სრულყოფილად, როგორც დედაენას, ე. ი. იმ ენას, რომლითაც მეტყველებას იწყებს. ამიტომაც არ არის მართებული ზოგიერთი მშობლის გადაწყვეტილება, რომ შვილი

არაქართულ სკოლაში მიაბაროს, იმ მოტივით, თითქოს ქართულს ისედაც ისწავლის, და კიდევ ერთი ზედმეტი ენა ეცოდინებაო. ფაქტიურად ბავშვი ვერც ერთ ენას ვერ ითვისებს საფუძვლიანად, მას აღარც ერთი დედაენა არა აქვს. უცხო ენის სწავლა საჭიროა და აუცილებელი. კერძოდ, რუსული ენის სწავლა ყველასათვის, ყოველი სპეციალობის ადამიანისათვის აუცილებელია. უამისოდ ადამიანი ვერ მიიღებს სრულყოფილ განათლებას. მაგრამ რუსული ენის შესწავლა უნდა ხდებოდეს პარალელურად, მშობლებისა და მასწავლებლების დიდი მეცადინეობითა და გულმოდგინებით. შემდეგ უცხო ენის შესწავლასაც დაიწყებს ბავშვი და ყოველი ახალი ენის სწავლა კიდევ უფრო განუმტკიცებს მშობლიური ენის ცოდნას იმ ადამიანს, რომელსაც პატარაობისას საფუძვლიანად შეუსწავლია დედაენა. ამასთან, ქართული ენის ბუნების შესასისხლხორცებლად უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქართულ ხალხურ ზღაპრებს, რომელთაც შერჩევით, დამხმარე საკითხავ წიგნად მივცემთ ბავშვს. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო პრაქტიკული ღონისძიება, რადგან ის, რაზეც ამ წერილში ვამახვილებთ ყურადღებას, გრამატიკით არ ისწავლება. ის ენის განსაკუთრებული მუსიკაა და როგორც ნამდვილი მუსიკის ხშირი მოსმენით უვითარდება ბავშვს მუსიკალური სმენა, რაგინდ სმენ დახშული გვეგონოს იგი თავიდან, ასევე კარგი ენით დაწერილი წიგნების ხშირი კითხვით განვუვითარებთ ენას არა მარტო ბავშვს, არამედ დიდებსაც, რომელთაც ზემოხსენებული ზოგიერთი თარგმნილი თუ ორიგინალური წიგნის კითხვით უკვე შერყვნიათ ენა, ან თავიდანვე ვერ შეუჩვევიათ ყური იმ იდუმალი მუსიკისათვის.

„ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალფეროვანი. როგორიც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და

რომელიც წარმოადგენს იმგვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის".

ამას წერდა იაკობ გოგებაშვილი ამ სამოცდაათი წლის წინათ და მოუწოდებდა ხალხს წმინდად დაეცვათ ეს ბურჯი ეროვნებისა. მაშინ ჩვენი ენა აუტანელ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. და დაუღალავი ბრძოლითა და მონდომებით რომ არ ეხსნათ ჩვენს დიდ მწერლებს, ვინ იცის, იქნებ საშინელ საფრთხეშიაც ჩავარდნილიყო. ასეთი დიდი ბრძოლითა და სათუთი მოვლით გამოუტარებიათ ჩვენი ენა საუკუნეების მანძილზე, საშინელ ქარცეცხლსა და გაჭირვებაში. ჩვენი მრავალტანჯული მშრომელი ხალხი ზეპირსიტყვაობით გადმოსცემდა ხოლმე თაობებს საოცარი სხარტულობითა და იუმორით მომხიბლავ ზღაპრებსა და გმირულ თქმულებებს, ჩვენი დიდი მწიგნობრები ღამეებს ტეხდნენ და მბეჟუტავი სანთლის მჭრქალ შუქზე სასოებით გამოჰყავდათ ლამაზი ქართული ანბანი, ქმნიდნენ უდიდეს ეროვნულ სიბრძნეს; ერთხელ გადაწერილს კიდევ ათასჯერ წერდნენ და მკაცრი საუკუნეების წყვდიადში, — როგორც ერთადერთ შვებასა და ნუგეშს, გაწამებული სულის მალამოსა და ვაჟკაცური სიმხნის წყაროს, რომელიც გაურკვეველი მომავლის გზას უნათებდათ, — თაობიდან თაობებს გადასცემდნენ ხოლმე ამ სანუკვარ ჩირაღდანს.

ჩვენ ახლა ყოველგვარი პირობა გვაქვს კიდევ უფრო დავხვეწოთ და განვავითაროთ წინაპრებისაგან ასე სასოებით გადმოცემული, მრავალჭირნახული დედაენა. ოდესღაც სახელმწიფო თუ სამწერლო საქმეებით დატვირთული, ცხოვრებით გაწამებული საბა ორბელიანი მარტოდმარტო ადგენდა ქართულ ლექსიკონს. ახლა კი მთელი ინსტიტუტი, რომელიც მრავალ გამოჩენილ მეცნიერს აერთიანებს, საგანგებოდ მუშაობს განმარტებითი ლექსიკონის შედგენა-გამოშვებაზე; ახლა მთავრობის საგანგებო დადგენილებით სისტემატურად გამოდის სხვადასხვა სახის ლექსიკონები და გრამატიკის სახელმძღვანელოები. მაგრამ ჩვენი მეცნიერებისა თუ მწერლების მთელი ეს დიდი მუშაობა მაინც ცალმხრივია. ასე რომ არ იყოს, ჩვენს ლიტერატურასა და ცოცხალ მეტყველებაში ფესვს ვერ გაიდგამდა ის არაქართული გამოთქმები, რის შესახებაც ამ წერილში გვქონდა საუბარი; მწერლობაში ფეხს ვერ მოიკიდებდნენ ის „საქმოსანი" ვაიმთარგმნელები, რომლებიც ასე რყვნიან ენას; ვერ იბოგინებდნენ ის უბადრუკი რეცენზენტები, რომლებიც თავგამოდე-

ბით აქებენ და ახალისებენ ამგვარ მწერლებსა და მთარგმნელებს. ჩვენი დიდი ნაკლი ამ საქმეში ის არის, რომ თითქმის სულაც არ ვიბრძვით ენის სიწმინდის დასაცავად, არ ვებრძვით ენის ბარბაროსულად დამმახინჯებლებსა და გამლატაკებლებს. საჭიროა ამაზე ერთობლივად იმსჯელონ და მოილაპარაკონ ჩვენმა ენათმეცნიერებმა, მწერლებმა, პედაგოგებმა. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა არ უნდა იყოს კამპანიური. ყოველი ცალკეული დამახინჯების წინააღმდეგ დროულად უნდა აღვიმაღლოთ ხმა. საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ მომავალი თაობის წინაშე.

ჩვენმა წინაპრებმა თვალისჩინივით მოვლილი გადმოგვცეს ჩვენი დედაენა. ჩვენც ასევე მზრუნველობით მოვლილი უნდა გადავცეთ ეს საშვილიშვილო საგანძური მომავალ თაობებს.

1958 წ.

## ჩავიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში

სასკოლო პროგრამებში გარკვევით არის აღნიშნული, თუ რა დიდი როლი ენიჭება დედაენასა და მხატვრულ ლიტერატურას „მოზარდის მეტყველებისა და აზროვნების განვითარებისათვის, მისი მორალური, ესთეტიკური აღზრდისა და მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის“...

ეს ციტატა დაწყებითი კლასების პროგრამების პირველივე გვერდიდან ამოვწერეთ. იქვე უფრო კონკრეტულად არის ჩამოთვლილი მთელი ის სიკეთე, რაც მხატვრული ლიტერატურის შესწავლას მოაქვს: ამ საგნის „სწავლების პროცესში ხორციელდება მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, მორალური და ესთეტიკური აღზრდა... ფართოვდება წარმოდგენები გარემომცველ სინამდვილეზე, ღვივდება შრომის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, ვითარდება დედაენის პატივისცემის გრძნობა და სხვა კეთილშობილური გრძნობები და თვისებები“...

როგორც ვხედავთ, აქ კარგად არის განსაზღვრული დედაენისა და მხატვრული ლიტერატურის როლი მოზარდი ადამიანის ფორმი-

რებისა და ჩამოყალიბების საქმეში. ჩვენ ველარაფერს დავსძენთ.

მაგრამ ერთი მხარეა მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა-ჩამოყალიბება და მეორე — მათი შესრულება, ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება.

ჩვენ დღეს სწორედ ამ კუთხითა ვსვამთ საკითხს.

იმ პირობებში, როცა ზუსტ მეცნიერებათა სულ უფრო და უფრო გაფართოებულმა პროგრამებმა თანდათან შეავიწროვეს ჰუმანიტარული საგნები, იმას მაინც თუ ვახერხებთ, რომ რაციონალურად გამოვიყენოთ ამ საგნებისათვის განკუთვნილი დრო? გონივრულად თუ ვაწვდით მასალას ბავშვს? ისე ხომ არ ხდება, რომ მნიშვნელოვანი საკითხები განზე გვრჩებოდეს და მათ მაგივრად წვრილმანსა და სასხვათაშორისოს მეტ ყურადღებას ვუთმობდეთ? ხომ არ ვივიწყებთ იმ მინიმალურ ამოცანას, რომ ბავშვს სწორი მეტყველების უნარი განვუვითაროთ, აზრის სადად და მკაფიოდ ჩამოყალიბებას შევაჩვიოთ, ლოგიკური აზროვნების ჩვევები ჩამოვუყალიბოთ?

თუ ვაყვარებთ ბავშვს მხატვრულ ლიტერატურას? კითხვის კულტურას თუ ვუნერგავთ? ადამიანურ წერას თუ ვაჩვევთ და ვასწავლით, არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების მართლწერის, არამედ ფრაზის სადად და ლოგიკური სისწორით, ლაკონიურად აგების თვალსაზრისით? ყოველნაირად ვუწყობთ თუ არა ხელს, რომ საშუალო სკოლადამთავრებული ადამიანი, — სულ ერთია, რა დარგსაც აირჩევს იგი შემდეგ ცხოვრებაში სამოღვაწეოდ, — განათლებული მოქალაქე იყოს, საშუალო ინტელიგენტი დადგეს?..

მშობლიური ლიტერატურის სწავლების შესახებ საუბრის დროს როცა აღნიშნავენ სერიოზულ ნაკლოვანებებს, იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ამაში გარკვეული წვლილი ცუდად შედგენილ სახელმძღვანელოებსაც მიუძღვით.

ჩვენში სახელმძღვანელოების შექმნისათვის თითქოს კარგი პირობებია. სახელმძღვანელოების შედგენას ემსახურებიან განათლების სამინისტროს სპეციალური განყოფილება, მეთოდკაბინეტები, რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამომცემლობა — „განათლება“, გამოცდილ ავტორთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელიც განათლების სამინისტროსა და გამომცემლობას ჰყავს შემოკრებილი. აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ საქმის დიდი ტრადიციაც. მხედველობაში გვაქვს არა მარტო იაკობ გოგებაშვილი შესანიშნავი სახელმძღვანელოები — მისი განთქმული „დედა-

ენა“ და „ბუნების კარი“, რომლებითაც ყველა განათლებული ერი იამაყებდა, არც მხოლოდ მისივე პედაგოგიურ-თეორიული წერილები, არამედ, აგრეთვე, მომდევნო თაობების პედაგოგთა და მწერალთა თეორიული წერილებიც და სასწაული წიგნებიც.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელმძღვანელოების შემდგენელ-გამომცემლებს საჭიროა აქვთ ყოველ მომდევნო გამოცემაში გაითვალისწინონ წინა გამოცემათა შეცდომები და უზუსტობანი, ანგარიში გაუწიონ საგნების პედაგოგთა კონკრეტულ შენიშვნებს, თავიდან აიცილონ ყოველგვარი შესაძლებელი გაუგებრობანი. ესეც მნიშვნელოვანია.

და კიდევ ერთი საკითხი. ეს უკვე ტექნიკური მხარეა. ჩვენი პოლიგრაფიის არასახარბიელო მდგომარეობის მიუხედავად, სახელმძღვანელოებს, როგორც იტყვიან ხოლმე, მწვანე ბუქი აქვს გახსნილი და რესპუბლიკის ყველა სტამბაში დაუბრკოლებლად იბეჭდება. ხშირად სხვა გამომცემლობის ბეჭდვადაწყებულ წიგნს გააჩერებენ ხოლმე და, სახელმძღვანელო რომ მოსადდება ჯასაბეჭდად, იმას დააწინაურებენ. თუ საჭირო გახდა, სხვა წიგნისათვის დაჭრილსა და სტამბაში შეტანილ ქაღალდს გამოიტანენ და სახელმძღვანელოს მიაშველებენ...

ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სახელმძღვანელოები დროულად და მაღალხარისხოვნად გამოვიდეს.

სამწუხაროდ, ეს კარგი პირობები სათანადოდ არაა გამოყენებული, სახელმძღვანელოები ხშირად ვერ უპასუხებენ ვერც პროგრამით გათვალისწინებულ ფართო ამოცანებს და ვერც იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. აშკარად იგრძნობა ზოგიერთი სახელმძღვანელოს შემდგენელთა და რედაქტორთა უყურადღებობა, გულგრილობა, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს ზოგიერთი შემდგენელი და რედაქტორი სათანადოდ ვერა გრძნობენ დაკისრებული მოვალეობის სერიოზულობას.

მეტ ყურადღებას მოითხოვს მასალის შერჩევაც, დალაგებაც, პროპორციულობის დაცვაც, იმ სავარჯიშოების და კითხვების მომზადებაც, რაც ამა თუ იმ მასალას ერთვის ხოლმე, მიწოდების თვალსაჩინოების გამარტივებაც... განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს შემდგენელთა ტექსტის სტილისტური დამუშავება, სახელმძღვანელოების გაწმენდა უხერხული, შეუწყნარებელი ენობ-

რივი შეცდომებისაგან, რაც, საოცარია, მაგრამ საკმაოდ ხშირად გვხვდება.

სასკოლო პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული: ბავშვი სწორ წერით და ზეპირ მეტყველებას უნდა შევაჩვიოთ, ლოგიკური მსჯელობის უნარი განვუვითაროთ. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ზოგი მასალა კი, პირიქით, ბავშვს უყალიბებს დაღვლარჭნილ სტილს, ფუყე და მაღალფარდოვან მეტყველებას, ტავტოლოგიას, სიტყვებისა და ცალკეული გამოთქმების უადგილო და მცდარ ხმარებას...

ზოგს იქნებ მომაკვდინებელ შეცდომად არ მოეჩვენოს ეს ყველაფერი. ჩვენი აზრით, ეს უფრო საშიშია, ვიდრე თვალშისაცემი კურიოზული შეცდომები, თუმცა სახელმძღვანელოები არც ასეთი შეცდომებისაგან არის დაზღვეული. უფრო საშიშია სწორედ იმიტომ, რომ თვალშისაცემი არ არის და ძალიან არა ყვირის, თვალი და ყური თანდათანობით ეჩვევა და ეგუება.

დავიწყოთ სწორედ ასეთი არა თვალშისაცემი უხერხულობით.

მეოთხე კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელო იწყება გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსით „ჰე, მამულო“ (ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა...) მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს ეს ლექსი, რომელიც პირველივე სიტყვიდან ბოლო სტრიქონამდე პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. რაღა თქმა უნდა, შემდგენელნი კარგად მოქცეულან, ეს ლექსი რომ შეუტანიათ სახელმძღვანელოში. ლექსს დართული აქვს კითხვები და სწორედ ამ კითხვებში გვეჩვენება ჩვენ უხერხულობა.

„რომელ სტრიქონებში ჩანს პატრიოტიზმი?“, უსვამენ კითხვას მეოთხე კლასელ მოსწავლეს და ბავშვს უსათუოდ გაუჭირდება ასეთი სტრიქონის შერჩევა, რადგან, ვიმეორებ, მთელი ლექსი პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. არც სასურველია, ერთი გრძნობით შეკრული ლექსიდან მოსწავლეს აძებნინო, რომელ სტრიქონში ჩანს პატრიოტიზმი. ამით ჩვენ იმ მიზანს კი არ ვემსახურებით, ბავშვს პოეზიის სასურველი აღქმა ვასწავლოთ; პირიქით, პოეზიის გაუბრალოება გამოდის, ბავშვს ხელს უშლის ჩაწვდეს პოეზიის სიღრმეს და სილამაზეს, პოეტური სამყაროს ზედაპირულ აღქმას აჩვევს.

უხერხულადაც და კურიოზულადაც მიმაჩნია, როცა „კაცია-ადა-

მიანის?!“ ბოლოში მეექვსე კლასელ ბავშვს ასეთ შეკითხვას ვუსვამთ:

„რა ზომებს მიმართეს ლუარსაბმა და დარეჯანმა, რომ შვილი შესძენოდათ?“...

როცა, მაგალითად, მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოში კითხულობ: „ვაჟა ერთი ენით როდი წერდა ლექსებსა და პოემებს, პროზასა და დრამებს. ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ქართულით წერდა: პროზას, კრიტიკულ წერილებს, ლექსების დიდ ნაწილს და პოემების ზოგიერთ თავს, ხოლო ფშაური დიალექტით წერდა პოემებს და ლექსების ნაწილს“ (IX კლასის სახელმძღვანელო), თვალებს არ გინდა დაუჯერო! თანაც, წიგნს სატიტულო გვერდზე მეთვრამეტე გამოცემა აწერია! ხედავთ, რამდენი თაობის ადამიანს ჩავუჭედეთ თავში შეუვალი კანონის ფორმით ჩამოყალიბებული უცნაური და უხერხული აზრი, რომ ვაჟა-ფშაველა ერთ პოემაში ზოგიერთ თავს ერთი ენითა წერდა, ხოლო დანარჩენს — მეორე ენით; რომ ზოგიერთ ლექსს ერთი ენითა წერდა, ზოგს — მეორეთი. თანაც, ისეთი კატეგორიული ტონით არის ეს ნათქვამი, რომ მკითხველს დაეჭვების უფლებასაც არ აძლევს.

იმის ნაცვლად, რომ ბავშვს საუბარი გავუმართოთ ვაჟას ენის მომხიბლავ და განუმეორებელ კოლორიტზე, რაც გაუხუნებელ ელვარებას და სინედლეს ანიჭებს მთელ მის შემოქმედებას, ჩვენ პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულს ძალიან გავუუბრალოეთ ყველაფერი, ძალიან საჩოთირო და საეჭვო ვულგარული ფორმულა მივაჩეჩეთ ხელში და თავიდანვე გადაუკეტეთ დიდი პოეტის შემოქმედების სამყარო. დავივიწყეთ თვითონ ვაჟას სიტყვები: „შემოტანა მრავლის ფორმებისა (იგულისხმება ენობრივი ფორმები, ენობრივი მრავალფეროვნება), თუკი სადმე მოგვეპოვება, კაი ნიშანი მგონია, ხოლო ფორმების გამოტანა და შემცირება — ერის გალახვად, შეურაცხყოფად, დამცირებად მიმაჩნია“.

ამავე წიგნში, მწერლის სხვა ნაწარმოებებთან ერთად, განხილულია ვაჟას ცნობილი მოთხრობა „მთანი მაღალნი“. სახელმძღვანელოს ავტორს ადგილები მოაქვს მოთხრობიდან და შემდეგ კითხვასა სვამს:

„ასე მხურვალედ რატომ მიმართავს ვაჟა მთებს? რა აიძულებს მათთან საუბარს? (?) რატომ სდუმან მთები? ეს კითხვები ბუნებრივად აღიძვრებიან ამ შესანიშნავი ნაწარმოების კითხვის დროს“.

სტატიის ავტორი თვითონ ახვევს ასეთ კითხვებს ლიტერატურის ახალგაზრდა მოყვარულებს, თორემ არა გვგონია, ამ მართლაც შესანიშნავმა პოეტურმა და ფილოსოფიურმა ნაწარმოებმა ასეთი კითხვები აღძრას.

მაგრამ დასმულ კითხვებს ხომ პასუხი უნდა და აი ეს პასუხიც:

„ვაჟამ კარგად იცის ბუნების ენა. მას სწამს, რომ რაღაც აწუხებთ მთებს, მაგრამ სდუმან, რაღაცას ფიქრობენ, მაგრამ არას ამბობენ, რაღაც იმედი აქვთ, მაგრამ ვერ გაუმჟღავნებიათ“.

ამ სიტყვებს უშუალოდ მოსდევს კითხვა:

„რატომ?“

ეს უკვე ბოლო კითხვაა, და მთელი ამ მსჯელობით ცოტა არ იყოს დაბნეული მოსწავლე მოუთმენლად ელის, მართლაც რა პასუხს გასცემს სახელმძღვანელო ასე მძაფრად დასმულ კითხვას.

და აჰა, პასუხიც:

„აი, ერთი წყევლა-კრულვიანი კითხვა, რომელიც განსაკუთრებით აწვალებდა არა მარტო ვაჟას, არამედ მთელ მის თაობასაც“.

რა თქმა უნდა, უხერხულია მაღალ პოეტურ ნაწარმოებზე ასეთი მსჯელობა, მაგრამ ამ უხერხულობას რატომღაც ვერა გრძნობენ ის ორგანიზაციები, ვისაც სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემა ევალებათ. ასე გადის დრო, და ამ ფრაზებს შეჩვეული მასწავლებელი კვლავ ჩასჩიჩინებს პოეზიით დაინტერესებულ ახალ თაობას, რვეულში ჩააწერინებს, გააზეპირებინებს, ნიშნის დაწერის დროს ზეპირად ათქმევინებს: ვაჟა-ფშაველა ლექსების დიდ ნაწილს და პოემების ზოგიერთ თავს ერთი ენით წერდა, ხოლო დანარჩენ ლექსებს და პოემების დანარჩენ თავებს — მეორეთიო.

მერე უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვისაც ერთხელ კიდევ წაიკითხავს ახალგაზრდა ადამიანი მთელ ამ მსჯელობას, მიმღებ კომისიას ზეპირად უპასუხებს, წერილობით დაწერს...

და მორჩა, მერე ამას ველარაფერი ამოშლის მისი გონებიდან...

თითქმის ყველა კლასის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ქართველ კლასიკოსთა საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფიები და ნიმუშები ამ მწერალთა შემოქმედებიდან, აგრეთვე შემოქმედების მოკლე მიმოხილვა. რამდენიმე გამონაკლისს გარდა, ეს წერილები დაბალ დონეზეა დაწერილი, მწერლის სახეს არ გვიცოცხლებს, მისი შემოქმედების ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელ ანალიზს ვერ გვაძ-

ლევს და თანაც მრავალ ენობრივ შეცდომასა და უხერხულობას შეიცავს.

უხერხულად მიგვაჩნია, როცა მეექვსე კლასელ ბავშვს ვასწავლით:

„ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შიო (არაგვისპირელი) დაუბრუნდა სამშობლოს და სიკვდილამდე ემსახურა თავის ხალხს როგორც მწერალი და როგორც ბეითალი“.

უხერხულია არა იმიტომ, თითქოს მწერლისა და ბეითალის ერთნაირი პატივისცემით ხსენება არ შეიძლებოდეს. პირიქით, ჩვენ ბავშვს ვასწავლით ყველა პროფესიის პატივისცემასა და სიყვარულს. მთავარია, რა ვითარებაში ხდება ეს, როგორ და რა ვითარებაში აწვდი ბავშვს ცნობას. როცა მკითხველს ეუბნები, ს ა მ შ ო ბ ლ ო ს დ ა უ ბ რ უ ნ დ ა და თავის ხ ა ლ ხ ს ს ი კ ვ დ ი ლ ა მ დ ე ე მ ს ა ხ უ რ ა ო, ამით მომდევნო სიტყვის მნიშვნელობა განუზომლად ამაღლდა და მკითხველი მას არა როგორც კონკრეტული პროფესიის გამომხატველ ცნებას, არამედ ილიას ცნობილი განსაზღვრის მიხედვით აღიქვამს: როგორც ერის წინამძღოლსა და მის მისწრაფებათა გამომხატველს... მეორე პროფესია კი, რაკილა იგი იმ წინა სიტყვებს ვერ დაუკავშირდა, რა, თქმა უნდა, ვერც ამალლდა და მათ შორის ისეთი უფსკრული გაჩნდა, რამაც უსიამოვნო კომიკური ეფექტი მიიღო; იქნებ გონებაში მკაფიოდ არ ჩამოუყალიბდა ეს, მაგრამ მკითხველმა ქვეცნობიერად ერთმანეთს დაუპირისპირა მთელი ერის სულიერი წინამძღოლი და რომელიმე პატარა სოფლის საქონლის ექიმი. ამით ჩვენ, ერთგვარად, ის დიდი აზრიც შევბღალეთ და, სხვათა შორის, ბეითლის პროფესიაც დავამცირეთ.

რამდენიმე სახელმძღვანელოში ვხვდებით ილიას ბიოგრაფიას და შემდგენლები ყველგან ცდილობენ მწერლის ცხოვრებაში როგორმე ბავშვობის წლები წაშალონ, ბავშვური თვისებები წაართვან. დაუჯინიათ — ილია არამცდაარამც ცელქი არ იყო, თამაშობასაც ვერ გააგონებდი, ერთთავად იჯდა და მეცადინეობდაო.

„არ იყო ცელქი, მეცადინეობასა და წიგნის კითხვას დიდ დროს ანდომებდა“ (მე-6 კლ).

მე-9 კლასის სახელმძღვანელოში ცოტა უფრო რბილად არის ნათქვამი:

„ცელქობა და თამაში აგრერიგად არ უყვარდა“.

კითხულობ და გიკვირს — პატარა ბავშვს რომ თამაში და ცელქობა არ უყვარდეს, ეს დიდად სამაგალითო და მოსაწონია?!.

შემდგენელები ეყრდნობიან მოხუცი გამდელის ნაამბობს, რომელიც მართლაც ასე გადმოგვცემს. მაგრამ როცა ბავშვებს სახელმძღვანელოში მასალას ვაწვდით, მეტი სიფრთხილეა საჭირო. საერთოდ, ყოველგვარ ზეპირ გადმოცემას ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. გამდელის მოგონების ეს ნაწილი გასაგები და ბუნებრივია — მას უნდოდა ბავშვობაშიაც „ღირსეულად" დაეხატა ქვეყნის სასიქადულო შვილი, თავისი საამაყო გაზრდილი და ღრმად მოხუცმა ქალმა თქვა, თამაშისთვისაც კი დროს არა ჰკარგავდაო. ასეთ ზეპირ გადმოცემებს მუდამ სიფრთხილით ეკიდებიან ხოლმე.

მადლობა ღმერთს, ჩვენ ილიასავე მოგონება მოგვეპოვება, რაც სწორ წარმოდგენას გვაძლევს დიდი მწერლის ბავშვობის წლებზე:

„წერა-კითხვას, — ვკითხულობთ ამ მოგონებაში, — როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს ვანდომებდით ხოლმე, დანარჩენი დრო შუადღემდე იმაში გადიოდა, რომ ვ თ ა მ ა შ ო ბ დ ი თ თვით მთავრის ხელმძღვანელობით და უმთავრესად და უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს".

ამის შემდეგ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ბავშვებს დაჟინებით ვაზეპირებინოთ, ილიას თამაში აგრერიგად არ უყვარდაო.

მაგრამ კურიოზი და დაუდევრობა-გულგრილობის კიდევ ერთი ნიშანი ის არის, რომ იმავე მეცხრე კლასის სახელმძღვანელოში, სადაც ჯერ ის ვასწავლეთ ბავშვს, ილიას ცელქობა და თამაში აგრერიგად არ უყვარდაო, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ვკითხულობთ ზემოთმოტანილ სიტყვებს ილიას მოგონებიდან! და ახლა კი ალბათ შვებით ამოისუნთქავენ ბავშვები (თუმცა, რაღა თქმა უნდა, შენიშნავენ ამ უხერხულობას): მათ იციან, რომ უნდა მიჰბაძონ საყვარელ მწერალს, და როცა უთხრეს, ილიას ბავშვობაში თამაში არ უყვარდაო, შეწუხებულები და დაბნეულები იყვნენ, რადგან თვითონ უყვართ თამაში. რაკი საქმე ასე კეთილად დამთავრდა, იმას ნუღარ გამოვედევნებით, რომ ეს ორი საწინააღმდეგო აზრი ასევე უკომენტაროდ და უგანმარტებოდ ერთ წიგნში, ერთ გვერდზეა მოცემული. ხოლო ეს წიგნი, როგორც ითქვა, უკვე მეთვრამეტედ გამოიცა.

ბავშვი უსათუოდ შენიშნავს ამ უხერხულობას და ამის შემდეგ

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დაეჰვებასთან ერთად თვითონაც დაუდევრობის ჭია გაუჩნდეს.

სახელმძღვანელოს შემდგენლები გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ „ილიას მეტად უყვარდა თავისი სოფელი და იქაური მთები და მდინარეები“. სხვათა შორის, ამავე წიგნში (მე-6 კლ.) მოცემულია აკაკის ბიოგრაფია, სადაც ვგებულობთ, რომ თურმე აკაკისაც „ძლიერ უყვარდა“ თავისი სამშობლო მხარე. ხოლო ვაჟა-ფშაველაზე, შიო არაგვისპირელზე, და სხვა მწერლებზე არაფერია ნათქვამი, გაურკვეველი რჩება, მათაც უყვარდათ თუ არა სამშობლო.

დაბნეული მოსწავლე რომ შეეკითხოს მასწავლებელს, „სამშობლო ხევსურისას“ ავტორს ან „ელგუჯას“ ავტორს თუ უყვარდათ სამშობლოო, იმის იმედი კი გვაქვს, რომ დადებითად უპასუხებს მასწავლებელი, მაგრამ იმ უხერხულობას რაღა ვუყოთ, როცა ზოგიერთ მწერალთან ხაზგასმულია ეს მაღალი პატრიოტული გრძნობა, სხვებზე კი არაფერია ნათქვამი?!

უხერხულობა თავიდან იქნებოდა აცილებული, იმ ორი მწერლის ბიოგრაფიაშიც რომ არ იყოს ეს შენიშვნა. ანკი რა აღნიშვნა და ხაზგასმა სჭირდება ამას? რა განსაკუთრებული თვისებაა მწერლისა, რომ სამშობლო და მშობელი დედა უყვარდეს?! ყველა ღირსეულ მოქალაქეს უყვარს სამშობლო, ეს გრძნობა თავისთავად იგულისხმება. და თუ ამას იმავე გრძნობასთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა ან ეპიზოდი არ მოჰყვება, მისი აღნიშვნა უხერხულიც არის. რომ არ უყვარდეს თავისი დედა, აი ეს შეიძლება დაიწეროს. ასეთი ფაქტებიც ვიცით. ბაირონსა და დედამისს არა ჰქონიათ დიდი ურთიერთ სიყვარული და იმიტომაც ვიცით ეს ფაქტი. მით უმეტეს, უხერხულად ჟღერს ასეთი ცნობები ანკეტურად შედგენილ მოკლე ბიოგრაფიებში:

„დაიბადა ამა და ამ წელს, დაწყებითი სკოლა დაამთავრა ამა და ამ წელს. მერე შევიდა ამა და ამ უმაღლეს სასწავლებელში. უყვარდა სამშობლო. უყვარდა დედ-მამა, მწერლობა დაიწყო ამა და ამ წელს და ა. შ.“.

ხომ ნამდვილად უხერხული გამოდის?!

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია — დედ-მამა უყვარდაო: ილიას ეს პრივილეგიაც აქვს — მშობლებიც ჰყვარებია. იმავე მე-6 კლასის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ილიას მეტისმეტად

უყვარდა მშობლები და და-ძმა“ (სხვა მწერალთა ბიოგრაფიებში ამ საკითხზეც დუმილია).

ზემოთ ენობრივ შეცდომებზე გვქონდა ლაპარაკი. სახელმძღვანელოებში ამ საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ბავშვები თითქმის იზეპირებენ სახელმძღვანელოებში ფორმულებივით ჩამოყალიბებულ დასკვნებს და მერე სამუდამოდ ამახსოვრდებათ. თუ შეცდომით შევასწავლეთ, იმისი გასწორება შემდეგ ძალიან ძნელი ხდება. ასევე ადვილად ითვისებენ სხვა ენობრივ შეცდომებზე არა ნაკლებ მავნე და საშიშ დაღვლარუნილ და მაღალფარდოვან სტილს, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებსა და ფრაზებს, გულისამრევ მეტყველებას.

შორს რომ არ წავიდეთ, ზემოთ მოტანილ ციტატებში დააკვირდით ორ ფრაზას: „ილიას მეტად უყვარდა თავისი სოფელი“... და „მეტისმეტად უყვარდა მშობლები და და-ძმა“.

თუ როგორ გაჩნდა ბოლო ფრაზაში ყოვლად შეუფერებელი და აქ გამოუსადეგარი სიტყვა „მეტისმეტად“, ამის მიხვედრა ადვილია: პირველ ფრაზაში აკი წერია, თავისი სოფელი მ ე ტ ა დ უყვარდაო. და აი, ტავტოლოგია რომ არ გამოსვლოდათ, მშობლები მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ შეაყვარეს. რა მოხდა მერეო, იფიქრეს ალბათ, სამშობლოზე უფრო მშობლები რომ უყვარდეს ადამიანს, რა დიდი ცოდვააო, მოკლე ბიოგრაფიაში ერთნაირი ვითარების გამოსახატად სიტყვის განმეორება უფრო უხერხული იქნებაო, და აჰა: სამშობლო მეტად შეაყვარეს, მშობლები კი — მეტისმეტად. ანგარიში აღარ გაუწიეს იმას, რომ ამ ფრაზის მიხედვით, ილიას იმაზე მეტად ჰყვარებია მშობლები, ვიდრე ეს საერთოდ საჭიროა, ან ვიდრე მშობლები ამას იმსახურებენ, ან რა ვიცი, რას არ იფიქრებს კაცი...

იქნებ ვინმემ გაიკვირვოს, სერიოზულ თემაზე საუბრის დროს ამნაირი წვრილმანების გამოდევნება განა ღირსო? საქმეც ის არის, რომ წვრილმანი ჰგონიათ! იმიტომაც წლიდან წლამდე ასევე ბეჭდავენ, არ ასწორებენ. ბავშვები შეცდომით აღიქვამენ სიტყვის შინაარსს, მათაც წვრილმანად ეჩვენებათ ეს, თანდათანობით გულგრილობას იჩენენ სწორი მეტყველების მიმართ, მერე და მერე აგდებულად ეპყრობიან ენას, და იმიტომაც გახშირდა ხალხი, ვინც სწორ წერასა და ზეპირ მეტყველებასთან მწყრალად არის. ანუ ისეთი ხალხი, ვინც განათლებულ ადამიანებად, საშუალო ინტელიგენტებად ვერ ჩაითვლებიან. ამდენად, ეს წვრილმანი არ არის, ეს პირ-

ველხარისხოვანი საკითხია. და თვითონ მწერლობის გაცნობასთან ერთად, მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ეს არის — ადამიანს სწორი და სადა მეტყველება შეასწავლოს.

მესამე კლასის სახელმძღვანელოში შეტანილია მასალა, რომელიც გვაცნობს ეპიზოდს სამოქალაქო ომის გმირის ვასილ კიკვიძის ცხოვრებიდან. თემატურად, რა თქმა უნდა, საჭირო მასალაა. ბავშვებს უყვართ სამოქალაქო ომის გმირები და ეს მასალაც მათ პატრიოტულ-რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება. მით უფრო დასანანია, რომ მოთხრობა სტილისტურად დაუხვეწავია. საოცარია, რას ფიქრობენ წიგნის შემდგენელ-გამომცემლები, რომ უკვე მერამდენე გამოცემაში ასეთ ფრაზებს გაუსწორებლად ტოვებენ:

„მას სურდა ფრონტის სარდალი ისე მოეკლა, რომ თვითონ ი ო ლ ა დ დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი ყ ო“.

ცხრა წლის ბავშვს რომ ასეთ კონტექსტში დაასწავლი ამ სიტყვას, მერე როგორღა უნდა მოთხოვო სწორი წერა და მეტყველება?!

„კიკვიძე წ უ თ ი თ ეჭვებმა შეიპყრო. იგი წ ა მ ი თ არ აცილებდა თვალს წყლის სარკეში მის უკან მომავალ სამხედრო სპეცს“.

აქ გრამატიკულად თითქოს ყველაფერი სწორია. მაგრამ სტილისტურად?! ამას განა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ბავშვის სწორი მეტყველების ჩამოყალიბებისათვის? სწორედ ამაზე ვამბობდით, იქნებ თვალშისაცემი კურიოზი არ იყოს, მაგრამ მაინც შეცდომაა და უნდა გასწორდესო.

იმავე სახელმძღვანელოში ერთგან ვკითხულობთ:

„განსაკუთრებით აღშფოთებული იყო საქართველოს ძლიერებით თურქებით დასახლებული რუმის სასულთნოს მბრძანებელი რუკნადინი“.

დიდი დაკვირვება საჭირო არ არის იმის მისახვედრად, რომ აქ „აღშფოთებულის“ ნაცვლად „შეშფოთებული“ უნდა ეწეროს. სიტყვა სწორად არ არის შერჩეული. ასეთი შეუსაბამობა რომ ხშირად არა გვხვდებოდეს სახელმძღვანელოებში, იფიქრებდი კორექტურული შეცდომააო. მაგრამ არა. ეს სისტემასავით არის. აღარას ვამბობთ, იმაზე, თუ საერთოდ როგორ არის აგებული წინადადება. ან მიჯრით მიწყობილი სიტყვები — „ძლიერებით თურქებით“ როგორა

ჟღერს. ესეც რომ მოვითხოვოთ, დიდ ფუფუნებად არ ჩაგვითვალონ.

ანდა იმავე მოთხრობიდან მეორე ფრაზა:

„მამიკო საყვარელო! მე ვიცოდი, რომ მიპოვიდი, სულერთია მიპოვიდი!“

მაშინვე იგრძნობა, რომ თარგმანია, რუსულიდან პირდაპირ გადმოტანილი. „სულერთია მიპოვიდი“ ხომ რუსული ფრაზაა, და იმის ნაცვლად, რომ ეთარგმნათ, ვთქვათ, უსათუოდ მიპოვიდიო, სხვა ენის გამოთქმა პირდაპირ გადმოიღეს.

აი, საიდან ჩნდება ჩვენს ზეპირ და წერით მეტყველებაში ის ე. წ. „კალკები“, რომელთა ამოძირკვა მერე თითქმის შეუძლებელია. და რა ადვილია მისი აცილება, თუ ცოტას მაინც შევიწუხებთ თავს და ასეთ აშკარა უხერხულობას დროზე გავასწორებთ.

საერთოდ ძალიან სუსტია ამავე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა „კოსმოსის დამპყრობნი“. ამ თემას უსათუოდ უკეთესი მასალა ეკუთვნის, და თუ ავტორებმა თვითონ არ შესთავაზეს ასეთი მასალა, სახელმძღვანელოს შემდგენლებს შეეძლოთ საგანგებოდ დაეკვეთათ... მაგრამ ამჟამად ისევ ენობრივ უხერხულობაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

თემატურად საჭირო და საინტერესოა ამავე კლასის სახელმძღვანელოში მოთხრობა „დედა“. აქაც ენობრივი თვალსაზრისით ვამახვილებთ ყურადღებას, როგორც ტიპიურ შემთხვევას, როცა სიტყვა თავის ადგილზე მარჯვედ არა ზის წინადადებაში, კონტექსტს არ ეგუება, არაფერს მიგვანიშნებს, არაფერს გვეუბნება, სიტყვათა ანსამბლიდან ამოვარდნილია, როგორც კი წაიკითხავ, კუტი პურებივით ცვივა; არა მარტო თავად აქვთ დაკარგული ფუნქცია, არამედ დანარჩენ სიტყვებსაც უშლიან ხელს, ჰარმონიას არღვევენ. ხოლო სმენისათვის ენის მუსიკის დარღვევა უფრო საგრძნობი და უსიამოვნოა, ვიდრე მუსიკალური ბგერების დარღვევა, რადგან ენის მუსიკას სიტყვის შინაარსობლივი დატვირთვაცა ჰქმნის.

ამ მოთხრობაში ასეთი სურათია აღწერილი. დედა მატარებელში ზის და ფრონტზე დაჭრილი შვილის სანახავად მიემგზავრება. თვალს ძილი არ ეკარება, აფორიაქებულია, ვერ მოუსვენია, თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებს. სურათი მეტად დრამატულია, მაგრამ მის ამგვარადვე აღქმას ხელს უშლის ზემოთ ნახსენები ენობრივი უხერხულობა, ის „კუტი პურები“, რომლებიც კონტექსტში

შეუთავსებლობის გამო არა თუ წაკითხვისთანავე უსარგებლოდ ცვივიან, არამედ სურათის აღქმას გვიუგემურებენ.

მოთხრობის პირველივე წინადადება უხერხულია: „მატარებლის ბორბლების მოძრაობას ვაგონში მყოფთა წუნარი სუნთქვა უერთდებოდა“. მხატვრულად უვარგისია ეს წინადადება. იმ კამერტონად არ გამოდგება, რომელმაც სმენა ამ მოთხრობის მოსასმენად უნდა მოგვიმართოს, რომელმაც თავიდანვე უნდა შეგვიქმნას სათანადო განწყობილება. ამას გარდა, „მოძრაობა“ განყენებული ცნებაა და მას ბგერები ვერ შეერწყმის. ბორბლების გრიალს შეიძლება შეუერთდეს. მაგრამ მხატვრულად მაინც უვარგისი გამოვა, თუკი რაიმე მიზეზით, განგებ არ დასჭირდება ავტორს ასეთი შეუსაბამობის ხაზგასმა. მაგრამ მაშინ სათანადო შემზადებაც იქნება საჭირო.

დედას არ ასვენებს ფიქრი — ცოცხალს მივუსწრებ თუ არა შვილსო. „მივუსწრებ? — ხმამაღლა წამოიძახა დედამ... ღმერთო ჩემო, რად ა ე კ ვ ი ა ტ ა ეს სიტყვა“.

ამ კონტექსტში „აეკვიატა“ არ ამბობს იმას, რისი თქმაც ავტორს სურდა. „აეკვიატა“ დედის მღელვარების გამოსახატად არ გამოდგება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინადადებაში მოქცეულ სიტყვას ზუსტად ლექსიკონური მნიშვნელობა კი არ შერჩება — კონტექსტი და აზრის განწყობილება თავის ელფერსა და ნიუანსს აძლევს ხოლმე. ენის მუსიკაც ამით იქმნება.

მაგრამ მოთხრობის განვითარებას გავყვეთ. დედას კიდევ გაუელვებს თავში, მივუსწრებ თუ ვერაო? და ამას მოსდევს ავტორის სიტყვები, რაც დედის ქვეცნობიერ ფიქრს გამოხატავს: „ნუთუ ვერ მოიშორებს თავიდან ამ უცნაურ სიტყვას?“

აქ ეს სიტყვა — „უცნაური“ — მართლაც კუტი პურივით არის, სიტყვათა ქსოვილში ვერ ჯდება, კონტექსტიდან ამოვარდნილია, დედის გრძნობებსაც ბღალავს. გაუგებარი რჩება, მაინც რატომ არის ეს სიტყვა უცნაური?

ასე არ გავამახვილებდი ამაზე ყურადღებას, ერთეული შემთხვევა რომ იყოს და ძალიან დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდეს ბავშვის სწორი აზროვნების, გამართული მეტყველების ჩამოყალიბებისათვის. კაცი, რომელიც სწორად ვერ მეტყველებს, კონტექსტისა და სიტუაციისათვის მარჯვე სიტყვას ვერ შეარჩევს, განათლებული კაცი არ არის. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ გამოთქმას. მეტყველებისა და აზრის ჩამოყალიბების დროს მარჯვე სიტყვის ანუ კონტექსტისა

თუ განწყობილებისათვის სწორედ შესაფერი სიტყვის შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველი ნიშანი ადამიანის გაუნათლებლობისა სწორედ ის არის, როცა ამის უნარი არ შესწევს. და როცა ჩვენ სასკოლო პროგრამებში ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდაზე ვლაპარაკობთ, განათლებული ადამიანის ეს ელემენტარული თვისებები აქ თავისთავად იგულისხმება.

აი, ასეთი ძალიან მარტივი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ საერთოდ წიგნებს და განსაკუთრებით სახელმძღვანელოებს. კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე ერთ თავის გამოსვლაში გულისტკივილით შენიშნავდა, ისმენ ცალკეული ადამიანების გამოსვლას ტელევიზიით და გული გწყდება, რომ სწორად და გამართულად ვერ მეტყველებენო. მიზეზი სათავეში უნდა ვეძებოთ — სკოლაში, სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ილიას ბიოგრაფიული ნარკვევიდან ვგებულობთ, რომ პოეტს დედა ადრე გარდაეცვალა და მამამ თავის დასა სთხოვა შვილების აღზრდაში დახმარებოდა.

„გ უ ლ კ ე თ ი ლ მ ა მამიდამ მიიღო ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძმის გამოწვევა“, ვკითხულობთ სახელმძღვანელოში (მე-9 კლ.).

ყველა შენიშნავდა, რომ სიტყვა „გ ა მ ო წ ვ ე ვ ა“ აქ არ არის შესაფერი და არ გამოხატავს იმ აზრს, რასაც ნარკვევის ავტორი გულისხმობს. იქნებ ვინმემ თქვას, ენობრივი ლაფსუსია, „გამოწვევის“ ნაცვლად „მოწვევა“ უნდა ეწეროსო. „გამოწვევას“ მართლაც აჯობებს „მოწვევა“, მაგრამ მარჯვე სიტყვა ანუ კონტექსტისათვის შესაფერი სიტყვა არც ეს იქნება. შეგვიძლია ვთქვათ (ამ კონტექსტში, რაღა თქმა უნდა), ძმამ თავის დასა ს თ ხ ო ვ ა და მოიყვანა, დ ა ა ვ ა ლ ა, შ ე ე მ უ დ ა რ ა, ან არა და, პირდაპირ, მ ო ი ყ ვ ა ნ ა, წამოიყვანა... „მოიწვიაო“ კი არასდიდებით!

მაგრამ ამ შეცდომაზე უფრო დიდი ცოდვა, ჩვენი აზრით, ის ორი ხაზგასმული სიტყვაა — „გულკეთილი“ და „საყვარელი“, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი არ გვეპარება, ილიას მამიდა გულკეთილიც იყო და ძმის დიდად მოსიყვარულეც. სხვა ტექსტში, სხვა პირობებში არც ამ დახასიათებას მოვერიდებით, მაგრამ აქ აშკარად უადგილოა ეს ეპითეტები, შინაარსს არ უხდება. ბოლოს და ბოლოს, ის მარტივი ცნობა უნდა გადმოვცეთ, რომ მამიდა დათანხმდა და ძმის ოჯახში დაბრუნდა. თუ ეს მოქმედება მართლაც ასეთი დიდი

სიკეთეა და განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს, ასევე ვთქვათ — დიდი სიკეთე გამოიჩინა და დათანხმდაო. სულერთია, უადგილო ეპითეტებმა მაინც არ მოახდინა ის შთაბეჭდილება, რაც ავტორს ჰქონდა ნაგულისხმევი. პირიქით, დახვეწილი გემოვნების მკითხველს იქნებ საწინააღმდეგო რეაქციაც აღუძრას.

საერთოდ, მივეჩვიეთ ეპითეტების გამოყენებას იქ, სადაც არც შინაარსის თვალსაზრისით, არც ენის მუსიკის თვალსაზრისით ეს საჭირო არ არის და, პირიქით, ხელსაც უშლის ნაგულისხმევი აზრის მკითხველთან მიტანას. ასეთი მოჭარბებული ეპითეტები და მაღალფარდოვნება, ფრაზის და სათქმელის ასეთი „დაშაქრა“ და „გატკბილება“ სულაც არ არის დამახასიათებელი ქართული მეტყველებისათვის. ეს სიტყვები რაკი მარჯვედ და ბუნებრივად არ სხედან თავის ადგილას, სულერთია, იმ ეფექტს მაინც არ ახდენენ, რისთვისაც ასეთი ზარ-ზეიმით მოუხმიათ. ასეთი მაღალფარდოვანი, დათაფლული სტილი აშკარა ენობრივ შეცდომებზე ნაკლები უბედურება როდია. ბავშვები თავიდანვე უნდა მივაჩვიოთ სადა, ბუნებრივ ლაპარაკს. ჩვენ კი ზოგიერთი სახელმძღვანელოს წყალობით პირიქით გამოგვდის, თავიდანვე ბრტყელ-ბრტყელ, გაფუყულ მეტყველებას ვაჩვევთ.

აბა, ისევ დავუბრუნდეთ იმ წინადადებას, ის ორი პირველი ხაზგასმული სიტყვა მოვაცილოთ, მესამის ნაცვლად აზრის მარჯვედ გამომხატველი სიტყვა ჩავსვათ, თუ უფრო მეტი ემოციური ზემოქმედების ძალა არ მიეცეს აზრს!

ზემოთ მოტანილ ფრაზას წინ უძღვის წინადადება: დედის გარდაცვალებამ „უდიდესი მწუხარება დაატეხა თავს მომავალ პოეტს და ღრმად შეარხია მისი ნორჩი, ფრიად მგრძნობიარე გული“ (მე-9 კლ.)

ხედავთ, როგორ თავგამოდებით ცდილობს ავტორი როგორმე გული აუჩუყოს ბავშვს! აღწევს თუ არა მიზანს, ამისი თქმა გამიძნელდება. მაგრამ იმისი თქმა კი აშკარად შეიძლება, რომ ამითი გემოვნებას ურყვნის, ფუყე და დაღვლარჭნილ მეტყველებას აჩვევს.

ბევრს, ბევრს შეხვდებით ასეთ ფუჭსიტყვაობას. თუნდაც ასეთი მაგალითი:

„მთელი არსებით და დაუშრეტელი ენერგიით შეუდგა მეცნიერების დაუფლებისა და ფართო თვითგანვითარებისათვის დაუღალავ მეცადინეობას (მე-9 კლ.).

ხედავთ, რა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების კორიანტელი დგას, იმის ნაცვლად, რომ ადამიანურად ითქვას, ილია გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობასო! ან არადა, თუ უსათუოდ საჭიროა ეფექტის გაძლიერება (თუმც ეჭვი გვეპარება, საჭირო იყოს), უფრო უბრალოდ შევნიშნოთ — დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა ან თავაუღებლივ მეცადინეობდაო. ეფექტიც ხომ გაცილებით უკეთესი იქნება!

თან, არ დაგავიწყდეთ, იმ მაღალფარდოვან ფრაზებს წინ თავისი შესაფერი „საფანელი“ აქვს. ცოტათი ზემოთ ვკითხულობთ: „რუსეთს მიმავალი ჰაბუკი მთელი არსებით (ისევ მთელი არსებით!) ეტრფიალებოდა საყვარელ სამშობლოს, მასთან დაშორების გამო გული მწუხარებით ევსებოდა... ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ილია ჩავიდა პეტერბურგს და გატაცებით შეუდგა უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებისათვის მზადებას“. ჩაირიცხა ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში და „საჭირო ფულადი სახსრების უქონლობის გამო ღარიბად ცხოვრობდა“. და ცოტა ქვემოთ: „მიუხედავად ასეთი მატერიალური მდგომარეობისა, ილია ჰაეჰაეძე გატაცებით დაეწაფა სწავლას“... და იქვე ახლოს: „მას საუცხოოდ ჰქონდა შეგნებული სამშობლოსა და ხალხის წინაშე თავისი მოვალეობა. იშვიათი გმირობით იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას“. და კიდევ: ღირსეულად ზრდიდა „ჰაბუკურ სულს“ მამულის თავდადებული სამსახურისათვის. ასეთი მისწრაფებებით აღტაცებული (ამჟამად უკვე გატაცებული კი არა — აღტაცებული, რათა ტავტოლოგია არ გამოვიღეს!) ძალიან ბევრს კითხულობდა“...

მაგრამ კმარა, აღარ იცი, როგორ დაარწმუნო ან ავტორი ამ სტრიქონებისა ან გამომცემელი, რომ „ეტრფიალებოდაც“, „დაუშრეტელი ენერგიაც“, „მისწრაფებებით აღტაცებულიც“, „გატაცებითაც“, „ფულადი სახსრებიც“ და „მატერიალური მდგომარეობაც“ თავის ადგილზე გაგიხარიათ კარგი სიტყვებია, მაგრამ აქ, ამ კონტექსტში ფუნქცია დაკარგული აქვთ და ფუჭსიტყვაობად გვევლინებიან. თავისთავად ლამაზი სიტყვა არ არსებობს. ყველა კარგად მიგნებული, ესე იგი, წინადადებაში თავის ადგილზე ჩასმული სიტყვა ლამაზია. ან იმაში როგორ დავარწმუნოთ ავტორი, რომ ყურმა შეჩვევა იცის და სასურველი სულაც არ არის ბრტყელ-

ბრტყელი სიტყვებით მოლაპარაკე თამადების რიცხვი გავზარდოთ.

„სიცოცხლითა და სიმშვენიერით სავსე მწყემსი ქალი განდეგილში იწვევს მიძინებული გრძნობების გამოცოცხლებას“.

ვკითხულობთ მეცხრე კლასის სახელმძღვანელოში. ნუთუ არ შეიძლებოდა ამ აზრის უბრალოდ გამოთქმა?! თავი დავანებოთ ამ წინადადების მაღალფარდოვანობას, ცოტათი მაინც დაეხვეწათ. ვთქვათ ასე: რაკი „სიმშვენიერით სავსე“ უხერხულია, „სიმშვენიერე“ წინ მაინც გადაეტანათ და დაეწერათ, სიმშვენიერით და სიცოცხლით სავსეო. არც ასე ვარგა, მაგრამ თუკი ვერ ელევიან ამ ორ სიტყვას, ისევ ასე სჯობს. იმას მაინც იფიქრებს კაცი, ცოტათი თავი შეუწუხებიათო. თანაც „სიცოცხლე“ და „გამოცოცხლება“ ერთ პატარა წინადადებაში რა სტილია, რა ქართულია?! ძნელია ამის გასწორება და დახვეწა?! ამ წიგნსაც მეთვრამეტე გამოცემა აწერია.

ანდა:

„მისი პიროვნება (ვაჟას მამისა) დამსახურებულ პატივისცემას და აღტაცებას იწვევდა შვილებში“.

გაანალიზებაც კი უხერხულია, იმდენად უვარგისია ეს წინადადება. ან „დამსახურებული“ რას ნიშნავს ამ კონტექსტში, როცა ის უბრალო აზრი გვინდა გადმოვცეთ, რომ შვილები მამას პატივსა სცემენ, (ან — მამა ეამაყებათ შვილებს), ან „შვილებში იწვევდაო“ რა ქართულია, ან აღტაცებას რომ იწვევს, ეს როგორ გავიგოთ?! იქვე:

„ცნობისმოყვარეობამ და მტკიცე ნებისყოფამ მას (ვაჟას) საშუალება მისცა საკმაო განათლება მიეღო“.

არა მგონია კომენტარებს საჭიროებდეს ეს მაგალითები. არც ენობრივად, არც აზრობრივად, არც სტილის თვალსაზრისით არ შეიძლება ასეთი მასალა მივაწოდოთ მოსწავლეს. ბავშვები ამას სწავლობენ, იზეპირებენ, ამახსოვრდებათ... და რაღა გასაკვირია, რომ მერე თვითონვე ასეთი მეტყველება დაიწყონ.

თითქოს საგანგებოდ გადაგვიწყვეტია თავიდანვე გადავაჩვიოთ ბავშვი ბუნებრივ მეტყველებას და მაღალფარდოვანი სტილით აღვჭურვოთ.

არცთუ ისე დიდი ხნის ამბავია. ჩემს მეზობლად ერთი პატარა ოჯახი ცხოვრობდა. ცოლიცა და ქმარიც ძალიან სიმპათიური ადამიანები იყვნენ, გულისხმიერები, კეთილნი, მორალურად სპეტაკნი,

კარგი სპეციალისტები და თავისი ქვეყნისა და საქმის ერთგულნი. ორივეს დისერტაცია ჰქონდა დაცული. ქმარი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იყო, ცოლი იმხანად — იმავე მეცნიერების კანდიდატი. მერე მგონი ისიც დოქტორი გახდა. ჰყავდათ ერთადერთი შვილი, კარგი გოგონა, მაგრამ ძალიან თავნება და ჭირვეული. და ამ ნიადაგზე განუწყვეტელი დავა ჰქონდათ, განსაკუთრებით დედა-შვილს. მთელი ამბავი იყო ამ ბავშვის საუზმე. დედა აივანზე გამოიყვანდა და, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „სუფთა ჰაერზე“ ასაუზმებდა, მადა უფრო გაეხსნებაო. მაგრამ მტრისას იმ ბავშვის მადა! ცივი ხმით გაჰკიოდა — „არ მინდა, არ მინდა!“ მთელ ეზოში ისმოდა მისი წივილი. და ისმოდა აგრეთვე დედის კატეგორიული შეგონება. სწორედ ამან გამახსენა ჩემი ძველი მეზობლები. „ამოაგდე შენი ლექსიკონიდან სიტყვა „არ მინდა!“. ყოველ საუზმე-სადილზე ათჯერ მაინც გაუმეორებდა ამ ფრაზას კატეგორიული ტონით, და იქვე დასძენდა: „ყოველგვარი ჭირვეულობის გარეშე უნდა გაათავო ეს“ (ხან გოგლიმოგლზე ეტყოდა ამას, ხან ფაფაზე... ეს არ არის მთავარი).

ახლაც ყურში მიწივის იმ ქალის სიტყვები. მაშინ მეცინებოდა. ახლა რომ ვიგონებ, მაინტერესებს: სად შეიძინა ზემოიმერეთიდან არცთუ ისე დიდი ხნის ჩამოსულმა ქალმა ასეთი მეტყველება. თავის. სოფელში ხომ ბავშვობიდანვე სანატრელი, დახვეწილი ქართული. მეტყველება ესმოდა! მაშ, რა მოხდა? სად „გაკულტურულდა“ ასე?

ალბათ სკოლაში. ასეთი სახელმძღვანელოების წყალობით...

მაგრამ ამ პატარა ამბიდან მეორე საკითხი უფრო საინტერესო და დამაფიქრებელია: შვილს რაღა მოუვა? იმ პატარა გოგონას, რომელსაც შინაც ასეთი მეტყველება ესმის და სკოლაშიაც, როგორც ვხედავთ, მაინცდამაინც გამართული ენით ვერ ასწავლიან?! ის როგორღა გაზრდის თავის ჭირვეულ ბავშვს? რა სიტყვებით მიმართავს? რა იდიომები და გამოთქმები მოიყრის თავს მის სამეტყველო „ლექსიკონში“?

აი, ამაზე გვმართებს დაფიქრება. ეს უნდა გვიშფოთებდეს ძილსა და მოსვენებას.

ენა გაგებინების საშუალებააო, ამბობენ. და ეს მართლაც ასეა. მაგრამ ენა, მეტყველება და სტილი კიდევ არის რაღაც. იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე უბრალო გაგებინება. იგი ადამიანის ხასიათია, მისი პიროვნება, მისი მოქალაქეობრივი სახე და პორტრეტი.

იგი კულტურის დონეზე მიგვანიშნებს. ხოლო საზოგადოება ცალკეული ადამიანებისაგან შედგება... და რაც უფრო გახშირდება ასეთი მეტყველება, მით უფრო სავალალოა.

ასე ფართოდ უნდა შევხედოთ ამ საგანს, ამიტომაც არ შეიძლება ეს საკითხი უბრალო და უმნიშვნელო იყოს. ამიტომ უნდა გვიშფოთებდეს იგი ძილსა და მოსვენებას.

მაგრამ ფუჭი ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, ისევ სახელმძღვანელოებში ჩავიხედოთ.

სამწუხაროდ, სახელმძღვანელოთა უდიდესი ნაწილი ქართულად კი არ იქმნება, არამედ ითარგმნება. ამდენად, იმათი საქმე, ვისაც უშუალოდ აქვთ დაკისრებული სახელმძღვანელოების გამოცემა რესპუბლიკაში, თითქოს გაადვილებულია.

ბევრი სახელმძღვანელო კეთილსინდისიერად არის თარგმნილი, კარგი ქართულით, სადად და ნათლად გადმოსცემს აზრს.

ყველა სახელმძღვანელოზე არ ითქმის ეს. უხეირო თარგმანისა და დაუდევარი რედაქტირების ფაქტებს მაინც ვხვდებით. შედეგად, ისედაც გადატვირთული ბავშვი სწავლობს გაკვეთილს და იმის გამო, რომ ცალკეული ფრაზები თუ წინადადებები ამა თუ იმ სახელმძღვანელოში უხეიროდ არის თარგმნილი, რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს სრულიად მარტივი აზრის შემცველი წინადადება, რათა შინაარსს ჩასწვდეს.

იმის მოწმეც არის ყოველი ჩვენგანი, რომ მშობელი ხშირად ორიგინალს დაეძებს, იმ რუსულ სახელმძღვანელოს, საიდანაც ქართული სახელმძღვანელოა თარგმნილი, რათა დედანში გაიგოს აზრი, — რაც მან თარგმანში ვერ გაიგო, — და ბავშვს განუმარტოს.

კურიოზია, მაგრამ ფაქტია.

მაგრამ არა, ეს უბრალო კურიოზი არ არის, ეს ბარბაროსობაა! ყოვლად გაუმართლებელი უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა. გარდა იმისა, რომ ენასა და მეტყველებას ვუმახინჯებთ ბავშვს, ამით ხომ იმ „თავისუფალ დროსაც“ ვართმევთ, რაც მოსწავლემ ე. წ. კლასგარეშე წიგნების კითხვას უნდა მოანდომოს, დიდი კლასიკური ლიტერატურისა და თანამედროვე მწერლობის გაცნობას მოანდომოს!

მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი ასეთი უხეირო თარგმანისა... თუმცა ისე აშკარა და ყველასათვის ცნობილია ეს მდგომარეობა, რომ მაგალითები იქნებ საჭირო არც კი იყოს.

როცა, მაგალითად, მე-6 კლასის მოსწავლე, 11 წლის ბავშვი,

ფიზიკის სახელმძღვანელოში კითხულობს: „დედამიწის ზედაპირთან ჰაერის ფენები შეკუმშულია მის ზემოთ მდებარე ჰაერის ყველა ფენით“, ეს აზრის ნათლად და გარკვევით მიწოდება არ არის; ის მარტივი და ნათელი აზრი, რაც ამ წინადადებაშია ნაგულისხმევი, წაკითხვისთანავე უნდა მივიდეს ბავშვთან. ასეთი თარგმანით კი ვერ მიდის. უნდა რამდენჯერმე წაიკითხოს, დრო დაკარგოს... არადა, უფრო რომ შეეწუხებინათ თავი მთარგმნელს ან რედაქტორს, სავსებით გარკვევით და გასაგებად შეიძლებოდა ამ აზრის გადმოცემა. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ „მ დ ე ბ ა რ ე ჰ ა ე რ ი“ ძალიან საეჭვო და უხერხო გამოთქმაა.

როცა X კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ამ დასკვნების სამართლიანობაში შეიძლება დავრწმუნდეთ შემდეგი ცდით“, ეს არ არის სწორი. აქ სიტყვა თავის ადგილზე არ არის და ბავშვს შეიძლება მარტო ამ მაგალითითაც ეს სიტყვა მცდარად შევასწავლოთ.

არადა, ნამდვილად გადაგვიწყვეტია, ასე მცდარად შევასწავლოთ ბავშვს ეს სიტყვა — იქვე ვკითხულობთ:

„ეს ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ა არა მარტო ზამბარაზე დაკიდებული ტვირთისა და ქანქარას რხევისათვის“.

„ციცინათელას ზურგზე არსებულ მნათ ლაქას აქვს თითქმის იგივე ტემპერატურა“.

ციცინათელას ზურგზე არსებული მნათი ლაქა!

ამას შეისწავლის ბავშვი და მერე აღარ უნდა გაგვიკვირდეს, გასაკიცხი სულაც არ იქნება, თუ იტყვის — ადამიანის სახეზე (ან მკლავზე) არსებული ხალიო.

„მდგარი ტალღის წარმოშობისას ზონრის, რომლის ერთი ბოლო დამაგრებულია, დამაგრების წერტილში არის კვანძი“.

ან ასეთი მაგალითები გეოგრაფიის სახელმძღვანელოებიდან:

„ამ ნიადაგებზე იზრდება მუხნარი და წიფლნარი ტყეები რცხილის შერევით, ხოლო ატლანტისპირა რაიონში ერევა კეთილშობილი წაბლი“.

„მოკლე ზაფხულის განმავლობაში გროვებად მიმოჭრიან ჰაერში ჭინჭლები, კოღოები და ბორები“.

(აქ იმავე უხერხულობასთან გვაქვს საქმე, ზემოთ რომ ვახსენეთ: „მიმოჭრიან“ არ არის მარჯვედ შერჩეული სიტყვა, სჯობს, მაგალითად — „ირევიან“).

„ტყესტეპებში ნაირბალახიანი სტეპების უბნები მონაცვლეობს ცალკეულ წარაფებთან და ტყის კორომებთან“.

„სამხრეთული დინების მდინარეთა საზრდოობა შერეულია თავის საზრდოობის უპირატესობით“.

„ჩრდილოეთური დინების მდინარეები მიედინება ჭარბი დანესტიანების მქონე ტერიტორიაზე“.

„სტეპებისათვის დამახასიათებელია კონტინენტური ჰავა ცხელი ზაფხულით და ნალექების მცირე რაოდენობით, თანაც ჰავის კონტინენტურობა და სიმშრალე იზრდება აღმოსავლეთისკენ, კონტინენტის შიგნით. წვიმები იცის ზაფხულში, უმთავრესად მის პირველ ნახევარში, თავსხმის სახით“.

(აქ რამდენიმე უხერხულობაა, მაგრამ ეს მაინც გასაგებად დაგვეწერა, რაც უფრო აღმოსავლეთით მიდიხარ, მით უფრო მატულობსო...).

„ზოგიერთი კუნძული ზაფხულში თავისუფლდება თოვლისაგან და მათზე გამოჩნდება ქვიანი ან დაჭაობებული მიწა, რომელიც ზემოდან მცირე სიღრმეზე მოლღვება ხოლმე ძალიან მცირე სისქის ნიადაგსაფარით და ხავსებისა და მღიერების ღარიბი მცენარეულობით“.

„აღმოსავლეთი აზიის დიდ ნაწილს საფუძვლად უდევს ჩინეთის ბაქანი, რომელიც ცალკეულ მასივებად დაიყო. აღმოსავლეთი აზიის ზედაპირი რამდენიმე საფეხურის სახით დაბლდება წყნარი ოკეანისაკენ. მათგან ქვედა საფეხური დაფარულია განაპირა ზღვების წყლით, ხოლო მისი აწეული კიდე ქმნის მრავალრიცხოვან კუნძულთა რკალებს ახალგაზრდა ქედებით. ამ კუნძულთა რკალების პარალელურად ოკეანეში გადაჭიმულია ღრმაწყლიანი ღრმულები, აქ მდებარეობს ძლიერი მთათწარმომშობი მოძრაობების კერები, რაც ამჟამადაც გრძელდება“.

„მინდვრებში მოჰყავთ ფეტვი, სიმინდი, სოია, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის კვებაში, აგრეთვე გაოლიანი“.

„ვაკე დასერილია მასზე მოხეტიალე მდინარეთა ძველი კალაპოტებით“.

„სამხრეთი აზიის ბუნება ძალიან მრავალფეროვანია, მაგრამ მაინც არის ბუნების ნიშნები, რაც საერთოა მთელი ამ ტერიტო-

რიისათვის. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ევრაზიის განაპირას მისი სამხრეთული მდებარეობა და ცხელი ჰავა".

„იგი მდებარეობს ნახევარკუნძულებსა და კუნძულებზე, სადაც ზედაპირზე გამოდის დედამიწის ქერქის უძველესი უბნები და აქვეა აღმართული ახალგაზრდა მთები".

„გადარეცხვის მასალა ხევებითა და ხრამებით ჩაიტანება მდინარეში"...

„ფიჭვნარებთან თავისი განათებულობითა და ნიადაგისადმი არამომთხოვნელობით დგას ლარიქსის ტყეები".

„ამჟამად ყაზახები საბჭოთა კავშირში ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, ხოლო ნახირთან მხოლოდ მწყემსები გადაადგილდებიან".

როგორც ვხედავთ, მართლაც რუსული ორიგინალი უნდა მოძებნოს ბავშვმა (ან მისმა მშობლებმა), რომ ამ წინადადებების აზრს ჩასწვდეს.

„მდინარეები, რომლებიც ტიბეტის მთიანეთში და ჰიმალაის მთებში იწყება, წვიმის წყლებთან ერთად საზრდოობს ზაფხულში ჰიმალაის მთის მყინვარების დნობით".

სხვა უხერხულობებთან ერთად, აქ ის აზრიც გამოდის, თითქოს მდინარეებიცა და წვიმის წყლებიც (?) ერთად საზრდოობდნენ მყინვარებით.

„ვაკის სამხრეთი სტეპური სივრცეები არასაკმარისი დანესტიანების პირობებშია".

„ნიადაგი არის ხმელეთის აშგებელი ფენების ყველაზე ზედა ხვიერი ფენა".

„დიდი ჩინეთის ვაკის ჰავა მუსონურია საკმაოდ ცივი ზამთრით. თითქმის მთელი ვაკე გადახნულია და დაკავებულია ხორბლის, ბამბისა და სხვა კულტურული მცენარეების ველებით".

ამ ბოლო მაგალითთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ფაქტი, როგორც იმისი ნიშანი, თუ როგორ ეჩვევა ყური უხერხულ ენობრივ გამოთქმებს და რა სავალალოა ერთი შეხედვით თითქოს არც ისე „ქვეყნის დამანგრეველი" შეცდომა. ეს ბოლო წინადადება ამოწერილია 1973 წლის გამოცემიდან. შემდგომი გამოცემის წინ მთარგმნელს, თუ რედაქტორს, ეტყობა წაუკითხავს წიგნი, ყურადღება მიუქცევია ამ წინადადებისათვის და გაუსწორებია...

მაგრამ როგორ?

ესაა სწორედ საინტერესო.

მკითხველს აქ, რაღა თქმა უნდა ყური მოსჭრა სიტყვებმა: „საკმაოდ ცივი ზამთრით“ და „დაკავებულია“.

ქართულის მცოდნე კაცი არ იტყვის, ჰავა მუსონურია ცივი ზამთრითო. მეორე გამოთქმაც ასევე უხერხულია— ვაკე დაკავებულია კულტურული მცენარეებითო.

დაუდევრად უთარგმნია თავის დროზე მთარგმნელს და რედაქტორიც დაუდევრად მოპყრობია.

მაგრამ რაკიღა ერთ-ერთ მომდევნო გამოცემაში მათი ყურადღება ამ წინადადებამ მიიპყრო, რაკიღა ამ წინადადებისათვის მოიცალეს და მისი გამართვისათვის დრო დაკარგეს, მოსალოდნელი იყო, უპირველესად სწორედ ამ უხეირო გამოთქმებს გაასწორებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. და მკითხველის ყურადღებაც სწორედ ამიტომ შევაჩერე.

მთარგმნელისა და რედაქტორის ყური ისე შესჩვევია ამ უხერხულ გამოთქმებს, რომ მათი უხერხულობა ვეღარც კი იგრძნეს და არ გაასწორეს. ახალ გამოცემაშიაც ასევე დატოვეს. გაასწორეს სულ სხვა რამე, რაც ენობრივი უხერხულობის თვალსაზრისით ყურში არც მოხვდება ადამიანს: „ველები“, „მინდვრებით“ შეცვალეს და ბოლო გამოცემაში უკვე ასე ვკითხულობთ: „დიდი ჩინეთის ვაკის ჰავა მუსონურია საკმაოდ ცივი ზამთრით. თითქმის მთელი ვაკე გადახნულია და დაკავებულია ხორბლის, ბამბისა და სხვა კულტურული მცენარეების მინდვრებით“.

სამწუხაროდ, ბევრი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება.

ეტყობა უბრალო საქმედ მიაჩნიათ ეს.

არა, ეს ძალიან სერიოზული საქმეა, ასე ნუ გავაუბრალოებთ. ნუ გავაიოლებთ. ამისი მოგვარებაა იოლი, ადვილად გამოსასწორებელი — თუ მონდომება და საქმის სიყვარული იქნა.

ენას თავისი მუსიკა აქვს. თავიდანვე უნდა შეაჩვიოს მას ადამიანმა ყური, თორემ მერე უკვე დაგვიანებული იქნება. ერთხელ მცდარად შეთვისებული სიტყვისა თუ გამოთქმის გასწორება ძალიან ძნელია. ეს მუსიკა ზოგჯერ თითქოს კანონებს არ ემორჩილება და განზოგადების საშუალებას არ იძლევა. არ შეიძლება, მაგალითად, ვთქვათ, — „ზამთრის ტემპერატურები აქ 15°-ზე მეტიაო“. არადა, სწორედ ასე ვკითხულობთ VI კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში.

თითქოს უბრალო შეცდომაა, მაგრამ ძალიან მავნე. შეიძლება ეს სიტყვა საბოლოოდ ასევე მცდარად შეითვისოს ბავშვმა. ამიტომ გვესმის ძალიან ხშირად, ვთქვათ „კარებები“ „კარების“ ნაცვლად და გვესმის საკმაოდ განათლებული ადამიანებისაგანაც.

თავიდანვე მცდარად შეითვისებენ და გადაჩვევა კი ძნელია.

იქვე ვკითხულობთ „ხშირად მძვინვარებს თოვლის ქარიშხალი“.

თოვლი და ქარიშხალი ერთად არ არის. როცა თოვს და ქარიცა ჰქრის, მაშინ სხვა სიტყვა უნდა შევარჩიოთ. „ქარბუქი“ უნდა ვთქვათ. ლექსიკონშიც სწორედ ასეა განმარტებული („ქარბუქი— თოვლიანი ქარი“). „თოვლმა, ყინვამ და ქარბუქმა სულ გული გამიწყალაო“, იქვე, იმავე ლექსიკონში ვკითხულობთ ვაჟას სტრიქონს, საილუსტრაციოდ მოტანილს. „ქარიშხალი“ კი სხვა რამეს ნიშნავს და თოვლთან არ არის დაკავშირებული. იმავე ლექსიკონში „ქარიშხალი“ განმარტებულია, როგორც „ძლიერი დიდი ქარი წვიმითურთ“.

ესეც უბრალოა?

თითქოს მართლაც უბრალოა. მაგრამ ვინ იცის ეს ჩვენი უხეიროდ (ე. ი. უადგილო ადგილას) ნახმარი სიტყვა რამდენი თაობის ადამიანმა მცდარად შეითვისა (არ მახსოვს, მერამდენე გამოცემაა ეს წიგნი).

არა. უბრალო არ არის ეს საკითხი. ძალიან სერიოზული საქმეა.

ისეთი შთაბეჭდილება რომ არ შეიქნას, თითქოს მარტო გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ვხვდებოდეთ ამდენ ენობრივ უზუსტობასა და უხერხულობას, რამდენიმე მაგალითს სხვა სახელმძღვანელოებიდანაც მოვიტან.

„მინის წვრილ მილს ჩაუშვებენ დამსველებელ სითხეში— წყალში“, ვკითხულობთ მეექვსე კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოში.

„თითოეულში (ჭიქაში) მოვათავსოთ ერთნაირი რაოდენობით შვრიის, ჭვავის, ხორბლის აღმოცენების უნარის მქონე თესლი“ (ბოტანიკა, მე-5 კლ.).

თითქოს არ შეიძლებოდა ადამიანურად გვეთქვა — ვარგისი ან უვარგისი თესლიო. თესლის ვარგისიანობა ხომ სწორედ ის არის, რომ აღმოცენების უნარი აქვს.

„ზოგჯერ იგი (ჩანასახი) იღუპება მწერებით ღაზიანების გამო“ (იქვე).

„ზოგი ხე საჭმელ ნაყოფს ისხამს. ასეთ ხეს ხეხილი ჰქვია“ (მე-2 კლ.).

ზემოთ ლაპარაკი იყო მასალის პროპორციულად მიწოდებაზე. ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ საქართველოში პოეზია პოპულარულია, ბავშვს ოჯახშივე ლექსის სიყვარულს უნერგავენ, ულექსოდ და უპოეზიოდ ჩვენი ხალხის ცხოვრება წარმოუდგენელია. ვერ ვიტყვით, თითქოს სახელმძღვანელოებში ძალიან მწირად იყოს წარმოდგენილი ლექსები. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ კლასს თანამედროვე პოეტთა შემოქმედებას უსისტემოდ და სუსტად ვაცნობთ. მაგალითად, მე-5 კლასის სახელმძღვანელოში დაბეჭდილია მხოლოდ ორი ჩვენი თანამედროვე პოეტი. ასევე ძუნწად არიან წარმოდგენილი ჩვენი თანამედროვე პოეტები — ანუ ის პოეტები, რომლებიც დღეს ცოცხლობენ და მოღვაწეობენ — სხვა კლასების სახელმძღვანელოებში.

ხომ აშკარაა, რომ სახელმძღვანელოებში ბევრი თანამედროვე შესანიშნავი პოეტის გვარი საერთოდ არ ჩანს. გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ხშირად სახელმძღვანელოებში შეტანილი ავტორები წარმოდგენილი არიან არა თავიანთი საუკეთესო, არამედ რატომღაც მეორე-მესამე ხარისხოვანი ლექსებით.

საჭიროა ამ სახელმძღვანელოებში გაიზარდოს თანამედროვე პოეზიის ხვედრითი წონა. იგულისხმება, რომ ამას მოჰყვება თანამედროვე თემატიკის გაზრდა და გამრავალფეროვნებაც.

წერილის დასაწყისში დასმულ კითხვასაც — რაციონალურად თუ ვიყენებთ დროსა და ადგილს და უფრო მნიშვნელოვანის ხარჯზე უმნიშვნელო მასალა ხომ არ შეგვაქვსო, სამწუხაროდ, ყოველთვის დადებითად ვერ ვუპასუხებთ.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც იგივე მესამე კლასის სახელმძღვანელო. ერთი შეხედვით, თითქოს საგანგაშო არაფერია, გარდა იმისა, რომ სასურველი და საჭირო იყო გამომცემლობის მუშაკებს მეტი ყურადღება მიექციათ წიგნის ტექნიკური მხარისათვის, რასაც, სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ესთეტიკური აღზრდისა, მისი გემოვნების დახვეწისა და საერთო კულტურის ჩამოყალიბების საქმეში... ამრიგად, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია საგანგაშო — წიგნში დაბეჭდილია ლექსები,

მოთხრობები, ნარკვევები... ზოგი ცნობილი ავტორისა, ზოგი ნაკლებად ცნობილისა. ზოგი მასალა უფრო კარგია, ზოგი უფრო მდარე. ესე იგი, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. მაგრამ კარგად თუ გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ სახელმძღვანელო საფუძვლიან გადამუშავებას მოითხოვს. წიგნში წარმოდგენილ ზოგიერთ მასალაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ასევე სუსტი და ენობრივად დაუხვეწავია სხვა მასალებიც. სხვადასხვა თვალსაზრისით სუსტია მაგალითად წიგნში შეტანილი მოთხრობები „გოზინაყი“, „ჯილდო“, „ხოხბები და კაკბები“, „გიგლას ოცნება“...

ავიღოთ თუნდაც ეს მასალა — „გიგლას ოცნება“.

ეტყობა, საკმაოდ ვერ ვითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელი ჩვენი სოფელი სულ სხვა გახდა და სოფლელი ბავშვის ფსიქოლოგია და გონებრივი ჰორიზონტიც ისეთი არ არის, როგორიც ძველი „დედაენის“ ბავშვებისა გვახსოვს. მოთხრობის ავტორს ტყუილად ჰგონია, რომ სოფლიდან საახალწლოდ ბიძასთან სტუმრად ჩამოსულ გიგლას ლიფტი გააოცებს. ეს ლიფტი მას ალბათ სოფელშიაც უნახავს. ამ ლიფტს იგი ლამის ყოველდღიურად ხედავს კინო-სურათებში, თავისი საკუთარი ტელევიზორის ეკრანზე. გვავიწყდება, რომ ეს ის პატარა სოფლელი ალექსი აღარ არის, აქლემმა რომ გააოცა. ნუთუ სხვა ვერაფერი საინტერესო ვერ უნდა ვაჩვენოთ დღეს დედაქალაქში ჩამოსულ ბავშვს?! არა ლიფტი და მრავალსართულიანი სახლები, არამედ დღევანდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა?!

ზოგმა იქნება გაიკვირვოს: პაწაწინა მოთხრობებია, ამაზე ამდენი ლაპარაკი ღირსო?! საქმე რომ სახელმძღვანელოებს არ შეეხებოდეს, იქნებ მართლაც არ მიგვექცია ყურადღება. ბოლოს და ბოლოს, რამდენი მოთხრობა იბეჭდება — ზოგს მოსწონს, ზოგს არ მოსწონს, ყველას თავისი შეხედულება და გემოვნება აქვს. თუ ქვეყანას არ ანგრევს ეს მოთხრობები, იქნებ მართლაც არ ღირდეს ამდენი ლაპარაკი.

გააჩნია, როგორ შეხედავ საქმეს.

ქვეყანას იქნებ მართლაც არ ანგრევდნენ ეს მოთხრობები. ზოგს ალბათ მოსწონს კიდეც. რაკი სახელმძღვანელოში შეიტანეს, უნდა ვიფიქროთ, რომ მოსწონთ. და ამაზე არც არავის ვედავებით. როგორც იტყვიან ხოლმე, გემოვნებაზე არა დაობენ.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ სახელმძღვანელოშია შეტანილი, თანაც დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოში, იმ ასაკის ბავშვებისათვის, რომელთაც ჯერ კრიტიკისა და ანალიზის უნარი განვითარებული არა აქვთ, გულღიად ენდობიან სახელმძღვანელოსა და მასწავლებელს... სწორედ ამ პატარა მოთხრობების მიხედვით უყალიბდებათ მათ მორალი, საკუთარი შეხედულებანი და თვალსაზრისი ცხოვრებაზე, ამითვე უმტკიცდებათ დედა-ენის ცოდნა და მეტყველების ჩვევები... ღრუბელივით შეიწოვენ ყველაფერს და ახლა შეთვისებული სიტყვა თუ ცალკეული გამოთქმა, ახლა ჩამოყალიბებული თვალსაზრისი მერე ძნელადღა თუ წაიშლება მათი გულიდან და მეხსიერებიდან.

ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, სადა და ბუნებრივი საუბარი. კონტექსტის შესაფერი მარჯვე სიტყვის შერჩევა. სწორი მეტყველების ჩამოყალიბება... უმთავრესად ამაზე ვამახვილებთ ჩვენს წერილში ყურადღებას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დროს ეს მიგვაჩნია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ.

მაგრამ ამ მოთხრობებში სხვა უხერხულობანიც გვხვდება.

„გოზინაყს“ ნახევარ გვერდზე ცოტა უფრო მეტი ადგილი უჭირავს სახელმძღვანელოში. პატარა მოთხრობაა. ამიტომაც ვაძლევ თავს ნებას, მთლიანად მოვიტანო ეს მოთხრობა.

## გოზინაყი

დედამ საახალწლოდ გოზინაყი გააკეთა და გასაციებლად სპილენძის ლანგრით თაროზე შედგა. ეს რომ პატარა შალვამ შენიშნა, თავში ასეთი ფიქრები დაებადა: დედა ხომ სულ სახლში არ იჯდება, როცა გარეთ გავა, სკამს მივიდგამ, ლანგარს მივწვდები და გოზინაყით პირს ჩავიგემრიელებო.

თქვა და აასრულა კიდეც: დაიდგა სკამი, ლანგარს შესწვდა. სიცივისაგან გამაგრებული გოზინაყი მოგლიჯა და შეახრამუნა. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა სიამოვნება: უხერხულად დადგმული სკამი გადაბრუნდა და შალვამ ძირს ზღართანი მოადინა. ლანგარი თან ჩამოჰყვა და ფეხზე დაეცა. ტკივილისა და შიშისაგან გაშეშებულმა ბიჭმა ტირილი მორთო.

ამის გაგონებაზე გარედან დედა შემოვარდა.

— რა ამბავია, რა მოხდა, დედა გენაცვალოს? — ჰკითხა შალვას.

— კატა თაროზე ასულიყო, გოზინაყს სჭამდა: მე გავუჯავრდი: ის გადმოხტა, ლანგარი გადმოაგდო და თვითონ გარეთ მოკურცხლა, — იცრუა შალვამ.

დედამ კი პირველსავე შეხედვით შეამჩნია, რომ შალვას ტუჩები თაფლით და ნიგვზის ნამცეცებით ჰქონდა მოთხუპნული, მაგრამ მაინც შვილს არ გაურისხდა. ალერსით გული დაუმშვიდა; შემდეგ სარკეში ჩაახედა და ღიმილით უთხრა:

— აი, შვილო! მე მჯერა, რომ შენ მართლის მთქმელი ხარ, ამიტომ შემდეგისათვის ეს ჩემი რჩევაც არ დაივიწყო: როცა ნახავ, რომ კატა გოზინაყის ჭამას დაიწყებს, შენ უეჭველად ტუჩებზე ხელი მიიფარე, რომ თაფლით არ მოგესვაროს!

მოთხრობის მორალი ადვილი გასაგებია: ტყუილს ებრძვის და ბავშვს სიმართლის სიყვარულს უნერგავს. რაღა თქმა უნდა, ძალიან საჭიროა. კარგია, რომ ეს თემა არ გამორჩენიათ და სახელმძღვანელოში გაუთვალისწინებიათ.

ეს სადავო არ არის.

უხერხული იქნება ის იყოს, რომ ასეთივე მოთხრობა შარშან ისწავლა ბავშვმა, მეორე კლასში, და შარშანდელი ახსოვს. თანაც, შარშან ლევ ტოლსტოის შესანიშნავი პატარა მოთხრობა ვასწავლეთ.

ეს მოთხრობა კიდევ უფრო პატარაა და ამიტომ ესეც გადმოვწეროთ მეორე კლასის სახელმძღვანელოდან.

## კ უ რ კ ა

დედამ ქლიავი იყიდა და უნდოდა ბავშვებისათვის ნასადილევს ძიეცა. ქლიავი თეფშზე ეწყო. როდესაც ოთახში არავინ იყო, ვანომ ვერ მოითმინა, სტაცა ხელი ერთ ქლიავს და შეჭამა.

დედამ თვალი მოჰკრა იმას და მამას ჩუმად უთხრა.

სადილობისას მამამ თქვა:

— ბავშვებო, რომელიმეს ხომ არ შეგიჭამიათ ქლიავი?

ყველამ იუარა.

ვანო კიბოსავით გაწითლდა და თქვა:

— არა, მე არ შემიჭამია.

მაშინ მამამ უთხრა:

— უბედურება ის კი არ არის, რომ რომელიღაც თქვენგანმა შეჭამა ქლიავი, არამედ ის, რომ მას კურკა აქვს და თუ გადაყლაპა, ერთ დღეში მოკვდება. აი, რისი მეშინია.

ვანო გაფითრდა და თქვა:

— არა, კურკა ფანჯარაში გადავაგდე.

ყველამ გაიცინა, ვანო კი ატირდა.

უხერხული ის კი არ არის, რომ ამავე მორალზე წელსაც მივაწოდეთ ბავშვს მასალა, მესამე კლასშიც, არამედ ის, რომ მესამე კლასის სახელმძღვანელოში შეტანილი მასალა ძალიანა ჰგავს ტოლსტოის მშვენიერ მოთხრობას. „გოზინაყი“ ძალიან ჰგავს „კურკას“. ფაქტიურად, მისი ვარიაციაა. და ბავშვიც კი მიხვდება, რომ ეს მსგავსება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ტოლსტოის მოთხრობა რომ თავისი მომხიბლავი სისადავით, უშუალობითა და ლაკონიურობით „გოზინაყსა“ სჯობს, ეს სულაც არ არის გასაკვირი და ამისთვის ჭართული მოთხრობის ავტორს ვინ დაძრახავს! განა აქა ვხედავთ უხერხულობას. შინაარსით რომ ძალიანა ჰგავს ტოლსტოის მოთხრობას, ეს არის უხერხული. თანაც, ის პირველი, ტოლსტოის მოთხრობა, შარშან ვასწავლეთ ბავშვს, მეორეს კი, იმისავე მსგავსს და იმის თარგზე მორგებულს, წელს ვასწავლით. ამითვე ვუკარგავთ მოთხრობას ემოციური ზემოქმედებისა და ეფექტის ძალას: რაკი იმ მოთხრობის თარგზეა მორგებული, რაღა თქმა უნდა, ეფექტიც დაეკარგა. და თუნდაც ამიტომ გამართლებული არ არის მესამე კლასის სახელმძღვანელოში მისი შეტანა.

თემა და მორალი, როგორც ვხედავთ, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვს თავიდანვე, პატარაობიდანვე უნდა შევაძულოთ ტყუილი და სიმართლის სიყვარული ჩავუნერგოთ. ტყუილის სიძულვილი და სიმართლის სიყვარული კარგი მოქალაქის უპირველესი ნიშანია და, ვიმეორებთ, სულაც არ არის გასაკვირი, ამ თემას ისევ და ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს სახელმძღვანელოებში. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ თემა, ასეთი მნიშვნელოვანია, მასალაც შესაფერი უნდა მივაწოდოთ. თვითონ ტოლსტოიც უდიდეს მნიშვნელობას აძლევ-

და ბავშვის ამ სულისკვეთებით აღზრდის საქმეს და იმავე ასაკის ბავშვს, ვისთვისაც „კურკა“ დაწერა, სხვა მოთხრობებიც მიუძღვნა, მაგრამ დიდ მწერალს ემოციური ზემოქმედების მნიშვნელობაც ძალიან კარგად ესმოდა. ამიტომ თავისვე მოთხრობის ვარიაცია კი არ შეუთავაზებია ბავშვებისათვის, სხვა მოთხრობა დაუწერა, სულ განსხვავებული. პირველი თუ უწყინარი იუმორით არის შემკული, მეორე ამავე მორალის მატარებელი მოთხრობა დრამატიზმით გაჯაჭ-ჟაფრა და ამით ემოციური ზემოქმედება გააძლიერა.

მკითხველი ალბათ ხვდება, რომ აქ მატყუარა მწყემსი ბიჭის ამბავი გაგვახსენდა, რომელსაც ძალიან გაუტკბა ტყუილები და ბოლოს ამის გამო მკაცრადაც დაისაჯა, რამდენჯერ დააფრთხო და შეაწუხა გლეხები, მგელი დამესხაო და ბოლოს კი, როცა მართლაც დაესხა მგელი, და დაფეთებულმა ყვირილი მორთო, გლეხებმა ალარ დაუჯერეს.

იმ უწყინარი იუმორით დამშვენებულ მოთხრობას, „კურკას“, ისე კარგად ანვითარებს ეს მეორე, დრამატიზმით გამკაცრებული მოთხრობა, რომ მის გამოყენებაზე უარის თქმა გაუმართლებელია. ამაზე კარგს, ასე თანმიმდევრულად მოფიქრებულს, ბევრი თავი რომ ვიმტვრიოთ, მაინც ვერაფერს მივაგნებთ. ამიტომ უსათუოდ უნდა შევიტანოთ სახელმძღვანელოებში ერთიცა და მეორეც. (სხვათა შორის, ერთ დროს ორივე ეს მოთხრობა შედიოდა ქართული ენის სახელმძღვანელოებში). ჩვენ კი ავდექით და „კურკის“ შემდეგ ბავშვს, მისივე ძალიან სუსტი ვარიაცია მივაწოდეთ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ასე აღფრთოვანებით რომ მოვიხსენიებთ ტოლსტოის ზემოთ მოტანილ მოთხრობას, ეს, რა თქმა უნდა, ორიგინალს შეეხება, ტოლსტოისავე ტექსტს. თარგმანი, როგორც ვნახეთ, ამნაირი აღფრთოვანების საშუალებას არ იძლევა. მოტანილი თარგმანის მიხედვით, ასეთ მაღალ შეფასებას ვერც კი მისცემ მოთხრობას. და ეს მარტო სამწუხარო კი არ არის, გასაკვირიცაა. ნუთუ ვეღარ მოხერხდა ამ ნახევარგვერდიანი მოთხრობის ხელახლად გადმოქართულება?!

უპირველეს ყოვლისა, გასაკვირია ის, რომ მთარგმნელს თვითნებურად შეუკვეცია ავტორისეული ტექსტი, ტოლსტოის ტექსტი. ამ პაწაწინა მოთხრობიდან რამდენიმე ფრაზა ამოუღია. რამდენადაც ვიცით, ასეთი შეკვეცა-კუპიურების უფლება სახელმძღვანელოს

შემდგენელს აქვს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, წარამარა უბოდიშოდ და გაუმართლებლად იყენებდეს ამ უფლებას. მით უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს, როცა კლასიკოსის ნაწარმოებს ვუკეთებთ ასეთ „ოპერაციას“. ტოლსტოის ამ პატარა მოთხრობის შეკვეცა არაფრით გამართლებული არ არის. პირიქით, ფიტავს მოთხრობას, სილამაზეს და მომხიბლაობას აცლის, სულსა და გულს აცლის... ლიტონ განცხადებად რომ არავის მოეჩვენოს ეს სიტყვები, აქვე მოვიტანოთ ეს ამოღებული ფრაზები.

Купила мать слив и хотела их дать детям после обеда. Они еще лежали на тарелке. Ваня никогда не ел слив и все нюхал их. И очень они ему нравились. Очень хотелось съесть. Он все ходил мимо слив. Когда никого не было в горнице, он не удержался, схватил одну сливу и съел...

როგორც ვხედავთ, მოთხრობის შესავალშივე ავტორმა რამდენიმე ფრაზით ძალიან ცოცხლად და შთამბეჭდავად დაგვიხატა ბავშვის ხასიათი.

როგორ არის ეს გადმოტანილი ქართულად?

ხაზგასმული ფრაზები თარგმანში გამოტოვებულია. და ყოველგაუმართლებლადაც. უბრალო თვალის გადავლებითაც მიხვდება ადამიანი, რომ მოთხრობამ ამით ბევრი დაკარგა. ავტორის ცოცხლად დახატული სურათი — ბავშვი რომ შორიდან ეპარება ქლიავს, ალვ-ჩაუვლის, დაყნოსავს, ვეღარ მოშორდება, ბოლოს კი სული წასძლევს და ხელს წაავლებს — ეს ცოცხალი, კომიკური სურათი თარგმანში სავსებით წაშლილია და ამით ემოციური ზემოქმედების ძალაც ეკარგება ნაწარმოებს. ამ შეკვეცით თარგმნილი მოთხრობა სქემატური გახდა. მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რომ ასეთი „კუპიურება“ გაუმართლებელი და უცნაურია.

რაკი გაუმართლებელ კუპიურებაზე ჩამოვარდა სიტყვა. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ერთეული შემთხვევა როდია. ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილი ბევრი ნაწარმოები უხეიროდ არის შეკვეცილ-დაჩეხილი. და არა მარტო სახელმძღვანელოებში! კლასგარეშე საკითხავ წიგნებშიც ვხვდებით ასეთი უბოდიშო და გაუმართლებელი „შეკვეცების“ ალმაშფოთებელ ფაქტებს, როცა „შეკვეცილ“ ნაწარმოებს სული და გული გამოცლილი აქვს. სამწუხაროა, რომ ზოგჯერ დიდ კლასიკოსებსაც ასე უბოდიშოდ ვექცევით. ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა დიდი

საბავშვო კრებული „იზარდე მწვანე ჯეჯილო“. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ წიგნი მდიდრულად არის გამოცემული. მით უფრო თვალშისაცემია ამგვარი უხერხულობანი.

კურიოზიც კი შეიძლება ეწოდოს იმ ფაქტს, რასაც ამ კრებულში ვხვდებით. აქ დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი „გაზაფხული“. მაგრამ არ გინდა თვალს დაუჯერო, როცა ერთ-ერთ გვერდზე ხედავ ამ მშვენიერი რვასტრიქონიანი ლექსის მხოლოდ პირველ ოთხ სტრიქონს.

ტყემ ღიისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჰყიეის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

და აქ ასე უცნაურად წყდება ლექსი. მხოლოდ შესავალი ნაწილია დაბეჭდილი, რაც დამოუკიდებლად, იმ ბოლო ოთხი სტრიქონისაგან მოწყვეტით, არაფერს ეუბნება მკითხველს და მხოლოდ ღა გაკვირვებას იწვევს. ალბათ საჭიროც კი არ არის იმის განმარტება, რომ ლექსის იდეა და შინაარსი სწორედ იმ მომდევნო ოთხ სტრიქონშია, რომლებიც ასე უმოწყალოდ შეუკვეცავთ. უიმსტრიქონებოდ ეს შესავალი ნაწილი მართლაც არაფრის მთქმელია და, რაღა თქმა უნდა, ჯობდა სულაც არ დაგვებეჭდა.

ამ კრებულის მკითხველი გაკვირვებული დარჩება... რა უნდა იფიქროს ბავშვმა კრებულში მოტანილი ოთხი სტრიქონის წაკითხვის შემდეგ? რა წარმოდგენა უნდა შეექმნას ჩვენს სასიქადულო მწერალზე?

ისევ ტოლსტოის მოთხრობას დავუბრუნდეთ.

ის უცნაური და ყოვლად გაუმართლებელი კუპიურება, რაც ზემოთ ვნახეთ და რამაც დიდი მწერლის მშვენიერი მოთხრობა უფერულ და სქემატურ მასალად აქცია, ერთი მხარეა. აქ სხვა პრეტენზიაცა გვაქვს. მკითხველი იმასაც შენიშნავდა, რომ მოთხრობა საერთოდ ცუდად არის თარგმნილი, არაბუნებრივად ჟღერს. მახვილი თვალი და სმენა პირველივე წაკითხვით იგრძნობს ამ უხერხულობას და, ალბათ, საჭირო არც კია ამ პატარა მოთხრობის თარგმანის განხილვა და გაანალიზება. არც კი იცი, როგორ დაარწმუნო მთარგმნელი, რომ წინადადებაში — „დედამ თვალი მოჰკრა ა მ ა ს და

მამას ჩუმად უთხრა" — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ ორი ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვის ერთმანეთის მიყოლებით დაწერა უხერხულია; რომ მამის შეკითხვა — „ბავშვებო, რომელიმეს ხომ არ შეგიჭამიათ ქლიავი?" — ნამდვილი სასაუბრო ქართული არ არის და უხერხულად ჟღერს; რომ ამის მომდევნო წინადადება — „უბედურება ის კი არ არის, რომ რომელიღაც თქვენთაგანმა შეჭამა ქლიავი, არამედ ის, რომ მას კურკა აქვს და თუ გადაყლაპა ერთ დღეში მოკვდება" — საერთოდ უხერხულად ჟღერს, ხოლო ფრაზა „ის, რომ მას კურკა აქვს" არ შეიძლება ასე დაიწეროს. ამას გარდა ორიგინალის სიტყვები: „Что съел кто-нибудь из вас, это нехорошо; но не в этом беда"... უფრო რბილად ჟღერს ვიდრე ქართული — „უბედურება ის კი არ არის"... ზემოთაც ითქვა, ყველა სიტყვის ზუსტი ლექსიკონური თარგმანი ასევე ზუსტად როდი გადმოსცემს კონტექსტის აზრსა და განწყობილებას.

ალარაფერს ვამბობთ, იმაზე, რომ „ვერ მოითმინას" მაგივრად აშკარად აჯობებდა რომელიმე ქართული იდიომის — თუნდაც „სულმა წასძლიას" — გამოყენება. არა, აქ აზრობრივი შეცდომა არ არის. მაგრამ რაკი ჩვენი ძირითადი მიზანია ბავშვს საფუძვლიანად შევასწავლოთ დედაენა და მის ზღაპრულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას ვაზიაროთ, თავიდანვე უნდა ვეცადოთ, სადაც ბუნებრივი იქნება და კონტექსტის განწყობილებას მოუხდება, ახალ-ახალი იდიომური გამოთქმები გამოვიყენოთ. ასეთი საკითხები წვრილმანად ნურავის მოეჩვენება.

ერთი სიტყვით, „გოზინაყი" ტოლსტოისეული „კურკის" ცუდი ვარიაციაა და ამიტომ ჯობდა სახელმძღვანელოში შეგვეტანა ამავე თემაზე დაწერილი სხვა მასალა. თუნდაც ტოლსტოისავე ზემოთნახსენები პატარა მოთხრობა მატყუარა მწყემს ბიჭზე.

ზემოთ რომ გაფუყულ და არაბუნებრივ, მაღალფარდოვან მეტყველებაზე ვლაპარაკობდით, ამ პატარა მოთხრობებშიაც ვხვდებით ასეთი „მაღალფარდოვანობის" ნიმუშებს; აქაც ვხვდებით ეპი-, მაგალითებს, თუ როგორ თავგამოდებით ცდილობთ ბავშვი თავიდანვე დაღვლარჯნილ მეტყველებას შევაჩვიოთ. მკითხველი ალბათ შენიშნავდა: როცა პატარა შალვა გოზინაყს დაინახავს თაროზე, უბრალოდ კი არ გაიფიქრებს, მოვიპარავო, არამედ „თავში ასეთი ფიქრები დაებადება"... დედამ უბრალოდ კი არ უთხრა,

შენი სიმართლე მჯერაო, არამედ უფრო „ამაღლებულად“ მიმართა: — „მე მჯერა, რომ შენ მართლის მთქმელი ხარო“... უბრალოდ კი არ უთხრა, ნუღარ დაივიწყებო, არამედ... „შემდეგისათვის ეს ჩემი რჩევაც არ დაივიწყოო“... ავტორი უბრალოდ კი არ გვამცნობს — დედა არ გაუჯავრდაო, არამედ უფრო მაღალფარდოვნად გადმოგვცემს — „მაგრამ მაინც შვილს არ გაურისხდაო“, რადგან გაჯავრება „უბრალოა“, ხოლო განრისხება უფრო „ამაღლებული“...

არა, ეს წვრილმანები არ არის. ეს არის მთელი სისტემა, რაც, ნებით თუ უნებლიეთ, იმას ემსახურება, რომ ადამიანი როგორმე სადა მეტყველებას გადავაჩვიოთ და მაღალფარდოვან, გაფუყულ, დაღლარჭნილ მეტყველებას შევაჩვიოთ.

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უფრო სწორი და ბუნებრივი იქნებოდა პირი მოითხუპნაო. ტუჩები მოითხუპნაო, არ იტყვიან ხოლმე. არც იმას იტყვიან, თაფლით ტუჩები არ მოგესვაროსო.

ზემოთ იუმორი ვახსენეთ. იუმორს საბავშვო ნაწარმოებში მარტო ის მნიშვნელობა კი არ აქვს, რომ უფრო ხალისიანი წასაკითხი და ადვილი შესათვისებელია, სურათის ცოცხლად დახატვას უწყობს ხელს, და ამ სურათს ასევე ცოცხლად ამახსოვრებს ბავშვს... ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია და ეს სიკეთე უსათუოდ იგულისხმება. იუმორს საბავშვო ნაწარმოებში ის უფრო ფართო და შესანიშნავი სიკეთეც აქვს, რომ ადამიანის სასურველი ხასიათის ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს... მაგრამ ეს დიდი თემაა და აქ გაკვრით მხოლოდ იმიტომ შევეხეთ, რომ დაბალი კლასების სახელმძღვანელოების შემდგენელებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ საქმეს. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ გამოჩენილი პედაგოგების, და მათ შორის ჩვენი იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნები ასეთი იუმორისტული მოთხრობებით არის სავსე. ვისაც კი ოდესმე უსწავლია, სიბერემდე ცოცხლად ახსოვს „თხა და გიგო“, „მკვეხარა ქოთანი“, „ნუცას სკოლა“, „ქურდი და მამალი“, „ბუზი და ეტლი“, „კუდა ხარი და ბუზები“, „მკვეხარა მამალი“... იმ კონკრეტულ მორალთან ერთად, რაც ამ მშვენიერ მოთხრობებს აქვთ, მათი იუმორის ძალა განუზომელად დიდია ადამიანის საერთო გაკეთილშობილებისა და ხასიათის ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენს სახელმძღვანელოებს როცა ათვალიერებ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს შემდგენლებს კარგად არა ჰქონდეთ გათვალისწინებული ეს მნიშვნელოვანი საკითხი. იუმორისტული ნაწარმოებების ხვედრითი წონა ამ სახელმძღვანელოებში (იგულისხმება ახალი ნაწარმოებები) შემცირებულიც არის და თან ხშირად ის ნათელი სისადავე და ხატოვანებაც აკლია, რაც იუმორისტულ ნაწარმოებს საერთოდ და განსაკუთრებით კი საბავშვო იუმორისტულ ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს.

„ჯილდოში“ წმინდა დიდაქტიკური ხასიათის უხერხულობანი გვხვდება.

ძოთხრობაში ბაირონის ბავშვობის რაღაც ეპიზოდია გადმოცემული და ჩვენს პირველ გაკვირვებას სწორედ ეს იწვევს. შესაბე კლასელი მოსწავლის სამყაროში, მის ცნობიერებაში ახალი სიტყვა შემოგვყავს — დიდი ინგლისელი პოეტი, თავისი დროის მოწინავე ადამიანი, თავისუფლებისა და სამართლიანობის მომღერალი. ალბათ ასე უნდა დაუხასიათოს მასწავლებელმა 9 წლის ბავშვს მოთხრობის გმირი. მოსწავლის ცნობიერების გაფართოება, უცხო მწერლების თუნდაც ზერელედ გაცნობა დიახაც მისასალმებელია, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ცხრა წლის ქართველი ბავშვისათვის ბაირონის გაცნობა ნაადრევია და ამიტომ იმდენად ზეელეც, რომ ეს გაკვეთილი ფუჭად დაკარგული დროა. მალე დაივიწყებს მოსწავლე, რადგან ამ პოეტს მესამე კლასელი ქართველი ბავშვი, იდეალურ შემთხვევაშიაც კი, 5-6 წლის შემდეგ თუ შეხვდება. ასე რომ, ბაირონის მაგივრად უმჯობესი იქნებოდა მის თვის გაგვეცნო ბავშვობის რაიმე ეპიზოდი (თუ ასეთი ეპიზოდი პედაგოგიურად აუცილებელია), ვთქვათ, ტოლსტოის, კრილოვის... თუნდაც ტვენის ან ბიჩერ სტოუს ცხოვრებიდან; რადგან ეს უკვე დაკარგული დრო არ იქნება, ამათზე ბევრი რამე შეიძლება უამბოს მასწავლებელმა, ამათ ხვალ ან ზეგაც შეხვდება მოსწავლე და ამიტომ მათი შემოყვანა ბავშვის ცხოვრებაში გამართლებული, საფუძვლიანი და შედეგიანი იქნება. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კრილოვისა და ტოლსტოის ნაწარმოებებს მეორე კლასშიაც სწავლობენ, მესამე კლასშიაც, მომდევნო წლებშიაც. ასე რომ, თუ ამ მწერლების ცხოვრებიდან გავაცნობთ რაიმე ეპიზოდს, ეს უფრო გააღრმავებს ბავშვის ცოდნას.

იქნებ შინაარსი და იდეა აქვს მოთხრობას ისეთი მომხიბლავი

და დიდაქტიკურად ძვირფასი, რომ წიგნის შემდგენლები ვეღარ შეელიენ?

ბაირონის სკოლაში წესად ჰქონიათ: „ყოველ წელიწადს ეწყობოდა შეჯიბრება, თუ რომელი მოსწავლე დაწერდა საუკეთესო ნაწარმოებს. ვინც პირველობას მიიღებდა, მას გამარჯვების ნიშნად გვირგვინს ადგამდნენ თავზე“.ერთ დღეს ბაირონის გულითადი მეგობარი მოწყენილი მოვიდა სკოლაში. მამაჩემი თავს იკლავს, მოსვენება დაკარგა, სულ ჩემი გვირგვინი ელანდება, მეუბნება გინდა თუ არა, ჯილდო შენ უნდა მიიღო; მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ გვირგვინი შენ შეგხვდებაო. ბაირონი დაამშვიდებს — ვეცდები კარგი ლექსი დავწერო და იმ ლექსს შენ წარადგენ, როგორც შენს დაწერილსო. დადგა შეჯიბრების დღეც. გამარჯვების გვირგვინი ბაირონის მეგობარს დაადგეს თავზე. მერე ბაირონი გამოიძახეს და როცა იმას მეორე ჯილდო გადასცეს, მეგობარმა წამოიძახა: „ჯორჯ, ეს გვირგვინი შენიაო“. „დარბაზში მჭუხარე ტაში გაისმა. ტკბილად იღიმებოდა ბაირონის დედა, რომელიც რამდენიმე წუთის წინ თვალცრემლიანი მისჩერებოდა შვილს, რადგან მის თავზე გვირგვინს ვერ ხედავდა; ახლა დედა ამაყობდა შვილით, რომელმაც ამხანაგის გულისათვის ასეთი მსხვერპლი გაიღო. სიხარულით ფეხზე აღარ იდგა რობერტის (ბაირონის მეგობრის) მამაც, რომ მისმა შვილმა... თავისი შეცდომა გამოასწორა“... ასე მთავრდება ეს ნაწარმოები.

მხატვრული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ მოთხრობას, იგი დამაჯერებლობას მოკლებულია; ჯერ რატომ იკლავდა ეს დარბაისელი კაცი თავს შვილის ჯილდოსათვის: ძილი და „მოსვენება დაკარგა, სულ შვილის გვირგვინი ელანდება“, შეჯიბრების დღეს, როცა „სასწავლებლის დარბაზი ხალხით გაიპედა, ყველა ძალაუნებურად აქცევდა ყურადღებას ერთ კაცს, რომელიც საშინლად ღელავდა... ცაითუ ჩემს შვილს გვირგვინი არ შეხვდესო, ფიქრობდა ის და ხანდახან ქურდულად (!) გადახედავდა ბაირონს“... რა მოხდა, რამ გაამწარა ეს კაცი ასე? ან არადა, თუ ასეთი პატივმოყვარეობის სენით იყო შეპყრობილი, ერთბაშად რამ გამოასწორა, რომ ბოლოს „სიხარულით ფეხზე აღარ იდგა რობერტის მამაც“... ან ბაირონის დედა რამ გაახარა — რა ამისთანა მსხვერპლი გაიღო მისმა შვილმა ამხანაგისათვის?...

დიდაქტიკური თვალსაზრისით ნაწარმოები მცდარია. ჯერ იყო და მასწავლებელმა ბავშვებს გააცნო ბაირონი, როგორც სიმართლისა და პატიოსნების ქომაგი და დამცველი და ბავშვებიც ბრმად ენდნენ თავიანთ მასწავლებელს, ზეპირად დაუჯერეს, რადგან მესამე კლასელ ქართველ მოსწავლეს წარმოდგენაც არა აქვს დიდ ინგლისელ რომანტიკოსზე, მერე კი, როცა მასწავლებელმა კლასს მოთხრობა შეასწავლა, სიმამაცისა და პატიოსნების ეს დიდი მომღერალი მატყუარა გამოდგა, ამხანაგებიც მოატყუა, მასწავლებლებიც და მშობლებიც, თავიც უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო და გულითად მეგობარსაც სირცხვილი აჭამა. იქნებ მართლაც მოხდა ბაირონის ცხოვრებაში ასეთი გაუგებრობა, მაგრამ საჭიროა ასე მივაწოდოთ ის ჩვენს მესამეკლასელ მოსწავლეებს?

აქვე გვხვდება ის უხერხულობანი, რაზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი. ის მაღალფარდოვანება, კონტექსტის განწყობილებისათვის შეუსაბამო სიტყვები და გამოთქმები. როცა ბაირონი გაიგებს მეგობრის წუხილის მიზეზს, ჩაფიქრდება. „ბაირონი ჩაფიქრდა, მერე უცებ თვალები გაუბრწყინდა და აღტაცებული გადაეხვია თავის მეგობარს". ვთქვათ, მართლა ჩაფიქრდა, ვთქვათ თვალებიც გაუბრწყინდა, მაგრამ აღტაცებული რატომ გადაეხვია, ეს ალბათ მესამე კლასელი ბავშვისათვის გაუგებარი იქნება, რადგან ჯერ კარგად არ არის შეჩვეული მაღალფარდოვანებას, ამ სტილს იგი თანდათანობით უნდა შეეჩვიოს მომდევნო კლასებში.

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება.

არა. ეს წვრილმანი და უმნიშვნელო საკითხები ნურავის ეგონება. საშუალო სკოლადამთავრებულმა ადამიანმა სრულყოფილად უნდა იცოდეს ქართული ენა, თავისუფლად უნდა მეტყველებდეს და წერდეს, თავისუფლად უნდა შეეძლოს ჩვენი ენის საარაკოდ მდიდარი ლექსიკისა და იდიომური გამოთქმების გამოყენება, და ეს უსათუოდ უნდა გაითვალისწინონ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორებმა...

ვფურცლავთ ჩვენი ბავშვების სახელმძღვანელოებს, ჩვენი ბავშვების წიგნებს და ათასი ფიქრი აღგვეძვრის. გვინდა, ვთხოვოთ ჩვენს პედაგოგებს, გამომცემლობის, განათლების დარგის მუშაკებს, ყველას, ვისაც რაიმე კავშირი აქვს ამ საქმესთან, მეტი გუ-

ლისყური და მონდომება გამოიჩინონ, მეტი სიფრთხილე, მეტი სიყვარული.

ამ კეთილშობილ საქმეში განუზომელია მწერლობის როლი. მწერლობამ მეტი დაინტერესება და ყურადღება უნდა გამოიჩინოს. იგი აქტიურად უნდა ამოუდგეს მხარში განათლების დარგის მუშაკებს. სხვაგვარად შეუძლებელია მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა. გავიხსენოთ გოგებაშვილისა და ცხვედაძის საქმიან ურთიერთობაზე დამყარებული შემოქმედებითი თანამეგობრობა ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან...

სამწუხაროდ, დღემდე სახელმძღვანელოებისა და სკოლებში მხატვრული ლიტერატურის სწავლების საქმე არ გამხდარა საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად. ისე როგორც კულტურისა და. საერთოდ, მთელი ჩვენი ცხოვრების ბევრ სხვა დარგში, გარკვეულ პერიოდში აქაც თვითდინებით სვლა, მოშვებულობა, შეუწყნარებელი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა იგრძნობოდა.

ახლა, როდესაც პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემად დადგა ბავშვთა ჰარმონიული განვითარებისა და ესთეტიკური აღზრდის საკითხები, მთელი ჩვენი მწერლობის, კულტურის მუშაკთა და მთელი საზოგადოებრიობის ვალია ყველაფერი იღონონ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად.

1975 წ.

## რომის წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა“?

თავიდანვე შევნიშნოთ: სათაურში დასმული კითხვა მარტო „ომსა და მშვიდობას“ არ შეეხება. აქ ნაგულისხმევია „ანა კარენინაც“, „აღდგომაც“, „ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკეც“, ამ ნაწარმოებთა ავტორის სხვა ქმნილებანიც... ხოლო ტოლსტოის ყველაზე შეკუმშული, ბოლო პოპულარული გამოცემა — ანუ ისეთი გამოცემა, რაც ყველას უნდა ჰქონდეს წაკითხული და არა მარტო ლიტერატორებს — თოთხმეტ მოზრდილ ტომს შეიცავს.

აქ ნაგულისხმევია ჩეხოვის მოთხრობები და პიესები. ხოლო ჩეხოვის ყველაზე შეკუმშული, პოპულარული გამოცემა თორმეტ მოზრდილ ტომს შეიცავს.

ნაგულისხმევია პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, დოსტოევსკის, ტურგენევის, გონჩაროვის, ნეკრასოვის, გორკის თხზულებები...

ესე იგი, მთელი დიდი რუსული ლიტერატურა.

იმის გამოანგარიშებას ნუღარ შევუდგებით, რამდენ ტომს შეიცავს აქ ჩამოთვლილი და არჩამოთვლილი, მაგრამ ნაგულისხმევი რუსი ავტორების პოპულარული გამოცემები. ასეთი ანგარიში შორს წაგვიყვანს და გაგვიძნელდება, რადგან ამ სათაურში ძალიან ბევრი სხვა მწერალიც არის ნაგულისხმევი.

აქ ნაგულისხმევია დიდი და მრავალფეროვანი საბჭოთა ლიტერატურა.

ნაგულისხმევია რაბლე, ჰიუგო, ბალზაკი, სტენდალი, მერიმე, ფლობერი, დე-მიუსე, მოპასანი, დოდე, ზოლა, ფრანსი, როლანი და სხვა დიდი ფრანგი მწერლები, რომელთა პოპულარული გამოცემები — ანუ ისეთი გამოცემები, რაც ყველა განათლებულ ადამიანს და არა მხოლოდ ლიტერატორებს უნდა ჰქონდეთ წაკითხული — იმდენ ტომს მოიცავს, ანგარიში ნამდვილად გავიძნელდება.

ნაგულისხმევია დიდი ინგლისური ლიტერატურა (აქედან მარტო დიკენსის ბოლო რუსული პოპულარული გამოცემა ოცდაათ ტომს მოიცავს, ხოლო სკოტისა — ოც ტომს).

ნაგულისხმევია გერმანიის, პოლონეთის, იტალიის, ესპანეთის, ამერიკის, სკანდინავიის ქვეყნების, ბულგარეთის, უნგრეთის, აღმოსავლეთის ქვეყნების ძველი დიდი ლიტერატურები.

ნაგულისხმევია ჰომეროსი, სოფოკლე, ევრიპიდე, ესქილე, პლავტუსი, არისტოფანე და საერთოდ მთელი დიდი ანტიკური მწერლობა...

მკითხველი შენიშნავდა, რომ ჩვენ ჯერ არ გვიხსენებია ჩვენი დიდი, მრავალსაუკუნოვანი, ქართული ლიტერატურა. არ გვიხსენებია იმიტომ, რომ უხერხულიც არის ვიკითხოთ, როდის უნდა, წაიკითხოს ქართველმა ადამიანმა თავისი ვეფხისტყაოსანი, თავისი ილია, აკაკი, ვაჟა, ბარათაშვილი, გურამიშვილი, ყაზბეგი, კლდიაშვილი... ეს მისი სამაგიდო წიგნებია, მისი განუყრელი და ძვირ-

ფასი მეგობრები, სიბრძნისა და მხნეობის წყარო. და თუ მაინც ძოგვინდება ასეთი კითხვის დასმა, პასუხსაც ალბათ დიდი მოფიქრება არ დასჭირდება: მუდამ, მუდამ უნდა კითხულობდეს და ლაპის ზეპირად იცოდეს...

ერთ წერილში რას ჩამოთვლი მთელ მსოფლიო ლიტერატურას. უხერხულიც კია. გამოგრჩება, ვერ მოერევი.

მაგრამ მაინც უნდა გავაგრძელოთ ჩამოთვლა. ოღონდ სხვა სფეროში.

აქვეა ნაგულისხმევი ბეთჰოვენი, ჩაიკოვსკი, ბახი, მოცარტი, შუბერტი, შოპენი, ფალიაშვილი, ჰაიდნი, შუმანი, სენ-სანსი, ბერლიოზი, ლისტი, დებიუსი, რახმანინოვი, როსინი, ვერდი, პუჩინი, ვაგნერი, ბიზე, მასნე, დონიცეტი და სხვა დიდი კომპოზიტორები, რომელთაც ყველა განათლებული ადამიანი უნდა ისმენდეს და არა მარტო მუსიკოსები თუ მუსიკისმცოდნეები...

და აქ კი უნდა შევწყვიტოთ ჩამოთვლა. ასეთი ჩამოთვლა მართლაც შორს წაგვიყვანს და აღარც საჭიროა, რადგან მკითხველი ალბათ მიგვიხვდა, რომ წერილის სათაურში დასახელებული ნაწარმოები ძალიან ფართო გაგებით არის ნაგულისხმევი. აქ დიდი მსოფლიო ლიტერატურაც იგულისხმება, მუსიკაც, მხატვრობაც... ყველაფერი, რაც კაცობრიობის არცთუ ისე გრძელი ისტორიის მანძილზე ადამიანის გენიას შეუქმნია და რაც ადამიანის სულიერ საგანძურს წარმოადგენს.

სულიერ საგანძურს! ანუ ისეთ საგანძურს, რომელსაც ყველა უნდა ეზიაროს, ყოველი ცივილიზებული ადამიანი, ყოველი თანამედროვე ადამიანი.

ამ დიდი საგანძურის შესანიშნავი თვისება ის არის, რომ არაფერი აკლდება. რაც უფრო მეტი ადამიანი დაიდებს წილს, მით უფრო ივსება, მით უფრო მეტ მომხიბლაობასა და ელვარებას იძენს.

და მეორე თვისებაც, რაც თითქმის იმ პირველს უკავშირდება: ბეშმარიტად დიდი მხატვრული ნაწარმოები, შემოქმედების რა სფეროსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს — მწერლობას, მუსიკას, მხატვრობასა თუ ხელოვნების სხვა რომელიმე დარგს — ეროვნულისა და დროის საზღვრებს არღვევს ხოლმე და ზოგადსაკაცობრიო კუთვნილებად იქცევა, სულიერი კულტურის იმ დიდ საგანძურში

დამკვიდრდება, რითაც საერთოდ ადამიანთა მოდგმა ამაყობს ხოლმე.

ახლა კი წერილის სათაურში დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ. მართლაც როდის უნდა წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა“? ანუ როდის უნდა ეზიაროს ზემოთ ნახსენებ სულიერ საგანძურს?

აქ ჩვენ წმინდა პედაგოგიური თვალსაზრისით არა ვსვამთ კითხვას. იმ თვალსაზრისით არა ვსვამთ, თუ რა თანამიმდევრობით უნდა ეზიაროს ადამიანი ამ საგანძურს, რა ხნის ბავშვს წავაკითხოთ, მოვასმენინოთ თუ გავაცნოთ ლიტერატურისა და ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები.

თუმცა ესეც მნიშვნელოვანი საკითხია.

ჩვენი კითხვა უფრო მარტივი და კონკრეტულია: როდის უნდა მ ო ა ს წ რ ო ს დღევანდელმა ადამიანმა ამ დიდი საგანძურის გაცნობა?

ვისაც სკოლაში დაუდის ბავშვები, ის თვითონვეა მოწმე, ხოლო ვისაც არა, ახლობლებისაგან მაინც უსათუოდ ექნება გაგონილი. შეწუხებული და ლამის საგონებელში ჩავარდნილი მშობლები სულ უფრო და უფრო ხშირად უჩივიან, რომ ბავშვებს მოცლა აღარა აქვთ — აღარც კითხვისათვის, არც მუსიკის მოსასმენად, არც გართობა-თამაშისათვის. ბავშვები ძლივს ასწრებენ პროგრამით გათვალისწინებული საგნების მომზადებას. უფრო გულახდილი თუ ვიქნებით, ბავშვების უმრავლესობა ვერც კი ასწრებს ამას, თუ მშობლები არ დაიხმარა. ხოლო სასკოლო პროგრამები, ისე როგორც ცხოვრების ყოველი წესი, უმრავლესობისათვის არის შედგენილი. მშობლები უჩივიან, რომ გაკვეთილების შემდეგ, სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი მაშინვე უნდა შეუდგეს საშინაო დავალების შესრულებას, რათა დაძინების დროისათვის (ზოგჯერ ესეც იდეალურ შემთხვევაში) მოსწრებული ჰქონდეს ყველა საშინაო დავალება.

სანამ ეს წერილი დაიწერებოდა, ჩვენ საუბარი გვქონდა რამდენიმე მშობელთან, რომელთა ბავშვები ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სწავლობენ. ისინი აშკარად შეწუხებულები და დაბნეულები არიან. ისადილებს თუ არა სკოლიდან მოსული ბავშვი, მაშინვე საშინაო დავალებებს უნდა ჩაუჯდეს, ხოლო როცა ბოლო დავალებას მორჩება, უკვე ძილის დროც მოდის. ამ

დროს ისეა გადაქანცული ბავშვი, რომ აღარაფრის თავი აღარა აქვს. მთქნარებით წამოდგება, ლამის წლებით დაღლილი ადამიანივით ინატრებს, ერთი კარგად გამომაძინაო, უგემურად მოციცქნის პურს და დასაძინებლად მიეშურება. ბავშვებს ლამის ბავშვური ხალისი და უდარდელობა დაეკარგოთ.

ეს არის ყველა ოჯახის საზრუნავი და საფიქრალი. ეს ჩივილი ყველა ჩვენგანს ესმის ყოველდღიურად. მშობლებს უნდა მივუტევოთ, თუ ცოტათი ამუქებენ სურათს.

ცხოვრება წინ მიდის. მეცნიერების ყოველი დარგი წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდება. კერძოდ, ე. წ. ზუსტი მეცნიერებანი სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ისე განვითარდა, რომ ლამის კაცობრიობის საუკუნოვან ოცნებასაც კი (სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ხალხთა მიერ ზღაპრებში გამოთქმულსა თუ უფრო უახლოესი საუკუნეების ფანტასტთა რომანებში ჩამოყალიბებულს) გაუსწრო.

ამან, ბუნებრივია, თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს სასკოლო პროგრამებშიაც.

პოულობს კიდეც.

სასკოლო პროგრამები დიდდება, ივსება, იბერება...

და ამიტომაც არის, რომ ბავშვს თავისუფალი დრო აღარ რჩება. ბავშვი სასკოლო პროგრამამ შთანთქა, პროგრამით გათვალისწინებული საგნების მომზადებას უნდება და სხვა რამეზე კი დრო არა რჩება.

ახლა იმასაც დავუფიქრდეთ, რა არის ის სხვა რამე, რაზედაც ბავშვს დრო არა რჩება?

ეს არის სწორედ ის დიდი სულიერი საგანძური, რაც კაცობრიობას შეუქმნია და რასაც უსათუოდ უნდა ეზიაროს ადამიანი. ეს არის ის, რამაც ადამიანი ადამიანად უნდა აქციოს, ამ სიტყვის ფართო და სასურველი გაგებით. ეს არის ის მთავარი, რამაც ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, მისი ხასიათის ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი, ყოველმხრივი ცოდნა მისცეს, გააკეთილშობილოს, გაასპეტაკოს, მაღალი ჰუმანური იდეებითა და გრძნობებით აღჭურვოს. ცალმხრივად განვითარებული ადამიანი თანამედროვე გაგებით არ შეიძლება სრულყოფილი ადამიანი იყოს. ცალმხრივად განვითარებული ადამიანი არ შეიძლება ჩვენი ახალი საზოგადოების ღირსეული წევრი იყოს.

ადამიანის მთელი ცხოვრება თავისებურ აღმოჩენათა დიდი ჯაჭვია. ყოველდღიურად ხდება ეს აღმოჩენები, დაბადების დღიდან მოკიდებული სამარის კარამდე. სხვათა მიერ აღმოჩენილსა და განცდილს ხელახლა აღმოაჩენს ხოლმე ყოველი ადამიანი, და ასეთი აღმოჩენის თავისებურება ის არის, რომ მილიარდჯერ აღმოჩენილსა და განცდილს იგი სულ ახლებურად დაინახავს, ახლებურად აღიჭვამს და განიცდის, თავისებურად მოქმედებს ეს აღმოჩენილი მის ცნობასა და გრძნობებზე.

აქ, რაღა თქმა უნდა, ნაგულისხმევია არა ის დიდი მეცნიერული აღმოჩენები, რაც ზოგჯერ კაცობრიობის განვითარებას ახალ საფეხურზე აიყვანს ხოლმე და ახალ მიმართულებას მისცემს. აქ სხვა აღმოჩენებს ვგულისხმობთ, პატარა აღმოჩენებს, რაც ცალკეული ადამიანის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, მაგრამ, მასშტაბის სიმცირის მიუხედავად, მაინც განუზომელად დიდი საერთო-საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველი ცალკეული ადამიანი დიდი საზოგადოების წევრია.

ერთბაშად აღმოაჩენს ხოლმე ყოველი ცალკეული ადამიანი, ვთქვათ, ბეთჰოვენის მუსიკას, ტოლსტოის გმირების რთულსა და მომხიბლავ ურთიერთობას, დანიის პრინცის მძიმე ადამიანურ სევდას, ესპანელი იდალგოს ძალიან სუფთა და კეთილშობილ, მაგრამ აუსრულებელ მისწრაფებებს, ვერდის გმირების ბგერებით გადმოცემულ დაუოკებელ ვნებათაღელვას, მეთექვსმეტე საუკუნის ფლორენციელი მანდილოსნის სევდაგარეულ გამოუცნობ ღიმილს, რომელიც დიდი ოსტატის ყალამს ტილოზე გადაუტანია და მომდევნო საუკუნეების მილიონობით ადამიანს სულ სხვადასხვა განწყობილებებითა და შთაბეჭდილებებით აღავსებს...

იმ აღმოჩენათა ჩამოთვლა, რასაც ყოველი ადამიანი ახდენს ხოლმე თავისი ცხოვრების გზაზე, მართლაც შეუძლებელია, არავითარ კიბერნეტიკულ მანქანას არ ძალუძს.

უფრო კონკრეტულად და უფრო გაბედულად თუ ვიტყვით, ამ თვალსაზრისით რამდენი ადამიანიც მოისმენს, ვთქვათ, ბეთჰოვენის განუმეორებელ „კორიოლანოსსა“ თუ „მთვარის სონატას“, იმდენი „კორიოლანოსი“ და „მთვარის სონატა“ არსებობს.

ოღონდ აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ.

ათასჯერ შეიძლება მოისმინოს ადამიანმა იგივე „მთვარის სო-

ნატა", ათასჯერ შეიძლება წაიკითხოს „ჰამლეტი" და „ანა კარენინა" და ათასჯერვე სულ ახალი და ახალი სილამაზე აღმოაჩინოს მათში, სულ ახალი და ახალი განწყობილება შეექმნას... ოთხმოცი წლის ადამიანსაც შეიძლება გული ყმაწვილურად აუჩქროლოს და თანაგრძნობის ცრემლი მოჰგვაროს, ვთქვათ, ვერტერის, მანონ ლესკოსა თუ აბესალომისა და ეთერის სევდიანმა თავგადასავალმა...

მაგრამ იმ პირობით, რომ ვერტერიც, მანონ ლესკოც და აბესალომ და ეთერიც უსათუოდ ყმაწვილობაში უნდა ჰქონდეს წაკითხული. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს თვლება სიყვარულის ასაკად (ჩვენ აქ შეგვეძლო დაგვესახელებინა არა ეს სევდიანი მიჯნურობის მოთხრობები, არამედ ისეთი ღრმა ფილოსოფიური ნაწარმოებები, როგორიცაა „ფაუსტი" და „ღვთაებრივი კომედია"), არამედ იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს ყალიბდება ადამიანი ადამიანად, ამ დროს იძერწება მისი სათნოება, პატიოსნება, კეთილშობილება, ამ დროს იხვეწება და ფაქიზდება მისი გრძნობები, ამ დროს გამოიკვეთება მისი ხასიათი და მსოფლმხედველობა.

ყველაფერს თავისი დრო აქვს.

თუ ექვსი-შვიდი წლის ბავშვმა არ მოისმინა წიქარასა და მისი მეგობარი ბიჭუნას გულისშემძვრელი მეგობრობის ამბავი, თუ 10—12 წლისამ არ წაიკითხა ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის მომხიბლავი თავგადასავალი, ოცი წლის ჭაბუკისათვის მას, რაღა თქმა უნდა, ის ემოციური ზემოქმედების ძალა აღარ ექნება, და ასეთ ჭაბუკს აქილევსისა და პატროკლეს მეგობრობაც ვეღარ აუძგერებს გულს.

ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ადამიანმა იქნებ მოახერხოს თავი გადასდოს და, ვთქვათ, სამოცი წლისამ ერთბაშად გადაიკითხოს მთელი ნაღები მსოფლიო ლიტერატურისა, „ქინაქინიდან" დაწყებული „ფაუსტით" გათავებული; ერთბაშად მოისმინოს ყველაზე საუკეთესო ქმნილებანი, რაც ზემოთ ჩამოთვლილ კომპოზიტორებს შეუქმნიათ. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანში მოასწრებს ამას, მაგრამ, ვთქვათ, ძალიან გამოიდო თავი და ერთ წელიწადში მოახერხა ყველაფრის წაკითხვაც, ნახვაცა და მოსმენაც...

ექნება კი ამას რაიმე ფასი?

თითქმის არავითარი!

ამ კონკრეტული შემთხვევისათვის, რასაც დღეს ჩვენს წერილში ვუსვამთ ხაზს, სულაც არავითარი!

ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ზემოთ ნახსენებ დიდ სულიერ საგანძურში შემავალი ყოველი ქმნილება კიბის საფეხურივით არის. ამ საფეხურებით ადის ადამიანი იმ დიდ გადასახედზე, საიდანაც მთელი ადამიანური ცხოვრება გადაიშლება ხოლმე. რაც უფრო მაღალია ეს კიბე, ცხოვრების ჰორიზონტიცა და თვალსაწიერიც უფრო ფართო და განუსაზღვრელია; თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ რაც უფრო მაღლა ადის ამ კიბეზე ადამიანი, მით უფრო სპეტაკდება, მით უფრო სულიერად მაღლდება იგი. ხოლო ცხოვრების ფართო ჰორიზონტის აღქმისა და მის მრავალფეროვან საკვირველებათა შეცნობის უნარი მხოლოდ სულიერად მაღალი ადამიანის პატიოსან თვალსა აქვს.

ამ კიბეს სხვა თავისებურებაცა აქვს. მისი ერთბაშად არბენა არ შეიძლება. ნელ-ნელა უნდა აიაროს ადამიანმა ეს საფეხურები, თანდათანობით, წლიდან წლამდე, ფიზიკურ ზრდასთან ერთად. ნელ-ნელა და თანდათანობით უნდა გაიქარვოს წიქარასა და ვაჟას შვლის ნუკრის სევდა; დიდხანს უნდა ეწურებოდეს გული აბესალომ და ეთერისა და მანონ ლესკოს თანაგრძნობით; მთელი თვეობითა და იქნებ წლობითაც იხეტიალოს ქალაქ-ქალაქ დავით კოპერფილდთან ერთად; ნატაშა როსტოვასა და ვერტერთან ერთად ღამეები ტეხოს; სიჭაბუკის ერთ პერიოდში მარტინ იდენის სიამაყე და შეუპოვრობა მასაც შემოქმედებით ნებისყოფას და ბედის დაუმორჩილებლობას შთააგონებდეს; შოპენის რომელიმე ეტიუდის მელოდიაც კვირაობით თანა სდევდეს; ჰამლეტის უპასუხოდ დატოვებულმა კითხვამ მასაც ტვინი გაუხვრიტოს და აღარ მოასვენოს...

ასე თანდათანობით ყალიბდება ადამიანი, ასე თანდათანობით სპეტაკდება და სულიერად მაღლდება...

მაგრამ ისევ იმ კითხვას დავუბრუნდეთ.

როდის? როდის უნდა მოასწროს ადამიანმა ეს?

ამისი პასუხი ახლა, ასეთი მსჯელობის შემდეგ, ადვილია: რა თქმა უნდა, თანდათანობით, თავიდანვე, ბავშვობიდანვე, ყველაფერი თავის დროზე!

და მაინც როდის მოასწროს?

ეს კითხვა სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის. და არა მარტო ჩვენში. მთელ მსოფლიოში. ყველას აწუხებს ეს საკითხი. ყვე-

ლა განათლებულ ადამიანს, ვინც კი კაცობრიობის დღევანდელსა და ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, ვისაც კაცობრიობის ბედი აწუხებს.

კითხვა თითქმის ყველგან ასე ისმის, მაგრამ პასუხი კი არა ჩანს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რაკი პრობლემა საერთოა, პასუხის გაცემა, ამგვარივე საერთო პასუხის მოლოდინში, არავის ევალებოდეს, და თითქოს თავს არც არავინ იწუხებდეს პასუხის გასაცემად.

პრობლემის სირთულე სულაც არ გვაძლევს უფლებას, მისი გადაწყვეტა რაც შეიძლება შორს გადავწიოთ. არც ის იქნება გონივრული, ვინმემ ერთბაშად მოინდომოს ამ დიდი საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ დაწყება კი უსათუოდ საჭიროა; რაც უფრო გადაიდება, მით უფრო საზიანოა საქმისათვის. საჭიროა კონკრეტული და თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება. და შემაშფოთებელი სწორედ ის არის, რომ ასეთი კონკრეტული და თანმიმდევრული ღონისძიებები არა ჩანს.

კიდევ ვიმეორებთ, რამდენი ხანია მშობლებისაგან გვესმის, გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ ჩვენი სასკოლო პროგრამები მეტისმეტად გადატვირთულია. ბავშვებს დრო აღარ რჩებათ არც მუსიკის მოსასმენად, არც თეატრში წასასვლელად, არც მუზეუმების დასათვალიერებლად, არც წიგნის წასაკითხად, არც თამაშისათვის...

თითქმის ყოველდღე გვესმის ეს და მაინც ჯერჯერობით პრაქტიკულად არა სჩანს რაიმე გაკეთებულიყოს პროგრამების გ ა ს ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ლ ა დ. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ სიტყვას: გ ა ს ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ლ ა დ და არა მექანიკურად შ ე ს ა კ ვ ე ც ა დ ა. შ ე ს ა კ უ მ შ ა დ. რადგან შეკუმშვა ზოგჯერ კარგად არ არის გაგებული, და ასეთი შეკუმშვა უფრო საზიანოც არის. შეკუმშულია, მაგალითად, მეოთხე კლასის ისტორიის სახელმძღვანელო. ვადაგვიწყვეტია მეოთხეკლასელ ბავშვს შევასწავლოთ ლამის საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი ისტორია, ანუ ის კურსი, რასაც შემდეგ უნივერსიტეტში გადიან. ვერ ვიტყვით, თითქოს პროგრამისა და სახელმძღვანელოს შემდგენლებს გათვალისწინებული არა ჰქონდეთ მეოთხეკლასელი მოსწავლის ასაკი. მაგრამ როგორ აქვთ გათვალისწინებული? სამწუხაროდ, ძალიან იოლად და ბავშვებისთვის საზიანოდ: ლამის წნეხის პრინციპით შეუკუმშავთ ეს დიდი კურსი.

კონსპექტურად შეუკრავთ. ესე იგი, ფაქტიურად, უფრო გაურთულებიათ. მარტო ის რას ნიშნავს, რომ მეოთხეკლასელ ბავშვს 200-მდე თარიღის დაზეპირება სჭირდება! ახლა რამდენი ფაქტი და მოვლენა, როგორც ითქვა, საგულდაგულოდ შეკუმშული და შემჭიდროებული. ესე იგი, უფრო მეტად გართულებული და პატარა ბავშვისათვის ძნელად შესათვისებელი.

ერთი სიტყვით, საჭიროა არა ასეთი შეკუმშვა, არამედ გაჭარტივება პროგრამისა. 9-10 წლის ბავშვს უნდა შევაყვაროთ ისტორია, ჩვენ კი ასეთი გართულებით ლამის შევაძულოთ. იმის ნაცვლად, რომ მოვუთხროთ ცალკეული ეპიზოდები, ვთქვათ, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირების (რაკი მე-4 კლასის სახელმძღვანელო ამას ასწავლის), ან ჩვენი დიდი წინაპრების — ცოტნე დადიანის, თეკლდორე მღვდლის თუ გმირი ცხრა ძმის შესახებ, ჩვენ უთვალავ თარიღებსა და რთულ მსჯელობებს ვაწვდით.

ცხოვრება წინ მიდის, მეცნიერება და ტექნიკა დღითიდღე ვითარდება, შესაბამისად სულ უფრო და უფრო იზრდება ისეღაც გაზრდილი და გაბერილი სასკოლო პროგრამები.

მაგრამ რის ხარჯზე?

რა დროის ხარჯზე?

რა საგნების ხარჯზე?

შთაბეჭდილება იქმნება, რომ იმათ, ვისაც უშუალოდ ეხება ამ რთული პრობლემის გადაწყვეტა — ჩვენს მეთოდისტებსა და პედაგოგიური დარგის მოღვაწეებს — გაიოლებული აქვთ ეს პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე:

ბავშვების „თავისუფალი დროის“ ხარჯზე! „აბესალომ და ეთერისა“ და „აიდის“ მოსმენის ხარჯზე, ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიისა და ბეთჰოვენის გმირული სიმფონიის მოსმენის ხარჯზე! „მეფე ოიდიპოსისა“ და „სამანიშვილის დედინაცვლის“ ნახვის ხარჯზე! „ვეფხისტყაოსნისა“ და „ჰამლეტის“ წაკითხვის ხარჯზე! სამხატვრო გამოფენებისა და მუზეუმების დათვალიერების ხარჯზე!..

სულაც თამაშისა და ბუნების წიაღში გასეირნების ხარჯზე! ოცნებისა და ფიქრის ხარჯზე!..

თითქოს გვავიწყდება ის ჭეშმარიტება, რომ ტოლსტოი, შექსპირი და ბეთჰოვენი, ანუ ის დიდი სულიერი საგანძური, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ყველა ადამიანს სჭირდება:

საშუალო განათლების „რიგით“ მოქალაქესაც და ურთულესი დარგის მეცნიერსაც.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია: ეს სულიერი საგანძური თითქოს უფრო დაბალი ღობე გამოდგა, უფრო ადვილად დასათმობი და გასაწირავი. ეს, რასაც ჩვენ თანამედროვე ადამიანის სრულყოფილ მოქალაქედ ჩამოყალიბების ყველაზე მაღალსა და კეთილშობილ ფუნქციას ვაკისრებთ, ცხოვრების გამალამაზებლისა და გამამშვენიერებლის, ადამიანის სულიერად განმასპეტაკებლისა და ზნეობრიად აღამაღლებლის ფუნქციას.

ამის შემდეგ აღარ უნდა გაგვიკვირდეს ის მეტად გულდასაწყვეტი ფაქტი. როცა მაგალითად, კლასიკური მუსიკის კონცერტებზე მაყურებელთა დარბაზი თვალშისაცემად და უსიამოვნოდ შეთხელებულია; როცა საოპერო სცენიდან ლამის ასკაციანი გუნდი, ამდენივე რაოდენობის ორკესტრი და ისეთი მასშტაბის სოლისტი მომღერლები, რომელთაც მსოფლიოს ბევრი საოპერო თეატრი ინატრებდა, დაბნეულები და შეურაცხყოფილები გადმოჰყურებენ ვეება დარბაზში კანტიკუნტად გაფანტულ ოციოდე მაყურებელს; როცა დრამატულ თეატრებშიაც მეტისმეტად ხალხნაკლებობაა; როცა ჩვენს მუზეუმებში ადგილობრივ ახალგაზრდობას იშვიათად შეხვდები; როცა საშუალო სასწავლებელდამთავრებულ თბილისელ ჭაბუკს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე ერთბაშად ენა ჩაუვარდება და ვერ „გაიხსენებს“, ვისი ქანდაკება დგას ოპერის გვერდით პატარა ბაღში, და, მით უმეტეს, ამ ღვთაებრივი სახის გამომქანდაკებელი ვინ არის (ეს სამწუხარო ფაქტი მოგონილი არ გეგონოთ, გაზეთ „კომუნისტში“ იყო ამას წინათ დაბეჭდილი)...

თან კი იმავე სასკოლო პროგრამებსა და პედაგოგიკის მეთოდისტთა ტრიბუნიდან ხმამაღლა გვესმის (ნეტა ვის გასაგონად?!) მოწოდება ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაზე! „გვავიწყდება“, რომ სწორედ ეს არის ესთეტიკური აღზრდა: ჩაიკოვსკისა და შოპენის ხშირი მოსმენა, გასაოცარი გემოვნებით დახვეწილი ძველი ქართული მინიატურებისა და ფიროსმანის ნახატებისათვის ხშირი თვალის შევლება, ტოლსტოისა და შექსპირის კითხვა...

შექსპირი წერს ერთგან: კაცი, ვისაც მუსიკის გრძნობა არა აქვს და ვისზეც მუსიკალური ჰანგები არ მოქმედებენ, ყოველგვარ ბოროტებას, ღალატს, გამცემლობასა და ავაზაკობას ჩაიდენს, მისი

სული შავ ღამესავით ბნელია, მისი გრძნობები ერებოსივით წყვდიადიაო. მუსიკაში აქ საერთოდ ხელოვნებაც შეგვიძლია ვიგულისხმოთ. და დიდი ჰუმანისტის ეს სიტყვებიც იმიტომ გავიხსენეთ, რომ იმ სულიერ საგანძურს, ზემოთ რომ ვახსენეთ, მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ, და უმთავრესად, ზნეობრივი. იგი მარტო იმით, კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანის გონებრივ ჰორიზონტს აფართოებს და ანვითარებს, არამედ, განსაკუთრებით იმით, რომ სულიერად ასპეტაკებს, აკეთილშობილებს, ადამიანს ადამიანად აქცევს, ამ სიტყვის ფართო გაგებითა და მნიშვნელობით. იგი ხვეწავს გემოვნებას, ადამიანს ამაღლებს, ფრთას ასხამს მის ოცნებასა და იდეალებს, ურომლისოდაც, სხვათა შორის, თვით იმ ტექნიკასა და ე. წ. „ვიწრო მეცნიერებებშიც“ დიდ წარმატებას ვერ მიაღწევ. აინშტაინმა თავის უდიდეს აღმოჩენას მაშინ მიაგნო, როცა როიალზე ბახს უკრავდა; ივანე ჯავახიშვილი თავისი დიდი სამეცნიერო მოღვაწეობის დროს მუსიკით იყო გატაცებული, თვითონაც უკრავდა ვიოლინოზე და ფალიაშვილს, ისტორიული კონსულტაციის გარდა, მუსიკალურ სფეროშიაც აძლევდა რჩევას...

ერთი სიტყვით, პრობლემა დიდია და სერიოზულ მოფიქრებას მოითხოვს.

საჭიროა საზოგადოებრივი აზრი შეიქნას, რადგან ძნელია ისეთი პასუხის მოძებნა, რომ სწავლების საქმე სასურველი ჰარმონიულობით წარიმართოს და არც ერთი მხარე არ დაზარალდეს — ანუ ბავშვის ნორმალური აღზრდა არ დაზარალდეს.

ყველას ესმის ამ პრობლემის სირთულე და სერიოზულობა და მაინც ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას ადამიანს, თითქოს ამ დარგის მესვეურებმა საქმე მეტისმეტად გაიიოლეს და ძალიან მარტივად გადაწყვიტეს ეს თავსატეხი ამოცანა...

ბავშვის „თავისუფალ დროს“ ეცნენ და ჩამოაჭრეს...

ჯერ ცოტა, მერე უფრო მეტი...

მერე კიდევ ჩამოაჭრეს...

ხოლო რაკი „თავისუფალი დრო“ აღარ ეყოთ, უკვე პროგრამითვე გათვალისწინებული ჰუმანიტარული საგნებიც შეკვეცეს „ოდნავ“ (ახლა ჩვენს სკოლებში აღარ ასწავლიან საზღვარგარეთული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს, ცოტა ხნის წინათ კი ასწავლიდნენ. ასწავლიდნენ, მაგალითად, „ჰამლეტს“ „დონ კიხოტს“...).

იმის ნაცვლად, რომ როგორმე პროგრამები და სახელმძღვანელოები გაემარტივებინათ, თავად გაიმარტივეს საქმე...

და მოსალოდნელმა არასასურველმა შედეგმა უფრო ადრე გამოამჟღავნა თავი, ვიდრე ამას თვითონვე წარმოიდგენდნენ.

ასე რომ ის შეკითხვა კვლავ მრისხანედ გაისმის:

როდის, როდის წაიკითხოს ადამიანმა?..

ჩვენ ის კი არა გვსურს, პედაგოგიკის დარგში მოღვაწეთა მისამართით გაკიცხვად და ბრალდებად გაისმას ეს კითხვა. ჩვენი სურვილია, საერთო ღონისძიებით როგორმე ეშველოს საქმეს. და იმ ძნელ კითხვაზე პასუხის გასაადვილებლად მეორე შეკითხვას ვსვამთ:

რაკი ეს „თავისუფალი დრო" ყველაზე უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რაკი ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბების საქმეში პირველხარისხოვანი როლი მხატვრულ ლიტერატურას, მუსიკას, თეატრსა და ხელოვნების სხვა დარგებს ენიჭება, რაკი, ამასთან, სწორედ ის არის მნიშვნელოვანი, რომ ხელოვნების ამ დიდ ქმნილებებს თავის დროზე ეზიაროს ადამიანი და ამ საქმეში დაკარგული დროის ანაზღაურება შემდეგ უკვე აღარ ხერხდება, რაკი ესთეტიკური აღზრდის ეს „ელემენტარული კურსი" უსათუოდ ბავშვობაში უნდა გაიარო, ე. წ. ზუსტ მეცნიერებათა ელემენტარულ კურსთან ერთად, იქნებ ისე ავაგოთ სასწავლო პროგრამები, რომ უფრო მოგვიანებით სწორედ ის რთული სამეცნიერო-ტექნიკური საკითხები მივაწოდოთ, რაც ცხოვრების საერთო განვითარებას ბუნებრივად მოჰყვა.

იქნებ როლები შევცვალოთ: რთული და ძნელად დასაძლევი ტრიგონომეტრიული ამოცანებისა თუ ფიზიკის ასევე რთული პრობლემების ცოტა უფრო მოგვიანებით მიწოდების ხარჯზე იქნებ კვლავ დავუბრუნოთ ბავშვს უსამართლოდ ჩამოჭრილი „თავისუფალი დრო"... შექსპირისა და დიკენსის წასაკითხად; ბეთჰოვენისა, ჩაიკოვსკისა და ფალიაშვილის ხშირად მოსასმენად; ძველი ქართული მინიატურებისა და ფიროსმანის ნახატებისათვის თვალის უფრო ხშირად შესავლებად; თუნდაც სათამაშოდ, სამოგზაუროდა და ბუნების წიაღში სასეირნოდ; ოცნებისა და ფიქრისათვის...

როლების ასეთი შეცვლის დროს ზემოთ ნახსენები დაგვიანების საშიშროებაც აღარ წამოიჭრება. პირიქით, ფიზიკურად, გონებრივად და სულიერად მომწიფებული ადამიანი უფრო სწრაფად შეითვისებს ამ რთულ საგნებს. ამავე მეცნიერებათა ელემენტარულ კურსს ხომ თავიდანვე გადიან ბავშვები. ვისაც ამ საგნებისადმი

მიდრეკილება აღმოაჩნდება, ვინც შეიყვარებს მეცნიერების ცალკეულ სფეროებს და ცხოვრების შინაარსად გაიხდის, მერე, უკვე მომწიფებული, მეტი ინტერესითაც დაეწაფება. ამასთან, ცალკეული რთული პრობლემების პირველივე გაცნობით ბოლომდე სასურველი სიღრმით წვდომისა და ათვისების დიდი და მნიშვნელოვანი უპირატესობაც გარანტირებული იქნება. აღარც იმის საშიშროება წარმოიშობა, ასაკისათვის შეუფერებელი სირთულის გამო ბავშვს საგანი არ შევაძულოთო!..

იქნებ უფრო გაბედულად გადაგვედგა ეს დაგვიანებული ნაბიჯი. თანაც რაკი უფრო მოგვიანებით მივაწვდით რთულ საკითხებს უკვე მოზრდილ ადამიანს, საშუალება გვექნება, უფრო დიდი დოზებითაც მივაწოდოთ (ეს უკვე პედაგოგიურადაც გამართლებული იქნება); ამასთან, იმ პროფესიისა თუ ხელობის გათვალისწინებით, რასაც თავისი მოღვაწეობის ასპარეზად აირჩევს ცხოვრებაში გამოსული და უკვე თანამედროვე მოქალაქედ ჩამოყალიბებული ადამიანი?!

ასე უნდა წარიმართოს ჩვენი ფიქრი. ეს უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი. ამაზე დიდი პრობლემა აღზრდის საქმეში ამჟამად სხვა არა არის რა. რადგან ეს ფაქტიურად ხვალინდელ დღეზე ფიქრს ნიშნავს.

და ამ საკითხებზე ფიქრის დროს მუდამ ის კითხვა უნდა გვიტრიალებდეს:

მაინც როდის უნდა წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა?“

1974 წ.

## ვისწავლოთ ტელევიზორის გამორთვა

ტექნიკურად სულაც არ არის ეს ძნელი: ხელს გადასწევთ და ზონარს გამოაძრობთ. ერთი კი აცახცახდება გამოსახულება თქვენი ტელევიზორის ეკრანზე და მორჩა, უმალვე ჩაქრება, ბგერაც სადღაც შუა ნოტზე გაწყდება და ისიც დადუმდება. თქვენც მოისვენებთ, მთელი თქვენი ოჯახიც, იქნებ თქვენი მეზობელიც... იმანაც თუ მოახერხა თქვენსავით ხელის გადაწევა და ზონრის გამოძრობა.

არა. ტექნიკურად ეს ძნელი არ არის.

ფსიქოლოგიურად არის ძნელი.

საქმეც ის არის, რომ ხელს ვერ გადასწევთ და ვერ გამოაძრობთ იმ ზონარს. თქვენ ჰიპნოზირებული ხართ. უზიხართ ტელევიზორს და შეჰყურებთ, ისმენთ... გულისყური იქნებ სულ სხვაგანა გაქვთ. მაინც შეჰყურებთ და ისმენთ... თვალი გებლიტებათ — მაინც ზიხართ და ისმენთ... სხვაგვარად ვერ წარმოგიდგენიათ.

სამსახურიდან დაბრუნებულს, — ბინის კარს რომ შეაღებთ და შინ შეხვალთ, — ჯერ პალტო არ გაგიხდიათ და თვალი კი ტელევიზორისაკენ გაგირბით. ბავშვებისათვის არის გადაცემა, სულ პატარებისათვის — თქვენ კი ზიხართ და ისმენთ, შეჰყურებთ. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის ლექციასაც ერთგულად ისმენთ, სპორტულ გადაცემასაც... თუმცა იქნებ სპორტი არასოდეს არ გყვარებიათ... ზიხართ ასე შუაღამემდე და შეჰყურებთ, ისმენთ... დამშვიდებულ-მოსვენებულიცა ხართ: მთელი ოჯახი შინაა, თქვენს გვერდით სხედან და ტელევიზორს შეჰყურებენ.

ძველად, სანამ ტელევიზორი შემოიჭრებოდა თქვენს ოჯახსა და ცხოვრებაში, უფრო მოუსვენრად იყავით: ოჯახის რომელიმე წევრი ქალაქგარეთ სასეირნოდ წასულა და სადღაც გულისკუნჭულში მოუსვენრად ხართ, არ დაიგვიანოსო... ბიჭი ფეხბურთის მატჩზეა და ცას მალ-მალე ახედავთ, გეშინიათ, წვიმამ არ მოუსწროს, ხალხით გაჭედილ სტადიონზე სულ გაიწუწებაო; გოგონა კონცერტზეა და გაზაფხულის მოულოდნელი შხაპუნა წვიმა თუ წამოვიდა, თქვენ ჭოლგა და საწვიმარი უნდა მიუტანოთ, საკონცერტო დარბაზის შესასვლელში უნდა იყურყუტოთ, სხვა მამებსა და ძმებსავით...

დამახასიათებელი და ტკბილად მოსაგონარი სურათია არა — წვიმიან ამინდში თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების შესასვლელთან მოყურყუტე, ჭოლგა და საწვიმარმომარჯვებული მამაკაცები!..

ახლა იშვიათად მოგიწევთ ასეთი თავის შეწუხება. შინა ბრძანდებით არხეინად, მთელი ოჯახი შინაა — ფეხბურთსაც შინ ნახულობთ, კალათბურთსაც, სპექტაკლსაც, კონცერტსაც... არც იმის შიში გაქვთ, ოჯახის რომელიმე წევრმა არ დაიგვიანოსო, არც გაზაფხულის მოულოდნელი წვიმა შეგიშფოთებთ მოსვენებას, არც ფეხბურთის ბილეთზე წინასწარი ზრუნვა გჭირდებათ, არც თეატრისა და კონცერტის ბილეთებით იწუხებთ თავს... ტელევიზორმა ეს პრობლემები იოლად გადაჭრა.

მთელ მოვლენად იქცა ტელევიზორი ადამიანის ცხოვრებაში... ცხოვრების რიტმი და მაჯისცემა შესცვალა, მისი წესი და ხასიათი...

შინ რომ დაბრუნებოდით, გასაღების გადატრიალებას ვერ მოასწრებდით, რომ მთელი ოჯახი შემოგეგებებოდათ — დედა, ცოლი, შვილი, შვილიშვილები... შვილს ფეხბურთის ან კალათბურთის ბილეთს მოუტანდით, მეორე შვილს დააშოშმინებდით — კონცერტის ბილეთს შემპირდნენ, უსათუოდ გიშოვიო, ცოლს გაახარებდით — დღეს კინოში მივდივართო. ისადილებდით, ჯაზეთებს გადაათვალიერებდით, შვილებს გაკვეთილებს შეუმოწმებდით, გამოჰკითხავდით, ვთქვათ, „არსენა მარაბდელი“ ან „დიდოსტატის მარჯვენა“ („ტომ სოიერი“, „დავით კოპერფილდი“, — ერთი სიტყვით, რასაც იმ დროს კითხულობდა), თუ დაამთავრეო, შთაბეჭდილებასაც ჰკითხავდით, გმირების დახასიათებებსაც მოისმენდით... ამასობაში ოჯახის ყველაზე პატარა წევრის დაძინების დრო მოაწევდა და თქვენ ზღაპარი უნდა გეამბნათ მისთვის. ყველაზე კარგი და საინტერესო ზღაპარი. და გონებაში უნდა შეგერჩიათ, რომელი ზღაპარი იყო ჯერ ახალი და უცნობი თქვენი შვილისა თუ შვილიშვილისათვის...

ახლა ეს ყველაფერი გაადვილებულია, უსხედხართ ტელევიზორს და მთელი ოჯახი ერთად შეჰყურებთ კინოსაც, სპექტაკლსაც, ფეხბურთსაც, კალათბურთსაც... და ზოგჯერ ტელეფონის ზარი თუ გაიწკრიალებს, თან ელაპარაკებით თქვენს მეგობარს და თან კი ცალი თვალი ტელევიზორისკენა გაქვთ...

ახლა ზღაპარსაც რადიო უამბობს ძილისწინ ბავშვებს. და თუმცა იმ მსახიობს, ვინც თქვენს მაგივრად უამბობს ზღაპარს თქვენს შვილსა თუ შვილიშვილს, ხმაც თქვენზე კარგად აქვს დაყენებული, დიქციაც, და არც ტექსტი შეეშლება, თქვენს შვილსა თუ შვილიშვილს მაინც თქვენი ზღაპარი ურჩევნია, იმიტომ, რომ მისი მამა ხართ, პაპა ხართ მისი, იმიტომაც, რომ ზღაპართან ერთად ბავშვს თქვენი ცოცხალი სუნთქვა ესმის, თქვენი სხეულის სითბოს გრძნობს. სიბნელეში გხედავთ კიდეც ნახევრად მოხუჭული თვალებით... იმიტომაც, რომ თქვენ ზოგჯერ შეგეშლებათ, ზოგჯერ თქვენდა უნებურად ისეთ ეპიზოდს ჩაურთავთ ამ ახალ ზღაპარში, რაც წინადღეებში სხვა ზღაპრებშიაც გიამბნიათ და ეს გაახარებს იმ თქვენს პატარა მსმენელს, გააცინებს... თუ ეს მეორე ოთახში

დედისა თუ დიდედის წყრომას გამოიწვევს, ეს დიდად არც გაწუხებთ...

რადიო და ტელეტექნიკამ ყველაფერი გაგვიადვილა. ახლა თქვენს მაგივრად ისა ჰყვება ზღაპარს.

ზღაპარი კიდევ არაფერი.

იგი უფრო ღრმად შემოიჭრა თქვენს ცხოვრებაში. თქვენს მაგივრად მღერის. თქვენს მაგივრად უკრავს...

ჭუჩაში რომ გაივლიდით, შეღებული ფანჯრებიდან გესმოდათ ხოლმე, — და შეგეძლოთ სურათიც კი ცოცხლად წარმოგედგინათ, თუმცა ვერა ხედავდით, — აგერ პიანინოს მისხდომიან დედა და შვილები და „ჟუჟუნა წვიმას“ ან თუნდაც რაიმე უფრო რთულ სიმღერას მღერიან; იქ ვიღაც შოპენის ნოქტიურნს აწვალებს და თქვენ გრძნობთ, რომ ეს არ არის მუსიკალური სასწავლებლის მოწაფე, ეს დარბაისელი დიასახლისია, ოჯახური საქმიანობისაგან მოუცლია და ისვენებს, შოპენს უკრავს, გულს აყოლებს, ვერავითარი დახელოვნებული პიანისტის მოსმენა ასეთ სიამოვნებას ვერ მოჰგვრის... და უნდა გამოტყდეთ, თქვენც გსიამოვნებთ ამ ბგერების მოსმენა, რადგან თქვენთვის მიდიხართ, თქვენს საფიქრალს ფიქრობთ და ეგერ მეხუთე სართულის შეღებული ფანჯრიდან გამოჭრილი ბგერები, თუნდაც ოდნავ ყალბი და ნოტებს აცდენილი, ყურს არა გჭრით, პირიქით — სმენასაც გიტკბობთ: თქვენ ქვეცნობიერად გრძნობთ, რომ იქ, იმ ფანჯრის მიღმა, ბედნიერი ოჯახი ცხოვრობს, სიხარული ტრიალებს; ცოტას კიდევ გაივლით და მონოტონური გამების გუგუნი მოგესმით. ვინც ამ გამებს უკრავს, იმისთვის იქნებ დიდად სასიამოვნო არ იყოს ეს, მაგრამ თქვენ ესეც გსიამოვნებთ, იმავე ქვეცნობიერი გრძნობის გამო; ეგერ იმ გაჩირაღდნებული ფანჯრებიდან მოქეიფეთა სიმღერა გამოდის... რა შეხმატკბილებული იქნებოდა სიმღერა, ის ერთი რომ არ იღებდეს ყალბ ნოტს! მაგრამ გაფუჭებით არ აფუჭებს სიმღერას. პირიქით, გსიამოვნებთ კიდეც, ის ერთი რომ ყალბად მღერის. ქვეცნობიერად გსიამოვნებთ. იქნებ იმიტომ, რომ ამით აშკარად ჩანს, თვითონვე მღერიან, თვითონვე ილხენენ, დაოსტატებული მომღერლები საგანგებოდ არ მოუწვევიათ; კიდევ ცოტას გაივლით, და ეგერ ცაცხვის ქვეშ რამდენიმე ყმაწვილი ჩუმი ღიღინით რაღაც ტკბილ სიმღერას ახვევს. და ესეც სიხარულით გივსებთ გულს: იქნებ იმიტომ, რომ ამ მშვენიერი ყმაწვილების მეგობრობას ეს

ტკბილი სიმღერაც ადუღაბებს. იქნებ იმიტომაც, რომ გეამაყებათ — რამდენნაირი სიმღერა გვქონია. იქნებ იმიტომაც, რომ სწორედ ამ სიმღერის გაგონება გენატრებოდათ... ეს ყველაფერი ქვეცნობიერად ხდება, თქვენ ანგარიშს სულაც არ უწევთ, რამ გაგახარათ.

თითქოს მთელი სამყარო იყო: წყნარ ქუჩებში შეღებული ფანჯრებიდან გამოჭრილი სულ სხვადასხვანაირი ბგერები! მიდიოდით თქვენთვის და თითქოს დიდი ცხოვრების წიგნს ფურცლავდით.

ტელევიზორმა თავისი წესი და რიტმი შემოიტანა.

ახლა იმ შეღებული ფანჯრებიდან თითქმის ერთი მოტივი გესმით. ყველას ტელევიზორი ჩაურთავს და ყველა ერთ რომელიმე კინოსურათს, ტელესპექტაკლს შეჰყურებს... მიდიხართ ქუჩაში, და თუ დიდი გზა გაქვთ, თუ რამდენიმე გრძელი ქუჩა უნდა გაიაროთ და არც მიგეჩქარებათ, გზადაგზა მთელს ამ სპექტაკლს მოისმენთ.

როცა რომელიმე მუსიკალური მოტივი გამოგყვებათ იმ შეღებული ფანჯრებიდან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დახვეწილი ოსტატობითა და ტექნიკით იქნება შესრულებული. ზემოთ „ყუჟუნა წვიმა“ ვახსენეთ, მთელი ოჯახი რომ მღეროდა. ახლა თუ გაიგონებთ ამ მოტივს. უკვე საქვეყნოდ სახელგანთქმული საბავშვო ansამბლი „მზიური“ მღერის. და თქვენ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ტელევიზორთან მყუდროდ მოკალათებული ოჯახი — დედ-მამა და მათი შვილები სხედან და, ალბათ მერამდენედ, უსმენენ უნაკლოდ შესრულებულ სიმღერას. იმ ცაცხვის ქვეშ ახლაც დგანან ყმაწვილები და ახლაც მოისმის იქიდან სიმღერა, ოღონდ ახლა თავად არ მღერიან, სპიდოლა მღერის, ერთ-ერთს დაუჭერია ხელში და ისმენენ. იქნებ უხალისოდაც, მაგრამ მაინც ისმენენ. შოპენის ნოქტიურნს შესაშური ოსტატობით ასრულებს, ვთქვათ, რიხტერი, ან გილელსი, ან ვირსალაძე; იმ გაჩირაღდნებული ფანჯრებიდანაც უნაკლოდ შესრულებული სიმღერა გამოდის. ახლა ის ერთი უსმენო მომღერალი კი აღარ აფუჭებს სიმღერას, არამედ — სუფრის საერთო ღრიანცელი: და თქვენ შეგიძლიათ, თვალნათლივ წარმოიდგინოთ (ფიქრი ნუ გაქვთ, არ შეცდებით), გაშლილ სუფრასთან მსხდომთაგან ყველა ჯგუფ-ჯგუფად თავისთვის ლაპარაკობს და ჩართული ტელევიზორი კი თავისთვის მღერის — მათ შორის კონტაქტი ვერ დამყარებულა...

ჩვენს ხალხს ძალიან უყვარს სიმღერა და ყოველგვარ ვითარე

ბაში ცღერის — ლხინშიაც, ჭირშიაც, გზაშიც, ყანაშიც, რთველშიც... და ამიტომაც არ არის გასაკვირი ის ასეულობით დიდებული სიმღერა, რაც ყველას აღაფრთოვანებს. საუკუნეების გაიმავლობაში იხვეწებოდა, ივსებოდა და მრავლდებოდა ეს სიმღერები. იმიტომ რომ „აქტიურ მოხმარებაში“ იყო: კი არ ისმენდნენ მხოლოდ, მღეროდნენ კიდეც. უქმად გდების გამო მარტო სახნისს კი არ მოეკიდება ჟანგი, — სიმღერასაც ჟანგი მოედება, თუ არ იმღეროე. ტექნიკის საშუალებით მისი შენახვა და შთამომავლობისათვის გადაცემა არ შეიძლება, არ გამოვა, არ მოხერხდება, სიმღერით უნდა გადავიდეს თაობიღან თაობაზე.

ჩვენში კი, ალბათ ყველა შენიშნავდა, სულ უფრო და უფრო ცოტას მღერიან. უფრო მეტად ი ს მ ე ნ ე ნ. მრავლდება პროფესიული ანსამბლები, საგანგებოდ სიმღერის შესწავლა-შესრულებისათვის მოწოდებული გუნდები. მრავლდება უმაღლესი ტექნიკით შესრულებული გრამჩანაწერები.

ჩვენ თვითონ კი სულ უფრო და უფრო ცოტას ვმღერით.

სულ უფრო და უფრო ცოტას ვცეკვავთ...

სულ უფრო და უფრო ცოტას დავდივართ თეატრში, და შინ, ტელეეკრანზე. მზამზარეულად მორთმეულ სპექტაკლს შევცქერით...

სულ უფრო და უფრო ცოტას დავდივართ სტადიონზე, და შინ, ტელეეკრანზე მზამზარეულად მორთმეულ ფეხბურთსა და კალათბურთს შევცქერით...

შინ, შილიფად ჩაცმულნი, სავარძლებში მყუდროდ მოკალათებულნი, მოსვენებულნი...

იმიტომაც დავმძიმდით და დავსქელდით. ლამის სიარულს გადავეჩვიოთ.

იმიტომაც მოაკლდა მაყურებელი თეატრს... უმაყურებლო თეატრი რა თეატრია. თეატრი მარტო მსახიობი, მხატვარი და რეჟისორი არ არის, მაყურებელიც არის. თეატრი მარტო სცენა არ არის, მაყურებელთა დარბაზიც არის. და რაც უფრო შეთხელებულია მაყურებელთა დარბაზი, მით უფრო დაქვეითებულია სპექტაკლის ხარისხი, რადგან, სპექტაკლს მაყურებლის სითბო სჭირდება, მაყურებლის სუნთქვა ჰკრავს, სცენაზე მიშვერილ შუქურებზე უფრო მაყურებელთა თვალებიდან გამოჭრილი შუქი სჭირდება. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ თვითონვე ვიკლებთ იმ უდიდეს სიამოკ-

ნებას, რასაც მთელი თეატრალური ატმოსფერო გვანიჭებს — თეატრში წასვლის წინა სამზადისს, სპექტაკლის გამაფრთხილებელ ზარის ხმაზე ფაცხაფუცხით პალტოს გახდას და ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში ადგილის მიგნებას, ანტრაქტებზე ნაცნობებთან გაუთვალისწინებელ შეხვედრას, ფოიეებისა და თეატრის დერეფნების ყველაზე ტკბილ მუსაიფს...

იმიტომაც მოაკლდა მაყურებელი სტადიონებს... უმაყურებლო სტადიონიც არ შეიძლება. რაც უფრო მეტი თვალია მიპყრობილი მწვანე საფეხბურთო მინდვრისაკენ, მით უფრო, აღფრთოვანებით თამაშობს ფეხბურთელი, მით უფრო კარგად გამოსდის, მით უფრო თავგამოდებულია, მით უფრო დაოსტატებულიც... აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა საყურებელი იქნება კილომეტრიან სტადიონზე ოცდაორი კაცი დასდევდეს რეზინის ბურთს და კაციშვილი არ უყურებდეს. ამის წარმოდგენა ახლა ძნელი არ არის. ჩვენ მხოლოდ მოთამაშეებსა და მათ მწვრთნელებს ვაბრალებთ თამაშის კლასის დაცემას და სულაც არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ეს ჩვენი გულგრილობის ბრალიც არის.

სულ უფრო და უფრო ცოტას ვკითხულობთ წიგნს და გვირჩევნია ტელეეკრანზე მზამზარეულად დაღეჭილი, გამარტივებული, გაინსცენირებული ნაწარმოებები მივაწოდოთ ჩვენს შვილებს. გვავიწყდება, რომ წასაკითხად დაწერილი წიგნი უნდა წაიკითხოს ადამიანმა. სცენაზე და ეკრანზე წარმოსადგენად სხვა ჟანრის თხზულებებსა წერენ. „ტომ სოიერი“, „ანა კარენინა“, „ომი და მშვიდობა“... უსათუოდ წაკითხული უნდა ჰქონდეს ადამიანს, მათი შინაარსის გადმოცემა და ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება.

ოდესღაც გამოჩენილი კომპოზიტორები ქალაქიდან ქალაქში მიდიოდნენ თავიანთივე კოლეგის დიდი სიმფონიური თუ ვოკალური ნაწარმოებების მოსასმენად. და თითოეული ასეთი მოსმენა ბედნიერი მოვლენა იყო მათ ცხოვრებაში.

დიდ კომპოზიტორებს ენატრებოდათ ხოლმე თავისივე სიმფონიური და ვოკალური ნაწარმოებების მოსმენა....

ტექნიკის განვითარების დღევანდელ პირობებში ყველას შეუძლია შინ მზამზარეულად ეწყოს დიდი სიმფონიებიც, დიდი ოპერებიც... ყოველი ჟანრისა და ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები. მაგრამ მოსმენა მაინც განსაკუთრებულ ვითარებაში უნდა ხდებოდეს;

ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიისა თუ შუბერტის მერვე სიმფონიის ყოველგვარ ვითარებაში, უგანწყობილებოდ მოსმენა, ამ მშვენიერი ნაწარმოებების პროფანაციაა.

ყველაფერს თავისი განწყობილება სჭირდება — კითხვასაც, მოსმენასაც, ცქერასაც...

უფრო კონკრეტული საკითხით დავიწყეთ ჩვენი საუბარი და თემა გაგვიფართოვდა. მაგრამ ეს მაინც ერთი თემაა.

ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინათ, ესე იგი, როცა ტელევიზორი ახალი შემოღებული იყო, ჟურნალმა „ინოსტრანნაია ლიტერატურამ“ ერთი ფრანგი ჟურნალისტის სტატია გამოაქვეყნა. ტელევიზორმა პარიზში სიცოცხლე ჩაჰკლაო, წერდა სტატიის ავტორი. ხალხი ერთმანეთთან აღარ დადის, ქუჩებიც შეთხელდა, ყველა ტელევიზორს უზის და მისი გამორთვა კი ვეღარ მოუხერხებიათო. ხშირად ხმამაღლა გამოთქვამენ აღშფოთებას უხარისხო გადაცემების გამო, სწუხან, იგინებიან, მაგრამ ის კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ხელი გადასწიონ და გამორთონო.

დიახ, ეს საკითხი ჩვენ პირველად არ დაგვისვამს. ყველას აწუხებს ეს, მაგრამ შველით კი ვერავის უშველია. ის უმარტივესი მოქმედება ვერავის შეუსრულებია, რომ ზოგჯერ ხელი გადასწიოს და ზონარი გამორთოს.

ტექნიკა დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მას მოხმარება უნდა, გამოყენება უნდა, თორემ იქნებ უბედურებადაც იქცეს.

ინგლისში ერთ დროს, ტექნიკის განვითარების საწყის საფეხურზე, ახლად გამოგონილი მანქანებით შევიწროებულმა მუშებმა, როცა შრომა ჩალის ფასად გახდა, ამ მანქანების დამსხვრევა დაიწყეს.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ სატელევიზიო და მუსიკალურ ნაწარმოებთა ჩაწერის ზღაპრულად განვითარებული ტექნიკის სამდურავი დაგვცდეს. ეს ჩვენი დროის უდიდესი მიღწევაა, ეს ჩვენი დიდი ბედნიერებაა.

ტელევიზორს ყოველდღიურად ახალი ცნობები მოაქვს, ჩვენს გამოჩენილ ადამიანებს გვაცნობს და მათთან გვასაუბრებს, გვაწვდის საინტერესო ინფორმაციებს მსოფლიოს ყოველი კუთხიდან; გვაცნობს მსოფლიო ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს; გვაბარებს საშემსრულებლო ხელოვნების შედევრებთან... ამაზე დიდი ბედნიერება სხვა რა უნდა იყოს... და ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის სახლში ტელევიზორსაც ნახავთ, მავნიტოფონ-

საც... ჩვენი ხალხის კეთილდღეობაზე მიუთითებს. რაც დრო გავა, მით უფრო გაუმჯობესდება ეს ტექნიკა და მით უფრო გაუმჯობესდება ჩვენი მშრომელების საყოფაცხოვრებო პირობები, მით უფრო ამაღლდება ჩვენი კულტურის საერთო დონე.

მაგრამ ამ საკითხს ორი მხარე აქვს. ის ფაქტი, რომ რადიო და სატელევიზიო გადაცემები ლამის განუწყვეტლივ არის, დღე-ღამის განმავლობაში, სულაც არ ნიშნავს, ყოველგვარ საქმეს მოვწყდეთ და მხოლოდ ტელევიზორს მივუსხდეთ, სტადიონებსა და იპოდრომებზე სიარული აღვიკვეთოთ, ქალაქგარეთ გასეირნება, თუნდაც ქუჩებში სეირნობა დავიზაროთ, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და მხიარული მეგობრული პიკნიკები შევიძულოთ... ტელევიზიის გადაცემათა პროგრამა დიდია და სულ სხვადასხვა მაყურებლისთვის არის გათვალისწინებული. განსაკუთრებული განწყობილებისთვისაც. შერჩევა უნდა ვისწავლოთ. მოსმენისა და ნახვის კულტურა ავიმაღლოთ. ამაზე გვაქვს ლაპარაკი ჩვენს წერილში.

მუსიკალური ჩაწერის მაღალი ტექნიკაც იმას როდი ნიშნავს, ჩვენ დავდუმდეთ და მხოლოდ ვისმინოთ. მეგობრები რომ შევიკრიბებით, ტკბილ საუბარსა და დროსტარებას ნუ გავიუგემურებთ: ჩვენ თვითონ ვიმღეროთ, ჩვენ თვითონ ვიცეკვოთ. თეატრშიაც ვიაროთ, სტადიონებზეც, დოღზეც, ქალაქგარეთაც ვისეირნოთ. ტელევიზიის სასურველი და ბედნიერი სამსახური ჩვენი ცხოვრების წესს მოვარგოთ, პირიქით ნუ გამოგვივა, კერპად ნუ გავიხდით ტელევიზორს და ჩვენი ცხოვრების წესს მას ნუ დავუმორჩილებთ.

შევეჩვიოთ ტელევიზორის გამორთვას.

1975 წ.

## კოლორიტული ჟანრი

ვისაც გასული საუკუნის ქართველ მოღვაწეთა არქივები უნახავს, უსათუოდ შენიშნავდა ამ მოღვაწეთა პირადი წერილების სიმრავლეს. ჯერ გაკვირვება მოიცავდა მას, ხოლო თუ დაინტერესდებოდა და წაიკითხავდა კიდეც, გაკვირვებას აღფრთოვანებაცა და სიხარულიც დაემატებოდა.

გაკვირვება იმიტომ მოიცავს ამ წერილების დღევანდელ მხილველს, რომ ჩვენს საუკუნეში ხალხი თითქმის გადაეჩვია წერილების წერას. რაღა კალამი აიღოს და წეროს, დრო გააცდინოს, ფრაზების დალაგებაზე თავი შეიწუხოს, გაცილებით უფრო ადვილი არ არის ტელეფონის ყურმილს გადასწვდეს, საჭირო ნომერი აკრიფოს და ცოცხალი ხმით გააგონოს სათქმელი თავის ნაცნობს, ნათესავსა თუ მეგობარს?! ისე საარაკო სისწრაფით ვითარდება ჩვენს დროში ტექნიკა, რომ ახლა ასეთი სახელდახელო საუბარი მარტო ერთ ქალაქში კი არ არის ადვილი და მოსახერხებელი, სხვა ქალაქებთან სატელეფონო კავშირიც გაადვილებულია, თანაც შორეულ ქალაქებთან. ახლა ასევე თავის შეუწუხებლად შეგიძლიათ, გადასწვდეთ ტელეფონის ყურმილს და ელაპარაკოთ მოსკოვს, ლენინგრადს, მინსკს, ერევანს... ხვალ ვარშავას, პრაღასა და პარიზსაც დაელაპარაკებით ისე, რომ სატელეფონო სადგურის დახმარება აღარ დაგჭირდებათ. ის კი არადა, ხვალ თქვენი ტელეფონის აპარატზე იმ ადამიანის გამოსახულებასაც იხილავთ, ვისაც ელაპარაკებით. და იმასაც კარგად გაარჩევთ, როგორ იმოქმედა თქვენმა სიტყვებმა მასზე — სახე ღიმილით გაებადრა თუ მოეღუშა.

აი, ამიტომ იკლო პირადმა მიმოწერამ ჩვენს საუკუნეში. ამიტომაც მოგიცავთ გაკვირვება, როცა ლიტერატურულ მუზეუმსა თუ ხელნაწერების ინსტიტუტში გასული საუკუნის მოღვაწეთა არქივებს დაათვალიერებთ და მათ პირად მიმოწერას იხილავთ, კოხტად დალაგებულ ბლომად წერილებს. ოდნავ გამოხუნებული ქაღალდის ფურცლებზე შავი მელნით ლამაზად გამოყვანილ სიტყვებს.

რაღა გასული საუკუნე! აგერ, ჩვენი საუკუნის ოციან წლებშიც ფალიაშვილის მელოდიებით ან სარაჯიშვილის ხმით რომ მოიხიბლებოდა კაცი, შინ მობრუნებული მაგიდას მიუჯდებოდა, წერილს მისწერდა, მიულოცავდა, მადლობას ეტყოდა, გულს გაუთბობდა, ენერგიას შემატებდა...

დღესაც მიულოცავს დღევანდელ ხელოვანს მისი ახალი ნაწარმოებითა თუ შესრულებით მოხიბლული თაყვანისმცემელი. ოღონდ დღეს უკვე ტელეფონით მიულოცავს. ცოცხალ ხმას გააგონებს, გაახარებს კიდეც...

მაგრამ ეს ბგერები ჰაერში გაიფანტებიან, იქნებ დავიწყებასაც ადვილად მიეცნენ...

ამიტომ ჩვენი დღევანდელი ხელოვანი უკვე განმეორებითი სი-

ხარულის განცდას მოკლებულია: როცა რამდენიმე წლის შემდეგ თავისი საწერი მაგიდის უჯრას დაალაგებს, იმ მილოცვისა და მადლობის ტექსტს ვერ წააწყდება და თვალზე სევდანარევი სიხარულის ცრემლი აღარ მოადგება.

ერთი სიტყვით, თავისი დიდი სიკეთე ჰქონდა იმ მიმოწერას.

მაგრამ ეს სიკეთე მარტო იმ სიხარულით კი არ განიზომება, რასაც წერილის უშუალო ადრესატი განიცდიდა წერილის მიღების დროს და თუნდა შემდეგაც, როცა წლების მერე კიდევ და კიდევ წააწყდებოდა ამ წერილს.

ამ სიკეთეში უნდა ვიგულისხმოთ ის დიდი სიხარულიც, რასაც თქვენ განიცდით, როცა გასული საუკუნის მოღვაწეთა მიმოწერას გადაიკითხავთ რასაც თქვენი უშუალო და შორეული შთამომავლები განიცდიან, როცა იმავე მიმოწერას გადაიკითხავენ...

ეს წერილები მთელი სამყაროა ადამიანთა ინტიმური ურთიერთობის, შინაგანი განცდების ფიქრების, ტკივილებისა თუ სიხარულის სამყარო. რასაც ჭვეყნად ვერაფერი ვერ შეცვლის. ეს წერილები განგაცდევინებენ დროის იმ განუმეორებელ სურნელსა და კოლორიტს, რასაც სხვა ოფიციალური მასალებით ვერ შეიგრძნობ.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რამდენს დაკარგავდა ქართველი ადამიანი, იგი რომ მოკლებული იყოს ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, სერგეი მესხის ეპისტოლური მემკვიდრეობის გაცნობის სიამოვნებას; რამდენს დაჰკარგავდა მთელი კაცობრიობა, რომ არ არსებობდეს ტურგენევის, ჩეხოვის, მოპასანის, ფლობერის ეპისტოლური ლიტერატურა; რომ არ არსებობდეს ვან გოგის ძმასთან გულისშემძვრელი მიწერ-მოწერა; რამდენს დაკარგავდა ის რომანები თუ მონოგრაფიები, რაც ამ მოღვაწეებზე შექმნილა, რადგან ასეთი წერილები, ოფიციალურ მასალასთან ერთად, აუსებენ ჩვენს წარმოდგენას ამა თუ იმ ადამიანზე, უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენენ, უფრო დასრულებულ პორტრეტს გვიქმნიან. ეს წერილები სხვა ოფიციალურ მასალებთან ერთად ეპოქის გაცოცხლებაშიც გვეხმარებიან. უამწერილებოდ ზოგი რამ იქნებ მცდარად აღგვექვა.

თვალსაჩინო მაგალითიც შეგვიძლია მოვიტანოთ.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მოკიდებული თითქმის საუკუნის მიწურულამდე ჩვენში გახურებული საბანკო ბრძოლა იყო. დროდადრო შედარებით მინელდე-

ბოდა ეს ბრძოლა, დროდადრო მთელი გააფთრებით იფეთქებდა. სიმწვავე კი არასოდეს არ მოჰკლებია. მთელი საზოგადოება ლამის ორ ბანაკად გაიყო. უსინდისო ადამიანები ყოველნაირად აღვივებდნენ ბრძოლას, ცდილობდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებინათ ერთმანეთისათვის ჩვენი დიდი მოღვაწეები. იმდროინდელ ოფიციალურ პრესას რომ შეისწავლი, მთელი სიცხადით წარმოგიდგება ამ დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის სიმწვავე. პარტიების მეთაურები თითქოს აღარაფერს ეპუებიან, თითქოს ზომიერების გრძნობაც დაუკარგავთ, გული გაქვავებიათ, უჩვეულოდ გამკაცრებულან და საბოლოოდ გაუწირავთ მოწინააღმდეგე...

ასეთი შთაბეჭდილება შეგექნებათ ოფიციალური მასალების გაცნობით.

და რა გულსატკენი იქნებოდა, ჩვენ რომ მხოლოდ ოფიციალური მასალებით ვიცნობდეთ ზემოთ ნახსენები ბრძოლების ისტორიას და საშუალება არა გვქონდეს ცხოვრების დიდ, ოფიციალურ დინებასთან ერთად იმ ქვედინებასაც გავეცნოთ, რასაც ზემოთ ინტიმური და არაოფიციალური სამყარო ვუწოდეთ.

ამ მეორე დინებას რომ გავეცნობით, საქმე ცოტა სხვაგვარად წარმოგვიდგება...

არა, განა სიმწვავეს ჰკარგავენ ის ბრძოლები ჩვენთვის! სისასტიკეს და სიმკაცრეს ჰკარგავენ. ის მოჩვენებითი სისასტიკე ახლა პრინციპულობის ფორმას იღებს.

როგორც ცნობილია, მეფის მთავრობამ დახურა გაზეთი „დროება“, რომელსაც იმხანად ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა. გაზეთის რედაქტორს, გარდა მორალური ტკივილებისა, დიდი მატერიალური ზარალიც შეხვდა: მას უნდა გადაეხადა რედაქციის დავალიანება, დიდი თანხა, რაც წლების მანძილზე დაგროვილიყო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა გაზეთს სხვა რედაქტორი და დამფინანსებელი ჰყავდა. ასეთი დიდი თანხის გადახდა ერთ ადამიანს და მით უმეტეს ისეთ ხელმოკლე ადამიანს, როგორიც მაჩაბელი იყო, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ეს ის დრო არის, როცა საბანკო ბრძოლები ახალი დაწყებულია და აღმავლობით ვიდის, ვნებები მეტისმეტად აშლილი და აზვირთებულია.

ასე უნდა ვიგულისხმოთ.

ასე ჩანს ოფიციალური მასალ ბით.

და ამიტომაც სრული უფლება ჰქონდათ ასევე დაეხატათ ეს ილიასა და მაჩაბლის ბიოგრაფებს.

მაგრამ გავიდა ხანი, საბანკო ბრძოლები ჩაქრა, ვნებები დაცხრა... უკვე აღარც მაჩაბელი იყო ამქვეყნად, აღარც ილია, დარჩენილიყო მხოლოდ ძველი ბრძოლების მწვავე და მწარე მოგონება...

და ამ დროს აღმოჩნდა ქაღალდის ერთი პატარა ფურცელი, რომელზეც ილიას მადლიანი ხელით სულ რამდენიმე ფრაზაა უაწერილი. თბილისიდან ქუთაისში სწერს სერგეი მესხის ძმას დავით მესხს: ასეთი უბედურება მოხდა, „დროება“ დაგვიხურეს, მაჩაბელს დიდი ვალი დააწვა. სასწრაფოდ რამე უნდა ვიღონოთ, რომ საზოგადო მოღვაწე მარტო არ მივატოვოთ და მხარში ამოვუდგეთ. ახლავე ფული შევაგროვოთ და ის საზოგადო ვალი საზოგადოებამ დაფაროსო.

და იქვე პატარა მინაწერი (სწორედ ეს მინაწერია საინტერესო): დაბეჯითებით გთხოვთ ამ წერილის ამბავი არავინ გაიგოსო!

იმის განმრატება იქნებ არც იყოს აუცილებელი, რატომ დასჭირდა ილიას ასეთი მინაწერი: რათა ამითი საქმე არ გაეფუჭებინა (ხომ შეიძლებოდა მაჩაბელს უარი ეთქვა ასეთ დახმარებაზე!), რათა მისი მოწინააღმდეგის სიამაყე არ შეელახა და იმ ბრძოლის სიმწვავეც არ გაენელებინა, რაც ერთ მხარესაც და მეორესაც პრინციპულად მიაჩნდა.

აჰა, ილიას დასრულებული პორტრეტი, მისი ნათელი შუბლი, მისი პატიოსანი თვალები, სამშობლოს სიყვარულში გაჭაღარავებული თმა, დიდსულოვანი გამოხედვა...

დაბოლოს, ეს ბარათი მარტო იმით კი არ არის მნიშვნელოვანი, ოომ დიდი მამულიშვილის პორტრეტს ასრულებს და აგვირგვინებს, არამედ აგრეთვე იმ დიდი ზნეობრივი მაგალითით, რითაც მთელი თაობები უნდა აღიზარდონ!

რამდენს დავკარგავდით, რომ ეს პატარა ბარათი არ არსებულიყო!

მკითხველი ალბათ მოელის, რომ ამ შესავალს, რომელიც ძალიან გაგვიგრძელდა, მოჰყვება მოწოდების სიტყვები: მისწერეთ ერთმანეთს წერილები!

არა, ასეთი მოწოდებისათვის არ დაგვიწყია ამ წერილის წერა.

თუმცა, რაკი სიტყვამ მოიტანა, ეს მოწოდებაც იყოს: მისწერეთ, ძვირფასო მეგობრებო, ერთმანეთს წერილები, გული გაუთბეთ თქვენს მეგობარს, კოლეგას, მოყვასს... იმისი საშუალება მიეცით, რომ თქვენი დღევანდელი კეთილი ურთიერთობა თუ ტკბილი

საუბარი რამდენიმე წლის შემდეგაც მოიგონოს, უკვე სევდიანი ღიმილით!.. დაე, თქვენმა შვილებმა და შვილიშვილებმაც გაიგონ თქვენი კეთილმეგობრული დამოკიდებულება. ნუ დავკარგავთ წინაპრების შესანიშნავ ტრადიციას, მეგობრისა და ახლობლისათვის ტკბილი სიტყვის წერილებით გამოხატვას ნუ ჩავთვლით სამარცხვინო გულჩვილობად და ჩვენი საუკუნისათვის შეუფერებელ სენტიმენტალობად!...

ამას კი ვწერთ. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, ამის შესრულება ჩვენს აფუსფუსებულ საუკუნეში ძნელი იქნება. ჩვენი დღევანდელი საუბრის მიზანიც ეს კი არ ყოფილა — სხვა რამე იყო. და რაკი შესავალი გაგვიგრძელდა, ამ ძირითად ნაწილს მაინც მოკლედ ვიტყვით.

ზემოთ ჩვენ პირობით ცხოვრების დინების ოფიციალური ასახვა ვახსენეთ და მის გვერდით ე. წ. ინტიმური სამყარო, რომელიც ავსებს, აზუსტებს და ამდიდრებს იმ პირველს, უფრო სრულყოფილსა ხდის. ხელს გვიწყობს უფრო სრული და სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ცხოვრებასა და ადამიანთა ურთიერთობაზე, თვით ცალკეულ ადამიანებზე.

ჩვენს მიერ ნახსენებ „ინტიმურ სამყაროს“ ეპისტოლური ლიტერატურის გარდა სხვა წყაროც კვებავს. ეს არის მემუარული ლიტერატურა, დიდი ლიტერატურის მეტად ძვირფასი, მეტად კოლორიტული და საჭირო განშტოება თუ ჟანრი.

როგორ ამკობენ ჩვენს დიდ მწერლობას, რა განუმეორებელ კოლორიტსა და ელფერს მატებენ დიმიტრი ყიფიანის, აკაკის, მანსვეტაშვილის, ლასხიშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, დავით კლდიაშვილისა და დასასრულ შალვა დადიანის მოგონებები! რა დაუფასებელ განძს შეიცავენ ეს წიგნები, როგორ ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას დიდ წინაპრებზე. ერის სასიქადულო შვილებზე. და არა მარტო ადამიანთა ურთიერთობას წარმოგვიდგენენ უფრო სრულად და სწორად, არამედ აზროვნებისა და კულტურის ისტორიასაც ავსებენ და ამდიდრებენ.

რამდენს დაჰკარგავდა ჩვენი ხალხი, რომ ზემოთ ნახსენები წიგნები არ არსებულიყო. რამდენი ჯაჭვი ადამიანთა ურთიერთობისა გაწყვეტილი აღმოჩნდებოდა, რამდენ ფაქტს მრუდე სარკეში დავინახავდით, რამდენ საზოგადოებრივ მოვლენას სამუდამო ჩრდილი მოეფინებოდა.

დიახ, მემუარული ლიტერატურა ისეთივე სრულუფლებიანი, საინტერესო და საჭირო ჟანრია დიდი მწერლობისა, როგორც პროზა, პოეზია, დრამატურგია, კრიტიკა... მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთსავე პატივში არ არის. თითქმის სულ არ ექცევა ყურადღება, მისი განვითარებისათვის ნაკლებ ზრუნავენ. ერთი დიდი სიკეთე და თავისებურება მხატვრული ლიტერატურის ამ ჟანრისა ისიც არის, რომ მასში ისეთივე წარმატებით (ზოგჯერ იქნებ უფრო მეტითაც) შეუძლია იმუშაოს აგრეთვე დიდი ინტელიგენციის ყოველმა წარმომადგენელმა — კომპოზიტორმაც, რეჟისორმაც, მსახიობმაც, არონომმაც, ინჟინერმაც და ყველამ.

ჩვენს, როცა ეპისტოლური ლიტერატურა სულ უფრო და უფრო მცირდება და ღარიბდება, მემუარული ლიტერატურის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მემუარულმა ლიტერატურამ უნდა ამოავსოს ის სარეზი, რასაც საზოგადოების ისტორია ეპისტოლური ლიტერატურის კლებით განიცდის.

სამწუხაროდ, ამაზე არავინ ზრუნავს. მემუარული წიგნებიც სულ უფრო და უფრო კლებულობს. საჭიროა სალიტერატურო და სახელოვნო ჟურნალებმა, გაზეთებმა, ჩვენმა გამომცემლობებმა პრაქტიკული ღონისძიებები დასახონ ამ საქმის გამოსასწორებლად

საყოველთაოდ გავრცელებული ანდაზა — ანდერძი კაცს არ მოჰკლავსო, მემუარებსაც შეგვიძლია მივუსადაგოთ. არც მემუარების წერა დააჩქარებს ადამიანის დაბერებას.

1974 წ.

## ...ᲙᲔᲘᲡᲠᲘᲡᲐ ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲡᲐ...

ერთი გადმოცემა არსებობს. ბევრს ალბათ გაგონილიც ექნება. აკაკის იუბილეზე ერთმა კაცმა თურმე ასეთი ლექსით მიმართა მხცოვან პოეტს:

შენ სხვიტორის არწივი ხარ,
მე ღვანკეთის შევარდენი;

შენც პოეტი, მეც პოეტი,
შენ აკაკი — მე ვარდინი.

ვითომ რა მოხდა ასეთი, შენ თუ წერ ლექსებს, განა მე კი არა ვწერ?! შენ რომ ამისთანა იუბილეს გიხდიან, მე რაღა დავაშავეო?!

როგორც ხედავთ, ამ ლიტერატურული ხუმრობის პერსონაჟს მეტად კომიკურ სიტუაციაში ჩაუგდია თავი, ბუმბერაზ ადამიანთან გაჯიბრება გადაუწყვეტია. ერის სასიქადულო პოეტს შესცილებია თითქოს. დიდი ტვირთი უტვირთავს, ერის მეთაურობა მოუსურვებია. ისეთი რამე მოუნდომებია, რასაც მისი სუსტი ბუნება ვერ მოერეოდა.

მაგრამ ისეთი ახირებული იყო ეს სურვილი, იქ დამსწრე ხალხს სასაცილოდ არ ეყო და ხუმრობაში ჩაუთვალეს. ეტყობა, იმ ადამიანსაც აღმოაჩნდა საკმაო ჰკუა, ხელად აუღო ალღო მდგომარეობას და შეიფერა, მანაც ხუმრობაში გაატარა.

ერთი სიტყვით, ეს ამბიციური სურვილები ხელადვე დათრგუნულა და კომიკურად დამთავრებულა.

ასეთია ერთი ვარიანტი ამ ძველი გადმოცემისა.

მეორე ვარიანტით, ის კაცი, ვინც ასე თავდაჯერებულად გაეპაექრა პოეტს, თავად მახვილი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ყოფილა და ამ ექსპრომტით მართლა კი არ გასჯიბრებია დიდ პოეტს, ვისი ფასი თვითონაც ჩინებულად იცოდა, არამედ ამბიციით შეპყრობილი ხალხისათვის დაუცინია, პატივმოყვარე და განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანებისათვის.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ამბიციით შეპყრობილ ხალხს თავისი შორეული წინაპრებიც ჰყოლია და, უნდა ვიფიქროთ, კარგა ბლომადაც.

ასეთი ხალხი რომ მუდამ ბოგინობდა საზოგადოებაში, იმ ძველი არაკიდანაც ჩანს, ბაყაყსა და ხარზე რომ შეუთხზავთ. ამითაც მტკიცდება, რომ პატივმოყვარეობა მუდამ ამაოებად მიაჩნდათ.

პატივმოყვარეობა ამაოებად მიაჩნდათო, დავწერე და მერეღა გამახსენდა, რომ ეს ცნებები — პატივმოყვარეობა და ამაოება — ზოგ ენაში ერთი და იგივე სიტყვით გამოიხატება. ესეც საგულისხმოა. Vanity! — იტყვიან ხოლმე ინგლისელები და ეს სიტყვა, იმისდა მიხედვით თუ რა კონტექსტშია მოქცეული, პატივმოყვარეობასაც ნიშნავს და ამაოებასაც.

ამბიცია ცუდი ავადმყოფობაა და ამ სენით შეპყრობილი ადამიანი ყოველთვის აწუხებდა საზოგადოებას. ზოგჯერ მეტისმეტადაც აწუხებდა. ზემოთ ნახსენებ ამბიციას, როგორც ვნახეთ, ადვილად მოევლო. ჯერ კი მაგრად გაიწია, მაგრამ ხალხი მომზადებული დახვდა და მისი მეტისმეტად გაბერილი სურვილები ხელადვე ჩაიფშუკა.

მუდამ ასე კეთილსასურველად არა მთავრდებოდა საქმე. შექსპირის ერთი პერსონაჟი, გამოჩენილი ისტორიული პირი, ამბობს მეორე ისტორიულ პერსონაჟზე — დიდი ამბიცია გამოამჟღავნა და მოკალიო! აქედანაც ჩანს, რომ ყოველთვის ისეთი სასაცილო არა ყოფილა თავისთავზე მეტისმეტად გაზვიადებული წარმოდგენისა და ამბიციური სურვილების ქონა...

მარტო წინაპრები რომ ჰყოლოდათ იმ ძველი საზოგადოების მეტისმეტად თავდაჯერებულ და უზომო განდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანებს და შთამომავლები არ გასჩენოდათ, მაშინ იქნება კრინტიც აღარ დაგვეძრა ამაზე. მაგრამ ვაი რომ შთამომავლები კიდევ უფრო მოუმრავლდნენ.

ბევრი ადამიანური მანკიერება წარსული საზოგადოებრივი ფორმაციების უშუალო ნაყოფია და ჩვენს დროში ინერციით გადმოსულა. ჩვენი ხალხი ამას წარსულის მავნე გადმონაშთს ეძახის. საზოგადოებრივი აზრი ირაზმება მათ აღმოსაფხვრელად, რადგან ასეთი გადმონაშთები ხელს უშლიან ცხოვრების ნორმალურ განვითარებას, უკან გვეწევიან, გვაბრკოლებენ, სახელს გვიტეხენ. ვერ უნდა იბოგინონ ამ გადმონაშთებმა ჩვენს საზოგადოებაში და, რაც უფრო ადრე მოვიშორებთ თავიდან, მით უფრო გაგვიადვილდება წინსვლა.

ამბიცია ერთი შეხედვით, თითქოს საშინელ მანკიერებას არ წარმოადგენს და ვინმეს იქნებ უვნებელ ადამიანურ სისუსტედაც კი მოეჩვენოს. სინამდვილეში, მავნე ბოროტებაა. მავნეა იმიტომაც, რომ მან თავისებური განვითარება ჰპოვა და სულ ახალ-ახალ უსიამოვნო ვითარებაში გვევლინება, ახალ-ახალი მანკიერი სახეცვლილებებით.

რაც დრო გადის, ეს დაუმსახურებელი დიდების მაძიებელი ადამიანი სულ უფრო და უფრო კარგავს ზომასა და მოკრძალებას, სულ იბერება და იბერება, ლამის ფორმაც დაჰკარგოს, ანატომიური სახეც... და მიუხედავად იმისა, რომ ელასტიურობა არ აკლია,

ხშირად მაინც ვერ აღწევს თავს ტრაგიკულ ბედს ზემოთნახსენები არაკის პერსონაჟისას, რომელიც ხარს შეეჯიბრება და, ზომიერების გრძნობადაკარგულს, სამარცხვინო რამ შეემთხვა.

ყველა დარგში გვხვდებიან ეს ფუჭი დიდების მაძიებელი ადამიანები — ლიტერატურაშიაც, ხელოვნებაშიაც, მეცნიერებაშიაც, პედაგოგიურ ასპარეზზეც... სად აღარა.

სწორედ ფუჭი დიდების მაძიებელი ადამიანი გახლავთ, ასე გამწარებით რომ იბრძვის დამსახურებული ექიმის, დამსახურებული პედაგოგის, დამსახურებული მოღვაწის (და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!) სახელწოდება მომანიჭეთო. სწორედ ეს ფუჭი დიდების მაძიებელი გახლავთ, ასე უტიფრად რომ იბრძვის ჯილდოების მისაღებად. „დაუმრგვალდება“ დაბადების თარიღი და კიდევ უფრო გამწარდება და აწრიალდება, ძმა-ბიჭებისა და ტაშისმკვრელების არმიას დარაზმავს და ერთ ამბავს ასტეხს. წერილს წერილზე გზავნის (და სად აღარა!) ნამდვილად მეკუთვნის ასეთი დამსახურება და არიქა უშველეთ ქვეყნიერებას, ჩქარა მომანიჭეთ, თორემ ამ უსამართლობით მთელი კაცობრიობა წაწყდებაო. ხან თავისი საკუთარი სახელითა და გვარით ხელმოწერილია ეს წერილი, ხან სხვისი სახელით და გვარით, ხან (და უფრო ხშირად) ანონიმურია...

ასეთ წოდებას და ჯილდოებს, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, ხალხი ანიჭებს ხოლმე. ხალხთა ფართო მასებში თავისთავად ჩამოყალიბდება შეხედულება ამა თუ იმ მოღვაწის ღვაწლზე, დამსახურებაზე, შემოქმედებითს ნიჭსა და ნაყოფიერებაზე... ასეთი ადამიანი უკვე სარგებლობს საყოველთაო აღიარებითა და დამსახურებით და მისთვის რომელიმე საპატიო წოდებისა თუ ჯილდოს მინიჭება უკვე მთელი ხალხის აზრისა და სურვილის ფიქსაციაა, ოფიციალური გაფორმება. ამგვარი საერთო სიყვარულით სარგებლობდა თავის დროზე, ვთქვათ, ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე თუ გიგო გაბაშვილი, და მათთვის მაღალი საპატიო წოდებისა და ჯილდოების მინიჭება მთელი ხალხის მტკიცედ ჩამოყალიბებული სურვილისა თუ აზრის ოფიციალურ გაფორმებასღა წარმოადგენდა...

რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო სულწასული ხდება ფუჭი დიდების მაძიებელი ადამიანი, და ალბათ თავისებურად ბორსმჭვრეტელიც, რადგან იცის — ხალხის სიყვარულის მოპოვე-

ბა მისთვის მიუწვდომელია და სანამ გვიან არ არის, სანამ ბრძოლის ენერგია შერჩენია, იბრძვის გამწარებით...

დაღლა არ იცის ასეთმა ადამიანმა, მთელი ქვეყანა შეწრიალებული ჰყავს, თავი ყველასათვის მოუძულებია, არა და არ ცხრება, რადგან იმავე წიგნიდან, საიდანაც ჩვენ ის ორი სიტყვა ავიღეთ ჩვენი წერილის სათაურად, კიდევ ერთი სიბრძნე ამოუკრეფია — ეძიებდე და ჰპოებდეო!..

და საბოლოოდ მართლაც ჰპოებენ! მოაბეზრებენ თავს ყველას, ლამის სიცოცხლეს და გაჩენის დღეს შეაძულებენ...

და ჰპოებენ...

მაგრამ არ იფიქროთ, ახლა მაინც მოისვენებენ და თავიანთი მრავალტანჯული „მონაპოვარით“ ცოტა ხნით მაინც დატკბებიანო.

არა. რა ბრძანებაა.

ამის შემდეგ იწყება მეორე საფეხურის ბრძოლები — კიდევ უფრო გამწარებულ-გააფთრებული, კიდევ უფრო შემაწუხებელი და კიდევ უფრო საშიშიც. რადგან ბრძოლის ამ ეტაპზე იგი უკვე შეიარაღებულა რაღაც წოდებით, რიხიანი გამხდარა, მეტი უფლება მოუპოვებია. ამიერიდან მისი ამბიცია კიდევ უფრო საშიშია.

და იწყება წერილების ახალი ნიაღვარი (ახლაც იმგვარადვე: ზოგი საკუთარი სახელისა და გვარის მოწერით, ზოგი სხვისი სახელითა და გვარით, ზოგი — და უფრო ხშირადაც — ანონიმური...), მოსვენება აღარ არის არც საკუთარი თავისა, აღარც სხვისი — რამდენი ვინმესი... რამდენი დრო ცდება, რამდენი ენერგია იხარჯება, რამდენი ქაღალდი, რამდენი ადამიანის ნერვები იწეწება...

და, საბოლოოდ, ამ ეტაპზეც მოიპოვებს. ახლა უფრო ადვილადაც კი!

მოიპოვებს და ისევ დაიწყებს.

აქამდე, ვთქვათ, რესპუბლიკის უმაღლესი საპატიო წოდებისათვის იბრძოდა, მაგრამ უმაღლესი საკავშირო საპატიო წოდებაც ხომ არსებობს...

მადა ჭამაში მოდისს!..

და უკვე ორ დიდ ფრონტზე იწყება იერიში: — ერთი საკავშირო ინსტანციებში, მეორე — რესპუბლიკაშივე, იმ საკავშირო „სიმაღლის“ ასაღებად. იწყება გავლენიანი პირების გამოძებნა, მოცქნულების მიგზავნა, გულზე ხელის მოჭერა (არ გამისკდესო)... შუამდგომლობები, დარეკვები... ბევრი ჩვენგანია მოწმე, ამ საკავ-

შირო წოდების მიღებისათვის ბრძოლის დროს რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია „მაძიებელს“ საკუთარი კოლეგებიცა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი რესპუბლიკაც.

არ იფიქროთ, ამ ბრძოლებს ბოლო ჰქონდეს! უხერხულიც კია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ბოლო სიკვდილის შემდეგაც არა აქვს. ბრძოლის ბოლო ეტაპი სწორედ სიკვდილის შემდეგ იწყება. თითქოს ინერციით მიდის ერთხელ დაწყებული „ბრძოლა“. ახლა პანთეონის შერჩევა ატყდება, ნეკროლოგის მოცულობის დადგენა, ფოტოსურათის შერჩევა... და არც ის იფიქროთ, თითქოს ამჯერად მაინც საზოგადოება (თუნდაც საზოგადოების ერთი ნაწილი) იღვწოდეს ამგვარი კაცისათვის. არა, ეს იმ ბრძოლის ინერციით გაგრძელება გახლავთ, რაც მან თავის სიცოცხლეში წამოიწყო.

და ისევ დროის მოცდენა, ენერგიის ხარჯვა, ნერვების წეწვა...

ეს საშინელი სენი გახლავთ, რომელიმე შემოქმედებით კავშირში რაიმე არჩევით ორგანოს (ვთქვათ, გამგეობასა თუ პრეზიდიუმს) ათიდან ორმოც კაცამდე რომ გაბერავს! ეს სენი გახლავთ, ერთი ასარჩევი აკადემიკოსის ადგილზე ოცამდე კანდიდატურას რომ წააყენებს. თეატრალურ აფიშაზეც კი შენიშნავთ ამ სენის კვალს, როცა ერთი და იგივე ადამიანი სამჯერ არის ერთ ფურცელ ქაღალდზე დაბეჭდილი (ვთქვათ, როგორც ლიბრეტოს ავტორი, დამდგმელი და შემსრულებელი) და სამჯერვე მთელი თავისი გრძელი და ძნელად წარმოსათქმელი ტიტულების სრული ჩამოთვლით. არამცდაარამც არ იფიქროთ, აფიშის შემდგენელ ტექნიკურ მუშაკს თავისი უცოდინარობის გამო მოსვლოდეს ასეთი უხერხულობა. არა, რა ბრძანებაა! ესეც იმ „მაძიებელთა“ ენერგიული და გამწარებული შეტევის შედეგი გახლავთ.

სწორედ ამ სენის შედეგია, ვთქვათ, რომელიმე სპექტაკლის პროგრამას რომ აიღებ ხელში და გაკვირვებით აღმოაჩენ: სპექტაკლში მონაწილე ოცდაათამდე მსახიობთაგან ერთიც კი უტიტულო არა ყოფილა!.. ეს სენი გახლავთ, როცა კონცერტზე საბრალო კონფერანსიეს ჯერ კილომეტრიან ტიტულებს წარმოათქმევინებს და მერე ამ ტიტულებით დამშვენებულ მოკლე გვარს...

დაბნეული ხარ, ლამის ძნელი გასარკვევი გახდეს, ამ ტიტულოვან მოღვაწეთაგან ვინ ჭეშმარიტად დაიმსახურა და ვინ ასეთი გზებით მოიპოვა... ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჭეშმარიტად დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებასაც აუფასურებს!

ზემოთაც შევნიშნეთ, ბევრ რაშეში ვლინდება ეს სამარცხვინო სენი. ეს კიდევ არაფერი. უფრო საგულისხმო ის არის, რომ სულ ახალი და ახალი ხერხებით მოქმედებს ფუჭი დიდების ყბადაღებული „მაძიებლის“ შთამომავალი. ზოგჯერ მკერდზე იტაცებს ხელს — თუ ეს არ გაკეთდა, ახლავე, შენს თვალწინ გული გამისკდება და ეს შენთვისაც რა სასიამოვნოაო! არც ის გაგიკვირდეთ, რომ თუ ასეთი საუბარი მრავალსართულიან შენობაში მიმდინარეობს და თან ოდნავი სისუსტეც თუ შეგნიშნათ, ეს ახალი „მაძიებელი“ შეღებულ ფანჯარასთან ახლოსაც დადგეს... ზოგჯერ მუშტს შემართავს და დაგემუქრება, ეს თუ არ გამიკეთე, სიბერეს ჩაგიმწარებო; ზოგჯერ უტიფარ სახეს კიდევ უფრო გააქვავებს და ჩამქრალ თვალებს სულ გამოაცლის ყოველგვარ გამომეტყველებას: ჯერ არ მომხდარა ვინმესთვის მეპატიებინოს ჩემი სურვილის შეუსრულებლობა და არც შენ გაპატიებო; ზოგჯერ გულს გაგიწვრილებს, ნერვებს მოგიშლის, მოთმინებიდან გამოგიყვანს და ამის შემდეგ კისერს წამოიგრძელებს, სახეს საალიყუროდ მოგიშვერს, რომ ამით მერე რაიმე კაპიტალი დააგროვოს...

ამ სენის გამოვლინება გახლავთ:

როცა რომელიმე ჟურნალისა თუ გაზეთის რედაქციას კატეგორიულად (ჯერ კატეგორიული მუდარით, მერე ასეთივე კატეგორიული მუქარით) განუცხადებს ავტორი, ნომერი ჩემი მასალით უნდა გაიხსნას, ჩემს წინ არავინ არ უნდა დაიბეჭდოს, ჩემი მასალის შემდეგაც მავანი და მავანი ავტორის მასალა ნუ დაიბეჭდებაო, თანაც, ჩემი სახელი უსათუოდ მსხვილი შრიფტით აიწყოსო...

როცა კონცერტის რეჟისორს სასტიკად გააფრთხილებს, ამისა და ამის შემდეგ არც იფიქროთ ჩემი გამოყვანაო...

როცა გამოფენის მომწყობს ამგვარსავე ულტიმატუმს წაუყენებს — ან ამ დარბაზის ცენტრში გამოჰკიდეთ ჩემი ნახატი ან... და ისევ მკერდზე იტაცებს ხელს, თუკი სხვაგვარი მუქარის წყალი იმჟამად არ მოსდევს...

საიუბილეო მზადებას (საკუთარ იუბილეს მოგახსენებთ) ადრევე იწყებს ჩვენი დროის „მაძიებელი“. რამდენიმე წლით ადრე (მანამ ვთქვათ 40, 50 და ასეთი „დამრგვალებული“ თარიღი შეუსრულდებოდეს): იგი მიაკითხავს კალენდრების გამომცემლებს, თავის ფოტოსურათს შესთავაზებს (იმ ფოტო-სურათს, რომელიც ოჯახსა და მახლობლების წრეში მეტი მოწოდებით სარგებლობს;

თანაც, თუ უკვე ხანდახმულია — ახალგაზრდობაში გადაღებულს), ბიოგრაფიული მონაცემებითაც მოამარაგებს და სასხვათაშორისო გააფრთხილებს — სირცხვილი არ ჰამოთ, ეს თარიღი არ გამოგრჩეთო.

ამის შემდეგ კი იწყება სისტემატური რეკვა და მიკითხვა — და არამარტო კალენდრის რედაქციაში — სულ ზემოთ და ზემოთ.

და საბოლოოდ გაიტანს კიდეც თავისას...

ხოლო როცა საიუბილეო თარიღი მოახლოვდება, წინასწარვე შექმნის კომისიას, წინასწარვე შეადგენს საიუბილეო საღამოს პროგრამას, თვითონვე ჩამოწერს, ვინ სიტყვით მიესალმოს, (ხშირად ისეთ თავმდაბლობას გამოიჩენს, რომ თვითონვე გაუკეთებს რედაქციას ამ სიტყვას: ზოგჯერ არც იმას დაიზარებს, თვითონ შეადგინოს თავისი მისამართით წარმოსათქმელი სიტყვა), ვინ ლექსი მიუძღვნას, ვინ (და როდის, რომელი გამოსვლის შემდეგ) თაიგული მიართვას, როდის უნდა დაეშვას სცენის ფონზე დაფნის ფოთლებით შემკული, ოქროსფრად შეღებილი და მსუქნად გამოყვანილი დიდრონი ციფრები... ხოლო როცა ტელევიზიით გადაცემას მოაწყობს, გამოცდილი რეჟისორივით თვითონვე აწესრიგებს— სად გაანაზოს მსახიობმა ხმა, სად აუწიოს, თვითონ იუბილარი როდის გადაიღონ „მსხვილ პლანში“ და როდის შორიდან მიაპყრონ ობიექტივი...

ერთი სიტყვით, თავისი საიუბილეო საღამოს რეჟისორობასაც თვითონვე კისრულობს.

„საიუბილეო საღამოსო“, ვთქვით, და ამასაც დაზუსტება სჭირდება, რადგან ხშირად ერთ საიუბილეო საღამოს როდი სჯერდება ფუჭი დიდების მაძიებელი. მთელი ციკლია ასეთი „საღამოებისა“ — სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონში...

ფიქრი ნუ გაქვთ, პრესაში რაც შეიძლება ფართოდ და მრავალფეროვნად გაშუქებაზეც თვითონვე ზრუნავს...

ჩამოთვლაც კი ძნელია, იმდენ რამეში ვლინდება ეს სენი, მისი მოქმედების სფერო მეტისმეტად გაფართოვდა, „ძიების“ ობიექტები გამრავლდა... რას ჩამოთვლი!

ჩამოთვლას არც შევუდგებით, ისედაც ყველასათვის ცნობილია. საინტერესოა სულ სხვა რამ:

როგორ მოხდა, რომ ასე ფართოდ მოიკიდა ფეხი ამ საშინელმა სენმა — ამბიციის, თავკერძოების, პატივმოყვარეობისა და თვით-

რეკლამის საშინელმა მანკიერებამ?! ვინ მოუმზადა მას ასეთი პოხიერი ნიადაგი?!

ეს პოხიერი ნიადაგი ყოვლად გაუმართლებელი „გულკეთილობა“, დათმობა და წაყრუებაა. უფრო მკაცრად თუ გამოვთქვამთ — უპრინციპობაა. იმის ყალბი წარმოდგენა, თითქოს ეს მოვლენა უვნებელი ადამიანური სისუსტე იყოს, რომელსაც კეთილი (ზოგჯერ გაკვირვებული, მაგრამ მაინც კეთილი), ღიმილით უნდა შეხვდე.

ეს პოხიერი ნიადაგი ჩვენს შემოქმედებით კავშირებში თითქმის დაკანონებული, ყოვლად გაუმართლებელი და შეუწყნარებელი ნიველირება და განურჩევლობაა. სუსტი ნაწარმოებისათვის თავისი სახელის დარქმევას ვერიდებით და ამით ჩვენდაუნებურად კარგსაც ვაუფასურებთ. ხშირად ვხვდებით იმის ყოვლად გაუმართლებელ ცდას, რომ ჭეშმარიტად დიდი შემოქმედი და ხელოვნებასა და ლიტერატურაში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი ლამის ერთი საზომით შეფასდეს და დაფასდეს. ლამის სულ წაიშალოს ზღვარი ნამდვილად ნიჭიერ და დამსახურებულ მოღვაწესა და ასეთ „მაძიებელს“ შორის, რომელსაც მთელი დრო და ენერგია რაიმე სასარგებლოს შექმნისათვის კი არ მოუნდომებია (თუკი ზოგჯერ შესწევს ნიჭი და უნარი ასეთ ადამიანს რაიმე კარგის და სასარგებლოს შექმნისა), არამედ თვითრეკლამასა და საკუთარი პაწია დამსახურების განდიდებისათვის ბრძოლაზეა გადაგებული.

თავის მხრით ასეთი ნიველირება და განურჩევლობა კრიტიკის მოდუნების, კრიტიკის უპრინციპობისა და მოშვებულობის ბრალია. იმის ბრალია, რომ ხშირად ამა თუ იმ ნაწარმოების საქმიანი და კვალიფიციური ანალიზის ნაცვლად, მისი ავტორის ხელაღებით ქება-დიდებას ვისმენთ ან ვკითხულობთ, ისეთივე ყალბი ეპითეტებით დახუნძლულს, ისეთსავე ფუჭსა და ამაოს, როგორიც დიდების იმ უბადრუკი „მაძიებლის“ ზრახვებია.

ასეთი განურჩევლობა ყველგან დასაგმობია, და მით უმეტეს, შემოქმედებით კავშირებში. ასეთი ნიველირებითა და განურჩევლობით, ჯერ ერთი, ნამდვილად დამსახურებულ მოღვაწესაც ეშლება ხელი; ამასთან, როგორც უკვე ითქვა, განდიდების მანიით შეპყრობილი „მაძიებლისათვის“ მზადდება პოხიერი ნიადაგი და, რაც მთავარია, ხალხს ვაბნევთ — ან ნდობას ვუკარგავთ, ან სწორ ორიენტაციას.

და კმარა! ასეთი „მაძიებლის“ თავისუფალ პარპაშს ბოლო უნდა მოეღოს. ეს უკვე საშინლად შემაწუხებელი მოვლენა გახდა. ეს საზოგადოებას პროვინციალიზმის ჭაობისაკენ ეწევა! და მანამ გვიან არ არის, მანამ ეს საზოგადოების შემაწუხებელი სენი საზოგადოებისავე შემარცხვენელ ბოროტებად არ ქცეულა, ხმა ავიმაღლოთ მის წინააღმდეგ. სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ ამ საშინელ მანკიერებას.

1974 წ.

## ბუნება და ადამიანი

ბუნება და ადამიანი...

ხშირად გაიგონებთ ამ ორ სიტყვას, ერთად წარმოთქმულს.

ადამიანი ბუნების შვილიაო, იტყვიან ხოლმე, და ის უახლოესი და უსათუთესი ნათესაური კავშირი, რასაც ეს ცნება გულისხმობს, მართლაც დიდებულად გამოხატავს ადამიანისა და ბუნების სასურველ ურთიერთობას.

მაგრამ სხვა სიტყვებითაც გამოხატავენ ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობას.

ადამიანი ბუნების მეფეაო, ესეც ხშირად გაგვიგონია.

და აქაც თითქოს არაფერია სააუგო.

საქმე ისაა, როგორ ახსნი ამ სიტყვას.

თუ ჩვენ ამ სიტყვით წარმოვიდგენთ ადამიანს, როგორც ჩვენი პლანეტის ქმნილებათა შორის ყველაზე უფრო გონიერსა და სრულყოფილ არსს, მთელი ამ მშვენიერი ბუნების პატრონს, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული დიდი პასუხისმგებლობა შთამომავლობის მიმართაც, წინაპრების მიმართაც, თვით მასაზრდოებელი ბუნების მიმართაც და, ასე წარმოიდგინეთ, იმ „გარე სამყაროს“ — ციური სხეულების — მიმართაც, რომელთა ზღაპრულად ჰარმონიული ცხოვრების ფერხულში ჩვენი პლანეტაც მონაწილეობს (და, ვინ იცის, იქნებ იმ საოცარ კოსმიურ ჰარმონიაზე არა მარტო პლანეტების გარეგანი სრბოლა, არამედ მათი „შინა ცხოვ-

რებაც“ ახდენდეს გავლენას)... ერთი სიტყვით, როცა ასეთი შინაარსით გავიაზრებთ იმ სიტყვას, სააუგო თითქოს არაფერია.

მაგრამ ჩვენ ხომ სხვა მნიშვნელობითაც ვიცნობთ ამ სიტყვას (და უფრო ხშირად სწორედ ამ სხვა მნიშვნელობით ვხმარობთ). ჩვენ ხომ ამ სიტყვას ძალმომრეობის, სისასტიკის, უსამართლობის, ეგოიზმის, უმადურობის, მიუტევებელი დაუდევრობისა და ბევრი სხვა მანკიერი ცნების სინონიმადაც ვხმარობთ!

და როცა ამ მნიშვნელობით გავიაზრებთ, მაშინ ეს სიტყვა უკვე აღარ გამოგვადგება ბუნებისა და ადამიანის სასურველი კავშირის ცნების გამოსახატად.

იმ მანკიერ თვისებათა შორის, რაც ზემოთ ბოლომდე არ ჩამოგვითვლია, არის ერთი ვნება, რისკენაც მისწრაფება განსაკუთრებული სიცხოველით ახასიათებთ ქვეყნის გვირგვინოსნებს. ეს არის დაპყრობის დაუცხრომელი ჟინი. ყველაფერი იმის დაპყრობა, რაც საც ირგვლივ ხედავს და მას კი არ ეკუთვნის, ან მთლიანად არ ეკუთვნის, ან ჯერ არ ეკუთვნის. ამ ვნების განსაკუთრებული მანკიერება ისიც არის, რომ მისით დაავადებულს სიხარბეც მოერევა ხოლმე და ზომიერების გრძნობასაც ჰკარგავს. ეს სენი სჭირდა მუდამ სხვადასხვა დროისა და ქვეყნის გვირგვინოსანთა უდიდეს ნაწილს. და ამ ვნების გამომხატველი სიტყვაც ხშირად წაგვიკითხავს და გაგვიგონია ადამიანისა და ბუნების კავშირისა და ურთიერთობის გამოსახატავად.

ადამიანი ბუნებას იპყრობს! ადამიანი ბუნებას იმორჩილებს! — რამდენჯერ წაგვიკითხავს და მოგვისმენია ეს სიტყვები.

და სააუგო აქაც თითქოს არაფერია. რადგან ამ სიტყვებს როცა ვისმენთ, ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ ადამიანი ბუნების სულ ახალსა და ახალ საიდუმლოს ჩასწვდა, ბუნების მიერ შემოთავაზებული ახალი და ახალი სიკეთე აითვისა და ამით კაცობრიობის პროგრესს შეუწყო ხელი...

ასეა, როცა სასურველი მნიშვნელობით გავიაზრებთ ამ სიტყვებს.

სამწუხაროდ, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანს ხშირად დაუკარგავს სიფრთხილის გრძნობა, კეთილგონიერება, და როგორც ნამდვილი დამპყრობელი, ისე შესცოდია დედაბუნებას.

სწორედ ამის შედეგია, რომ მსოფლიოს მრავალ კუთხეში ოდეს-

ღაც გაუვალი ტყეებით დაფარული სივრცეები ქარის სათარეშო უდაბნოდ ქცეულა; ამის შედეგია, რომ მრავალი უმშვენიერესი ქმნილება ბუნებისა, რაც ადამიანის ცხოვრებას მარტო სამკაულად კი არა ჰქონია, არამედ არსებობის წყაროდაც, გადაშენების ზღვარზე მისულა და ახლა შეშფოთებული ადამიანი ცდილობს ზოოპარკებსა და ბოტანიკურ ბაღებში მაინც შეინარჩუნოს, როგორც შორეულ წინაპართაგან გადმოცემული უნიკალური სახსოვარი, რომელიც ძველისძველ სკივრში მოხვედრილა და უბადრუკობად ქცეულა — ფასიც დაუკარგავს, ელვარებაც, პირვანდელი მნიშვნელობაც, და ახლა ძალიან შორეული შთამომავლის მიძინებული სიამაყის წუთიერ შესაღვიძებლადღა თუ გამოდგება.

შეთხელდა და გაღარიბდა ფლორა და ფაუნა. ოდესღაც რუსთაველი ამაყად ამბობდა — გვაქვს უთვალავი ფერითაო, და გულისხმობდა იმ დიდ სიკეთეს, რაც ბუნებას ადამიანისათვის შეუთვაზებია ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში, მთელ პლანეტაზე.

ახლა უკვე ეს ფერები შეთხელებულია.

და ჩვენ გვესმის შეშფოთებული ადამიანის სულ უფრო და უფრო გახშირებული წუწუნი და მოთქმა. ზოგჯერ ისევე გაზვიადებული და გადაჭარბებული, რა გადაჭარბებითაც ერთ დროს დასაპყრობად უტევდა ბუნებას, და ახლაც უტევს ბევრგან, მსოფლიოს ბევრ კუთხესა და ქვეყანაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ მანკიერ გრძნობას, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ჩვენ გადმონაშთს ვეძახით.

მკითხველი ალბათ ხვდება, რომ ჩვენ აქ ეგოიზმს ვგულისხმობთ.

ეგოიზმის ცნება მეტად ფართოა. იგი ვლინდება ცხოვრებისეულ წვრილმანებშიაც და ზოგჯერ ფართო საზოგადოებრივი ვნების მიზეზიც ხდება...

ეგოიზმია, როდესაც თვალშეუდგამ ასწლოვან მუხასა და წიფლის ხეს მოსჭრი მხოლოდ იმისათვის, რომ დაანახშირო და მეგობართა პატარა წრის გასამასპინძლებლად მაყალი გააჩაღო.

ასე განადგურდა აგერ გასულ საუკუნეში თბილისის ირგვლივ ოდესღაც დაბურული ტყეების ნაშთები. ძირითადი მასივები იმ ტყეებისა საუკუნეების განმავლობაში შემოსეული მტრის ხელით ნაღგურდებოდა, ხოლო ნაშთები, რომელთა აღორძინება მაშინ გაციცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ასეთმა ეგოიზმმა და წინდაუხედაობამ იმსხვერპლა.

ახლა გაცილებით უფრო ძნელია ერთიანად მოტიტვლებულ და გამოფიტულ გორაკებზე ახალი ტყის აღმოცენება და მოვლა.

საშინელი ეგოიზმია, როცა ცულის ტარის გამოსათლელად აშოლტილ მოზარდ ხეს წააქცევ და აკუწავ;

როცა ერთი კილო თევზისათვის მდინარეში, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, სულ მოსპობ თევზის სახსენებელს...

ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, იშვიათი არ არის.

სენი იმითაც არის საშიში, რომ იგი ფარ-ხმალს ადვილად არ ჰყრის, სახეს იცვლის და ახალ ვითარებას ახლებურად ეგუება. ასეა ყოველგვარი მანკიერება.

გამწარებით ცდილობს ახალ ვითარებას შეეგუოს. ეგოიზმმა ახალი სახე მიიღო, და ესეც იმ პირველად მანკიერებაზე არანაკლებ საშიშია. ეს არის გულგრილობა, წაყრუება, საზოგადოებრივი საქმის მიმართ ინდიფერენტულობა.

როცა ვინმე ანტისაზოგადოებრივ საქმეს სჩადის, საზოგადოებრივ წესრიგს ფეხით ჭელავს და დანაშაულებრივი უგუნურობით სპობს ბუნებრივ სიმდიდრეს, ეს, რაღა თქმა უნდა, ბოროტებაა მაგრამ ამის არდანახვა და წაყრუებაც ასეთივე ბოროტებაა. და რაც უფრო მალე მოვერევით ამ სენს, მით უფრო გაადვილდება სახელმწიფოს მიერ დასახული მტკიცე გეგმის შესრულება ბუნების დაცვისა და აღორძინების შესახებ.

ჩვენმა სახელმწიფომ პირველხარისხოვან საქმედ დასახა ბუნების დაცვა და აღორძინება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია მიეძღვნა ამას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით ფართო გეგმა დაისახა ამ დიდი სახალხო საქმის შესასრულებლად. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის ივნისის დადგენილებაში ჩამოყალიბებულია კონკრეტული ღონისძიებანი, რაც ითვალისწინებს ბუნების დაცვის შემდგომ გაძლიერებასა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენებას. ეს დადგენილება ითვალისწინებს რესპუბლიკის თითქმის ყველა უწყებისა და ორგანიზაციის, ყოველი პატიოსანი ადამიანის აქტიურ მონაწილეობას ამ უაღრესად მნიშვნელოვან სახალხო საქმეში. აქ კონკრეტულად არის მითითებული, ვის რა ევალება.

ქართული მწერლობა მუდამ ხალხს ედგა მხარში, მას მიუძღო-

და, მის ზრახვასა და სულისკვეთებას გამოხატავდა. ქართველ მწერლებს არაერთხელ აუმაღლებიათ ხმა ჩვენი მშვენიერი ბუნების დასაცავად. ჯერ მარტო გასული საუკუნის ქართულ გაზეთებს რომ გადაათვალიერებ, აღფრთოვანება მოგიცავს — რა ფართოდ, მწვავედ და გაბედულად აყენებდნენ ჩვენი მწერლები ამ დიდი ეროვნული საქმის — ბუნების დაცვისა და აღორძინების — კონკრეტულ საკითხებს.

ჩვენი მწერლები, ერის რჩეული შვილები, რომელთაც თავიანთივე ორიოდე გაზეთის ფურცლებზე გააფთრებული და შეუნელებელი ბრძოლა გააჩაღეს ამ დიდი ეროვნული და საზოგადოებრივი უბედურების — ბუნების დაუნდობელი მოსპობის — წინააღმდეგ, ეკოლოგიზმის ვეება ოკეანით გარშემორტყმულ პატარა კუნძულებსღა ჰგავდნენ.

ახლა, როცა ასე ფართოდ და ყოვლისმომცველად დაისვა ბუნების დაცვის საკითხი, ქართველი მწერლების ვალია მხარში ამოუდგნენ სახელმწიფოს, მხარში ამოუდგნენ ხალხს და უფრო მეტი ენერგიულობით იბრძოლონ ამ დიდი, საშვილიშვილო საქმის შესასრულებლად. თითო ლექსისა თუ ნარკვევის გამოქვეყნება ბუნების დაცვის საკითხებზე სულაც არ არის საკმარისი. ეს დიდი სახალხო საქმე მთელი ჩვენი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთერთ ძირითად საკითხად უნდა გავიხადოთ და ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, ჩვენს შემოქმედებაში, მკითხველებთან შეხვედრებში, ხალხთან პირადი კონტაქტის დროს არასოდეს არ უნდა ვივიწყებდეთ, მუდამ მოვაგონებდეთ ხალხს, რომ ადამიანი ბუნების შვილია და როგორც დედაშვილური სიყვარული, ასეთივე სათუთი და ალერსიანი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება დედაბუნების მიმართ.

ბუნება და ადამიანი!

რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ხშირად გვესმის ეს ორი სიტყვა, ერთად წარმოთქმული, ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში.

ძველად ამ ორ სიტყვას მრავალწერტილს მიუწერდნენ და ამით უთქმელად გულისხმობდნენ იმ დიდ სიკეთეს, რაც ადამიანისა და ბუნების ჰარმონიულ ურთიერთობას ახლავს ხოლმე.

ახლა უფრო ხშირად ძახილის ნიშანი მოსდევს ამ ორ სიტყვას და ამით შეშფოთებასა და სასოწარკვეთას გამოხატავენ.

შეშფოთების საფუძველი ნაწილობრივ იქნებ მართლაც არსებობდეს, სასოწარკვეთისა — ჯერ არა. რადგან ყველაფრის გამოსწორება შეუძლია ადამიანისვე გონებასა და ხელს, როცა საქმეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიეცემა, როცა სახელმწიფო თვითონვე წარმართავს დიდ სახალხო საქმეს და როცა ამ დიდი საქმის შესასრულებლად ხალხი ერთსულოვნად უდგას მხარში სახელმწიფოს.

1973 წ.

## რასაც ყოველდღიურად ხედავს თვალი

უცნაური სათაურია, არა?

აბა რა ჩამოთვლის იმას, რასაც ყოველდღიურად ხედავს თვალი!...

ჩვენს დიდ ქალაქებში ადრიანად იწყება ცხოვრება. მშრომელი ქალის დილა ადრე თენდება. და მერე, რამდენი წუთიც გავა, სულ უფრო და უფრო მატულობს რიტმი. სულ უფრო და უფრო ხშირდება ცხოვრების მაჯისცემა.

დილის ბინდბუნდში გამოსულ მეეზოეებს მალევე მოჰყვებიან პირველი გამვლელები — ჯერ კანტიკუნტად, მერე თანდათან იმატებენ. მათი ნაბიჯი ყოველთვის თვალშისაცემად ჩქარია, ზოგს მატარებელზე მიეჩქარება, ზოგს — ავტოსადგურში, ზოგმა წარმოებაში მორიგეობა უნდა გადაიბაროს...

ცოტა ხანიც და ქალაქის პირველი მერცხალი გაიწკრიალებს — ტრამვაის პირველი ზარი; მოასფალტებულ ქუჩებში ლამაზი ტროლეიბუსები გაისრიალებენ, ტაქსის პირველი მანქანები გამოჩნდებიან, რომელთაც ციკლოპებივით თითო მწვანე თვალი უელავთ (ამ დროს ადვილია ხოლმე ტაქსის დაჭერა, მძღოლებიც უფრო თავაზიანები არიან!..).

ხალხი უკვე მომრავლებულა ქუჩებში. აქა-იქ ნაცნობებიც შეხვედრიან ერთმანეთს.

დილის საუბარი მუდამ მოკლეა ხოლმე, სხარტი და შეკუმშული. მაგრამ მეტწილად ხალისიანი და ღიმილიანი...

აგერ გაზეთის კიოსკთან პირველი საფოსტო მანქანა შეჩერდა, კოხტად შეკრული დილის გაზეთები დატოვა და ქუჩებში, ტრამვაი-ტროლეიბუსებში ქაღალდის თეთრი ფურცლები აფრიალდა.

თქვენ ამჩნევთ, რომ დილის სინათლე უკვე კარგად მომძლავრებულა. და ასევე თანდათან გაძლიერებულ ქალაქის ხმაურს ამ დროისათვის ერთი დიდი ტალღა შეერთვის, მაცოცხლებელი ელექსირიით დაუვლის მის არტერიებს: ქუჩებს ბავშვების ჟრიამული მოედება. და რაკი თქვენ დღეს საგანგებო დამკვირვებლის თვალითა და ყურით გამოხვედით შინიდან, განსაკუთრებით იგრძენით, რა სასიამოვნოდ მოეფონა გულს მათი დანახვა. სახეზე ღიმილი გადაგეშალათ. ერთბაშად მხნეობა და ხალისი მოგემატათ...

იმ უვნებელ ცრურწმენას, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, დილით შინიდან გამოსულს პირველად ვინ შეგხვდება და რა ფეხზე შეგხვდება, იქნებ ძალიან მარტივი საფუძველი ჰქონდეს.

კარგი სალმით და ტკბილი ღიმილით რომ შეგხვდება კაცი, კეთილი გულით რომ მოგიკითხავს, შენც ერთბაშად გაგითბება გული, ხალისი და მხნეობა მოგემატება. შენ თვითონ ვერა გრძნობ ისე, დიდხანს გაგყვება ის ღიმილი, ათასნაირ ტკბილ ფიქრებსა და ასოციაციებს აღგიძრავს... და თითქოს მართლაც დაგებედაო, მთელი დღე კარგი გუნება გაგყვება, გულს უხარია, შენც ყველასათვის სიკეთე გინდა, ყველას ბედნიერების მოსურნე ხარ.

მაგრამ უქმური ვინმე თუ შეგხვდა დილით, შუბლი არ გაგიხსნა, შემოგიბღვირა და ავი თვალით შეგხედა, მორჩა, ის დღე მოშხამულია, გული თითქოს დაგიმძიმდა, მთელი დღე რალაც გაწუხებს და ვერ მოგისვენია.

უსულო საგნებსაც შეუძლიათ კეთილი ნაცნობივით ტკბილი ღიმილის შემოფრქვევა.

თქვენ დღეს საგანგებოდ აკვირდებით და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილებში, ამ ქუჩებში ათასჯერ გაგივლიათ, თითქოს პირველად ახლა შეიგნეთ, როგორ სასიამოვნოდ გაგიღიმათ და თქვენც გაუღიმეთ, ვთქვათ, უნივერსიტეტის თეთრად შეღებილმა შენობამ; ან ფილარმონიის ახალი შენობის წინ ფართოდ ხელგაშლილი შუზის ქანდაკებამ, რომელიც საამურად ეშმაკური ღიმი-

ლით ბევრ სიხარულს გპირდებათ, ან, ვთქვათ, იმელის შთამბეჭდავმა, მძიმე, მასიურმა შენობამ, რომლისთვისაც ბოლნისის ტუფს ზომიერი სიმსუბუქე და სითბო მიუცია; ან იქვე, იმელის გვერდით, ხარაჩოებში ჩასმულმა, მომაღლოდ წამომართულმა ჯერ დაუმთავრებელმა, მაგრამ უკვე შთამბეჭდავმა შენობამ, რომელიც, გჯერათ, მალე დაამშვენებს ჩვენს საყვარელ პროსპექტს, ან ცოტა უფრო ქვემოთ დილის მზით მოვარაყებულმა, გუმბათით ცაში შეჭრილმა, ზღაპრული ჩუქურთმებით დამშვენებულმა ქაშვეთის ტაძარმა. ან ვთქვათ, ქუთაისის შეუდარებელი ბულვარის წინ შემაღლებულ ბორცვზე წამომართულმა თეატრმა, ან თავისი გრანდიოზულობითა და შესანიშნავი სისადავით შორი მანძილიდანვე მთამბეჭდავმა ბაგრატის ნანგრევებმა...

ბევრს, ბევრ რამეს ხედავს ყოველდღიურად ჩვენი თვალი. ამას ჩამოთვლა არც განგვიზრახავს და ვერც მოვახერხებთ.

ყველასათვის ცნობილია, რომ ნაგებობების სილამაზისათვის, მათი ანსამბლურობისათვის, სასურველ სტილში მოქცევისათვის საგანგებოდ ზრუნავენ ხოლმე. ყველა ქალაქს თავისი ხუროთმოძღვარი ჰყავს და ყოველი ახალი შენობის ამართვა, მით უმეტეს, ახალი უბნების დაგეგმარება საგანგებო მსჯელობის საგანი ხდება. დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ქალაქის გარეგნული სილამაზის საკითხს. სულ სხვა საქმეა, ყოველთვის აღწევენ თუ არა სასურველ შედეგს, უპასუხებს თუ არა ყველა ნაგებობა ჩვენი კულტურის დღევანდელ დონეს, ყოველთვის არის თუ არა დაცული სტილი და ანსამბლურობა, ახლად გაშენებული რაიონები სასურველად ეხამებიან თუ არა ქალაქის ძველ უბნებს, ყველა ქანდაკება დგას თუ არა თავის ადგილზე და, საერთოდ, წარმოადგენს თუ არა ხელოვნების განსაკუთრებულ მოვლენას.

ეს ცალკე საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის არის, რომ უყურადღებოდ არ არის მიტოვებული ეს საქმე და იგრძნობა, რომ იგი ყოველდღიური ზრუნვისა და მსჯელობის საგანია.

ხოლო ის საკითხი, რაზეც ახლა მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ, ჩვენ გვეჩვენება, რომ ყოველგვარი ზრუნვისა და ყურადღების მიღმა არის მიტოვებული. არადა, ეს საქმე სულაც არ არის ნაკლები მნიშვნელობისა. ესეც ისევე, და გარკვეული მოსაზრებით იქნებ უფრო მეტადაც, გამოხატავს საერთო კულტურის დონეს, ესეც ისევე და იქნებ რამდენადმე უფრო მეტადაც უწყობს

ხელს ადამიანის ესთეტიკური აღზრდის საქმეს, სასურველი გემოვნების ჩამოყალიბებასა და დახვეწას, როგორც ზემოთ ნახსენები დიდი ლამაზი შენობები და ძეგლები.

აი, თქვენ დიდ ქუჩებში გახვედით და ტროტუარს დაუყევით.. სწორედ აქა გვხვდება ის, რაზეც ჩვენ ეს საუბარი წამოვიწყეთ, რასაც ყოველდღიურად ხედავს თვალი.

დიახ, ვიტრინებზე წამოვიწყეთ ეს საუბარი. რადგან გვეჩვენება, რომ ჩვენი მაღაზიების ვიტრინების გაფორმება ყოველგვარი ზრუნვისა და ყურადღების მიღმა არის მიტოვებული. ვინმეს იქნებ წვრილმანად მოეჩვენოს ეს საქმე, მაგრამ ვერ დავეთანხმებით: წვრილმანად არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რასაც ყოველდღიურად შეჰყურებს თვალი, რაც შენს ქვეყანაში პირველად ჩამოსულ ადამიანს შენი ხალხის კულტურის დონეზე უქმნის წარმოდგენას, რაც შენი მოქალაქეების — ახალგაზრდებისა თუ არაახალგაზრდების — გემოვნების ჩამოყალიბებაში გარკვეულ და, შეიძლება უფრო თამამადაც ითქვას, დიდ როლს თამაშობს, რაც შენს გუნება-განწყობილებაზე ყოველდღიურად მოქმედებს.

დიდ ქუჩებში რომ მიდიხარ, თვალი უნებურად ვიტრინებისაკენ გაგირბის, და ისევე უნდა შემოგანათოს ამ ვიტრინებმა, მათმა სილამაზემ ისევე უნდა გაგიხაროს გული და სიამოვნების ღიმილი მოგგვაროს, როგორც ზემოთ ნახსენებმა ლამაზმა ძეგლებმა და შენობებმა. ისევე უნდა გაგუვეს მთელი დღის საგზლად ეს სასიამოვნო განწყობილება, როგორც კეთილი ადამიანის ტკბილი სალამი და ღიმილი გაგყვათ.

ჩვენს სოფლებში იციან ხოლმე, სასურველი სტუმარი რომ ეწვევათ, სუფრას გამოცდილ მანდილოსანს გააშლევინებენ, ვის გემოვნებასა და თვალსაც უფრო ენდობიან. ზოგჯერ საამისოდ მეზობლის ქალსაც კი მოიწვევენ. და ალბათ ყველასა გაქვთ შენიშნული, ეს გამოცდილი თვალის პატრონი დიასახლისი, რა ყურადღებითა შლის სუფრას: რამდენ რამეს დადებს სუფრაზე, იმდენს შორიდან გამოხედავს თვალმოწკურული, საერთო „ანსამბლურობას" შეამოწმებს, გადაადგილებს, მისწევ-მოსწევს, ისევ გამოხედავს...

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ასეთი გამოცდილი თვალის პატრონებს გაეფორმებინოთ ჩვენი ვიტრინები. მით უფრო ვერ

ვირწმუნებთ, რომ ამას მხატვრის თვალი და ხელი მოხვედროდეს, საერთო ანსამბლურობას ვინ დაეძებს, ცალკეული მაღაზიის ვიტრინები მაინც დაემსგავსებინათ რამესთვის. იქნებ ზოგან ცოტა უფრო უკეთესად იყოს გაფორმებული, ზოგან უარესად, მაგრამ ჩვენი აზრით, საერთოდ უყურადღებოდ არის მიგდებული ეს საქმე. მაღაზიების დიდი ნაწილის ვიტრინები არათუ სასურველი გემოვნების ჩამოყალიბებასა და დახვეწას, უგემოვნობის ჩამოყალიბებასა და უსიამოვნო განწყობილების შექმნას უფრო უწყობს ხელს. იქნებ შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს საქონელი პირდაპირ გამოუყრიათ, როგორც მოუხდათ (თუმცა ზოგან საკმაო ვემოვნებით საგანგებოდ „დალაგებულს“ იქნებ ასე უწესრიგოდ გამოყრილი ჯობდეს).

გადავხედოთ ამ თვალსაზრისით, თუ გნებავთ, ჩვენი დედაქალაქის ყველაზე დიდ ქუჩას, ჩვენს კოხტა და მშვენიერ რუსთაველის პროსპექტს. რუსთაველის მოედნიდანვე დავიწყოთ და ქვემოთ ჩავყვეთ...

ცალკეული მაღაზიების ჩამოთვლა გვინდოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საჭირო აღარ არის, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აბა რომელი მაღაზიის ვიტრინაზე იტყვით, რომ სასურველად, თუნდაც მოსათმენად იყოს გაფორმებული?! მგონი, გაგვიჭირდება ასეთი ვიტრინის დასახელება. თუნდაც სუვენირების პატარა მაღაზიაში შეინედეთ, სადაც სწორედ სტუმრები იყრიან უფრო მეტად თავს, როგორ უთავბოლოდ დაუხვავებიათ ყოველგვარი საქონელი!... აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ იქნებ საჭირო იყოს ზოგი მაღაზია თუ სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება საერთოდ შეიცვალოს და მის ადგილზე უფრო შესაფერი სავაჭროები და კაფეები მოთავსდეს, რომელიც პროსპექტს უფრო მოუხდება, საერთო ანსამბლში უფრო კარგად „აეწერდება“, თუნდ პრაქტიკული თვალსაზრისითაც უფრო საჭირო იქნება. ზოგიერთ ადგილას, ამავე რუსთაველის პროსპექტზე, ვეება მასიურ მშვენიერ მინებზე ისეთი მოკლედ გადაჭრილი, ზონარგაყრილი, თაესა და ბოლოში ნაოჭებმიკუწკუწებული ფარდები გაუჭიმავთ, არა მგონია დღეს თუნდაც შორეული სოფლის დაბალჩარჩოებიან ფანჯრებზე ნახოთ ასეთი ფარდები...

აქ აღარაფერს ვამბობთ უგემოვნო რეკლამებსა და შუქრეკლამებზე...

მეტნაკლებად ასეთივე სურათს ნახავთ დედაქალაქის სხვა ქუჩებშიაც... ასეთივე სურათს ნახავთ სხვა ქალაქებშიაც, თუნდაც ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში...

ზოგს იქნებ მხოლოდ კომერციულ-სარეკლამო საშუალებად მიაჩნია დიდი ქუჩების მაღაზიების ვიტრინები. ვაი რომ, ჩვენი ვიტრინები ამ დანიშნულებასაც ვერ უპასუხებენ! მაგრამ კიდევაც რომ უპასუხებდნენ, მათი ფუნქცია ხომ გაცილებით უფრო დიდი და ფართოა. ისინი უნდა იქცნენ ჩვენი ლამაზი ქალაქების სამკაულებად.

მკითხველმა მოგვიტევოს ასეთი ზოგადი საუბარი. ჩვენ მხოლოდ საკითხი დავსვით.

1973 წ.

## „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ გამო

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ გამოსვლის შემდეგ მკითხველისაგან წერილი მივიღე. ორი საკითხის დაზუსტებასა მთხოვდა.

პირველი წიგნის სახელწოდებას შეეხება, მეორე — შესავალ ნაწილს.

დავიწყებ მეორეთი.

წიგნი თითქოს მართლაც უცნაურად იწყება. სანამ უშუალოდ ისტორიული ამბების თხრობა დაიწყებოდეს, მას წამძღვარებული აქვს პუბლიცისტური შესავალი, რომელიც გაუმძაფრებელი პოლემისტური მანერით არის დაწერილი.

ავტორი თითქოს ვიღაცას ეკამათება. ეს „ვიღაცა“ თითქოს ჩამოუყალიბებელი, მაგრამ საკმაოდ ფეხმოკიდებული აზრია, ზოგჯერ ქვეცნობიერი, ზოგჯერ შედარებით გამოკვეთილი და აქა-იქ გამოთქმულიც კი — ხან შეფარვით, ხან უფრო ცხადად... აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი ხალხი ბუნებას ისე გაუნებივრებია, თითქოს დიდი თავის შეწუხება არა სჭირდებოდეს, რათა უზრუნველად იცხოვროს. და ეს ბუნებაც უბადლო სილამაზისა და მომხიბლაობისა რგებია.

თვალის დახუჭვა საჭირო არ არის — ნამდვილად ბოგინობს ასეთი აზრი.

ერთი დამახასიათებელი დეტალი მაგონდება. კინოსურათი „მაგდანას ლურჯა“ რომ გამოვიდა ეკრანზე, ფილმის ახალგაზრდა რეჟისორები ზოგმა საყვედურებით აავსო: სურათი კი ძალიან კარგია, მაგრამ რა ღმერთი გაგიწყრათ, ამდენი ხრიოკი ადგილი საც გამოძებნეთ, ჩვენს ულამაზეს საქართველოში ამაზე კარგი პეიზაჟები როგორ ვერ შეარჩიეთ, საქვეყნოდ თავი რად მოგვჭერითო.

კინომ გამახსენა: არსებობს ქრონიკულ-დოკუმენტური სრულმეტრაჟიანი კინოსურათი. „საბჭოთა საქართველო“, სადაც ნაჩვენებია ჩვენი რესპუბლიკის სისხლსავსე ცხოვრება, მისი წარსულიც და, განსაკუთრებით, დღევანდელი დღე, ახალ-ახალი მიღწევები სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგსა და კულტურის სფეროში. და რაკი ფილმის მიზანია ჩვენი ქვეყნის უახლესი მიღწევები აჩვენოს, პერიოდულად ახალ-ახალი ვარიანტით გამოდის ხოლმე ეს სურათი. ვერ ვიტყვი, როგორია ამ ფილმის ბოლო ვარიანტი, მაგრამ დაახლოებით ამ 10-15 წლის წინათ დადგმული ვერსიიდან ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდა, თითქოს ამ წვალკოტ ქვეყანაში ყველაფერი ძალიან ოლად და თითქმის ბაურ-ველად კეთდებოდეს. პეიზაჟებიც საგულდაგულოდ სულ ამაზე-ამაზე იყო შერჩეული, პირდაპირ თვალს მოგჭრიდა: ხან არც საგანგებოდ ლამაზი და ახოვანი შეერჩიათ; ტანსაცმელიც... და, რაც მთავარია, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდა, თითქოს მთელი ის წარმატებები, რასაც ჩვენმა ხალხმა მიაღწია, ოფლის უღვრელად, ლამის ცეკვა-თამაშითა და ტაშ-ფანდურით მოეპოვებინოთ.

ერთი სიტყვით, თავაუღებელი შრომის ჩვენებას, რამაც სინამდვილეში ეს მიღწევები მოაპოვებინა ჩვენს ხალხს, თითქოს გაურბოდა რეჟისორი.

ასეთი განწყობილება, საერთოდ, დამახასიათებელი იყო.

და აი, წიგნის შესავალში ავტორი ცდილობს დაუპირისპირდეს ამ მავნე აზრსა და განწყობილებას.

შესავალშივე მოტანილი მაქვს ხალხში ფართოდ გავრცელებული ხუმრობისნაირი „ლეგენდა“, თუ როგორ ერგოთ ქართველებს ჩვენი პლანეტის ყველაზე ლამაზი და მდიდარი ნაწილი, ღვთის წილი წვალკოტი.

უსიამოვნოც კია ამ ვაი-„ლეგენდის“ გახსენება. ქვეყნიერებას განაწილების დროს, როცა ღმერთი ხალხებს ჩვენს პლანეტას უნაწილებდა, ქართველებს დაგვიანებიათ უზენაესთან გამოცხადება და უმიწაწყლოდ დარჩენილან — ღმერთს უკვე სულ ჩამოერიგებინა დედამიწის ყოველი კუთხე-კუნჭული. ქართველები რომ დაინახა ასე დაგვიანებით მოსულები, საშინლად შეწუხდა—ეს ჩემი რჩეული და საყვარელი ხალხი უმიწაწყლოდ როგორ დავტოვეო. სხვათა შორის, ერთი ვარიანტი ამ ვაი-„ლეგენდისა“ იმასაც გადმოგვცემს, თუ რატომ დააგვიანდათ ქართველებს: ქეიფს შეჰყვნენ და ღმერთთან დროზე ვეღარ გამოცხადდნენო! შეწუხდა ღმერთი, მაგრამ რაღა უნდა ექნა? მართლა ხომ არ გასწირავდა თავის საყვარელ ხალხს? დასატუქსადაც კი არ გაიმეტა, წყენაც არ აგრძნობინა, პირიქით, დაუყვავა, თავზე ხელი გადაუსვა და თავისი წილი წალკოტი უბოძა განებივრებულ ქართველებს. თვითონ კი ზეცაში ავიდა და იქ დაბინავდა. აი, როგორ მიიღეს ქართველებმა ეს ღვთის წილი წალკოტი, დედამიწის ულამაზესი კუთხე, ბაღ-ვენახებითა და ყოველგვარი სიკეთით დამშვენებული. ბუნება უხვად სთავაზობს ამ ქვეყნის მკვიდრთ ყველაფერს, დიდი თავის შეწუხება ხალხს არა სჭირდება, რომ კარგად და ბედნიერად იცხოვროს, რასაც კი მოიგუნებებს, ყველაფერი მზამზარეულად მიერთმევა...

თითქოს სავსებით უვნებელი „ლეგენდაა“. რა მოხდა, რა ვნება უნდა მოუტანოს ადამიანს იმის შეგნებამ, რომ ჩვენი პლანეტის ყველაზე კარგ ნაწილში ბინადრობს, უზრუნველად და ბედნიერად ცხოვრობს, გამორჩეული ხალხის შვილია...

ამნაირი „ლეგენდა“, თუ არ ვცდები, სხვებსაც აქვთ. მაგრამ არა მგონია ასეთი გავრცელება ჰქონდეს სადმე.

ალბათ ყველას გაუგონია ეს „ლეგენდა“.

მე პირადად ბევრჯერ მომისმენია სულ სხვადასხვა ვითარებაში და ყოველთვის გავუბრაზებივარ, საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩენილვარ. შეურაცხყოფილიც და გაკვირვებულიც.

იმის ნაცვლად, რომ უცხო თუ მეზობელი ქვეყნებიდან სტუმრად მოსულ ადამიანს, განსაკუთრებით კი ჩვენივე ახალგაზრდობას საამაყო სიმართლე ვუთხრათ, გავაგებინოთ, რომ ყველაფერი, რაც თვალსა და გულს ახარებს და საამაყოდა გვაქვს, ჩვენს ხალხს გრძელი ისტორიის მანძილზე თავაუღებელი, პატიოსანი შრომით შეუქმნია და მოუპოვებიაო, ჩვენ ჯიუტად დაგვიჟინია და დაუზა-

რებლად ვიმეორებთ — ყველაფერი თავისშეუწუხებლად და უშრომლად გვეძლევაო.

იქნებ ზოგიერთმა თქვას — ეს ხომ ხუმრობააო.

ხუმრობაც არის და ხუმრობაც. ყველაფერზე ხუმრობა და ყველაფრის გახუმრება არ შეიძლება. ეს მავნე ხუმრობაა. მკრეხელობაა. ასე ხუმრობა არ შეიძლება. საარაკოდ შრომისმოყვარე და ჭმირ ხალხზე, რომელსაც ყოველი მტკაველი მიწა სისხლით დაუცავს და ოფლით გაუპოხიერებია, ყოველგვარი სიკეთე თავაუღებელი შრომით შეუქმნია და მოუპოვებია, ხუმრობითაც არ შეიძლება თქმა — ყველაფერი ძალიან იოლად და მზამზარეულად მიერთმევაო. ამაზე მავნე და შეურაცხმყოფელი სხვა რა უნდა იყოს?!

ეს ერთი მხარე ამ მავნე ხუმრობისა.

ახლა მეორე.

პედაგოგიკის უმარტივესი კანონია, — ეს აღმზრდელმა კი არა, ალსაზრდელმაც კარგად იცის, — რომ ბავშვს არასდიდებით არ უნდა შთააგონო, თითქოს იგი თავის ტოლებში გამორჩეული იყოს ან გარეგნობით, ან ნიჭით, ან ღონით, ან რითაც გინდა...

ასეთი ბავშვი მცონარა, ბაქია, თავკერძა გამოდის, და საბოლოოდ თვითონვეა ცხოვრებაში უბედური.

ყველა წესიერი და ჭკვიანი მშობელი ცდილობს ასეთი წარმოდგენა არ შეუქმნას თავის შვილს...

ისტორია სხვა რა არის, თუ არა ახალი თაობების აღზრდის წყარო და საშუალება! ისტორია გვასწავლის, ვინ იყო შენი წინაპარი, კარგი რა გაუკეთებია და რაში უნდა მიბაძო მას; რა შეცდომა მოსვლია, რომ შენ აღარ გაიმეორო ეს შეცდომა; რა შეუქმნია, რა წვლილი შეუტანია საერთო-საკაცობრიო კულტურაში, რათა შენც არ გამოეთიშო კაცობრიობის წინსვლის საერთო ფერხულს და შენმა თაობამაც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს. დიდი ილია წერდა: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა“.

სწორედ ამის შეგნებითა და გათვალისწინებით უნდა იწერებოდეს ისტორიული ხასიათის წიგნები. და ამ წიგნის მიზანიც, რა თქმა უნდა, ეს არის.

თავისი ხალხის წარსული ყველას უნდა ეამაყებოდეს, მაგრამ წარსულით ბაქიობა და კვეხნა სირცხვილი და უჭკუობაა. ამასთან, ვაჟკაცობა უნდა გეყოს, საკუთარი ნაკლიც დაინახო და სიმართლით აღნიშნო. შელამაზებული ისტორია არავის სჭირდება, არც ისტორიის თვითმიზნური სწავლება. ისტორია დღევანდელობის სამსახურში უნდა იყოს ჩაყენებული და ახალი თაობის, მთელი ხალხის აღზრდას უნდა ემსახურებოდეს.

ამ დიდი ჰეშმარიტების გზას ადგანან ჩვენი დიდი ისტორიკოსები — ძველნიც და ახალნიც. ამას გვასწავლის, მაგალითად, წარსულის ბრძენი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი და ამასვე გვასწავლის ჩვენი დროის დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. ვიხც ისტორიული ხასიათის წიგნსა წერს, ეს ჰეშმარიტება არ უნდა დაივიწყოს.

ერთი სიტყვით, რაკი განვიზრახე ჩვენი ხალხის წარსული მომეთხრო, გადავწყვიტე, პირველი „იერიში“ სწორედ იმ ზემოთნახსენებ ლეგენდა-ხუმრობაზე მიმეტანა, ანუ იმ ყალბ წარმოდგენაზე, თითქოს ქართველები ბუნებითა და ცხოვრებით განებივრებული ხალხი იყოს, ღმერთის ნებიერი, ყველაფრით უზრუნველყოფილი და უზრუნველი. გადავწყვიტე, მეჩვენებინა რომ მთელი სიკეთის წყარო, რაც კი ქართველ ხალხს ამ გრძელი ისტორიის მანძილზე შეუქმნია, მაღალ ნიჭიერებასთან ერთად შრომა და შრომისმოყვარეობაა.

ამ თავაუღებელი შრომის შედეგია არა მარტო სარწყავი არხებით დასერილი, მრავალფეროვანი ნაყოფით დახუნძლული და გამშვენიერებული მიწა-წყალი, არა მარტო კულტურის იშვიათი ნიმუშები — არქიტექტურული ძეგლები, ხელოვნების განუმეორებელი ქმნილებანი, ასეულობით მომხიბლავი, მრავალფეროვანი სიმღერები და მწერლობის უძველესი, უმშვენიერესი ნიმუშები...

არამედ, აგრეთვე, გრძელი და მძიმე საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული ხასიათი...

წიგნში უცვლელად მომაქვს ვახუშტი ბატონიშვილისეული დახასიათება ქართველი ხალხისა და განსაკუთრებულად გამოვყოფ ამ ხასიათის მთავარ თვისებებს — შრომის, თავისუფლების, მშვი-

დობის მოყვარულობასა და ჩვენი ხალხის დიდ კაცთმოყვარულ სულს. სწორედ ეს თვისებებია ქართველი ხალხის გრძელი ისტორიის ქვაკუთხედი, მისი არსებობის საფუძველი და მამოძრავებელი ძალა.

მე განვიზრახე ამ თვისებების ფონზე მომეთხრო მთელი დიდი ისტორია ჩვენი ხალხისა, მეჩვენებინა არა მარტო გმირული თავდაცვითი ბრძოლების, არამედ შემოქმედებითი შრომის დიდი პათოსი.

ზემოთ სიმღერები ვახსენე... სხვა რომ არაფერი ჰქონდეს ხელთ დღევანდელ მკვლევარს და იძულებული გახდეს მარტო დღემდე მოღწეული ქართული სიმღერებით აღადგინოს ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების ობიექტური სახე, თუ ის მკვლევარი თვითონვე ობიექტური და გონიერი იქნება, სასურველი სიცხადით შეუძლია, ჩამოაყალიბოს ქართველი ხალხის ხასიათიც, მისი მისწრაფებებიც, მისი დიდი შრომისმოყვარეობაცა და თავისუფლებისმოყვარეობაც, გმირული შემართება, დიდი ჰუმანიზმი, ინტერნაციონალური სულისკვეთება, მაღალი სულიერი და ყოფითი კულტურა... და როგორც რესტავრატორი აღადგენს ხოლმე დროთა ვითარებაში წაშლილ ფრესკას, ისევე შესაძლებელია ამ სიმღერების წყალობით კონკრეტულ სურათებადაც კი წარმოვიდგინოთ ჩვენი ხალხის დიდი ისტორიული გზა და ხასიათი. რა გმირობა, რა სევდა, რა აღმაფრენა, რა მწუხარება, რა შემართება, რა ოპტიმიზმი და გაუტეხაობა, რა განსაცვიფრებელი იუმორი, რა თბილი ლირიზმი, და ღრმა დრამატიზმი ჩანს ამ სიმღერებში!.. და როცა ამ სიმღერების მიხედვით ჩვენი ხალხის შრომისმოყვარეობის დახასიათებაზე ვლაპარაკობთ, აქ მარტო თავისთავად მართლაც განსაცვიფრებელ ასეულობით შრომის სიმღერებს კი არ ვგულისხმობთ, არამედ მთელ დიდ და უბადლო მუსიკალურ ფოლკლორს, როგორც უდიდესი სულიერი კულტურისა და დაუღალავი შრომისმოყვარეობის ნაყოფს.

წიგნის შესავალ ნაწილშივე ვცადე ხაზი გამესვა ჩვენი შორეული წინაპრების გონივრული და სწორი მისწრაფებისათვის — მუდამ მტკიცე, მეგობრული კავშირი ჰქონოდათ თავიანთ კეთილ და მამაც მეზობლებთან — კავკასიის ხალხებთან. ამგვარადვეა ახსნილი ლეონტი მროველის მიერ მოთხრობილი ლეგენდა ქართველთა წარმომავლობის შესახებ. ჩვენი ხალხის ეს სწორი და ბრძნუ-

ლი თვალსაზრისი მკაფიო ზოლად გასდევს მთელ ჩვენს ისტორიას და მეც ვცდილობ ამ დიდი მეგობრობის ფონზე მოვუთხრო მკითხველს ჩვენი ხალხის ცხოვრების ამბავი.

ახლა მეორე საკითხი. იგი წიგნის სახელწოდებას შეეხება.

წიგნის სათაურში ნახსენები ქართლის ცხოვრების ქრონიკები იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი დიდი და უკვდავი „ქართლის ცხოვრება“ მქონდეს გამოყენებული. „ქართლის ცხოვრება“ ერთ-ერთი წყაროა, რითაც ამ წიგნის წერის დროს ვსარგებლობდი. „ქართლის ცხოვრების“ გარდა ვსარგებლობდი და ვსარგებლობ მრავალი სხვა ისტორიული წყაროთი — ძველი ქართული მწერლობის ძეგლებით, მეზობელი ხალხების ისტორიული შრომებით, ჩვენი უმდიდრესი ფოლკლორით, ეთნოგრაფიული გამოკვლევებით, არქეოლოგიური მონაპოვრებით, წინა თაობების დიდი ქართველი ისტორიკოსების ფუნდამენტური შრომებით. თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევებითა და წიგნებით... ასე რომ წიგნის სათაურში ნახსენები ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ფაქტიურად საქართველოს ისტორიის ქრონიკების მნიშვნელობით იგულისხმება...

ჩვენ მდიდარი ისტორიული მეცნიერება გვაქვს, მაგრამ პოპულარული, ე. ი. საკითხავი წიგნები ისტორიაში თითქმის არ გვაჩნია. ეს დიდი ხარვეზია. და გასაკვირიც კია, რომ დღემდე ასეთი ავტორიტეტული ისტორიული მეცნიერების პარალელურად, რომელიც დღითიდღე ვითარდება და ივსება, მეორე ჟანრი, — დიდი ისტორიის მხატვრულ-პოპულარულად მოთხრობის ჟანრი — თითქმის არა გვქონია. გასული საუკუნეების ჩვენი დიდი მოღვაწეები გრძნობდნენ ამ ჟანრის დიდ საჭიროებას და სწორედ ამით აიხსნება თუნდაც იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ შეტანილი გოგებაშვილისვე და ზოგი სხვა ავტორის ისტორიული მასალის პოპულარული გადმოცემა. სამწუხაროდ, მას შემდეგ სერიოზული და მნიშვნელოვანი ცდა ამ კარგი საქმის გაგრძელებისა არ ყოფილა. მით უფრო ეს შეეხება ჩვენი ისტორიის გაბმულ გადმოცემას პოპულარულ-მხატვრული ენით.

როცა ამ წიგნის წერა დავიწყე, მიზნად დავისახე ჩვენი მეცნიერების მდიდარი მონაპოვრის გამოყენებით მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ა დ მ ო მ ე თ ხ რ ო ქართველი ხალხის ისტორიის მთავარი ეპიზოდები, გამეცოცხლებინა ჩვენი ხალხის თავდადებული, პატიოსანი

შრომისა და ასეთივე თავდადებული, პატიოსანი ბრძოლების სურათები. წიგნის მიზანი ძალიან მარტივი და გასაგებია: მასობრივ მკითხველს მოუთხროს ის, რაც ჩვენს დიდ საისტორიო მეცნიერებასა და მის მონათესავე დარგებს მოუპოვებია. ესე იგი, ტლანქად რომ ვთქვათ, ეს წიგნი ერთგვარი შუამავალია დიდ მეცნიერებასა და მასობრივ მკითხველს შორის.

აქვე უნდა შევნიშნოთ: ეს არა ზღუდავს წიგნის ავტორს, ჩვენი ხალხის ისტორიის ცალკეული ეპიზოდებისა და საკითხების შესახებ თავისი საკუთარი ვარაუდი გამოთქვას. მკითხველი ხშირად შეხვდება წიგნში ასეთ ვარაუდებსა და მოსაზრებებს.

ისიც უნდა აღინიშნოს: ეს „მთხრობელობა“ ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანაა. ზღვა მასალიდან უნდა შევარჩიო ყველაზე მთავარი, დამახასიათებელი, და ისე გადავაბა ერთმანეთს, ისე ავკინძო, რომ არც ისტორიულ სინამდვილეს ვუღალატო, არც თავიდანვე აღებულ ჩემს თვალსაზრისს; ამასთან, არც თხრობის ძაფი გაწყდეს და ბელეტრისტული ხერხიც ისე ზომიერად გამოვიყენო, რომ თხრობა საინტერესო იყოს და თან წიგნს ისტორიული ქრონიკის კოლორიტი არ დაეკარგოს. საქმეს ისიც ართულებს, რომ, როგორც უკვე ითქვა, მთელი, გაბმული ისტორიის ასე მხატვრულად მოთხრობის ტრადიცია ჩვენ არა გვაქვს. საჭიროება კი დიდი ხანია არის ასეთი წიგნისა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ისტორიული მეცნიერება მდიდარია, ყველა ვერ მოახერხებს მეცნიერული შრომები წაიკითხოს. განსაკუთრებით ძნელია ეს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ჩვენი ხალხის ისტორიის ამ გაბმული თხრობიდან მე შევეცადე განსაკუთრებული მოვლენები არა მარტო მომეთხრო, არამედ ხატოვნად გამეცოცხლებინა კიდეც. ასეთებია, მაგალითად, ეპიზოდები ფარნავაზის, ვახტანგ გორგასალის, ფარსმანის, გუბაზის პერიოდებიდან, ქრისტიანობის გავრცელების ცალკეული ეპიზოდები... შევეცადე არქეოლოგიური მონაპოვრების საფუძველზე ასევე აღმედგინა ჩვენი წინაპრების ცხოვრების სავარაუდებელი ეპიზოდები... ე. ი. ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო და რაც ერთგვარად შეჰსა ჰფენს ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებს.

1975 წ.

# სარჩევი

## I. ძვირფასი სილუეტები


წინაპართა აჩრდილები 5
კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს 15
ძლიერება სულისა 54
ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან 70
მარგიანების ოჯახი 122
ჩვენი ლადო ასათიანი 127
თვალადური ქართული 151
ელენე მაჩაბლის ხსოვნას 155
„ცისკრის“ პირველი რედაქცია... 160
უილიამ შექსპირი 172
ჯონ მილტონი 184
რობერტ ბერნსი 209
ჩარლზ დიკენსი 228
მაინ რიდი 240
მარკ ტვენი 253
ერნესტ ჰემინგუეი 267


## II. მხატვრული თარგმანი


თარგმანი—ეროვნული საქმე 287
თარგმნის პრობლემები 302
შენიშვნები თარგმნის საკითხებზე 328
შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები 336


## III. თეატრალური ჩანაწერები


სიძნელეები... პრობლემები 387
თეატრი და მაყურებელი 395
თეატრის სიხარული 399
„წვრილმანი საკითხები“ 404
საკონცერტო დარბაზის სევდა 407
შექსპირის მემორიალური თეატრი 413


## IV. ფიქრები ხვალინდელ დღეზე


წიგნი 435
ოსტატი და შეგირდი 442
ფიქრები ხვალინდელ დღეზე 451
საშვილიშვილო საგანძური 459
ჩავიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში 483
როდის წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა“? 520
ვისწავლოთ ტელევიზორის გამორთვა 533
კოლორიტული ჟანრი 541
კეისრისა კეისარსა 547
ბუნება და ადამიანი 556
რასაც ყოველდღიურად ხედავს თვალი 561
„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ გამო 566

მხატვარი გ. ღლონტი
მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: თ. ფირცხალავა, ნ. ლომაძე,
დ. ფირცხალავა

სბ.—4234

ჩაბარდა წარმოებას 23.12.88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.07.89 წ. უე 06674, ფორმატი 60×84¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 33,48. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 28,86. პირობითი საღებავგატარება, 33,48. ტირაჟი 20.000 შეკვ. № 1028,

¹ ფასი 2 მან. 80 კაპ.

**ЧЕЛИДЗЕ ВАХТАНГ ВАСИЛЬЕВИЧ**

ДОРОГИЕ СИЛУЭТЫ

(Статьи)

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1989

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის პრ. 42. თბილისი 1989.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.